TBILISI IVANE JAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY

RESEARCH CENTRE OF THE HISTORY OF GEORGIAN STATE AND PEOPLE'S DIPLOMACY

# GEORGIAN *Diplomatic* DICTIONARY

## Volume 1

## A-L

TBILISI 1997

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

# ქართული
# დიპლომატიური
# ლექსიკონი

## ტომი
## 1
## ა-ლ

თბილისი 1997

63.2(2Г) – 3
930.22 (=9.463.1) (038)
ქ 279

მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბოლოთაშვილი, ნ. გიოშვილი, ი. გოგოლაშვილი (მდივანი), ი. თევდორაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი, გ. სალიაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

Editor in Chief Roin Metreveli

Editorial Board: G. Bolotashvili, N. Ghioshvili, I. Gogolashvili (Secretary), M. Lordkipanidze, Z. Papaskiri, G. Saliashvili (Deputy Editor in Chief), I. Tevdorashvili

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997
© TBILISI UNIVERSITY PRESS, 1997

ქ $\frac{0802000000}{608(06)-97}$

ISBN 5-511-00792-7

# რედაქტორისაგან

წინამდებარე "ქართული დიპლომატიური ლექსიკონის" გამოცემა აუცილებლობითაა ნაკარნახევი. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. გაზრდილი საერთაშორისო ურთიერთობები. აქტიური დიპლომატიური საქმიანობა საჭიროს ხდის ქართული დიპლომატიის ძირითადი მიზნებისა და მიმართულებების გაანალიზებას. ქვეყნის დიპლომატიის შესწავლას მისი ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე. ამ მიზნით გარკვეულ მუშაობას ეწევა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. გამოიცა "ქართული დიპლომატიის" (წელიწდეულის) რამდენიმე ტომი, მომზადდა მონოგრაფია – "ქართული დიპლომატიის ისტორიის საკითხები".

„ლექსიკონში" ტერმინებადაა წარმოდგენილი ქართული დიპლომატიური ისტორიისა და პრაქტიკის საკითხები. საქართველოს ტრადიციები. "ლექსიკონი". ქართული მასალის გარდა, უხვად აშუქებს უნივერსალურ (საერთაშორისო) მოვლენებს. განმარტავს დიპლომატიურ ტერმინებს.

ყოველ საქმიან შენიშვნას. რომელიც მკითხველს გაუჩნდება, სარედაქციო კოლეგია მადლობით მიიღებს.

# FROM THE EDITOR

The publication of this "Georgian Diplomatic Dictionary" has been dictated by necessity. Georgia's present situation, the enhanced international contacts, and diplomatic activity, call for an analysis of the basic objectives and directions of Georgian diplomacy as well as the study of the country's diplomacy throughout its historical development. Work has been carried on along these lines by the Research Centre for the History of Georgian State and People's Diplomacy, at Tbilisi I. Javakhishvili State University. Several volumes of "Georgian Diplomacy" (Annual) have been issued and a monograph, "Problems of the History of Georgian Diplomacy", has been written.

Questions of Georgian diplomatic history and practice, and Georgian traditions are presented as entries in the Dictionary. In addition to Georgian material, the Dictionary gives broad coverage of universal (international) developments, and defines deplomatic terms.

All business-like suggestions by the readers will be accepted by the editorial board with gratitude.

| ავტორები | AUTHORS |
|---|---|
| ალექსანდრე აბდალაძე | Aleksandre Abdaladze |
| ერეკლე ასტახიშვილი | Erekle Astakhishvili |
| გიორგი ახსიაშვილი | Giorgi Akhsiashvili |
| შოთა ბადრიძე | Shota Badridze |
| გივი ბოლოთაშვილი | Givi Bolotashvili |
| ნინო ბურჯანაძე | Nino Burjanadze |
| ნოდარ ღიოშვილი | Nodar Ghioshvili |
| თედო დუნდუა | Tedo Dundua |
| ზურაბ ვანიშვილი | Zurab Vanishvili |
| თეა თევდორაშვილი | Tea Tevdorashvili |
| ირინა თევდორაშვილი | Irina Tevdorashvili |
| გულივერ იობაშვილი | Guliver Iobashvili |
| დევი კაჭარავა | Devi Kacharava |
| დავით კობახიძე | David Kobakhidze |
| ბუბა კუდავა | Buba Kudava |
| ბონდო კუპატაძე | Bondo Kupatadze |
| დიმიტრი ლეთოდიანი | Dimitri Letodiani |
| მარიამ ლორთქიფანიძე | Mariam Lortkipanidze |
| როინ მეტრეველი | Roin Metreveli |
| გივი ნარსია | Givi Narsia |
| დავით ნინიძე | David Ninidze |
| ზურაბ პაპასქირი | Zurab Papaskiri |
| თეიმურაზ პაპასქირი | Teimuraz Papaskiri |
| გოჩა საითიძე | Gocha Saitidze |
| ჯაბა სამუშია | Jaba Samushia |
| გიორგი ტაბატაძე | Giorgi Tabatadze |
| იაკობ ფუტკარაძე | Iakob Putkaradze |
| გრანი ქავთარია | Grani Kavtaria |
| მევლუდ ჩხეტიანი | Mevlud Chkhetiani |
| ლელა ჯავახიშვილი | Lela Javakhishvili |
| ნიკოლოზ ჯავახიშვილი | Nikoloz Javakhishvili |
| გოჩა ჯაფარიძე | Gocha Djaparidze |

# ა

**აახენის კონგრესი 1818** (30.IX-21.XI), პირველი დიპლომატიური კონგრესი რუსეთის, ავსტრიის, ინგლისის, პრუსიისა და საფრანგეთის მონაწილეობით, რომელიც გაიმართა *საღვთო კავშირის* (1815-33) ჩარჩოებში. სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ *ალექსანდრე I*, *კ.მეტერნიხი*, *რ.ს.კასლრი*, კ.აჰარდენბერგი და ჰერცოგი *რიშელიე*.

ა.კ-ის მსვლელობისას 9.X რუსეთსა და საფრანგეთს შორის დადებული კონვენციის თანახმად მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარები საფრანგეთიდან უნდა გამოსულიყვნენ არაუგვიანეს 30.XI. 1818, ხოლო დარჩენილი გადასახდელი კონტრიბუციის ოდენობა განისაზღვრა 265 მლნ ფრანკით. ჰერცოგი რიშელიე მოითხოვდა, რომ *ოთხთა კავშირი* გარდაქმნილიყო ხუთი სახელმწიფოს კავშირად, მაგრამ ინგლისისა და გერმანიის სამთავროთა მოთხოვნით 1.XI ხელმოწერილ იქნა ოთხი სახელმწიფოს საგანგებო კონვენცია, რომლითაც მტკიცდებოდა ოთხთა კავშირი, შექმნილი საფრანგეთში დაწესებული წესრიგის შესანარჩუნებლად. მხოლოდ ამის შემდეგ, 4.XI მოკავშირეებმა მიმართეს ნოტით საფრანგეთს, შეერთებოდა ოთხ სახელმწიფოს, ისიც სახელმწიფოთა იმ საზღვრების და იმ პოლიტიკური სისტემის დაცვის საქმეში, რომელიც *ვენის კონგრესმა 1814-15* დაადგინა.

15.XI დეკლარაციით, რომელსაც ა.კ-ის მონაწილე ყველა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, ცხადდებოდა მათი სოლიდარობა და მხარდაჭერა ევროპაში აბსოლუტური მონარქიებისადმი და ბრძოლა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

21.XI ხელი მოაწერეს ოქმს მინისტრ-რეზიდენტების თანამდებობის დაწესების შესახებ. გაითვალისწინეს რა 1815 ვენის რეგლამენტის დაუდევარი უზუსტობა, ა.კ-ის მონაწილეებმა დაადგინეს, რომ მინისტრ-რეზიდენტებს მინიჭებოდათ შუალედური დიპლომატიური კლასი დესპანსა და დროებით რწმუნებულს შორის და აკრედიტებულნი ყოფილიყვნენ სახელმწიფოს მეთაურთან. ეს შეთანხმება საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიური ეტიკეტის საყოველთაოდ აღიარებული ნორმა გახდა. ამჟამად ეს დიპლომატიური რანგი ხმარებიდან გამოდის.

ლიტ.: Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т.7, СПб., 1885, с.291-328.

**აახენის საზავო ხელშეკრულებები**, 1. 1668 ხელშეკრულება, დაიდო 2.V, დაამთავრა საფრანგეთ-ესპანეთის ომი (1667-68) ესპანეთის ნიდერლანდებისათვის. საფრანგეთის მეფე *ლუი XIV-მ* (ესპანეთის მეფის *ფილიპე IV-ის* სიძე) თავისი უფლებები წამოაყენა ესპანეთის ნიდერლანდების მიმართ. ბელგიაში შეჭრილი საფრანგეთის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ინგლისის, ჰოლანდიისა და შვეციის კოალიცია. ინგლისმა და ჰოლანდიამ აიძულეს საფრანგეთი, დაკმაყოფილებულიყო მცირე ტერიტორიებით ბელგიაში (ლილი, შარლერუა, კურტრე და სხვ.) და ფრანშ-კონტე ესპანეთისათვის დაებრუნებინა.

ლიტ.: Du Mont J., Corps universel diplomatique du droit des gens... des l'an 800 à 1731, t.1-8, Amsterdam – la Haye, 1726-31. T.7, pt.1, p.69-90

2. 1748 ხელშეკრულება, დაიდო, ერთი მხრივ ინგლისსა და ჰოლანდიას და, მეორე მხრივ, საფრანგეთს შორის, 18.X., რომლითაც დამთავრდა ომი *ავსტრიული მემკვიდრეობისათვის*. მალე მას შეუერთდნენ ავსტრია, ესპანეთი და სარდინია. ის ამტკიცებდა კარლ VI-ის 1713 *პრაგმატულ სანქციას*, რომლის მიხედვითაც საიმპერატორო ტახტის დაკავების უფლება მის უფროს ქალიშვილს მარია-ტერეზიას ეძლეოდა. ხელშეკრულებით სილეზია პრუსიას გადაეცა. ესპანეთმა და სარდინიამ მიიღეს ტერიტორიები იტალიაში, ნაწილობრივ ავსტრიის სამფლობელოთა ხარჯზე. საფრანგეთს უნდა დაებრუნებინა ნიდერლანდებში მიტაცებული მიწები, აგრეთვე ინგლისისათვის მადრასი (ინდოეთში) და მცირე ტერიტორიები ამერიკაში. გარდა ამისა, ინგლისმა მიაღწია 4 წლით ასიენტოს (ესპანეთის ამერიკულ კოლონიებში ინგლისური კომპანიების მიერ მონების შეყვანის უფლება) შესახებ ხელშეკრულების გაგრძელებას და გადაწყვეტილების მიღებას დიუნკერკის სიმაგრის დანგრევის შესახებ. კიდევ უფრო მეტად დაიძაბა წინააღმდეგობა ავსტრიასა და პრუსიას შორის, რადგან მარია-ტერეზიას სურდა *ფრიდრიხ II-ის* მიერ ხელთნაგდები სილეზიის დაბრუნება და რევანშზე ოცნებობდა. საფრანგეთიც თავის თავს ფრიდრიხ II-ის მიერ მოტყუებულად მიიჩნევდა.

ლიტ.: De Clercq M. et J., Recueil des traités de la France, t.1, Paris, 1864, p.65-77.

**აბას I** (1571-1629), ირანის შაჰი 1587-1629. ტახტზე ავიდა იმ დროს, როდესაც ირანი წარუმატებელ ომს აწარმოებდა თურქეთთან. 1590 ზავი დადო თურქეთთან და ახალი ომისათვის მზადებას შეუდგა. რუსეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს კავშირი შესთავაზა თურქეთის წინააღმდეგ. 1597 ხორასანი დაიბრუნა, შემოიერთა გილანი და მაზანდერანი, სამხრეთში – ლურისტანი. 1603 თურქეთთან ომის განახლების შემდეგ, მის ხელში აღმოჩნდა: აზერბაიჯანი, საქართველოსა და სომხეთის ნაწილი, აგრეთვე შირვანი. 1613 თურქეთთან დადებული ზავით ძირითადად აღდგა 1555 *ამასიის ზავის* პირობები. ბრძოლები თურქეთთან შემდეგშიც გრძელდებოდა.

ა.I-ს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ევროპის ქვეყნებთან. 1623 ომი გამოუცხადა პორტუგალიელებს და ინგლისელთა დახმარებით მას სპარსეთის ყურის ზოლი და კ.ჰორმუზი წაართვა. ინგლისელებს ჰოლანდიელები

დაუპირისპირა, რომელთაც ირანში სავაჭრო ფაქტორიების დაარსებაში შეუწყო ხელი.

ა.I დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთის პოლიტიკას ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში. იგი ხშირად აიძულებდა ქართლის მეფე *გიორგი X*-სა და კახეთის მეფე *ალექსანდრე II*-ს მონაწილეობა მიეღოთ სპარსეთის ბრძოლებში. მას სურდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობა და იქ მუსლიმანური სახანოების შექმნა. ამ მიზნით რამდენჯერმე ილაშქრა (1614, 1616, 1617) ქართლ-კახეთში. ქართველთა დიდმა წინააღმდეგობამ შაჰის ეს გეგმა ჩაშალა.

**აბას II** (1633-66), ირანის შაჰი 1642-66 სეფიანთა დინასტიისა. მის დროს წარმოიშვა პირველი სერიოზული კონფლიქტი რუსეთსა და ირანს შორის. ვაჭრობაში ინგლისელთა ნაცვლად წამყვანი ადგილი ჰოლანდიელებმა დაიკავეს, რომლებმაც, ინგლისელების მსგავსად, მიიღეს უბაჟო ვაჭრობის უფლება. მალე ასეთივე პრივილეგიები მიიღეს ფრანგმა ვაჭრებმაც. მათ თავიანთი სავაჭრო ფაქტორიები დააარსეს ისპაჰანსა და ბენდერ-აბასში. ა.II-ის დროს ირანმა დაიბრუნა ყანდაარი. ქართლის სამეფოს მიმართ იგი აგრძელებდა სეფი I-ის კომპრომისულ პოლიტიკას. კახეთში *აბას I*-ის მსგავსად მასობრივად ჩამოასახლა თურქმანული ტომები. ამას მოჰყვა კახელების 1660 აჯანყება და თურქმანული ტომების ამოჟლეტა.

**აბაღა-ხანი** (1234-82), ილხანთა სახელმწიფოს მეორე გამგებელი 1265-დან, ჰულაგუიანთა დინასტიიდან. აგრძელებდა მამის – *ჰულაგუ-ხანის* საგარეო პოლიტიკას, აწარმოებდა ომებს ოქროს ურდოსთან კავკასიაში, ჩაღათაის ულუსთან - შუა აზიაში, ეგვიპტის მამლუქებთან – მცირე აზიასა და სირიაში. მისი ცდა – დაეპყრო სირია, 1281 მარცხით დასრულდა. ა.-ხ-ის სამხედრო კამპანიებში მონაწილეობდნენ ქართველებიც, მათ შორის *დემეტრე II*. საქართველო გახდა ასპარეზი ა.-ხ-სა და მის წინააღმდეგ აჯანყებული ჩაღათაის შთამომავალ თეგუდარს შორის ბრძოლისა (1269-70). ა.-ხ-ის (ზოგიერთი ცნობით კი – ჰულაგუს) ბრძანებით, შირვანში, მდ. ჩალანსუს პირას, აშენდა სიბა – თავდაცვითი ნაგებობების სისტემა, სადაც დგომა შემოდგომიდან გაზაფხულამდე, ჩრდილოეთის ულუსის თავდასხმების აღსაკვეთად, მონღოლებთან ერთად ქართველებსაც ევალებოდათ. დაამყარა დიპლომატიური კავშირები რომის პაპთან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შეკვრის მიზნით 1277 იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში იმყოფებოდნენ მისი ელჩები იაკობი და იოანე, რომლებიც იტალიელი ისტორიკოსის ჯ. სორანცოს ცნობით, იყვნენ „ქვეშევრდომნი თათართა, წარმოშობით ქართველები და სარწმუნოებით ქრისტიანები”. ა.-ხ-ის დროს ილხანთა ირანის ქალაქებში მომრავლდნენ ევროპელი მისიონერები.

**აბაშიძე** გიორგი (დ. 1759), საქართველოს მთავარმართებლის პ.დ. ციციანოვის წარდგინებით ებოძა პოლკოვნიკობა. მისი მეშვეობით იულონ ბატონიშვილი წერილობით ხშირად უკავშირდებოდა ციციანოვს, რომელიც აქტიურად ერეოდა მას იმერეთის საქმეებში.

**აბაშიძე** ზურაბ ირაკლის ძე (დ. 1951), ქართველი დიპლომატი, მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი. 1973 დაამთავრა მ. თორეზის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი მოსკოვში; 1973-75 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ფილოლოგიის განხრით; 1975-78 – საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი; 1978-80 – სსრკ გენერალური საკონსულოს ატაშე ბომბეიში (ინდოეთი); 1980-82 – საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; 1982-84 – *საზღვარგარეთთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების* მრჩეველი; 1984-88 – ესპანეთში სსრკ საელჩოს მრჩეველი; 1989-93 – საზღვარგარეთთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების თავმჯდომარე, 1993 წლის ივნისიდან – საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი ევროპულ გაერთიანებებში – ბრიუსელში; 1994 წლის აპრილიდან – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში; ერთდროულად 1995-დან – ევროგაერთიანებასთან საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი.

**აბაშიძე** ნიკოლოზ როსტომის ძე (გ. 1826), იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონის ელჩი მთავარმართებელ ციციანოვთან. XIX ს. დასაწყისში (1803-06) ესწრებოდა *ელაზნაურის ტრაქტატის* (1804 წლის 25 აპრილი) გაფორმებას.

*წყარო:* Акты, собранные Кавказской археографической комиссиею, т. 2 Тфл., 1868, с. 403 (შემდეგში - АКАК).

**აბდ ალლაჰ იბნ აბდ ალ-აზიზ ალ საუდი** (დ. 1924), საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე, პრინცი. მეფე აბდულ აზიზის შვილი. შამარის ტომის წარმომადგენელი. მიიღო რელიგიური, საერო და პოლიტიკური განათლება სკოლაში და სამეფო კარზე. 1963-დან – ეროვნული გვარდიის სარდალი; 1975-82 – პრემიერ-მინისტრის მეორე მოადგილე; 1982-დან – მემკვიდრე პრინცი და პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე.

**აბდელ მაგიდი** (ა ბ დ  ა ლ - მ ა ჯ ი დ ი) აჰმად ისმათ (დ. 1923), ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი. დაამთავრა ალექსანდრიის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, სწავლობდა პარიზის უნივერსიტეტში. მეცნიერებათა დოქტორი. 1950-დან იკავა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობები საგარეო საქმეთა აპარატსა და ეგვიპტის წარმომადგენლობებში დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიასა და საფრანგეთში. 1969-70 იყო ეგვიპტის ელჩი საფრანგეთში; 1970-72 – ეგვიპტის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა სახელმწიფო მინისტრი; 1972-84 – ეგვიპტის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში; 1984 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1985 – იმავდროულად პრემიერ-მინისტრის მოადგილე; არის საერთაშორისო სამართლის საკითხებზე რიგი სამეცნიერო სტატიების ავტორი; 1991 წლის მაისიდან – არაბული სახელმწიფოების ლიგის გენერალური მდივანია.

**აბდულ რაზაკ ბინ ჰუსეინ** ტ უ ნ  ხ ა ჯ ი (1922-76), მალაიზიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. იაპონიის მიერ მალაიზიის ოკუპაციის წლებში აქტიურად მონაწილეობდა მალაიელთა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1957) – პრემიერ-მინისტრის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი.

1970-76 – პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრი. იმავდროულად იყო მალაიზიის გაერთიანებული ნაციონალური ორგანიზაციის პრეზიდენტი.

**აბდულ რაჰმან** პუტრა ტენკუ (დ. 1903), მალაიზიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1957) 1970-მდე – მალაიის (1963-დან მალაიზიის) პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. 1969-73 – *ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის* გენერალური მდივანი.

**აბოს საზავო ხელშეკრულება 1773**, რითაც დამთავრდა რუსეთ-შვეციის 1741-43 ომი, ხელი მოაწერეს 7(18).VIII. აბოში (ახლანდელი ტურკუ, ფინეთი). ომი, რომელიც წამოიწყო შვეციამ 1721 *ნიშტატის საზავო ხელშეკრულებით* დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, დამთავრდა მისი სრული დამარცხებით და რუსეთის მიერ ფინეთის დაკავებით. შვეციის ცდებს – მიეღწია საპატიო ზავისათვის საფრანგეთის შუამდგომლობით – შედეგები არ მოჰყოლია. რუსეთი მოითხოვდა პირდაპირ მოლაპარაკებას.

ფინეთის სამხრეთი ნაწილის შემოერთებაზე უარის თქმით იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის მთავრობა შეეცადა შვეცია თავის პოლიტიკურ ორბიტაში მოექცია. რუსეთის სწრაფვამ შვედებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისაკენ, განაპირობა რუსეთის შედარებით ზომიერი ტერიტორიული მოთხოვნები. ა.ს.ხ-ით რუსეთ-შვეციის საზღვარმა ფინეთში გადაიწია მდ. კიუმენემდე. რუსეთმა მიიღო კიუმენეგორსკისა და სავოლაკის პროვინციები რამდენიმე გამაგრებული ქალაქითურთ. ფინეთის დანარჩენი ნაწილიდან რუსეთს თავისი ჯარები უნდა გაეყვანა. რუსეთის მთავრობის გეგმამ, რომ დათმობებით თავისი გავლენა განემტკიცებინა შვეციაში, არ გაამართლა: შვეციის ტახტის მემკვიდრე ადოლფ ფრიდრიხი პრუსოფილი და ანტირუსული შვედური დაჯგუფებების მფარველი აღმოჩნდა.

*ლიტ.:* Полное собрание законов Российской империи. Собрание первое. С 1649 по 12 декабря 1825г., т.1-45, СПб., 1830. Т.11, с. 853-74 (შემდეგში - ПСЗРИ).

**აბრაამ I**, აბრამი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი XIII-XIV სს. მიჯნაზე. აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიური ურთიერთობების სფეროშიც. ა.I თან ახლდა *დემეტრე II* თავდადებულს მონღოლთა ურდოში. მისი უშუალო მცდელობით მოხერხდა მეფის ცხედრის საქართველოში ჩამოსვენება. მანვე აკურთხა დემეტრეს ვაჟი *დავით VIII* საქართველოს სამეფო ტახტზე. აქტიური მომხრე იყო დავით VIII-ის პოლიტიკური ხაზისა. ა.I სათავეში ედგა საქართველოს სამეფო კარის მიერ წარგზავნილ ელჩობებს ყაზან-ყაენის წარმომადგენელ ხუტლუშასთან. მისიაში შედიოდნენ *ბერსელი* იოანე და ტფილელი ყადი მოლაპარაკეები, რომლებიც ძალზე მწვავე ხასიათს ატარებდა, წარუმატებლად წარიმართა. ა.I-ს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან, კერძოდ, *ვატიკანთან*, რაზეც მეტყველებს პაპი ნიკოლოზ IV-ის მისადმი მოწერილი წერილი (1289), სადაც საუბარი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ეკლესიების შეერთების შესახებ.

*წყარო:* ჟამთააღმწერელი. წგ.: ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

**აბსენტეიზმი** (ლათ. absens, absentis – არადამსწრე, არმყოფი), მოსახლეობის გულგრილი დამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრებისადმი, მისთვის თავის არიდება. კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა დონის არჩევნების დროს ამომრჩევლების მიერ მისთვის თავის არიდებაში.

**აბსოლუტიზმი** (ლათ. absolutus – უპირობო, უცილობელი), სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ძალაუფლება იმყოფება ერთი პირის – მონარქის ხელში. ხასიათდება სახელმწიფო ხელისუფლების ძლიერი ცენტრალიზაციით.

**აბუ საიდ** ბაჰადურ-ხანი (1305-35), ილხანთა სახელმწიფოს მე-9 გამგებელი 1317-დან, ჰულაგუიანთა დინასტიიდან. ტახტზე ავიდა 12 წლის ასაკში. მისი მცირეწლოვანობის გამო სახელმწიფოს ფაქტობრივად ამირა ჩობანი განაგებდა, რომელიც 1327 სიკვდილით დასაჯეს. ებრძოდა ოქროს ურდოს და ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს. 1323 ზავი დადო ეგვიპტის სულთან ალ-მალიქ ან-ნასირ მუჰამადთან და ხელი აიღო სირიისათვის ბრძოლაზე. მის დროს შესუსტდა კონტროლი საქართველოზე, რამაც საშუალება მისცა *გიორგი V-ს* განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები.

**"ABC"-ხელშეკრულება**, 1915 წლის 25 მაისის საარბიტრაჟო ხელშეკრულება არგენტინას, ბრაზილიასა და ჩილეს შორის, ხელმოწერილი ბუენოს-აირესში. სახელწოდება მომდინარეობს მონაწილე ქვეყნების სახელწოდების საწყისი ლათინური ასოებიდან. "ABC"-ს მიზანი იყო ლათინურ ამერიკაში აშშ-ის გავლენის შემცირება. ითვალისწინებდა მხარეთა შორის შესაძლო კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებას მუდმივმოქმედი კომისიისათვის საკითხის საარბიტრაჟოდ გადაცემის გზით, რომელშიც თითოეული ქვეყნიდან თითო წარმომადგენელი შედიოდა. "ABC"-ს-ის რატიფიცირება მოახდინა მხოლოდ ბრაზილიამ 10.XI.1915.

**აგათია სქოლასტიკოსი** (Agathias Scholasticos) (536-82), ბიზანტიელი ისტორიკოსი, რომელიც *იუსტინიანე I-ის* დროინდელ ამბების აღწერას აგრძელებს იმ დროიდან, სადაც *პროკოპი კესარიელი* შეწყვიტა (552) და ამთავრებს 558. მას თავის თხზულებაში გადმოცემული აქვს: როგორ მიმდინარეობდა ბრძოლები ირან-ბიზანტიას შორის ლაზიკაში (ეგრისში) 552-58 და რა როლს ასრულებდა ამ ომში ეგრისის (ლაზიკის) სამეფო, ბიზანტიელი სარდლების შეთქმულება ეგრისის მეფე *გუბაზ II-ის* წინააღმდეგ და მათ მიერ მისი მოკვლა, გუბაზის მკვლელობასთან დაკავშირებით ლაზთა საპროტესტო სახალხო შეკრება და აქ *პოლიტიკური ორიენტაციის* წამოჭრა, გუბაზის ძმის *წათეს* გამეფება და ბიზანტიის ხელისუფლებისაგან ლაზთა მეფეზე სამეფო რეგალიების გადაცემის წესი, გუბაზის მკვლელების გასამართლება ლაზიკაში, ლაზთა დახასიათება, მისიმიანთა აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ (556), ჭანთა ტომის დამორჩილება ბიზანტიის მიერ.

*წყარო:* აგათია სქოლასტიკოსი. წგ.: ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ), ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.3, ტფ., 1936.

**აბენტი** გავლენის, 1. თანამდებობის პირი (ანდა პიროვნება, რომელიც საზოგადოების ნდობით ან ავტორიტეტით სარგებლობს), რომელიც სისტემატურად მოქმედებს უცხოური ქვეყნის პოლიტიკის რეალიზაციისათვის, მაგრამ ფორმალურად არაა ამ ქვეყნის საიდუმლო სამსახურების თანამშრომელი.

2. საზოგადო მოღვაწე, გამტარებელი რომელიმე პარტიის ან საზოგადოების პოლიტიკისა იმ გარემოში, რომელიც ამ სტრუქტურებს არ მიეკუთვნება.

**აგირე დელ კრისტო** (Aguirre del Cristo) სევერო (დ.1912), კუბის რესპუბლიკის პარტიული მოღვაწე, დიპლომატი. კუბაში რევოლუციური ბრძოლის აქტიური მონაწილე. 30-40-იან წლებში შედიოდა სახალხო-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობაში. 1959-დან პარტიულ და სამეურნეო სამუშაოებზეა. 1962-65 – აგრარული რეფორმის ნაციონალური რეფორმის ინსტიტუტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდეგ – ჰავანის უნივერსიტეტის ფაკულტეტის დეკანი, 1973-82 – კუბის ელჩი სსრკ-ში. 1981-დან – მშვიდობისა და ხალხთა სუვერენიტეტისათვის კუბის მოძრაობის თავმჯდომარე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი. 1976-დან – სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის დეპუტატი, 1986-90 – ამ ასამბლეის თავმჯდომარე. კუბის კპ ცკ-ის წევრი 1965-დან, კუბის სახელმწიფო საბჭოს წევრი.

**აგიტაცია** (ლათ. agitatio – მოძრაობაში მოყვანა), პროპაგანდისტული საქმიანობა მოსახლეობის ფართო ფენების ან ცალკეული ჯგუფების პოლიტიკური აქტიურობის გამოცოცხლების მიზნით. გამოირჩევა ზეპირი, წერილობითი და აუდიოვიზუალური საშუალებების მრავალფეროვნებით. წარმოადგენს პოლიტიკური ბრძოლის გავრცელებულ ინსტრუმენტს.

**აგრემანი** (ფრანგ. agrément – თანხმობა), მიმღები სახელმწიფოს მთავრობის თანხმობა მააკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ პირზე დიპლომატიურ წარმომადგენლად დანიშვნის გამო. ა. მოითხოვება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურზე, ჩვეულებრივ, *საგარეო საქმეთა უწყების* გზით. ა-ის მოთხოვნის დროს მიმღებ ქვეყანას ეცნობება ზოგიერთი ბიოგრაფიული მონაცემი იმ პირის შესახებ, რომელიც ამ ქვეყანაში დასანიშნად არის განსაზღვრული. ჩვეულებრივ, ა. მოითხოვება და გაიცემა წერილობითი ფორმით. მიმოწერა ა-ის თაობაზე და შესაძლო უარი არ ქვეყნდება. ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში დამკვიდრებულია ა-ის მიღების ზეპირი ფორმა. ა-ის მიღების შემდეგ კანდიდატი ხდება *პერსონა გრატა*, უარის მიღების შემთხვევაში – *პერსონა ნონ გრატა*. მიმღები ქვეყანა ვალდებული არაა გამოაცხადოს უარის მოტივები.

ლიტ.: ჭიკაშვილი კ., დიპლომატიის ანბანი, თბ., 1993, გვ 54-63; Молочков Ф.Ф., Дипломатический протокол и дипломатическая практика, М., 1979, с. 36-47.

**აგრესია** (ლათ. aggressio – თავდასხმა), ძალის უკანონო გამოყენება. ა-ის პირველი განსაზღვრა მოცემულია 1933 *ლონდონის კონვენციებში აგრესიის განსაზღვრის შესახებ*. 1974 წლის 14 დეკემბერს *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* მიიღო რეზოლუცია, რომელიც განსაზღვრავს ა-ს. რეზოლუციის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „აგრესიად ჩაითვლება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ". რეზოლუციის მესამე მუხლის ძალით აგრესიულ აქტად ჩაითვლება:

„ა). ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ან თავდასხმა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ნებისმიერი, თუნდაც დროებითი, სამხედრო *ოკუპაცია*, რომელიც ასეთი შეჭრის ან თავდასხმის შედეგია, ან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის *ანექსია* ძალის გამოყენებით; ბ). ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის დაბომბვა ან ამ მიზნით სხვა იარაღის გამოყენება; გ). ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ნავსადგურების ან ნაპირების ბლოკადა; დ). ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა სხვა სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ძალებზე ან საზღვაო და საჰაერო ფლოტებზე; ე). ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, რომლებიც იმყოფებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოსთან შეთანხმების ძალით, გამოყენება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევით, ან ამ ძალების სახელმწიფოს ტერიტორიაზე დატოვება შეთანხმების ვადის გასვლის შემდგომ; ვ). ერთი სახელმწიფოს ქმედობა, რომელიც აძლევს სხვა სახელმწიფოს საშუალებას გამოიყენოს მისი ტერიტორია მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის ჩადენისათვის; ზ). ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიარაღებული ბანდების, ჯგუფების, რეგულარული ან *დაქირავებული* ძალების შეგზავნა, რომლებიც ახორციელებენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რასაც იმდენად სერიოზული სახე აქვს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი აქტების ტოლფასია, ან ამ სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი მონაწილეობა ამ აქტებში."

რეზოლუციის მე-4 მუხლის ძალით ეს სია არ არის ამომწურავი და გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია სხვა სახის აქტებიც მიიჩნიოს ა-დ.

ა. ნიურნბერგის და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალების წესდების და გენერალური ასამბლეის 1946 11 დეკემბრის რეზოლუციის თანახმად, საერთაშორისო დანაშაულადაა აღიარებული და იწვევს დამნაშავე პირთა საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948**, მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. ა.უ.ს.დ. წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც აცხადებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემას და მოიცავს ამ უფლებათა ჩამონათვალს. პიროვნების ელემენტარული უფლებები – თანასწორობა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება (1-12 მუხლები), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები: მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, თავშესაფრის უფლება, აზრის, სინდისის, რელიგიის, მრწამსის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების შექმნის უფლება (14-21 მუხლები); სოციალ-ეკონომიკური უფლებები: შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების, დასვენების, განათლების, საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება (22-27 მუხლები). ა.უ.ს.დ-ის თანახმად, ამ უფლებებით და თავისუფლებებით უნდა სარგებლობდეს ყოველი ადამიანი განურჩევლად რასისა, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

ა.უ.ს.დ.-ს აქვს რეკომენდაციის ხასიათი. მის საფუძველზე გაერომ მიიღო იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ. მისი მიღების დღე – 10 დეკემბერი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულია ადამიანის უფლებათა დღედ და აღინიშნება ყოველწლიურად.

საქართველოს რესპუბლიკა 1991 შეუერთდა ა.უ.ს.დ.-ს.

**ადამიანის უფლებები**, პიროვნების სამართლებრივი სტატუსისათვის დამახასიათებელი უფლებებისა და თავისუფლებების ერთიანობა. ა.უ-თა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ა.უ-ის შინაარსი დაკონკრეტებულია გაეროს წესდების საფუძველზე მიღებულ საერთაშორისო დოკუმენტებში. ამ დოკუმენტთა ერთი ნაწილი სარეკომენდაციო ხასიათისაა (1948 ა.უ-თა საყოველთაო დეკლარაცია და სხვა), ხოლო მეორე, საერთაშორისო ხელშეკრულებები – მონაწილე სახელმწიფოთათვის სავალდებულო ძალის მქონეა (1966 საერთაშორისო პაქტები ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების და ადამიანის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და სხვა). საერთაშორისო თანამშრომლობა ა.უ-თა დაცვის სფეროში ძირითადად ორი მიმართულებით ვითარდება: 1. ა.უ-ისადმი პატივისცემისა და მათი განხორციელების ხელისშეწყობა და 2. ა.უ-ის მასობრივი და უხეში დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლა.

**ადამიანის უფლებების კომისია** (Commission on Human Rights) გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს კომისია (ეკოსოს). დაარსებულია გაეროს წესდების 68-ე მუხლის შესაბამისად 1946 წლის 16 თებერვალს. 1946 9(II) რეზოლუციის თანახმად, ა.უ.კ-ს ევალება ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მოუმზადოს წინადადებები, რეკომენდაციები, მოხსენებები, საერთაშორისო შეთანხმებათა პროექტები გაეროს გენერალურ ასამბლეას და თვით ეკოსოსს; განიხილოს საკითხები, დაკავშირებული ქალთა სტატუსთან, ინფორმაციის თავისუფლებასთან, უმცირესობათა დაცვასთან და სხვ. 1990-დან ა.უ.კ-ის შემადგენლობაში შედის 53 სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელთაც ირჩევს ეკოსოსი ოთხი წლის ვადით შემდეგი თანაფარდობის დაცვით: 15 – აფრიკული სახელმწიფოდან, 12 – აზიიდან, 11 – ლათინური ამერიკისა და კარიბის ქვეყნებიდან, 10 – დასავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნებიდან, 5 – აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან. ა.უ.კ-ის სესიები იმართება ყოველწლიურად. მასთან მუშაობს უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების ქვეკომისია.

**ადამიანის უფლებების კომიტეტი** (Committee on Human Rights), გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო. შეიქმნა 1966 წლის 16 დეკემბრის 2200 A (XXI) რეზოლუციით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (1966) შესაბამისად. ა.უ.კ. შედგება 18 წევრისაგან, რომელთაც ირჩევენ ოთხი წლის ვადით პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა მოქალაქეთაგან. ა.უ.კ-ის წევრები უნდა გამოირჩეოდნენ მაღალი ზნეობრივი თვისებებით, იყვნენ კომპეტენტურნი ადამიანის უფლებათა დარგში. მათ ირჩევენ პაქტის მონაწილე სახელმწიფოთა სხდომაზე, რომელსაც *გაეროს გენერალური მდივანი* იწვევს. ა.უ.კ-ში არჩეულად ითვლებიან ის პირები, რომლებიც სხდომის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას მიიღებენ. თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია დაასახელოს ორი კანდიდატი, მაგრამ მისი წევრი შეიძლება გახდეს ერთი სახელმწიფოს მხოლოდ ერთი მოქალაქე.

ა.უ.კ., ჩვეულებრივ, თავის სესიებს ატარებს წელიწადში სამჯერ გაეროს ცენტრალურ დაწესებულებებში.

პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, წარუდგინონ გაეროს გენერალურ მდივანს ა.უ.კ-ში განსახილველად მოხსენებები, თუ როგორ ხორციელდება პაქტით აღიარებული ადამიანის უფლებების დაცვა (მუხ.40). პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია განაცხადოს, რომ ცნობს ა.უ.კ-ის კომპეტენციას – მიიღოს და განიხილოს ცნობა, სადაც რომელიმე მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე ქვეყანა არ ასრულებს ამ პაქტით ნაკისრ ვალდებულებებს. ეს ცნობები ა.უ.კ-მა შეიძლება მიიღოს და განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოდგენილია იმ სახელმწიფოს მიერ და ეხება ისეთ სახელმწიფოს, რომელთაც სპეციალური განცხადებით აღიარეს ა.უ.კ-ის კომპეტენცია ამ საკითხში (მუხ.41).

**ადამსი** (Adams) ჩარლზ ფრენსის (1807-86), აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1861-68 – აშშ-ის დესპანი დიდ ბრიტანეთში. ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ დიდი ბრიტანეთი აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს (1861-65) არ დახმარებოდა სამხრეთის შტატებს მატერიალურად. 1871-72 წარმოადგენდა აშშ-ს ჟენევის საარბიტრაჟო სასამართლოზე, სადაც იხილებოდა პრეტენზიები ე.წ. „*ალაბამის*“ საქმის გამო.

**ადამსი** (Adams) ჯონ (1735-1826), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. ჩრდილოეთ ამერიკაში ბრიტანეთის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1774-78 კონტინენტური კონგრესის დელეგატი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა *1776 დამოუკიდებლობის დეკლარაციის* შემუშავებაში. 1776-77 ომის წარმოების და არტილერიის საკითხების საბჭოს მეთაური. 1778 – კონგრესის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი საფრანგეთში. 1779 – სრულუფლებიანი წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოებისას. 1780-82 მოლაპარაკების დროს მიაღწია ჰოლანდიისაგან აშშ-ის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობას და დადო ხელშეკრულება მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. 1782 ბ. *ფრანკლინთან* და ჯ. *ჯეისთან* ერთად აწარმოებდა მოლაპარაკებას დიდ ბრიტანეთთან, რომელიც დამთავრდა *ვერსალის (ამერიკა-ინგლისის) საზავო ხელშეკრულებით* (1783). 1783-84 აწარმოებდა სესხებისა და ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებს ჰააგასა და პარიზში. 1785-88 – აშშ-ის პირველი დესპანი დიდ ბრიტანეთში. 1789-97 – ვიცე-პრეზიდენტი, 1797-1801 – აშშ-ის პრეზიდენტი. 1801 წლიდან ჩამოსცილდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

**ადამსი** (Adams) ჯონ კუინსი (1767-1848), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1794-97 – აშშ-ის დესპანი ნიდერლანდებში, 1797-1800 – პრუსიაში, ხელი მოაწერა ხელშეკრულებას აშშ-სა და პრუსიას შორის მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. 1803-08 – სენატორი, 1809-14 – აშშ-ის

პირველი დესპანი რუსეთში. ხელს უწყობდა რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობის განვითარებას, მონაწილეობდა *1814 გენტის ხელშეკრულების* შემუშავებაში. 1815-17 – აშშ-ის დესპანი დიდ ბრიტანეთში. 1817-25 – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. დიდი როლი შეასრულა აშშ-თვის ესპანეთისაგან ფლორიდის ნახევარკუნძულის ხელთგდების საქმეში, მხარს უჭერდა აშშ-ის მიერ კუბისა და ტეხასის შემოერთებას, მონაწილეობდა „*მონროს დოქტრინის*" შემუშავებაში. 1825-29 – აშშ-ის პრეზიდენტი. 1831-48 – წარმომადგენელთა პალატის წევრი, აშშ-ში მონობის გაუქმებისათვის აქტიური მებრძოლი.

**ადანის კონფერენცია 1943**, თათბირი დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უ.*ჩერჩილსა* და თურქეთის პრეზიდენტ ი.*ინენიუს*, პრემიერ-მინისტრ შ.*სარაჯოღლუს* და თურქეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. გაიმართა ადანში (თურქეთი) 30-31.I *კასაბლანკის კონფერენციაზე 1943* მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ა.კ-ზე დიდი ბრიტანეთი შეეცადა თურქეთის ჩათრევას თავისი პოლიტიკის ორბიტაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამასთან ერთად, ჩერჩილი დაჟინებით არ მოითხოვდა თურქეთის მიერ ომში ჩაბმის რაიმე ვალდებულებების აღებას, ომში ჩაბმას და ფაქტობრივად დათანხმდა მის ნეიტრალიტეტს ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ა.კ-ზე გადაწყდა, რომ თურქეთის არმია შეეიარაღებინათ უახლესი ტიპის იარაღით, რადგან ჩერჩილი ითვალისწინებდა თურქეთის ომში ჩაბმას გერმანიის დამარცხებამდე იმ შემთხვევაში, თუკი გაძლიერდებოდა წინააღმდეგობის მოძრაობა საბერძნეთსა და იუგოსლავიაში. ა.კ-ზე წამოიჭრა მოკავშირეების მიერ თურქეთის აეროდრომების გამოყენების საკითხი პლოეშტის (რუმინეთი) დასაბომბად, მაგრამ თურქეთის მხარემ ამაზე უარი განაცხადა.

ა.კ-ის შემდეგ თურქეთი, იღებდა რა ინგლისისა და აშშ-საგან იარაღს, თავს იკავებდა ომში ჩაბმისაგან, მაგრამ იმავე დროს გერმანიას ამარაგებდა სტრატეგიული ნედლეულით. ამის გამო, 1944 წლის მარტში ინგლისმა შეუწყვიტა თურქეთს იარაღის მიწოდება და იქიდან თავისი სამხედრო მისია გაიწვია.

თურქეთის მთავრობამ გერმანიასთან ურთიერთობა გაწყვიტა მხოლოდ 2.VIII.1944, ხოლო ომი გერმანიასა და იაპონიას გამოუცხადა მხოლოდ 23.II.1945. ამ აქტს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და გამოწვეული იყო სურვილით, რომ თურქეთს მიეღო *1945 სან-ფრანცისკოს კონფერენციაში* მონაწილეობა.

*ლიტ.:* Алексеев В.М., Керимов М.А., Внешняя политика Турции, М., 1961; Чевтаев А.Г., Позиция США и Англии в отношении Турции (ноябрь 1942г. - декабрь 1943г.). — В кн.: Американский ежегодник, М., 1978, с. 69-93.

**ადარნასე**, ა დ ა რ ნ ე რ ს ე, ქართლის ერისმთავარი VII ს-ის I ნახევარში, უფლისწულობაში „ეიპატოსი". ქართლში ირანელთა ბატონობის მიუხედავად, იგი მუდამ პრობიზანტიური ორიენტაციისა იყო. ამის გამო მან ქართლის ერისმთავრობაც დაკარგა, მაგრამ ჰერაკლე კეისრის მიერ ირანის წინააღმდეგ წარმოებული წარმატებული ბრძოლების შემდეგ კვლავ ერისთავად აღდგა. მის დროს მოხდა ქართლსა და სომხეთს შორის საეკლესიო განხეთქილება (608).

*წყარო:* ეპისტოლეთა წიგნი, თარგმ. და გამოკვ. ზ. ალექსიძისა, თბ., 1968.

**ადარნასე**, ქართლის ერისმთავარი და კურაპალატი, „აბო თბილელის წამებით" – ცნობილი ნერსე ერისმთავრის მამა. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VIII ს-ის II ნახევარში.

**ადარნასე** ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ტაო-კლარჯეთის მთავრის *აშოტ I* დიდის მამა. *ჯუანშერის* ცნობით ის VIII ს-ის II ნახევარში არჩილ ერისმთავრის ვასალი გახდა, გარდაიცვალა კლარჯეთში.

*ლიტ.:* თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თბ., 1949 (მსკი, ნაკვ.27).

**ადარნასე I**, (გ. დაახლ. 867-69), *აშოტ I* დიდის უფროსი ძე, ქართველ ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს დამფუძნებელი, *ბაგრატ I* კურაპალატისა და გვარამ მამფალის ძმა და თანამმართველი. ძმებთან ერთად იბრძოდა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ.

*წყარო:* გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. – წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ.1, ილ.აბულაძის რედ., თბ., 1963.

*ლიტ.:* თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თბ., 1949 (მსკი, ნაკვ. 27).

**ადარნასე II**, ქართველთა მეფე (888-923), ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, *დავით I კურაპალატის* ძე. ბაგრატიონთა შორის შინაომის დროს დაღუპული დავით I-ის შემდეგ, 881 ტაო-კლარჯეთის გამგებლობა მას ერგო. 888 ბაგრატიონთა შორის პირველი იწოდა „ქართველთა მეფედ". აქტიურად იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. ააშენა ბანას ტაძარი.

*წყარო:* ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, სომხეთის ისტორია. 786-925 წწ. თარგმ. და გამოკვ. ე.ცაგარეიშვილისა, თბ., 1965.

*ლიტ.:* თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, თბ., 1949 (მსკი, ნაკვ. 27); ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1982).

**ადარნასე III** (გ. 961), ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი. მაგისტროსი – 945-დან, კურაპალატი – 958-დან. შვილებმა შეიპყრეს და ბერად აღკვეცეს.

*ლიტ.* იხ. სტ.-თან *ადარნასე* ბაგრატიონი.

**ადარნასე IV** (გ. 983), კურაპალატი, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი.

*ლიტ.* იხ. სტ.-თან *ადარნასე* ბაგრატიონი.

**ადარნასე პატრიკი**, ჰერეთის მეფე დაახლ. 915-44. მისი მეფობის დროს კახთა მთავარმა კვირიკე I-მა და აფხაზთა მეფე *კონსტანტინე III-მ* დალაშქრეს ჰერეთი (915). ვეჯინის შეთანხმებით ა.პ. იძულებული გახდა კვირიკესათვის დაეთმო ციხე ორჭობი, ხოლო ციხეები არიში და გავაზი გადაეცა მეფე კონსტანტინესათვის.

*ლიტ.:* ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**ადაშევი** ალექსი თევდორეს ძე (გ.1561), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1549-60 იყო რჩეული რადის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1553-60 ფაქტობრივად განაგებდა რუსეთის საგარეო ურთიერთობებს. 1560 შერისხეს. გარდაიცვალა პატიმრობაში.

**ადედეჯი** (Adedeji) ადებაიო (დ. 1930), ნიგერიის პოლიტიკური მოღვაწე, ეკონომისტი. დაამთავრა იბადანის (ნიგერია) და ლესტერის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტების კოლეჯები, ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტი. 1963 – ჯერ მოადგილე, ხოლო 1967 ქ.იფის უნივერსიტეტთან არსებული ადმინისტრაციული ინსტიტუტის დირექტორი. 1971-75 – ნიგერიის ეკონომიკური განვითარებისა და რეკონსტრუქციის ფედერალური კომისარი (მინისტრი). 1974 – ადმინისტრაციისა და მმართველობის აფრიკული ასოციაციის პრეზიდენტი. 1975 – გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე და გაეროს აფრიკის ეკონომიკური კომისიის აღმასრულებელი მდივანი. 1987 – ნამიბიისათვის შექმნილი გაეროს ინსტი-

ტუტის საბჭოს თავმჯდომარე. ავტორი შრომებისა ნიგერიისა და აფრიკული ქვეყნების ეკონომიკის, სახელმწიფო მმართველობისა და სავალუტო-ფინანსურ საკითხებზე.

**ადვაძე** ვალერიან სერგის ძე (დ.1931), ქართველი დიპლომატი, მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი. დიპლომატიურ სამუშაოზეა 1993-დან. 1953 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1970). 1956-77 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი. 1977-92 – სახალხო მეურნეობისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგე. 1978-79 – საქართველოს დაგეგმვის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, დირექტორი. 1989-დან – სსრკ სახალხო დეპუტატი, სსრკ უმაღლესი საბჭოს წევრი. 1990-დან – საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის თავმჯდომარე. 1991 მონაწილეობდა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში როგორც კანდიდატი. 1992-დან საქართველოს პარლამენტის დეპუტატია. ხელმძღვანელობდა ეკონომიკური საკითხების კომისიას. 1993 დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად რუსეთის ფედერაციაში. 1994 წლის დეკემბრიდან საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელია *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის* სახელმწიფოთაშორის ეკონომიკურ კომიტეტში.

**AD INTERIM** ან **PAR INTERIM** (ლათ. დროებითი, მოცემული მომენტისათვის), გამოიყენება დიპლომატიური აგენტის თანამდებობის აღნიშვნის წინ, როდესაც იგი ხელს აწერს რაიმე დოკუმენტს და აღნიშნავს, რომ იგი დროებით იმყოფება აღნიშნულ თანამდებობაზე. მაგ., როდესაც საქმეთა რწმუნებული დროებით ცვლის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს (მისი შვებულების ან ავადმყოფობის შემთხვევაში), იგი "chargée d'affaires ad interim"– დროებით საქმეთა რწმუნებულია.

**ადის-აბების კონფერენცია 1963**, აფრიკის 31 ქვეყნის სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა. გაიმართა 22-25 V. მიიღო აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის ქარტია (აეო) ძირითად პრინციპად. საერთაშორისო არენაზე ქარტია აცხადებდა „ყოველგვარ ბლოკთან მიუმხრობლობას", „საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას გაეროს წესდების შესაბამისად". დეკოლონიზაციის შესახებ რეზოლუციაში ა.-ა.კ. მოუწოდებდა კოლონიურ ქვეყნებს, სასწრაფოდ შეესრულებინათ 1960 დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისადმი დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ა.-ა.კ-მ დააარსა აფრიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი დახმარების საკოორდინაციო კომიტეტი.

**ადის-აბების ხელშეკრულება 1896**, ეთიოპიასა და იტალიას შორის მშვიდობის დამყარების შესახებ, ხელი მოაწერეს 26.X. ამ ხელშეკრულებით გაუქმდა *უჩიალის ხელშეკრულება 1889*. იტალიამ აღიარა ეთიოპიის დამოუკიდებლობა. დაწესდა დროებითი საზღვარი იტალიის კოლონია ერიტრეასა და ეთიოპიას შორის მდინარეებზე – მარებზე, ბელესასა და მუნაზე. 10.VII. 1900 ადის-აბებაში ხელმოწერილი კონვენცია ამ საზღვარს განიხილავდა როგორც საბოლოოს.

*წყარო:* Nouveau recueil général de traités d'alliance, de paix... des puissances et États de l'Europe... depuis 1808 jusqu' à présent. (Par G.F. Martens de, Ch. Martens de, J. Hopf, H. Triepel, F. Stoerk), t.1-37, Gottingue-Leipzig, 1876-1907. Sér.II, t.25, p.59-60.

**AD REFERENDUM** (ლათ. გადადება შემდგომი განხილვისათვის), საერთაშორისო ხელშეკრულების პირობითი ხელმოწერა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ. ხელშეკრულება საავალდებულო ძალას იძენს სახელმწიფოს მიერ მისი სათანადო წესით დამტკიცების შემთხვევაში. სახელმწიფოს თანხმობას აქვს უკუქცევითი ძალა. სახელმწიფო ითვლება ხელშეკრულების მონაწილე მხარედ A.R-ის ხელმოწერის მომენტიდან.

**ადრიანე** (Publius Aelius Hadrianus) პადრიანე პუბლიუს ელიუს (76-138), რომის იმპერატორი (117-138). ადრე დაობლებული აღზარდა ახლო ნათესავმა, მომავალმა იმპერატორმა, ტრაიანემ და მემკვიდრედაც გამოაცხადა. ა. იყო სამხედრო საქმის ჩინებული მცოდნე, აგრძელებდა ტრაიანეს საგარეო პოლიტიკას, მაგრამ უპირატესობას სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრას ანიჭებდა. გაატარა რეფორმები იმპერატორის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. შემოვლილი ჰქონდა იმპერიის დიდი ნაწილი. საზღვრების გასწვრივ თავდაცვით სიმაგრეებს აგებდა, რომ მტრის მოულოდნელ შემოჭრას პროვინციების ეკონომიკური ცხოვრება არ დაერღვია. ანტიკური ავტორების თანახმად, მისი მმართველობის დროს ურთიერთობა იბერიასა და რომს შორის დაიძაბა. კაპადოკიაში ყოფნისას აღმოსავლეთის ქვეშევრდომ მეფეებთან ერთად მიიწვია იბერიის მეფე *ფარსმანიც*. ამ უკანასკნელმა ხლებაზე უარი განაცხადა. ა.-მ სცადა მოლაპარაკებით მოეხერხებინა მისი ადრინდელ მდგომარეობაში ჩაყენება, მაგრამ ამ მიზნით გამგებლის, ფლავიუს არიანეს იბერიაში ელჩობას შედეგი არ მოჰყვა.

**ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებები**, 1. **ხელშეკრულება 1713**, იხ. *პრუტის საზავო ხელშეკრულება 1711*.

2. **ხელშეკრულება 1829** დაიდო 2(14).IX ადრიანოპოლში (ედირნე), რითაც დამთავრდა რუსეთ-თურქეთის 1828-29 ომი. მას წინ უძღოდა აქტიური დიპლომატიური საქმიანობა (იხ. *პეტერბურგის ოქმები, ლონდონის კონვენცია 1827*). ხელშეკრულებით დუნაის შესართავი კუნძულებითურთ, შავი ზღვის კავკასიური სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან აჭარამდე, სიმაგრეები ახალციხე და ახალქალაქი მიმდებარე ტერიტორიებით გადადიოდა რუსეთის ხელში. თურქეთი ცნობდა რუსეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის, აგრეთვე ერევნისა და ნახჭევანის სახანოების შეერთებას, რომლებიც ირანმა რუსეთს გადასცა *1828 თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებით*.

ა.ს.ხ. ავტონომიას ანიჭებდა დუნაისპირეთის სამთავროებს (მოლდოვა და ვალახეთი) და ადასტურებდა რუსეთის მიერ ადრე მიღებულ უფლებებს ოსმალეთის იმპერიის ყველა ოლქში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. სულთანი ვალდებულებას კისრულობდა შეესრულებინა 1826 *აკერმანის კონვენციის* ყველა პირობა სერბიის მიმართ. თურქეთი ხსნიდა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს რუსეთისა და უცხოეთის ქვეყნების სავაჭრო გემებისათვის. საბერძნეთი ღებულობდა ფართო ავტონომიას. დაბოლოს, რუსეთი ოსმალეთისაგან ღებულობდა კონტრიბუციას 1,5 მლნ ჰოლანდიური გულდენის ოდენობით.

პუბლ.: ПСЗРИ, т.4, с. 622-33

**AD HOC** (ლათ. განსაზღვრული მიზნით, კონკრეტული შემთხვევისათვის), დიპლომატიაში – ნორმები, რომლებიც არეგულირებენ დროებითი ხასიათის სპეციალური მისიების, წარმომადგენლების, კომისიების და სხვათა საქმიანობას.

**ავალიშვილი** გიორგი ივანეს ძე (1769-1850), პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი, მოგზაური. 1784-1801 იყო ქართლ-კახეთის წარმომადგენელი (ელჩი) რუსეთის საიმპერატორო კარზე. 1819-20 დიპლომატიური მისიით იყო ოსმალეთში, ეგვიპტესა და პალესტინაში როგორც რუსეთის მოხელე. მას შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალისთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან და დიპლომატებთან. იგი ღრმად გაეცნო რუსეთისა და ევროპის პოლიტიკურ ინტერესებს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში. თავის ნაშრომში „მგზავრობაჲ" დიდი ადგილი დაუთმო ეგვიპტის არაბთა და თურქთა ყოფის, ჩვეულებისა და ეროვნული ტრადიციების აღწერას, გვაწვდის საინტერესო ცნობებს ეგვიპტეში მცხოვრები ქართველების შესახებ.

*თხზ.:* მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ემეტრეველის გამოც., თბ., 1967.

**ავალიშვილი** ზურაბ დავითის ძე (1876-1944), პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, იურისტი და ისტორიკოსი. თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იქვე დატოვეს პროფესორად მოსამზადებლად ადმინისტრაციული სამართლის დარგში.

პირველსავე სადიპლომო ნაშრომში „საქართველოს შეერთება რუსეთთან" (სპბ., 1901, რუს. ენაზე) იმ აზრს იცავდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ ანექსიის დროისათვის გააჩნდა პოლიტიკური სუვერენიტეტი. ამ თეზისმა მხარდაჭერა პოვა საქართველოს ავტონომიისათვის მებრძოლთა შორის.

1904 დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია „დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობა საფრანგეთში". მისი დებულებები ეხმიანებოდა რუსეთის ლიბერალური და მცირერიცხოვანი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებს ერობებისა და ავტონომიის შესახებ.

იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგე. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს მუშაობდა ავტონომისტების კონფერენციებსა და „ავტონომისტთა კავშირში", რომელიც შექმნეს პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა. მომდევნო წლებში გამოაქვეყნა ნაშრომები ავტონომიზმისა და ფედერალიზმის თეორიულ პრობლემებზე, საქართველოში ეროვნული საკითხის ისტორიაზე. 1918-დან საქართველოშია. მონაწილეობდა ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობების საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავება-განხორციელებაში. შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციაში, რომელიც დასავლეთის ქვეყნებში აქტიურად იღწვოდა ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური სტაბილიზაციისა და საერთაშორისო აღიარების მოსაპოვებლად. 1921-დან ემიგრაციაშია, სადაც გამოაქვეყნა მრავალრიცხოვანი ნარკვევები საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის საკვანძო საკითხებზე. ავითარებდა აზრს, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორია ერთიანი გეოპოლიტიკური აქტია, რომლის სტაბილურობას განაპირობებდა ქართველთა მეზობელ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესების ბალანსირება. მისი ოდნავი რყევაც კი იწვევდა დამღუპველ შედეგებს საქართველოსათვის. ემიგრაციის პერიოდის ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მემუარული ნარკვევები „საქართველოს დამოუკიდებლობა", რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ძვირფასი წყარო და მისი სერიოზული ანალიზის ერთ-ერთი პირველი ცდაცაა.

გარდაიცვალა გერმანიაში, დაასაფლავეს იბერფალცის დაბა შვანდორფში. 1993 მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და თბილისში, დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

*თხზ.:* საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, ტფ., 1925; ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), პარიზი, 1929 (თბ., 1989).

*ლიტ.:* შ ა რ ა ძ ე გ., ზურაბ ავალიშვილი. – მის წგ.: უცხოეთის ცის ქვეშ, წგ. 1, თბ., 1991, გვ.349-74.

**ავანტიურიზმი პოლიტიკური** (ფრანგ. avanture – თავგადასავალი, რისკი), პოლიტიკურ ცხოვრებაში, დიპლომატიაში ისეთი აქტიური მონაწილეობა, რომელიც უგულებელყოფს რეალური ვითარების ცოდნას, ძალთა და შესაძლებლობათა თანაფარდობას, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებებს. ავანტიურისტული პოლიტიკა, როგორც წესი, კრახით მთავრდება და საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის მძიმე მატერიალური და სოციალური დანაკარგები მოაქვს.

**ავგუსტუსი** (Augustus) გაიუს ოქტავიანე (ძვ.წ.63 – ახ.წ.14), რომის პირველი იმპერატორი. ძვ.წ.44 იულიუს *ცეზარმა* იშვილა და იწოდა გაიუს იულიუს ცეზარ ოქტავიანედ. ძვ. წ. 27-დან – იმპერატორი ცეზარი ავგუსტუსი. დაამთავრა საუკუნოვანი სამოქალაქო ომები და დაამყარა გარეგნულად რესპუბლიკური, შინაარსით ერთპიროვნული ხელისუფლება – პრინციპატი. იყო მოქნილი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი. მისი მმართველობის დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა რომის იმპერიის საზღვრები. სიცოცხლის ბოლო წელს ა-მა შეადგინა თავისი მოღვაწეობის მოკლე აღწერა (Res gestae divi Augusti). მასში მრავალ საინტერესო ინფორმაციას შორის დაცულია ცნობები იბერიასთან დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ. ა-ის ცნობით, იბერიის მეფე ელჩებს უგზავნიდა და მეგობრობას სთხოვდა მას.

**ავთენტიკური ტექსტი** (ბერძნ. authentikos – თვითმყოფი), ხელშეკრულების ნამდვილი ტექსტი, შესრულებული ყველა ფორმალური მხარის დაცვით და ხელმოწერილი სათანადოდ უფლებამოსილი პირების მიერ. საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც წესი, დგება ორ ან რამდენიმე ენაზე, ამიტომაც ხელშეკრულებათა დასკვნით მუხლებში მითითებულია, თუ რომელი ტექსტი ან ტექსტები უნდა იქნეს მიჩნეული ავთენტიკურად. გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ყოველ ენაზე შედგენილი ტექსტი ავთენტიკურია.

**ავიტაბილე** (Avitabile) პიეტრო დონ, XVII ს-ის იტალიელი მისიონერი, თეატინელი ბერი, 1626-38 სათავეში ედგა თეატინელთა ორდენის მისიას საქართველოში. მისიის მთავარი მიზანი იყო საქართველოში კათოლიკობის გავრცელება. *თეიმურაზ I* ცდილობდა მისიონერთა გამოყენებას ევროპასთან პოლიტიკური კავშირის დამყარებისათვის. 1631 ა. რომს გაემგზავრა, 1632 დაბრუნდა საქართველოში.

რომის პაპმა თეიმურაზს ყოველგვარ დახმარებაზე უარი შემოუთვალა. 1638 ა. ინდოეთს გაემგზავრა. იქ გააგრძელა მისიონერული მოღვაწეობა.

*თხზ.:* ცნობები საქართველოზე (XVII ს.). იტალიურიდან თარგმ. და გამოკ. ბ. გიორგაძისა, თბ., 1977.

**ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულება 1879** (კავშირის შესახებ). ხელი მოაწერეს ვენაში 7.X. იგი მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ. 1-ლი მუხლით, თუ რუსეთი ერთ-ერთ მხარეს თავს დაესხმოდა, მეორე მხარე მთელი შეიარაღებული ძალებით ომში ჩაებმებოდა და მასთან სეპარატულ ზავს არ დადებდა. თუ ერთ-ერთ მხარეს თავს დაესხმოდა სხვა რომელიმე სახელმწიფო (რუსეთის გარდა), მაშინ მეორე მხარე კეთილსასურველ ნეიტრალიტეტს დაიკავებდა (მუხლი 2). ა.-გ.ხ-მ დასაბამი მისცა გერმანიის მეთაურობით სახელმწიფოთა კოალიციების შექმნას (იხ. *სამთა კავშირი*) და ევროპის ორ მტრულ ბანაკად გაყოფას.

*ლიტ.:* Die politischen Geheimverträge Österreich-Ungarns 1879-1914 nach den Akten des Wiener Staatsarchivs. Hrsg. von A.F. Pribram, Wien-Leipzig, 1920, S. 18-20.

**ავსტრია-ესპანეთის ხელშეკრულება 1725** (ურთიერთცნობის შესახებ). ხელი მოაწერეს 30.IV. ვენაში. *ესპანური მემკვიდრეობისათვის* ომის დროიდან ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის უაღრესად დაძაბული იყო. იმპერატორი კარლ VI ჰაბსბურგი არ ცნობდა ფილიპე V-ს ესპანეთის მეფედ, ხოლო ფილიპე V არ ეთანხმებოდა *რაშტატის 1714 საზავო ხელშეკრულების* იმ მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ ავსტრიისათვის ესპანეთის იტალიური სამფლობელოების გადაცემას. მოწინააღმდეგეთა დაახლოება დაიწყო მას შემდეგ, რაც კარლ VI-მ ვერ მიიღო ევროპული ქვეყნებისაგან გარანტიები ე.წ. *პრაგმატული სანქციისათვის 1713*, რომელიც ითვალისწინებდა სიკვდილის შემდეგ ტახტზე მისი ქალიშვილის მარია-ტერეზიას ასვლას.

ა.-ე.ხ. აფიქსირებდა კარლ VI-ის მიერ ესპანეთის ტახტისადმი პრეტენზიებზე უარის თქმას, ხოლო ფილიპე V-ის მხრიდან – უარს იმპერატორის იტალიურ სამფლობელოებზე. ორივე ქვეყანას შორის იდებოდა თავდაცვითი კავშირი. ესპანეთი იძლეოდა პრაგმატული სანქციის გარანტიებს. კარლ VI კი ცნობდა უფლისწულ დონ კარლოსს პარმისა და ტოსკანის ჰერცოგების მემკვიდრედ. ა.-ე. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებში ჩადებული იყო იმპერატორის დაპირება ესპანეთისადმი, დახმარებოდა მას გიბრალტარისა და პორტ-მაგონის (თანამედროვე მალიორკის კუნძულები) დაბრუნებაში. ფილიპე V კი კისრულობდა ვალდებულებას, მიენიჭებინა ოსტენდში (ბელგია) კარლ VI-ის მიერ დაარსებული სავაჭრო კომპანიისათვის ისეთივე შეღავათები და უპირატესობები, როგორებითაც ესპანეთში სარგებლობდნენ ინგლისელი, ჰოლანდიელი და ფრანგი ვაჭრები. ა.-ე.ხ-მ, რომლის შინაარსიც მალე გახდა ცნობილი ინგლისისა და საფრანგეთისათვის, გამოიწვია მათი შეშფოთება და საპასუხო ღონისძიებანი (იხ. *სუასონის კონგრესი (1728-29)*.

*ლიტ.:* Recueil de traités de commerce et de navigation de la France avec les puissances étrangères depuis la paix de Westphailie en 1648. Par M. le comte d'Hauterive et M. le baron F. de Cussy, t. 1-10, Paris, 1834-44. T.1, pt. 2, p.62.

**ავსტრია-თურქეთის კონვენცია 1771,** იხ. *ტუგუტის კონვენცია 1771*.

**ავსტრია-თურქეთის შეთანხმება 1909,** იხ. *ბოსნიის კრიზისი 1908-09*.

**ავსტრია-ინგლისის ხელშეკრულება 1800,** ხელი მოაწერეს 20.VI. ვენაში. იგი წარმოადგენდა *ნაპოლეონის* არმიის დარტყმების შედეგად დაშლის პირზე მისული მეორე ანტიფრანგული კოალიციის დიპლომატიური შეკავშირების ცდას. 1800 პირველ ნახევარში საფრანგეთის არმიამ რიგი მძიმე დარტყმა მიაყენა ავსტრიელებს გერმანიაში, იტალიასა და შვეიცარიაში. იმის შიშით, რომ ავსტრიას იარაღი არ დაეყარა, ინგლისის მთავრობა იძულებული იყო მასთან ხელშეკრულება დაედო, რომელიც ითვალისწინებდა ანტიფრანგული სახმელეთო ძალებისათვის ერთიანი სარდლობის შექმნას. მხარეები კისრულობდნენ ვალდებულებას, არ დაედოთ სეპარატული ზავი. ინგლისს ავსტრიისათვის უნდა მიეცა სესხად 2 მლნ გირვანქა სტერლინგი. იმ დროისათვის, როცა ვენაში ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ხელს აწერდა ხელშეკრულებას ინგლისთან, ფრონტზე, საფრანგეთის არმიის დარტყმების შედეგად, მინისტრის დაუკითხავად, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ავსტრია-საფრანგეთის დაზავების შესახებ. საბრძოლო მოქმედებების განახლების შემდეგ ფრანგებმა ავსტრიელები დაამარცხეს ჰოჰენლინდენთან. *1801 ლუნევილის საზავო ხელშეკრულების* დადების შემდეგ ავსტრიასა და საფრანგეთს შორის, რომელმაც ბოლო მოუღო მეორე ანტიფრანგულ კოალიციას, 1800 ა.-ი.ხ-მ შეწყვიტა მოქმედება.

*ლიტ.:* British and Foreign State Papers, vol. 1-167, L., 1841-1969. Vol. 9, p. 771 (შემდეგში - BFSP).

**ავსტრია-რუმინეთის ხელშეკრულებები 1883-1913.** XIX ს-ის მიწურულში რუმინეთმა დაიწყო გერმანია-ავსტრიის ბლოკთან დაახლოება. 1882-83 ჯერ ვენაში, ხოლო შემდეგ ბერლინში მოეწყო მოლაპარაკებები *სამთა კავშირთან* რუმინეთის შეერთების შესახებ. 1883 წლის სექტემბერში ი.ბრატიანუს მთავრობამ მიიღო *ო.ბისმარკის* წინადადება ავსტრია-უნგრეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შესახებ იმ იმედით, რომ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი მხარს დაუჭერდნენ მის პრეტენზიებს ბესარაბიაზე.

30.X. 1883 ვენაში ხელი მოაწერეს საიდუმლო ხელშეკრულებას 5 წლის ვადით, რომელიც მხარეების შეთანხმებით შეიძლებოდა 3 წლით გაგრძელებულიყო. რუმინეთი კისრულობდა ვალდებულებას, დახმარებოდა ავსტრია-უნგრეთს მის მოსაზღვრე ოლქებზე თავდასხმის შემთხვევაში. ანალოგიურ ვალდებულებას კისრულობდა ავსტრია-უნგრეთიც რუმინეთზე თავდასხმის შემთხვევაში. იგი ფაქტობრივად რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, რის გამოც მალე მას გერმანიაც შეუერთდა. 1892 ხელმოწერილი ხელშეკრულება შეიცვალა ანალოგიურით, რომელიც გაგრძელდა 1896 და 1902. ავსტრია-უნგრეთთან წინასწარი მოლაპარაკებების დროს მისი გაგრძელების თაობაზე, რუმინეთი ცდილობდა მიეღო ფორმალური თანასწორობა მხარეებთან, ე.ი. სამთა კავშირი გადაექცია ოთხთა კავშირად და იმავე დროს სურდა გარანტიების მიღება ბულგარეთთან დაკავშირებით, მაგრამ ორივე შემთხვევაში უარი მიიღო. ასეთი სახით სახელშეკრულებო ურთიერთობები შენარჩუნებულ იქნა 1913-მდე. 5.II. 1913 დადებულ ახალ ხელშეკრულებას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. 1916 რუმინეთი ჩაება ომში *ანტანტის* ქვეყნების მხარეზე.

წყარ.: Die politischen Geheimverträge Österreich-Ungarns 1879-1914 nach den Akten des Wiener Staatsarchivs. Hrsg. von A.F. Pribram, Wien-Leipzig, 1920, S.29-34, 69-71, 73-74, 85-88, 107-109.

**ავსტრია-სერბიის ხელშეკრულება 1881** (საიდუმლო), ხელი მოაწერეს 28.VI ბულგარეთში 10 წლის ვადით. ა.-ს.ხ-მ ფაქტობრივად სერბია ავსტრიის პროტექტორატის მდგომარეობაში ჩააყენა. სერბია კისრულობდა ვალდებულებას, არ დაედო პოლიტიკური ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან ავსტრია-უნგრეთის თანხმობის გარეშე, არ დაეშვა თავის ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები. ავსტრია-უნგრეთმა, თავის მხრივ, სერბია ცნო სამეფოდ, პპირდებოდა სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ცნობაში დახმარებას, კისრულობდა ვალდებულებას, არ შეეშალა ხელი სერბიის გაფართოებისათვის სამხრეთისაკენ (მაგრამ არა ნოვი-პაზარის სანჯაყის მიწების ხარჯზე). ა.-ს.ხ-მ წააქეზა სერბიის მეფე მილანი ბულგარეთის წინააღმდეგ ომისათვის 1885 პოლიტიკური კრიზისის დროს, როცა ბულგარეთის სამთავრომ შეიერთა აღმოსავლეთი რუმელია. ა.-ს.ხ. 5 წლით გაგრძელდა 1889 დასაწყისში.

ა.-ს.ხ-მ ასახა სერბიის სამთავრობო წრეების ორიენტაციაში მომხდარი შემობრუნება, რომლებმაც გადაწყვიტეს რუსეთის ნაცვლად დაყრდნობოდნენ ავსტრია-უნგრეთს და მისგან მიეღოთ დახმარება.

წყარ.: Die politischen Geheimverträge Österreich-Ungarns 1879-1914 nach den Akten des Wiener Staatsarchivs. Hrsg. von A.F. Pribram, Wien-Leipzig, 1920, S.18-20.

**ავსტრიული მემკვიდრეობა**, ავსტრიის იმპერატორ კარლ VI-ის სიკვდილის შემდეგ (1740) ჰაბსბურგთა სახლის ყველა სამფლობელო *1713 პრაგმატული სანქციით*, მის უფროს ქალიშვილს მარია-ტერეზიას უნდა რგებოდა, რომლის მემკვიდრეობის უფლებას ჰაბსბურგების სახლთან მონათესავე ბავარიის, საქსონიისა და ესპანეთის ხელმწიფეები შეეცილნენ. ანტიავსტრიულ კოალიციაში შევიდნენ საფრანგეთის, ბავარიის, პრუსიის, საქსონიის, ესპანეთის, ნეაპოლის, სარდინიისა და შვეციის მეფეები, აგრეთვე გერმანიის რამდენიმე წვრილი ხელმწიფე. ავსტრიის მხარეზე დადგნენ საფრანგეთის მოწინააღმდეგენი – ინგლისი და ჰოლანდია, რომელთაც 1747 რუსეთიც მიემხრო. ა.მ-თვის ომი მიმდინარეობდა კოლონიებში და დამთავრდა *აახენის საზავო ხელშეკრულებით* (1748).

ლიტ.: Пристер Е. Краткая история Австрии. М., 1952, с. 239-44; Щепкин Е. Русско-австрийский союз во время Семилетней войны 1746-1758. СПб., 1902.

**ავტარკია** (ბერძნ. autarkeia, სიტყვებიდან autos – თვით და arkeo – დაკმაყოფილება), პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის გამოსაყოფად სხვა ქვეყნების ეკონომიკისაგან და მიზნად ისახავს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ჩაკეტილი სამეურნეო ცხოვრების შექმნას.

**ავტორიტარიზმი**, პოლიტიკური რეჟიმი, ხელისუფლების ისეთი ფორმის მიერ დამყარებული ან თავსმოხვეული, როცა ძალაუფლების კონცენტრაცია ხდება ერთი პიროვნების ან ხელისუფლების ერთი ორგანოს ხელში, რაც ამცირებს სხვა, პირველ ყოვლისა, წარმომადგენლობითი ორგანოების როლს. აქედანაა ოპოზიციისა და პოლიტიკური ქვესისტემების (ასოციაციების, საზოგადოებრივი ჯგუფების, კავშირების და ა.შ.) ავტონომიების საქმიანობის მინიმუმამდე დაყვანა და სახელმწიფოსა და საზოგადოების შემკვრელი პოლიტიკური პროცედურებისა და ინსტიტუტების ჭეშმარიტად ორგანიზატორული და რეგულატორული არსის ფორმალიზაცია და გამოფიტვა.

ა. დამახასიათებელია ხელისუფლებისა და პოლიტიკისათვის, მაგრამ მისი საფუძვლები და ხარისხიანობა სხვადასხვაა: აქაა პოლიტიკური ლიდერის ბუნებრივი, თანდაყოლილი თვისებები, ხელისუფლების მიერ განხორციელებული გონიერული, რაციონალური, სიტუაციით გამართლებული (მაგ., ომის მდგომარეობა, საზოგადოებრივი კრიზისი და ა.შ.) ქმედებები და ა.შ. მაგრამ არის ირაციონალური ქმედებებიც, როცა ხელისუფლების ა. გადაიზრდება უკიდურეს ფორმებში – ტოტალიტარიზმში, დესპოტიზმში, განსაკუთრებით სასტიკი და რეპრესიული რეჟიმის შექმნაში. ა-ის ობიექტური საფუძვლები შეიძლება დაკავშირებული იყოს ხელისუფლების აქტიურ, გარდაქმნით საქმიანობასთან. რაც უფრო ნაკლებია ამგვარი საფუძვლები და ნაკლებ ქმედითია ხელისუფლება, მით უფრო აშკარავდება ა-ის სუბიექტური, პიროვნული საფუძვლები.

ა. სხვა ტიპის მმართველობის ან ხელისუფლებისაგან განსხვავდება სამი ნიშნით, ესენია: 1. ძალაუფლების ცენტრალიზაცია, 2. ხელმძღვანელობის უაპელაციო, მბრძანებლური მეთოდები და 3. უსიტყვო მორჩილება.

ისტორიულად ა. არსებობდა სხვადასხვა ქვეყნებში და სხვადასხვა ეპოქებში სხვადასხვა ფორმით (აღმოსავლური დესპოტიები, ფეოდალური აბსოლუტური რეჟიმები, ფაშიზმი, ტოტალიტარიზმი სსრკ-ში და ა.შ.).

თანამედროვე პირობებში თავი იჩინა ელიტარულმა და ტექნოკრატიულმა ა-მა, როცა ავტორიტარული მმართველობის როლს კისრულობს სახელმწიფოს უმაღლესი ადმინისტრაცია, რომელიც პოლიტიკური სისტემის სხვა დონეებს აღემატება მაღალი პროფესიული კომპეტენციით.

საბოლოო ჯამში ა-ს განვითარების ორი გზა გააჩნია: რეჟიმის დემოკრატიზაცია და ხალხის მხარდაჭერის მოპოვება, ან პოლიტიკის გამკაცრება და ძალადობაზე, დიქტატზე გადასვლა. ა-ის ყველაზე გავრცელებული ვარიანტია დაყოვნებული მოქმედების რეჟიმი, რომელიც ინარჩუნებს არსებულ იერარქიულ ურთიერთობებს, რეპრესიულ კონტროლსა და ეკონომიკურ სტაგნაციას.

**ავღანეთ-ირანის ხელშეკრულებები**, 1. 1921 ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, 1921 ხელი მოაწერეს 22.VI თეირანში. ძალაში შევიდა 7.IX.1923. იგი მხარეებს შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების ურთიერთობათა დამყარებას აცხადებდა. ითვალისწინებდა საკონსულოების გახსნას, სავაჭრო და სხვა შეთანხმებათა დადებას. ერთი მხარის ომში მონაწილეობის შემთხვევაში მეორე ვალდებულებას იღებდა, დაეცვა ნეიტრალიტეტი. მას მოგვიანებით 3 მუხლი დაემატა, რომლებიც სამართლებრივ მდგომარეობას ეხებოდა.

2. 1927 ხელშეკრულება მეგობრობისა და უშიშროების შესახებ, ხელი მოაწერეს ქაბულში 14.IX.1928. მხარეები ადასტურებდნენ, რომ ავღანეთ-ირანის ურთიერთობათა საფუძველი იყო 1921 ხელშეკრულება. ისინი აცხადებდნენ სხვა სახელმწიფოზე თავდასხმისაგან თავი შეეკავებინათ და არ შეეყვანათ იქ საკუთარი ჯარი. თუ ერთი-ერთი მხარე სხვა, მესამე სახელმწიფოს აგრესიის ობიექტი გახდებოდა, მთელი საომარი მოქმედების პერიოდში ნეიტრალიტეტი დაეცვა. მონაწილეობა არ მიეღო პოლიტიკურ და სამხედრო კავშირებში, აგრეთვე ბლოკადაში და ეკონომიკურ ბოიკოტში, რომელიც მიმართული იქნებოდა მეორე მხარის

დამოუკიდებლობისა და უშიშროების საზიანოდ. მხარეები აცხადებდნენ შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლებას საკუთარი ნეიტრალიტეტის დასაცავად, თუ მეორე მხარესთან საომარ მოქმედებაში მყოფი მესამე სახელმწიფო დაარღვევდა ამ პირობებს.

15.VI. 1928 თეირანში ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც აესებდა 1927 ხელშეკრულებას. ერთ-ერთ მხარეზე მესამე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში მეორე მხარე გააკეთებდა ყველაფერს მისი რეგულირებისათვის.

**აზატ-ხანი** (გ. დაახლ. 1762), ირანის შაჰის ნადირის სარდალი. *ნადირ-შაჰის* სიკვდილის შემდეგ ირანის ტახტს ა.-ხ. დაეუფლა. დაიპყრო თავრიზი, ურუმი, ხოი და გაბატონდა სამხრეთ აზერბაიჯანში. შემდეგ შეიჭრა ერევნის სახანოში, რითაც უშუალო საფრთხე შეუქმნა ქართლ-კახეთს. *ერეკლე II-მ* 1751 ყიზბულახთან ბრძოლაში დაამარცხა. მიუხედავად ამისა, ა.-ხ-მა შეძლო ისპაჰანისა და შირაზის დროებით დაუფლება, მაგრამ 1755 დამარცხდა. 1757 დაკარგა სამხრეთ აზერბაიჯანიც. 1760 ერეკლე II-მ შეიპყრო და ქერიმ-ხანს გადასცა. ამ სამსახურის სანაცვლოდ ქერიმ-ხანმა ცნო ქართლ-კახეთის გაერთიანება და ერეკლეს უფლება განჯა-ერევნის სახანოებზე. ქერიმ-ხანის ბრძანებით ა.-ხ-ს თვალები დასთხარეს.

**აზერედო და სილვეირა** (Azeredo da Silveira) ანტონიო ფრანსისკო (დ. 1917), ბრაზილიელი დიპლომატი. 1945-დან ეკავა სხვადასხვა თანამდებობები ბრაზილიის საელჩოებში კუბაში, არგენტინაში, ფლორენციაში (იტალია), ესპანეთში, იტალიაში. 1961-63 – ბრაზილიის გენერალური კონსული პარიზში. 1966-68 – ბრაზილიის მუდმივი წარმომადგენელი გაეროს ევროპულ განყოფილებაში ჟენევაში; 1968-74 – ბრაზილიის ელჩი არგენტინაში; 1974-79 – ბრაზილიის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1979 – ბრაზილიის ელჩი აშშ-ში. 1987-დან პენსიაზეა.

**აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია** (Asia-Pacific Economic Cooperation), დაარსდა 1989 წლის 4-7 სექტემბერს კანბერაში (ავსტრალია) წყნარი ოკეანის აუზის 12 ქვეყნის – ბრუნეის, ინდონეზიის, მალაიზიის, ფილიპინების, სინგაპურის, ტაილანდის, ავსტრალიის, იაპონიის, კანადის, სამხრეთ კორეის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის, ჩინეთისა და ტაივანის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრების თათბირზე. მისი მიზანია რეგიონში ვაჭრობის ლიბერალიზაცია და საერთაშორისო ფორუმებზე საერთო პოზიციით გამოსვლა. იგი არაა ეკონომიკური ბლოკი, უფრო ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული ორგანიზაციაა. მთავარი ორგანოა საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრების კონფერენცია. 1990 სინგაპურში მიმდინარე კონფერენციის დროს ჩამოყალიბდა ორგანიზაციის შვიდი სამუშაო ჯგუფი: 1. რეგიონში სავაჭრო და საინვესტიციო მონაცემების აღრიცხვის; 2. ვაჭრობის წახალისების; 3. ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური ტრანსფერის; 4. განათლების პროგრამების შეჯერების; 5. ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის; 6. ზღვის რესურსების მოვლა-შენარჩუნებისა და 7. ტელეკომუნიკაციური სისტემების ჰარმონიზაციის.

**აზია-წყნარი ოკეანის საბჭო** (ასპაკი; Asian and Pacific Council – ASPAC), რეგიონული პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია, შეიქმნა ცივი ომის წლებში, 1966. მასში შედიოდნენ ავსტრალია, მალაიზია, ახალი ზელანდია, ტაილანდი, ფილიპინები და იაპონია, აგრეთვე სამხრეთ კორეის, სამხრეთ ვიეტნამისა და ტაივანის სამხედრო რეჟიმები. მიზნად ისახავდა პოლიტიკური კონსულტაციების ჩატარებასა და რეგიონულ თანამშრომლობას. მაგრამ მასში იმთავითვე თავი იჩინა წინააღმდეგობებმა, რამაც გამოიწვია მისი კრიზისი. 1973 ა.-წ.ო.ს-დან გავიდა მალაიზია, 1975 – ახალი ზელანდია და ტაილანდი. ა.-წ.ო.ს. ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს.

**აზიზ ტარიკი** (დ. 1936), ერაყის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ქრისტიანი. 1957 დაამთავრა ბაღდადის უნივერსიტეტი. 1956-57 მუშაობდა მასწავლებლად, ჟურნალისტად. 1958-დან მუშაობდა გაზეთში „ალ-ჯამაჰირ", იყო მისი მთავარი რედაქტორი. 1963-68 – კომენტატორი. 1971-79 – გაზეთ „ას-სავრას" მთავარი რედაქტორი. 1969-74 ხელმძღვანელობდა ერაყის საინფორმაციო საშუალებებს. 1972-დან იყო ერაყის რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ბიუროს წევრი; 1974-77 – ერაყის ინფორმაციის მინისტრი. 1977-დან – ერაყის არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი. იმავე წლიდან – ერაყის რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს წევრი. 1979-დან – პრემიერ-მინისტრის მოადგილე. 1983-89 – ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1989 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

**აზიის განვითარების ბანკი** (Asian Development Bank), შეიქმნა 1966 გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის XXI სესიის გადაწყვეტილებით. საკრედიტო საქმიანობა დაიწყო 1968. ა.გ.ბ-ის მონაწილენი შეიძლება იყვნენ გაეროს აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის და გაეროს სხვა სპეციალიზებული დაწესებულებების წევრი ქვეყნები. ა.გ.ბ. შეიქმნა როგორც სააქციო საზოგადოება. მისი საფინანსო რესურსები შედგება საწესდებო კაპიტალისა და სესხებისაგან. ა.გ.ბ-ის ოფიციალური მიზანია, ხელი შეუწყოს აზიის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ წინსვლასა და საგარეო ვაჭრობის გაფართოებას მათთვის ფინანსური, ტექნიკური და ეკონომიკური მხარდაჭერით.

ბანკში ხმების 80% ნაწილდება სააქციო კაპიტალში საწევრო გადასახადების პროპორციულად, რის გამოც განვითარებულ ქვეყნებს ეკუთვნის ხმების 65%.

ა.გ.ბ. თანამშრომლობს საერთაშორისო და ეროვნულ სახელმწიფო თუ კერძო საკრედიტო ორგანიზაციებთან სხვადასხვა ობიექტების მშენებლობის ერთობლივი დაფინანსების გზით. ფუნქციონირებს ორი სპეციალური ფონდი – განვითარების აზიური ფონდი და ტექნიკური დახმარების ფონდი.

ა.გ.ბ-ის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო (თითო მმართველი და მისი მოადგილე ბანკის თითოეული წევრისაგან). ხელმძღვანელობს დირექტორთა საბჭო. შტაბბინა მანილაშია (ფილიპინები).

**აზიის და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ორგანიზაცია** (Afro-Asian Peoples' Solidarity Organization – AAPSO), საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, შეიქმნა კაიროში აზიისა და აფრიკის ხალხების სოლი-

დარობის I კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 26.XII.1957 – 1.I.1958. ა.ა.ქ.ს.ო-ში გაერთიანებულია დაახლოებით 90 ქვეყნის პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოძრაობები და ა.შ. გამოდის ამ კონტინენტების ხალხების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დონის ამაღლების, დამოუკიდებლობისათვის მხარდაჭერის მოთხოვნებით. ა.ა.ქ.ს.ო-ს გააჩნდა მეთვალყურის სტატუსი მიუმხრობელთა მოძრაობაში, კონსულტანტის სტატუსი – სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში (იუნესკო, იუნკტადი და სხვ.). მჭიდრო კონტაქტები აქვს *აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციასა* და *არაბულ სახელმწიფოთა ლიგასთან.*

ა.ა.ქ.ს.ო-ის უმაღლესი ორგანოებია – კონგრესი, პრეზიდიუმის საბჭოს სესიები. მუდმივი სამდივნო შტაბ-ბინა მდებარეობს კაიროში.

**აზიის კონფერენცია დელიში 1955**, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით მიმდინარეობდა 6-10.IV, 17 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონფერენციაზე ორგანიზაციულად გაფორმდა აზიის ქვეყნების სოლიდარობის მოძრაობა. მან მოუწოდა აზიის ქვეყნებს, განემტკიცებინათ სოლიდარობა *მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის* საფუძველზე, მხარი დაუჭირა ხალხების ბრძოლას თავისუფლებისათვის და დაგმო იმპერიალისტური ქვეყნების საქმიანობა ამ მიმართულებით;

მოითხოვა აზიის ქვეყნებში არსებული სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია, ჩინეთისათვის ტაივანის, ინდოეთისათვის – გოას, ინდონეზიისათვის – დასავლეთ ირიანის, იაპონიისათვის – კუნძ. ოკინავას დაბრუნება. მიღებულ იქნა რეზოლუციები ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის, მათი გამოცდის დაუყოვნებლივი შეჩერების შესახებ. კონფერენციაზე შეიქმნა აზიის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტი. მან გარკვეული ზემოქმედება მოახდინა *1955 ბანდუნგის კონფერენციის* გადაწყვეტილებებზე.

**აზო**, **ა ზ ო ნ ი**, ძველი ქართული საისტორიო წყაროებით, *ალექსანდრე მაკედონელის* მიერ დანიშნული ქართლის გამგებელი (*ლეონტი მროველი* უწოდებს პატრიკს, „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორი – მეფეს). „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, იყო არიან – ქართლის მეფის ძე, „ქართლის ცხოვრებით" – მაკედონელი. იგი ერთ-ერთი სამხრეთ ქართული ტომის ბელადი უნდა ყოფილიყო. დიადოხოსების ომების დროს, დიპლომატიური მოსაზრებით, საქართველოში შემოსულ ალექსანდრე მაკედონელის სტრატეგოსს მიემხრო. ერთგულებისათვის ჯილდოდ ახლად დამორჩილებულ ტომებზე ბატონობა ერგო. ა-ს დაუპირისპირდა მცხეთის მამასახლისთა მემკვიდრე *ფარნავაზი*, რომელმაც ორიენტაცია სელევკიდების სამეფოზე აიღო. ბრძოლაში ა-ის ხელისუფლება დაემხო.

**ათაბაგი** (თურქული სიტყვაა: ათა მამას, ხოლო ბეგი ბატონს ნიშნავს). ა. თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში უფლისწულის აღმზრდელად და მზრუნველად ითვლებოდა. სელჩუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის მთავრებსაც ეწოდებოდა, ხოლო ეგვიპტეში, მამლუქთა სახელმწიფოში, მხედართმთავრის საპატიო ტიტულსაც გულისხმობდა. ა. საქართველოში ყველა ამ მნიშვნელობით იხმარებოდა. საქართველოში ათაბაგობა პირველად *თამარ* მეფემ დააწესა. პირველი ა, მისივე განჩინებით, იოანე *მხარგრძელი* გახდა. თამარ მეფემ მას ათაბაგობა ამირსპასალარობასთან ერთად უბოძა და ამ სახელომ ვეზირებს შორის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის შემდეგ მეორე ადგილი დაიმკვიდრა. 1334 *გიორგი V-მ* ათაბაგობა სამცხის მთავარს, თავის ბიძას სარგის ჯაყელს უბოძა. საქართველოს პოლიტიკურად დაშლის შემდეგ ათაბაგობა, როგორც ვეზირის თანამდებობა, აღარ არსებობდა. ის ტიტულის სახით შერჩათ სამცხის მთავრებს.

წყარო: გარიგება ხელმწიფის კარისა. – წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ.2, თბ.,1965.

ლიტ.: ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ი., ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, II, თბ.,1965; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ.6, თბ.,1982.

**ათათურქი** (Atatürk, სიტყვასიტყვით „თურქების მამა") მუსტაფა ქემალ (1881-1938), თურქი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი, მისი პირველი და უცვლელი პრეზიდენტი 1923-38. გვარი „ათათურქი", რაც „თურქების მამას" ნიშნავს, მიიღო 1934 თურქეთში გვარების შემოღებასთან დაკავშირებით თურქეთის დიდი ეროვნული კრებისაგან.

დაიბადა მოხელის ოჯახში, საშუალო განათლება მიიღო სალონიკსა და მონასტირში (ბიტოლი), უმაღლესი – სტამბულში, სადაც 1905 დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია. 1905-07 იყო სამხედრო სამსახურში სირიაში, 1907-09 – მაკედონიაში, 1911-12 მონაწილეობდა იტალია-ოსმალეთის, 1913 – ბალკანეთის მეორე ომებში. 1913-14 მსახურობდა ოსმალეთის სამხედრო ატაშედ ბულგარეთში, საიდანაც გადაიყვანეს მოქმედ არმიაში. *1914-18 პირველი მსოფლიო ომის* დროს იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. 1916 მიიღო გენერლობა და ფაშას ტიტული.

აკადემიაში სწავლის დროს ა. დაუკავშირდა სულთან აბდულჰამიდ II-ის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდა თურქებს. აკადემიის დამთავრების შემდეგ შეეცადა შეექმნა პოლიტიკური პარტია. 1906 დამასკოსა და სხვა ქალაქებში თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა „სამშობლოსა და თავისუფლების საზოგადოება", რომელიც შემდეგ შეუერთდა „ერთიანობისა და პროგრესის ორგანიზაციას". მონაწილეობდა 1908 ახალგაზრდა თურქების რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში. შემდეგ უთანხმოება მოუვიდა „ერთიანობისა და პროგრესის ორგანიზაციის" ხელმძღვანელობასთან და ერთხანს ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის დამარცხებისა და *მუდროსის დაზავების* შემდეგ, როცა სულთნის ხელისუფლება დაექვემდებარა ანტანტის ქვეყნებს, ა. სათავეში ჩაუდგა ანატოლიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც მისი სახელის მიხედვით მერე „ქემალისტური" ეწოდა. მისი ხელმძღვანელობით 1919 არზრუმსა და სივასში ჩატარდა „უფლებათა დაცვის" საზოგადოებების კონგრესები, 23.IV. 1920 კი მოწვეულ იქნა თურქეთის დიდი ეროვნული კრება (პარლამენტი) ანკარაში, რომელზედაც ის აირჩიეს როგორც კრების, ისე მთავრობის თავმჯდომარედ. IX. 1921 ა. დაინიშნა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. მისი სარდლობით 23.VIII – 13.IX. მდ.საქარიასთან თურქებმა დაამარცხეს საბერძნეთის ჯარი, რისთვისაც ა-მა მიიღო მარშლობა და ღაზის ტიტული. 1922 საბოლოოდ დაამარცხა და განდევნა ინტერვენტები თურქეთის ტერიტორიიდან. I.XI. 1922 მისი ინიცია-

ტიით გაუქმდა სასულთანო და 29.X. 1923 გამოცხადდა რესპუბლიკა, რომლის პირველ პრეზიდენტად იქნა არჩეული. 3.III. 1924 გაუქმდა სახალიფო, ჩატარდა პროგრესული რეფორმები სახელმწიფო და ადმინისტრაციული მოწყობის, იუსტიციის, კულტურის, ყოფისა და სხვა სფეროებში. 26.IV. 1920 დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან, რომლისაგანაც მიიღო მძლავრი სამხედრო-პოლიტიკური და ფინანსური დახმარება.

ა-ის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია მიზნად ისახავდა ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე დამოუკიდებელი თურქული ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომელიც გაატარებდა მკაცრ ეროვნულ პოლიტიკას საკუთარი ეროვნული საზღვრების ფარგლებში.

**ათანასე ტფილელი** (1711-74), საეკლესიო მოღვაწე, დიპლომატი. მოსკოვში ქართული სტამბის გამმართველი. რუსეთში თან ახლდა მეფე *ვახტანგ VI-ს*. არქიმანდრიტად აკურთხეს ქასტრახანში, 1733-დან მროველი ეპისკოპოსი. 1740-დან – თბილელი. 1752 წლის 30 მაისს *თეიმურაზ II-მ* და *ერეკლე II-მ* სიმონ *მაყაშვილთან* ერთად გაგზავნეს რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულთან საქართველოსათვის დახმარების სათხოვნელად. 1755 სამუდამოდ დარჩა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა. დასაფლავებულია დონის მონასტერში.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ისტორიული საბუთები, წგ. 5, ტფ., 1913; ც ი ნ ც ა ძ ე ი., ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში (1752-1754). - „საისტორიო მოამბე", 1952, VI.

**ათენის საზავო ხელშეკრულება 1913** (საბერძნეთსა და თურქეთს შორის), დაიდო 14.X. ითვალისწინებდა დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობათა დამყარებას, ოპტანტების მიმართ (პირები, რომელთაც აქვთ უფლება აირჩიონ მოქალაქეობა) ქონებრივ უფლებათა შენარჩუნებას, რკინიგზის დარგში საბერძნეთის მთავრობისათვის თურქეთის მთავრობის უფლებებისა და მოვალეობის გადაცემას. ა.ს.ხ-ით თავიდან იქნა აცილებული ომის საფრთხე ორ ქვეყანას შორის ეგეოსის ზღვის კუნძულების გამო. ხაზი გაესვა *ლონდონის საზავო ხელშეკრულების (1913)* მეხუთე მუხლს, რომლის ძალითაც კუნძულების კუთვნილების საკითხი უნდა გადაეწყვიტათ დიდ სახელმწიფოებს.

ლიტ.: D e  M a r t e n s G.F., Nouveau recueil général de traités... Sér.III, t.8, p.93.

**„ათის ჯგუფი"** (ცნობილია აგრეთვე „პარიზის კლუბის" სახელწოდებით), კრედიტორი სახელმწიფოების სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, დაარსდა პარიზში 1961 საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებით. ხელშეკრულება ა.ჯ-ის დაარსების შესახებ ძალაში შევიდა 24.X.1962, როცა აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, გფრ-ის, იტალიის, ბელგიის, ნიდერლანდებისა და შვეციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სსფ-ის გენერალურ შეთანხმებას კრედიტების შესახებ. (1964 მას შეუერთდა კანადა, 1982 – შვეიცარია).

„ა.ჯ"-ის მიზანია დასავლეთის ქვეყნების ფინანსური მდგომარეობის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, სსფ-ის სავალუტო-ფინანსური რესურსების გამრავლება; ცალკეული ქვეყნებისათვის სესხებისა და კრედიტების მიცემის და მათი ოდენობის განსაზღვრა. „ა.ჯ." ფაქტობრივად იქცა სსფ-ის პოლიტიკის განმსაზღვრელ ორგანოდ. სსფ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა (სავალუტო კურსების დაწესება, სსფ-ის ოქროს მარაგის გაყიდვა, კრედიტებისა და სესხების პირობების განსაზღვრა და ა.შ.) მიიღება „ა.ჯ"-ის მიერ მათი მოწონების შემდეგ.

„ა.ჯ"-ს ხელმძღვანელი ორგანო და შტაბ-ბინა არ გააჩნია. იგი ატარებს უვლესად გასაიდუმლოებულ თათბირებს ფინანსთა მინისტრებისა და მათი მოადგილეების დონეზე, მონაწილე ქვეყნების ცენტრალური ბანკების მმართველების, სსფ-ის დირექტორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წარმომადგენელთა დასწრებით.

**ათონის აქტები**, საერთო სახელწოდება ათონის მთაზე არსებული მონასტრებისადმი გაცემული სიგელ-გუჯრების, სასამართლოს დადგენილებებისა და სხვა საბუთებისა, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მაშინდელი საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ურთიერთობის ისტორიის კვლევისათვის.

ლიტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.8, თბ., 1970.

**ათრაქა შარაღანის ძე**, ო ტ რ ო კ ი, ყივჩაყთა ერთ-ერთი მთავარი (ხანი) XII ს. I ნახევარში. მისი ასული *გურანდუხტი* ცოლად ჰყავდა *დავით IV* აღმაშენებელს. დავითის დამოყვრება ყივჩაყთა მთავართან გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რამაც ხელი შეუწყო დავითის მიერ სამხედრო რეორგანიზაციის მიზნით საქართველოში ყივჩაყთა ჩამოსახლებას (1118-19). დავით აღმაშენებელმა ა.შ-თან თავდაპირველად ელჩობა გაგზავნა. თანხმობის მიღების შემდეგ დავითი *გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესთან* ერთად ჩრდილოეთ კავკასიაში გაემგზავრა, ისინი ოსებთან შეარიგა და კავკასიის უღელტეხილებზე თავისი ჯარი ჩააყენა. ამის შემდეგ ა.შ. ოჯახითა და ტომით (40 ათ. კომლი) საქართველოში გადმოასახლა.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.I, თბ., 1955.

**აიალა** (Ayala) ლუის (დ.1948), ჩილელი პოლიტიკური მოღვაწე. იყო ჩილესა და სტუდენტ-სოციალისტთა საერთაშორისო მოძრაობის აქტიური მონაწილე. 1973-75 – ახალგაზრდა სოციალისტთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარე. 1978-83 – სოცინტერნის საბჭოში საერთაშორისო საკითხების მდივანი. 1983-85 – სოცინტერნის მდივანი ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების საკითხებში. 1985-89 – სოცინტერნის გენერალური მდივნის თანაშემწე საერთაშორისო საკითხებში. 1989 წლის ივნისიდან – სოცინტერნის გენერალური მდივანი. (1987-მდე პინოჩეტის ხელისუფლების მიერ ჩამორთმეული ჰქონდა ჩილეს მოქალაქეობა).

**აიგუნის ხელშეკრულება 1858** (რუსეთ-ჩინეთის საზღვრის შესახებ), ხელმოწერილ იქნა 16(28).V აიგუნში (მდ.ამურის მარჯვენა ნაპირზე) რუსეთის წარმომადგენელ ნ.ნ. მურავიოვსა და ჩინეთის წარმომადგენელ ი შანს შორის.

ა.ხ-ით რუსეთსა და ჩინეთს შორის საზღვარი იმგვარად დაწესდა, რომ მდ.ამურის მარცხენა სანაპირო, მდინარეების – არგუნისა და შილკის შესართავიდან ზღვის სანაპირომდე, ცხადდებოდა რუსეთის სამფლობელოდ, ხოლო მარჯვენა სანაპირო, დინების მიმართულებით მდ.უსურიმდე – ჩინეთის სამფლობელოდ. საკითხი უსურის მხარის

შესახებ უსურიდან ზღვამდე რჩებოდა ღიად. ამგვარად ა.ხ-ით რუსეთი იურიდიულად განიმტკიცებდა იმ ტერიტორიას, რომელიც მან 1689 დათმო (იხ. *ნერჩინსკის ზავი 1689*).

წყარო: Архив внешней политики России (АВПР). ф. Трактаты, оп.3, д.878, л.4-5.

პუბლ.: Русско-китайские отношения. 1689-1916. М., 1958, с.29-30.

**აიეტი**, ეგრისელი (ლაზი) წარჩინებული, პოლიტიკოსი, ორატორი, ირანული ორიენტაციის მომხრე VI ს-ში. მან თავისი პოლიტიკური მრწამსი და ორატორული ნიჭი გამოავლინა 554, როცა სიტყვით მიმართა ეგრისში გამართულ ხალხმრავალ თავყრილობას, რომელიც ბიზანტიელი სარდლების მიერ ეგრისის მეფის *გუბაზ II-ის* მკვლელობის გამო გაიმართა. მისი აზრით, დამპყრობლები მორჩილებს უფრო თავხედურად ეპყრობიან; ომისა თუ მშვიდობიანობის დროს ერი (ხალხი) საკუთარ თავს უნდა ეყრდნობოდეს და თუ ბედუკუღმართობის გამო სხვისი ხელქვეითობა აუცილებელია, მაშინ, ერმა (ხალხმა) უფრო კეთილმოსურნე მოკავშირე უნდა ეძებოს; საერთოდ კი, მისი აზრით, ხალხთა შორის ურთიერთობა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილებაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

წყარო: აგათია სქოლასტიკოსი. წიგნი: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.3, თბ.,1936.

ლიტ.: გოზალიშვილი გ. ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში. თბ.,1973; კანდელაკი ნ. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება. თბ.,1961; ხიდაშელი შ. ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან. თბ.,1954.

**აიჩი კიიჩი** (1907-73), იაპონიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1931-50 მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში; 1954 – საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, 1956-58 და 1966-68 – მინისტრთა კაბინეტის გენერალური მდივანი, 1958-59 – იუსტიციის მინისტრი, 1964-66 – განათლების მინისტრი, 1968-71 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1972-73 – ფინანსთა მინისტრი.

**აკაევი** ასკარ (დ. 1944), ყირგიზეთის პრეზიდენტი. დაამთავრა ლენინგრადის (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგი) უნივერსიტეტი. ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას. 1982-დან – ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. 1990-დან – ყირგიზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 1991 გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა. 1991 წლის 12.X – ყირგიზეთის პრეზიდენტი.

**აკერმანის კონვენცია 1826** (რუსეთ-თურქეთს შორის), ხელმოწერილ იქნა 25.IX.(7.X) აკერმანში (თანამედროვე ბელგოროდ-დნესტროვსკი ოდესის ოლქში).

1826 წლის მარტში რუსეთმა ულტიმატუმის წესით მოსთხოვა თურქეთს ჯარების გაყვანა მოლდოვეთიდან და ვალახეთიდან და ამ ტერიტორიებზე იმ წესის აღდგენა, რომელიც განსაზღვრული იყო რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებებით, მაგრამ 1821 თურქეთმა იგი დაარღვია. გარდა ამისა, რუსეთი მოითხოვდა კონსტანტინოპოლში (სტამბულში) დაპატიმრებული სერბი დიპლომატების განთავისუფლებას, სერბიისათვის *1812 ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებით* მიცემული ყველა უფლების აღდგენას, რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებების განახლებას, რომელიც უშედეგოდ მიმდინარეობდა 1816-დან 1821-მდე. ამ მოთხოვნების შესასრულებლად თურქეთს ეძლეოდა 6 კვირის ვადა. რუსეთი უარის შემთხვევაში ფიქრობდა *პორტას* წინააღმდეგ ომის დაწყებას, მაგრამ ინგლისისა და სხვა ევროპული ქვეყნების დაშოშმინების მიზნით 4.IV 1826 პეტერბურგში ხელი მოაწერა ოქმს რუსეთ-ინგლისის ერთობლივი მოქმედების შესახებ საბერძნეთის საკითხის მოსაწესრიგებლად (იხ. *პეტერბურგის ოქმები*).

ინგლისის დიპლომატიის რჩევით, რომელიც ფიქრობდა, რომ რუსეთთან ომი მკვეთრად დაასუსტებდა ოსმალთა იმპერიას და ხელს შეუწყობდა ბალკანეთის ხალხების განთავისუფლებას თურქთა უღლისაგან, თურქეთმა მიიღო რუსეთის მოთხოვნები. თანაც არმიის რეორგანიზაციის გამო თურქეთი არ იყო ომისათვის მზად. 1826 1(13).VII აკერმანში დაიწყო მოლაპარაკება, რომლის დროსაც რუსეთის მიერ წამოყენებული კონვენციის ტექსტი უსიტყვოდ იქნა მიღებული.

ა.კ-ით დადასტურდა *ბუქარესტის 1812 საზავო ხელშეკრულება*. რუსეთმა შემოიმტკიცა ანაკლია, სოხუმი და რედუტ-კალე. მიიღეს აგრეთვე რუსეთის წინადადება დუნაიზე საზღვრის ხაზის გავლების შესახებ; რუსეთმა მიიღო ოსმალეთის იმპერიაში თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი სავაჭრო ნაოსნობის უფლება. განსაკუთრებული უფლებები მიენიჭა არაშავიზღვისპირა ქვეყნების იმ სავაჭრო გემებს, რომლებიც შავი ზღვის სრუტეების გავლით მოდიოდნენ რუსეთის ნავსადგურებში, ან პირიქით – ბრუნდებოდნენ.

ა.კ. იყო რუსეთის დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება.

პუბლ.: ПСЗРИ, т.1, с.1035-45.

ლიტ.: Ключников Ю.В., Сабанин А.В. Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. ч.1, М., 1925, с.138-39.

**აკიხიტო** (დ. 1933), იაპონიის 125-ე იმპერატორი, იმპერატორ ხიროხიტოს უფროსი ვაჟიშვილი. 1940-52 სწავლობდა პერების სკოლასა და გაკუსუინის ვაჟთა სკოლაში. 1956 დაამთავრა გაკუსუინის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის ფაკულტეტი. 18 წლის ასაკში გამოცხადდა მემკვიდრე პრინცად. 1988-89 მამის ავადმყოფობის გამო, ასრულებდა იმპერატორის მოვალეობას. 1989 წლის 7 იანვრიდან ავიდა საიმპერატორო ტახტზე. კორონაცია მოეწყო 1990 წლის შემოდგომაზე. 1959 დაარღვია საიმპერატორო ოჯახის ტრადიცია და ცოლად შეირთო ფინანსური მაგნატის – წისქვილკომბინატების მფლობელის ხიდესაბურო სიოდას ქალიშვილი – მიჩიკო (1989 წლის 7 იანვრიდან იაპონიის დედოფალი).

**ACCORD** (ფრანგ. შეთანხმება), შეთანხმება იმ საერთაშორისო საკითხების გამო, რომლებიც იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათ გამო ხელშეკრულება არ იდება. ამიტომ მხარეთა შორის ხდება შეთანხმება, მაგალითად, საავტორო უფლების, ფარმაკოლოგიური ფორმულის და სხვა მსგავს საკითხთა გამო.

ლიტ.: Никольсон Г. Дипломатия, пер. с англ., М., 1941, с. 133.

**აკლამაცია** (ლათ. acclamatio – წამოძახება), გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდი, რომელიც გვხვდება საერთაშორისო ორგანიზაციების და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობის პრაქტიკაში. ა-ით მიღებული გადაწყვეტილება არ საჭიროებს კენჭისყრის ჩატარებას და დაფუძნებულია მონაწილეთა რეაქციების გათვალისწინებაზე. ასეთი რეაქციებია რეპლიკები, აპლოდისმენტები, წამოძახებანი. ა-ის საფუძველზე, როგორც წესი, მიიღება მეორეხარისხოვანი გადაწყვეტილებანი. აღნიშნული მეთოდი არცთუ ხშირად გამოიყენება საერთაშორისო პრაქტიკაში.

**აკრედიტება** (ფრანგ. accréditer < ლათ. accredo – ვენდობი), უცხო სახელმწიფოში დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის დანიშვნისა და მისი უფლებამოსილების ცნობის პროცესი. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური აღიჭურვება სპეციალური უფლებამოსილებით, რომელიც რწმუნების სიგელის ან რწმუნების წერილის სახით ფორმდება და გადაეცემა მიმღები ქვეყნის სათანადო ორგანოს ან ოფიციალურ პირს. მხოლოდ ამ პროცედურის შესრულების შემდგომ ითვლება დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური აკრედიტებულად ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. ა-ს საჭიროებენ აგრეთვე სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

**„ალაბამა“**, ინგლის-ამერიკის კონფლიქტი ინგლისის მიერ იმ ზარალის დაფარვასთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკის სამოქალაქო ომის დროს (1861-65) სამხრეთელთა ხომალდებმა (აგებულმა ან ნაყიდმა ინგლისში) მიაყენეს ამერიკის ვაჭრობას, მათ შორის კრეისერმა „ა“-მ, რომელმაც ამერიკის 60-ზე მეტი ხომალდი გაანადგურა. ისტორიაში შევიდა „ა“-ს მიმართ პრეტენზიის" სახელწოდებით. საარბიტრაჟო სასამართლომ (იხ. *არბიტრაჟი საერთაშორისო)* 1872 ამერიკას 15,5 მლნ დოლარი მიაკუთვნა, რომელიც ინგლისის მთავრობამ გადაუხადა.

**ალამან-ი-ესკალადა** (Alamán y Escalada) ლუკას იგნასიო (1792-1853), მექსიკის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. მექსიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1827-29 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1829-32 – მთავარი მინისტრი, 1853-დან ხელმძღვანელობდა მინისტრთა კაბინეტს. მიაღწია მექსიკის დამოუკიდებლობის ცნობას მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან. აქტიურად იცავდა მექსიკის ტერიტორიულ მთლიანობას, დიდ წინააღმდეგობას უწევდა აშშ-ს, რომელსაც ტეხასისა და სხვა მიწების ხელში ჩაგდება სურდა, რასაც ომით მიაღწია (იხ. *გუადალუპე-იდალგოს ხელშეკრულება 1848*).

**ალანდის კონგრესი**, გაიმართა 1718-19 ალანდის არქიპელაგის კ.სუნდშერზე 1700-21 ჩრდილოეთის ომის დროს. ა.კ-ზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება რუსეთსა და შვეციას შორის ზავის დადების შესახებ. ხელშეკრულების რუსული პროექტით რუსეთს უნდა მიკუთვნებოდა ყველა ის ტერიტორია, რომლებიც ომის დროს მისმა ჯარებმა დაიკავეს (ინგრია, კარელია, ლიფლანდია რიგითურთ და ესტლანდია რეველით (ახლანდ.ტალინი) და ა.შ.). რუსეთის მთავრობა კისრულობდა ვალდებულებას, რომ დაეხმარებოდა შვეციას 20 ათასი კაცით ჰანოვერის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში, რომელმაც შვეციას ბრემენისა და ვერდენის საჰერცოგოები წაართვა. შვეციას ასევე ეძლეოდა უფლება, დაეპყრო ნორვეგიის ხარჯზე, რომელიც დანიას ეკუთვნოდა. ა.კ. მიმდინარეობდა შესვენებებით და დამთავრდა უშედეგოდ, რადგან შვეციას არ სურდა რუსეთისათვის ლიფლანდიის დათმობა. ტერიტორიული საკითხები რუსეთსა და შვეციას შორის საბოლოოდ გადაწყდა 1721 (იხ. *ნიშტადტის საზავო ხელშეკრულება 1721*).

*ლიტ.:* Фейгина С.А. Аландский конгресс. М., 1959.

**ალანდის კონვენციები**, 1809-მდე ალანდის კუნძულები, როგორც ფინეთის ნაწილი შედიოდა შვეციის შემადგენლობაში. 1809 *ფრიდრიხსჰამის საზავო ხელშეკრულებით* გადაეცა რუსეთის ხელში. 1856 წლის 30 მარტის კონვენცია, რომელიც პარიზის 1856 საზავო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი იყო, ითვალისწინებდა კუნძულების დემილიტარიზაციას. 31.XII. 1917 საბჭოთა რუსეთმა ცნო ფინეთის დამოუკიდებლობა და ალანდის კუნძულები გახდა ფინეთის ერთ-ერთი გუბერნიის შემადგენელი ნაწილი. რუსეთის ყველა ვალდებულებას კუნძულების მიმართ თავის თავზე იღებდა ფინეთი, რაც დადასტურდა *ბრესტ-ლიტოვსკის (ბრესტის) საზავო ხელშეკრულებით 1918*, აგრეთვე იურიევის სამშვიდობო ხელშეკრულებით 1920 (იხ. *საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*).

24.VI. 1921 ერთა ლიგის საბჭომ ცნო ფინეთის სუვერენიტეტი ალანდის კუნძულებზე. 20.X. 1921 დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, დანიის, იტალიის, ლატვიის, პოლონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, შვეციისა და ესტონეთის წარმომადგენლებმა ჟენევაში ხელი მოაწერეს კონვენციას ალანდის კუნძულების დემილიტარიზაციისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელიც ფინეთის მხარეს აკისრებდა ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც მანამდე რუსეთს ჰქონდა დაკისრებული 1856 კონვენციით. რსფსრ მთავრობამ, რომელიც არ იყო მიწვეული ა.კ-ის შემმუშავებელ სხდომებზე, 13.XI. 1921 მის მონაწილე ქვეყნებს გაუგზავნა საპროტესტო ნოტა, სადაც მან ა.კ. „რუსეთისათვის არარსებულად" გამოაცხადა, რადგან მას საბჭოთა რუსეთის გარეშე მოაწერეს ხელი.

მეორე მსოფლიო ომის წინ, ფინეთმა დაარღვია ა.კ. და ააშენა აქ სამხედრო სიმაგრეები, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის შემდეგ დაანგრიეს. 11.X. 1940 საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ფინეთს ალანდის კუნძულების დემილიტარიზაციას ავალებდა. მაგრამ ფინეთის ჩაბმამ ომში ფაშისტური გერმანიის მხარეზე სსრკ-ის წინააღმდეგ, ეს შეთანხმება ფაქტობრივად გააუქმა. იგი კვლავ აღდგა დაზავების შესახებ შეთანხმების მე-9 მუხლის თანახმად, რომელიც დაიდო, ერთი მხრივ, სსრკ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის და, მეორე მხრივ, ფინეთს შორის (იხ. *დაზავება რუმინეთთან, ფინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან 1944-45*). 1940 შეთანხმების შესაბამისად სსრკ-ს ალანდის კუნძულებზე თავისი საკონსულო გაიხსნა.

10.II. 1947 ფინეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად (იხ. *სამშვიდობო ხელშეკრულებები 1947*) ალანდის კუნძულები რჩება დემილიტარიზებულად ადრე დადებული შეთანხმების საფუძველზე.

*წყარო:* Документы внешней политики СССР, т.2. М., 1958, с.252, 588; Ключников Ю.В., Сабанин А.В. Международная политика..., ч.1, с.173, ч.2, вып.1, с.29, 108, 146; ч.3, вып.2, с.93, 96, 111; Сборник договоров России с другими государствами 1856-1917. [М.], 1952, с. 40.

**ალბანეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება 1947** (მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ). ხელი მოაწერეს 16.XII კრიჩიმში (ბულგარეთი). მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე კონსულტაცია გაეწიათ ერთმანეთთან. შეთანხმდნენ, ერთობლივად მიეღოთ გადაუდებელი ღონისძიებები ურთიერთუშიშროების, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. ერთ რომელიმე მხარეზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში სასწრაფოდ დახმარებოდნენ ერთმანეთს სამხედრო და ყველა სხვა საშუალებით.

**ალბანეთ-იტალიის ხელშეკრულებები და შეთანხმებები,** არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც დაიდო *მუსოლინის* რეჟიმსა და 1924-დან ალბანეთის დიქტატორ აჰმედ ზოგუს (1.IX. 1928 – ალბანეთის მეფე) შორის, რომელიც ქვეყანას ფაქტობრივად იტალიის კონტროლს უქვემდებარებდა.

1. 1925 თავდაცვითი (საიდუმლო) ხელშეკრულება, დაიდო 26.VIII ტირანაში და ითვალისწინებდა ალბანეთისათვის სამხედრო „დახმარების" აღმოჩენას, თუკი მის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნებოდა. ერთობლივი მოქმედების დროს ალბანეთის არმია იტალიის სარდლობას უნდა დაქვემდებარებოდა. ალბანეთი კისრულობდა ვალდებულებას, არ დაედო სამხედრო კავშირები, ან არ შესულიყო სამხედრო კავშირებში, თუკი მათში იტალია არ ღებულობდა მონაწილეობას.

წყარო: I documenti diplomatici italiani. Settima serie: 1922-1935, vol.6, Roma, 1967, p.457, app.3.

2. 1926 ხელშეკრულება „მეგობრობისა და უშიშროების შესახებ" („ტირანას პაქტი" 1926), ხელი მოაწერეს 27.XI .5 წლის ვადით. იგი შეიცავდა მტკიცებას, რომ ალბანეთის პოლიტიკური, იურიდიული და ტერიტორიული სტატუსკვოს დარღვევა ეწინააღმდეგებოდა მის დამდებ მხარეთა პოლიტიკურ ინტერესებს. მხარეები კისრულობდნენ ვალდებულებას, ხელი არ მოეწერათ პოლიტიკური და სამხედრო ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც ერთ-ერთი მათგანის ინტერესებს ხელყოფდა. იტალია გამოდიოდა ა.ზოგუს დიქტატორული რეჟიმის დაცვის „გარანტად".

3. 1927 ხელშეკრულება „თავდაცვითი კავშირის შესახებ" („ტირანას პაქტი" 1927), ხელი მოაწერეს 22.XI ოცი წლის ვადით. ის ითვალისწინებდა ერთობლივ მოქმედებას „არაპროვოცირებული ომის" შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანის წინაღმდეგ და მთელი სამხედრო, ფინანსური და სხვა რესურსების მოკავშირის ხელში გადაცემას. მის ცალკე ნაწილში, რომელიც მას წერილის სახით ერთვოდა, განსაზღვრული იყო სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობისა და მოკავშირის ტერიტორიის გამოყენების პრინციპები. მისი დადებიდან ერთი წლის შემდეგ ხელი მოაწერეს სამხედრო კონვენციებს, რომლებიც წარმოადგენდა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების დამატებას და შეიცავდა ომის შემთხვევაში მხარეთა მოქმედების დაწვრილებით რეგლამენტაციას.

წყარო: Trattati e convenzioni tra il Regno d'Italia e gli altri Stati, vol.37, Roma, 1938, p.553-55.

4. 1936 შეთანხმება (საიდუმლო) და მასთან ერთად 19.III ხელმოწერილი 8 ეკონომიკური ხასიათის შეთანხმება ითვალისწინებდა ალბანეთისათვის 8 მლნ ალბანური ფრანკის სესხის მიცემას. სანაცვლოდ იტალია ღებულობდა ნავთობის რიგ ახალ კონცესიებს ქუჩოვის რაიონში, ალბანეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკის შექმნის უფლებას იტალიელთა ხელმძღვანელობით, ვლიორის რაიონში სამხედრო ობიექტების და ქ.დურესში ნავსადგურის მშენებლობის დაჩქარების უფლებას. შეთანხმება აწესებდა ალბანეთის არმიის ოდენობას, საიდანაც უნდა გაეძევებინათ ყველა უცხოელი ინსტრუქტორი და მიეწვიათ იტალიელები. იტალიელ ქვეშევრდომებს ეძლეოდათ ალბანეთში თავისუფლად ცხოვრების უფლება. ამ შეთანხმებით საბოლოოდ განმტკიცდა ფაშისტური იტალიის გავლენა ალბანეთში, რითაც მომზადდა 1939 იტალიის მიერ ქვეყნის ოკუპაციის პირობები.

წყარო: Historia e Shqipërisë, vol.2, Tiranë, 1965, p.622-26.

**ალბერტ II** (დ. 1934), ბელგიის მეფე. გერმანელ ფაშისტთა მიერ ბელგიის ოკუპაციის წლებში ინტერნირებული იყო გერმანიის ქალაქ ჰირშტაინში. ომის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჟენევაში, სამხედრო განათლება მიიღო აშშ-ში. 1958 კონსტიტუციის თანახმად აყვანილ იქნა სენატორის რანგში. იყო ბელგიის საეაჯრო პალატის საპატიო პრეზიდენტი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი. 1993 წლის 9 აგვისტოდან, მისი ძმის, ბელგიის მეფის ბოდუენ I-ის გარდაცვალების შემდეგ – ბელგიის მეფე.

**ალდე დედოფალი,** ოსთა მეფის ასული, საქართველოს მეფის *გიორგი I-ის* მეორე ცოლი. *ბაგრატ IV-ის* გამეფების შემდეგ შვილთან – *დემეტრე უფლისწულთან* ერთად ცხოვრობდა ანაკოფიის ციხეში. ქვეყანაში მიმდინარე მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლების გამო ა.დ. თავის შვილიშვილთან – დემეტრეს შვილთან, დავითთან ერთად ოსეთში გადაიხვეწა.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., მეფე თამარი, თბ., 1991; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**ალექსანდრე I დ ი დ ი** (დაახლ. 1390-1442 შემდეგ), საქართველოს მეფე 1412-42. მეფობის დასაწყისშივე მოუხდა ბრძოლა თურქმანთა თავდასხმების წინააღმდეგ. ამავე პერიოდიდან პოზიციები გაიმაგრა დასავლეთ საქართველოში, შემდეგ სამცხის ათაბაგმაც ცნო მისი უზენაესობა. 1431 ლორე შემოიერთა; 1434-35 სიუნიქი (ახლანდ. ყარაბაღი და მესობელი თემები) გაწმინდა თურქმანთა ტომებისაგან. სხვადასხვა პროვინციების შემომტკიცების მიზნით, ბატონიშვილები ამ რეგიონების მმართველებად დანიშნა, მაგრამ XV ს. შუა ხანებში შექმნილი შინაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ამ რეფორმამ საპირისპირო შედეგი მოიტანა. ა.I იყო სხვადასხვა დიპლომატიური მისიების ინიციატორი. 1442 ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. – მის წგ.:საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.4, თბ., 1967 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**ალექსანდრე I** (დაახლ. 1456-1511), კახეთის მეფე 1476-1511, ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის, *გიორგი VIII-ის* ძე, ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა საქართველოს სხვა სამეფო სამთავროებთან, განსაკუთრებით ქართლის სამეფოსთან. მოხერხებული დიპლომატიით უზრუნველყო ქვეყნის მშვიდობიანი განვითარება. ფორმალური ყმობით თავიდან აიცილა *უზუნ-ჰასანისა* და *ისმაილ I-ის* შემოსევები. 1483 და 1491 წლებში ელჩები გააგზავნა მოსკოვის დიდი მთავრის *ივანე III-ის* კარზე, რითაც საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ახალ ეტაპს. ა. I მოკლა შვილმა გიორგიმ, რომელიც არ იზიარებდა მამის მშვიდობიან კურსს ქართლის სამეფოს მიმართ.

**ალექსანდრე I** (1777-1825), რუსეთის იმპერატორი 1801-დან. ტახტზე ასვლისთანავე, მეგობრობის განმტკიცების მიზნით, სამშვიდობო ხელშეკრულებები დადო ინგლისთან და საფრანგეთთან. შემდგომში, *ნაპოლეონ I-ის* აქტიური პოლიტიკის შედეგად, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა გამწვავდა. 1805-07 მონაწილეობდა ანტიფრანგულ კოალი-

ციებში. სამხედრო დამარცხებათა შემდეგ ნაპოლეონ I-თან ხელი მოაწერა *ტილზიტის ზავს (1807)*. ინგლის-საფრანგეთის ომში რუსეთის ნეიტრალიტეტმა და *კონტინენტურმა ბლოკადამ* 1812 რუსეთი საფრანგეთთან ომამდე მიიყვანა. რუსეთიდან ნაპოლეონის არმიის განდევნის შემდეგ სამხედრო მოქმედებათა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გაგრძელება მოითხოვდა. მონაწილეობდა *ვენის კონგრესის (1814-15)* მუშაობაში. იყო *საღვთო კავშირის* შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და მის ყველა კონგრესში წამყვან როლს ასრულებდა. დიდ ყურადღებას უთმობდა ბალკანეთის საკითხს. მის დროსვე ჩაეყარა საფუძველი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას. მისი მეფობის დროს 1801 რუსეთმა შეიერთა საქართველო.

**ალექსანდრე II** (გ. 1510), იმერეთის მეფე 1484-1510. 1478 ქართლის მეფის *კონსტანტინე II-გან* შევიწროებული, რაჭალეჩხუმში გამაგრდა, 1484 თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა; თურქმანთაგან შევიწროებული კონსტანტინე II შეურიგდა შექმნილ ვითარებას. ა.II-მ 1489-დან იმერეთში რეალური ხელისუფლებით დაიწყო მეფობა. 1509 აიღო გორი და ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაბატონდა. მისი მეფობის დროს იმერეთში გახშირდა ოსმალთა შემოსევები.

ლიტ.: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ.,1989; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ.4, თბ.,1967 (თხზ., ტ.3, თბ., 1982)

**ალექსანდრე II** (1527-1605), კახეთის მეფე 1574-1605 წლებში. ა.II-ის მეფობაში ქართლ-კახეთს ერთმანეთს ეცილებოდა ორი დამპყრობელი – ირანი და ოსმალეთი. ა.II ჯერ ირანის ვასალი იყო, 1578 კი, როდესაც ოსმალეთმა განაახლა ომი ირანთან და საკმაო წარმატებებს მიაღწია, მან თავი ოსმალეთის მოხარკედ ცნო. ოსმალეთი არ კმაყოფილდებოდა ა.II-ის მოხარკეობით და კახეთის სრულ დაპყრობას ცდილობდა. ა.II გამოსავალს რუსეთის მფარველობაში ხედავდა. 1587 წელს გაფორმდა ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური კავშირის შესახებ. 1589 წელს ა.II-მ რუსეთის ხელმწიფისაგან მიიღო მფარველობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი „წყალობის სიგელი", თუმცა რუსეთის მხრივ რაიმე პრაქტიკულ დახმარებამდე საქმე არ მისულა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებას შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს შაჰ-*აბას I*. მისთვის მიუღებელი იყო ამიერკავკასიაში რუსეთის გამოჩენა. 1603 შაჰ-აბას I-მა განაახლა ომი ოსმალეთთან და თავისთან დაიბარა ქართლ-კახეთის მეფეები. ა.II იძულებული გახდა ერევანთან ხლებოდა შაჰს. შაჰმა იგი უკან მხოლოდ 1605 დააბრუნა, შარვანზე ლაშქრობა დაავალა და თან ყიზილბაშთა ჯარით ირანში აღზრდილი და გამაჰმადიანებული შვილი კონსტანტინე მირზა გამოაყოლა. კონსტანტინე დაჟინებით თხოულობდა შარვანზე გალაშქრებას, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ირან-ოსმალეთის ომის ბედი, ამავე დროს კახეთში ცნობილი გახდა რუსეთის ჯარების შარვანზე გალაშქრების შესახებ. კახეთში მყოფი რუსთა ელჩები კახეთის მეფეს მოუწოდებდნენ მიეღო ამ ლაშქრობაში მონაწილეობა. ასეთ ვითარებაში ა.II ფრთხილობდა და არ ჩქარობდა გადაწყვეტილების მიღებას. 1605 წლის 12 მარტს, ძეგამში, შარვანზე გალაშქრების საბაბით მოწვეულ სამხედრო თათბირზე კონსტანტინე მირზას ბრძანებით ყიზილბაშებმა ღალატით დახოცეს ა.II, ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი და მეფის ამალის წევრები.

**ალექსანდრე II** (1818-81), რუსეთის იმპერატორი 1855-დან. საგარეო პოლიტიკაში გერმანიის ორიენტაციის მომხრე. იბრძოდა *პარიზის 1856 ხელშეკრულებათა* გაუქმებისათვის, ბალკანეთზე რუსეთის გავლენის გაძლიერებისათვის. მის დროს რუსეთმა შეიერთა არტაანი, ყარსი, ბათუმი ოლქებითურთ. მოკლეს ნაროდნიკებმა.

**ალექსანდრე III** (გ. 1660), იმერეთის მეფე 1639-60. სამეგრელოს მთავარ *ლევან II დადიანისაგან* შევიწროებულმა დახმარება სთხოვა თურქეთს. 1634 სულთანმა მურად IV-მ (1623-40) დიდი ჯარი გამოგზავნა, რამაც ლევან დადიანი აიძულა, დროებით შეეწყვიტა იმერეთზე თავდასხმები. ა.III-მ და მისმა სიმამრმა, კახეთის მეფე *თეიმურაზ I-მა* 1649 ქართლის მეფის *როსტომისა* და ლევან II დადიანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სათხოვნელად ირანში ელჩები წარგზავნეს. ურთიერთობა დაამყარა მოსკოვის ხელმწიფოსთან, სადაც 1649, 1651, 1656 ელჩები გაგზავნა. 1651 ქუთაისში იეველევისა და ტოლოჩანოვის ელჩობა მიიღო, ხოლო იმავე წლის 9 ოქტომბერს მოსკოვის ხელმწიფისადმი ერთგულების ფიცს მოაწერა ხელი. 1659 გააგზავნა ელჩობა რუსეთში. 1658 სოფ. ბანძასთან გამარჯვების შემდეგ ოდიშისა და გურიის მთავრებად თავისი სასურველი პირები დანიშნა. გარკვეული პერიოდი შეძლო დასავლეთ საქართველოში იმერეთის სამეფოს ჰეგემონობის აღდგენა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა. - ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: გურიელიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVIIIსს.), წ.2, თბ.,1965; რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ.,1989.

**ალექსანდრე III** (1845-94), რუსეთის იმპერატორი 1881-დან. მის დროს რუსეთის საგარეო პოლიტიკა ხასიათდებოდა სიფრთხილით. ცდილობდა გერმანიასთან და ავსტრიასთან დაახლოებას. 1881 მათთან გაფორმდა კავშირი (იხ. *სამი იმპერატორის კავშირი*). მაგრამ ამ კავშირმა მალე დაკარგა ძალა გერმანიის, ავსტრიისა და იტალიის კავშირის შექმნის გამო (1882). ამ წინააღმდეგობებმა ა.III აიძულა ეძებნა საფრანგეთთან კავშირი, რომელიც 1891-93 გაფორმდა (იხ. *რუსეთ-საფრანგეთის კავშირი*). მის დროს ჩატარდა რეფორმები დიპლომატიურ პრაქტიკაში. მეფის ბრძანებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმოწერებში ფრანგული ენა რუსულით შეიცვალა, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, სამინისტროსა და საელჩოებს შორის სწრაფი საკურიერო კავშირი დაწესდა. გაფართოვდა ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

**ალექსანდრე IV** (Alexander IV) (გ. 1261), რომის პაპი 1254-61. დიდ ყურადღებას უთმობდა სამისიონერო საქმიანობას; ფრანცისკელებსა და დომინიკელებს გზავნიდა აღმოსავლეთ ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, მათ შორის, 1258 – საქართველოში.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფ.,1902.

**ალექსანდრე IV** (გ. 1695), იმერეთის მეფე 1683-95. სამეფო ტახტზე ოსმალთა სულთნის დახმარებით ავიდა, რომელმაც იმერეთში ახალციხის ფაშას მეთაურობით ლაშქარი გაგზავნა. პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, თავისი და დარეჯანი პაატა აბაშიძეს მიათხოვა, რომელსაც ზემო

იმერეთი ემორჩილებოდა. 1684 როკითთან ბრძოლაში გურიელი და სხვა მოწინააღმდეგე ფეოდალები დაამარცხა. 1689 ირანის შაჰის წინააღმდეგ ქართლის მეფის *გიორგი XI-ის* აჯანყების შემდეგ, ა.IV-მ კავშირი ირანის შაჰ სულეიმანთან დაამყარა, რითაც ოსმალეთის ვასალობაზე უარი თქვა. ამ ნაბიჯს მისთვის ტახტის დაკარგვა მოჰყვა (1690); იგი ქართლში *ერეკლე I-თან* გაიქცა, რომელმაც ირანის შაჰთან უშუამდგომლა, შაჰმა კი, თავის მხრივ – თურქეთის სულთანთან. ა.IV-მ მეფობა დაიბრუნა. გიორგი XI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მან ერეკლე I-ს დაუჭირა მხარი. შეთქმულების შედეგად იგი შეიპყრეს რუისში და მოკლეს.

წყარო და ლიტ. იხ. სტ-თან *ალექსანდრე III.*

**ალექსანდრე V** (დაახლ.1703-52), იმერეთის მეფე 1720-52. მისი მეფობის ხანა საერთო არეულობითა და ფეოდალური შინააშლილობით ხასიათდება. იმერეთის სამეფო ტახტზე ასვლაში მას, თურქეთის სულთან აჰმედ III-ის ბრძანებით, ახალციხის ფაშა დაეხმარა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მისთვის აქტუალურად დადგა ორიენტაციის საკითხი, თურქეთთან ვასალურ ვითარებაში მყოფი ა.V რუსეთთან ცდილობდა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. 1722 ლაშქრობაში განჯის წინააღმდეგ, სადაც ქართლის მეფე *ვახტანგ VI-ის* ლაშქარი რუსეთის იმპერატორ *პეტრე I-ს* უნდა შეხვედროდა, იმერეთის ჯარებიც მონაწილეობდნენ. 1738 ა.V-მ რუსეთში ელჩად გაგზავნა ქუთათელი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბა*შვილი,* მაგრამ უშედეგოდ. 1741 ა.V ტახტიდან ჩამოაგდეს, ქართლში გადასულს ინტენსიური კონტაქტები ჰქონდა ირანის შაჰ *ნადირთან,* რომელსაც ახალციხის ფაშასთან შუამდგომლობა სთხოვა. 1741 შემოდგომაზე ისაყ ფაშას დახმარებით ტახტი დაიბრუნა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა. - წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973; დ ა დ ი ა ნ ი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ.ბურჯანაძის გამოც., თბ.,1962.

ლიტ.: რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ.,1989.

**ალექსანდრე VI** (Alexander VI), ერისკაცობაში როდრიგო ბ ო რ ჯ ი ა (დაახლ. 1413-1503), რომის პაპი 1492-დან. პაპად გახდომისთანავე მოისყიდა კარდინალთა უმრავლესობა. თავის პოლიტიკაში ხელმძღვანელობდა შვილების (ჩეზარე და სხვ.) ინტერესებით. 1493 4.V. გამოსცა ბულა, რომლითაც მსოფლიო გაყო ესპანეთსა და პორტუგალიას შორის. 1494-1559 იტალიური ომების დროს ლავირებდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის პირადი ანგარების მიზნით. თავის მოწინააღმდეგეებს თავიდან იცილებდა ხანჯლისა და საწამლავის მეშვეობით. იჩენდა ინტერესებს აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართაც. 1498 წლის 18 აპრილის სიგელით თბილისის ეპისკოპოსად დაამტკიცა ფრანცისკელი ალბერტო ენჯელო. ა.VI-მ 1495 მიიღო საქართველოს მეფის კონსტანტინე II-ის ელჩი *ნილოსი,* რომელიც დახმარების თხოვნის მისიით იყო ჩასული. საპასუხო წერილი პაპმა 1496 წლის 10 ივლისს გამოგზავნა, მაგრამ ამ დიპლომატიურ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; P e p e G., La politica dei Borgia, Napoli, 1946.

**ალექსანდრე VII** (Alexander VII) (1599-1667), რომის პაპი 1655-67. სწავლული და მწერალი. ვერ შეძლო განეხორციელებინა ევროპის სახელმწიფოთა ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას აღმოსავლეთ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ.,1902.

**ალექსანდრე ბატონიშვილი** (1771-1844), *ერეკლე II-ისა* და *დარეჯან* დედოფლის მეხუთე ვაჟი. პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოში რუსული რეჟიმის დამყარების შეურიგებელი მოწინააღმდეგე. 17-18 წლისა მონაწილეობდა ქართლ-კახეთის მართვაში. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ იბრძოდა *გიორგი XII-ის* საგარეო პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ. 1800 შემდეგ ა.ბ-მა დაიწყო ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოს აღსადგენად ირანისა და ამიერკავკასიის სახანოების დახმარებით. 1804-13 რუსეთ-ირანის ომის დროს და შემდეგ თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად იბრძოდა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოში. ამავე დროს ა.ბ. წერილობით მიმართავდა რუს მოხელეებს ამიერკავკასიაში (ციციანოვი, გუდოვიჩი, რტიშჩევი, ერმოლოვი), რომ ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის შემთხვევაში შეწყვეტდა ბრძოლას. ასევე ითხოვდა 1783 ტრაქტატის პირობების დაცვას და რუსეთის მფარველობაში ქართული ეროვნული თვითმმართველობის შენარჩუნებას. 1832 შეთქმულების მონაწილეებს განზრახული ჰქონდათ ქართლ-კახეთის მეფედ მისი მოწვევა.

**ალექსანდრე ბაქარის ძე ბატონიშვილი** (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1724-91), *ვახტანგ VI-ის* შვილიშვილი, ატარებდა გრუზინსკის გვარს, იყო გვარდიის ოფიცერი. იგი როგორც ქართლის ტახტის მემკვიდრე, ვერ ურიგდებოდა ქართლში *თეიმურაზ II-ისა* და *ერეკლე II-ის* მეფობას. მამის, ბაქარის გარდაცვალებისთანავე (1750) დაიწყო ბრძოლა სამეფო ტახტისათვის. მან ფარულად სცადა ჩამოსვლა ქართლში. *ეკატერინე II-ის* ბრძანებით სამხედრო წოდება ჩამოართვეს და ისევ დაბრუნდა საქართველოში. ქერიმ-ხანთან უნაყოფო მოლაპარაკებისა და ლოდინის შემდეგ, 1779 *სოლომონ I-ის* კარზე ჩავიდა. მისი მცდელობა *ერეკლე II-ის* წინააღმდეგ აჯანყების მოწყობისა უშედეგოდ დამთავრდა. 1782 ა.ბ.ბ ალექსანდრე *ამილახვართან* ერთად ფათალი-ხანთან გადავიდა დაღესტანში. ერეკლეს თხოვნით რუსეთის მთავრობამ 1783 ტრაქტატის დადების შემდეგ იგი შეიპყრო და სმოლენსკში გადაასახლა, სადაც პატიმრობაში გარდაიცვალა.

**ალექსანდრე მაკედონელი,** ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე  დ ი დ ი (ბერძნ. Alexandros ho Megas) (ძვ.წ.356-323). მაკედონიის მეფე (336-23), *ფილიპე II-ის* ძე. ძველი სამყაროს უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. დაიპყრო იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოს უმეტესი ნაწილი. 334 დაიწყო ლაშქრობა აღმოსავლეთისაკენ სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ და თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა ამ იმპერიაში შემავალი ყველა ქვეყანა. ა.მ. შორსმჭვრეტელი დიპლომატიც იყო. სამხედრო ძალის გარდა, მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრასაც. მისი ისტორიკოსები საგანგებოდ ამახვილებენ ყურადღებას მის განსაკუთრებულ დიპლომატიურ ნიჭზე. მან დაარღვია ბერძნულ ცნობიერებაში გაბატონებული შეხედულება ხალხების რჩეულებად და ბარბაროსებად დაყოფის შესახებ. ა.მ-მა სათავე დაუდო ძვ. მსოფლიოს ისტორიის ახალ ეპოქას, ელინიზმს, რომელიც ბერძნული და აღმოსავლეთის კულტურების მიღწევათა შერწყმას წარმოადგენდა. ძველ ქართულ საისტორიო ტრა-

დიციაში გაბატონებული თვალსაზრისი ა.ი-ის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, ანტიკური წყაროების მონაცემებით, სინამდვილეს არ შეესაბამება. მაგრამ ქართლის სამეფოს წარმოქმნაში მის აღმოსავლურ ლაშქრობებს გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა.

**ალექსანდროვსკი** სერგეი სერგეის ძე (1889-1949), საბჭოთა დიპლომატი. 1924-25 – სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური ევროპის ქვეყნების განყოფილების გამგე. 1925-27 – სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში, 1927-29 – სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში, 1929-31 – სსრკ რწმუნებული უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, 1931-33 – გერმანიაში სსრკ მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი, 1933-39 – სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში.

**ალექსანდროპოლის ხელშეკრულება** 1920, დაიდო 2.XII ალექსანდროპოლში (ყოფ. ლენინაკანი, ახლანდელი გიუმრი) თურქეთსა და სომხეთის დაშნაკურ მთავრობას შორის. თურქეთმა ჯერ კიდევ 1918 წლის აპრილ-მაისში ხელთ იგდო ამიერკავკასიის, მათ შორის სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი და 4.VI. 1918 სომხეთთან დადო ხელშეკრულება ე.წ. „კავშირი მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ“, რომლითაც სომხეთის ტერიტორია იფარგლებოდა მხოლოდ ერევნისა და ეჩმიაძინის მაზრებით. 1920 ანტანტის წაქეზებით დაშნაკურმა მთავრობამ წამოიწყო ომი თურქეთის წინააღმდეგ, რომელშიც მან მარცხი განიცადა და იძულებული გახდა ხელი მოეწერა ხელშეკრულებისათვის, რომლის ძალით სომხეთის ტერიტორია უნდა შემოფარგლულიყო ერევნის რაიონითა და გოქჩას (სევანი) ტბის მიმდებარე ტერიტორიით. ნახიჩევანის ოლქი თურქეთის პროტექტორატი უნდა გამხდარიყო. ფაქტობრივად პროტექტორატი სომხეთის დანარჩენ ტერიტორიაზედაც წესდებოდა. სანაცვლოდ თურქეთი დაშნაკებს სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა.

ა. ხ. ძალაში ვერ შევიდა, რადგან 29.XI.1920, მასზე ხელის მოწერამდე, ბოლშევიკებმა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. *საბჭოთა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებით* (16.III. 1921) დადგინდა ახალი საზღვარი კავკასიაში. თურქეთის ხელმძღვანელობა ცდილობდა დაეყოვნებინა არმიის გაყვანა ალექსანდროპოლის რაიონიდან, მაგრამ 1921 წლის მაისში იძულებული გახდა დაეტოვებინა საბჭოთა სომხეთის ტერიტორია, ხოლო 13.X.1921 ხელი მოაწერეს *ყარსის ხელშეკრულებას*.

ლიტ.: Ключников Ю.В. Сабанин А.В. Международная политика..., ч.3, вып.2, М., 1929, с.71-73.

**ალექსი კომნენოსი** (1182-1222), ტრაპიზონის სამეფოს იმპერატორი 1204-22. ა.კ. ქართველ მოსახლეობას ეყრდნობოდა და ებრძოდა ნიკეის იმპერატორსა და იკონიის სულთანს. იგი კარგი მებრძოლი და ამავე დროს საზრიანი პოლიტიკოსიც იყო. 1214 სინოპე დაუთმო სულთანს, სანაცვლოდ კი ახლადშექმნილი ტრაპიზონის სამეფოს საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., ჯვაროსანთა IV ლაშქრობა და ბიზანტია. - „თსუ შრომები“, 1960, ტ.87; მეტრეველი რ., მეფე თამარი, თბ., 1991.

**ალექსი მიხეილის ძე** (1629-76), რუსეთის მეფე 1645-დან. ატარებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას. უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიდა რეჩ-პოსპოლიტას და შვეციის მფლობელობაში მყოფი რუსული მიწების დაბრუნებას, სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოების დაცვას ყირიმელი ხანებისაგან. დიდი წარმატება იყო *ანდრუსოვოს ხელშეკრულების* დადება პოლონეთთან 1667. განაახლა ბრძოლა ბალტიის ზღვაზე გასასვლელისათვის. მაგრამ ეს ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა (იხ. *კარდისის საზავო ხელშეკრულება 1661*). მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა კახეთის მეფე *თეიმურაზ I-ს*. მის კარზე იმყოფებოდა ერეკლე ბატონიშვილი (შემდეგში *ერეკლე I*). ა.მ. პირადად აწერდა ხელს დოკუმენტებს, უშუალოდ მონაწილეობდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებში.

**ალვარეს დელ ვაიო** (Alvarez del Vayo) ხულიო (1891-1975), ესპანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1931-33 – ესპანეთის ელჩი მექსიკაში. 1933-დან – ელჩი სსრკ-ში, მაგრამ ქვეყნის სათავეში მოსულმა რეაქციულმა ძალებმა გააუქმეს ეს დანიშვნა. 1933-34 – ბოლივიასა და პარაგვაის შორის ტერიტორიული დავის დასარეგულირებლად ერთა ლიგის მიერ შექმნილი კომისიის თავმჯდომარე, 1936-37 და 1938-39 – რესპუბლიკური ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ამასთან 1936-37 ხელმძღვანელობდა მთავარ სამხედრო კომისარიატს. 1939-დან ცხოვრობდა მექსიკაში, როგორც ემიგრაციაში მყოფი რესპუბლიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ – აშშ-ში.

**ალიანსი** (ფრანგ. alliance – კავშირი), გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად. აგიტაცია-პროპაგანდაში გამოიყენება გამანადგურებელ-ნეგატიური შინაარსობრივი გაგებით.

**ალი ბეი ალ-ქაბირი** (დიდი) (1728-73), მამლუქთა ეგვიპტის გამგებელი 1763-72, წარმოშობით ქართველი. ქრისტიანობაში ერქვა იოსები. დაიბადა აფხაზეთში, მართლმადიდებელი მღვდლის – დავითის ოჯახში. 13 წლისა, ყაჩაღების მიერ გატაცებული, შეიძინა მამლუქთა ეგვიპტის გამგებელმა იბრაჰიმ ქათხოდა ალ-კაზდოღლუმ. 1763 დაიკავა შეიხ ალ-ბალადის პოსტი. 1765 მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში დაკარგა ძალაუფლება და სირიაში გაიქცა. 1766 კვლავ დაბრუნდა ეგვიპტეში და გახდა შაიხ ალ-ბალადი. მის გარემოცვაში არაერთი ქართველი იყო. ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. 1766 მას საქართველოდან კაიროში ესტუმრნენ მამა, და (რომელიც მიათხოვეს მის აღზრდილს მუჰამედ ბეი აბუ ზაჰაბს) და დისშვილი (რომელიც მამლუქთა რიგებში ჩაირიცხა). ა. დაუპირისპირდა ოსმალეთს და მიზნად ისახავდა ეგვიპტის სრულ დამოუკიდებლობას. 1768-72 განახორციელა ანტიოსმალური აჯანყება, გააძევა ოსმალეთის ფაშა, სულთანს შეუწყვიტა ხარკის მიცემა და მოჭრა საკუთარი მონეტა. 1770 დაიმორჩილა ჰიჯაზი (არაბეთის ნახევარკუნძულზე) და კონტროლი დააწესა მუსლიმთა წმინდა ქალაქებზე – მექასა და მედინაზე. 1770 რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ა. ცდილობდა დახმარება მიეღო რუსეთისაგან. მან კავშირი დაამყარა აგრეთვე გალილეისა და აქას არაბ შეიხთან – ზაჰირ ალ-ომართან. 1771 მოკავშირეებმა დაიკავეს პალესტინა და დამასკო, მაგრამ შემდეგ ა-ს განუდგა მისი მხედართმთავარი მუჰამედ ბეი აბუ ზაჰაბი. 1772 წლის აპრილში ა. დამარცხდა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში და გაიქცა შეიხ ზაჰირთან. აღარ დაელოდა რუსეთის შეპირებულ დახმარებას და 1773 მცირერიცხოვანი რაზმით დაბრუნდა ეგვიპტეში.

დელტის აღმოსავლეთ ნაწილში ას-სალაჰიასთან ის დამარცხდა მუჰამედ ბეი აბუ ზაჰაბთან ბრძოლაში, დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. ჭრილობებისაგან გარდაიცვალა მაისის დამდეგს.

წყარო: ლუზინიანი ს., ოსმალეთის პორტას წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია. ინგლ. ტექსტი, ქართ. თარგმანი და გამოკვ. ა. სილაგაძისა, თბ., 1973.

ლიტ.: ბეი-მამიკონიანი გ., ქართველი მამლუქები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენისათვის ბრძოლაში. - „მნათობი", 1957, №9; ჯანელიძე დ., სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967; შესავალი წიგნში Абд ар-Рахман ал-Джабарти, Египет в канун экспедиции Бонапарта (1776-1798). Пер. и изд. Х.И. Кильберг. М., 1978.

**ალიბიერი** (Alighieri) მიქელ დე, XV ს.-ის შუახანების დიპლომატი, დანტე ალიგიერის შთამომავალი, ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორის – დავით დიდი კომნენოსის ელჩი, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების მიერ განზრახული ანტიოსმალური კოალიციის შექმნის აქტიური მონაწილე. ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ქართული სამეფო-სამთავროების მიერ დასავლეთ ევროპაში წარგზავნილ ქართველ დიპლომატებთან.

ლიტ.: ტაბაღუა ი., ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 70-იან წლებში, თბ., 1989.

**ალიევი** ჰეიდარ ალი რზას-ძე (დ. 1923), აზერბაიჯანის პრეზიდენტი. 1957 დაამთავრა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1941-43 მუშაობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, 1944-49 იმყოფებოდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნახიჩევანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. 1950-64 მუშაობდა აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. 1965-67 – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, 1967-69 – ამ კომიტეტის თავმჯდომარე. 1969 წლის ივლისიდან 1982 წლის ნოემბრამდე – აზერბაიჯანის ცკ პირველი მდივანი. 1982-87 – სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. 1987-90 პენსიაზე. 1990 - ნახიჩევანის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. 1993 წლის ივნისიდან – აზერბაიჯანის პრეზიდენტი.

**ალმა-ათის დეკლარაცია**, დოკუმენტი, მიღებული 1991 წლის 21 დეკემბერს, რომელსაც ხელს აწერენ 11 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის – აზერბაიჯანის, ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციის, უზბეკეთის, სომხეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვას და თურქმენეთის სახელმწიფოთა მეთაურები. ალმა-ათაში შეხვედრითა და მიღებული ა.-ა.დ.-ით ფაქტობრივად დამთავრდა სსრკ-ის, როგორც სახელმწიფოსა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, არსებობა. ა.-ა.დ.-ში ნათქვამია, რომ გამომდინარე დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის მისწრაფებიდან, ცნობენ რა ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ხელშეუხებლობას, მხედველობაში იღებენ რა თანამშრომლობისა და მეგობრობის ისტორიულ ტრადიციებს და შეგნებული აქვთ მშვიდობის დაცვისა და ერთაშორის თანხმობის შენარჩუნების მნიშვნელობა, ა.-ა.დ.-ის ხელმომწერი ქვეყნები აცხადებენ საბჭოთა კავშირის დაშლილად და ქმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, რომელიც არაა სახელმწიფო და არც ზესახელმწიფოებრივი გაერთიანება. მასში აღინიშნა, რომ საერთაშორისო სტრატეგიული სტაბილურობის დაცვის მიზნით, *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა* ქმნის სამხედრო-სტრატეგიული ძალების ერთიან სარდლობას და აწესებს ერთიან კონტროლს ბირთვულ იარაღზე. ამასთან, ხელისმომწერმა მხარეებმა დაადასტურეს თანამშრომლობის აუცილებლობა საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნა-განვითარების საქმეში თანამეგობრობაში შემავალმა ქვეყნებმა აღიარეს, რომ შეასრულებენ ყველა იმ საერთაშორისო ვალდებულებას, რომლებიც გამომდინარეობს ყოფილი სსრკ-ის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან. ბოლოს ა.-ა.დ. აცხადებს, რომ თანამეგობრობის კარი ღიაა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისათვის მასში გასაწევრიანებლად.

**ალჟირ-თუნისის ხელშეკრულებები და შეთანხმებები.** 1. ხელშეკრულება ძმობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის შესახებ. ხელმოწერილ იქნა 6.I. 1970 ქ.თუნისში 20 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობით. მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება, დაეცვათ ერთმანეთში მუდმივი მშვიდობა, აეგოთ თავიანთი ურთიერთობები სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და მათი სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპზე. ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც ხელმოწერისთანავე შევიდა ძალაში, ხელი მოაწერეს შეთანხმებას ალჟირ-თუნისის სასაზღვრო ხაზის შესახებ იმ უბანში, რომელიც მდებარეობს ბირ-რომანიდან ლიბიის საზღვრამდე. თუნისმა უარი თქვა პრეტენზიაზე ალჟირის ტერიტორიის ნაწილზე და იქ მდებარე თუნისის სახელმწიფო ქონებაზე ფულადი კონტრიბუციის (10 მილიონი ალჟირული დინარი) სანაცვლოდ.

2. 1983 ხელშეკრულება ძმობისა და თანხმობის შესახებ. დაიდო 19.II. ქ.თუნისში 20 წლის ვადით და შემდეგ ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობით. ხელშეკრულებით მხარეებმა ვალდებულება აიღეს, თავი შეიკავონ სადავო საკითხების მოწესრიგების დროს ძალის და მუქარის გამოყენებისაგან. არ შევიდნენ რაიმე კავშირსა და გაერთიანებაში, რომელთაც აქვთ სამხედრო და პოლიტიკური ხასიათი და მიმართულია ერთ-ერთი მხარის პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ. მას შეიძლება შეერთებოდა მაღრიბის სხვა სახელმწიფოებიც. მასთან ერთად ხელი მოაწერეს შეთანხმებას საზღვრის დემარკაციის შესახებ, რამაც დაასრულა 20-წლიანი სასაზღვრო კონფლიქტი ორ ქვეყანას შორის. ხელშეკრულება საბოლოოდ განსაზღვრავს ალჟირ-თუნისის სასაზღვრო ხაზს და უზრუნველყოფს საკუთრების უფლებებს ორივე ქვეყნის მოქალაქეებისა, რომლებიც ცხოვრობენ სასაზღვრო მხარეებში.

**ალჟირ-მაროკოს სასაზღვრო კონფლიქტი 1963**, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1956 მაროკომ ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა ალჟირს. 14.X. მისი ჯარები ალჟირში შეიჭრნენ. კონფლიქტის მოგვარების მიზნით მოიწვიეს *აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის* მინისტრთა საბჭოს საგანგებო სესია (11-18.XII. 1963). მისი გადაწყვეტილებით, საომარი მოქმედებები შეწყდა. ჯარები საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ. შეიქმნა საარბიტრაჟო კომისია. მიუხედავად იმისა, რომ მაროკოს პოზიცია არ შეცვლილა, მებრძოლ მხარეებს შორის ურთიერთობა მოგვარდა. ალდგა

დიპლომატიური ურთიერთობა, რკინიგზაზე მოძრაობა განახლდა. ალჟირ-მაროკოს ურთიერთობათა მოგვარების მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა *იფრანის ხელშეკრულება 1969* და *ალჟირ-მაროკოს შეთანხმება 1972.*

**ალჟირ-მაროკოს შეთანხმება 1972**, ხელი მოაწერეს 15.VI. ქ.რაბათში (მაროკო). მიზნად ისახავდა იმ ტერიტორიული დავის მოგვარებას, რომელმაც გამოიწვია *1963 ალჟირ-მაროკოს სასაზღვრო კონფლიქტი.* მხარეთა დეკლარაციის შესაბამისად ორმა სახელმწიფომ იკისრა ფართო თანამშრომლობის განვითარება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში. კონვენციაში სასაზღვრო ხაზის გატარების შესახებ დაწვრილებით იყო აღწერილი სასაზღვრო ხაზი, რომლის საფუძვლად აიღეს საფრანგეთის კოლონიური ბატონობის ხანის ალჟირ-მაროკოს დეტალურად დაზუსტებული საზღვარი. თანამშრომლობის კონვენცია გარა-ჯებილეთის რკინის მადნის საბადოს ერთობლივი ათვისების შესახებ ითვალისწინებდა ერთობლივ ექსპლოატაციას იმ რკინის მადნის მარაგისა, რომელზედაც ადრე მაროკო აცხადებდა პრეტენზიას და რომელიც სასაზღვრო ხაზის გატარების კონვენციის ძალით დარჩა ალჟირს. ალჟირმა შეთანხმებას რატიფიკაცია გაუკეთა 17.V.1973. მაროკოს მიერ იგი არაა რატიფიცირებული.

**ალტერნატი** (ლათ. alternus – რიგრიგობითი), საერთაშორისო ხელშეკრულების შედგენისა და ხელმოწერის წესი, რომლის თანახმად თითოეული ხელმომწერი მხარისათვის განკუთვნილ დედან ეგზემპლარში პირველ ადგილზეა, ე.ი. მარცხნივ, ამ მხარის ენაზე შედგენილი ხელშეკრულების ტექსტი, მხარის დასახელება, მისი წარმომადგენლის ხელმოწერა და ბეჭედი. თუ საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ენაზე ტექსტი მარჯვნიდან მარცხნივ იწერება, მაშინ ამ ეგზემპლარში პირველ ადგილად მარჯვენა მხარე ჩაითვლება. თუ ხელმოწერები მოთავსებულია ერთმანეთის ქვეშ, მაშინ პირველ ადგილად ითვლება ზედა ნაწილი. მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადების დროს, როდესაც დგება ერთი ორიგინალური ტექსტი, ა. განისაზღვრება სახელმწიფოთა დასახელების ანბანური წესით (ძირითადად ინგლისური ან ფრანგული ანბანის მიხედვით). პრაქტიკაში ეხვდებით ა-ის დარღვევის ფაქტებსაც, მაგალითად, გაეროს წესდებას ა-ის დაცვით ხელი მოაწერეს ჯერ ჩინეთის, სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის წარმომადგენლებმა, როგორც *სან-ფრანცისკოს კონფერენციის* მომწვევმა სახელმწიფოებმა, შემდგომ – საფრანგეთის წარგზავნილმა და ბოლოს – დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებმა.

ა. სიმბოლურად წარმოადგენს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის დაცვას.

**ალტერნატიული მოძრაობები**, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ ტრადიციული სოციალური ორგანიზაციების (პარტიები, პროფკავშირები) შეხედულებებისაგან განსხვავებული, ახლებური გადაწყვეტა მოუძებნონ გლობალურ და სხვა აქტუალურ პრობლემებს. ა.მ-ის აქტიურობა, უწინარეს ყოვლისა, მიმართულია ეკოლოგიის, ომისა და მშვიდობის, ცხოვრების დონის ამაღლების და რიგი სხვა საკითხების გადაწყვეტისაკენ.

ა.მ. აღმოცენდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XX ს. 70-იან წლებში, პირველ რიგში – გფრ-სა და საფრანგეთში. მოგვიანებით ისინი გაჩნდნენ პრაქტიკულად დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, აგრეთვე აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში, ავსტრალიაში და ა.შ. ისინი აღმოცენდნენ აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ამ მოძრაობების აღმოცენებისა და სწრაფი გავრცელების მიზეზია მთელი რიგი აქტუალური საკითხების – ეკოლოგიის, გამალებული შეიარაღების, მილიტარიზაციის, რეგიონული კონფლიქტების და ა.შ. გადაუწყვეტლობა და გამწვავება.

ა.მ. განირჩევიან არა მარტო პრობლემატიკით, არამედ სოციალური შემადგენლობითაც. მათში მონაწილეობს თანამედროვე საზოგადოების ყველა ფენა, მაგრამ რაოდენობრივად სჭარბობენ მოსახლეობის საშუალო ფენების წარმომადგენლები. დემოგრაფიული თვალსაზრისით კი მათში იგრძნობა ახალგაზრდობის სიმრავლე.

ა.მ-ის აქტიურობამ მიიღო სხვადასხვა ფორმები – დაწყებული არაფორმალური მოძრაობებიდან, პარტიული და საპარლამენტო საქმიანობით დამთავრებული. თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე მეტად განვითარებულია ეკოლოგიური მოძრაობა, რომელმაც მრავალ ქვეყანაში შექმნა „მწვანეთა" პარტიები, გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და ჩამოაყალიბა საერთაშორისო ორგანიზაცია (მაგ., „გრინპის" და სხვ.), აგრეთვე ერთიანი ფრაქცია *ევროპარლამენტში.*

არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმა ა.მ-ისა არის მასობრივი მოძრაობა მშვიდობისა და განიარაღებისათვის. მასთანაა დაკავშირებული მოძრაობა სამოქალაქო უფლებებისათვის, რომელმაც ზოგიერთ ქვეყანაში „პროფესიათა აკრძალვის" საწინააღმდეგო მოძრაობის ფორმები მიიღო, აგრეთვე მოძრაობები განვითარებადი ქვეყნებისათვის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისათვის მხარდასაჭერად.

ა.მ-ის ყველაზე მეტად გავრცელებული, მაგრამ ნაკლებორგანიზებული და ნაკლებმომწიფებული ფორმაა „სამოქალაქო ინიციატივები", რომელიც იბრძვის რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის ან გარკვეული პროექტის განხორციელების მოთხოვნით.

მიუხედავად ჭრელი სოციალური შემადგენლობისა, კონცეფციების მოზაიკური ხასიათისა და სხვადასხვაგვარი სიძლიერის სოციალური აქტივობისა, ა.მ-ს აერთიანებს კრიტიკული დამოკიდებულება თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მოვლენისადმი.

ა.მ-ის ცნობილი თეორეტიკოსები დასავლეთში არიან ი. ილიჩი. ტ. ებერმანი, რ. ტრამპერტი, პ. კელი, ტ. ებერტი და სხვები.

**ალტრანშტედტის საზავო ხელშეკრულება 1706**, დაიდო ალტრანშტედტში, საქსონიაში (გერმანია), 24.IX შვეციის მეფე კარლოს XII-სა და საქსონიის კურფიურსტ (იგივე პოლონეთის მეფე) ავგუსტ II-ს შორის, შვეციის მიერ ჩრდილოეთის ომის დროს პოლონეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკავებისა და მისი საქსონიაში შეჭრის შემდეგ. ამ ხელშეკრულებით ავგუსტ II-მ უარი თქვა პოლონეთის ტახტზე და რუსეთთან კავშირზე, გადასცა შვედებს კრაკოვი და სხვა სიმაგრეები. პოლტავასთან რუსების მიერ შვედების დამარცხების შემდეგ, 1709 ავგუსტმა ა.ს.ხ. გაუქმებულად გამოაცხადა.

ლიტ.: Du Mont J., Corps universel diplomatique..., t.8, pt.1, p.204-06.

**ალფანი** (Alphand) ერვე ჟან-შარლ (დ.1907), ფრანგი ეკონომისტი და დიპლომატი. 1933 – ფინანსთა მინისტრის კაბინეტის უფროსის მოადგილე, 1935-36 – კაბინეტის უფროსი. 1934 მუშაობდა საფრანგეთის მისიაში თურქეთში. 1936 – სსრკ-ში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ფინანსების საკითხებში. 1936-37 – ვაჭრობის მინისტრის კაბინეტის უფროსი, 1937-38 – ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო შეთანხმებათა სამმართველოს უფროსი; 1938-40 – ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს გენერალური მდივანი, 1940-41 – აშშ-ში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი ფინანსურ საკითხებში; 1941-44 – საფრანგეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის ეკონომიკური და ფინანსური საკითხების განყოფილების უფროსი, 1944-48 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური და ფინანსური საკითხების სამმართველოს გენერალური დირექტორი; 1948-50 – საფრანგეთის წარმომადგენელი ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში; 1950-51 – ნატოს საბჭოში საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე, ხოლო 1951-54 – მუდმივი წარმომადგენელი. 1955-56 – საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერო-ში. 1956-65 – საფრანგეთის ელჩი აშშ-ში, 1965-72 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი, იმავდროულად 1965-73 – ატომური ენერგიის კომიტეტის წევრი. 1974-დან თადარიგშია.

**ალფანი** (Alphand) შარლ-ერვე (1879-1942), ფრანგი დიპლომატი. 1902-დან დიპლომატიურ სამსახურშია. 1917-18 – ოკუპირებულ ქვეყნებში, შემდეგ რუსეთსა და რუმინეთში კერძო ქონებისა და ინტერესების ბიუროს უფროსი, 1926-30 – საფრანგეთის დელეგაციის წევრი სსრკ-თან მოლაპარაკებაში. 1930-32 – საფრანგეთის დესპანი ირლანდიაში; 1932-33 – ფინანსთა მინისტრის კაბინეტის უფროსი, 1933-36 – საფრანგეთის ელჩი სსრკ-ში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულების (1935) მომზადებაში. 1940 უარი განაცხადა შვეიცარიაში ელჩის თანამდებობაზე და დატოვა დიპლომატიური სამსახური.

**ალფ-არსლანი** ადუდ ად-დაულა აბუ შუჯა მუჰამედ იბნ დაუდ ჩაღრი-ბეგ (დაახლ. 1032-72), დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს მეორე სულთანი 1063-დან. წარმატებით ებრძოდა ბიზანტიას. 1071 განაფხულზე ვანის ტბის (სომხეთი) მიდამოებში, მანასკერტთან, სასტიკად დაამარცხა და დაატყვევა ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ IV დიოგენე. ამის შემდეგ სელჩუკებმა დაიპყრეს ბიზანტიის აღმოსავლური პროვინციები და მათ გზა გაეხსნათ მცირე აზიისკენ. 1064 დალაშქრა აზერბაიჯანი და სომხეთი. 1064 და 1068 წლებში ორჯერ შემოესია და მოაოხრა საქართველო. პირველი შემოსევის დროს დაქორწინდა *ბაგრატ IV-ის* დისშვილზე (ტაშირ-ძორაგეტის მეფის კვირიკეს ძმისშვილზე), რომელსაც მალე გაშორდა და მიათხოვა თავის ვეზირს ნიზამ ალ-მულქს. მეორე შემოსევის დროს კახეთის მეფე აღსართან I-მა მას მორჩილება გამოუცხადა და ისლამი მიიღო. ა.-ა-მა თბილისი უბოძა განძის შადადიან გამგებელს ფადლონს. მისი ცდა, აეძულებინა ბაგრატ IV, მიეღო ისლამი ან დამორჩილებოდა მას, უშედეგოდ დასრულდა. მოკლეს შუა აზიის ყარახანიანებზე ლაშქრობის დროს, დაკრძალეს ქმერეში.

**ალშიბაია** გრიგოლ (დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი უცნობია), ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. დამფუძნებელი კრების წევრი, პროფესიით ექიმი. 1919-20 მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად (ელჩად) აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. მონაწილეობდა კავკასიის რესპუბლიკების კონფერენციებში – 1919-20 წლების აპრილი. 1921-დან – ემიგრანტი.

**ალხესირასის კონფერენცია 1906**, შედგა 15.I-7.IV. ალხესირასში (ესპანეთი). მოწვეულ იქნა გერმანიის ინიციატივით, რომელსაც სურდა მაროკოში გამაგრება და იქიდან საფრანგეთის გაძევება, ეს უკანასკნელი ცდილობდა აქ საკუთარი პროტექტორატის დამყარებას. მაროკოში საფრანგეთ-გერმანიის მეტოქეობამ 1905 გამოიწვია მძაფრი საერთაშორისო კონფლიქტი (იხ. *მაროკოს კრიზისები*) და იქცა ა.კ-ის მოწვევის საბაბად. მასში მონაწილეობდა 11 ევროპული სახელმწიფო (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, ავსტრია-უნგრეთი, რუსეთი, იტალია, ესპანეთი, ბელგია, ნიდერლანდები, პორტუგალია და შვეცია), აგრეთვე აშშ და მაროკო. ა.კ-მ ფორმალურად აღიარა მაროკოს სულთნის დამოუკიდებლობა, „მისი სახელმწიფოს მთლიანობა", მაროკოში ყველა ხალხისათვის „ეკონომიკური თავისუფლება და სრული თანასწორობა". მაგრამ სინამდვილეში გაკეთდა სხვა – შეიქმნა მაროკოს სახელმწიფო ბანკი დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ესპანეთისა და საფრანგეთის კონტროლით. მაროკოს პოლიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა საფრანგეთსა და ესპანეთს. მაროკოს საბაჟოებზე დაწესდა საერთაშორისო კონტროლი. ასე რომ, გერმანიამ ოდნავადაც ვერ მოახერხა საკუთარი პოზიციების გაძლიერება მაროკოში.

**ამაზასპი**, ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელი, ქართლის მეფე III საუკუნის შუახანებში; იხსენიება ირანის სასანიანი შაჰან-შაჰის *შაბურ I* ქააბა-ი-ზარდოშტის წარწერაში, „მოქცევაჲ ქართლისაჲში", „ქართლის ცხოვრებაში". ა-ის საგარეო-პოლიტიკური კურსი კარდინალური გადახრაა ტრადიციული რომანოფილური პოზიციებიდან, ის უკვე პროირანულია. ქართლის მეფეს ძლიერი პროიომაული ოპოზიცია ჰყავდა ქვეყანაში, რომელთანაც ბრძოლაში ის დამარცხდა და დაიღუპა. მისი მმართველობა ორსაუკუნოვანი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის გადასინჯვის პირველი სერიოზული ცდა იყო.

წყარო: „მოქცევაჲ ქართლისაჲ", შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ.გიგინეიშვილის და ელ.გიუნაშვილის გამოც., თბ., 1979; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.I, თბ., 1955.

ლიტ.: Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

**ამაზონის პაქტი** (El Pacto Amazonico), სუბრეგიონული ეკონომიკური დაჯგუფება ლათინურ ამერიკაში, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, გაიანა, კოლუმბია, პერუ, სურინამი და ეკვადორი. დაარსდა ბრაზილიის ინიციატივით. ა.პ-ის მიზანია მონაწილე ქვეყნების მიერ თანამედროვე მეთოდებით მდ.ამაზონის (7 მლნ კვ.კმ) დაჩქარებული და რაციონალური ათვისება. ა.პ-ის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა 3.VII. 1978 ქ.ბრაზილიაში და შედგება 28 მუხლისაგან. მასში გათვალისწინებულია ჰიდრორესურსების ათვისება, სამდინარო ნაოსნობის პირობების გაუმჯობესება, ფლორისა და ფაუნის გამოკვლევა-გამოყენება,

ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა და ა.შ. მხარეები შეთანხმდნენ მდ.ამაზონსა და მის შენაკადებზე ნაოსნობის თავისუფლების შესახებ თავთავიანთი საზღვრების ფარგლებში, ადგილობრივი კანონმდებლობის დაცვის პირობით. ხელშეკრულება ითვალისწინებს ლათინური ამერიკის სხვა საინტეგრაციო გაერთიანებებთან თანამშრომლობასაც. ა.პ-ის უმაღლესი ორგანოა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი, აღმასრულებელი ორგანო – ამაზონის თანამშრომლობის საბჭო.

**ამასიის ზავი 1555,** დაიდო 29 მაისს ირანსა და ოსმალეთს შორის ხანგრძლივი, 1514-55 ომის შემდეგ, რომელიც ხანგამოშვებით მიმდინარეობდა. ხელშეკრულებით ორივე სახელმწიფოს დარჩა ის ტერიტორიები, რომლებსაც ისინი ფლობდნენ ა.ზ-ის დადების მომენტში: სეფიანთა ირანს – შაქი, შირვანი, ყარაბაღი, აღმ. სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმ. ქურთისტანი. ოსმალეთს დარჩა ერაყი, დას. ქურთისტანი, დას. სომხეთი, სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. საქართველოს დანარჩენი ტერიტორია ირანმა და ოსმალეთმა გავლენის სფეროებად გაინაწილეს: ირანმა ცნო ოსმალეთის უზენაესი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთმა ირანისა აღმოსავლეთ საქართველოზე. ირან-ოსმალეთის 21.III. 1590 სტამბულის ხელშეკრულებით ა.ზ. დაირღვა, მაგრამ 20.XI.1612 ხელშეკრულებით იგი კვლავ აღადგინეს.

**ამერიკა-გერმანიის ხელშეკრულება 1921,** ხელი მოაწერეს ბერლინში 25.VIII, ძალაში შევიდა 11.XI. ა.-გ.ხ. მრავალი მუხლით იმეორებდა 1919 ვერსალის საზავო ხელშეკრულების იმ მუხლებს, რომლებიც აშშ-ს აწყობდა. სეპარატული ხელშეკრულება არ შეიცავდა იმ ნაწილებს, რომლებიც ეხებოდა ერთა ლიგას, და ტერიტორიულ ცვლილებებს, აგრეთვე კოლონიებს.

ა.-გ.ხ-ის პირველი ნაწილი შეიცავდა აშშ-ის კონგრესის სპეციალური რეზოლუციის ნაწილებს, რომელთა მიხედვითაც აშშ-სა და მის მოქალაქეებს უნარჩუნდებოდათ ის უფლებები, პრივილეგიები, ანაზღაურებები, რეპარაციები და სარგებელი, რომლებიც აშშ-მა და მისმა მოქალაქეებმა მიიღეს გერმანიასთან 1918 დადებული საზავო ხელშეკრულებით, ვერსალის საზავო ხელშეკრულების თანახმად და აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. აშშ ამ რეზოლუციის თანახმად ინარჩუნებდა ომის დროს სეკვესტრირებულ დაახლოებით 800 მლნ დოლარის გერმანულ საკუთრებას.

ა.-გ.ხ-ის მეორე ნაწილში გადმოცემული იყო აშშ-ის უფლებები, უპირატესობები და დათქმული იყო, რომ აშშ არ შეიზღუდებოდა ერთა ლიგის წესდებით და მისი მოქმედებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რაზედაც აშშ აცხადებდა თანხმობას. ა.-გ.ხ. ადასტურებდა წინააღმდეგობის ზრდას აშშ-სა და ანტანტას შორის პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

წყარო: M a l l o y W. M., Treaties, conventions, international acts, protocols and agreements between the United States of America and Other Powers. 1910-1923, vol 3, Wash., 1923, p.2596-99.

**ამერიკა-დასავლეთ გერმანიის შეთანხმება 1982** („ომის ან კრიზისის შემთხვევაში მიმღები ქვეყნის მხრიდან მხარდაჭერის შესახებ"), ხელმოწერილია ბონში 15.IV. ითვალისწინებდა იმ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის შექმნას, რომელიც აშშ-ს ომის ან კრიზისის შემთხვევაში გფრ-ის ტერიტორიაზე 10 დღის განმავლობაში 6 ამერიკული დივიზიისა და 1 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავის გადმოსროლისა და განლაგების საშუალებას მისცემდა. ამასთან, გფრ-ის მთავრობა კისრულობდა ვალდებულებას, დაეცვა აშშ-ის ქვეითი ჯარების 39 და სამხედრო-საჰაერო ძალების 18 ობიექტი, უზრუნველეყო 26 ბაზაზე აშშ-ის თვითმფრინავების რემონტი, სატრანსპორტო გადაზიდვები, მოემზადებინა დასავლეთ გერმანიის 13 აეროდრომი. ა.-დ.გ.შ-ის შესასრულებლად გფრ-ში უნდა შეექმნათ სპეციალური „მხარდაჭერის კორპუსი" დაახლოებით 93 ათასი კაცის შემადგენლობით ბუნდესვერის რეზერვისტებისაგან. ა.-დ.გ.შ-ით გათვალისწინებული მუხლების შესრულების ხარჯები ნაწილდებოდა მხარეებს შორის. ა.-დ.გ.შ-ის შესრულების კონტროლისათვის იქმნებოდა სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი.

ა.-დ.გ.შ-მ ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ დაკარგა მნიშვნელობა.

ლიტ.: Bundesgesetzblatt. 1982, Tl.2, N18, Bonn, 1982, 22.IV.

**ამერიკა-ესპანეთის შეთანხმებები და ხელშეკრულება,** 1. 1953 შეთანხმება „ეკონომიკური დახმარების შესახებ", „ურთიერთთავდაცვის მიზნით დახმარების შესახებ" და „თავდაცვის შესახებ", ხელი მოაწერეს 26.IX მადრიდში. შეთანხმებით „თავდაცვის შესახებ" აშშ ესპანეთის ტერიტორიაზე ღებულობდა 3 სამხედრო-საჰაერო და 1 სამხედრო-საზღვაო ბაზის მშენებლობისა და გამოყენების უფლებას. ომის გაჩაღების შემთხვევაში ბაზები, ესპანეთის მთავრობის თანხმობით, შეიძლებოდა გადასცემოდა ამერიკის სარდლობას. აშშ-მა აიღო ვალდებულება, დახმარებოდა ესპანეთს მისი ჯარის თანამედროვე იარაღით აღჭურვაში. 1963 26.IX იგი 5 წლით გაგრძელდა. ამასთან მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თავდაცვის საკითხზე მუდმივი საკონსულტაციო კომიტეტის შექმნის თაობაზე. 1966 ესპანეთის მთავრობამ აკრძალა ატომური იარაღით აღჭურვილი ამერიკული თვითმფრინავების მიერ ესპანეთის საჰაერო სივრცის გამოყენება.

წყარო: Treaties and Other International Acts Series (TIAS), N2849-51.

2. 1970 შეთანხმება „ბაზების შესახებ" (ე.წ. „კონვენცია ესპანეთსა და აშშ-ს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ"), ხელი მოაწერეს 6.VIII ვაშინგტონში. ესპანეთმა რამდენადმე შეზღუდა აშშ-ის მიერ ბაზების თავისუფალი გამოყენების მოქმედება. მიაღწია მათთვის საიჯარო გადასახადის გადიდებას. საკონსულტაციო კომიტეტი გადაიქცა თავდაცვის საკითხში ერთობლივ საკოორდინაციო კომიტეტად. აშშ სესხის სახით ესპანეთს აძლევდა 120 მლნ დოლარს.

წყარო: TIAS, N6924.

3. 1976 ხელშეკრულება „მეგობრობისა და თანამშრომლობაზე", ხელი მოაწერეს 24.I მადრიდში. აშშ იტოვებდა სამხედრო ბაზების გამოყენების უფლებას, სამაგიეროდ, ვალდებულებას იღებდა, 5 წლის განმავლობაში ესპანეთისათვის გაეწია სამხედრო და ეკონომიკური დახმარება 1250 მლნ დოლარის ოდენობით. გაეყვანა 1979 1.VII ბირთვული იარაღით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები. 1976 დამტკიცდა ესპანეთ-ამერიკის საბჭო, რომლის ჩარჩოში ჩამოყალიბდა სამხედრო კომიტეტი, სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ადმინისტრაციული პრობლემების გაერთიანებული კომიტეტი. 1977 საბჭოს ჩარჩოში შეიქმნა ნატოსთან საკოორდინაციო სპეციალური კომისია – ერთობლივი ორგანო დასავლეთის თავდაცვისათვის.

წყარო: TIAS, N8360.

4. 1982 ხელშეკრულება „მეგობრობის, თავდაცვისა და თანამშრომლობის შესახებ“, ხელი მოაწერეს 2.VII მადრიდში. ადასტურებდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების უფლებას, გამოეყენებინა სამხედრო-საჰაერო ძალების 3 და სამხედრო-საზღვაო ძალების 1 ბაზა ესპანეთის ტერიტორიაზე, იმ პირობებში, როცა იგი გახდა ნატოს წევრი. სამაგიეროდ, აშშ ესპანეთს 2 მილიარდი დოლარის დახმარებას აძლევდა.

**ამერიკა-ესპანეთის ხელშეკრულება 1795,** იხ. *მადრიდის ხელშეკრულება 1795.*

**ამერიკათაშორისო განვითარების ბანკი (Inter-American Development Bank - IADB),** დაარსდა *ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის* წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე 8.IV.1959. საბანკო ოპერაციები დაიწყო 1.X.1960 წ-დან. ა.გ.ბ-ის წევრია 48 ქვეყანა (1984 მონაცემებით), მათ შორის აშშ და ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის 25 ქვეყანა და 17 სხვა, უმთავრესად, ევროპული ქვეყნები. ა.გ.ბ-ის ძირითადი მიზანია ლათინური ამერიკის ქვეყნების განვითარების პროექტების დაფინანსება, რეგიონში კერძო და სახელმწიფო კაპიტალის მიზიდვა, მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი საგარეო ვაჭრობის განვითარება. მისი ხელმძღვანელი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელშიც ხმები ნაწილდება ბ-ის კაპიტალში შენატანის პროპორციულად. წესდების მიხედვით ა.გ.ბ-ის წევრ ყოველ ქვეყანას გააჩნია 135 ხმა პლუს 162 ყოველ ზედმეტად შეტანილ 10 ათას დოლარზე. ა.გ.ბ-ის შტაბ-ბინა იმყოფება ვაშინგტონში. გამოსცემს საინფორმაციო წელიწდეულებს ("Annual Report", 1961-დან).

**ამერიკათაშორისო კონფერენციები,** აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციები, რომლებიც 1889-1954 იქნა მოწვეული. 1948-მდე ოფიციალურად იწოდებოდა ამერიკული სახელმწიფოების საერთაშორისო კონფერენციებად, ზოგჯერ – პანამერიკულ კონფერენციებად.

XIX ს. 80-იან წლებში, ლათინური ამერიკის ქვეყნების თავის გავლენის ქვეშ მოქცევის მიზნით, აშშ-მა აქტიური საქმიანობა გააჩაღა ყველა ამერიკული ქვეყნის მონაწილეობით. პირველი ა.კ. ჩატარდა ვაშინგტონში (იხ. *ვაშინგტონის კონფერენცია 1889-90*), მეორე – მეხიკოში (22.X.1901 – 31.I.1902), მესამე – რიო-დე-ჟანეიროში (23.VII.-27.VIII.1906), მეოთხე – ბუენოს-აირესში (12.VII-30.VIII.1910), მეოთხე კონფერენციით დამთავრდა პანამერიკული კავშირის ფორმირება, რომელშიც აშშ ცდილობდა ეთამაშა წამყვანი როლი. ა.კ. გახდა ამ კავშირის უმაღლესი ორგანო.

მეორე მსოფლიო ომამდე ჩატარდა ორი (იხ. *გონდრას ხელშეკრულება 1923, ჰავანის კონფერენცია 1928, ლიმის დეკლარაცია 1938*), აგრეთვე ა.კ. „მშვიდობის შენარჩუნების შესახებ“ (იხ. *ბუენოს-აირესის კონფერენცია 1936*).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ა.კ-ის ფუნქციები გადაეცა ლათინური ამერიკის ქვეყნებისა და აშშ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო შეხვედრებს (იხ. *პანამის თათბირი 1939, ჰავანის დეკლარაცია 1940, რიო-დე-ჟანეიროს თათბირი 1942*). 1945 შედგა ა.კ. ომისა და მშვიდობის საკითხების შესახებ (იხ. *ჩაპულტეპეკის დეკლარაცია 1945*). აქ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე 1947 მოიწვიეს ა.კ. მშვიდობის დაცვისა და უშიშროების შესახებ (იხ. *რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულება 1947*). მეცხრე ა.კ-ზე ბოგოტაში (იხ. *ბოგოტის კონფერენცია 1948*) დამთავრდა ამერიკის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური რეგიონული დაჯგუფების – ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის შექმნა. ამ ორგანიზაციის წესდების მიხედვით, ა.კ. რეგულარულად უნდა მოწვეულიყო, როგორც ამ ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო, მაგრამ ფაქტობრივად ჩატარდა მხოლოდ მეათე მორიგი ა.კ (იხ. *კარაკასის კონფერენცია 1954*). ყველა სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხი იხილებოდა საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო შეხვედრებზე და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოში.

ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის შემდეგ, რაც მოხდა 1964-67 I, II, III საგანგებო კონფერენციაზე, ამ ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო გახდა გენერალური ასამბლეა, რომელიც მოიწვევა ყოველ წელს, და სპეციალური სესიები. ამერიკათაშორის სისტემის ფარგლებში ეწყობა საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო შეხვედრები, აგრეთვე კონფერენციები და კონგრესები ეკონომიკურ, სამეცნიერო, კულტურის და სხვა საკითხებზე.

*ლიტ.:* Гвоздарев Б.И., Организация американских государств, М., 1960; Fernandez-Show F., La Organización de los Estados Americanos, Madrid, 1965; Organization of American States, Wash., 1972.

**ამერიკა-თურქეთის შეთანხმება 1980** (თანამშრომლობის შესახებ თავდაცვისა და ეკონომიკის დარგში), ხელი მოაწერეს 29.IV ანკარაში. ა.-თ.შ. აგვარებდა ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების თურქეთში ყოფნის სახელშეკრულებო-სამართლებრივ საფუძველს. ამერიკამ მიიღო აგრეთვე თურქეთის რამდენიმე სამხედრო ბაზის გამოყენების უფლება „ნატოსთან ვალდებულების პირობით“ და სადაზვერვო ინფორმაციის ერთობლივად გამოყენებით.

**ამერიკა-იაპონიის ხელშეკრულებები და შეთანხმებები,**
1. 1919 შეთანხმება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზისა და ციმბირის რკინიგზის ზედამხედველობის შესახებ, ხელი მოაწერეს 9.I ტოკიოში. 1918 აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზასა და ციმბირის რკინიგზა აშშ-ის, იაპონიის, ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს. აღნიშნულ ტერიტორიაზე კონტროლი მათვე უნდა განეხორციელებინათ, მაგრამ ინტერვენციის დამარცხების შემდეგ მან ძალა დაკარგა.

*პუბლ.:* Гримм Э.Д., Сборник договоров и других документов по истории международных отношений на Дальнем Востоке (1842-1925), М., 1927, с.198-99.

2. 1951 უშიშროების ხელშეკრულება, ხელი მოაწერეს 8.IX სან-ფრანცისკოში, რომლითაც გაფორმდა აშშ-ისა და იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. აშშ-მა მიიღო უფლება, იაპონიაში ჰყოლოდა თავისი შეიარაღებული ძალები და გამოეყენებინა საკუთარი შეხედულებისამებრ შორეული აღმოსავლეთის ყველა რაიონში. მან ძალა დაკარგა 1960 შემდეგ.

*პუბლ.:* TIAS, N2491.

3. 1952 ადმინისტრაციული შეთანხმება, ხელი მოაწერეს 28.II ტოკიოში. აფიქსირებდა ამერიკის ჯარის უფლებას იაპონიის ტერიტორიაზე.

4. 1953 ხელშეკრულება მეგობრობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ, ხელი მოაწერეს 2.IV ტოკიოში. ორივე მხარის მოქალაქეებსა და კომპანიებს უფლებას აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობაში.

*პუბლ.:* TIAS, N2863.

5. 1954 შეთანხმებას ხელი მოაწერეს 8.III ტოკიოში. შეიცავს დახმარებას ურთიერთთავდაცვის დარგში, სამხედრო აღჭურვილობისა და მასალის დაბრუნებას, კაპიტალდაბანდებათა გარანტიებს, სოფლის მეურნეობის საქონლის შესყიდვას. შეთანხმებაში პირველად ხაზგასმული იყო იაპონიისადმი ამერიკის სამხედრო დახმარების შესახებ.

*ლიტ.:* TIAS, N2957-60.

6. 1960 ხელშეკრულება ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების გარანტიების შესახებ, ხელი მოაწერეს 19.I ვაშინგტონში. 1969 გააგრძელეს განუსაზღვრელი ვადით. ხელშეკრულებით აშშ-ს განუმტკიცდა უფლება, იაპონიის ტერიტორიაზე ჰყოლოდა სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები, ჰქონოდა სამხედრო ბაზები. იაპონია ვალდებულებას იღებდა გაეფართოებინა თავისი სამხედრო ძალები.

*ლიტ.:* Договор о взаимном сотрудничестве и безопасности между США и Японией, М.,1960; TIAS, N4510.

7. 1971 შეთანხმება კუნძულების – რიუკიუს და დაიტოს თაობაზე, ხელი მოაწერეს 17.VI ერთობლივად ვაშინგტონსა და ტოკიოში. აშშ-მა იაპონიის სასარგებლოდ უარი განაცხადა *სან-ფრანცისკოს საზავო ხელშეკრულების მე-3 მუხლზე*, იაპონიამ კი მიიღო ყველა პასუხისმგებლობა და რწმუნება კუნძულების – რიუკიუსა და დაიტოს თაობაზე.

*ლიტ.:* TIAS, N7314.

**ამერიკა-ინგლისის კონფლიქტი მექსიკასთან 1938**, გამოიწვია მექსიკის მთავრობის გადაწყვეტილებამ ნავთობის უცხოური კერძო კომპანიების ნაციონალიზაციის შესახებ. კომპანიები ნაწილობრივ ინგლის-ჰოლანდიისა და ამერიკის კაპიტალს ეკუთვნოდა. აშშ-ის მთავრობამ მექსიკის მთავრობას ნაციონალიზებული საკუთრების ღირებულებათა დაუყოვნებლივი ანაზღაურება მოსთხოვა ამერიკისა და ინგლისის ნავთობის კომპანიებმა მექსიკის ნავთობს ბოიკოტი გამოუცხადეს. მექსიკის მთავრობამ უარი განაცხადა ანაზღაურებაზე და ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. კონფლიქტი გაჭიანურდა. 1942 22.XI ინგლის-მექსიკის დიპლომატიური ურთიერთობა აღდგა. 1942 მიაღწიეს შეთანხმებას აშშ-თან 23,9 მლნ დოლარის გადახდის თაობაზე კომპენსაციის სახით. 1947 კი ანალოგიური შეთანხმება დაიდო ინგლისთანაც.

*ლიტ.:* Очерки новой и новейшей истории Мексики (1810-1945), М.,1960, с.409-15.

**ამერიკა-ინგლისის შეთანხმებები** (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ), მიღწეული იყო უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებათა დროს, რომელიც ტარდებოდა 1950-დან და ე.წ. ინგლის-ამერიკის „განსაკუთრებული ურთიერთობის" მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა. ა.-ი.შ. უმრავლეს შემთხვევაში ზეპირი შეთანხმების ფორმით ერცელდებოდა და ხშირად ოფიციალური დოკუმენტის სახით არ ფორმდებოდა, მაგრამ ისინი არსებით გავლენას ახდენდნენ დასავლეთის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკურ ფორმირებაზე. პრემიერ-მინისტრ კ. *ეტლისა* და პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ნატოს ქვეყნების გადაიარაღების პროგრამის შედგენისა და ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის პოსტის შემოღების შესახებ. აშშ-ისა და ინგლისის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო *ბერმუდის თათბირი* (1957) პრემიერ-მინისტრ ჰ. *მაკმილანსა* და პრეზიდენტ დ.ეიზენჰაუერს შორის 23-25.X. შეხვედრაზე გადაწყდა დასავლეთის ქვეყნებს შორის სამოკავშირეო ურთიერთობათა განმტკიცება, ყველა საკითხის კოორდინირება, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთო ფრონტით გამოსვლა, ბირთვული და რაკეტული იარაღის წარმოების გაფართოება, აგრეთვე ევროპაში საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტების განლაგება და ნატოს სარდლობისათვის მისი გადაცემა. 1959 შეთანხმების საფუძველზე გადაწყდა ოთხი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, (იხ.*ჟენევის თათბირები 1954-59*). 1960 ეიზენჰაუერისა და მაკმილანის შეთანხმებით ინგლისს ამერიკისაგან უნდა შეეძინა რაკეტა „სკაიბოლტი", რომელიც ინგლისის ბირთვული შეიარაღების ძირითადი ძალა უნდა გამხდარიყო. თერმობირთვული თანამშრომლობა ცენტრალური საკითხი გახდა *ნასაუს თათბირზე 1962*, ხოლო შემდგომ დაიდო 1971 *ხუთმხრივი შეთანხმება თავდაცვის შესახებ* სინგაპურში. 1979 ჯ. კარტერისა და მ. *ტეტჩერის* შეხვედრის დროს გადაწყდა ამერიკული რაკეტის „პერშინგ-2"-ის დასავლეთ ევროპაში განლაგება.

**ამერიკა-ირანის ხელშეკრულებები და შეთანხმებები**,

1. 1856 ხელშეკრულება მეგობრობასა და ვაჭრობაზე, ხელი მოაწერეს 13.XII სტამბულში ინგლის-ირანის ომის დროს ჰერათის გამო (ჰერათის კონფლიქტები, ინგლის-ირანის ხელშეკრულებები და შეთანხმებები). საფუძველი ჩაუყარა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას ირანსა და აშშ-ს შორის. აშშ-ში გავრცელდა *თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებით* გათვალისწინებული მსგავსი პრივილეგიები, მათ შორის *კაპიტულაციის რეჟიმი*.

2. 1943 შეთანხმება ვაჭრობაზე, ხელი მოაწერეს 8.IV ვაშინგტონში. უზრუნველყოფდა აშშ-ის გაბატონებულ მდგომარეობას ირანის საგარეო ვაჭრობაში, ითვალისწინებდა *უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს* გადასახადების აკრეფისა და სხვა საკითხებში.

3. 1947 შეთანხმება ამერიკის სამხედრო მისიის შესახებ ირანში, ხელი მოაწერეს 6.X თეირანში. შეთანხმებით აშშ-ს უფლება ჰქონდა, გაეგზავნა ირანში სამხედრო მისია გენშტაბისა და თავდაცვის სამინისტროს ყველა დეპარტამენტის ძირითადი სამუშაოს გასაცნობად.

4. 1950 შეთანხმება ურთიერთდახმარების შესახებ თავდაცვის მიზნით, ხელი მოაწერეს 23.V ვაშინგტონში. აშშ-ის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, გაეწია ირანისათვის სამხედრო დახმარება მოწყობილობის, მასალისა და სხვა სახით.

5. 1955 ხელშეკრულება მეგობრობის, ეკონომიკური ურთიერთობათა და საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, ხელი მოაწერეს 15.VII თეირანში, ითვალისწინებდა კონსულთა გაცვლას, ვაჭრობისა და ნავიგაციის თავისუფლებას.

6. 1959 შეთანხმება (ანკარის სამხედრო შეთანხმება), ხელი მოაწერეს 5.III ანკარაში. ირანის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში აშშ „მიიღებდა ყველა აუცილებელ ღონისძიებას, შეიარაღებული ძალების გამოყენებითაც". აშშ-მა გამოთქვა მზადყოფნა ერთობლივი სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიების განხორციელებისათვის. ანალოგიური შეთანხმებები დაიდო თურქეთთან და პაკისტანთან.

*ლიტ.:* Keesing's Contemporary Archives. 1959-60, vol.12, p.167-49.

7. 1961 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 21.XII თეირანში. ითვალისწინებდა ამერიკის მისიისათვის დიპლომატიურ ხელშეუხებლობასა და ირანში შეტანილი ყველა საქონლის ბაჟისა თუ გადასახადისაგან განთავისუფლებას.

1979 ირანის რევოლუციამ და შაჰის ხელისუფლების დამხობამ დიდი ზიანი მიაყენა აშშ-ის პოზიციას ირანში.

**ამერიკა-ისრაელის შეთანხმებები 1975-81**, 1. 1975 შეთანხმება. 1975 წლის ოქტომბერში აშშ-ის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის გადაწყვეტილებით გამოქვეყნდა ზოგიერთი შეთანხმება, რომელსაც ხელი მოაწერეს იმავე წელს და ცნობილია საერთო სახელწოდებით – „მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ აშშ-ისრაელსა და აშშ-ეგვიპტეს შორის". დოკუმენტები მოიცავენ:

ა) „ამერიკა-ისრაელის ძირითად შეთანხმებას", რომლითაც აშშ მხარს უჭერს 1975 ისრაელ-ეგვიპტის შეთანხმებას სინაის ნახევარკუნძულიდან ისრაელის ჯარების გაყვანის შესახებ და კისრულობს ვალდებულებას, ხანგრძლივი ვადით დააკმაყოფილოს ისრაელის მოთხოვნები უახლესი სამხედრო ტექნიკით, აღმოუჩინოს ეკონომიკური დახმარება, განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში. ითვალისწინებდა მხარეთა შორის კონსულტაციებს ეგვიპტის მიერ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე ზემოქმედებას გაეროს უშიშროების საბჭოზე იმ გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, რომლებიც „უარყოფითად იმოქმედებენ" მის შესრულებაზე.

ბ) „დამატება სამხედრო და ეკონომიკური დახმარების შესახებ" ითვალისწინებდა აშშ-ის მხრიდან ისრაელისათვის ყოველმხრივი მხარდაჭერის აღმოჩენას და ამის თაობაზე ყოველ წელიწადს წინადადებების შეტანას აშშ-ის კონგრესში დასამტკიცებლად.

გ) „დაპირებანი ჟენევის სამშვიდობო კონფერენციის თემაზე" ითვალისწინებდა, რომ ახლო აღმოსავლეთის შესახებ ახალი კონფერენციის მოწვევის თარიღი შეთანხმებული უნდა ყოფილიყო აშშ-სა და ისრაელს შორის. აშშ იღებდა ვალდებულებას, კვლავაც გაეგრძელებინა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის არცნობის პოლიტიკა და აცხადებდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა მოლაპარაკება კონფერენციაზე ძირითადი საკითხების შესახებ წარმართულიყო ორმხრივ საფუძველზე, ე.ი. ისრაელსა და ცალკე მეზობელ სახელმწიფოს შორის.

დ) „აშშ-ის ვალდებულებები ეგვიპტის წინაშე" ითვალისწინებდა აშშ-ის მხრიდან სირიასა და ისრაელს შორის მოლაპარაკებისათვის ხელშეწყობას, ჯარების დაშორიშორების უზრუნველყოფას ისრაელის მხრივ ეგვიპტე-ისრაელის ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში და ეგვიპტისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენას ადრეული გაფრთხილების სისტემების ორგანიზაციის საქმეში.

2. „**მემორანდუმი ისრაელის უშიშროების შესახებ**", ხელი მოაწერეს 1979 წლის 26 მარტს 1979 ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით. აშშ ადასტურებდა, რომ მიიღებდა „სათანადო ღონისძიებებს" სამშვიდობო ხელშეკრულების პირობების დასაცავად და გამოიყენებდა დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სამხედრო ღონისძიებებს ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

3. **შეთანხმება „მემორანდუმი ურთიერთგაგების შესახებ" სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროში**, ხელი მოაწერეს 30.X.1981 ვაშინგტონში, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებდა სამხედრო თანამშრომლობის სფეროს აშშ-სა და ისრაელს შორის.

*პუბლ.:* The Department of State Bulletin. 1982. Jan., p.45-6.

**ამერიკა-იტალიის ხელშეკრულება და შეთანხმებები**, 1. 1947 **შეთანხმება დახმარების გაწევის შესახებ**, ხელი მოაწერეს 4.VII რომში. აშშ-ის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, დაეფინანსებინა იტალიისათვის მისაწოდებელი სურსათი, მედიკამენტები, ქსოვილები, თესლი, მინერალები, სათბობი. მისი პირობების საკონტროლოდ რომში ამერიკის ეკონომიკური მისია დაარსდა.

*პუბლ.:* United Nations. Treaties Series (UNTS), vol 22, p.1739-203.

2. 1947 **შეთანხმება „ურთიერთანგარიშის შესახებ"**, ხელი მოაწერეს 14.VIII ვაშინგტონში. აშშ-მა დებლოკირება გაუკეთა იტალიის აქტივს. შეცვალა სეკვესტრი, დააბრუნა ომის დროს მიღებული ქონება, დაფარა ამერიკაში იტალიელი სამხედრო ტყვეების შრომის საფასური. იტალიამ მოხსნა მოთხოვნა მისთვის სამხედრო ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

*პუბლ.:* UNTS, vol 36, p.53-167.

3. 1948 **შეთანხმება იტალიისათვის საგანგებო დახმარების გაწევის შესახებ**, ხელი მოაწერეს 3.I რომში, ითვალისწინებდა რამდენიმე სახის საქონლისა და კრედიტის მიწოდებას.

*პუბლ.:* UNTS, vol.31, p 105-14.

4. 1948 **ხელშეკრულება მეგობრობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ**, ხელი მოაწერეს 2.II რომში. ხელშეკრულებით ორივე მხარისათვის ვრცელდებოდა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პრინციპი. აშშ-ის და იტალიის მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ თავისუფალი გასვლისა, ცხოვრებისა და გადაადგილებისა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

*პუბლ.:* UNTS, vol.79, p.171-227.

5. 1948 **შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ** (იხ. „*მარშალის გეგმა*").

6. 1950 **შეთანხმება ურთიერთდახმარების შესახებ თავდაცვის მიზნით**, ხელი მოაწერეს 27.I ვაშინგტონში. ითვალისწინებდა იტალიისათვის ამერიკის სამხედრო დახმარებას, რომელიც ნატოს გეგმის შესაბამისად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. იტალიას ამერიკისათვის უნდა მიეწოდებინა ნედლეული და სამხედრო მასალები, მიეღო ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები. ამერიკელ სარდლობას გადაეცა რამდენიმე საჰაერო და საზღვაო ბაზა (მილანში, ლივორნოში, ფოჯასა და სხვ.)

*პუბლ.:* UNTS, vol.80, p.145-70.

7. 1952 **შეთანხმება ურთიერთუშიშროების შესახებ**, ხელი მოაწერეს 7.I რომში. იტალია ვალდებულებას იღებდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცია სამხედრო საკითხებისათვის, მიზანმიმართულად გამოეყენებინა ქვეყნის რესურსი, მუშახელი და ეკონომიკის მიღწევები. ადრე მიღებული, მაგრამ გამოუყენებელი სამხედრო ნედლეული და იარაღი აშშ-ისათვის უნდა დაებრუნებინა. პირობას დებდა, შეესრულებინა ყველა ადრე დადებული შეთანხმება აშშ-სა და ნატოსთან.

*პუბლ.:* UNTS, vol.179, p.165-73.

8. 1959 **შეთანხმება რაკეტული ბაზების შესახებ**, დაიდო 29.III რომში. ნატოს პარიზის სესიის გადაწყვეტილებით (1957), იტალიის ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო ბაზის შექმნა. საშუალო რადიუსის მოქმედების რაკეტის განსალაგებლად ბაზის პერსონალი იტალიელი სამხედრო მოსამსახურეებისაგან უნდა დაკომპლექტებულიყო, რომელთაც წინასწარი მომზადება უნდა მიეღოთ ამერიკელი ინსტრუქტორებისაგან.

*პუბლ.:* Keesing's Contemporary Archives. 1959-60, vol.12, p.16907-08.

**ამერიკა-კანადის სამხედრო შეთანხმებები**, 12.II.1947 აშშ-სა და კანადის ერთობლივი განცხადებით, გათვალისწინებული იყო ამერიკის სამხედრო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო და სხვა სამხედრო ნაგებობათა შექმნა კანადის ტერიტორიაზე. ეს გახდა შემდგომში ა.-კ.ს.შ-თა იურიდიული საფუძველი, რომლითაც აშშ-ის თვითმფრინავებს დაუბრკოლებლად შეეძლოთ კანადის ყველა სამხედრო აეროდრომისა და ბაზის გამოყენება, ხოლო 1980-იანი წლების შეთანხმებით – ზებგერით აეიაგამანადგურებლებს და ფრთოსან რაკეტებს – ბირთვული იარაღით.

**ამერიკა-კენიის შეთანხმება 1980**, ძალაში შევიდა 26.VI. ამერიკის მხარე ვალდებულებას იღებდა, კენიისათვის თანამედროვე საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავები მიეწოდებინა, აგრეთვე გაედიდებინა ეკონომიკური და სამრეწველო დახმარება.

**ამერიკა-კოლუმბიის ხელშეკრულებები**, 1. 1846 ხელშეკრულება მშვიდობის, მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ, დაიდო კოლუმბიის (მაშინდელი ახალი გრანადა) დედაქალაქ ბოგოტაში 12.XII. აშშ თანაბარ უფლებას ღებულობდა ახალ გრანადასთან იმ დროს დაპროექტების პროცესში მყოფი პანამის სატრანზიტო გზის ექსპლუატაციაში. ახალ გრანადას სუვერენიტეტის გარანტია ეძლეოდა. იმავე პერიოდში ინგლისი და საფრანგეთი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ნიკარაგუასთან მის ტერიტორიაზე საოკეანო არხის გაყვანის თაობაზე. დიპლომატიური ბრძოლა აშშ-სა და ინგლისს შორის დამთავრდა 1850 კომპრომისული ხელშეკრულებით (იხ. *კლეიტონ-ბულვერის ხელშეკრულება 1850*).

პუბლ.: M a l l o y W.M., Treaties. . between the United States of America and Other Powers. 1776-1909, vol.1, Wash., 1910, p.302-14.

ლიტ.: Г о н и о н с к и й С. А. Колумбия. Историко-этногр. очерки, М., 1973, 144-47.

2. 1914 ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ბოგოტაში 6.IV. მის დადებას წინ უძღოდა ხანგრძლივი დიპლომატიური ბრძოლა პანამის საკითხისა და არხის გარშემო. კოლუმბია ცნობდა პანამის დამოუკიდებლობას, სამაგიეროდ ღებულობდა არხის უბაჟოდ გამოყენების შესაძლებლობას. აშშ-ს კოლუმბიისათვის უნდა გადაეხადა 25 მლნ დოლარი ოქროთი. მისი რატიფიკაცია გაჭიანურდა. 1922 მხარეებმა სარატიფიკაციო სიგელები გაცვალეს.

პუბლ.: UNTS, vol.3, p.2538-41.

**ამერიკა-კორეის ინციდენტები 1866-71**,

1. 1866 ინციდენტი გამოიწვია კორეაში ამერიკის შეიარაღებული ხომალდის „გენერალ შერმანის" შეჭრამ, თითქოს ფხენიანის რაიონში სამეფო აკლდამის გასათხრელად. ადგილობრივმა გარნიზონმა გემი ჩაძირა. ამის საპასუხოდ აშშ-ის მთავრობამ კორეაში 1867-68 კიდევ ორი გემი გაგზავნა.

2. 1868 ინციდენტი. მაისში ამერიკის ხომალდები „ჩაინა" და „გრეტა" ორჯერ შეიჭრნენ კორეის ტერიტორიულ წყლებში. სამხედრო შეჯახებათა შემდეგ ისინი განდევნეს კორეის ტერიტორიიდან.

3. 1871 ინციდენტი დაკავშირებული იყო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კორეაში შეჭრასთან. საბაბი გახდა 1866 ინციდენტის გამოძიება. ამერიკის ესკადრა იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ლიტ.: История Кореи, т.1, М., 1974.

**ამერიკა-კორეის ხელშეკრულება 1882** (მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ), ხელი მოაწერეს ინჩხონში (ჩემულპო) 22.V. ა.-კ.ხ-ით აშშ და კორეას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. აშშ-ს ეძლეოდა ვაჭრობის, მრეწველობის, ზღვაოსნობის, მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის ხელსაყრელი პირობები. ამერიკის იმპორტის ბაჟი შემცირებული იყო საქონლის ღირებულების 10%-ით. ამერიკის მოქალაქეებს უფლება ეძლეოდათ არენდით აეღოთ მიწები, აეშენებინათ სახლები, დაებრუნებინათ საწარმოები. ვაჭრობისათვის იხსნებოდა ნავსადგურები.

ლიტ.: Описание Кореи, ч.3, СПб, 1900, с.35-40.

**ამერიკა-ომანის შეთანხმება 1980**, ძალაში შევიდა 4.VI. შექმნა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი. აშშ-ის სამხედრო ძალებმა მიიღეს ომანის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზებით სარგებლობის უფლება. ამერიკას უნდა უზრუნველეყო ომანისათვის შეიარაღების მიწოდება. 1981 ხელშეკრულებით თანამშრომლობა უფრო გაფართოვდა.

**ამერიკა-პაკისტანის სამხედრო შეთანხმებები**, 1. 1954 შეთანხმება ურთიერთდახმარებისა და თავდაცვის მიზნით, ხელი მოაწერეს 19.V კარაჩიში. აშშ ვალდებულებას იღებდა, პაკისტანისათვის მიეწოდებინა სამხედრო მოწყობილობა, მასალები და გაეწია დახმარება შინაგანი უშიშროებისა და თავდაცვის განხორციელებისათვის. პაკისტანს უნდა უზრუნველეყო საჭიროების შემთხვევაში აშშ ნედლეულითა და ნახევარფაბრიკატებით. გაეკონტროლებინა ვაჭრობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც „მსოფლიო მშვიდობას ემუქრებოდნენ".

2. 1981 შეთანხმება სამხედრო დახმარების შესახებ, ხელმოწერილია 5.VI ისლამაბადში და ითვალისწინებდა 1982-87 პაკისტანისათვის სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებას 3,2 მლრდ დოლარის ოდენობით, 30 წლის ვადით. აქედან 2 მლრდ დოლარი უნდა მოხმარებოდა პაკისტანის მიერ აშშ-საგან საბრძოლო იარაღის შესყიდვას. სანაცვლოდ პაკისტანის მთავრობა დათანხმდა აშშ-თვის თავის ტერიტორიაზე სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების განლაგებას.

**ამერიკა-პანამის ხელშეკრულებები არხის თაობაზე**, წინ უძღოდა ამერიკა-ინგლისის და ამერიკა-კოლუმბიის ხელშეკრულებები, რომლის შემადგენლობაში შედიოდა პანამა 1903 წლამდე (იხ. *კლეიტონ-ბულვერის ხელშეკრულება 1850, ჰეი-პაუნსფოტის ხელშეკრულება 1901, ჰეი-ერანის ხელშეკრულება 1903*). ჰეი-ერანის ხელშეკრულების რატიფიკაციის უარყოფის შემდეგ, 3.XI. 1903 პანამის ყელზე აჯანყების შემდეგ გამოცხადდა პანამის დამოუკიდებლობა. ჰეი-ბიუნო-ვარილიას ხელშეკრულებით, აშშ პანამის დამოუკიდებლობის გარანტიას იძლეოდა. პანამამ ამერიკას არხის ორივე მხარეს 5 მილის სიგანის ტერიტორია გადასცა. საკომპენსაციოდ პანამა ღებულობდა 10 მლნ დოლარს – 250 ათას დოლარს ყოველწლიურად, აგრეთვე ხომალდების, ჯარისა და სამხედრო მასალების უფასოდ გატარების უფლებას. მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-მა აიძულა პანამა ომის დამთავრებამდე სამხედრო ბაზების მოსაწყობად 10 უბანი მიეღო. 1947 მოითხოვა ზოგიერთზე არენდის გაგრძელება რამდენიმე წლით. 1955 რემონ-ეიზენჰაუერის ხელშეკრულებით ძალას კარგავდა ადრე დადებული ხელშეკრულებები, რომლითაც ამერიკას მონოპოლიური უფლებები გააჩნდა. მისი ყოველწლიური გადასახადი 1930 ათას დოლარამდე გაიზარდა. პანამას დაუბრუნდა ადრე

ჩამორთმეული მიწები. ამასთან აშშ-ს უფლება ეძლეოდა, სამხედრო მიზნებისათვის 15 წლით მიეღო მიწის ახალი ნაკვეთები. 1968 ხელისუფლების სათავეში მემარცხენე ძალების მოსვლის შემდეგ, აშშ-თან დადებული ხელშეკრულების გადასინჯვისათვის ბრძოლა პანამის მთავრობის დიპლომატიის მთავარი მომენტი გახდა. პანამა არხზე საკუთარ სუვერენიტეტს და არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების შეცვლას მოითხოვდა. 1964 პანამის მთავრობამ გაეროს მიმართა. 15-21.III. 1973 პანამაში გაეროს გამსვლელმა სესიამ მხარი დაუჭირა მის მოთხოვნებს. 1977 პრეზიდენტ კარტერსა და პანამის მთავრობის მეთაურს ო. ტორიხოსს შორის ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც „ამთავრებდა და ცვლიდა" ყველა ადრე დადებულს. არხზე ყველა უფლება 31.XII. 1999 თანდათანობით და მთლიანად პანამას უნდა გადაეცეს. არხი ყველა დროს უნდა დარჩეს „უშიშრად და გახსნილად ყველა ქვეყნის მშვიდობიანი ხომალდების გასასვლელად".

**ამერიკა-საბერძნეთის შეთანხმებები**, 1. 1953 შეთანხმება სამხედრო ბაზების შესახებ, ხელი მოაწერეს 12.X ათენში. აშშ-ს უფლება ეძლეოდა საბერძნეთის ტერიტორიაზე ჰქონოდა სამხედრო ბაზები. აშშ-ის სამხედრო ძალებს უფლება ჰქონდათ თავისუფალი გადაადგილებისა და საჰაერო თუ საზღვაო გადაკვეთისა.

2. 1983 შეთანხმება თავდაცვითი და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, ხელი მოაწერეს 8.IX ათენში. ფაქტობრივად შეცვალა 1953 შეთანხმება. მიზანი იყო სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობის რეორგანიზაცია, ურთიერთსარგებლობისა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემა. აშშ-მა შეინარჩუნა სამხედრო ბაზები. აშშ-ს ვადის გასვლის შემდეგ 17 თვის განმავლობაში უნდა მოეხდინა ჯარის ევაკუაცია. საბერძნეთის მთავრობას ბაზების გაკონტროლების უფლება ეძლეოდა. გათვალისწინებული იყო აშშ-ის მიერ ფინანსური დახმარება.

**ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური საბჭო** (ასტესი), სსრკ-ისა და აშშ-ის საქმიანი წრეების საზოგადოებრივი ორგანიზაცია. შეიქმნა სამთავრობათაშორისო ოქმის საფუძველზე 22.VII. 1973. ხელი უნდა შეეწყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოებისათვის. არსებობდა სსრკ-ის დაშლამდე – 1991-მდე.

**ამერიკა-საბჭოთა კავშირის შეთანხმება ბირთვული ომის აღმოცენების საფრთხის შემცირების შესახებ 1971**, ხელი მოაწერეს ვაშინგტონში 30.IX. დაიდო განუსაზღვრელი ვადით. ძალაში შევიდა ხელმოწერის მომენტიდან. შეთანხმება მოხდა სსრკ-ამერიკის მოლაპარაკების დროს სტრატეგიული შემცირების შეზღუდვის შესახებ. ითვალისწინებდა ბირთვული იარაღის შემთხვევით ან არასანქციონირებულ გამოყენებას; ამ უკანასკნელ შემთხვევაში – ერთმანეთის გაფრთხილებას წინასწარი გაფრთხილების სისტემების მიერ გამოუცნობი ობიექტების აღმოჩენისას ან ამ გაფრთხილების სისტემებში უწესივრობის ერთიმეორისათვის შეტყობინებას და ა.შ. აშშ-ის და საბჭოთა მთავრობებს შორის პირდაპირი კავშირის მეშვეობით.

ამასთან, შეთანხმება ითვალისწინებს ერთმანეთის გაფრთხილებას რაკეტების წინასწარ დაგეგმილი გაშვების დროს, თუ რაკეტების გაშვება წარმოებდა ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

შეთანხმების განხორციელებისათვის შექმნილი იყო სსრკ-ამერიკის მუდმივი საკონსულტაციო კომისია.

*წყარო:* Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностранными государствами, вып. 1-35, М., 1924-81. Вып. 27, с. 30-31.

**ამერიკა-საუდის არაბეთის შეთანხმება** (სამხედრო-სტრატეგიული), საფუძველი 1945 ჩაეყარა. 1951 ა.-ს.ა.შ.-ით აშშ-მა სამხედრო ბაზა აიღო არენდით დაჰრანში, რომელიც ორჯერ გაგრძელდა 5-5 წლით. 1965 ა.-ს.ა.შ. ითვალისწინებდა სამხედრო ობიექტების მშენებლობას და სამხედრო ტექნიკის მიწოდებას 400 მლნ დოლარის ოდენობით. 1973 – საუდის არაბეთს მიეყიდა 200 ავიაგამანადგურებელი, 1975 რეაქტიული გამანადგურებელი 766 მლნ დოლარის ოდენობით. კიდევ უფრო გაიზარდა საუდის არაბეთის როლი ირანის რევოლუციის შემდეგ. *კარტერის დოქტრინის* მიხედვით, საუდის არაბეთი ამერიკის *სწრაფი რეაგირების ძალების* ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი გახდა.

*ლიტ.:* Валькова Л.В., Саудовская Аравия в международных отношениях, М., 1979, с.34-54.

**ამერიკა-საფრანგეთის შეთანხმებები** (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ), 1. 1946 ფინანსური შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 28.V ვაშინგტონში. მხარეებმა მიაღწიეს სრულ თანხმობას ყველა საკითხზე ლენდ-ლიზისა და ურთიერთდახმარების, აგრეთვე საფრანგეთის მიერ ამერიკის კუთვნილი სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალების ქონების საკითხებზე, რომლებიც საფრანგეთში იმყოფებოდნენ. ამ მიზნით საფრანგეთს გამოეყო კრედიტი 729 მლნ დოლარის ოდენობით. საფრანგეთის ეკონომიკის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების მიზნით, აშშ-ის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა საფრანგეთში გახსნა კრედიტი 650 მლნ დოლარის ოდენობით.

2. 1950 შეთანხმება „ურთიერთთავდაცვის დარგში დახმარების შესახებ", ხელი მოაწერეს 27.I ვაშინგტონში, მხარეები შეთანხმდნენ, ერთმანეთისათვის მიეწოდებინათ სამხედრო მოწყობილობანი, მასალები და მომსახურებოდნენ ერთმანეთს სამხედრო დახმარების სხვა საშუალებებითაც, რათა განევითარებინათ ჩრდილოეთ ატლანტიკის ინტეგრირებული თავდაცვა ნატოს ფარგლებში.

3. 1957 შეთანხმება პატენტისა და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის შესახებ თავდაცვის დარგში. ხელი მოაწერეს 12.III პარიზში. შეთანხმება შევსებულ და დაზუსტებულ იქნა 28.V.-10.VII.1959 ნოტების გაცვლით.

4. 1959 შეთანხმება ურთიერთთავდაცვის მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში. ხელი მოაწერეს 7.V ვაშინგტონში. აშშ-ს საფრანგეთისათვის უნდა მიეყიდა გამდიდრებული ურანი 10 წლის განმავლობაში წყალქვეშა ატომური ძრავისათვის.

5. 1960 შეთანხმება შეიარაღების წარმოების პროგრამის შესახებ, ხელმოწერილ იქნა 19.IX პარიზში. აშშ ვალდებულებას იღებდა, მიეწოდებინა საფრანგეთისათვის სამხედრო მოწყობილობა, მასალები და ინფორმაცია, როგორც საკუთრივ საფრანგეთისათვის, ასევე ნატოს ქვეყნების სამხედრო წარმოების პროგრამის ჩარჩოებში; აგრეთვე აშშ მიწის ნაკვეთი, შენობები, მოწყობილობანი და მასალები არსებული სამხედრო ობიექტების სრულყოფისა და ახლის შესაქმნელად.

6. 1961 შეთანხმება ერთობლივი თავდაცვისათვის ბირთვული იარაღის სისტემის გამოყენების დარგში თანა-

მშრომლობის შესახებ. ხელი მოაწერეს 27.VII. პარიზში. ძალაში შევიდა 9.X.1965. მხარეები შეთანხმდნენ, გაეცვალათ ინფორმაციები, აგრეთვე მიეწოდებინათ ერთმანეთისათვის ატომური იარაღის არაბირთვული ნაწილები, მათ შორის, საიდუმლო ინფორმაციები. შეთანხმებით აკრძალული იყო საფრანგეთისათვის ბირთვული იარაღის გადაცემა, მათ შორის, მისი არაბირთვული ნაწილისაც და სპეციალური ბირთვული მასალებისაც.

**ამერიკა-საფრანგეთის ხელშეკრულებები**, 1. 1778 ხელშეკრულება კავშირის შესახებ, ხელი მოაწერეს 6.II პარიზში. საფრანგეთი ვალდებულებას იღებდა, დაეცვა აშშ-ის თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ხოლო აშშ გარანტიას იძლეოდა ამერიკაში საფრანგეთის მფლობელობის ხელშეუხებლობისა. საფრანგეთმა მიიღო პრეტენზიის უფლება ბრიტანეთის მფლობელობაზე ვესტ-ინდოეთში, აშშ-მა – ჩრდილო ამერიკის კონტინენტზე ბერმუდის კუნძულებზე. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, არ დაედოთ ინგლისთან ხელშეკრულება ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე, ანდა დაედოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ინგლისი აღიარებდა აშშ-ის დამოუკიდებლობას. 1784 ინგლის-ამერიკის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იხ. *ჯეის ხელშეკრულება* 1794). ა.-ს.ხ-მ ფაქტობრივად ძალა დაკარგა.

2. 1800 ხელშეკრულება, ხელი მოაწერეს 30.IX მორფონტენში (საფრანგეთი), რითაც დასრულდა ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი კონფლიქტი, რომელიც აღმოცენდა საფრანგეთის მიერ აშშ-ის ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო და 1798 კინაღამ ომშიც კი გადაიზარდა. მან ბოლო მოუღო ფრანგული ხომალდების თავდასხმას ამერიკულ გემებზე, რაც გაჩნდა 1794 ინგლის-ამერიკის ხელშეკრულების (იხ. *ჯეის ხელშეკრულება 1794*) დადების შემდეგ. ნაპოლეონ I-ის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, რომელიც თვლიდა, რომ ინგლისთან წარმატებული ბრძოლისათვის საჭიროა აშშ-თან დაახლოება, დაჩქარდა ყველა სადავო საკითხის გადაჭრა.

მორფონტენეს ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, ერთმანეთისათვის დაებრუნებინათ ხელთნაგდები, მაგრამ ჯერ კიდევ გაუყიდავი გემები, გაეუქმებინათ ვაჭრობის შემაფერხებელი წესები და გემების ძალით გაჩხრეკა; შეზღუდეს ბლოკადა, აღიარეს ნეიტრალური ხომალდების მიერ გადაზიდული ტვირთის ხელშეუხებლობა, იძლეოდნენ დაპირებას თავიანთ ნავსადგურებში ერთმანეთისთვის პრივილეგიების მინიჭების შესახებ. ის ძალაში შევიდა 21.XII.1801. საკითხი მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ გადაწყდა მხოლოდ 1803, როცა *ნაპოლეონ I* დათანხმდა აშშ-თვის გადაეხადა 3.750 ათასი დოლარი.

*ლიტ.*: M a l l o y W.M., Treaties . between the United States of America and Other Powers. 1776-1909, vol.1, Wash., 1910, p.496-505.

**ამერიკა-სომალის შეთანხმება 1980**, ძალაში შევიდა 2.VIII. აშშ-ის შეიარაღებული ძალები უფლებას ღებულობდნენ, გამოეყენებინათ სომალის აეროდრომები და პორტები, აგრეთვე სხვა ნაგებობები, სამაგიეროდ კისრულობდნენ მიეწოდებინათ სამხედრო იარაღი და ტექნიკა, მოემზადებინათ სომალის სამხედრო კადრები, აღმოეჩინათ ეკონომიკური დახმარება.

**ამერიკა-ტაივანის შეთანხმებები**, ამერიკასა და ტაივანს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამ და ჩინეთთან ამერიკის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამ ვერ შეცვალა ორ სახელმწიფოს შორის დადებულ შეთანხმებათა საფუძველი. მოქმედებს შეთანხმებები: ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების, ეკონომიკის დარგში თანამშრომლობის, ფინანსურ, სავაჭრო, მეცნიერებისა და ტექნიკის, სოფლის მეურნეობის, საბაჟო წესების, განათლებისა და სხვა დარგებში.

**ამერიკა-ტაილანდის შეთანხმება და ხელშეკრულება 1950-66**, 1. 1950 შეთანხმება სამხედრო დახმარების შესახებ, ხელი მოაწერეს 17.X ბანგკოკში. ითვალისწინებდა ტაილანდში ამერიკული სამხედრო აღჭურვილობისა და მასალის მიწოდებას. ამერიკული სამხედრო სპეციალისტები აკონტროლებდნენ ტაილანდის შეიარაღებულ ძალებს.

2. 1966 ხელშეკრულება ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ, ხელი მოაწერეს 29.V ბანგკოკში. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, შეექმნათ თავიანთ ტერიტორიაზე მეორე ქვეყნის მოქალაქეებისა და კომპანიების საწარმოო საქმიანობისათვის რაციონალური რეჟიმი.

**ამერიკა-ფილიპინების ხელშეკრულებები და შეთანხმებები**, 1. 1946 ხელშეკრულება ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ, ხელი მოაწერეს 4.VII მანილაში. ითვალისწინებდა ფილიპინების მთავრობის მიერ სუვერენული ხელისუფლების დამყარებას ქვეყნის ტერიტორიაზე, იმ პირობით რომ ამერიკის სამხედრო ბაზები დარჩებოდა პატრონის მფლობელობაში 2 წლით, სანამ არ დაიდებოდა განსაკუთრებული შეთანხმება მათი სტატუსის შესახებ.

2. 1947 შეთანხმება „სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით", ხელი მოაწერეს 14.III მანილაში. დაიდო 99 წლით. ამერიკას სამხედრო ბაზების მოსაწყობად ფილიპინებში მიეცა 23 უბანი. შემდეგში ფილიპინელთა მოთხოვნით, მისი ვადა შემცირდა 1991-მდე. ახალი, 1979 შეთანხმებით, აშშ-მა ცნო ფილიპინების სუვერენიტეტი იმ ტერიტორიაზე, სადაც ამერიკის ბაზები იყო მოთავსებული. ბაზის ტერიტორია შემცირდა. 1983 შეთანხმებით, სამხედრო ბაზების გამოყენების ხარჯები აშშ-მა გაზარდა 900 მლნ დოლარამდე.

3. 1951 ხელშეკრულება ურთიერთთავდაცვის შესახებ, ხელი მოაწერეს 30.VIII ვაშინგტონში. ითვალისწინებს აშშ-ის შეიარაღებულ ჩარევას წყნარი ოკეანის რაიონში ომის აღმოცენების შემთხვევაში. ამის საფუძველზე ხელი მოეწერა ფილიპინების ერთობლივად დაცვის გეგმას.

**ამერიკა-ჩინეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები 1844-1948**, 1. 1844 ხელშეკრულება ქავრობის შესახებ, ხელი მოაწერეს 3.VII. ვანსიაში. ხელშეკრულებით აშშ-ს გუანჯოუს, სიამინის, ფუჩჟოუს, ნინბოსა და შანხაის ნავსადგურებში უფლება ეძლეოდა ჰქონოდა სავაჭრო დაწესებულებები, ეკლესია და საავადმყოფოები. ჩინეთი კარგავდა საბაჟო ავტონომიას. ამერიკელებს უფლება ეძლეოდათ უბაჟოდ ტვირთის გადატანისა.

2. 1858 ხელშეკრულება, იხ. *ტიანძინის ხელშეკრულებები 1858-85.*

3. 1868 ხელშეკრულება (ტიანძინის დამატებითი), ხელი მოაწერეს 28.VII. ითვალისწინებდა ჩინეთის მოქალაქეთა თავისუფალ ემიგრაციას აშშ-ში.

4. 1943 ხელშეკრულება ამერიკის მიერ ექსტერიტორიულობის უფლებაზე უარის შესახებ ჩინეთში, ხელი მოაწერეს

11.I ვაშინგტონში. ამით შეიცვალა ამერიკა-ჩინეთის ყველა ხელშეკრულება, რომლითაც ამერიკის მოქალაქეები სარგებლობდნენ საკონსულო იურისდიქციის უფლებით და მათზე ჩინეთის მთავრობის იურისდიქცია დამტკიცდა.

5. 1946 ხელშეკრულება მეგობრობაზე, ვაჭრობაზე, ნაოსნობაზე, ხელი მოაწერეს 4.XI ნანკინში. ამერიკელებს ეძლეოდათ არენდის, შენობების, მიწის შეძენისა და მფლობელობის უფლება; ასევე ჩინეთში ჩასვლის, მთელ ტერიტორიაზე ცხოვრებისა და გადაადგილებისა. ამერიკული მონოპოლიები თავიანთი კაპიტალის ინვესტირების უფლებას ღებულობდნენ. ჩინეთის სამრეწველო და სავაჭრო საწარმოებში მათ ექმნებოდათ *უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის* პირობები, ხოლო საბაჟოების მიმართ *ნაციონალური რეჟიმის* უფლება. 1947 1.II ჩინეთის კომპარტიამ განაცხადა, რომ ის არ ცნობდა არც ერთ ხელშეკრულებას და სესხებს, რომლებიც გომინდანის მთავრობის მიერ იყო დადებული 1941 10.I შემდეგ.

6. 1947 შეთანხმება (ნანკინის) ამერიკის მიერ ჩინეთისათვის დახმარების გაწევის თაობაზე, ხელი მოაწერეს 27.X. ითვალისწინებდა გომინდანის მთავრობისადმი ამერიკის დახმარებას სურსათით, მედიკამენტებით და ფინანსურადაც.

7. 1948 შეთანხმება ამერიკის დახმარების ფონდის გამოყენების შესახებ 400 მლნ დოლარის რაოდენობით. ხელი მოაწერეს 3.VII ნანკინში. 1949 რევოლუციის შემდეგ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკურმა მთავრობამ გააუქმა ყველა კაბალური ხელშეკრულება აშშ-სა და სხვა ქვეყნებთან.

**ამერიკა-ჩინეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები 1972-82**, 1. 1972 ერთობლივი კომუნიკე (შანხაის კომუნიკე), ხელი მოაწერეს 28.II შანხაიში, პრეზიდენტ *რ. ნიქსონის* ჩინეთში ვიზიტის დროს. ჩინეთის მხარე აღნიშნავდა რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას წინ ელობება ამერიკის საკითხი და ამერიკის ყველა შეიარაღებული ძალა უნდა გასულიყო ტაივანიდან. ამერიკის მხარე აცხადებდა: ყველა ჩინელი ტაივანის ყურის ორივე მხარეს თვლის, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი და ტაივანი არის ჩინეთის ნაწილი. *ტაივანის პრობლემას* ხელი არ უნდა შეეშალა ორივე ქვეყნის ურთიერთობათა განვითარებისათვის.

2. 1973 კომუნიკე, მხარეები აღნიშნავდნენ, რომ მიღწეული იყო შეთანხმება, ორივე ქვეყნის დედაქალაქებში შექმნილიყო კავშირის მისია, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამდე შეასრულებდა ამერიკა-ჩინეთის ოფიციალურ კონტაქტებს.

3. 1978 ერთობლივი კომუნიკე დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ 16.XII. მხარეები დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებენ 1.I. 1989. აშშ-მა ჩინეთის მთავრობა ცნო როგორც ერთადერთი კანონიერი მთავრობა. ამ კონტექსტით აშშ მხარს დაუჭერს კულტურულ, სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას ტაივანთან. განცხადებაში აშშ-ის მთავრობა აღნიშნავდა, რომ იგი ანულირებას უკეთებდა ამერიკა-ტაივანის ხელშეკრულებას და წყვეტდა დიპლომატიურ ურთიერთობას მასთან.

4. 1979 ერთობლივი კომუნიკე, ხელი მოაწერეს 1.II ვაშინგტონში პრემიერის მოადგილის დენ სიაოპინის ვიზიტის შედეგად. სხვადასხვა სოციალურ სისტემას ხელი არ უნდა შეეშალა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობისათვის, მალე უნდა დადებულიყო მათ შორის სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებები.

5. 1979 შეთანხმება სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ, ხელი მოაწერეს 7.VII პეკინში. იგი ითვალისწინებს ორმხრივ კომერციულ გარიგებებს ფირმებს, კომპანიებს, კორპორაციებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის. ორივე მხარე ერთმანეთს უქმნიდა უპირატესი ხელშეწყობის პირობებს.

6. 1982 ერთობლივი კომუნიკე გამოქვეყნდა 7.VIII ამერიკის იარაღის ტაივანში შეტანის გამო. ამერიკის მთავრობა აცხადებდა, რომ იარაღის მიწოდება არ გადააჭარბებდა ბოლო წლების რაოდენობას და შემდეგში იგი თანდათანობით შეამცირებდა მიყიდვას. ვაშინგტონი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ჩინეთი აცხადებდა ტაივანის პრობლემის მოწესრიგებას „მშვიდობიანი რეგულირების გზით".

**ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში**, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყველაზე დიდი შეიარაღებული აგრესია.

1954 ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის შეთანხმებების შემდეგ (იხ. *ჟენევის თათბირები 1954-59*) სსრკ-აშშ მეტოქეობამ რეგიონში ხელი შეუშალა ამ შეთანხმებების შესრულებას, მით უმეტეს, რომ აშშ აქტიურად უჭერდა მხარს სამხრეთ ვიეტნამის ე.წ. საიგონის რეჟიმს. 1961-დან აშშ-ის სამხედრო პერსონალმა დაიწყო უშუალო მონაწილეობის მიღება საბრძოლო ოპერაციებში სამხრეთვიეტნამელი პარტიზანების წინააღმდეგ. საიგონის რეჟიმის გადარჩენის მიზნით, აშშ-ის მთავრობამ გადაწყვიტა საომარი მოქმედებანი გადაეტანა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზეც, რისთვისაც მან გამოიყენა ე.წ. „ტონკინის ინციდენტი" (1964).

1965 წლის თებერვლიდან აშშ-მა დაიწყო ვდრ-ის ტერიტორიის სამხრეთი ნაწილების დაბომბვა, ხოლო 24 აპრილიდან ვიეტნამის მთელი ტერიტორია და 100 საზღვაო მილის სიგანის სანაპირო გამოცხადდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამოქმედო ზონად. 1966 წლის ივნისიდან აშშ-მა დაიწყო შეუზღუდავი საჰაერო ომი ვდრ-ის წინააღმდეგ.საიგონის რეჟიმის არმიის სამხედრო მარცხმა აიძულა აშშ, თავის თავზე აეღო ომის მთელი სიმძიმე. აშშ-ის შეიარაღებული ძალების რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში გაიზარდა 1965 185 ათასიდან 1969 543,4 ათას კაცამდე. ომის განმავლობაში აშშ-მა დახარჯა 141 მლრდ დოლარი, დაიკარგა მოკლულთა სახით 56,5 ათასი და დაჭრილთა სახით 303,6 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი.

აგრესიის დროს აშშ-მა უხეშად დაარღვია ომის კანონები, იყენებდა რა მასობრივი განადგურების საშუალებებს – ნაპალმს, ფოსფორს, მომწამლავ ნივთიერებებს.

აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწეები ვიეტნამის საკითხის მოსაგვარებლად აყენებდნენ ულტიმატური ხასიათის მოთხოვნებს, რასაც ვდრ-ის მთავრობამ და სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა დაუპირისპირეს 1965 წლის თებერვალში მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოთხოვნები – ვიეტნამელი ხალხის ეროვნული უფლებებისადმი პატივისცემა, აშშ-ის აგრესიის შეწყვეტა და ვიეტნამიდან მათი ჯარების გაყვანა.

აშშ ა.შ-ში მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამას თან დაერთო აშშ-ის შეიარაღე-

ბული ძალების საბრძოლო წარუმატებლობა, რამაც აიძულა ამერიკის მთავრობა 31.III.1968 შეეწყვიტა ვდრ-ის ტერიტორიის დაბომბვა და წასულიყო მოლაპარაკებაზე (იხ. *პარიზის მოლაპარაკებები ვიეტნამში რეგულირების თაობაზე 1968-73*).

სამხრეთ ვიეტნამში თხიეუს რეჟიმის შენარჩუნების მიზნით აშშ-ის პრეზიდენტმა რ. *ნიქსონმა* 3.XI.1969 წამოაყენა ომის „ვიეტნამიზაციის" პროგრამა, რომლითაც აშშ-ის ჯარების გამოყვანის შემდეგ ომი ვიეტნამის მარიონეტების მეშვეობით უნდა გაგრძელებულიყო.

18.II.1972 აშშ კვლავ დაარღვია 1968 მიღწეული შეთანხმება ვდრ-ის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მაგრამ ვიეტნამის თავდაცვის ძალებმა საგრძნობი ზარალი მიაყენეს ამერიკელებს. ამას ზედ დაერთო საზოგადოებრივი ძალების აღშფოთება როგორც აშშ-ში, ისე მთელ მსოფლიოში. ასეთ პირობებში პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაცია კვლავ დაუბრუნდა მოლაპარაკებებს, რაც 27.I.1973 პარიზში დამთავრდა ოთხმხრივი შეთანხმებით ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების შესახებ. ამ შეთანხმებამ გზა გაუხსნა ვიეტნამის გაერთიანებას.

**ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტიკური საბჭო** (US Atlantic Council), არასამთავრობო მრავალმხრივი დანიშნულების პოლიტიკურ-სამეცნიერო ორგანიზაცია, რომლის მიზანია გააერთიანოს აშშ-ში „ატლანტიზმის" თეორიის მომხრეები. დაარსდა 1961. შტაბ-ბინა – ვაშინგტონში. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია საგარეო პოლიტიკის სფეროში კვლევითი სამუშაოების ჩატარება, სადაც მთავარი ყურადღება მიექცევა ატლანტიკურ კავშირებს, კერძოდ, ეკონომიკურ საკითხებს, ურთიერთობებს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, აგრეთვე ურთიერთობებს განვითარებად ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს როლს, „ატლანტიზმის" იდეების პროპაგანდას და ა.შ. აშშას-ს შემადგენლობაში შედიან უმსხვილესი კორპორაციებისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერ-პოლიტოლოგები. საბჭოს აფინანსებენ უმსხვილესი კორპორაციები და ფონდები, აგრეთვე სახელმწიფო და კერძო დოტაციები.

აშშას. გამოსცემს ჟურნალს "Atlantic Community Quarterly", საინფორმაციო ბიულეტენს "Atlantic Community News" და სპეციალურ გამოცემას "Policy Papers".

აშშას. დიდ გავლენას ახდენს აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური კურსის შემუშავებაზე, ფორმირებასა და განხორციელებაზე.

*ლიტ.:* ჟურნ. "США-экономика, политика, идеология", 1979, №12.

**ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია გვატემალაში 1954**, 1944 გვატემალაში გამარჯვებულმა სახალხო მოძრაობამ 50-იანი წლების დასაწყისში მიიღო ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური რევოლუციის ხასიათი. როცა 1953 გვატემალის მთავრობამ 159 ათასი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა ჩამოართვა ამერიკულ ფირმა „იუნაიტედ ფრუტ K", აშშ-ის მმართველმა წრეებმა მიიღეს ამ ქვეყანაში ინტერვენციის მოწყობის გადაწყვეტილება. 1954 წლის მარტში მე-10 ამერიკათაშორის კონფერენციაზე აშშ-მა გაიტანა რეზოლუცია „ლათინური ამერიკის საშინაო საქმეებში საერთაშორისო კომუნიზმის ჩარევის შესახებ", რომელიც ამერიკათაშორის „დასავლეთის ნახევარსფეროს თავდაცვის" ხელშეკრულების (იხ. *რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულება 1947*) საფუძველზე მოითხოვდა სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების გამოყენებას.

18.VI.1954 შეიარაღებული ძალები გვატემალელი პოლკოვნიკის კ. არმასის მეთაურობით, აშშ-ის ავიაციის მხარდაჭერით, ჰონდურასიდან შეიჭრნენ გვატემალაში. გვატემალამ მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, მაგრამ საკითხის განხილვის დროს აშშ-მა სცადა მისი გადატანა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში. ვიდრე უშიშროების საბჭო რეზოლუციას იღებდა, 27.VI.1954 გვატემალაში მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება, იგი დამთავრდა სამხედრო ხუნტის შექმნით, რომელსაც აშშ უჭერდა მხარს.

აშშ-ის ინტერვენციამ გამოიწვია ანტიამერიკული განწყობილებების ზრდა ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

*ლიტ.:* История дипломатии, 2 изд., т.5, кн.1, М., 1974, с. 591-600; Торизльо Гарридо Г., Гватемала: революция и контрреволюция, М.,1983.

**ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია გრენადაში 1983**, 25.X ამ ქვეყანაში თითქოს აშშ-ის მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სინამდვილეში აშშ-ის მიზანი იყო გრენადაში მ. ბიშოპის პროკომუნისტური მთავრობის დამხობა. აშშ ი.გ-ში მოეწყო დიდი ძალებით, რომელშიც მონაწილეობდნენ აშშ-ის სწრაფი რეაგირების კორპუსი. საერთოამერიკული ქმედების სახის მიცემის მიზნით, მასში მონაწილეობდნენ კარიბის აუზის მცირე ქვეყნები.

გაეროს უშიშროების საბჭოს 3.XI.1983 რეზოლუციაში (38/7) ნათქვამი იყო, რომ აშშ ი.გ-ში წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას, გრენადის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას და მოითხოვდა მის შეწყვეტას, გრენადიდან სხვა ქვეყნების ჯარების გაყვანას.

**ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია დომინიკელთა რესპუბლიკაში 1965**, მაისის დასაწყისში მოეწყო ამ ქვეყანაში აშშ-ის მოქალაქეთა „სიცოცხლის და ქონების დაცვის" საბაბით, როცა აშშ-მა 42 ათასი ჯარისკაცი გადასხა დომინიკელთა რესპუბლიკაში და მოაწყო სანაპიროების ბლოკადა. სინამდვილეში აშშ ი.დ.რ-ში მიმართული იყო მისი დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა ლ. *ჯონსონმა* განაცხადა, რომ „არ დაუშვებდა დასავლეთ ნახევარსფეროში კიდევ ერთი კომუნისტური მთავრობის შექმნას" (იხ. *„ჯონსონის დოქტრინა"*).

გაეროს უშიშროების საბჭომ 1965 წლის მაის-ივნისში დაგმო აშშ ი.დ.რ-ში და მოითხოვა იქ სისხლისღვრის შეწყვეტა.

მას შემდეგ, რაც 1.VI.1966 ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს აშშ-თან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე ხ. ბალაგერი, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ მიიღო რეზოლუცია დომინიკელთა რესპუბლიკიდან უცხო ქვეყნის ჯარების გამოყვანის შესახებ. აშშ-ის ჯარებმა ქვეყნის ტერიტორია დატოვეს 21.IX.1966, მაგრამ ბალაგერის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე აშშ-მა მიიღო უფლება, ჰქონოდა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო-საზღვაო ბაზა.

*ლიტ.:* История дипломатии, 2 изд., т.5, кн.2, М., 1979, с. 613-18.

**ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია კუბაში 1961**, მოეწყო 17.IV, როცა აშშ-ის მიერ გაწვრთნილი 1300 კუბელი კონტრრევოლუციონერი 7 სატრანსპორტო ხომალდით, რომლებსაც იცავდა აშშ-ის ავიაცია და ორი ნაღმოსანი, გადაჯდა კუბის ტერიტორიაზე პლაია-ხირონისა და პლაია-ლარგას მიდამოებში. მანამდე 15.IV B 26 ტიპის რვა თვითმფრინავმა დაბომბა კუბის ქალაქები ჰავანა, სანტიაგო-დე-კუბა და სან-ანტონიო-დე-ლოს-ბანიოსი.

ინტერვენციის მიზანი იყო ფ. კასტროს მთავრობის დამხობა, რომელიც რევოლუციის გამარჯვების შედეგად 1.I.1959 მოვიდა ხელისუფლების სათავეში.

ინტერვენტები ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ და 72- საათიანი ბრძოლის შემდეგ იარაღი დაყარეს. კუბა აშშ-ის პირდაპირი ინტერვენციისაგან იხსნა სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხარდაჭერამ.

*ლიტ.*: Playa Girón: derrota del imperialismo, t.1-4, La Habana, 1961-62.

**ამერიკის შეერთებული შტატების კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ** (აქტი ნეიტრალიტეტის შესახებ), აშშ-ის კონგრესის ორივე პალატის ერთობლივი რეზოლუცია, მიიღეს 31.VIII.1935. 1937 გააფართოვეს და იქცა მუდმივმოქმედ კანონად ნეიტრალიტეტის შესახებ.

ა.შ.შ. კ.6.შ. აწესებდა ემბარგოს „იარაღის, აღჭურვილობისა და სამხედრო მასალების ექსპორტზე აშშ-ის ნებისმიერი ადგილიდან და მისი სამფლობელოებიდან მეომარი სახელმწიფოს ნებისმიერ ნავსადგურში ან ნეიტრალურ ნავსადგურში მეომარ სახელმწიფოში მის გადასაგზავნად ან გამოსაყენებლად". აშშ-ის ხომალდებს ეკრძალებოდათ იარაღისა და სამხედრო მასალის გადაზიდვა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იყო გათვალისწინებული მეომარი სახელმწიფოებისათვის. ამერიკის ნავსადგურები ცხადდებოდა ჩაკეტილად იმ სახელმწიფოთა გემებისათვის, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ. აღნიშნული კანონი თავდასხმის მსხვერპლ ქვეყანას არ აძლევდა უფლებას, თავდაცვის მიზნით აშშ-ში შეესყიდა იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა. ამ კანონის უარყოფითი მხარე თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ეთიოპიის წინააღმდეგ იტალიის აგრესიის დროს 1935-36, ჩინეთის წინააღმდეგ იაპონიის აგრესიის დროს.

1936 წლის თებერვალში კანონის სპეციალური დამატებით მისი მოქმედების სფეროდან გამოიყვანეს ლათინური ამერიკის ქვეყნები (მათი რომელიმე არაამერიკულ ქვეყანასთან ომის შემთხვევაში). მეორე დამატებით აიკრძალა მეომარი ქვეყნებისათვის სესხებისა და კრედიტების მიცემა.

ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს მიღებული კანონის საბოლოო ვარიანტი სამოქალაქო ომებზეც გავრცელდა. 1937 მასში შეიტანეს პუნქტი, – "cash and carry" (ინგლ. – სიტყვასიტყვით – „გადაიხადე და წაიღე"), რომლის მიხედვითაც მეომარ ქვეყნებს შეეძლოთ აშშ-ში ნედლეულისა და სხვა მასალის შესყიდვა (კანონი კრძალავდა მხოლოდ იარაღის გაყიდვას) იმ პირობით, რომ მათ არ გაიტანდნენ ამერიკული გემებით და ისინი უცხოეთის საკუთრება გახდებოდნენ მანამ, სანამ მათ ამერიკის ტერიტორიიდან გაიტანდნენ.

ა.შ.შ. კ.6.შ. ძალას ინარჩუნებდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე (მხოლოდ 1939 წლის 4 ნოემბერს დართო აშშ-ის კონგრესმა ნებართვა იარაღის გაყიდვის შესახებ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც გერმანიასთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ).

**ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის პროპაგანდის ცენტრები**, აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის კოორდინირება ხორციელდება პრეზიდენტის აპარატის მიერ, რომლის ჩარჩოებშიც ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის ხელმძღვანელობით 1983 შეიქმნა სპეციალური „უწყებათაშორისი დაგეგმვის ცენტრი, რომელშიც შედიან სახელმწიფო მდივანი, თავდაცვის მინისტრი, აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს (იუსია) დირექტორი და სხვა უწყებათა წარმომადგენლები.

აშშ-ის ოფიციალური პროპაგანდის ერთ-ერთი ძირითადი ცენტრია იუსია, რომელიც საზღვარგარეთ გავრცელებისათვის უშვებს 10 ჟურნალს და რამდენიმე ბიულეტენს, მათ შორის ჟურნალებს „ამერიკა" (ვრცელდება თანამეგობრობის ქვეყნებში), „ტოპიკ", „დიალოგი", „ეკონომიკ იმპექტ", „ფორუმი". წარმართავს საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენლობების მუშაობას ბეჭდვითი მასალისა და კინოპროდუქციის გავრცელებისათვის; განსაზღვრავს საზღვარგარეთ აშშ-ის გამოფენების თემატიკას; აკონტროლებს უცხოეთში აშშ-ის წარმომადგენელთა სალექციო საქმიანობას; აწყობს მეცნიერთა და მასწავლებელთა გაცვლებს და ა.შ. აქვს წარმომადგენლობები მსოფლიოს 130-მდე ქვეყანაში.

იუსია-ს ეგიდით 1983-დან მოქმედებს დემოკრატიის მხარდამჭერი ეროვნული ფონდი.

რადიოპროპაგანდას იუსია-ს ხელმძღვანელობით ახორციელებს 1942 შექმნილი რადიოსადგური „ამერიკის ხმა", რომელიც ინგლისურ და მსოფლიოს 41 სხვა ენაზე კვირაში 1 ათასი საათის განმავლობაში მუშაობს. „ამერიკის ხმის" გადამცემთა ქსელი შედგება 108 რადიოსადგურისაგან, რომელთაგან 31 აშშ-ის ტერიტორიაზეა, 77- საზღვარგარეთ.

1985-დან იუსია ახორციელებს თანამგზავრულ ტელეკავშირს ერთიანი გლობალური სისტემით „უორლდნეტ", რომელიც აშშ-ს მსოფლიოს 125 ქვეყანასთან აკავშირებს.

საერთაშორისო რადიოგადაცემების საბჭოს („დამოუკიდებელი ფედერალური სააგენტო") ექვემდებარება რადიოსადგურები „თავისუფლება" და „თავისუფალი ევროპა". 1976 ორივე რადიოსადგური გაერთიანდა ერთიან რადიოკორპორაციაში, რომლის ცენტრიც ქ. მიუნხენშია (გფრ). მას გააჩნია 16 რადიოსადგური დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და საშუალოდ ევროპაში 1055 საათს მუშაობს.

გარდა ამისა, აშშ-ის საგარეო-პოლიტიკურ პროპაგანდას ემსახურება დიდი რაოდენობის სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო აპარატის სტრუქტურებში. ესენია: „რენდ კორპორეიშნ", მემკვიდრეობის ფონდი, ჰუდსონის ინსტიტუტი, ბრუკინგსის ინსტიტუტი, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან არსებული საერთაშორისო კვლევის ცენტრი, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრი, კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული რუსული ინსტიტუტი, ომის პრობლემების ჰუვერის ინსტიტუტი, მეწარმეების ამერიკული ინსტიტუტი და მრავალი სხვა. ამ ცენტრების დაფი-

ნანსება ხდება როგორც სამთავრობო კონტრაქტების, ისე კერძო ფონდების (ფორდის, როკფელერის, კარნეგის და ა.შ.) მიერ.

**ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია** (Organization of American States – OAS), რეგიონული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებულია აშშ-ის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის 30 ქვეყანა (1985). დაარსდა 30.IV.1948 (იხ. *ბოგოტის კონფერენცია 1948*). 1962 *პუნტა-დელ-ესტეს თათბირამდე* ა.ს.ო-ის წევრი იყო კუბაც, რომელზეც იგი გაირიცხა.

ა.ს.ო-ის საკონსულტაციო დოკუმენტებია ამერიკათაშორისი ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ (იხ. *რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულება 1947*), ორგანიზაციის წესდება (ხელმოწერილია 30.IV.1948, ძალაში შევიდა 13.XII.1951), აგრეთვე ოქმი წესდების რეფორმის შესახებ (ხელმოწერილია 27.II.1967 ბუენოს-აირესში, ძალაში შევიდა 27.II.1970).

ა.ს.ო-ის მიზნებია „მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა დასავლეთ ნახევარსფეროში, სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების დარეგულირება, აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში თანამშრომლობა.

ა.ს.ო-ის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც წელიწადში ერთხელ მოიწვევა. იკრიბება საგარეო საქმეთა მინისტრების გენერალური თათბირი. მუდმივი ცენტრალური ორგანოა გენერალური სამდივნო. გააჩნია მუდმივმოქმედი საბჭოები – მუდმივი საბჭო, ამერიკათაშორისი ეკონომიკური და სოციალური საბჭო და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საბჭო. უმაღლესი სამხედრო საკონსულტაციო ორგანოა ამერიკათაშორისი თავდაცვის საბჭო. შტაბ-ბინა ქ. ვაშინგტონშია.

**ამიენის საზავო ხელშეკრულება 1802**, დაიდო 27.III საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს – ერთი მხრივ, ესპანეთსა და ბატავიის რესპუბლიკას (მოგვიანებით ნიდერლანდები) და მეორე მხრივ – ინგლისს შორის. დაამთავრა მეორე ანტიფრანგული კოალიციის დაშლა. ა.ს.ხ-ით ინგლისი უბრუნებდა საფრანგეთს და მის მოკავშირეებს მიტაცებულ კოლონიებს და ჯარი უნდა გაეყვანა მალტიდან. საფრანგეთს კი უნდა გაეყვანა თავისი ჯარები რომიდან, ნეაპოლიდან და კუნძულ მალტიდან. 26.III *ნაპოლეონ I-მა* ელბა საფრანგეთს შეუერთა. საპასუხოდ ინგლისმა უარი თქვა მალტის დატოვებაზე. მათ შორის მდგომარეობა გამწვავდა. 1803 ინგლისმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს.

**ამილახვარი** ალექსანდრე დიმიტრის ძე (1750-1802), ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. 1765 ერეკლე II-ის წინააღმდეგ პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაისაჯა (მოაჭრეს ცხვირი და გადაუჭრეს მარჯვენა ფეხის ძარღვი). 1772-დან რუსეთშია. იქ დაუკავშირდა ქართლის ტახტის პრეტენდენტს *ალექსანდრე ბაქარის ძეს*. 1783 ტრაქტატის გაფორმების შემდეგ *ერეკლე II-ის* თხოვნით *ეკატერინე II-მ* ვიბორგის ციხეში ჩასვა, სადაც 1801-მდე დაჰყო. ეკუთვნის პოლიტიკური ხასიათის პამფლეტი, ავტობიოგრაფიული თხზულება „გეორგიანული ისტორია" (1779, პეტერბურგი), რომელიც მიმართულია ერეკლე II-ისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ. მანვე დაწერა პოლიტიკური და ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა", რომელიც XVIII ს. ქართული პოლიტიკური აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია და ემყარება იმდროინდელ მოწინავე ევროპელ (ფრანგ) განმანათლებელთა იდეებს. მას ეკუთვნის პოლიტიკურ დიალოგზე აგებული პიესა „მოქმედება ასტრახანში", რომელშიც ავტორი იძლევა პოლიტიკურ და დიპლომატიურ დაკვირვებებს და საკუთარ კონცეფციას მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეპოქაზე, დაწყებული ანტიკური სამყაროდან მის დრომდე.

**ამილახვარი** ივანე გივის ძე (1829-1905), მეფის რუსეთის გენერალი და ქართულ სიძველეთა რესტავრატორი. 1850-დან –კავკასიის ომების მონაწილე. 1871 რუსეთის იმპერატორმა გაგზავნა გერმანიაში ვიურტემბერგის პრინცის მისალოცად. 1886 იმპერატორმა აირჩია თავის ფლიგელ-ადიუტანტად და მას მიანდო ჩეჩნეთის კომლობრივი აღწერა. 1904-05 იყო ბაქოს გენერალ-გუბერნატორი.

**ამილახორი**, ა მ ი რ ა ხ ო რ ი (არაბ. ამირ ახურ – საჯინიბოს უფროსი), გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სამეფო კარის მოხელე, *ამირსპასალარის* თანაშემწე, მისი ვეზირი. ა. დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი, სათათბირო ხმის უფლებით იყო სავაზიროს წევრი *ამირეჯიბთან* ერთად. მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი. ამ საუწყებოთა ყველა მოხელე ა-ს ემორჩილებოდა. მის დაქვემდებარებაში შედიოდა „ზარდახანა" – ყოველგვარი აბჯარ-იარაღის, სამხედრო ნიშნებისა და სამკაულის საწყობი. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ ა. იყო ზემო ქართლის სარდალი და ქ.გორის მოურავი. ა-ის თანამდებობიდან წარმოდგა გვარი ამილახვარი, რომელიც ზედგინიძეთა თავადურ გვარს მიეკუთვნება.

*წყარო:* გარიგება ჴელმწიფის კარისა. - წგ-ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც., ტ.2, თბ.,1965.

*ლიტ.:* ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ.6,თბ.,1982.

**ამინიანი** (Aminian) აკბარ, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

დაამთავრა თეირანის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 1986-87 – საერთაშორისო სამართლისა და ხელშეკრულებათა სამმართველოს ექსპერტი. 1987 – პარლამენტის კანცელარიის გამგის მოადგილე. 1988-89 – პარლამენტის კანცელარიის გამგე. 1989 – იურიდიული სამსახურის გენერალური დირექტორი. 1996 წლის თებერვლიდან – ირანის ელჩი საქართველოში.

**ამირეჯიბი** (არაბ. ამირ ჰაჯიბ – კარისკაცთა ამირა), გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში სამეფო კარის ვეზირის – *მანდატურთუხუცესის* თანაშემწე და ეჯიბთა უხუცესი. სამეფო კარზე განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა, მას ყოველთვის და ყველგან შეეძლო მეფის ნახვა და მოხსენების წარდგენა. ა-ს უფლება ჰქონდა დასწრებოდა თათბირებს სავაზირო დარბაზში. მანდატურთუხუცესთან ერთად მონაწილეობდა დარბაზობის წესის აღსრულებაში. ამ მოხელის სახელიდან წარმოდგა გვარი ამირეჯიბი.

*წყარო და ლიტ.* იხ. სტ-თან ამილახორი.

**ამირეჯიბი** ქუცნა, ქართლის დიდი ფეოდალი, პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. სამჯერ იყო კონსტანტინოპოლში წარგზავნილი საქართველოს მეფის ელჩად.

მესამე ელჩობა დაახლოებით 1390, ანუ *თემურ-ლენგის* ლაშქრობების ხანაში უნდა შემდგარიყო. ამ ელჩობის მიზანი შესაძლებელია ყოფილიყო საქართველოსა და ბიზანტიის მცდელობა ერთიანი მოქმედებისა თემურ-ლენგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

*წყარო:* ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ.2, ტფ.,1897.

*ლიტ.:* ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3-4, თბ.,1966-67 (თხზ., ტ.3, თბ.,1982).

**ამირ ნიზამი** (ე მ ი რ ნ ე ზ ა მ ი – ქარების ემირი, ან ე მ ი რ ე ქ ე ბ ი რ – დიდი ემირი) მირზა-ტაგი-ხან ფერაჰანი (1808-52), ირანის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1829 იმყოფებოდა სანქტ-პეტერბურგში, ირანის მისიის შემადგენლობაში, რომელიც იქ ჩაიდა ბოდიშის მოსახდელად *ა.ს.გრიბოედოვის* მკვლელობის გამო. იყო ირანის წარმომადგენელი თურქეთთან მოლაპარაკებისას სასაზღვრო კონფლიქტის გამო (იხ. *არზრუმის (ერზურუმის) ხელშეკრულებები*). 1848-51 – პრემიერ-მინისტრი, გამოდიოდა უცხოური ქვეყნების მიერ ირანის დაკაბალების წინააღმდეგ. 1851 სასახლის კარზე მოწყობილი ინტრიგების წყალობით (რომელსაც მხარს უჭერდა ინგლისი), გადაასახლეს, ხოლო 1852 შაჰის მითითებით მოკლეს.

**ამირსპასალარი**, ორი სიტყვისაგან შედგება: ამირ – არაბულია და უფროსს ნიშნავს; სიფაჰსალარ – სპარსულია და სარდალს აღნიშნავს. საქართველოში ა. პირველად XII საუკუნის წყაროებიდან არის ცნობილი (*გიორგი III-ის* დროიდან). მანამდე სარდალს სპასალარი, ხოლო მთავარსარდალს სპასპეტი ეწოდებოდა. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ა. ყველა სახეობის ჯარების მთავარსარდალი, ვეზირი იყო. მეფის შემდეგ სამხედრო უწყებაში პირველ კაცად ითვლებოდა. ებარა სახელმწიფო დროშა, ომის დროს ლაშქარს წინ მიუძღოდა, მისი უშუალო ხელმძღვანელი იყო. ვეზირთა პირველ სამეულში შედიოდა *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელთან* და *მანდატურთუხუცესთან* ერთად. ზოგ შემთხვევაში მანდატურთუხუცესის თანამდებობასაც ითავსებდა. უმისოდ სამეფოში არ ხდებოდა მიწა-წყლის გაცემა-გასაჩუქრება და სამამულოდ შეწყალება. მის უწყებაში შედიოდა: *ამილახორი*, მეაბჯრეთუხუცესი, ზარდახნისუხუცესი, ზარდახნის მოლარე, ზარდახნის მწიგნობარი და სხვ.

*წყარო და ლიტ.* იხ. სტ-თან *ამილახორი*.

**ამოს დეკლარაცია 1934**, იაპონიის განცხადება ჩინეთში პოლიტიკის გამო, რომელიც გააკეთა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვის განყოფილების გამგემ ამომ, 17.IV, ერთა ლიგის მიერ ჩინეთისათვის ე.წ. „დახმარების გაწევის თაობაზე". ა.დ.-ში ნათქვამი იყო, რომ იაპონიას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მშვიდობის დასაცავად აღმოსავლეთ აზიაში და ის ვერ შეურიგდებოდა, რომ ჩინეთს მიემართა სხვა ქვეყნებისათვის დახმარების მიზნით, გარდა იაპონიისა. ა.დ-მ ჩინეთისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგობა გამოიწვია.

*ლიტ.:* Славковский М.И., Китай и Япония, М., 1971, с.158.

**ამსტერდამის ხელშეკრულება 1717**, დაიდო 4(15) VIII რუსეთს, საფრანგეთსა და პრუსიას შორის, როცა აშკარა გახდა ჩრდილოეთის ომში შვეციის სამხედრო დამარცხების გარდუვალობა. ა.ხ-ით რუსეთი და პრუსია ცნობდნენ *უტრეხტის საზავო ხელშეკრულებას 1713* და *რაშტატის საზავო ხელშეკრულებას 1714*. საფრანგეთი წინასწარვე დათანხმდა ეცნო რუსეთ-შვეციის მომავალი ზავის პირობები.

*პუბლ.:* М а р т е н с Ф., Собрание трактатов и конвенций..., т.5, с.161-68.

**ამტორგი** (Amtorg Trading Corporation), სააქციო საზოგადოება საბჭოთა კაპიტალით, რომელიც რეგისტრირებული იყო ნიუ-იორკის შტატში, როგორც ამერიკული კორპორაცია, ქვეყანაში საბჭოთა საგარეო ვაჭრობათა გაერთიანების აგენტი. მათი სახელით ა. აწარმოებდა გარიგებებს ამერიკულ ფირმებთან, ახორციელებდა მიღებას, საქონლის გადატვირთვის ინსპექტირებასა და კონტროლს. შტაბ-ბინა ნიუ-იორკშია. მოსკოვში არის მისი გენერალური წარმომადგენლობა. ა. დაარსდა 1924. 1920-30-იან წლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აშშ-სა და სსრკ-ს შორის ვაჭრობის განხორციელებაში.

**ამფიქტიონია** (ბერძ. Amphiktiones – შემოგარენის მცხოვრებნი, მეზობლები), ტომებისა და ქალაქ-სახელმწიფოების (პოლისების) რელიგიურ-პოლიტიკური კავშირი ძველ საბერძნეთში. ა-ის მთავარ ამოცანას შეადგენდა სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა, საერთო ტაძარში კულტის ერთობლივი მსახურება. ისინი არსებობდნენ ოლიმპოს ღვთაებათა ტაძრებთან. განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ აპოლონისა (დელფოსში, კუნძულ დელოსზე) და პოსეიდონის (კუნძულ კალაბრიაზე, ბეოტიაში ონქესტოსის) ტაძრები.

ა-ს გამომუშავებული ჰქონდა ომების წარმოების სავალდებულო წესები (აკრძალული იყო ქალაქისათვის სასმელი წყლის გადაჭრა ან გამარჯვებულის მიერ ქალაქის დანგრევა). ა-ის გამოცხადებულ ომს „საღვთო ომი" ეწოდებოდა.

**ამჰერსტის მისია 1816**, ინგლისის ოფიციალური მისია ცინის ჩინეთში. მიზანი იყო, გაეხსნა კარი ინგლისური საქონლისათვის. ამ პერიოდში ინგლის-ჩინეთის ურთიერთობა გამწვავებული იყო. ცინის მთავრობა ცდილობდა, ხელი შეეშალა ქვეყანაში ინგლისის შეჭრისათვის. ლორდ ამჰერსტის მიერ ცინის სასახლეში მიღებული დიპლომატიური ეტიკეტის შეუსრულებლობის საბაბით იგი ჩინეთიდან გააძევეს. მალე ამას მოჰყვა იმპერატორის ბრძანება პეკინში უცხოელთა შესვლის აკრძალვის თაობაზე.

**ანა კომნენე** (1083-დაახლ.1148), ბიზანტიელი მწერალი და ისტორიკოსი, ალექსი კომნენოსის ასული. დაწერა „ალექსიადა", რომელშიც აღწერა მამის ცხოვრება და ჯვაროსანთა I ლაშქრობა. ა.კ. თავის შრომაში დიდ ადგილს უთმობს *ბაგრატ IV-ის* ასულის, *მარიამ დედოფლის* (მართაყოფილის) ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

*ლიტ.:* ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს., ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1963.

**ანგელოსები**, ბიზანტიის იმპერატორთა დინასტია 1185-1204. ტახტი ანდრონიკე I კომნენოსის დამხობის შემდეგ მიიღეს. წარმატებით მოიგერიეს სიცილიელი ნორმანების თავდასხმები, დამარცხდნენ სელჩუკებთან ბრძოლაში. ამ დროს განხორციელდა ჯვაროსანთა III და IV ლაშქრობები, რომლებიც ანტიბიზანტიურ ხასიათს ატარებდნენ. ა-ის უკანასკნელი წარმომადგენლები – ისაკ II და ალექსი IV შეთქმულებისას მოკლეს ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის გარემოცვის დროს (1204). რთული საგარეო-პოლიტიკური ვითარების პი-

რობებში არსებობდა აქტიური კონტაქტები ა-ის ბიზანტიასა და საქართველოს სამეფოს შორის.

**ანგოლა-კუბის ერთობლივი განცხადება 1982**, გამოქვეყნდა 6.II და ეხებოდა ანგოლაში კუბის შეიარაღებული ძალების ნაწილების ყოფნას. ა.-კ.ე.გ-ში აღნიშნული იყო, რომ კუბის სამხედრო ნაწილები ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფებოდნენ ამ ქვეყნის მთავრობის თხოვნით, რათა აღმოეჩინათ დახმარება ანგოლისათვის შეიარაღებული ძალების მომზადების საქმეში, რომელთაც უნდა დაეცვათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. მასში მხარეები აღნიშნავდნენ, რომ ანგოლაში კუბის შეიარაღებული ნაწილების ყოფნა შეესაბამებოდა გაეროს წესდების 51-ე მუხლს. ამასთან, აღნიშნული იყო, რომ კუბის სამხედრო ნაწილების ყოფნას ანგოლაში არავითარი კავშირი არა აქვს ნამიბიის პრობლემასთან. ა.-კ.ე.გ-ში მოცემული დებულებები შემდგომში კიდევ უფრო განვითარდა *კუბა-ანგოლის ერთობლივ დეკლარაციაში 1984*.

**ანდების ჯგუფი** (El Grupo Andino), ანდების პაქტი, სუბრეგიონული ეკონომიკური დაჯგუფება, შექმნილი *თავისუფალი ვაჭრობის ლათინურამერიკული ასოციაციის* ჩარჩოებში. ხელშეკრულება ა.ჯ-ის შექმნის შესახებ (ე.წ. „კარტახენის ხელშეკრულება") ხელმოწერილ იქნა 26.V.1969 ბოგოტაში ბოლივიის, კოლუმბიის, პერუს, ჩილეს და ეკვადორის მიერ. 1973 მათ შეუერთდა ვენესუელა. 1976 ჩილეში პინოჩეტის მთავრობის მიერ ა.ჯ-ის გადაწყვეტილებათა დარღვევის გამო ჩილე გამოვიდა დაჯგუფებიდან. დაჯგუფების მიზანია ანდების ქვეყნების სუბრეგიონული საერთო ბაზრის შექმნა, მრეწველობის, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის წარმოების გაფართოება, ინდუსტრიალიზაციის პროცესის დაჩქარება, ფინანსურ ღონისძიებათა კოორდინაცია და ა.შ. ა.ჯ-ის უმაღლესი ორგანოებია კომისიები, დაჯგუფების საბჭო და ანდების ტრიბუნალი (დაარსდა 1983), რომელთა ადგილსამყოფელიც ქ.ლიმაშია (პერუ). ა.ჯ. აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საერთო ბაზართან, აგრეთვე სხვა რეგიონულ ორგანიზაციებთან, ლათინური ამერიკის დანარჩენ ქვეყნებთან. ა.ჯ. იყო სახელმწიფოთაშორისი პირველი გაერთიანება, რომელმაც მიზნად დაისახა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მოძალების წინააღმდეგ ბრძოლა. 30.VI.1971 ძალაში შევიდა გადაწყვეტილება უცხოურ კომპანიათა მოქმედების შეზღუდვისა და მათზე კონტროლის დაწესების შესახებ ა.ჯ-ის ქვეყნებში. 11.IX.1980 ეკვადორმა, ვენესუელამ, კოლუმბიამ და პერუმ რიობამბეში (ეკვადორი) მიიღეს ქცევის კოდექსი, სადაც გამოთქვეს მზადყოფნა, ემოქმედათ „სოლიდარულად ნებისმიერი საშიშროების ან ეკონომიკური ჩაგვრის" წინააღმდეგ, რათა დაეცვათ „კოლექტიური ეკონომიკური უსაფრთხოება".

**ანდრაში** (Andrassy) დიულა უფროსი (1823-90), გრაფი, უნგრელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1848-49 – უნგრეთის რევოლუციის მონაწილე, 1849 – უნგრეთის ეროვნული მთავრობის დესპანი თურქეთში. რევოლუციის დამარცხების შემდეგ – ემიგრანტი საფრანგეთში. 1851 ავსტრიელებმა დაუსწრებლად სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ამნისტიის შემდეგ (1857) უნგრეთში დაბრუნდა. 1861 აირჩიეს სახელმწიფო სათათბიროში. მონაწილეობდა 1867 ავსტრია-უნგრეთის შეთანხმების შემუშავებაში, რომელმაც ჰაბსბურგების მონარქია გარდაქმნა „დუალისტურ" მონარქიად. 1867-71 უნგრეთის პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრია; 1871-79 – ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. აქტიურად გამოდიოდა გერმანიასთან დაახლოებისათვის. 1870-71 საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, იცავდა ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტს, რომელიც პრუსიისათვის ხელსაყრელი იყო. 1873-84 მონაწილეობდა *სამი იმპერატორის კავშირის* შექმნაში. მხარს უჭერდა ჰაბსბურგთა დამპყრობლურ პოლიტიკას ბალკანეთში. 1879 დადო *ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულება*.

**ანდრონიკაშვილი** აბელ თამაზის ძე, XIX ს-ის I ნახევრის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1832 შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე, 1812 – კახეთის აჯანყების აქტიური წევრი. ავარიის ხანს ერთხანს მძევლადაც კი ჰყავდა. გუდოვიჩმა მას კაპიტნის ჩინი უბოძა. 1812 კახეთის აჯანყების დროს ქოდალოს ციხეში 80 ჯარისკაცს შეაძლებინა შემობოხეთა ალყის გარღვევა. მთავარმართებელმა რტიშჩევმა მაინც არ ირწმუნა მისი ერთგულება და გააციმბირა.

**ანდრონიკაშვილი** ზაზა ზაალის ძე (გ. 1814), იოანე ბატონიშვილის სახლთუხუცესი. 1800 იოანეს პეტერბურგში გაჰყვა. აქ იგი დააჯილდოვეს ბრილიანტით შემკული ბეჭდით. პეტერბურგში ყოფნისას მონაწილეობდა დიპლომატიურ საუბრებსა და მისიებში, ხშირად ხვდებოდა საფრანგეთის ელჩს კოლენკურს. 1812 ა. პეტერბურგში მსახურობს როგორც „ქართველ თავადაზნაურთა რწმუნებული პეტერბურგში".

**ანდრონიკაშვილი** ივანე მალხაზის ძე (1793-1868), გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი. 1830-დან მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში დაღესტანსა და ოსეთში. 1841-დან გახდა გენერალ-მაიორი, 1868-დან – კავალერიის გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა თურქეთში დიპლომატიურ მისიებში. 1853 წლის 14 ნოემბერს ყირიმის ომში დაამარცხა ოსმალთა 18-ათასიანი არმია. 1856 გაათავისუფლეს სამხედრო გუბერნატორის თანამდებობიდან. მონაწილეობდა აგრეთვე რუსეთ-ირანის 1826-28 ომში, როგორც დიპლომატი და სარდალი.

**ანდრონიკაშვილი** მალხაზ (მელქისედეკ) (გ.დაახლ. 1822), ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების პოლიტიკური მოღვაწე. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1801 ა-ს მიწერ-მოწერა ჰქონდა *ალექსანდრე ბატონიშვილთან. სოლომონ II-მ* გაგზავნა ჯერ ახალციხეს, შემდეგ – სპარსეთში როგორც მოციქული. 1810 იმერეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ ა. ს.*ლიონიძესთან* ერთად ახალციხეს წავიდა, ხოლო როცა ჩამოვიდა თბილისის ტყვეობიდან გამოქცეული სოლომონ II, იგი ასრულებდა ამ უკანასკნელის დავალებებს; იყო სტამბულში ხონთქართან დახმარების სათხოვნელად 1811, შემდეგ – სპარსეთში. სოლომონის სიკვდილის შემდეგ (1815) ჩავიდა ეჩმიაძინში სომეხთა კათალიკოსთან, რომლის შუამდგომლობით საქართველოში დაბრუნდა. ცხოვრობდა სოფ.ვეჯინში, სადაც გარდაიცვალა.

**ანდრონიკაშვილი** ქაიხოსრო (გ.1792), ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფო მოღვაწე, მდივანბეგი, დიპლომატი და მწერალი. აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1772 მონაწილეობდა *ანტონ I-ისა*

და *ლევან ბატონიშვილის* რუსეთის ელჩობაში. *ერეკლე II* იმპერატორ *ეკატერინე II-ის* მთავრობას ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლას სთავაზობდა და პირველ რიგში ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალით დახმარებას თხოულობდა. ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1774 ერეკლე II-მ ა. სპეციალური მისიით გაგზავნა ირანში. მისი მიზანი იყო ქერიმ-ხანთან ურთიერთობის მოგვარება და ქართლ-კახეთის სამეფოსათვის მოსალოდნელი საფრთხის აცილება. მისია წარმატებით დასრულდა.

**ანდრონიკე II** პალეოლოგოსი (Andronikos Palaiologos 1260-1332), ბიზანტიის იმპერატორი 1282-1328. იგი ცდილობდა დაებრუნებინა ბიზანტიისათვის ჯვაროსნების მიერ 1204 მიტაცებული მიწები და აელაგმა ფეოდალთა სეპარატისტული მისწრაფებანი. ებრძოდა მცირე აზიაში მომძლავრებულ თურქებს. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამლუქთა ტყვეობიდან გამოხსნის მიზნით, 1305 მხარი დაუჭირა საქართველოს მეფის *დავით VIII-ის* მიერ გაგზავნილ ელჩობას. ქართველი დესპანები ჯერ ბიზანტიაში ჩავიდნენ, საიდანაც იმპერატორ ა.II-ს მათთვის თავისი დესპანებიც გაუყოლებია. ა.II-თან საქართველოს ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტების შედეგად შესაძლებელი გახდა 1308 ქართველთა ხელში გადასულიყო ერთ-ერთი უპირველესი ქრისტიანული სიწმინდე – გოლგოთა.

ლიტ.: ვ ა ჩ ე ჩ ი ა რ., ქართველები იერუსალიმში. - „რელიგია", 1992, №10; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ.3, თბ.,1982; Успенский Ф.И., История Византийской империи, т.3, М.-Л., 1948.

**ანდრონიკე იაბრიძე**, ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII-მ მართლმადიდებლურ ქვეყნებში თავისი წარმომადგენლები დააგზავნა, რათა მათ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე 1437-39 მიეღოთ მონაწილეობა. ა.ი. ამ მისიით საქართველოსა და ტრაპიზონში გაიგზავნა.

ლიტ.: ტ ა ბ ა ღ უ ა ი ., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. - კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, 1, თბ.,1970.

**ანდროპოვი** იური ვლადიმერის ძე (1914-84), სკკპ და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1936-44 კომკავშირულ სამუშაოზეა. მეორე მსოფლიო ომის წლებში კარელიაში ეწეოდა პარტიზანულ ბრძოლას. 1944-47 – პარტიის პეტროზავოდსკის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი, 1947-51 – კარელიის კომპარტიის ცკ მეორე მდივანი, 1951-53 – სკკპ ცკ ინსპექტორი, შემდეგ – ქვეგანყოფილების გამგე. 1953 – დიპლომატიურ სამუშაოზეა საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1954-57 – სსრკ ელჩი უნგრეთში. 1957-62 – სკკპ ცკ განყოფილების გამგე, 1962-67 – ცკ მდივანი. 1967-82 – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, არმიის გენერალი. 1982 წლის მაისიდან – სკკპ ცკ მდივანი. 1982 წლის ოქტომბრიდან – სკკპ ცკ გენერალური მდივანი; 1983 წლის ივნისიდან – სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. სსრკ თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე. სოციალისტური შრომის გმირი (1974), დაჯილდოებული იყო საბჭოთა ორდენებითა და მედლებით.

**ანდრუსოვოს ხელშეკრულება** 1667 (დაზავებაზე), დაიდო 20(30).I სოფ. ანდრუსოვოში (სმოლენსკთან ახლოს), რუსეთსა და რეჩ-პოსპოლიტას შორის 13,5 წლით. ა.ხ-ით რუსეთმა დაიბრუნა სმოლენსკის სავოევოდო ყველა თავისი მაზრითა და ქალაქით, სტაროდუბის პოვეტი და ჩერნიგოვის სავოევოდო, აგრეთვე კიევი 1 მილი რადიუსით და მიიღო მარცხენა ნაპირის უკრაინა. ზაპოროჟიე ფაქტობრივად რუსეთის მმართველობაში შევიდა (იხ. *„სამუდამო ზავი" 1686*).

ლიტ.: Галактионов И.В., Из истории русско-польского сближения в 50-60-ых гг. XVII в. Андрусовский договор 1667, Саратов, 1960.

**ანეკდოტი პოლიტიკური** (ფრანგ. anecdote – პატარა, სასაცილო მოთხრობა), მოკლე, სასაცილო მოთხრობა რაიმე პოლიტიკურ სიტუაციაზე ან ლიდერის ქცევასა და ხასიათზე. ჩვეულებრივ, ჯგუფებში, რომლებიც ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდებიან განათლებით, კულტურით, აგრეთვე ჯგუფებში, რომლებსაც სხვადასხვა (მით უმეტეს, საწინააღმდეგო) პოზიციები უკავიათ პოლიტიკურ ცხოვრებაში, სტიქიურად იქმნება ან ვრცელდება ა.პ-ის ტიპები, რომელთათვისაც პოლიტიკურ შეფასებათა განსხვავება (ზოგჯერ კონფრონტაციაც) არის დამახასიათებელი. ამ შეფასებათა ფორმულირებისათვის გამოიყენებიან საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები. ა.პ. შეიძლება იყოს პოლიტიკური ბრძოლის მეტად მწვავე ფორმა, როცა ხდება მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია, მომხრეებისადმი სიმპათიების ფორმულირება. ა.პ-ს შეიძლება ჰყავდეს კონკრეტული ავტორი, ან იყოს კოლექტიური ნააზრევის შედეგი. ა.პ. გამოირჩევა ხასიათებისა და სიტუაციების განსაკუთრებული (თითქმის აბსურდული) ჰიპერტროფირებით, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკური ცხოვრების რომელიმე მხარის გამოვლენას და მის დამახსოვრებას.

**ანექსია** (ლათ. annexio – შეერთება), სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ძალდატანებითი შეერთება. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრებაზე უარისთქმა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა, სახელმწიფოს საზღვრების ურღვეობა, კრძალავს ა-ის ნებისმიერ გამოვლინებას.

**ანზამი**, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და მალაიზიის სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება, რომელიც ჩამოყალიბდა 1949-50. მისი მოქმედების სფეროში შედიოდა ბრიტანეთის კოლონია მალაია (1957-დან დამოუკიდებელი სახელმწიფო მალაიის ფედერაცია, 1963-დან მალაიზიის ფედერაცია), ხოლო 1965-დან – სინგაპურიც (იხ. *ინგლის-მალაიზიის ხელშეკრულება 1957*). 1971 ლონდონში დაიდო ახალი *ხუთმხრივი ხელშეკრულება თავდაცვის შესახებ.*

**ანზიუსი** (ANZUS), სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელშიც შედიან ავსტრალია, ახალი ზელანდია და აშშ (ამ ქვეყნების სახელწოდებათა პირველი ასოებისაგან წარმოდგება ბლოკის სახელიც). შეიქმნა 1.IX.1951 „უშიშროების ხელშეკრულების" საფუძველზე, რომელიც მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შევიდა 22.IV.1952. ა-ის შემქმნელები მიზნად ისახავდნენ ნატოს მსგავსი სამხედრო ბლოკის შექმნას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების მონაწილეობით. ბლოკის ამოცანაა მშვიდობის დაცვა წყნარი ოკეანის რეგიონში და მონაწილე ქვეყნების ქმედებათა კოორდინაცია „რეგიონული უშიშროების სისტემის" შექმნის საქმეში.

ა-ის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელიც იკრიბება წელიწადში ერთხელ საგარეო საქმეთა მინისტრების ან მათი მოადგილეების დონეზე, რიგრიგობით ბლოკის წევრ ქვეყანათა დედაქალაქებში. ბლოკს არ გააჩნია შტაბ-ბინა.

ბლოკის ჩარჩოებში რეგულარულად ეწყობა სამხედრო მანევრები. აშშ-ის ბირთვულ სამხედრო ხომალდებს უფლება აქვთ შევიდნენ ბლოკის მონაწილე ქვეყნების ნავსადგურებში, ხოლო სამხედრო ძალებს შეუძლიათ გამოიყენონ მათი აეროდრომები და სამხედრო ბაზები.

**ანიკეტი**, პონტოს მეფის, პოლემონ II-ის ფლოტის ყოფილი უფროსი. ახ. წ. 69 ა-ის მეთაურობით პონტოში ანტირომაული აჯანყება მოხდა. 63 პოლემონ II-ის გარდაცვალების შემდეგ პონტო რომის პროვინციად გამოცხადდა. პონტოს გაბატონებული ზედაფენა ვერ შეურიგდა რომაული ადმინისტრაციული სისტემის დამყარებას. აჯანყება დაიწყო იმ დროს, როდესაც იმპერიის მრავალ ადგილას მიმდინარეობდა განმათავისუფლებელი მოძრაობა და ტახტისათვის ბრძოლამაც კულმინაციას მიაღწია. *ვესპასიანემ* იგი დაამარცხა და ა-მა თავი მდ. ხობის ნაპირებს შეაფარა. რომაელთა მუქარით შეშინებულმა ადგილობრივი ტომების – სედოხეზების (მსგავსი სახელწოდების ტომს სხვა ანტიკური ავტორებით არ იცნობენ) მეფემ, ა. გამარჯვებულებს გადასცა.

**ანკლავი** (ფრანგ. enclave – მიწადაქსაქსულობა), სახელმწიფოს სახელეთო ტერიტორიის განცალკევებული ნაწილი, რომელსაც სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ტერიტორია აკრავს გარს და საზღვაო ნაპირი არა აქვს, მაგ., შვეიცის საზღვრებს შიგნით მდებარეობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ა. ბიუზინგენი და იტალიის ა. კამპიონე – დ'იტალია. თუ განცალკევებული ტერიტორიის ნაწილს აქვს საზღვაო ნაპირი, მას ნახევარანკლავს უწოდებენ, მაგ., ესპანეთის მიწები აფრიკის კონტინენტზე – სეუტა და მელილია გარშემორტყმულია მაროკოს ტერიტორიით და გასასვლელით ხმელთაშუა ზღვაზე; რუსეთის ფედერაციის კალინინგრადის ოლქი გარშემორტყმულია პოლონეთისა და ლიტვის ტერიტორიებით და გასასვლელით ბალტიის ზღვაზე. ა-ის არსებობა წარმოშობს მოქალაქეების, ტრანსპორტის, ტვირთების გადაადგილებისა და სხვა პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც დაინტერესებულ მხარეთა მოლაპარაკების გზით ხორციელდება.

**ანსარი** (მ о შ ე ე რ - ო ლ - მ ე მ ა ლ ე ქ ი) ალი გოლი-ხან (1869-1940), ირანის დიპლომატი. 1902-05 იყო ირანის საქმეთა დროებითი რწმუნებული რუსეთში. 1915-19 – ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი, მონაწილეობდა პარიზის სამშვიდობო კონფერენციის (1919-20) მუშაობაში, გამოდიოდა ინგლის-ირანის შეთანხმების (1919) წინააღმდეგ. 1920 – ელჩი თურქეთში. 1920-26 – ელჩი რსფსრ-ში, ხელი მოაწერა რსფსრ-ირანის 1921 ხელშეკრულებას. 1926-28 – საგარეო საქმეთა მინისტრი, მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ირანის 1927 ხელშეკრულების ხელმოწერაში გარანტიებისა და ნეიტრალიტეტის შესახებ, აგრეთვე – კასპიის ზღვის სამხრეთში თევზის სარეწების ექსპლუატაციის შესახებ. 1928-31 – ელჩი სსრკ-ში, 1931-33 – დიდ ბრიტანეთში.

**ანსეის ხელშეკრულებები 1854-58**, სახელწოდება არათანასწორუფლებიანი საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომელიც იაპონიას თავს მოახვიეს ანსეის წლებში (სიტყვასიტყვით „სიწყნარე", ოფიციალური სახელწოდება იმპერატორ კომეის 1854-60 მმართველობისა) აშშ-მა და ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა შეიარაღებული შეჭრის მუქარით (იხ. *პერის მისია 1853-54*). ა.ხ-ით აიძულებდნენ იაპონიას, უარი ეთქვა იზოლაციურ პოლიტიკაზე, დაემყარებინა ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან, მიეცა მათთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის უფლება, გაეხსნა პორტები.

ლიტ.: Г р и м м Э.Д. Сборник договоров и других документов по истории международных отношений на Дальнем Востоке (1842-1925), М., 1927, с.50-54, 60-70, 98-102.

**ანტანტა** (ფრანგ. "Entente cordiale" – „გულითადი თანხმობა"), ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი (იხსენიება ამასთან ერთად „სამთა შეთანხმებად", აგრეთვე „ოთხთა შეთანხმებად" 1915-დან იტალიის მიმხრობის შემდეგ), რომელიც საბოლოოდ გაფორმდა პირველი მსოფლიო ომის წინ. გერმანიამ 1882 კავშირი დაამყარა ავსტრია-უნგრეთთან და იტალიასთან (იხ. *სამთა კავშირი*). ამ ბლოკის საპირისპიროდ ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შედეგად 1893 ხელი მოაწერეს საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულებას. ინგლისი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში და XX საუკუნის დასაწყისში თავისი პოლიტიკის – *„ბრწყინვალე იზოლაციის"* ერთგული ბლოკის გარეშე რჩებოდა. მაგრამ ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებმა აიძულა ინგლისი საფრანგეთთან და რუსეთთან დათმობაზე წასულიყო. 1904 ხელი მოაწერეს ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებას, ხოლო 1907 *რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულებას*. I მსოფლიო ომის დროს ა-ის ირგვლივ გაერთიანდა 25 სახელმწიფო, მათ შორის აშშ.

ლიტ.: Документы внешней политики СССР, т.1, М., 1957; Международные отношения в эпоху империализма, М.-Л., 1931-40; Сборник договоров России с другими государствами 1856-1917, [М.], 1952.

**ანტანტა ახლო აღმოსავლეთის**, იხ. *საადაბადის პაქტი 1937*.

**ანტანტა ბალკანეთის**, საბერძნეთის, რუმინეთის, თურქეთისა და იუგოსლავიის კავშირი, დაიდო 9.II. 1934 ათენში. აღნიშნული ქვეყნები დაინტერესებული იყვნენ ბალკანეთზე *სტატუს-კვოს* შენარჩუნებით და მათი საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო საფრანგეთზე. II მსოფლიო ომის შემდეგ ბალკანეთის რამდენიმე სახელმწიფო ფაშისტური რეჟიმის ქვეყნებმა დაიკავეს, მეორე ნაწილი *„ანტიკომინტერნულ პაქტში"* შევიდა. ამდენად ა.ბ-მ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: Б о ш к о в и ч Б., Балканы и международный империализм, М., 1936.

**ანტანტა ბალტიის**, დაარსდა 12.IX.1934 ჟენევაში ბალტიისპირეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოების – ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მიერ. ა.ბ-ის მიზნებს წარმოადგენდა თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში; საგარეო პოლიტიკაში ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და მზარდი საბჭოთა და ნაცისტური საფრთხის თავიდან აცილება. ა.ბ-მ მონაწილე ქვეყნების იმედები ვერ გაამართლა, რადგან წარმოადგენდნენ რა ძირითადად აგრარულ ქვეყნებს, ისინი საგარეო ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტებად იქცნენ. ა.ბ-ის ფარგლებში ვერც ლიტვის სასაზღვრო პრობლემების (ვილნოს (ვილნიუსის) და მემელის (კლაიპედა) გადაჭრა მოხერხდა. 1940 წლის აგვისტოში სსრკ მიერ ბალტიისპირეთის ქვეყნების ანექსიის შემდეგ ა.ბ-მ არსებობა შეწყვიტა.

**ანტანტა მცირე**, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და იუგოსლავიის კავშირი, შეიქმნა 1920-21. იარსება 1930-მდე.

კავშირის საფუძველი იყო მხარეთა დაინტერესება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი სოციალური და პოლიტიკური ვითარების შენარჩუნებით, რომელიც ჩამოყალიბდა I მსოფლიო ომის შემდეგ. კავშირის ჩამოყალიბებას ბიძგი მისცა უნგრეთის ცდამ, *ტრიანონის საზავო ხელშეკრულების (1920)* მომზადების დროს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ტერიტორიული ცვლილებები. ჩეხოსლოვაკიამ, რუმინეთმა და იუგოსლავიამ უნგრეთის პრეტენზიები უარყო. მაშინ ამ კავშირს უნგრულმა პრესამ „მცირე ანტანტა" უწოდა. ხელშეკრულების აქტები 1921 დაამტკიცა ერთა ლიგამ. 1929-დან 5 წლით გაგრძელდა მოქმედების ვადა. 1933 ხელი მოაწერეს ორგანიზაციულ პაქტს. შექმნეს მუდმივი საბჭო და სამდივნო, აგრეთვე საკოორდინაციო ეკონომიკური საბჭო. 1938 მიუნხენის შეთანხმების შემდეგ ა.მ-მ არსებობა შეწყვიტა.

ლიტ.: Язьков А.А., Малая Антанта в европейской политике 1918-1925, М., 1974.

**ანტანტა ხმელთაშუა ზღვის**, ინგლისის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის კავშირი, რომელიც გაფორმდა 1887 შეთანხმებით. მიზანი იყო *სტატუს-კვოს* შენარჩუნება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. XX საუკუნის ბოლოს ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებმა გამოიწვია ინგლის-საფრანგეთისა და მოგვიანებით ინგლის-რუსეთის დაახლოება, შედეგად ა.ხ.ზ-ის საფუძველი გამოეცალა.

**ანტარქტიკა**, დედამიწის სამხრეთის პოლარული მხარე, მოიცავს კონტინენტ ანტარქტიდას, მის გარემომცველ ზღვებს, კუნძულებს. ა-ის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრულია 1959 წლის 1 დეკემბრის ვაშინგტონის ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს ავსტრალიამ, აშშ-მა, არგენტინამ, ახალმა ზელანდიამ, ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, იაპონიამ, ნორვეგიამ, სსრ კავშირმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, საფრანგეთმა, ჩილემ (ძალაში შევიდა 1961 წლის 23 ივნისს). ხელშეკრულების თანახმად, ა-ის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. ხელშეკრულება ითვალისწინებს ა-ის დემილიტარიზაციას და ნეიტრალიზაციას. ა-ის არც ერთ ნაწილზე არ ვრცელდება რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტი. ა-ში აკრძალულია ნებისმიერი ხასიათის სამხედრო საქმიანობა – ბაზების შექმნა, სამხედრო მანევრების ჩატარება, ნებისმიერი სახის იარაღის გამოცდა (მუხ.1). აკრძალულია ყოველგვარი ბირთვული აფეთქებანი და რადიოაქტიური ნივთიერებების ჩამარხვა (მუხ.5). ყველა სახელმწიფოს აქვს ა-ში მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოების უფლება. მეცნიერების განვითარების მიზნით, ქვეყნები ერთმანეთს აწვდიან ინფორმაციას კვლევა-ძიების გეგმებისა და შედეგების შესახებ, ცვლიან ექსპედიციის მონაწილეებს (მუხ.3). ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მონაწილე სახელმწიფოთა კონსულტაციური თათბირების გამართვა, სადაც განიხილება ა-თან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი (მუხ.9). მიღებული რეკომენდაციები საჭიროებს შემდგომ დამტკიცებას ყველა მონაწილე სახელმწიფოს მხრივ და მხოლოდ ამის შემდეგ ღებულობს სავალდებულო ძალას. ასეთი თათბირების საშუალებით შემუშავდა 1972 კონვენცია ანტარქტიკული სელაპების შენარჩუნების შესახებ, 1980 კონვენცია ა-ის ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის შესახებ.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გათვალისწინებულია ინსპექციის ჩატარების უფლება კონსულტაციური თათბირების მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ. ხელშეკრულება ღია ხასიათისაა და მას შეიძლება შეუერთდნენ დაინტერესებული სახელმწიფოები.

**„ანტიკომინტერნული პაქტი"** 1936, დაიდო გერმანიასა და იაპონიას შორის. ოფიციალური მიზანი იყო კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლა. ხელი მოაწერეს ბერლინში 25.XI. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, მიეწოდებინათ ერთმანეთისათვის მასალები კომინტერნის მოღვაწეობის შესახებ, მოეწოდებდნენ სხვა სახელმწიფოებს, შეერთებოდნენ ამ ხელშეკრულებას. იქმნებოდა მუდმივი კომისია კომინტერნის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1937 შეუერთდა იტალია, 1939 – უნგრეთი, 1939 – ესპანეთი. 25.IX. 1941 პაქტი ხუთი წლით გაგრძელდა და მას შეუერთდნენ ბულგარეთი, ფინეთი, რუმინეთი, დანია, სლოვაკია, ხორვატია.

**ანტიმილიტარიზმი** (ბერძ. ანტი – წინააღმდეგ და ლათ. militaris – სამხედრო), სოციალურად განსხვავებულ ძალთა მოძრაობა, რომლებიც გაერთიანებულია ეროვნული, რეგიონული და გლობალური ნიშნით საშინაო და სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში წინააღმდეგობების გადასაჭრელად.

პაციფიზმისაგან განსხვავებით, ა. ხანგრძლივი დროით მიმართული იყო არა ომის წინააღმდეგ საერთოდ, არამედ შეიარაღებული ძალადობის გამოყენების წინააღმდეგ. ა., პაციფიზმი და სხვა მოძრაობანი, რომლებიც ასე თუ ისე უარყოფენ ომს, გამალებულ შეიარაღებას, პოლიტიკის ძალისმიერ მეთოდებს, მთლიანობაში წარმოადგენენ *ანტისაომარ მოძრაობებს*.

ბირთვულმა საუკუნემ თავისი გლობალური პრობლემებით გამოიწვია ა-ის და სხვა ანტისაომარ მოძრაობათა იდეური და პოლიტიკური პოზიციების დაახლოება. მაგრამ არსებობს რიგი სოციალური ძალები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ტრადიციული შეხედულებები ა-ის პრობლემებზე.

ა. თავისი ფესვებით ღრმად მიდის სოციალური ანტაგონიზმით მოცულ საზოგადოების ისტორიაში. ჯერ კიდევ ოთხასი წლის წინ მილიტარიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა ერაზმ როტერდამელმა თავის ტრაქტატში „მშვიდობის ჩივილი". ორასი წლის შემდეგ ი. კანტმა ტრაქტატით „სამარადისო მშვიდობის შესახებ" დაასაბუთა ომებისა და მილიტარიზმის განწირულობა.

ა. განსაკუთრებული ფორმებითა და ორგანიზაციულობით ჩამოყალიბდა პირველი მსოფლიო ომის წინ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ა-ის განვითარებისათვის ახალი, უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ფრონტალური გახდა – განვითარდა ყველა ძირითადი მიმართულებით. ეკონომიკის სფეროში იგი მიმართულია სამხედრო წარმოების კონვერსიისაკენ, პოლიტიკის სფეროში – სამხედრო-პოლიტიკური ელიტის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურთა საქმიანობის შეზღუდვისაკენ. იდეოლოგიის სფეროში ა. იბრძვის მასობრივი ცნობიერებიდან ომის აპოლოგიის იდეების განდევნისათვის, ძალის კულტის მოსპობისათვის. სამხედრო სფეროში იგი ცდილობს არმიის შემცირებას მინიმალურ დონემდე, სამხედრო მშენებლობისათვის თავდაცვითი მიმართულების მიცემას, რაც გამორიცხავს მოულოდნელ თავდასხმებს და რამდენადმე მსხვილმასშტა-

ბური ოპერაციების წარმოებას რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ. ~

**ანტიოქე** (Antiochos) I სოტერი (ბერძნ. Soter – მხსნელი, ძვ.წ.324/25-261), სელევკოს I ნიკატორის ძე. ძვ.წ. 293-81 – მამის თანამმართველი, 281-61-მდე – დამოუკიდებელი მმართველი. აგრძელებდა აღმოსავლეთის ელინიზაციის პოლიტიკას. დააარსა მრავალი ქალაქი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეპიგონების ბრძოლაში (სერიოზული წარმატება არ მოუპოვებია). ძვ.წ. 277 დაამარცხა მცირე აზიაში შემოჭრილი კელტები (გალატები). ანტიკური წყაროების თანახმად, ესწრაფოდა უცხო ქვეყნებთან ურთიერთობის განმტკიცებას. *„ქართლის ცხოვრებაში"* იგი ამ კუთხით ფიგურირებს. მან უყოყმანოდ მიიღო *ფარნავაზის* წინადადება კავშირის შესახებ, გამოაცხადა იგი თავის ქვეშევრდომად, რითაც ქართლზეც გაავრცელა საკუთარი იურისდიქცია და დაუპირისპირდა *აზოს* (აზონის) მფარველ კაპადოკიის მეფეს.

**ანტიოქე** (Antiochos) III დიდი, სელევკიდების დინასტიის მეფე ძვ.წ. 223-187. მის მეფობაში სელევკიდების სამეფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა, მაგრამ ამავე დროს იწყება მისი დაცემაც. ძვ.წ. 212-205 დაიმორჩილა პართია და ბაქტრია, დადო ხელშეკრულება ინდოეთთან. ჩაახშო მიდიის, სპარსეთის, ახაიის სატრაპთა აჯანყებები. წარმატებით ეომებოდა პტოლემაიოსებს, დაიბრუნა პალესტინა. შეეცადა მცირე აზიის ქალაქებისა და თრაკიის მიტაცებას, რამაც გამოიწვია რომთან შეჯახება. ომი (192-188) ა.III-ის სრული დამარცხებით დამთავრდა. 188 აპამეაში დადებული ზავით სელევკიდებმა დაკარგეს სამფლობელოთა მნიშვნელოვანი ნაწილი. დამოუკიდებლობა მოიპოვა სომხეთმა. მაგნეზიის ბრძოლაში (190) ა.III-ის განადგურების შემდეგ, ქართლის მეფეებს უარი ეთქვათ მსახურების იმ სტატუსზე, რომელიც არსებობდა ფარნავაზიდან მოკიდებული.

**ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ინტერვენცია 1917-22,** შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. 1918 ჯერ ავსტრია-უნგრეთის ბლოკი ასრულებდა მთავარ როლს ა.ი.ი-ის ორგანიზებაში, ხოლო 1918 წლის გაზაფხულიდან – ინგლისი და აშშ. გერმანიის დამარცხების შემდეგ ანტანტის ქვეყნებმა კიდევ უფრო გააძლიერეს შეტევის მასშტაბები. ინგლის-საფრანგეთის ესკადრა შავ ზღვაში შევიდა. ა.ი.ი-ის კონტინგენტი გაიზარდა ჩრდილოეთსა და შორეულ აღმოსავლეთში. საბჭოთა მთავრობამ მოახდინა საგარეო და საშინაო მტრის წინააღმდეგ სამხედრო ორგანიზება და 1920-22 მთლიანად გაწმინდა ქვეყანა მტრებისაგან.

**ანტისაომარი მოძრაობა,** კოლექტიური ქმედების ნებაყოფლობითი ჯგუფებისა და ინდივიდების ერთობლიობა, რომლებიც თავიანთ მოქმედებებს შეგნებულად უკავშირებენ ომის საშიშროების, მილიტარიზმის, ძალადობის გამოყენების წინააღმდეგ გამოსვლებს. მისთვის დამახასიათებელია მის მონაწილეთა ერთგულება ა.მ-ში, მაგრამ ამასთან – ამ მონაწილეთა სიჭრელე და მოქმედებათა არაერთგვაროვნება (ინდივიდუალური აქციები, ჯგუფური გამოსვლები, სტიქიურობა და ა.შ.). ა.მ. დასაბამს იღებს XIX ს. 20-30-იანი წლებიდან, როცა აღმოცენდა პირველი პაციფისტური (იხ. *პაციფიზმი*) ორგანიზაციები. XIX-XX სს. მიჯნაზე ა.მ. იყოფა ორ ნაკადად – პაციფისტურ და სოციალისტურ ნაკადებად. პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით აქტიურდება პაციფისტური მიმდინარეობა, რომლის თვალსაჩინო ლიდერები იყვნენ რ.როლანი, ე.ერიო და სხვანი. მსოფლიო ომებს შორის პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ა.მ-ის გაფართოება და მასობრივი აქციების – მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარება.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ხდება ა.მ-ის კონსოლიდაცია დემოკრატიულ და ანტიფაშისტურ საფუძველზე, რომელიც ომის შემდეგ გადაიზარდა მშვიდობის მომხრეთა მასობრივ მოძრაობაში. მის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო კულტურის მოღვაწეთა კონგრესი მშვიდობის დასაცავად (ვროცლავი, 1948 წლის აგვისტო) და მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესი (პარიზი-პრაღა, 1949 წლის აპრილი), რომელმაც მიიღო მშვიდობის დაცვის მანიფესტი. მეორე მსოფლიო კონგრესზე ვარშავაში (1950) დაარსდა მშვიდობის მსოფლიო საბჭო. მოეწყო კამპანია *სტოკჰოლმის მოწოდების* ხელმოსაწერად, რომელშიც ატომური ომი კვალიფიცირდებოდა დანაშაულად კაცობრიობის წინაშე. ვიწრო პარტიული მიზნებით ა.მ-ის გამოყენების ცდებმა, კონიუნქტურულმა ინტერესებმა, „ცივი ომის" პოლიტიკამ ძირი გამოუთხარა ამ ფართო ა.მ-ს. უკვე 50-იან წლებში იქმნება მრავალი დამოუკიდებელი ანტისაომარი ჯგუფი და გაერთიანება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ანტიბირთვული პაციფიზმის აღმოცენება, რომელსაც სათავე დაუდო რასელ-აინშტაინ-ჟოლიო-კიურის მანიფესტმა (1955). მაშინვე აღმოცენდა პაგოუშის მოძრაობა. მოგვიანებით შეიქმნა ბირთვული განიარაღების ბრიტანული კამპანიები (1958), კოალიცია „ასის კომიტეტი" (1962), დასავლეთგერმანული კომიტეტი „ატომური სიკვდილის წინააღმდეგ" (1958), მშვიდობისათვის ბრძოლის იტალიური საბჭო (1962) და ა.შ. ა.მ-ში გარკვეული წვლილი შეიტანა გამოსვლებმა საფრანგეთის, ინგლისის, ნიდერლანდების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ 50-60-იან წლებში; განსაკუთრებული გაქანება მიიღო მოძრაობამ ვიეტნამში აშშ-ის აგრესიის წინააღმდეგ 70-იან წლებში.

ა.მ-ში კონფლიქტები და წინააღმდეგობები განსაკუთრებით გამწვავდა ავღანეთში სსრკ-ის შეჭრის შემდეგ, რომელიც არ იძლეოდა თანამშრომლობის ტენდენციების გაძლიერების საშუალებას. მიუხედავად ამისა, წარმატებით განვითარდა კამპანია ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ. ა.მ-მ გარკვეული გავლენა მოახდინა ევროპაში აშშ-ისა და სსრკ-ის საშუალო სიშორის რაკეტების განლაგებაზე. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ა.მ-ში დაისახა ახალი ტენდენციები, რაც გამოიხატა ერთი პრობლემის აქცენტირებაზე უარისთქმაში, პოლიტიკური საქმიანობის, ლოზუნგების მრავალფეროვნებაში, კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობის გაძლიერებაში. 1987 შემდგომ, როცა ხელი მოაწერეს აშშ-სსრკ ხელშეკრულებას საშუალო და მოკლე მანძილზე მოქმედი ბირთვული რაკეტების აკრძალვის შესახებ, ა.მ-ის ძირითადი მიზანი გახდა მოძრაობა კაცობრიობისა და ბიოსფეროს გადარჩენისათვის, ბირთვული იარაღისაგან, ძალადობისაგან თავისუფალი, უსაფრთხო მსოფლიოსათვის.

**ანტისემიტიზმი,** ნაციონალისტური, რასისტული იდეოლოგიის ნაირსახეობა. ა. „საკუთარი" ხალხის მადიდებელი და „სხვა" ხალხების მოძულე ნაციონალიზმის ნაირგვარი ფორმებისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ აქცენტი კეთ-

დება მხოლოდ „სხვა“, სემიტი ხალხის – ებრაელებისადმი ზიზღსა და დევნაზე.

ა-ის ისტორიული ფესვები უაღრესად ძველია და სათავეს იღებს ბიბლიური პერიოდის ახლო აღმოსავლეთში ტომებს შორის არსებული შუღლიდან, რომის იმპერიის ბატონობიდან და ებრაელთა იძულებით განსახლებიდან ევროპაში, სადაც მათ ყოველთვის თვლიდნენ უცხოტომელებად, სხვა იერ-სახის, ენის, ზნე-ჩვეულებებისა და არაქრისტიანული რელიგიის მატარებლებად. ფეოდალურ და ნახევრად ფეოდალურ გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, რუსეთში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში ებრაელები იყვნენ უუფლებონი, ცხოვრობდნენ გეტოებში, განიცდიდნენ რელიგიურ და ეროვნულ ჩაგვრას.

ა-მა საშინელი ფორმები მიიღო ფაშისტურ გერმანიაში, როცა სასიკვდილო ბანაკებში 6 მლნ ებრაელი მოსპეს.

ფაშიზმის განადგურებით ა. არ მოსპობილა. იგი დღესაც არსებობს აშშ-ში (მათ შორის „ზანგური ანტისემიტიზმი“), საფრანგეთში, არაბ ექსტრემისტთა შორის. საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ რუსეთში გამოჩნდნენ მეცნიერები და მწერლები, რომლებმაც ა-ის ესტაფეტა ენთუზიაზმით მიიღეს და „ღირსეულად“ აგრძელებენ ამ სამარცხვინო საქმიანობას.

მსოფლიოს მოწინავე მოაზროვნეები (ე. ზოლა, ლ. ტოლსტოი და სხვები) ყოველთვის გმობდნენ ა-ს.

საქართველოში არასოდეს ყოფილა ა. გავრცელებული. და ეს ასეა 26 საუკუნის განმავლობაში.

**ანტისოვეტიზმი**, მონაწილეთა შემადგენლობით, მიზნებითა და საშუალებებით ჰეტეროგენური მოძრაობა, რომელიც 1917-91 მიმართული იყო საბჭოთა სახელმწიფოს, მისი პოლიტიკისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ.

**ანტიჰიტლერული კოალიცია**, სახელმწიფოთა და ხალხთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი II მსოფლიო ომში გერმანიის, იტალიის, იაპონიისა და მათ მოკავშირეთა წინააღმდეგ. ა.კ-ის ძირითადი მონაწილეები იყვნენ საბჭოთა კავშირი, აშშ და ინგლისი. 1945 მასში შედიოდა 50-ზე მეტი ქვეყანა. ბლოკის წინამძღვარი გახდა ინგლისისა და აშშ-ის განცხადებები საბჭოთა კავშირისადმი ომში მათი მხარდაჭერის შესახებ, რომელმაც მალე ოფიციალური სახე მიიღო სათანადო აქტების გაფორმებით. საბჭოთა კავშირი ცდილობდა ა.კ-ის გაფართოებას. ამ მიზნით ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მთავრობებთან, რომლებიც ლონდონში იმყოფებოდნენ, გაფორმდა სათანადო ხელშეკრულება. დამყარდა კონტაქტი თავისუფალ საფრანგეთთან. ბლოკის ორგანიზებასა და საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოსკოვის 1943 კონფერენციამ, თეირანის 1945 კონფერენციამ, ყირიმის (იალტის) 1945 კონფერენციამ, ბერლინის (პოტსდამის) 1945 კონფერენციამ. სიძნელეების მიუხედავად, კოალიციის მონაწილეები ყოველთვის პოულობდნენ გზებს თანამშრომლობისათვის. ომის დამთავრების შემდეგ ა.კ. დაიშალა.

*ლიტ.:* История внешней политики СССР, т.1, М., 1980, с.419-90; История дипломатии, 2 изд., т.4, М., 1975, гл.6-22.

**ანტონ I** [ერისკაცობაში თეიმურაზ იესეს ძე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), 1720-88], ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კათალიკოსი. აღიზარდა თელავის სასახლეში თავის ბიძაშვილ ერეკლე II-თან ერთად. 1744-დან ა.I საქართველოს კათალიკოს-პატრიარქია. იგი ცდილობდა გაეძლიერებინა მეფის ხელისუფლება და ავტორიტეტი, რათა მისი დახმარებით საეკლესიო სფეროში გაეტარებინა პროგრესული ღონისძიებანი. ა.I ევროპული ორიენტაციისა იყო და განსაკუთრებით დაახლოებული იყო თბილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან. იგი მხარს უჭერდა საქართველოში კათოლიციზმის გავრცელებას. ამით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდეგეებმა და 1755 კათალიკოსობიდან გადააყენეს. იგი რუსეთში გაემგზავრა. ერეკლე II-ის გამეფების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და კვლავ კათალიკოსი გახდა.

ა.I 1772 ერეკლეს სპეციალური დავალებით, რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გასაფორმებლად (რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ერეკლეს მიერ 1771 წამოყენებული პოლიტიკური და დიპლომატიური პირობები) რუსეთს გაემგზავრა როგორც დიპლომატიური მისიის მეთაური. ამ მოგზაურობამ ნიადაგი მოამზადა 1783 ტრაქტატის გაფორმებისათვის.

*ლიტ.:* გეორგიევსკის ტრაქტატი. დოკუმენტები, ფოტოპირები, ე.მაჭარაძის გამოც., თბ.,1983.

**ანტონია ტრიფაინა**, პონტოს დედოფალი (დაახლ.22/23-52/53), *პოლემონ I-ისა* და *პითოდორისის* ქალიშვილი, *პოლემონ II-ის* დედა. პითოდორისის სიკვდილის შემდგომ ა.ტ. ფორმალურად ეუფლება სამეფოს (აქ კოლხეთიც შედის), რეალურად კი ის გარკვეული დროის განმავლობაში ქალაქ კიზიკუშია ლივიას ქურუმად. მამაკაცი მემკვიდრეების არასრულწლოვანების გამო რომაელებმა აღნიშნული პოლიტიკური ერთეული სამეურვეო ტერიტორიად აქციეს. შესაძლოა მზადდებოდა ნიადაგი სრული ანექსიისთვისაც. რომაელები კოლხეთის სანაპირო ზოლში სწორედ დაახლ. 22/23 უნდა გამოჩენილიყვნენ. ა.ტ. შვილთან ერთად პონტოში დაბრუნებული ჩანს ახ.წ. 38.

*ლიტ.:* დუნდუა თ., კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1993; Waddington W.H., Babelon E., Reinach Th., Recueil général des monnaies grecques d'Asie Mineure, t.1, Paris, 1925.

**ანტონინუს პიუსი**, ანტონინუს ტიტუს აურელიუს ფულვუს პიუსი (Antoninus Titus Aurelius Fulvus Pius) (86-161), რომის იმპერატორი. მამობილის, იმპერატორ ადრიანეს მიმართ გამოვლენილი პატივისცემის გამო დაირქვა პიუსი, რაც ღვთისმოსავს ნიშნავს. გამოირჩეოდა ზომიერებითა და შორსმჭვრეტელობით. აგრძელებდა ადრიანეს საგარეო პოლიტიკას, უპირატესობას მშვიდობიან მოლაპარაკებას ანიჭებდა. ა.პ-ის დროს განსაკუთრებულ სტაბილურობას მიაღწია რომის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ. მან აღადგინა გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა იბერიის მეფე ფარსმანთან.

**ანტონოვ-ოვსეენკო** ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (1884-1939), საბჭოთა სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, დიპლომატი.

1924-დან დიპლომატიურ სამსახურშია. 1924 მეთაურობდა კომისიას, რომელიც ჩინეთში რკინიგზის შესახებ ამზადებდა ხელშეკრულებას. 1924-28 – სსრკ წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში, 1928-30 – ლიტვაში, 1930-34 – პოლონეთში, 1934-37 – სსრკ გენერალური პროკურორი, 1936-37 – სსრკ გენერალური კონსული ბარსელონაში (ესპანეთი).

**ანულირება საერთაშორისო ხელშეკრულების**, ა.ს.ხ-ის ცალმხრივი გაუქმება დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ:

ა) კონტრაგენტმა შეწყვიტა არსებობა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა; ბ) კონტრაგენტი უხეშად არღვევს ხელშეკრულებას; გ) ხელშეკრულება არღვევს თანასწორუფლებიანობის პრინციპს (კაბალური ხელშეკრულება); დ) შეუძლებელია ხელშეკრულების შესრულება; ე) იგი ხელშეკრულების დადების დროს არსებულ გარემოებათა ცვლილებებით არის განპირობებული.

საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 11 თებერვლის კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ" ითვალისწინებს ხელშეკრულებათა შეწყვეტას „ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სხვა მონაწილეების მიერ არსებითი დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში" (მუხ.17).

**ანშლუსი** (გერმ. Anschluß – შეერთება), გერმანიასთან ავსტრიის იძულებითი შეერთების პოლიტიკა. ტერმინი „ანშლუსი" წარმოიშვა 1918 ავსტრია-უნგრეთის მონარქიის დამხობის შემდგომ, მაგრამ იმ პერიოდში ვერ იქნა განხორციელებული, რადგანაც ვერსალისა და სენ-ჟერმენის 1919 ხელშეკრულებები კრძალავდნენ ა-ს. ავსტრიის ა. გერმანიამ განახორციელა 1938, როდესაც 13 მარტს გამოქვეყნებული კანონით „გერმანიის იმპერიასთან ავსტრიის შეერთების შესახებ" ავსტრია გამოცხადდა „გერმანიის იმპერიის ერთ-ერთ მიწად".

**ანჯელო ფილინელი** (Angelo da Filigne), იტალიელი მონაზონი, კაპუცინების ორდენის წევრი, რომელიც თბილისში მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა. ა.ფ. 1687 ქართლის მეფე *გიორგი XI-მ* და არქიეპისკოპოსმა ექვთიმე რატიშვილმა მფარველობის სათხოვნელად რომის პაპ ინოკენტი XI-სთან წარგზავნეს; 1688 პაპმა ა.ფ. საპასუხო სიგელითა და საჩუქრებით საქართველოში გამოისტუმრა.

ლიტ.: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.

**ანჯოლელო** (Angiolello) ჯოვანი მარია (1451 ან 1452-1547), ვენეციელი მოგზაური. 1470 ვენეციის რესპუბლიკის კუთვნილ კუნძულზე, ნეგროპონტეზე მცხოვრები ა. კუნძულის დაპყრობის შემდგომ ტყვედ ჩაუვარდა ოსმალებს, რომელთაც იგი კონსტანტინოპოლში წაიყვანეს. ა. 1473 მოწმე გახდა ოსმალეთსა და აყ-ყოიუნლუს შორის წარმოებული ომისა. 1476-77 მონაწილეობდა მოლდავეთისა და უნგრეთის, ხოლო 1481 – ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1490 იგი ვიჩენცაში ცხოვრობდა. 1507-14 მსახურობდა შაჰ ისმაილის კარზე. 1514 საბოლოოდ დასახლდა ვენეციაში. ამ დიპლომატმა მოგზაურმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს საგარეო ურთიერთობების შესახებ, კერძოდ, – დიპლომატიურ და სხვა ხასიათის კონტაქტებზე უზუნ-ჰასანთან, ისმაილთან.

პუბლ.: XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმანი და გამოკვ. ე.მამისთვალიშვილისა, თბ., 1981.

**აომინი**, მაკაო, ჩინეთის ტერიტორია, რომელსაც პორტუგალია მართავს (მთავარი ქალაქი და ნავსადგური აომინია). მოიცავს ა-ის ნახევარკუნძულს და მიმდებარე კუნძულებს – დანძის (ტაიპა) და ლუხუანს (კოლოანე) ჩინეთის სამხრეთში. ა. მსხვილი სავაჭრო და ფინანსური ცენტრია, ოქროთი და ნარკოტიკებით ვაჭრობის საიდუმლო პუნქტი. სატრანზიტო ვაჭრობა და აზარტული თამაშობების სახლები წარმოადგენს ა-ის შემოსავლის ძირითად წყაროს.

ა-ის ტერიტორია პორტუგალიელებმა იჯარით აიღეს 1555 სავაჭრო ფაქტორიის შექმნის მიზნით, მაგრამ მალე თავის ადმინისტრაციას დაუმორჩილეს. 1874 პორტუგალიამ აიძულა ჩინეთის მთავრობა, უარი ეთქვა თავის სუვერენულ უფლებებზე ამ ტერიტორიის მიმართ, რაც ოფიციალურად დამტკიცდა 26.III. 1887 ოქმით და ჩინეთსა და პორტუგალიას შორის 1.XII. 1887 ხელშეკრულებით მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ. 1951 ა-მა მიიღო პორტუგალიის „ზღვის გადაღმა პროვინციის" სტატუსი. მართავს პორტუგალიელი გუბერნატორი და მასთან არსებული საკანონმდებლო საბჭო.

ჩინეთის მთავრობა ა-ს მიიჩნევს უცხო ქვეყნის მიერ დაპყრობილ მის კუთვნილ ტერიტორიად.

**აპარტეიდი**, აპართეიდი (აფრიკაანსის ენაზე apartheid – ცალკე ცხოვრება), სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც რასობრივი ნიშნის მიხედვით სხვადასხვა უფლებრივ მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს. 1973 საერთაშორისო კონვენციის II მუხლში ა. განმარტებულია როგორც მთელი რიგი არაადამიანური აქტები, რაც ხორციელდება ერთი რასობრივი ჯგუფის მიერ მეორე რასობრივ ჯგუფზე გაბატონებისა და მისი სისტემატური ჩაგვრის მიზნით. ასეთ აქტებად მიჩნეულია რასობრივი ჯგუფის ან მისი წევრისათვის სიცოცხლისა და თავისუფლების უფლების წართმევა ისეთი მოქმედებით, როგორიცაა: მკვლელობა, სხეულის სერიოზული დაზიანება ან ფსიქიკის მოშლა, თვითნებური დაპატიმრება და უკანონოდ ციხეში ჩასმა, განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც გამიზნულია რასობრივი ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურებისათვის, ისეთი საკანონმდებლო აქტების შემოღება ან სხვაგვარი ქმედებანი, რაც მიზნად ისახავს რასობრივი ჯგუფების ჩამოცილებას ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისაგან.

კონვენციის I მუხლით ა. კვალიფიცირებულია, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას. კონვენციის I მუხლის მე-2 პუნქტის ძალით დამნაშავედ ცხადდება ყველა ორგანიზაცია, დაწესებულება და კერძო პირი, რომლებიც ახორციელებენ ა-ის პოლიტიკას.

ა-ის პოლიტიკის კლასიკურ მაგალითად მიჩნეული იყო რასისტული პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, თუმცა იგი სერიოზულ დადებით ცვლილებებს განიცდიდა ბოლო წლების მანძილზე, რაც საბოლოოდ 1994 მისი გაუქმებით დასრულდა.

**აპატრიდი**, აპოლიდი (ბერძნ. apatris, apolis – უსამშობლოო), მოქალაქეობის არმქონე პირი. ა-ის უფლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ. პირი შეიძლება გახდეს ა., თუ იგი კარგავს ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობას და ვერ იძენს მეორისას. პირი შეიძლება ა. იყოს დაბადებიდანვე. სახელმწიფოები ყოველნაირად ცდილობენ შეამცირონ ა-თა რიცხვი. არსებობს 1961 საერთაშორისო კონვენცია მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის შემცირების შესახებ და 1954 კონ-

ვენცია ა-თა სტატუსის შესახებ. ამ უკანასკნელის მიზანია მიანიჭოს ა-ს გარკვეული შეღავათები მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

**აპოკრისიარები**, რომის პაპების მუდმივი რეზიდენტები ბიზანტიის იმპერატორთა კარზე. გარდა წმინდა საეკლესიო საქმეებისა, ა-ს ევალებოდათ თვალყურის დევნება ბიზანტიის საიმპერატორო კარზე პოლიტიკური მოვლენებისათვის. ა. სარგებლობდნენ პირადი პრივილეგიებით, ჰქონდათ უფლება მოლაპარაკების წარმოებისა უშუალოდ იმპერატორთან და ცხოვრობდნენ სპეციალურად გამოყოფილ ბინებში, იმპერატორის სასახლეში. ა-ს მიიჩნევდნენ მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ პრეტენდენტად. ა-გან განსხვავებით, იყვნენ აგრეთვე ლეგატები, რომლებსაც ევალებოდათ როგორც საეკლესიო, ისე პოლიტიკური ხასიათის სპეციალური დავალებები.

ლიტ.: История дипломатии. 2 изд. т.1. М., 1959. с.112

**აპოლიტიზმი** (ბერძნ. a – უარყოფის მაჩვენებელი ნაწილაკი და politika), ნეგატიური, ინდიფერენტული, უგულისყურო დამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრებისადმი (იხ. აგრეთვე *აბსენტეიზმი*).

**არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომები**, ამ ომების სერიას დასაბამი მისცა ისრაელის სახელმწიფოს შექმნამ პალესტინაში 1948, რაც განხორციელდა 1947 წლის 29 ნოემბრის გაეროს გენერალური ასამბლეის II სესიის №181 (II) რეზოლუციის საფუძველზე და მიუღებელი აღმოჩნდა ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებისათვის. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე – 14.V. 1948 ისრაელს ომი დაუწყო ეგვიპტემ, სირიამ, ტრანსიორდანიამ, ლიბანმა, ერაყმა, საუდის არაბეთმა და იემენმა. საომარი მოქმედებები შეწყდა 7.I. 1949. ომში გამარჯვებული გამოვიდა ისრაელი, რომელმაც ხელთ იგდო ნაწილი ქ. იერუსალიმისა და პალესტინის იმ ტერიტორიისა (6,6 ათ. კვ.კმ), სადაც გაეროს გადაწყვეტილებით, ისრაელთან ერთად უნდა შექმნილიყო არაბული სახელმწიფოც. ამ სახელმწიფოსთვის გამოყოფილი სხვა ტერიტორია გაიყვეს იორდანიამ (მდ. იორდანეს დას. ნაპირი) და ეგვიპტემ (ღაზის სექტორი). 1949 წლის თებერვალ-ივლისში გაეროს შუამავლობით კუნძულ როდოსზე ხელი მოაწერეს დროებით ზავს, ერთი მხრივ, ისრაელსა და, მეორე მხრივ, ეგვიპტეს, ლიბანს, ტრანსიორდანიასა და სირიას შორის. ისრაელმა უარი განაცხადა დაეტოვებინა დაკავებული ტერიტორიები. პალესტინა იძულებით დატოვა მრავალმა ასეულათასმა არაბმა. ისრაელის მიერ ოკუპირებული მიწებისა და პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა მომდევნო ათწლეულებში გახდა მიზეზი მწვავე სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაციისა ისრაელსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის.

1956 წლის 29 ოქტომბერს ისრაელმა ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად განახორციელა აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, რომელმაც მანამდე მიიღო დეკრეტი სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შესახებ. ისრაელმა დაიკავა სინაის ნახევარკუნძული. სსრ კავშირისა და აშშ-ის პოზიციამ განაპირობა საომარი მოქმედების შეწყვეტა 7 ნოემბერს. 1956 წლის დეკემბერში ინგლისმა და საფრანგეთმა ჯარები გაიყვანეს ეგვიპტიდან. ისრაელმა სინაის ნახევარკუნძული დატოვა 1957 წლის მარტში.

1967 წლის 5 ივნისს ისრაელი დაესხა თავს ეგვიპტეს, სირიასა და იორდანიას. „ექვსდღიანი ომის" დროს მან ხელთ იგდო გოლანის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სიმაღლეები (სირია), ღაზის სექტორი, სინაის ნახევარკუნძული (ეგვიპტე) და მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი (იორდანია). ომი შეწყდა გაეროს უშიშროების საბჭოს 10 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე. გაეროს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის №242 რეზოლუცია ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური მოწესრიგების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელის ჯარების გაყვანას მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან და პალესტინელ ლტოლვილთა საკითხის მოგვარებას, ისრაელმა არ შეასრულა. მალე ეს გახდა ახალი ომის მიზეზი.

1973 წლის 6 ოქტომბერს ეგვიპტემ და სირიამ დაიწყეს საომარი მოქმედებები ისრაელის წინააღმდეგ. ეგვიპტის არმიამ გადალახა სუეცის არხი, სირიის არმია წარმატებით იბრძოდა გოლანის სიმაღლეებზე, მაგრამ შემდეგ ისრაელმა კონტრშეტევით მძიმე დარტყმა მიაყენა ეგვიპტელებს, წაიწია დამასკოსაკენ. ეგვიპტის პრეზიდენტ ანვარ სადათის თხოვნით, 1973 წლის 22 ოქტომბერს უშიშროების საბჭომ მიიღო №338 რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ საჭირო გახდა კიდევ ერთი, №339 რეზოლუციის მიღება 24.X, რომ ის ძალაში შესულიყო.

1982 წლის 6 ივნისს ისრაელის არმია შეიჭრა ლიბანში, რათა გაენადგურებინა იქ პალესტინელთა სამხედრო ბაზები და მოეხდინა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ლიკვიდაცია. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია იძულებული გახდა გაეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები ლიბანიდან, შტაბ-ბინა კი გადაეტანა ტუნისში.

არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის მრავალჯერადმა ომმა და მუდმივად ფეთქებადმა სიტუაციამ დღის წესრიგში დააყენა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხი (იხ. *ახლო აღმოსავლეთის რეგულირება*). მის მიმართ შემუშავდა განსხვავებული მიდგომა დაპირისპირებულ მხარეთა უკან მდგომი მათი მხარდამჭერი ძალების – აშშ-ისა და სსრ კავშირის მხრივ, რომლებიც ისწრაფოდნენ პოლიტიკური ჰეგემონიისაკენ ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

**არაბულ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების თათბირები**, ეწყობა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ჩარჩოებში, რომლებზეც იხილება არაბთა ერთიანობის, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის რეგულირების, რიგ საერთაშორისო საკითხებში საერთო პოზიციების გამომუშავების, არაბულ ქვეყანათა შორის კონფლიქტების თავიდან აცილებისა და სხვა საკითხები.

I თათბირი (კაირო, 13-17.I. 1964) მიეძღვნა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის მოსალოდნელ აგრესიას. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერთიანი არაბული სარდლობის შექმნის, აგრეთვე ისრაელის მხრივ მდ.იორდანეს ცალმხრივად გამოყენებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ.

II თათბირზე (ალექსანდრია, 5-11.IX. 1965) გაგრძელდა წინა თათბირზე დასმული საკითხების განხილვა. შედგა მთავრობათა მეთაურების კონტაქტები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საუდის არაბეთს შორის, განიხილეს იემენში სამოქალაქო ომის შეწყვეტის გზები.

III თათბირმა (კასაბლანკა, 13-18.IX.1965) მიიღო არაბული სოლიდარობის ქარტია, რომლითაც გათვალისწინებული იყო დახმარება ყველა იმ არაბული ქვეყნის მიმართ, რომლის ტერიტორიულ მთლიანობასაც საფრთხე დაემუქრებოდა. ამასთან დადასტურდა არაბულ ქვეყანათა ერთიანი პოზიცია პალესტინის პრობლემის თაობაზე.

IV თათბირი (ხართუმი, 29.VIII – 1.IX.1967) მოიწვიეს სუდანის ინიციატივით და მიეძღვნა არაბულ სახელმწიფოთა ერთიან ქმედებას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის 1967 აგრესიის შედეგების ლიკვიდაციაში, მოითხოვეს ისრაელის ჯარების გაყვანა ოკუპირებული არაბული მიწებიდან, მიიღეს გადაწყვეტილება, აღმოეჩინათ დახმარება აგრესიის მსხვერპლთათვის (საუდის არაბეთმა, ქუვეითმა და ერაყმა იკისრეს ვალდებულება, ამ მიზნით ყოველ წელიწადს გამოეყოთ 135 მლნ გირვ. სტერლინგი); თათბირმა მოითხოვა უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაცია არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე და მოუწოდა არაბულ ქვეყნებს საკუთარი არმიების განმტკიცებისაკენ. ამავე დროს აქ პირველად გაისმა მოწოდება არაბთა უფლების შესახებ – გამოიყენონ ნავთობი, როგორც აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკური და ეკონომიკური საშუალება.

V თათბირი (რაბათი, 21-24.XII.1969) მიეძღვნა ისრაელის აგრესიას ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 22.XI.1967 მიღებულ 242-ე რეზოლუციის საფუძველზე.

VI თათბირი (ალჟირი, 26-28.XI.1973), რომელშიც არ მონაწილეობდა ლიბიის წარმომადგენელი, მიეძღვნა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევის საკითხებს. მოითხოვეს ისრაელის ჯარების გაყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, იერუსალიმიდან და პალესტინელი ხალხის ეროვნული უფლებების ცნობა.

VII თათბირი (რაბათი, 26-29.IX.1974) მიეძღვნა პალესტინელი ხალხის უფლებებს და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის (პგო) ლეგალიზაციას, რომელიც ცნობილ იქნა პალესტინის არაბი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად.

VIII თათბირი (კაირო, 25-26.X.1976) მოწვეულ იქნა საგანგებოდ და განიხილეს ლიბანში შიდაპოლიტიკური კრიზისის რეგულირების საკითხები. (იხ. *ლიბანის კრიზისი 1975-76*).

IX თათბირი (ბაღდადი, 2-5.XI.1978) მოიწვიეს ერაყის ინიციატივით. მასზე განიხილეს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია ეგვიპტის მთავრობის მიერ კემპ-დევიდის შეთანხმებაზე ხელმოწერის გამო. თათბირმა დაგმო პალესტინის პრობლემის სეპარატისტულად გადაწყვეტის გზები და დაემუქრა ეგვიპტეს, რომ თუ იგი უარს არ იტყოდა ისრაელთან დადებულ სამშვიდობო ზავზე, მის წინააღმდეგ მიიღებდნენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებს. ამასთან ერთად გადაწყდა ფინანსური დახმარება გაეწიათ სირიის, იორდანიისა და პგოსთვის.

X თათბირი (თუნისი, 20-22.XI.1979) მიეძღვნა არაბულ სახელმწიფოთა საქმიანობის შემდგომ კოორდინაციას ეკონომიკური პოტენციალისა და ძლიერების გაზრდის მიზნით, თანამშრომლობის გაფართოებას მაჰმადიანურ ქვეყნებთან, აფრიკის სახელმწიფოებთან და მიუმხრობლობის მოძრაობასთან.

XI თათბირმა (ამანი, 25-27.XI.1980), რომელშიც არ მონაწილეობდნენ ალჟირი, სირია, ისდრ, ლიბია, ლიბანი და პგო, მიიღო გადაწყვეტილება, „გაეწყვიტათ ურთიერთობა ნებისმიერ სახელმწიფოსთან, რომელიც იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად ცნობდა". (იხ. *იერუსალიმის სტატუსი*). თათბირმა დიდი ყურადღება დაუთმო ირან-ერაყის კონფლიქტს. მიღებულ იქნა არაბული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების „სტრატეგია" 2000 წლისათვის. შეიქმნა „არაბული განვითარების ფონდი" 5 მლრდ დოლარის ოდენობით.

XII თათბირი (ფესი, მაროკო, 25.XI.1981; 6-9.X.1982) ჩატარდა ორ ეტაპად. 1981 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა რეზოლუცია ლიბანის სამხრეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. 6.IX.1982 თათბირმა მუშაობა განაახლა და განიხილა ისრაელის აგრესია ლიბანის წინააღმდეგ 1982, მდგომარეობა ირან-ერაყის ფრონტზე და ვითარება აფრიკის რქაზე. პირველად არაბეთ-ისრაელის კონფლიქტის მანძილზე შემუშავდა ახლო აღმოსავლეთის რეგულირების ერთიანი პროგრამა (იხ. *ფესის დეკლარაცია 1982*).

XIII თათბირმა (კასაბლანკა, 7-9.VIII.1985) მხარი დაუჭირა ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

**არაბულ სახელმწიფოთა ლიგა** (League of Arab States), შეიქმნა 22.III. 1945. მასში შედის ალჟირი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი, ეგვიპტე, ერაყი, იემენი, იორდანია, კატარი, ლიბანი, ლიბია, მავრიტანია, მაროკო, ომანი, საუდის არაბეთი, სირია, სომალი, სუდანი, თუნისი, ქუვეითი, ჯიბუტი, კომორის ისლამური ფედერაციული რესპუბლიკა, აგრეთვე პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია. ა.ს.ლ.-ის მიზანია მისი წევრ-სახელმწიფოების პოლიტიკური მოღვაწეობის კოორდინაცია, მათ შორის კავშირებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცება, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა. გათვალისწინებულია თანამშრომლობა ფინანსურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, კულტურულ, სოციალურ სფეროებში, აგრეთვე სამოქალაქო, საპასპორტო, ვიზებისა და დამნაშავეთა გადაცემის საკითხებში. ლიგის წესდება კრძალავს ძალის გამოყენებას წევრ-სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მოგვარების დროს და მოითხოვს, პატივი სცენ სხვა წევრ-სახელმწიფოთა რეჟიმებს, და არ მიიღონ რაიმე ღონისძიება ამ რეჟიმების შესაცვლელად.

ა.ს.ლ.-ის ხელმძღვანელი ორგანოა ლიგის საბჭო, რომელშიც შედიან მისი წევრ-სახელმწიფოების მეთაურები, პრემიერ-მინისტრები, ანდა მათი წარმომადგენლები. წელიწადში ორჯერ იმართება ლიგის სესიები, რომელთა შორის პერიოდში მის მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური სამდივნო. მის სათავეშია გენერალური მდივანი, რომელიც ირჩევა 5 წლით. 1991 წლის მაისიდან გენერალური მდივანია აჰმად ისმათ *აბდელ მაგიდი*. ა.ს.ლ.-ის შტაბ-ბინა კაიროშია.

ა.ს.ლ.-ის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასათვის, ხმების უმრავლესობით მიღებული კი – მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომლებმაც ხმა მისცეს მას.

ა.ს.ლ.-ის საბჭოსთან არის: პოლიტიკური კომიტეტი, რომელიც შედგება საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან; ეკონომიკური საბჭო; იურიდიული, სოციალური, საინფორმა-

ციო, კულტურის; არაბული სახელმწიფოების გენერალური შტაბების უფროსებისა და სხვა კომიტეტები. თითოეული მათგანი განიხილავს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხთა წრეს, შეიმუშავებს შეთანხმებებს წევრ-სახელმწიფოთა შორის და შემდეგ წარადგენს ლიგის საბჭოზე.

ა.ს.ლ-თან არსებობს არაბული პრობლემების უმაღლესი ინსტიტუტი, არაბული ხელნაწერების ინსტიტუტი. მისი ინიციატივით იმართება წევრ-სახელმწიფოთა სავაჭრო პალატების, ექიმების, ეკონომისტების, იურისტების, ინჟინრებისა და სხვათა საერთო-არაბული კონფერენციები.

ა.ს.ლ. აღიარებულია გაეროს მიერ. მის გენერალურ მდივანს უფლება აქვს მეთვალყურის როლში დაესწროს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებს.

ლიტ. League of Arab States, Cairo, 1995.

**არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები**, „ხელშეკრულებები", რომლებსაც ძლიერი სახელმწიფოები თავს ახვევენ სუსტ და დამოკიდებულ ქვეყნებს. მიეკუთვნება ყოველგვარი ძალადობრივი, დამპყრობლური, კაბალური ხელშეკრულებები, რადგან ისინი იდება მოლაპარაკებაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის სუვერენული ნების გარეშე, ურთიერთხელსაყრელობისა და სახელმწიფოთა შორის სუვერენული თანასწორობის პრინციპების უგულებელყოფით.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ა.ხ-ს განიხილავს, როგორც უკანონოს.

ა.ხ-ის დამდებ სახელმწიფოს ყოველთვის შეუძლია უარი განაცხადოს მისი პირობების შესრულებაზე და ეს არ შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო სამართლის დარღვევად (მაგალითად, იუგოსლავიის მიერ 1925 ნეტუნის შეთანხმებების ანულირება, ეგვიპტის მიერ ინგლისთან 1936 დადებულ სამხედრო ხელშეკრულებაზე უარის თქმა) (იხ. *ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება 1936*). ა.ხ. შეიძლება გაუქმდეს ორივე მხარის შეთანხმების შედეგად (ამგვარად გაუქმდა პანამასა და აშშ-ს შორის ძველი და დაიდო ახალი *ამერიკა-პანამის ხელშეკრულება არხის თაობაზე*).

ლიტ. Т а л а л а е в А.Н., Право международных договоров, М., 1980, с. 65-73.

**არალოვი** სიმონ ივანეს ძე (1880-1969), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამუშაოზე გაიგზავნა ვ.ლენინის რეკომენდაციით. 1920-21 – რსფსრ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში, 1921-23 – თურქეთში, 1923-25 – ლატვიაში. 1925-27 – სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, 1927 სამეურნეო და ადმინისტრაციულ სამუშაოზეა. 1941 მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. 1946-57 – პარტიულ სამუშაოზეა. ავტორია წიგნისა „საბჭოთა დიპლომატის მოგონებები."

**არასი** (Aras) თევფიქ რუშთიუ (1883-1972), თურქეთის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1920-23 – დიდი ნაციონალური კრების დეპუტატი, მომხსენებელი საგარეო საქმეების შესახებ. 1925-38 – საგარეო საქმეთა მინისტრი. ხელი მოაწერა სსრკ-თურქეთის ხელშეკრულებას 1925 და რიგ სხვა დოკუმენტებს. მონაწილეობდა აგრესორის განსაზღვრის შესახებ ლონდონის 1933 კონვენციის დადებაში; აქტიურად უჭერდა მხარს 1928 შეთანხმებას ოტომანთა ვალის შესახებ, ბალკანეთის ანტანტის (იხ. *ანტანტა ბალკანეთის*) შექმნას და ახლო აღმოსავლეთის ანტანტის დაარსებას (იხ. *საადაბადის პაქტი 1937*), რამაც ხელი შეუწყო თურქეთის დაახლოებას დასავლეთის ქვეყნებთან. 1936 *მონტრეს კონფერენციაზე* მხარი დაუჭირა ინგლისს. 1939-42 – ელჩი დიდ ბრიტანეთში, 1942 ჩამოსცილდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას.

**არაფატი** იასირ (ა ბ უ  ა მ მ ა რ) (დ. 1929), პალესტინის სახელმწიფო და პოლიტ. მოღვაწე. 1955 დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. 1952-56 – ეგვიპტეში პალესტინელი სტუდენტების კავშირის თავმჯდომარე. 1955-57 მუშაობდა ეგვიპტის ერთ-ერთ ფირმაში. 1956 პალესტინის საჯარისო ნაწილებთან ერთად მონაწილეობდა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში სუეცის არხის ზონაში. 1957 გადავიდა ქუვეითში, სადაც 60-იანი წლების დასაწყისში აქტიური მონაწილეობა მიიღო პალესტინის ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის (ფათჰი) დაარსებაში. 1969-დან – პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის (პგო) აღმასკომის თავმჯდომარე, 1970-დან – პალესტინის რევოლუციური ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. მას 1994 იცხაკ რაბინთან და შიმონ პერესთან ერთად მიენიჭა ნობელის მშვიდობის პრემია ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესში შეტანილი წვლილისთვის. 1996 წლის 20 იანვარს აირჩიეს ღაზის სექტორსა და მდინარე იორდანეს დას. ნაპირზე შექმნილი პალესტინის ავტონომიის მეთაურად (პრეზიდენტად).

**არბაქი** (Arbak) თიმოჩინ (დ. 1940), თურქი დიპლომატი, თურქეთის რესპუბლიკის პირველი დროებითი საქმეთა რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში.

1960 დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დიპლომატიურ სამსახურშია 1964-დან. 1964-67 იყო თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების ჯერ III, შემდეგ კი II მდივანი. 1967-69 – მოსკოვში თურქეთის საელჩოს II მდივანი. 1969-72 – თურქეთის გენერალური კონსული შტუტგარტში (გფრ). 1972-74 – თურქეთის საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტის თანამშრომელი. 1974-76 – თურქეთის გენერალური კონსული ქ. ბარსელონაში (ესპანეთი), 1976-78 – ლიბიაში თურქეთის საელჩოს მრჩეველი, 1978-79 – თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, 1979-80 – ამავე სამინისტროში აღმოსავლეთ აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, 1964-80 იყო დიპლომატიურ სამსახურში. 1980-82 – თურქეთის გენერალური კონსული ბათუმში, 1982-84 – თურქეთის საელჩოს მრჩეველი ჰავანაში, 1984-86 – თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის დეპარტამენტის დირექტორი, 1986-90 – თურქეთის გენერალური კონსული ჯიდაში (საუდის არაბეთი), 1990-92 – თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი, 1992-93 – თურქეთის დროებით საქმეთა რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში. 1993-დან დაინიშნა თურქეთის გენერალურ კონსულად ჩიკაგოში (აშშ).

**არბიტრაჟი საერთაშორისო** (ფრანგ. arbitrage), საერთაშორისო ხასიათის დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც იქმნება მოდავე მხარეების მიერ და ღებულობს სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებებს. საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებშიც განსაზღვრულია ა.ს-ს ორგანიზაციის, კომპეტენციისა და პროცედურის საკი-

თხები, წარმოადგენენ 1899 და 1907 ჰააგის კონფერენციები საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ (მათში 70-ზე მეტი სახელმწიფო მონაწილეობს). 1958 გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა ე.წ. საარბიტრაჟო პროცესის სანიმუშო წესები, მაგრამ მან ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება.

ა.ს-ლმი მიმართვის საფუძველი შეიძლება იყოს სახელმწიფოებს შორის დადებული სპეციალური შეთანხმება კონკრეტულ დავასთან დაკავშირებით (1975 წლის 10 ივლისს დადებული საარბიტრაჟო ხელშეკრულება საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის კონტინენტური შელფის გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით) ან ორმხრივი (მრავალმხრივი) საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ამ ხელშეკრულებათა გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებული დავის საარბიტრაჟო გადაწყვეტას, მაგალითად, გაერთიანებული... გაერგანმეკოს წესდება.

**არგენტინა-ჩილეს ტერიტორიული დავა**, დაკავშირებული საზღვაო საზღვრის დელიმიტაციასთან ბიგლის სრუტესა და რამდენიმე კუნძულთან მის რაიონში (ე.წ. ბიგლის ყელის კონფლიქტი). უთანხმოება ორ მხარეს შორის აღმოცენდა XIX ს. დასაწყისში. რამდენიმე მოლაპარაკებამ საკითხი ვერ დაარეგულირა. 1960-იანი წლების მიწურულს ამ რაიონში თევზის რესურსების, ნავთობისა და გაზის მარაგის აღმოჩენასთან დაკავშირებით ა.-ჩ.ტ.დ. გამწვავდა. მოხერხდა საქმის საარბიტრაჟო სასამართლოსათვის გადაცემა. მისი გადაწყვეტილებით, ბიგლის ყურის ჩრდილო ნაწილზე არგენტინის სუვერენიტეტი გავრცელდა, სამხრეთით – ჩილეს. ამას არგენტინის მთავრობა არ დაეთანხმა. 1978 რომის პაპის შუამდგომლობით მხარეები შეთანხმდნენ და 1984 ხელი მოაწერეს ოქმს იმის შესახებ, რომ საკითხის რეგულირება მოხდეს მშვიდობიანი გზით.

**არგიშთი I**, ურარტუს მეფე ძვ.წ. 786-764, მენუას ძე, *სარდური II-ის* მამა. მისი მმართველობა აღინიშნება ურარტუს პოლიტიკური გაძლიერებით. ეწეოდა აქტიურ საგარეო-ექსპანსიურ პოლიტიკას ჩრდილოეთის ქვეყნების წინააღმდეგ. ა.I ცდილობდა დამარცხებული მოწინააღმდეგის ტერიტორიების არა მარტო დახარკვას, არამედ ურარტუსთან მათ უშუალო შეერთებას. სურბსაპაკის ეკლესიის სტელას წარწერაში აღნიშნულია, რომ ა.I-მა დიაოხს წაართვა და ურარტუს შეუერთა სამი პროვინცია.

ლიტ.: Меликишвили Г.А. Урартские клинообразные надписи, М.,1960.

**არდაშირ I**, ირანის შაჰი (222-41), სასანიანთა დინასტიის ფუძემდებელი. მისი პაპა სასანი იყო ანაჰიტის ტაძრის ქურუმი. ა.I ემორჩილებოდა პართელთა მეფე არტაბან V-ს (203-224), მაგრამ 224 აუჯანყდა მას და ფარსის წარჩინებულთა და ქურუმთა დახმარებით გაიმარჯვა. ბოლო მოუღო არშაკიდების პართულ დინასტიას და 226 დააარსა სასანიანთა სახელმწიფო, მიიღო შაჰინ-შაჰის (მეფეთმეფის) ტიტული, შემოიმტკიცა არშაკიდთა დინასტიის თითქმის მთელი სამფლობელო, რასაც შემდეგ მიუმატა ხორასანი, სისტანი, მიდია, სომხეთის ნაწილი და სხვ. ომები გადაიხადა სომხეთისა და მესოპოტამიისათვის.

ლიტ.: История Ирана, М.,1977.

**არეშიძე** დიმიტრი, XVII საუკუნის მოღვაწე, დიპლომატი. მეთაურობდა თეიმურაზ I-ის მიერ 1655 მოსკოვში გაგზავნილ ელჩობას. ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ 1656 წლის 6 მარტს. მათ ალექსი მიხეილის ძეს გადასცეს თეიმურაზის წერილი, რომელიც რუსეთის ხელმწიფეს წარმატებას უსურვებდა პოლონეთთან ომში და კვლავ სამხედრო დახმარებას ითხოვდა. უარის შემთხვევაში თეიმურაზი თხოულობდა რუსეთის ჯარის გამოგზავნას ყაბარდოში, რათა ამ ჯარს ჩაეცილებინა იგი თერგამდე. საპასუხო წერილით ალექსი მიხეილის ძე ატყობინებდა თეიმურაზს, რომ მზად იყო მიეღო იგი ოჯახთან და აზნაურებთან ერთად. სამხედრო დახმარებაზე კი თეიმურაზს ამჯერადაც უარი ეთქვა.

**არეშიძე** როსაბ (რუს. წყაროების მიხედვით – Русан Георгиев Аришиза), XVII ს. II ნახევრის ქართველი მოღვაწე.

ა. 1658 წლის ოქტომბერში მოსკოვში ჩავიდა, ხოლო 1659 წლის 16 იანვარს აუდიენციაზე ხელმწიფეს მიართვა სიგელი, რომელშიც ალექსანდრე III ალექსი მიხეილის ძეს სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის გარდაცვალებასა და სამეგრელოს სამთავროს იმერეთის სამეფოსთვის დამორჩილებას ატყობინებდა. სთხოვდა, დახმარებოდა კახეთის სამეფოდან განდევნილ და იმერეთში თავშეფარებულ თეიმურაზ I-ს, რათა ამ უკანასკნელს თავისი სამფლობელოს დაბრუნება შეძლებოდა.

იმჟამინდელი საერთაშორისო-პოლიტიკური მდგომარეობის გამო ა-ის ელჩობა უშედეგოდ დასრულდა.

წყარო: ЦГАДА, ф.110, оп.1, г.1658, ед. хр.4; оп.1, г.1659, ед. хр.1.
ლიტ.: ტივაძე თ., საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის II ნახევარში, თბ., 1977; Накашидзе Н.Т., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968.

**არზრუმის (ერზურუმის) ხელშეკრულებები**, 1. **1823 ხელშეკრულება მშვიდობის შესახებ ირანსა და თურქეთს შორის**, ხელი მოაწერეს 28.III არზრუმში (ახლანდ. ერზერუმი, თურქეთი). დაამთავრა ორ სახელმწიფოს შორის სასაზღვრო დავის შედეგად გაჩაღებული ომი (1821-23). ხელშეკრულებით ირანს უნდა დაებრუნებინა ომის შედეგად მიტაცებული ტერიტორიები. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, არ ჩარეულიყვნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, არ დაეშვათ საზღვარზე მცხოვრები ტომების ერთი ქვეყნიდან მეორეში შეჭრა, არ მიეღოთ გამოქცეულები და მფარველობა არ გაეწიათ მათთვის. ხელი უნდა შეეწყოთ წმინდა ადგილებში სალოცავად ჩასული მორწმუნეებისათვის, დახმარებოდნენ ვაჭრებს და არ აეღოთ მათგან დამატებითი გადასახადები. მხარეებმა აღადგინეს 1746 ხელშეკრულება საზღვრების შესახებ.

2. **1847 ხელშეკრულება თურქეთსა და ირანს შორის საზღვრების გამიჯვნის შესახებ**, ხელი მოაწერეს 20.V. სულ მალე 1823 ხელშეკრულების ხელმოწერიდან, ურთიერთობა ორივე ქვეყანას შორის გამწვავდა. 1843 შეიქმნა ირან-თურქეთის შერეული კომისია საზღვრების გამიჯვნისათვის, მაგრამ მისი მუშაობა 1847-მდე გაჭიანურდა.

ხელშეკრულებით ზოჰაბის სანჯაყის დასავლეთი ნაწილი გადავიდა თურქეთის ხელში, აღმოსავლეთი – ირანისა. ირანმა უარი თქვა სანჯაყზე და ქ.სულეიმანიაზე, ხოლო თურქეთმა ცნო ირანის საკუთრებად მოჰამერის ნავსადგური და მდ. შატ-ელ-არაბის მარცხენა ნაპირის მიწები. ირანის გემებმა მიიღეს მდ. შატ-ელ-არაბში თავისუფალი ნაოსნობის უფლება შესართავიდან ორივე სახელმწიფოს საზღვრების შეერთების ადგილამდე. მხარეებმა უარი განაცხადეს ტერიტორიულ პრეტენზიებზე და დათანხმდნენ კომისიის შექმნას საზღვრების *დემარკაციისათვის*.

მაგრამ ხელშეკრულების პრაქტიკულ განხორციელებას ხელს უშლიდა თურქეთის პოზიცია, რომელიც სარგებლობდა რა მისი ზოგიერთი მუხლის ბუნდოვანი ფორმულირებით, არ ცნობდა ირანის უფლებებს მოჰამერის ირგვლივ მდებარე მიწებზე. იგი არ იქნა რეალიზებული და წარმოადგენდა ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი კამათის საგანს, ხოლო ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ – ირანსა და ერაყს შორის წინააღმდეგობის კვანძს (იხ. *ერაყ-ირანის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*).

**არიანე ფლავიუსი** (Arrianos Phlabios, Arrianus Flavius) (დაახლ.95-175), ძველი ბერძენი ისტორიკოსი და მწერალი. განათლება მიიღო საბერძნეთში (სტოიკოს-ფილოსოფოს ეპიქტეტთან). რომში დაეუფლა სამხედრო საქმეს. იყო კონსული და სენატორი. 131-37 განაგებდა კაპადოკიას. მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობას წარმატებით უთავსებდა დიპლომატიურ მოღვაწეობასაც. იმპერატორ ადრიანეს დავალების შესრულება დაედო საფუძვლად ძველი კოლხეთის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს თხზულებას „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო". გამოთქმულია მოსაზრება, რომ ალანთა აგრესიის შესაკავებლად, რომის დიპლომატიურ მისიას იბერიის მეფე ფარსმან II-თან ა.ფ. მეთაურობდა. ისტორიის გარდა ნაშრომები აქვს ფილოსოფიაში, გეოგრაფიაში, სამხედრო ხელოვნებაში. განსაკუთრებული ღირსებებით გამოირჩევა „ალექსანდრეს ანაბასისი " (7 წიგნად), რომელშიც აღწერილი და შეფასებულია ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლური ლაშქრობის მნიშვნელობა.

**არისტარქე**, კოლხეთის მმართველი ძვ.წ. 63-49, რომაელთა ვასალი. მის დროს პონტოს სამეფოს ყოფილი სატრაპია რომის ფორმალურ ჰეგემონიას დაექვემდებარა; ძვ.წ. 52/51 ახორციელებს სამონეტო ემისიას. არისტარქეს დრაქმის ზურგზე *ჰომპეუსია* ჰელიოსის ატრიბუტით. ეს ნიშანდობლივია, ვინაიდან ა. სწორედ პომპეუსის კრეატურაა. კოლხეთის დინასტი (ხელისუფალი) შესაძლოა დაიღუპა ძვ.წ. 49, როცა ფარნაკე II-მ, ბოსფორის მეფემ, მოახდინა კოლხეთის ოკუპაცია.

ლიტ.: დუნდუა თ., კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ., 1993; Дундуа Г.Ф., Нумизматика античной Грузии, Тб., 1987; Меликишвили Г.А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

**არისტიდი** (Aristid) ჟან-ბერტრან (დ. 1953), ჰაიტის პრეზიდენტი. 1987-მდე ეწეოდა სასულიერო საქმიანობას, იყო მღვდელი. 1987 გარიცხეს სასულიერო წოდებიდან, თუმცა ქვეყანაში მრევლის ფართო მხარდაჭერით სარგებლობდა. 16.XII. 1990 საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა მნიშვნელოვანი უპირატესობით. 7.II. 1991 შეუდგა საპრეზიდენტო მოვალეობის შესრულებას, მაგრამ 30.IV. 1991 სამხედრო გადატრიალების შედეგად იგი დაამხეს. მან თავშესაფარი ნახა ჯერ ვენესუელაში, შემდეგ აშშ-ში. 15.VI. 1993 ქვეყნის პარლამენტმა იგი კანონიერ პრეზიდენტად ცნო. 3.VII. 1993 სამხედრო დიქტატორმა რ.სედრასმა და ა-მა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში დემოკრატიული წესების აღდგენას და კანონიერი პრეზიდენტის დაბრუნებას. 1994 წლის ბოლოს ქვეყანაში დაბრუნდა და საპრეზიდენტო მოვალეობის აღსრულებას შეუდგა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯ. კარტერის საშუამავლო მისიის შემდეგ.

**არიტა** ხაჩირო (1884-1965), იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1910-დან მუშაობდა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო აზიის დეპარტამენტის დირექტორი. 1932-33 – საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი, 1934-36 – დესპანი ბელგიაში, 1936 – ჩინეთში. 1936-37, 1938-39 და I.VI.1940 – საგარეო საქმეთა მინისტრი. აქტიური როლი შეასრულა 1936 *„ანტიკომინტერნული პაქტის"* მომზადებაში, „აღმოსავლეთ აზიაში ახალი წესრიგის" პრინციპების შემუშავებაში, ინგლის-იაპონიის შეთანხმების (1938) და არიტა-კრეიგის შეთანხმების (1939) დადებაში. 1943-45 – საგარეო საქმეთა მინისტრის დიპლომატიური მრჩეველი. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ იყო პერთა პალატის დეპუტატი, ხელმძღვანელობდა იაპონიის საგარეო-პოლიტიკურ ასოციაციას.

**არიტა-კრეიგის შეთანხმება** 1939, ინგლის-იაპონიის შეთანხმება, რომელიც გაფორმდა ნოტების გაცვლის შედეგად 22.VII, იყო იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრ ხ. *არიტას* და ინგლისის ელჩის ტოკიოში რ. კრეიგის მოლაპარაკების შედეგი. ა.-კ.შ-ის მიზეზი იყო იაპონიის სამხედრო ხელისუფალთა ანტიინგლისური მოქმედებები ჩინეთის ოკუპირებულ ნაწილში. მოლაპარაკებათა პერიოდში იაპონია კატეგორიულად მოითხოვდა, ინგლისს ფორმალურად მაინც ეღიარებინა „ახალი წესრიგი აღმოსავლეთ აზიაში". ინგლისის მხარე იმ მიზნით, რომ გაეუმჯობესებინა თავისი პოზიციები ჩინეთში, იაპონიის ამ მოთხოვნას დაეთანხმა.

**არმია** (ფრანგ. armée ლათინურიდან armare – შეიარაღება), მრავალი მნიშვნელობის მქონე ცნება. პოლიტოლოგიური თვალსაზრისით – სახელმწიფოს ორგანო, რომლის დანიშნულებაა მისი პოლიტიკის გატარება შეიარაღებული ძალადობის გზით. შეიძლება გამოიყოს ა-ის სამი პრინციპული ნიშანი, რომლებიც მთლიანობაში იძლევა წარმოდგენას ა-ზე, როგორც პოლიტიკურ ინსტიტუტზე. პირველია ის, რომ ა. სახელმწიფო დაწესებულებაა. გამომდინარე აქედან, მან უნდა გამოხატოს და დაიცვას საერთო-სახელმწიფოებრივი და საერთო-ეროვნული ინტერესები. თუ სახელმწიფოს წინაშე დასმული ამოცანების განხორციელება ვერ ხერხდება მშვიდობიანი გზებითა და მეთოდებით, უკიდურეს ფორმად რჩება სახელმწიფოს მიერ ფიზიკური ძალის გამოყენება, ე.ი. შეიარაღებული ბრძოლა. სწორედ ამისთვის იქმნება სპეციალური ორგანიზაცია – ა. როგორც რეალური ძალა, იგი უმაღლესი ხელისუფლების აუცილებელი დასაყრდენი და იარაღია, ეკუთვნის სახელმწიფოს, ერთ მთლიანობაშია მასთან. ამიტომაც ა. მოითხოვს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავს მის მოწყობას, საშინაო ცხოვრებას, ფუნქციონალურ გამოყენებას.

ა-ის, როგორც სპეციფიკური ორგანიზაციის, მეორე ნიშანია ის, რომ არის შეიარაღებული ორგანიზაცია. სახელმწიფოს სხვა ინსტიტუტებისაგან (ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების, მმართველობის ორგანოების, მართლმსაჯულების, პროკურატურის და ა.შ.) განსხვავებით, ა. არის შეიარაღებულ ადამიანთა ერთობლიობა, შეიარაღებული ძალა. ამიტომაც მას გააჩნია ის თვისება, რაც არა აქვს არც ერთ არასამხედრო ორგანიზაციას – საბრძოლო ძლიერება, რომლის გამოყენებითაც სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს ყველაზე მკაცრი იძულებითი ფუნქციები. ა-ზე დაყრდნობით

მან, გარკვეულ პირობებში, შეიძლება არ გამოიყენოს ეს ფუნქციები, რადგან თვით შეიარაღებული ორგანიზაციის არსებობის ფაქტი წარმოადგენს მძლავრ ფსიქოლოგიურ ფაქტორს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების აქტებს ავტორიტარულ ძალას ანიჭებს.

მესამე ნიშანი ისაა, რომ ა. არის განსაკუთრებული დანიშნულების სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაცია: მას შეუძლია აწარმოოს ომი, შეიარაღებული ბრძოლა ყველა ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე. ეს კი მიიღწევა ა-ის საბრძოლო ძლიერების მაღალი დონით, რომელიც ეყრდნობა ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის რაოდენობა, ხარისხი, პირადი შემადგენლობის პროფესიული მომზადება, შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა, სამხედრო მეცნიერების განვითარება. ა., როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი, საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდა სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად.

ა. პოლიტიკური ქმედების მეტად საშიში ინსტრუმენტია და მისი მომავალი ძირეულადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად დარჩება ომი პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის რეალურ საშუალებად.

**„აროუს“ („ეროუს“) ინციდენტი 1856**, წარმოიქმნა ჩინეთის ხომალდ „აროუდან“, რომელიც ინგლისის დროშით დაცურავდა და დაკავებულ იქნა ჩინელი ხელისუფლების მიერ 8.X უანჯოუსთან, კონტრაბანდასა და პირატობაში ბრალდებით. საბაბად გამოიყენეს ინგლისელმა და შემდეგ ფრანგმა კოლონიზატორებმა ჩინეთის წინააღმდეგ საძარცვავ ომში (ე.წ. მეორე „საოპიუმო“ ომი), რომელიც დამთავრდა *ტიანძინის ხელშეკრულებით* (1858) და *პეკინის ხელშეკრულებით (1860)*.

**არსენ ბულმაისიმისძე**, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი XIII საუკუნის I ნახევარში, მწერალი. მისი საგალობელი საქართველოში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის ჩამოტანის შესახებ მიზნად ისახავდა ჯალალ-ედდინისა და მონგოლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, მათ გამხნევებას. აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მონგოლთა დაპყრობების პერიოდში.

*ლიტ.:* კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბ.,1980.

**არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი**, საქართველოს უპირველესი ვეზირი XIII საუკუნის I ნახევარში. მონგოლთა ეპოქის საქართველოს სამეფო კარის ერთ-ერთი აქტიური პოლიტიკური მოღვაწე. მონგოლთა დაპყრობების გამო აუცილებელი გახდა საქართველო-მონგოლეთის ურთიერთობათა გარკვეული კუთხით მოგვარება. მონგოლთა ადგილობრივ სამხედრო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებანი საკმარისი არ იყო, ამიტომ უპირველეს ამოცანად უშუალოდ მონგოლთა უმაღლეს ხელისუფლებასთან ურთიერთობების დამყარება და მისი გაფორმება დაისახა. ამ მისიის შესასრულებლად ოქროს ურდოში ა.ჭ. გაიგზავნა. მისი დიპლომატიური მეცადინეობის შედეგად პირობები დაზუსტდა და მოხერხდა საქართველოსა და მონგოლთა შორის საზავო შეთანხმების დადება, რასაც 1243 უნდა ჰქონოდა ადგილი.

*წყარო:* ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ.2, თბ., 1959.

*ლიტ.:* ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII-XIV საუკუნეებში, თბ.,1967; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982); ჯ ა ფ ა რ ი ძ ე გ., ერთი ეპიზოდი მეფე რუსუდანისა და მონგოლების დიპლომატიური კონტაქტების ისტორიიდან. – „ქართული დიპლომატია“. წელიწდეული, II, თბ., 1995.

**არტაბი**, ქართლის მეფე ძვ.წ. I საუკუნეში, ლეონტი მროველის მიხედვით, მეექვსე მეფე. ქართული წყაროს მიხედვით, მის დროს ქართლმა სპარსთა გამანადგურებელი შემოსევა განიცადა. ბერძენ-რომაელი ავტორების მიხედვით, ა. წინ აღუდგა მითრიდატული ომის დროს (ძვ.წ.74-3) გნეუს პომპეუსის სარდლობით შემოჭრილ რომის ლეგიონებს (ძვ.წ.65), მაგრამ სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ პომპეუსმა მძევლად შვილები მოსთხოვა. ა. ტახტის შენარჩუნების მიზნით დათანხმდა მძიმე საზავო პირობებს. იგი რომაელი ხალხის „მეგობრად და მოკავშირედ“ გამოცხადდა, რაც რომაელთა მორჩილებას ნიშნავდა. ასეთი დიპლომატიური ქმედებით მან იბერიას ნომინალურად შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა.

**არტაშეს I** კ ტ ი ს ტ ი, დიდი არმენიის პირველი მეფე (ძვ.წ.189-160(?)), არტაშესიანთა დინასტიის დამაარსებელი (63-მდე). მისი მიმართობანი სელევკიდებთან და *არშაკიდებთან* რთული და არასტაბილური პოლიტიკური კონიუნქტურაა. სამაგიეროდ, ა.I-ის ჩრდილოეთში წარმატებული ექსპანსიის შედეგია მდ.მტკვრის მარჯვენა სანაპიროს იბერიისა და სხვა ქართული ტერიტორიების ანექსია.

*წყარო:* მ ო ვ ს ე ს ხ ო რ ე ნ ა ც ი, სომხეთის ისტორია. თარგმ. და გამოც. აბდალაძისა, თბ., 1984; ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც. ტ.1, თბ.,1955.

*ლიტ.:* მ ა მ უ ლ ი ა გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბ.,1979.

**არქელაე** (ბერძნ. Archelaos) ფ ი ლ ო პ ა ტ რ ი ს ი, კაპადოკიის უკანასკნელი მეფე (ძვ.წ. 36-ახ.წ. 17), რომის იმპერიის ვასალი, თუმცა მმართველობის ბოლო წლებში სიუზერენთან მიმართებაში გარკვეულ გართულებას ჰქონდა ადგილი. საინტერესოა მისი ურთიერთობა კოლხეთთან: სწორედ ა-ს მიჰყვება ცოლად პონტოს დედოფალი *პითოდორისი*, გარკვეული დროის განმავლობაში პონტო, კაპადოკია და კოლხეთი ერთი პოლიტიკური ერთეულია. მეფის სიკვდილის შემდგომ რომმა კაპადოკია პროვინციად აქცია. აქვე უნდა აღინიშნოს რამოდენიმე მომენტი: ა) ხაზგასმული პოლიტიკური სინთეზი რომაული პროვინციული პოლიტიკური სტრუქტურის საფუძველი გახდა; ბ) კაპადოკიის პროვინციად ქცევას შედეგად მოჰყვა იბერიის განსაკუთრებული პოლიტიკური როლის გენეზისი ამიერკავკასიაში.

*ლიტ.:* დ უ ნ დ უ ა თ., კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, თბ.,1993; К у д р я в ц е в О.В. Провинция Каппадокия в системе римской восточной политики (17-72гг.). – "Вестник древней истории", 1955, №2; М е л и к и ш в и л и Г.А. К истории древней Грузии, Тб., 1959; S i m o n e t t a B., Coinage of the Cappadocian Kings. The Numismatik Chronicle, L., 1961, Ser.VII, vol.I; The Cambridge Ancient History, vol.10, Cambr., 1963.

**არქია** (ბერძნ. archi – ხელისუფლება, მმართველობა), პოლიტიკურად ორგანიზებული, ხელისუფლების მიერ მართვადი საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოს ქმნის.

არსებობს ა-ის არასახელმწიფოებრივი, მაგრამ პოლიტიკურად ხელისუფლებასთან დაკავშირებული ფორმები, საიდანაც წარმოდგება მმართველობისა და ბატონობის სხვადასხვა ფორმები: მონარქია, ოლიგარქია (ჯგუფის, კლანის მმართველობა), პოლიარქია (სხვადასხვა პირებისა და ჯგუფების ხელისუფლების მრავალობითი ფორმა) და სხვა.

ა-ის ცნების სინონიმია ხელისუფლების სხვა ბერძნული სახელწოდება – „კრატია“ (ხელისუფლება). თანამედროვე ენებში იგი არ იხმარება დამოუკიდებლად, კომპოზიტის შემადგენელი ნაწილია: არისტოკრატია (საუკეთესოთა მმართველობა), თიმოკრატია (ცუდების მმართველობა), დემოკრატია (ხალხის მმართველობა), ტექნოკრატია (ტექნიკურ სპეციალისტთა ხელისუფლება), პლუტოკრატია (სქელჯიბიანთა ხელისუფლება), ოხლოკრატია (ბრბოს ხელისუფლება), გერონტოკრატია (მოხუცთა მმართველობა) და ა.შ. ახალშექმნილი სიტყვებიდან აღსანიშნავია პარტოკრატია (პარტიულ ფუნქციონერთა ძალაუფლება).

**არქივების მრგვალი მაგიდა**, არქივისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია. იწვევა ყოველწლიურად, კონგრესებს შორის პერიოდში პრაქტიკული საქმიანობის საკოორდინაციოდ არქივებს შორის.

·**არქივების საერთაშორისო საბჭო** (International Council on Archives), საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია. შეიქმნა 1950 და აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფოთა ცენტრალურ საარქივო დაწესებულებებს, ეროვნულ ასოციაციებსა და რეგიონულ გაერთიანებებს, აგრეთვე ინდივიდუალურ წევრებს. შტაბ-ბინა არის პარიზში. უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც იწვევა 4 წელიწადში ერთხელ. სესიებს შორის პერიოდში ხელმძღვანელობას ახორციელებს აღმასრულებელი კომიტეტი. ყოველწლიურად ეწყობა არქივების მრგვალი მაგიდა. გამოსცემს ჟურნალ „არქივუმს“.

**არქიპელაგური წყლები**, საერთაშორისო საზღვაო სამართლის ინსტიტუტი, განსაზღვრული საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს მიერ 1982 მიღებული კონვენციით. კონვენციის მიხედვით, ა.წ-ის შემადგენლობაში შედის საზღვაო წყლები, რომლებიც იმყოფება არქიპელაგ-სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ, ე.ი. იმ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ, რომელიც განლაგებულია ერთ ან რამდენიმე არქიპელაგზე და სხვა კუნძულებსაც იერთებს. არქიპელაგი განისაზღვრება როგორც კუნძულთა ჯგუფი მათი შემაერთებელი წყლებითა და სხვა ბუნებრივი წარმონაქმნებით (კონცხები, კლდეები, რიფები), რომლებიც ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ წარმოადგენს ერთიან გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მთლიანობას, ან ისტორიულად ითვლება ასეთად.

ა.წ-ის გეოგრაფიული საზღვრები დგინდება პირდაპირი არქიპელაგური ამოსავალი ხაზების გავლებით, რომლებიც აერთიანებენ არქიპელაგის უშორესი კუნძულების ან წყალზედა რიფების ზღვაში ყველაზე შორს შეჭრილ წერტილებს, იმ პირობით, რომ ამ ამოსავალ ხაზებში უნდა მოხვდეს მთავარი კუნძულები და რაიონი, სადაც წყლის ზედაპირისა და ხმელეთის ფართობის (ატოლების ჩათვლით) თანაფარდობა შეადგენს 1:1-დან 9:1-მდე. ამასთან, თითოეული ამოსავალი ხაზის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 100 საზღვაო მილს (ამოსავალი ხაზების საერთო რაოდენობის 3%-მდე ხაზებს, თუ ისინი შემოსაზღვრავენ არქიპელაგს, შეიძლება სიგრძე ჰქონდეთ 125 საზღვაო მილამდე). ამგვარი ამოსავალი ხაზების სისტემა არ უნდა იყოს გამოყენებული არქიპელაგ-სახელმწიფოს მიერ იმგვარად, რომ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული წყლები აღმოჩნდეს ღია ზღვისაგან ან მისი ეკონომიკური ზონისაგან მოჭრილი. არქიპელაგ-სახელმწიფო ტერიტორიული წყლების სიგანის, მასთან მიმდებარე ზონის (იხ. *სპეციალური ზონები*), ეკონომიკური ზონის და კონტინენტური შელფის ათვლა ხდება არქიპელაგური ამოსავალი ხაზებიდან.

არქიპელაგ-სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება ა.წ-ის თავზე არსებულ საჰაერო სივრცეზეც, აგრეთვე მის ქვეშ მდებარე ზღვის ფსკერზე მასში არსებული წიაღისეულით. უცხოეთის სახელმწიფოების გემები და საფრენი აპარატები სარგებლობენ საარქიპელაგო გასასვლელის შესაბამისი უფლებით ა.წ-ში არსებულ საზღვაო დერეფნებში (ან მათ თავზე არსებულ საჰაერო დერეფნებში), რომლებსაც აწესებს არქიპელაგ-სახელმწიფო საკუთარი ა.წ-ის (ან მათ თავზე არსებული საჰაერო სივრცის) და მიმდებარე ტერიტორიული ზღვის შეუფერხებლად და სწრაფად გასავლელად (გადასაფრენად). თუ არქიპელაგ-სახელმწიფო არ აწესებს საზღვაო ან საჰაერო დერეფნებს, საარქიპელაგო გასასვლელის უფლება შეიძლება განხორციელდეს იმ გზებით, რომლებითაც სარგებლობენ საერთაშორისო ნაოსნობისათვის (იხ. *საერთაშორისო სრუტეები*).

*წყარ.*: Конвенция ООН по морскому праву 1982г., Нью-Йорк, 1983.

*ლიტ.*: Молодцов С.В., Правовой режим морских вод, М.,1982, с.200-02; Шинкарецкая Г.Г., Государства на архипелагах, М.,1977.

**არქტიკა**, დედამიწის ჩრდილო პოლარული მხარე, მოიცავს ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს, მიმდებარე მატერიკთა ნაწილებს, მრავალრიცხოვან კუნძულებსა და არქიპელაგებს. ა-ის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება საერთაშორისო საზღვაო სამართლის მოქმედი ნორმებით და ა-თან მომიჯნავე სახელმწიფოთა (რუსეთის ფედერაცია, აშშ, კანადა, ნორვეგია, დანია) ეროვნული კანონმდებლობით.

1982 გაეროს კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ ითვალისწინებს ა-ის მომიჯნავე სახელმწიფოთა განსაკუთრებულ უფლებებს თავიანთ ჩრდილოეთ ნაპირებთან მდებარე წყლებში ნაოსნობის რეგულირების სფეროში.

**არღუთინსკი-დოლგორუკი** მოსე ზაქარიას ძე (1797-1855), ქართველი თავადი, რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტი. 1811-16 ცხოვრობდა პეტერბურგში და ეუფლებოდა სამხედრო მეცნიერებას. 1827-დან გადმოდის მაიორის ჩინით ქართულ გრენადერთა პოლკში. 1826-29 იბრძოდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ. 1829 მონაწილეობდა ჯერ თავრიზის, შემდეგ კი თეირანის მოლაპარაკებებში, როგორც დიპლომატიური მისიის წევრი რუსეთის მხრიდან; 1841 მონაწილეობა მიიღო გურიის გლეხთა აჯანყების ჩახშობაში. 1847-დან დარუბანდის სამხედრო გუბერნატორია, ამავე დროს – კასპიის მხრის ჯარების სარდალი და რუსეთის დიპლომატიური მისიით აღჭურვილი ელჩი ამ მხარეში.

**არღუნ-ხანი**, ილხანთა სახელმწიფოს მე-4 გამგებელი (1284-91) ჰულაგუიანთა დინასტიიდან, აბაღა-ხანის უფროსი ვაჟი. მის დროს მიმდინარეობდა მონღოლური მომთაბარე არისტოკრატიის აჯანყებები, ბრძოლები ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის ძალაუფლებისათვის, ეწყობოდა შეთქმულებები. ერთ მათგანს ემსხვერპლა დემეტრე II თავდადებული (1289). ა.-ხ-ს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს წინააღმდეგ კავშირის შეკვრის მიზნით. 1284-91 მან ოთხი ელჩობა გაგზავნა რომის პაპთან, გენუაში, საფრანგეთსა და

ინგლისში. პირველს ხელმძღვანელობდა ნესტორიანი ქრისტიანი ბარ საუმა, უკანასკნელთ – გენუელი ბუსკარელ დე ბისულფი. ა.-ხ. აცხადებდა მზადყოფნას ელაშქრა პალესტინაში „წმინდა მიწა"ზე" და მოემარაგებინა სურსათ-სანოვაგე და ფურაჟი ჯვაროსანთა ლაშქრობისათვის მცირე აზიაში, მაგრამ მისი მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

**არშაკიდები**, პართიის (ირანის) სამეფო დინასტია ძვ.წ. 250-ახ.წ. 226. დინასტიის დამაარსებელია არშაკი, პართელი არისტოკრატი, სელევკიდური აეტორიტეტის დენონსაციის ორგანიზატორი კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე პატარა ირანულ პროვინცია პართიაში. ძვ.წ. II ს. წარმატებული კამპანიების შედეგად ა-ის ჰეგემონიას დაექვემდებარა მიდია, პერსიდა და სხვა ირანული პროვინციები. აღნიშნული ნომინალი მთელს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რეგიონზე – ირანზე – გავრცელდა. ძლიერი იყო ა-ის პოზიციები მესოპოტამიაშიც. სწორედ აქ, მდ. ტიგროსის ნაპირზე მდებარეობდა მათი დედაქალაქი კტესიფონი. მესოპოტამია რომის და პართიის კონფრონტაციის ერთ-ერთი ობიექტია. ამ კუთხით საინტერესოა აგრეთვე არმენიის საკითხიც. იბერია აღნიშნულ კონფლიქტში პართულ-სომხური ალიანსის მიმართ მტრულად განწყობილი პრორომაული ფლანგის ფუნქციას ასრულებდა, ჰქონდა რა ტერიტორიული პრეტენზიები დიდ არმენიასთან, კერძოდ – გუგარქის საპიტიახშოზე.

ა-ის გაუბედავი ელინიზმი ირანული კლასიციზმით შეიცვალა – უკანასკნელი არშაკიდი არტაბან V დამარცხდა პერსიდის მმართველ სასანიანთა დინასტიასთან ბრძოლაში. მოხდა არა მარტო დინასტიური, არამედ კონცეპტუალური ცვლილებაც. ამიერიდან სასანური ირანი ზოროასტრული იდეოლოგიური ზედნაშენით კარდინალურად უპირისპირდება ანტიკურ და შემდგომ ბიზანტიურ სამყაროს.

არშაკიდული დინასტიის გადანერგვა განსხვავებულ რეგიონებში ჩვეულებრივი მოვლენაა – ასეთი რამ მოხდა ინდოეთში, სომხეთში (63). ქართლის ცხოვრების არშაკუნიანების ქვეშ განსხვავებული ტიპის მოვლენა იმალება.

ლიტ.: Дьяконов М.М., Очерк истории древнего Ирана, М., 1961; Меликишвили Г.А., К истории древней Грузии, Тб., 1959; The Cambridge Ancient History, vol.9, Cambr., 1962.

**არჩილ II** (1647-16.IV. 1713, მოსკოვი), იმერეთისა და კახეთის მეფე, პოეტი, ვახტანგ V-ის ძე. 1661 ვახტანგ V ლაშქრით გადავიდა იმერეთში, გააძევა დადიანი და მეფედ დასვა 14 წლის ა. მისი მეფობა იმერეთში ხანმოკლე გამოდგა. 1639 ირან-ოსმალეთის ზავით აღმოსავლეთ საქართველო ირანის, დასავლეთ საქართველო კი ოსმალეთის ვასალად ითვლებოდა. ირანის ვასალის, ვახტანგის ვაჟის იმერეთში გამეფება ოსმალეთმა თავის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნია, ირანს პროტესტი განუცხადა და კატეგორიულად მოითხოვა ა-ის გაწვევა. 1663 შაჰის ბრძანებით მან დატოვა იმერეთი. 1664 შაჰმა ა.II ირანში დაიბარა. იგი იქ გაამაჰმადიანეს, შაჰ ნაზარ-ხანი უწოდეს და კახეთის მეფედ დაამტკიცეს. კახეთის დაუფლებას დაჟინებით ცდილობდა რუსეთიდან თუშეთს მოსული ერეკლე I, მაგრამ იგი მამაშვილთან ბრძოლაში დამარცხდა და 1666 რუსეთს გაბრუნდა. კახეთში ა.II-ის მეფობა ნაყოფიერი გამოდგა. თუმცა, როგორც ჩანს, კახეთსაც ძირითადად ვახტანგი განაგებდა, ფაქტობრივად ქართლ-კახეთი გაერთიანებული იყო. მამა-შვილმა კახეთში წესრიგი დაამყარეს, ნაწილობრივ აილაგმა ლეკთა თარეშიც. ა.II-მ რეზიდენცია გრემიდან თელავში გადმოიტანა. კახეთის ტახტზე ლეგიტიმისტური უფლების განმტკიცების მიზნით მან ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის ცოლადყოფილი ქეთევან დავითის ასული. ქართლ-კახეთის გაძლიერება ირანის შაჰს არ მოსწონდა. მან ერეკლე I ირანში დაიბარა და კახეთის ტახტი აღუთქვა. 1675 ა.II-მ დატოვა კახეთი და იმერეთის ტახტისათვის დაიწყო ბრძოლა. 1678 გამეფდა იმერეთში, მაგრამ 1679 იგი გააძევა ბაგრატ IV-მ. მან რუსეთს მიმართა დახმარების თხოვნით. შემდეგ კი გადაწყვიტა თვითონ წასულიყო რუსეთში. რუსეთის მთავრობისაგან ნებართვის მიღების შემდეგ 1682 ცოლ-შვილით გაემგზავრა რუსეთს. პირველ სექტემბერს უკვე ასტრახანს იყო. იმავე წელს გარდაიცვალა რუსეთის მეფე თევდორე და ა.II-ს ებრძანა თერგზე დაბრუნებულიყო. მხოლოდ 1685 მიიღო მოსკოვში ჩასვლის ნებართვა. იმავე წლის 9 დეკემბერს მოსკოვში ჩავიდა, სადაც 1688-მდე დაჰყო, ვერავითარი რეალური დახმარება ვერ მიიღო და დაბრუნდა სამშობლოში. ამის შემდეგ იგი კიდევ სამჯერ გამეფდა იმერეთში – 1690-1691, 1695-1696, და 1698, მაგრამ ოსმალეთის მხარდაჭერით იმერეთის თავადაზნაურობამ სამივეჯერ გააძევა. 1699 საბოლოოდ გადასახლდა მოსკოვში. პეტრე I-მა იგი პატივით მიიღო, ა.II-ს მოსკოვის გარეუბანში, სოფ. ვსესვიატსკოეში მამულები უბოძეს. თანდათან ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ლიტერატურულ და სამეცნიერო მოღვაწეობას მიჰყო ხელი. გარდაიცვალა 1713 წლის 16 აპრილს. დაკრძალეს მოსკოვში, დონის მონასტერში.

ლიტ.: ბერიძიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, წგ.2, თბ.,1965; სიხარულიძე ე., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ.,1991; ტაბიშვილი ე., ქართველები მოსკოვში, II გამოც., თბ.,1959.

**არხები საერთაშორისო**, არხი, რომელიც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადის, მაგრამ ორ ღია ზღვას აკავშირებს და გამოიყენება საერთაშორისო ზღვაოსნობისათვის. ა.ს. იმყოფება იმ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ, რომლის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს. ა.ს-ში ზღვაოსნობის რეჟიმი რეგულირდება ან საერთაშორისო შეთანხმებებით (სუეცის არხი, პანამის არხი), ან კონკრეტული ქვეყნის შინასახელმწიფოებრივი აქტებით (კილის არხი), თუმცა ამ შემთხვევაშიც გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო ზღვაოსნობის ინტერესები.

**ასადი ჰაფეზ** (ჰაფიზ ალ-ასადი) (დ. 1930), სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი, ბაასის-არაბთა სოციალისტური აღორძინების (ასაპ) გენერალური მდივანი, არმიის გენერალი, მუსლიმი-ალავიტი. აქვს უმაღლესი სამხედრო განათლება, დაამთავრა აგრეთვე მფრინავ გამანადგურებელთა კურსები. 1964 დაინიშნა სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის სარდლად, 1966-1970 თავდაცვის მინისტრი და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალია, 1970 წლის მარტიდან 1971 წლის მარტამდე – პრემიერ-მინისტრი და იმავე დროს თავდაცვის მინისტრი, 1971 წლის მარტიდან – სირიის პრეზიდენტი და შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, 1971 წლის მაისიდან – ასაპ-ის რეგიონული ხელმძღვანელობის გენერალური მდივანი, 1972 წლის მარტიდან – პროგრესულ-ეროვნული ფრონტის თავმჯდომარე, რომელშიც შევიდა ქვეყნის 5 ძირითადი პოლიტიკური პარტია. 1978, 1985 და 1992

ხელახლა იქნა არჩეული სირიის პრეზიდენტად. 1977 წლის აპრილში სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტად ყოფნისას ეწვია თბილისსაც.

**ასეფი** აბდულ ვაჰაბ (დ. 1947), ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. 1974 დაამთავრა ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1974-75 ავღანეთის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში განყოფილების გამგეა; 1976-77 მსახურობდა ავღანეთის არმიაში; 1978-80 – ქაბულის სოფლის მეურნეობის ბანკის განყოფილების გამგე; 1980 – ავღანეთის დაგეგმარების სამინისტროს საგარეო კავშირების სამმართველოს გენერალური დირექტორი; 1981-83 – ავღანეთის ფინანსთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი; 1983-86 – ავღანეთის მინისტრთა საბჭოს კაპიტალდაბანდებების სამმართველოს უფროსი; 1986-90 ხელმძღვანელობდა ავღანეთის სახელმწიფო ბანკს; 1990-92 – ავღანეთის ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე; 1992-93 – რუსეთის ფედერაციაში ავღანეთის საელჩოს მრჩეველი ვაჭრობის დარგში, ავღანეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული, 1993-დან – რუსეთის ფედერაციაში ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. 1995 წლის იენისიდან პარალელურად დაინიშნა ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად საქართველოში.

**ასლან I ჯაყელი**, ახალციხის ფაშა 1659-80, როსტომ ფაშას ძე. ა.I.ჯ. ფაშად ოსმალებმა დასვეს. მის დროს გაძლიერდა სამცხის მოსახლეობის გამაჰმადიანების პროცესი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე შინაფეოდალურ ომებში. 1680 სულთნის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს არზრუმის ფაშამ.

წყარო: დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ.ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

**ასლან II ჯაყელი**, ახალციხის ფაშა 1705-18, ჯაყელთა გამაჰმადიანებული შტოს წარმომადგენელი, სელიმ ფაშა ჯაყელის ძე. ა.II.ჯ. თავისმა ბიძაშვილმა ისაყ ფაშამ 1708 დაამარცხა, მაგრამ 1716 ხელისუფლება ისევ დაიბრუნა. იმავე წელს იგი იმერეთის მეფე გიორგი VI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯარით დაეხმარა ბექან დადიანსა და ზურაბ აბაშიძეს, რის სანაცვლოდაც მათგან დიდძალი ქრთამი მიიღო.

1718 ოსმალეთის სულთანმა ახალციხის საფაშოს გამგებლობა ისაყ ფაშას უბოძა, ხოლო ა.II.ჯ. სტამბულში გაიწვია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ.,1973; ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ 3 (1700 წლიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე), თბ.,1967.

**ასტახოვი** გიორგი ალექსანდრეს ძე (1897-1942), საბჭოთა დიპლომატი. 1920-22 – ამიერკავკასიაში რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პრესის ბიუროს გამგე, 1922-23 – თურქეთში რსფსრ-ის წარმომადგენლობის პრესის ბიუროს გამგე, 1924-25 – გერმანიაში სსრკ-ის წარმომადგენლობის რეფერენტი, 1925-28 – პრესის ბიუროს გამგე, შემდეგ იაპონიაში – სსრკ წარმომადგენლობის პირველი მდივანი, 1928-29 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შორეული აღმოსავლეთის განყოფილების პასუხისმგებელი რეფერენტი. 1930-33 – სსრკ-ის წარმომადგენლობის მრჩეველი თურქეთში, 1934-35 – ინგლისში, 1935-36 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული ამიერკავკასიის ფედერაციაში; 1936-37 – საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილების გამგე. 1937-39 – მრჩეველი, შემდეგ გერმანიაში – სსრკ-ის დროებითი რწმუნებული.

**ატაშე** (ფრანგ. attaché), ყველაზე დაბალი დიპლომატიური რანგი, რომელსაც საგარეო საქმეთა უწყების მეთაური ანიჭებს ამ უწყების ცენტრალური აპარატის ან დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლებს, ასევე ერთ-ერთი უმცროსი თანამდებობის პირი საგარეო საქმეთა უწყებაში. არსებობს აგრეთვე სპეციალური ა., რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სპეციალური თანამდებობის პირს წარმოადგენს და საგარეო ურთიერთობის განსაკუთრებულ დარგში მუშაობს. ყველაზე მნიშვნელოვანია სამხედრო ა. (სამხედრო-საავიაციო, სამხედრო-საზღვაო ა.), რომელიც უწყების წარმომადგენელია უცხო სახელმწიფოში და თავისი რანგით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩვეულებრივი ა. პრაქტიკაში ასევე ეხვდებით ისეთ სპეციალურ ა-ს, როგორიცაა კულტურული ა. და სხვ. ყოველი სპეციალური ა. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის მრჩეველია თავის დარგში. ყველა ა. დიპლომატიური კორპუსის შემადგენლობაში შედის და დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს.

**„ატლანტიზმის" თეორია**, აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური თეორია, ჩაისახა II მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, „ცივი ომის" წლებში. „ა".თ-ს საფუძვლად დაედო თეზისი ჩრდილო ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ერთიანობის შესახებ სოციალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. თავდაპირველად აშშ პროპაგანდას უწევდა ე.წ. „ატლანტიკურ კავშირს" – თავისებური „ზესახელმწიფოს" შექმნას, რომელსაც ზენაციონალური მთავრობა უხელმძღვანელებდა. 60-იანი წლებიდან ყურადღება მიექცა „ატლანტიკური თანამეგობრობის" შექმნას, სადაც მთავარი აქცენტი კეთდებოდა პოლიტიკურ კავშირზე. მაგრამ 70-იანი წლებიდან, როცა დასავლეთ ევროპა კონკურენტუნარიანი შეიქნა, აშშ იძულებული გახდა ყურადღება გადაეტანა ატლანტიკის რეგიონში ეკონომიკურ „პარტნიორობაზე". ნიქსონის პრეზიდენტობის დროს შემუშავებული „მომწიფებული პარტნიორობის" დოქტრინა უკვე ითვალისწინებდა პოლიტიკის კოორდინაციის მოქნილი სისტემის შექმნას და ნატოს წევრი დასავლეთევროპული ქვეყნებისათვის სამხედრო ხარჯების ნაწილის დაკისრებას. აშშ არ გამოდიოდა ევროპული ინტეგრაციის წინააღმდეგ, მაგრამ უპირატესობას მაინც ატლანტიკურ ინტეგრაციას ანიჭებდა. 70-იანი წლების მიწურულიდან აშშ-მა ფართო პროპაგანდა დაიწყო „სამმხრივი განვითარების" კონცეფციისა (იხ. *სამმხრივი კომისია*), რომელიც ითვალისწინებდა ატლანტიკურ თანამშრომლობაში იაპონიის ჩართვას.

ლიტ.: Иванова И.М., Концепция "атлантического сообщества" во внешней политике США, М., 1973, Hahn W., Pfaltzgraff R., Atlantic Community in Crisis: A Redefinition of Transatlantic Relationship, N. Y., 1979.

**ატლანტიკური ქარტია**, დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერეს აშშ-ის პრეზიდენტმა თ. რუზველტმა და ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უ.ჩერჩილმა 14.VII.1941. ორივე მთავრობა უარს აცხადებდა ტერიტორიების დაპყრობაზე, ცნობდნენ ყველა ხალხის უფლებას, აერჩიათ „მმართ-

ველობის ის ფორმა, რომლითაც უნდოდათ ცხოვრება". დახმარებას ჰპირდებოდნენ სუვერენული უფლებისა და თვითმმართველობის აღდგენაში იმ ხალხებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ამას. ა.ქ-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა *ანტიჰიტლერული კოალიციის* ჩამოყალიბებაში.

**ატომი მშვიდობისათვის**, ატომური ენერგიის გამოყენების ამერიკული გეგმა, რომელიც 1953 პრეზიდენტ დ.ეიზენჰაუერის მთავრობამ შეიტანა გაეროში განსახილველად. ამ გეგმის მიხედვით გაეროს ეგიდით უნდა შექმნილიყო საერთაშორისო ორგანო, რომლის მეთვალყურეობითა და კონტროლით სახელმწიფოებს თავისი ატომური მასალების ნაწილი უნდა გადაეცათ „კაცობრიობის მშვიდობიანი საქმიანობისათვის", თუმცა ამ გეგმით არ იყო გათვალისწინებული ატომური იარაღის აკრძალვა.

1954-55 აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს შორის წამოყენებული წინადადებების საფუძველზე ჩატარდა კონფიდენციალური მოლაპარაკება ატომური ენერგიის გამოყენების თაობაზე, რასაც შედეგად მოჰყვა კონფერენციის მოწვევა *ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს* (მაგატე) წესდების შესამუშავებლად.

1959 აშშ გამოვიდა ატომის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების ახალი გეგმით, რომელიც მოითხოვდა ხლეჩადი მასალების საერთაშორისო ფონდის შექმნას იმ ქვეყნების მიერ, რომელთაც აღნიშნული მასალა გააჩნდათ, აგრეთვე – ატომური ენერგიის დარგში აუცილებელი ცოდნისა და კვლევითი მასალების გაცვლას, მაგრამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა სხვა ბირთვული ქვეყნების მხრივ.

*ლიტ.:* Т и м е р б а е в Р.М., Мирный атом на международной арене, М.1969

**„ატომის დიპლომატია"**, ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა პროპაგანდის (განსაკუთრებით საბჭოთა) მიერ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა აშშ იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც ატომური იარაღი გააჩნდა. „ა.დ."-ის დამახასიათებელი იყო გამალებული შეიარაღება და ისეთი სამხედრო-პოლიტიკური დოქტრინების მიღება, როგორებიც იყო „შეკავების" დოქტრინა, „მასირებული შურისძიების" დოქტრინა, „ომის ზღურბლზე ბალანსირების" პოლიტიკა. მოგვიანებით მათ დაემატა „პირველი ბირთვული დარტყმის კონცეფცია", „შეზღუდული ბირთვული ომის" დოქტრინა და ა.შ.

**ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო** (აესს; International Atomic Energy Agency – IAEA), საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით 3.XII.1955, ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

აესს-ს წესდება დამტკიცდა 23.X.1956 ნიუ-იორკში დამფუძნებელ კონფერენციაზე და ძალაში შევიდა 29.VII.1957. აესს გაეროსთან დაკავშირებულია სპეციალური შეთანხმებით და ყოველწლიურად გაეროს გენერალურ ასამბლეას ან, საჭირო შემთხვევაში, გაეროს უშიშროების საბჭოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. სადღეისოდ მასში გაერთიანებულია 115 ქვეყანა.

აესს-ს უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება. სააგენტოს პრაქტიკულ საქმიანობას ხელმძღვანელობს 35 წევრისაგან შემდგარი მმართველთა საბჭო, რომელიც ანგარიშს აბარებს გენერალურ კონფერენციას. აესს-ს მიმდინარე საქმეებს განაგებს სამდივნო, რომელსაც მეთაურობს გენერალური დირექტორი (ინიშნება მმართველთა საბჭოს მიერ 4-წლიანი ვადით, მტკიცდება გენერალური კონფერენციის მიერ).

აესს-ს შტაბ-ბინა ვენაშია.

აესს-ს საქმიანობის უპირველესი ამოცანაა კონტროლი, რათა იმ ქვეყნებში, რომელთაც არ გააჩნია ბირთვული იარაღი, არ დაუშვას ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებიდან გადასვლა ბირთვული იარაღის წარმოებაზე, ან მისი სამხედრო მიზნებით გამოყენებაზე.

*ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის* ხელშეკრულების (1968) დადების შემდეგ აესს-ს წევრმა ქვეყნებმა, რომელთაც არ გააჩნიათ ბირთვული იარაღი, იკისრეს ვალდებულება – დადონ აესს-თან ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ის გააკონტროლებს მათ მშვიდობიან ბირთვულ საქმიანობას. გამომდინარე ამ შეთანხმებებიდან, ის აკონტროლებს არაბირთვულ ქვეყნებში ბირთვული დანადგარების 98%-ს.

გარანტიების დეპარტამენტი, რომელიც შექმნილია აესს-ს სამდივნოს ფარგლებში, უზრუნველყოფს ბირთვული დანადგარებისა და მასალების კონტროლს შესაბამისი სააღრიცხვო დოკუმენტების შესწავლის, ბირთვულ დანადგარებზე მომუშავე ოპერატორების შემოწმების, დანადგარების „საკვანძო წერტილებში" არჩევითი გაზომვების გზით. ამისათვის ფართოდ ინერგება ინსპექტირება. მაგალითად, 1984 ჩატარდა 1820 საინსპექციო შემოწმება.

აესს-ს ამოცანებში შედის აგრეთვე სამეცნიერო ფორუმების ჩატარება ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების საქმეში გამოცდილების გაზიარებისა და ინფორმაციის გაცვლისათვის, განვითარებადი ქვეყნებისათვის კადრების მომზადებისათვის და ა.შ.

*პუბლ.:* Сборник действующих договоров..., вып. 19, с. 195-218;

*ლიტ.:* Атом и мир. Под ред. И.Д.Морохова. М., 1974; Т и м е р б а е в Р.М., Мирный атом на международной арене. М., 1969.

**აუდიენცია**, დიპლომატიური წარმომადგენლის ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის მიერ. მაგ.: ა-ს შეიძლება ადგილი ჰქონდეს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის მიერ რწმუნების სიგელის ჩაბარების დროს, ამ შემთხვევაში ა. საზეიმო ვითარებაში იმართება.

**აფევერკი** (Afeverk) ისაიას (დ. 1946), ერიტრეის პრეზიდენტი. დაამთავრა ადის-აბების უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. აქტიურად მონაწილეობდა პარტიზანულ ომში ეთიოპიის წინააღმდეგ. სამხედრო განათლება მიიღო ჩინეთში. ერიტრეის ხალხის განთავისუფლების ფრონტის ერთ-ერთი ლიდერი, 1987-დან ამ ფრონტის გენერალური მდივანი. 1991 ერიტრეის ეროვნულმა კრებამ იგი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია, მაგრამ ეთიოპიის ხელისუფლება არ სცნობდა ერიტრეას დამოუკიდებელ ქვეყნად. იგი მხოლოდ 1993 წლის 25.IV გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

**აფრიკის განვითარების ბანკი** (African Development Bank), დაარსდა 1964 წლის სექტემბერში გაეროს აფრიკის ეკონომიკური კომისიის IV სესიის გადაწყვეტილებით. ფუნქციონირება დაიწყო 1967-დან. ა.გ.ბ-ის წევრია 50 აფრიკული და 17 არააფრიკული ქვეყანა (1983). მოწყობილია სააქციო საზოგადოების ფორმით, საწყისი კაპიტალია 5,5 მლრდ დოლარი.

ა.გ.ბ-ის ოფიციალური ფუნქციებია: მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაფინანსება, წინასაინვესტიციო გამოკვლევების ჩატარება, შინაგანი და საგარეო ფინანსური რესურსების მობილიზაცია, ტექნიკური დახმარების გაწევა. 1972 ა.გ.ბ-თან შეიქმნა განვითარების აფრიკული ფონდი, რომელიც შეღავათიან პირობებში გასცემს კრედიტებს.

ა.გ.ბ-ის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომელიც ინიშნება ყოველი მონაწილე ქვეყნის მიერ, აღმასრულებელი ორგანოა – დირექტორთა საბჭო. მისი შტაბბინა იმყოფება ქ.აბიჯანში (სპილოს ძვლის ნაპირი).

**აფრიკის სამხრეთის ეკონომიკური განვითარების მაკოორდინირებელი კონფერენცია** (Southern African Development Coordination Conference), საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია; დაარსდა 1979 წლის ივლისში ქ.არუშაში (ტანზანია) ანგოლის, ბოტსვანის, ზამბიის, მოზამბიკისა და ტანზანიის მინისტრების კონფერენციის დროს. გარდა ამისა, ორგანიზაციაში შედიან ზიმბაბვე, ლესოტო, მალავი და სვაზილენდი.

კონფერენციის მიზანია მონაწილე ქვეყნების განთავისუფლება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეკონომიკური დამოკიდებულებისაგან, მათ წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა და ბრძოლა აპარტეიდის წინააღმდეგ.

დამფუძნებელ კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში „აფრიკის სამხრეთი: ეკონომიკური განთავისუფლებისათვის" ჩამოყალიბებულია მონაწილე ქვეყნების განვითარების დაჩქარების კონკრეტული პროგრამა, აგრეთვე მათ შორის თანამშრომლობის განვითარება ეკონომიკის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, კადრების მომზადების, მეცნიერების განვითარების, რეგიონის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სხვა სფეროებში.

კონფერენციის ჩარჩოებში მოქმედებენ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და სხვა კომისიები, რომელთა რეგულარული სხდომები მინისტრების დონეზე ტარდება.

კონფერენციის შტაბ-ბინა ქ.გაბორონეშია (ბოტსვანა).

**აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია** (Organization of African Unity - OAU), რეგიონული საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია; დაარსდა 1963 აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ადის-აბების კონფერენციაზე, სადაც მიიღეს ა.ე.ო-ის ქარტია.

ა.ე.ო-ის წევრია 51 აფრიკული ქვეყანა (1985 მონაცემებით). ა.ე.ო-ში არ შედის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. 12.XI. 1984 ის დატოვა მაროკომ მასში საჰარის არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკის მიღებისადმი პროტესტის ნიშნად. ა.ე.ო-ის მუშაობაში მეთვალყურეების სახით მონაწილეობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ნამიბიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, აგრეთვე აფრიკის რიგი სახელმწიფოთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ა.ე.ო-ის დაარსების დღე – 25 მაისი ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც აფრიკის განთავისუფლების დღე.

მისი ძირითადი მიზნებია აფრიკის ქვეყნებს შორის ყოველმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება, მათ შორის სოლიდარობის განმტკიცება „აფრიკის ხალხებისათვის უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით"; აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმის ყოველგვარი სახეობის ლიკვიდაცია და აფრიკის ქვეყნების დამოუკიდებლობის დაცვა; ა.ე.ო-ის ძირითადი პოლიტიკური ხაზი საერთაშორისო არენაზე არის მიუმხრობლობის პოლიტიკის დაცვა და თანამშრომლობა გაეროს წესდების საფუძველზე.

უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეა (კონფერენცია), რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო, რომელიც წელიწადში ორჯერ მოიწვევა. მუდმივი ადმინისტრაციული ორგანოა გენერალური სამდივნო. ა.ე.ო-ის ორგანოების გადაწყვეტილებები არ ატარებს სავალდებულო ხასიათს.

შტაბ-ბინა ქ.ადის-აბებაშია (ეთიოპია). აქვს გაეროსა და მის სპეციალიზებულ ორგანოებში მეთვალყურის სტატუსი, რომელთანაც კავშირს ამყარებს ნიუ-იორკსა და ჟენევაში არსებული საკუთარი ბიუროების მეშვეობით.

ა.ე.ო-ის ეგიდით არსებობს 30-მდე სუბრეგიონული და საერთოაფრიკული სპეციალიზებული დაწესებულება. მის საქმიანობაში წინა პლანზეა წამოწეული თანამშრომლობა პოლიტიკის, ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში. ყურადღებას აქცევს ბრძოლას კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ და დახმარებას უწევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს სპეციალური საკოორდინაციო კომიტეტის მეშვეობით.

*ლიტ.:* Организация африканского единства. Сб. документов, вып. 1-4, М., 1970-72.

**აფხაზეთის სამთავროს შეერთება რუსეთთან**, XVII ს. დასაწყისში აფხაზმა მთავრებმა შარვაშიძეებმა მიაღწიეს ოდიშის სამთავროსგან გამოყოფას. 1810 მათ რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა მიიღეს. ყირიმის ომის (1853-56) დროს აფხაზეთის მოსახლეობა აქტიურად იბრძოდა თურქეთის წინააღმდეგ. დასავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცარიზმს აღარ სჭირდებოდა „ბუფერული" აფხაზეთის სამთავროს არსებობა. რუსეთმა მისი გაუქმება აუცილებლობად ჩათვალა. 1864 წლის ივნისში ოფიციალურად გამოცხადდა სამთავროს გაუქმება და აფხაზეთში შემოიღეს რუსული მმართველობა. აფხაზეთს ეწოდა „სოხუმის ოლქი" და ქუთაისის გუბერნიაში შეიყვანეს. უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე ვორონეჟში გადაასახლეს.

**აფხაზი** ივანე ნიკოლოზის ძე (1784-1831), გენერალი. სამსახური დაიწყო 1800 მე-17 ეგერთა პოლკში; 1820 დაინიშნა 44-ე პოლკის უფროსად. 1829 გენერალ-მაიორის ჩინით ინიშნება მაჰმადიანური პროვინციების (ყარაბახი, ნუხა, შირვანი) მმართველად და დიპლომატიურ წარმომადგენლად. 1830-დან იყო ვლადიკავკაზის კომენდანტი. ამ დროს დაიმორჩილა კავკასიის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მცხოვრები ქისტები და ოსები. იყო რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლების პრინციპული მომხრე, მაგრამ ასეთი განთავისუფლება მას შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქართველოს ეყოლებოდა „რეგულარული", ე.ი. მუდმივი ჯარი და „მრავალნი მსწავლულნი კაცნი". 1831 პოლონეთის აჯანყების დროს, გრაფ პასკევიჩის

გაწევით გაემგზავრა მოქმედ არმიაში და იმავე წელს გარდაიცვალა ქოლერისაგან ქ.ბრესტ-ლიტოვსკში.

*ლიტ.:* Русский архив, 1904, I, c.119-126.

**ACTE FINAL** (*დასკვნითი აქტი*), ხშირად რომელიმე კონვენციის ან კონგრესის ბოლოს ხდება ჩატარებული სამუშაოს მოკლე შინაარსის აღნიშვნა, გადმოცემა ან ჩამოთვლა, სადაც აღნიშნულია ხელმოწერილი ხელშეკრულებები და მოცემულია განსახილველ საკითხებზე მიღებული ერთობლივი აზრი ან კომენტარები. ასეთ დოკუმენტს ზოგჯერ უწოდებენ "Acte", "Protocol", "Procès Verbal Final", უფრო ზუსტია "Acte Final".

*ლიტ.:* Никольсон Г., Дипломатия, пер. с англ., М., 1941, c.133.

**ACCESSION** (ფრანგ. მიერთება, შეერთება), ხელშეკრულებასთან მიერთება.

საერთაშორისო ხელშეკრულებებში ხშირად ფიქსირდება „მუხლი მიერთების შესახებ". ამ მუხლით ქვეყნებს, რომლებიც მოლაპარაკებას არ ესწრებოდნენ და არ აწერენ ხელს ხელშეკრულებას, უფლება აქვთ შემდგომში შეუერთდნენ მას.

*ლიტ.:* Никольсон Г., Дипломатия, пер. с англ., М., 1941, c.133.

**ᲐᲦᲐ-ᲛᲐᲰᲛᲐᲓ-ᲮᲐᲜᲘ**, მოჰამედ-ხანი (1742-97), ყაჯართა დინასტიის ფუძემდებელი, ირანის გამგებელი 1794-დან, შაჰი – 1796-დან. იყო უფროსი ვაჟი ყაჯართა ტომის ბელადის – მოჰამედ ჰასან-ხანისა, 6 წლისა დაასაჭურისა მოჰამედ ჰასან-ხანის მეტოქემ, ნადირ-შაჰის ძმისშვილმა ადილ-შაჰმა. 1758 გახდა ყაჯართა ტომის ბელადი, შემდეგ ტყვედ ჩაუვარდა ქერიმ-ხან ზენდის, რომლის გარდაცვალებისთანავე გაიქცა ასტარაბადში და 1785 დაეუფლა ირანის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილს. იმავე წელს ყაჯართა სამოსახლო ტერიტორიებთან სიახლოვის გამო დედაქალაქად აირჩია თეირანი. თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა მხედართმთავარმა და სახელმწიფო მოღვაწემ. იღებდა ენერგიულ ზომებს ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად და შინაბრძოლებში დარღვეული სავაჭრო კავშირების აღსადგენად. თავისი მიზნების განსახორციელებლად არ ერიდებოდა სადიზმამდე მისულ სისასტიკეს, დაუნდობლად გაუსწორდა ქურთისტანის, არაბისტანის, ფარსისა და პროვინციების ურჩ ხანებს. ჰქონდა დიპლომატიური კავშირები ოსმალეთთან, რუსეთთან, საფრანგეთთან.

ა. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობას, მთავარი იყო ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც 1783 ტრაქტატით რუსეთის მფარველობაში შევიდა. ადრე ის ერეკლე II-ს მეგობრობას სთავაზობდა, მაგრამ გაძლიერების შემდეგ შეეცადა აღედგინა ქართლ-კახეთზე ირანის ბატონობა. 1795 ილაშქრა აზერბაიჯანში და შემდეგ – საქართველოში, სძლია ერეკლე II-ს, 11.IX. აიღო თბილისი და დიდი ნადავლითა და ტყვეებით დაბრუნდა ირანში. მიუხედავად სამხედრო წარმატებისა, მაინც ვერ მიაღწია მიზანს – აეძულებინა ერეკლე ხელი აეღო რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე.

1796 ირანის შაჰად გამოცხადდა. იმავე წელს დაიმორჩილა ხორასანი. 1796 წლის აპრილში ამიერკავკასიაში შევიდა რუსეთის ჯარი ვ.ზუბოვის ხელმძღვანელობით. დაიწყო სამზადისი ირანში სალაშქროდ, რაც ჩაიშალა ეკატერინე II-ის გარდაცვალებისა და ტახტზე პავლე I-ის ასვლის გამო. ამ გარემოებამ ა.-ს ამიერკავკასიაში მოქმედების თავისუფლება მისცა. 1797 შეიჭრა აზერბაიჯანში და აიღო ქ.შუშა, სადაც 5 სექტემბერს მისივე მსახურებმა მოკლეს.

**ᲐᲦᲐ-ᲮᲐᲜ IV**, პრინცი ქ ე რ ი მ ი (დ.1936), მაჰმადიან შიიტთა ისმაილიტური სექტის ლიდერი, იმამი. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. 1957-დან მემკვიდრეობით მიიღო ისმაილიტთა იმამის ტიტული. 1967 დააარსა და სათავეში ჩაუდგა ა.IV-ის ფონდს. 1976 დააარსა ა.IV-ის პრემია სოფლის მეურნეობის დარგში. 1977 დააარსა ისმაილიტთა მოძღვრების შემსწავლელი საერთაშორისო ინსტიტუტი. 1983-დან – ა.IV-ის უნივერსიტეტის (პაკისტანი) დამაარსებელი და პრეზიდენტი. არის ფეშავარისა და სინდის უნივერსიტეტების (პაკისტანი) საპატიო დოქტორი.

**ᲐᲦᲐ-ᲮᲐᲜᲘ** სადრუდინ (დ.1933), ირანის პოლიტიკური მოღვაწე. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. 1958 – იუნესკოს მრჩეველი აზია-აფრიკის პრობლემებზე. 1959-60 – გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის თანაშემწე. 1962-65 – კომისრის მოადგილე. 1965-77 – უმაღლესი კომისარი. 1978-დან – გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი. 1983-დან – საერთაშორისო ჰუმანიტარული პრობლემების დამოუკიდებელი კომისრის თანათავმჯდომარე. 1988-დან – ავღანეთისათვის ჰუმანიტარული და ეკონომიკური დახმარების გაეროს პროგრამების სპეციალური კოორდინატორი. დაკავშირებულია მრავალრიცხოვან საქველმოქმედო ფონდებთან და ჯგუფებთან, გარემოს დაცვის პრობლემებთან. ნიუ-იორკში ისლამური პრობლემების საბჭოს ერთ-ერთი დამაარსებელი. შექმნა და ხელმძღვანელობს ეკოლოგიურ ორგანიზაციას „ბელრივის ჯგუფი".

**ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲘ** (ინგლ. – executive agreements), საერთაშორისო შეთანხმებები, დადებული აშშ-ის პრეზიდენტის მიერ, რომელსაც არ სჭირდება სენატის დასტური. ა.შ. გავრცელებულია ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიც.

აშშ-ის კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ მხოლოდ სენატის თანხმობით. მაგრამ 1792-დან აშშ-ის გენერალურ ფოსტმეისტერს (ფოსტის უფროსს) მიენიჭა უფლება აშშ-ის პრეზიდენტის რჩევითა და თანხმობით დადოს საფოსტო ხელშეკრულებები სხვა ქვეყნებთან სენატთან შეთანხმების გარეშე. 1815-დან კონგრესის მთელი რიგი აქტებით, პრეზიდენტს მიენიჭა ფართო უფლებები საბაჟო და სავაჭრო შეთანხმებების დადების საქმეში. ხშირად ა.შ. პოლიტიკურ საკითხებსაც ეხება.

ა.შ-ის ნიმუშია აშშ-ის მიერ 16.XI.1933 სსრკ-ის ცნობა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, აგრეთვე სსრკ-სა და აშშ-ს შორის 13.VII.1935 სავაჭრო ხელშეკრულების დადება, ლენდ-ლიზის საფუძველზე შეთანხმებები II მსოფლიო ომის წლებში სამხედრო აღჭურვილობის მიწოდების შესახებ, ატლანტიკური ქარტია და ა.შ.

II მსოფლიო ომის შემდეგ ა.შ-ის ხვედრითი წილი აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. თავისი მნიშვნელობით ისინი უტოლდებიან ხელშეკრულებებს და წარმოადგენენ აღმასრულებელი ხელისუფლების გაფართოების ერთ-ერთ საშუალებას.

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ**, დიპლომატიასა და ისტორიულ ლიტერატურაში პირობითად მიღებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს XVIII ს. მიწურულისა და XX ს. დასაწყ-

ისამდე საერთაშორისო წინააღმდეგობებს, დაკავშირებულს ბალკანეთის ხალხების ბრძოლასთან ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, ოსმალთა იმპერიის მოახლოებულ დაშლასთან და ევროპის დიდი სახელმწიფოების [ავსტრიის (1867-დან ავსტრია-უნგრეთის), დიდი ბრიტანეთის, პრუსიის (1871-დან გერმანიის), რუსეთის, საფრანგეთის, იტალიის (მოგვიანებით აშშ)] ბრძოლასთან ოსმალთა სამფლობელოების (უპირატესად ევროპაში) დასანაწილებლად. ტერმინი „ა.ს." პირველად საღვთო კავშირის ვერონის კონგრესზე (1822) იხმარეს დიპლომატებმა. ოსმალთა წინააღმდეგ ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების (1821-29) გამო. ა.ს-ში სამ პერიოდს აღნიშნავდნენ: 1.XVIII ს. II ნახევრიდან ყირიმის ომამდე. 1853-56, 2. ყირიმის ომიდან XIX ს. დამლევამდე, 3.XX ს. დასაწყისიდან I მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

**აშოტ I** დიდი, კურაპალატი (გ. 826), მმართველობდა დაახლ. 786-826, ტაო-კლარჯეთის სამთავროს ფუძემდებელი. ქართლის ერისმთავარი, სათავეში ედგა ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ. მათთან დაპირისპირების გამო ტაო-კლარჯეთში გადავიდა, სადაც ახალი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. საგარეო საკითხთა გადაწყვეტისას ა.I-მა ორიენტაცია ბიზანტიის იმპერიაზე აიღო. არტანუჯში დამკვიდრებულმა თავი ბიზანტიის ვასალად აღიარა, რითაც ბიზანტია ქართველთა მფარველად აქცია. ასეთი ურთიერთობა ქვეყნისათვის მომგებიანად გამოიყენა, მათ შორის არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც. ბიზანტიამ აღიარა ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნის ფაქტი. სამხრეთ საქართველო მისი დიპლომატიის შედეგად არაბთა ხარაჯისაგან თავისუფალი იყო. გააფართოვა თავისი სამფლობელოები (მასში შედიოდა: შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაო, ჯავახეთი, არტაანი), მონაწილეობდა მწვავე დაპირისპირებაში, რომელიც არსებობდა ამიერკავკასიის მეფე-მთავრებს შორის რეგიონში პირველობის მოსაპოვებლად. ა.I-მა აფხაზეთის მეფე თეოდოს II-თან ერთად გაიმარჯვა კახეთის მთავრის – გრიგოლის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც მხარს თბილისის ამირა უჭერდა. „ქსანსა ზედა" გამარჯვების შემდეგ, თავის სამთავროს შიდა ქართლის მიწები შემოუმტკიცა კლარჯეთიდან ქსნამდე. ასეთი ღონისძიებების შედეგად საქართველოს პოლიტიკურმა ცენტრმა სამხრეთ საქართველოში გადაინაცვლა. მოკლეს შეთქმულებმა.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ.,1955.

ლიტ.: ბადრიძე შ., „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. - „თსუ შრომები", 1965, ტ.113; ბოგვერაძე ა., ერთი ქრონოლოგიური საკითხი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა (აშოტ I კურაპალატის სიკვდილის თარიღის შესახებ). - კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, 1, თბ.,1970; სუმბატ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, ეთაყაიშვილის გამოც., თბ., 1949 (მსკი, ნაკვ.27); ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ.,1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983)

**აშოტ IV** კისკასი (გ. 939), კლარჯეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი, ეკუთვნოდა ქალაქი არტანუჯი თავისი მიდამოებით. მისი ასული ცოლად შეირთო ერისთავთ-ერისთავმა გურგენ IV-მ, რომელმაც არტანუჯი წაართვა, სამაგიეროდ, უკელისციხე და აჭარისწყლის მოსაზღვრე მიწები გადასცა. ა.IV-მ თავისი პოლიტიკის გასატარებლად აქტიური ურთიერთობა დაამყარა ბიზანტიის იმპერიასთან. არტანუჯის გარშემო ატეხილი დავის გამო მან ბიზანტიის იმპერატორს რომანოზ I-ს (920-44) ეპისტოლე გაუგზავნა თხოვნით, მიეღო არტანუჯი თავისი სამფლობელოების ფარგლებში. ბიზანტიამ შემოიყვანა თავისი რაზმი და დროებით არტანუჯის ციხეში ჩააყენა.

წყარო: სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ.,1955.

ლიტ.: ჯანაშია ს., კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. - მისივე შრომები, V, თბ.,1987.

**აშოტ IV** კურაპალატი, ტაო-კლარჯეთის მმართველი 923-54. არტანუჯის ციხის გარშემო ატეხილი ბრძოლის შემდეგ იგი ბიზანტიას ეწვია, სადაც იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტისაგან დაახლ. 923 კურაპალატის ტიტული მიიღო. უმცროსი ძმის – ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 945 ტაო-კლარჯეთის უზენაესი ხელისუფალი გახდა. საზღვარი ბიზანტიის იმპერიასა და „ქართველთა სამეფოს" სამფლობელოებს შორის ძირითადად მდ. არაქსზე გადიოდა. ა.IV-ის დიპლომატიისათვის დამახასიათებელი იყო ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ბიზანტიასა და არაბეთს შორის წარმოებული სამხედრო მოქმედებების დროს.

წყარო: კონსტანტინე პორფიროგენეტი. - წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, ნაკვ.2, თბ.,1952; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: ჯანაშია ს., კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. - მისივე შრომები, V, თბ.,1987.

**აშხაბადის შეხვედრა**, შედგა 1991 წლის 12 დეკემბერს. მასში მონაწილეობდნენ შუა აზიის რესპუბლიკები და ყაზახეთი, რათა ერთად განეხილათ და თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ ბელოვეჟის ტყეში შეხვედრისა და იქ მიღებული დოკუმენტებისადმი. ა.შ-ის დროს ხელი მოაწერეს განცხადებას და შეთანხმების პროექტს, რომლის მიხედვითაც ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი გამოთქვამდნენ მზადყოფნას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესასვლელად. ა.შ-ის დროს ხაზგასმით ითქვა და მიღებულ დოკუმენტებში საგანგებოდ აღინიშნა, რომ რესპუბლიკები თანამეგობრობაში შევიდოდნენ მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებლების უფლებით.

წყარო: "Известия", 13.XII.1991.

**აჩესონი (Acheson)** დინ გუდერჰემ (1893-1971), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1941-45 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, აშშ-ის დელეგაციის მეთაური გაერთიანებული ერების ბრეტონ-ვუდის კონფერენციაზე 1944. 1945-47 – სახელმწიფო მდივნის მოადგილე. 1949-53 – სახელმწიფო მდივანი.

**ახალი პოლიტიკური აზროვნება**, ა.პ.ა-ის კონცეფცია წამოაყენა 1987 ყოფილი სსრკ-ის ხელმძღვანელმა მ.გორბაჩოვმა. ამ კონცეფციით პირველად საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში, დიდმა სახელმწიფომ სახელმწიფოებრივ (და არა დოქტრინალურ) დონეზე აღიარა ზოგადსაკაცობრიო კონსენსუსის მიღწევისა და ახალი მსოფლიო მართლწესრიგის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ეს განპირობებული იყო იმ კრიტიკული სიტუაციით, რომელიც შეიქმნა თანამედროვე მსოფლიოში გლობალური პრობლემების წარმოშობის შედეგად. მათი გადაჭრის აუცილებლობამ მოითხოვა რადიკალური ცვლილებანი მსოფლიოში, თვით სახელმწიფო ურთიერთობათა საფუძვლების შეცვ-

ლაც კი, ვინაიდან გლობალურ პრობლემათა ეპოქაში ცალკეულ სახელმწიფოთა ცალმხრივ მოქმედებებს, სხვა სახელმწიფოთა ინტერესების გაუთვალისწინებლობას შეიძლება კატასტროფული შედეგები მოჰყვეს მსოფლიო ცივილიზაციისათვის. ამიტომ წარმოიშვა სახელმწიფოთა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის, მათთვის ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა. სახელმწიფოთა ურთიერთობის რეგულირების უნივერსალური მექანიზმია საერთაშორისო სამართალი. ზემოთ აღნიშნულმა განაპირობა ა.პ.ა-ის კონცეფციის ისეთი სახით წამოყენება, რომლის ქვაკუთხედიც იყო: 1. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარება; 2. სახელმწიფოთა ინტერესების ბალანსი; 3. საერთაშორისო სამართლის პრიმატი პოლიტიკაში, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა და ინტერესთა ნორმატიულ გამოხატულებას, მათ ვიწრონაციონალურ და ვიწროკლასობრივ ინტერესებზე მაღლა დაყენებას და სამართლის ძალაზე გაბატონების უზრუნველყოფას.

*ლიტ.:* Горбачев М.С., Реальность и гарантии безопасного мира. - "Правда", 1987, 17.IX; его же, Перестройка и новое мышление для нашей страны и для всего мира, М., 1988; его же, Выступление в Организации Объединенных Наций. - "Правда", 1988, 8.XII; Верещетин В.С., Мюллерсон Р.А., Новое мышление и международное право. - "Советское государство и право", 1988, №3; их же, Права в мировой политике, там же, 1989, №3.

**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ 1974**, პროექტი შეიმუშავა „77 ჯგუფის" მიერ და მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის VI სპეციალურ სესიაზე 1.V. მასში დასმული იყო კონკრეტული მიზნები და წამოწყებული იყო საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნის ღონისძიებები. პროგრამა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ნედლეულის წარმოებისა და ნედლეულით ვაჭრობის პოლიტიკა, სახელმწიფოს მიერ საკუთარ ბუნებრივ რესურსებზე მუდმივი სუვერენიტეტის განხორციელებაში დახმარება; საერთაშორისო სავალუტო სისტემა და განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარება მათი ნატურალიზაციის დაჩქარების საქმეში, ტექნოლოგიების გადაცემა, ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობის რეგლამენტაცია და მისადმი კონტროლი, გაეროს როლის გაზრდა საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში და უღარიბესი ქვეყნებისადმი, აგრეთვე კუნძულზე მდებარე და ზღვაზე გასასვლელის არმქონე ქვეყნებისადმი დახმარების სპეციალური პროგრამის მიღება (იხ. აგრეთვე *დეკლარაცია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ*).

**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ**, პოლიტიკური და იდეოლოგიური კონცეფცია, რომელიც წამოაყენა *მიუმხრობლობის მოძრაობის* მონაწილე ქვეყნებმა 70-იანი წლების პირველ ნახევარში ინფორმაციისა და კულტურის სფეროში კოლონიალიზმის ნარჩენებთან ბრძოლის დროს. ამ ბრძოლას საფუძვლად ედო განთავისუფლებული ქვეყნების მისწრაფება, მიეღწიათ ინფორმაციული დამოუკიდებლობისათვის და განთავისუფლებულიყვნენ იმპერიალისტური ქვეყნების კულტურული და იდეოლოგიური ბატონობისაგან. ბრძოლა ა.ს.ს.წ-თვის მოიცავდა განთავისუფლებულ ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის ეროვნული სისტემების შექმნას, მათი ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას, ეროვნული კადრების მომზადებას, ინფორმაციისა და კომუნიკაციების სფეროში მოქმედების საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების პრაქტიკულად განხორციელებას. აღნიშნული საკითხები არაერთხელ იქნა განხილული გაეროს და იუნესკოს ორგანოებში.

1980 იუნესკოს ეგიდით დაარსდა კომუნიკაციების განვითარების საერთაშორისო პროგრამა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა *განვითარებადი ქვეყნებისათვის* ინფორმაციისა და კომუნიკაციების საკუთარი ინფრასტრუქტურების შექმნასა და განვითარებაში, აგრეთვე ეროვნული კადრების მომზადებისათვის დახმარების გაწევა.

*ლიტ.:* Кашлев Ю.Б., Вачнадзе Г., Международный обмен информацией: его сторонники и противники, 2 изд., Тб., 1980; Колосов Ю.М., Цепов Б.А., Новый международный информационный порядок и проблема поддержания мира, М., 1983.

**ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ** ივანე (გ. 1225), ქართველი სახელმწიფო მოღვაწე. კარის აღების შემდეგ დაინიშნა თამარ მეფის მიერ მის მცველად და კეჩრორი მიიღო სამფლობელოდ. ფლობდა ათაბაგისა და ამირთამირას სახელოს. თავის ძმასთან – შალვა ახალციხელთან ერთად სარდლობდა მესხთა მეწინავე ლაშქარს ბასიანისა (1202) და გარნისის (1225) ბრძოლებში. დაიღუპა გარნისის ბრძოლაში.

*წყარო:* ჟამთააღმწერელი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

**ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲚᲘ** შალვა (გ. 1226), საქართველოს სახელმწიფო მოღვაწე, ვაზირი, თავდაპირველად მეჭურჭლეთუხუცესი, შემდეგ – მანდატურთუხუცესი, ერისთავთერისთავი, ჯავახეთის მონაპირე. თავი გამოიჩინა შამქორის ბრძოლაში (1195). ა. სარგის თმოგველთან ერთად სარდლობდა ქართველთა ლაშქარს ყარსისათვის (კარი) ბრძოლაში. 1202 ბასიანის ბრძოლაში ივანე ახალციხელთან ერთად მეთაურობდა მესხთა მეწინავე ლაშქარს; 1225 გარნისის ბრძოლაში შალვასა და ივანე ახალციხელების მეწინავე ჯარი უთანასწორო შეჯახებაში დამარცხდა. ა. ტყვედ ჩავარდა. 1226 სარწმუნოების შეცვლაზე უარის თქმის შემდეგ ჯალალ ედ-დინმა სიკვდილით დასაჯა.

*ლიტ.:* შოშიაშვილი ნ., თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი. – კრ.: შოთა რუსთაველი, თბ., 1966.

**ᲐᲮᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘ** ალექსანდრე ისაიას ძე (1762-1810), პოლკოვნიკი, ყიზლარის კომენდანტი და გარნიზონის პოლკის შეფი. 1796-დან, როგორც დიპლომატი, აწარმოებდა მოლაპარაკებას აღა-მაჰმად-ხანთან დერბენტის თაობაზე, შემდეგ კი, 1797 წლის მარტში, გენერალმა გუდოვიჩმა გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად მიავლინა გეორგიევსკში მოსალაპარაკებლად რუსეთის მხარესთან. 1810 შემდეგ საბუთებში არ იხსენიება.

**ᲐᲮᲕᲔᲠᲓᲝᲕᲘ** თედორე ისაიას ძე (1774-1820), გენერალ-ფელდცეიხმეისტერ თ.ზუბოვის შტაბის ფლიგელ-ადიუტანტი. 1796 მონაწილეობს ზუბოვის მიერ მოწყობილ ირანის ლაშქრობაში. 1799-დან პოლკოვნიკია, 1803 ინიშნება საქართველოში მე-9 საარტილერიო ბატალიონის სარდლად. 1807 – საქართველოს მმართველად. 1804-13 რუსეთ-ირანის ომის დროს, ა., როგორც დიპლომატი, აბას-მირზას კარზეა, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებს დაზავების შესახებ. მეორედ გაიგზავნა სპარსეთის ვეზირთან მოსალაპარაკებლად.

*ლიტ.:* Brosset M.-F., Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle, vol.1-7, St.-Pb., 1849-58. Vol.2, p.6-11.

**ახლო აღმოსავლეთის რეგულირება**, უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემა, რომლის საყოველთაო და სამართლიან გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა და დაძაბულობის შენელება მსოფლიოში.

ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის მიზეზია წინააღმდეგობა არაბულ ქვეყნებსა და ისრაელს შორის, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრდა 1967-დან (იხ. *არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომები*), ისრაელის მიერ ოკუპირებული არაბული მიწების განთავისუფლებაზე უარისთქმით, აგრეთვე პალესტინის პრობლემის გადაუჭრელობით.

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ახლო აღმოსავლეთისა და პალესტინის შესახებ მიღებულ რეზოლუციებში კონფლიქტის რეგულირების აღიარებული პრინციპებით გათვალისწინებულია პრობლემის კომპლექსური გადაჭრის გზები მასში ჩაბმული ყველა მხარის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ამასთან, განსაკუთრებული როლი ენიჭება გაეროს უშიშროების საბჭოს 22.XI. 1967 მიღებულ 242-ე რეზოლუციას, რაც ითვალისწინებს ისრაელის ჯარების გაყვანას ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, საომარი მდგომარეობის შეწყვეტას, ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი და უშიშარი ცხოვრების უფლებას, ნაოსნობის თავისუფლებას ამ რეგიონის საზღვაო გზებზე და პალესტინელ ლტოლვილთა პრობლემის გადაჭრას.

პრობლემის მოუგვარებლობამ გამოიწვია: არაბეთ-ისრაელის ომი 1973, რის გამოც გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 338-ე რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა მეომარ მხარეებს 242-ე რეზოლუციის შესრულებას.

შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო მექანიზმი – ახლო აღმოსავლეთის შესახებ ჟენევის სამშვიდობო კონფერენცია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ურთიერთმისაღები შეთანხმებების მიღწევა დაინტერესებულ მხარეთა კოლექტიური ძალისხმევის, აგრეთვე აშშ-ისა და სსრკ-ის (კონფერენციის თანათავმჯდომარეების) ხელშეწყობის შედეგად.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრას ემსახურებოდა გაეროს გენერალური ასამბლეის 3236-ე და 3237-ე რეზოლუციები, მიღებული 22.XI. 1974, რომლებშიც დადასტურებული იყო პალესტინის არაბი ხალხის თვითგამორკვევის უფლება, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. ახლო აღმოსავლეთის პრობლემის საყოველთაო რეგულირებაზე იყო ლაპარაკი სსრკ-აშშ-ის ერთობლივ განცხადებაში 1.X. 1977, მაგრამ სინამდვილეში მეტოქეობა ამ ორ სახელმწიფოს შორის არაბულ სამყაროში ხელს უშლიდა პრობლემის გადაწყვეტას.

17.IX. 1978 კემპ-დევიდში (აშშ) ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მ.ბეგინმა და ეგვიპტის პრეზიდენტმა ა. სადათმა, აშშ-ის პრეზიდენტ ჯ.კარტერის თანდასწრებით, ხელი მოაწერეს ორ შეთანხმებას – ა.ა.რ-ის და ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების შესახებ. კემპ-დევიდის ამ შეთანხმების წინააღმდეგ გაილაშქრეს არაბულმა ქვეყნებმა და სსრკ-მა, რომლებმაც მასში დაინახეს „სეპარატისტული გარიგება". მდგომარეობის დაძაბვას შედეგად მოჰყვა ისრაელის აგრესია ლიბანის წინააღმდეგ 1982 და მასში აშშ-ის აქტიური ჩარევა. მოხდა აშშ-ისრაელის კიდევ უფრო დაახლოება (იხ. *ამერიკა-ისრაელის შეთანხმებები*) და პრეზიდენტ რ.რეიგანის მიერ 1.IX. 1982 ახალი ინიციატივების წამოყენება.

„გარდაქმნის პოლიტიკამ" სსრკ-ში, ხოლო შემდეგ სსრკ-ის დაშლამ შექმნა ახალი საშუალებები ახლო აღმოსავლეთის პრობლემის დასარეგულირებლად. 1993 წლის სექტემბერში ვაშინგტონში ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ი.რაბინმა და პგო-ის ლიდერმა ი.არაფათმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც წარმოადგენს ა.ა.რ-ის საწყის ეტაპს.

**ახმეტელი** (ა ხ მ ე ტ ე ლ ა შ ვ ი ლ ი) ვლადიმერ (ლადო) გიორგის ძე (1875-1992), სახელმწიფო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეკონომისტი, დიპლომატი. 1898 დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 1899 გაემგზავრა გერმანიაში. 1901-04 ლაიფციგისა და ჰალეს უნივერსიტეტებში მუშაობდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. იქვე მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. 1918 საქართველოს ს-დ. პარტიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებით გერმანიაში გაჰყვა საქართველოს დიპლომატიურ მისიას. აქ იგი გახდა საქართველოს წარმომადგენლობის მრჩეველი, ხოლო 1919 წლის 20 ივნისიდან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში. 1924-37 – ბერლინის ქართული სათვისტომოს მეთაური.

**აჯა** (არაბ. ჰაჯა – საჭიროება, გაჭირვება, სურვილი, თხოვნა, მოთხოვნილება), 1. მეფისადმი მიმართვის ფორმა „კადრება". ნებისმიერ პირს, რა რანგისა და მდგომარეობისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, მეფისთვის უნდა „ეკადრებინა" სათხოვარი, „დააჯებოდა" მას.

2. უფროსისადმი წარდგენილი ვედრება და თხოვნა. ჩვეულებრივ, მეფის სახელზე დაწერილი ვედრება, საჩივარი და მოხსენების წიგნები სამართლის ან რაიმე წყალობის მისაღებად. მოაჯეებს შორის განსხვავება იყო სოციალურადაც და თხოვნის შინაარსითაც. ზოგი მიმძლავრებისაგან დაცვას ითხოვდა, სხვანი მამულის ბოძებასა და პრივილეგიებს „იაჯებოდნენ". ყველა სახის ა. – მოხსენება თავს იყრიდა სასახლის იმ უწყებაში, რომლის სახელწოდებაც იყო „სააჯო კარი".

*ლიტ.:* ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ.2 (ტ.7) თბ., 1984.

# ბ

**ბაასი (Baas)** ნორბერტ (დ.1947), გერმანელი დიპლომატი, გერმანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1968-72 სწავლობდა წარმოებისა და საინჟინრო ეკონომიკას ჰამბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტებში, 1975-76 – ბოლონიის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1976-78 მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე ფლორენციის ევროპის უმაღლეს სასწავლებელში. 1978-80 სწავლობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალი რანგის მოხელეთა მოსამზადებელ კურსებზე. 1980-82 მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში; 1982-85 – ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პარიზის წარმომადგენლობაში; 1985-86 – გერმანიის საელჩოში ერაყში. 1985 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1986-88 მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1989 სწავლობდა სამხედრო საქმეს ლონდონის სამეფო კოლეჯში. 1989-91 მუშაობდა გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1991-დან იყო გერმანიის საელჩოს პოლიტიკური განყოფილების გამგე მოსკოვში. 1995 წლის აპრილში დაინიშნა ელჩად საქართველოს რესპუბლიკაში.

**ბაბა (Baba)** დატუკ იასია (დ. 1943), მალაიზიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1967-70 – მალაიზიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი; 1970-72 – მალაიზიის საელჩოს მეორე მდივანი ინდონეზიაში; 1972-74 – მალაიზიის საელჩოს პირველი მდივანი ბირმაში; 1974-75 – საგარეო საქმეთა სამინისტროში მდივნის მთავარი მრჩეველი; 1975-78 – მალაიზიის საელჩოს საკონსულო სამსახურის ხელმძღვანელი ავსტრიაში; 1978-82 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (ადმინისტრაციულ საკითხებში), 1982-85 – მალაიზიის დესპანი ტაილანდში; 1985-88 – ელჩი ვიეტნამში, 1988-91 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში, 1991-94 – ელჩი შვეციაში, შეთავსებით აკრედიტებულია დანიაში, ფინეთსა და ნორვეგიაში; 1994-დან – ელჩი რუსეთში; 1995 წლის მარტიდან – ელჩი საქართველოში.

**ბაგრატ I** კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი, *აშოტ I* კურაპალატის ძე, ტაო-კლარჯეთის მთავარი 826-76. დაახლოებით 830 ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო კურაპალატის ტიტული. იბრძოდა მთელი ქართლის შემოსაერთებლად. ამ მიზნით, თბილისის ამირა საჰაკის და კახელების წინააღმდეგ, 843 მიემხრო არაბთა სარდალს მუჰამედ იბნ ხალიდს, ხოლო 853 არაბი სარდლის ბუღა თურქის მხარეზე მონაწილეობდა ამირა საჰაკის შეპყრობაში და მისი მომხრე „აფხაზთა" მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ვერ შეძლო ქართლის შემოერთება.

*წყარო:* მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**ბაგრატ I**, „აფხაზთა" (დასავლეთ საქართველოს) მეფე 881-93, *დემეტრე II-ის* ძე, მისი ბიძის, გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ (868) ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა, მაგრამ შავლიანთა დინასტიის წარმომადგენელმა იოანემ მეფობა წაართვა და იგი იძულებული გახდა ბიზანტიაში გაქცეულიყო. 881 ბიზანტიისა და ადგილობრივი ძალების მეშვეობით მოახერხა ტახტის დაბრუნება.

*წყარო:* მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**ბაგრატ I**, ერისთავთა შორის ბ ა გ რ ა ტ  I I (გ. 945), ქართველთა მეფე 937-45, *ადარნასე II-ის* ძე, ტაო-კლარჯეთის ტაოს შტოს წარმომადგენელი. ატარებდა მაგისტროსის ტიტულს.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**ბაგრატ II** რ ე გ ვ ე ნ ი, ერისთავთა შორის ბაგრატ III (გ. 994), ბაგრატიონი, სუმბატ კურაპალატის ძე, ჯერ ერისთავთ-ერისთავი, შემდეგ ქართველთა მეფე 958-94. დაეხმარა *დავით III* კურაპალატს ბარდა სკლიაროსთან (ვარდა სკლიაროსის) ... 

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**ბაგრატ III** (X ს. 60-იანი წწ. დასაწყისი – 1014), ერთიანი საქართველოს პირველი მეფე, *დავით III* კურაპალატის შვილობილი, *გურგენ* მეფეთ-მეფისა და გურანდუხტ დედოფლის შვილი. 975 დავით კურაპალატმა ქართლის ერისთავის იოანე მარუშის ძის თაოსნობით ქართლის მმართველად გამოაცხადა. 978 ბ.III დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) გამეფდა. დაამარცხა ქვეყნის გაერთიანების მოწინააღმდეგე ბალვაშები და კლდეკარის საერისთავო შემოიერთა (989). დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელოს დიდი ნაწილი ტაოში ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-მ დაიკავა. ეს ტერიტორია საქართველოსა და ბიზანტიას შორის დავისა და ომის სარბიელი გახდა. 1008, გურგენ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ბ.III-მ შემოიერთა ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ამიერტაო), შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, ჯავახეთი. აქედან მოკიდებული, ბ.III „აფხაზთა და ქართველთა მეფის" ტიტულს ატარებდა. 1010 ჰერეთი და კახეთი დაიკავა, ილაშქრა რანის მფლობელის – *ფადლონის* წინააღმდეგ და ყოველწლიური ხარკი დააკისრა.

ბ.III-ის პოლიტიკა შეუზღუდველი ხელისუფლებისაკენ სწრაფვას გულისხმობდა. მან საფუძველი დაუდო საქართველოს ფეოდალურ მონარქიას. გარდაიცვალა ტაოში, დაკრძალულია ბედიაში.

წყარო: მატიანე ქართლისა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე  მ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ., 1963. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი  დ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი  რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი  ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**ბაგრატ III** (1495-1565), იმერეთის მეფე 1510-65. აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა. ქართლის მეფის მიმართ *გიორგი XI-ის* საპირისპიროდ, მხარი *დავით X–ლუარსაბ I-ის* ბანაკს დაუჭირა. 1527 ჯიქეთი დალაშქრა. 1535 ლუარსაბ I-თან ერთად მურჯახეთის ბრძოლაში დაამარცხა *ყვარყვარე IV ჯაყელი*, რის შედეგადაც სამცხე იმერეთს შეუერთდა, ხოლო ჯავახეთი – ქართლის სამეფოს. ქარაღაქთან ბრძოლაში ბ.III-მ მუსტაფა ლალა-ფაშასა და *ყვარყვარე IV-ის* შვილის, *ქაიხოსრო II ჯაყელის* ჯარი დაამარცხა, მაგრამ სოხოისტის გადამწყვეტ ბრძოლაში ლუარსაბ I-თან ერთად დამარცხდა. მოლაპარაკება ჰქონდა შაჰ *თამაზთან*, პარალელურად შეეცადა დასავლეთ საქართველოს მთავრების დამორჩილებას, მაგრამ უშედეგოდ. *1555 ამასიის ზავის* შედეგად დასავლეთ საქართველო ოსმალეთს მიეკუთვნა ბ.III იძულებული გახდა სულთნის უზენაესობა ეცნო.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი  მ., იმერეთის სამეფო (1462-1810), თბ., 1989.

**ბაგრატ IV** (1018 ან 1020 – 1072), საქართველოს მეფე 1027-დან, *გიორგი I-ისა* და *მარიამ დედოფლის* უფროსი ვაჟი. ბ.IV-ის პოლიტიკაში ძირითადი იყო ბიზანტიელი და სელჩუკი დამპყრობლებისაგან ქვეყნის დაცვისათვის ზრუნვა, სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგე ფეოდალთა დაძლევა და საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს გარეთ დარჩენილი მიწების შემოერთების მცდელობა.

ბიზანტიის იმპერატორმა *კონსტანტინე VIII-მ* 1022 ზავი დაარღვია და 1028 საქართველოში ილაშქრა. ამ დროს კონსტანტინე გარდაიცვალა. ომის გაგრძელება არც ერთი მხარის ინტერესებში არ იყო, საქართველო ომისგან დასუსტებული იყო. ბიზანტია აღმოსავლეთიდან მტრების მოწოლის გამო საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ ისწრაფოდა. მარიამ დედოფლის თაოსნობით 1029-30 ბიზანტიასთან ზავი დაიდო (იხ. *ბიზანტია-საქართველოს საზავო შეთანხმება 1031*). ეს ზავი დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. იმპერატორმა რომანოზ III-მ ბ.IV-ს ცოლად მიათხოვა თავისი ძმის – ბასილის ასული *ელენე* და კურაპალატობა მიანიჭა. ბ.IV-მ დაამარცხა მის წინააღმდეგ ამხედრებული ნახევარძმა *დემეტრე უფლისწული* (*გიორგი I-ისა* და *ალდე დედოფლის* შვილი). წარუმატებელი გამოდგა თბილისის შემოერთებისათვის ბ.IV-ის ხანგრძლივი ბრძოლა. იგი იძულებული გახდა კონსტანტინოპოლში წასულიყო (1052) და ზავი დაედო ბიზანტიასთან (იხ. *ბიზანტია-საქართველოს შეთანხმება 1056*). იმპერატორმა ბ.IV სამი წლის შემდეგ – 1056 დააბრუნა სამშობლოში. მეფემ *ლიპარიტ ბაღვაში* ბიზანტიაში გააძევა და მის სამფლობელოს დაეუფლა.

XI საუკუნის 60-იან წლებში თურქ-სელჩუკთა აგრესიის გაძლიერების გამო ბიზანტია საქართველოსთან დაახლოების გზას დაადგა. ბ.IV-მ თავისი ასული *მარიამი* (მართა) 1065 ბიზანტიის იმპერატორის *კონსტანტინე X* დუკას შვილს, მიხეილს მიათხოვა. მომძლავრებულმა ბ.IV-მ ქვეყნის შემომტკიცება დაიწყო, მაგრამ სელჩუკთა ახალმა შემოსევამ ეს საქმე შეაფერხა. სელჩუკთა სულთანმა ბ.IV-ს ვერ აკისრებინა ხარკი. თავის მხრივ, საქართველოს მეფემ დაამარცხა განძის ამირა *ფადლონი*, თბილისის საამირო ვასალად გაიხადა და ყოველწლიური ხარკი დააკისრა.

ბ.IV-მ შეინარჩუნა საქართველოს დამოუკიდებლობა და მოამზადა ნიადაგი კახეთისა და თბილისის შემოერთებისათვის.

წყარო: მატიანე ქართლისა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი  ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.2, თბ., 1965, მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი  რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; შ ე ნ გ ე ლ ი ა  ნ., სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი  ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**ბაგრატ IV** (გ.1681), იმერეთის მეფე 1660-81 (დროგამოშვებით), *ალექსანდრე III-ის* ძე. მის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ფეოდალური შინაომები დასავლეთ საქართველოში. ბ.IV-მ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან. რამდენჯერმე გაგზავნა ელჩები რუსეთში, მაგრამ ამას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**ბაგრატ V** (გ.1393), საქართველოს მეფე 1360-93. ერთიანი სამეფოს დაშლის ნიშნების მიუხედავად, მისი ხელისუფლების იურისდიქცია სრულიად საქართველოზე ვრცელდებოდა, ასევე – ანისზე, ღვალეთსა და ოსეთზე. განდგომის ტენდენციის გამო, აქტიური ღონისძიებები ჩაატარა დასავლეთ საქართველოს შემოსამტკიცებლად. ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა ტრაპიზონის იმპერიასთან. დაქორწინებული იყო მისი მეფის – იოანე-ალექსი III-ის ასულ ანაზე. *თემურ-ლენგის* პირველი ლაშქრობის (1386) შემდეგ დატყვევებულმა ბაგრატმა მაჰმადიანობა მიიღო. პარალელურად მოლაპარაკებას აწარმოებდა სამეფო კარზე დარჩენილ თავის შვილებთან. წინასწარი გეგმის საფუძველზე მოხერხდა მის მიერ შემოტყუებული მონგოლთა 12-ათასიანი ლაშქრის განადგურება. 1387, თემურლენგის მეორე ლაშქრობის შემდეგ, ბ.V-მ მცირე შესვენებით ისარგებლა და დაკარგულის გარკვეულწილად დაბრუნებას შეეცადა, მაგრამ მალე გარდაიცვალა.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი  ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. იქვე, ტ.4, თბ.,1973; მ ი ქ ე ლ  პ ა ნ ა რ ე ტ ო ს ი, ამბავი ტრაპიზონის მეფეების... - წგ.: გეორგიკა, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.7, თბ., 1967

ლიტ.: კ ა ც ი ტ ა ძ ე  დ., საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე (სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975; ტ ა ბ ა ტ ა ძ ე  კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974.

**ბაგრატ VI**, იმერეთში ბაგრატ II (დაახლ.1439-78), საქართველოს მეფის *კონსტანტინე I-ის* ძის – გიორგის ვაჟი, სამოქალაქოს (ცენტრი ქუთაისში) ერისთავი. 1453-დან იგი „მეფის" ტიტულით მოღვაწეობს. 1462 საქართველოს მეფე *გიორგი VIII-მ* ბ.VI-ს *ყვარყვარე II ჯაყელთან* კავშირის გამო ქუთაისი ჩამოართვა, რასაც იგი არ დაემორჩილა. 1463 ჩიხორის ბრძოლაში დაამარცხა გიორგი VIII, რის შემდეგაც თავი „სრულიად იმერეთის" მეფედ გამოაცხადა. გიორგი VIII ბოლომდე არ ცნობდა ბ.VI-ის ხელისუფლებას, ვიდრე 1465 თავად არ დაატყვევა ყვარყვარე II ჯაყელმა. ამით ისარგებლა ბ.VI-მ და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ქართლში ბ.VI-ს *ალექსანდრე I* დიდის შვილიშვილი – კონსტანტინე ბატონიშვილი დაუპირისპირდა, რომელიც ასევე „მეფის" ტიტულს ატარებდა. მათ ურთიერთობას ახასიათებდა შეთანხმებებისა და დაპირისპირებების პერიოდები. ბ.VI-ს დიპ-

ლომატიური კონტაქტები ჰქონდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობის დროს. იგი ევროპის წინაშე კისრულობდა მეომართა გარკვეული რაოდენობის გამოყვანას.

1471 დაწყებულ თურქეთ-ირანის ომში *უზუნ-ჰასანმა* ბ.VI-ს დახმარება სთხოვა, რაზეც უარი მიიღო. 1477 უზუნ-ჰასანმა ქართლში ილაშქრა. მოლაპარაკებების შემდეგ ბ.VI მძიმე საზავო პირობებს დათანხმდა. ქართლიდან მტრის წასვლის შემდეგ დაიკავა თბილისი და ლორე.

*წყარო:* ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

*ლიტ.:* ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967 (თხზ., ტ.3, თბ., 1982)

**ბაგრატ VII** (გ.1619), ქართლის მმართველი 1616-19, *დავით XI* (დაუთ-ხანის) უფროსი ძე. 1578 მამის სტამბულში გაქცევის შემდეგ, ბ.VII ჯერ კახეთში, *ალექსანდრე II-თან* იმალებოდა, შემდეგ ირანში გადავიდა, სადაც მაჰმადიანობა მიიღო 1616. შაჰ *აბას I-ის* მიერ ქართლის მეფედ დანიშვნამდე შაჰის კარზე დარჩა. რეალური ხელისუფლების გავრცელება ქართლის მხოლოდ იმ ნაწილზე შეძლო, სადაც ირანის ძალაუფლება განსაკუთრებით ძლიერი იყო, კერძოდ, თბილისსა და ქვემო ქართლში.

*წყარო:* ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - იქვე, ტ.4, თბ., 1973.

*ლიტ.:* ო დ ი შ ე ლ ი ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.). კრ.: XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

**ბაგრატ ბატონიშვილი** (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1776-1841), კამერჰერი, სენატორი, *გიორგი XII-ის* მესამე ძე. 1803 წლის 19 მაისს რუსეთს გადაასახლეს. ოჯახით ცხოვრობდა პეტერბურგში. დაწერილი აქვს ისტორიული თხზულებები – „ახალი მოთხრობა“, „რუსეთ-სპარსეთის ომი“. თანმიმდევრობით გადმოსცემს ისტორიულ და პოლიტიკურ მოვლენებს XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. 40-იან წლებამდე.

*თხზ.:* ახალი მოთხრობა, თ. ლომოურის გამოც., თბ., 1941.

**ბაგრატიონები**, სამეფო დინასტია საქართველოში. მეცნიერ მკვლევართა უმრავლესობის მტკიცებით, ისინი წარმოშობით ძველი ქართული პროვინციის – სპერის მკვიდრნი იყვნენ.

საქართველოში განსაკუთრებით დაწინაურდნენ VIII ს-ის დასასრულს. ამ დროიდან იყო ქართლის ერისმთავარი *აშოტი*, რომელმაც ფაქტობრივად დააფუძნა ტაო-კლარჯეთის ბ-თა დინასტია. ტაო-კლარჯეთის ანუ ქართველთა სამეფოს ბ. ორ ძირითად შტოდ იყოფოდნენ – ტაოსა და კლარჯეთის. ტაოს ბ-დან „ქართველთა მეფის“ პატივი პირველმა *ადარნასემ* (ადარნასე II) მიიღო 888 (ზოგი მოსაზრებით – 897 ან 899). ბ-თა კლარჯეთის შტოს საფუძველი დაუდო აშოტ დიდის უფროსმა ძემ ადარნასემ (ადარნასე I).

„ქართველთა მეფის“ წოდებას, *ადარნასე II-დან* მოკიდებული, მხოლოდ ბ-თა ტაოს შტოს წარმომადგენლები (ადარნასე II-ის მემკვიდრეები) იღებდნენ. ამ შტოს ეკუთვნოდა სრულიად საქართველოს პირველი მეფე *ბაგრატ III*. კლარჯეთის შტო XI საუკუნის ათიან წლებში ამოწყდა.

საქართველოს სახელმწიფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია ბ-თა საგვარეულოს ბრწყინვალე წარმომადგენლების – *დავით IV* აღმაშენებლისა (1089-1125) და *თამარის* (1179-1213) მეფობის დროს.

ისტორიული ძნელბედობის გამო, XV ს-ის II ნახევრიდან ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში მეფეებად კვლავ ბ. ავიან. ქართლის სამეფოს პირველი მეფე იყო სრულიად საქართველოს მეფის *ალექსანდრე I* დიდის (1412-42) შვილიშვილი *კონსტანტინე II* დემეტრეს ძე. ნიშანდობლივია, რომ მისმა შთამომავლებმა ქართლში იმეფეს 1658 წლამდე, ვიდრე სამეფო ტახტს ბ-თა მუხრანბატონების შტო არ დაეუფლა. ამ შტოს 1512 საფუძველი დაუდო *ბაგრატ მუხრანბატონმა*. იგი ქართლის მეფის – *დავით X-ის* ძმა იყო და ქართლის შემარცხენე სადროშოს სარდალი. მუხრანბატონების შტოდან ქართლის პირველი მეფე იყო თეიმურაზ მუხრანბატონის ძე *ვახტანგ V* (1658-75) – ისტორიაში შაჰნავაზად წოდებული. მუხრანბატონთა შტოდან ქართლის უკანასკნელი მეფე იყო იესე (1714-16, 1724-27), ალი ყული ხანად წოდებული.

ბ-თა კახეთის შტოს დამფუძნებელი იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე *გიორგი VIII* (1446-66), რომელმაც 1466 სათავე დაუდო დამოუკიდებელ კახეთის სამეფოს. ბ-თა კახეთის შტოს წარმომადგენელი *თეიმურაზ II* 1744 გახდა ქართლის მეფე, მისი შვილი *ერეკლე II* – კახეთისა. 1762-დან ერეკლე II ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე გახდა. ამ შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი *გიორგი XII* იყო, რომლის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბერი) შემდეგ 1801 რუსეთის იმპერატორმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და რუსეთის იმპერიას შეუერთა.

ბ-თა დინასტიის იმერეთის შტოს სათავე დაუდო *დავით VI* ნარინმა (1245-47-93), რომელიც იმერეთში მეფობდა 1259-93. იმერეთში მეფობდა დავით VI ნარინის ძე მიქელიც 1327-29. იმერეთის სამეფო საბოლოოდ დამოუკიდებელი გახდა 1484-დან, როცა სამეფო ტახტზე ავიდა ქართლ-იმერეთის მეფის *ბაგრატ VI-ის* ძე *ალექსანდრე II* (1484-1510). იმერეთის უკანასკნელი მეფე იყო *სოლომონ II*, რომელმაც მეფობა დაკარგა 1810, იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების გამო.

აღსანიშნავია, რომ ბ-თა სამეფო საგვარეულომ დაუდო სათავე რუსეთში გრუზინსკებისა და იმერეტინსკების გვარებს.

*ლიტ.:* ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლ ო მ ო უ რ ი თ., სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულეს ცნობები IX-X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ - კრ.: არილი, ტფ., 1925; ჯ ა ნ ა შ ი ა ს., კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. - „თსუ შრომები“, 1941, ტ. 18.

**ბაგრატ მუხრანბატონი**, პოლიტიკური მოღვაწე XV ს. ბოლოსა და XVI ს. I ნახევარში, *კონსტანტინე II-ის* ძე. ბაგრატიონთა სამეფო გვარის საგვარეულო განშტოების – მუხრანბატონთა და სათავადო სამუხრანბატონოს ფუძემდებელი. იგი მეთაურობდა კახეთის მეფის ავ-გიორგის (იხ. *გიორგი II*) ქართლში ლაშქრობების საწინააღმდეგო ღონისძიებებს, რაც წარმატებით განახორციელა. საშინაო დიპლომატიის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი. თავის ძმასთან – *დავით X-თან* ერთად ცდილობდა კახეთის სამეფოს გაუქმებას და ქართლ-კახეთის გაერთიანებას. 1539 ბერად შედგა ბარნაბეს სახელით. ეკუთვნის პოლემიკური ჟანრის ნაწარმოები – „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთა ისმაილიტთაჲ“.

წყარო: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. – წგ.: ქართლის ცხოვრება, საყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – იქვე, ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: ბერიტიშვილი დ., ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბ., 1955.

**ბადახოსის საზავო ხელშეკრულებები 1801**, დაიდო 6.VI ბადახოსში (ესპანეთი) პორტუგალიის დამარცხების შედეგად ესპანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ სამთვიან ომში, რომელიც გამოწვეული იყო პორტუგალიის უარით *ნაპოლეონ I-ის* მოთხოვნაზე, გაეწყვიტა ურთიერთობა ინგლისთან. ბ.ს.ხ-ით პორტუგალია ვალდებულებას იღებდა, დაეხურა ინგლისის სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის თავისი პორტები და გაეხსნა იგი მოკავშირეებისათვის ბ.ს.ხ-ით პორტუგალიას ესპანეთისაგან უბრუნდებოდა ალენტეჟუსა და ალგარვის პროვინციები. (ციხესიმაგრე ოლივენსისა და მისი ოლქის გარდა) და მდ. გვადიანას მარცხენა სანაპიროს მიწები.

საფრანგეთთან შეთანხმებით, პორტუგალია მას უთმობდა გვიანის ნაწილს. აძლევდა იგივე სავაჭრო პრივილეგიებს, რასაც ინგლისს *(იხ. მეთუენის ხელშეკრულება 1703)* და იხდიდა 15 მლნ ლივრ კონტრიბუციას.

ესპანეთმა მაშინვე მოახდინა ბ.ს.ხ-ის რატიფიკაცია. საფრანგეთმა გააჭიანურა და სექტემბრის თვეში დადო ახალი, უფრო ხელსაყრელი *მადრიდის ხელშეკრულება* (1801). ტრაფალგართან ინგლისის მიერ საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტის განადგურების შემდეგ (1805), პორტუგალიამ გახსნა თავისი პორტები ინგლისის გემებისათვის. ბ.ს.ხ-ის საბოლოო ანულირება მოხდა პარიზის საზავო ხელშეკრულების შემდეგ (1814).

პუბლ.: De Martens G.F., Supplément au Recueil des principaux traités..., t. 2, Gottingue, 1802, p.340-43.

**ბავა (Bawah) ჯონ ევუნტომა** (დ.1939), განას რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

სწავლობდა განას (1966-69), კეიპ კოუსტის (1971-72) და ლიდსის (1983-84, დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტებში. 1979 – განას კონსტიტუციური ასამბლეის წევრი, 1979-80 – ტემეილის ბიზნესის სკოლის დირექტორი, 1979-81 – ეროვნული განვითარების კომისიის წევრი, 1980-87 – განათლების რეგიონული ხელმძღვანელის მოადგილე, 1987-88 – განას ჩრდილოეთ რეგიონის დროებითი საბჭოს მინისტრი ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში, 1992-93 – ვაჭრობისა და ტურიზმის მინისტრი. 1994 წლის 8.IX – განას ელჩი საქართველოში.

**ბაზალეთის ზავი**, დაიდო 957 ახლო ხანებში „აფხაზთა" (დასავლეთ საქართველოს) მეფის გიორგი II-ის მემკვიდრე *ლეონსა* და კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე II-ს შორის. ეს მოხდა კახეთში „აფხაზთა" მეფის მიერ ორგანიზებული მორიგი ლაშქრობის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა კვირიკე II-ის სამაგალითო დასჯას. ლეონ უფლისწულმა ვერ შეძლო წარმატებით დაწყებული სამხედრო ექსპედიციის ძლევამოსილად დაგვირგვინება. ლაშქრობის დროს მას შეატყობინეს მამის – მეფე გიორგი II-ის გარდაცვალება, რამაც აიძულა ის სასწრაფოდ შეეკრა ზავი კახეთის მმართველთან და დასავლეთ საქართველოში მობრუნებულიყო. საზავო მოლაპარაკება ლეონსა და კვირიკე II-ს შორის – პირისპირ (თითო ცხენოსნის თანხლებით) შედგა „ბაზალეთს, ტბისა პირსა". მიღწეული შეთანხმებით კვირიკე II ცნობდა ლეონის უზენაესობას. მხარეებმა დადებული შეთანხმება დინასტიური ქორწინებით განამტკიცეს: დავით კვირიკეს ძე დაქორწინდა ლეონ III-ის ასულზე. ბ.ზ. არ გამოდგა ხანგრძლივი. ლეონ III-ის ასულის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ის დაირღვა.

წყარო: მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

**ბაზელის საზავო ხელშეკრულებები 1795**, 1. ხელშეკრულება საფრანგეთის რესპუბლიკასა და პრუსიას შორის, დაიდო 5.IV. მოასწავებდა პირველი ანტიფრანგული კოალიციის დაშლას. ბ.ს.ხ. აპირობებდა საფრანგეთის ჯარების გაყვანას მდ. რაინის მარჯვენა სანაპიროდან, მისი მარცხენა სანაპიროს დროებით ოკუპაციას, მაინცზე ალყის მოხსნას. საიდუმლო მუხლებით პრუსია უარს აცხადებდა პოლანდიის მიმართ მტრულ მოქმედებაზე, საფრანგეთის მიერ რაინის მარცხენა სანაპირო ტერიტორიის საბოლოო მიერთების შემთხვევაში იგი ვალდებული იყო გადაეხადა საზღაური. პრუსიის მეფე ვალდებულებას იღებდა დაეცვა ჩრდილო გერმანულ სახელმწიფოთა შემდგომი ნეიტრალიტეტი.

2. ხელშეკრულება საფრანგეთის რესპუბლიკასა და ესპანეთს შორის, დაიდო 22.VII; ხელშეკრულებით საფრანგეთს შეუერთდა კუნძულ ჰაიტის ესპანეთის ნაწილი, საფრანგეთმა კი ესპანეთს დაუბრუნა კატალონიის, ნავარასა და ბასკეთის პროვინციათა ტერიტორიები. ბ.ს.ხ. იყო საფრანგეთის არმიის წარმატებებისა და პირველ ანტიფრანგულ კოალიციაში გაჩენილი წინააღმდეგობების შედეგი

პუბლ.: De Clercq M. et J., Recueil des traités de la France, t. 1, Paris, 1864, p. 245-49.

**ბაზლაძე იოანე რომანის ძე** (?-?), გუბერნსკი სეკრეტარი პეტერბურგში 1809-დან. 1817-დან – „ტიტულიარნი სოვეტნიკი"; 1823-დან – „ინოსტრანნი კოლეგიის" მთარგმნელი და დიპლომატი.

**ბათო-ყაენი, ბათუ, საინ-ხანი** (1208-55), მონღოლი ხელმწიფე, *ჩინგიზ-ყაენის* შვილიშვილი. მამის – ჯუჩის სიკვდილის (1227) შემდეგ გახდა მისი ულუსის დასავლეთი ნაწილის მეთაური. 1236 წლის გაზაფხულზე ბ-ყ-ის მეთაურობით მონღოლებმა დაიპყრეს ვოლგის ბულგარეთი, 1237-40 – რუსეთი, 1241-42 მოაოხრეს პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, დალმაცია. 1242 მიწურულს ვოლგისპირეთში დაბრუნდა. 1243 მდ. ვოლგის ქვემო წელზე დააარსა ოქროს ურდოს სახელმწიფო. 1251 დიდ ხანად მენგუს (მუნქე) არჩევის შემდეგ ბ-ყ-მა და მენგუმ გაიყვეს სამფლობელოები. საქართველოს მეფე *რუსუდანმა* დაზავების მიზნით და უვნებლობის ფიცის მისაღებად მასთან წარგზავნა თავისი ელჩი *არსენ ქყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი* (არაუადრეს 1243 წლისა). პოლიტიკური, მათ შორის დიპლომატიური კავშირები ბ-ყ-თან *დავით VII* ულუს დროსაც გრძელდებოდა.

**ბაიდურ (ბაადურ) ბატონიშვილი (ბაგრატიონი)**, *დემეტრე II* თავდადებულის შვილი, *დავით VIII-ის* ნახევარძმა. 1298 მონგოლთა მიერ მეორე ძმის – *ვახტანგ III-ის* პირველად გამეფების (მეორედ, რეალური ძალაუფლებით 1302 გამეფდა) გამო, დავით VIII-მ ბ-ს მეთაურობით ელჩობა გაგზავნა ოქროს ურდოში, რაც ვახტანგ III-ის გამეფების საპასუხო ნაბიჯი იყო და ითვალისწინებდა ოქროს ურდოს ინტერესების გამოყენებას ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

წყარო: ჟამთააღმწერელი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

ლიტ.: ნინიძე დ., XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი. – „თსუ შრომები", 1989, ტ. 283.

**ბაიკოვის მისია ჩინეთში 1654-57**, რუსეთის სახელმწიფოს პირველი ოფიციალური ელჩობა ცინის იმპერიაში რეგულარული სავაჭრო და სავაჭრო კავშირის დასამყარებლად. გზავნიდა რა ელჩობას, რუსეთის მთავრობა ცდილობდა მშვიდობიანი საშუალებებით წინ აღდგომოდა ჩინეთის ექსპანსიას ამურისპირეთში. 1656 წლის 3.III მისია პეკინში ჩავიდა. ჩინეთის ხელისუფლებმა ელჩობის მეთაურს ბაიკოვს დამამცირებელი დიპლომატიური ცერემონიალის შესრულება მოსთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. მთელი ნახევარი წელი, სიკვდილით დასჯის მუქარით, აიძულებდნენ ბაიკოვს შეესრულებინა „კოუ-ტოუ" (დამჯდარ მდგომარეობაში 9-ჯერ შუბლის მიწაზე დარტყმა), რაც ჩინეთისათვის ნიშნავდა რუსეთის სახელმწიფოს მიერ ჩინეთისადმი ვასალიტეტის აღიარებას. 4.IX ბაიკოვი გააძევეს ჩინეთიდან. ელჩობა წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ მან მოამზადა ნიადაგი ჩინეთში შემდგომი ელჩობისათვის.

*ლიტ.* Мясников В., Империя Цин и Русское государство в XVII веке, М., 1980, с. 86-106.

**ბაკური**, პაკორი, ლაზების მეფე II ს-ის შუა ხანებში. რომის იმპერატორის *ანტონინუს პიუსის* მიერ ხელდასხმული, თუმცა რომაული ჰეგემონია *ჰინტერლანდში* (შიდა რაიონები) საკმაოდ ეფემერული ხასიათის იყო. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მესვეურების მიმართ რომაული ინვესტიტურის აქტის გამოყენებას, შესაძლოა, საფუძველი ჩაეყარა ანტონინების დინასტიის მოსვლასთან ერთად I ს-ის მიწურულს. განსხვავებული სიტუაციაა ზღვისპირეთში. ის ოკუპირებულია, ალბათ, უკვე *ნერონის* ხანიდან მოკიდებული.

*ლიტ.:* Ломоури Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981; Меликишвили Г. А., К истории древней Грузии, Тб., 1959.

**„ბალანსირება ომის ზღურბლზე"** (ინგლ. brinkmanship), აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია, შემუშავებული *„ცივი ომის"* პერიოდში, *„ძალის პოზიციიდან"* პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. პირველად ფორმულირებული იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ.ფ. *დალესის* ინტერვიუში ჟურნალ „ლაიფისადმი" 1956, სადაც იგი ამბობდა, რომ „იმის უნარი, რომ იყო ომის ზღვარზე, მაგრამ არ აღმოჩნდე მასში ჩართული, წარმოადგენს აუცილებელ ხელოვნებას. თუ თქვენ ვერ შეძლებთ მის დაუფლებას, თქვენ აღმოჩნდებით ომში ჩათრეული. ხოლო თუ არ გაატარებთ ამგვარ პოლიტიკას, მაშინ დაიღუპებით". ამ კონცეფციაზე დაფუძნებული პოლიტიკა ითვალისწინებდა ძალისმიერ ზემოქმედებას, ატომური იარაღით მუქარას. ეს პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული *„მასირებული შურისძიების"* სტრატეგიასთან, რაც მეტად საშიში იყო საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილურობისათვის, განსაკუთრებით ისეთ ძალასთან კონფრონტაციის დროს, როგორიც იყო სსრკ.

**ბალკანეთის კავშირი 1912**, მარტ-ოქტომბერში ჩამოყალიბებული ბულგარეთის, სერბიის, საბერძნეთისა და ჩერნოგორიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც ბალკანეთის პირველ ომში (9.X.1912-30.V.1913) გამოდიოდა ოსმანთა იმპერიის წინააღმდეგ. ბ.კ. ჩამოყალიბდა როგორც ზღუდე ავსტრია-გერმანიის ექსპანსიის წინააღმდეგ ბალკანეთში. ბ.კ-ით დაინტერესებული იყვნენ *ანტანტის* ქვეყნები და პირველ რიგში რუსეთი. მისი მთავარი დოკუმენტი არის ბულგარეთ-სერბიის ხელშეკრულება (13.III.1912) და საიდუმლო დანართი მასზე. ხელშეკრულებით ორივე ქვეყანა უზრუნველყოფდა თავიანთი ტერიტორიების მთლიანობას და სუვერენიტეტს. ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ ერთმანეთი სხვა სახელმწიფოთა აგრესიისაგან. სადავო საკითხების არბიტრობა რუსეთის მეფეს უნდა განეხორციელებინა.

1911 წლის შემოდგომაზე დაიწყო მოლაპარაკება და 1912 წლის 29.V ხელი მოაწერეს ბულგარეთ-საბერძნეთის თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულებას. ორივე მხარე აცხადებდა, თურქეთის თავდასხმის შემთხვევაში, დახმარებოდნენ ერთმანეთს ყველა საშუალებებით. ასეთივე ზეპირი ხელშეკრულება დაიდო ბულგარეთსა და ჩერნოგორიას შორის. 1912 ბ.კ-მა დაიწყო ომი თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც ბალკანეთის მოკავშირეთა გამარჯვებითა და *ლონდონის საზავო ხელშეკრულებით* (1912) დამთავრდა.

ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიის მხარდაჭერით, რათა საბოლოოდ დაეშალა ბ.კ., მოახდინა ბალკანეთის მეორე ომის პროვოცირება (29.VI-10.VIII.1913), როდესაც ბულგარეთის წინააღმდეგ გამოვიდნენ სერბია, საბერძნეთი, ჩერნოგორია, აგრეთვე რუმინეთი და თურქეთი (იხ. *ბუქარესტის საზავო ხელშეკრულება 1913*).

*წყრ.:* Международные отношения. 1870-1918. Сб. документов, М., 1940, с.209-12.

**ბალკანეთის კონფერენციები 1930-33**, ბალკანეთის ექვსი სახელმწიფოს (იუგოსლავიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, ალბანეთის, თურქეთის) საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა თათბირი. გაიმართა 4 კონფერენცია (ათენი – X.1930, სტამბული და ანკარა – X.1931, ბუქარესტი – X.1932, სალონიკი – X.1933). ბ.კ.-ის ინიციატივა ეკუთვნოდა ე.წ. პაციფისტთა საზოგადოების საერთაშორისო კავშირს. პირველმა ბ.კ.-ამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებდა ბალკანეთის კავშირის იდეას „ერთა ლიგის სულისკვეთებით და ჩარჩოებში", ჩამოაყალიბა მუდმივი კომიტეტი ბალკანეთის პაქტის გამოსამუშავებლად, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა ომს ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის. შემდეგ კონფერენციებზე იხილებოდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ხასიათის საკითხები. გამოირკვა, რომ ერთმანეთის შიგნით და მათ ზურგს უკან მდგომ საფრანგეთს, გერმანიასა და იტალიას შორის სერიოზულ წინააღმდეგობათა გამო, საერთობალკანური პოლიტიკური გაერთიანების შექმნა შეუძლებელი იყო. 1934 თურქეთმა, რუმინეთმა, საბერძნეთმა და იუგოსლავიამ შეიმუშავეს ერთობლივი დოკუმენტი – ბალკანეთის ანტანტის პაქტი (იხ. *ანტანტა ბალკანეთის*).

**ბალკანეთის პაქტი**, საბერძნეთის, თურქეთისა და იუგოსლავიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც დაიდო 1953-54. ბ.პ-ის მხარეთა ვალდებულებები მეგობრობაზე და თანამშრომლობაზე დაფიქსირებული იყო ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს 28.II.1953 (ანკარის ხელშეკრულება), და ხელშეკრულებაში კავშირის, პოლიტიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს ქ. ბლედში (იუგოსლავია) 9.VIII.1954 (ბლედის ხელშეკრულება). ანკარის ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამ სახელმწიფოს შორის პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობას მშვიდობიანობისა და ომის პირობებში. უნდა ჩაეტარებინათ რეგულარული კონსულტაციები სხვადასხვა პრობლემე-

ბზე, მათ შორის – უშიშროების დარგში. ბლედის ხელშეკრულებით კი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ დახმარებოდნენ ერთმანეთს მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების განმტკიცებაში, ხოლო რომელიმე ქვეყანაზე აგრესიის შემთხვევაში – შეიარაღებული ძალებით. 1955 ბ.პ. დაიშალა.

**ბალტიის საბჭო**, დაარსდა 1990 წლის 12.V ტალინში ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრის დროს. წარმოადგენს 1934–40 არსებული *ანტანტა ბალტიის* რეგენერაციას. დეკლარაციაში ბ.ს-ს დაარსების შესახებ ნათქვამია, რომ იგი შეიქმნა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების მიერ და მიზნად ისახავს თანამშრომლობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში, ერთიანი პოზიციების შემუშავებას მოსკოვთან მოლაპარაკებების პროცესში. ბ.ს-ს უმაღლესი ორგანოა ბალტიის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, რომელიც მოიწვევა პერიოდულად ან რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოთხოვნით.

**ბალტიის სრუტეების რეჟიმი**, ბალტიის სრუტეები წარმოადგენს ერთადერთ საწყალოსნო გზას ჩაკეტილი ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვაში (იხ. *ჩაკეტილი და ნახევრად ჩაკეტილი ზღვები*) და მოიცავს დიდი ბელტისა და მცირე ბელტის სრუტეებს, რომლებიც დანიის *ტერიტორიული წყლებითაა* გადაფარული, ზუნდის სრუტეს, რომელიც გადაფარულია დანიის და შვედეთის ტერიტორიული წყლებით. ბ.ს.რ. განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს და მასზე არ ვრცელდება *გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციის* მე-3 ნაწილი (იხ. *საერთაშორისო სრუტეები*).

ბ.ს.რ. იქმნებოდა თანდათანობით და განმტკიცდა იმ კონვენციებით, რომლებიც *1780 შეიარაღებული ნეიტრალიტეტის* გამოცხადებასთან დაკავშირებით რუსეთის ინიციატივით დაიდო. აღნიშნული კონვენციები ითვალისწინებდა მონაწილე ქვეყნების უფლებას – დაეწესებინათ ზუნდისა და ორივე ბელტის სრუტეების რეჟიმი არაბალტიური ქვეყნების სამხედრო ხომალდებისათვის ბალტიის ზღვაში შემოსვლის აკრძალვამდეც კი. 1800 დაიდო ხელშეკრულება რუსეთს, დანიასა და შვეციას შორის, რომლითაც კვლავ დადასტურდა ბალტიის სრუტეების განსაკუთრებული ხასიათი. 1857 კოპენჰაგენში ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რომლითაც ბალტიის ზღვაზე თავისუფალი სავაჭრო ნაოსნობა გამოცხადდა. სამხედრო ხომალდების მიერ ბალტიის სრუტეების გავლა (აგრეთვე მათ თავზე თვითმფრინავების ფრენა) თავისუფალია და აღნიშნული წესი დღესაც წარმოადგენს რა ბ.ს.რ-ის შემადგენელ ნაწილს, ხორციელდება საერთაშორისო ნორმების საფუძველზე.

*ლიტ.:* Бараболя П.Д., Иващенко Л.А., Колесник Д.Н., Международно-правовой режим важнейших проливов и каналов, М., 1965, с.43. Молодцов С.В., Правовой режим морских вод, М., 1982, с. 162, 166-91.

**ბალფური** (Balfour) არტურ ჯეიმზ (1848-1930), გრაფი, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1874-1922 – თემთა პალატის, 1922-დან – ლორდთა პალატის წევრი; 1878-80 – ინგლისის საგარეო საქმეთა პირადი მდივანი; 1885 – საიდუმლო საბჭოს წევრი; 1885-86 – ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრი; 1886-87 – შოტლანდიის საქმეთა, 1887-91 – ირლანდიის საქმეთა, 1891-92 და 1895-1906 – ფინანსთა მინისტრი და თემთა პალატის ლიდერი; 1892-95 – კონსერვატორთა პარტიის საპარლამენტო პარტიის ფრაქციის ლიდერი; 1902-05 – პრემიერ-მინისტრი, ერთ-ერთი ინიციატორი *ინგლის-იაპონიის კავშირისა 1902-21* და ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებისა 1904, რომელიც საფუძვლად დაედო *ანტანტას*; 1915-16 – სამხედრო-საზღვაო მინისტრი; 1916-19 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1919-22 და 1925-29 – ლორდი – საბჭოს თავმჯდომარე, ავტორი პროექტისა, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინაში ებრაელთა „ეროვნული კერის" შექმნას (იხ. *ბალფურის დეკლარაცია 1917*). ერთ-ერთი ორგანიზატორი *ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ინტერვენციისა*. *პარიზის საზავო კონფერენციაზე* 1919-20 ინგლისის დელეგაციის მეთაურის – დ. *ლოიდ-ჯორჯის* მოადგილე; მეთაურობდა ინგლისის დელეგაციას *ერთა ლიგაში* 1920; 1921-22 – *ვაშინგტონის კონფერენციაზე*.

**ბალფურის დეკლარაცია 1917** (ინგლისის პოლიტიკის შესახებ პალესტინაში), გამოქვეყნდა 2 XI ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის, *ბალფურის* წერილის ფორმით, რომლითაც მან მიმართა ბანკირს, ლორდ როტშილდს. მასში ნათქვამი იყო, რომ ბრიტანეთის მთავრობა „კეთილგანწყობით ეკიდება პალესტინაში ებრაელი ხალხის ეროვნული კერის (national home) დამკვიდრებას და ყველა ღონეს იხმარს, რათა გააადვილდეს ეს ამოცანა". ამასთან დათქმული იყო, „რომ შეიძლება ზიანი მოსვლოდათ პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს და აგრეთვე პოლიტიკურ სტატუსს, რომლითაც სარგებლობდნენ ებრაელები ყველა სხვა ქვეყანაში". 1918 ბ.დ. აღიარა საფრანგეთმა და აშშ-მა, შემდეგ ინგლისის მოთხოვნით მთლიანად შევიდა *სევრის საზავო ხელშეკრულებაში*.

ოფიციალურად ბ.დ. მოტივირებული იყო მისწრაფებით, შეეპირებინათ აშშ-სა და რუსეთში მცხოვრები ებრაელები, გერმანიის წინააღმდეგ ომში. სინამდვილეში ინგლისს სურდა 1915 არაბეთთან (იხ. *მაკ-მაჰონ–ჰუსეინის შეთანხმება*), საფრანგეთთან და რუსეთთან 1916 (იხ. *საიქს-პიკოს შეთანხმება*) დადებული შეთანხმებისათვის თავის არიდება და პალესტინის მიტაცების გამართლება. ბ.დ-ზე დაყრდნობით ინგლისმა უარი თქვა პალესტინის ჩართვაზე არაბეთის სახელმწიფოთა შემადგენლობაში და მის საერთაშორისო მმართველობაში გადაცემაზე. ბ.დ-მ არაბთა პროტესტი გამოიწვია. 1918 წლის იანვარში ბრიტანეთის მთავრობამ, რომელიც დაინტერესებული იყო არაბებისადმი სამხედრო დახმარებით, პროფ. ჰოგარტი დეკლარაციის „განმარტების" მიზნით ჰიჯაზის მეფე ჰუსეინთან გაგზავნა (იხ. *ჰოგარტის მემორანდუმი*). ბ.დ-მ შეინარჩუნა იურიდიული ძალა, როგორც ინგლისის საერთაშორისო ვალდებულებამ, პალესტინაზე ინგლისის მანდატის მთელ პერიოდში (1947 წლის ნოემბრამდე), თუმცა არაერთგზის განიცდიდა სხვადასხვა ინტერპრეტაციას (იხ. აგრეთვე *პალესტინის პრობლემა*, *ჩერჩილის მემორანდუმი 1922*, *პილის პროექტი 1937*, ლონდონის კონფერენცია პალესტინის საკითხზე 1939).

*ლიტ.:* Ключников Ю.В., Сабанин А.В., Международная политика..., ч. 2, М., 1926, с.87; British White Paper. Command paper: 1785, L., 1922.

**ბალჰაუსპლაცი** (გერმ. Ballhausplatz), მოედანი ვენაში, სადაც იმყოფება ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტრო; პირველ მსოფლიო ომამდე ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმნიშვნელი, ამჟამად – ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროსი.

**ბანდაისძე** იოანე, *გიორგი V* ბრწყინვალის ინიციატივით მოწყობილი *პაპაი ქვენიფნეველის* ელჩობის მონაწილე, დეკანოზი, ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძეთა წინაპარი, რომელთა სახელს უკავშირდება „ძეგლი ერისთავთას“ შექმნა. პაპაი ქვენიფნეველისა და იოანე დეკანოზის ეგვიპტეში წარმატებულ ელჩობას საქართველოსათვის „კლიტენი იერუსალემისანის“ ანუ ქრისტეს საფლავის ტაძრის გადაცემა მოჰყვა. ელჩობის ხელმძღვანელი პაპაი ქრისტიანთა ამ უპირველეს სალოცავში ეზიარა და „ჟამი აწირვა“, იოანე დეკანოზი კი ტაძრის „მოძღუართ-მოძღურად“ აკურთხეს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი – იოანე დეკანოზის ქრისტეს საფლავის ტაძრის მოძღვართ-მოძღვრად კურთხევა – ქართველებისთვის სპეციალურად უცნობებიათ, წერილი მიუწერიათ სამთავნელისა და ვირშელ ცხრაზმის (ქსნის) ერისათვისადმი. „კლიტენი იერუსალემისანის“ მოპოვებას ფრიად გაუხარებია საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალე.

*წყარო:* ძეგლი ერისთავთა, შ.მესხიას გამოც. – „მსკი“, 1954, ნაკვ. 30.

**ბანდარანაიკე** სირიმავო რატვატე დიას (დ.1916), შრი-ლანკის (1972 წლამდე ცეილონი) სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

1959-დან ცეილონის თავისუფლების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი (1972 – შრი-ლანკის თავისუფლების პარტია), 1960 – ამ პარტიის თავმჯდომარე; 1960-65 – პრემიერ-მინისტრი, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრი; 1965-70 – ოპოზიციის ლიდერი პარლამენტში. 1970-77 – პრემიერ-მინისტრი, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა, აგრეთვე დაგეგმარებისა და დასაქმების მინისტრი; 1977 – ოპოზიციაში მყოფი შრი-ლანკის თავისუფლების პარტიის ლიდერი. 1980 პარლამენტის გადაწყვეტილებით 1987-მდე ჩამოერთვა სამოქალაქო უფლებები.

**ბანდუნგის კონფერენცია 1955**, შედგა 18-24.IV ბანდუნგში (ინდონეზია) ინდონეზიის, ბირმის, ინდოეთის, პაკისტანისა და ცეილონის (1972 წლამდე შრი-ლანკა) ინიციატივით. მასში მონაწილეობდა აზიისა და აფრიკის 29 ქვეყანა და ტერიტორია.

ბ.კ-ზე მთავარი ყურადღება მიექცა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის პრაქტიკული პროგრამის შემუშავებას. კონფერენციაზე გამოიკვეთა ამ სახელმწიფოთა მკვეთრი ანტიკოლონიური და ანტიიმპერიალისტური კურსი. კონფერენციის მიერ მიღებულ დასკვნით დოკუმენტში, საყოველთაო მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობის შესახებ, ჩამოყალიბებული იყო ადამიანის ძირითადი უფლებებისადმი, აგრეთვე გაეროს მიზნებისა და წესდების პრინციპებისადმი მხარდაჭერა. ბ.კ-მ მხარი დაუჭირა ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემას და ტერიტორიულ მთლიანობას; რასებისა და ერების თანასწორუფლებიანობას, დიდი სახელმწიფოების სასარგებლოდ კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულებებზე უარისთქმას; ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას; სამართლიანობისა და საერთაშორისო ვალდებულებებისადმი პატივისცემას და ა.შ.

ბ.კ-ის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს გაეროს უშიშროების საბჭოს, ამ ორგანიზაციაში მიეღოთ კამბოჯა, ცეილონი, იაპონია, იორდანია, ლაოსი, ლიბია, ნეპალი და გაერთიანებული ვიეტნამი.

ბ.კ-მ მოითხოვა ატომური და ბირთვული იარაღის წარმოების, გამოცდისა და გამოყენების აკრძალვა, განიარაღება.

*ქუბლ.:* Bandung Conference. 1955 (Selected documents), N.Y., 1955.

**ბარათაშვილი** თომა ავთანდილის ძე, XVIII ს-ის პირველი ნახევრის პოეტი და დიპლომატი. იგი ძმასთან – მამუკა *ბარათაშვილთან* ერთად *ვახტანგ VI-ის* ამალას გაჰყვა რუსეთში. 1740-45 იყო რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის მთარგმნელი და დიპლომატ-კურიერი.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1966.

**ბარათაშვილი** მამუკა ავთანდილის ძე, XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართველი დიპლომატი და პოეტი. 1724 *ვახტანგ VI-ს* გაჰყვა რუსეთში. ერთხანს ასტრახანში ცხოვრობდა და პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1728 მონაწილეობდა სპეციალურ მისიაში როგორც დიპლომატი, რომელიც რუსეთის მთავრობამ გაგზავნა შაჰ თამაზთან. ვახტანგ VI-ის გარდაცვალების შემდეგ გახდა რუსეთის ქვეშევრდომი. არის ქართული პოლიტიკურ-ემიგრანტული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.2, თბ., 1966.

**ბარამიძე** გრიგოლ (გიგლა) რევაზის ძე (დ.1960), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში.

1981 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1980-82 – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტი. 1980 – თსუ არმენოლოგიის კათედრის ასისტენტი, ლაბორანტი. 1982-90 კომკავშირულ სამუშაოზეა; 1990-92 – საქართველოს ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე. 1992-95 – თსუ მეცნიერ-თანამშრომელი, პარალელურად, 1994-95 – საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მრჩეველი. 1995 წლის 14.V დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად სომხეთის რესპუბლიკაში.

**ბარბარო** (Barbaro) იოსაფატ (1413-93), ვენეციელი დიპლომატი. 1460 დაინიშნა ვენეციის ფაქტორია ტანას (აზოვი) კონსულად, რაზეც უარი განაცხადა. 1463-დან იყო ვენეციის რესპუბლიკის რეზიდენტი დალმაციაში. ალბანეთში ინსპექტორად ყოფნის დროს სახელი გაითქვა როგორც ალბანელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურის – სკანდერბეგის თანამებრძოლმა. 1473-79 იყო ვენეციის რესპუბლიკის ელჩი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოში. ცდილობს *უზუნ-ჰასანის* ჩაბმას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. სიკვდილამდე ვენეციის სენატის წევრი იყო. მის ჩანაწერებში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოზე, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან არსებული დიპლომატიური კონტაქტების შესახებ.

*ქუბლ.:* XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმანი და გამოც. ე. მამისთვალიშვილისა, თბ., 1981.

**„ბარბაროსას გეგმა“** (გერმ. “Barbarossa Fall”; „რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორ *ფრიდრიხ I* ბარბაროსას სახელის მიხედვით), კოდური სახელწოდება ფაშისტური გერმანიის აგრესიული ომისა სსრკ-ის წინააღმდეგ. 1940 წლის 5.XII ნაცისტურმა ხელმძღვანელობამ დაამტკიცა სსრკ-ის წინააღმდეგ ომის მომზადების საბოლოო ვარიანტი („გეგმა ოტო“), ხოლო 18.XII *ჰიტლერმა* ხელი მოაწერა დირექტივას №21 („ბ.გ.“), სადაც გადმოცემული იყო სსრკ-ის წინააღმდეგ ომის სტრატეგიული ჩანაფიქრი. მისი არსი იყო – საბჭოთა

კავშირი დაეხმარებინათ ელვისებურ კამპანიაში, მანამდე, ვიდრე ინგლისთან ომი დამთავრდებოდა. 1941 წლის 17.VI გაიცა ბრძანება, რომლის თანახმად სსრკ-ზე თავდასხმის საბოლოო თარიღად დამტკიცდა 1941 წლის 22.VI.

**ბარდოს ხელშეკრულება 1881**, საფრანგეთ-თუნისის ხელშეკრულება, რომელმაც ფაქტობრივად დაამყარა საფრანგეთის პროტექტორატი თუნისზე, ხელი მოაწერეს 12.V ბარდოს სასახლეში (ქ. თუნისი). ხელშეკრულება შედგებოდა 10 მუხლისაგან. თუნისის ბეი დათანხმდა საფრანგეთის ჯარის მიერ თუნისის იმ ტერიტორიის ოკუპაციას, რომელი[illegible]; ისინი საჭიროდ ჩათვლიდნენ თუნისში საფრანგეთის მინისტრ-რეზიდენტის ძალაუფლების შესაქმნელად. საფრანგეთი ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა ბეის და მის დინასტიას საფრთხის შემთხვევაში, აგრეთვე შეესრულებინა ყველა ადრე დადებული ხელშეკრულება. ბ.ხ. შეივსო 1883 წლის 8.VI ე.წ. მარსას ხელშეკრულებით (ციხესიმაგრე თუნისში), რომელიც ამყარებდა საფრანგეთის ფორმალურ პროტექტორატს თუნისზე.

**ბარერ-პრინეტის შეთანხმება 1902** (საიდუმლო), დაიდო რომში 1-2.XI იტალიაში საფრანგეთის ელჩ კ. ბარერსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ პრინეტის მიერ წერილების გაცვლის ფორმით. შეთანხმებით დამთავრდა ხანგრძლივი მოლაპარაკება იტალიასა და საფრანგეთს შორის, რომლითაც იტალიამ ცნო საფრანგეთის უფლება მაროკოზე, ხოლო საფრანგეთმა – იტალიისა ტრიპოლსა და კირენაიკაზე. ორივე მხარეს უნდა დაეცვა ნეიტრალიტეტი, თუ ერთ-ერთი მხარე აღმოჩნდებოდა არაპროვოცირებული სამხედრო თავდასხმის ობიექტი, ან იძულებული იქნებოდა აეღო ინიციატივა ომის გამოცხადებისა. ამ შეთანხმებით იტალია ფაქტობრივად ჩამოშორდა *„სამთა კავშირს"*.

**ბართლომე დე სალინიაგო** (Bartolomaei de Salignaco), იტალიელი მოგზაური, რომელიც თავის ნაშრომში „იერუსალიმში მიმოსვლა" გვაწვდის საინტერესო ცნობებს საზღვარგარეთ XV ს. საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტზე, მის ადგილზე აღმოსავლეთის დიპლომატიურ ურთიერთობებში. საქართველოს მნიშვნელოვან საერთაშორისო ძალად აღიარებასა და ძველი უფლებების აღდგენაზე ლაპარაკობს მის მიერ გადმოცემული ქართველთა მდგომარეობა უცხო ქვეყნებში, პრივილეგიები და ზოგიერთი უპირატესობანი, გაკეთებული მათ მიმართ თავად მაჰმადიანთა მიერ. ბ.ს-ს გადმოცემით, ქართველები წმინდა ქ. იერუსალიმში, სხვებისაგან განსხვავებით, გაშლილი ეროვნული დროშებითა და საზეიმოდ მორთული ცხენებით ამხედრებული შედიოდნენ და ამისათვის სულთანს დაწესებულ გადასახადს არ უხდიდნენ. ბ.ს-ს სიტყვებით, ეგვიპტისა და ოსმალეთის სულთნებს ქართველების ეშინიათ.

ლიტ.: Michel Tamarati, L'église géorgienne des origines jusqu' à nos jours, Rome, 1910.

**ბართოლომეი** თეოდორე თეოდორეს ძე, პოლკოვნიკი, 1826 წლის 5 თებერვალს გაიგზავნა სპარსეთში დესპანის მისიით. მისი წერილები ფასეულ დაკვირვებებს იძლევა საქართველოსა და ამიერკავკასიის დიპლომატიურ, პოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ სიტუაციაზე.

ლიტ.: "Русская старина", 1910, №15.

**„ბარიერული შეთანხმება" 1715**, დაიდო 15.XI ანტვერპენში ავსტრიას, ნიდერლანდებსა და ინგლისს შორის; აახლებდა ანალოგიურ შეთანხმებას, რომელიც ამავე სახელმწიფოებმა დადეს 1709 წლის 29.X ჰააგაში. განამტკიცა ჰოლანდიის უფლება, ჰყოლოდა თავისი გარნიზონი ესპანეთის ნიდერლანდების მთელ რიგ ქალაქებსა და გამაგრებულ პუნქტებში, რომლებიც *1714 რაშტატის საზავო ხელშეკრულებით* ავსტრიას გადაეცა. ჰოლანდიას თავისი გარნიზონი შეჰყავდა ტურნეში, იპრში, მენენში და სხვა პუნქტებში, რომელსაც ითვალისწინებდა *1713 უტრეხტის საზავო ხელშეკრულება*. ეს „ბარიერი" გათვალისწინებული იყო ნიდერლანდების დასაცავად საფრანგეთის შესაძლო შეჭრისაგან. მოქმედებდა XVIII საუკუნის ბოლომდე.

**ბარიოს დე ჩამორო** (Barrios de Chamorro) ვიოლეტა (დ.1929), ნიკარაგუას პრეზიდენტი.

პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა 1978 მეუღლის, პ.ხ. ჩამოროს მკვლელობის შემდეგ. აქტიურად თანამშრომლობდა სომოსას დიქტატურისადმი ოპოზიციურად განწყობილ გაზეთ „ლა პრენსაში". იყო ამერიკათაშორისო პრესის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. 1979-80 – ნიკარაგუას ეროვნული აღორძინების დროებითი დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელი საბჭოს წევრი. 1980 გავიდა ამ საბჭოდან ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო. გამოდიოდა სანდინისტური ფრონტის ხელმძღვანელობის მწვავე კრიტიკით. 1990 წლის 25.II აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად.

**ბარტენშტაინის კონვენცია 1807** (პრუსიასა და რუსეთს შორის), ცდა *ნაპოლეონის* საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციის მოწყობისა; ხელი მოაწერეს 14(26).IV ბარტენშტაინში (პრუსია). რუსეთის იმპერატორმა *ალექსანდრე I-მა* და პრუსიის იმპერატორმა ფრიდრიხ ვილჰელმ III-მ სცადეს ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნა, სადაც უნდა შესულიყვნენ რუსეთი, პრუსია, ინგლისი, ავსტრია და შვეცია. მაგრამ ინგლისის, ავსტრიისა და შვეციის უარმა, მიმხრობოდნენ ბ.კ-ს ანტიფრანგული კოალიციის ჩაშლა გამოიწვია.

**ბარტილმა**, ბ რ თ ლ მ ა, არაბულ წყაროებში (ალ-უმარი, ალ-კალკაშანდი) დასახელებული საქართველოს მეფე, რომელიც მოხსენიებულია როგორც გამორჩეული, შესანიშნავი ხელისუფალი ქრისტიანთა შორის და უპირველესი ვეზირის – *ჩობან ნოინის* „ერთგული მეგობარი და თანამოაზრე". ბ-ს დიპლომატიური მოლაპარაკება და მიმოწერა გაუმართავს ეგვიპტის სულთანთან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველთათვის დაბრუნების თაობაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველი მეფის სახელის ირგვლივ სხვადასხვა შეხედულებაა გამოთქმული: მას აიგივებენ *ვახტანგ III-თან*, *დავით VIII-თან* და *გიორგი V* ბრწყინვალესთან.

წყარო: XIV-XV საუკუნეების არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმანი და გამოც. დ. გოჩოლეიშვილისა, თბ., 1988.
ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVIIსს.), თბ., 1962.

**ბარტუ** (Barthou) ჟან ლუი (1862-1934), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1889-1922 – პარლამენტის დეპუტატი; 1922 – სენატორი; 1894-95 და 1906-09 – საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი; 1896-98 – შინაგან საქმეთა, 1913 – პრემიერ-მინისტრი; 1917 – სახელმწიფო მინ-

ისტრი; მონაწილეობდა *პარიზის საზავო კონფერენციის* მუშაობაში 1919-20; 19212-22 და 1926-29 – იუსტიციის მინისტრი. 1922 მეთაურობდა საფრანგეთის დელეგაციას *გენუის კონფერენციაზე*. 1934 – საგარეო საქმეთა მინისტრი. წამოაყენა „აღმოსავლეთის პაქტის" იდეა. იყო სსრკ-ის *ერთა ლიგაში* მიწვევის ერთ-ერთი ინიციატორი. ხელს უწყობდა მცირე ანტანტის სახელმწიფოთა (იხ. *ანტანტა მცირე*) მიერ სსრკ-თან დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარებას. მოკლეს ქ. მარსელში ჰიტლერული სპეცსამსახურის დავალებით იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე I-თან ერთად.

**ბარუხი** (Baruch) ბერნარდ მანეს (1870-1965), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე, ფინანსისტი, ეკონომისტი. 1919-20 აშშ-ის დელეგაციის წევრი *პარიზის საზავო კონფერენციაზე*, მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში. გამოდიოდა სსრკ-თან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების წინააღმდეგ. 1943-45 – სამხედრო რესურსების მობილიზაციის ბიუროს ომისშემდგომი დაგეგმარების უფროსი. თვლიდა რომ, ომის დამთავრების შემდეგ, გერმანიას და იაპონიას არ უნდა შესძლებოდათ თავიანთი სამხედრო პოტენციალის აღდგენა. 1946-47 – აშშ-ის წარმომადგენელი გაეროში.

**„ბარუხის გეგმა"**, ატომურ ენერგიაზე ამერიკის კონტროლის გეგმა. „ბ.გ." შეიმუშავა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა კომიტეტმა და 1946 წლის 14.VII წარუდგინა *გაეროს კომისიას ატომური ენერგიის დარგში* *ბ.ბარუხმა*. „ბ.გ."-ით უნდა შექმნილიყო საერთაშორისო საკონტროლო ორგანო ფართო უფლებამოსილებებით, რომელიც იქნებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს კონტროლს გარეთ. ორგანოს უნდა ჰქონოდა განუსაზღვრელი უფლებები კონტროლისა და ინსპექციის დარგში. 1948 ეს პროექტი დასამუშავებლად გადაეცა გაეროს ატომური ენერგიის კომისიას. 1949 აშშ-მა მიაღწია ამ კომისიის მუშაობის შეწყვეტას, რადგან ის დაექვემდებარა უშიშროების საბჭოს. გეგმის მიღებისათვის კი საჭირო იყო სსრკ-ის თანხმობა. აშშ-ს „ბ.გ." შემდეგში არ წამოუყენებია.

*ლიტ.*: Игнатов А.И., Атомная проблема и политика США, М., 1960, с.48-75.

**ბასილი II** (Basileios) ბულგართმმუსვრელი (958-1025), 976-1025 ბიზანტიის იმპერატორი მაკედონელთა დინასტიიდან. 976 ბ.II-ს აუჯანყდა მცირე აზიის სამხედრო-ფეოდალური არისტოკრატია ბარდა სკლიაროსის მეთაურობით. საიმპერატორო ხელისუფლება დამხობისაგან იხსნა *დავით III* კურაპალატმა, სანაცვლოდ ბ.II-მ დავით კურაპალატს ვრცელი სამფლობელოები უბოძა. 987 მის წინააღმდეგ აჯანყდა ფოკა ბარდა. ამჯერად დავით III ბარდა ფოკას უწევდა დახმარებას, მაგრამ 989 აბიდოსთან ბრძოლაში, ბ.II-მ დაამარცხა აჯანყებულები და შემდეგ გამოილაშქრა დავითის დასასჯელად. დავითმა მორჩილება გამოუცხადა და პირობა დადო, რომ თავის სამფლობელოს სიკვდილის შემდეგ ბიზანტიას დაუტოვებდა. დავითის გარდაცვალებისთანავე ბ.II-მ დაიკავა იმიერტაო. ამავე დროს, მამა-შვილი ერთმანეთისათვის რომ გადაეკიდებინა, მან *ბაგრატ III-ს* კურაპალატობა, ხოლო მამამისს – *გურგენ* მეფეთ-მეფეს უფრო დაბალი ხარისხი – მაგისტროსობა მიანიჭა. ბ.II-მ დაიწყო ომი დასავლეთ ბულგარეთის სამეფოს დასაპყრობად. ომი გახანგრძლივდა. საქართველოს მეფე *გიორგი I-მა* ამით ისარგებლა და 1014-16 დაიკავა იმიერტაო. ბულგარელების დამარცხების შემდეგ 1021 ბ.II შემოიჭრა საქართველოში. შირიმნის ბრძოლაში დამარცხებულმა გიორგიმ მას მოციქულები გაუგზავნა და ზავი ითხოვა, მაგრამ ამ დროს კეისარს აუჯანყდნენ ქსიფე და ფოკა და გიორგიმ დაარღვია ზავი. მაგრამ ბ.II-მ დაამარცხა აჯანყებულები და განაახლა საომარი მოქმედება. ქართველები კვლავ დამარცხდნენ. გიორგი I აიძულა დაედო მძიმე ზავი – სადავო ტერიტორია ბიზანტიის ხელში დარჩა. ტახტის მემკვიდრე ბაგრატი მძევლად გაგზავნა კონსტანტინოპოლში. სიკვდილის წინ მან უფლისწული ბაგრატი სამშობლოში გამოისტუმრა.

*ლიტ.*: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; Ломоури Н.Ю., К истории восстания Варды Склира. – „თსუ შრომები", 1957, ტ.67; პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

**ბასილი უკარმელ-ჭყონდიდელი**, 1248-65 საქართველოს სამეფოს მწიგნობართუხუცესი. მონაწილეობა უხდებოდა დიპლომატიურ საქმიანობაშიც, განსაკუთრებით მეფე *დავით VII ულუს* მოღვაწეობის ბოლო პერიოდში. იგი ხელმძღვანელობდა იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც XIII ს. შუა ხანების დიდი ეკონომიკური კრიზისის დაძლევას ითვალისწინებდა, ჰქონდა უთანხმოება საქართველოს ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლებთან. დავით ულუმ მისი საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავა, რასაც შედეგად მისი სიკვდილით დასჯა მოჰყვა.

*წყარო*: ჟამთააღმწერელი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

*ლიტ.*: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**ბატლერი** (Butler) რიჩარდ ოსტინ (1902-82), ბარონი, ინგლისის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1929-65 – თემთა პალატის წევრი, 1965-დან – ლორდთა პალატის, 1932-37 – ინდოეთის საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1937-38 – შრომის სამინისტროს პარლამენტის მდივანი; 1938-41 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1941-45 – განათლების მინისტრი; 1945 – შრომის; 1951-55 – ფინანსთა, 1955-59 – ლორდი – ბეჭდისმცველი. ერთდროულად 1955-61 – თემთა პალატის ლიდერი; 1957-62 – შინაგან საქმეთა მინისტრი; 1962-63 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე; პირველი სახელმწიფო მინისტრი, 1962-63 მეთაურობდა მინისტრების ჯგუფს, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ მოლაპარაკებათა და ინგლისის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლისა, 1963-64 – საგარეო საქმეთა მინისტრი. 1945-56 – თავმჯდომარე, ხოლო 1956 კონსერვატიული ასოციაციის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი.

**ბაუერი** (Bauer) ფრიდრიხ (დ.1930), ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1952 დაამთავრა ვენის უნივერსიტეტის იურიდიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტი. არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1953-55 მუშაობდა ავსტრიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, 1955-58 – ფედერალური კანცლერის უწყებაში, საგარეო საქმეთა განყოფილებაში, 1958-60 – ავსტრიის საელჩოში იუგოსლავიაში, 1960-63 – ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1963-67 – ავსტრიის საელჩოში ისრაელში, ხოლო 1967-70 კვლავ საგარეო საქმეთა სამინისტროშია, სადაც 1970-73 ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციების ბიუროს. 1973-77 –

ავსტრიის ელჩი გდრ-ში. 1977 – ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე. 1986-90 – ავსტრიის ელჩი გფრ-ში. 1990-დან – ავსტრიის ელჩი რუსეთის ფედერაციაში. 1992 წლის მაისიდან – ავსტრიის ელჩი საქართველოში (შეთავსებით).

**ბაღდადის რკინიგზა**, ბოსფორიდან სპარსეთის ყურისაკენ. პირველი მსოფლიო ომის წინ წარმოადგენდა დაძაბული ბრძოლის ობიექტს დიდ სახელმწიფოთა შორის. 1888 გერმანიის ბანკმა („დოიჩე ბანკ") ოსმალეთისაგან მიიღო კონცესია, რომლითაც ადრე შესყიდული სტამბულ-იზმირის რკინიგზის ანკარამდე გაგრძელების უფლებას იღებდა. 1893 იმავე ბანკმა მიიღო მეორე კონცესია რკინიგზის ხაზის ესკიშეპირიდან კონიამდე გაგრძელებაზე. 1899 ბანკის ხელმძღვანელმა სიმენსმა ხელი მოაწერა „წინასწარ შეთანხმებას", რომელიც ითვალისწინებდა კონია-ბაღდად-სპარსეთის ყურის რკინიგზის ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

ბ.რ-ის მეშვეობით გერმანიის მმართველი წრეები ისწრაფოდნენ თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ ოსმალეთის იმპერია და საფრთხე შეექმნათ ინგლისის პოზიციებისათვის ეგვიპტესა და ინდოეთში და რუსეთის პოზიციებისათვის ამიერკავკასიასა და შუა აზიაში. გერმანიის მიზნებს უპირისპირდებოდა საფრანგეთის ინტერესებიც. 1900 რუსეთ-ოსმალეთის საიდუმლო შეთანხმებით ოსმალეთის მთავრობამ ვალდებულება იკისრა, აღარ გაეცა რკინიგზის კონცესიები ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მესამე მხარისათვის. ინგლისმა გააძლიერა თავისი ექსპანსია სპარსეთის ყურის რაიონში. გერმანიის დიპლომატია ცდილობდა მიეღწია კომპრომისული შეთანხმებისათვის თითოეულ თავის მოწინააღმდეგესთან. 1899 ფრანგული კაპიტალი დაუშვეს ბ.რ-ის მშენებლობაზე. 1903 ხელმოწერილი კონვენციის საბოლოო ტექსტი აცხადებდა, რომ ბ.რ. აშენდებოდა სპარსეთის ყურის იმ პუნქტამდე, რომელიც მომავალში განისაზღვრებოდა. *1910-11 პოტსდამის შეთანხმებით* რუსეთმა, რომელმაც გამიჯნა გერმანიისაგან თავისი გავლენის სფეროები მახლობელ აღმოსავლეთში, უარი თქვა წინააღმდეგობა გაეწია ბ.რ-ის მშენებლობისათვის. 1914 წლის 15.V ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ლონდონში პარაფირებული ინგლის-გერმანიის შეთანხმებით ინგლისმა აიღო ვალდებულება, არ დაებრკოლებინა ბ.რ-ის მშენებლობა და არ აეშენებინა თავისი რკინიგზა კონიიდან ბასრამდე. გერმანიამ ვალდებულება აიღო, დაესრულებინა რკინიგზა ბასრაში, აღარ გაეგრძელებინა ის სპარსეთის ყურემდე და არ აეშენებინა თავისი პორტები ამ ყურეში. ეს კომპრომისული შეთანხმება პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო საბოლოოდ არ გაფორმდა. ომის შემდეგ ბ.რ. დაიყო სამ ნაწილად: მონაკვეთი კონიიდან ბოზანტიმდე გადაეცა თურქეთს, ბოზანტიდან ნუსაიბინამდე კონცესიად მიეცა ფრანგულ კომპანიას, ხოლო ბაღდადიდან სამარამდე შევიდა ერაყის რკინიგზის ხაზების შემადგენლობაში. ბ.რ. დასრულდა 1934-41. დღეს შესაბამისი მონაკვეთები ამ რკინიგზისა, რომელმაც დაკარგა აღრინდელი სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა, ეკუთვნის თურქეთს, სირიასა და ერაყს.

*ლიტ.* Бондаревский Г. А., Багдадская дорога и проникновение германского империализма на Ближний Восток, Ташкент, 1955.

**ალ-ბაშირი** ომარ-ჰასან-აჰმად (დ.1942), სუდანის რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური.

1966 დაამთავრა აბუ სიდნას სამხედრო კოლეჯი. შემდეგ სწავლობდა ეგვიპტის, მალაიზიის, პაკისტანისა და აშშ-ის სამხედრო სასწავლებლებში. 1973 მონაწილეობდა სამხედრო ბრძოლებში სუეცის არხზე სუდანის ჯარების შემადგენლობაში. 1975-78 მუშაობდა არაბთა გაერთიანებულ ემირატებში. 1989 – სამხედრო გადატრიალების შემდეგ, სუდანის ეროვნული ხსნის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი; შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალ-ლეიტენანტი.

**ბევინი** (Bevin) ერნსტ (1881-1951), ინგლისის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1940-45 – ინგლისის შრომის მინისტრი, 1945-51 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1951 – ლორდი – ბეჭდისმცველი. 1945 მონაწილეობდა *ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაში.* 1946 – ინგლისის დელეგაციის მეთაური გაეროს I სესიაზე, ლონდონის (1945), პარიზის (1946) და მოსკოვის (1947) *საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიაზე* და *პარიზის საზავო კონფერენციაზე (1946).* ხელს უწყობდა *„მარშალის გეგმის"* განხორციელებას, *ბრიუსელის ხელშეკრულების (1948)* დადებას, *ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო)* შექმნას.

**ბეზბოროდკო** ალექსანდრე ანდრიას ძე (1747-99), თავადი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1775-92 – *ეკატერინე II-ის* მდივანი. 1780-დან – საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრი. ფაქტობრივად იყო საგარეო საქმეთა მინისტრი. 1797-დან – კანცლერი.

**ბეთმან-ჰოლვეგი** (Bethmann Hollweg) თეობალდ (1856-1921), გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე. 1905-07 – პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი; 1907-09 – გერმანიის შინაგან საქმეთა სახელმწიფო მდივანი; 1909-17 – იმპერიის კანცლერი.

**ბეიკერი** (Baker) ედისონ ჯეიმზ III (დ.1930), აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1952 პრინსტონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ორი წელი მსახურობდა საზღვაო ქვეით ჯარში. სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, 1957 დაამთავრა ტეხასის უნივერსიტეტის ასპირანტურა და დაიცვა დისერტაცია. შემდეგში ხელი მოჰკიდა იურიდიულ პრაქტიკას ფირმაში „ენდრიუს, კურტ, კემბელ ენდ ჯოუნსში". 1975-დან დაინიშნა აშშ-ის ვაჭრობის მინისტრის თანაშემწედ. შემდეგ ბ. ხელმძღვანელობდა ჯ. *ფორდის* პრეზიდენტად არჩევის კამპანიას. 1979-80 – ჯ. *ბუშის* საარჩევნო კამპანიას. რ. *რეიგანის* გამარჯვების შემდეგ დაინიშნა თეთრი სახლის თანამშრომლების აპარატის ხელმძღვანელად, 1985-88 – აშშ-ის ფინანსთა მინისტრი. 1988-92 – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. საქართველოს დემოკრატიის მხარდამჭერი კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი აშშ-ში.

**ბეკზადიანი** ალექსანდრე არტემის ძე (1879-1938), საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, დიპლომატი.

1920-21 – სომხეთის რევკომის თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოთა სომხეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. 1922 – საბჭოთა დელეგაციის წევრი *გენუის კონფერენციაზე;* 1922-26 – სსრკ-ის სავაჭრო წარმომადგენლობის პასუხისმგებელი მუშაკი გერმანიაში; 1926-30 – ამიერკ.სფსრ

სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და ვაჭრობის სახალხო კომისარი; 1930-34 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნორვეგიაში, 1934-37 – უნგრეთში.

**ბეკი** (Beck) იუზეფ (1894-1944), პოლონეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

1922-25 – პოლონეთის სამხედრო ატაშე საფრანგეთში; 1926-30 – სამხედრო მინისტრის კანცელარიის შეფი, ხოლო 1930 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე. 1930-32 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1932-39 – საგარეო საქმეთა მინისტრი, პოლონეთის წარმომადგენელი *ერთა ლიგის* საბჭოში. 1939 *მოსკოვის მოლაპარაკების* (სსრკ, ინგლისი, საფრანგეთი) დროს უარყო საბჭოთა მთავრობის წინადადება ურთიერთდახმარების პაქტის დადების შესახებ გერმანიის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში. პოლონეთზე გერმანიის თავდასხმის შემდეგ გაიქცა რუმინეთში.

**ბელაია-ცერკოვის ხელშეკრულება 1651**, ხელი მოაწერეს 18(28).IX ქ. ბელაია ცერკოვთან უკრაინის ჰეტმანმა ბოგდან *ხმელნიცკიმ* და პოლონეთის გვირგვინოსანმა ჰეტმანმა პოტოცკიმ. *ზბოროვის ხელშეკრულებამ 1649* პოლონეთ-უკრაინის წინააღმდეგობები ვერ გადაწყვიტა. მალე მათ შორის გაჩაღებული ომი კაზაკების მარცხით დამთავრდა. ხელშეკრულებით, რეესტრში, ოფიციალურ სახელმწიფო სიებში ჩაწერილი კაზაკების რიცხვი 2-ჯერ შემცირდა (20000-მდე), უმთავრესად ბატონისაგან გამოქცეული ყმაგლეხების ხარჯზე. კაზაკების თავისუფლება მხოლოდ კიევის სავოევოდოს ტერიტორიით იზღუდებოდა. უკრაინის ჰეტმანი პოლონეთის გვირგვინოსან ჰეტმანს ემორჩილებოდა. ბ.ხ. უკრაინისათვის იყო ერთგვარი შესვენება ახალ საბრძოლო მოქმედებათა მოსამზადებლად. 1652 წარმატებული ომის შემდეგ ბ.ხ-ის ანულირება მოხდა.

**ბელგია-კონგოს შეთანხმება 1960**, ხელი მოაწერეს 20.I-20.II ბრიუსელში და ითვალისწინებდა ყოფილი ბელგიის კონგოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას როგორც ერთიანი სახელმწიფოსი პროვინციებისათვის ფართო ავტონომიით. ამასთან, ბელგია ინარჩუნებდა არბიტრაჟის უფლებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში. მოგვიანებით ამან გამოიწვია სეპარატისტული ძალების აქტივიზაცია კატანგის და სხვა პროვინციებში. ამ შეთანხმებით ბელგია ინარჩუნებდა კონგოსათვის ტექნიკური და ეკონომიკური დახმარების საკითხებში კოორდინაციისა და ქვეყანაში ბელგიელ მოქალაქეთათვის პრივილეგირებულ უფლებებს.

**ბელგრადის საზავო ხელშეკრულებები 1739**, ხელი მოაწერეს 1(12) და 18(29).IX, რითაც დამთავრდა რუსეთისა და ავსტრიის 1735-39 ომი თურქეთთან.

*ნემიროვის კონგრესზე 1737*, სამშვიდობო მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ, მეომარი სახელმწიფოები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს სულთნის მთავრობასთან კონსტანტინოპოლში ფრანგი ელჩის შუამავლობით. ავსტრიის მთავრობამ დაარღვია თავისი სამოკავშირეო ვალდებულებანი და 1739 წლის 1(12).IX ხელი მოაწერა სეპარატულ საზავო ხელშეკრულებას თურქეთთან, რომლითაც თურქეთს უბრუნებდა სერბეთსა და მცირე ვალახეთს, რომელიც ავსტრიას ეკუთვნოდა 1718-დან *პოჟარევაცის საზავო ხელშეკრულების* მიხედვით. ავსტრიის კაპიტულაცია რუსეთისათვის უპერსპექტივოს ხდიდა ისედაც გაწელილი ომის გაგრძელებას და 1739 წლის 18(29).IX ბელგრადთან ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას რუსეთსა და თურქეთს შორის.

ამ ხელშეკრულების თანახმად აზოვის სიმაგრეები უნდა დანგრეულიყო, ხოლო თვით ქალაქი თავისი სანახებით ცხადდებოდა „ორ იმპერიას შორის ბარიერად". რუსეთი უფლებას ღებულობდა აეშენებინა ციხესიმაგრე დონის კუნძულ ჩერკასკის მიდამოებში, ხოლო თურქეთი – ყუბანის შესართავთან: დიდი და მცირე ყაბარდო ნეიტრალურად ცხადდებოდნენ. რუსეთს ეკრძალებოდა ხომალდების ყოლა შავ და აზოვის ზღვებზე. თითოეული მხარის ვაჭრებს უფლება ეძლეოდათ თავისუფალი ვაჭრობისა მეორე მხარის ტერიტორიაზე მესამე რიგის ქვეყნების ვაჭრებისათვის დადგენილი პირობებით. თურქეთთან ვაჭრობა უნდა წარმოებულიყო მხოლოდ თურქული ხომალდებით. რუს მლოცველებს იერუსალიმში თავისუფალი შესვლის გარანტია ეძლეოდათ.

ბელგრადის ხელშეკრულება ანულირებულ იქნა *ქუჩუკ-კაინარჯის 1774 საზავო ხელშეკრულებით.*

**ბელგრადის შეხვედრა**, იხ. *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა ბელგრადის შეხვედრა.*

**BELLIGERENT RIGHTS** (მეომარი მხარის უფლება), მეომარ მხარეს, რომელიც ომს აწარმოებს, აქვს თავისი მოწინააღმდეგის სანაპიროსა და ნავსადგურების ბლოკირების უფლება. ინსურგენტებს, სეპარატისტებს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეებს არ გააჩნიათ ამგვარი უფლებები მანამ, ვიდრე ისინი არ იქნებიან ცნობილნი მეომარ მხარედ. ჩვეულებრივ, მეომარი მხარის უფლება ეძლევათ ინსურგენტებს იმ შემთხვევაში, თუკი აშკარა გახდა, რომ ამბოხება სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

*ლიტ.* Никольсон Г., Дипломатия, пер. с англ., I, М., 1941, с. 134.

**ბელოვეჟის ტყვრის ხელშეკრულება 1991** (*დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის* შექმნის შესახებ), ხელმოწერილია 1991 წლის 8 დეკემბერს ქ. მინსკის ახლობლად, ბელოვეჟის ტყეში, სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის – ბელარუსის, რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის ხელმძღვანელების – ს. შუშკევიჩის, ბ. *ელცინისა* და ლ. კრავჩუკის მიერ. ხელშეკრულების პრეამბულაში ნათქვამია, რომ „ჩვენ, რესპუბლიკა ბელარუსი, რუსეთის ფედერაცია (რსფსრ), უკრაინა, – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დამაარსებლები, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1922 სამოკავშირეო ხელშეკრულებას, – შემდგომში მაღალ ხელმომწერ მხარეებად წოდებულნი, ვადასტურებთ, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა, წყვეტს თავის არსებობას". ხელშეკრულებას ხელი მოეწერა იმ მისწრაფებიდან გამომდინარე, რომ ააშენონ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოები და მათ შორის ურთიერთობები განავითარონ ურთიერთპატივისცემის, სუვერენიტეტის ცნობის, თანასწორუფლებიანობისა და შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე. მხარეებმა დაადასტურეს, რომ ისინი მტკიცედ დაიცავენ გაეროს წესდების მიზნებსა და ამოცანებს, ჰელსინკის დასკვნითი აქტის დებულებებს, და იკისრეს ვალდებულება,

დაიცვან ადამიანისა და ხალხთა უფლებების საერთაშორისო ნორმები. გადაწყდა, რომ მხარეები ცალკე დადებდნენ ხელშეკრულებებს პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და სხვა სფეროებში. მხარეები ცნობენ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ხელშეუხებლობას. ხელშეკრულებით ერთობლივი საქმიანობის სფეროდ განისაზღვრა: საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია, საერთო ეკონომიკური სივრცის ფორმირება და განვითარება, საბაჟო და მიგრაციული პოლიტიკა, სატრანსპორტო და ეკოლოგიური უსაფრთხოება, ბრძოლა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ. ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან სამივე ქვეყნის ტერიტორიაზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული სხვა რომელიმე ქვეყნის, მათ შორის სსრკ საკანონმდებლო ნორმების ქმედება, წყდებოდა საკავშირო ორგანოების საქმიანობა.

ხელშეკრულება ცხადდებოდა ღიად სხვა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მხრიდან ხელმოწერისათვის.

შეხვედრის დროს, ხელი მოაწერეს სამი სახელმწიფოს მეთაურებისა და მთავრობათა განცხადებებს, რომლებშიც ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან ახალი საკავშირო ხელშეკრულების მომზადება ჩიხში მოექცა და რადგან ცენტრის უნიათო პოლიტიკამ ქვეყანაში მძაფრი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, რასაც მოჰყვა სოციალური დაძაბულობა და ეთნოკონფლიქტები, სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელები, გრძნობენ რა პასუხისმგებლობას თავიანთი ხალხებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, აცხადებენ დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის შექმნას.

**ბელოკუროვი** სერგეი ალექსის ძე (1862-1918), რუსი კავკასიოლოგი. რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ისტორიულ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობათა მკვლევარი. 1886-დან ბ. ფაქტობრივად განაგებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივს. 1889 ბ-მა გამოსცა ფუნდამენტური გამოკვლევა „რუსეთის ურთიერთობანი კავკასიასთან“, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს ეხება. დოკუმენტები XVI ს-ის დასასრულისა და XVII ს-ის პირველი მესამედის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებს ასახავენ. აქ აღდგენილია დიპლომატიურ ურთიერთობათა თითქმის სრული სურათი: ელჩობათა მომზადება და გამგზავრება, გზა, მხარეებს შორის მიმდინარე დიპლომატიური მოლაპარაკებები; ასახულია საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან, აგრეთვე ირანთან, თურქეთთან და სხვა ხალხებთან.

*თხზ.:* Материалы для Русской истории, М., 1888; Сношения России с Кавказом, вып. 1: 1578-1613, М., 1889.

*ლიტ.:* ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. - „მსკი“, 1944, წიგ. 1; მაჭარაძე ვ., ჩიქოვანი ნ., გამოჩენილი რუსი კავკასიოლოგი ს. ბელოკუროვი. - „მაცნე“, 1983, №3.

**ბენეში** (Benes) ედუარდ (1884-1948), ჩეხოსლოვაკელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

1915-18 იმყოფებოდა ემიგრაციაში, საფრანგეთში. 1918-35 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1921-22 – პრემიერ-მინისტრი, 1935-38 – ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი. შეასრულა გადამწყვეტი როლი მცირე ანტანტის შექმნაში. გახდა *მიუნხენის გარიგების* მსხვერპლი. 1938 გავიდა თადარიგში და წავიდა ემიგრაციაში აშშ-ში. 1946 წლის ივნისიდან – ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი. 1948, კომუნისტური ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დატოვა ასპარეზი.

**ბენილუქსი** (Benelux Economic Union), ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის ეკონომიკური კავშირი, რომლის დასაწყისს საფუძველი ჩაეყარა მათ შორის სავალუტო შეთანხმების (1943), საბაჟო კონვენციისა (1944) და საბაჟო კავშირზე შეთანხმებათა (1947) შედეგად. 1949 შეთანხმება გარდამავალი პერიოდის შესახებ მხარეებს ავალდებულებდა, შეეცვალათ სამრეწველო საქონლით ვაჭრობის შეზღუდვა და მოეხდინათ სავაჭრო და საფინანსო პოლიტიკის კოორდინაცია მესამე სახელმწიფოთა მიმართ. 1953-56 შეთანხმებები ითვალისწინებდა ხელფასის, კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციას, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის შეზღუდვის თანდათანობით შეცვლას და ერთიანი სოფლის მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებას, მუშახელის თავისუფალი გადაადგილების, ერთიანი სავაჭრო შეთანხმებების დადებას მესამე სახელმწიფოსთან და ა.შ. ბ-ის ჩამოყალიბება 1958 დასრულდა ჰააგაში ხელმოწერილი ხელშეკრულებით ეკონომიკური კავშირის შესახებ (50 წლით). 1958-დან ბ-ის ქვეყნები ევროპის ეკონომიკურ კავშირში შევიდნენ. მისი ხელმძღვანელი ორგანოებია: ბ-ის მინისტრების კომიტეტი, საპარლამენტო საკონსულტაციო საბჭო, ეკონომიკური კავშირის საბჭო და სპეციალური კომიტეტები, გენერალური სამდივნო, საარბიტრაჟო კოლეგია, სასამართლო პალატა, ეკონომიკური და სოციალური საკითხების საკონსულტაციო საბჭო. ადგილსამყოფელი – ბრიუსელში. ოფიციალური გამოცემები ბ-სა: "Benelux Textes de Base", "Benelux Quarterly", "Bulletin Benelux".

**ბენტლი** (Bentley) რობერტ (დ.1941), ავსტრალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

დაამთავრა ნიუკასლის უნივერსიტეტი. 1963-დან მუშაობდა ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის დეპარტამენტში. მომდევნო წლებში მუშაობდა ავსტრალიის დიპლომატიურ მისიებში კუალა-ლუმპურში, ნიუ-დელიში, პნომპენში, სინგაპურში. 1976-78 მუშაობდა ავსტრალიის ე.წ. სახალხო მომსახურების საბჭოში. 1979-82 – ავსტრალიის უმაღლესი კომისრის მოადგილე ველინგტონში (ახალი ზელანდია). 1982 სწავლობდა ლონდონის სამეფო სამხედრო კოლეჯში 1984-86 – საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის დეპარტამენტის განყოფილების გამგის მთავარი ასისტენტი; 1986-89 – ამავე დეპარტამენტის სტრატეგიული განყოფილების მდივან-ასისტენტი; 1989-92 – ავსტრალიის გენერალური კონსული ჰონკონგსა და მაკაოში; 1992-94 – საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის დეპარტამენტის სავაჭრო განყოფილების მდივან-ასისტენტი; 1994 – საგარეო საქმეთა მინისტრის მთავარი მრჩეველი. ამავე წლის აგვისტოდან დაინიშნა ავსტრალიის ელჩად საქართველოში.

**ბეჟან I დადიანი**, ოდიშის მთავარი 1714-28, *გიორგი II ლიპარტიანის ძე*. 1704-დან ითვლებოდა „ლეჩხუმის ბატონად“, 1714 მამას ტახტი წაართვა და დადიანი გახდა. ცდილობდა გაეფართოებინა სამთავროს საზღვრები, გაბატონებულიყო დასავლეთ საქართველოში და განედევნა ოსმალები. 1716 აქტიური მონაწილეობა მიიღო *გიორგი VI* იმერთა მეფის დამხობაში და შემდეგ მის მკვლელობაში. ბ.დ-მა იმერეთის მეფე *ალექსანდრე V-ს* ცოლად შერთო თავისი ასული

მარიამი და 1721-28 ფაქტობრივად განაგებდა იმერეთის სამეფოს. გეგუთში მოკლეს ოსმალებმა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., საქართველოს მოკლე ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ., 1920.

**ბერარ-ხორდანას შეთანხმება 1939**, დიპლომატიური გარიგება საფრანგეთის მთავრობასა და ბურგოსში (ესპანეთი) მყოფ ფრანკოს წარმომადგენლებს შორის, რითაც დასრულდა ესპანეთის საქმეებში აგრესორების წაქეზების პოლიტიკა, რასაც ინგლის-საფრანგეთის მთავრობები ატარებდნენ. 1936-39 იტალიელ და გერმანელ ინტერვენტთა და მეამბოხე ფრანკისტების სამხედრო წარმატებებმა აიძულა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, რომ 1939 წლის დასაწყისიდან, ე.წ. „ჩაურევლობის" პოლიტიკიდან გადასულიყვნენ ფრანკოს ხელისუფლების ცნობაზე დე-იურედ, რათა შემდეგში იგი ინგლის-საფრანგეთის გავლენის სფეროში ჩაეთრიათ. 1939 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ნ. *ჩემბერლენის* მთავრობამ აცნობა ფრანკოს მისი დე-იურედ ცნობის პრინციპული თანხმობის შესახებ, ხოლო საფრანგეთის მთავრობამ ბურგოსში გაგზავნა სენატორი ლ.ბერარი. მოლაპარაკება, რომელსაც ბერარი აწარმოებდა ფრანკისტების საგარეო საქმეთა მინისტრთან გენერალ ფ.გ.ხორდანასთან, დამთავრდა 25.II შეთანხმების ხელმოწერით. ამ შეთანხმებით საფრანგეთი ვალდებულებას კისრულობდა: ფრანკოს ხელისუფლებისათვის დაებრუნებინა ოქროს ფონდი, ტრანსპორტი, გემები და სხვა ქონება, რომელიც ესპანეთის რესპუბლიკურმა მთავრობამ გაიტანა საფრანგეთში; აეკრძალა საფრანგეთის ტერიტორიაზე ფრანკისტული რეჟიმის საწინააღმდეგო პროპაგანდა; აღედგინა ესპანეთისათვის ხელსაყრელი პირობებით სამგზავრო, საფოსტო და კავშირგაბმულობის სხვა სახეობები. მიუხედავად საფრანგეთის ეროვნული კრების 300 დეპუტატის წინააღმდეგობისა, საფრანგეთის მთავრობამ, ინგლისის მთავრობის პარალელურად, გამოაცხადა 28.II ფრანკოს რეჟიმის დე-იურედ ცნობა. საფრანგეთის ელჩად ესპანეთში დაინიშნა მარშალი პეტენი.

ლიტ.: Temps, 1939, 28 févr.

**ბერიშა** (Berisha) სალი (დ. 1944), ალბანეთის პრეზიდენტი.

დაამთავრა ტირანას სამედიცინო უნივერსიტეტი. იყო ამავე უნივერსიტეტის პროფესორი; ალბანეთის დიქტატორის, ენვერ ხოჯას პირადი ექიმი. 1989 დემონსტრატიულად დატოვა ალბანეთის კომუნისტური პარტია. 1990 დააარსა ალბანეთის დემოკრატიული პარტია, რომელმაც 1991 საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა. 1992 წლის 9.IV ქვეყნის პარლამენტმა იგი პრეზიდენტად აირჩია.

**ბერლინის თათბირი 1954**, სსრკ-ის, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებისა. გაიმართა 25.I-18.II. ბ.თ.-ზე დასმულ კორეის, გერმანიისა და ავსტრიის საკითხებზე მხარეთა საწინააღმდეგო პოზიციების გამო შეთანხმებები მიღებული არ ყოფილა.

**ბერლინის კედელი**, სასაზღვრო ნაგებობა, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ბერლინს (გდრ-ის დედაქალაქს) და დასავლეთ ბერლინს. მისი მშენებლობა დაიწყო გდრ-ის მთავრობის ინიციატივითა და სსრკ-ის მთავრობის თანხმობით 1961 წლის 13 დეკემბერს. კედლის სიგრძე შეადგენდა 160 კმ-ს, რომლის მშენებლობაც 870 მლნ მარკა დაჯდა. კედელმა, რომელიც ორ გერმანულ სახელმწიფოს ყოფდა ერთმანეთისაგან, და რომელმაც 80 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, იარსება 28 წელი და 88 დღე. დაინგრა 1989 წლის ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში.

**ბერლინის კონგრესი 1878**, მიმდინარეობდა 1(13).VI-1(13).VII. მონაწილეობდნენ რუსეთი, ინგლისი, ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი. ბ.კ. მოწვეული იყო ავსტრია-უნგრეთისა და ინგლისის მოთხოვნით, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ *სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით* (1878). ბერლინის ტრაქტატით ბულგარეთი იფარგლებოდა ბულგარული ოლქებით ჩრდილოეთით ბალკანეთის ქედამდე; ის აღიარებულ იქნა ავტონომიურ სახელმწიფოდ, რომელსაც შეეძლო აერჩია საკუთარი მთავარი სულთნის თანხმობით და რომელსაც დაამტკიცებდა დიდი სახელმწიფოები. ბულგარეთის ოლქები ბალკანეთის სამხრეთით გამოცხადდა ცალკე ტერიტორიად და მიიღო სახელწოდება აღმოსავლეთი რუმელია, რომელიც სულთნის ხელისუფლების ქვეშ დარჩა, ადმინისტრაციული ავტონომიით; ყველა ტერიტორია დასავლეთით ადრიატიკის სანაპირომდე და სამხრეთით ეგეოსის ზღვამდე სულთნის ხელისუფლებას დარჩა. ავსტრია-უნგრეთმა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოკუპაციის უფლება მიიღო. ჩერნოგორია, სერბია და რუმინეთი თურქეთისგან დამოუკიდებელი გახდნენ. რუმინეთმა ჩრდილოეთი დობრუჯა მიიღო, ბესარაბიის დუნაისპირეთის მონაკვეთი რუსეთს გადაეცა. დაწესდა თავისუფალი ნაოსნობა მდ. დუნაიზე. არდაგანი, ყარსი და ბათუმი ოლქებით რუსეთს შეუერთდა, რომელმაც თურქეთს დაუბრუნა ალაშკერტის დაბლობი და ქ. ბაიაზიდი. ბათუმი გამოცხადდა თავისუფალ სავაჭრო ნავსადგურად. თურქეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე გამოცხადებულ იქნა მორალური, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლება.

ლიტ.: М а р т е н с Ф., Собрание трактатов и конвенций..., т.8, с.639-76.

**ბერლინის კონფერენცია 1884-85**, 14 სახელმწიფოს საერთაშორისო კონფერენცია კოლონიურ საკითხებზე. მიმდინარეობდა 3(15).XI. 1884 – 14(26).II. 1885. საერთაშორისო აღიარება მიიღო ე.წ. „კონგოს თავისუფალმა სახელმწიფომ" ბელგიის მეფის მეთაურობით. გამოცხადდა ვაჭრობის, ნაოსნობისა და გადაადგილების თავისუფლება მდ. კონგოს აუზში და მიმდებარე ტერიტორიებზე ინდოეთის ოკეანემდე, აგრეთვე მონათვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, თვით მონობის მოსპობა, აფრიკის მოსახლეობისადმი დახმარება. იყო მოთხოვნა, რომ კოლონიურ ქვეყნებს მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე შეექმნათ „ძლიერი ხელისუფლება".

**ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია 1945**, მოკავშირე სახელმწიფოთა უკანასკნელი კონფერენცია მეორე მსოფლიო ომში. მიმდინარეობდა 17.VII-დან 2.VIII-მდე პოტსდამის ცეცილიენჰოფის სასახლეში (ბერლინის გარეუბანში). სსრკ დელეგაციას მეთაურობდა ი. *სტალინი*, აშშ-ს – ჰ. *ტრუმენი*, ინგლისისას – უ. *ჩერჩილი* (28.VII-დან – კ. *ეტლი*). ბ.კ-ის ამოცანები იყო მოკავშირე სახელმწიფოთა ისტორიული გამარჯვების განმტკიცება ფაშისტურ გერმანიაზე, ომისშემდგომი მთავარი პრობლემების მოწესრიგება, ევროპაში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის პროგრამის ჩამოყალიბება, გერმანიის მხრიდან ახალი აგრესიის არ დაშვება.

ბ.კ-ის მსვლელობაში საბოლოოდ შეთანხმდნენ იმ მიზნებზე, რომლებითაც უნდა ეხელმძღვანელა *საკონტროლო საბჭოს* – გერმანიაში ოთხი სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელისუფლებას. ბ.კ-ის მთავარი მიღწევა იყო პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართების განსაზღვრა, რომლითაც დასაწყის პერიოდში უნდა ეხელმძღვანელათ გერმანიის მიმართ. ამ პრინციპების საფუძველი იყო გერმანიის დემილიტარიზაცია, დემოკრატიზაცია და დენაციფიკაცია. „გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი აღმოფხვრილი იქნება" – აცხადებდნენ მოკავშირეები. გათვალისწინებული იყო გერმანიის მთლიანი განიარაღება და მისი მრეწველობის ლიკვიდაცია, რომელიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო სამხედრო წარმოებისათვის; ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოსპობა და ნაცისტური და მილიტარისტული პროპაგანდის გაუქმება; ყველა ნაცისტური კანონის აკრძალვა; *სამხედრო დამნაშავეთა* დასჯა; ანტიფაშისტური პარტიების მოღვაწეობის ხელშეწყობა; გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების საბოლოო რეკონსტრუქციის მომზადება დემოკრატიულ საფუძველზე და სათანადო პირობებში გერმანიის თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან. ბ.კ-მ მიაღწია შეთანხმებას გერმანიასთან *რეპარაციაზე*. სსრკ-ის სარეპარაციო პრეტენზიები დაკმაყოფილებული უნდა ყოფილიყო გერმანიის საბჭოთა ზონიდან ამოღებებით და გერმანიის მიერ საზღვარგარეთ ჩადებული თანხებით. აშშ-ის, ინგლისისა და სხვა რეპარაციები უნდა აკრეფილიყო შესაბამისი დასავლეთის ქვეყნების ზონებიდან. რეპარაციის შემდეგ გერმანელ ხალხს უნდა დარჩენოდა საკმარისი რესურსები იმისათვის, რომ „მას შეძლებოდა ეარსება გარედან დახმარების გარეშე"; სამ ნაწილად უნდა განაწილებულიყო გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სავაჭრო ფლოტი.

განიხილეს ტერიტორიული საკითხი. სსრკ-ს გადაეცა ქ. კენიგსბერგი (4.VII. 1946-დან კალინინგრადი) და მასთან მიმდებარე რაიონი. პოლონეთის დასავლეთი საზღვარი გახდა მდ. ოდერი – მდ. დასავლეთ ნეისეს ხაზი. პოლონეთს შეუერთდა აღმოსავლეთ პრუსიის ტერიტორიის ნაწილი, აგრეთვე ქ. დანციგი (გდანსკი). ბ.კ-მ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან, ფინეთთან საზავო ხელშეკრულებისა და ამ ქვეყნების გაეროში მიღების საკითხმა. ბ.კ-მ დააარსა *საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო*. იგი დამთავრდა სსრკ-ის, აშშ-ისა და ინგლისის მთავრობის მეთაურთა მიერ სამი დიდი სახელმწიფოს ბ.კ-ისა (1.VIII. 1945) და სამი სახელმწიფოს ბ.კ-ის ცნობის შესახებ (2.VIII. 1945) ოქმის ხელმოწერით.

*წყრ.:* Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945. Т.6: Берлинская (Потсдамская) конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании, М., 1980

*ლიტ.:* Белецкий В.Н., За столом переговоров, М., 1979; его же, Встреча в Потсдаме, М., 1980.

**ბერლინის მემორანდუმი 1876**, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის და მათთან მიმხრობილი საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის მთავრობისადმი ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში აჯანყების გამო. ბ.მ. თურქეთს ორი თვით დაზავების წინადადებას აძლევდა. სულთნის კარზე გადატრიალების გამო მემორანდუმის გადაცემა დაგვიანდა. მალე სერბიამ და ჩერნოგორიამ ომი დაიწყეს თურქეთის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ბ.მ-მა აზრი დაკარგა და შემდეგ აღარ წამოუყენებიათ.

**ბერლინის საზავო ხელშეკრულება 1742**, სეპარატული ხელშეკრულება პრუსიასა და ავსტრიას შორის *ავსტრიული მემკვიდრეობისათვის* ომის პერიოდში. ხელი მოაწერეს 28.VII. ხელშეკრულებით ავსტრიამ პრუსიას დაუთმო ქვემო და ზემო სილეზია (ტეშენისა და ქ. ტროპაუს მიმდებარე მიწების გარდა), აგრეთვე, გლაცის საგრაფო. პრუსიის მეფე პირობას დებდა, არ დაერღვია სილეზიაში ადრე არსებული კათოლიკური ეკლესიის უფლებები და პრივილეგიები.

**ბერლინის ხელშეკრულება 1732** (რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას შორის 13(24).XII), მხარეები აცხადებდნენ მზადყოფნას, პოლონეთის ტახტზე ავგუსტ II-ის სიკვდილის შემდეგ არ დაეშვათ მისი შვილი ფრიდრიხ ავგუსტი და საფრანგეთის კანდიდატი ლეშჩინსკი. პოლონეთის ტახტზე უნდა ასულიყო ისეთი კაცი, რომელიც მეზობლებისათვის საშიშროებას არ წარმოქმნიდა. მათ სურდათ ტახტზე აეყვანათ პორტუგალიის ინფანტი დონ ემანუელი, ჰაბსბურგელთა ნათესავი. კურლანდია უნდა დარჩენილიყო ცალკე საჰერცოგოდ. ჰერცოგის ტახტზე უნდა ასულიყო პრუსიის მეფის მეორე შვილი ავგუსტ ვილჰელმი. გაიგო რა ავგუსტ II-მ ბ.ხ-ის შესახებ, პრუსიის მეფეს შესთავაზა ავსტრიასთან ერთად პოლონეთის გაყოფა. დარჩენილი ტერიტორიის ნაწილი უნდა გადაცემოდა ფრიდრიხ ავგუსტს. მოლაპარაკებები შეწყდა ავგუსტ II-ის გარდაცვალების გამო (იხ. *პოლონური მემკვიდრეობა*).

*წყრ.:* Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций..., т.1, СПб., 1874, с.311-24.

**„ბერლინ-რომ-ტოკიოს ღერძი"**, იხ. *სამთა პაქტი.*

**ბერმუდის თათბირი 1953**, აშშ-ის პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის, ინგლისის პრემიერ-მინისტრის უ.*ჩერჩილის* და საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟ.ლანიელის მონაწილეობით შედგა ბერმუდის კუნძულებზე 4-7.XII.

თათბირზე განიხილეს ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის საკითხი (იხ. *ბერლინის თათბირი 1954*).

თათბირზე დიდი ყურადღება მიექცა ნატოს სამხედრო პროგრამების განხორციელებას, საფრანგეთის მიერ 1952 პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხს, რომლითაც უნდა შექმნილიყო *ევროპის თავდაცვითი გაერთიანება*. მაგრამ საფრანგეთი მოითხოვდა დამატებით გარანტიებს, კერძოდ, საარის ავტონომიური სტატუსის შენარჩუნებას გერმანიის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებამდე და აშშ-ის და ინგლისის ჯარების დატოვებას კონტინენტზე 20 წლის განმავლობაში. ეიზენჰაუერი და ჩერჩილი ლანიელს დაპირდნენ მხარდაჭერას ინდოჩინეთის კოლონიურ ომში. თათბირზე მხარი დაუჭირეს ინგლისის მოთხოვნას – სუეცის არხის ზონიდან მისი ჯარების გამოყვანის შემდეგ, ახლო აღმოსავლეთში „საშიშროების აღმოცენების შემთხვევაში", ამ ჯარების ეგვიპტეში შეყვანის უფლების მიცემის შესახებ. ამავე თათბირზე დ. ეიზენჰაუერმა და ჯ.ფ. *დალესმა* განაცხადეს, კორეის ომის განახლების შემთხვევაში, აშშ-ის მიერ ატომური იარაღის შესაძლო გამოყენების შესახებ.

*წყრ.:* Keesing`s Contemporary Archives. 1952-54. Vol 9, p. 13281.

*ლიტ.:* Eden A., The Reckoning, vol. 3, L., 1965.

**ბერმუდის თათბირი 1957**, აშშ-ის პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის და ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. *მაკმილანის* მონაწილეობით მოეწყო 21-24.III ბერმუდის კუნძულებზე.

მხარეები შეთანხმდნენ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ ახლო აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით. აშშ-მა გამოთქვა მზადყოფნა ბაღდადის პაქტის (იხ. *ცენტრალური შეთანხმების ორგანიზაცია*) სამხედრო კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობის შესახებ. თავის მხრივ, ინგლისმა მოიწონა *„ეიზენჰაუერის დოქტრინა"*, რომელიც ითვალისწინებდა აშშ-ის ჩარევას ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში. მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი პოლიტიკის გატარების შესახებ აფრიკის კონტინენტზე, ხოლო ეიზენჰაუერმა მხარი დაუჭირა ინგლისის პოზიციას კვიპროსის საკითხში.

ბ.თ-ზე დადასტურდა 1957 წლის თებერვლის შეთანხმება, რომლის ძალითაც აშშ იღებდა უფლებას დიდ ბრიტანეთში საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტებისათვის ბაზების მშენებლობის შესახებ (1958 წლის თებერვალში დამტკიცდა სპეციალური ორმხრივი შეთანხმებით).

ბ.თ-ზე აშშ-მა და ინგლისმა უარი განაცხადეს სსრკ-ის წინადადებაზე ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ იმ საბაბით, თითქოს შეუძლებელი იყო ფარული ბირთვული აფეთქების აღმოჩენა.

*ლიტ.* Keesing`s Contemporary Archives. 1957-58. Vol. 11, p. 15457-61.

**ბერნადოტი** (Bernadotte) შარლ ჟან ბატისტ (1763-1844), 1806-დან თავადი პონტეკორვო (Pontecorvo) ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. შვეციისა და ნორვეგიის მეფე (კარლ XIV იუჰან, 1818-44). 1798 – საფრანგეთის ელჩი ავსტრიაში; 1799 წლის ივლის-სექტემბერში – სამხედრო მინისტრი. 18 ბრიუმერის გადატრიალების დროს არ თანაუგრძნო *ნაპოლეონ I-ს*, მაგრამ არც დირექტორიას დაუჭირა მხარი. 1800-02 – სახელმწიფო მრჩეველი. 1803 დაინიშნა საფრანგეთის ელჩად აშშ-ში, მაგრამ შეაჩერა თავისი გამგზავრება. 1804, იმპერიის გამოცხადების შემდეგ, ნაპოლეონმა საფრანგეთის მარშლობა მიანიჭა; 1804-05 – ჰანოვერის სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორი, 1805-09 აქტიურად მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში ავსტრიაში. 1810 შვედმა სამხედრო წრეებმა აირჩიეს ტახტის მემკვიდრედ, შემდეგ კარლოს XIII-მ იშვილა. 1810-18 ფაქტობრივად რეგენტის ფუნქციას ასრულებდა, რომ გაეადვილებინა ნორვეგიის მიერთება შვეციასთან. ხელი მოაწერა 1812 რუსეთ-შვეციის შეთანხმებას, 1813 – სამოკავშირეო ხელშეკრულებებს ინგლისთან და პრუსიასთან; დაამარცხა დანია და 1814 ნორვეგიას თავს მოახვია *მოსის კონვენცია*. *ვენის კონგრესის* დროს, 1814-15, შეინარჩუნა თავისი სტატუსი და კარლ XIII-ის შემდეგ გახდა მეფე.

**ბერნის კონვენცია 1886** (ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ). შესწორებები და დამატებები შეტანილ იქნა 1896 პარიზში, 1908 – ბერლინში, 1914 – ბერნში, 1928 – რომში, 1948 – ბრიუსელში, 1967 – სტოკჰოლმში, 1971 – პარიზში. ბ.კ-ის თანახმად, დაარსდა ლიტერატურული და მხატვრული საკუთრების დაცვის საერთაშორისო კავშირი თავისი საერთაშორისო ბიუროთი, რომელიც 1893-დან შედიოდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საერთაშორისო ბიუროს შემადგენლობაში, რომელიც ჟენევაში იმყოფება. 1967-დან ამ ორგანიზაციის ფუნქციას ახორციელებს *ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია*.

ბ.კ. იცავს ავტორთა უფლებებს მათი ნაწარმოებების სხვა ქვეყანაში გამოცემის შემთხვევაში. ბ.კ-ით ავტორს ნებისმიერ ქვეყანაში თავისი ნაწარმოებების თარგმნისა და გამოცემის განსაკუთრებული უფლება გააჩნია.

ბ.კ. აწესებს 50-წლიან მინიმალურ ზღვარს ავტორის გარდაცვალებიდან საავტორო უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

**ბერნსის მისია ავღანეთში 1836-38**, გაგზავნეს ინგლისელებმა ავღანეთის ამირა დოსტ მუჰამედთან. იმ მიზნით, რომ გადმოეყვანა ის ოსტ-ინდოეთის კომპანიის მხარეზე და ავღანეთი გამოეყენებინა როგორც პლაცდარმი შუა აზიაში (ბუხარა, ხივა) შეტევისათვის. ოსტ-ინდოეთის კომპანიის ჩინოვნიკი ალექსანდრე ბერნსი ქაბულში ჩავიდა როგორც კომერციული აგენტი. თითქმის ერთდროულად ჩავიდა ქაბულში რუსეთის ნახევრად ოფიციალური წარმომადგენელი პორუჩიკი ვიტკევიჩი. ამირა მზად იყო დაედო კავშირი ოსტ-ინდოეთის კომპანიასთან, მაგრამ სანაცვლოდ მოითხოვა ფეშავარისა და სხვა ოლქების დაბრუნება, რომლებიც რამდენიმე ხნით ადრე დაიკავეს სიქჰებმა. ოსტ-ინდოეთის კომპანიამ ეს წინადადება უარყო. ბერნსმა მუჰამედს ულტიმატუმი წაუყენა, გაეწყვიტა რუსეთთან კონტაქტი და უარი ეთქვა ფეშავარის პრეტენზიებზე. როცა ულტიმატუმი უარყვეს, ბერნსმა ქაბული დატოვა, მუჰამედმა დაამტკიცა შეთანხმება ვიტკევიჩთან, რომელიც მერე პეტერბურგმა არ ცნო. წარუმატებელი მისიის შემდეგ ოსტ-ინდოეთის კომპანია დიპლომატიურიდან სამხედრო მეთოდზე გადავიდა, რათა იგი თავის კოლონიად გაეხადა. 1839 წლის შემოდგომის დასაწყისში დაიწყო ინგლის-ავღანეთის პირველი ომი.

**ბერნშტაინი** ერიკ ადოლფის ძე (1891-1941), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბერლინსა და კონსტანტინოპოლში. დაიბადა ბოლნისში. სწავლობდა თბილისში, შემდეგ – გერმანიაში. 1918 საქართველოს მთავრობამ დანიშნა განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებლად კონსტანტინოპოლში. 1918 წლის ზაფხულში გაიგზავნა ბერლინში. 1919 დაინიშნა გერმანიაში საქართველოს პოლიტიკური წარმომადგენლობის მრჩევლად.

**ბერძენიშვილი** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1895-1965), გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1944-დან), მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (1948-65), აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1951-57), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი (1939-დან), ამავე კათედრის გამგე (1946-56).

ბ-ს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის საქართველოს ისტორიის არა ერთი პრობლემის მეცნიერულ შესწავლაში. მან მთელი რიგი ახალი დებულებები წამოაყენა ფეოდალური ხანის (VI-XIX სს-ის) საქართველოს ისტორიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ფეოდალური ხანის საქართველოს როგორც შინა სოციალურ ფენებსა და კლასებს შორის ურთიერთობა-დამოკიდებულების, ისე სხვა ქვეყნებთან საქართველოს დიპლომატიური, საომარი თუ მეგობრული ურთიერთობების გარკვევაში. მან ამ საკითხების შესწავლას არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა:

„ნარკვევები XIII-XVI სს. საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ისტორიიდან", „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში", „საქართველოს ისტორია" – თანაავტორობით, „ფეოდალურ ურთიერთობიდან XV საუკუნეში", „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე" და სხვ.

*თხზ.:* საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 1-9, თბ., 1964.

*ლიტ.:* დ უ მ ბ ა ძ ე  მ., ნიკო ბერძენიშვილი, თბ., 1964.

**ბერხტოლდი** (Berchtold) ლეოპოლდ (1863-1942), გრაფი, ავსტრიელი დიპლომატი. 1893-დან მუშაობდა საფრანგეთის საელჩოში, 1899-1906 – ინგლისის საელჩოში. 1906-12 – ელჩი რუსეთში; 1912-15 – ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1915-18 – სასახლის მინისტრი.

**ბესიკი** (ნამდვილი გვარი და სახელი გაბაშვილი ბესარიონ ზაქარიას ძე) (1750-91), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი და პოეტი.

მამასთან ერთად მოუხდა ქართლ-კახეთის დატოვება. XVIII ს. 70-იან წლებში ბ. იმერეთის მეფე *სოლომონ I-ს* ეახლა, სოლომონ I-მა მას უბოძა დავთარხანისა და მდივანთუხუცესის სახელოები.

1778 ბ. გაემგზავრა ირანში დიპლომატიური მისიით ქერიმ ხანთან ოსმალეთის წინააღმდეგ სპარსეთის გამოყენების მიზნით, მაგრამ ეს ცდა ქერიმის გარდაცვალების გამო ჩაიშალა. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ბ. მხარს უჭერდა იმერეთში დავით გიორგის ძის (სოლომონის ბიძაშვილი) გამეფებას. 1787 ბ-ს იმერეთის რუსეთის მფარველობაში შესვლისა და 1783 *გეორგიევსკის ტრაქტატის* მსგავსი პირობების გაფორმების მიზნით საგანგებო დიპლომატიური მისია დაეკისრა. ამ მიზნით იგი ქ. კრემენჩუგს, რუსეთის სამხრეთის ჯარების სარდალ-ფელდმარშალ გ. *პოტიომკინთან* გაემგზავრა. ბანაკთან ერთად ჯერ კიშინიოვში, ხოლო შემდეგ იასაში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა.

*თხზ.:* თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და ე. თოფურიას რედ., თბ., 1962.

*ლიტ.:* მ ა ჭ ა რ ა ძ ე  ვ., ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968.

**ბესმერტნიხი** ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (დ. 1933), რუსი საბჭოთა დიპლომატი, აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

1957-60 და 1966-1970 მუშაობდა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატში; 1960-66 – გაეროს სამდივნოს თანამშრომელი; 1970-83 – სსრკ-ის საელჩოს პირველი მდივანი აშშ-ში, მრჩეველი, დესპანი; 1983-85 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-ის განყოფილების გამგე, 1986-90 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, 1990-91 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამჟამად – რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ასოციაციის თავმჯდომარე.

**ბესტუჟევ-რიუმინი** ალექსი პეტრეს ძე (1693-1766), გრაფი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1713-დან ჰანოვერის კურფიურსტის სამსახურში იყო, შემდეგ – ინგლისისა, რომელთაც იგი გაგზავნეს ელჩად პეტერბურგში. 1717 რუსეთის სამსახურშია. 1720-31 – რეზიდენტი კოპენჰაგენში, 1731-34 – რეზიდენტი ჰამბურგში. 1734-40 – ელჩი დანიაში; 1740-41 – კაბინეტ-მინისტრი. 1741-44 – ვიცე-კანცლერი, ხოლო 1744 – სახელმწიფო კანცლერი. ამ პერიოდში ხელმძღვანელობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკას. 1757 სასახლის გადატრიალებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და გადაასახლეს. *ეკატერინე II-მ* აღადგინა, მაგრამ შემდგომში სახელმწიფოებრივ საქმეებში მნიშვნელოვან როლს აღარ ასრულებდა.

**ბესტუჟევ-რიუმინი** მიხეილ პეტრეს ძე (1688-1760), გრაფი, რუსი დიპლომატი. 1705 გაიგზავნა კოპენჰაგენში საელჩოს მდივნად. 1720 – რეზიდენტი ინგლისში. იმავე წელს გაასახლეს ინგლისიდან. 1721-26 და 1731-41 – მინისტრ-რეზიდენტი, მოგვიანებით სრულუფლებიანი ელჩი შვეციაში. 1726-30 და 1744 – მინისტრ-რეზიდენტი პოლონეთში, 1730-31 – პრუსიაში, 1748-52 – ავსტრიაში. 1756-60 – ელჩი პარიზში.

**ბეტლის კანონი 1951** (კანონი ურთიერთთავდაცვის მიზნით გაწეულ დახმარებაზე კონტროლის შესახებ), მიიღო აშშ-ის კონგრესმა 28.VIII. სახელი ეწოდა კანონპროექტის ავტორის, სენატორ ბეტლის გვარის მიხედვით. კანონი აწესებდა ნებისმიერ ქვეყანაში ან ქვეყანათა ჯგუფში, რომლებიც აშშ-ის „უშიშროებას ემუქრებიან", აშშ-ის მხრიდან ემბარგოს დადებას იარაღის, საბრძოლო მასალების და ომის წარმოების სხვა საშუალებების, აგრეთვე ისეთი საქონლის გატანაზე, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდათ და გამოიყენებოდნენ სამხედრო წარმოების დროს. კანონი აწესებდა ემბარგოს იმ მასალებზეც, საიდანაც ატომური ენერგია მიიღებოდა, ნავთობზე, სატრანსპორტო საშუალებებზე. ითვალისწინებდა აშშ-დან ყველა დანარჩენი საქონლის ექსპორტის რეგულირებას ასეთ ქვეყნებში. ბ.კ-ით ნებისმიერი ამერიკული დახმარება მიეწოდებოდა მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც დააწესებდნენ აშშ-ის მსგავს ემბარგოს სსრკ-თან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე. ბ.კ. აშშ-ის პრეზიდენტს აძლევდა რეკომენდაციას, რათა ყველა ქვეყანას ეთანამშრომლა აშშ-თან სოციალისტურ ქვეყნებში ექსპორტის რეგულირების საკითხებში. შემდეგში ბ.კ-ის ძირითადი დებულებები ჩართულ იქნა ქვეყნის იმ კანონებში, რომლებიც არეგულირებდნენ აშშ-ის მხრიდან უცხოეთის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევას.

*წყარ.:* Problems of Economic Defence. Second Report to Congress, N.Y., 1953, p. 53-56.

**ბექა I ჯაყელი** (დაახლ. 1240-1308), სამცხის ათაბაგი 1285-1308. მისი საგამგეო ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქსა (ახლანდ. ერზურუმი) და შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. 1266 სამცხე-საათაბაგო საქართველოს გამოეყო („ხას-ინჯუ"), რაც მონგოლური დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო და 1334-მდე ასეთად რჩებოდა. ბ.ჯ. ილხანთა მონგოლური სახელმწიფოს ვასალი იყო, მონგოლებთან ურთიერთობის დარეგულირებამ და სწორად წარმართულმა პოლიტიკამ სამცხე-საათაბაგო, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ააცილა ილხანთა ბატონობის სიმძიმეს. მიუხედავად სამცხის გამოცალკევებისა, ბ.ჯ. ინარჩუნებდა საქართველოს მანდატურთუხუცესის სამოხელეო ტიტულს. მაგრამ დამოკიდებულება სამეფო ტახტთან საკმაოდ შესუსტებული იყო. როცა *დავით VIII-მ* ბ.ჯ. თბილისში მიიწვია, მან სამეფო კარზე გამოცხადება არ ინება. ბ.ჯ. აქტიურად ებრძოდა და ხელმძღვანელობდა დიდი მასშტაბის ოპერაციებს მომთაბარე თურქების წინააღმდეგ, რომელთაც აზატ-მოსე მეთაურობდა. ამ დროს სამცხის

მთავარს დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი II-თან (1297-1330). მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ტრაპიზონის იმპერიასთან დამოკიდებულების საკითხი იყო. იქ ქართული გავლენის შესუსტების პირობებში იბრძვის ბიზანტიის პოზიციების გაძლიერების წინააღმდეგ და წარმატებასაც აღწევს, ბ.ჯ.-ის ასული ალექსი II-მ ცოლად შეირთო, რაც ტრაპიზონში ქართული დასის გამარჯვებას ნიშნავდა.

წყარო: ჟამთააღმწერელი, - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**ბექა II ჯაყელი** (გ.1391), სამცხის გამგებელი, ათაბაგი 1361-91 (ვახუშტის მიხედვით), *ყვარყვარე I-ის* უფროსი ძე. 1334 *გიორგი V* ბრწყინვალემ შემოიერთა სამცხე და ამ დროიდან მის მმართველებს, რომლებიც ათაბაგის საპატიო ტიტულს ატარებდნენ, საქართველოს მეფეები ნიშნავდნენ. *თემურლენგის* პირველი შემოსევის დროს ბ.ჯ. განუდგა საქართველოს მეფე *ბაგრატ V-ს* და მტერს დანებდა. ვახუშტი წერს: „ათაბაგმან ბექამ იხილა რა ძლიერება თემურისა, შეუშინდა, ურა-ჰყო მეფე თჳსი და მივიდა თემურის წინაშე“.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966.

**ბექა III ჯაყელი**, იგივე საფარ-ფაშა (გ. 1635), სამცხის ათაბაგი 1625-35, *ქაიხოსრო II* ათაბაგის ვაჟი. თავისი პოლიტიკური კურსით ორიენტირებული იყო ოსმალეთის იმპერიაზე. ათაბაგობის დასაუფლებლად სტამბულში სულთანთან გამოცხადდა, გამაჰმადიანდა და 1625 საფარ-ფაშას სახელით ათაბაგობა მიიღო. ბ.ჯ.-ის საგარეო პოლიტიკურმა კურსმაც განაპირობა, რომ შემდეგი გამგებლები ახალციხის ფაშებად იწოდებოდნენ. გათურქების პროცესიც მისი გამგებლობის პერიოდიდან ძლიერდება.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

**„ბეჭედი ყაენისა“**, ქართული ისტორიული წყაროებით, მონგოლები მოლაპარაკებების დროს მეორე მხარესთან შეთანხმების შემთხვევაში გარკვეული გარანტიების ნიშნად იძლეოდნენ: „ბ.ყ.-ისა“, „პირი სიმტკიცისა“, „სიმტკიცე უვნებლობისა“, „ფიცი და აღქმა ურთიერთას“ და სხვ.

წყარო: ჟამთააღმწერელი. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

**ბიაკნაბატოს ხელშეკრულება 1897** (შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტის შესახებ ესპანეთსა და ფილიპინებს შორის). ხელი მოაწერეს 18.X მანილაში (ხელმოწერას წინ უძღოდა მოლაპარაკება პატარა ქალაქ ბიაკნაბატოში). ფორმალურად დაასრულა ფილიპინების რევოლუციის პირველი ეტაპი. ბ.ხ-ის თავისებურება იყო ესპანეთის მიერ ხელშეკრულების დადება რევოლუციურ მთავრობასთან, რომელსაც ოფიციალური ესპანეთი არ ცნობდა. ბ.ხ-ით ესპანეთს ფულადი კომპენსაცია უნდა გადაეხადა ფილიპინების რევოლუციის დროს დაზარალებულთათვის. მაგრამ შემდეგში ესპანეთის მთავრობამ არ შეასრულა ბ.ხ-ის პირობები.

**ბიდო (Bidault)** ჟორჟ ოგიუსტენ (1899-1983), ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1943-44 – წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს მეთაური; 1944-48 და 1953-54 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1946 და 1949-50 – პრემიერ-მინისტრი; 1950-52 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე; 1951-52 – თავდაცვის მინისტრი; 1945-62 – ეროვნული კრების დეპუტატი. 1959-62 – აღმასრულებელი ბიუროს – „საფრანგეთის ალჟირის გაერთიანებისათვის“ პრეზიდენტი. 1962 ბრალი დასდეს „სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ“ შეთქმულებაში. 1963 საზღვარგარეთ გაიქცა. 1968 ამნისტიის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა.

**ბიზანტია-საქართველოს საზავო შეთანხმება 1023**, დაიდო ბიზანტიის იმპერატორ *ბასილი II-სა* და საქართველოს მეფე *გიორგი I-ს* შორის. შირიმთან 1021 დამარცხების შემდეგ საქართველოს მეფემ საზავო მოლაპარაკება დაიწყო ტრაპიზონში დაბანაკებულ ბიზანტიის იმპერატორთან. გიორგი I ყოველნაირად ცდილობდა მოლაპარაკება გაეჭიანურებინა და ხელსაყრელ ვითარებაში თავად დაეწყო შეტევა. სწორედ ამ დროს ბიზანტიაში ბასილი II-ის წინააღმდეგ დაიწყო აჯანყება, რომელშიც ქართველი აზნაურებიც მონაწილეობდნენ და ზოგის ცნობით, ამაში თვით გიორგის ხელიც ერია. საქართველოს მეფემ ისარგებლა ამ აჯანყებით და ომის სამზადისი დაიწყო. ამასობაში ბიზანტიაში აჯანყება დამარცხდა და ბასილი II-მ აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის, ფოკას თავი გიორგი I-ს გამოუგზავნა. საქართველოს სამეფო იძულებული გახდა, 1023 მძიმე საზავო პირობებს დათანხმებოდა. ბიზანტიამ დაიკავა ყველა ის ციხე, რომელიც მანამდე პირობით თუ ძალით ჰქონდა დაჭერილი. მძევლად წაიყვანეს გიორგი I-ის შვილი 3 წლის ბაგრატი. ბასილი II-მ, მემატიანის ცნობით, „რომელნიმე ამა ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცა გიორგი მეფესა“. ამ საზავო შეთანხმებამ საქართველოს ერთხანს მშვიდობა მოუტანა.

წყარო: მატიანე ქართლისა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**ბიზანტია-საქართველოს საზავო შეთანხმება 1031**, იხ. *კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულება 1030-1031*.

**ბიზანტია-საქართველოს შეთანხმება 1056**, დაიდო ბიზანტიის იმპერატორ *ბასილი II-სა* და საქართველოს მეფე *ბაგრატ IV-ს* შორის. საქართველო ფორმალურად აღიარებდა ბიზანტიის უზენაესობას, სამაგიეროდ, კონსტანტინოპოლს უნდა შეეწყვიტა *ლიპარიტ ბაღვაშისადმი* დახმარება. ლიპარიტ ბაღვაში სიცოცხლის ბოლომდე უნდა ყოფილიყო მესხეთის პატრონი, ამასთან, მას საქართველოს მეფის უზენაესობაც უნდა ეცნო. იმპერატორის ჩარევით მოხერხდა ლიპარიტისა და ბაგრატ IV-ის შერიგებაც.

წყარო: გიორგი კედრენე, ისტორიული მიმოხილვა. - წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 5, თბ., 1963; მატიანე ქართლისა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

**ბიკონსფილდი ბ.**, იხ. *დიზრაელი ბ.*

**„ბილდერბერგის კლუბი“**, წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების სამრეწველო და ფინანსური წრეების წარმომადგენელთა, გავლენიან სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღ-

ვაწეთა ჯგუფი. „ბ.კ"-ის პირველი სხდომა, რომელიც სრული საიდუმლოების პირობებში ჩატარდა, მოეწყო 1954 წლის 29-31.I სასტუმრო „ბილდერბერგში", ოსტერბეკის (ნიდერლანდები) მახლობლად. „ბ.კ"-ის თათბირებზე იხილება პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური საკითხები, მუშავდება ღონისძიებები მსოფლიოში წამყვანი პოზიციების შესანარჩუნებლად. კლუბის ხელმძღვანელი კომიტეტი შედგება 25-30 კაცისაგან. იგი „ბ.კ"-ში თანამშრომლობისათვის იწვევს პირებს, რომელთა მონაწილეობაც თათბირში, დღის წესრიგიდან გამომდინარე, სასურველია.

„ბ.კ." თვალსაჩინო გავლენას ახდენს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. მრავალი მისი წარმომადგენელი შედის *„სამმხრივ კომისიაში"*.

**ბიმი (Beam)** ჯეკობ დაინლი (1908-74), აშშ-ის დიპლომატი. 1931-34 მუშაობდა აშშ-ის საკონსულოში ჟენევაში, 1934-40 – აშშ-ის საელჩოში გერმანიაში; 1941-45 – დიდ ბრიტანეთში. 1945-47 – აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის პოლიტიკური მრჩევლის მოადგილე გერმანიაში; 1947-49 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალური ევროპის განყოფილების გამგე; 1949 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე გერმანიისა და ავსტრიის საკითხებში; 1949-51 – აშშ-ის საელჩოს მრჩეველი ინდონეზიაში და იმავდროულად კონსული ჯაკარტაში. 1951-52 – აშშ-ის საელჩოს მრჩეველი იუგოსლავიაში; 1952-53 – სსრკ-ში აშშ-ის საელჩოს მრჩეველი-დესპანი; 1953-57 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე; 1957-61 – ელჩი პოლონეთში; წარმოადგენდა აშშ-ს *ჩინეთ-აშშ-ის მოლაპარაკებაზე* ვარშავაში, 1962-66 – აშშ-ის *შეიარაღებასა და განიარაღებაზე კონტროლის სააგენტოს* დირექტორის მოადგილე; 1966-68 – ელჩი ჩეხოსლოვაკიაში, 1969-73 – ელჩი სსრკ-ში. 1974 – რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპის" საბჭოს თავმჯდომარე.

**ბიორკის ხელშეკრულება 1905**, რუსეთ-გერმანიის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელსაც გერმანიის ინიციატივით ხელი მოეწერა *ნიკოლოზ II-ისა* და *ვილჰელმ II-ის* შეხვედრის დროს 11(24).VII ბიორკში, ვიბორგის მახლობლად. გერმანიის მზარდი იზოლაციით შეშფოთებულმა ვილჰელმ II-მ გადაწყვიტა ესარგებლა რუსეთის უკმაყოფილებით დიდი ბრიტანეთის მიერ რუსეთ-იაპონიის ომში დაკავებული პოზიციის გამო და აეძულებინა მეფე, დაეღო მასთან კავშირი. ვინაიდან არსებობდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირი, ფორმალურად დგებოდა საკითხი მისი რუსეთ-გერმანია-საფრანგეთის კავშირად გარდასაქმნელად. შეხვედრამ ბიორკში, მეფის იახტა „პოლარული ვარსკვლავის" გემბანზე გაამართლა ვილჰელმ II-ის იმედები. ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა ბ.ხ-ს, რომელიც შეიცავდა რუსეთისა და გერმანიის ვალდებულებას ევროპაში ურთიერთდახმარების შესახებ, თუკი რომელიმე მათგანს თავს დაესხმოდა სხვა რომელიმე ევროპული ქვეყანა. ორივე ქვეყანა ვალდებულებას კისრულობდა „არ დაედოთ სეპარატული ზავი არც ერთ საერთო მტერ სახელმწიფოსთან". ბ.ხ. ძალაში უნდა შესულიყო რუსეთსა და იაპონიას შორის ზავის დადებისთანავე, რის შემდეგაც რუსეთს საფრანგეთისათვის უნდა გაეცნო ხელშეკრულება და აეძულებინა იგი, რომ შეერთებოდა მას როგორც მოკავშირე.

ხელშეკრულება აშკარად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ინტერესებს, რადგან ინგლის-რუსეთის ომის შემთხვევაში სამხედრო მოქმედებები განვითარდებოდა აზიაში, სადაც გერმანია არ იყო ვალდებული დახმარებოდა რუსეთს. მთავარი კი ის იყო, რომ საფრანგეთი უეჭველად იტყოდა უარს ხელშეკრულებასთან მიერთებაზე. ასეთ შემთხვევაში ბ.ხ-ით გათვალისწინებული რუსეთის ვალდებულებები სრულ წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებებით და 1893 წლის დეკემბერში დადებული სამხედრო კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებთან. ამიტომაც ბ.ხ-მ რუსეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ვ.ნ. ლამზდორფის, ს.ი. *ვიტეს* და სხვათა ზეგავლენით ნიკოლოზ II-მ წერილი მისწერა ვილჰელმ II-ს, რომლითაც აცნობა, რომ მათ შორის დადებული ხელშეკრულება შევა ძალაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას საფრანგეთი შეუერთდებაო. ფაქტობრივად ეს ნიშნავდა ბ.ხ-ის გაუქმებას.

*ლიტ.:* Сборник договоров России с другими государствами, 1856-1917, [M], 1952, с.335-36.

**ბიპატრიდი, ბ ი პ ო ლ ი დ ი**, პირი, რომელსაც ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობა აქვს. ორმაგი მოქალაქეობა წარმოიშობა მოქალაქეობის შესახებ სახელმწიფოთა კანონმდებლობის სხვადასხვაობის შედეგად. ორმაგ მოქალაქეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე მშობლების ბავშვის დაბადების დროს, ნატურალიზაციის დროს და ა. შ.

ორმაგი მოქალაქეობა იწვევს მთელ რიგ სირთულეებს პიროვნების მიერ თავისი უფლება-მოვალეობის განხორციელების პროცესში ამა თუ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში. პრაქტიკაში გავრცელებულია სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ხელშეკრულებების დადება ორმაგი მოქალაქეობის დროს წამოჭრილი პრობლემების მოწესრიგების მიზნით.

არ არსებობს ბიპატრიზმის მომწესრიგებელი რაიმე ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, მაგრამ გავრცელებული პრაქტიკის თანახმად ყოველი ბ., უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია იმ სახელმწიფოს წინაშე, სადაც ის ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად ბ. ითვლება იმ სახელმწიფოს მოქალაქედ, „სადაც ის სარგებლობდა თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით".

**ბიპოლარულობა პ ო ლ ი ტ ი კ ა შ ი**, *„ძალთა ბალანსის"* პოლიტიკის ერთ-ერთი ვარიანტი, როცა ამ სისტემაში შემავალი ერთეულები ერთიანდებიან ძალის ორი ძირითადი ცენტრის გარშემო, რომლებმაც მოახდინეს ძალის ან მისი უმნიშვნელოვანესი განზომილებების მონოპოლიზება (მაგალითად, ბირთვული იარაღის). ურთიერთობა ორ ბანაკს შორის ხასიათდება კონფრონტაციით, კონკურენციითა და იდეოლოგიური ორთაბრძოლით. გადაწყვეტილებები ომისა და მშვიდობისადმი დამოკიდებულების შესახებ შედის ორი ზემძლავრი სახელმწიფო-პოლუსის გადაწყვეტილებების სფეროში.

ბ. როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სპეციფიკური ფორმა, ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ძალის ძირითად ცენტრებად იქცა ორი ზემძლავრი სახელმწიფო – აშშ და სსრკ, რომელთა გარშე-

მოც შეიქმნა მოკავშირე და სატელიტ სახელმწიფოთა დაჯგუფებები. იმის გამო, რომ შეიქმნა კოლოსალური სხვაობა ორ ზემძლავრ სახელმწიფოსა და დანარჩენ სახელმწიფოთა პოტენციებს შორის, ამ უკანასკნელებმა დაკარგეს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლება. ახალ პირობებში ისინი ცდილობდნენ ეპოვათ დაცვა და შეენარჩუნებინათ ბალანსი იმ ზემძლავრი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ, რომელთანაც ისინი იდეოლოგიურად ყველაზე ახლოს იდგნენ. ამან ხელი შეუწყო ორი ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის – *ჩრდილოეთატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის* (ნატო) და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის – ჩამოყალიბებას. მათ შორის ბალანსის შენარჩუნებას და დამყარებას ხელს უწყობდა ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების არსებობა.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და სსრკ-ის ფაქტობრივად დაშლის შემდეგ ბ-ის სქემამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მის ნაცვლად შეიქმნა „მულტიპოლარულობის" შესახებ შეხედულებანი, რომლის მიხედვითაც დეიდეოლოგიზაციამ, სახელმწიფოთა შორის მკაცრი დამოკიდებულების გაქრობამ (რაც ახასიათებდა იდეოლოგიურად ერთგვაროვან სახელმწიფოთა კავშირს თავის „ცენტრთან"), ეკონომიკური განვითარების უთანაბრობამ გამოიწვია სამი, ოთხი და ხუთი „ძალის პოლუსის" შექმნაც კი (რუსეთი, აშშ, ჩინეთი, იაპონია, დასავლეთი ევროპა), აგრეთვე მრავალი რეგიონული და სუბრეგიონული ცენტრის შექმნა.

**ბირენბაუმი** (Birenbaum) ბარუხ (დ.1948), ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებში.

1960 ბირენბაუმების ოჯახი სსრკ-დან ისრაელში გადასახლდა. 1962-67 ბ. სწავლობდა შაარ ჰაამაკიმის უმაღლეს სასწავლებელში. 1968-71 მსახურობდა ისრაელის სამხედრო ძალებში, შემდეგ იყო ისრაელის ღია უნივერსიტეტის გამოკვლევებისა და განვითარების ცენტრის კოორდინატორი. 1978-80 სწავლობდა იერუსალიმის უნივერსიტეტში. 1991 დაიცვა სადოქტორო ხარისხი. 1989-დან დღემდე არის ისრაელის პოლიციის არქივის უფროსის თანაშემწე. 1993 წლის 1.07 დაინიშნა ელჩად საქართველოში. ფლობს ებრაულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, არაბულ, ლათინურ ენებს, იდიშს.

**ბირთვული განიარაღება**, ბირთვული შეიარაღების სფეროში ამ შეიარაღებათა შეზღუდვისა და *განიარაღების* ღონისძიებათა ერთობლიობა. ატომური იარაღის გაჩენიდან დღემდე კაცობრიობა თანამიმდევრულად გამოდის ბირთვული იარაღის აკრძალვისა და განადგურებისათვის, ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის. პირველად ეს საკითხი დაისვა 1946 წლის 19.VI *გაეროს კომისიაში ატომური ენერგიის დარგში*, როცა სსრკ-მა მოითხოვა ატომური იარაღის წარმოების და გამოყენების აკრძალვა და მისი მარაგის მოსპობა, თუმცა თვითონაც გამალებულ მუშაობას ეწეოდა ამ იარაღის შესაქმნელად. ვინაიდან აშშ-მა იცოდა ამ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ, მან უარყო შემოთავაზებული წინადადება. შემდეგში ბ.გ-ის პრობლემა არაერთხელ იქნა განხილული გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე, კერძოდ, 1953 გაეროს გენერალური ასამბლეის VIII სესიამ განიხილა რეზოლუციის პროექტი, რომელიც მოითხოვდა მასობრივი განადგურების იარაღის, მათ შორის ატომური და წყალბადის იარაღის უპირობოდ მოსპობას, 1967 გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განსახილველად შეტანილი იყო ბირთვული იარაღის აკრძალვის კონვენციის დადების საკითხი.

60-70-იან წლებში დაიდო მთელი რიგი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, რომლებმაც გარკვეული შემაკავებელი გავლენა მოახდინა გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაზე, რომელსაც აშშ-ისა და სსრკ-ის მეთაურობით აწარმოებდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია და *ჩრდილოეთატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო)*. ამ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს მიეკუთვნება *სსრკ-აშშ-ის შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ; 1963 ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ; 1968 ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ; 1971 ხელშეკრულება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ბირთვული იარაღის და მასობრივი განადგურების სხვა საშუალებების განლაგების აკრძალვის შესახებ* და ა.შ.

80-იანი წლებიდან, როცა სსრკ-აშშ-ის დაპირისპირებამ გამალებული შეიარაღების სფეროში კულმინაციას მიაღწია, ბ.გ-ის პრობლემა მთელი სიმწვავით დაისვა. 1982 საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად იკისრა ვალდებულება, რომ პირველი არ გამოიყენებდა ბირთვულ იარაღს.

ბ.გ-ის გზაზე მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა. ამ თვალსაზრისით მეტად სასარგებლო იყო *1974 ხელშეკრულება სსრკ-სა და აშშ-ს შორის ბირთვული იარაღის მიწისქვეშ გამოცდის შეზღუდვის შესახებ* და *1976 სსრკ-აშშ-ის ხელშეკრულება მშვიდობიანი მიზნებით მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებების შესახებ*. 1977-80 წლებში მიმდინარეობდა *სსრკ-აშშ-ინგლისის მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდის სრულად და საყოველთაოდ აკრძალვის შესახებ*, რომელიც ჩაიშალა. ბირთვული იარაღის გამოცდის სრულად და საყოველთაოდ აკრძალვის საკითხი განიხილეს აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის XXXVII სესიაზეც. დაწყებული 1985 წლის 6.VIII-დან, საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა ნებისმიერი ბირთვული აფეთქებები და მოუწოდა აშშ-ს, მიებაძა მისთვის. შემდეგში ეს მორატორიუმი საბჭოთა კავშირმა გააგრძელა რამდენჯერმე, მაგრამ უნდობლობის ყინული აშშ-სა და სსრკ-ს შორის მაინც არ დნებოდა.

მსოფლიო საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა წინადადებებს უბირთვო ზონების, როგორც გამალებული შეიარაღების შეჩერების ერთ-ერთი საშუალების შესახებ. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ბირთვული სახელმწიფოების მხრიდან, რომლებმაც იკისრეს ვალდებულება, პატივი ეცათ ლათინურ ამერიკაში უბირთვო ზონის სტატუსისათვის (იხ. *ხელშეკრულება ლათინურ ამერიკაში ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ* (ტლატელოლკოს ხელშეკრულება) და მისი 1967 I და II დამატებითი ოქმები). ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნის შესახებ მოძრაობები დაიწყო აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ ევროპასა და ბალკანეთზე. წამოყენებულ იქნა წინადადება – შექმნილიყო ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონა

იმ ხაზის ორივე მხარეს, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას. 1982 გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა ბირთვულ სახელმწიფოებს, რომ მათ არ განელაგებინათ ბირთვული იარაღი იმ ქვეყნების ტერიტორიებზე, სადაც იგი იმ მომენტისათვის არ იმყოფებოდა, აგრეთვე თავი შეეკავებინათ იმ ღონისძიებებისაგან, რომლებიც ითვალისწინებდნენ სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განლაგებას და ხარისხობრივად გაეყინათ ბირთვული იარაღი ერთ ადგილზე.

1985 წლის მარტში ჟენევაში დაიწყო *სსრკ–აშშ-ის მოლაპარაკებები ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ*. მოლაპარაკების საგანს წარმოადგენდა საკითხთა კომპლექსი, რომლებიც შეეხებოდა კოსმოსურსა და ბირთვულ იარაღს – მათ სტრატეგიულ და საშუალო რადიუსზე მოქმედ ნაირსახეობებს. მოლაპარაკების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, არ დაეშვათ შეიარაღების გადატანა კოსმოსში და შეეწყვიტათ გამაღლებული შეიარაღება დედამიწაზე. ამ მოლაპარაკების ძირითადი მიზნები ერთხელ კიდევ დადასტურდა ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრაზე რ. *რეიგანსა* და მ. *გორბაჩოვს* შორის 1985 წლის ნოემბერში.

ბ.ზ-თვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მ.ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15.I განცხადებას, სადაც წამოყენებული იყო 2000-მდე ბირთვული იარაღის ეტაპობრივი, სრული და საყოველთაო მოსპობის პროგრამა.

**ბირთვული იარაღის აკრძალვა**, იხ. *ბირთვული განიარაღება*.

**ბირთვული იარაღის არამქონე ქვეყნების უშიშროების გარანტიები**, საერთაშორისო სამართლებრივი ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ბირთვული იარაღის გამოყენების თავიდან ასაცილებლად იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებსაც იგი არ გააჩნია და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის განსამტკიცებლად.

1968 სსრკ-მა, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში გააკეთეს სპეციალური განცხადება, რომლითაც დასტურდებოდა მათი განზრახვა, მიეღწიათ სასწრაფო დაუყოვნებელი მოქმედებისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა ბირთვული იარაღით აგრესიის ან აგრესიის მუქარის ობიექტ ბირთვული იარაღის არამქონე ქვეყანას მხარდაჭერით (ე.წ. „პოზიტიური გარანტიები"). ეს განცხადება მოიწონა უშიშროების საბჭომ 1968 წლის 19.VI მიღებულ 255-ე რეზოლუციით. ამ დოკუმენტებმა საფუძველი ჩაუყარა იმ სახელმწიფოთა უშიშროების გარანტიას, რომლებსაც არ გააჩნდათ ბირთვული იარაღი და შეუერთდნენ *ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ* (1968), აგრეთვე იმ ქვეყნებისაც, რომლებიც პირობას დებდნენ, რომ არ შექმნიდნენ ან არ შეიძენდნენ ბირთვულ იარაღს.

**ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა**, იხ. *ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968*.

**ბირთვული კლუბი**, იხ. *ლონდონის კლუბი*.

**ბირთვული ომის დაგმობა**, *ბირთვული ომის თავიდან აცილების* ერთ-ერთი ღონისძიება. ბ.ო.დ-ის შესახებ წინადადება და შესაბამისი დეკლარაციის პროექტი წამოაყენა გაეროს გენერალური ასამბლეის XXXVIII სესიაზე 1983 სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. *გრომიკომ* თავის წერილში გაეროს გენერალური მდივნის – ხ. *პერეს დე კუელიარისადმი*.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ბ.ო.დ-ის შესახებ ერთსულოვნად მიღებულ დეკლარაციაში (დოკ. 38/75) მტკიცედ, უსიტყვოდ და სამუდამოდაა დაგმობილი ბირთვული ომი, რომელიც ეწინააღმდეგება კაცობრიობის სინდისსა და გონებას, რადგანაც წარმოადგენს უსაშინლეს დანაშაულს ხალხების წინაშე და არის ადამიანთა უპირველესი უფლების – სიცოცხლის უფლების – დარღვევა. დეკლარაცია გმობს იმ პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინების შემუშავებას, გავრცელებასა და პროპაგანდას, რომლებიც ამტკიცებენ ბირთვული იარაღის გამოყენების „სამართლიანობას" და „დასაშვებად" მიაჩნიათ ბირთვული ომი.

**ბირთვული ომის თავიდან აცილება**, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი *გლობალური პრობლემა*, რომელიც წარმოიშვა ბირთვული იარაღის გაჩენასთან ერთად. ამ საკითხის აქტუალობა მკვეთრად გაიზარდა 80-იან წლებში, როცა სამხედრო უპირატესობის მოპოვების მიზნით სსრკ-მა და აშშ-მა დაიწყეს ბირთვული იარაღის უპრეცედენტო ზრდა, პირველ ყოვლისა – სტრატეგიული ბირთვული იარაღის წარმოება და მისი კოსმოსში გადატანის მცდელობა. დედამიწაზე დაგროვდა ბირთვული იარაღის ისეთი რაოდენობა, რომ მცირე ბირთვული აფეთქებაც კი (რაც დაადასტურა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ) მთელ მსოფლიოს უდიდესი კატასტროფით დაემუქრებოდა. ასეთ საფრთხეზე და მისი აღკვეთის საჭირო ღონისძიებებზე პირველად მითითებულ იქნა განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ გაეროს გენერალური ასამბლეის პირველ სპეციალურ სესიაზე 1978.

ბ.ო.თ.ა-ის პირველ და აუცილებელ ღონისძიებად ითვლება *ბირთვული განიარაღება*. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბ.ო.თ.ა-ის სახელშეკრულებო და მორალურ-პოლიტიკურ გარანტიებს. სწორედ ასეთი გარანტიების შექმნას ემსახურებოდა 1973 დადებული *სსრკ–აშშ-ის შეთანხმება ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ*, გაეროს *1981 დეკლარაცია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების*, 1983 დეკლარაცია ბირთვული ომის დაგმობის შესახებ და ა.შ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გაეროს გენერალური ასამბლეის XXXVII და XXXVIII სესიების მიერ მიღებულ რეზოლუციებს, რომლებიც შეიცავდა მოწოდებას ბირთვული ქვეყნების მიმართ, რომ პირველებს არ გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ბირთვული საფრთხის შესამცირებლად.

80-იან წლებში ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენეს მიუმხრობელმა ქვეყნებმა. მათი ინიციატივით გაერომაც დააყალა განიარაღების კონფერენციას, მოეწყო მოლაპარაკებები ბ.ო.თ.ა-ის პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავების შესახებ. ინდოეთმაც მოითხოვა ყველა ბირთვული სახელმწიფოს მონაწილეობით კონვენციის დადება ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

მნიშვნელოვანი იყო ბ.ო.თ.ა-ის გზაზე საბჭოთა კავშირის მიერ 1985 წლის 6.VIII ჟენევაში დაწყებული სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებები ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ.

**ბირკინის ელჩობა 1587-88,** რუსეთის სახელმწიფოს პირველი ოფიციალური ელჩობა კახეთის სამეფოში. ელჩობაში შედიოდნენ როდიონ ბირკინი და პეტრე პივოვი. მათ ახლდათ პოდიაჩი სტეფანე პოლუხანოვი და 50 მეთოფე (სტრელეცი). ბ.ე-ის მიზანი იყო, გაერკვიათ მფარველობა-ხელდებულობის ხასიათი, შეესწავლათ გზები, თერგის ციხის გარნიზონის შენახვის პირობები და ბოლოს *ალექსანდრე II* კახთა მეფისათვის მიეღებინებინათ რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი, რომლის ტექსტი მოსკოვში იყო შედგენილი. 1587 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ელჩები კახეთში იყვნენ. მოლაპარაკება დაიწყო 28.VIII და ერთ თვეს გაგრძელდა. ძირითად პრობლემებზე მხარეები შედარებით სწრაფად შეთანხმდნენ. გარკვეული სიძნელეები გამოიწვია თერგის ციხის გარნიზონის სურსათით მომარაგების საკითხმა. რუსეთის მხარე დათანხმდა თვითონ ეკისრა ციხის მომარაგება ასტრახანიდან. სამაგიეროდ კახთა მეფეს მოსაკითხის სახით მფარველისათვის ყოველწლიურად უნდა გაეგზავნა ორმოცდაათი ყიზილბაშური ოქრონემსული ფარჩა და ათი ოქროქსოვილი ხალიჩა. ალექსანდრე II თხოულობდა ირანული ნაწარმის ადგილობრივი საქონლით – ცხენებითა და აბრეშუმით შეცვლას, რასაც რუსეთის მხარე დაეთანხმა. მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1587 წლის 28 სექტემბერს, ალექსანდრე კახთა მეფემ თავისი შვილებითა და დარბაისლებით მოსკოვის ხელმწიფის ერთგულების „ფიცის წიგნი" მიიღო, რომელიც შემდეგ ძირითად პირობებს შეიცავდა: 1. ალექსანდრე მეფემ რუსეთის ხელმწიფესთან თევდორე ივანეს ძესთან თავისი ელჩები გაგზავნა თხოვნით, რათა ხელმწიფეს კახეთი მფარველობაში მიეღო და დაეცვა ყველა მტრისაგან. 2. ხელმწიფემ შეიწყალა კახთა მეფე, მფარველობის ხელი დასდო მას და მისი ქვეყნის დაცვა თავის სარდლებს უბრძანა. 3. ალექსანდრე მეფე და მისი შვილები მკვიდრად იქნებიან თევდორე მეფისა და შვილების ხელქვეშ. 4. ალექსანდრე და მისი შვილები არასოდეს მიემხრობიან ხელმწიფის მტრებს. 5. ალექსანდრე მეფე ხელმწიფის მეგობარს თავის მეგობრად, მტერს კი თავის მტრად მიიჩნევს. 6. ალექსანდრე ყოველწლიურ მოსაკითხს გაუგზავნის რუსეთის ხელმწიფეს. „ფიცის წიგნი" იყო პირველი ოფიციალური ხელშეკრულება რუსეთსა და კახეთის სამეფოს შორის. რუსეთის მთავრობამ „ფიცის წიგნის" ტექსტი იმდაგვარად შეადგინა, რომ საქართველოს საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფოთა თვალში ხელშეკრულების დადების ინიციატორად კახეთის სამეფო გამოჩენილიყო და არა რუსეთი. 1588 წლის გაზაფხულზე ელჩობა კახეთიდან გაემგზავრა და 13.X მოსკოვს დაბრუნდა.

*ლიტ.*: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. მიჯნაზე. – მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.4, თბ., 1967.

**ბირმა-იაპონიის სამშვიდობო ხელშეკრულება 1954,** ხელი მოაწერეს 5.XI რანგუნში. ძალაში შევიდა 1955 წლის 17.IV. ხელშეკრულებით გაფორმდა საომარი მდგომარეობის შეწყვეტა ბირმასა და იაპონიას შორის. ორივე მხარე „მტკიცე სამუდამო ზავსა და მეგობრობას" აცხადებდა. ბ.-ი.ს.ხ-ის ძირითადი მუხლები არეგულირებდნენ რეპარაციების გადახდის და ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებს. იაპონია თანხმდებოდა ბირმისათვის (რეპარაციების ანგარიშში) მიეწოდებინა 200 მლნ დოლარის საქონელი 10 წლის განმავლობაში (ბირმა ითხოვდა 400 მლნ დოლარს). გარდა ამისა, ამავე პერიოდში იაპონიას ბირმისათვის უნდა მიეწოდებინა 50 მლნ დოლარის ოდენობის საქონელი და მომსახურება, რაც ძირითადად გამოიხატებოდა ბირმა-იაპონიის ერთობლივი საწარმოების შექმნით. ბ.-ი.ს.ხ-ში ბირმის მოთხოვნით შეიტანეს მუხლი, რომლის თანახმადაც, მას შემდეგ, რაც იაპონია ყველა ქვეყანასთან მოაგვარებდა რეპარაციების საკითხს, მხარეები კვლავ უნდა დაბრუნებოდნენ მას.

*ლიტ.*: В а с и л ь е в В.Ф., Внешняя политика Бирмы. М., 1963, с.70-73.

**ბირმა-ინდოეთის ხელშეკრულება და შეთანხმება,** 1. 1951 ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, ხელი მოაწერეს 7.VII რანგუნში 5 წლის ვადით, რომელიც ავტომატურად უნდა გაგრძელებულიყო კიდევ 5 წლით, თუკი ერთ-ერთი მხარე არ მოახდენდა მის დენონსირებას. ხელშეკრულებით ორივე მხარე ცნობდა და პატივს სცემდა ერთმანეთის დამოუკიდებლობას, უფლებებს და განავითარებდა გულითად თანამშრომლობას საყოველთაო მშვიდობისა და ურღვევი მეგობრობის პირობებში. მხარეები შეთანხმდნენ – დაეწყოთ მოლაპარაკება შეთანხმების დასადებად ვაჭრობის, კულტურული ურთიერთობების, კავშირგაბმულობის, იმიგრაციის და მოქალაქეთა რეპატრიაციის, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

2. 1967 შეთანხმება საზღვრის შესახებ, ხელი მოაწერეს 10.III. რანგუნში. რატიფიცირებულ იქნა 30.V. შეიცავდა საზღვრის აღწერას ბირმასა და ინდოეთს შორის. პირობითად დარჩა მხოლოდ საზღვრის ჩრდილოეთი დაბოლოება მის საბოლოო დემარკაციამდე. ბირმის მხარის განცხადებით, საზღვრის ჩრდილოეთი დაბოლოების პირობითობა განპირობებული იყო იმით, რომ არ არსებობდა შესაბამისი შეთანხმება ინდოეთსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ამ რეგიონში საზღვრის დადგენის თაობაზე. დემარკაციის გარეშე დარჩა ბირმა-ინდოეთ-ჩინეთის საერთო საზღვრების ჩრდილოეთი შესაყარი. შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებდა შერეული სასაზღვრო კომისიის შექმნას, რომელიც ჩაატარებდა მთელი ბირმა-ინდოეთის საზღვრის გასწვრივ სადემარკაციო სამუშაოებს.

**ბირნსი (Byrnes)** ჯეიმზ ფრანსის (1879-1972), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1911-15 – წარმომადგენელთა პალატის წევრი, 1930-41 – სენატორი; 1941-42 – უმაღლესი სასამართლოს წევრი; 1942-43 – ეკონომიკური სტაბილიზაციის სამმართველოს დირექტორი; 1943-45 – სამხედრო მობილიზაციის სამმართველოს დირექტორი. 1945-47 – სახელმწიფო მდივანი; 1951-55 – სამხრეთ კაროლინის შტატის გუბერნატორი.

**ბისვასი (Biswas)** აბდურ-რაჰმან (დ. 1926), ბანგლადეშის პრეზიდენტი. 1991 ქვეყანაში სამხედრო დიქტატურის 16-წლიანი ბატონობის შემდეგ ჩატარებულ არჩევნებში გაიმარჯვა ბანგლადეშის ნაციონალისტურმა პარტიამ, რომლის ლიდერი ბ. ქვეყნის პარლამენტმა 1991 წლის 8.X პრეზიდენტად აირჩია.

**ბისმარკი (Bismarck)** ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ შენჰაუზენი (Schönhausen) (1815-98), თავადი, გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1851-59 – პრუსიის წარმომადგენელი ბუნდესტაგში, გერმანიის კავშირისა – მაინის-ფრანკფურტში. 1859-62 – პრუსიის ელჩი რუსეთში; 1862 – ელჩი საფრანგეთში; 1862-67 – პრუსიის მინისტრ-პრეზი-

დენტი (პრემიერ-მინისტრი) და საგარეო საქმეთა მინისტრი. დაამთავრა გერმანიის გაერთიანება პრუსიის ჰეგემონობით. ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის შექმნის შემდეგ (1867-71) – ბუნდესკანცლერი, ხოლო საფრანგეთ-პრუსიის ომის დამთავრების შემდეგ. 1871-90 – გერმანიის იმპერიის რაიხსკანცლერი. იყო *სამი იმპერატორის კავშირის*, 1879 – ავსტრია-უნგრეთთან კავშირის შექმნის, ხოლო – 1882 *„სამთა კავშირის“* ინიციატორი.

**ბიუკენენი** (Buchanan) ჯორჯ უილიამ (1854-1924), ინგლისელი დიპლომატი. 1876-1904 ეკავა სხვადასხვა დიპლომატიური თანამდებობები. 1904-08 – ელჩი ბულგარეთში, 1910-18 – რუსეთში, 1919-21 – იტალიაში.

**ბიულოვი** ფონ (Bülow) ბერნჰარდ ჰაინრიხ მარტინ (1849-1929), თავადი, გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1874-დან მუშაობდა გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ევროპის სახელმწიფოებში. 1884-88 – გერმანიის რუსეთის საელჩოს მრჩეველი. 1888-93 – ელჩი რუმინეთში, 1893 – იტალიაში. 1897-1900 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საიმპერიო სტატს-მდივანი, 1900-09 – გერმანიის რაიხსკანცლერი და პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი. 1909 გადადგა. 1914-15 – ელჩი იტალიაში.

**ბიუნო-ვარილია** (Bunau-Varilla) ფილიპ ჟან (1859-1940), ფრანგი ინჟინერი. რამდენიმე წელიწადი იყო პანამის არხის მშენებლობის მთავარი ინჟინერი. აქტიური მონაწილობა მიიღო „პანამის რევოლუციაში“ და პანამის კოლუმბიისაგან გამოყოფის საქმეში. ხელი მოაწერა როგორც ახალჩამოყალიბებული პანამის რესპუბლიკის წარმომადგენელმა *ამერიკა-პანამის ხელშეკრულებების არხის თაობაზე 1903*. საფრანგეთში დაბრუნდა 1904.

**ბიშოფი** (Bischoff) ნორბერტ (1894-1960), ავსტრიელი დიპლომატი. 1928-30 – საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი. 1930-33 – ავსტრიის საელჩოს მრჩეველი თურქეთში. მსახურობდა ავსტრიის საელჩოში საფრანგეთში. 1953-59 – ელჩი სსრკ-ში.

**ბლეფი** (ინგლ. bluff – ტყუილი, დაშინება), ხშირად პიროვნების ქცევასთან (მათ შორის პოლიტიკურთან) დაკავშირებული ცნება, შემოტანილი პოკერის თამაშის პრაქტიკიდან. აღნიშნავს უსაფუძვლო ტრაბახს, რაიმეს შეთხზვას ვისიმე მოტყუების ან თავის განდიდების მიზნით. ხშირად იხმარება პოლიტიკურ ლექსიკონში, მაგრამ ჩვეულებრივი მეტაფორული აზრით. ამასთან ერთად, არიან პოლიტოლოგები და პოლიტიკური ფრაქციების სპეციალისტები, რომლებიც სპეციალურად ამუშავებენ ბ-ის სტრატეგიას, როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალებას. ტყუილის ან პროვოკაციისაგან განსხვავებით ბ. ხასიათდება საკუთარ სიმართლეში დიდი თავდაჯერებულობით. ჩვეულებრივ პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინი „ბლეფი“ ხშირად იხმარება საძრახისი ხასიათის პოლიტიკური აქციების აღსანიშნავად.

**ბლიქსი** (Blix) ჰანს (დ.1928), ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური დირექტორი.

დაამთავრა უპსალის (შვეცია) უნივერსიტეტი. სწავლობდა კემბრიჯის, კოლუმბიის (აშშ) და სტოკჰოლმის უნივერსიტეტებში. სამართლისა და ფილოსოფიის დოქტორი. 1962-63 და 1971-76 – შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტი საერთაშორისო სამართლის საკითხებში. 1963-71 – შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი. 1976-78 და 1979-81 – საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი. 1978.X–1979.IX – შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1981 წლის ნოემბრიდან *ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს* (მაგატე) გენერალური დირექტორი.

**ბლოკადა**, საერთაშორისო სამართალში ძირითადად აღინიშნება როგორც საბრძოლო მოქმედების განსაკუთრებული ფორმა, როცა ხდება ბლოკირებული ობიექტის იზოლაცია მისი გარეშე კავშირების მოსპობის გზით. ბ. შეიძლება იყოს სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია საზღვაო ბლოკადა, რაც გულისხმობს მეომარი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ მოწინააღმდეგის პორტებისა და მთლიანად საზღვაო ნაპირის იზოლირებას, საზღვაო კომუნიკაციების მოშლას. საზღვაო ბ-ის წარმოების წესები დაფიქსირდა 1856 დეკლარაციაში საზღვაო ომის სამართლის შესახებ. ლონდონის დეკლარაციის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ ბ. შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პორტების და საზღვაო ნაპირების წინააღმდეგ, რომლებიც მოწინააღმდეგეს ეკუთვნის ან მის მიერ არის დაკავებული.

გაეროს წესდების 42-ე მუხლის თანახმად, გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია გამოიყენოს ბ., როგორც სანქცია აგრესორის წინააღმდეგ ან საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობის აღდგენის, ან შენარჩუნების მიზნით.

ბ. შეიძლება განხორციელებულ იქნეს ქვეყნის ეკონომიკური ან პოლიტიკური იზოლაციის სხვადასხვა საშუალებებით.

**ბლოკი პოლიტიკური**, გაერთიანება საერთო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. იგი შეიძლება იყოს სახელმწიფოთა შორის ერთობლივი საქმიანობის შესახებ, პოლიტიკურ პარტიათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის. პარლამენტში პარტიული ფრაქციები ქმნიან ბლოკებს რაიმე კანონის მისაღებად ან უარსაყოფად.

**ბოაში** (Boas) მანუელ პეიხოტო დე ვილაშ დე კასკონსელოშ ფარია (დ. 1931), პორტუგალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

დაამთავრა ლისაბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1954 – საელჩოს ატაშე საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1959 – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პორტუგალიის საელჩოს მესამე მდივანი, შემდგომ მეორე მდივანი, ხოლო 1962-63 – საქმეთა რწმუნებული. 1964 – დიდ ბრიტანეთში პორტუგალიის საელჩოს პირველი მდივანი, შემდგომ მრჩეველი. 1969 – საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის, აზიისა და ოკეანეთის განყოფილების უფროსი. 1972 – გენერალური კონსული მილანში. 1974 – საგარეო საქმეთა სამინისტროში სრულუფლებიანი დესპანი. 1974 – საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორის თანაშემწე. 1977 – ამავე დეპარტამენტის გენერალური დირექტორი. 1979 – ბრიუსელში პორტუგალიის მუდმივი წარმომადგენელი ნატოს შტაბ-ბინაში. 1984-89 – პორტუგალიის ელჩი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. 1989-93 – პორტუგალიის ელჩი პეკინში. 1993-დან – პორტუგალიის ელჩი მოსკოვში. 1995 წლის ივლისიდან – ელჩი საქართველოში.

**ბოგომოლოვი** ალექსანდრე ეფრემის ძე (1900-69), საბჭოთა დიპლომატი. 1939-40 – სსრკ საგარეო საქმეთა სახელმწიფო კომისარიატის I დას. განყოფილების გამგე; 1940-41 – ჯერ მრჩეველი, შემდეგ მუდმივი წარმომადგენელი საფრანგეთში. 1941-43 – სსრკ-ის წარმომადგენელი ლონდონში. 1943-44 – სსრკ-ის წარმომადგენელი საფრანგეთის განთავისუფლების კომიტეტში. 1944-50 – სსრკ-ის ელჩი საფრანგეთში. 1950-52 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1952-54 – ელჩი ჩეხოსლოვაკიაში; 1954-57 – ელჩი იტალიაში; 1957-62 – საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი. 1962-დან პენსიაშია. გარკვეული მონაწილეობა მიიღო მენშევიკური მთავრობის მიერ საქართველოდან გატანილი საგანძურის უკან დაბრუნების (1945) საქმეში.

**ბოგომოლოვი** დიმიტრი ვასილის ძე (1890-1937), საბჭოთა დიპლომატი.

დიპლომატიურ სამუშაოზე იმყოფებოდა 1920-დან. 1920-22 – რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ინფორმბიუროს გამგე ოდესაში, უსსრ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე ხარკოვში, უსსრ-ის წარმომადგენლობის მდივანი მოსკოვში; 1922-23 – უსსრ-ის სრულუფლებიან წარმომადგენლობათა პირველი მდივანი ავსტრიასა და გერმანიაში, ხოლო 1924-27 – სსრკ-ის სრულუფლებიან წარმომადგენლობათა პირველი მდივანი ავსტრიასა და დიდ ბრიტანეთში; 1927-29 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში; 1929-32 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი დიდ ბრიტანეთში; 1933-37 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში.

**ბოგოტის დეკლარაცია 1973**, მიიღეს 16.XI ბოგოტაში (კოლუმბია) ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომლის მიზანი იყო ერთიანი პოზიციების გამომუშავება აშშ-თან მოსალოდნელი მოლაპარაკების დროს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰ. *კისინჯერის* მიერ წამოყენებული „ახალი დიალოგის" ჩარჩოებში (იხ. *ტლატელოლკოს დეკლარაცია 1974*).

ბ.დ. შეიცავდა მოთხოვნებს ვაჭრობისა და ფინანსების შესახებ მთელი რიგი შეთანხმებების გადასინჯვის, მსოფლიო სავალუტო სისტემის მოწესრიგებაში ლათინურ-ამერიკულ სახელმწიფოთა მონაწილეობის, კონტინენტის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის, ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის მათთვის მისაღები პირობების საფუძველზე თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიის მიწოდების, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის მიზნით უცხოური კომპანიების მიერ ეკონომიკური ზემოქმედების დაუშვებლობის, პანამის არხის საკითხში პანამისათვის მხარდაჭერის, ამერიკათაშორისო ურთიერთობების გადასინჯვის და მთელი რიგი სხვა საკითხების შესახებ.

ბ.დ-ში არ შევიდა ანტიკუბური სანქციების გაუქმების და „იდეოლოგიური პლურალიზმის" კონცეფციის საკითხები. ეს უკანასკნელი უფლებას აძლევდა ნებისმიერ ქვეყანას, თვითონ აერჩია ქვეყნის შიგნით პოლიტიკური რეჟიმი და დაემყარებინა ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან მათში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების მიუხედავად.

პუბლ.: Keesing's Contemporary Archives.1973. Vol. 19, p. 26255.

**ბოგოტის კონფერენცია 1948** (მე-9 ამერიკათაშორისო კონფერენცია), ჩატარდა კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში 30.IV – 1.VI. მასში მონაწილეობდა აშშ-ის და ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფო ნიკარაგუას გარდა.

ბ.კ-მ მიიღო *ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის* წესდება, რითაც დამთავრდა ამერიკის სახელმწიფოთა რეგიონული სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების შექმნა. ამის გარდა ბ.კ-მ მიიღო „დეკლარაცია ამერიკაში დემოკრატიის შენარჩუნებისა და დაცვის შესახებ", რომელიც ამერიკის ყველა სახელმწიფოს ავალდებულებდა, ერთმანეთისათვის ინფორმაციის მიწოდებას დასავლეთ ნახევარსფეროში „კომუნისტური საქმიანობის" და კომუნისტური საშიშროების წინააღმდეგ საბრძოლველად, ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ჩარევის შესახებ.

ბ.კ-მ მოიწონა ხელშეკრულება ამერიკის სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის შესახებ (ე.წ. ბოგოტის პაქტი).

განიხილეს აგრეთვე ამერიკის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები, რომლის დროსაც აშშ-მა „თანაბარი შესაძლებლობის პრინციპების" ნიღბით შეძლო თავისი კორპორაციებისათვის ლათინური ამერიკის ეკონომიკაში უპირატესობის უზრუნველყოფა. ბ.კ-ზე ხელმოწერილი ეკონომიკური შეთანხმება არ ზღუდავდა ამ ქვეყნების ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობას.

პუბლ.: Ninth International Conference of American States. - "The Department of State Bulletin", 1948, May, vol. 18.

ლიტ.: Гвоздарев Б.И., Организация американских государств, М., 1960.

**ბოდენი (Boden)** დიტერ (დ.1940), გერმანელი დიპლომატი, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში.

დაამთავრა მიუნსტერისა და ჰამბურგის უნივერსიტეტები ფილოლოგიისა და პოლიტოლოგიის სპეციალობით. მეცნიერებათა დოქტორი. დიპლომატიურ სამსახურშია 1968-დან. 1968-72 მუშაობდა გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატში, 1972-77 – გერმანიის გენერალურ საკონსულოში ლენინგრადში; 1977-79 – გფრ-ის საელჩოში მადაგასკარის რესპუბლიკაში; 1979-83 – გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატში; 1983-85 – გფრ-ის საელჩოში იტალიაში. 1985-87 კვლავ საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატშია. 1987-89 სპეციალური მივლინებით მუშაობდა გფრ-ის ბუნდესტაგში სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ჯგუფში. 1989-92 – გფრ-ის დელეგაციის წევრი ვენის მოლაპარაკებებზე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების თაობაზე. 1992-95 ხელმძღვანელობდა გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს განიარაღებისა და ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლის დაწესების სანქციას. 1995 წლის 1.VI დაინიშნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლად საქართველოში.

**ბოდენი** ჟან (1530-96), ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნე, იურისტი, ბუნებითი სამართლის თეორეტიკოსი. ბ. პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელმაც XVI ს. მეორე ნახევარში ჩამოაყალიბა სუვერენიტეტის მეცნიერული განმარტება და მისი როგორც პოლიტიკურ-

სამართლებრივი პრინციპის ცნება, განუყოფლად დაუკავშირა იგი სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობისა და უმაღლესობის პრინციპებს.

1566 ლათინურ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი „ისტორიის შემეცნების გაიოლების მეთოდი". საერთო სამართლის ფილოსოფიურ და ისტორიულ აზრს ხედავდა მუდმივი სამართლიანობის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა აქვე ფორმულირებული იყო იდეები, რომლებმაც შემდეგ ასახვა ჰპოვეს ბ-ის მთავარ ნაშრომში „ექვსი წიგნი რესპუბლიკაზე" (1576). აქ პირველად ჩამოაყალიბა სუვერენიტეტის კლასიკური განმარტება და სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციის თეორიული პრინციპები. ბ. უარყოფს რა მონარქის ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობას, ასაბუთებს კონსტიტუციური მონარქიის იდეას და სახელმწიფო სუვერენიტეტის განუყოფლობის პრინციპს. ამასთან, სუვერენიტეტის უმნიშვნელოვანეს და ერთადერთ ნიშნად ასახელებს საკანონმდებლო ფუნქციის ფლობას.

საინტერესოა, რომ ნაშრომში „რესპუბლიკა" მას ჩამოყალიბებული აქვს მონარქის აბსოლუტური ხელისუფლების შეზღუდვის 3 შემთხვევა: 1. როცა მონარქი არღვევს ბუნებით და ღვთაებრივ კანონებს, 2. უმატებს გადასახადს თანხმობის გარეშე და 3. უარს განაცხადებს საერთაშორისო შეთანხმების შესრულებაზე.

ბ. დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ გამოდიოდა და არ ცნობდა მაკიაველის მიერ აღიარებულ პოლიტიკური ამორალურობის პრინციპებს.

ლიტ.: Baudrillant N., Jean Bodin et son temps. Tableau des théories politiques et des idées économiques au seizième siècle, Paris, 1853; Franklin J., Jean Bodin and the Sexteenth Century Revolution in the Methodology of Land History, N.Y.-L., 1963; King P., The Ideology of Order. A Comparative Analysis of Jean Bodin and Thomas Hobbes, L., 1974.

**ბოიკოტი**, საერთაშორისო ურთიერთობაში ნიშნავს სახელმწიფოს მიერ სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა ჯგუფთან ამა თუ იმ ურთიერთობის დამყარებაზე ან ურთიერთობაზე უარისთქმას. გაეროს წესდება ითვალისწინებს ბ-ის განხორციელების შესაძლებლობას როგორც მშვიდობის დასაცავ ერთ-ერთ ღონისძიებას, რომელიც არ იქნება შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან დაკავშირებული (იხ. *გაეროს წესდებით* გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები). ბ. შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს როგორც რეპრესალია.

**ბოლენი** (Bohlen) ჩარლზ იუსტის (1904-74), აშშ-ის დიპლომატი. 1929-31 მუშაობდა აშშ-ის საელჩოში ჩეხოსლოვაკიაში; 1931-34 – საფრანგეთში; 1934-36 – სსრკ-ში; 1937-40, 1943-44, 1941-42 – იაპონიაში. 1936-37, 1942-43 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტშია. 1944 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა განყოფილების გამგე; 1944-46 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე; 1946-47 და 1959-62 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე. 1947-49 და 1951-53 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი; 1949-51 – აშშ-ის საფრანგეთის საელჩოს მრჩეველ-წარმომადგენელი; 1953-57 – ელჩი სსრკ-ში; 1957-59 – ფილიპინებში; 1962-67 – საფრანგეთში; 1968-69 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში. 1969 სამსახურიდან გადადგა.

**ბოლივარ-ი-პალასიოსი** (Bolivar y Palacios) სიმონ ხოსე ანტონიო (1783-1830), სამხრეთ ამერიკაში ესპანეთის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1819 გამოაცხადა რა რესპუბლიკა დიდი კოლუმბიის შექმნა (მის შემადგენლობაში შედიოდნენ ახალი გრანადა (კოლუმბია), ვენესუელა და ეკვადორი), გახდა მისი პრეზიდენტი. 1825 სათავეში ჩაუდგა ზემო პერუში შექმნილ სახელმწიფოს, რომელსაც მის პატივსაცემად ბოლივია ეწოდა. კოლუმბიის მიერ პერუსთან, მექსიკასთან, ცენტრალურ ამერიკასა და რიო-დე-ლა-პლატის აუზის გაერთიანებულ პროვინციებთან სამოკავშირეო ხელშეკრულებების დადების შემდეგ მოამზადა და 1826 მოიწვია პანამის კონგრესი. მაგრამ მისი ცდები, ესპანური ამერიკა გაეერთიანებინა კონფედერაციის ან ფედერაციულ საფუძველზე, მარცხით დამთავრდა. სეპარატისტული გამოსვლების შედეგად მისი ძალაუფლება დაემხო პერუსა და ბოლივიაში. 1830 წლის მაისში გადაწყვიტა ევროპაში გამგზავრება, მაგრამ ავადმყოფობის გამო შეფერხდა და მალე (დეკემბერში) გარდაიცვალა.

**ბოლკიახი მუიზადდინ ვადდაულაჰი** მუდა ჰასანალი (დ.1946), ბრუნეი-დარუსალამის სასულთნოს სულთანი, პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი.

დაამთავრა ინსტიტუტი „ვიქტორია", კუალა-ლუმპურში (მალაიზია) და სანდჰერსტის (დიდი ბრიტანეთი) სამეფო სამხედრო აკადემია. 1964-დან – მემკვიდრე პრინცი. 5.X. 1967 – გამოცხადდა სულთნად; 1.VIII.1968 – მოეწყო კორონაცია. 1984-დან არის პრემიერ-მინისტრი, ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი. მისი ძმა მოჰამედ ბოლკიახი არის საგარეო საქმეთა მინისტრი. ამერიკული ჟურნალის „ფორჩუნის" მონაცემებით, ითვლება მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანად (25 მლრდ დოლარი).

**ბომბოკო** (Bomhoko) ლაკუმბა (ჟიუსტენ მარი) (დ. 1928), ზაირის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1960-63 და 1965-69 – კონგოს (ლეოპოლდვილი) საგარეო საქმეთა მინისტრი, 1966-71 – კონგოს (კინშასა, 1971 – ზაირი) საგარეო საქმეთა მინისტრი. მონაწილეობდა *ბელგია-კონგოს 1960 შეთანხმების* შემუშავებაში. 1963-65 – იუსტიციის მინისტრი, 1967-69 – საგარეო ვაჭრობის მინისტრი. 1969-70 – აშშ-ში კონგოს (კინშასა) ელჩი. 1977-დან – პარტია რევოლუციის სახალხო მოძრაობის პოლიტბიუროს წევრი. 1980 – ამ პარტიის ცკ-ის წევრი. 1981 – ჯერ საგარეო საქმეთა პირველი სახელმწიფო კომისრის მოადგილე, შემდეგ ზაირის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სახელმწიფო კომისარი.

**ბონე** (Bonnet) ჟორჟ ეტიენ (1889-1973), ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1925-დან იყო: ფინანსთა, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და მრეწველობის, ფოსტის, საზოგადოებრივ სამუშაოთა, ვაჭრობის მინისტრი. 1936-37 – ელჩი აშშ-ში. 1937-დან – ფინანსთა და ეროვნული ეკონომიკის მინისტრი; 1938 – სახელმწიფო მინისტრი; 1938-39 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1939-40 – იუსტიციის; 1956-68 – ეროვნული კრების დეპუტატი.

**ბორგ ოლივიე** (Borg Olivier) ჯორჯიო (1911-80), მალტის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1950 – საზოგადოებრივ სამუშაოთა და რეკონსტრუქციისა და გა-

ნათლების მინისტრი. 1950-55 და 1962-71 – პრემიერ-მინისტრი. ერთდროულად 1950-51 – იუსტიციის, 1950-55 – საზოგადოებრივ სამუშაოთა და რეკონსტრუქციის, 1962-71 – ეკონომიკური დაგეგმარებისა და ფინანსთა მინისტრი. 1965-72 – საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი. 1950-76 – ეროვნული პარტიის ლიდერი, 1955-58 და 1971-76 – ოპოზიციის ლიდერი.

**ბორენა**, საქართველოს დედოფალი XI ს-ში, *ბაგრატ IV-ის* მეორე ცოლი, ოვსთა მეფე ურდურეს ასული. ბაგრატმა შეირთო *ელენე* დედოფლის გარდაცვალების შემდეგ. ჩრდილოეთის მეზობელთან ქართველი მეფის დამოყვრება გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ოვსთა მეფის სახით იგი იძენდა ძლიერ მოკავშირეს, რომელიც გამოადგებოდა ბიზანტიასთან ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში. გარდა ამისა, ბაგრატ IV ახდენდა თავისი ნახევარძმის – *დემეტრე უფლისწულის* (*გიორგი I-ისა* და ოვსთა მეფის ასულის – *ალდეს* ვაჟის) ნეიტრალიზებასაც, რომელსაც, შესაძლებელია, მხარში ამოდგომოდნენ ოვსი თანამოძმენი ტახტისთვის ატეხილ ბრძოლაში.

*წყარო*: მატიანე ქართლისა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

*ლიტ.*: თ ო გ ო შ ვ ი ლ ი გ., საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნემდე), სტალინირი, 1958.

**ბორის გოდუნოვი** (დაახლ. 1552-1605), რუსეთის მეფე (1598-1605), ძველ მოსკოველ აზნაურთა გვარის წარმომადგენელი. დაახლოებით 1570 ბ.გ-მა ცოლად შეირთო მალიუტა სკურატოვის ასული და მისი წყალობით აღმოჩნდა სამეფო კარზე. დაახლოებით 1574 ბ.გ-ის და ცოლად მოიყვანა უფლისწულმა თედორემ. 1580 ბ.გ-მა ბოიარობა მიიღო. მალე, თედორეს გამეფების (1584) შემდეგ, ბ.გ. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი გახდა (1587). გვიანდელი წყაროების თანახმად, მოაკვლევინა *ივანე IV-ის* უმცროსი ვაჟი დიმიტრი. უშვილო თედორეს გარდაცვალების შემდეგ (1598) საერო კრებამ ბ.გ. მეფედ აირჩია. მისი მმართველობის წლებში სამეფომ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. იგი აგრძელებდა ივანე მრისხანის პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ. ებრძოდა მსხვილ ბოიარებს. ამასთან იცავდა ფეოდალთა კლასის ძირითადი ნაწილის – საშუალო და წვრილი აზნაურობის ინტერესებს: ურიგებდა მათ ბოიართა და ეკლესიისათვის ჩამორთმეულ მიწებს, კიდევ უფრო შეზღუდა გლეხობის უფლებები. ცდილობდა, რუსეთში ევროპული განათლება შეეტანა. უცხოეთში გზავნიდა ახალგაზრდებს, იწვევდა სპეციალისტებს. შვედებთან ომის (1590-93) შედეგად დაიბრუნა ლივონიის ომის დროს დაკარგული მიწები. ატარებდა ანტიოსმალურ პოლიტიკას. მნიშვნელოვნად განამტკიცა პოზიციები კავკასიაში, რაც კახეთის სამეფოსთან მჭიდრო კავშირს ემყარებოდა. 1585 კახეთს ეწვია ბ.გ-ის მოხელე დანილოვი. ალექსანდრე II კახთა მეფემ პასუხად ელჩები გაგზავნა მოსკოვს. 1587 დაიდო მოსკოვ-კახეთის მფარველობითი ხელშეკრულება. რუსეთის მთავრობამ თერგსა და ყოისუზე ციხეებიააგო, ხოლო 1592, 1594, 1604 რუსეთის ჯარი, ხელშეკრულებისა და კახეთის მეფეთა თხოვნის თანახმად, დაღესტნელთა წინააღმდეგ იბრძოდა. ბ.გ-ის მმართველობის დროს გამწვავდა კლასობრივი წინააღმდეგობანი, რასაც გლეხთა აჯანყებები მოჰყვა. ბ.გ. უეცრად გარდაიცვალა ცრუ დიმიტრი I-თან ბრძოლის პერიოდში. მეფედ აირჩიეს მისი მცირეწლოვანი შვილი თედორე, რომელიც 1605 წლის 1 ივნისს მოსკოვის აჯანყების დროს მოკლეს.

*ლიტ.*: ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967; История СССР. С древнейших времен до наших дней. Сер. 1, т. 2, М., 1966.

**ბოსნიის კრიზისები**, საერთაშორისო კრიზისები XIX ს. მიწურულსა და XX ს. დასაწყისში.

1. 1875-78 კრიზისი აღმოცენდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში თურქთა ბატონობის წინააღმდეგ სახალხო აჯანყების (1875-76) დროს. რუსეთის მთავრობას სურდა დახმარებოდა აჯანყებულებს, მაგრამ არ უნდოდა საქმე ომამდე მისულიყო. ამიტომ ავსტრია-უნგრეთს წინადადება შესთავაზა მოეთხოვათ თურქეთისათვის, რომ მიეცა ავტონომია აჯანყებული პროვინციებისათვის. ავსტრია-უნგრეთმა ეს მოთხოვნა ადმინისტრაციული რეფორმის პროექტით შეცვალა, რომელიც თურქეთს გადაეცა პარიზის კონგრესის (1856) მონაწილე ყველა ქვეყნის სახელით. თურქეთმა პროექტი მიიღო, მაგრამ აჯანყებულები ამას არ დათანხმდნენ. 1876 წლის მაისში ბერლინში რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა შეიმუშავეს ახალი პროექტი – *ბერლინის მემორანდუმი*. ინგლისის წინააღმდეგობამ და სახელმწიფო გადატრიალებამ თურქეთში ხელი შეუშალეს ბერლინის მემორანდუმის ხორცშესხმას. 1876 რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის *რაიხშტატის შეთანხმება* და *კონსტანტინოპოლის კონფერენცია* ბ.კ-ის დიპლომატიური გზით გადაწყვეტის მიზნით უნაყოფო გამოდგა. თურქეთმა უარყო კონფერენციის წინადადებანი. 1877 დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც დამთავრდა *სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით* (1778) და რომელიც შემდეგ *ბერლინის კონგრესზე* (1878) გადაისინჯა, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ავსტრია-უნგრეთის ჯარები შევიდნენ.

2. 1908-09 კრიზისი აღმოცენდა იმასთან დაკავშირებით, რომ ავსტრია-უნგრეთმა 1908 წლის 7.X ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია გამოაცხადა (რომლებიც ფორმალურად თურქეთის ოტომანთა იმპერიაში შედიოდნენ). თურქეთმა პროტესტი განაცხადა, მაგრამ დიდ სახელმწიფოთა მხარდაჭერა რომ არ გააჩნდა და ამასთან შინაგანი წინააღმდეგობანი ჰქონდა, 1909 წლის 26.II ავსტრია-უნგრეთთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც აღიარა ანექსია. განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი ბ.კ-მა სერბიისა და ავსტრია-უნგრეთის კონფლიქტის დროს. სერბიამ, რომელიც ბოსნიასა და ჰერცეგოვინას თვლიდა მომავალი სამხრეთსლავური სახელმწიფოს ნაწილად, პროტესტი განაცხადა ამ მიწების ავსტრია-უნგრეთის მიერ ანექსიის გამო. სერბიამ დახმარებისათვის რუსეთს მიმართა, რომელმაც მხარი დაუჭირა ბერლინის ტრაქტატის მონაწილე ქვეყნების კონფერენციის მოწვევას. ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის წინააღმდეგობისა და მათთან საფრანგეთის მხარდაჭერის შედეგად კონფერენცია არ ჩატარდა. ბ.კ. შემდეგში პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების ერთ-ერთი ეტაპი გახდა.

*ქრეს.*: К л ю ч н и к о в Ю.В., С а б а н и н А.В., Международная политика..., ч. 1, М., 1925, с.340-42.

**ბოსნია-ჰერცეგოვინის კრიზისი 1992-95**, აღმოცენდა 1992 წლის აპრილში, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ევროგაერთიანების მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის შედეგად. ბოსნიელმა სერბებმა, რომლებიც ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლად გა-

მოცხადების მომენტისათვის მოსახლეობის 32%-ს შეადგენდნენ. შეუძლებლად ჩათვალეს ისეთ სახელმწიფოში ცხოვრება, სადაც მუსლიმანების დომინირებას (ქვეყნის მოსახლეობის 42%) ექნებოდა ადგილი. ბოსნიელმა სერბებმა 1992 წლის 7.IV ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე შექმნეს თავისი სახელწიფო „სერბული კრაინა". მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა სერბიის პრეზიდენტის ს. მილოშევიჩის ლოზუნგმა „ყველა სერბი – ერთ სახელმწიფოში", რასაც შემდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები მოჰყვა კრაინელ სერბებსა და ბოსნიელ მუსლიმანებს შორის. ბოსნია-ჰერცეგოვინის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრებმა ხორვატებმა (ქვეყნის მოსახლეობის 17%) შექმნეს თავისი მონონაციონალური ხორვატული სახელმწიფო 1992 წლის 3 ივლისს და დაეყრდნენ ხორვატიის დახმარებას. კონფლიქტის საწყის ეტაპზე ბოსნიელ სერბებთან და ხორვატებთან მუსლიმანებმა ვერ შეძლეს ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა და თავის დაცვა, რის შედეგადაც 2,8 მლნ ბოსნიელი მუსლიმანი ლტოლვილად იქცა, ბრძოლებში დაახლოებით 200 ათასი კაცი დაიღუპა. მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა მას შემდეგ, რაც 1992 წლის მარტიდან გაეროს სამშვიდობო ძალებმა შეძლეს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოსთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენა და მოსახლეობის სურსათითა და მედიკამენტებით მომარაგება. გაეროსა და ევროგაერთიანების მცდელობებმა (იხ. *ვენს-ოუენის სამშვიდობო გეგმა, ოუენ-სტოლტენბერგის გეგმა, საკონტაქტო ჯგუფის გეგმა*) ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო მხარეთა ურთიერთგამომრიცხავი პოზიციების გამო.

**ბჟეზინსკი** (Brzezinski) ზბიგნევ (დ.1928), მეცნიერ-პოლიტოლოგი, აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე.

1953-60 ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ჰარვარდის უნივერსიტეტეტში (რუსული კვლევის ცენტრში და იმავდროულად, 1956-60 საერთაშორისო პრობლემების ცენტრში). 1960 კოლუმბიის უნივერსიტეტშია (ნიუ-იორკი). 1962-77 – პროფესორი, იმავდროულად – კომუნიზმის პრობლემების ინსტიტუტის დირექტორი, 1962-დან – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კონსულტანტი, 1966-68 – სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკური დაგეგმარების საბჭოს წევრი, 1973-76 – სამმხრივი კომისიის დირექტორი. 1977-81 – აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე ნაციონალური უშიშროების დარგში, აშშ-ის ნაციონალური უშიშროების საბჭოს წევრი. 1981 – კომპანია „დინ, უიტერ, რეინოლდს ინკ."-ის კონსულტანტი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის (ქ. ვაშინგტონი) სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრის უფროსი მრჩეველი. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი.

**ბრავო** (Bravo) ლეოპოლდო (დ. 1919), არგენტინელი დიპლომატი.

1947-52 – სსრკ-ში არგენტინის საელჩოს მრჩეველი, სსრკ-ში არგენტინის საქმეთა დროებითი რწმუნებული, ერთდროულად 1948-52 – არგენტინის დესპანი რუმინეთსა და ბულგარეთში. 1952-55 და 1976-81 – არგენტინის ელჩი სსრკ-ში, 1981 – ელჩი იტალიაში, 1982 – სან-ხუანის პროვინციის გუბერნატორი.

**ბრაზაუსკასი** ალგირდას-მიკოლას კაზის ძე (დ. 1932), ლიტვის სახელმწიფო მოღვაწე, 1993-დან – პრეზიდენტი.

1956 დაამთავრა კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1974). 1959-დან – სკკპ წევრი. 1956-65 მუშაობდა სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებზე სამმართველოს უფროსად, სამშენებლო ქარხნის დირექტორად. 1962-65 – ლიტვის სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო მასალების მრეწველობის სამმართველოს უფროსი. 1967 – სამშენებლო მასალების მრეწველობის მინისტრი. 1967-77 – ლიტვის სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. 1977-88 – ლიტვის კომუნისტური პარტიის ცკ-ის მდივანი. 1988-91 – ცკ-ის პირველი მდივანი, ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ვ.ლანდსბერგისის მთავრობის ოპოზიციაში იყო. 1993 პირველი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გახდა რესპუბლიკის პრეზიდენტი.

**ბრაიან-ჩამოროს ხელშეკრულება 1914**, ხელი მოაწერეს 5.VIII ვაშინგტონში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა უ.ჯ. ბრაიანმა და ვაშინგტონში ნიკარაგუას დესპანმა ე. ჩამორომ, როცა აშშ-ის საოკუპაციო ჯარის ნაწილები, ე.წ. „აშშ-ის მისიის დამცველები" იმყოფებოდნენ ნიკარაგუას ტერიტორიაზე. ამ ხელშეკრულებით, 3 მლნ დოლარის ფასად, ნიკარაგუას მთავრობამ „განუსაზღვრელი ვადით" აშშ-ს მისცა ნიკარაგუას ტერიტორიაზე ოკეანეთაშორის დამაკავშირებელი არხის გაყვანისა და მისი ექსპლუატაციის უფლება. აგრეთვე 99 წლით დაუთმო სანდეაო ჩაზა ფონსეკას ყურეში და კუნძულები გრეით-კორნი და ლიტლ-კორნი კარიბის ზღვაში. 99 წლის გასვლის შემდეგ აშშ-ს ჰქონდა ხელშეკრულების გაგრძელების უფლება იმავე ვადით. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიებზე მყარდებოდა აშშ-ის სუვერენიტეტი. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1916 წლის 22.VI.

ბ-ჩ.ხ. ხელყოფდა ნიკარაგუას დამოუკიდებლობას და იმავე დროს საფრთხეს უქმნიდა ცენტრალური ამერიკის სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და უფლებებს. ამის გამო სალვადორმა და კოსტა-რიკამ საპროტესტო საჩივარი შეიტანეს ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკათა ტრიბუნალში. ტრიბუნალის მიერ 1917 მიღებულ დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ დაირღვა სალვადორისა და კოსტა-რიკის უფლებები, მაგრამ მან ვერ გააუქმა ხელშეკრულება, რადგან მისი მონაწილე ერთ-ერთი მხარე (აშშ) წარმოადგენდა სახელმწიფოს, რომელზედაც ტრიბუნალის კომპეტენცია არ ვრცელდებოდა. ამგვარად ბ-ჩ.ხ. ძალაში დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა ვერ გაიყვანა არხი ნიკარაგუას ტერიტორიაზე, ბ-ჩ.ხ-ით მის ხელში რჩებოდა როგორც ცენტრალურ ამერიკაში ექსპანსიონისტური პოლიტიკის იარაღი. ხელშეკრულება ორივე მხარის მიერ ანულირებულ იქნა 1970.

*ლიტ.:* De Martens G.F., Nouveau recueil général de traités... Sér.III, t 9, p.350.

**ბრანდტი** (Brandt) ვილი [ნამდვ. გვარი და სახელი ფრამი (Frahm) ჰერბერტ ერნსტ კარლ] (1913-93), გფრ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1933-45 იმყოფებოდა ემიგრაციაში ნორვეგიაში, 1940-45 მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1955-57 – დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო 1957-66 – დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრი. 1964-დან გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე 1966-69 – გფრ-ის ვიცე-კანცლერი და საგარეო საქმეთა მინისტრი, 1969-74 – გფრ-ის ფედერალური კანცლერი. გამოდიოდა დაძაბულობის შენელების პოლიტიკის მომხრედ სსრკ-სა

და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების მოთხოვნით. აქტიურად მონაწილეობდა *სსრკ-გფრ-ის 1970 ხელშეკრულების*, გდრ-გფრ-ის 1972 ხელშეკრულების, *ჩსსრ-გფრ-ის 1973 ხელშეკრულების* დადებაში. 1976 – სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე, 1977 – საერთაშორისო განვითარების დამოუკიდებელი კომისიის („ბრანდტის კომისია“) თავმჯდომარე; 1979-84 – ევროპის პარლამენტის წევრი.

მშვიდობის დაცვის საქმეში ნობელის პრემიის ლაურეატი (1971).

**ბრაუნი** (Brown) კენტ (დ. 1944), ამერიკელი დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1967-დან. 1966 დაამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტი. 1967-69 – აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი პანამაში. 1969-70 – აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი ესპანეთში. 1970-73 – პრაღაში აშშ-ის საელჩოს საკონსულო და პოლიტიკური განყოფილების თანამშრომელი. 1973-82 აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტშია სხვადასხვა თანამდებობებზე. 1983-84 სწავლობდა რომში, ნატოს თავდაცვის კოლეჯში. 1984-88 – ვენაში *ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების შემცირების თაობაზე მოლაპარაკებაში* მონაწილე აშშ-ის დელეგაციის პოლიტიკური მრჩეველი. 1988-90 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის განყოფილების გამგე. 1990-92 – ბელგიაში ნატოს გაერთიანებული ჯარების სარდლის პოლიტიკური მრჩეველი. 1992-95 – აშშ-ის ელჩი საქართველოში.

**ბრეგოლატ-ი-ობიოლსი** (Bregolat-y-Obiols) ეუხენიო (დ.1943), ესპანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

დაამთავრა ბარსელონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დიპლომატიურ სამსახურშია 1971-დან. 1971-74 მუშაობდა ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატში. 1974 იმყოფებოდა ესპანეთის სავაჭრო მისიის მრჩევლად მოსკოვში. 1974-78 – ესპანეთის საელჩოს პირველი მდივანი სსრკ-ში. 1978-82 – ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში საერთაშორისო დეპარტამენტის დირექტორი. 1982-87 – ესპანეთის ელჩი ინდონეზიაში, 1987-91 – ელჩი ჩინეთში, 1991-92 – ელჩი კანადაში. 1992-დან – ესპანეთის ელჩი რუსეთში, 1992 წლის ივლისიდან, შეთავსებით – ესპანეთის ელჩი საქართველოში.

**ბრეინ-დრეინი** (ინგლ. brain – ტვინი და drein – დრენაჟი, გადინება), „ტვინის გადინება“, ე.ი. ცხოვრების დაბალი დონის მქონე ქვეყნების სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარულ-კულტურული საქმიანობის სფეროდან მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების წასვლა, გადასვლა იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების მაღალი დონეა.

**ბრენტანო** (Brentano) ჰაინრიხ ფონ (1904-64), გფრ-ის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.1945-49 – ჰესენის მიწის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ადმასკომის წევრი, 1948-49 – ჰესენის მიწის საბჭოში ქრისტიანულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი, 1946-დან – ქ-დ.კ-ის ადმასკომის წევრი, 1948-49 – საპარლამენტო საბჭოს წევრი. მონაწილეობდა გფრ-ის კონსტიტუციის შექმნაში. 1949 –ბუნდესტაგის დეპუტატი. 1949-55 და 1961-64 – ქ-დ.კ. – ქ-ს.კ. ფრაქციის ლიდერი. 1950-55 – *ევროპის საბჭოს* საკონსულტაციო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1952-55 – *ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების* გენერალური ასამბლეის წევრი. 1955-61 – გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი. გამოდიოდა მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვის მოთხოვნებით.

**ბრეჟნევი** ლეონიდ ილიას ძე (1906-82), საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. 1937-დან პარტიულ სამუშაოზეა. 1946-47, 1947-50 – ზაპოროჟიესა და დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი. 1950-52 – მოლდავეთის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი. 1952-53 – სკკპ ცკ-ის მდივანი. 1953-54 – საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამმართველოს პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე. 1954-56 – ყაზახეთის კომპარტიის ცკ-ის მეორე, პირველი მდივანი. 1960-64 – სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. 1964-66 – სკკპ ცკ-ის პირველი მდივანი. 1966 – სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი. 1977-დან ერთდროულად – სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი (1976), სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1977).

**ბრეჟნევის დოქტრინა**, საბჭოთა კავშირის საგარეო და სამხედრო-პოლიტიკურ შეხედულებათა სისტემა, კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა სსრკ-ის ჩარევას აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ქვეყნების საშინაო საქმეებში.

**ბრესტ-ლიტოვსკის (ბრესტის) საზავო ხელშეკრულება 1918**, ხელი მოაწერეს 3.III ბრესტ-ლიტოვსკში (ბრესტში), ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთის და, მეორე მხრივ, *ოთხთა კავშირის* (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა. საზავო ხელშეკრულება შედგებოდა 14 მუხლისა და სხვადასხვა დამატებებისაგან, აგრეთვე 2 დასკვნითი ოქმისა და 4 დამატებითი ხელშეკრულებისაგან (რუსეთ-გერმანიის, რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის, რუსეთ-თურქეთის).

ბ.-ლ.ს.ხ-ით რუსეთს ჩამოსცილდა პოლონეთის, ლიტვის, ბელორუსიისა და ლიფლანდიის (თანამედ. ლატვია) ნაწილი. ამასთან ერთად საბჭოთა რუსეთს თავისი ჯარები უნდა გამოეყვანა ლიფლანდიიდან და ესტლანდიიდან (თანამედ. ესტონეთი), რომელთა ადგილსაც დაიკავებდნენ გერმანიის ჯარები. გერმანია ინარჩუნებდა რიგის ყურის დიდ ნაწილს და მოონზუნდის კუნძულებს. გარდა ამისა, საბჭოთა ჯარებს უნდა დაეტოვებინათ უკრაინა, ფინეთი, ალანდის კუნძულები, აგრეთვე არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები, რომლებიც თურქეთს გადაეცემოდა. მთლიანად საბჭოთა რუსეთი ხელშეკრულებით კარგავდა 1 მლნ კვ. კმ-ს (უკრაინის ჩათვლით). ხელშეკრულება ავალდებულებდა რუსეთს, მოეხდინა არმიისა და ფლოტის მთლიანი დემობილიზაცია, მათ შორის – საბჭოთა ხელისუფლების დროს ფორმირებული ნაწილებისაც. მასვე უნდა ეცნო უკრაინის ცენტრალური რადის მიერ გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულებები და თავის მხრივ დაედო საზავო ხელშეკრულება რადასთან და განესაზღვრა საზღვრები რუსეთსა და უკრაინას შორის.

ბ.-ლ.ს.ხ. ითვალისწინებდა (რატიფიკაციის შემდეგ) დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების განახ-

ლებას რუსეთსა და გერმანიას, აგრეთვე ოთხთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებთან.

ბ.-ლ.ს.ხ-ის სპეციალური დამატებები განსაზღვრავდნენ ეკონომიკურ ურთიერთობებს საბჭოთა რუსეთსა და ოთხთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებს შორის. საბჭოთა რუსეთი დიდ შეღავათებს და უპირატესობებს აძლევდა გერმანიას სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მიუხედავად ბ.-ლ.ს.ხ-ის პირობების სიმძიმისა, საბჭოთა რუსეთმა თავი დააღწია იმპერიალისტურ ომს, უზრუნველყო აუცილებელი შესვენება, რომელიც გამოყენებულ იქნა ბოლშევიკური ხელისუფლების განმტკიცებისა და წითელი არმიის შესაქმნელად. ზავის დადების საქმეში ვ.ი. *ლენინი* წააწყდა „მემარცხენე კომუნისტების“ დიდ წინააღმდეგობას ნ. ბუხარინის მეთაურობით.

მიდიოდა რა ამ დამამცირებელი ხელშეკრულების დადებაზე, ვ.ი. ლენინი დარწმუნებული იყო, რომ იგი დიდხანს ვერ იარსებებდა. მართლაც, გერმანიაში ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, 11.XI.1918 გერმანიამ უარი თქვა ბრესტის I ხელშეკრულებაზე (იხ. *კომპიენის დაზავება*). 1918 წლის 13.XI რუსეთის ცაკ-მა გააუქმა ხელშეკრულება, უფრო ადრე, 1918 წლის 20.IX გაუქმებულ იქნა რუსეთ-თურქეთის ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულება.

*წყრ.:* Документы внешней политики СССР, т.1, М., 1957, с.119-206; Мирные договоры в Брест-Литовске, т.1, М., 1920.

**ბრიანი (Briand)** არისტიდ (1862-1932), ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1902-დან – პარლამენტის დეპუტატი. 1909-11, 1913, 1915-17, 1921-22, 1927-29 – პრემიერ-მინისტრი; 1915-17, 1921-22, 1925, 1925-26, 1926-32 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1908-09, 1912-13, 1914-15 – იუსტიციის, 1909-11 და 1913 – შინაგან საქმეთა, 1906-08 – განათლების მინისტრი. ცდილობდა, აქტიურად გამოეყენებინა გერმანიის დამარცხება პირველ მსოფლიო ომში. იყო ერთ-ერთი ინიციატორი *ლოკარნოს ხელშეკრულების* დადებისა (1925) და *ბრიან-კელოგის პაქტისა* (1928), გამოვიდა *„პანევროპის“* პროექტის იდეით. ხელი შეუწყო თავდაუსხმელობის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულების (1932) დადებას.

**ბრიან-კელოგის პაქტი 1928**, ხელშეკრულება ომზე, როგორც ნაციონალური პოლიტიკის გატარების იარაღზე, უარის შესახებ. სახელწოდება მიიღო ინციატორების – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. *ბრიანის* და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ფ. *კელოგის* გვარებისაგან. ხელი მოაწერეს 27.VIII პარიზში აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის, კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის კავშირის, ირლანდიის, ინდოეთის, პოლონეთის, ჩეხეთის, იაპონიის წარმომადგენლებმა.

1927 წლის აპრილში ბრიანმა აშშ-ს მიმართა წინადადებით, დაედოთ ორმხრივი ხელშეკრულება „სამუდამო მეგობრობის შესახებ, რომელიც კრძალავდა ომისადმი, როგორც ნაციონალური პოლიტიკისადმი მიმართვას“. პასუხად კელოგმა წამოაყენა არა ორმხრივი, არამედ მრავალმხრივი ხელშეკრულების დადების წინადადება, რაზედაც მიიღო არა მარტო საფრანგეთის, არამედ სხვა ქვეყნების თანხმობაც, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა ზოგი ისეთი *დათქმა* გააკეთა, რაც პაქტს ფაქტობრივად დეკლარაციულ ხასიათს აძლევდა.

ბ.-კ.პ. აცხადებდა ომზე, როგორც საერთაშორისო სადავო საკითხების გადაჭრის საშუალებაზე უარის თქმას, და საჭიროდ თვლიდა ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გზებით გადაჭრას. ხელმოწერის დღეს აშშ-მა მსოფლიოს 48 ქვეყანას მიმართა ნოტით – შეერთებოდნენ ბ.-კ.პ-ს. ყველა ისინი სხვადასხვა დროს შეუერთდნენ მას. წინადადებით მიმართეს სსრკ-საც. საბჭოთა მთავრობა დათანხმდა პაქტთან მიერთებას, მაგრამ განაცხადა, რომ მისთვის მიუღებელია ზოგიერთი დათქმა, რაც მისმა თავდაპირველმა მონაწილეებმა გააკეთეს. სსრკ-ის აზრით, პაქტის დარღვევად უნდა ჩათვლილიყო არა მარტო ომის გამოცხადება, არამედ ფაქტობრივად ყველანაირი ქმედება, წამოწყებული ნებისმიერი ქვეყნის მიერ.

ბ.-კ.პ-ის მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი შეიცავდა უაღრესად მნიშვნელოვან საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც მიმართული იყო აგრესიული ომების წინააღმდეგ.

ბ.-კ.პ. ძალაში შევიდა 1929 წლის 24.VII.

*წყრ.:* Документы внешней политики СССР, т.11, М., 1966, с.503-06; Сборник действующих договоров.. вып.5, с.5-8.

**ბრიუსელის კონფერენციები**, 1. 1921 რუსეთის დახმარების შესახებ, გაიხსნა 6.X. კონფერენციის მოწვევის ოფიციალური მოტივი იყო (1921 მოუსავლიანობის შემდეგ) რუსეთში დამშეულთა დახმარების საკითხი. კრედიტი საბჭოთა რუსეთს მიეცემოდა იმ შემთხვევაში, თუ „რუსეთის მთავრობა აღიარებდა არსებულ სესხებს“. რადგან კონფერენციის მონაწილეებს არ ჰქონდათ ზუსტი მონაცემები რუსეთში შიმშილის მასშტაბებზე, პრაქტიკული გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.

2. 1937 მიმდინარეობდა *ერთა ლიგის* გადაწყვეტილებებით 3-24.XI. მიზანი იყო განეხილათ *ვაშინგტონის კონფერენციის* მონაწილე ქვეყნებსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს იაპონიის აგრესია ჩინეთში. სსრკ-ის წინადადებას, იაპონიის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო კოლექტიური სანქცია, დასავლეთის ქვეყნებმა მხარი არ დაუჭირეს. ისინი მხოლოდ რეზოლუციით დაკმაყოფილდნენ. ამის შემდეგ კონფერენციამ მუშაობა შეწყვიტა და შემდეგ აღარ შეკრებილა.

**„ბრიუსელის მინიმუმი“**, ევროპულ გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების მიერ 1991 წლის დეკემბერში მიღებული დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ახალი სახელმწიფოს ცნობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მომხრეა დემოკრატიისა, პატივს სცემს არსებული საზღვრების ურღვევობას, სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარებას, პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და იძლევა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების გარანტიას.

*ლიტ.:* "Международная жизнь", 1993, №11, с.134.

**ბრიუსელის ხელშეკრულებები**, 1. 1948 ხელშეკრულება (ოფიციალური სახელწოდებაა – ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობისა და კოლექტიური თავდაცვის შესახებ) დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფების შექმნის შესახებ, დაიდო 17.III დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ბელგიას, ნიდერლანდებს, ლუქსემბურგს შორის 50 წლის ვადით და ძალაში შევიდა ყველა მონაწილე ქვეყნის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ, 25.VIII.

ბ.ხ. განსაზღვრავდა ერთობლივ მოქმედებებს. ევროპაში ომის აღმოცენების შემთხვევაში, თანაც თუკი ბ.ხ-ის მონაწილე ერთი ქვეყანა მაინც აღმოჩნდებოდა მასში ჩათრეული, ამგვარი ვალდებულებების აღება ფაქტობრივად ნიშნავდა ომისშემდგომ ევროპაში პირველი დახურული ტიპის სამხედრო დაჯგუფების – დასავლეთის კავშირის აღმოცენებას.

ბ.ხ. აღმოჩნდა მოსამზადებელი ეტაპი 1949 *ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის* (ნატოს) შესაქმნელად. ნატოს აღმოცენებით დასავლეთის კავშირმა რაღაც დროით დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რადგან აღმოჩნდა ფაქტობრივად ამ ახალი ორგანიზაციის მიერ შთანთქმული. მაგრამ 1954 *ევროპის თავდაცვითი გაერთიანების* შექმნის გეგმის ჩაშლის შემდგომ იგი კვლავ აღდგა. 1954 წლის 23.X პარიზის შეთანხმების ჩარჩოებში ხელმოწერილ იქნა ოქმები ბ.ხ-ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც მას შეუერთდნენ გფრ და იტალია. ახალმა ევროპულმა ბლოკმა მიიღო *დასავლეთევროპული კავშირის* სახელწოდება.

ლიტ.: P e a s l e e A.J., International Governmental Organizations. Constitutional Documents, vol. 1, The Hague, 1956, p.129-32

2. 1972 ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთის, დანიის, ირლანდიისა და ნორვეგიის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში, *ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებაში* (ევრატომი) და *ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში* გაწევრიანების შესახებ, ხელი მოაწერეს 22.I მონაწილე ქვეყნების პრემიერ-მინისტრებმა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ძალაში შევიდა 1973 წლის 1.I (ნორვეგია არ შევიდა ევროპულ გაერთიანებებში, რადგან ამ საკითხზე ჩატარებულ რეფერენდუმში, 1972 წლის 24-25.IX, მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა თავის მთავრობას). ბ.ხ-ის მონაწილე ქვეყნებმა იკისრეს ვალდებულება, შეასრულონ რომის ხელშეკრულების (1957) დებულებები და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების სხვა გადაწყვეტილებები, მათ შორის მესამე სახელმწიფოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებული შეთანხმებები.

ლიტ.: Keesing's Contemporary Archives 1971-72. Vol. 18, p.25103-04; "Международная жизнь", 1981, №6.

**ბრიუსი** (Bruce) დევიდ კირკპატრიკ ისტე (1898-1977), აშშ-ის დიპლომატი. 1926-28 – ვიცე-კონსული რომში, 1928-40 ეწეოდა კერძო მეწარმეულ საქმიანობას. 1940 – აშშ-ის წითელი ჯვრის წარმომადგენელი ინგლისში, 1941-45 – აშშ-ის სტრატეგიული სამსახურის სამმართველოში (ასს). 1943-45 განაგებდა ასს ევროპის ფილიალს. 1948-49 – ამერიკის ეკონომიკური მისიის მეთაური საფრანგეთში, რომელიც ახორციელებდა *„მარშალის გეგმას"*. 1949-52 – ელჩი საფრანგეთში, 1952-53 – სახელმწიფო მდივნის მოადგილე. 1953 – აშშ-ის მეთვალყურე *ევროპის თავდაცვითი გაერთიანების* დროებით კომიტეტში. 1957-59 – ელჩი გფრ-ში, 1961-69 – ინგლისში. 1970-71 – აშშ-ის წარმომადგენელი *პარიზის მოლაპარაკებებზე ვიეტნამის საკითხის რეგულირების თაობაზე*. 1973-74 – ამერიკის კავშირის მეთაური ჩინეთში. 1974-76 – ამერიკის წარმომადგენელი ნატოს საბჭოში.

**ბრიფინგი** (ინგლ. briefing – სიტყვა-სიტყვით ინსტრუქტაჟი), საგარეო-პოლიტიკური უწყებათა და სხვა სახელმწიფო ორგანოთა საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრები და საუბრები პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან მათი ინფორმირების მიზნით, მნიშვნელოვანი მოვლენების, ამბების, საერთაშორისო მოლაპარაკებების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, აგრეთვე მიღწეული შედეგების შესახებ. ბ. პრეს-კონფერენციისაგან განსხვავებით უფრო ხანმოკლეა, ნაკლებად ოფიციალურია და ატარებს ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის მიწოდების ხასიათს.

**ბროკდორფ-რანცაუ** (Brockdorff-Rantzau) ულრიხ ფონ (1869-1928), გრაფი, გერმანელი დიპლომატი. 1894-დან დიპლომატიურ სამსახურშია. იყო გერმანიის წარმომადგენლობაში რუსეთში, 1897-1901 – ავსტრია-უნგრეთში, 1901-09 – ნიდერლანდებში; 1909-12 – გენერალური კონსული ბუდაპეშტში; 1912-18 – ელჩი დანიაში. 1918-19 – სტატს-მდივანი. 1919 – საგარეო საქმეთა მინისტრი. გერმანიის დელეგაციის მეთაური *პარიზის საზავო კონფერენციაზე* (1919-20). ვერ შეძლო დაერწმუნებინა ერთვენული კრება, რათა ხელი არ მოეწერა *ვერსალის საზავო ხელშეკრულებაზე* (1919). 1919 გადადგა. 1922-28 – ელჩი სსრკ-ში. აქტიურად მონაწილეობდა *საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულების* დადებაში (1926).

**ბრუნდტლანდი** ჰარლემ (Harlem Brundtland) გრუ (დ. 1939), ნორვეგიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, პროფესიით ექიმი. დაამთავრა ოსლოს და ჰარვარდის უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტი. მუშაობდა ნორვეგიის ჯანდაცვის სისტემაში. 1974-79 ეკავა ნორვეგიის გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობა. 1975-დან – ნორვეგიის მუშათა პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, 1981-დან – თავმჯდომარე. 1977 აირჩიეს ნორვეგიის სტორტინგის (პარლამენტის) დეპუტატად. 1981 წლის თებერვალ-სექტემბერში, 1986-88 და 1993 წლის იენისიდან – პრემიერ-მინისტრი. 1984-დან არის გარემოს დაცვისა და განვითარების საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე.

**ბრუნოვი** ფილიპე ივანეს ძე (1797-1875), გრაფი, რუსი დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა 1818-დან, მონაწილეობდა *1815-33 საღვთო კავშირის* ლაიბახისა და ვერონის კონგრესებში. 1839 გაგზავნილ იქნა ინგლისში იმ გაუგებრობის აღმოსაფხვრელად, რაც ამ ორ ქვეყანას შორის აღმოცენდა *1833 უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებასთან* დაკავშირებით. 1840-54 – რუსეთის დესპანი ინგლისში.

მონაწილეობდა ეგვიპტის შესახებ ლონდონის კონვენციის (1840) და შავი ზღვის სრუტეების შესახებ კონვენციის (1841) შემუშავებაში. მონაწილეობდა საბერძნეთის გამო ლონდონის კონფერენციის (1843) მუშაობაში, ხელი მოაწერა რუსეთსა და ინგლისს შორის კომერციულ ტრაქტატს (1849) და ლონდონის ოქმს (1852). იყო რუსეთის მეორე რწმუნებული 1856 *პარიზის კონგრესზე*.

1858-60 – დესპანი, ხოლო 1860-74 – რუსეთის ელჩი ინგლისში. იყო რუსეთის რწმუნებული 1871 ლონდონის კონფერენციაზე, რომელმაც გააუქმა *პარიზის 1856 საზავო ხელშეკრულების* მუხლები შავი ზღვის „ნეიტრალიზაციის" შესახებ. 1874 გადადგა დიპლომატიური სამსახურიდან.

**„ბრწყინვალე იზოლაცია"** (ინგლ. "Splendid Isolation"), ინგლისის საგარეო-პოლიტიკური კურსი XIX ს-ის მეორე ნახევარში, რომლის არსიც მდგომარეობდა ინგლისის მიერ სხვა სახელმწიფოებთან ხანგრძლივი ვადით კავშირების დადების უარის თქმასა და მოქმედების სრული თავისუ-

ფლების შენარჩუნებაში, რათა მიეღწიათ ჰეგემონობისათვის ევროპულ და მსოფლიო პოლიტიკაში. XIX ს-ის 60-70-იან წლებში, ინგლისს, უძლიერეს სამრეწველო და კოლონიალურ ქვეყანას, რომელიც სხვებისათვის მიუწვდომელი იყო, შეეძლო „ბ.ი-ის" პოლიტიკის გატარება და განზე გადგომა მუდმივი კონტინენტური კავშირებისაგან. ამავე დროს „ბ.ი-ის" პოლიტიკა ხელს არ უშლიდა ინგლისს დაედო დროებითი შეთანხმებები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ მის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას.

XIX-XX სს. მიჯნაზე ძალთა თანაფარდობა ინგლისისათვის არასახარბიელოდ შეიცვალა. შეირყა მისი სტრატეგიული და ეკონომიკური პოზიციები (რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ინგლის-ბურების 1839-1902 ომის დროს). ინგლისს იძულებითი იზოლაცია დაემუქრა. ამიტომაც 1902 მან აშკარად უარი განაცხადა „ბ.ი-ის" პოლიტიკაზე, დაამყარა რა ხანგრძლივი კავშირი იაპონიასთან, 1904 დადო „გულითადი შეთანხმება" საფრანგეთთან (იხ. *ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*), ხოლო სამი წლის შემდეგ – შეთანხმება რუსეთთან (იხ. *რუსეთ-ინგლისის შეთანხმება 1907*).

ლიტ.: Тейлор А. Дж. П., Борьба за господство в Европе, М., 1958.

**ბუდაპეშტის კონვენცია 1877** (საიდუმლო), რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს შორის, ხელი მოაწერეს 3.(15).I რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა გამწვავების ვითარებაში. შესაძლებელ ომში თურქეთთან რუსეთის მთავრობა ცდილობდა უზრუნველეყო ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტი. დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკებები. დარწმუნებულმა გერმანიის მხარდაჭერაში, ავსტრია-უნგრეთმა ნეიტრალიტეტისათვის კომპენსაციის სახით არა მარტო ბოსნია, არამედ ჰერცეგოვინაც მოითხოვა. რუსეთის მთავრობა დაეთანხმა. ეს დაფიქსირდა ბუდაპეშტის კონვენციაში.

**ბუენოს-აირესის კონფერენცია 1936**, საგანგებო ამერიკათაშორისო კონფერენცია მშვიდობის შენარჩუნებისათვის, გაიმართა 1-23.XII. მოიწვიეს აშშ-ის ინიციატივით. ამერიკამ ბ.-ა.კ-ს შესთავაზა დებულება როგორც „პანამერიკანიზმის" ძირითადი საფუძველი: „ამერიკის ერთი რომელიმე სახელმწიფოს უშიშროების საფრთხე ნიშნავდა ყველა სხვა ამერიკის სახელმწიფოთა უშიშროების საფრთხეს". მანვე წამოაყენა აგრეთვე წინადადება მშვიდობის საფრთხის შემთხვევაში ჩატარებული ყოფილიყო სავალდებულო კონსულტაციები. აგრეთვე შეექმნათ მუდმივი პანამერიკული საკონსულტაციო კომიტეტი საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. არგენტინის წინააღმდეგობის გამო ამერიკის წინადადება ვერ გავიდა. ბ.-ა.კ-მ მიიღო გადაწყვეტილება, რომ კონსულტაციები ჩაეტარებინათ, როცა დასავლეთის ნახევარსფეროს დაემუქრებოდა „რაღაც საშიშროება". აშშ-მა ხელი მოაწერა „დამატებით ოქმს ჩაურევლობის შესახებ".

ლიტ.: Гвоздарев Б.И., Организация американских государств, М., 1960.

**ბულგაკოვი** იაკობ ივანეს ძე (1743-1809), რუსი დიპლომატი, მწერალი, მთარგმნელი. 1764 იყო ვარშავის ელჩობაში. 1781 – საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი კონსტანტინოპოლში. 1787 თურქეთმა ულტიმატუმი წაუყენა რუსეთს ყირიმის დაბრუნების თაობაზე. უარის მიღების შემდეგ ბ. დააპატიმრეს და ციხეში მოათავსეს. ციხეში მყოფმა მოახერხა თურქეთის სამხედრო ოპერაციებისა და სხვა საიდუმლო მასალის ხელში ჩაგდება და მათი რუსეთის მთავრობისათვის გადაცემა. 1789 რუსეთში დაბრუნდა, დაინიშნა ელჩად ვარშავაში. *ეკატერინე II-ის* სიკვდილის შემდეგ პოლიტიკას ჩამოშორდა.

**ბულგარეთ-ეთიოპიის ხელშეკრულება 1980**, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, დაიდო ქ ვარნაში 14.VII 20 წლის ვადით, მხარეთა შეთანხმებით, ხუთწლიანი გაგრძელებებით. ითვალისწინებდა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

**ბულგარეთ-თურქეთის ხელშეკრულებები**, 1. 1913 ხელშეკრულება, იხ. *კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულება 1913*.

2. 1915 ხელშეკრულება ბულგარეთ-თურქეთის საზღვრის შესწორების შესახებ, ხელი მოაწერეს 6.IX გერმანია-ბულგარეთის კავშირის დადებასთან ერთად, რითაც დამთავრდა *ოთხთა კავშირის* (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) გაფორმება, რომელიც პირველ მსოფლიო ომში *ანტანტას* დაუპირისპირდა.

ბ.-თ.ხ-ის თანახმად, ბულგარეთმა მიიღო მდ. მარიცას მარცხენა ნაპირის გასწვრივ 2,5 ათასი კვ.კმ ტერიტორია, ედირნეს (ადრიანოპოლის) გარეუბნების ჩათვლით და ყარააღაჯი რკინიგზის სადგურითურთ. ამით ერთადერთი რკინიგზა სვილენგრადიდან ბულგარეთის ნავსადგურ დედეაგაჩამდე (ეგეოსის ზღვაზე), რომელიც ნაწილობრივ თურქეთის ტერიტორიაზე გადიოდა, მთლიანად ბულგარეთის ხელში აღმოჩნდა, თურქეთი 5 წლის მანძილზე ინარჩუნებდა ამ რკინიგზით შეუზღუდავი ტვირთზიდვის უფლებას და სარგებლობდა ბულგარეთის თანაბრად მდ. მარიცაზე ნაოსნობის უფლებით.

1918 პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, ამ ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა. *ნეის საზავო ხელშეკრულებით 1919* ყარააღაჯი დაუბრუნდა საბერძნეთს. მაგრამ *ლოზანის საზავო ხელშეკრულებით 1923* იგი თურქეთს გადაეცა.

წყარ.: British and Foreign State Papers (BFSP), vol 109, p.879-83

3. 1925 ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, ხელი მოაწერეს ანკარაში 18.X 5 წლის ვადით. ითვალისწინებდა ორივე მხარის დაახლოებას პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებისათვის საბერძნეთისა და იუგოსლავიის წინააღმდეგ. ხელშეკრულების ხელმომწერი მხარეები ადასტურებდნენ საზღვრებს ბულგარეთსა და თურქეთს შორის, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადგინდა; კისრულობდნენ ვალდებულებას – არ ჩაბმულიყვნენ ერთ-ერთი მხარისადმი მტრულად განწყობილ კოალიციაში, ჩაეტარებინათ ურთიერთკონსულტაციები საერთაშორისო ღონისძიებებთან დაკავშირებით, დაემყარებინათ დიპლომატიური კავშირები, დაედოთ სავაჭრო კონვენცია და ხელშეკრულება არბიტრაჟის შესახებ.

ბ.-თ.ხ-ს თან ახლდა დამატებითი ოქმი, რომელიც არეგულირებდა ეროვნულ უმცირესობათა, აგრეთვე ქვეშევრდომობისა და საკუთრების უფლების საკითხებს.

წყარ.: BFSP, vol. 122, p. 213.

ლიტ.: Державин Н.С., История Болгарии, т.1, М.-Л., 1945.

**ბულგარეთ-იუგოსლავიის პაქტი 1937** „მუდმივი მეგობრობის" შესახებ, ხელი მოაწერეს 24.I ბელგრადში. მასში აღნიშნული იყო, რომ ორ სახელმწიფოს

შორის „განხორციელდებოდა ურღვევი მშვიდობა და გულითადი და სამუდამო მეგობრობა". პაქტის ხელმოწერას ხელი შეუწყო გერმანიამ, რომელიც დაინტერესებული იყო იუგოსლავიის ბალკანეთის ანტანტიდან გასვლით და ბალკანეთზე თავისი მისწრაფებების განხორციელებით.

**ბულგარეთ-იუგოსლავიის ხელშეკრულება 1944**, სამხედრო თანამშრომლობის შესახებ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. დაიდო 1944 წლის 5.X სამამულო ფრონტის ბულგარეთის მთავრობასა და იუგოსლავიის განთავისუფლების ეროვნულ კომიტეტს შორის. მოლაპარაკებათა შედეგად მიაღწიეს შეთანხმებას საერთო მტრის – გერმანელ-ფაშისტთა წინააღმდეგ სამხედრო თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ორივე მხარის ერთობლივი მოქმედების შესახებ ოკუპირებული იუგოსლავიის ტერიტორიაზე. შემდეგ ბულგარეთის ჯარის ნაწილებმა მონაწილეობა მიიღეს იუგოსლავიის განთავისუფლებაში.

**ბულგარეთ-საბერძნეთის შეთანხმებები 1964 და დეკლარაცია 1973**, 1. 1964 შეთანხმებები (სულ დაიდო 12 შეთანხმება), ხელი მოაწერეს ათენში 9.VII. აწესრიგებდნენ პირველ ყოვლისა ფინანსურ და საკუთრების საკითხებს, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ურთიერთპრეტენზიის საგანს წარმოადგენდა. შეთანხმებები ითვალისწინებდა საზღვრისპირა რაიონების წყლის რესურსების ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობების შესწავლას, ორივე ქვეყანას შორის საქონელგაცვლის გაზრდას, საქონლის სატრანზიტო გადაზიდვისა და საწყობებში შენახვისას ურთიერთხელსაყრელი პირობების შემოღებას, საბაჟო ფორმალობების გამარტივებას, თანამშრომლობის გაფართოებას ნაოსნობის, ტურიზმის, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში; პირდაპირ საგზატკეცილო, სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლას, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირს. ორივე ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობები გადაკეთდა საელჩოებად.

*ლიტ.*: Keesing's Contemporary Archives.1963-64. Vol. 14, p. 20198.

2. 1973 **დეკლარაცია კეთილმეზობლობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის პრინციპების შესახებ**, ხელი მოაწერეს ათენში 31.V. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა ურთიერთობის გაფართოებისა და განვითარების შესახებ ურთიერთინტერესების, პატივისცემისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე და გამოთქვეს რწმენა, რომ მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარება ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის ხელს შეუწყობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის გადაქცევას ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ზონად. ბულგარეთის სრ და საბერძნეთი შეთანხმდნენ, რომ კვლავაც ჩაატარებდნენ კონსულტაციებს ერთმანეთისათვის საინტერესო საკითხებზე.

მომდევნო წლებში ბულგარეთმა და საბერძნეთმა ხელი მოაწერეს მთელ რიგ ორმხრივ დოკუმენტებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას.

*ლიტ.*: "Работническо дело", 1973, 2 юни.

**ბულგარეთ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებები**, 1. 1948 **ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ**, ხელი მოაწერეს 23.IV პრაღაში 20 წლის ვადით.

მხარეები შეთანხმდნენ, გაეტარებინათ მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის პოლიტიკა; იკისრეს ვალდებულება, მიეღოთ ყოველნაირი ღონისძიება გერმანიის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოს მხრივ აგრესიის შემთხვევაში, აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის დახმარება სამხედრო და სხვა სფეროებში, ემოქმედათ საერთაშორისო მშვიდობის დასაცავად, არ გაერთიანებულიყვნენ სხვა კავშირებში და არ მიეღოთ მონაწილეობა მეორე მხარის საწინააღმდეგო მოქმედებებში, ჩაეტარებინათ კონსულტაციები ყველა საერთაშორისო მნიშვნელოვან საკითხზე და განემტკიცებინათ ეკონომიკური, კულტურული და სხვა კავშირები.

*ლიტ.*: "Работническо дело", 1948, 24 апр.; "Rudé právo", 1948, 24 dub.

2. 1968 **ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ**, ხელი მოაწერეს 26.IV პრაღაში 20 წლის ვადით, ყოველი 5-წლიანი პერიოდული გაგრძელებით.

მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, კვლავაც განემტკიცებინათ მეგობრობა და განევითარებინათ ყოველმხრივი თანამშრომლობა, განემტკიცებინათ მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობა, უზრუნველეყოთ მშვიდობა და ხალხთა შორის უშიშროება, მიეღწიათ საყოველთაო განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, შეთანხმდნენ კონსულტაციებზე ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე.

დაგმეს რა *მიუნხენის გარიგება 1938*, მხარეებმა იმთავითვე ძალადაკარგულად ცნეს იგი და მისგან გამომდინარე ყოველი შედეგი. ბსრ-მ და ჩსსრ-მ იკისრეს ვალდებულება – უზრუნველეყოთ თავისი საზღვრების დაცვა 1955 *ვარშავის ხელშეკრულების* შესაბამისად და ერთმანეთისადმი ყოველგვარი, მათ შორის სამხედრო დახმარება.

*ლიტ.*: "Работническо дело", 1968, 24 апр., "Rudé právo", 1968, 27 dub.

**ბულიტი** (Bullitt) უილიამ კრისტიან (1891-1967), აშშ-ის დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1917-დან. 1911-20 – აშშ-ის სპეციალური მისიის მეთაური საბჭოთა რუსეთში (იხ. *ბულიტის მისია 1919*). 1933 – სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე. 1933-36 – პირველი ელჩი სსრკ-ში. 1936-40 – ელჩი საფრანგეთში. 1940-42 – განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი. 1941-42 – პრეზიდენტ ფ. *რუზველტის* სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში. 1942-43 – საზღვაო სამინისტროს მინისტრის სპეციალური თანაშემწე. 1944 შევიდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში.

**ბულიტის მისია 1919**, გაიგზავნა საბჭოთა რუსეთში აშშ-ის პრეზიდენტ ვ. *ვილსონისა* და ინგლისის პრემიერ-მინისტრის დ. *ლოიდ ჯორჯის* დავალებით რუსეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის წინადადებით, მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო ვ. *ლენინმა*. ამ შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

**ბულონის კონფერენცია 1920**, *ანტანტის* უმაღლესი საბჭოს თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთი (დ. *ლოიდ ჯორჯი*), საფრანგეთი (ა.ე. მილიერანი), იტალია (კ. *სფორცა*), ბელგია (გიუმანსი) და იაპონია (მაცუი). შედგა 21-22.VI ბულონ-სიურ-მერში (საფრანგეთი). დღის წესრიგში იყო გერმანიის მიერ რეპარაციების გადახდის, გერმანიის განიარაღების, თურქეთის მდგომარეობისა და რუსეთის საკითხები. ბ.კ-ის გადაწყვეტილებით, გერმანიას რეპარაციები უნდა ეხადა 37 წლის განმავლობაში. თუ გერმანია რეპარაციებს არ გადაიხდიდა, როგორც სანქცია, მოკავშირეების ჯარებს უნდა მოეხდინათ მისი ტერიტორიის

ნაწილის ოკუპაცია (ბ.ჭ-ის ეს გადაწყვეტილება იმ პერიოდში არ გამოქვეყნდა). 22.VI მოკავშირე სახელმწიფოებმა გერმანიას მოსთხოვეს სამი თვის ვადაში დაეშალა გერმანული სპეციალური სამხედრო ფორმირებები და ზუსტად შეესრულებინა *ვერსალის 1919 საზავო ხელშეკრულების* მუხლები, რომლებიც ეხებოდა ავიაციასა და გერმანიის ჯარების დაყვანას 100 ათას კაცამდე 10.VII 1920-თვის. თუმცა შემდეგ, რევოლუციის შიშით, მოკავშირეებმა გერმანიას ჯარების 150 ათას კაცამდე გაზრდის საშუალება მისცეს.

ბ.ჭ-ზე მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის შესახებ. ბრიტანეთის ფლოტის მხარდაჭერით 22.VI საბერძნეთის არმიამ ქემალისტებზე შეტევა დაიწყო.

ბ.ჭ-ზე ასევე გადაწყდა რუსეთთან ეკონომიკური მოლაპარაკების გაგრძელება, თუმცა აღინიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ცნობაზე ლაპარაკი არ უნდა ყოფილიყო (იხ. *ცენტროსოიუზის მისია 1920-21*).

**ბურკი** (Bourki) ჰამიდ (დ. 1948), ალჟირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1968-72 სწავლობდა ეროვნული სკოლის დიპლომატიური განყოფილების ადმინისტრაციაში. 1972-76 – ალჟირის საგანგებო საქმეთა სამინისტროს რწმუნებული სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებში; 1976-81 – საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრკ-ისა და სოციალისტური ქვეყნების დეპარტამენტის განყოფილების გამგე; 1981-86 – საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის სამმართველოს ხელმძღვანელი; 1986-89 – ალჟირის ელჩი განაში; 1989-92 – საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელი; 1992-დან – ალჟირის ელჩი რუსეთში; 1995 წლის ნოემბრიდან – ელჩი საქართველოში.

**ბურსელი** იოანე (გ. 1301), XIII-XIV სს. მიჯნის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმ დიპლომატიური მისიებისა, რომლებსაც დავალებული ჰქონდა გამწვავებული ურთიერთობების მოგვარება მონღოლებსა და საქართველოს შორის *დავით VIII-ის* (1293-1311) აჯანყების შემდეგ (იხ. *აბრაჰამ I*). მას ორივე მხარე ენდობოდა. მისი დიპლომატიური ალღო საშინაო ურთიერთობებშიც ჩანს დავით VIII-ის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. შერიგების მიზნით, შუამდგომლობა *ვახტანგ III-მ* ბ-ს სთხოვა. ბ-მა, როგორც ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ოთხჯერ მიიღო მონაწილეობა ელჩობებში *ყაზან-ყაენის* მიერ გამოგზავნილ *ხუტლუშასთან* მოლაპარაკებებში. მონღოლებსა და დავით VIII-ს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა.

*წყარო:* ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. - ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

*ლიტ.:* ნ ი ს ი ძ ე დ., XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი. - „თსუ შრომები", 1989, ტ.283.

**ბუსტამანტე-ი-სირვენი** (Bustamante y Sirvén) ანტონიო სანჩეს (1865-1951), კუბელი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. იურისტი – საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, პროფესორი (1890).

1902-18 – სენატორი. 1907 – კუბის წარმომადგენელი *ჰააგის საზავო კონფერენციაზე*, 1919-20 – *პარიზის საზავო კონფერენციაზე*, 1928 – *ჰავანის კონფერენციის* თავმჯდომარე. 1908-დან – მუდმივი პალატის სამედიატორო სასამართლოს წევრი. 1921-39 – საერთაშორისო სამართლის მუდმივი პალატის წევრი, *ბუსტამანტეს კოდექსისა* და საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მრავალი ნაშრომის ავტორი. 1884-დან იყო ჰავანის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე.

**ბუსტამანტეს კოდექსი**, საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში რეგიონული ხასიათის მრავალმხრივი ხელშეკრულება, მიიღეს 1928 წლის 20.II VI პანამერიკულ კონფერენციაზე (იხ. *ჰავანის კონფერენცია 1928*), ძალაში შევიდა 25.XI. სახელი ეწოდა მისი შემდგენლის, კუბელი იურისტის გვარის – *ბუსტამანტეს* მიხედვით. ბ.კ-ის მიზანია სახელმწიფოთა ნაციონალურ სამართლის ნორმებს შორის არსებული კოლიზიების მოგვარება. ბ.კ. შედგება 437 მუხლისაგან, რომლებიც ქმნიან 4 წიგნს. 1-ლი წიგნი ეძღვნება საერთაშორისო სამოქალაქო სამართლის საკითხებს, მე-2 – საერთაშორისო სავაჭრო სამართალს, მე-3 – საერთაშორისო სისხლის სამართალს, მე-4 – საერთაშორისო პროცესუალურ სამართალს.

ბ.კ. რატიფიცირებულია სამხრეთი და ცენტრალური ამერიკის 15 ქვეყნის მიერ.

*ლიტ.:* Б о г у с л а в с к и й М. М., Международное частное право, М., 1982, с.55; Избранные источники по международному частному праву XIX–XX вв., М., 1941, с 27-75.

**ბუტკოვი** პეტრე გრიგოლის ძე (1775-1857), რუსი ისტორიკოსი, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1841), სენატორი (1849), 1801-02 იყო კავკასიის მთავარმართებელ კნორინგის საქმეთა მმართველი; 1809-დან – გენერალ-ლეიტენანტი. როგორც დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი, მსახურობდა მოლდავეთში. 1823-დან მუშაობდა ჯერ მთავარ შტაბში, შემდეგ – განსაკუთრებულ დავალებათა მოხელედ შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებში.

მრავალი ნაშრომი მიუძღვნა კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხებს, რომელთაც პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს.

*თხზ.:* Материалы для новой истории Кавказа, с 1722 по 1803 год, ч. 3, СПб., 1869

*ლიტ.:* П о л и е в к т о в М. А., Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тфл., 1935.

**ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებები**, 1. 1812 ხელშეკრულება, დაასრულა რუსეთ-თურქეთის 1806-12 ომი. ხელი მოეწერა 16(28).V და რატიფიცირებულ იქნა *ალექსანდრე I-ის* მიერ ვილნოში 11(23).VI, *ნაპოლეონ I-ის* რუსეთში შემოჭრამდე ერთი დღით ადრე. ხელშეკრულება შედგებოდა 16 ღია და 2 საიდუმლო მუხლისაგან. რუსეთის ხელში გადადიოდა პრუტისა და დნესტრის შუამდინარეთი (ბესარაბია) ხოტინის, ბენდერის, აკერმანის, კილიისა და იზმაილის ციხესიმაგრეებითურთ. რუსეთ-თურქეთის საზღვარი დგინდებოდა მდ.პრუტის გაყოლებით, მისი დუნაისთან შესართავამდე, ხოლო შემდეგ – დუნაის კილიის კალაპოტის გაყოლებით შავ ზღვამდე; რუსეთს თურქეთისათვის უნდა დაებრუნებინა მის მიერ აზიაში დაპყრობილი მიწები და ციხესიმაგრეები. რუსეთი ინარჩუნებდა მასთან როგორც ნებაყოფლობით შეერთებულ ამიერკავკასიის ყველა ოლქს არპაჩაიმდე, აჭარის მთებსა და შავ ზღვამდე; მათ შორის (ნებაყოფლობით) შემოერთებულ დასავლეთ საქართველოს სამთავროებს. ხელშეკრულების საიდუმლო მუხლის მიხედვით, რუსეთის სარგებლობაში გადადიოდა შავი ზღვის სანაპირო მდ.ბზიფიდან ვიდრე მდ.რიონამდე.

ფაქტობრივად კი რუსეთის გამგებლობაში გადავიდა საქართველოს ზღვის სანაპირო ბზიფიდან ვიდრე ჩოლოქამდე და ამ ნაპირზე მდებარე ნავსადგურები: სოხუმი, ყულევი (რედუტ-კალე), შეკვეთილი. მაგრამ ამავე ზავის მიხედვით, რუსეთი იძულებული გახდა, თურქეთისთვის დაებრუნებინა ქალაქი ფოთი და ახალქალაქი, რომლებიც რუსთა ჯარებმა ქართველების აქტიური მონაწილეობით 1811 წლის 8.XII აიღეს.

რუსეთს სავაჭრო ნაოსნობის უფლება ეძლეოდა დუნაის მთელი დინების გაყოლებით, ხოლო სამხედრო ნაოსნობისა – პრუტის შესართავამდე. მოლდოვა და ვალახეთი თურქეთს უბრუნდებოდა. ხელშეკრულება უზრუნველყოფდა დუნაისპირა სამთავროების პრივილეგიებს, რომლებიც მათ მიიღეს *1791 იასის საზავო ხელშეკრულების* მიხედვით.

ხელშეკრულებამ რუსეთს საშუალება მისცა, ნაპოლეონის წინააღმდეგ კამპანიაში გამოეყენებინა 52-ათასიანი მოლდავეთის არმია და ამით შეუმსუბუქა მას ფრანგების წინააღმდეგ თაედაცვის ორგანიზების საქმე.

ლიტ.: Внешняя политика России XIX и начала XX века, т.6, с.406-17.

2. 1913 ხელშეკრულება, ერთი მხრივ, ბულგარეთსა და, მეორე მხრივ, რუმინეთს, სერბიას, ჩერნოგორიასა და საბერძნეთს შორის. ხელი მოაწერეს 10.VIII. დაამთავრა ბალკანეთის II ომი. მისი პირობები ძალიან მძიმე იყო ბულგარეთისათვის; რუმინეთს გადაეცა ბულგარეთისაგან სამხრეთი დობრუჯა. მაკედონია გაინაწილეს საბერძნეთმა, სერბიამ და ბულგარეთმა. 1915 ბულგარეთის გერმანიის კოალიციაში შესვლის შემდეგ ხელშეკრულება გაუქმდა.

3. 1918 ხელშეკრულება, ხელი მოაწერეს 7.V. დაამთავრა ომი, ერთი მხრივ, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და თურქეთს შორის და, მეორე მხრივ, რუმინეთს შორის. ხელშეკრულებით, რუმინეთი ბულგარეთს უბრუნებდა სამხრეთ დობრუჯას, რომელიც მან 1913 მიიღო; ხელშეკრულებით, რუმინეთის ბუნებრივი რესურსებით, ყველა პორტით და რკინიგზით 50 წლით უნდა ესარგებლა გერმანიას. მთავარი მნიშვნელობა გერმანიისათვის ჰქონდა რუმინეთის ნავთობს. გერმანიის ბლოკმა სანქცია მისცა რუმინეთს ბესარაბიის დაკავებისა, რომელმაც დაარღვია 1918 საბჭოთა რუსეთ-რუმინეთის ხელშეკრულება და ბესარაბიის შეერთება გამოაცხადა. საბჭოთა რუსეთმა ეს აქტი არ ცნო. ხელშეკრულება რუმინეთის მეფის მიერ არ იყო რატიფიცირებული და გერმანიის ბლოკის დამარცხების შემდეგ იგი შეიცვალა.

**ბუშერი (Bucher)** ჟოან (დ.1942), შვეიცარიის ელჩი საქართველოში.

არის ბერნისა და ვენის უნივერსიტეტების ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. დიპლომატიურ სამსახურშია 1973-დან. მუშაობდა შვეიცარიის წარმომადგენლობებში ალჟირში, ესპანეთში. იყო შვეიცარიის დელეგაციის წევრი რიგ მოლაპარაკებებზე. 1982 – გაეროსთან არსებული შვეიცარიის მუდმივი მისიის წევრი დამკვირვებლის სტატუსით; 1983-86 – შვეიცარიის საგარეო საქმეთა დეპარტამენტის საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი. 1986-92 – შვეიცარიის ელჩი კოსტა-რიკაში, ნიკარაგუასა და პანამაში (რეზიდენციით სან-ხოსეში, კოსტა-რიკა). 1992-95 – შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული და საგარეო სამსახურის დირექტორი. 1995 წლის 10 იანვრიდან დაინიშნა შვეიცარიის ელჩად საქართველოში.

**ბუში (Bush)** ჯორჯ (დ. 1924), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

მეორე მსოფლიო ომის დროს იყო მფრინავი. დაამთავრა იელის უნივერსიტეტი, რის შემდეგაც ტეხასის შტატში ხელი მიჰყო ბიზნესს. 1966 აირჩიეს აშშ-ის კონგრესში. 1971-77 იყო: აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში (1971-72), რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე (1973-74), აშშ-ის ელჩი ჩინეთში (1974-75) და აშშ-ის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს დირექტორი (1976-77). 1981-88 – აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი. 1988-92 – აშშ-ის პრეზიდენტი.

**ბჰუტო** ბენაზირ (დ. 1953), პაკისტანის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. განათლება მიიღო ყარაჩიში, მისიონერთა სკოლაში, რადკლიფის (აშშ) და ოქსფორდის (ინგლისი) უნივერსიტეტებში. 1979 აქტიურად ჩაება პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რის გამოც არაერთხელ დააპატიმრეს. 1982-დან – პაკისტანის სახალხო პარტიის (პსპ) ლიდერი, 1986 – ამ პარტიის თანათავმჯდომარე. 1984-86 ცხოვრობდა ემიგრაციაში ლონდონში. პაკისტანში სამხედრო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, 1986 წლის აპრილში, დაბრუნდა სამშობლოში. 1988 წლის ნოემბერში, პარლამენტის არჩევნებში პსპ-ის გამარჯვების შემდეგ, გახდა პაკისტანის პრემიერ-მინისტრი. 1990 გადააყენეს თანამდებობიდან პრეზიდენტ ღულამ ისჰაკ-ხანის ბრძანებით – ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში კორუფციის ბრალდებით. 1993 წლის მაისში ხელახლა გაიმარჯვა არჩევნებში და გახდა პრემიერ-მინისტრი, გადადგა 1996 ნოემბერში.

# გ

**გაბაშვილი** კონსტანტინე ვლადიმერის ძე (დ. 1948), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

1971 დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1971-74 სწავლობდა ასპირანტურაში. 1975-დან – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1975-89 ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში. 1989-91 – საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე. 1991-92 – ქართულ-ავსტრიული ერთობლივი საწარმო „დიავესტის" გენერალური დირექტორი. 1992 წლის III-X – საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი; 1992 წლის I-დან – განათლების მინისტრი; 1993 წლის I – 1993 წლის 18.X – ქ. თბილისის მერი. 1993 წლის 18.X დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად გფრ-ში.

**გაბაშვილი** ტიმოთე (გ. 1764), ქართველი მეცნიერი, მწერალი, დიპლომატი. 1729-მდე იყო დავითგარეჯის მონასტრის ბერი. 1738 *ალექსანდრე V-მ* სპეციალური რუკითა და წერილით გააგზავნა რუსეთის საიმპერატორო კარზე ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარების აღმოსაჩენად. *ბელგრადის საზავო ხელშეკრულების* (1739) დადებამ ეს გეგმა ჩაშალა. 1755-დან სამოგზაუროდ წავიდა კონსტანტინოპოლს, ათონსა და იერუსალიმში. გ-ის ეს მისია *ერეკლე II-ის* პოლიტიკურ გეგმებს ემსახურებოდა. მოგზაურობის შედეგები მან აღწერა თხზულებაში „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა" (გამოიცა 1852).

*თხზ.:* მ ი მ ო ს ლ ვ ა, ელ. მეტრეველის გამოც., თბ., 1956.

*ლიტ.:* გ ე ხ ტ მ ა ნ ი გ., ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან, თბ., 1955.

**გაბრიელ არქიმანდრიტი**, XVII ს-ის II ნახევრის ქართველი დიპლომატი. გ.ა. *გიორგი XI-მ* 1687 გააგზავნა მოსკოვში მყოფ *არჩილ II-თან*. ელჩობაში მონაწილეობდნენ აზნაურები: ზაქარია და დავითი. ელჩებს რუსეთის მეფეებისათვის გადასაცემი წერილიც ჰქონდათ. გიორგი XI მფარველობას სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეებს და შუამდგომლობდა მათ წინაშე, რათა სამხედრო ძალით საქართველოში გამოეშვათ არჩილი. გიორგი XI-ს სამხედრო დახმარებაზე უარი ეთქვა.

*ლიტ.:* ც ი ნ ა ძ ე თ., საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობანი XVII საუკუნის II ნახევარში, თბ., 1977.

**გაბელი** ვარამ (ვაჰრამ) (გ. 1249/1251), XIII ს-ის I ნახევრის დიდი ფეოდალი, მსახურთუხუცესი 1212-დან, გაგის ციხისა და მისი მხარის მფლობელი. ივანე მხარგრძელთან ერთად იყო ირანში ქართველთა ცნობილი ლაშქრობის ერთ-ერთი ინიციატორი. მონგოლთა პირველი გამოჩენის დროს მათ წინააღმდეგ ბრძოლაში 1220 საგამის ველზე საქართველოს ლაშქრის მარჯვენა ფრთას სარდლობდა. უშედეგო წინააღმდეგობის შემდეგ ქართველ დიდებულთა ერთი ნაწილი მაშინვე დაუზავდა დამპყრობლებს. გ. ლიხთ-იმერეთში გადავიდა, მაგრამ შემდეგ ისიც იძულებული გახდა მონგოლთა ბატონობა ეღიარებინა. მონგოლთა მიერ საქართველოს დუმნებად დაყოფის დროს ერთ-ერთს – სომხითს (ქვემო ქართლი) განაგებდა. ხშირად ასრულებდა მოციქულის ფუნქციას საქართველოს სამეფო კარსა და მონგოლებს შორის, როცა ზავზე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. მეფე *რუსუდანის* დასავლეთ საქართველოში გადასვლისა და მონგოლებისადმი დაუმორჩილებლობის პერიოდში გ.ვ რუმში სპეციალური დავალებით გაიგზავნა *გიორგი IV* ლაშას ძის – დავითის საქართველოში ჩამოსაყვანად. დავითის თბილისში ჩამოყვანის შემდეგ ნოინმა გ-ს ელჩის ფუნქცია დააკისრა და მისი პირით ეს ამბავი ყარაყორუმში დიდ ყაენს შეატყობინა. მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში.

*წყარო:* გ რ ი გ ო ლ  ა კ ა ნ ე ლ ი, მონღოლთა ტომის ისტორია, ნ.შოშიაშვილის გამოც., თბ., 1961; ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

**„გადაზღვევის ხელშეკრულება" 1887**, არაოფიციალური სახელწოდება 1887 რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელი მოაწერეს 6(18). VI ბერლინში. რუსეთ-ავსტრიის წინააღმდეგობებმა შეუძლებელი გახადეს სამი იმპერატორის კავშირის 1873-87 გაგრძელება, რომელიც უზრუნველყოფდა რუსეთის ნეიტრალიტეტს გერმანიასა და საფრანგეთს შორის ომის შემთხვევაში. გერმანიის კანცლერმა *ო. ბისმარკმა* „დაზღვევის" მიზნით გადაწყვიტა რუსეთთან კავშირის დადება, რათა ამით თავიდან აეცილებინა რუსეთის საფრანგეთთან დაახლოება. ხელშეკრულებით მხარეები ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ ნეიტრალიტეტი სხვა მესამე სახელმწიფოსთან ომის შემთხვევაში. გერმანია ცნობდა რუსეთის მიერ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე „ისტორიული შენაძენის" უფლებას. თურქეთის მიერ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების დახურვას მხარეები აღიქვამდნენ როგორც ომის მდგომარეობას. საიდუმლო მუხლით გერმანია მხარს დაუჭერდა რუსეთს, თუ იგი იძულებული გახდებოდა მიეღო თავის თავზე შავ ზღვაზე გასვლის უშიშროება. „გ.ხ." დაიდო 3 წლით. ბისმარკის გადადგომის შემდეგ გერმანიის მთავრობამ უარი განაცხადა მის გაგრძელებაზე.

**გადანაცვლებული (გადაადგილებული) პირები**, მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გაყვანილი პირები სხვადასხვა ტერიტორიებზე იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად.

ომის შემდეგ სსრკ-მა დადო რიგ სახელმწიფოებთან სპეციალური ხელშეკრულებები გადანაცვლებული პირე-

ბის (სსრკ-ის მოქალაქეების რიგებიდან) სამშობლოში რეპატრიაციის შესახებ (მაგ.: შეთანხმება სსრკ, აშშ და დიდ ბრიტანეთს შორის 1945 წლის 11.II; სსრკ და ბელგიას შორის 1945 წლის 13.III; სსრკ და საფრანგეთს შორის 1945 წლის 29.VI). მათი სამშობლოში დაბრუნებისათვის ხელშეწყობის მიზნით 1946 შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო ორგანო – ლტოლვილთა საქმეების საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დათხოვნილ იქნა 1951 ახალი სტრუქტურის – გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს შექმნასთან დაკავშირებით.

ტერმინი გადანაცვლებული პირები 1951 კონვენციაში ლტოლვილთა სტატუსის შესახებ არ გვხვდება. იგი შეტანილია *ლტოლვილთა* განმარტებაში. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში ტერმინს გ.პ. სულ უფრო ხშირად იყენებენ რიგ შემთხვევებში. უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს პრაქტიკაში იკვეთება ტენდენცია აღნიშნული ტერმინის იმ პირთა მიმართ გამოყენებისა, რომლებიც ე.წ. „შიდა" ლტოლვილებს ეკუთვნიან. ესენი არიან პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი და დასახლდნენ მის მეორე ნაწილში. ზოგჯერ ამავე კატეგორიის პირთა აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „იძულებით გადანაცვლებული" პირები.

**გაერთიანებული ერების ბრეტონ-ვუდის კონფერენცია** 1944 (სავალუტო და საფინანსო საკითხების გამო), გაიმართა 1-23. VII ბრეტონ-ვუდში (ქ. ვაშინგტონი). კონფერენცია მივიდა დასკვნამდე, რომ შექმნილიყო საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მიიღო რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დებულების პროექტი. 1976 წლის იანვარში კინგსტონში (იამაიკა) დამტკიცდა ამ სისტემის პროექტი. ძალაში შევიდა 1978.

**გაერთიანებული ერების დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაცია** (UNRRA -United Nations Relief and Rehabilitation Administration), შეიქმნა 14 სახელმწიფოს შეთანხმების შედეგად 1943 წლის 9 დეკემბერს ვაშინგტონში. მისი ძირითადი მიზანი იყო დახმარება გაეწია მეორე მსოფლიო ომის შედეგად დაზარალებული სახელმწიფოებისათვის, ხელი შეეწყო მათი ეკონომიკური სტრუქტურების აღდგენისათვის. ადმინისტრაციის ბიუჯეტი გარდა სახელმწიფოთა საწევრო შენატანებისა (ადმინისტრაციული ბიუჯეტი) შედგებოდა ნებაყოფლობითი შენატანებისაგან (ოპერატიული ბიუჯეტი). 1944-47 ორგანიზაციის მიერ გაიცა 4 მლრდ დოლარის ღირებულების დახმარება.

გ.ე.დ.ა.ა-ის პირველი რგოლი იყო საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურაში, რომელიც თვითონ ახორციელებდა გარე ოპერატიულ ფუნქციას, ანუ თვით აწარმოებდა კოალიციაში შემავალ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე კვების, მედიკამენტებისა და დახმარების სხვა საგნების დანაწილებას.

ორგანოს ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი აშშ-ის ხარჯზე ივსებოდა. ამიტომ, როცა აშშ-ის მთავრობამ 1946 შეწყვიტა ორგანიზაციისათვის დოტაციის გაცემა, ადმინისტრაციამ არსებობა შეწყვიტა. 1947-თვის ორგანიზაციის ლიკვიდაციის ოფიციალურად გაფორმება მოხდა გენერალური ასამბლეის მიერ აშშ-ის და ინგლისის წინადადების საფუძველზე.

**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია** (გაერო; United Nations Organization – UNO), მშვიდობისა და მსოფლიო უსაფრთხოების მიღწევისათვის შექმნილი უნივერსალური ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 ანტიჰიტლერული კოალიციის წამყვანი სახელმწიფოების (აშშ, ინგლისი, ჩინეთი, საფრანგეთი) მიერ. დღევანდელი მონაცემებით გაეროს წევრია 185 სახელმწიფო, 1992 წლის ივლისიდან – საქართველოც.

გაეროს მიზნებია: მსოფლიო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება; ეფექტური კოლექტიური ზომებისა და ღონისძიებების მიღება მშვიდობის საფრთხისა და აგრესიის აღსაკვეთად; საერთაშორისო დავების მშვიდობიანად გადაწყვეტა; ერთა შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარება და განმტკიცება; საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული საკითხების გადასაწყვეტად. გაეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია ადამიანთა უფლებების პატივისცემა, მსოფლიოს ყველა მოქალაქისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება რასის, ერის, რელიგიის ან სხვა კუთვნილებათა მიუხედავად.

გაეროს წევრი სახელმწიფოები აღნიშნული მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელობენ *გაეროს წესდებაში* დაფიქსირებული უმნიშვნელოვანესი პრინციპებით, რომლებიც, თავის მხრივ, საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებად იქცნენ. ესენია: სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, ხელშეკრულებათა განუხრელი დაცვის (Pacta sunt servanda) პრინციპი, დავათა უცილობლად მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპი, საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის ან ძალის მუქარის გამოყენებაზე უარისთქმის პრინციპი; გაეროს მხრივ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი (თუმცა აღნიშნულ პრინციპში გარკვეული ცვლილებები შედის, თანამედროვე პირობებში ფართოვდება საკითხთა ის სპექტრი, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების სფეროდან საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხთა სპექტრში გადადის).

გაერო უმთულესი საერთაშორისო ორგანიზაციაა. იგი სტრუქტურულად ექვსი მთავარი ორგანოსა და უამრავი კომიტეტისა თუ კომისიისაგან შედგება. გაეროს მთავარი ორგანოებია: *გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, გაეროს სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო* და *გაეროს სამდივნო*.

გაერომ საქმიანობის 50 წლის მანძილზე ბევრ მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია (თუმცა ბევრნი ამ ორგანიზაციის არაეფექტურობაზე ლაპარაკობენ). კერძოდ, გაერომ შეძლო მიეღწია უმთავრესი მიზნისათვის, რომლის შესასრულებლადაც იყო მოწოდებული. გაეროს არსებობის მანძილზე თავიდან იქნა აცილებული გლობალური ომის საშიშროება. თუმცა რეგიონული კონფლიქტების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. მაგრამ გაერომ შეძლო იუგოსლავიის კონფლიქტის ლოკალიზება და მისი გავრცელების არეალის ამ სახელმწიფოს საზღვრებში მოქცევა. ვერ მოახერხა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და პოლიტიკური მეთოდებით გადაწყვეტა, თუმცა აქაც გარკვეული ღონისძიებანი იქნა გატარებული (იხ. *ტერიტორიული ხელშეუხებლობის პრინციპი*).

გაეროს საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა *საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია და პროგრესულად განვითარება*.

გაეროს შტაბ-ბინა მდებარეობს ნიუ-იორკში (აშშ), ევროპული განყოფილებებისა – ჟენევასა (შვეიცარია) და ვენაში (ავსტრია).

**გაერო**, იხ. *გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.*

**გაეროს ათწლეულები**, ცხადდება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ცალკეულ პრობლემებზე მსოფლიო საზოგადოების ყურადღების მიქცევის მიზნით.

გ.ა-ის გამოცხადებას საფუძველი ჩაეყარა 60-იან წლებში გაეროს განვითარების ათწლეულის გამოცხადებით.

70-იანი წლებიდან დაიწყო განიარაღების ათწლეულების გამოცხადება. აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ განიარაღებისა და შეიარაღების საკითხებზე მრავალი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება დაიდო, სახელმწიფოების შეიარაღება ყოველწლიურად იზრდებოდა და შთანთქავდა უზარმაზარ მატერიალურ და ცოცხალ რესურსებს, რომლებიც გამოყენებულნი უნდა იყვნენ განვითარებისა და პროგრესისათვის. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1969 გამოაცხადა გაეროს განიარაღების I ათწლეული.

1978 წლის 23. V – 1. VII მიმდინარეობდა გაეროს გენერალური ასამბლეის I სპეციალური სესია. მან ცენტრალური როლი და პასუხისმგებლობა გაეროს დააკისრა და აღნიშნა განიარაღების საკითხებში წარმომადგენლობითი ფორუმის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ასამბლეამ შექმნა გაეროს ახალი კომისია განიარაღების საკითხებზე, რომელიც გაეროს ყველა წევრ-სახელმწიფოს აერთიანებდა, და გაეროს განიარაღების კომისია.

1979 გენერალურმა ასამბლეამ 80-იანი წლები გამოაცხადა განიარაღების II ათწლეულად და დეკადის მიზნებად ჩამოაყალიბა გამალებული შეიარაღების შეჩერება, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება განიარაღების I სპეციალური სესიის ფინალური აქტის მოთხოვნების შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება, შეიარაღებისათვის საჭირო რესურსების განვითარების მიზნებისათვის გამოყენება (განვითარებადი სახელმწიფოების განსაკუთრებული ინტერესების გათვალისწინებით). განიარაღების II სპეციალური სესია ჩატარდა 1982 წლის 7.VI – 10.VII. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 140 სახელმწიფომ.

1988 წლის 31.V – 25.VI ჩატარდა განიარაღების III სპეციალური სესია, რომელშიც მონაწილეობდა 153 სახელმწიფო. განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო ბირთვული განიარაღება, ქიმიური იარაღის, კოსმოსური სივრცის პრობლემები, ასევე გაეროს როლის ამაღლების პრობლემა. სესიაზე არ იქნა მიღებული ფინალური დოკუმენტი, თუმცა ჩამოყალიბებულ იქნა განიარაღების საერთო პრინციპები: განიარაღებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ ორ დიდ სახელმწიფოს, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის ყველა წევრ-სახელმწიფოს. ეროვნული უსაფრთხოება პირდაპირ არის დაკავშირებული გლობალური უსაფრთხოების საკითხებთან, მნიშვნელოვანი როლი განიარაღების საკითხებში აკისრიათ სპეციალურ კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც ყველა სახელმწიფოს მიერ უნდა იქნეს დაცული.

1972 გაეროს მიერ გამოცხადებულ იქნა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ათწლეულად, რომლის განხორციელებაც დაიწყო 1973 წლის დეკემბერში და მიეძღვნა ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიღების 25 წლისთავს. გენერალური ასამბლეა მოუწოდებდა დეკადის ყველა მონაწილეს ემოქმედათ დეკადის პრინციპების საფუძველზე და მისი მიზნების შესასრულებლად. დეკადის მიზნებში შედიოდა: რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაცია, რასისტული რეჟიმებისა და პოლიტიკის დამცველთა გამოვლენა და დასჯა, რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლა.

დეკადის შუა პერიოდში 1978 წლის აგვისტოში ჟენევაში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც მიიღო მოქმედების პროგრამა. მასში რეკომენდებული იყო ყოვლისმომცველი სავალდებულო სანქციების მიღება სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის მიმართ.

ჟენევის II კონფერენციაზე 1983 მიღებულმა დეკლარაციამ აღნიშნა რასობრივი დისკრიმინაციის ისტორიული არსებობა. ამდენად რეკომენდებულ იქნა 22 ნოემბრიდან გამოცხადებული ყოფილიყო რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის II დეკადა.

გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებული იყო ქალთა ათწლეული 1976-85 ლოზუნგით „თანასწორობა, განვითარება, მშვიდობა"; ოკეანოგრაფიული გამოკვლევების ათწლეული (70-იანი წწ.) და სხვ.

1990-დან გამოცხადებულია საერთაშორისო სამართლის ათწლეული. მიღებულია სამოქმედო პროგრამა, რომელშიც ლაპარაკია საერთაშორისო სამართლის როლის ამაღლებაზე თანამედროვე ურთიერთობებში, მის კოდიფიკაციასა და პროგრესულად განვითარებაზე, სახელმწიფოთა მოვალეობებზე განუხრელად იქნეს შესრულებული მათ მიერ აღებული ვალდებულებანი და საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი ნორმები.

**გაეროს ახლო აღმოსავლეთის სააგენტო პალესტინელი ლტოლვილებისათვის დახმარების გასაწევად და სამუშაოთა ორგანიზებისათვის** (United Nations Relief and Works Agency for Palestinian Refugees in the Near East - UNRWA), დაარსდა *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ 302(IV) 1949. 8. XII რეზოლუციის საფუძველზე. სააგენტოს ფინანსირება ხდება ნებაყოფლობითი შენატანების საფუძველზე. იგი დახმარებასა და სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევს პალესტინელ ლტოლვილებს განათლების, მედიცინის და პროფესიული მომზადების დარგში.

სააგენტოს მთავარი ადმინისტრაციული პირია გენერალური კომისარი, რომელსაც ნიშნავს *გაეროს გენერალური ასამბლეა* სააგენტოს საკონსულტაციო კომიტეტთან მოლაპარაკებათა შემდეგ. კომისიის შემადგენლობაში შედიან აშშ, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ეგვიპტე, თურქეთი, იაპონია, იორდანია, ლიბანი, საფრანგეთი, სირია, რომლებიც მოწოდებულნი არიან ხელი შეუწყონ გენერალურ კომისარს დახმარებათა რეალიზაციაში.

შტაბ-ბინა მდებარეობს ვენაში და ამანში.

**გაეროს ბავშვთა ფონდი**, დააარსა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავის I სესიაზე 1946 წლის 11 დეკემბერს, როგორც გაეროს დროებითი ორგანიზაცია ომის დროს დაზარალებული ქვეყნების ბავშვთა დასახმარებლად. მისი პირველადი სახელწოდება იყო ბავშვთა საერთაშორისო საგანგებო დახმარების ფონდი (United Nations International Children's Emergency Fund - UNICEF). 1950 წლისათვის ორგანიზაციამ თავისი საქმიანობის მიმართულება შეი-

ცვალა და გადაერთო განვითარებადი სახელმწიფოების ბავშვებისათვის გრძელვადიან დახმარებათა პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე. გენერალური ასამბლეის 1953 802(VIII) რეზოლუციის საფუძველზე ფონდს სახელი შეეცვალა და დაერქვა გაეროს ბავშვთა ფონდი, მაგრამ ძველი აბრევიატურა შენარჩუნებული იქნა.

ბ.ბ.ფ-ის ძირითად საქმიანობაში შედის ბავშვებისათვის დახმარების გაწევის პროგრამების შემუშავება, ამ პროგრამათა განხორციელებისათვის მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოძებნა, თვით განვითარებად სახელმწიფოებში ფონდის ფუნქციების შესასრულებლად შესაბამისი პერსონალის მომზადება.

ბ.ბ.ფ. დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვთა შრომის გამოყენების აკრძალვის საკითხებს, რისთვისაც აქტიურად თანამშრომლობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან. 1976 გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა 1979 ბავშვთა წლად და განსახორციელებელ ღონისძიებათა კოორდინირება ბავშვთა ფონდს დაავალა.

ბ.ბ.ფ-ის მუშაობას ხელმძღვანელობს ბავშვთა ფონდის სამმართველო (მმართველთა საბჭო), რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება და შედგება 41 წევრ-სახელმწიფოსაგან. საბჭოს შემადგენლობას ირჩევს *გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო* 3 წლის ვადით მუდმივმოქმედი ორგანოა სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გაეროს გენერალური მდივნის მიერ დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი. შტაბ-ბინა მდებარეობს ნიუ-იორკში. აქვს რეგიონული განყოფილებანი დელიში, ბეირუთში, ჟენევაში, ნაირობიში, ტოკიოში, სანტ-იაგოში და სხვ. ბიუჯეტი იქმნება სახელმწიფოთა და კერძო პირთა ნებაყოფლობითი შენატანების საფუძველზე და გამოიყენება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის, ნორმალური კვებისა და განათლების მიზნებისათვის.

**გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია** (იუნესკო; United Nations Educational, Scientific and Cultural Organization – UNESCO), საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციას, რომლის დამფუძნებელი წესდებაც შემუშავდა 1945 ლონდონის კონფერენციაზე. ორგანიზაციამ ფუნქციონირება დაიწყო 1946 წლის 4 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც წესდების რატიფიცირება მოახდინა ოცმა სახელმწიფომ.

იუნესკოს წესდების I მუხლის შესაბამისად ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ხალხთა დაახლოება განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და ინფორმაციული საშუალებების გამოყენებით. წესდების თანახმად, აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად იუნესკო ამაღლებს თითოეული სახელმწიფოს მოსახლეობის განათლების დონეს, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება წარმართონ თავიანთი ქვეყნის განვითარება, გამოიყენონ თავიანთი რესურსები, შეინარჩუნონ კულტურული მემკვიდრეობა და ამასთან ისარგებლონ ცივილიზაციის მიერ მოტანილი პრივილეგიებით.

ორგანიზაციის მუშაობა წარიმართება 2-წლიანი პროგრამებისა და 6-წლიანი გეგმების საფუძველზე. აღნიშნულ პროგრამებსა და გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ე.წ. გლობალურ პრობლემებს: ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებას, გარემოს დაცვას, მსოფლიო ოკეანის და კოსმოსური სივრცის ათვისებას (მაგ.: სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის პროგრამა, საერთაშორისო ჰიდროლოგიური და საერთაშორისო გეოლოგიური კორელაციის პროგრამა და სხვ.).

იუნესკოს კულტურული საქმიანობა, როგორც წესი, გამოიხატება შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობაში, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და შენარჩუნებაში.

80-იანი წლების ბოლოდან იუნესკოსა და მისი ტრადიციული მოღვაწეობის სფეროებში შეიმჩნევა აქცენტების გადაადგილებანი და სიახლენი: ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში მოხვდა გარემოს დაცვის საკითხები, მესამე სამყაროსათვის დახმარების გაწევა, ხოლო რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ სსრკ-ს, იუნესკომ სპეციალური სექტორთაშორისო ჯგუფი შექმნა „აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ სსრკ-ში დემოკრატიის მხარდაჭერისა და განვითარების მიზნით".

ორგანიზაციის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ. აგებულია სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპზე და შეიმუშავებს ორგანიზაციის ზოგად პოლიტიკას, მისი პროგრამებისა და ბიუჯეტის საკითხებს; ირჩევს აღმასრულებელ საბჭოს და ნიშნავს ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს, ამტკიცებს შეთანხმებებს როგორც ორგანიზაციასა და გაეროს შორის, ასევე წევრ-სახელმწიფოთა და ორგანიზაციას შორის.

აღმასრულებელი ორგანო 51 წევრისაგან შედგება და პასუხისმგებელია იმ პროგრამების შესრულებაზე, რომლებიც მიღებულია კონფერენციის მიერ.

იუნესკოს სამდივნოს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. სამდივნოს საქმიანობის მეთვალყურეობის მიზნით, ორგანიზაციაში იქმნება ე.წ. ფინანსურ-ადმინისტრაციული ჯგუფი, ხოლო მისი პოლიტიკის წარმართვისა და როლის გარკვეული შეზღუდვის მიზნით – ე.წ. „ინტელექტუალური ფორუმი", რომლის წევრებიც ცნობილი და ავტორიტეტული პიროვნებანი უნდა იყვნენ და ორგანიზაციის წარმმართველი ძალის ფუნქცია უნდა შეასრულონ.

ლიტ.: Устав Организации Объединенных Наций по вопросам образования, науки и культуры. – В кн.: Международное право в документах, М., 1982; Рубинин К. П., Международно-правовые проблемы ЮНЕСКО, М., 1969; Уранов Г. В., ЮНЕСКО. К 40-летию деятельности, М., 1986, СССР и ЮНЕСКО. Документы и материалы. 1954-1987, М., 1989.

**გაეროს განვითარების ათწლეულები**, ცხადდება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ იმ მიზნით, რომ მიექცეს მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხს და მიღებულ იქნეს გარკვეული ზომები ამ საკითხების დადებითად გადასაწყვეტად. ბ.გ.ა-ის გამოცხადება პრაქტიკაში შემოვიდა 60-იანი წლებიდან და განპირობებული იყო მსოფლიო არენაზე ახალი სახელმწიფოების დიდი რიცხვის გამოჩენით, განვითარებადი სახელმწიფოების მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისა და მათი ჩამორჩენილობის გადალახვის აუცილებლობით.

გაეროს განვითარების I ათწლეული მოიცავდა 1961-70. იგი დიდი ეფექტურობითა და შედეგიანობით არ გამოირჩეოდა, ვინაიდან ვერ შეძლო მიეპყრო მსოფლიოს ყურადღება და შეეცვალა განვითარებადი სახელმწიფოების რეალური მდგომარეობა.

II ათწლეული მოიცავდა 1971-80. იგი უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ იგი ორიენტირებული იყო საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე და არ ეხებოდა სახელმწიფოთა საშინაო საქმიანობას. გარდა ამისა, განვითარებადმა სახელმწიფოებმა საკმაოდ სერიოზულად იმუშავეს აღნიშნული დეკადის მიზნების განსახორციელებლად. 1974 წლის 1 მაისს გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ IV სესიაზე (განვითარების საკითხებზე) განვითარებადი სახელმწიფოების წინადადებით მიიღეს დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ. ამას მოჰყვა სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და მოვალეობების ქარტიის მიღება. აღნიშნულ დოკუმენტებს არ გააჩნიათ სავალდებულო ძალა და მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს ატარებენ, მაგრამ ისინი გამოხატავენ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მარეგულირებელი ნორმების ფორმირების და ამ წყობილების დამყარების ტენდენციას.

გაეროს განვითარების III ათწლეული მოიცავდა 80-იანი წლების პერიოდს და გამოცხადდა გაეროს გენერალური ასამბლეის XXXV სესიაზე. აღნიშნულ პროგრამას ეწოდა განვითარების საერთაშორისო სტრატეგია 80-იანი წლებისათვის და მოიცავდა რეკომენდაციებს, რომლებიც ითვალისწინებდა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის ნაციონალური გეგმების შედგენას ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით. ინდუსტრიალიზაციისა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში დახმარების აღმოჩენას; აგრეთვე ფინანსური დახმარებისა და კერძო ინვესტიციების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოციალური დაცვის პრობლემებს. სპეციალური ზომები იყო გათვალისწინებული გეოგრაფიულად არახელსაყრელ პირობებში მყოფი კუნძულოვანი და კონტინენტური სახელმწიფოებისათვის.

1988 გენერალურმა ასამბლეამ თავის მორიგ სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება განვითარების ახალი სტრატეგიის მოსამზადებლად განვითარების IV დეკადისათვის 1991-2000. აღნიშნული სტრატეგია განიხილეს გენერალური ასამბლეის სხდომაზე 1990.

ლიტ.: Генеральная Ассамблея. Резолюции и доклады. Док. 35/36 (1980); Basic facts about the United Nations, N.Y., 1989.

**გაეროს განვითარების პროგრამა** (United Nations Development Programme - UNDP), გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს გაეროს ეკონომიკური და სპეციალური საბჭოს ხელმძღვანელობით.

დაარსდა 1965 ეკონომიკური და სპეციალური საბჭოს ინიციატივით გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის 2029(XX) – „გაერთიანება პროგრესის მიზნით" საფუძველზე. მის წინამორბედ სტრუქტურებს გაეროში წარმოადგენდნენ 1950 შექმნილი ტექნიკური დახმარების გაფართოებული პროგრამა და 1959 დაარსებული გაეროს სპეციალური ფონდი.

გ.გ.პ-მ შექმნა ტექნიკური დახმარებისა და ინვესტიციების სფეროში მრავალმხრივი თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი ქსელი. იგი 7,5 მილიარდი დოლარის ღირებულების 5900-ზე მეტ სხვადასხვა პროექტს ახორციელებს მსოფლიოს 150-ზე მეტ სახელმწიფოში. ამასთან კოორდინირებას უწევს ტექნიკური დახმარების ყველა იმ პროექტს, რომლებსაც ახორციელებენ გაერო და მისი სისტემის ორგანიზაციები.

გ.გ.პ-ის მიზნები ჩამოყალიბდა 1970 წლის 11 დეკემბერს გენერალური ასამბლეის რეზოლუციაში 2688(XXV). ეს მიზნებია: ტექნიკური დახმარების გაწევა განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, ბუნებრივი რესურსების შესწავლა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნიკური მეთოდების დანერგვა და განვითარება, არსებული ეკონომიკური და ადამიანური რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის პირობების შექმნა. ამ მიზნით გ.გ.პ. გზავნის ექსპერტებს, ამზადებს ადგილობრივ კადრებს თავისივე სტიპენდიების ხარჯზე, აგზავნის და ამონტაჟებს საჭირო დანადგარებს, ატარებს სემინარებსა და კონფერენციებს გამოცდილების გასაზიარებლად. აღნიშნულ საქმიანობას გ.გ.პ. ახორციელებს სახელმწიფოებთან და მრავალ საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციასთან ერთად თავისი ბიუჯეტის ხარჯზე. ბიუჯეტი ყალიბდება წევრ-სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი და გაეროს სისტემის ორგანიზაციათა (პროექტთა შემსრულებელთა) შენატანების ხარჯზე.

გ.გ.პ-ის ხელმძღვანელი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ არჩეული 48 სახელმწიფო. 1981-დან მმართველთა საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ერთხელ. საბჭოს აქვს ისეთი დამხმარე ორგანოები, როგორებიცაა მაგალითად, საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტი, ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას ახორციელებს სამდივნო, რომელსაც სათავეში უდგას ადმინისტრატორი და რომელიც მდებარეობს ნიუ-იორკში.

გ.გ.პ-ის ეგიდით ფუნქციონირებენ ისეთი ფონდები, როგორებიცაა გაეროს კაპიტალური განვითარების ფონდი, ბუნებრივი რესურსების გამოკვლევის ფონდი, განვითარების მიზნით შექმნილი მეცნიერული და ტექნიკური ფონდი, სუდან-სახელის სამეურნეო ფონდი და სხვ.

**გაეროს განიარაღების კომისია** (United Nations Disarmament Commission), გაეროს გენერალური ასამბლეის სათათბირო ორგანო, რომელიც შეიქმნა 1978 განიარაღების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის X სპეციალური სესიის გადაწყვეტილებით.

განიარაღების შესახებ კომისიის შემადგენლობაში შედის გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო.

კომისია ფუნქციონირებს პროცედურის იმ წესების საფუძველზე, რომელიც გამოიყენება გაეროს გენერალური ასამბლეის კომიტეტების მიერ და ვალდებულია არსებითი საკითხები გადაწყვიტოს კონსენსუსის საფუძველზე.

კომისიას გამოაქვს რეკომენდაციები განიარაღების სხვადასხვა პრობლემებზე და თვალყურს ადევნებს გაეროს განიარაღების შესახებ სპეციალური სესიის გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესრულებას.

ლიტ.: Словарь международного права, М., 1982, с. 66.

**გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა** (United Nations Environment Programme – UNEP), გაეროს გენერალური ასამბლეის ორგანო. შეიქმნა გენერალური ასამბლეის 1972 2997(XXVII) რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც, თავის მხრივ, მიღებული იქნა სტოკჰოლმის 1972 გარემოს დაცვის კონფერენციის რეკომენდაციის საფუძველზე.

გ.გ.დ.პ-ის მიზანი იყო შეემუშავებინა და უზრუნველეყო სახელმწიფოთა და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ეფექტური ზომების განხორციელება გარემოს შენარჩუნებისა და დაცვის სფეროში, შეესწავლა რეალური მდგომარეობა და მეთვალყურეობა გაეწია და აღენუსხა აღნიშნულ სფეროში მომხდარი ცვლილებანი. ორგანოს საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება; გაეროს სისტემის მიერ აღნიშნულ სფეროში განხორციელებული პროგრამებისა და ნებისმიერი სხვა საქმიანობისათვის კოორდინაციის გაწევა, საჭირო შემთხვევებში რეკომენდაციების შემუშავება, საკუთარი პროგრამების შემუშავება და სახელმწიფოთათვის შეთავაზება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ნიადაგისა და წყლის დაცვა, ზღვის გარემოს შენარჩუნება და გაჭუჭყიანებისაგან დაცვა, ფლორისა და ფაუნის დაცვა, ენერგიის ალტერნატიული წყაროების შესწავლა. აგრეთვე გარემოს დაცვის სხვადასხვა სფეროებისათვის კომპეტენტური სპეციალისტების მომზადება და მათი საჭირო რეგიონებში გამოყენება.

გ.გ.დ.პ-ის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი და ხელმძღვანელი ორგანოა მმართველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის 58 სახელმწიფო. მისი უფრო ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის შექმნილია სამდივნო და გარემოს დაცვის მაკოორდინირებელი ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელთა საქმიანობასაც გ.გ.დ.პ-ის აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობს.

გარემოს დაცვის პროგრამები საკმაოდ ძვირადღირებულია და მათ განხორციელებას აფინანსებს გარემოს დაცვის სპეციალური ფონდი, რომელიც გაეროს წევრ-სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი შენატანებისაგან შედგება და რომლის ბიუჯეტიც 1992-თვის 80 მილიონ დოლარს აჭარბებდა. შტაბ-ბინა მდებარეობს ნაირობიში (კენია).

**გაეროს გენერალური ასამბლეა**, გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო. იგი წარმოადგენს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელშიც წარმოდგენილია გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო თანაბარი ერთი ხმის უფლებით. გ.გ.ა. ფუნქციონირებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის საფუძველზე. გ.გ.ა-ის, მისი კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების, როგორც ოფიციალური, ასევე სამუშაო ენებია: ინგლისური, ესპანური, ფრანგული, რუსული და ჩინური. არაბული ენა ოფიციალური და სამუშაო ენაა მხოლოდ გენერალურ ასამბლეასა და მის მთავარ კომიტეტებში.

გ.გ.ა-ს, გაეროს წესდების თანახმად, პოლიტიკური ხასიათის ფართო კომპეტენცია გააჩნია. იგი უფლებამოსილია განიხილოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც გაეროს კომპეტენციაში შედის: საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები, მათ შორის ის პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ განიარაღებისა და შეიარაღების რეგულირებას (მუხლი 11, 5.1). საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საკითხები, რომლებსაც გ.გ.ა-ის წინაშე დააყენებენ უშიშროების საბჭო ან რომელიმე წევრი სახელმწიფო (მუხლი 11, 5.2). გ.გ.ა-ს შეუძლია უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს იმ სიტუაციებზე, რომლებიც შეიძლება დაემუქრონ საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას (მუხლი 11, 5.3). ზოგადად, გ.გ.ა-ის ფარგლებში განსახილველი საკითხები შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს: ა) სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში; ბ) მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება, აგრეთვე განიარაღება; გ) შიდაორგანიზაციული ხასიათის საკითხები. პირველი ჯგუფის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტისას გ.გ.ა. წარმოადგენს უმთავრეს ორგანოს გაეროს სტრუქტურაში, რომელსაც შეუძლია აღნიშნული საკითხების ირგვლივ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების მიღება (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948, დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ 1970). მხოლოდ ასამბლეის ფუნქციებში შედის ეკოსოსისა და მეურვეობის საბჭოს ხელმძღვანელობა და მათთვის სავალდებულო ძალის მქონე მითითებათა მიცემა; უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევა, ეკოსოსის წევრების არჩევა, საერთაშორისო სასამართლოს წევრების არჩევა, გენერალური მდივნის დანიშვნა, გაეროს წევრად ახალი სახელმწიფოს მიღება, არასტრატეგიულ ტერიტორიებზე მეურვეობის დაწესება და სხვ. (აღნიშნულ საკითხებზე სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებანი მიიღება ხმების კვალიფიციური უმრავლესობით, ანუ 2/3-ით, ხოლო შიდა ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით – ხმების უბრალო უმრავლესობით).

მიუხედავად გ.გ.ა-ის თითქმის ყოვლისმომცველი კომპეტენციისა, გაეროს წესდებაში მკაფიოდ არის გამიჯნული გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს კომპეტენცია და რიგ საკითხებში გ.გ.ა-ის უფლებამოსილებანი მკვეთრად არის შეზღუდული უშიშროების საბჭოს სასარგებლოდ. ასე მაგ.: როდესაც უშიშროების საბჭო ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს რომელიმე დავის ან სიტუაციის მიმართ, გ.გ.ა-ს არ შეუძლია მისცეს უშიშროების საბჭოს მოცემული დავის ან სიტუაციის ირგვლივ რაიმე რეკომენდაცია, თუ უშიშროების საბჭო არ მოითხოვს ამას (მუხლი 12).

გ.გ.ა-ის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება ყოველწლიურ მორიგ სესიებზე, რომელიც ყოველ სექტემბრის მე-3 სამშაბათს იწყებს მუშაობას; აგრეთვე სპეციალურ და განსაკუთრებულ სესიებსა და გ.გ.ა-ის 200-მდე დამხმარე ორგანოებში.

გ.გ.ა. ორგანიზაციის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით იღებს რეზოლუციებს, რომლებიც წევრ-სახელმწიფოთათვის რეკომენდაციის ხასიათს ატარებენ. აღნიშნულ რეზოლუციებს უმეტესად დიდი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ და სერიოზული წვლილი შეაქვთ საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა და პროგრესულად განვითარების საქმეში.

ლიტ.: Ефимов Г.К., Генеральная Ассамблея ООН, М., 1969, Устав Организации Объединенных Наций и Статут Международного Суда, Нью-Йорк, 1990; Goodwin G., The General Assembly of the United Nations: The Evolution of International Organization, L.,1966.

**გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური და საგანგებო სესიები**, გენერალური ასამბლეის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა. გაეროს წესდების მე-20 მუხლის თანახმად, „გენერალური ასამბლეა იკრიბება ყოველწლიურ მორიგ სესიებზე და ისეთ სპეციალურ სესიებზე, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს გარემოებებმა. სპეციალური სესიები მოიწვევა გენერალური მდივნის მიერ

უშიშროების საბჭოს ან ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე".

სპეციალური სესიები შეიძლება მოწვეულ იქნეს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. როგორც სპეციალური, ასევე განსაკუთრებული სესიების მოწვევის წესებს არეგულირებს „გენერალური ასამბლეის პროცედურის წესები". მე-7 წესის მიხედვით, გენერალურ ასამბლეას შეუძლია თვითონ დანიშნოს სპეციალური სესიის ჩატარების თარიღი. სპეციალური სესია, როგორც წესი, მოიწვევა 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც გენერალური მდივანი მიიღებს მოთხოვნას სესიის მოწვევის თაობაზე უშიშროების საბჭოს ან ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობისაგან. სპეციალური სესიის ჩატარების მოთხოვნის უფლება აქვს ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს. მხოლოდ აღნიშნულ მოთხოვნას უნდა შეუერთდეს 30 დღის ვადაში გაეროს წევრთა უმრავლესობა.

გაეროს გენერალური ასამბლეის I სპეციალური სესია ჩატარდა 1947 და ეძღვნებოდა პალესტინის პრობლემას. VI-VII სესიები, რომლებიც 1947-75 ჩატარდა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სესიები იყო და მიეძღვნა ეკონომიკურ საკითხებსა და მსოფლიოში ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარებას, რომლებიც დამთავრდა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის „ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების დეკლარაციისა და პროგრამის" მიღებით. ასევე მეტად მნიშვნელოვანი იყო 1982 მე-12 სპეციალური სესია განიარაღების საკითხებთან დაკავშირებით. ამ სესიაზე შეთანხმებული იქნა დოკუმენტი განიარაღების მსოფლიო კომპანიის დაწყების თაობაზე, ჩამოყალიბებული იქნა აღნიშნული კომპანიის მიზნები, განხორციელების გზები. საინტერესოა, რომ სწორედ მე-12 სესიაზე ყოფილი სსრკ-ის იმდროინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გრომიკომ განაცხადა სსრკ-ის ვალდებულების შესახებ, არ გამოეყენებინა პირველს ბირთვული იარაღი.

1989 ჩატარდა მე-16 სპეციალური სესია აპარტეიდის საკითხებთან დაკავშირებით. გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიები მოიწვევა მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ არსებობს მშვიდობისათვის რაიმე საფრთხე, მოხდა აგრესიის აქტი ან უშიშროების საბჭოს არ შეუძლია მიიღოს საჭირო ზომები მისი რომელიმე წევრის ვეტოს გამო. პროცედურის წესების მე-8 პუნქტით, „საგანგებო სპეციალური სესიები გენერალური ასამბლეის 337A(V) რეზოლუციის თანახმად, მოიწვევა 24 საათის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გენერალური მდივანი უშიშროების საბჭოს 9 წევრის მოთხოვნას ან ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნას მიიღებს". საგანგებო სესიის მოწვევის თაობაზე გენერალური მდივანი შეტყობინებას აგზავნის არა უგვიანეს 12 საათისა.

I საგანგებო სესია ჩატარდა 1956 სუეცის კრიზისთან დაკავშირებით, II – 1956 მიეძღვნა უნგრეთის პრობლემას. III – 1958 – ლიბანს. VI – 1980 – სიტუაციას ავღანეთში. VII საგანგებო სესია ჩატარდა 1980 და, I სპეციალური სესიის მსგავსად, მიეძღვნა პალესტინის პრობლემას. IX სესიაზე 1982 გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ახლო აღმოსავლეთის ყოვლისმომცველი პრობლემის რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ პალესტინის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტის შემდეგ.

გ.გ.ა.ს.ს.ს. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტისა და გაეროს როლის ამაღლების საქმეში.

*ლიტ.:* Ефимов Г.К., Генеральная Ассамблея ООН, М., 1969; Курс международного права, М., 1992; Правила процедуры Генеральной Ассамблеи ООН, Нью-Йорк, 1982; United Nations Handbook, N.Y., 1992.

**გაეროს გენერალური მდივანი**, გაეროს წესდების 97-ე მუხლის თანახმად, არის გაეროს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი. იგი ინიშნება 5 წლის ვადით (განმეორებითი არჩევის უფლებით) გენერალური ასამბლეის მიერ უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

გ.გ.მ., გაეროს წესდების თანახმად, მუშაობს გაეროსა და მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოთა ინტერესების შესაბამისად და არ ხელმძღვანელობს არც ერთი ცალკე აღებული სახელმწიფოს ან მთავრობათა ინტერესებით. გ. გ. მ-ს მთავარი პასუხისმგებლობა აქვს გაზიარებული უშიშროების საბჭოსთან ერთად მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მას უფლება აქვს მიაქციოს უშიშროების საბჭოს ყურადღება იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაც, მისი აზრით, სავალდებულოა და ამ ორგანოს კომპეტენციაში შედის.

გ.გ.მ. აქტიურად ხელმძღვანელობს გაეროს გენერალური ასამბლეის ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს, მეურვეობის საბჭოს მუშაობას, ნიშნავს გაეროს სამდივნოს პერსონალს. ამზადებს ყოველწლიურ მოხსენებებს და წარუდგენს გაეროს გენერალურ ასამბლეას.

გ.გ.მ. ხელს უწყობს ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესრულებას და ხელმძღვანელობს კონფლიქტებისა და სადავო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის მექანიზმების ამუშავებას.

საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში ხშირად დგებოდა საკითხი გ.გ.მ-ის კომპეტენციის გაფართოების შესახებ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ აშშ და მისი მოკავშირენი. დღეისათვის აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დგას გაეროს წესდებისა და როლის გაძლიერების სპეციალურ კომიტეტში და გულისხმობს გ.გ.მ-ის ფუნქციების გაფართოებას არევენტიული დიპლომატიის სფეროში, მისთვის საერთაშორისო სასამართლოსათვის კონსულტატიური დასკვნის მოთხოვნის უფლების მინიჭებას, სამშვიდობო ძალებისა და მათ მიერ ჩატარებული ოპერაციების სრულ ხელმძღვანელობას, ორგანიზაციის ფინანსურ საკითხებში უფრო აქტიურ ჩარევასა და ფინანსების დამატებით მოპოვებას და განკარგვას და სხვ.

გ.გ.მ. ორგანიზაციის ზოგად-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებს და სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სრული დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს.

*ლიტ.:* Перес де Куэльяр Х., Единственная в мире должность, М., 1989; Boutros Boutros-Ghali, An Agenda for Peace, N.Y., 1992

**გაეროს დახმარების ასოციაციათა მსოფლიო ფედერაცია (World Federation of the UN Associations - WFUNA)**, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს თავის რიგებში გაეროს დახმარების (ხელშეწყობის) ეროვნულ ასოციაციებს. შეიქმნა 1946 ლუქსემბურგის კონფერენციაზე.

წესდების თანახმად, ორგანიზაციის მიზანია დაეხმაროს იმ ნაციონალური ორგანიზაციებისა და მექანიზმების მუშაობას, რომლებიც გაეროს ხელშეწყობისა და მისი

საქმიანობის პროპაგანდას ისახავენ მიზნად. მას მჭიდრო კონტაქტები აქვს გაეროსა და მის სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან. აქვს სპეციალური კონსულტაციური სტატუსი როგორც გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან, ასევე იუნესკოსთან.

ასამბლეის უმაღლესი ორგანოა პლენარული ასამბლეა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება, აღმასრულებელი ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც 17 წევრისაგან შედგება. სამდივნოს ხელმძღვანელობს ორგანიზაციის გენერალური მდივანი. ადგილსამყოფელია ჟენევა დღეისათვის ორგანიზაციის წევრია 70-ზე მეტი სახელმწიფო. ფედერაცია აქტიურად გამოდის განიარაღებისა და მსოფლიო მშვიდობის მხარდასაჭერად, ავითარებს საქმიან კავშირებს სახელმწიფოებს შორის.

**გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო**, გაეროს წესდების მიხედვით შეიქმნა როგორც ერთ-ერთი მთავარი ორგანო გაეროსა და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციების ეკონომიკური და სოციალური საკითხების სფეროში საქმიანობის კოორდინაციისათვის. ე.ე.ს.ს. შედგება 54 წევრისგან, რომელთაც ირჩევს *გაეროს გენერალური ასამბლეა* 3 წლის ვადით ისეთი წესით, რომ ყოველწლიურად საბჭოს შემადგენლობა განახლდეს 1/3-ით. საბჭოს შემადგენლობაში შედის 14 სახელმწიფო აფრიკიდან, 11 – აზიიდან და ოკეანიიდან, 10 – ლათინური ამერიკიდან, 13 – დასავლეთ და 6 – აღმოსავლეთ ევროპიდან. თითოეულ სახელმწიფოს წარმოადგენს თითო წარმომადგენელი, რომელთაც თანაბარი თითო ხმა აქვთ. გადაწყვეტილებათა მიღება ე.ე.ს.ს-ში ხდება უბრალო უმრავლესობის საფუძველზე.

ე.ე.ს.ს. სრული შემადგენლობით იკრიბება სესიებზე წელიწადში ორჯერ – აპრილში და ოქტომბერში. სესიებს შორის პერიოდში ფუნქციონირებენ დამხმარე ორგანოები, ფუნქციური კომისიები, მაგ.: სტატისტიკური (2 სახეობის), სოციალური (ადამიანთა უფლებები), ქალთა უფლებების, რეგიონული კომისიები, ექვსი მუდმივი კომიტეტი (ტექნიკური დახმარების, სამრეწველო განვითარების, დაგეგმვის და სხვ.).

ე.ე.ს.ს-ს მუშაობის პრაქტიკაში ტრადიციულად გამოჯნულია ის საკითხები, რომლებიც განხილული უნდა იქნეს სესიების მუშაობის დროს. ასე მაგ.: საგაზაფხულო სესიაზე, როგორც წესი, განიხილება სოციალური განვითარებისა და სამართლებრივი საკითხები; რასიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, განიარაღების, ქალთა პრობლემები და სხვ. საშემოდგომო სესიებზე განიხილება *გლობალური ხასიათის პრობლემები: ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის* დამყარების პრობლემა, ბუნებრივი რესურსების, გარემოს დაცვის, სასურსათო, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხები.

ე.ე.ს.ს-ს ფუნქციები დეტალურად არის განსაზღვრული გაეროს წესდების 62-ე მუხლის საფუძველზე. იგი უფლებამოსილია შეისწავლოს ეკონომიკის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა საკითხების მნიშვნელოვანი პრობლემები, მოამზადოს შესაბამისი მოხსენებები და რეკომენდაციები მისცეს *გაეროს გენერალურ ასამბლეას*, ორგანიზაციის წევრებს ან გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციებს. ე.ე.ს.ს. ამზადებს და განსახილველად წარუდგენს გენერალურ ასამბლეას კონვენციების პროექტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. სპეციალიზებული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მოამზადონ და მიაწოდონ მოხსენებები და ინფორმაცია ე.ე.ს.ს-ს. თავის მხრივ, საბჭო ვალდებულია არა მხოლოდ გენერალური ასამბლეის, არამედ *გაეროს უშიშროების საბჭოს* წინაშეც. 65-ე მუხლის თანახმად, ვალდებულია დაეხმაროს უშიშროების საბჭოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თუ ასეთ მოთხოვნას ექნება ადგილი.

ე.ე.ს.ს-ს მჭიდრო კავშირი აქვს არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებთან. დაახლოებით ცხრაას ასეთ ორგანიზაციას საბჭოსთან I-II-III კატეგორიის საკონსულტაციო სტატუსი გააჩნია.

ე.ე.ს.ს. გაეროს სტრუქტურაში ყველაზე ახლოს დგას გენერალურ ასამბლეასთან და მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და კონტროლით ახორციელებს თავის საქმიანობას.

**გაეროს კომისია ატომური ენერგიის დარგში** (United Nations Atomic Energy Commission), შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის I სესიაზე 1946 წლის 24 ივნისს. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოები და კანადა.

კომისია იხილავდა საკითხებს, რომლებიც ეხებოდა მეცნიერული ინფორმაციის გაცვლას ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების შესახებ და ატომური ენერგიის გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებას, ამზადებდა უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებს. გაეროს გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის თანახმად, კომისიამ შეიმუშავა კონვენციის პროექტი ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

კომისიის წევრებს შორის წარმოშობილი უთანხმოების გამო 1949 წლის 29 ივლისს კომისიამ თავისი არსებობა შეწყვიტა.

**გაეროს კომისია კორეის გაერთიანებისა და აღდგენისათვის**, შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 7 ოქტომბრის 376(V) რეზოლუციის საფუძველზე. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ავსტრალიის, ნიდერლანდების, პაკისტანის, ტაილანდის, თურქეთის, ფილიპინების და ჩილეს წარმომადგენლები. აღნიშნულმა კომისიამ 1973 დაამთავრა თავისი არსებობა გაეროს XXVIII სესიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**გაეროს კომისია ტრანსნაციონალური კორპორაციების საკითხებზე** (United Nations Commission on Transnational Corporations), გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე ორგანო. შეიქმნა 1974. შედგება 3 წლის ვადით არჩეული 48 წევრისაგან.

კომისიის ძირითად მოვალეობებში შედის განიხილოს ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი. უხელმძღვანელოს გაეროს ტრანსნაციონალური კორპორაციების ცენტრის საინფორმაციო-კვლევითი სამუშაოების წარმოებას; შეიმუშაოს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის პრინციპები და ნორმატიული საფუძვლები, აწარმოოს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების კვლევა და სხვ.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს მათი საქმიანობის ქვემდებარე სახელმწიფოთა ინტერესები, აგრეთვე სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება და მათი ბალანსირება.

**გაეროს კომიტეტი პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების შესახებ** (United Nations Committee on the Exercise of the Inalienable Rights of the Palestinian People), გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო, რომელიც შეიქმნა 1975 წლის 13. XI გენერალური ასამბლეის 3376(XXX) რეზოლუციის საფუძველზე. კომიტეტის მიზანი იყო შეემუშავებინა რეკომენდაციები პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების განხორციელების მიზნით, მათ შორის, თვითგამორკვევის უფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების უფლებათა ჩათვლით.

1976 კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ პალესტინის პრობლემა გადამწყვეტია ახლო აღმოსავლეთის პრობლემათა რეგულირების რიგში. აღნიშნული რეკომენდაციები რამდენჯერმე იქნა განხილული გენერალური ასამბლეის მიერ, მაგრამ არ იქნა დამტკიცებული *გაეროს უშიშროების საბჭოს* სხდომებზე აშშ-ის უარყოფითი პოზიციის გამო.

1982 კომისიის მიერ მომზადებული მოხსენებისა და ინიციატივის საფუძველზე ჟენევაში 1983 მოიწვიეს სპეციალური კონფერენცია პალესტინის საკითხებთან დაკავშირებით.

**გაეროს კონგრესი დანაშაულობის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევების მიმართ მოპყრობის თაობაზე.** შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 1 დეკემბრის 415(V) რეზოლუციის საფუძველზე. ტარდება 5 წელიწადში ერთხელ.

კონგრესის კომპეტენციაში შედის: დანაშაულობასთან ბრძოლაში სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარების მთავარი მიმართულებების განსაზღვრა, სამართალდამრღვევების მიმართ მოპყრობის თაობაზე რეკომენდაციების გამომუშავება, გამოცდილების გაცვლისათვის ხელშეწყობა და გაეროს ფარგლებში ამ დარგში თანამშრომლობის კოორდინაცია.

კონგრესი ანგარიშვალდებულია *გაეროს გენერალური ასამბლეის* და *გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს* წინაშე. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობენ სახელმწიფოების წარმომადგენლები და დამკვირვებლების სხვადასხვა კატეგორია (ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციების და სხვადასხვა სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები).

კონგრესის ოფიციალური ენებია არაბული, ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური. ყოველ ორ წელიწადში იკრიბება დანაშაულობის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის გაეროს კომიტეტი, რომელსაც ევალება კონგრესის მომზადების საკითხები.

*ლიტ.:* ა ლ ე ქ ს ი ძ ე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1986; Г а л е н с к а я Л. Н., Международная борьба с преступностью, М., 1972; Словарь международного права, 2 изд., М., 1986, с. 126.

**გაეროს კონფერენციები მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების შესახებ.** I კონფერენცია მიმდინარეობდა ქ. ვენაში 1968 წლის 14-27 აგვისტოს. მის მუშაობაში მონაწილეობდა 78 სახელმწიფო და 13 საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია. კონფერენციის მიზნები ჩამოყალიბებული იყო *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ: კოსმოსური გამოკვლევების პრაქტიკული შედეგებისა და მათი სარგებლიანობის შესწავლა, განვითარებადი სახელმწიფოებისათვის ამ შედეგების გამოყენების შესაძლებლობა განათლებისა და განვითარების მიზნებისათვის; კოსმოსური სივრცის გამოყენების სფეროში განვითარებადი სახელმწიფოების თანამშრომლობისა და მათი პოტენციალის გამოყენება, გაეროს აქტიური საქმიანობისათვის მხარდაჭერა და მისი როლის გაზრდის პერსპექტივების დასახვა.

კონფერენციამ ჩაატარა სესიები და თემატური სხდომები კავშირგაბმულობის, მეტეოროლოგიის, ნავიგაციის, დედამიწის ბუნებრივი რესურსების დაზვერვის, ბიოლოგიის და მედიცინის, განათლების და პროფესიული კადრების მომზადების, კოსმოსური სივრცის გამოყენების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური ასპექტების დარგებში.

II კონფერენცია მიმდინარეობდა ვენაში 1982 წლის 9-21 აგვისტოს. მუშაობაში მონაწილეობდა 94 სახელმწიფო, 30 სამთავრობო და რიგი არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები. კონფერენციის ძირითადი მიმართულება სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათისა იყო. თუმცა იგი ჩქარაპად ისახავდა კოსმოსური სივრცის ათვისებასა და შესწავლასთან დაკავშირებული თანამშრომლობის გაფართოებას. ინფორმაციებისა და გამოცდილების გაზიარების მექანიზმების შექმნას, აღნიშნულ სფეროში ორგანიზაციული თანამშრომლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლის შეფასებას.

კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების გადატანის თავიდან აცილებისა და აღნიშნული სფეროს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების საკითხებს.

*ლიტ.:* Доклад Второй Конференции ООН по исследованию и использованию космического пространства в мирных целях (Док ООН A/CONF 101/10); Ж у к о в Г. Д., Космос и мир, М., 1985, Space Activities of the United Nations and International Organizations, N.Y., 1992

**გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია** (United Nations Commission on International Trade Law - UNCITRAL), გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო, რომელიც შეიქმნა გენერალური ასამბლეის 2205(XXI) რეზოლუციის თანახმად 1966 წლის 17 ნოემბერს. მისი შექმნის მიზანი იყო საერთაშორისო სავაჭრო სამართლის პროგრესული განვითარება და სამართლის ამ დარგის უნიფიკაცია. კომისიის წევრია 36 სახელმწიფო, რომელთაც ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა 6 წლის ვადით სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის საფუძველზე.

კომისიას ძირითადად კანონშემოქმედებითი ფუნქცია გააჩნია: შეიმუშავებს ახალ კონცეფციებს, ტიპურ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს საერთაშორისო ვაჭრობის, ტვირთბრუნვის, საზღვაო გადაზიდვების, კომერციული არბიტრაჟის შესახებ. გარდა ამისა, იგი კოორდინაციას უწევს აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობას,

აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას აღნიშნულ სფეროში ნაციონალური კანონმდებლობისა და ცალკეული კანონების შესახებ. UNCITRAL-ის მიერ მომზადებულ იქნა მისი არბიტრაჟის რეგლამენტი, კონვენცია საზღვაო ტვირთის გადაზიდვის შესახებ, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი და სხვ.

კომისიის სესიები ტარდება ყოველწლიურად და ასევე ყოველწლიურად მზადდება და გადაეცემა გენერალურ ასამბლეას მისი მოხსენებანი და რეკომენდაციები საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში.

კომისიის სამუშაო ადგილია ვენა.

**გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია 1982**, შემუშავდა გაეროს საზღვაო სამართლის III კონფერენციაზე, რომელიც 14 წლის განმავლობაში მუშაობდა და დასრულდა 1982 წლის 10 დეკემბერს მონტეგო-ბეიში (იამაიკა) კონვენციის ხელმოწერით. ხელმოწერის პირველსავე დღეს კონვენციას ხელი მოაწერა 119 სახელმწიფომ, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო საერთაშორისო სამართლის ისტორიაში.

კონვენცია ძალაში შევა 12 თვის შემდეგ იმ რიცხვიდან, როდესაც გაეროს გენერალური მდივანი მიიღებს რატიფიკაციის მე-60 სიგელს ან დოკუმენტს მიერთების შესახებ. დღეისათვის კონვენცია რატიფიცირებულია 57 სახელმწიფოს მიერ.

კონვენცია, რომელიც შედგება 320 მუხლისა და 9 დანართისაგან, მსოფლიო ოკეანისათვის ახალ სამართლებრივ რეჟიმს ადგენს: ითვალისწინებს რა სახელმწიფოთა განსხვავებულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, შესაბამისობაში მოყავს ისინი მსოფლიო თანამეგობრობის ზოგადსაკაცობრიო ინტერესებთან. იმის ნაცვლად, რომ თითოეულმა სახელმწიფომ ცალმხრივად გამოაცხადოს თავისი სუვერენიტეტი მსოფლიო ოკეანის ამა თუ იმ ნაწილზე, კონვენციამ დაადგინა საერთო საზღვრები საზღვაო სივრცეებისა (მაგ.: ტერიტორიული ზღვის მაქსიმალური საზღვარი 12 მილი, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის მაქსიმალური საზღვარი 200 მილი და ა.შ.), რომლებიც ყველა სახელმწიფოს მიერ იქნა დღეისათვის აღიარებული.

კონვენცია ეხება ზღვის ცოცხალი და არაცოცხალი რესურსების გამოყენებას, სამხედრო და სავაჭრო ნაოსნობას, ასახავს ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოთა ინტერესებს, ადგენს საერთაშორისო სრუტეებში შეუფერხებლად გასვლის წესებს.

კონვენცია მოიცავს დებულებებს, რომლებიც იშვიათად ჰპოულობენ ასახვას მრავალმხრივ ხელშეკრულებებში: იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ საზღვაო დავების რეგულირებასა და გადაწყვეტას, არამედ დავის იძულებითი სასამართლო წესით გადაწყვეტას ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, თუ სხვა საშუალებებით ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება. აღნიშნული მიზნისათვის კონვენცია ქმნის სპეციალურ საერთაშორისო ტრიბუნალს.

კონვენციაში ასახული ნორმების მნიშვნელობისა და პროგრესულობის გამო იგი საერთაშორისო სამართლის ისტორიაში შევიდა „ცისფერი რევოლუციისა" და „წყნარი რევოლუციის" სახელებით.

*წყრ.:* Конвенция ООН по морскому праву. 1982, Нью-Йорк, 1983.

*ლიტ.:* Барсегов Ю.Г., Мировой океан: право, политика, дипломатия, М., 1983; Любимов Л., Мировой океан: арена противоборства и сотрудничества, М., 1988; Молодцов С.В., Международное морское право, М., 1987; Яковлев И.И., Международный орган по морскому дну, М., 1986; A Quiet Revolution: The UN Convention on the Law of the Sea, N.Y., 1984.

**გაეროს საზღვაო სამართლის კონფერენციები**, გაეროს საზღვაო სამართლის I კონფერენცია მიმდინარეობდა ჟენევაში 1958 წლის 24/II-27/IV. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 86 სახელმწიფო და 16 საერთაშორისო ორგანიზაცია. კონფერენციის მუშაობის იურიდიული საფუძველი იყო გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული „საზღვაო სამართლის ნორმების" პროექტი, რომელიც ფაქტიურად პირველი მნიშვნელოვანი ცდა იყო საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების კოდიფიკაციისა და მოიცავდა 73 მუხლს კომენტარებით.

I კონფერენციაზე მიიღეს 4 კონვენცია: 1. ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ; 2. ღია ზღვის შესახებ; 3. თევზჭერისა და ღია ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის შესახებ; 4. კონტინენტური შელფის შესახებ. გარდა კონვენციებისა მიიღეს ფაკულტატური ოქმი დავათა სავალდებულო გადაწყვეტის შესახებ. აღნიშნულ კონვენციებში პირველად იქნა კოდიფიცირებული რიგი საერთაშორისო საზღვაო ნორმები და პრინციპები, რომლებიც ადრე ადათობრივი ნორმების ხასიათს ატარებდნენ. მაგ.: ღია ზღვის თავისუფლების პრინციპი, ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლის პრინციპი, ნაოსნობის თავისუფლების პრინციპი და სხვ. გარდა ამისა შემუშავებულ და კოდიფიცირებულ იქნა ისეთი ახალი ნორმები, როგორიც იყო მიმდებარე ზონის სახეებისა და სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, კონტინენტური შელფის შესახებ, ზღვის ნავთობითა და რადიოაქტიური ნივთიერებებით დაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის სახელმწიფოთა ვალდებულებების შესახებ და სხვ.

მიუხედავად I კონფერენციის დიდი მნიშვნელობისა, კონვენციებში არსებული რიგი ნაკლოვანებების გამო უახლოეს წლებში უნდა მომხდარიყო II კონფერენციის მოწვევა. ასე მაგ.: ჟენევის 1958 საზღვაო სამართლის კონვენციებით არ იქნა დადგენილი ტერიტორიული ზღვისა და კონტინენტური შელფის გარე საზღვრები; განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა თავისი საზღვრებითა და სამართლებრივი რეჟიმით და სხვა, რაც საშუალებას აძლევდა სახელმწიფოებს ცალმხრივი ქმედებებით გაედიდებინათ თავიანთი საზღვაო საზღვრები და დაეკავებინათ ღია ზღვის მნიშვნელოვანი ნაწილი.

II კონფერენცია მიმდინარეობდა ჟენევაში 1960 წლის 16/III-26/IV. მის მუშაობაში მონაწილეობდა 84 სახელმწიფო. კონფერენციის მთავარი მიზანი იყო დადგენილიყო ტერიტორიული ზღვისა და თევზჭერის ზონის მაქსიმალური საზღვარი სანაპირო სახელმწიფოთათვის. კონფერენცია ფაქტიურად უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან ერთმანეთს დაუპირისპირდა სახელმწიფოთა 3 ჯგუფი: 12 მილიონი ტერიტორიული ზღვის მომხრენი (სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნები), 3 მილიონი სიგანის მომხრენი (აშშ, ნატოს ბლოკის სახელმწიფოები) და ე.წ. ტერიტორიალისტები – ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომლებიც 200 მილიონი ტერიტორიული ზღვების დაწესებას ითხოვდნენ. დაპირისპირების ძირითადი საფუძველი იყო საზღვაო სახელმწიფოთა განსხვავებული ინტერესები სამხედრო ნაოსნობის საკითხებთან დაკავშირებით და სარესურსო პრეტენზიები.

გაეროს გენერალური ასამბლეის 1973 წლის 16 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე 1973 წლის 3 დეკემბერს მოიწვიეს გაეროს საზღვაო სამართლის III კონფერენცია.

მის მუშაობაში მონაწილეობდა 164 სახელმწიფო, 12 – სპეციალიზებული ორგანიზაცია, 19 – სამთავრობათაშორისო და რამდენიმე არასამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაცია. 1974 მიღწეულ იქნა ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმება", რომლის თანახმადაც კონფერენციაზე არ უნდა ჩატარებულიყო კენჭისყრა, ვიდრე არ ამოიწურებოდა ყოველგვარი შესაძლებლობა კონსენსუსის მიღწევისა.

განსაკუთრებული დავის საგანი გახდა ე.წ. „კაცობრიობის საყოველთაო მემკვიდრეობის" კონცეფცია, რომელიც უმთავრესად ზღვის ფსკერის მინერალური რესურსების ათვისებას ეხებოდა და რომლის საფუძველზეც იყო გათვალისწინებული ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს შექმნა. XI ნაწილი კონფერენციისა გახდა მიზეზი იმისა, რომ აშშ, ისრაელი, თურქეთი და ვენესუელა წინააღმდეგნი წავიდნენ კონვენციისა. თუმცა, ამისდა მიუხედავად, კონფერენციის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგები მოჰყვა. 1982 წლის 10 დეკემბერს, მონტეგო-ბეიში (იამაიკა) კონფერენციის დასკვნით სესიაზე გაეროს 1982 საზღვაო სამართლის კონვენციას ხელი მოაწერა 119 სახელმწიფომ.

ლიტ.: Конвенция ООН по морскому праву. 1982, Нью-Йорк, 1983; Молодцов С.В., Международное морское право, М., 1987. Организация Объединенных Наций, Нью-Йорк, 1983; Официальные отчеты III Конференции ООН по морскому праву, т. 1-13, Нью-Йорк, 1973-82; Яковлев И.И., Международный орган по морскому дну, М., 1986.

**გაეროს სამდივნო**, გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც შედგება გენერალური მდივნისა და ისეთი პერსონალისაგან, რომელიც საჭიროა ორგანიზაციის ნორმალური მუშაობისათვის. აღნიშნული პერსონალი მუშაობს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში, მეურვეობის საბჭოში და ორგანიზაციის ყველა სხვა ორგანოში.

გ.ს-ს მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია ორგანიზაციის საქმიანობაში. ფაქტიურად ხელმძღვანელობს ორგანიზაციის მთელ ადმინისტრაციულ საქმიანობას, უზრუნველყოფს მთავარი და დამხმარე ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას, მათ განხორციელებას, გამოსცემს და რეგისტრაციას უკეთებს საერთაშორისო შეთანხმებებსა და გაეროს დოკუმენტებს. გარდა ამისა სამდივნო უშიშროების საბჭოს დავალებით ახორციელებს მშვიდობის დაცვის ოპერაციებს, ამზადებს და ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს, შეისწავლის და ადგენს მსოფლიო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მიმოხილვებს, ატარებს გამოკვლევებს ადამიანის უფლებების, განიარაღებისა და სხვა პრობლემების ირგვლივ.

გ.ს-ს აქვს თავისი ქვეგანყოფილებანი ნიუ-იორკში და სხვა ისეთ ქალაქებში, სადაც განლაგებულია გაეროს ორგანოთა შტაბ-ბინები. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის განლაგებულია ჟენევასა და ვენაში. 1993 მონაცემებით გაეროს პერსონალის საერთო რიცხვი 16 ათასს აღემატება. ისინი მსოფლიოს 150-მდე სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან.

გ.ს-ს მთელი პერსონალი იყოფა ორ კატეგორიად: სპეციალისტებად და ტექნიკურ პერსონალად. სპეციალისტების შერჩევისას ყურადღებას აქცევენ მათ მოქალაქეობას და ცდილობენ გამოიყენონ სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპი, ასევე ითვალისწინებენ სახელმწიფოთა მოსახლეობის რაოდენობასა და მათი საწევრო შენატანის რაოდენობას. მაგრამ სამდივნოში მიღების უმთავრესი კრიტერიუმი არის მაღალი პროფესიული დონე, შრომისუნარიანობა და კეთილსინდისიერება. გ.ს-ს ყოველი თანამშრომელი ვალდებულია გაითვალისწინოს თავისი თანამდებობის საერთაშორისო ხასიათი, არ უნდა გამოდიოდეს რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ინტერესებიდან და მხოლოდ გაეროსა და საერთაშორისო თანამეგობრობას ემსახურებოდეს.

სამდივნოში არსებობს პერსონალის დაქირავების ორი სახე: მუდმივმოქმედი კონტრაქტით (ანუ პენსიაზე გასვლამდე სამსახურით) და დროებითი (სასწრაფო) კონტრაქტით. პერსონალის 70% მუდმივმოქმედი კონტრაქტების საფუძველზე მუშაობს.

სამდივნოს პერსონალი ინიშნება *გაეროს გენერალური მდივნის* მიერ, ხოლო მის მუშაობას არეგულირებს *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ მიღებული სპეციალური წესები.

ლიტ.: Богданов О.В., Штаб-квартира ООН в Нью-Йорке, М., 1976; Митрофанов М. В., Служащие международных организаций: персонал организаций системы ООН, М., 1981

**გაეროს სამეურვეო საბჭო**, როგორც გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო შექმნილი იყო გაეროს წესდების XIII თავის საფუძველზე იმ ტერიტორიათა სამართავად, რომლებიც: ა) იმყოფებოდნენ ერთა ლიგის მანდატის ქვეშ; ბ) ჩამოერთვათ ე.წ. „მტრულ სახელმწიფოებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ"; გ) ნებაყოფლობით გადასცეს გაეროს მეურვეობის საბჭოს მმართველმა (მეურვე) სახელმწიფოებმა.

სამეურვეო ტერიტორიები იყოფოდა: სტრატეგიულ და არასტრატეგიულ ტერიტორიებად. სტრატეგიულ რაიონებს მიეკუთვნებოდა ის ტერიტორიები, რომლებსაც თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ მშვიდობის შენარჩუნებისათვის. გაეროს ფუნქციებს სტრატეგიულ რაიონებთან მიმართებაში ახორციელებს უშიშროების საბჭო, არასტრატეგიულთან კი – *გაეროს გენერალური ასამბლეა*.

დღეისათვის 11 სამეურვეო ტერიტორიიდან მეურვეობის საბჭოს განმგებლობაში დარჩა ერთი სტრატეგიული ტერიტორია: წყნარი ოკეანის კუნძულები – მიკრონეზია, რომელიც იმყოფება აშშ-ის მეურვეობაში.

წესდების 86-ე მუხლის თანახმად, მეურვეობის საბჭოს შემადგენლობაში შედის მეურვე სახელმწიფოები და ის სახელმწიფოები, რომლებსაც არა აქვთ სამეურვეო ტერიტორია, აგრეთვე უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები. დღეისათვის მეურვეობის საბჭოს შემადგენლობაში შედის მხოლოდ 5 წევრი: აშშ (მეურვე სახელმწიფო) და უშიშროების საბჭოს დანარჩენი 4 მუდმივი წევრი.

მეურვეობის საბჭოში გადაწყვეტილებანი მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. თითოეულ წევრს აქვს თითო ხმა.

მეურვეობის საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებანია, განიხილოს მმართველი ხელისუფლების მიერ წარდგენილი ანგარიშები თითოეული ტერიტორიის (ამჟამად მხოლოდ მიკრონეზიის) მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის შესახებ.

პუბლ.: Устав Организации Объединенных Наций и Статут Международного Суда, Нью-Йорк, 1990.
ლიტ.: Бобров А.Л., Малинин С.А., Организация Объединенных Наций (международно-правовой очерк), Л., 1959; Basic facts about United Nations, N.Y., 1989.

**გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია** (იუნიდო: United Nations Industrial Development Organization - UNIDO), გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია.

თავდაპირველად შეიქმნა 1966 წლის 17 ნოემბრის რეზოლუციის საფუძველზე 2252(XXI), როგორც გაეროს გენერალური ასამბლეის ორგანო და ეკისრებოდა განვითარებადი სახელმწიფოებისათვის სამრეწველო განვითარებასა და ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების სფეროში დახმარების გაწევა. გარდა ამისა, მას კოორდინირება უნდა გაეწია გაეროს მთელი საქმიანობისათვის აღნიშნულ სფეროში.

1975 იუნიდოს გენერალური კონფერენციის მეორე სხდომაზე განვითარებულმა სახელმწიფოებმა მოითხოვეს აღნიშნული ორგანოს ფუნქციონირებისა და კომპეტენციების გაფართოება და მათი ახალი ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნებისადმი მისადაგება, იუნიდოს სპეციალიზებულ ორგანიზაციად გარდაქმნა. აღნიშნული პროცესი 1979-მდე გაგრძელდა და დასრულდა ვენაში ორგანიზაციის წესდების მიღებით. წესდება ძალაში შევიდა 1985 წლის 21/VI, ხოლო 1986-დან იუნიდომ ფუნქციონირება დაიწყო ახალი სტატუსით, როგორც გაეროს მე-16 სპეციალიზებულმა ორგანიზაციამ. იუნიდოს წესდების მიხედვით, ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს განვითარებადი ქვეყნების მრეწველობის განვითარებასა და მსოფლიოში ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარებას. ამ მიზნით იგი აფინანსებს რიგ პროექტებს განვითარებად სახელმწიფოებში, ხელს უწყობს ეროვნული კადრების მომზადებას და რეგიონული ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცებას; ასევე დიდ ყურადღებას უთმობს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას.

იუნიდოს, როგორც გაეროს სპეციალიზებულ ორგანიზაციათა უმეტესობას, სამსაფეხურიანი სტრუქტურა აქვს. უმაღლესი ორგანოა ე.წ. გენერალური კონფერენცია, რომელიც მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ, შედგება ყველა წევრი სახელმწიფოსაგან და მუშაობს სუვერენული თანასწორობის პრინციპის საფუძველზე: ერთი სახელმწიფო – ერთი ხმა. იგი განიხილავს ორგანიზაციის კომპეტენციაში შემავალ ნებისმიერ საკითხს, აძლევს რეკომენდაციებს ორგანიზაციის წევრებს ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს და წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე ხმების ორი მესამედით ამტკიცებს კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც იუნიდოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებს არეგულირებენ.

ორგანიზაციის მთავარი ოპერატიული ფუნქციის მქონე ორგანოა სამრეწველო განვითარების საბჭო. იგი შედგება იმ 53 წევრი სახელმწიფოსაგან, რომელთაც აირჩევს გენერალური კონფერენცია, მოიწვევა წელიწადში ერთხელ. საბჭო შეიმუშავებს იუნიდოს ყოველწლიური საქმიანობის პრინციპებსა და პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და ამზადებს რეკომენდაციებს ორგანიზაციის კომპეტენციის ფარგლებში.

იუნიდოს დამხმარე ორგანოა პროგრამების და ბიუჯეტის კომიტეტი, რომელიც 27 წევრისაგან შედგება. ორგანიზაციის ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. იუნიდოს შტაბ-ბინა მდებარეობს ვენაში.

ლიტ.: Устав ЮНИДО, Нью-Йорк, 1986; Хлестов О.Н., Родионов Ю.А., ЮНИДО: Организация Объединенных Наций по промышленному развитию, М., 1990; Basic facts about the United Nations, N. Y., 1989; Luard E., International Agencies. The Emerging Framework of Interdependence, L., 1977.

**გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია** (Food and Agriculture Organization of the United Nations - FAO), საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია. დაარსდა კვებეკში 1945 წლის 16 ოქტომბერს. 1981-დან ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც მსოფლიო სასურსათო დღე.

ორგანიზაციის მიზნებია აამაღლოს წევრ-სახელმწიფოთა ცხოვრების დონე და გააუმჯობესოს საკვების ხარისხი, ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, გაყიდვასა და სამართლიან განაწილებას, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე ჩაატაროს გამოკვლევები კვების, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სფეროებში. დახმარება გაუწიოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში განვითარებად სახელმწიფოებს და განავითაროს ტექნიკური თანამშრომლობა განვითარებულ სახელმწიფოებს შორის.

ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შემუშავებული პროგრამები ეხმარებიან სახელმწიფოებს შიმშილის საფრთხის ლიკვიდაციაში, ხოლო ასეთი საკითხის წარმოშობის შემთხვევაში გეგმავენ სახელმწიფოთა მოქმედების გეგმებს, უზრუნველყოფენ სპეციალური დახმარების გაწევას როგორც თვით ორგანიზაციის, ასევე ცალკეულ სახელმწიფოთა მიერ.

თავისი მიზნების განსახორციელებლად ორგანიზაცია ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში კაპიტალდაბანდებებს, რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და შენარჩუნებას.

აღნიშნულ სფეროებში ორგანიზაცია მოქმედებს როგორც მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობს მსოფლიო სასურსათო პროგრამის განხორციელებას.

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც მოიწვევა 2 წელიწადში ერთხელ. მასში წარმოდგენილია ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო.

ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანო – საბჭო, რომელიც 49 წევრისაგან შედგება და აქტიურ საქმიანობას ახორციელებს გენერალური კონფერენციის სესიებს შორის პერიოდში.

შტაბ-ბინა მდებარეობს რომში.

**გაეროს სპეციალური კომიტეტი განიარაღების მსოფლიო კონფერენციისათვის** (Ad Hoc Committee on the World Disarmament Conference), გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო. შეიქმნა გენერალური ასამბლეის 1973 წლის 18 დეკემბრის 3183(XXVIII) რეზოლუციის საფუძველზე. კომიტეტის შექმნის მიზანი იყო სახელმწიფოთა მთავრობების აზრის შესწავლა და წინადადებანი განიარაღების საკითხებზე მსოფლიო კონფერენციის მოწვევის მიზნით.

კომიტეტის შემადგენლობაში შედის 40 არაბირთვული სახელმწიფო. გენერალურმა ასამბლეამ, ამასთან მოუწოდა ყველა ბირთვულ სახელმწიფოს კომიტეტთან აქტიური თანამშრომლობისაკენ. ყოფილი საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა კომიტეტის მუშა-ჯგუფის მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით. აშშ, ინგლისი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი კომიტეტთან ურთიერთობს მისი თავმჯდომარის საშუალებით. სპეცკომიტეტში გადაწყვეტილებათა მიღება

ხდება კონსენსუსის წესით. იგი ანგარიშვალდებულია გენერალური ასამბლეის წინაშე და წარუდგენს მას ყოველწლიურ მოხსენებებს.

სპეციალური კომიტეტის შექმნის შემდეგ გენერალური ასამბლეა თავის ყველა სესიაზე ადასტურებდა კომიტეტის უფლებამოსილებას, რათა იგი გამუდმებით საქმის კურსში იყოს განიარაღების საკითხებთან და სახელმწიფოთა პოზიციებთან დაკავშირებით მსოფლიო კონფერენციის მოწვევის თაობაზე.

**გაეროს სპეციალური კომიტეტი ინდოეთის ოკეანისთვის** (Ad Hoc Committee on the Indian Ocean), გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო, რომელიც შეიქმნა გენერალური ასამბლეის 1972 წლის 25 დეკემბრის რეზოლუციის 2992(XXVII) საფუძველზე. კომიტეტის მიზანი იყო შეესწავლა სანაპირო სახელმწიფოთა მოთხოვნები ინდოეთის ოკეანის მშვიდობიან ზონად გამოცხადების თაობაზე და ხელი შეეწყო 1971 გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაციის (ინდოეთის ოკეანის მშვიდობიან ზონად გამოცხადების შესახებ) დებულებათა შესრულებისათვის. კომიტეტის თავდაპირველი წევრი იყო 15 სახელმწიფო, დროთა განმავლობაში წევრთა რაოდენობა გაიზარდა.

1979-80 სპეციალური კომიტეტის მუშაობა დიდი ეფექტურობით არ გამოირჩეოდა და შემოფარგლული იყო ძირითადად კონსულტაციების მიცემით სანაპირო და კონტინენტური სახელმწიფოებისათვის, ასევე იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ინდოეთის ოკეანის საკითხებით. თვით უშიშროების საბჭოსთანაც კომიტეტს საკმაოდ ფართო თანამშრომლობა აკავშირებდა.

1979 სანაპირო და კონტინენტური სახელმწიფოების თათბირზე მიიღეს დასკვნითი აქტი, რომელშიც დეტალურად და გარკვევით ჩამოყალიბდა ინდოეთის ოკეანის, როგორც მშვიდობის ზონის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფციის პოლიტიკური და პრაქტიკული ასპექტების განსახილველად და მისი ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო გახდა სპეციალური კონფერენციის მოწვევა, რეზოლუცია აღნიშნულის თაობაზე მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 34-ე სესიაზე (Рез. 34/80 (1979) 1979. გადაწყდა კონფერენციის მოწვევა 1981 კოლომბოში. სპეციალური კომიტეტის საქმიანობა აღნიშნული რეზოლუციის მიღების შემდეგ შესამჩნევად გააქტიურდა. კომიტეტმა 1980-81 ჩაატარა 5 მოსამზადებელი სხდომა, რომელზეც განიხილა შემდეგი პრობლემები:

1. ინდოეთის ოკეანის მშვიდობიანი ზონის გეოგრაფიული საზღვრები;
2. უცხო სახელმწიფოთა სამხედრო ინტერესები;
3. ბირთვული იარაღი, უსაფრთხოება, დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტა;
4. ინდოეთის ოკეანის აუზის გამოყენება არასანაპირო სახელმწიფოთა გემებისა და საჰაერო ხომალდების მიერ.

კონფერენცია 1981 ვერ შედგა. 1984-თვის განვითარებადმა სახელმწიფოებმა სპეციალურ კომიტეტზე განსახილველად შეიტანეს კონფერენციის დღის წესრიგი. კომიტეტმა დაიწყო დღის წესრიგის განხილვა და მიიღო გადაწყვეტილება კონფერენციის არა უგვიანეს 1988 მოწვევის შესახებ.

ლიტ.: Банерджи Б.Н., Индийский океан: зона напряженности, пер. с англ., М., 1988; Словарь международного морского права, М., 1985.

**გაეროს სპეციალური კომიტეტი საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებზე** (Ad Hoc Committee on International Terrorism), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო. დაარსდა 1972 გაეროს გენერალური ასამბლეის 3034(XXIII) რეზოლუციის შესაბამისად. სპეციალური კომიტეტის შემადგენლობაში შედის 35 წევრი სახელმწიფო (1986).

სპეციალური კომიტეტის მუშაობა დაფუძნებულია კონსენსუსის პრინციპზე. კომიტეტში მიმდინარეობს მუშაობა შემდეგ საკითხებზე – საერთაშორისო ტერორიზმის ცნების განსაზღვრა, ამ მოვლენის გამომწვევი ძირითადი მიზეზების განსაზღვრა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

1979 ქვეყნების ჯგუფის ინიციატივით კომიტეტმა ჩაატარა საერთაშორისო ტერორიზმის გამომწვევ ძირითად მიზეზთა გამოკვლევა. მათ შორის, კერძოდ, დასახელებული იქნა: აგრესია, შინაურ საქმეებში ჩარევა, კოლონიალიზმი, რასიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია, ფაშიზმი, ნეოფაშიზმი, არათანასწორი და არასამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შენარჩუნება. კომიტეტში მიღებული და შემდგომ ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მოწონებული რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ითვალისწინებენ რაც შეიძლება მეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს მიერთებას საერთაშორისო ტერორიზმის ნებისმიერი სახით გამოვლინების წინააღმდეგ მიმართულ მოქმედ საერთაშორისო შეთანხმებებთან. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ქმედითი ღონისძიებები საერთაშორისო ტერორიზმის აქტების აღსაკვეთად.

ლიტ.: Ляхов Е.Г., Проблемы сотрудничества государств в борьбе с международным терроризмом, М., 1979, с. 6, 23-26.

**გაეროს უმაღლესი კომისრის სამმართველო ლტოლვილების საკითხებში** (Office of the United Nations High Commissioner for Refugees – UNHCR), მისი შექმნა გადაწყდა *გაეროს გენერალური ასამბლეის* 319(IV) რეზოლუციის საფუძველზე 1949 წლის 3.XII და დაეკისრა გაგრძელებინა *ლტოლვილთა* და *გადაადგილებულ პირთათვის* იმ დახმარების გაწევა, რომელსაც 1947-მდე ახორციელებდა ლტოლვილთა საქმეების სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაცია (1944-47). სამმართველოს საქმიანობის განმსაზღვრელი წესდება მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის 1950 წლის 14.XII სხდომაზე 428(V) რეზოლუციის საფუძველზე. სამმართველოს მანდატი რამდენჯერმე იქნა გაგრძელებული. მიმდინარე მანდატს ვადა გასდის 1998 წლის 31.XII.

სამმართველოს საქმიანობა წმინდა ჰუმანიტარულია და არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. მისი ფუნქციებია ლტოლვილთა დაცვა, მათი უფლებების გარანტირება, მატერიალური დახმარების გაწევა. სამმართველო ცდილობს ლტოლვილების მათ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების პირობების შექმნას ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ შედარებით უსაფრთხო ადგილებზე განსახლებას. ლტოლვილთა ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ნებართვით უმაღლესი კომისარი ნიშნავს ქვეყანაში თავის წარმომადგენელს. თვით უმაღლესი კომისარი აირჩევა 3 წლის ვადით გენერალური ასამბლეის მიერ, მაგრამ გენერალური მდივნის რეკომენდაციით.

სამმართველოს აქვს ე.წ. აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც აირჩევა *გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს* მიერ. მის შემადგენლობაში შედის 42 სახელმწიფოს წარმომადგენელი. კომიტეტი სახავს სამმართველოს მუშაობის ძირითად მიმართულებებს და შეიმუშავებს სპეციალურ პროგრამებსა და პროექტებს. სამმართველო ანგარიშვალდებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წინაშე.

სამმართველოს ადმინისტრაციული ხარჯები შედის *გაეროს* ბიუჯეტში, ხოლო უმაღლესი კომისრის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები იფარება ნებაყოფლობითი შენატანების საფუძველზე.

საქართველოში გახსნილია უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა ლტოლვილების საკითხთა გადასაწყვეტად.

1991-98 უმაღლესი კომისრის მოვალეობას ასრულებს იაპონელი სადაკო ოგატა. სამმართველოს შტაბ-ბინა მდებარეობს ჟენევაში.

**გაეროს უშიშროების საბჭო**, გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელზეც გაეროს წესდების 24-ე მუხლის თანახმად, დაკისრებულია მთავარი პასუხისმგებლობა მსოფლიო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების სფეროში. აღნიშნული ფუნქციის შესრულებისას ბ.უ.ს. გამოდის გაეროს წევრების სახელით, რომლებიც ემორჩილებიან ბ.უ.ს-ს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

თავისი სამართლებრივი მდგომარეობით ბ.უ.ს. არის მუდმივმოქმედი პოლიტიკური ორგანო. მას გააჩნია განსაკუთრებული კომპეტენცია ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება გაეროს მიერ მშვიდობის შენარჩუნებისა და დაცვის სფეროში ჩატარებულ ღონისძიებებს. ეს ერთადერთი ორგანოა გაეროს სტრუქტურაში, რომელიც განსაზღვრავს, ემუქრება თუ არა რეალური საფრთხე მშვიდობას ან აქვს თუ არა ადგილი აგრესიის აქტს. მხოლოდ ბ.უ.ს-ს კომპეტენციაში შედის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, გაეროს შეიარაღებული ძალების გამოყენების ყველა პრობლემის (შექმნა, ფუნქციებისა და მოვალეობების განსაზღვრა, ოპერაციის რაიონებში მოქმედების ვადა, ხელმძღვანელობა და სხვ.) გადაწყვეტა. ნიშანდობლივია, რომ გაეროს წესდების VII თავში, რომელსაც ეწოდება „მოქმედება მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევის და აგრესიის აქტების მიმართ" საერთოდ არ არის ნახსენები გაეროს არც ერთი ორგანო, გარდა ბ.უ.ს-სი.

ბ.უ.ს. უფლებამოსილია, წესდების თანახმად, ჩაერიოს ნებისმიერ დავაში ან სიტუაციაში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშვიდობას მსოფლიოში. ბ.უ.ს. უფლებამოსილია აღნიშნული ხასიათის დავათა ნებისმიერ სტადიაზე გამოიტანოს რეკომენდაციები დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით. თუკი აღნიშნული დავა ვერ გადაწყდება მშვიდობიანი გზით და ბ.უ.ს-ს მიერ რეკომენდებული მშვიდობიანი ხერხები აღმოჩნდება არასაკმარისი, იგი უფლებამოსილია, გაეროს წესდების 42-ე მუხლის თანახმად, „გამოიყენოს საჰაერო, საზღვაო ან სახმელეთო ძალებით ისეთი ქმედებანი, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლის მშვიდობის შესანარჩუნებლად ან აღსადგენად. ასეთი ქმედებანი შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციის წევრთა საზღვაო ან სახმელეთო ძალების მიერ განხორციელებულ დემონსტრაციას, ბლოკადას ან სხვა ოპერაციებს". გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია დაემორჩილოს ბ.უ.ს-ს გადაწყვეტილებას აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების თაობაზე და მიაწოდოს მას (სპეციალური შეთანხმების საფუძველზე) შეიარაღებული ძალები ოპერაციების ჩატარების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ოპერაციების განხორციელებაში ბ.უ.ს-ს დახმარებას (წესდების თანახმად) უწევს სამხედრო-საშტაბო კომიტეტი, რომელიც ფაქტიურად არ ამოქმედებულა იმ მოცულობით, რაც გაეროს წესდებაშია ჩადებული. 42-ე მუხლში მოცემული ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური მექანიზმი მშვიდობის დაცვისა არ გამოუყენებია ბ.უ.ს-ს. მაგ. თვით არ განუხორციელებია იძულებითი ღონისძიებანი აგრესორის მიმართ, არამედ გაეროს წევრი სახელმწიფოები ახორციელებდნენ აღნიშნულ ოპერაციებს გაეროსა და ბ.უ.ს-ს სახელით. თანამედროვე სიტუაციაში აუცილებელია ბ.უ.ს-სა და სამხედრო-საშტაბო კომიტეტის იმ მოცულობით ამოქმედება, რაც გაეროს წესდებაშია ჩადებული.

ბ.უ.ს. ერთადერთი ორგანოა გაეროს სტრუქტურაში, რომლის გადაწყვეტილებანიც აუცილებელია წევრი სახელმწიფოებისათვის და რომლებიც არ ექვემდებარებიან სხვა რომელიმე ორგანოში გასაჩივრებას ან გადახედვას. მათი გადახედვის უფლება მხოლოდ თვით უშიშროების საბჭოს გააჩნია ახლადაღმოჩენილ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში.

მიუხედავად იმისა, რომ ბ.უ.ს-ს კომპეტენცია მკვეთრად არის გამიჯნული გენერალური ასამბლეის კომპეტენციისაგან, ეს ორი ორგანო მაინც მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე მოქმედებს. რიგი საკითხები მხოლოდ მათი ერთობლივი საქმიანობის საფუძველზე წყდება. მაგ.: გენერალური მდივნის დანიშვნა, ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღება ან წევრობიდან გარიცხვა, ორგანიზაციის წევრისათვის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეჩერება და სხვ.

ბ.უ.ს. გენერალური ასამბლეისაგან განსხვავებით არ არის წარმომადგენლობითი ორგანო. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგანაც 5 მუდმივი წევრია (ესენია აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთის ფედერაცია, საფრანგეთი და ჩინეთი) და 10 არამუდმივი (თავდაპირველად 1966-მდე იგი 9 წევრისაგან შედგებოდა). არამუდმივ წევრებს ირჩევს გენერალური ასამბლეა 2 წლის ვადით. არჩევა ხდება ძირითადად ორი პრინციპის საფუძველზე: სახელმწიფოს სფეროში და სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობის საფუძველზე (აღმოსავლეთ ევროპა – 1, აზია და აფრიკა – 5, ლათინური ამერიკა – 2, დასავლეთი ევროპა და სხვა დანარჩენი სახელმწიფოები – 2).

გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა ბ.უ.ს-ში მეტად სპეციფიკურია. აქ გამოიყენება ერთხმიანობის პრინციპი (არაპროცედურული საკითხების გადაწყვეტისას). გარდა ამისა ბოლო პერიოდში საკმაოდ შესამჩნევი გახდა ტენდენცია ე.წ. კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიღებისა, რაც ერთხმიანობის ლოგიკურ გაგრძელებას და განვითარებას წარმოადგენს.

ლიტ.: Курс международного права, т. 6, М., 1982; Boutros Boutros-Ghali, An Agenda for Peace, New-York, 1992; Le Roy Bennett A., International Organization: Principles and Issues, New Jersey, 1988; United Nations Security Council, N. Y., 1989.

**გაეროს წესდება**, ხელი მოაწერეს 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე იმ 51 სახელმწიფომ, რომლე-

ბაც. წესდების თანახმად, ითვლებიან ორგანიზაციის პირველად წევრებად. გ.წ-ის ძალაში შესვლით 1945 წლის 24 ოქტომბრიდან (აღინიშნება ყოველწლიურად როგორც გაეროს დღე) ფუნქციონირება დაიწყო მსოფლიოს უმნიშვნელოვანესმა ორგანიზაციამ მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების სფეროში.

გ.წ. განსაზღვრავს ორგანიზაციის მიზნებს, საქმიანობის პრინციპებს, სტრუქტურასა და კომპეტენციას, თვით ორგანიზაციისა და მისი გადაწყვეტილებების იურიდიულ ბუნებას.

გ.წ. არ არის ჩვეულებრივი საერთაშორისო ხელშეკრულება. იგი განსაკუთრებული სახის (sui generis) უნივერსალური საერთაშორისო ხელშეკრულებაა: არის უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციონირების იურიდიული საფუძველი და ამასთან სახელმწიფოთა მიერ დაყენებულია ყველა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებაზე მაღლა. გ.წ-ის დარღვევა სერიოზულად არყევს საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც განპირობებულია იმით, რომ წესდებაში ჩადებული პრინციპები წარმოადგენენ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების, მსოფლიო მართლწესრიგის, საერთაშორისო კანონიერებისა და სამართლიანობის ფუნდამენტს. ეს პრინციპებია: სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრინციპი, თავდაუსხმელობის პრინციპი, ძალისა და ძალით დამუქრების გამოუყენებლობისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპები.

გ.წ, რომელიც იმდენად ყოვლისმომცველია, რომ 2000-მდე ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების ფუნქციებს ასრულებს, მოიცავს ახალი მსოფლიო მართლწესრიგის ელემენტებს (თუმც უდავოა წესდებაში გარკვეული მოდიფიკაციების შეტანის აუცილებლობა), ადგენს საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთა ქცევის აუცილებელ ნორმებს. გ.წ-ში ჩადებულია კოლექტიური უსაფრთხოების უნივერსალური სისტემის საფუძვლები და განმტკიცებულია სახელმწიფოთა ვალდებულებანი კეთილსინდისიერად შეასრულონ წესდებით ნაკისრი ვალდებულებანი და განუხრელად დაიცვან საერთაშორისო კანონიერება.

*წყრ.:* Устав Организации Объединенных Наций и Статут Международного Суда, Нью-Йорк, 1990.

*ლიტ.:* Ефимов Г.К., Устав ООН — инструмент мира, М., 1986; Крылов С.Б., История создания Организации Объединенных Наций: Разработка текста Устава ООН. 1944-1945, М., 1960; Тинберген Я., Пересмотр международного порядка, пер. с англ., М., 1980; Goodrich L., Humbro E., Simons A., Charter of the United Nations, N.Y.-L., 1969; International Organizations. – In: Encyclopedia of Public International Law, 1981, vol. 5, Russel R., A History of the United Nations Charter, Wash., 1958.

**გაეროს წესდებისა და როლის გაძლიერების სპეციალური კომიტეტი**, შეიქმნა 1974 გაეროს გენერალური ასამბლეის 3349(XXIX) რეზოლუციის საფუძველზე, როგორც გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო. 1975-მდე მას ეწოდებოდა გაეროს წესდების სპეციალური კომიტეტი (Ad Hoc Committee in the Charter of the UN). (აღნიშნული კომიტეტის შესახებ საკითხი განხილული და დღის წესრიგში შეტანილ იქნა ჯერ კიდევ 1969 გაეროს გენერალური ასამბლეის 24-ე სესიაზე).

კომიტეტის წევრია 47 სახელმწიფო (1975-მდე – 42), რომლებიც თავიანთი პოზიციის მიხედვით ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: გაეროს წესდების რევიზიის აქტიური მომხრენი და მათი მოწინააღმდეგენი. მოწინააღმდეგეთა რიგებში ბოლო წლამდე იდგა ყოფილი სსრკ, რომელიც თვლიდა, რომ გაეროს წესდების სტაბილურობა იყო ორგანიზაციის სტაბილურობისა და ქმედუნარიანობის საფუძველი. წესდების რევიზიის მომხრე სახელმწიფონი კი თვლიან, რომ ვინაიდან გაერო არის მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, იგი თვით ვერ შეასრულებს აღებულ ვალდებულებებსა და დაკისრებულ მოვალეობებს, თუ არ მოერგება არსებულ ახალ პირობებს საერთაშორისო ცხოვრებაში. გაეროს ტრანსფორმაცია კი მხოლოდ მისი წესდების გარდაქმნის შემდეგაა შესაძლებელი.

წესდების რევიზიასთან დაკავშირებით რიგი საინტერესო მოსაზრებები იქნა გამოთქმული და დაფიქსირებული. კომიტეტის დოკუმენტებში (ასე მაგ.: A/C.6/46 SR.12, 5 November 1992) დაფიქსირდა შემდეგი მოთხოვნები: გაირიცხოს წესდებიდან ის დებულებანი, რომლებიც შეიცავენ „მტრული სახელმწიფოების" შესახებ დებულებებს; გაფართოებულ იქნეს გაეროს უშიშროების საბჭოს შემადგენლობა ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მსოფლიოს ყველა რეგიონის სამართლიანი წარმომადგენლობა მასში; გადაეცეს უშიშროების საბჭოს სწრაფი და ეფექტური რეაგირების საშუალებანი; მიეცეს სახელმწიფოსათვის სავალდებულო ძალა გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს; გაიზარდოს გაეროს საერთაშორისო სამართლის როლი და მიენიჭოს მას ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულო იურისდიქციის მქონეს სტატუსი; მიეცეს გენერალურ მდივანს საერთაშორისო სამართლისათვის კონსულტაციური დასკვნის მოთხოვნის უფლება. გამუდმებული დავის საგანს კომიტეტში წარმოადგენს დიდი სახელმწიფოების ერთხმიერობის პრინციპი, რომელიც რიგი სახელმწიფოების აზრით, ლახავს სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობის პრინციპს.

კომიტეტი თავის ყოველწლიურ სესიებზე განიხილავს საკითხებს გაეროს როლის ამაღლების შესახებ მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში, საერთაშორისო დავების მშვიდობიან გადაწყვეტაში და სხვ. კომიტეტის ფარგლებში მომზადებულ იქნა ე.წ. მანილის 1982 დეკლარაცია საერთაშორისო დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის თაობაზე, რომელიც გენერალური ასამბლეის 37-ე სესიაზე კონსენსუსით იქნა მიღებული. 1988 კომიტეტმა თავის მე-13 სესიაზე მიიღო „დეკლარაცია გაეროს როლის შესახებ იმ საერთაშორისო დავებისა და სიტუაციების თავიდან აცილების საქმეში, რომლებიც მსოფლიო მშვიდობასა და უსაფრთხოებას ემუქრებიან" (რეზ. 43/51. 1988წ.).

სპეციალური კომიტეტი მუშაობს გენერალურ ასამბლეასთან მჭიდრო კავშირში და აწვდის მას ყოველწლიურ მოხსენებებს და ანგარიშებს ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

*ლიტ.:* Ефимов Г.К, Устав ООН — инструмент мира, М., 1986; Словарь международного права, М., 1986; Boutros Boutros-Ghali, An Agenda for Peace, N.Y., 1992; United Nations Handbook, N.Y., 1992.

**„გავლენის სფეროები"**, ტერმინი, გამოიყენებოდა იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკასა და სახელშეკრულებო პრაქტიკაში XIX ს. მიწურულს სხვადასხვა ქვეყნების მხრივ კოლონიური და სხვა სახის დამოკიდებულებების დასასაბუთებლად. ასეთი პრინციპებით იმპერიალისტური სახელმწიფოები ხშირად ერ-

თობლივად აცხადებდნენ მათ „განსაკუთრებულ უფლებაზე" რომელიმე ტერიტორიის მიმართ და იყოფდნენ „გავლენის სფეროებად".

**გაიოზ რექტორი** (1746-1821), ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, დიპლომატი. 1765 გ.რ., როგორც დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი, მონაწილეობდა *ანტონ I-ისა* და *ლევან ბატონიშვილის* ელჩობაში რუსეთში. 1778 დაამთავრა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია. 1780-82 რუსეთთან ახალი ხელშეკრულების მომზადების მიზნით სპეციალური დიპლომატიური მისიით გაიგზავნა რუსეთის საიმპერატორო კარზე. იყო 1783 ხელშეკრულების აქტიური შემოქმედი და ამასთან ხელშეკრულების რუსული ორიგინალის ტექსტის მთავარი მთარგმნელი ქართულ ენაზე და მისი კომენტატორი-დიპლომატი. გ.რ. ხელშეკრულების გაფორმების მთელ პერიოდში ერეკლეს სრული უფლებამოსილებით სარგებლობდა. 1784 ჩათელით გ.რ. მოსკოვში საელჩოში მუშაობდა, ხოლო შემდეგ ის გვევლინება ოსეთის სასულიერო კომისიის მთავარ წევრად, რომლის რეზიდენცია იყო მოზდოკში. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ასტრახანში როგორც მთავარეპისკოპოსმა.

*ლიტ.:* დ ა რ ჩ ი ა მ., გაიოზ რექტორი, თბ., 1972; მ თ ვ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ნ., თელავის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი. – „ივერია", 1881, №8; Ц а г а р е л и А.А., Сведения о памятниках грузинской письменности, т. 1, вып 3, СПб., 1894.

**გამალებული შეიარაღების ეკონომიკური და სოციალური შედეგები**, გამალებული შეიარაღება არა მარტო ზრდის ბირთვული კონფლიქტის აღმოცენებისა და კაცობრიობის დაღუპვის საფრთხეს, არამედ უარყოფითად მოქმედებს ყველა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, რადგან იწვევს არამწარმოებლურ სფეროში დიდძალ მატერიალურ და ადამიანთა რესურსების გადაქაჩვას და ეროვნული მეურნეობის სტრუქტურის დეფორმირებას.

გაეროს გენერალური მდივნის 1982 მოხსენებაში, გ.შ.ე.ს.შ.-ის შესახებ, მოტანილი ზოგადი მონაცემებით, პლანეტის თითოეულ მოსახლეზე მოდიოდა 110 დოლარი სამხედრო ასიგნება. გარდა ამისა, შეიარაღებაზე იხარჯებოდა დედამიწის წიაღში არსებული 14 ყველაზე ძვირფასი ლითონის 3-დან 12%-მდე, ხოლო შეიარაღების სფეროში დასაქმებული იყო 70 მლნ ადამიანი. გამალებული შეიარაღება ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროზე: გამოთვლილია, რომ მსოფლიოში დიპლომირებულ მეცნიერთა და ინჟინერთა 25% შეიარაღების წარმოების სფეროშია დასაქმებული.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ გამალებული შეიარაღების პროცესში სულ უფრო ახალ-ახალი ქვეყნები ებმებიან, მათ შორის განვითარებადიც, რაც უაღრესად ართულებს მათ ისედაც დუხჭირ ეკონომიკურ მდგომარეობას.

გამალებული შეიარაღების ზრდა ასევე აძლიერებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეფორმირებასა და არასტაბილურობას, აუარესებს მათ სამართლიან და დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნის პერსპექტივებს (იხ. *საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნა*). გამალებულ შეიარაღებას ჩიხში შეჰყავს ისეთი ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა პლანეტის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, ენერგიის ახალი წყაროების განვითარება, გარემოს დაცვა, ავადმყოფობების მოსპობა და ა.შ.

გ.შ.ე.ს.შ., განიარაღების პრობლემები არაერთხელ იქნა განხილული გაეროს სხვადასხვა ორგანოების მიერ, რის შედეგადაც მიღებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტები: სოციალური პროგრესისა და განვითარების დეკლარაცია (1974), ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა (1974), განვითარების საერთაშორისო სტრატეგია 80-იანი წლებისათვის. განიარაღებისა და განვითარების საკითხებს არაერთი სხდომა მიუძღვნეს გაეროს ისეთმა სპეცდაწესებულებებმა, როგორებიცაა: ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია და ა.შ. ამავე თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო გაეროს გენერალური ასამბლეის XXXVIII სესიაზე მიღებული რეზოლუცია 38/188-У „საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ, რომელიც განიარაღებას ეხება" და გაეროს გენერალური ასამბლეის XXXIX სესიაზე მიღებული რეზოლუცია A/39/160 „განიარაღებასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირის" შესახებ.

*წყრ.:* Исследование о взаимосвязи разоружения и развития: Доклад генерального секретаря ООН, Нью-Йорк, 1981; Экономические и социальные последствия гонки вооружений и военных расходов: Доклады генерального секретаря ООН, Нью-Йорк, 1972, 1978, 1982.

*ლიტ.:* П е т р о в с к и й В.Ф., Разоружение: концепция, проблемы, механизм, М., 1982.

**გამბა** ჟაკ ფრანსუა (1763-1833), ფრანგი დიპლომატი, მოგზაური და საფრანგეთის კონსული თბილისში. 1817-18-ში იმოგზაურა კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში. დაწვრილებით შეისწავლა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები, მათ შორის კახეთი და დასავლეთ საქართველოში ქუთაისის რეგიონი. რუსეთის მთავრობამ იმერეთში (აჯამეთი) მიჰყიდა 16 ათასი დესეტინა მიწა რაციონალური მეურნეობის მოსაწყობად. 1824-26-ში პარიზში გამოაქვეყნა ნაშრომი „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში", რომელშიც საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხით. ამ ნაშრომში მოცემულია თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, რედუტ-კალეს (ყულევის), სიღნაღის, თელავის სტრატეგიულ-პოლიტიკური დახასიათება. ნაშრომს ახლავს აფხაზეთის, სამეგრელოს და იმერეთის რუკები, ეკლესიებისა და ციხეების ჩანახატები. დიდი როლი შეასრულა XIX ს-ის I მესამედში ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში რუსეთის და საფრანგეთის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის კურსის შემუშავებაში; კერძოდ იგი იყო ამიერკავკასიაში შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის შესახებ (1821-31) კანონის ავტორი და მთავარი ინიციატორი.

*ლიტ.:* П о л и е в к т о в М.А., Европейские путешественники по Кавказу. 1800–1830. Тб., 1946.

**გამსახურდია** ზვიად კონსტანტინეს ძე (1939-93), მწერალი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

1962 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1975-86 იქვე ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1976-91 იყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

გ. იყო ქართული ეროვნული მოძრაობის აქტიური და ცნობილი მონაწილე. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ხელმძღვანელობდა რიგი არალეგალური ჟურნალების გამოცემას. რამდენჯერმე (1956, 1959, 1977, 1989) იყო რეპრესირებული.

1990 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1991 წლის მაისში – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. მისი დიპლომატიური ნაბიჯებიდან აღსანიშნავია შეხვედრები რუსეთის პრეზიდენტ ბ. *ელცინთან* (იხ. *ყაზბეგის შეხვედრა*) და აშშ-ის პრეზიდენტ რ. *რეიგანთან*. გ-ს სუბიექტივიზმმა დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, ჩავარდნებმა საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, მისი მომხრე საპარლამენტო უმრავლესობის უუნარობამ – გადაეჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, გაეტარებინა რადიკალური დემოკრატიული გარდაქმნები და კარდინალური ეკონომიკური რეფორმები – გამოიწვია ოპოზიციის გაძლიერება, რაც საბოლოო ჯამში შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა. 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვრის დასაწყისში, თბილისში მთავრობის სახლის გარშემო ბრძოლების შემდეგ, შეწყდა პრეზიდენტის ინსტიტუტისა და უზენაესი საბჭოს ფუნქციონირება.

გ. და მისი უახლოესი გარემოცვა გაიქცა გროზნოში (ჩეჩნეთი). დაიღუპა სამეგრელოში გაურკვეველ ვითარებაში.

**განდი** (Gandhi) ინდირა (1917-84), ინდოელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ჯ. *ნერუს* ქალიშვილი. განათლება მიიღო ინდოეთში, შვეიცარიასა და ინგლისში. 1938 გახდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის (იეკ) პარტიის წევრი. 1942 ცოლად გაჰყვა ცნობილ კონგრესისტსა და გამომცემელს ფ. განდის. აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების (1947) შემდეგ დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი იეკ-ში. 1959-60 გახდა იეკ-ის თავმჯდომარე, 1964-66 – ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრი, 1966-77 და 1980-84 – პრემიერ-მინისტრი. იმავდროულად, 1967 ეკავა დაგეგმვის მინისტრის, 1966-77 – ატომური ენერგიის, 1967-69 – საგარეო საქმეთა, 1969-70 – ფინანსთა, 1970-73 – შინაგან საქმეთა, 1971-74 – ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის, 1972-77 – კოსმიური კვლევის, 1973-77 – ელექტრონული მრეწველობის, 1975-77 – დაგეგმვის, 1975 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 1980-81 – თავდაცვის მინისტრის პოსტები. 1966-77 გახდა იეკ-ის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი, 1978-84 – ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის პრეზიდენტი. იყო მიუმხრობლობის პოლიტიკის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრე, მიუმხრობლობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1983 მიუმხრობელი ქვეყნების VIII კონფერენციაზე დელიში აირჩიეს ამ მოძრაობის თავმჯდომარედ.

**განეცკი** (ნამდვილი გვარი ფ ი უ რ ს ტ ე ნ ბ ე რ გ ი) იაკობ სტანისლავის ძე (1879-1937), რუსი საბჭოთა დიპლომატი, რუსეთსა და პოლონეთში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე.

1920-დან დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1920 როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრი მონაწილეობდა მოლაპარაკებაში ლიტვასთან, შემდეგ საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი და სავაჭრო წარმომადგენელი ამ ქვეყნებში. 1920-21 მონაწილეობდა პოლონეთთან მოლაპარაკებაში. 1921-23 – საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. მონაწილეობდა მასალების მომზადებაში *გენუის*, *ჰააგის* და *ლოზანის კონფერენციებისათვის*. 1923-29 – სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. 1930-35 მუშაობდა სახელმწიფო სამუშაოზე. 1935-37 იყო სსრკ რევოლუციის მუზეუმის დირექტორი.

**განვითარებადი ქვეყნები**, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ოკეანიის ქვეყნები (დაახლოებით 120-ზე მეტი სახელმწიფო), რომლებიც მიზნად ისახავენ საკუთარი ეკონომიკის სწრაფად განვითარებას და ამისათვის საჭირო საერთაშორისო პირობების შექმნას. ტერმინი „განვითარებადი ქვეყნები" წარმოიშვა და გავრცელდა 60-იანი წლების დასაწყისში და რამდენადმე კრებითი ხასიათი გააჩნია. გ.ქ-ს მიეკუთვნებიან *მეორე მსოფლიო ომის* შემდეგ კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყნები, აგრეთვე სხვა ქვეყნები, რომლებმაც უფრო ადრე მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ან არასოდეს დაუკარგავთ იგი მთელი თავისი არსებობის მანძილზე.

ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ეს ქვეყნები არსებითად წარმოადგენდნენ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების აგრარულ-სანედლეულო დანამატს. უკიდურესი სიღატაკე, ჩამორჩენილობა და დამოკიდებული მდგომარეობა წარმოადგენს მათ განმასხვავებელ ნიშანს თანამედროვე პირობებში, თუმცა დღეს ხარისხობრივად სულ ახალი მომენტები და შესაძლებლობები გაჩნდა. გ.ქ-ის წილად მოდის პლანეტის მოსახლეობის 65%, მაგრამ მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში მისი წილი შეადგენს 10%, ხოლო ვაჭრობაში – 15%-ს. გაეროს მონაცემებით, გ.ქ-ში დაახლოებით 800 მლნ ადამიანი საშინელ სიღატაკეში ცხოვრობს. შემოსავალი ერთ სულზე 12-15-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში. გ.ქ-ში 900 მლნ-მდე ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია, ხოლო 1,5 მლრდ მოკლებულია სამედიცინო მომსახურებას. განსაკუთრებით დიდი და სერიოზული სიძნელეები გააჩნიათ ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს.

ეკონომიკური კავშირების გასაფართოებლად, საერთაშორისო ასპარეზზე კოორდინირებული საქმიანობისათვის, ინდუსტრიული ქვეყნების ექსპანსიისაგან საკუთარი ეკონომიკის დასაცავად განვითარებადმა ქვეყნებმა შექმნეს 20-მდე რეგიონული და სუბრეგიონული ეკონომიკური გაერთიანებები. 1964 გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (იუნკტადი) I სესიისათვის მზადების პერიოდში გ.ქ-მა შექმნეს „77 ჯგუფი", რომელმაც შემდეგში წამოაყენა *საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნის* პროგრამა. ამ ღონისძიებების შედეგად გ.ქ-ის ეკონომიკური მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა. მათი ხვედრითი წილი კაპიტალისტური ქვეყნების ერთობლივ საერთო პროდუქციაში 1960 14,5%-დან გაიზარდა 1980 18,5%-მდე. 70-90-იან წლებში გ.ქ-ის წარმოების საერთო მოცულობა 4,5-ჯერ გაიზარდა.

1994 დასაწყისში *ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ* საქართველოს მიანიჭა გ.ქ-ის სტატუსი, რაც სახელმწიფოს აძლევს საერთო ხასიათის შემდეგ შეღავათებს: გ.ქ-ის ხაზით მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება, პრივატიზაცია, საფინანსო და საბანკო სექტორების განვითარება, ეკონომიკის სტრუქტუ-

რული ცვლილებების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის ინვესტირება, ტექნიკური დახმარება საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და დონორი სახელმწიფოების მხრივ, შეღავათიანი გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფა, რეციპიენტი ქვეყნებისათვის სპეციალური სამუშაო ჯგუფების ორგანიზება მათთვის სისტემატური, მეთოდური და ტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით.

**განვითარების საერთაშორისო ასოციაცია** (International Development Association), გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია 1961-დან. შეიქმნა 1959 *საერთაშორისო სავალუტო ფონდისა* და *რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის* ერთობლივი ინიციატივის საფუძველზე. ფუნქციონირება დაიწყო 1960 როგორც მსოფლიო ბანკის ფილიალმა.

გ.ს.ა-ის მიზნებია მისცეს კრედიტები განვითარებად სახელმწიფოებს მსოფლიო ბანკზე უფრო შეღავათიან პირობებში. კრედიტების ხანგრძლივობა ყველაზე ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში 40 წელია, პლიუს 10 წელი, როდესაც სახელმწიფოები არავითარ გადასახადს არ იხდიან (შეღავათიანი პერიოდი), ხოლო შედარებით უკეთ განვითარებულ სახელმწიფოებში 35 წელი, ასევე 10 წლიანი შეღავათიანი ვადით.

კრედიტების მისაღებად აუცილებელია, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებდეს 4 კრიტერიუმს: იყოს ძალიან ღარიბი (მინიმალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე არ უნდა აღემატებოდეს 730 ამერიკულ დოლარს); სახელმწიფოში უნდა არსებობდეს სტაბილიზაციის გარკვეული დონე, რათა გამართლებულ იქნეს კრედიტების მიღება; უნდა ჰქონდეს დიდი საგადასახადო სირთულეები; უნდა ჰქონდეს განვითარების სურვილი, რომელიც რეალურ გამოხატულებას წარმოებულ პოლიტიკაში ჰპოვებს.

გ.ს.ა-ის ფონდი იქმნება ე.წ. პირველი ჯგუფის სახელმწიფოების შენატანებისაგან მყარ ვალუტაში (ესენია 20 მაღალგანვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფო, ასევე ქუვეიტი და არაბეთის გაერთიანებული ემირატები); მეორე ჯგუფის სახელმწიფოთა (შედარებით ნაკლებად განვითარებულთა) შენატანებით (10% კონვერტირებადი ვალუტით, 90% – ეროვნული ვალუტით). დანარჩენი თანხა შედის მსოფლიო ბანკიდან, სახელმწიფოთა დამატებითი შენატანებისაგან, ასევე შვეიცარიის მიერ გამოყოფილი კრედიტებისა და დახმარებისაგან.

გ.ს.ა-ს ხელმძღვანელობს მმართველთა საბჭო და აღმასრულებელი დირექტორები. ეს იგივე პირებია, ვინც ემსახურება მსოფლიო ბანკის ნორმალურ ფუნქციონირებას, ვინაიდან გ.ს.ა-ს არ გააჩნია თავისი თანამდებობის პირები და პერსონალი. მსოფლიო ბანკის ყველა თანამშრომელი ex officio (დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე) არის ასოციაციის თანამშრომელიც. მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ამავე დროს არის ასოციაციის პრეზიდენტიც.

გ.ს.ა-ის ადგილსამყოფელია ვაშინგტონი.

**განიარაღება**, პროცესი, ღონისძიებათა სისტემა, მიმართული გამალებული შეიარაღების აკრძალვის და ომის წარმოების საშუალებათა შეზღუდვის, შემცირებისა და შეწყვეტისაკენ. თანამედროვე ეტაპზე გ. ითვალისწინებს ღონისძიებათა გატარებას ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური, ტოქსიკური, ეკოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა შეიარაღების ტექნოლოგიის დამუშავებისა და წარმოების შეწყვეტისათვის. იგი აგრეთვე ითვალისწინებს ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტასა და წარმოების აკრძალვას, კოსმოსური სივრცის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების არდაშვებას, სამხედრო ხარჯების შემცირებას, იარაღით ვაჭრობის შეზღუდვას, შეიარაღებული კონფლიქტების ზონების დემილიტარიზაციას.

გ. თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემაა, რომელზედაც დამოკიდებულია ცივილიზაციის გადარჩენა. გ-ის საკითხები პირველად დაისვა 1899 და 1907 ჰააგის სამშვიდობო კონფერენციებზე, შემდეგ ვაშინგტონის კონფერენციაზე 1921-33, ჟენევის კონფერენციებზე 1922 და 1927 და ა.შ. გ-ის პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბირთვული იარაღისა და მისი მიტანის საშუალებების გაჩენასთან ერთად. გ., როგორც საერთაშორისო სამართლის პრინციპი, ჩაწერილია გაეროს წესდებაში, გაეროს გენერალური ასამბლეის რიგ რეზოლუციებში. 60-70-იან წლებში დაიდო რიგი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც მიმართული იყო *განიარაღების ნაწილობრივი ღონისძიებების* განსახორციელებლად.

გ-ის პრობლემების გადაჭრამ ახალი იმპულსი მიიღო საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პირობებში. სადღეისოდ განიარაღების ყველაზე აქტუალური პრობლემებია: 1. რუსეთსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების დონის შემცირება სამ ძირითად კომპონენტში – საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, ატომურ წყალქვეშა ნავებზე განლაგებული ბალისტიკური რაკეტები და სტრატეგიული ავიაცია, ე.ი. იმ შეიარაღების შემცირება, რომელთა მოქმედების რადიუსიც 5500 კმ-ს აღემატება. ჯერჯერობით გ. შეეხო საომარი მოქმედების ასპარეზის ბირთვულ საშუალებებს – საშუალო სიშორის რაკეტებს 5500 კმ-მდე რადიუსით და მცირე რადიუსის რაკეტებს (500-დან 1000 კმ-მდე რადიუსით). აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებს 500 კმ-მდე მოქმედების რადიუსით. საშუალო და მცირე მანძილზე მოქმედი რაკეტები განადგურდა სსრკ-სა და აშშ-ს შორის 1987 დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

2. გ-ის პროცესმა ასევე უნდა მოიცვას ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, აგრეთვე ჩვეულებრივი შეიარაღება.

3. განსაკუთრებულად დგას სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემცირებისა და მათი მსოფლიო ოკეანეში ყოფნის საკითხი.

4. გ-თან დაკავშირებული საკითხების კომპლექსი აგრეთვე მოიცავს იარაღით ვაჭრობის რეგულირების პრობლემებს, მისი ექსპორტის შეწყვეტას რეგიონული კონფლიქტების ზონაში, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას დედამიწის სხვადასხვა ზონებში, გამალებული შეიარაღების კოსმოსურ სივრცეში თავიდან აცილებას და ა.შ.

გ-ის საერთაშორისო-სამართლებრივი კონცეფციის ძირითადი დებულებები მოცემულია განიარაღების საკითხებზე გაეროს გენერალური ასამბლეის I სპეციალურ სესიაზე (1978) მიღებულ დასკვნით დოკუმენტში. ამ კონფერენციის მიხედვით, გ-ის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების დროს ძირითადი უნდა იყოს მხარეების თანასწორობისა და თანაბარი *უშიშროების პრინციპი. განიარაღების ნაწილობრივი ღონისძიებები* უნდა იყოს ამ პროცესის საბოლოო მიზნის – საყოველთაო და სრული

განიარაღების მიღწევის საშუალება, როცა მსოფლიოს ყველა ქვეყანა დაითხოვს თავის შეიარაღებულ ძალებს, აუქმებს სამხედრო დაწესებულებებს, წყვეტს ყველანაირი იარაღის წარმოებას და ქვეყნის გამგებლობაში ტოვებს მხოლოდ შეზღუდულ ძალებს ქვეყნის შიგნით წესრიგის უზრუნველსაყოფად. განიარაღების პროცესში უმნიშვნელოვანესი ელემენტია კონტროლი მის განხორციელებაზე.

**განიარაღება და განვითარება**, განიარაღებასა და მის შედეგად გამოთავისუფლებულ სახსრებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, განსაკუთრებით *განვითარებადი ქვეყნების* სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ საქმიანობაში. *ცივი ომის* შედეგად გაჩაღებული გამალებული შეიარაღება მოითხოვდა უზარმაზარი მატერიალური და ადამიანთა რესურსების ჩართვას არამწარმოებლურ სფეროში. მარტო ერთი, 1980 განმავლობაში, მთელს მსოფლიოში სამხედრო იარაღის წარმოებაზე გაწეული ხარჯები 4-ჯერ გაიზარდა და 130 მლრდ დოლარიდან 500 მლრდ დოლარს გადააჭარბა. და ეს იმ დროს, როცა, სპეციალისტების მონაცემებით, სუფთა სასმელი ჰიგიენური წყლით დედამიწის მოსახლეობის მოსამარაგებლად საჭიროა 3 მლრდ დოლარი, ხოლო ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინისათვის მთელს მსოფლიოში საჭიროა წელიწადში 500 მლნ დოლარი. გარდა ამისა, გამალებული შეიარაღება ზრდის ბირთვული ომის საფრთხეს, ხელს უშლის *გლობალური პრობლემების* ეფექტურ გადაწყვეტას, აუარესებს სამართლიანობისა და დემოკრატიის საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნის პერსპექტივებს.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და მის შედეგად გამოთავისუფლებული სახსრების ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოყენების საკითხები არაერთხელ დაისვა საერთაშორისო ფორუმებსა და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე. 1973 გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების 10%-ით შემცირებისა და ამ სახსრების განვითარებადი ქვეყნებისათვის მოხმარების წინადადება, მაგრამ ამ და სხვა წინადადებათა შესრულება ცივი ომის პერიოდში ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის და ცივი ომის გაქრობის შემდეგ, უკანასკნელ წლებში ტარდება ნაწილობრივი ღონისძიებები კონვერსიისა და სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

**განიარაღების ნაწილობრივი ღონისძიებანი**, ღონისძიებანი, რომლებიც ხელსაყრელ მატერიალურ და პოლიტიკურ წანამძღვრებს ქმნიან *საყოველთაო და სრული განიარაღების* მისაღწევად. გ.ნ.ღ. მიმართულია შეიარაღების ცალკეული სახეობების, ან სისტემების შესაზღუდავად, შესამცირებლად და სალიკვიდაციოდ, იარაღის ამა თუ იმ სახეობების გამოყენების ასაკრძალავად ან შესაზღუდავად, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შესამცირებლად, სამხედრო პროგრამების განხორციელების შესაჩერებლად ან ერთ დონეზე გასაყინავად, გამალებული შეიარაღების შესამცირებლად ან შესაწყვეტად მთელ[illegible]გან, ან ცალკეულ გეოგრაფიულ რეგიონებში. ისინი [illegible]ცავენ ისეთ ღონისძიებებსაც, რომლებიც არ იწვევენ შეიარაღების ფაქტობრივ შემცირებას, მაგრამ ზღუდავენ შეიარაღებას, რითაც ხელს უწყობენ ნდობის გაღრმავებას სახელმწიფოებს შორის, ამცირებენ ომის საშიშროებას.

60-80-იან წლებში ხელი მოაწერეს რიგ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და კონვენციებს გამალებული შეიარაღების შესამცირებლად. აღსანიშნავია 1963 ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ, 1966 ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ, 1968 ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, 1971 ხელშეკრულება აშშ-სა და სსრკ-ს შორის ბირთვული ომის აღმოცენების საფრთხის შემცირების ღონისძიებათა შესახებ, 1972 ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ, 1972 კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის გამოგონების, წარმოებისა და დაგროვების შესახებ, 1987 აშშ-ისა და სსრკ-ის ხელშეკრულება საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების მოსპობის შესახებ და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია აშშ-სა და სსრკ-ს შორის შეთანხმებებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

პირველხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია განიარაღების იმ ნაწილობრივ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბირთვული იარაღის აკრძალვისა და სალიკვიდაციოდ, აგრეთვე იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად.

**განსაკუთრებული გეოგრაფიული მახასიათებლების მქონე ქვეყნები** (ქვეყნები, რომლებიც გეოგრაფიულად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან), გაეროს 1982 საზღვაო სამართლის შესახებ კონვენციის მიხედვით, ამგვარ ქვეყნებად იგულისხმებიან სანაპიროზე (მათ შორის *ჩაკეტილი და ნახევრადჩაკეტილი ზღვების* სანაპიროზე) მდებარე ქვეყნები, რომელთა განსაკუთრებული გეოგრაფიული მახასიათებლები მათ დამოკიდებულს ხდიან მოცემული რეგიონის ან სუბრეგიონის სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკური ზონების ცოცხალი რესურსების მათ მიერ ექსპლუატაციაზე. გეოგრაფიული მდებარეობის გ.გ.მ.მ ქ-ს მიეკუთვნება, კერძოდ, სახელმწიფოს ზღვის კუთვნილი სანაპიროს უმნიშვნელო სიგრძე, ან ამ სანაპიროსთან მიმდებარე საზღვაო აკვატორიის სივიწროვე. ამ და ზოგიერთი სხვა მიზეზების გამო, რიგ ქვეყნებს არ შეუძლიათ პრეტენზიის გაცხადება საკუთარ ეკონომიკურ ზონებზე.

1982 საზღვაო კონვენცია ითვალისწინებს, რომ ზღვის სანაპირო სახელმწიფოები განსაზღვრავენ თავის ეკონომიკურ ზონებში ზღვის ცოცხალი რესურსების ჭერის დასაშვებ ოდენობას. მაგრამ ამასთან ერთად, 1982 კონვენცია ითვალისწინებს სახელმწიფოს უფლებას „სამართლიანობის საფუძველზე მონაწილეობდეს ამავე რეგიონის ან სუბრეგიონის სანაპირო სახელმწიფოთა განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში ცოცხალი რესურსების დასაშვები ჭერის შესაბამისი ნარჩენების ექსპლუატაციაში, მასთან კავშირში მყოფ ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს ეკონომიკური და გეოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით". ეს დებულება არ გამოიყენება იმ სანაპირო სახელმწიფოთა მიმართ, რომელთა ეკონომიკაც უმთავრესად დამოკიდებულია მათი ეკონომიკური ზონის ცოცხალი რესურსების ექსპლუატაციაზე.

*ქუბლ.:* Конвенция ООН по морскому праву. 1982, Нью-Йорк, 1983.

*ლიტ.:* Молодцов О.В., Правовой режим морских вод. М., 1982, с. 64-132.

**განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა**, ახალი სამართლებრივი კატეგორია, რომელიც XX ს. II ნახევარში წარმოიშვა ღია ზღვის სანაპირო წყლების თევზის რესურსებზე, სახელმწიფოთა ნაციონალური მოთხოვნებისა და პრეტენზიების შედეგად, გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციის თანახმად. გ.ე.ზ. არის 200 მილის სიგანის საზღვაო ტერიტორია, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ტერიტორიულ ზღვას და რომელშიც სახელმწიფო ფლობს გარკვეულ სუვერენულ უფლებებს. კონვენციის 56-ე მუხლის თანახმად აღნიშნულ სუვერენულ უფლებებში შედის ცოცხალი და არაცოცხალი რესურსების დაზვერვა, დამუშავება და შენარჩუნება, ამ რესურსების განკარგვა, აგრეთვე წყლის, ქარისა და დინების გამოყენებით ენერგიის გამომუშავება. რაც შეეხება ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების წარმოებას, ზღვის გარემოს დაცვასა და შენარჩუნებას, აქ სანაპირო სახელმწიფოს მხოლოდ იურისდიქციული უფლებანი გააჩნია.

სანაპირო სახელმწიფო, იმის გათვალისწინებით, რომ გ.ე.ზ. ღია ზღვის ნაწილს წარმოადგენს, ვალდებულია გაითვალისწინოს სხვა სახელმწიფოთა ინტერესები, რათა არ დაირღვეს ბალანსი სანაპირო სახელმწიფოს მიერ რესურსების გამოყენების უფლებებსა და საზღვაო სამართლის მიერ სახელმწიფოთათვის ტრადიციულად მინიჭებულ უფლებებს შორის. გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციის 58-ე მუხლის მიხედვით, გ.ე.ზ-ში ყველა სახელმწიფო სარგებლობს ფრენისა და ნაოსნობის, წყალქვეშა კაბელებისა და მილსადენების გაყვანის თავისუფლებით.

გ.ე.ზ. მდიდარი მემკვიდრეობაა (მსოფლიო ოკეანის თევზსაჭერი რაიონების აბსოლუტური უმრავლესობა ამ ზონაშია მოქცეული), რომელიც მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვალეობებს აკისრებს მფლობელს: სახელმწიფოებს ეკისრებათ იურიდიული მოვალეობა უზრუნველყონ თავიანთ გ.ე.ზ-ში რესურსების ოპტიმალური გამოყენება; სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ მათ მიერ წარმოებულ თევზის რეწვის შემდეგ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში მორჩენილი რესურსების ათვისებას სხვა სახელმწიფოების (პირველ რიგში, მეზობელი სახელმწიფოების) მიერ. აღნიშნულ I კატეგორიაში, კონვენციის 69-ე და 70-ე მუხლების თანახმად, ასევე განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ სახელმწიფოები, რომლებსაც არ გააჩნიათ ზღვაზე გასასვლელი, და სახელმწიფოები, რომლებიც გეოგრაფიულად არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან.

გ.ე.ზ-ში სახელმწიფოთა საქმიანობას არეგულირებს სანაპირო სახელმწიფოს კანონი გ.ე.ზ-ის შესახებ (გაეროს 1982 კონვენციის დებულებების უცილობელი გათვალისწინებით), ასევე ორმხრივი, რეგიონული და სხვა სპეციალური შეთანხმებები.

*ლიტ.* Конвенция ООН по морскому праву. 1982, Нью-Йорк, 1983; Курс международного права, т.5, М., 1992; М о л о д ц о в С.В., Международное морское право, М., 1987; Словарь международного морского права, М., 1985. The Law of the Sea: Exclusive Economic Zone. Legislative History of Articles 56, 58 and of the United Nations Convention on the Law of the Sea, N. Y., 1992.

**განსაკუთრებული ტერიტორიული რეჟიმები**, საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმები, რომლებიც განსაზღვრავენ რომელიმე შემოზღუდული ტერიტორიის ან *სივრცის სამართლებრივ სტატუსს* და სარგებლობის წესს. გ.ტ.რ. დგინდება ზოგიერთი ან ყველა სახელმწიფოს ინტერესებში.

ცნობილია *საერთაშორისო მდინარეებზე, საერთაშორისო ნაოსნობისათვის გამოსაყენებელ სრუტეებსა* და *საერთაშორისო არხებში* ნაოსნობის რეჟიმები, დემილიტარიზებული და ნეიტრალიზებული ზონების (იხ. *დემილიტარიზაცია*) რეჟიმები, თევზჭერისა და სხვა საზღვაო სარეწების (იხ. *ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვა*), ზღვის ფსკერის მინერალური რესურსების ექსპლუატაციის (კონტინენტური შელფი, ზღვის ფსკერის საერთაშორისო რაიონი), საზღვაო ნაოსნობის, სასაზღვრო მდინარეების წყალთსარგებლობისა და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობის (იხ. *სასაზღვრო მდინარეები*) და ა.შ. რეჟიმები. გ.ტ.რ. შეიძლება დაწესდეს მიმდებარე ან ეკონომიკურ ზონებში (იხ. *სპეციალური ზონები*, ეკონომიკური ზონები). გ.ტ.რ-ის რიცხვს განეკუთვნება ალანდის კუნძულების რეჟიმი (იხ. *ალანდის კონვენციები*) და შპიცბერგენის რეჟიმები (იხ. *შპიცბერგენის სტატუსი*). გ.ტ.რ-ის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს არენდა (იხ. *იჯარა* საერთაშორისო-სამართლებრივი), თავისუფალი ზონების რეჟიმი, რომელიც საბაჟო თვალსაზრისითაა პრივილეგირებული (იხ *საერთაშორისო ზონა, ტანჟერის 1923, 1956 კონვენციები*).

გ.ტ.რ-ის კატეგორიას გარკვეული მემკვიდრეობითი კავშირი გააჩნია დრომოჭმულ *საერთაშორისო სერვიტუტების* დოქტრინასთან, მაგრამ გ.ტ.რ-ის კატეგორია ეფუძნება არა ტერიტორიული რეჟიმების სამუდამოდ დამკვიდრებას, არამედ ზოგიერთი მათგანისათვის დაინტერესებულ სახელმწიფოთა სუვერენული ნებისა და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, თანამედროვე ცვალებადი საერთაშორისო ვითარების პირობებში, განსაკუთრებული მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

თავისი სტაბილურობის გამო, გ.ტ.რ-ზე არ ვრცელდება *სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა*. ეს დებულება ასახულია ხელშეკრულებათა შესახებ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის 1978 *ვენის კონვენციის* მე-12 მუხლში.

უცხოეთის ქვეყნების ტერიტორიებზე *სამხედრო ბაზებით* სარგებლობის რეჟიმი არ განეკუთვნება გ.ტ.რ-ის კატეგორიას.

*ლიტ.:* Л е б е д е в М.А., Некоторые вопросы пользования иностранной территорией в современном международном праве. — Советский ежегодник международного права. 1981, М., 1982, с. 282-287.

**გარანტიები ინგლისისა და საფრანგეთის 1939**, მიეცა პოლონეთს, რუმინეთს, საბერძნეთსა და თურქეთს 1939 წლის მარტ-ივნისში, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო დახმარებას ამ სახელმწიფოების მიმართ აგრესიის შემთხვევაში. გერმანიის მიერ პოლონეთზე თავდასხმის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას, მაგრამ არავითარი პრაქტიკული დახმარება პოლონეთს არ აღმოუჩინეს, ასევე საბერძნეთსაც. რუმინეთმა 1940 ოფიციალურად უარი განაცხადა გარანტიებზე.

**გარაყანიძე** ზაალ (გ. დაახლ. 1741), კახელი თავადი, დიპლომატი. 80-იან წლებში მეფე *არჩილ II-ის* ოჯახს რუსეთში გაჰყვა. 1700 ნარვის ლაშქრობის დროს ალექსანდრე ბატონიშვილთან (არჩილ II-ის ძე) ერთად ტყვედ ჩაუვარდა შვედებს, სადაც 1707-მდე იმყოფებოდა. 1707 მოსკოვში დაბრუნების შემდეგ არჩილ II-მ საქართველოში გაგზავნა

დავალებით. 1722 კი კახეთის მეფე *კონსტანტინე II-მ* იგი სპეციალური მისიით მოსკოვში გააგზავნა. მალე მან დიპლომატიურ მოღვაწეობას თავი დაანება და ბერად აღიკვეცა.

**გარაშანინი** (Garašanin) ილია (1812-74), სერბი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1843-52 და 1858-59 – შინაგან საქმეთა მინისტრი. ბალკანეთის ხალხის თურქეთის ბატონობისაგან განთავისუფლების მიზნით ცდილობდა მათ გაერთიანებას მონარქიული სერბიის ეგიდით. სურდა რუსეთთან დაახლოება. აქტიურად მონაწილეობდა ჩერნოგორიასთან, საბერძნეთთან და რუმინეთთან კავშირის დადებაში. 1867 მიაღწია სერბიიდან თურქეთის ჯარის გამოყვანას. 1867 გადადგა და ჩამოსცილდა სახელმწიფო მოღვაწეობას.

**გარდაქმნის პოლიტიკა 1985-91**, იხ. *„პერესტროიკა"*.

**გარსია რობლესი** (Garcia Robles) ალფონსო (დ. 1911), მექსიკის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1939-დან. მუშაობდა მექსიკის საელჩოში შვედეთში (1939-41). 1941-46 – მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების უფროსი, შემდეგ კი პოლიტიკური საკითხებისა და დიპლომატიური სამსახურის სამმართველოს გენერალური დირექტორი. 1946-57 – გაეროს სამდივნოს პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი; 1957-61 – მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის, აზიის და აფრიკის საქმეთა განყოფილების უფროსი; 1962-64 – მექსიკის ელჩი ბრაზილიაში. 1964-71 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ლათინურ ამერიკაში ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე (1964-67) (ლათინურ ამერიკაში ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ 1967 ხელშეკრულება); 1971-75 – მექსიკის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში; 1974-75 – გაეროში „77 ჯგუფის" თავმჯდომარე; 1975-76 – მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1977 – მექსიკის წარმომადგენელი განიარაღების კომიტეტში. მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი (1983). ავტორი შრომებისა საერთაშორისო სამართლის დარგში.

**გასპარ ქართველი** (გ. 1701), ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XVII ს. II ნახევარში. გ.ქ. იყო *გიორგი XI*-თან დაახლოებული პირი. მონაწილეობდა სპარსელთა მიერ დასავლეთ ევროპაში მოწყობილ ელჩობაში, რომელიც მიზნად ისახავდა თურქთა საწინააღმდეგო კოალიციის შექმნას და რომელსაც ისპაჰანელი კათოლიკე ეპისკოპოსი ელიასი ხელმძღვანელობდა. 1700 გ.ქ. მოსკოვში შეხვდა *არჩილ II-ს*, რომლის დახმარებით *პეტრე I-მა* ხელი შეუწყო ელჩობის დასავლეთ ევროპაში გამგზავრებას, მაგრამ გ.ქ-ს არ დასცალდა. 1701 გარდაიცვალა ვარშავაში.

*ლიტ.:* გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი.- წგ.: სულხან-საბა ორბელიანი. 1658-1958. საიუბილეო კრებული, თბ., 1959.

**გაშტაინის კონვენცია 1865**, ხელი მოაწერეს 14.VIII. გაშტაინში ავსტრიამ და პრუსიამ შლეზვიგისა და ჰოლშტაინის საკითხის მოწესრიგების გამო, რომლებიც მათ მიერ იყო მიტაცებული დანიის წინააღმდეგ ომის დროს. გ.კ-ით ორივე ჰერცოგის ტერიტორია ეკუთვნოდა ავსტრიასა და პრუსიას. ჰოლშტაინში უნდა შექმნილიყო ავსტრიის ადმინისტრაცია, შლეზვიგში – პრუსიის. კილის ყურე პრუსიას უნდა დაეცვა, პრუსიამ მიიღო კილის არხის, რკინიგზისა და ტელეგრაფის მშენებლობის უფლება ჰოლშტაინში. გ.კ-მ ვერ აღმოფხვრა წინააღმდეგობა ავსტრიასა და პრუსიას შორის, რამაც გამოიწვია მათ შორის 1866 ომი.

**„გახანგრძლივებული ბირთვული ომის დოქტრინა"** („გახანგრძლივებული ომი" – protracted war ან ომის „ხანგრძლივად წარმოების" შესაძლებლობა – protracted capability), აშშ-ის სტრატეგიული დოქტრინა, ფორმულირებული პრეზიდენტ რ. *რეიგანის* ადმინისტრაციის მიერ და დაფიქსირებული პენტაგონის დირექტივაში „მითითებანი თავდაცვის საკითხებში 1984-88 წლებისათვის". „გ.ბ.ო.დ"-ის მიღება გამოწვეული იყო სსრ კავშირის გამაღლებული შეიარაღებით და ითვალისწინებდა აშშ-ის მომზადებას ხანგრძლივი ომისათვის; ასეთ ომში, კონტრდარტყმების მიუხედავად, აშშ-ის სტრატეგიული ძალების მიერ ბირთვული პოტენციალის უპირატესობის შენარჩუნებას. ამ დოქტრინის წამოყენება წარმოადგენდა კარტერის №59-ე დირექტივის ერთგვარ უარყოფას, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებდა შეზღუდული (დროითა და მასშტაბებით) ბირთვული ომის წარმოებას გარკვეული მიზნის მისაღწევად (იხ. *„შეზღუდული ბირთვული ომის" სტრატეგია*).

**გაჰუნგი** (Gahungy) ემანუელ (დ. 1956), ბურუნდის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1976-81 სწავლობდა ზაირის კამპუს დე ლუბუმბაშის ეროვნულ უნივერსიტეტში; 1989-91 – სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის მინისტრის კაბინეტის დირექტორი; 1991-93 – ბურუნდი-ლუქსემბურგის საბინაო მშენებლობის გაუმჯობესების ერთობლივი პროექტის დირექტორი; 1993-დან – ელჩი რუსეთში. 1995 წლის მარტიდან – ელჩი საქართველოში.

**გეგენავას ელჩობა**, ოდიშის მთავრის *ლევან II* დადიანის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ელჩობა მთავრის კარის მღვდლის გაბრიელ გეგენავას მეთაურობით. 1634-თვის გაუარესდა სამეგრელოს სამთავროს საგარეო მდგომარეობა. კახეთის ტახტის დაბრუნება შეძლო დადიანის მტრის – იმერთა მეფის ერთგულმა მოკავშირემ *თეიმურაზ I-მა*. ამან საფრთხე შეუქმნა დადიანის მოკავშირეს, ქართლის მეფე *როსტომს*. გამწვავდა სამეგრელო-ოსმალეთის ურთიერთობაც, რადგან სულთნისათვის ცნობილი გახდა ლევან დადიანის დაკავშირება ირანის შაჰთან (როსტომის მეშვეობით). დადიანი განსაკუთრებით შეაშფოთა თეიმურაზის მიერ რუსეთში ელჩების გაგზავნამ. თეიმურაზი მოსკოვს სამხედრო დახმარებას სთხოვდა როსტომისა და დადიანის წინააღმდეგ. სამეგრელოს სრული პოლიტიკური იზოლაციის საფრთხე ემუქრებოდა. ამან გადააწყვეტინა ლევან დადიანს ელჩის გაგზავნა რუსეთში. ელჩობის ძირითადი მიზანი იყო თეიმურაზის ელჩობის ნეიტრალიზაცია. ელჩობა გაბრიელ გეგენავას მეთაურობით რუსეთს 1636 გაემგზავრა. ელჩობას ოფიციალური მიღება 1638 წლის 16 ნოემბერს და 12 დეკემბერს მოუწყვეს. ლევან დადიანი სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, მიეღო სამეგრელო მფარველობაში და საპასუხო ელჩობა გამოეგზავნა. 1639 გეგენავა სამშობლოში გამოისტუმრეს და გამოაყოლეს ელჩი ფ. ელჩინი (იხ. *ელჩინისა და ზახარიევის ელჩობა*).

*ლიტ.:* Н а к а ш и д з е Н. Т., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1968.

**გეგეჭკორი** ევგენი პეტრეს ძე (1881-1954), საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, დიპლომატი. ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერი, ახალგაზრდობიდანვე აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1907-12 იყო III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. 1917 წლის აპრილში არჩეული იყო კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოსა და მუშათა დეპუტატების სამხარეო გაერთიანებული ცენტრის თავმჯდომარედ. 1917 წლის ნოემბერსა – 1918 წლის აპრილში – ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე და შრომის მინისტრი, ამიერკავკასიის სეიმის მთავრობის თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი. 1918-დან – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. მონაწილეობდა საქართველო-თურქეთის მოლაპარაკებაში (1918). გარკვეული როლი შეასრულა საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დადებაში. 1921-დან ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა.

**გენდემიანის საზავო ხელშეკრულება 1873**, ხელი მოაწერეს 12(24).VIII თურქესტანის გენერალ-გუბერნატორმა და ხივის ხანმა ხანის ბაღში, გენდემიანში. გ.ს.ხ-ით ხანმა რუსეთის იმპერატორს დაუთმო მდ. ამუ-დარიის მთელი მარჯვენა სანაპიროს მიწები, გახსნა რუსი ვაჭრებისათვის სახანოს ქალაქები და გაათავისუფლა ისინი ბაჟებისა და გადასახადებისაგან. გ.ს.ხ-ით უქმდებოდა მონობა და მონათვაჭრობა. ხანს უნდა გადაეხადა 20 წლის განმავლობაში კონტრიბუცია 2,2 მლნ მან.

**გენერალური აქტი**, იხ. *დასკვნითი აქტი*.

**გენერალური კონსული**, იხ. *საკონსულო რანგები*.

**გენტის ხელშეკრულება 1814** (ცნობილია აგრეთვე როგორც ამერიკა-ინგლისის ხელშეკრულება 1814), დაიდო 24. XII გენტში (ბელგია). განსაზღვრა ზავის პირობები და აშშ-ის ომის დამთავრება ინგლისთან 1812-14. გ.ხ. ითვალისწინებდა მშვიდობის დამყარებას და საზღვრების შენარჩუნებას, რომელიც განსაზღვრული იყო 1783 *ვერსალის* (ინგლის-ამერიკის) *საზავო ხელშეკრულებით* და ადასტურებდა აშშ-ის დამოუკიდებლობას. მხარეები შეთანხმდნენ სასაზღვრო საკითხის გადასაწყვეტად დაენიშნათ სპეციალური რწმუნებულები. განისაზღვრა ღონისძიებები მონათვაჭრობის წინააღმდეგ, მაგრამ გ.ხ-მ ვერ გადაწყვიტა მათ შორის წინააღმდეგობანი (იხ. *ვებსტერ-აშბერტონის ხელშეკრულება 1842*).

**გენუის კონფერენცია 1922**, საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე, გაიმართა 10.IV – 19.V. მოწვეული იყო *კანის კონფერენციის* (1922) გადაწყვეტილებით. გ.კ-ის მუშაობაში მონაწილეობდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. აშშ წარმოდგენილი იყო მეთვალყურით. ექსპერტების სპეციალურმა კომისიამ, რომელიც მუშაობდა ლონდონში 20-28.III, მოამზადა რეზოლუციის პროექტი, რომლითაც რუსეთისაგან მოითხოვდა ეცნო ყველა სესხი და ფინანსური ვალდებულებები, რუსეთის ყოფილი და ახალი მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების დანახარჯები. პროექტით, ყველა სესხი, რომელიც რუსეთთან იყო დადებული 1914 წლის 1.VIII შემდეგ, განსაზღვრული თანხის გადახდის შემდეგ დაფარულად ჩაითვლებოდა. ეს თანხა განსაზღვრული უნდა ყოფილიყო. ყველა ნაციონალიზებული საწარმო თავიანთ პატრონებს უნდა დაბრუნებოდა.

1922 წლის 22.II მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის ძალითაც რუსეთის ფედერაციას უფლება ეძლეოდა დაეცვა კონფერენციაზე რესპუბლიკების ინტერესები. 1922 წლის 30.III რიგაში კონფერენციაზე რსფსრ-ის, ესტონეთის, ლატვიისა და პოლონეთის წარმომადგენლებმა განიხილეს გ.კ-ზე შეთანხმებული მოქმედების საკითხი. ესტონეთმა, ლატვიამ და პოლონეთმა გამოთქვეს აზრი, რომ ეცნოთ საბჭოთა მთავრობა დე-იურედ. საბჭოთა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის გაანგარიშებით რუსეთის მთელი ვალი შეადგენდა 18.496 მლნ მან. (ოქროთი), ხოლო ზარალი, რომელიც რუსეთის სახალხო მეურნეობას მიაყენეს – 39 მლრდ მან. (ოქროთი). საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციები გ.კ-ზე ჩამოაყალიბა გ. *ჩიჩერინმა*. საბჭოთა მთავრობა თანახმა იყო ეცნო ომამდელი ვალები და ყოფილ მესაკუთრეთა უპირატესი უფლება, კონცესიით ან იჯარით მიეღოთ თავიანთი ყოფილი ქონება, თუ დე-იურედ ცნობდნენ საბჭოთა მთავრობას, ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ მას, გააუქმებდნენ მის სამხედრო ვალებს და მათზე დარიცხულ პროცენტებს. საბჭოთა მთავრობამ შეიტანა აგრეთვე წინადადება საყოველთაო განიარაღების შესახებ. გ.კ. უშედეგოდ დამთავრდა. „ექსპერტების კომისიას" გადაეცა „რუსეთის საკითხი" (იხ. *ჰააგის კონფერენცია 1922*).

**გენშერი** (Genscher) ჰანს-დიტრიხ (დ. 1927), გფრ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1952-დან თავისუფალი დემოკრატიული პარტიის წევრი. იყო ამ პარტიის ერთ-ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 1959-დან – ამავე პარტიის ბუნდესტაგის ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი, 1965-დან – ბუნდესტაგის დეპუტატი. 1968-დან – გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1974-85 – პარტიის თავმჯდომარე, 1969-74 – შინაგან საქმეთა მინისტრი, 1974-82 – ფედერალური კანცლერის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი, 1982-91 – ფედერალური კანცლერის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი.

ამჟამად ბუნდესტაგის დეპუტატი.

**გეოპოლიტიკა**, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნება, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოების ან სახელმწიფოთა ბლოკის მდებარეობის, ტერიტორიულ-სივრცობრივი თავისებურებების, ადგილისა და გავლენის კონკრეტულ-ისტორიული ფორმების ზემოქმედებას ლოკალურ, რეგიონულ, კონტინენტურ და გლობალურ საერთაშორისო პროცესებზე. ისტორიულად გ-ის აღმოცენება დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გეოგრაფიული ფაქტორის როლის გამოკვლევასთან (XVIII ს-ში შ.ლ.მონტესკიე, ა.რ.ჟ. ტიურგო და სხვები). XIX ს-ში კ.რიტერმა, გ.ბოკლმა, ჟ.ე.რეკლიუმა? ი.ტენმა დაიწყეს ცივილიზაციის თავდაპირველი ფორმების შექმნის საქმეში გეოგრაფიული გარემოს როლის შესწავლა. საზოგადოებრივი ცხოვრების ბუნებრივ ფაქტორებს შორის, რომლებიც ობიექტურად არსებობდა, ისინი გამოყოფდნენ სამდინარო კომუნიკაციებს, ზღვაზე გასასვლელის არსებობას, მეზობლებთან ურთიერთობებში ბუნებრივი წინააღმდეგობების (მთები, ჭაობი, უდაბნო და ა.შ.) არსებობას, სხვა სახელმწიფოთა მიმართ სივრცობრივ მდებარეობას, მათთან საზღვრების სიგრძეს, სახელმწიფოთა ეთ-

ნოდემოგრაფიულ მდგომარეობას და ა.შ. განიხილებოდა აგრეთვე ჰავის, ნიადაგის, სასარგებლო წიაღისეულის, ფლორის, ფაუნის, საწარმოო ძალთა განვითარების, კულტურის, პოლიტიკური წყობისა და ცხოვრების ორგანიზაციის ფორმები და სხვ. ამასთან ერთად XIX ს-ში ფართო მასშტაბის სამხედრო კონფლიქტების გამოცდილებამ და პირველმა მსოფლიო ომმა გამოიწვია ხალხთა დიდი მასებით, ტექნიკით, სურსათით, აღჭურვილობით და ა.შ. მანევრირების თეორიული მოდელების დამუშავების აუცილებლობა რთული გეოგრაფიული, პოლიტიკური და სამხედრო პირობების (მტრული, მოკავშირე და ნეიტრალური ქვეყნების საზღვრების კონფიგურაცია, კომუნიკაციების მდგომარეობა და გამტარუნარიანობა, მოწინააღმდეგის სამხედრო აქტივობა) გათვალისწინებით.

სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში გეოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელობა ყველაზე ნათლად გამოკვეთა კაიზერული გერმანიის სტრატეგიამ პირველ მსოფლიო ომში, ორ ფრონტზე ბრძოლის, ანტანტის მხრიდან საზღვაო კომუნიკაციების ბლოკირების და სხვა პირობებში. სწორედ მაშინ, ამ რეალიებიდან გამომდინარე, შვედმა მეცნიერმა რჩელენმა შემოიღო ტერმინი „გეოპოლიტიკა" სახელმწიფოს, როგორც განსაკუთრებული ორგანიზმის ასაწერად, რომელიც ცდილობს თავისი „საარსებო" სივრცის გაფართოებასა და აქტიურობას.

ტექნიკის განვითარებამ, ენერგორესურსებზე დიდმა მოთხოვნილებამ, შორ მანძილზე ნედლეულის გადატანის აუცილებლობამ, რიგი ქვეყნებისა და რეგიონების დამოკიდებულების ზრდამ სასურსათო საქონლის შემოტანაზე (შესაბამისად გატანაზეც), შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ, მრავალი ტექნოლოგიური პროცესის საერთაშორისო კოოპერირებამ წინ წამოწია სახელმწიფოთა ბუნებრივი გეოგრაფიული უპირატესობების გამოყენების საკითხი, როგორც გრძელვადიანი საგარეო-ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი პირობა. შესაბამისად გაიზარდა ზრუნვა სივრცობრივი მდებარეობის არახელსაყრელი მომენტების შინაგანი, ტექნიკურ-ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით, ან საგარეო-ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობით (სამხედრო ბლოკების პოლიტიკა, სამხედრო ბაზები, მტრული ქვეყნების პოტენციალისათვის ძირის გამოთხრა და ა.შ.) ნეიტრალიზაციისათვის.

სახელმწიფოთა ძირითადი სივრცობრივ-გეოგრაფიული მახასიათებლები თავის ასახვას პოულობს ქვეითი, წყალზედა და წყალქვეშა სამხედრო ძალების, სანაპირო დაცვის, სამხედრო-საჰაერო და ავიამზიდების ფლოტების პროპორციული განვითარების კონცეფციებში. ასევე, სამხედრო რაკეტმშენებლობისა და კოსმოსური კვლევის პროგრამების სამხედრო ასპექტები იგეგმება გეოგრაფიული მდებარეობის, პოტენციური მოწინააღმდეგის შეიარაღების მდგომარეობის და პროპორციის გათვალისწინებით და ჩვეულებრივ ემყარება მათი გეოპოლიტიკური პროფილის მონაცემებს.

**გეორგიევსკის ტრაქტატი 1783**, დაიდო 24.VII (4.VIII) გეორგიევსკის ციხესიმაგრეში (ახლანდ. სტავროპოლის მხარე). გ.ტ-ს ხელს აწერდნენ, რუსეთის მხრივ, გენერალი *პოტიომკინი* და, ქართლ-კახეთის მხრივ, ი. *მუხრანბატონი* და გ. *ჭავჭავაძე*. გ.ტ-ით *ერეკლე II* უარს ამბობდა ირანის ან სხვა რომელიმე სახელმწიფოსაგან რაიმე დამოკიდებულებაზე, ცნობდა რუსეთის იმპერატორის უზენაეს მფარველობას და აღუთქვამდა მას ერთგულებას: ურთიერთობა არ უნდა დაემყარებინა სხვა ქვეყნებთან რუსეთის შეუთანხმებლად; უცხო ქვეყნის ელჩებისათვის მეფეს პასუხი რუსეთთან წინასწარი შეთანხმებით უნდა გაეცა; ტახტზე ასვლა რუსეთისათვის უნდა ეუწყებინათ და ეთხოვათ ინვესტიტურა. რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთის მეფისათვის უნდა გამოეგზავნა სიგელი, დროშა, სამეფო გვირგვინი, ხმალი, კვერთხი. რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, მფარველობა გაეწია ქართლ-კახეთის მეფეებისათვის, გარანტიას იძლეოდა, რომ შეუნარჩუნებდა ერეკლე II-სა და მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტს, სამფლობელოებსა და საქართველოს მის ისტორიულ საზღვრებში აღადგენდა. რუსეთი ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო და უნდა აეკრძალა თავისი სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლობისათვის საქართველოში რაიმე განკარგულების გაცემა. მხარეებს უნდა გაეცვალათ დიპლომატიური წარმომადგენლები. გ.ტ-ის სხვა მუხლები შეეხებოდა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებს.

*ქუბლ.:* გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ, თბ., 1983.

**გერმანე არქიმანდრიტი** (ელიავა), XVIII ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე. ანტონ ჭყონდიდელმა მოსალაპარაკებლად გაგზავნა გიორგი V გურიელთან. ვიზიტი მიზნად ისახავდა მშვიდობის ჩამოგდებას გურიასა და სამეგრელოს (კერძოდ „საჭყონდიდლოს") შორის.

*ლიტ.:* ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., წინასიტყვაობა. - წგ.: ანტონ ჭყონდიდელი, ქადაგებანი, ქუთ., 1898.

**გერმანია-ბულგარეთის კავშირი 1915**, გააფორმა ბულგარეთის ჩარევა პირველ მსოფლიო ომში გერმანია-ავსტრიის ბლოკის მხარეზე. 6. IX სოფიაში ხელი მოაწერეს შემდეგ დოკუმენტებს.

ხელშეკრულება მეგობრობისა და კავშირის შესახებ ბულგარეთსა და გერმანიას შორის გერმანია-ბულგარეთის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტიას იძლეოდა. ომის შემთხვევაში ბულგარეთი მზად იყო დახმარებოდა გერმანიას.

საიდუმლო შეთანხმებით, გერმანია გარანტიას აძლევდა ბულგარეთს სერბიის წინააღმდეგ გამოსვლისათვის ვარდარის მაკედონია დაესაკუთრებინა, აგრეთვე სერბიის ტერიტორიის ნაწილი მდ. მორავას გაყოლებით. რუმინეთისა და საბერძნეთის ანტანტის მხარეზე გადასვლის შემთხვევაში გერმანია ბულგარეთს პირდებოდა დობრუჯის ტერიტორიას და კავალს. გერმანია ავსტრია-უნგრეთთან ერთად ბულგარეთს აძლევდა სამხედრო სესხს.

სამხედრო კონვენცია გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და ბულგარეთს შორის ითვალისწინებდა სერბიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის დაწყების თარიღს. იმავე დღეს ხელი მოაწერეს ბულგარეთ-თურქეთის შეთანხმებას, რომელმაც დაამთავრა ოთხთა კავშირის გაფორმება. 14. X ბულგარეთი თავს დაესხა სერბიას. 1918 გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ მოახდინა გ-ბ.კ-ის ლიკვიდაცია.

**გერმანია-დანიის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ 1939**, ხელი მოაწერეს 31. V ბერლინში. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ ურთიერთსადავო საკითხების გადასაჭრელად არ მიემართათ ომისათვის და არ გამოეყ-

ენებინათ ძალა. ომის შემთხვევაში რომელიმე მხარეზე არ დახმარებოდნენ აგრესორს. 9.IV.1940 გერმანიამ დაარღვია ხელშეკრულების პირობები და მოახდინა დანიის ოკუპაცია.

*წყძლ.:* BFSP, vol. 143, p.433-34.

**გერმანია-თურქეთის ხელშეკრულებები.** 1. 1914 **ხელშეკრულება კავშირის შესახებ (საიდუმლო)**, ხელი მოაწერეს 2.VIII სტამბულში, რომლის ძალით თურქეთი ჩაება პირველ მსოფლიო ომში. ხელშეკრულებით თურქეთს უნდა შეესრულებინა მოკავშირის როლი გერმანიის მიმართ, თუ რუსეთი ჩაებმებოდა ავსტრია-სერბიის კონფლიქტში და ის იქ შექმნიდა „კაზუს ფედერის" მდგომარეობას. გერმანია ვალდებულებას იღებდა დაეცვა თურქეთი რუსეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში. მარნასთან დამარცხების შემდეგ (1914) გერმანიამ თანდათანობით შეძლო თურქეთის საომარ მოქმედებაში ჩაბმა და თურქეთს მისცა სესხის სახით 100 მლნ ფრ. ოქროთი. 29.X გერმანიისა და თურქეთის გემები შავ ზღვაში გავიდნენ და დაიწყეს რუსეთის ნავსადგურების დაბომბვა. ომის დროს გერმანია-თურქეთის კავშირი ახალი შეთანხმებებით შეივსო. 1918 თურქეთის მიერ მუდროსის დაზავებაზე ხელის მოწერის შემდეგ გ-თ.ხ-მ არსებობა შეწყვიტა.

*წყძლ.:* Ключников Ю.В., Сабинин А.В., Международная политика.., ч. 2, М., 1926, с. 8, 51, 86, 90.

2. 1941 **ხელშეკრულება ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მეგობრობის შესახებ**, ხელი მოაწერეს 18.VI ანკარაში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ეროვნული ტერიტორიის მთლიანობას და ხელშეუხებლობას, აგრეთვე ისეთი ქმედებების დაუშვებლობას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართული იქნებოდა მეორე მხარის წინააღმდეგ. ითვალისწინებდა აგრეთვე ეკონომიკურ თანამშრომლობას.

*წყძლ.:* BFSP, vol. 144, p.816.

**გერმანია-იტალიის ინტერვენცია ესპანეთში,** 17-18. VII. 1936 გერმანიისა და იტალიის ფაშისტური მთავრობის მხარდაჭერით ოფიცერთა რეაქციულმა ჯგუფმა სახალხო ფრონტის წინააღმდეგ ესპანეთში სამხედრო აჯანყება მოაწყო, რესპუბლიკური მთავრობის დამხობის მიზნით. გენერალ ფრანკოს გერმანია და იტალია ფართო ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწევდნენ. 3 წლის განმავლობაში ესპანეთში 300000 იტალიელი და გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაიგზავნა. საბჭოთა კავშირმა რესპუბლიკურ ესპანეთს მრავალმხრივი დახმარება და მხარდაჭერა გაუწია. ესპანეთში მნიშვნელოვანი რაოდენობის იარაღი და სამხედრო ტექნიკა გაიგზავნა, რესპუბლიკელებს მიეცათ კრედიტი. ესპანეთში 300 000 საბჭოთა მოხალისე იბრძოდა. 1937 ინგლისმა ცნო ფრანკოს მთავრობა დე-ფაქტოდ. შემდეგში საფრანგეთმა და აშშ-მა უარყვეს მოთხოვნა, რათა მოეხსნათ ემბარგო რესპუბლიკელებისათვის იარაღის მიყიდვაზე. საგარეო და საშინაო არახელსაყრელი პირობების გამო რესპუბლიკელებმა მარცხი განიცადეს.

**გერმანია-იტალიის ხელშეკრულება 1939,** პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, ეწოდა „ფოლადისებრი პაქტი". ხელი მოაწერეს 22.V ბერლინში. ხელშეკრულება ომის შემთხვევაში ითვალისწინებდა მხარეთა ვალდებულებას ურთიერთდახმარებისა და კავშირის შესახებ. იგი იყო მნიშვნელოვანი მომენტი მეორე მსოფლიო ომის მომზადებაში. ხელშეკრულების პირობით, იტალია ომში ჩაება 1940 წლის ივნისში გერმანიის მხარეზე. 27.IX.1940 ხელი მოაწერეს სამთა პაქტს.

*წყძლ.:* Archiv der Gegenwart, Wien, 1939, S. 4075-76; 1940, S. 4714-15.

**გერმანია-პოლონეთის დეკლარაცია 1934,** ხელი მოაწერეს 26, I ბერლინში. მხარეები აცხადებდნენ სურვილს „დაეწყოთ ახალი ფაზა" პოლიტიკურ ურთიერთობაში ერთმანეთს შორის და არ გამოეყენებინათ ძალა სადავო საკითხების გადაჭრის დროს. გერმანიამ მოახდინა გ.-პ.დ-ის დენონსირება და 1939 წლის 1. IX თავს დაესხა პოლონეთს.

**გერმანია-საფრანგეთის დეკლარაცია 1938,** ხელი მოაწერეს 6. XII პარიზში. გ.-ს.დ. აცხადებდა, რომ ორივე მთავრობა ყველა ღონეს იხმარდა ორ ქვეყანას შორის მშვიდობიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა განვითარებისათვის. კონსტატირდებოდა ის, რომ ორ სახელმწიფოს შორის არ იყო არავითარი ტერიტორიული დავა და არსებული საზღვარი მათ შორის იყო საბოლოო.

**გერმანია-შვედეთის შეთანხმება 1940** (ტრანზიტის შესახებ შვედეთის გავლით ნორვეგიასა და ფინეთში). გაფორმდა ნოტების გაცვლის შედეგად 8. VII. ოფიციალურ კომუნიკეში შვედეთის მთავრობა თანხმობას აცხადებდა თავისი რკინიგზის საშუალებით გერმანიის სამხედრო გატარებას ტრანზიტზე. სტოკჰოლმში და სხვა პუნქტებში დაარსდა გერმანიის სატრანსპორტო კომენდატურები. 1943 წლის 5.VIII შვედეთის მთავრობამ მოახდინა გ.-შ.შ-ის ანულირება.

**გერმანია-ჩინეთის ხელშეკრულება 1898,** ხელი მოაწერეს 6. III პეკინში. ორი გერმანელი მისიონერის მკვლელობის საბაბით გერმანიის სამხედრო დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით ჩინეთის მთავრობა იძულებული გახდა გერმანიის ჯარისათვის დაეთმო 50 კმ თავისუფალი გასასვლელი ძიაოჯოუს ყურის ზოლში და მიეცა სამხედრო გამაგრების მშენებლობის უფლება. ჩინეთი აღნიშნულ ტერიტორიას უთმობდა გერმანიას 99 წლის ვადით. გერმანიამ მიიღო ძიაოჯოუდან შანდუნის პროვინციის საზღვრამდე რკინიგზის მშენებლობის უფლება. გერმანელ მოქალაქეებს ჰქონდათ სამთო მრეწველობის საკუთრებაში ქონების უფლება რკინიგზიდან 30 კმ მანძილზე. ვერსალის საზავო ხელშეკრულებით, 1919 გერმანიის მიერ არენდირებული მიწები და ქონება იაპონიას უნდა გადასცემოდა, მაგრამ ჩინეთის დელეგაციამ მასზე ხელი არ მოაწერა.

**გიბრალტარი,** იხ. *ინგლის-ესპანეთის მოლაპარაკებები გიბრალტარის საკითხზე.*

**გიგოშვილი** არჩილ ალექსანდრეს ძე (1907-69), ქართველი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 1962-69.

1928-34 იყო კომკავშირულ სამუშაოებზე. 1934-39 სწავლობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში, მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტში. 1939-დან – სახკინმრეწვის სამმართველოს უფროსი, თბილისის კინოსტუდიის მხატვრული ფილმების წარმოების დირექტორი. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე. 1948-დან იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რაიკომის მდივანი, საქართველოს კპ(ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი,

საქართველოს კპ ცკ-ის სხვადასხვა განყოფილებათა გამგე, სოფლის მეურნეობის მინისტრი. 1962-დან – საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამავე დროს იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ბიზელი** (Giesel) ვლადიმერ (1860-1938), ბარონი, ავსტრიელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1893-დან. 1896-1906 ასრულებდა დიპლომატიურ და სამხედრო დავალებებს ახლო აღმოსავლეთში. 1909-13 – ელჩი ჩერნოგორიაში, 1913-14 – სერბიაში. 23.VIII.1914 სერბიის მთავრობას გადასცა ულტიმატუმი სარაევოში მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელიც პირველი მსოფლიო ომის საბაბი გახდა.

**ბიზო** (Guizot) ფრანსუა პიერ გიიომ (1787-1874), ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, ისტორიკოსი. 1830-48 – პარლამენტის დეპუტატი. 1839 წლის აგვისტო-ნოემბერში – შინაგან საქმეთა მინისტრი, 1832-39 (1936 გამოკლებით) – განათლების მინისტრი. 1840 – ელჩი ინგლისში. 1840-48 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1847-48 – პრემიერ-მინისტრი. ცდილობდა აეცილებინა გართულებები ინგლისთან. მხარს უჭერდა ავსტრიას იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის წინააღმდეგ. 1848 წლის თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში ბელგიაში გაიქცა, შემდეგ ინგლისში გადავიდა. 1849 საფრანგეთში დაბრუნდა, მაგრამ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა.

**ბიონცი** (Göncz) არპად (დ. 1922), უნგრეთის პრეზიდენტი.

1944-დან მონაწილეობდა გერმანული ოკუპაციისაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1945 შევიდა უნგრეთის დამოუკიდებელ ახალგაზრდულ ორგანიზაციაში. დაამთავრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სოფლის მეურნეობის სკოლა. 1956 სახალხო აჯანყებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა, მაგრამ 6 წლის შემდეგ გაათავისუფლეს. მუშაობდა მთარგმნელად და ლიტერატორად, თუმცა მისი ნაწარმოებები კომუნისტურ უნგრეთში არ ქვეყნდებოდა. 1985, პერესტროიკის დასაწყისში, გახდა „ისტორიული სამართლიანობის კომიტეტის" წევრი, შემდეგ კი მონაწილეობდა ახალი პარტიის – „თავისუფალ დემოკრატთა კავშირის" დაარსებაში, რომელმაც 1990 გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა. 1990 წლის 8.V – 1990 წლის 3.VIII – უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარე; 1990 წლის 3.VIII – 1995 წლის 17. VI – ქვეყნის პრეზიდენტი. 1995 წლის 17. VI მეორედ აირჩიეს უნგრეთის პრეზიდენტად.

**ბიორგი I** (998 ან 1002-27), ერთიანი საქართველოს მეფე 1014-დან, *ბაგრატ III-ის* ძე. გ.I-მა ბიზანტიისაგან 1014-16 ტაო დაიბრუნა. 1019 *ბასილ II-მ* ბულგარელებთან ომი დაამთავრა და გ.I-ს სადავო ტერიტორიის დაცლა მოსთხოვა.

გ.I-მა გადაწყვიტა ესარგებლა ბიზანტიასა და ეგვიპტეს შორის არსებული წინააღმდეგობით და ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმს ერთობლივი საომარი მოქმედება შესთავაზა. არ არის ცნობილი, თუ როგორ მიიღეს ქაიროში ეს წინადადება, მაგრამ სწორედ იმპერატორ ბასილ II-ის საქართველოში გამოლაშქრების წინ ეგვიპტის სულთანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გ.I-მა ომის დაწყების წინ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მეზობელ სომხურ სახელმწიფოებთანაც. გ.I-ის მოკავშირეები იყვნენ კახეთ-ჰერეთი. 1021 ბიზანტიის ჯარი საქართველოში შემოიჭრა. ქართველები დამარცხდნენ. გ.I იძულებული გახდა თრიალეთში გადასულიყო, სადაც მაშველი ჯარი დახვდა. კეისარი გამოსაზამთრებლად ქალდეაში (ტრაპიზონის მახლობლად) წავიდა და საქართველოში ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდა. გ.I-მა საზავო მოლაპარაკება დაიწყო (იხ. *ტრაპიზონის დაზავება 1021*) და ამავე დროს ხელსაყრელ მომენტს უცდიდა ომის გასაახლებლად. ამ დროს ბიზანტიაში იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. გ.I-მა მოინდომა ესარგებლა ამით და უარი განაცხადა ბიზანტიასთან არახელსაყრელი ზავის დადებაზე, მაგრამ აჯანყება დამარცხდა. გამომჟღავნდა მასში ქართველთა მონაწილეობაც. კეისარმა გ.I-ს კვლავ მოსთხოვა სადავო ტერიტორიების დაცლა. მეფემ განაახლა საზავო მოლაპარაკება, თან ისევ ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. 1022-23 გ.I დათანხმდა ზავის მძიმე პირობებს: სადავო ტერიტორია ბიზანტიამ მიიტაცა, ტახტის მემკვიდრე ბაგრატი 3 წლის ვადით მძევლად გაიგზავნა კონსტანტინოპოლში. საქართველომ დაკარგა ე.წ. დავით III კურაპალატის მემკვიდრეობა. გ.I ემზადებოდა რევანშისათვის, მაგრამ ყველა მისი ცდა დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დასაბრუნებლად მარცხით დამთავრდა.

*წყარო:* არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, ეცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1974; მატიანე ქართლისა – წგ.: ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, იქვე.

*ლიტ.:* კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; ლორთქიფანიძე მ., საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. – წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979; ცქიტიშვილი ო., მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის მეფობის ხანაში. „მაცნე", 1968, №4; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**ბიორგი II**, საქართველოს მეფე 1072-89, *ბაგრატ IV-ის* ძე. 1073 მეფეს განუდგნენ დიდგვაროვანი ფეოდალები ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე და ვარდან სვანთა ერისთავი. ნიანია ქვაბულის ძემ ქუთაისი დაიკავა, ივანე ლიპარიტის ძემ კასლეთი მოიშველია და ქსნისპირი დაიპყრო, ხოლო ვარდანმა სვანები ააჯანყა და საეგრო დაარბია. მათი დამორჩილების შემდგომ გ.II გარკვეულ დათმობაზე წავიდა და ურჩი ყმები „წყალობით დაფარა". ივანე ლიპარიტის ძეს სამშვილდე უბოძა, მის ვაჟს ლიპარიტს – ლოწობანი რუსთავის ნაცვლად (ეს უკანასკნელი კახელებს გადაეცა), ნიანია ქვაბულის ძეს – თმოგვი, ვარდან სვანთა ერისთავს – ასკალანა და სხვ. 1074 ივანე ლიპარიტის ძე კვლავ განუდგა მეფეს. გ.II-მ მესხთა ლაშქრით და კახთა მეფე აღსართანის დახმარებით გამდგარი ფეოდალი დაამარცხა, ლიპარიტს ლოწობანი წაართვეს და სამეფოს შემოუერთეს. მალე მეფე და ივანე ლიპარიტის ძე დაზავდნენ. ივანე ერთგულების პირობით კლდეკარისა და სამშვილდის ერისთავად იქნა დამტკიცებული, მაგრამ ურჩმა ფეოდალმა გ.II-ის მეციხოვნეებს გაგი გამოსტყუა და განძის პატრონს *ფადლონს* მიჰყიდა.

1073 ან 1074 საქართველოს შემოესია „დიდ სელჩუკთა" სახელმწიფოს სულთანი *მალიქ-შაჰი*, რომელმაც აიღო სამშვილდე, მოარბია ქართლი და დიდძალი ტყვითა და ნადავლით უკან გაბრუნდა. იმავე ხანებში სულთნის ლაშქრით საქართველოს შემოესია მალიქ-შაჰის მიერ გან-

ძის გამგედ დანიშნული სარანგი. გ.II-მ აღსართან კახთა მეფე მოიშველია და ფარცხისთან დაამარცხა მტერი. ამ გამარჯვების შემდეგ, მეფემ აიღო ანაკოფია, „მრავალი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტაანისა", აგრეთვე კარის ციხე-ქალაქი („ციხე ქუეყანა"), „სიმაგრენი ვანანდისა და კარნიფორისანი" და გააქცია თურქები.

საერთაშორისო მდგომარეობის გართულებამ (1074 ბიზანტია იძულებული გახდა თავისი სამფლობელოს აღმოსავლეთი მიწა-წყლის დიდი ნაწილი თურქებისათვის დაეთმო) ახალი საფრთხე შეუქმნა საქართველოს: მტერი უკვე ორი მხრიდან – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან უტევდა. ყუელისციხესთან მდგომ გ.II-ს თავს დაესხნენ თურქები ამირა აჰმადის მეთაურობით და დიდძალი ალაფით გაბრუნდნენ უკან. XI ს-ის 80-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო თურქ-სელჩუკთა ახალი შემოსევები, ე.წ. „დიდი თურქობა". გ.II, დიდებულებთან მოთათბირების შემდეგ, სულთან მალიქ-შაჰს ეახლა (სავარაუდებელია 1081-82) და მორჩილება გამოუცხადა. საქართველო თურქ-სელჩუკების მოხარკე გახდა. კმაყოფილმა მალიქ-შაჰმა საქართველოს სამეფო გაათავისუფლა „სუდამარბეველთაგან", გ.II-ს კახეთ-ჰერეთი მისცა და მის შესაერთებლად ლაშქარი გამოაყოლა. მტრისა და ქართველთა შეერთებული ჯარი კახეთს შეესია, ვეჟინის ციხეს გარშემოადგა. ვეჟინის ალყა ხანგრძლივი გამოდგა. ზამთარში გ.II-მ ალყა მოხსნა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე მოხდა გადატრიალება: 1089 გ.II ტახტიდან გადააყენეს და მეფედ მისი ძე დავითი (იხ. *დავით IV*) დასვეს.

*წყარო:* მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე.

*ლიტ.:* მეტრეველი რ., ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972; მისივე, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XIIს.), თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.2, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979; პაპასქირი ზ., შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე, თბ., 1991.

**გიორგი II**, იმერეთის მეფე 1565-1583(5), *ბაგრატ III-ის* ძე. მეფობის პირველ წლებში, ოდიშისა და გურიის მთავართა გათიშვის მიზნით, გ.II *გიორგი II გურიელს* დაუმოყვრდა. 1568 გ.II-მ დაამარცხა *ლევან I დადიანი*, მისი მომხრეები და საჯავახო დაიპყრო. დადიანმა და გურიელმა გ.II-ს წაართვეს საჯავახო და შუაზე გაიყვეს. მოგვიანებით გ.II დაუზავდა დადიანსა და გურიელს.

გ.II-მ მონაწილეობა მიიღო ირან-ოსმალეთის 1578-90 ომში. აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, 1578 გ.II-მ დაამარცხა ლალა მუსტაფა ფაშა და უკუაქცია ოსმალები.

1580 ლალა მუსტაფა ფაშას შემცვლელმა სინან ფაშამ გ.II-ის შვილი, გამაჰმადიანებული მამია (იუსუფი) თბილისის ბეგლარბეგად დანიშნა. ამით ერთმანეთს დაუპირისპირდა გ.II და ქართლის მეფე *სიმონ I*.

*წყარო:* ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა. – იქვე, ტ.4, თბ., 1973; ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ.2, ტფ., 1897.

*ლიტ.:* ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990; გუჩუა ვ., ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI ს-ში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIIIსს.), თბ., 1971.

**გიორგი II**, ავგიორგი, კახეთის მეფე 1511-13. *ალექსანდრე I-ის* უფროსი ვაჟი. ალექსანდრე I ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა. გ.II კი, რომელსაც სინამდვილეში სამეფო ტახტის დაუფლება სურდა, მამისაგან ქართლის დაპყრობას მოითხოვდა. ალექსანდრემ და მისმა უმცროსმა ძემ დიმიტრიმ მტკიცედ უარყვეს ეს მოთხოვნა. გ.II თავისი მომხრეებით თვითნებურად არბევდა ქართლის სამეფოს. 1511 მოკლა მამა, ხოლო უმცროს ძმას დიმიტრის თვალები დასთხარა და ცოლ-შვილით კახეთიდან გააძევა. გამეფების შემდეგ უფრო გაახშირა თავდასხმები ქართლზე. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს, 1513 *ბაგრატ მუხრანბატონმა* შეიპყრო. იგი გამოკეტეს მუხრანის ციხეში, სადაც მოკლეს იმავე წელს.

**გიორგი III** (გ. 1184), საქართველოს მეფე 1156-დან, *დემეტრე I-ის* ძე. იგი, *დავით* აღმაშენებლის მსგავსად, აქტიურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდა. მისი მეთაურობით ქართველები განაგრძობდნენ ბრძოლას თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. საქართველოს საზღვრების შემოსამტკიცებლად 1161 გ.III-მ ანისზე გაილაშქრა, ქალაქი აიღო და მისი მართვა-გამგეობა ამირსპასალარ ივანე ორბელს მიანდო, თანაშემწედ სარგის მხარგრძელი დაუნიშნა. 1162 ქართველებმა სომხეთის ძველი დედაქალაქი დვინი აიღეს. საქართველოს ასეთი აქტიურობის შედეგად საქართველოსაკენ დაიძრნენ ხლათის, დიარბექირისა და არზრუმის დამპყრობლები. გ.III-მ ქართველ-სომეხთა შეერთებული ლაშქრით უკუაგდო ისინი. მაჰმადიანთა უკან დახევა გ.III-მ და საქართველოს ლაშქრის მეთაურებმა საბოლოო გამარჯვებად მიიჩნიეს და სიფხიზლე მოადუნეს. მტერმა მოულოდნელად შეუტია ანისს. ბრძოლა გაჭიანურდა. ბოლოს, დადებული ზავის თანახმად, ანისის მაჰმადიანი მმართველი საქართველოს მეფის ყმადნაფიცი გახდა. 1167 გ.III-მ ილაშქრა შირვანში მისი ყმადნაფიცისა და დისწულის აღსართან (ახსითან) შირვანშაჰის დასახმარებლად (შირვანშაჰს დარუბანდის მხრიდან თავს ესხმოდნენ იმიერკავკასიის მფლობელები). ქართველთა მხედრობა მივიდა დარუბანდის კარამდე. აიღო ქ. შაბურანი, რომელიც გ.III-მ აღსართანს უწყალობა. 1173-დან გ.III-ის მცდელობის შედეგად დვინი, ანისი და მათი მიმდგომი მხარეები საქართველოს სახელმწიფოს შეუერთდა. ბრძოლა ამ მხარეებისათვის შემდეგშიაც გრძელდებოდა.

გ.III-ის დროს, 1177, დაიწყო დიდი ამბოხება ამირსპასალარ ივანე ორბელის მეთაურობით. მას გვერდში ედგნენ დიდგვაროვანი ფეოდალები: ივანე ვარდანის ძე, შოთა, ძე ართავაზოს ძისა, ქავთარ ივანეს ძე და სხვ. ამბოხებულები თითქოსდა დემნა (დემეტრე) უფლისწულის ინტერესებს იცავდნენ, სინამდვილეში კი სამეფო ხელისუფლების შეზღუდვისა და თავიანთი უფლებების გაფართოებისათვის იბრძოდნენ. აჯანყება რამდენიმე თვეს გაგრძელდა. 1178 წლის დასაწყისში გ.III-მ შეძლო მისი ჩახშობა. იგი განსაკუთრებით სასტიკად მოეპყრო აჯანყების მოთავეებს. ორბელები სიკვდილით დასაჯეს, დემეტრე უფლისწულს თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს. გ.III-მ მამულები თავის ერთგულებს უწყალობა, მათ შორის დიდი ნაწილი – ყუბასარს, რომელიც მეფემ ორბელთა სამთავრო პატივში აიყვანა და საქართველოს ამირსპასალარად

დანიშნა. გ.III-მ ასევე „უგვარო", აზნაურის ნაყმევი აფრიდონი მსახურთუხუცესის თანამდებობაზე დააწინაურა.

ორბელთა ამბოხების ჩაქრობის შემდეგ გ.III იძულებული გახდა დაეთმო სასულიერო პირებისათვის და ეკლესიის შეუვალობის აღდგენის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. 1179 მეკობრეობის წინააღმდეგ გამოსცა სახელმწიფო დარბაზის მიერ შემუშავებული კანონი, რომელიც ამ „სენის" აღმოსაფხვრელად მკაცრ ზომებს ითვალისწინებდა. ორბელთა ამბოხების ჩახშობისთანავე, 1178 გ.III-მ საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ქალი თამარი. მამა-შვილის ერთობლივი მეფობა გ.III-ის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.
ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XIIს.), თბ., 1973; მ ის ი ვ ე, მეფე თამარი, თბ., 1991; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979.

**გიორგი IV ლ ა შ ა** (1192-1223), საქართველოს მეფე 1213-დან, *თამარ* მეფის და *დავით სოსლანის ძე.* 1207 თამარმა თანამოსაყდრედ დაისვა და ამ დროიდან მონაწილეობდა სახელმწიფოს მართვასა და ლაშქრობებში. თამარის გარდაცვალების შემდეგ გ.IV ერთპიროვნული მმართველი გახდა. ყმადნაფიცი ქვეყნების შემომტკიცების მიზნით, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს სამეფოს ვასალობისაგან განთავისუფლებას, XIII ს-ის 10-იან წლებში გაილაშქრა ვასალის – განძის ათაბაგის წინააღმდეგ და იგი კვლავ საქართველოს მოხარკედ დარჩა. ძალითვე დაიმორჩილა გამდგარი ვასალები – ხლათის, არზრუმისა და ნახიჩევანის თურქი მფლობელები. 1220 ან 1221 გ.IV ევროპის ქვეყნებთან ერთად პალესტინაში ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდა იერუსალიმის სელჩუკთაგან გასათავისუფლებლად, მაგრამ ამ დროს საქართველოს საზღვრებს მოულოდნელად მონგოლები მოადგნენ და ეს გეგმა ჩაიშალა. გ.IV მონგოლებთან ბრძოლაში (1221 ან 1222) დაიჭრა, დასნეულდა და გარდაიცვალა.

პირველწყაროები გ.IV-ის შესახებ სხვადასხვაგვარ ცნობებს გვაწვდიან: ერთნი (ლაშას დროინდელი მემატიანე და სხვ.) მას ახასიათებენ როგორც შესანიშნავ მოღვაწეს, რაინდსა და გონიერ მმართველს. მეორენი (*ჟამთააღმწერელი* და სხვ.) კი – როგორც უზნეო და ბეც პოლიტიკოსს. ნდობას უფრო პირველი რიგის ცნობები იმსახურებს. გ.IV-ის პოლიტიკა ხშირად იწვევდა დიდგვაროვანთა უკმაყოფილებას და ლაშას უარყოფითი დახასიათებაც ამ ნიადაგზე უნდა გაჩენილიყო. ჟამთააღმწერელი გ.IV-ს ბრალად სდებს, რომ მან განიშორა მისი დედის დროს დაწინაურებული დიდებულები და დაიახლოვა ახალგაზრდები – თანამოასაკენი. ეტყობა, მეფე თავიდან იცილებდა არასასურველ მოხელეებს და მათ ახალ ძალებს უპირისპირებდა. მეფეს ბრალად სდებდნენ, რომ მას კავშირი ჰქონდა თავისუფლად მოაზროვნე რინდებთან, რომლებიც სუფიზმს იზიარებდნენ, უარყოფდნენ ეკლესიასა და სამღვდელოებას და ღმერთთან ზიარების გზად ექსტაზი და აღმაფრენა მიაჩნდათ. ლაშა თავისუფალი რწმენისა და აზროვნების ადამიანი იყო.

წყარო: ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ჟამთააღმწერელი. – იქვე, ტ.2, თბ., 1959.
ლიტ.: გ ვ ა რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIVსს.), თბ., 1962; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის. – მის წგ.: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956; კ ი კ ნ ა ძ ე რ., კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის. – კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1965; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979.

**გიორგი V ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე**, საქართველოს მეფე (1299, 1318-46), *დემეტრე II* თავდადებულის ძე, რომელიც სამცხეში თავისი პაპის (დედის მხრიდან), მანდატურთუხუცეს *ბექა I ჯაყელის* კარზე აღიზარდა. ზოგიერთ აღმოსავლურ ისტორიულ წყაროში იწოდება „ბარტილმად" (იხ. *„ბარტილმა"*). მისი ნახევარძმის *დავით VIII* აჯანყების გამო მონგოლებმა მას თავისი ძმები – ვახტანგი (შემდეგში *ვახტანგ III*) და გიორგი დაუპირისპირეს. 1299 გ.V თბილისში მეფედ აკურთხეს, მაგრამ მისი ხელისუფლება მცირე ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, რის გამოც „თბილისის მეფე" ეწოდა. ჯერ კიდევ ბექა ჯაყელის კარზე ყოფნის დროს მოიპოვა მონგოლების ნდობა. 1304 ოლჯაითუს გაყავენების შემდეგ რეალური მეფობის მოპოვებას ცდილობს. ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, მაგრამ გამეფებული გიორგი VI მცირეს მეურვეობა დაეკისრა. თავისი მეფობის ათვლას 1299-დან იწყებს. 1318, რეალურად გამეფებამდეც, „პროვინციის მეფეთა" ეპოქიდან გამომდინარე, „მეფის" ტიტულით მოქმედებს და აქტიურადაც ერევა სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში. უკვე 1308-დან გეზს იღებს *ჩობან ნოინთან* ურთიერთობაზე, ეხმარება ოქროს ურდოს წინააღმდეგ ლაშქრობებში; 1314 ჩობან ნოინთან ერთად რუმის სასულთნოში მაჰმუდ ფარვანეს აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობს. ამ პერიოდიდან უნდა მომხდარიყო მათი საბოლოო დამეგობრება, რასაც აღმოსავლური წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ. მან ეს ურთიერთობა არაერთხელ გამოიყენა ქვეყნის სასიკეთოდ. 1317 აბუ საიდის გაყავენებას 1318 გ.V-ის ერთპიროვნული რეალური ძალაუფლებით გამეფება მოჰყვა. მისი მოღვაწეობის მთავარი ამოცანა საქართველოს მონგოლთაგან განთავისუფლება, ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა, ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერება და წესრიგის დამყარება იყო. გ.V-მ თავდაპირველად, მონგოლებთან აშკარა ბრძოლასა და დაპირისპირებას ფრთხილი ურთიერთობა ამჯობინა, თუმცა თავიდანვე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას შეუდგა, რაც ნიადაგს მოამზადებდა საქართველოს მონგოლთაგან გასათავისუფლებლად. საგარეო პოლიტიკის წარმატებით წარმართვა და მისი მოღვაწეობის მთავარი მიზნის მიღწევა მხოლოდ საშინაო ვითარების დარეგულირების შემდეგ იყო შესაძლებელი, თუმცა პარალელურად ინტენსიურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. მოაწყო ორი ელჩობა (იხ. *პაპაი ქვენიფნეველის და იოანე ბანდასძის ელჩობა*) ეგვიპტის სასულთნოში (1316 და 1320), რასაც „კლიტენი იერუსალჱმისანის" (ქრისტეს საფლავის ტაძრის გასაღებები) ქართველთათვის გადაცემა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელახლად შეკაზმვისა და იერუსალიმში სხვა ახალი ქართული ეკლესიის აგების ნებართვის მოპოვება მოჰყვა (ამას გაუღიზიანებია ოქროს ურდოს ყაენი უზბეკი, რომლისთვისაც ეგვიპტის სულთანს იერუსალიმში მეჩეთის აგების უფლება არ მიუცია). ასეთი კონტაქტების დამყარება ილხანთა მოწინააღმდეგე ეგვიპტესთან გ.V-ის წინასწარ კარგად მოფიქრებული დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ილხანთა მოწინააღმდეგე ეგვიპტის მხრიდან შემხვედრ ნაბიჯთა მოტივაციაც გასაგებია (როცა მომდევნო პერიოდში მონგოლ ილხანთა სახელმწიფო დაეცა, ეგვიპტის სულ-

თანთა ინტერესები ამ რეგიონისადმი, კერძოდ საქართველოსადმი, მნიშვნელოვნად შემცირდა). XIV ს-ის 20-იან წლებში, ქვეყნის შიგნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღიკვეთა მტრის თარეში, დასრულდა „მრავალმეფიანობის" (1298-1318) ხანა, ქვეყანა ეკონომიკურად მომაგრდა; ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, კახეთში – ციეის მთაზე ნადიმის მომიზეზებით კახეთ-ჰერეთისა და სომხითის ურჩი ერისთავები მოიწვია და ამოხოცა (დაახლ. 1327-29), რითაც ეს რეგიონები სამეფო ტახტს შემოუმტკიცა. სამეფო ტახტის გავლენა გაიზარდა სამცხე-საათაბაგოს განმდგარ სამთავროშიც, რაც იმაშიც ჩანს, რომ *სარგის II ჯაყელი*, როგორც მეფის მოხელე, გიორგი მეფის მიერ ბოძებულ ათაბაგისა და ამირსპასალარის სახელოებს ატარებდა. ამავე პერიოდში გ.V-ს აქტიური კონტაქტები ჰქონდა დასავლეთ ევროპასთან: მიმოწერას აწარმოებდა რომის პაპ *იოანე XXII-თან*. პაპი იოანე XXII-ის მეორე წერილით ირკვევა, რომ 1329-30 ვატიკანის გადაწყვეტილებით სმირნიდან კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა თბილისში იქნა გადმოტანილი. პაპის ეს გადაწყვეტილება არ იყო შემთხვევითი, კათოლიკური სამყარო ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელობას მონგოლთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1329-30 პაპის მიერ კათოლიკეთა ეპისკოპოსად თბილისში იოანე ფლორენციელი დაინიშნა, ხოლო სოხუმში – *პეტრე გერალდი*. გიორგი მეფის მიერ ქვეყნის შიგნით გატარებული ღონისძიებების შედეგად მომზადდა ნიადაგი ქვეყნის სრული გაერთიანებისათვის: 1329 შემოიერთა ლიხთ-იმერეთი, ხოლო 1334 – სამცხე-საათაბაგო. წარმატებით იბრძოდა შიდა ქართლში მარბეველი ოსების წინააღმდეგ, განდევნა საქართველოდან და თავისი სამეფო ტახტის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიის გარკვეულ რეგიონებზეც გაავრცელა. 1327 ილხანთა მთავარი ემირის სიკვდილმა საილხანოს დაშლა დააჩქარა. ამის შემდეგ გ.V აქტიურ, შემტევ პოლიტიკაზე გადავიდა. ამასთან გააგრძელა ინტენსიური კონტაქტები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ვატიკანთან. 1332-33 მას ესტუმრნენ ფრანცისკელი მისიონერები – რიკარდო მეიჩერი (მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი. გ.V-ს დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთან. საქართველოს სამეფო კარი მზად იყო ფრანგებთან ერთად 30-ათასიანი მებრძოლით გაელაშქრა სირია-პალესტინაში „წმინდა მიწების" გამოსახსნელად, მაგრამ ეს ლაშქრობა ვერ განხორციელდა. 1335, აბუ-საიდის გარდაცვალების შემდეგ, ილხანებს ხარკი შეუწყვიტა, მათი დამსჯელი ლაშქარი დაამარცხა და მონგოლთა ასწლოვან ბატონობას ბოლო მოუღო. საქართველომ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. გაერთიანების შემდეგ საქართველო უშუალოდ დაუმეზობლდა ტრაპიზონის იმპერიას. 1341 საქართველო აქტიურად იბრძვის ტრაპიზონის იმპერიაში ქართული ორიენტაციის დასის გასამარჯვებლად. ქართული ლაშქრის დახმარებით ტახტზე ავიდა სასურველი კანდიდატურა – ალექსი II (1237-1330) კომნენოსის უფროსი ასული ანა – ანახუტლუდ წოდებული, მაგრამ ასეთი ვითარება მხოლოდ 1343 წლის ბოლო პერიოდამდე შენარჩუნდა. გ.V დიდ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ძველი საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენის საკითხს. ამ დროს საქართველო დიპლომატიურ სარბიელზე და განსაკუთრებით, „წმინდა ადგილებში" დიდი პრივილეგიებით (ცხენებზე სწორად სხდომის უფლება, გადასახდელებისაგან განთავისუფლება...) სარგებლობდა.

*წყარო*: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.
*ლიტ.*: კიკნაძე ე., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979.

**გიორგი VI** (გ. 1720), იმერეთის მეფე 1703-20 (დროგამოშვებით), *ალექსანდრე IV-ის* ძე. 1703 ოსმალთა დახმარებით გამეფდა, მაგრამ იმერეთს ფაქტობრივად გიორგი-მალაქია აბაშიძე განაგებდა. 1707 გ.VI-მ დაამარცხა გიორგი-მალაქია აბაშიძე და მეფობა დროებით განიმტკიცა. ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა, 1711 გ.VI ტახტიდან გადააყენა. მან დახმარება სთხოვა *ვახტანგ VI-ს* და შემდეგ ახალციხის ფაშას. 1712 კვლავ დაიკავა ტახტი, 1713 დაკარგა იგი. 1714 ოსმალთა დახმარებით გ.VI-მ ისევ დაიბრუნა ტახტი, მაგრამ 1716 *ბეჟან დადიანმა* და სხვა ფეოდალებმა ახალციხის ფაშას დახმარებით სიმონეთის ბრძოლაში დაამარცხეს და იძულებული გახდა ჯერ ახალციხეში, შემდეგ კი სტამბულში წასულიყო. 1719 ოსმალთა დახმარებით გ.VI ისევ გამეფდა 1720 მოკლეს.

*წყარო*: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.
*ლიტ.*: ჩხატარაიშვილი ქ., დასავლეთ საქართველო XVIII ს-ის I ნახევარში. – წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**გიორგი VII**, საქართველოს მეფე 1393-1407. თავისი მმართველობის ძირითადი ნაწილი *თემურ-ლენგის* წინააღმდეგ ბრძოლას მიანდომა. მამის – *ბაგრატ V-ის* ტყვეობის პერიოდში (1386 წლის ბოლო – 1387 წლის I ნახევარი) უმეფოდ დარჩენილ ქვეყანას მართავდა. გ.VII ზოგჯერ აშკარა ბრძოლით, ზოგჯერაც გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯებით თემურ-ლენგისაგან საქართველოს გადარჩენას ცდილობდა, იყენებდა ოქროს ურდოსა და თოხთამიშის ფაქტორს – მის დაპირისპირებულობას თემურ-ლენგთან. გ.VII განსაკუთრებით აქტიურობდა თემურ-ლენგის ინდოეთში ლაშქრობების პერიოდში, როდესაც საქართველოში შედარებითი მშვიდობიანობის ხანა დადგა. აშკარა ბრძოლის პარალელურად გ.VII თემურ-ლენგთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებსაც აწარმოებდა. 1401 მათ შორის დაიდო *შამქორის ზავი*. საბოლოოდ, უთანასწორო ბრძოლაში გ.VII დამარცხდა და, იძულებითი ზავის თანახმად, ხარკის გადახდა და სამხედრო სამსახური იკისრა. 1405 თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ, გ.VII-მ აიღო ნახიჩევანი, განჯა, ანისი, არზრუმი და თავრიზამდე მიაღწია. საქართველოს ახალი მტერი გამოუჩნდა – შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფო ყარა-იუსუფის მეთაურობით, რომელიც კავკასიაში გ.VII-ს თავის მეტოქედ მიიჩნევდა. 1407 გ.VII ყარა-იუსუფთან ბრძოლაში დაიჭრა და გარდაიცვალა.

*ლიტ.*: კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975; ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974.

**გიორგი VIII**, საქართველოს მეფე 1446-66 (კახეთში გიორგი I – 1466-76). თავისი მეფობის პირველ ეტაპზე პოლიტიკურ ერთეულებად დაშლის პირას მისული ქვეყნის ერთიანობის შესანარჩუნებლად იბრძოდა. მისი მეფობის ხანაში, 1453 თურქ-ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს. წარმოიშვა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის აუცილებლობა, რომლის ინიციატორი რომის პაპი პიუს II გახდა. 1459 თბილისში გ.VIII-ს, ამ მიზნით, პაპის ელჩი – ლუი ბოლონიელი (იხ. *ლუდოვიკო ბოლონიელი*) ეწვია. საერთო

მიზნიდან გამომდინარე, საქართველოს მეფე-მთავრები და მეზობელი ქვეყნების ხელისუფალნი გაერთიანდნენ და დასავლეთ ევროპაში ერთიანი ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტეს. გ.VIII-მ თავის ელჩად *ნიკოლოზ ტფილელი* გაგზავნა. ელჩობის წევრებს დიპლომატიური მოლაპარაკება ჰქონდათ უნგრეთის სამეფო კართან, საღვთო რომის იმპერატორთან, რომის პაპთან, საფრანგეთის მეფეებთან (შარლ VII და ლუი XI) და ბურგუნდიის ხელისუფლებასთან. ელჩობას შედეგი არ მოჰყვა. 1461 თურქებმა ტრაპიზონის იმპერია დაიპყრეს, რამაც საქართველოს გზა დასავლეთისაკენ კიდევ უფრო გადაუკეტა. გ.VIII-ის პოზიციები კიდევ უფრო დაასუსტეს *უზუნ-ჰასანის* შემოსევებმა. მალე მას ქუთაისის მხარის ბაგრატ ერისთავთან (იხ. *ბაგრატ VI*) მოუხდა შეტაკება, რასაც 1463 ჩიხორის ბრძოლაში მისი დამარცხება მოჰყვა. 1465 ფარავნის ტბასთან სამცხის ათაბაგს *ყვარყვარე II ჯაყელს* ჩაუვარდა ტყვედ. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ბაგრატ ერისთავმა და თბილისში მეფედ ეკურთხა. 1466 ყვარყვარე ათაბაგის მიერ განთავისუფლებულმა გიორგი მეფემ ქართლში ფეხი ვერ მოიკიდა და კახეთში გადავიდა, რითაც კახეთის სამეფოსა და კახეთის ბაგრატიონთა შტოს ჩაუყარა საფუძველი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: პ ა ი ჭ ა ძ ე  დ., ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში, თბ., 1989; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი  ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967 (თხზ., ტ. 3, თბ., 1982); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979.

**გიორგი X**, ქართლის მეფე 1600-06, *სიმონ I-ის* ძე. მხარში ედგა მამას ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1599 სარდლობდა შიდა ქართლის ჯარს, რომელსაც გორის დაცვა ჰქონდა დავალებული. სიმონ I-ის დატყვევების შემდეგ ცდილობდა მეფის დახსნას, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. 1601 გX-მ ოსმალებს წაართვა ლორეს ციხე. 1603-04, შაჰ *აბას I-ის* მოთხოვნით, *ალექსანდრე II* კახთა მეფესთან ერთად მონაწილეობდა ერევნის ალყაში. ერევნის აღების შემდეგ შაჰ აბასმა გX-ს ირანში სოფლები უბოძა და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ შაჰ აბასმა მას ლორეს პროვინცია და დებედას ხეობა ჩამოართვა და ამით ქართლს ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდე მოურღვია. 1604, შაჰის ნებართვით, ქართლში დაბრუნდა. მის დროს საფუძველი ჩაეყარა რუსეთისა და ქართლის პოლიტიკურ ურთიერთობას. 1604 წლის აგვისტოში კახეთში ჩამოვიდნენ *ბორის გოდუნოვის* ელჩები მიხეილ *ტატიშჩევი* და ანდრეი *ივანოვი*. ელჩებმა ალექსანდრეს საშამხლოზე ლაშქრობის სამზადისი აცნობეს. რუს ელჩებს სპეციალური დავალებაც ჰქონდათ – ტახტის მემკვიდრე თევდორე ბორისის ძისათვის საცოლე, ხოლო ბორისის ქალიშვილისათვის, ქსენიასათვის, საქმრო შეერჩიათ. ელჩებმა გX-ს შესთავაზეს ქართლის შესვლა რუსეთის მფარველობაში და აცნობეს ბორის გოდუნოვის სურვილი ბაგრატიონებთან დამოყვრების შესახებ. გX პრინციპულად თანახმა იყო, მაგრამ აფიქრებდა ურთიერთობის გამწვავება ოსმალეთთან და ირანთან. მან რუს ელჩებს განუცხადა, რომ რუსეთი შორს იყო, ხოლო მტრები ძალიან ახლოს და შეახსენა ალექსანდრე II კახთა მეფის ტრაგიკული ბედი და წინა პირობად მოითხოვა რუსთა სამხედრო რაზმის გამოგზავნა. მიღწეულ იქნა შეთანხმება 150 მეთოფის გამოგზავნის შესახებ. შეარჩიეს საცოლე ბორის გოდუნოვის ვაჟისათვის – გიორგი მეფის ასული ელენე და საქმრო ბორისის ქალიშვილისათვის – ვახტანგ მუხრანბატონის ძე ქაიხოსრო. 11 მაისს ელჩობა ქართლიდან გაემგზავრა. ელჩობას მიჰყვებოდნენ გX-ის ელჩები და ქაიხოსრო მუხრანბატონიშვილი. რაც შეეხება ელენეს, გიორგიმ ქალიშვილის გაგზავნა მომავლისათვის გადადო. ივნისის დასაწყისში ელჩები არაგვის ხეობაში თერგიდან მხლებელთა რაზმს ელოდნენ. აქ მათ მიიღეს ცნობა ყირიმის ხანის იმიერკავკასიით შარვანისაკენ ლაშქრობის შესახებ. ქართველთა ელჩები უკან დაბრუნდნენ. რუსეთში არეულობა დაიწყო. ქართლსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა.

**გიორგი XI** (გ. 1709), ქართლის მეფე 1676-88, 1703-09, *ვახტანგ V-ის* ძე. გXI ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებას და ირანელთა ბატონობის მოსპობას ქართლში. დახმარების მისაღებად დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან. დახმარების მიღება სცადა რუსეთისგანაც. ამ მიზნით, მოსკოვში მყოფ *არჩილ II-თან* გაგზავნა ელჩი *გაბრიელ არქიმანდრიტი*. 1688 აშკარად აჯანყდა ირანელთა წინააღმდეგ. აჯანყება მარცხით დამთავრდა, რადგან გXI-ს უღალატეს ადგილობრივმა ფეოდალებმა და ვერც ოსმალეთისაგან მიიღო შეპირებული დახმარება. შაჰმა გXI ტახტიდან გადააყენა და მის ადგილზე *ერეკლე I* დასვა (1688). გXI-მ იმერეთს შეაფარა თავი და ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. ამასობაში ირანში გაუარესდა შინაპოლიტიკური ვითარება. ირანის იმპერიის შორეულ რაიონებში გაიზარდა მისწრაფება პოლიტიკური განკერძოებისაკენ. შაჰ ჰუსეინმა გადაწყვიტა შერიგებოდა გ.XI-ს. 1703 შაჰმა გXI კვლავ დაამტკიცა ქართლის მეფედ და დაავალა ავღანელთა დამორჩილება. გXI-მ აჯანყებულები მალე დაიმორჩილა, მაგრამ 1709 ავღანელებმა იგი ღალატით მოკლეს.

წყარო: გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე  ფ., საქართველოს ისტორია. „საისტორიო მოამბე", ს. კაკაბაძის გამოც., წგ. 2, ტფ., 1925; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი  დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVIII სს.), II, თბ., 1965; ტ ა ბ ა ღ უ ა  ი., საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1974

**გიორგი XII** (1746-1800), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე 1798-1800. XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან მონაწილეობდა სახელმწიფო და პოლიტიკურ ასპარეზზე. საგარეო პოლიტიკაში გXII რუსეთთან ტრადიციული ურთიერთობის კურსს იცავდა. მოითხოვდა *გეორგიევსკის ტრაქტატის* შესრულებას და საქართველოში რუსის ჯარის შემოყვანას, რომლითაც სურდა შერყეული სახელმწიფოებრივი მდგომარეობის გამოსწორება. იგი თანახმა იყო, შეზღუდულიყო ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებანი, სამაგიეროდ მისთვის და შთამომავლობისათვის მეფობა უნდა შეენარჩუნებინათ. ელჩების (გ. *ჩოლოყაშვილი*, ე. *ფალავანდიშვილი*, გ. *ავალიშვილი*) ხელით ე.წ. „სათხოვარი პუნქტები" მიართვა რუსეთის იმპერატორს.

ლიტ.: ი ო ს ე ლ ი ა ნ ი  პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936; Д у б р о в и н  Н., Георгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России, 2 изд., СПб., 1897; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1974

**გიორგი ამარტოლი**, IX ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი, ავტორი „ქრონოგრაფიისა", რომელიც დაიწერა მიხეილ III-ის მეფობის (842-67) დროს. წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას ადამიდან – კეისარ თეოფილეს გარდაცვალებამდე (842). ითარგმნა ქართულად XII ს-ში არსენ იყალთოელის მიერ.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, ნაკ.2, თბ., 1952.

**გიორგი ბატონიშვილი** (ბაგრატიონი), (დაახლ. 1570-1605), კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, *ალექსანდრე II-ის* ძე. 1604-05 წლის მარტამდე, ალექსანდრე II-ის ირანის შაჰთან, აბას I-თან ყოფნის დროს გ.ბ. განაგებდა კახეთს. 1604 წლის აგვისტოში მიიღო რუსეთის ხელმწიფის ელჩები *ტატიშჩევი* და *ივანოვი*. 1605 წლის 1 იანვარს გ.ბ-მა რუსთა ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. 1605 წლის 12 მარტს შაჰ *აბასის* დავალებით ძეგამში მოკლა საკუთარმა ძმამ, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. – მის წგ.:საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967.

**გიორგი II გურიელი**, გურიის მთავარი 1566-83, 1587-1600, *როსტომ I გურიელის* ძე. გ.II გ-მა *ლევან I დადიანის* წინააღმდეგ კავშირი შეკრა იმერეთის მეფე *გიორგი II-თან*. დადიანი იძულებული გახდა სტამბულს წასულიყო და სულთნისათვის ეთხოვა დახმარება. ოსმალთა ჩარევის შედეგად ლევან დადიანმა დაიბრუნა სამთავრო. დადიანი და გიორგი მეფე დაზავდნენ, ერთობლივი ძალით გამოვიდნენ გ.II გ-ის წინააღმდეგ და დაიპყრეს საჯავახო. ირან-ოსმალეთის 1578-90 წლების ომის დროს გ.II გ. იძულებული გახდა, სულთნის ბრძანებით, 1581 იმერეთის მეფესთან ერთად ქართლზე ელაშქრა. 1583 გურიაში ილაშქრა მამია დადიანმა. დამარცხებული გ.II გ. სტამბულს გაიქცა. 1587 გ.II გ. ისევ დაეუფლა ტახტს.

ლიტ.: სოსელია ო., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან. - „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 1954, ნაკ.30.

**გიორგი IV გურიელი**, გურიის მთავარი 1711-26, *მამია III გურიელის* ძე. გურიელად დასვა მამამ, რომელიც მაშინ იმერეთის მეფე იყო. 1712 ტახტი წაართვა ძმამ – ლევან I გურიელმა. 1716 იმერეთში ჯარით შემოსულმა ახალციხის ფაშამ, გ.IV გ. გაამეფა. გურიელმა მეფობას მალე დაანება თავი და გურიაში დაბრუნდა. 1717 ტახტი წაართვა ძმამ, *ქაიხოსრო III გურიელმა*, მაგრამ იმავე წელს ოსმალთა დახმარებით დაიბრუნა ძალაუფლება. მალე სამთავროდან გააძევა *ბექან I დადიანმა*. მოკლე ხანში კვლავ დაიბრუნა ტახტი. გ.IV გ-მა კავშირი დაამყარა *ვახტანგ VI-თან* და მისი დახმარებით ცდილობდა დაებრუნებინა ბათუმისა და ჩაქვის მხარეები, მაგრამ უშედეგოდ. ოსმალებმა 1723 დაიკავეს ციხისძირის, ქობულეთის, შეკვეთილის, სეფისა და გრიგოლეთის ციხეები და გურია ზღვას მოსწყვიტეს.

ლიტ.: სოსელია ო., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 1954, ნაკ. 30.

**გიორგი I დადიანი** (გ. 1323), ოდიშის მთავარი, ბედან დადიანის ძე. აქტიურად მონაწილეობდა შინაპოლიტიკურ ბრძოლებში. თავისი საერისთავოს საზღვრები ანაკოფიამდე გააფართოვა. ამ პერიოდში მოქმედებდა გენუელთა კოლონიები (გაგარი, სანტა სოფია, კაპო დე ბუქსო, ნიკოფა, სანტანჯელო). ინტენსიური გახდა კონტაქტები კათოლიკურ სამყაროსთან – 1318, გ.I დ-ის დროს, ცხუმში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: კიკნაძე ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989.

**გიორგი III დადიანი** (გ. 1582), ოდიშის მთავარი 1572-82, *ლევან I დადიანის* ძე. 1573 დაუმოყვრდა იმერეთის მეფე *გიორგი II-ს*. ამ დაახლოებით უკმაყოფილო *გიორგი გურიელი* დაუმოყვრდა გ.III დ-ის ძმას – მამიას. 1573 მამიამ და გიორგი გურიელმა ზუგდიდთან ბრძოლაში გ.III დ. დაამარცხეს. იგი ორჯერ შეეცადა აფხაზთა, ჯიქთა და ჩერქეზთა დახმარებით სამთავროს ტახტის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. 1578 გიორგი II-ის ხელშეწყობით შეურიგდა გიორგი გურიელს და ტახტი დაიბრუნა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**გიორგი კედრენე**, XI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი, რომელსაც დაწერილი აქვს მსოფლიოს „ისტორიული მიმოხილვა" უძველესი დროიდან 1059-მდე. საინტერესო ცნობები აქვს დაცული X-XI სს-ის საქართველოს შესახებ, კერძოდ: *გიორგი I-ისა* და *ბასილ II* კეისრის, *ბაგრატ IV-სა* და *ლიპარიტ ბაღვაშის* ურთიერთობაზე და სხვ. საყურადღებოა მის თხზულებაში დაცული ცნობები ბიზანტიის მიერ საგანგებოდ გატარებულ პოლიტიკაზე აფხაზეთში (VI ს-ში) და მის შედეგებზე.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.5, თბ., 1963.

**გიორგი I ლიპარტიანი**, ოდიშის სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი 1611-14(16), *ლევან II დადიანის* ბიძა, მისი რეგენტი. მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული დასავლეთ საქართველოს დანარჩენ პოლიტიკურ ერთეულებთან.

ირან-ოსმალეთის 1603-12 ომის დროს, გ.I ლ-მა გურიის მთავარ *მამია II გურიელთან* ერთად, ოსმალეთს ხარკის მიცემა შეუწყვიტა, მაგრამ ხანგრძლივი და მძიმე მოლაპარაკებათა შედეგად 1615 სამეგრელოს სამთავრომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ოსმალეთის იმპერიისთვის ხარკის გადახდის აღდგენის შესახებ (იხ. *სამეგრელო-ოსმალეთის ხელშეკრულება 1615*).

გ.I ლ. რეგენტობის შემდეგ, ერთხანს, კვლავ აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო გამგებლობაში.

წყარო: არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმ. იტალიურიდან აჭყონიასი, თბ., 1938.

ლიტ.: ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990; ბერაძე თ., ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", ტ.2, თბ., 1964; თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.., ტფ., 1902; სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბ., 1971.

**გიორგი II ლიპარტიანი**, სალიპარტიანოს მფლობელი 1681-1714, გორდელი აზნაურის კაცია ჩიქვანის ძე. 1683, მისი თხოვნით, ახალციხის ფაშამ, სულთან მეჰმედ IV-მ, *ლევან III დადიანის* უკანონო შვილი, *ლევან IV დადიანი* ოდიშის მთავრად დაამტკიცებინა. სამთავროს, ფაქტიურად, გ.II ლ. განაგებდა.

1704 გ.II ლ-მა ოდიშის მთავრად თავისი ძე *კაცია I* გამოაცხადა. ამიერიდან სამთავროს ტახტზე ჩიქვანთა გვარი დამკვიდრდა. გ.II ლ. ამის შემდეგ ერთხანს კვლავ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ.2, თბ., 1973.

**გიორგი სფრანძესი** (1401-78), ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე. 1451 მიიღო დიდი ლოგოთეტის თანამდებობა. 1453,

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, იგი თურქთაგან იდევნება და ტყვედაც ჩავარდა. 1424 იყო დესპანი სულთან მურად II-თან (1421-51). 1436 – თებეში თურქეთის სარდალ ტურახანთან. 1449 მისი მეთაურობით კონსტანტინოპოლიდან საქართველოში *გიორგი VIII-ის* სამეფო კარზე დიდი ელჩობა გაიგზავნა, რომლის ოფიციალური მიზანი კონსტანტინე იმპერატორის საცოლის შერჩევა (გიორგი VIII-ის ასული) და გიორგი მეფესთან დანათესავება იყო. რეალურად გ.-ის ელჩობა საქართველოსთან დაახლოებას და გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. მას ეკუთვნის ნაშრომი, რომელიც XIII-XIVსს. ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს.

ლიტ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.8, თბ., 1970.

**გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი** (გ. დაახლ. 1118), საქართველოს სამეფო კარის ვაზირი დაახლოებით 1104-1118. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის სახელოს პირველი მფლობელი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების აქტიური მონაწილე და მეფის პოლიტიკის გამტარებელი. ქმედით მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში. მისი მცდელობითა და ხელმძღვანელობით სამეფოს შემოუერთეს სამშვილდე (1110) და რუსთავი (1115). გ.ჭ. საქართველოში ყივჩაყთა ჩამოსახლების ერთ-ერთი მოთავე იყო. ამ მისიით გაემგზავრა *დავით IV* აღმაშენებელთან ერთად ოსეთში, სადაც გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ დაკრძალულია გელათში, მეფეთა საძვალეში.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. – მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.3, თბ., 1966; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით აღმაშენებელი, თბ., 1965; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ.2, ნაკვ.1, ტფ., 1928 (თხზ., ტ.6, თბ., 1982).

**გირენგო** (Guiringaud) ლუი დე (1911-82), ფრანგი დიპლომატი. 1936-38 მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში, 1938-40 – თურქეთის საელჩოში, 1940-42 – საფრანგეთის უმაღლესი კომისრის აპარატში სირიაში, 1942-43 – საგარეო საქმეთა სამინისტროში. წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური წევრი. 1944-45 მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში, შემდეგ, 1946-49 – საფრანგეთის საელჩოში ინგლისში; 1949-52 – გერმანიაში საფრანგეთის უმაღლესი კომისრის აპარატში. 1952-55 – გენერალური კონსული სან-ფრანცისკოში (აშშ); 1955-57 – საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე გაეროში; 1957-60 – ელჩი განაში; 1960-62 – მაროკოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და თუნისის განყოფილების გამგე; 1962-63 – მინისტრ-დელეგატი ალჟირში; 1963-66 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საზღვარგარეთის დაწესებულებათა გენერალური ინსპექტორი; 1966-72 – ელჩი იაპონიაში; 1972-76 – მუდმივი წარმომადგენელი გაეროში და უშიშროების საბჭოში; 1976-78 – საგარეო საქმეთა მინისტრი. 1979-დან გადადგა. 1980-დან გაეროს ადმინისტრაციული საბჭოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტი.

**გირსი** ნიკოლოზ კარლის ძე (1820-95), რუსი დიპლომატი. 1838 საგარეო საქმეთა სამინისტროშია. 1863 – რწმუნებული ირანში, 1869 – შვეიცარიაში, 1872 – შვეციაში. 1875-82 – აზიის დეპარტამენტის მმართველი და საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი; 1878, კანცლერ ა. *გორჩაკოვის* ავადმყოფობის დროს, ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს. 1882-95 – საგარეო საქმეთა მინისტრი.

**გიუნაშვილი** ჯემშიდ შალვას ძე (დ. 1931), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

1947-მდე ცხოვრობდა ირანში. 1947-54 იყო რეპრესირებული. სწავლობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ირანული ფილოლოგიის განყოფილებაზე. 1953 ექსტერნად დაამთავრა შუა აზიის უნივერსიტეტის (ქ. ტაშკენტი) ირანულ-ავღანური ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1955 დაამთავრა ქ. ტაშკენტის წისქვილ-ელევატორის ტექნიკუმი. 1958, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1966 – სადოქტორო დისერტაციები. 1970-დან – პროფესორი. 1954-58 ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ტაშკენტის უნივერსიტეტში; 1958-1994 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პარალელურად 1961-დან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ინდურ-ირანული ფილოლოგიის განყოფილებას. 1974-დან – ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1993-დან ხელმძღვანელობდა საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობათა და თანამშრომლობის საზოგადოებას. 1994 წლის 1. VIII დაინიშნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

**გიუნთერ** (Günther) კრისტიან ერნსტ (1886-1966), შვედი დიპლომატი. 1930 – შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი; 1931-34 – რწმუნებული არგენტინაში, ერთდროულად ჩილეში, ურუგვაისა და პარაგვაიში; 1934-37 – საგარეო საქმეთა სამინისტროს მუდმივი მდივანი; 1938-39 და 1945-49 – ელჩი ნორვეგიაში; 1939-45 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1949-51 – ელჩი იტალიაში.

**გლადსტონი** (Gladstone) უილიამ იუარტ (1809-98), ინგლისელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. თემთა პალატის წევრი 1832-დან, 1834 ეკავა სხვადასხვა სახელმწიფო პოსტები. 1843-45 – ვაჭრობის მინისტრი, 1845-46 – კოლონიის, 1852-55, 1859-66, 1968-74 და 1880-82 – ფინანსთა. 1858-59 – ინგლისის უმაღლესი კომისარი იონიის კუნძულებზე, 1868-74, 1880-85, 1886 და 1892-94 – პრემიერ-მინისტრი.

**გლაივიცის პროვოკაცია 1939**, გერმანელთა საიდუმლო სამსახურის მიერ განხორციელებული პოლონეთზე თავდასხმისათვის. 1939 წლის 31. VIII ესესელებმა მოაწყვეს ქ. გლაივიცის (ზემო სილეზია) რადიოსადგურზე თავდასხმის ინსცენირება. ჰიტლერელთა საინფორმაციო საშუალებებმა მაშინვე გაავრცელეს ცნობა ამ „თავდასხმის" შესახებ. დილით 1. IX გერმანელებმა დაიწყეს პოლონეთის წინააღმდეგ ომი.

**„გლასნოსტ"**, რუსული პოლიტიკური აზროვნების მიერ შემუშავებული ცნება, რომელიც თავისი მნიშვნელობით უახლოვდება სიტყვის თავისუფლებას, მაგრამ არაა მისი ადეკვატური, თუმცა, ხშირად მის შემცვლელადაც იხმარება. „გლასნოსტი", როგორც რუსი ისტორიკოსი ნ.მ.კარამზინი მიუთითებდა, წარმოიშვა საუკუნეთა სიღრმეში და მისი შინაარსი ხშირად „პულსირებდა" – ხან ვიწროვდებოდა, ხანაც ფართოვდებოდა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე. „გლასნოსტის" ფართოდ გავრცელებას ადგილი ჰქონდა რუსეთში 1905 რევოლუციის

გარკვეულ პერიოდში, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. „გლასნოსტის" აღორძინების ცდები სკკპ-ის XX-XXII ყრილობების პერიოდში წარუმატებელი აღმოჩნდა. მის შემდეგ „გლასნოსტს" ძირითადად მისდევდნენ დისიდენტები და ე.წ. სამიზდატები. *„პერესტროიკის"* პერიოდში, 1987 სკკპ ცკ-ის იანვრის პლენუმზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმ სამართლებრივი აქტების შემუშავების შესახებ, რომლებიც „გლასნოსტს" უზრუნველყოფდნენ. შემუშავებულ იქნა კანონი, მაგრამ იგი სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა არ დაამტკიცა. თუმცა 1991 სსრკ-ის კანონმდებლობაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას უზრუნველყოფდნენ.

სსრკ-ის დაშლამ კიდევ უფრო მეტად გააღრმავა და გაამწვავა „გლასნოსტის" პრობლემები, რომლებიც დღემდე მძაფრი პოლიტიკური დისკუსიებისა და ბრძოლის საგნად რჩება.

**გლიგოროვი** (Gligorov) კირო (დ. 1917), მაკედონიის პრეზიდენტი.

სწავლობდა ბელგრადის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. იყო იუგოსლავიის კომპარტიის წევრი. 1945-62 მუშაობდა საკონსტიტუციო კომისიაში, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებში რეფერენტად, საერთო ეკონომიკური საკითხების ფედერაციული კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. 1962-67 – იუგოსლავიის ფედერალური მთავრობის ფინანსთა მინისტრი. 1967-69 მთავრობაში ერთ-ერთი ვიცე-პრემიერია. 1971-74 – იუგოსლავიის ფედერალური კრების (სკუპშინის) პრეზიდიუმის წევრი, 1974-78 – მისი თავმჯდომარე. შემდეგ მუშაობდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალურ აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ (1990) 1991 27. I მაკედონიაში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებისას აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად.

**გლობალისტიკა** (ლათ. globus – სფერო, ბურთი), მეცნიერული მიმართულება, რომელიც სწრაფად იძენს ახალი, დამოუკიდებელი მეცნიერების ნიშნებს. მისი კვლევის საგანია გლობალური პრობლემების წარმოშობის, გამოვლენისა და გადაწყვეტის გზების, ხოლო უფრო ზოგადი მასშტაბებით – მიკროსოციო-ბუნებრივი სისტემებისა და მათი დინამიკის გამოკვლევა.

სადღეისოდ გლობალისტიკა ესაა ერთობლივი პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური, კულტუროლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური მიდგომა იმ თეორიული პრობლემებისადმი, რომელთა მიზანია: 1. ერთიანი სტრუქტურული შეხედულების შემუშავება ადამიანის, საზოგადოების და ბუნების ურთიერთკავშირის სისტემებზე; 2. ამ სისტემის მდგომარეობის, როგორც პერმანენტულად კრიზისულის, დახასიათება, რადგან გლობალისტიკის კვლევის სფეროში განუწყვეტლივ ექცევიან ყოველგვარი დაძაბულობანი და კონფლიქტები, აფეთქებები და კატასტროფები, რომლებიც დღევანდელი ადამიანის ყოფას ახასიათებს და 3. კრიზისული მოვლენების განვითარების მართვის პროცესების დამუშავება.

გლობალურ პრობლემებად შეიძლება ჩაითვალოს ის პრობლემები, რომლებიც აღმოცენდნენ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად, როცა საზოგადოებრივი წარმოების ზრდამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ წარმოიშვა საზოგადოებასა და ბუნებას შორის არსებული ბალანსის დარღვევის დიდი საშიშროება. ეს ის პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია კაცობრიობის არსებობა და ცივილიზაციის პროგრესი, ხოლო თვით ეს პრობლემები გადაიჭრება ეროვნული ძალისხმევის რაციონალური შეხებით საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურ სისტემასთან. გლობალური პრობლემები ატარებენ ზოგადსაკაცობრიო ხასიათს; აქვთ გამოვლენის პლანეტარული მასშტაბები და გამოირჩევიან კომპლექსურობით, დინამიზმითა და სიმწვავით.

გლობალისტიკამ გაამდიდრა რა მსოფლიო საზოგადოებრიობა სოციალ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებათა შესწავლის მძლავრი არსენალით, სამოქმედოდ გაიხადა ამერიკელ მენეჯერთა სახელმძღვანელო პრინციპი „ვიაზროვნოთ გლობალურად, ვიმოქმედოთ ლოკალურად".

გლობალისტიკას სათავე დაუდო ე.წ. *რომის კლუბის* გამოკვლევამ „ზრდის საზღვრები", რომელიც გამოქვეყნდა 1972 და შეიცავდა მეტად შავბნელ პროგნოზებს სურსათის, ნედლეულის, ენერგიის მწვავე დეფიციტის და მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის შესახებ.

**გლობალური პრობლემები**, ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. ისინი თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებად იქცნენ და წარმოაჩინეს უდიდესი ცვლილებების აუცილებლობა როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ისე პოლიტიკასა და, საზოგადოდ მსოფლიოში. გ.პ-ს წარმოადგენენ სამეცნიერო-პოლიტიკური, სოციალური და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის პრობლემები, რომლებიც მთელი კაცობრიობის ინტერესებს ეხებიან, მსოფლიო ხასიათი აქვთ და თავიანთი გადაწყვეტისათვის მთელი კაცობრიობის გაერთიანებულ ძალისხმევას ითხოვენ. გ.პ-ს მიეკუთვნება: მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება, ეკოლოგიური პრობლემა, ხმელეთისა და მსოფლიო ოკეანის რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენება, კოსმოსური სივრცის ათვისება, ასევე ენერგეტიკული, სასურსათო, სარესურსო და დემოგრაფიული პრობლემები. განსხვავებით უნივერსალური პრობლემებისაგან, გ.პ-ის გადაუჭრელობა საფრთხეს უქმნის თვით კაცობრიობის არსებობასაც კი. გ.პ-ის შესწავლისა და მათი გადაჭრის გზების დასახვის უმნიშვნელოვანესი ცენტრი 60-70-იან წლებში გახდა „რომის კლუბი", რომლის მოხსენებებმაც შეასრულეს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია: მიაპყრეს საზოგადოების ყურადღება აღნიშნულ პრობლემებს; შეარყიეს რწმენა იმისა, რომ გ.პ. გადაიჭრება თავისთავად და დაასაბუთეს გ.პ-ის გადაჭრის შესაძლებლობა მხოლოდ ე.წ. „პაკეტური მეთოდისა" და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოთა ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე.

*ლიტ.:* Загладин В.В., Фролов И.Т., Глобальные проблемы современности: научные и социальные аспекты, М., 1981; Лейбин В.М., Модели мира и образа человека. Критический анализ идей Римского клуба, М., 1982; Федоров Ю.Н., Международная безопасность и глобальные проблемы, М., 1983; Meadous D., Randers J., Behrens N. The Limits to Growth. A Report for the Club of Rome's Project on the Predicament of Mankind, N.Y., 1972; Laslo E. at el., Goals for Mankind. A Report to the Club of Rome on the New Horizons of Global Community, N.Y., 1977.

**გობელი** (Gobel) ჟან-პოლ (დ. 1943), ვატიკანის ნუნცია საქართველოში. 1969 წლის 28.VI ეკურთხა მღვდლად. ვატიკანის დიპლომატიურ სამსახურშია 1974-დან. მსახურობდა

ვატიკანის საელჩოს მდივნად ავსტრალიასა და პაპუა-ახალ გვინეაში (1974-77). მუშაობდა ვატიკანის დიპლომატიურ მისიებში მოზამბიკში (1977-81), ნიკარაგუაში (1981-87), ბურუნდიში (1987-89), ჰონკონგში (1989-1993). 1993-დან – პაპის ნუნცია საქართველოში. არის კანონიკური სამართლის დოქტორი.

**გოლი** (Gaulle) შარლ ანდრე ჟოზეფ მარი დე (1890-1970), საფრანგეთის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, გენერალი.

მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. შემდეგ მსახურობდა საფრანგეთის არმიაში. 1940 – ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე. ფაშისტური გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ გადავიდა ინგლისში, სადაც მისი ინიციატივით შეიქმნა კომიტეტი – თავისუფალი საფრანგეთი. იყო ამ კომიტეტის თავმჯდომარე და მისი ჯარების მთავარსარდალი. 1943-44 თავმჯდომარეობდა საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს, ეროვნული თავდაცვის კომიტეტს. 1944-46 – საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე. 1944 ხელი შეუწყო სსრკ-საფრანგეთის ხელშეკრულების დადებას მოკავშირეობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. მისი განკარგულებით საქართველოს დაუბრუნდა (1945) მენშევიკური მთავრობის მიერ 1921 გატანილი საგანძური.

1958 წლის ივნის-დეკემბერში – საფრანგეთის მთავრობის მეთაური, 1958-69 – საფრანგეთის პრეზიდენტი. ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში ატარებდა დამოუკიდებელ კურსს. 1966 საფრანგეთი გამოიყვანა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან. ხელს უწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას.

ლიტ.: Молчанов Н.Н., Генерал де Голль, М., 1972.

**გოლიცინი** ალექსანდრე მიხეილის ძე (1718-83), თავადი, რუსი მხედართმთავარი და დიპლომატი. 1735-დან ავსტრიის არმიაში მსახურობდა. 1740 რუსეთში დაბრუნების დროს თურქეთის საელჩოში გაიგზავნა, შემდეგ საქსონიაში წარმომადგენლად დაინიშნა. 1756-62 – წარმომადგენელი ლონდონში, სადაც აწარმოებდა მოლაპარაკებას, ცდილობდა აეცილებინა ინგლისის დახმარება პრუსიისადმი. 1762 – ვიცე-კანცლერი. მონაწილეობდა შვიდწლიან ომში და რუსეთ-თურქეთის ომში 1768-74. 1769 დაინიშნა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად. 1770-დან – ფელდმარშალი.

**გოლიცინი** ვასილი ვასილის ძე (1643-1714), თავადი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1682-98 – საელჩოს პრიკაზის უფროსი, 1683-დან – „დიდი ბეჭდისა და სახელმწიფოს დიდი საელჩოების საქმის მცველი". დიდ ყურადღებას უთმობდა ყველა ევროპული სახელმწიფოს კავშირის განმტკიცებას, აგრეთვე ჩინეთთანაც. მნიშვნელოვანი იყო „მუდმივი ზავის" დამყარება პოლონეთთან, რომლითაც განმტკიცდა დე-იურე უკრაინის შეერთება რუსეთთან. ამ ხელშეკრულების განსახორციელებლად მოაწყო ორი ლაშქრობა ყირიმელი თათრების წინააღმდეგ (1687 და 1689). თუმცა ესენი მარცხით დამთავრდა, მაგრამ ირიბულად მაინც დაეხმარა რუსეთის მოკავშირეებს. 1689 *პეტრე I-ის* ერთპიროვნულ მმართველად გახდომის შემდეგ გადაასახლეს, სადაც გარდაიცვალა.

**გოლოვინი** თედორე ალექსის ძე (1650-1706), გრაფი, რუსი დიპლომატი. 1686 გააგზავნეს ჩინეთში (იხ. *გოლოვინის ელჩობა 1686-89*), სადაც დადო *ნერჩინსკის ხელშეკრულება 1689*. 1691 დაინიშნა სიბირსკის ნაცვლად. 1697-98 მონაწილეობდა დიდ ელჩობაში, როგორც მეორე ელჩი. 1699 – გენერალ-ადმირალი და სამხედრო-საზღვაო პრიკაზის უფროსი. 1700-06 მეთაურობდა საელჩო პრიკაზს.

**გოლოვინის ელჩობა 1686-89**; ცინის ჩინეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად რუსეთის მთავრობამ 1686 ჩინეთში გაგზავნა ელჩობა თ. *გოლოვინის* მეთაურობით. მოლაპარაკება გაჭიანურდა და დაიწყო 12.III. 1689 ნერჩინსკთან ახლოს. ამ დროს ცინის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ნერჩინსკს და ელჩობა ფიზიკური მოსპობის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მოლაპარაკება დამთავრდა რუსეთ-ჩინეთის პირველი ხელშეკრულების დადებით (იხ. *ნერჩინსკის ხელშეკრულება 1689*).

**გოლოვკინი** გავრიილ ივანეს ძე (1660-1734), გრაფი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. *პეტრე I-ის* მეფობის დროს უცვლელად მეთაურობდა რუსეთის საგარეო პოლიტიკას. 1706-09 – საელჩო პრიკაზის უფროსი, 1709 – პირველი რუსი სახელმწიფო კანცლერი, 1718-დან – საგარეო საქმეთა კოლეგიის პრეზიდენტი, 1726-30 – უმაღლესი საიდუმლო საბჭოს წევრი. პეტრე I-ის მემკვიდრეების დროს თანდათანობით ჩამოშორდა პოლიტიკურ ცხოვრებას.

**გოლოვკინის ელჩობა ცინის ჩინეთში 1805**, რუსეთის მთავრობამ გააგზავნა ელჩობა, რომელსაც ევალებოდა მიელოცა ცინის იმპერატორისათვის ტახტზე ასვლა და ეცნობებინა ჩინეთის მთავრობისათვის რუსეთის ტახტზე *ალექსანდრე I-ის* ასვლა. ელჩობას მეთაურობდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ი.ა. გოლოვკინი. რუსეთის მთავრობას სურდა დიპლომატიური გზით მოეგვარებინა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა, ვაჭრობის, რუსეთის ხომალდების ჩინეთში შესვლის საკითხი, მდ. ამურზე ნაოსნობა და სასაზღვრო საკითხები (ამურისპირეთის, ზღვისპირეთის). ელჩობა 6.X. 1805 კიახტაში ჩავიდა, მაგრამ ურგს (ახლანდ. ულან-ბატორი) არ გასცილებია. შეჩერებისა და შემდეგ რუსეთში დაბრუნების მიზეზი იყო ელჩის უარის თქმა „კოუ-თოუს" ცერემონიალზე (9-ჯერ მიწაზე თაყვანისცემა, როგორც ამას ვასალური ქვეყნების წარმომადგენლები აკეთებდნენ). ელჩობის უშედეგოდ დამთავრების ნამდვილი მიზეზი იყო ცინის მთავრობის იზოლაციური პოლიტიკა.

**გოლუხოვსკი** (Goluchowski) აგენორ (1849-1921), ავსტრიელი დიპლომატი. მუშაობდა ავსტრია-უნგრეთის საელჩოებში პრუსიასა და საფრანგეთში. 1887-93 – ელჩი რუმინეთში, 1895-1906 – სასახლის და საგარეო საქმეთა მინისტრი. დადო რუსეთ-ავსტრიის შეთანხმება 1897, ზეპირი შეთანხმება იტალიასთან ბალკანეთზე სტატუს-კვოს შენარჩუნების შესახებ, რომელიც მხარეების მიერ 1900-01 დამტკიცებულ იქნა წერილობით ვალდებულებად. 1906 გადადგა.

**გონდრას ხელშეკრულება 1923** (ხელშეკრულება ამერიკის ქვეყნებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილების შესახებ), დაიდო 3.V სანტ-იაგოში (ჩილე), მე-5 *ამერიკათაშორისო კონფერენციაზე* აშშ-ის და ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის, გარდა ბოლივიის, მექსიკისა და პერუსი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ კონფერენციის მუშაობაში და მოგვიანებით

შეუერთდნენ ხელშეკრულებას. გ.ხ-მ სახელწოდება მიიღო პარაგვაის წარმომადგენლის სახელისაგან, რომელმაც კონფერენციაზე შემოიტანა გ.ხ-ის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა რეგიონული არბიტრაჟის სისტემის შექმნას იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც დიპლომატიური გზით ვერ იჭრებოდა. გ.ხ. პასუხობდა აშშ-ის განზრახვას, რომელსაც სურდა *ერთა ლიგის* საპირისპირო ორგანიზაციის შექმნა. არგენტინამ, რომელსაც იმხანად თავისი საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული ჰქონდა ინგლისზე და სურდა ლიგის ავტორიტეტის გამოყენება აშშ-ის წინააღმდეგ, უარი თქვა გ.ხ-ის რატიფიკაციაზე, აგრეთვე 1929 ამერიკათაშორისო საარბიტრაჟო ხელშეკრულების ხელმოწერაზე, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებდა გ.ხ-ს, და 1928 *ბრიან-კელოგის პაქტზე.* მათ საწინააღმდეგოდ არგენტინამ წამოაყენა *სააველდრა-ლამესის პაქტი,* რომელიც მიმართული იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში აშშ-ის ჩარევის წინააღმდეგ. ამის საწინააღმდეგოდ აშშ-მა, რათა თავიდან აეცილებინა მის წინააღმდეგ ლათინურამერიკული ქვეყნების ბლოკის შექმნა, კიდევ უფრო გააფართოვა თანამშრომლობა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებთან, გამოიყენა რა „პანამერიკული სოლიდარობის" (იხ. *პანამერიკანიზმი*) ლოზუნგი. მე-7 ამერიკათაშორის კონფერენციაზე (3-26. XII. 1933, მონტევიდეო) აშშ-მა ხელი მოაწერა სააველდრა ლამესის პაქტს, ხოლო არგენტინა დათანხმდა გ.ხ-ის რატიფიცირებას და ბრიან-კელოგის პაქტთან, აგრეთვე ამერიკათაშორისო საარბიტრაჟო ხელშეკრულებასთან შეერთებას.

*პუბლ.:* Conferencias internacionales americanas, Wash., 1938, p.222-27.

*ლიტ.:* Гвоздарев Б.И., Организация американских государств, М., 1960.

**გონსალეს მარკესი** (Gonzalez Marquez) ფელიპე (დ. 1942), ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე.

1966 დაამთავრა სევილიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, პროფესიით ადვოკატი. სტუდენტურ და მუშათა მოძრაობაში მონაწილეობისათვის არაერთხელ იყო რეპრესირებული. 1962-დან – სოციალისტური პარტიის წევრი. 1969-დან – ამ პარტიის ეროვნული კომიტეტის, 1970 – აღმასკომის წევრი, 1974-დან – პარტიის გენერალური მდივანი. ფრანკოს შემდგომი ესპანეთის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე, გენერალური კორტესების (პარლამენტის) ფრანკოს შემდგომი ყველა მოწვევის დეპუტატი. 1982-დან – ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე (ხელახლა აირჩიეს 1986, 1989, 1993 წლებში).

**გორბაჩოვი** მიხეილ სერგის ძე (დ. 1931), საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.

1955 დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1967 – სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1955-1962 – კომკავშირულ, ხოლო 1962-78 – პარტიულ სამუშაოზე სტავროპოლის სამხარეო კომიტეტში. მუშაობდა სამხარეო კომიტეტის პარტორგად, სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს უფროსად, სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის მდივნად, პარტიის სამხარეო კომიტეტის მდივნად, მეორე, პირველ მდივნად. 1978-85 – სკკპ ცკ-ის მდივანი, 1985-90 – სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი. 1988-90 – სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. 1990-91 – სსრკ-ის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი, „გარდაქმნის პოლიტიკის" ინიციატორი.

**გოროდლოს უნია 1413,** დაიდო 2.X გოროდლოში (მდ. დას. ბუგზე) პოლონელი მაგნატებისა და ლიტველი ბოიარების ყრილობაზე. განამტკიცა პოლონეთსა და ლიტვას შორის უნია. აღინიშნა, რომ ლიტვის დიდი მთავრის ვიტოვტის სიკვდილის შემდეგაც ლიტვას ეყოლებოდა თავისი დიდი მთავარი. გ.უ-მ წაშალა იურიდიული უთანასწორობა პოლონელ „ღერბიან" ფეოდალებსა და ლიტვის ფეოდალებს შორის, რამდენიმე ლიტველმა და რუსმა ბოიარმა მიიღო პოლონური ღერბი.

**გორჩაკოვი** ალექსანდრე მიხეილის ძე (1798-1883), თავადი, რუსი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე. დიპლომატიურ სამსახურშია 1817-დან. 1824-41 მუშაობდა რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ლონდონში, რომში, ბერლინში, ფლორენციაში, ვენაში. 1841-50 – ელჩი შტუტგარტში, 1850-54 – საგანგებო ელჩი გერმანიის კავშირში მაინის ფრანკფურტში, 1854-56 – ჯერ საელჩოს საქმეთა მმართველი, შემდეგ დესპანი ვენაში, 1856-82 – საგარეო საქმეთა მინისტრი. [illegible]ური როლი შეასრულა სამი იმპერატორის კავშირის დადებაში; როცა გერმანია საფრანგეთს ახალი ომით დაემუქრა, მხარი დაუჭირა საფრანგეთს და გერმანიამ უკან დაიხია (იხ. *გორჩაკოვის ცირკულარები*). 1882 გადადგა.

**გორჩაკოვის ცირკულარები,** 1. 1870 ცირკულარი დაეგზავნა რუსეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ინგლისში, საფრანგეთში, ავსტრია-უნგრეთში, იტალიაში და თურქეთში. *პარიზის კონგრესის* (1856) ხელმომწერ ქვეყნებს ატყობინებდა, რომ რუსეთი უკვე აღარ იქნებოდა ხელშეკრული იმ დადგენილებებით, რომლებიც ზღუდავდა მის სუვერენულ უფლებებს შავ ზღვაში. 1871 ლონდონის კონვენციამ სრუტეებზე შეცვალა 1856 პარიზის ტრაქტატი, რომელიც უზღუდავდა რუსეთს სამხედრო გემების ყოლას შავ ზღვაში.

2. 1875 ცირკულარი, დეპეშა, რომელიც გაეგზავნა ბერლინიდან რუსეთის საელჩოებს და მისიებს. ეხებოდა ევროპაში დაძაბულობის შეჩერებას, რომელიც გამოწვეული იყო გერმანიის სურვილით დაეწყო ახალი ომი საფრანგეთის წინააღმდეგ. ცირკულარები შედგა გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ I-სა და რუსეთის იმპერატორ *ალექსანდრე II-ს* შორის. ბერლინის შეხვედრის შემდეგ ვილჰელმმა ალექსანდრეს განუცხადა, რომ არ ჰქონდა აგრესიული ზრახვები საფრანგეთის მიმართ. ეს ნიშნავდა ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებას.

**გოტიე** (ლათ. Galterius), XII ს. მოღვაწე, ჯვაროსნული ომების მონაწილე, ანტიოქიის სამთავროს კანცლერი, ავტორი ქრონიკისა „ანტიოქიის ომები" (Bella Antiochena), რომელშიც გადმოცემულია ანტიოქიის სამთავროს ისტორია 1119-26. მოგვითხრობს *დავით IV* აღმაშენებლის მეთაურობით დიდგორის ველზე ქართველთა გამარჯვების შესახებ. მხოლოდ მისმა თხზულებამ შემოგვინახა იმ მოწოდების ტექსტი, რომლითაც დავით IV-მ ბრძოლის დაწყების წინ თავის მოლაშქრეებს მიმართა.

*ლიტ.:* პაპაშვილი ზ., ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), თბ., 1989; მესხია შ., ძლევაი საკვირველი, თბ., 1972; მეტრეველი რ., დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1986.

**გრეი** (Grey) ედუარდ (1862-1933), ვიკონტი ფალოდონი (Fallodon), ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. თემთა პალატის წევრი 1885-1916; 1916 – ლორდთა პალატის. 1892-95 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1905-16 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1919 – დროებითი ელჩი აშშ-ში.

**გრეი-კამბონის შეთანხმება 1912**, დაიდო 22-23. XI წერილების გაცვლის ფორმით ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ე. *გრეისა* და ლონდონში საფრანგეთის ელჩ პ. კამბონს შორის. ინგლისის წარმომადგენლის ჰოლდენის მოლაპარაკება ბერლინში სამხედრო-საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ უშედეგოდ დამთავრდა. ინგლისი, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ცდილობდა დახმარებოდა საფრანგეთს მისი სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერებაში. წერილში აღნიშნული იყო, რომ ორი ქვეყნის სამხედრო და საზღვაო ექსპერტების თათბირები არ ზღუდავდნენ ორივე ქვეყნის მთავრობებს თავისუფლად გადაეწყვიტათ მომავალში ერთმანეთთან დახმარების საკითხი და ეს არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს. სინამდვილეში კი, გ-კ.შ-ით, ორივე ქვეყანა გეგმავდა ერთობლივ მოქმედებას გერმანიის წინააღმდეგ.

**გრეიფსვალდის სამოკავშირეო ხელშეკრულება 1715** (რუსეთსა და ჰანოვერს შორის), ხელი მოაწერეს 28.X გრეიფსვალდში (გერმანია). ჰანოვერის კურფიურსტი გეორგ ლუდვიგი (1714 გახდა ინგლისის მეფე გეორგ I) ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა რუსეთს (შვეციასთან ზავის დადების დროს) ინგრიის, კარელიის და ესტლანდიის რეველთან ერთად მიღებაში. თავის მხრივ, *პეტრე I* უნდა დახმარებოდა გერმანიაში შვეციის სამფლობელოების გაყოფაში ჰანოვერს, პრუსიასა და დანიას შორის.

**გრენლანდიის სტატუსი.** XVII საუკუნიდან გრენლანდია დანიის კოლონია იყო. დანიის 5.VI.1953 კონსტიტუციის მიხედვით, იგი გამოცხადდა დანიის სახელმწიფოს ნაწილად და მიიღო დანიის პარლამენტში (ფოლკეტინგში) წარმომადგენლობის უფლება. 17.XI.1978 ფოლკეტინგმა მოიწონა კანონპროექტთა კომპლექსი გრენლანდიის თვითმმართველობის შესახებ. 7.IV.1979 გრენლანდიაში ჩატარდა ადგილობრივი პარლამენტის (ლანდსტინგი) პირველი საყოველთაო არჩევნები, ხოლო 1.V.1979-დან მოქმედებას შეუდგა ადგილობრივი ადმინისტრაცია (ლანდსტიური). საგარეო-პოლიტიკური, თავდაცვითი და სავალუტო-ფინანსური საკითხები დარჩა დანიის მთავრობის კომპეტენციაში.

9.IV.1941 აშშ-სა და დანიას შორის დაიდო ხელშეკრულება „გრენლანდიის დაცვის შესახებ". რატიფიკაცია მოხდა 16.V.1945. 27.IV.1951 აშშ-მა დანიასთან დადო ახალი ხელშეკრულება „გრენლანდიის დაცვის შესახებ", რომელიც ძალაში რჩება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მოქმედების ვადის პერიოდში. ხელშეკრულებით, გრენლანდიაში იქმნებოდა სამი თავდაცვითი რაიონი: თულეში, სიონდრე სტრიომფიორდსა და ნარსარსუაკში. 1958 ეს უკანასკნელი ბაზა დანიას გადაეცა.

**გრიბოედოვი** ალექსანდრე სერგის ძე (1795-1829), რუსი მწერალი და დიპლომატი. 1812 რუსეთის სამამულო ომის დაწყებისთანავე გ. სამხედრო სამსახურში შევიდა. ომის შემდეგ მუშაობდა სტატს-მდივნად საგარეო საქმეთა კოლეგიაში. 1822-დან მსახურობდა თბილისში მთავარმართებელის კანცელარიაში, ჯერ ერმოლოვთან, შემდეგ კი პასკევიჩთან. დაუახლოვდა ქართველ საზოგადოებას, კერძოდ, კი ალ. ჭავჭავაძის ოჯახს. ცოლად შეირთო ნინო ჭავჭავაძე. გ-მა პ.ზავილეისკისთან ერთად შეადგინა საქართველოს ათვისების კოლონიური გეგმა.1827-დან მას მიანდვეს ოსმალეთთან და ირანთან დიპლომატიური ურთიერთობის წარმართვა. ირანთან რუსეთის ომის (1826-28) დამთავრების შემდეგ გ. დანიშნეს რუსეთის მინისტრრეზიდენტად ირანში. გ-ის ხელშეწყობით ირანიდან თბილისში გადმოასახლეს ანტიირანული და ანტიმაჰმადიანური აგიტაციის საწარმოებლად თავრიზის აიათოლა მირადა ფეტ მუშტეიდი, რომელიც მაშინვე რუსეთის სამსახურში ჩადგა. მისივე წინადადებით ირანის პროვინციებიდან ერევნის ოლქში გადმოასახლეს 35 ათასამდე სომხური ოჯახი. ყოველივე ამისათვის და ირანის თავსმოხვეული დამამცირებელი *თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებისათვის* ირანის მთავრობის წაქეზებით გ. სიცოცხლეს გამოასალმეს თავის ამალასთან ერთად თეირანში 1829. დასაფლავებულია თბილისში.

*ლიტ.:* ენიკოლოპოვი ი., ცხოვრება გრიბოედოვისა, თბ., 1958; Петров С. М., А.С. Грибоедов, 2 изд., М., 1954.

**გრიგოლ IX** (ერისკაცობაში გრაფი უგოლინო დი სენი; Ugolino di Segni), რომის პაპი 1227-41. მის სახელთანაა დაკავშირებული ინკვიზიციის გადაქცევა კათოლიკური ეკლესიის მუდმივ ორგანოდ. არსებობდა დიპლომატიური კონტაქტები პაპ გ.IX -სა და საქართველოს სამეფო კარს შორის. 1233 წლის აპრილის წერილით გ.IX *რუსუდანს* სთხოვდა საქართველოში მყოფი მინორიტების ორდენის მისიონერთა მფარველობას. 1240 წლის 13 იანვრის მეორე წერილიდან ჩანს, რომ საქართველოს სამეფო ტახტს პაპისათვის მონგოლების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება უთხოვია, რაზეც ფაქტიური უარი მიუღიათ. პაპ გ.IX-ის სახელს უკავშირდება საქართველოში დომინიკელთა ორდენის მისიონერთა გამოგზავნა.

*ლიტ.:* თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის., ტფ.,1902.

**გრიგოლ დადიანი** (1770-1804), სამეგრელოს მთავარი 1788-1804. 1789, მისი აქტიური ხელშეწყობით, *სოლომონ II* იმერეთის ტახტზე ავიდა, მაგრამ სოლომონ II-ის ძმის, მანუჩარის მეოხებით გ.დ. ერთხანს ოდიშიდან იქნა გაძევებული. 1796 გ.დ. ქართლ-კახეთში გადავიდა, ხოლო შემდეგ *ერეკლე II-ის* შუამდგომლობით მან კარგი ურთიერთობა დაამყარა სოლომონთან.

სოლომონ II მთელი დასავლეთი საქართველოს პრეტენზიით გამოდიოდა. გ.დ-მა დახმარება რუსეთის მთავრობას სთხოვა. იგი საიდუმლო დიპლომატიური არხებით უკავშირდებოდა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფალთ (*ციციანოვი*) და სთხოვდა რუსეთის პროტექტორატში მიღებას. 1803 წლის ივლისში მან რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო და იმავე წლის დეკემბერში სოფ. საჭილაოში ხელი მოაწერა მფარველობით ხელშეკრულებას, რომელიც *ალექსანდრე I-მა* 1804 წლის ივლისში დაამტკიცა. გ.დ-მა შეინარჩუნა მემკვიდრეობა სამთავროს უფლებებზე და რუსეთის იმპერიაში შევიდა შეზღუდული ავტონომიის უფლებით.

*ლიტ.:* დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ.ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962; დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

**ბრიბოლი**, მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი. 1437-39 მონაწილეობა მიიღო *ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების* მუშაობაში, სადაც საქართველო და მისი ეკლესია ოფიციალურად იყო მიწვეული. ბ. იოანე ეპისკოპოსთან ერთად საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა. კრების მოწვევის მთავარი მიზეზი ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანების საკითხი იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა მასში მონაწილეობა არ მიიღეს. კრების მსვლელობამ აშკარა გახადა, რომ საქართველოს პაპისაგან რეალური დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა. გრიგოლ ეპისკოპოსმა ეკლესიების გაერთიანების აქტს ხელი არ მოაწერა.

ლიტ.: ჟ ო ჟ ო ნ ი ძ ე ო., XV ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. კრ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.

**ბრიუ** (Griw) ჯოზეფ კლარკი (1880-1965), აშშ-ის დიპლომატი. დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი. 1904 დაინიშნა აშშ-ის საკონსულოს თანამშრომლად კაიროში. 1917-მდე ეკავა სხვადასხვა დიპლომატიური თანამდებობები მექსიკაში, რუსეთში, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში. 1919 დაინიშნა აშშ-ის დელეგაციის გენერალურ მდივნად *პარიზის საზავო კონფერენციაზე*. 1922-23 – აშშ-ის წარმომადგენელი ლოზანის კონფერენციაზე; 1924-27 – სახელმწიფო მდივნის მოადგილე; 1927-32 – ელჩი თურქეთში; 1932-41 – ელჩი იაპონიაში; 1943-44 – სახელმწიფო მდივნის თანაშემწე; 1944-45 – სახელმწიფო მდივნის მოადგილე. 1945 გადადგა.

**ბროდნოს ხელშეკრულება 1793**, პეტერბურგის კონვენციის (1793) დადების შემდეგ, რეჩ-პოსპოლიტას მეორე დაყოფის შესახებ, რუსეთმა და პრუსიამ მოითხოვეს, რომ ეს დაყოფა ეცნო პოლონეთს. 11(22).VII.1793 გროდნოში ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს პოლონეთმა და რუსეთმა, რომლითაც პოლონეთი აღიარებდა ბელორუსიისა და უკრაინის მიწების რუსეთის ხელში გადასვლას. პრუსიასთან ხელშეკრულება კი პოლონეთის სეიმის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. სიმაგრეს, სადაც სეიმის სხდომა მიმდინარეობდა, ჯარმა ალყა შემოარტყა. 25.IX პრუსიასთან ხელშეკრულება დაიდო.

**ბრომიკო** ანდრია ანდრიას ძე (1909-89), საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

1936-39 – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოვალეობის შემსრულებელი. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1956). დიპლომატიურ სამუშაოზეა 1939-დან. ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ამერიკის ქვეყნების განყოფილებას. 1939 წლის ბოლოდან – აშშ-ში სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (1941-დან საელჩო) მრჩეველი. 1943-46 – სსრკ-ის ელჩი აშშ-ში და იმავდროულად დესპანი კუბის რესპუბლიკაში. 1946-48 – სსრკ-ის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში და იმავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

1948-49 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, 1949-52 – პირველი მოადგილე. 1952 წლის ივნისიდან – სსრკ-ის ელჩი დიდ ბრიტანეთში. 1953 წლის აპრილიდან – 1957 წლის თებერვლამდე – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე. 1957 წლის თებერვლიდან – 1985 წლის ივნისამდე – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1983 წლის მარტიდან – სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ბ. მეთაურობდა სსრკ-ის დელეგაციას 1944 დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე, რომელიც გაეროს შექმნას ეხებოდა. მონაწილეობდა სამი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების *ყირიმის* (იალტის) და *ბერლინის* (პოტსდამის) კონფერენციების მუშაობაში. 1945 მონაწილეობდა სან-ფრანცისკოს კონფერენციის მუშაობაში. 1945 ხელი მოაწერა გაეროს წესდებას. მრავალგზის ხელმძღვანელობდა სსრკ-ის დელეგაციას გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე, მონაწილეობდა უშიშროების საბჭოში შემავალი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების რიგ თათბირებში, *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირებში*, ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტის თათბირებში, აგრეთვე მრავალ საერთაშორისო თათბირსა თუ კონფერენციაში. სკკპ ცკ-ის წევრი 1956-დან, 1973 წლის აპრილიდან – სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი. სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს მე-2, მე-5-11 მოწვევის სესიების დეპუტატი.

როგორც ეკონომისტი, მის კალამს ეკუთვნის მონოგრაფია „კაპიტალის საგარეო ექსპანსია, ისტორია და თანამედროვეობა", მოსკოვი, 1982. აგრეთვე გ. ანდრეევის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მონოგრაფია „ამერიკული კაპიტალის ექსპორტი, იარაღი" (მ.,1957) და „დოლარის ექსპანსია" (მ., 1961). პენსიაზე გასვლის შემდეგ დაწერა მემუარები 2 წიგნად „რაც დამამახსოვრდა" (მ., 1988).

**ბროციუსი** ჰუგო დე გროოტ (Huigh de Groot) (1583-1645), ჰოლანდიელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, სოციოლოგი, იურისტი, ბუნებითი სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელი.

1598 – საფრანგეთის მეფე ჰენრიხ IV-თან წარგზავნილი ჰოლანდიის ელჩობის წევრი; 1601-დან – ჰოლანდიის შეერთებული შტატების ოფიციალური ისტორიოგრაფი. 1604 მიიწვიეს ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის კომპანიასა და პორტუგალიას შორის წამოჭრილი დავის მოსაგვარებლად. ამავე პერიოდში დაწერა პირველი იურიდიული ტრაქტატი "De jure praedae". ტრაქტატის ერთი ნაწილი ეხებოდა ღია ზღვის თავისუფლებას (რომელიც თანამედროვე საზღვაო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია). გამოქვეყნდა 1609.

პოლიტიკურ-რელიგიური ომების დროს, 1619 ბ დააპატიმრეს და მიუსაჯეს სამუდამო პატიმრობა. 1612 გაიქცა საფრანგეთში. 1634-44 იყო შვეციის ელჩი საფრანგეთში.

ბ-ის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი იყო 1625 გამოცემული ტრაქტატი „ომისა და მშვიდობის უფლების შესახებ". ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ბ. აღიარეს საერთაშორისო სამართლის მამად. ტრაქტატში თანამიმდევრულად განვითარებულია სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპი: სუვერენიტეტის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჰუმანიზმის შესახებ, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენენ. წიგნის შესავალში ბ. აყალიბებს მოსაზრებებს საერთაშორისო სამართლის წყაროების შესახებ და აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის უშუალო წყაროებს წარმოადგენს სახელმწიფოთა შეთანხმებანი, რომლებიც გამოხატულია ორი ფორმით: პირდაპირ (საერთაშორისო ხელშეკრულებებში) ან დუმილით (საერთაშორისო ჩვეულებით).

მნიშვნელოვანი იყო ბ-ის მიერ ჩამოყალიბებული იდეები სამართლიანი და უსამართლო ომების თაობაზე, ნეიტრალიტეტის შესახებ. განსაკუთრებით პროგრესული იყო მოსაზრება საერთაშორისო დავების აუცილებლად მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის თაობაზე და წინადადება, შექმნილიყო მუდმივი ორგანო საერთაშორისო დავების გადასაწყვეტად. ბ-ის შრომებში გამოთქმულმა ბევრმა პროგრესულმა იდეამ ასახვა ჰპოვა თანამედროვე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში, საკონსულო და დიპლომატიურ სამართალში, ასევე შეიარაღებული კონფლიქტების სამართალში. ბ-ს მიაჩნდა, რომ საომარი მოქმედებების დროს მეომარმა მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ მტრის ქონების განადგურებისა და სამოქალაქო მოსახლეობისადმი უსამართლო, მკაცრი მოპყრობისაგან.

ბ-მა პირველმა წარმოაჩინა საერთაშორისო სამართლის სპეციფიკა და მისი პრინციპული განსხვავება სხვა იურიდიული დისციპლინებისაგან.

**ბრუბენი** (**De Gruben**) ტიერ დე, (დ. 1941) ბარონი, ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1960-დან დიპლომატიურ სამსახურშია. 1960-69 მუშაობდა ბრიუსელში, ნატოს ორგანიზაციასთან არსებულ ბელგიის დელეგაციაში. 1970-დან ბელგიის ცენტრალური ადმინისტრაციის (მთავრობის) პრეს-სამსახურშია. 1971-76 მუშაობდა ბელგიის საელჩოში სსრკ-ში; 1976-80 – ინგლისში ეკონომიკური საკითხების ატაშედ ბელგიის საელჩოში. 1980-82 – ბელგიის გენერალური კონსული ბომბეიში (ინდოეთი). 1982 კვლავ ცენტრალურ ადმინისტრაციაშია. 1985-90 – ბელგიის ელჩი პოლონეთში, 1990 – ელჩი რუსეთის ფედერაციაში. პარალელურად 1992-დან დაინიშნა ელჩად საქართველოში.

**გუადალუპე-იდალგოს ხელშეკრულება 1848** (აშშ-მექსიკის ხელშეკრულება მშვიდობის, მეგობრობისა და საზღვრის შესახებ), დაიდო აშშ-სა და მექსიკას შორის გუადალუპე-იდალგოში 2.II, რითაც დამთავრდა ამ ქვეყნებს შორის 1846-48 ომი. გ-ი.ხ. ორივე მხარის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1848 წლის მარტში. ამ ხელშეკრულებით მექსიკა ცნობდა აშშ-ის მიერ ტეხასის, ნიუ-მექსიკოსა და ზემო კალიფორნიის ანექსიას, რითაც ფაქტობრივად თავისი ტერიტორიის ნახევარს კარგავდა. აშშ-ის მოქალაქეებს ეძლეოდათ მდ. კოლორადოზე (მექსიკის ტერიტორიაზე) და კალიფორნიის ყურეში თავისუფალი ნაოსნობის უფლება. „დათმობილი" ტერიტორიებისათვის აშშ მექსიკას უხდიდა 15 მლნ დოლარს. გარდა ამისა, აშშ-ის მთავრობა თავის თავზე იღებდა მექსიკის მთავრობისადმი თავისი მოქალაქეების ფინანსური პრეტენზიების დაკმაყოფილებას, რაც 3250 ათას დოლარს შეადგენდა, თუმცა ყოველივე ეს ვერ უნაზღაურებდა მექსიკას ტერიტორიულ დანაკარგს. ხელშეკრულებაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ მხარეები ყოველგვარ სადავო საკითხებს გადაწყვეტდნენ მშვიდობიანი მოლაპარაკების ან არბიტრაჟის გზით.

1853 აშშ-მა, წყნარი ოკეანის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით, ე.წ. ჰადსდენის ხელშეკრულების დახმარებით, მექსიკისაგან დამატებით შეიძინა 120 ათასი კვ. კმ ტერიტორია (მდ-ების კოლორადოსა და რიო-გრანდეს შორის), რისთვისაც 10 მლნ დოლარი გადაიხადა.

ლიტ.: Malloy W.M., Treaties... between the United States of America and other Powers (1776-1909), vol.1, Wash., 1909, p.1107-21.

**გუამის დოქტრინა**, იხ. *ნიქსონის დოქტრინა*.

**გუბაზ I**, ეგრისის (ლაზიკის) მეფე V ს. II ნახევარში. აუჯანყდა ბიზანტიელებს (დაახლ. 457) სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ბიზანტიელებმა დასასჯელად ლაშქარი გამოგზავნეს ეგრისში, მაგრამ უშედეგოდ გაბრუნებულან უკან. მათ ხელმეორედ ლაშქრობისათვის დაიწყეს სამზადისი და დახმარებისათვის სპარსელებს მიმართეს. გ.I-მა სპარსელებს მოუხმო ბიზანტიელების წინააღმდეგ, მაგრამ დახმარება ვერ მიიღო მათგან და ამიტომ სამშვიდობო მოლაპარაკება გამართა იმპერატორთან. საიმპერიო კარი მშვიდობას იმ შემთხვევაში პირდებოდა გ.I-ს, თუ თვითონ ან მისი შვილი გადადგებოდა ეგრისის სამეფო ტახტიდან. გ.I-მა თავის შვილის სასარგებლოდ დათმო სამეფო ტახტი, მაგრამ მას მაინც მოსთხოვეს კონსტანტინოპოლში გამოცხადება. ის ჩავიდა სატახტო ქალაქში (465). პირველად გაკიცხეს კარისკაცებმა, მაგრამ გ.I-მა მოხიბლა ისინი სიტყვა-პასუხითა და საქრისტიანო ნიშნების ტარებით, დაუზავდა მათ და შინ მშვიდობით გამობრუნდა.

ლიტ.: პრისკე პანიონელი. – წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.I, თბ., 1961.

**გუბაზ II** (გ. 554), ეგრისის მეფე, შესანიშნავი ორატორი და მხედართმთავარი. აუჯანყდა ბიზანტიელებს და მათ წინააღმდეგ ეგრისში (ლაზიკაში) სპარსელთა ჯარები შემოიყვანა (542) ხოსრო-ანუშირვანის მეთაურობით, მაგრამ სპარსელებმა მალე გამოავლინეს თავიანთი მიზნები: მათ გადაწყვიტეს თავისი თანამეტომეების ეგრისში ჩამოსახლება და გ.II-ის მოკვლა. გ.II კვლავ ბიზანტიელებს მიემხრო (548) და მათ ჯარებთან ერთად დაიწყო ბრძოლები სპარსელების განსადევნად. ბიზანტიელი სარდლები ამ ბრძოლებში პასიურობდნენ, ამიტომ გ.II-მ *იუსტინიანე კეისარს* მათი შეცვლა მოსთხოვა. სარდლებმა იოანემ და რუსტიკემ შურისძიების მიზნით 554, ხობის წყალთან იგი ვერაგულად მოკლეს.

ლიტ.: აგათია სქოლასტიკოსი. – წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.3, თბ., 1936; პროკოპი კესარიელი. – იქვე, ტ.2, თბ., 1965.

**გუბერტუსბურგის შეთანხმება 1763** (ერთი მხრივ, პრუსიასა და, მეორე მხრივ, ავსტრიასა და საქსონიას შორის), ხელი მოაწერეს საქსონიის სიმაგრეში გუბერტუსბურგში 15.II. იყო ერთ-ერთი შეთანხმება, რომელმაც დაამთავრა შვიდწლიანი ომი (1756-63). გ.შ-ით ავსტრიამ უარი განაცხადა პრუსიის მიწებზე. ამდენად სილეზია საბოლოოდ პრუსიის ხელში გადავიდა. საქსონიის კურფიურსტს უბრუნდებოდა ფრიდრიხ II-ის მიერ ომის დასაწყისში დაკავებული მიწები. მხარეები ერთმანეთს უბრუნებდნენ მიტაცებულ ქონებას და სამხედრო ტყვეებს. საიდუმლო მუხლში ავსტრიის ერცჰერცოგს იოსებს მხარდაჭერას პირდებოდნენ იმპერატორის არჩევნების დროს.

**გულისტანის საზავო ხელშეკრულება 1813**, დაიდო რუსეთსა და ირანს შორის სოფ. გულისტანში (ყარაბაღი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა). 24.X ამ ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი მოაწერეს გენერალმა ნ.ფ. რტიშჩევმა რუსეთის მხრიდან და მირზა აბულ-ჰასანმა ირანის მხრიდან, დასრულდა 1804-13 რუსეთ-ირანის ომი. გ.ს.ხ. შედგებოდა 11 მუხლისაგან. მისი მე-2 მუხლით, მხარეებს რჩებოდათ ის „მიწები, სახანოები და სამფლობელოები", რომლებიც ზავის დადების მომენტში მათი ძალაუფლების ქვეშ

იყო. ირანმა აღიარა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოსავლეთ საქართველოს, დაღესტნის, ყარაბაღის, განჯის, შექის, შირვანის, დერბენდის, ყუბის, ბაქოსა და თალიშის სახანოების შესვლა. მე-5 მუხლმა განამტკიცა რუსეთის პოზიციები კასპიის ზღვაზე, სადაც მან მიიპოვა სამხედრო ფლოტის ყოლის განსაკუთრებული უფლება. გ.ს.ხ-ით, ორივე ქვეყნის ვაჭრებმა მიიღეს ორივე სახელმწიფოში თავისუფალი ვაჭრობის უფლება. ამასთან ირანთან ვაჭრობაში რუსეთს ჰქონდა დიდი შეღავათები – დაბალი (ხუთპროცენტიანი) საბაჟო ტარიფი, შინაგანი ბაჟისაგან განთავისუფლება. რუსეთმა ვალდებულება იკისრა მხარი დაეჭირა შაჰის მიერ დანიშნული ტახტის მემკვიდრისათვის და თუ შაჰის შვილებს შორის დაიწყებოდა უთანხმოება, მხოლოდ მაშინ ჩარეულიყო, როცა ამას შაჰი სთხოვდა. გ.ს.ხ-მ ძალა დაკარგა *თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულების* (1828) დადების შემდეგ.

**გულშარ** (გ უ ლ ა ნ შ ა რ ი), დედოფალი, *ალექსანდრე I* დიდის ვაჟის – დემეტრე „მეფის" („პროვინციის მეფის") თანამეცხედრე, მეფე *კონსტანტინე II-ის* დედა. 1487 საქართველოში იაყუბ-ყაენის მეორე შემოსევისას, რომელსაც უშუალოდ ხალილ-ბეგი ხელმძღვანელობდა, კონსტანტინე II-ის ტახტსა და აყ-ყოინლუს ამირებს შორის მოლაპარაკება გაიმართა. მეფემ ამ დიპლომატიური მისიის შესრულება თავის მოხუც დედას, გულშარს დაავალა. რას თხოულობდა ეს „მანდილოსანი დიპლომატი" და რა ხასიათის დავალებას ასრულებდა, ნათლად არ ჩანს. სავარაუდოა, რომ კონსტანტინე II თურქმანებს კონტრიბუციის მიღებას და უკან გაბრუნებას სთავაზობს. მოხუცი „დიპლომატი დედოფალი", რომელიც მისიის შესასრულებლად მონასტრიდან სპეციალურად გამოსულა, თურქმან ამირებს ზავის პირობებზე დათანხმებას ემუდარება. გულშარ დედოფლის მისია წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ამ შემოსევისას ვერც თურქმანებმა შეძლეს თბილისის აღება.

*ლიტ.:* კ ი კ ნ ა ძ ე  რ., საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. მეორე ნახევარში. - „ისტორიის ინსტიტუტის შრომები", VII, თბ., 1964.

**გულჩარა**, გ უ ლ ჩ ო რ ა, ქართველი დიპლომატი ქალი XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედსა და XVII ს-ის დამდეგს, ქართველი მეფის *გიორგი X-ის* ასული. 1603 გაიგზავნა სტამბულში პაპის, 1600 დატყვევებული *სიმონ I-ის* დასახსნელად. იქ დაუახლოვდა სულთნის დედას და მისი ნდობა დაიმსახურა. ირან-ოსმალეთის ომის (1602-12) დროს, რომელიც ოსმალეთისათვის წარუმატებლად წარიმართა, სულთანმა აჰმედ I-მა და მისმა დედამ 1606 გ-ს მიანდეს შაჰ *აბას I-თან* მოლაპარაკება. საზავო პირობების შესათანხმებლად გ. რამდენჯერმე შეხვდა სულთანს და შაჰს. სიმონ I-ის გათავისუფლება ვერ მოხერხდა, მაგრამ გ-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების (1612) დადებაში.

*ლიტ.:* ს ვ ა ნ ი ძ ე  მ., ქართველი დიპლომატი ქალი გულჩარა ბაგრატიონი. - მის წგ.: საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები (XIV-XVIII სს.), თბ., 1989

**გუნარსონი** (Gunnarsson) გუნარ (დ. 1948), ისლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. 1978 დაამთავრა ბერლინის თავისუფალი ფაკულტეტი. 1978-87 ასწავლიდა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და ისტორიას ისლანდიის უნივერსიტეტში. ამავე დროს 1979-87 – ისლანდიის უშიშროებისა და საგარეო ურთიერთობების კომისიის დირექტორი; 1987-91 ეწევა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ისლანდიის უნივერსიტეტში, ამასთან, 1989-91 – ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი; 1991-92 – ისლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი; 1992-93 – ისლანდიის წარმომადგენელი ევროთათბირზე; 1994 წლის ივლისიდან – ისლანდიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

**გუნ** ცინვანი (1835-98), პრინცი, ჩინელი სახელმწიფო მოღვაწე. ხელს უწყობდა ევროპის ქვეყნების ჩინეთში შეჭრას. 1860 ხელი მოაწერა პეკინის ხელშეკრულებას. 1861 გახდა სახელმწიფოს ფაქტობრივი მმართველი, აგრეთვე საგარეო უწყების ხელმძღვანელი. 1884 ჩრდილოეთ ვიეტნამში ჩინეთის დამარცხების შემდეგ საფრანგეთთან ომში ყველა თანამდებობიდან გადააყენეს. 1894-98 – საგარეო საქმეთა კანცელარიის მეთაური. ხელმძღვანელობდა იაპონიის წინააღმდეგ ომს. დამარცხების გამო ისევ გადააყენეს.

**გურანდუხტი**, *დავით IV* აღმაშენებლის მეუღლე, ყივჩაყთა მთავრის *ათრაქა შარაღანის ძის* ასული. ქართველი მეფის დამოყვრება ათრაქა შარაღანის ძესთან გარკვეული დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რამაც ხელი შეუწყო ყივჩაყთა ჩამოსახლებას საქართველოში მათგან მუდმივი ლაშქრის შექმნის მიზნით (1118-19).

*წყარო:* ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, თბ., 1955.

**გურგენ I** (გ. 891), კურაპალატი 881-91, *ადარნასე I-ის* ძე, ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, ერისთავთერისთავი, ფლობდა ამიერტაოს ნაწილს და კალმახს.

*წყარო:* გ ი ო რ გ ი  მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. - წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი.აბულაძის რედ., წგ.I, თბ., 1963; მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.I, თბ., 1955; ს უ მ ბ ა ტ  დ ა ვ ი თ ი ს  ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა. - იქვე.

**გურგენ IV** დ ი დ ი (გ. 941), ბაგრატიონთა კლარჯეთის შტოს წარმომადგენელი, *ადარნასე II-ის* ძე, ერისთავთერისთავი 918-941. იწოდებოდა დიდ ერისთავთერისთავად.

**გურგენი**, ქართლის მეფე VI ს. I მეოთხედში. მის დროს ქართლში ირანელები მძლავრობდნენ. მას ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის მიღება მოსთხოვეს. 523 გ. აუჯანყდა ირანელებს, მაგრამ ქართლის წარჩინებულთა ნაწილმა უღალატა, ხოლო ბიზანტიელების დამხმარე ძალები იმდენად მცირე იყო, რომ ვეღარ გაუმკლავდა მათ და დამარცხდა. ის მთელი თავისი სახლობით ეგრისში გადავიდა. იქ ელოდა ბიზანტიელთა დამხმარე ძალებს, რომ კვლავ შებმოდა ირანელებს, მაგრამ რადგან საკმაო ძალები ვეღარ მიიღო მათგან, იძულებული შეიქნა თავისი ოჯახით ბიზანტიაში გადასულიყო. მისი ქართლიდან წასვლას მეფობის გაუქმება მოჰყვა, რაც აისახა ირან-ბიზანტიას შორის 532 დადებულ „საუკუნო ზავში".

*წყარო:* პ რ ო კ ო პ ი  კ ე ს ა რ ი ე ლ ი, გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1965

**გურგენი**, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ძე ქართველთა მეფე ბაგრატ II-ისა, მეფეთ-მეფე 994-1008. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლაში. გ. 975 *დავით III* კურაპალატის ხელშეწყობით დაინიშნა თავისი მცირეწლოვანი შვილის *ბაგრატ III-ის* მეურვედ ქართლში. ეხმარებოდა ბა-

გრატ III-ს კლდეკარის ერისთავ რატის წინააღმდეგ. ბაგრატ III-თან ერთად თავდადებით იღვწოდა ბიზანტიის წინააღმდეგ ქართველთა კურაპალატ დავით III-ის მემკვიდრეობისათვის. გ-სა და ბაგრატ III-ს შორის შუღლის ჩამოსაგდებად ბიზანტიის კეისარმა *ბასილი II-მ* შეილს უფრო მეტი პატივი და კურაპალატობა მიანიჭა, ხოლო მამას მაგისტროსობა უბოძა. კეისარმა მიზანს ვერ მიაღწია.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979; პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

**გურია-ოსმალეთის შეთანხმება 1614,** გურიის სამთავროსა და ოსმალეთს შორის 13 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება. ირან-ოსმალეთის ომში (1603-12) ოსმალეთის წარუმატებლობით ისარგებლა გურიის მთავარმა *მამია II გურიელმა* და 1609 ოსმალები განდევნა აჭარიდან. ამ ომში გურიის მოკავშირე იყო სამეგრელოს სამთავრო. ოსმალეთს იმჟამად გურია-სამეგრელოსთან ომის დაწყება არ შეეძლო, ამიტომ მან დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბლოკადა მოაწყო. შეწყდა მარილის, რკინის და სხვა პროდუქტების შემოტანა, რამაც დიდი სიძნელეები შეუქმნა ორივე სამთავროს. 1614 წლის გაზაფხულზე თვით მთავრებმა გაგზავნეს ელჩები სტამბულში ზავის დასადებად. იმავე წლის მაისში დასავლეთ საქართველოში გამოგზავნილ იქნა ოსმალეთის ელჩი ომარ-ფაშა. 1614 წლის აგვისტოში დაიწყო მოლაპარაკება მამია გურიელსა და ომარ-ფაშას შორის. 13 დეკემბერს ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით აჭარა დაუბრუნდა ოსმალეთს. გურიამ იკისრა ხარკი ოსმალეთის სასარგებლოდ. ჩანს, ზავის დადებით დაინტერესებული იყო, შაჰ *აბასის* შემოსევის გამო, იმერეთის შეფარებული *თეიმურაზ I.* იგი ცდილობდა სამეფო-სამთავროების შეკავშირებას და ოსმალეთის დახმარებით ქართლ-კახეთიდან ყიზილბაშების განდევნას.

ლიტ.: სვანიძე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1971.

**გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან,** 1810 წლის 19 ივნისს მამია V გურიელმა მიიღო რუსეთის მფარველობა სამთავროს შეზღუდული ავტონომიით. მისი გარდაცვალების (1826) შემდეგ, რუსეთის სარდლების დაჟინებითი მოთხოვნით, გურიის გამგებლობა დაევალა სამმართველო საბჭოს, რომელსაც დედოფალი *სოფიო* თავმჯდომარეობდა. რუსეთ-თურქეთის (1828-29) ომის დროს გურია ომის ასპარეზად იქცა. იქ რუსის ჯარი შევიდა. რუსეთმა ისარგებლა მთავრის ხელისუფლების სისუსტით და დედოფალს უსაფუძვლოდ წაუყენა ბრალდება თურქეთის ერთგულების შესახებ. 1829 რუსეთმა მოახდინა გურიის ანექსია. დედოფალი სოფიო თურქეთში გაიქცა.

ლიტ.: დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**გურჯიცკი** ბოგდან (გ. 1700), წარმოშობით ქართველი, დიპლომატი, პოლონეთის სამეფოს ელჩი და რეზიდენტი სეფიანთა ირანის შაჰების კარზე XVII ს-ის უკანასკნელ მესამედში. XVII ს-ის 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში ქართლში იმყოფებოდა. შემდეგში, როგორც ჩანს, როსტომ მეფის დავალებით, გაემგზავრა პოლონეთს. 50-60-იან წლებში მონაწილეობდა პოლონეთ-შვედეთის ომებში როგორც პოლონეთის ჯარების უცხოელთა ნაწილის ერთ-ერთი მეთაური, მიიღო როტმისტრის სამხედრო წოდება. 1668 პოლონეთის მეფემ ელჩად გაგზავნა ირანში. გზად, მოსკოვში, გ-ის უცდია *ერეკლე I-თან* შეხვედრა. რით დამთავრდა ეს ცდა, უცნობია. ირანს მიმავალ გ-ის *ვახტანგ V-თვის* გადასაცემად მიჰქონდა პოლონეთის კანცლერის ლეშჩინსკის წერილი. ირანში თავისი მისია გ-მ წარმატებით შეასრულა და 1675 დაბრუნდა პოლონეთში, რისთვისაც მიიღო აზნაურის წოდება. 1676 პოლონეთის მეფემ გ. მუდმივ რეზიდენტად გაგზავნა ირანში. აქ მან მთელი 23 წელი დაჰყო. 1670-73 გ. იმყოფებოდა შემახაში, სადაც ეწეოდა როგორც პოლონეთის, ისე რუსეთის საკონსულო საქმიანობას. 1677-99 იყო პოლონეთის ელჩი და პირველი რეზიდენტი ირანის შაჰების კარზე. კავშირი ჰქონდა ქართულ საზოგადოებასთან, მეფეებთან ვახტანგ V-თან და *გიორგი XI-თან.* ევალებოდა პოლონეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური კონტაქტების დამყარება. იზიარებდა შეხედულებებს იმ ქართველი პოლიტიკოსებისა, რომლებიც საგარეო პოლიტიკაში ირანულ ორიენტაციას ადგნენ. 1699 შაჰ ჰუსაინის დავალებით გაემგზავრა პოლონეთში, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში.

ლიტ.: ზედგინიძე გ., ბოგდან გურჯიცკი დიპლომატიურ ასპარეზზე, თბ., 1983.

**გუჯარი,** 1. ძირითადად მეფისაგან ნაბოძები საბუთის სახელწოდება. ქართულ დიპლომატიაში XV ს-დან შემოდის. XVIII ს-ში გ. და სიგელი ერთ ტერმინად გაერთიანდა და იხმარება როგორც სიგელ-გუჯარი. XV-XVIII გ-ებში დაცულია არაერთი საინტერესო ისტორიული მასალა ქართული სამეფო-სამთავროების დიპლომატიის ისტორიის შესახებ.

2. უფროსისადმი წარდგენილი ვედრება და თხოვნა. ჩვეულებრივ, მეფის სახელზე დაწერილი ვედრება, საჩივარი და მოხსენების წიგნები – სამართლის ან რაიმე წყალობის მისაღებად მთავრებს შორის.

განსხვავდება იყო სოციალურადაც და თხოვნის შინაარსითაც. ზოგი მიმძლავრებისაგან დაცვას ითხოვდა, სხვანი მამულის ბოძებასა და პრივილეგიებს „იაჯებოდნენ". ყველა სახის მოხსენება თავს იყრიდა სასახლის იმ უწყებაში, რომლის სახელწოდებაც იყო „სააჯო კარი".

ლიტ.: ანთელავა ი., საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს., თბ., 1983; ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ.2, თბ., 1984 (თხზ., ტ.7).

# დ

**დადიანი** ბედან (ბედიან), ჯუანშერის ძე, ოდიშის ერისთავი XIII ს-ის შუა წლებში. მისი მმართველობის დროს ოდიშში სიმშვიდე და წესრიგი სუფევდა. მხარში ედგა ცენტრალურ ხელისუფლებას მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მონაწილეობდა კოხტასთავის შეთქმულებაში. 1259-61 *დავით VI* ნარინს ეხმარებოდა მონღოლთა წინააღმდეგ და დასავლეთ საქართველოში მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ჰქონდა დავით VI ნარინის სამეფო კარის მანდატურთუხუცესის ტიტული

*წყარო:* ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987.

*ლიტ.:* თაყაიშვილი ექ., არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში. – კრ.: ძველი საქართველო, ტ.3, ტფ., 1913; მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

**დადიანი** ვარდან (XII ს-ის მეორე ნახევარი) საქართველოს სამეფო კარზე ჯერ ჩუხჩარხი, ხოლო შემდეგ – მსახურთუხუცესი. აჯანყებულ ქართველ დიდებულებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა გიორგი რუსის საქართველოს სამეფო კარზე დასაბრუნებლად, რომელიც გაძევებული იყო თამარისაგან. ვარდანმა ის ტაოდან გადაიყვანა დასავლეთ საქართველოში. აჯანყებული დიდებულები დამარცხდნენ და ვარდან დადიანიც გადაყენებულ იქნა მსახურთუხუცესობისაგან. ვარდანის სახელი ამის შემდეგ აღარც იხსენიება წყაროებში.

*წყარო:* ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

**დადიანი** ნიკო გიორგის ძე (1780-1834), ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. 1804-დან – სამეგრელოს სამთავროს უმაღლესი მმართველობის საბჭოს წევრი. 1805 წლის ივნისში მეთაურობდა რუსეთთან სამეგრელოს სამთავროს შეერთების საკითხზე პეტერბურგში წარგზავნილ დელეგაციას; აქტიურად იბრძოდა აფხაზეთში რუსული ორიენტაციის მქონე საფარ-ბეგ შარვაშიძის დასამკვიდრებლად. 1810-23 იყო ლეჩხუმის მოურავი; მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1806-12 და 1828-29 ომებში. დაჯილდოებული იყო იმპერატორ ანას პირველი ხარისხის ორდენით და ებოძა გენერალ-მაიორის ჩინი. ეკუთვნის ისტორიული ნაშრომი „ქართველთ ცხოვრება“ და „დასტურლამა“ (სამეგრელოს მართვა-გამგეობის განწესება).

*თხზ.:* ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

*ლიტ.:* კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წგ.1, ტფ., 1914.

**დადიანი** ნიკო დავითის ძე (1847-1903), სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის *დავით დადიანის* შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1878-დან). მისი მცირეწლოვანების დროს, 1857 რუსეთმა გააუქმა სამეგრელოს სამთავრო, რომელსაც მართავდა დედამისი *ეკატერინე დადიანი*. 1868 უარი თქვა მთავრის ტიტულზე და ჩადგა რუსეთის სამხედრო სამსახურში. ბულგარეთის ტახტიდან ბატენბერგის ჩამოგდების შემდეგ (1886) რუსეთის მთავრობამ იგი ბულგარეთის მთავრის კანდიდატად წამოაყენა.

*ლიტ.:* მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, თბ., 1939; АКАК, т.12, Тфл., 1904.

**დავით I** (გ.881), კურაპალატი (876-81), *ბაგრატ I* კურაპალატის ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, კურაპალატი – 876-დან. აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. დაუპირისპირდა თავის ბიძას გუარამ მამფალს და მის ძეს ნასრას მათ შორის მტრობის მიზეზი იყო: ლიპარიტ I ბაღვაშის მიერ კლდეკარის დაპყრობა და თავის პატრონად დავით ბაგრატის ძის აღიარება, მაშინ, როცა კლდეკარი მამფალის კუთვნილებას წარმოადგენდა. დ.I-ის მხარეზე იბრძოდა ლიპარიტ I და სომხეთის ერისთავი, ნასრას მხარეზე კი – აფხაზეთის მეფე და *გურგენ* კურაპალატი. საბოლოოდ ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ 881 ნასრა გუარამის ძემ თავისი ბიძაშვილი დავითი შეიტყუა და ვერაგულად მოკლა.

*წყარო:* მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

*ლიტ.:* ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**დავით I** (გ.1602), კახეთის მეფე 1601-02, *ალექსანდრე II-ის* ძე. უფროსი ძმის, ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრე გახდა. ალექსანდრე მეფეს კი მემკვიდრედ დავითის უმცროსი ძმა გიორგი ბატონიშვილი სურდა. როგორც ჩანს ამ გარემოებამ განაპირობა მისი გამოსვლა მამის წინააღმდეგ. 1601 წლის ზაფხულში მოხუცი მეფე მძიმედ გახდა ავად. ამით ისარგებლა დავითმა და ტახტი მიიტაცა. ალექსანდრე მალე გამოჯანმრთელდა. მიუხედავად ამისა დავითმა მამას სამეფო ნიშნების გამოგზავნა მოსთხოვა და მეფე იძულებული გახდა სამეფო დროშა, გვირგვინი და ხმალი გაეგზავნა მისთვის, თვითონ კი ბერად აღიკვეცა. გიორგი ბატონიშვილი იარაღს არ ყრიდა. დავითის წინააღმდეგ მომზადდა შეთქმულება, რომელიც მალე გამჟღავნდა. დავითი სასტიკად გაუსწორდა მის მონაწილეებს. 12 კაცი ქოეთის ციხიდან გადმოაგდებინა, ხუთს კი თავი მოჰკვეთა. ქართლის მეფის, გიორგის დახმარებით მან შეიპყრო ძმა გიორგი ბატონიშვილი და ციხეში ჩააგდო. დ.I-ის მეფობის დროს კახეთში ჩამოვიდნენ რუსეთის ხელმწიფის ელჩები *ნაშჩოკინი და ლეონტიევი*. *ბორის გოდუნოვმა* ისინი ალექსანდრე II-თან გამოაგზავნა, მაგრამ შეცვლილი ვითარების გამო ელჩები ახალ მეფეს წარუდგნენ. დავით მეფემ რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო. მალე ამის შემდეგ იგი უეცრად ავად გახდა და გარდაიცვალა.

*ლიტ.:* ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე. – მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.4, თბ., 1967.

**დავით II** (გ. 937), ქართველთა მეფე 923-37, *ადარნასე II-ის* ძე, მაგისტროსი, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი. მის დროს, გურგენ მაგისტროსისა და პატრიკიოზ აშოტ კისკასს შორის ჩამოვარდნილი მტრობის გამო, აშოტ კისკასმა მოღალატურად გადასცა არტანუჯის ციხე ბიზანტიის კეისარს რომანოზს (920-44), რომელმაც დაიკავა იგი. დავითმა და გურგენ მაგისტროსებმა მუქარით სავსე წერილი მისწერეს რომანოზ I-ს და აიძულეს ის დაეტოვებინა არტანუჯი.

*წყარო:* კონსტანტინე პორფიროგენეტი. – წგ.: გეორგიკა. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, ნაკვ.2, თბ., 1952.

*ლიტ.:* ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**დავით II, ი მ ა მ ყ უ ლ ი - ხ ა ნ ი** (გ. 1722), კახეთის მეფე 1703-22, *ერეკლე I-ის* ძე. 1703 შაჰმა ქართლიდან გაიწვია ერეკლე I და კახეთის ტახტი უბოძა. ერეკლე ირანში დატოვეს, კახეთის გამგებლად კი მისი ვაჟი, ირანში დაბადებული და აღზრდილი დავითი გამოგზავნეს. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო – დასრულდა ყიზილბაში ხანების ბატონობის პერიოდი და კახეთის მმართველებად ადგილობრივი დინასტიის წარმომადგენლები ინიშნებოდნენ. ირანი იძულებული გახდა ხელი აეღო კახეთის გაყიზილბაშების გეგმებზე. დ.II-ის დროს კახეთის წინაშე მწვავედ იდგა ლეკიანობის პრობლემა. 1706 კახელებმა მოაწყვეს ლაშქრობა ჭარ-ბელაქანზე, რომელიც ქართველთა სასტიკი მარცხით დამთავრდა და ლეკებმა მიიტაცეს კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი (საინგილო). დ.II იძულებული გახდა სამეფო რეზიდენცია ყარაღაჯიდან უფრო საიმედოდ დაცულ თელავში გადაეტანა. იგი ცდილობდა აღედგინა ქართული სამოხელეო ინსტიტუტები. 1709 ირანში გარდაიცვალა ერეკლე I. 1711 დ.II ირანში გაემგზავრა ტახტზე დასამტკიცებლად. კახეთის მმართველად თავისი ძმა თეიმურაზი დატოვა. თეიმურაზის მცირეწლოვანების გამო კახეთს ანა დედოფალი და ნიკოლოზ ალავერდელი განაგებდნენ. ამ პერიოდში გახშირდა ლეკთა თავდასხმები, ფეოდალთა თვითნებობა. 1715 დ.II დაბრუნდა კახეთში. შეეცადა აღედგინა ქვეყანაში წესრიგი და ავლაგმა ლეკთა თარეში. დაუკავშირდა ქართლის მმართველს იესეს (იესემ ცოლად შეირთო დ.II-ის და ელენე) და მისი დახმარებით ილაშქრა ლეკებზე, მაგრამ ეს ლაშქრობაც მარცხით დამთავრდა. ლეკთა პრობლემის გადაჭრა დ.II-მ *ვახტანგ VI-ის* დახმარებითაც სცადა. ლეკთა წინააღმდეგ ქართლ-კახეთის ერთობლივ მოქმედებას მხარს უჭერდა ირანის შაჰიც. მიუხედავად ამისა, ამ გეგმის განხორციელება ვერ მოხერხდა. დ.II გარდაიცვალა, დაკრძალულია ყუმში.

*ლიტ.:* ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან. – მისი წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.2, თბ., 1965; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**დავით II** (გ. 1795), იმერეთის მეფე 1784-89, *გიორგი VII-ის* ძე, *სოლომონ I-ის* ბიძაშვილი. 1784 დ.II-მ რუსეთში ელჩები გაგზავნა და იმპერატორს ქვეშევრდომობა სთხოვა. ამით უკმაყოფილო თავადები პ.წერეთელი და ბ.წულუკიძე სოლომონ I-ის ძმისშვილს, დავით არჩილის-ძეს (*სოლომონ II*) დაუკავშირდნენ და მისი გამეფება მოინდომეს. მოწინააღმდეგე თავადთა პოზიცია გაძლიერდა 1788-დან, როცა მათ ოდიშის ახალი მთავარი *გრიგოლ დადიანიც* შეუერთდა. მათხოჯის ბრძოლაში (1789) დ.II დამარცხდა, ტახტიდან გადადგა და ახალციხის საფაშოში გაიქცა. 1792 და 1794 დ.II ლეკების დახმარებით კვლავ შეეცადა დაბრუნებას, მაგრამ დამარცხდა და ისევ ახალციხეში გაიქცა, სადაც იგი გარდაიცვალა.

*წყარო:* დ ა დ ი ა ნ ი ნ., ქართველთ ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., თბ., 1962.

**დავით III დ ი დ ი** (გ. 1000), კურაპალატი, *ადარნასე III* კურაპალატის ძე, ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მფლობელი, საქართველოს გამაერთიანებელი მეფე *ბაგრატ III-ის* მამობილი. დ.III-ის უშუალო მონაწილეობით მოხდა ბაგრატ III-სა და მისი მშობლების – *გურგენისა* და დედოფალ გურანდუხტის უფლისციხეში ჩაყვანა და შიდა ქართლში გაბატონება (975). როცა ქართლის უკმაყოფილო აზნაურებმა კახელებთან ერთად დაატყვევეს ბაგრატი და მისი მშობლები, დ.III-მ გაანთავისუფლა ისინი და, ამავე დროს, ხელი შეუწყო ბაგრატის აფხაზეთის სამეფოში (დასავლეთ საქართველოში) გამეფებას (978).

დ.III-მ აღადგინა ქართული მონეტის მოჭრა, რომლის გამოშვება შეწყვეტილი იყო არაბთა ბატონობის გამო საქართველოში. მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები დაამყარა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეზობელ ქვეყნებთან, როგორც პოლიტიკური მოღვაწე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა მათ შორის. აქტიურად ერეოდა მეზობელი სახელმწიფოების შინაური საქმეების მოწესრიგებაშიც კი. მისი ჩარევით დამყარდა მშვიდობა სომხეთში. 979 დაეხმარა ბიზანტიის იმპერატორ *ბასილი II-ს* ბარდა *სკლიაროსის* აჯანყების ჩახშობაში, რისთვისაც იმპერატორისაგან მიიღო „ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი, რათა თავის სიცოცხლესა ჰქონდინ ხალტოიარჯის, კელასურის, ჩორმაირის, კარინისა, ბასიანისა, ციხე სევუკისა (მარდალში), პარქისა და აპაჰუნის". 980-იან წლებში დ.III ბასილი II-ის წინააღმდეგ აჯანყებულ ფოკას მიემხრო, რომლის მოულოდნელად გარდაცვალებამ (989) იხსნა განსაცდელისაგან იმპერატორი. ასეთ ვითარებაში აღმოჩენილი დ.III იძულებული შეიქნა შენდობა ეთხოვა კეისრისათვის და ერთგულება აღეთქვა მისთვის.

*წყარო:* ა რ ი ს ტ ა კ ე ს ლ ა ს ტ ი ვ ე რ ტ ც ი, ისტორია, ე.ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1974; ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა; მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965; პ ა პ ა ს ქ ი რ ი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

**დავით IV ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი** (1073-1125), საქართველოს მეფე 1089-1125, *გიორგი II-ის* ძე. 16 წლისა გამეფდა. მემკვიდრეობად ერგო თურქ-სელჩუკებისაგან დარბეული ქვეყანა, დაცარიელებული ქალაქები და სოფლები, მთებში გახიზნული დამშეული მოსახლეობა. დ.IV-მ თავიდანვე დაიწყო ყმა-მოლაშქრეთა და მსახურეულ აზნაურთაგან მხედართა რაზმების შექმნა. ერთგული რაზმებით მეფე თავს ესხმოდა თურქ-სელჩუკებს, ავიწროებდა მათ, სდევნიდა და მთაში გახიზნულ მოსახლეობას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დ.IV ებრძოდა სახელმწიფოს ცენტრალიზაციის მოწინააღმდეგე დიდგვარიან ფეოდალებს. 1093 შეიპყრო გამდგარი ლიპარიტ ბაღვაში. მონანიების შემდეგ გაანთავისუფლა და ძველი ღირსებებიც დაუტოვა, მაგრამ, როცა დარწმუნდა მის ხელახალ ღა-

ლატში, 1094 კვლავ შეიპყრო და ორი წლის პატიმრობის შემდეგ საქართველოდან გააძევა. 1103 ლიპარიტის ძის, რატის გარდაცვალების შემდეგ დ.IV-მ გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ბაღვაშთა მამულები სამეფო დომენად გახადა. შემდგომში ნაწილი (არგვეთი) გელათის მონასტერს გადასცა. იმავე წელს დაამარცხა სამეფო კარის მოწინააღმდეგე ფეოდალები – ძაგან და მოდისტოს აბულეთისძეები.

1099 დ.IV-მ თურქ-სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა. ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ დროიდან დაიწყო საქართველოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. თურქ-სელჩუკთა ალაგმვის შემდეგ, დ.IV შეუდგა ქართული მიწა-წყლის სრული გაერთიანებისათვის ბრძოლას. 1103 აიღო ზედაზენი. 1104 საქართველოს გაერთიანების მომხრე ჰერეთ-კახეთის დიდებულების (ქავთარისა და მისი დისწულების – არიშიანისა და ბარამის) დახმარებით შემოიერთა ჰერეთი და კახეთი. მოხარკე ქვეყნების დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო თურქ-სელჩუკთათვის და სულთნის დიდმოხელემ, განძის ათაბაგმა ლაშქრობა მოაწყო საქართველოს მეფის ჰერეთ-კახეთიდან გასადევნად. 1104 ერწუხთან ბრძოლაში საქართველოს მხედრობამ გაიმარჯვა. განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოუჩენია იმში დ.IV-ს. საერო დიდგვარიანებთან ერთად მეფე ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე საეკლესიო ფეოდალებსაც ებრძოდა. 1103 მეფის თაოსნობით მოიწვიეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელმაც სამეფო ხელისუფლების განმტკიცების ღონისძიებები გაატარა (ულირსი თანამდებობის პირების გადაყენება და მათ ნაცვლად მეფის ერთგულთა არჩევა, სასულიერო თანამდებობის პირთა ხელდასხმის წესის დამტკიცება, გეირგვინის კურთხევის წესის დაკანონება და სხვ.). ეს ღონისძიებანი ჩამოყალიბებულია კრების მიერ მიღებულ დოკუმენტში „ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისაჲ". სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჭყონდიდლისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობების გაერთიანებას – მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის თანამდებობის შექმნას (სავარაუდებელია 1103-04). ამ თანამდებობის პირი ერთსა და იმავე დროს მაღალი სამოქალაქო და საეკლესიო მმართველი იყო. საშინაო საქმეების მოწესრიგების შემდეგ დ.IV-მ განაახლა თურქ-სელჩუკებთან ბრძოლა. 1110 ქართველთა ლაშქარმა სამშვილდე აიღო, 1115 – რუსთავი, 1117 – გიში, 1118 – ლორე. მტრის საბოლოო დაძლევისათვის საჭირო იყო ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა გარდაქმნა. ფეოდალური ლაშქრის პრინციპზე აგებული ჯარი შინაგან ერთობას მოკლებული იყო. დ.IV-მ ჩაატარა სამხედრო რეფორმები. ჯარი საგანგებოდ გაწვრთნა და იქ მტკიცე დისციპლინა დაამყარა, გარდაქმნა ბრძოლის ტაქტიკა. ამასთან, 1118-20 ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოიყვანა და საქართველოში (ვარაუდით ქართლში) დაასახლა ყივჩაღთა 40 ათასი ოჯახი. მათგან შექმნა მუდმივი ჯარი – ორმოცათასიანი ლაშქარი, ერთგულ მოლაშქრეთაგან კი შეადგინა ხუთიათასიანი პირადი გვარდია – „მონა-სპა". 1121 წლის აგვისტოში დ.IV-ის მეთაურობით ქართველებმა ძლევამოსილი ომი გადაიხადეს მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ დიდგორთან და ამ გამარჯვებით კიდევ უფრო განამტკიცეს საქართველოს სახელმწიფოს პრესტიჟი მთელ ახლო აღმოსავლეთში. დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, 1122 დ.IV-მ თბილისიც შემოუერთა საქართველოს სამეფოს. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შირვანისთვისაც. ქართველებისა და შირვანელების ერთობლივი ბრძოლის შედეგად შირვანი გათავისუფლდა სელჩუკი დამპყრობლებისაგან. 1124 დ.IV-მ შირვანი თავის გაელენას დაუმორჩილა. 1123 დ.IV-მ სომხეთის მრავალი ქალაქი აიღო. ამავე წელს სომეხი მოსახლეობის დახმარებით აიღო ანისიც.

დ.IV დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. მან შეღავათიანი პირობები შეუქმნა ვაჭრებს, ააგო ხიდები, გზები, ააშენა ფუნდუკები, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა. ამის შედეგად XII ს. I მეოთხედში საქართველოში საქალაქო ცხოვრება განსაკუთრებით დაწინაურდა. დ.IV-მ დიდი ღონისძიებები გაატარა სამონეტო საქმის მოსაწესრიგებლად, მოჭრა მონეტები როგორც ქართული, ისე არაბული ზედწერილით და რამდენადმე შეცვალა მონეტის ტიპი. რეფორმის შედეგად განმტკიცდა ფულის კურსი. მის დროს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა განსაკუთრებულ სასამართლო დაწესებულებას – სააჯო კარს.

დ.IV-ის სახელთანაა დაკავშირებული გელათის ტაძრის მშენებლობა (დაუწყიათ 1106). მანვე დააარსა ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია. მისი განკარგულებით ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია შიომღვიმეში. დ.IV-ის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ ქართველი ისტორიკოსების გარდა მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან სომეხი მემატიანეები და მაჰმადიანი მწერლები. ისინი გვამცნობენ, რომ მეფეს ბიზანტიაში გაუგზავნია ახალგაზრდები ცოდნის მისაღებად. ცალკე სახლი აუგია მაჰმადიან მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტთათვის და თურმე ნივთიერადაც ეხმარებოდა მათ, ხანგამოშვებით კი საზეიმო დარბაზობასაც უმართავდა. დ.IV-მ თავისი წვლილი შეიტანა ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაშიც. მას ეკუთვნის ორიგინალური პოეტური ნაწარმოები „გალობანი სინანულისანი", რომელიც შუა საუკუნეების ქართული კულტურის იდეოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამოხატულებაა.

დ.IV-ის მოღვაწეობა, მისი დიპლომატია ემსახურებოდა ფეოდალური საქართველოს გაძლიერება-ცენტრალიზაციას.

თხზ.: გალობანი სინანულისანი. – წგ.: ჩვენი საუნჯე, ტ.I, თბ., 1961.

წყარო: ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.I, თბ., 1955.

ლიტ.: კიკვიძე ა., დავით აღმაშენებელი, თბ., 1942; მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, თბ., 1990; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**დავით V**, საქართველოს მეფე 1155, *დემეტრე I-ის* უფროსი ძე. უფლისწულობაში დ.V-მ, დიდებულ აზნაურთა ერთი ჯგუფის მხარდაჭერით, შეთქმულება მოაწყო მამის წინააღმდეგ, რომელსაც უმცროსი ვაჟის – გიორგის გამეფება სურდა. თავდაპირველად დ.V-ის ცდა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიაღწია მეფობას. დემეტრე I იძულებული გახდა ბერად შემდგარიყო. 6 თვის მეფობის შემდეგ დ.V გარდაიცვალა და ტახტზე კვლავ დემეტრე I ავიდა, რომელმაც ახლა უკვე ტახტის მემკვიდრე გიორგი (შემდგომში *გიორგი III*) თანამოსაყდრედ დასვა.

ლიტ.: მეტრეველი რ., მინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**დავით VI ნარინი** (გ. 1293), საქართველოს მეფე 1247-59(49), მეფე დასავლეთ საქართველოში 1249/59-93, *რუსუდან*

მეფის ეაჟი. დაახლოებით 1230 მცირეწლოვანი დავითი რუსუდანმა თავის თანამოსაყდრედ გამოაცხადა. 1243 წლის 11 ნახევარში დ.VI რუსუდანის მიერ ქართველ დიდებულთა ერთი ჯგუფის თანხლებით მეფობის დასამტკიცებლად ჯერ *ბათო ყაენთან*, შემდეგ ყარაყორუმში, დიდ ყაენთან გაიგზავნა. დიდი ყაენის კარზე ორი დავითის დავა იმით დასრულდა, რომ მონგოლებმა ორივეს დაუმტკიცეს მეფობა: უფროსს, ლაშა გიორგის ძეს – *დავით VII* ულუ ეწოდა, ხოლო უმცროსს – *დავით VI* ნარინი. 1247 თბილისში იწყება დავით ულუსა და დავით ნარინის „თანამეფობა" ერთიანი საქართველოს პირობებში. 1259 (ან 1249) წელს დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, რის შემდეგაც „ორმეფობის" ხანა დადგა, როცა იურიდიულად ერთიან სამეფოში რეალურად ორი დამოუკიდებელი სამეფო ტახტი არსებობს თავისი შესაბამისი პოლიტიკითა და სამმართველო აპარატით. 1256 საქართველო ახლადჩამოყალიბებულ ირანის ილხანთა მონგოლურ სახელმწიფოს დამორჩილდა. დ.VI დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს, მონგოლები დასავლეთ საქართველოზე თავის ხელისუფლებას ვეღარ ავრცელებენ. 1260 დავით ულუს აჯანყების შემდეგ ისიც იძულებულია დასავლეთ საქართველოში გადავიდეს. საქართველოს საშინაო დიპლომატიის თვალსაზრისით საინტერესოა დავით ულუსა და დავით ნარინის 1260 1261 „თანამეფობა" დასავლეთ საქართველოში, რისი გამოხატულებაცაა ორი დავითის გამოსახულებიანი მონეტა. დაახლოებით 1261 დავით ულუ აღმოსავლეთ საქართველოში ბრუნდება, ხოლო დავით ნარინი დასავლეთ საქართველოს დამოუკიდებლად განაგებს. დ.VI-ის სამეფო კარის დიპლომატია ორიენტირებულია იმ ქვეყნებთან კავშირებისაკენ, რომლებსაც ილხანთა სახელმწიფოსთან აქვთ მეტოქეობა, განსაკუთრებით, ეგვიპტესა და ოქროს ურდოსთან. დავით ნარინი ცდილობდა მათთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, რაც შექმნიდა დამოუკიდებლობის უფრო მტკიცე გარანტიებს და აღუდგენდა თუ შეუნარჩუნებდა საქართველოს პოლიტიკურ გავლენას ტრაპიზონის საკეისროზე. ასეთ ვითარებას მონგოლები არ შეეგუებოდნენ, ამიტომაც დავით ნარინი წინასწარ მიმართავს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის – დიპლომატიურ ნაბიჯებსაც: იგი კონტაქტებს ამყარებს და ურთიერთობას აწესრიგებს ეგვიპტესა და ოქროს ურდოსთან, რომლებიც ილხანებთან აშკარა დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ. ილხანთა წინააღმდეგ ბრძოლისა და მათ მიმართ ერთიანი კოალიციის შექმნის იმედით დ.VI სპეციალურ დიპლომატიურ ელჩობებს აგზავნის ეგვიპტის სულთანთან ელ-მელიქ ბეიბარსთან (1260-77), პირველად – 1264/65, მეორედ – 1268. ამ ელჩობების დროს ბეიბარსს დავით ნარინისაგან წერილიც მიუღია. მეორე მხრივ, დ.VI-ის სამეფო ტახტს დარეგულირებული დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ილხანებისადმი დაპირისპირებულ მეორე მონგოლურ სახელმწიფოსთან – ოქროს ურდოსთან. ეს კონტაქტები დავით ნარინის დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო. დავით ნარინი ცდილობს მონგოლთა შორის არსებული ყოველი წინააღმდეგობის საქართველოს სასარგებლოდ გამოყენებას. 1269-70 ლიხთ-იმერეთში თავი შეაფარა მონგოლთა ბატონიშვილმა – თეგუდარმა. აბაღა ყაენი (1265-82) დავით ნარინთან თავის ელჩს გზავნის. მოლაპარაკების მთავარი მიზანია დავით მეფის მხრიდან თეგუდარისათვის დახმარების შეწყვეტა. როცა თეგუდარის ლაშქარმა ყაჩაღურ ძარცვას მიჰყო ხელი, დავით ნარინი თვითონ გამოვიდა მის წინააღმდეგ აბაღა ყაენის სარდალ სირმონთან ერთად. მის კარზევეა აბაღა ყაენისაგან გამოდევნილი ღალღური. XIII ს. 70-იან წლებში ღალღური და რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე ღალატობენ დ.VI-ს და აბაღა ყაენთან იპარებიან, რომელსაც მეფის შეპყრობას ჰპირდებიან. ისინი აბაღა ყაენის სარდლების დახმარებით ლიხთ-იმერეთში მეფის ხელში ჩაგდებას ცდილობენ, მაგრამ უშედეგოდ. აბაღა ყაენის ცდებს, დაემარცხებინა დავით ნარინი, შედეგი არ მოჰყოლია. მოღალატე რაჭის ერისთავმა 1274 და 1278 ორჯერ მოახერხა დავით ნარინის სატახტო ქალაქის – ქუთაისის აოხრება. მან მესამედაც სცადა მონგოლების დახმარებით მეფის შეპყრობა, დაუკავშირდა აღმოსავლეთ საქართველოში მყოფ მონგოლ ნოინს – ალინაყანს, მაგრამ ჩანაფიქრი გამჟღავნდა. მეფემ მოღალატე ფეოდალი სასტიკად დასაჯა. დ.VI-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ურთიერთობა ტრაპიზონის საკეისროსთან – მასზე გავლენის აღდგენა და იქ ქართული სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცება. მონგოლთა ბატონობის შედეგად ტრაპიზონში ქართული ორიენტაციის დასი სუსტდება, რასაც ბიზანტიური დაჯგუფების გაძლიერება მოჰყვა. მიხეილ VII პალეოლოგმა (1259-82) ისარგებლა ილხანებთან ურთიერთობით დაკავებული დავით ნარინის მდგომარეობით და საკეისროში თავისი გავლენა გააერცელა. დავით ნარინის სამეფო ტახტი ბუფერული ტრაპიზონის სახელმწიფოში ბიზანტიის ჰეგემონობას ვერ დაუშვებდა, რისი გამოხატულებაცაა 1282 ქართული გავლენის აღსადგენად დავით ნარინის მიერ ტრაპიზონის იმპერიის საზღვრებში თავისი ლაშქრის შეყვანა. მან ქ.ტრაპიზონის აღება ვერ მოახერხა, მაგრამ საკეისროს დიდ ნაწილზე ქართული სახელმწიფოებრიობის გავლენის აღდგენა შეძლო. დ.VI-ის კარის სამეფო დიპლომატია ყოველმხრივ ცდილობს ბიზანტიური ორიენტაციის მქონე ტრაპიზონის კეისრის იოანე II-ის დამარცხებას. უპირატესობას საქართველოში გათხოვილ კეისრის დას – თეოდორას ანიჭებს, რომელიც დავით ნარინის ჯარის დახმარებით მცირე ხნით ტრაპიზონის კეისარიც ხდება. ურთიერთდაპირისპირება ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. დავით ნარინს გარდაცვალებამდე ტრაპიზონის იმპერიაში ქართული პოზიციების განსამტკიცებლად ბრძოლა არ შეუწყვეტია. მისი მეფობის ბოლოს, 1289 არღუნ ყაენმა დ.VI-ის შვილი – ვახტანგ ბატონიშვილი აღმოსავლეთ საქართველოში მეფედ გამოაცხადა, რაც დავით ნარინის ტახტისა და მისი დიპლომატიის გამარჯვება იყო. თუმცა ასეთ ვითარებაშიც იგი აღმოსავლეთ საქართველოში არ გადმოდის (როგორც ჩანს, ბოლომდე მონგოლებს არ ენდობა) და გარდაცვალებამდე დასავლეთ საქართველოში რჩება.

*წყარო:* მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა (ბერძ. ტექსტი ქართ. თარგმანით), ალ. გამყრელიძის გამოც. – „მსკი", 1960, ნაკ. 33; ჟამთააღმწერელი. – წგ. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

*ლიტ.:* ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1966 (თხზ., ტ. 3, თბ., 1982).

**ᲓᲐᲕᲘᲗ VII ულუ** (გ. 1270), საქართველოს მეფე 1247-70, ლაშა *გიორგის* უკანონო შვილი. *რუსუდან* მეფემ, როგორც ტახტის პრეტენდენტი, დავით ბატონიშვილი საქართველოს მოაცილა და რუმის სულთანთან (თავის სიძესთან) გაგზავნა. ქართველ დიდებულთა ერთი ნაწილის მხარდაჭერით იგი რუმიდან ჯერ საქართველოში, შემდეგ კი ყარაყორუმში

დიდ ყაენთან ჩაიყვანეს. იქ უკვე იმყოფებოდა რუსუდან მეფის ძე – დავით ბატონიშვილი. მონგოლურმა დიპლომატიამ შესანიშნავად გამოიყენა შექმნილი ვითარება. გამწვავებული საკითხი მონგოლურივე სამართლის მიხედვით გადაწყვიტა და საქართველოს დასუსტების – დეცენტრალიზაციის მიზნით 1247 ყაენმა ორივე დავითს მეფობა დაუმტკიცა. დავით ულუ თბილისში ბრუნდება. *დავით VI* ნარინის აჯანყებამდე ორივე მეფე თანხმობით განაგებდა სამეფოს. მის აჯანყებაში დ.VII-ს მონაწილეობა არ მიუღია. 1256-დან საქართველო ირანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ილხანთა ანუ ჰულაგუიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა და მას დაემორჩილა. ილხანებმა, რომელთაც მწვავე დაპირისპირება ჰქონდათ თავის უპირველეს მტერთან – ეგვიპტესთან, დავით ულუს მოსთხოვეს მათთან ერთად მიეღო მონაწილეობა მამლუქთა წინააღმდეგ ლაშქრობაში. 1260 დ.VII აჯანყდა. საბოლოოდ, იგი სამცხის სპასალარ სარგის ჯაყელთან ერთად დამარცხდა ყაენის სარდალ არღუნ ნოინთან ბრძოლებში და იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში დავით ნარინთან გადასულიყო. მონგოლებმა აღმოსავლეთ საქართველოს მმართველად ვინმე შადინის დანიშვნა გადაწყვიტეს. შექმნილ სიტუაციაში დ.VII-მ სწორი დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა და აშკარა ბრძოლა-დაპირისპირებას მოლაპარაკების გზა ამჯობინა. 1262 დავით ულუ შეუთანხმდა მონგოლებს, გადმოვიდა თბილისში და სარგის ჯაყელთან ერთად ილხანთა ყაენთან – *ჰულაგუსთან* გამოცხადდა. იურიდიულად ერთიანი საქართველოს სამეფო რეალურად ორ პოლიტიკურ ორგანიზაციად – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ გაიყო. ამ პერიოდში გამწვავდა ილხანებისა და ოქროს ურდოს ურთიერთობა – ბერქა ყაენი ჰულაგუიანების სახელმწიფოსათვის საშიშ ძალას წარმოადგენდა. ჰულაგუმ დ.VII-ის გამოყენება გადაწყვიტა ოქროს ურდოს წინააღმდეგ ბრძოლებში, ამიტომ ყველაფერი აპატია და თბილისში დააბრუნა. დ.VII ულუ თავისი ლაშქრით აბაღა-ყაენის ჯარში იბრძვის ბერქას წინააღმდეგ. ყოველ შემოდგომა – გაზაფხულზე შირვანში, ოქროს ურდოს შესაკავებლად, სიბაზე ქართველთა ლაშქრით დგომა უხდება; პარალელურად ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ვითარება მძიმდება, სამეფო ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, ბასილი უჯარმელ-ჭყონდიდლის აგრარულმა პოლიტიკამ სათანადო შედეგები ვერ მოიტანა. ამას დაემატა ერთიანი საქართველოსათვის უმძიმესი ფაქტი: მონგოლთა მიერ კარგად მოფიქრებული დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად 1266 ქართულ სამეფოს გარკვეული პერიოდით გამოეყო უმნიშვნელოვანესი რეგიონი – სამცხე და უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა. ეს ქართული დიპლომატიის დიდი მარცხი იყო. ასეთი ვითარებაში დ.VII ულუ გარდაიცვალა.

წყარო: ჟამთააღმწერელი. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**დავით VIII** (გ. 1311), საქართველოს მეფე 1293-1311, *დემეტრე II* თავდადებულის უფროსი ვაჟი. უფლისწულობის პერიოდში მნიშვნელოვანი მფლობელობა ჰქონდა. სადუნ მანკაბერდელის შვილის – ათაბაგ ყუთლუ-ბუღას ცდა, *ვახტანგ II*-ის მაგიერად ტახტზე დავითი აეყვანა, უშედეგოდ დამთავრდა, თუმცა დავითმა მაინც მოახერხა და დამატებითი სამფლობელო მამულები მიიღო. 1291-92 დავით ბატონიშვილმა მონაწილეობა მიიღო ქეიხათუ-ყაენის (1291-95) ლაშქრობაში რუმის სასულთნოში დაწყებული აჯანყების ჩასახშობად. 1293 იგი ყაენის მიერ საქართველოს მეფედ იქნა დამტკიცებული, თუმცა რეალურად მისი ძალაუფლება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა, ლიხთ-იქითი (დასავლეთ საქართველო) და სამცხე დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას ცდილობდნენ. ილხანთა ირანში ამტყდარ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში დ.VIII-მ ყაზანის მოწინააღმდეგეთა ბანაკს დაუჭირა მხარი. დაპირისპირებაში *ყაზანმა* გაიმარჯვა და ილხანთა მონგოლურ ტახტს (1295-1304) დაეპატრონა. ყაენსა და დ.VIII -ს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც 1297 აჯანყებაში გადაიზარდა. დ.VIII მთიულეთში გამაგრდა. მეფის კარი მოქნილ პოლიტიკას აწარმოებდა, მისი დიპლომატიისათვის დამახასიათებელი იყო აშკარა ბრძოლისა და წინააღმდეგობების პერიოდები, ხოლო პოლიტიკური ვითარების ცვალებადობის შესაბამისად სხვადასხვა გზების ძიება, მათ შორის დიპლომატიური მოლაპარაკებების ფორმაც. დ.VIII წარმატებით ახერხებდა ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის არსებული წინააღმდეგობის თავისი ტახტის სასიკეთოდ გამოყენებას. სწორედ ამ მიზნით 1297 ოქროს ურდოში იგზავნება ჯერ მისი ძმა – ვახტანგ ბატონიშვილი, ხოლო შემდეგ, 1298 მეორე ძმა – *ხაიდუ (ბაადურ) ბატონიშვილი*. საქართველოს ამ დიპლომატიურ ნაბიჯებში ყაზან ყაენი მნიშვნელოვან საშიშროებას ხედავს, ამიტომ აშკარა დაპირისპირების პარალელურად ინტენსიური მოლაპარაკებების პროცესი იწყება: საქართველოდან ამ მიზნით რამდენიმე მისია იგზავნება, რომელშიც შედიოდნენ კათალიკოსი *აბრაამ I*, ივანე *ბურსული*, ტფილელი ყადი. ყაზან-ყაენი ყველაფერს აკეთებს, რომ დ.VIII-სა და ოქროს ურდოს შორის ჩამოყალიბებული კავშირი დაარღვიოს. ამავე პერიოდში მისი ძმა – ვახტანგ ბატონიშვილი მონგოლთა წყალობით დავითისათვის საშიშ სტატუსს იძენს. იგი 1298 და 1302 ორჯერ გაამეფეს თბილისში (იხ. *ვახტანგ III*). პარალელურად, 1299 გიორგი V აკურთხეს მეფედ (იხ. *გიორგი V* ბრწყინვალე). ილხანებისა და ქართველთა ელჩობის (აბრაამ კათალიკოსის მეთაურობით) მოლაპარაკებანი წარუმატებლად დასრულდა. 1302 დ.VIII-სა და ვახტანგ III-ს შორის ურთიერთობები გარკვეულად მოგვარდა – ვახტანგ მეფემ დ.VIII-ს სამფლობელოდ გადასცა ჯავახეთი და ალასტანი, რის შემდეგაც მან მთიულეთი დატოვა. 1302 იწყება დ.VIII-ის დიპლომატიის ახალი ეტაპი. იგი ითვალისწინებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის კანონიერ მეფედ სწორედ დ.VIII-ს მიიჩნევს; თვალნათლივ ხედავს მონგოლთა წარუმატებლობას ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში და იწყებს ინტენსიურ ურთიერთობებს ეგვიპტესთან. ამ მიზნით დიპლომატიური კონტაქტები აქვს ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე II-თან (1282-1328). 1304 მთავარი მოწინააღმდეგის – ყაზან-ყაენის გარდაცვალების შემდეგ დავით მეფემ ილხანებთან ურთიერთობები გარკვეულად გააუმჯობესა: 1305 დ.VIII-ის ინიციატივით მოწყობილ ქართველთა ელჩობას ეგვიპტეში მათი ურთიერთობების მოწესრიგება და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საქართველოსათვის გადმოცემა მოჰყვა. ახალი ყაენი ოლჯაითუ ითვალისწინებს დავითის ტახტის სიძლიერეს, საქართველოს მხარდამჭერი ეგვიპტის ფაქტორს, რომელიც ამ პერიოდში ილხანებისათვის უპირველეს საშიშროებას წარმოადგენდა. ყაენმა საქართველოს

სამეფო ტახტის მემკვიდრედ, ხოლო 1308-დან მეფედ სწორედ დ.VIII-ის ვაჟი – გიორგი VI მცირე აღიარა. ეს დ.VIII-ის დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება იყო. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ 1308 მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი – ანდრონიკე II ბიზანტიის იმპერატორთან კონტაქტების შედეგად ქართველთა ხელში გადმოვიდა ერთ-ერთი უპირველესი ქრისტიანული სიწმინდე – გოლგოთა. დ.VIII-ის მეფობის ბოლოს, 1310 ადგილი ჰქონია კიდევ ერთ დიპლომატიურ ელჩობას ეგვიპტეში, როცა ქართველი დესპანები კაიროში ჩასულან. დ.VIII-ის დიპლომატია, მისი პოლიტიკა მნიშვნელოვანი პერიოდია მონგოლთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში, წინა ეტაპი და მოსამზადებელი ხანაა გიორგი ბრწყინვალის ეპოქისათვის, რასაც საქართველოში მონგოლთა ბატონობის დასრულება მოჰყვა.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

ლიტ.: ნ ი ნ ი ძ ე დ., XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი – „თსუ შრომები", 1989, ტ.283: ისტორია, არქეოლოგია; ნ ი ნ ი ძ ე დ., ს ა ნ ა ძ ე მ., კოჯახაჯანქის მონასტრის ევანგელის წარწერა და აღასტანეულ „ქრონიკოის მეფეთა" ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1990, №3; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**დავით IX**, საქართველოს მეფე 1346-60. მისი მეფობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. 1346-48 საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა, რასაც ქვეყნის მოსახლეობის განახევრება მოჰყვა. მისი მეფობის დროს საქართველოს შემოესია ილხანთა დაშლილი სახელმწიფოს ერთ-ერთი მმართველი – აშრაფ ჯალაირი (1344-57), რომელმაც ბიჯნისის დაპყრობა შეძლო. დ.IX-ის მმართველობის ძირითადი კურსი *გიორგი V* ბრწყინვალის მიერ დატოვებული საქართველოს შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**დავით X**, ქართლის მეფე 1505-25, *კონსტანტინე II-ის* ძე. მის მეფობაში კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა საქართველოს მეფე-მთავრებს შორის. 1509 მეფე *ალექსანდრე II-მ* გაილაშქრა ქართლში და აიღო გორის ციხე. ქართლის მთელი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ლიახვამდე იმერეთის სამეფოს ხელში გადავიდა. ალექსანდრემ დაპყრობილი ტერიტორია მალე დაკარგა. იმერეთში შეიჭრნენ ოსმალები ტრაპიზონის ფაშას, სელიმის მეთაურობით. ალექსანდრე იძულებული გახდა სასწრაფოდ გაბრუნებულიყო იმერეთში. ამით ისარგებლა დ.X-მ და აღადგინა ქართლის მთლიანობა. მის დროს ქართლზე გამუდმებულ თავდასხმებს აწყობდა კახეთის მეფე *გიორგი II* (ავგიორგი). როცა 1513 დ.X-ის ძმამ, *ბაგრატ მუხრანბატონმა* შეიპყრო ავგიორგი, დ.X-მ შემოიერთა კახეთი. ქართლ-კახეთის ერთიანობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო კახეთის ტახტის მემკვიდრის, ავგიორგის მცირეწლოვანი ვაჟის, *ლევანის* თავიდან მოცილება. ამ მიზნით დ.X-მ კახეთში გაგზავნა ბაგრატ მუხრანბატონი სადროშოს ჯარით, მაგრამ კახელებმა ლევანი გადამალეს და მისი შეპყრობა ვერ მოხერხდა. 1518 ქართლის სამეფოს ირანელები შემოესივნენ. შაჰ-ისმაილის სარდალმა დივ-სულთან რუმლუმ გორი და სურამი დაიკავა. დავითმა დამორჩილება არჩია და შაჰის სულთანს თავისი ვაჟის ხელით საჩუქრები გაუგზავნა. ქართლის გართულებული ვითარებით ისარგებლეს კახელებმა და ლევან ავგიორგის ძე გაამეფეს. ამასობაში შაჰ-ისმაილსა და დავითს შორის მოხდა შეთანხმება. ქართლის მეფე მორჩილებას და ყოველწლიურ ხარკს – 300 საპალნე აბრეშუმს კისრულობდა. ამრიგად, ქართლი ირანის ვასალი გახდა. შაჰ-ისმაილთან მორიგების შემდეგ დ.X-მ კახეთში გაილაშქრა. ლევანი მაღრანის ციხეში გამაგრდა. დავითმა ციხეს ალყა შემოარტყა. ციხის მცველები დანებებას აპირებდნენ, მაგრამ დავითმა მიიღო ცნობა ქართლში ოსმალთა შემოჭრის შესახებ, მოხსნა ციხეს ალყა, დაბრუნდა ქართლში, შეებრძოლა ოსმალებს და განდევნა ქვეყნიდან. იგი ამის შემდეგაც ცდილობდა კახეთის შემოერთებას, მაგრამ საქმეში სხვა სამეფო-სამთავროებიც ჩაერივნენ. იმერეთის მეფეს, გურიელს და სამცხის ათაბაგს აშინებდათ ქართლის სამეფოს გაძლიერება. დ.X იძულებული გახდა ეცნო კახეთში ლევანის მეფობა და მასთან მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შეთანხმება დასდო. 1522 ქართლს შემოესია შაჰ-*ისმაილი*. თელეთთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ. შაჰ-ისმაილი თბილისს მიადგა. თბილისი კარგად იყო გამაგრებული, მაგრამ მტერს ქალაქი გადასცა ყიზილბაშების მიერ მოსყიდულმა ციხისთავმა. შაჰმა თბილისი გაძარცვა, ციხეში გარნიზონი ჩააყენა, სამცხე-საათაბაგო დაარბია და უკან გაბრუნდა. 1524 შაჰ-ისმაილი გარდაიცვალა და ირანში არეულობა დაიწყო. დ.X-მ იმავე წელს თბილისი აიღო და შაჰის ვასალობისაგან განთავისუფლდა. მალე სამეფო სახლის შიგნით შინაური ბრძოლა დაიწყო. დ.X-მ ტახტზე უარი თქვა და ბერად შედგა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

*ლიტ.*: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.4, თბ., 1967; გ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII-XIV სს.), თბ., 1962; ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

**დავით XI**, დ ა უ თ - ხ ა ნ ი, ქართლის ხანი 1569-78, *ლუარსაბ I-ის* ძე. *სიმონ I* შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ირანელ დამპყრობლებთან. 1562 მას უღალატა ძმამ დავითმა და სხვა მოღალატე თავადებთან ერთად ყაზვინში შაჰს ეახლა. ირანში დავითი გაამაჰმადიანეს და დაუთ-ხანი უწოდეს. შაჰმა დაუთ-ხანს „შეილის" წოდებულობა მიანიჭა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამგებლად დანიშნა და საქართველოში გამოაგზავნა. ეს იყო სეფევიდების მიერ ქვემო ქართლის სახანოდ გადაქცევის პირველი ცდა. სიმონ I აგრძელებდა ყიზილბაშებთან ბრძოლას. 1567-68 დიღომთან და სამადლოსთან ბრძოლაში სიმონ I-მა დაამარცხა დაუთ-ხანი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყიზილბაში ხანების დახმარებით შეინარჩუნა თბილისი. სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ დაუთ-ხანი ქართლის გამგებელი იყო (1569-78), მაგრამ ქართლის მოსახლეობა რენეგატს მხარს არ უჭერდა. მისი რეალური ძალაუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. 1574, როდესაც გარდაიცვალა *ლევან* კახთა მეფე და მის შვილებს შორის დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის, დ.XI-ისა და ქართლის დიდი თავადების დახმარებით გამარჯვება ალექსანდრეს დარჩა. 1578 განახლდა ოსმალეთ-ირანის ომი. ჩილდირის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ოსმალთა ლაშქარი მუსტაფა ლალა ფაშას სარდლობით თბილისს მოადგა. დ.XI-მ თბილისი გადაწვა და ლორეს შეაფარა თავი. ოსმალებმა ქართლი საფაშოდ გამოაცხადეს და თბილისში ფაშა დასვეს. ირანის შაჰი დარწმუნდა, რომ დ.XI არ გამოადგებოდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ 1578 სიმონ I

გაათავისუფლეს და საქართველოში გამოისტუმრეს. დ.XI-მ ქართლის ციხეები ოსმალთა სარდალს ჩააბარა, თვითონ კი სტამბულს წავიდა. ოსმალეთში იგი პატივით მიიღეს და ორი სანჯაყი ჩააბარეს. რამოდენიმე წლის შემდეგ იგი ოსმალეთში გარდაიცვალა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973; ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, ვ.ფუთურიძის გამოც., თბ., 1966.

ლიტ.: ბაბაშვილი ე., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**დავით ბატონიშვილი**, 1767-1819, *გიორგი XII-ის* ძე, საქართველოს მმართველი, გამგებელი – 1801 წლის თებერვალი – მაისი. 1795 მონაწილეობდა *აღა-მაჰმად-ხანის* წინააღმდეგ ბრძოლებში. ამავე წელს გვიან შემოდგომიდან დროებით მსახურობს რუსეთში და პეტერბურგის პრეობრაჟენსკის პოლკის ერთ-ერთი ნაწილის უფროსია. 1797-დან იგი კვლავ რუსეთშია. 1799 წლის 18 აპრილს იმპერატორი პაველ I დავითს ამტკიცებს გიორგი XII-ის მემკვიდრედ. 1799 წლის 13 ივნისს დააჯილდოვეს წმ. ანას I ხარისხის ორდენით. 1803 წლის 18 თებერვლიდან გადაასახლეს პეტერბურგში სამუდამოდ. იმავე წელს მისცეს ალ. ნეველის ორდენი და აირჩიეს სენატორად და მრჩევლად საგარეო საქმეთა კოლეგიაში, მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება. პეტერბურგში დ.ბ. ეწეოდა დიდად სასარგებლო მთარგმნელობით (ვოლტერი, მონტესკიე) და ლიტერატურულ მოღვაწეობას. იყო გამოჩენილი სამართალმცოდნე.

1812 დაწერა დიპლომატიურ-პოლიტიკური ხასიათის პროექტი „ორი ჩანაწერი საქართველოს უკეთესად მოწყობის შესახებ", რომელიც განსახილველად მიერთვა ალექსანდრე იმპერატორს, შემდეგ კი საგარეო საქმეთა კოლეგიას. დ.ბ. აყენებდა რეალურ წინადადებებს და რეკომენდაციებს იმის თაობაზე, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა მოწყობილიყო 1783 ტრაქტატის პრინციპებზე. იგი მოითხოვდა ეროვნულ თვითმმართველობას ფინეთისა და პოლონეთის მსგავსად მაინც.

წყარო: АКАК, т.2, Тфл., 1868, с.175-182; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся до Грузии. Под ред. А.А. Цагарели, т.2, вып.2, СПб., 1902.

**დავით დადიანი** (1813-53), სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი 1846-53, გენერალ-მაიორი. მან მრავალი ღონისძიება ჩაატარა სამთავროს ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ევროპულად მოწყობისათვის. ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის, რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა მისი წერილები იმპერატორ *ნიკოლოზ I-ის*, ვორონცოვის, ჩერნიშოვის და მარი ბროსესადმი.

წყარო: ბორისოვინი კ., სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი. თარგმ. თ. სახოკიას რედ. ტფ., 1934; Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК), т.10, Тфл., 1885.

**დავითიშვილი** ელიზბარ, XVIIს. შუახანის პოლიტიკური მოღვაწე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის საგვარეულო განშტოების – დავითიშვილთა ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, ქართლის სამეფოს ბოქაულთუხუცესის სახელოს მფლობელი და *როსტომ* მეფის ერთგული სახელმწიფო მოხელე. 1635-37 დავით დავითიშვილის გარდაცვალების შემდეგ – დავითიშვილთა ფეოდალური სახლის მეთაური. როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებების დროს – მეფის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი. ნოდარ ციციშვილის აჯანყების მტკიცე მოწინააღმდეგე. როსტომ მეფის დესპანი ირანის კარზე. ციციშვილის აჯანყების ჩახშობის შემდეგ როსტომმა დატყვევებული ჩხეიძენი ირანში დ-ის ხელით გაგზავნა. მას, როგორც ელჩს, უფრო მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაც ჰქონდა დავალებული. მეფე უშვილობის გამო ლუარსაბ ბაგრატიონის შვილებას და ქართლის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებას ითხოვდა. ელიზბარ ბოქაულთუხუცესმა თავისი მისია წარმატებით განახორციელა და როსტომ მეფეს ჩამოუტანა ხალათი და ლუარსაბ ბატონიშვილიც აახლა. იგი სხვა მისიასაც ხელმძღვანელობდა. თეიმურაზ მეფის დამარცხებისა და მისი ძის – დათუნა ბატონიშვილის დაღუპვის შემდეგ, როსტომ მეფემ ბატონიშვილისა და სხვა დახოცილ თავადაზნაურთა თავები, ასევე, თეიმურაზ მეფის დროშა ელიზბარ ბოქაულთუხუცესის „ჭელით" ირანის შაჰს გაუგზავნა. როგორც ჩანს, იგი შაჰის კართან ურთიერთობების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა, რომელსაც ირანში სათანადო პატივსაც სცემენ. არ არის გამორიცხული, რომ იგი შაჰის გარემოცვის გარკვეულ წრეებთან დაახლოებული პირიცაა, ამიტომ როსტომი მისი საშუალებით აწარმოებს ირანთან დამოკიდებულების საკითხებს. შესაძლებელია ამის გამოხატულება იყო ელიზბარისათვის ირანის შაჰის მიერ განჯაში სამფლობელოდ სამი სოფლის ბოძება. ეს ფაქტი კარგად ლაპარაკობს დ-ის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, საკმაოდ მაღალ რანგზე.

წყარო: გორგიჯანიძე ფ., ისტორია, ს.კაკაბაძის გამოც. – „საისტორიო მოამბე", 1925, წგ.2; ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), გ.ალასანიას გამოც., თბ., 1980.

**დავით სოსლანი** (გ. დაახლ. 1203 ან 1204), საქართველოს მეფის *თამარის* მეორე ქმარი. *იური ანდრიას ძის* საქართველოდან გაძევების შემდეგ თამარს ქმრად მიუგვარეს ოსეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი დ.ს. თამარმა მასზე იქორწინა 1187 დიდუბის სასახლეში. წყაროს ცნობით, დ.ს. იყო თამარის მამიდის, *რუსუდანის* „გაზრდილი" და „თვისი" („თვისი", უფრო გავრცელებული აზრით, აღნიშნავდა ნათესავს, სხვა მოსაზრებით – ქვეშევრდომს, ვასალს; ასევე „გაზრდილს" ჰქონდა ორი მნიშვნელობა – „გაზრდილის" და ვასალის). როგორც თანამეფე („მეფე-ქმარი"), დ.ს. მონაწილეობდა სახელმწიფო გამგებლობაში. მისი ძირითადი ფუნქცია ლაშქრის სარდლობა იყო. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია აზრი, რომ დ.ს. იყო ოსეთში დამკვიდრებულ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. *ვახუშტის* ცნობით, *გიორგი I-ისა* და ალანთა ტომის ასულის – *ალდე დედოფლის* ვაჟს, *დემეტრე უფლისწულს*, დარჩა ძე დავითი, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ თავის ბებიასთან, ალდესთან ერთად ოსეთში გაიქცა, იქ იქორწინა ოსთა მეფის ასულზე და თავადაც ოსთა მეფედ იწოდა. დ.ს. მისი შთამომავალი იყო. დ.ს-ს ბაგრატიონად მიიჩნევს „ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც". არსებობს მოსაზრება, რომ დ.ს. ცარაზონთა ოსურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები საისტორიო წყაროებში არ ჩანს და ეს თვალსაზრისი ზეპირ ვარაუდად რჩება.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; გიორგი კედრენე. – წგ.: გეორგიკა, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.5, თბ., 1963; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1973; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – იქვე, ტ.1.

ლიტ.: ლოლაშვილი ი., დავით სოსლანის ალდგომის სიდუმლოება, თბ., 1971; მეტრეველი რ., მეფე თამარი, თბ., 1991. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თხზ., II, თბ., 1983.

**დაზავება**, საომარი მოქმედებების დროებითი შეწყვეტა, რომელიც ხორციელდება შეიარაღებული კონფლიქტის

მონაწილეთა ურთიერთშეთანხმების ან *გაეროს უშიშროების საბჭოს* მიერ *გაეროს წესდების* მე-40 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

დ. შეიძლება იყოს ადგილობრივი და საყოველთაო ხასიათის. ადგილობრივი დ. ხორციელდება ფრონტის გარკვეულ ნაწილზე და მიზნად ისახავს დაჭრილთა პოვნასა და აყვანას, დაღუპულთა დაკრძალვას, სამოქალაქო პირთა ევაკუაციას, პარლამენტართა გაგზავნას და სხვ.

საყოველთაო დ-ის დროს საომარი მოქმედებები წყდება ყველა ფრონტზე. იგი ხშირად წინ უძღვის სამშვიდობო ხელშეკრულების დადებას. თუ მეომარ მხარეებს არა აქვთ ომი გამოცხადებული საყოველთაო დ-ით, შეიძლება კონფლიქტი ამოწურულ იქნეს (აღნიშნული გაფორმდება სპეციალური შეთანხმებით. მაგ., შეთანხმება ომის შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარების შესახებ ვიეტნამში 1973 წლის 27.I). საყოველთაო დ-ის რომელიმე მხარის მიერ სერიოზული დარღვევა კვალიფიცირებულ უნდა იქნეს როგორც *აგრესია*.

დ-ის საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება განხორციელდა ჰააგის მე-4 კონვენციით, რომელიც მიიღეს 1907 და რომლის საფუძველზეც საომარი მოქმედებები წყდება გარკვეული ვადის განმავლობაში. ვადის მიხედვით ანსხვავებენ დროებით და საბოლოო დ-ს. დროებითი დ-ის დროს საომარი მოქმედებანი შეიძლება განახლდეს დ-ის ვადის გასვლის შემდეგ ან მხარეთა მიერ დ-ის შეწყვეტის შესახებ დეკლარაციის მიღების შემდეგ. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, ნებისმიერ მხარეს შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ განაახლოს საომარი მოქმედება მხოლოდ მოწინააღმდეგისათვის წინასწარი შეტყობინების შემდეგ. საბოლოო დ. მოქმედებს *საზავო ხელშეკრულების* დადებამდე ან სხვა მსგავსი აქტის მიღებამდე.

ჰააგის სახმელეთო ომის წარმოების ადათისა და კანონის შესახებ 1907 კონვენციის (IV) თანახმად, დ-ის სერიოზული დარღვევა უფლებას აძლევს მეორე მხარეს უარი თქვას დ-ის გაგრძელებაზე და განაახლოს საომარი მოქმედებანი.

**დაზავება რუმინეთთან, ფინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან 1944-45**, ხელი მოაწერეს მოსკოვში, ერთი მხრივ ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე სახელმწიფოებმა და, მეორე მხრივ, ფაშისტური გერმანიის მოკავშირეებმა, რომლებიც ომიდან გამოვიდნენ საბჭოთა არმიის ძლევამოსილი შეტევის შედეგად. იგი იურიდიულად აფორმებდა აღნიშნული ქვეყნების საომარი მოქმედების შეწყვეტას საბჭოთა კავშირისა და ყველა გაერთიანებული ერების წინააღმდეგ. დაზავებაზე ხელმოწერის შემდეგ რუმინეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის ჯარის ნაწილებმა მოკავშირე სახელმწიფოთა მხარეზე მონაწილეობა მიიღეს ჰიტლერელთა ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**დათქმა** (საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში). ცალმხრივი განცხადება, რომლის საშუალებითაც სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას სურს მრავალმხრივი ხელშეკრულების გარკვეულ დებულებათა შეცვლა ან თავისთან მიმართებაში იურიდიული მოქმედების (სავალდებულობის) გამორიცხვა. აღნიშნული განცხადება, როგორც წესი, კეთდება ხელშეკრულების ხელმოწერის, მიღების, რატიფიკაციის ან მიერთების დროს, თუ დ. კეთდება ორმხრივი ხელშეკრულების დადების დროს, იგი გულისხმობს მოლაპარაკებათა განახლებას ან შეთანხმებულ ტექსტში ცვლილებათა შეტანას. დ. მხოლოდ სახელშეკრულებო სამართლისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტია და არ ვრცელდება ჩვეულებით ნორმებზე ან ხელშეკრულებათა და კონვენციათა იმ ნორმებზე, რომლებიც ჩვეულებით ნორმებს ასახავენ. კონვენციურად დ-ის უფლება დაფიქსირდა ვენის 1969 ხელშეკრულებით საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის (უფლების) შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ ხელმოწერის დროს გამოთქმული დ. უნდა დადასტურდეს რატიფიკაციის ან დამტკიცების დროს. მეორე სახელმწიფოს მიერ დ-ის უარყოფა არ უშლის ხელს ხელშეკრულების ძალაში შესვლას დ-ის გამკეთებელ და უარმყოფელ სახელმწიფოთა შორის, თუ ისინი არ განაცხადებენ აღნიშნულის შესახებ.

ვენის კონვენციაში გათვალისწინებულია, რომ აიკრძალოს გარკვეულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში დ-ის გაკეთების უფლება, ან შეიზღუდოს იგი. დ., რომელიც აკრძალულია ხელშეკრულებით ან არ შედის ნებადართულ დ-თა რიგში, სამართლებრივად ბათილად ითვლება. დ-ის იურიდიული სავალდებულობის უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი შესაბამისობა ხელშეკრულების ობიექტსა და მიზნებთან (ანუ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულების არსსა და ძირითად დებულებებს).

*ლიტ.:* Венская Конвенция о праве международных договоров, М., 1969; Курс международного права, т.4, М., 1990; Работа Комиссии международного права, 3 изд., Нью-Йорк, 1982.

**დაირენის კონფერენცია 1921-22** (შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის და იაპონიის წარმომადგენლებს შორის), მიმდინარეობდა შესვენებებით 27.VIII.1921-დან 16.IV.1922-მდე და ეძღვნებოდა შორეული აღმოსავლეთის პრობლემებს, კერძოდ, იაპონიის ჯარების ევაკუაციას ჩრდილოეთი სახალინიდან, ზღვისპირეთიდან და ამურის ნიკოლაევიდან. დ-ის (დალიანი, ჩინეთი) კ-ზე შორეული აღმოსავლეთის დელეგაციას უმთავრეს საკითხად მიაჩნდა იაპონიის ჯარების გაყვანა. იაპონელები მოითხოვდნენ კორეა-რუსეთის საზღვარზე და ვლადივოსტოკის სანაპიროზე არსებული გამაგრებული ზღუდეების, აგრეთვე რუსეთის სამხედრო ფლოტის მოსპობას წყნარ ოკეანეში, იაპონელ სამხედრო მოსამსახურეთა ცხოვრების თავისუფლებასა და მათ თავისუფალ გადაადგილებას შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, იაპონიისათვის იჯარით, 80 წლის ვადით კუნძულ სახალინის ჩრდილოეთი ნაწილის გადაცემას და ა.შ., რის სანაცვლოდაც იაპონია გაიყვანდა თავის ჯარებს ამ რესპუბლიკიდან მისთვის სასურველ დროს. იაპონიის მიერ წამოყენებული ამ ულტიმატური მოთხოვნების მიღება შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის მიერ ფაქტობრივად მას იაპონიის კოლონიად აქცევდა. ამიტომაც იგი არ იქნა მიღებული. 1921 წლის 12 დეკემბერს კონფერენციამ შეწყვიტა მუშაობა, რადგან იაპონიის დელეგაცია ტოკიოში დაბრუნდა ინსტრუქციის მისაღებად.

ვაშინგტონის კონფერენციაზე 1921-22 იაპონიის დიპლომატიის წარუმატებლობისა და წითელი არმიის წარმატებების გამო შორეულ აღმოსავლეთში, იაპონია 1922 წლის მარტის ბოლოს იძულებული გახდა გაეგრძელებინა მოლაპარაკებები დაირენში. მოლაპარაკებათა მეორე ეტაპზე იაპონიამ იკისრა ვალდებულება, რომ არ ეწარმოებინა მტრული პოლიტიკა შორეული აღმოსავლეთის

რესპუბლიკის წინააღმდეგ, მაგრამ 15.IV იაპონიის დელეგაციამ ულტიმატიური ფორმით კვლავ მოითხოვა ადრე წამოყენებული მოთხოვნების შესრულება. წააწყდნენ რა კატეგორიულ წინააღმდეგობას, 16.IV იაპონიის წარმომადგენლებმა შეწყვიტეს მოლაპარაკება.

1922 წლის ოქტომბერში აღმოსავლეთ რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციურმა არმიამ და პარტიზანულმა რაზმებმა საბჭოთა რუსეთის დახმარებით აიძულეს იაპონელები, დაეტოვებინათ ზღვისპირეთი.

პუბლ.: Документы внешней политики СССР, т 4, с.274-75, 480-82, 561-62; т.5, с.17-19, 94-97, 150-51, 166-68, 185, 270-272, 290-91.

**დალადიე (Daladier)** ედუარდ (1884-1970), ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1919-40 – პარლამენტის დეპუტატი. 1924-25 – კოლონიების მინისტრი, 1930-31 – საზოგადოებრივ საქმეთა, 1933, 1934 და 1938-40 – პრემიერ-მინისტრი. ერთდროულად 1933-დან – სამხედრო მინისტრი, 1934 – საგარეო საქმეთა, 1938-40 – ეროვნული თავდაცვის მინისტრი. 1936-37 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი. 1937 – ეროვნული თავდაცვის მინისტრი. 1940 – სამხედრო მინისტრი, შემდეგში – საგარეო საქმეთა მინისტრი. ატარებდა ფაშისტური გერმანიის „დაშოშმინების" პოლიტიკას. დ-ს მთავრობამ ომი გამოუცხადა 1939 წლის 3 სექტემბერს ფაშისტურ გერმანიას. მისი მთავრობა აწარმოებდა ე.წ. *„უცნაურ ომს"*. 1940 *„ვიშის მთავრობამ"* დააპატიმრა. 1943 გერმანიაში დეპორტირებული 1945 გაათავისუფლეს მოკავშირეთა ჯარებმა. 1946 – დამფუძნებელი კრების წევრი 1946-58 – ეროვნული კრების დეპუტატი. 1947-54 მეთაურობდა მემარცხენე რესპუბლიკელების გაერთიანებას. 1956-58 – რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების ფრაქციის ლიდერი. 1957-58 – რადიკალთა პარტიის თავმჯდომარე, 1958-დან პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილდა.

**დალაი-ლამა** (თ ე ნ ზ ი ნ  გ ი ა თ ს ო) (დ. 6.VII.1935, ტიბეტი, სოფ. ამდო), ტიბეტელი პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწე, ლამაისტური ეკლესიის მეთაური. ტიბეტის საერო და სასულიერო ხელმძღვანელი 1940-59. 1940 დაასახელეს გარდაცვლილი XIII დალაი-ლამას მემკვიდრედ. 1950 ოფიციალურად აიყვანეს დალაი-ლამას პატივში. 1951 წლის 23 მაისს პეკინში ჩინეთის ხელისუფლებასა და დ.-ლ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულება „ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების ღონისძიებათა შესახებ". 1951-59 – ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრი. 1953-59 – სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების (პარლამენტის) დეპუტატი და მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. 1953 ირჩევენ ჩინეთის ბუდისტთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ. 1955-59 ხელმძღვანელობს ტიბეტის ავტონომიური რაიონის შექმნის მოსამზადებელ კომიტეტს. ტიბეტის 1959 ანტიჩინური აჯანყების დამარცხების შემდეგ ინდოეთში გაიხიზნა. ცხოვრობს სოფ. დჰარამსალაში. იბრძვის ტიბეტელი ხალხის სუვერენული უფლებების დასაცავად. 1989 მიენიჭა მშვიდობის ნობელის პრემია.

**დალესი (Dulles)** ჯონ ფოსტერ (1888-1959) აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1907 – აშშ-ის დელეგაციის მდივანი *ჰააგის მეორე საზავო კონფერენციაზე*. 1917 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური წარმომადგენელი ცენტრალურ ამერიკაში, 1919-20 – აშშ-ის დელეგაციის იურიდიული მრჩეველი *პარიზის საზავო კონფერენციაზე*. რეპარაციების საკითხებში კომისიისა და უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს წევრი. 1924 მონაწილეობდა *„დაუესის გეგმის"* შემუშავებაში. 1927 – პოლონეთში აშშ-ის ეკონომიკური მისიის მეთაური. 1933 – მეთვალყურე აშშ-ის მხრიდან განიარაღების საყოველთაო კონფერენციაზე, ხოლო 1932-34 – ლონდონის ეკონომიკურ კონფერენციაზე. 1938 – აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი შორეულ აღმოსავლეთში. 1944-50 – აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის მთავარი საგარეო-პოლიტიკური ექსპერტი. აშშ-ის დელეგაციის წევრი *სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე* 1945, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე (1946-48, 1950), აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მრჩეველი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიებზე (1945,1947, 1949). აქტიურად მონაწილეობდა *„მარშალის გეგმის"* შედგენასა და ნატოს შექმნაში. 1950-52 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონსულტანტი. 1950-51 – აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ელჩის რანგში. მონაწილეობდა სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების შესახებ მოლაპარაკებაში იაპონიასთან და სამხედრო ხელშეკრულებების დადების შესახებ მოლაპარაკებებში ავსტრალიასთან, ახალ ზელანდიასთან, ფილიპინებსა და იაპონიასთან. 1953-59 – აშშ სახელმწიფო მდივანი. 1959 წლის იანვარ-აპრილში – სპეციალური კონსულტანტი აშშ-ის პრეზიდენტთან.

ცნობილია როგორც *„ომის ზღვარზე ბალანსირების"* და *„ეიზენჰაუერის დოქტრინების"* ერთ-ერთი ავტორი. „ცივი ომის" პერიოდის თვალსაჩინო პოლიტიკოსი.

**დალჰოფი (Dahlhoff)** გიუნთერ (დ.1936), გერმანელი დიპლომატი.

1955-1959 სწავლობდა იურისპრუდენციას ქ. ბონის უნივერსიტეტში. 1963-65 გაიარა საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი რგოლის მოხელეთა მოსამზადებელი კურსები, რის შემდეგაც 1965-69 მუშაობდა გფრ-ის საელჩოში ქაბულში. 1969-72 მსახურობდა ფედერალურ საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1972-73 იმყოფებოდა ჰელსინკში. მონაწილეობდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირებში გფრ-ის დელეგაციაში. 1973-79 იმყოფებოდა ვაშინგტონში გფრ-ის მუდმივ წარმომადგენლობაში. 1981-1984 კვლავ მუშაობდა ფედერალურ საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხოლო 1984-89 გფრ-ის სამინისტროს ეკონომიკური სამმართველოს რეფერენტურის განყოფილების გამგედ. 1992 წლის 13 აპრილს დაინიშნა საქართველოში საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. 1995 წლის იანვარში გაიწვიეს ფედერალურ საგარეო საქმეთა სამინისტროში სამუშაოდ.

**დამიანე**, XVს-ის II ნახევრის მოღვაწე, დიპლომატი. მონაწილეობდა *ალექსანდრე I* კახთა მეფის მიერ 1483 მოსკოვში გაგზავნილ ელჩობაში. ეს იყო კახეთის სამეფოს პირველი ოფიციალური ელჩობა მოსკოვში, რომლის მიზანი იყო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება.

**დამნაზე** (გ.523), ლაზთა მეფე. აღიარა ირანის შაჰის, კავადის (488-531) ქვეშევრდომობა. მისი გარდაცვალების (523) შემდეგ, მისმა მემკვიდრემ *წათემ* ორიენტაცია ბიზანტიისაკენ შეცვალა და იუსტინე კეისრისაგან (518-27) მიიღო სამეფო რეგალიები.

წყარო: ი ო ა ნ ე  მ ა ლ ა ლ ა. – წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.3, თბ., 1936.

**დამნაშავეთა გადაცემა**, სამართლებრივი დახმარების ერთ-ერთი სახე, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება დამნაშავე, გადასცემს მას მეორე სახელმწიფოს, რომელიც ითხოვს ამ პირს სისხლის სამართალში მიცემის ან უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიზნით.

სახელმწიფოები იყოფა ორ ჯგუფად – ერთნი გადასცემენ დამნაშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აკავშირებთ მთხოვნელ სახელმწიფოსთან ხელშეკრულება გადაცემის შესახებ, რომელიც ჩამოთვლის, რა სახის დანაშაული ექვემდებარება გადაცემის საწყისებს. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი არ თვლის ხელშეკრულების არსებობას აუცილებელ ფაქტორად და გადასცემს დამნაშავეს თავის კანონმდებლობაში არსებული დებულებების მიხედვით.

საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბდა ძირითადი წესები, რომლებსაც იცავს ყველა სახელმწიფო:

ა) არ გადაიცემა საკუთარი მოქალაქე.

ბ) არ გადაიცემა პოლიტიკური დამნაშავე, რომელიც სარგებლობს თავშესაფრის უფლებით.

გ) პირი გადაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ იქნა ჩადენილი ქმედობა, რომელიც გადამცემი სახელმწიფოს კანონებითაც ისჯება.

დ) გადაცემული პირი შეიძლება გასამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც მოხდა მისი გადაცემა.

ე) არ გადაიცემა ის პირი, რომლის მიმართ გამოტანილი განაჩენი ვერ აღსრულდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ვ) გადაცემის თაობაზე მოლაპარაკება დიპლომატიური ან საუწყებო არხებით ხორციელდება.

ლიტ.: ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1986, გვ.364-365.

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა** (დსთ), შეიქმნა 1991 წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში 11 დამოუკიდებელი სახელმწიფოს: აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდოვას, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, რუსეთისა და უკრაინის მთავრობების გადაწყვეტილებებით (იხ. *ალმა-ათის დეკლარაცია*). დსთ-ის წევრი საქართველო გახდა 1993 წლის სექტემბერში. განისაზღვრა თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და ურთიერთდამოკიდებულების პრინციპები. დეკლარაციაში დადასტურებული იყო წევრ-სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. დსთ-ის ძირითადი მიზნებია: საერთოევროპული და ევროაზიური ეკონომიკური სივრცის შექმნა, საგარეო პოლიტიკის კოორდინაცია, საერთო სამხედრო-სტრატეგიული სივრცის შექმნა, თანამშრომლობა ტრანსპორტის, საბაჟო, გარემოს დაცვის, საიმიგრაციო პოლიტიკის, ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკითხებში. დსთ-ის ორგანოებია: სახელმწიფო მეთაურთა საბჭო. მოიწვევა წელიწადში ორჯერ. სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრაზე განიხილება პრინციპული მნიშვნელობის საკითხები. მთავრობის მეთაურთა საბჭო აწესრიგებს წევრ-სახელმწიფოთა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა თანამშრომლობას ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა საერთო ინტერესების სფეროებში. სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობის მეთაურთა საბჭოების მიერ შექმნილია მუდმივი და დროებითი დამხმარე ორგანოები; საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, რომელიც ახორციელებს წევრ-სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკური მოღვაწეობის კოორდინაციას; საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი – მუდმივმოქმედი, აღმასრულებელი და მაკოორდინებელი ორგანო, რომელიც ამუშავებს წინადადებებს სოციალ-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. საკოორდინაციო-საკონსულტაციო კომიტეტი შედგება თითოეულ წევრ-სახელმწიფოდან დანიშნული ორორი წარმომადგენლისა და სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს მიერ დანიშნული კოორდინატორისაგან. საორგანიზაციო, ტექნიკურ მომსახურებას ახორციელებს ტექნიკური სამდივნო. იგი ამზადებს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს და მთავრობის მეთაურთა საბჭოს შეხვედრებს. ტექნიკური სამდივნო შედგება 4 განყოფილებისაგან (ეკონომიკური ანალიზის, საერთაშორისო სამართლის, საორგანიზაციო და პრესის). აღმასრულებელი მდივანია ივან კოროტჩენია (ბელორუსია). ადგილსამყოფელია მინსკი.

**დამოუკიდებელი კომისია განიარაღებისა და უშიშროების საკითხებში (პალმეს კომისია)**, საერთაშორისო არასამთავრობო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა 1980 წლის სექტემბერში შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის უ. *პალმეს* ინიციატივით. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან.

კომისიამ მოამზადა მოხსენება „უშიშროება ყველასათვის: განიარაღების პროგრამა", რომელშიც მითითებული იყო ომის მზარდ საშიშროებაზე და წამოყენებული იყო მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღებისათვის. კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები განსახილველად გაეროს კომისიას გადაეცა განიარაღების საკითხებში (გაეროს დოკუმენტი A/CN 10/38.8.IV.1983). კომისია შემდეგაც აგრძელებდა განიარაღების გზების ძიებას.

ლიტ.: Безопасность для всех: Программа разоружения. Доклад Независимой комиссии по вопросам разоружения и безопасности под председательством У.Пальме, М., 1982

**დამოუკიდებლობის დეკლარაცია (აშშ) 1776** ("The Unanimous Declaration of the Thirteen United States of America" – „ამერიკის შეერთებული შტატების ცამეტი შტატის ერთხმივი დეკლარაცია") დაამტკიცა II კონტინენტალურმა კონგრესმა 4.VII. მისი თავდაპირველი ტექსტი დაწერა თ. *ჯეფერსონმა*, რამდენიმე რედაქციული შენიშვნები შეიტანეს დ. ადამსმა და ბ. *ფრანკლინმა*. ფართო აღიარება მოიპოვა ტექსტის პრეამბულამ, რომლითაც ხელშეუხებლად ცხადდებოდა ადამიანის უფლებები, სახალხო სუვერენიტეტის პრინციპი, ხალხთა უფლება არსებული წესწყობილების შეცვლისა და რევოლუციის უფლების შესახებ. დ.დ-ის ძირითადი ნაწილი ეძღვნებოდა ბრიტანეთის მეფის „განუწყვეტელი უსამართლობებისა და უზურპაციის" დეტალურ ჩამოთვლას. დ.დ. ჩრდილოეთ ამერიკაში ბრიტანეთის 13 კოლონიას თავისუფალ და დამოუკიდებელ შტატად აცხადებდა.

ლიტ.: Documents of American History. Ed. by H.S. Commager, N.Y., 1948, p.100-103.

**დამტკიცება** (საერთაშორისო ხელშეკრულებისა), საერთაშორისო ხელშეკრულების დადების პროცესის ერთ-ერთი

სტადია. სახელმწიფოთა პრაქტიკაში ეს ტერმინი ნიშნავს მთავრობის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ ხელშეკრულების საბოლოოდ მიღებას. ასეთი ხელშეკრულებანი ძალაში შედის დ-ის თაობაზე შეტყობინებათა გაცვლის შემდეგ. ამ შეტყობინებას, როგორც წესი, დიპლომატიური ნოტის სახე აქვს.

ანალოგიურ წესს ადგილი აქვს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში. ვენის 1986 კონვენციის თანახმად, ოფიციალური დ-ის აქტი არის საერთაშორისო ორგანიზაციის აქტი, რომელიც სახელმწიფოს სარატიფიკაციო აქტის შესატყვისია და რომლითაც საერთაშორისო ორგანიზაცია გამოხატავს მისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულობას (მუხლი 2). საერთაშორისო ორგანიზაციათა პრაქტიკაში ხელშეკრულებათა დ-ს ახორციელებს ორგანიზაციის უმაღლესი ორგანო (მაგ.: გაეროს გენერალური ასამბლეა ან უშიშროების საბჭო, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს გენერალური კონფერენცია და სხვა).

*ლიტ.:* Венская Конвенция по праву договоров между государствами и международными организациями или между международными организациями, М., 1986; Талалаев А.Н., Право международных договоров (договоры с участием международных организаций), М.,1989.

**დანია-ისლანდიის ხელშეკრულება უნიის შესახებ 1918,** ხელი მოაწერეს ამალიენბორგში 30.XI, დაიდო 25 წლით. ამ ხელშეკრულებით ისლანდია, რომელიც 1380-დან დანიის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, ცხადდებოდა სუვერენულ სახელმწიფოდ, რომელიც დანიასთან დაკავშირებული იყო პირადი უნიითა და კავშირით. დანია ვალდებულებას იღებდა ისლანდიის საგარეო საქმეთა წარმართვაზე. დანიის მიერ დადებული საერთაშორისო შეთანხმებები 1918 წლის 1.XI შემდეგ ისლანდიისათვის ძალაში შედიოდა მხოლოდ ისლანდიის პარლამენტის – ალტინგის დამტკიცების შემდეგ. ხელშეკრულება ორივე მხარეს აძლევდა უფლებას, 1940 შემდეგ მოეთხოვათ მოლაპარაკებები მისი გადასინჯვის თაობაზე. მოლაპარაკებათა ჩაშლის შემთხვევაში, ორივე ქვეყნის პარლამენტებს შეეძლოთ მათი ანულირება 2/3 ხმების უმრავლესობით. ხელშეკრულებამ დააფიქსირა ისლანდიის მუდმივი ნეიტრალიტეტი. გერმანიის ჯარების მიერ დანიის ოკუპაციის შემდეგ, 13.IV.1940 ალტინგმა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება გამოაცხადა, ხოლო ისლანდიამ 1.I.1944 ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარი თქვა. 1944 წლის 20-23.V მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ რეფერენდუმზე ხელშეკრულების შეწყვეტას დაუჭირა მხარი. 17.VI-დან ისლანდია რესპუბლიკად გამოცხადდა.

**დანიბეგაშვილი** რაფიელ იოსების ძე, XVIII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაური, დიპლომატი, ვაჭართა ცნობილი საგვარეულოს წარმომადგენელი. მისი წინაპრები ასრულებდნენ ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა დიპლომატიურ დავალებებს ინდოეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში. დ-მა მისი ხუთგზისი მოგზაურობა ინდოეთსა და აზიის ქვეყნებში აღწერა წიგნში „ქართველი აზნაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა ინდოეთში" (1815წ.). მან ორჯერ *ერეკლე II-ის* (1795-96, 1797-98), ერთხელ კი *გიორგი XII-ის* დავალებით (1799-1813), ხოლო ამის შემდეგ კიდევ ორჯერ იმოგზაურა ამ ქვეყანაში (1815-20, 1822-27). მისი წიგნის ქართული დედანი დაკარგულია.

დ-ის მოგზაურობებს, წმინდა გეოგრაფიული და კულტურული ასპექტების მიუხედავად, პოლიტიკური და დიპლომატიური მნიშვნელობა აქვს იმ ეპოქისათვის. ევროპასთან დაკავშირებისა და ქართულ-სომხური კავკასიური სახელმწიფოს შექმნის იდეას ერეკლე II-ს მდიდარი სომეხი ვაჭრები და, უწინარეს ყოვლისა, „მადრასის წრე" იაკობ შაჰამირიანი უნერგავდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთი არ იცავდა 1783 ტრაქტატით გათვალისწინებულ პირობებს. ამ საიდუმლო დიპლომატიაში ინგლისის წრეებიც მონაწილეობდნენ. დ-ის პირველი მოგზაურობა ერეკლესა და შაჰამირიანის სწორედ ამ პოლიტიკური კონტაქტის შედეგი იყო. გიორგი XII-ს დავალებით წარმოებულ მოგზაურობაში და მის შემდგომ დ. ფარავს და მალავს მის ნამდვილ პოლიტიკურ ზრახვებს (ეტყობა, რუსეთის აქტიური ჩარევის გამო). ამიტომაც მისი მოგზაურობის პოლიტიკური მიზნები საბოლოოდ დასამარდა და უშედეგო დარჩა.

დ-მა მრავალი მასალა დატოვა აზიის ქვეყნების (ინდოეთი, თურქეთი, ბირმა, ერაყი, მცირე ტიბეტი) და სხვა ხალხების კულტურისა და ყოფის, აგრეთვე გეოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ.

*თხზ.:* თურამეტი წელი აზიის ქვეყნებში, ლ. მარუაშვილის გამოც., თბ., 1963; Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегова, пер. с грузинского, М., 1815.

**დაპერი** (Dapper) ოლფერტ (გ. 1690), ჰოლანდიელი ექიმი, მწერალი და გეოგრაფი. ცხოვრობდა ამსტერდამში. ავტორია არაერთი კომპილაციური ხასიათის თხზულებისა, რომელთა ზოგიერთ წყაროს ჩვენამდე არ მოუღწევია. ეს თხზულებებია: „ეგვიპტე, ლიბია, გვინეა, ეთიოპია ანუ აბისინია" (1668), „ტაისინგის ანუ ჩინეთის იმპერია" (1670), „ამერიკა" (1671), „წინა აზია" (1677), „ხმელთაშუა ზღვის კუნძულები" (1688) და სხვ. 1672 გამოქვეყნდა დ-ის „დიდ მოგოლთა იმპერია" და „სპარსეთი". სპარსეთის სამეფოს აღწერისას დ. ვრცლად ეხება ისტორიულ და თანადროულ საქართველოს, გულისტკივილით აღნიშნავს შაჰ აბას I-ის ვერაგული პოლიტიკის დამღუპველ შედეგებს კახეთისა და მთელი საქართველოსათვის. წიგნს ახლავს საქართველოს რუკა.

*ლიტ.:* დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი ი., ოლფერტ დაპერის ცნობები საქართველოს შესახებ. - „ცისკარი", 1972, №6.

**დარას ზავი 562,** დაიდო ბიზანტიასა და ირანს შორის მათი სახელმწიფოების სასაზღვრო პუნქტში, ქ. დარაში. საზავო მოლაპარაკებისას ერთ-ერთ მთავარ საკითხად იდგა ეგრისის (ლაზიკის) საკითხი. ირანისა და ბიზანტიის ელჩებს შორის ცხარე სადავო საგნად იქცა სვანეთის საკითხი. მოლაპარაკებისას გადაწყდა, ირანელები გაიყვანდნენ თავის ჯარებს ეგრისის (ლაზიკის) ტერიტორიიდან და ამ ქვეყანას დაუთმობდნენ ბიზანტიელებს, მაგრამ ირანელებმა მტკიცე უარი განაცხადეს ლაზიკის სამეფოში შემავალი სვანეთის საერისთავოს დათმობაზე. ბიზანტიელმა ელჩმა პეტრემ ამ სადავო საკითხზე მოლაპარაკება გააგრძელა ქ. ბიზანტიაში ირანის შაჰ ხოსრო ანუშირვან I-თან, მაგრამ უშედეგოდ. სვანეთი ირანის გავლენის ქვეშ დარჩა 590-მდე.

*წყარო:* მ ე ნ ა ნ დ რ ე. - გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.3, თბ., 1936.

**დარბაზი** (სპარს. დარვაზე – კარი, სამეფო სასახლის კარი), ფეოდალთა სათათბირო ორგანო საქართველოს სამეფო კარზე XI-XVIII სს-ში. დ-ის მუდმივი წევრები იყვნენ: როგორც საერო და საეკლესიო უმაღლესი ხელისუფალნი,

ასევე უხელო დიდ-ფეოდალთა წარმომადგენლები. ხელისუფალთაგან დ-ში ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ: ვეზირები, ერისთავთ-ერისთავები, ერისთავები, ორივე კათალიკოსი, მოძღვართ-მოძღვრები, ეპისკოპოსები და სხვ. დ-ის წევრებს „დარბაზის ერნი", „დარბაისელნი" ერქვათ.

დ-ს იწვევდნენ როგორც მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად, ასევე სტუმრობა-აუდიენციის, მეფის კურთხევისა და სხვა დღესასწაულ-ზეიმისათვის. დ-ის განსაგებელი იყო: კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება, ომის გამოცხადების, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნის, ამ ხელისუფალთა „დალოცვა-ხელდასხმის" საკითხი და სხვ.

დ-ის სხდომას დარბაზობა ერქვა. დარბაზობა ორნაირი იყო: „დიდის წესითა" და „უმცროსითა წესითა". „უმცროსითა წესითა" დარბაზობა საქმიანი სხდომა იყო, რომელსაც მხოლოდ დ-ის ნამდვილი წევრები ესწრებოდნენ. მისი საიდუმლოება მკაცრად იყო დაცული.

დიდი დარბაზობა დ-ის საზეიმო სხდომა იყო, რომელსაც დ-ის ნამდვილ წევრთა, მის ერთა (დარბაისელთა) გარდა მრავალრიცხოვანი ხელშინაური მოხელეობა და დ-ის ყმანიც ესწრებოდნენ. ამ დარბაზობაზე შეიძლებოდა ისეთი საქმეები ყოფილიყო განხილული, რომელთა შესახებ საჯაროდ მსჯელობა უხერხული და სახიფათო არ იქნებოდა.

დარბაზობას ჰქონდა თავისი დადგენილი წესი - „დარბაზობის წესი". მეფე ბრძანებდა, თუ როგორი წესით უნდა გამართულიყო დარბაზობა. მას მეფე თავმჯდომარეობდა. მტკიცედ იყო განსაზღვრული დ-ის წევრთა ჯდომის წესი, თუმცა ის სხვადასხვა პერიოდში მეფის ნებასურვილის შესაბამისად იცვლებოდა. მაგ.: თუ *ბაგრატ IV-ის* დროს (XI ს-ში) დარბაზობისას დ-ის წევრები მეფის პირდაპირ, ე.ი. მეფის წინ ისხდნენ, *თამარის* დროს (XII ს.) ისინი მეფეს ორივე მხრიდან ესხდნენ. საპატიო დ-ის წევრები დარბაზობისას მეფესთან უფრო ახლო იყვნენ, დარბაისელთ სკამებიც განსხვავებული ჰქონდათ, ვეზირებს და ერისთავთ-ერისთავებს ოქროჭედილი სელები ედგათ ნატითა და სასთაულით (ხალიჩითა და ბალიშით), ნაკლებად საპატიო წევრებს მხოლოდ ნატი ეფინათ სკამებზე, ხოლო უფრო დაბალი რანგის წევრები კი უნატო და უბალიშო სკამებზე ისხდნენ.

ლიტ.: იხ. სტ-თან დარბაზობა.

**დარბაზობა**, 1. ოფიციალური სტუმრობა (ვიზიტი), ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ (აუდიენცია).

XI-XVIII სს. საქართველოში დ. დარბაზს ანუ სამეფო საბჭოს უკავშირდებოდა. ამ პერიოდში ვიზიტი და აუდიენცია „დიდის წესით" მოწყობილ დ-ზე, ე.ი. დარბაზის საზეიმო სხდომაზე წარიმართებოდა. მეზობელი თუ შორეული ქვეყნ-მბრძანებლების ან მათი დესპან-მოციქულების სტუმრობას საქართველოს მეფესთან „დარბაზობად მოსვლა" ეწოდებოდა. ასეთ სტუმრობას, ჩვეულებრივ, წინ უძღოდა „თხოვა დარბაზობისაჲ" (აუდიენციის თხოვნა). მაგ., „ოვსთა მეფემან დორღოლელმან... ითხოვა დარბაზობა ბაგრატისგან, ხოლო ბაგრატ ნება სცა და მხიარულად მიემართა ოვსთა მეფე ყოველითა თავადითა ოვსეთისა" (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955, გვ.313). როცა საქართველოს მეფე თვითონ მიიპატიჟებდა სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელს, ამას „დარბაზობად მოყვანა" ერქვა. ამგვარ შემთხვევებში დ. ყოველთვის პურობასთან, ნადიმთან იყო დაკავშირებული.

2. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანოს – დარბაზის სხდომა, დ. იმართებოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეებისათვის, როგორიცაა კანონმდებლობა, უზენაესი მართლმსაჯულება, დიდი მოხელეების არჩევა-დანიშვნა, მათი „დალოცვა-ხელდასხმა", ომის გამოცხადება, ზავის დადება და სხვ. დარბაზის სხდომების მოწყობისა და წარმართვისათვის დადგენილი ნორმები შეადგენდა „დარბაზობის წესს", რომელიც დროთა ვითარებაში ყალიბდებოდა. იგი ასახულია ძველი ქართული სამართლის ძეგლებსა და სხვა საისტორიო წყაროებში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ოპიზის სიგელი (1060-65), *„მატიანე ქართლისა"* (1072-73), *„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"* (XIII ს.), „გარიგება ხელმწიფის კარისა" (XIV ს.) და „განგება დარბაზობისა" (XV ს.). დ-ის გამართვის ბრძანებას მეფე გასცემდა და სხდომასაც თვითონვე თავმჯდომარეობდა. დ. ორგვარად ეწყობოდა – „დიდის წესითა" და „უმცროსითა" („ვითარცა მეფეს ეპრიანოს"). მცირე დ. საქმიანი სხდომა უნდა ყოფილიყო მხოლოდ „დარბაზის ერთა" (ნამდვილ წევრთა) მონაწილეობით. დიდი დ. საზეიმო სხდომას წარმოადგენდა. იგი გამეფების, გამარჯვებული ლაშქრის შინ დაბრუნების, დიდი საეკლესიო თუ სხვა დღესასწაულ-ზეიმის დროს იმართებოდა. მას დარბაზის ნამდვილ წევრთა გარდა მრავალრიცხოვანი ხელშინაური მოხელეები და „დარბაზის ყმანიც" ესწრებოდნენ (წესრიგისა და ზეიმის მოსაგვარებლად). დ-ის დროს მტკიცედ იცავდნენ ჯდომისა და დგომის წესს. თითოეულის დასაჯდომი ან დასადგომი ადგილი განისაზღვრებოდა უფროს-უმცროსობის მიხედვით, მეფესთან სიახლოვის კვალობაზე („წესისაებრ სიახლოვისა"). მეფე იჯდა „ტახტსა ზედა ოქროჭედილსა". ჯდომის უფლების მქონეთაგან ვაზირები ისხდნენ ოქროჭედილ სელებზე, სხვა დიდი ხელისუფალნი კი – ჩვეულებრივ საჯდომზე, ოღონდ უფროსი მათგანნი „სასთაულითა" (ე.ი. ბალიშზე). *ბაგრატ IV-ის* დროს დ-ის ცერემონიალის მონაწილენი მეფის წინ ისხდნენ, ხოლო *თამარის* დროს (1184-1213) – მხარმარჯვენივ და მხარმარცხნივ („რომელნიმე მარჯუენით მისსა და რომელნიმე მარცხენით").

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წ.2, ნაკ.2, თბ., 1929 (თხზ., ტ.7, თბ., 1984).

**დარბაზობად მოსვლა**, ვიზიტი, სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლის სტუმრობა საქართველოს მეფესთან, მისი მონახულება (იხ. *დარბაზობა*).

**დარბაზობად მოყვანა**, საქართველოს მეფის მიერ სხვა სახელმწიფოს მეთაურის თავისთან დაპატიჟება (იხ. *დარბაზობა*).

**დარბაზობის თხოვნა**, „თხოვნა დარბაზობისაჲ", სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლის მიმართვა საქართველოს მეფისადმი ოფიციალური მიღების, აუდიენციის მოწყობის შესახებ (იხ. *დარბაზობა*).

**დარბაზობის წესი**, დარბაზის სხდომების მოსაწყობად და მიმდინარეობის მოსაგვარებლად შემუშავებული ნორმების ერთობლიობა (იხ. *დარბაზობა*).

**დარეჯან ბატონიშვილი** (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1670-1740), მწიგნობარი, დიპლომატი, მეფე *არჩილ II-ის* ქალიშვილი.

1685-დან ცხოვრობდა მოსკოვში. ალექსანდრე არჩილის ძისა და არჩილ II-ის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა მოსკოვის ქართულ ახალშენს. სარგებლობდა *პეტრე I-ის* განსაკუთრებული ყურადღებითა და პატივისცემით. დიდი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებაში. ნიშანდობლივია, რომ ა. ვოლინსკი, რომელიც პეტრე I-ის დავალებით ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობდა ამ კავშირის დამყარებაში, პირველ რიგში Დ.ბ-ს ეახლა და მას სთხოვა, შეერჩია საქართველოში გასაგზავნად ქართული და რუსული ენის მცოდნე ახალგაზრდები. Დ.ბ. სიცოცხლის ბოლომდე რუსეთ-საქართველოს დაახლოების საქმეს ემსახურებოდა.

*ლიტ.:* ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ფ., მოსკოვის ქართული ახალშენის როლი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში (მე-18 ს. I მეოთხედი). - კრ.: საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968.

**ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ** (გ.1668), *თეიმურაზ I-ის* ასული, ზურაბ არაგვის ერისთავის მეუღლე. ზურაბის მოკვლის შემდეგ თეიმურაზმა პოლიტიკური მოსაზრებით Დ. ცოლად შერთო იმერეთის მეფე *ალექსანდრე III-ს*. 1660 ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ Დ-მა ტახტზე აიყვანა ალექსანდრეს ვაჟი *ბაგრატი*, მაგრამ ქვეყანას თვითონ განაგებდა. 1660 წლის ივლისში Დ-მა ტახტიდან ჩამოაგდო ბაგრატი და დააბრმავა. ქმრად მოიყვანა იმერეთის ბაგრატიონთა შორეული ნათესავი, ვინმე ვახტანგ (ჭუჭუნიაშვილად წოდებული), მეფედ გამოაცხადა და მასთან ერთად შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას. 1661 *ვახტანგ V-ის* იმერეთში ლაშქრობის დროს ახალციხეს შეაფარა თავი. 1667 ოსმალთა ჯარის დახმარებით კვლავ დაეუფლა იმერეთის ტახტს. 1668 ქმართან ერთად მოკლეს შეთქმულმა ფეოდალებმა.

*წყარო:* ვ ა ხ უ შ ტ ი , აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

**ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘ** (დაახლ.1726-1807), ქართლ-კახეთის სამეფოს დედოფალი, *ერეკლე II-ის* მესამე მეუღლე, *კაცია I დადიანის* ასული. დიდი გავლენით სარგებლობდა სამეფო კარზე, განსაკუთრებით ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდში. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1803 Დ. რუსეთში გადაასახლეს. გარდაიცვალა იქვე. დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

*ლიტ.:* ი ო ს ე ლ ი ა ნ ი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, კაკაბაძის გამოც., თბ., 1936; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**ᲓᲐᲠᲘᲝᲡ I**, სპარსეთის მეფე (522-486), აქემენიდების გვერდითი შტოს წარმომადგენელი. აგრძელებდა კიროს II-ის საგარეო პოლიტიკას. გააფართოვა სპარსეთის საზღვრები, გაატარა მრავალი რეფორმა, მოაწესრიგა დაპყრობილ ხალხებთან ურთიერთობის საკითხი, დამორჩილებული ქვეყნები დაყო სატრაპიებად. ძველი ქართველი ტომები (სასპერები, მოსხები, ტიბარენები, მაკრონები და სხვ.) შედიოდნენ XVIII და XIX სატრაპიაში. კოლხეთის დამოკიდებულება სპარსეთის ხელისუფლებასთან განსხვავებული იყო.

**ᲓᲐᲠᲘᲝᲡ III**, აქემენიდური სპარსეთის უკანასკნელი მეფე 336-30. დამარცხდა *ალექსანდრე მაკედონელთან* ბრძოლაში, რითაც დასრულდა აღმოსავლეთის ხალხებზე სპარსთა ბატონობა. სავარაუდოა, რომ აქემენიდების იმპერიაში რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად შესულ ძველ ქართველ ტომებს დამოუკიდებლობა უნდა მიეღოთ.

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ** (Communauté économique de l'Afrique de l'Ouest - CEAO), შეიქმნა 1972. მასში შედის 6 ქვეყანა – სპილოს ძვლის ნაპირი, ბურკინა ფასო (1984 წლის აგვისტომდე ზემო ვოლტა), მავრიტანია, მალი, ნიგერი და სენეგალი. ბენინსა და ტოგოს გააჩნიათ მეთვალყურის სტატუსი.

კავშირის უმაღლესი ორგანოა მონაწილე ქვეყნების მეთაურთა კონფერენცია. აღმასრულებელი ორგანოა – მინისტრთა საბჭო. მუდმივი ადმინისტრაციული ორგანო – გენერალური სამდივნო. შტაბ-ბინა იმყოფება ქ. უაგადუგუში (ბურკინა ფასო).

კავშირის ამოცანაა მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ინტეგრაცია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და ფინანსების სფეროებში თანამშრომლობის გზით. მის ჩარჩოებში წარმოებს ერთობლივი ეკონომიკური პროექტების შემუშავება, რეკომენდაციები საბაჟო ტარიფებისა და სავაჭრო გადასახადების უნიფიკაციის მიზნით. 1978 კავშირში შემავალმა ქვეყნებმა შექმნეს სოლიდარობის ფონდი, რომლის მიზანია ყველაზე ჩამორჩენილი და ზღვებზე გასასვლელის არმქონე წევრი ქვეყნებისადმი დახმარება და მათ მიერ სხვა ქვეყნებისა და ორგანიზაციებისაგან აღებული სესხების გარანტირება. ზოგიერთი ეკონომიკური პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაში მონაწილეობს დასავლეთის რიგი ქვეყნები და ორგანიზაციები.

80-იანი წლებიდან კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ირიგაციის, სელექციური მუშაობის, კადრების მომზადების და მთელ რიგ სხვა სფეროებში პროექტების მომზადებიდან გადავიდეს მათ რეალიზაციაზე.

9.VI.1977 კავშირის წევრ ქვეყნებს – ბენინსა და ტოგოს შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაუსხმელობისა და თავდაცვის დარგში დახმარების შესახებ. 1981 ამ ქვეყნებმა ხელი მოაწერეს „ოქმს ხელშეკრულების გამოყენების შესახებ".

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ (ᲔᲙᲝᲕᲐᲡ)** (Economic Community of West African States – ECOWAS), შეიქმნა 1975 და აერთიანებს რეგიონის 16 სახელმწიფოს (ბენინი, სპილოს ძვლის ნაპირი, გამბია, განა, გვინეა, გვინეა-ბისაუ, ბურკინა ფასო (1984 წლის აგვისტომდე – ზემო ვოლტა), ლიბერია, მალი, მავრიტანია, ნიგერი, ნიგერია, მწვანე კონცხის კუნძულების რესპუბლიკა, სენეგალი, სიერა-ლეონე და ტოგო). კავშირის უმაღლესი ორგანოა სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია, აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭო. მუდმივმოქმედი ადმინისტრაციული ორგანოა გენერალური სამდივნო, ადგილსამყოფელია ქ.ლაგოსი (ნიგერია).

კავშირის უმთავრესი მიზანია წევრ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში თანამშრომლობა, კოოპერირება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, აგრეთვე, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საქმეში სამუშაოთა კოორდინაცია. 1979-დან კავშირის წევრ ქვეყანათა შორის გაუქმდა ვიზების რეჟიმი.

კავშირს გააჩნია თანამშრომლობის, კომპენსაციისა და განვითარების ფონდი, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების შენატანებისაგან.

კავშირის კონფერენციებზე იხილება ეკონომიკური თანამშრომლობის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის „ლიბერალიზაციის", მინერალური ნედლეულის და სხვა საკითხები. კონფერენციებზე იხილება აგრეთვე სამხედრო სფეროში თანამშრომლობის საკითხებიც. 1978 ხელი მოაწერეს კავშირის წევრ ქვეყნებს შორის თავდაუსხმელობის პაქტს, თუმცა კავშირში შემავალი ზოგიერთი ქვეყანა (სენეგალი, სპილოს ძვლის ნაპირი, ტოგო) გამოდის სამხედრო დაჯგუფების შექმნის მოთხოვნითაც.

**დასავლეთევროპული კავშირი** (Western European Union - WEU). სამხედრო პოლიტიკური დაჯგუფება. შეიქმნა 1955. 1954 პარიზის შეთანხმების და დასავლეთის კავშირის რეორგანიზაციის გამო, რომელიც შექმნილი იყო 1948 ბრიუსელის ხელშეკრულების შესაბამისად. მასში გაერთიანებულია ბელგია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გფრ. ამ კავშირს ევალებოდა შეიარაღებაზე კონტროლი, კერძოდ კი დასავლეთ გერმანიის მიერ შეიარაღების შეზღუდვის ნორმების შესრულების კონტროლი.

დ.ქ-ის უმაღლესი ორგანოა ასამბლეა, რომელიც რეგულარულად იკრიბება მონაწილე ქვეყნების პარლამენტარების დონეზე. ხელმძღვანელი ორგანოა საბჭო, რომელიც პერიოდულად ატარებს სესიებს საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მონაწილე ქვეყნების ელჩების დონეზე, რომლებიც აკრედიტებულნი არიან ლონდონში, სადაც იმყოფება კავშირის შტაბ-ბინა.

ფაქტობრივად დ.ქ-ის საქმიანობა საკონსულტაციო ხასიათს ატარებს, რადგან მასში მონაწილე ქვეყნები არიან ნატოსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრები.

ლიტ.: Клепацкий З.М., Западноевропейские международные организации, М., 1973, Borcier P., The Political Role of the Assembly of WEU, Strasbourg, 1963; Imbert A., L'Union de l'Europe Occidentale, P., 1968

**დასავლეთი ბერლინი**, გდრ-ის ცენტრში მყოფი, გარემომცველი ტერიტორიებისაგან გამოყოფილი ქალაქი, რომლის ფართობი იყო 480 კვ. კმ, მოსახლეობა კი 2 მლნ-ს შეადგენდა.

როგორც განსაკუთრებული პოლიტიკური ერთეული, დ.ბ. შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყოფილი გერმანიის დედაქალაქის – ბერლინის იმ სამი სექტორის ფარგლებში, რომელიც წილად ხვდათ ინგლისს, აშშ-სა და საფრანგეთს საბჭოთა კავშირთან 1944 წლის 12.IX დადებული ხელშეკრულების თანახმად. 1948 წლის დასაწყისისათვის დასავლეთის სახელმწიფოთა ქმედების შედეგად, ბერლინში არსებობა შეწყვიტა სამოკავშირეო კომენდატურამ და დიდი ბერლინის ერთიანმა მაგისტრატმა, რომელიც ჯერ კიდევ 1945 იყო შექმნილი. დასავლეთის სამ სექტორში ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა დ.ბ-ის მაგისტრატი და დასავლეთის სამი სახელმწიფოს საოკუპაციო კომენდატურა. საბჭოთა მხრიდან მსგავსი ღონისძიებების გატარების შემდეგ ბერლინის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები ფაქტობრივად მოსწყდნენ ერთმანეთს. ქალაქის გათიშვის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა, როცა შეიქმნა ორი გერმანული სახელმწიფო და ქალაქის აღმოსავლეთი ნაწილი გდრ-ის დედაქალაქად გამოცხადდა.

1961 წლის 13.VIII გდრ-ის მთავრობის მიერ, რომლის ქმედებაც მოიწონეს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალმა ქვეყნებმა, დ.ბ-ის მთელი საზღვრის გასწვრივ აღმართულ იქნა კედელი (იხ. *ბერლინის კედელი*) და დაწესდა სასაზღვრო რეჟიმი, რითაც უაღრესად გამკაცრდა მისვლა-მოსვლა ქალაქის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, ოთხ სახელმწიფოს შორის 1971 წლის 3.IX ხელმოწერილ იქნა და 1972 წლის 3. VI ძალაში შევიდა ოთხმხრივი ხელშეკრულება დ.ბ-ის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა მისი სამართლებრივი სტატუსი. ქალაქის სახელმწიფო პოლიტიკური სტატუსი განისაზღვრებოდა 1950 წლის 1.X ძალაში შესული კონსტიტუციით, რომელიც დასავლეთის ქვეყნების საოკუპაციო რეჟიმების მიერ იყო შედგენილი. ქალაქს გააჩნდა თავისი დიპლომატიური და საკონსულო კორპუსები, აკრედიტებულნი აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობების შესაბამის ხელისუფლებთან.

გფრ-გდრ-ის გაერთიანების შემდეგ (1989) ბერლინიც გაერთიანდა.

წყარ.: Четырехстороннее соглашение по Западному Берлину и его реализация 1971-1977. Документы, М., 1977
ლიტ.: Абрасимов П.А., Западный Берлин вчера и сегодня, М., 1980; Высоцкий В.Н., Западный Берлин, М., 1971.

**დასავლეთის კავშირი**, იხ. *ბრიუსელის ხელშეკრულება 1948*

**დასავლეთ საჰარის პრობლემა**, აღმოცენდა 1975 წლის ბოლოს დასავლეთ საჰარის გამო მაროკოსა და ესპანეთს შორის კონფლიქტის შედეგად, რომელიც ამ უკანასკნელის კოლონიურ სამფლობელოს წარმოადგენდა. მოგვიანებით კონფლიქტში ჩაებნენ მავრიტანია და ალჟირი.

ჯერ კიდევ 1965 წლის 16 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის XX სესიამ წინადადებით მიმართა ესპანეთს – გაენთავისუფლებინა დასავლეთ საჰარა კოლონიური უღლისაგან. 1966 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის XXI სესიამ ცნო საჰარის ხალხის თვითგამორკვევის უფლება და ურჩია ესპანეთს ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით ჩაეტარებინა რეფერენდუმი. 1975, როცა მაროკომ სცადა დასავლეთ საჰარის შემოერთება, წარმოიშვა მაროკოსა და ესპანეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროება. უშიშროების საბჭოს ჩარევის შემდეგ ესპანეთი დათანხმდა მაროკოსა და მავრიტანიასთან პირდაპირ მოლაპარაკებას.

1975 წლის 14 ნოემბერს მადრიდში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის ძალითაც ესპანეთი არაუგვიანეს 1976 წლის 28 თებერვლისა დასავლეთ საჰარას გადასცემდა სამმართველოდ მაროკოსა და მავრიტანიას. ამ შეთანხმების შესაბამისად მაროკომ და მავრიტანიამ თავისი ჯარები შეიყვანეს დასავლეთ საჰარაში და იგი თავის ტერიტორიად გამოაცხადეს. ალჟირმა პროტესტი განაცხადა ამ სამმხრივი გარიგების გამო და აქტიურად დაუჭირა მხარი ფრონტ პოლისარიოს, რომელმაც ცხარე ბრძოლა დაიწყო მაროკოსა და მავრიტანიის ჯარების წინააღმდეგ (ფრონტი პოლისარიო – სეგიეთ-ელ-ჰამრასა და რიო-დე-ოროს განთავისუფლების სახალხო ფრონტი, შეიქმნა 1973 წლის მაისში და გამოდის საჰარის ტერიტორიის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნით).

1976 წლის 27 თებერვალს ფრონტმა პოლისარიომ და საჰარის დროებითმა ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადეს დასავლეთ საჰარის დამოუკიდებლობა და შექმნეს საჰარის

არაბთა დემოკრატიული რესპუბლიკა (სადრ). 1976 წლის 6 მარტს შეიქმნა სადრ-ის მთავრობა.

1978 მავრიტანიაში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა მთავრობამ გადახედა თავის ურთიერთობას დასავლეთ საჰარასთან და 1979 წლის 5 ივლისს ხელი მოაწერა რა შეთანხმებას ფრონტ პოლისარიოსთან მშვიდობის დამყარების შესახებ, დასავლეთ საჰარიდან გაიყვანა თავისი ჯარები. მათ ნაცვლად მაროკომ შეიყვანა თავისი ჯარები და მთელ დასავლეთ საჰარის ტერიტორიას დაეპატრონა.

1982 აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს 38-ე სესიაზე გამოცხადდა სადრ-ის ამ ორგანიზაციის წევრად მიღება, რამაც მაროკოსა და ზოგიერთი აფრიკული ქვეყნის მკვეთრი უკმაყოფილება გამოიწვია.

აფრიკული ერთიანობის ორგანიზაციის ასამბლეის მე-19 სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია დასავლეთ საჰარის გამო, სადაც მაროკოსა და ფრონტ პოლისარიოს ეძლევათ რეკომენდაცია შეწყვიტონ ცეცხლი, დაიწყონ მოლაპარაკება და მოაწყონ დასავლეთ საჰარის ტერიტორიაზე რეფერენდუმი თვითგამორკვევის თაობაზე, მაგრამ ამ რეზოლუციას დღემდე დადებითი შედეგები არ მოჰყოლია.

სადრ-ი ცნო მსოფლიოს 63 სახელმწიფომ, მათ შორის 30 აფრიკულმა ქვეყანამ.

ლიტ.: Gardi R., Sahara, P., 1971; Maestre Alfonso J., El Sahara en la crisis de Marruecos y España, Madrid, 1975.

**დასკვნითი აქტი**, დოკუმენტის სახელწოდება, რომელიც აჯამებს საერთაშორისო კონფერენციის, კონგრესის ან თათბირის მუშაობას. ტერმინი დასკვნითი აქტი დამკვიდრდა ჰააგის 1899 I სამშვიდობო კონფერენციაზე.

დ.ა. ზოგ შემთხვევაში გულისხმობს საერთაშორისო ხელშეკრულებას (მაგ.: პარიზის 1945 კონფერენციის დ.ა. ტანჟერში საერთაშორისო რეჟიმის აღდგენის შესახებ), ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ხელშეკრულების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი გენერალური აქტი (მაგ.: ბრიუსელის 1890 კონფერენციის გენერალური აქტი აფრიკაში მონებით ვაჭრობის შესახებ).

დ.ა-ის შინაარსი, სტრუქტურა და სამართლებრივი მნიშვნელობა განსხვავდება იმ კონფერენციათა ან ორმხრივ მოლაპარაკებათა ხასიათის, მიზნების, მსვლელობის ან მნიშვნელობის მიხედვით, რომელთა შეჯამებასაც ისინი ახდენენ. მაგ.: ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის დ.ა. უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საერთაშორისო არენაზე და აღიარებულია როგორც სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების უნიკალური აქტი.

დ.ა-ის მიღების პროცედურა, როგორც წესი, მთავრდება კონფერენციის მონაწილეთა ხელის მოწერით და შემდგომ რატიფიკაციას არ ექვემდებარება. დ.ა-ის ხელმოწერა არ ნიშნავს მასში ჩამოთვლილ ხელშეკრულებათა ხელის-მოწერას. აღნიშნულისათვის საჭიროა სახელმწიფოთა სპეციალური ხელმოწერა.

**დასკვნითი ოქმი**, ოფიციალური ხასიათის მქონე დოკუმენტი, რომელიც, როგორც წესი, დაერთვის ძირითად ხელშეკრულებას და მოიცავს შენიშვნებს, დაზუსტებას ან აღნიშნული ხელშეკრულების ცალკეულ მუხლთა განმარტებებს. დ.ო-ს ხელს აწერენ შეთანხმების მონაწილე მხარეები და მიუთითებენ, რომ იგი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დ.ო., როგორც წესი, მხარეების მიერ გამოიყენება როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებისას იმ მიზნით, რომ ძირითადი ხელშეკრულება განტვირთულ იქნეს დეტალებისაგან. გარდა ამისა, დ.ო. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ტექსტის შეთანხმების შემდეგ წარმოიშობა *დათქმის* ან განმარტების გაკეთების აუცილებლობა.

ზოგჯერ დ.ო. ეხება თვით ხელშეკრულებას, რომელიც ეხება უფრო უმნიშვნელო საკითხებს, ვიდრე კონვენციებსა და ხელშეკრულებებშია ასახული. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, მაგ.: დ.ო. ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, როგორიცაა ჟენევის 1925 დ.ო. ომის დროს მომწამვლელი, მახრჩობელა ან სხვა მსგავსი ტიპის გაზების გამოყენების აკრძალვის შესახებ.

**დასკვნითი ოქმი 1901**, შეთანხმება, ერთი მხრივ, ჩინეთსა და, მეორე მხრივ, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ბელგიას, ესპანეთს, აშშ-ს, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, იაპონიას, ნიდერლანდებსა და რუსეთს შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ იხეტუანის („ბოქსიორთა“) აჯანყების ჩაქრობაში. ხელი მოაწერეს 7.IX პეკინში. ოქმით ჩინეთი ვალდებულებას იღებდა, აღნიშნული ქვეყნებისათვის გადაეხადა 450 მლნ ლიანის ღირებულების კონტრიბუცია (1,5 მლრდ ოქროს მან.) 4% წლიური გადასახადით. დ.ო. არეგულირებდა აგრეთვე ამ ქვეყნებისა და ჩინეთის სავაჭრო და საბაჟო ურთიერთობებს.

**დაუდ-ფაშა** (1767 ან დაახლ. 1774, ქვემო ქართლი – 1851, მედინა), ერაყის უკანასკნელი მამლუქი გამგებელი 1817-31, წარმოშობით ქართველი (მანველაშვილი), ორბელიანთა ყმადყოფილი. ბავშვობაში საქართველოდან ტყვეებით მოვაჭრეთა მიერ გატაცებული მოხვდა ერაყში, რომელიც შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ბაღდადში შეიძინა ერაყის გამგებელმა სულეიმან-ფაშა ბუიუქმა (1780-1802), რომლის კარზეც დაწინაურდა. 1817 გახდა ერაყის ფაშა. ატარებდა დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, არმია გარდაქმნა ევროპულ ყაიდაზე, ერაყში გახსნა პირველი სტამბა, 1830 ოფიციალურად განუდგა ოსმალეთის სულთანს, მაგრამ 1831 დამარცხდა მასთან ომში და ტყვედ დანებდა. 1832 გაიგზავნა ანატოლიაში შეჭრილ ეგვიპტის გამგებლის მუჰამედ ალი-ფაშას წინააღმდეგ საბრძოლველად. 1834-46 იყო ბოსნიის გამგებელი, 1838-39 – ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, 1839-41 – ანკარის ვილაიეთის გამგებელი. 1841 გადადგა საერო სამსახურიდან. 1846 საკუთარი თხოვნის საფუძველზე სულთანმა აბდ ალ-მაჯიდმა დანიშნა მედინაში ისლამის ფუძემდებლის მუჰამადის საფლავის ზედამხედველად (შაიხ ალ-ჰარამ). გარდაიცვალა იქვე. ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. შეძლო ორბელიანთა ყმობიდან დაეხსნა დედა და ოჯახის სხვა წევრები.

ლიტ.: ბეი-მამიკონიანი გ., ქართველ მამლუქთა მბრძანებლობა ერაყში XVIII და XIX საუკუნეებში. – „საქ.სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1944, ტ.5, №7; სილაგაძე ბ., ერაყი მამლუქთა გამგებლობის ხანაში (1749-1831), თბ., 1978; ჯანელიძე დ., სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967.

**„დაუესის გეგმა“**, შეიმუშავა ექსპერტთა საერთაშორისო კომიტეტმა, ჩიკაგოს ერთ-ერთი მსხვილი ბანკის დირექტორის ჩ.დაუესის თავმჯდომარეობით. მიღებულია 1924 წლის 16. VIII ლონდონის კონფერენციაზე. ძალაში შევიდა 1924 წლის 1.IX. პირველ ამოცანად დასახული იყო გერ-

მანიის მძიმე ინდუსტრიის სწრაფი აღდგენა და მისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების განმტკიცება. გერმანიას ეძლეოდა საერთაშორისო სესხი 200 მლნ დოლარის ოდენობით, მათ შორის 110 მლნ დოლარი – ამერიკული ბანკებისაგან. 1929 „დ.გ." *„იუნგის გეგმით"* შეიცვალა.

**დაუნინგ-სტრიტი** (ინგლ. Downing Street), ქუჩა ლონდონის ცენტრში, რომელიც იწოდება რესტავრაციის პერიოდის ინგლისის სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის დ.დაუნინგის სახელის მიხედვით. დ-ს-ზე მოთავსებულია ინგლისის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროები, ოფიციალური რეზიდენციები ინგლისის პრემიერ-მინისტრისა (დაუნინგ-სტრიტი 10) და ფინანსთა მინისტრისა. დ-ს-ზე პრემიერ-მინისტრთან იკრიბება ინგლისის მინისტრთა კაბინეტი. დ-ს. გადატანითი მნიშვნელობით, გულისხმობს ბრიტანეთის მთავრობას.

**დაქირავებულები**, ნებისმიერი პირები, რომლებიც სპეციალურად იქნენ გადაბირებულნი შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად, არ შედიან კონფლიქტის არც ერთი მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში და იბრძვიან გასამრჯელოს მიღების მიზნით. აღნიშნული განმარტება მოცემულია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების I დამატებითი ოქმის (1977) 47-ე მუხლში. ამავე მუხლის თანახმად დ-ს არ ენიჭებათ სამხედრო ტყვეების ან კომბატანტების სტატუსი. დ. არ იმყოფებიან საერთაშორისო სამართლის ნორმების (შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის) დაცვის ქვეშ.

დ-თა პრობლემა არაერთგზის იყო განხილული გაეროს მიერ. რეზოლუცია 3108 (XXVIII), მიღებული 1973 წლის 12.XII, აღნიშნავს, რომ „დაქირავებულები უნდა დასაჯონ როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეენი", ხოლო გაეროს გენერალური ასამბლეის 34/140 1979 წლის 14.XII რეზოლუციაში მითითებულია, რომ „დაქირავებულთა გამოყენება ისევე, როგორც მკვლელობა, მეკობრეობა, გენოციდი, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას და ყველგან წარმოადგენს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს".

**დაცვის სიგელი**, სხვაგვარად ხელშეკრულება ზავის, კაპიტულაციის ან შეუვალობის შესახებ, ხელშეკრულება, რომელიც ისლამის ექსპანსიის დროს VII-VIII სს-ში იდებოდა გამარჯვებულ, დამპყრობელ არაბ მუსლიმებსა და დამარცხებულ, დაპყრობილ სხვა რწმენის აღმსარებელ ხალხებს შორის, როცა უკანასკნელნი უომრად, წინააღმდეგობის გარეშე, ზავით (სულჰან) აცხადებდნენ მორჩილებას.

დ.ს-ის დადებას წინ უსწრებდა მოპირდაპირე მხარეზე არაბი მუსლიმების სტიქიური თავდასხმები, ანდა ორგანიზებული ლაშქრობები, ციხესიმაგრეთა გარემოცვა, სასოფლო-სამეურნეო რაიონების მოოხრება. მისი დადების ინიციატივა მოდიოდა არაბი სარდლისაგან, ანდა მოპირდაპირე მხარის სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფალისაგან, რომელიც აცნობიერებდა შემდგომი წინააღმდეგობის უაზრობას. ამ შემთხვევაში ის მტრის ბანაკში გზავნიდა თავის წარმომადგენელს ამა თუ იმ პირობითი საზავო მოლაპარაკების გასამართავად. საზავო წინადადების მიღების შემთხვევაში ფორმდებოდა ხელშეკრულება, ოფიციალური დოკუმენტი, რომლის ძალითაც ხდებოდა დამპყრობელთა და დაპყრობილთა ურთიერთობების რეგლამენტაცია, ფიქსირდებოდა დამარცხებულ სხვა რწმენის აღმსარებელთა მორჩილება მუსლიმებისადმი და მუსლიმური ადმინისტრაციისადმი, განისაზღვრებოდა ორივე მხარის ურთიერთვალდებულებები და მოვალეობები და მათ შორის მყარდებოდა სამშვიდობო ურთიერთობები.

დ.ს. დგებოდა ადგილობრივი ადმინისტრაციისადმი არაბი სარდლის მიერ გაგზავნილი ეპისტოლეს ფორმით. მისი შესავალი ნაწილი იწყებოდა „ბასმალა"-თი, ე.ი. ყურანის ფრაზით: „სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა", რაც აუცილებელი იყო მუსლიმური აღმოსავლეთის ყველა საქმიანი დოკუმენტისათვის. შემდეგ დასახელებული იყო გამგზავნის სახელი, აგრეთვე ადრესატის სახელი და ტიტული, ანდა ტიტული არ იხსენიებოდა, როცა ხელშეკრულება მიმართული იყო მთელი მოსახლეობისადმი.

შესავალს მოსდევდა ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი, რომელშიც ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობდნენ ისლამის მიღებას, ანდა მხოლოდ პოლიტიკურ მორჩილებას – ხარკის ან სულადობრივი გადასახადის (ჯიზია) აუცილებელი გადახდის პირობით. უარის თქმა ამ მოთხოვნების შესრულებაზე ნიშნავდა საომარი მოქმედების განახლებას. თანხმობის შემთხვევაში დამარცხებული მხარე იღებდა ისლამს, ანდა უფრო ხშირად კისრულობდა ხარკის გადახდას, რითაც ინარჩუნებდა თავის რელიგიას, წინაპართა ადათ-წესებს და იღებდა პირადი შეუვალობის, სახლ-კარის, ქონების ხელშეუხებლობის, საშინაო და რელიგიურ საქმეებში ჩაურევლობისა და მეზობელთა თავდასხმებისაგან დაცვის გარანტიებს. დ.ს. დაპყრობილ მოსახლეობას აძლევდა სტატუს ზიმმიებისა – სხვა რწმენის აღმსარებლებისა, რომლებზეც ვრცელდებოდა მუსლიმური თემის მფარველობა.

დ.ს. სრულდებოდა მოწმეთა (არა უმცირეს სამი კაცისა არაბი სარდლის გარემოცვიდან) და მწერლის სახელის მოხსენიებით. მისი ერთი პირი ინახებოდა არაბებთან, მეორე – ადგილობრივ გამგებელთან. რიგ შემთხვევაში ხელშეკრულებას ამტკიცებდა ხალიფა. დ.ს. მოქმედებდა მანამ, ვიდრე ერთ-ერთი მხარე არ დაარღვევდა მას. ამ შემთხვევაში ის კარგავდა ძალას და უქმდებოდა. უპირატესად მას არღვევდნენ დაპყრობილი ხალხები. პრაქტიკაში მიღებული იყო დ.ს-ის განახლება, როცა ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, თავის დროზე ხელმოწერილი არაბი სარდლისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ, საჭიროებდა განახლებას და გაგრძელებას ხელისუფლების (ხალიფა, ხალიფას ნაცვალი, გადასახადების ამკრეფი მოხელე...) შეცვლის დროს. განახლების შემთხვევაში ძალაში რჩებოდა თავდაპირველი ხელშეკრულება, რომელსაც ერთვოდა დამატებები, სადაც აისახებოდა ყველა ის არსებითი ცვლილება, რაც კი დაპყრობილი ხალხების უფლება-მოვალეობას ეხებოდა.

დ.ს. დაიდო არაბებსა და ქართველებს შორისაც, არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრის მიერ ქართლის დაპყრობის დროს 644-45 ან 654-55. დ.ს. გაცემულია თბილისის მოსახლეობისადმი, სავარაუდოა, რომ მსგავსი ხელშეკრულებები გაფორმდა ქართლის სხვა მხარეებთან და დასახლებულ პუნქტებთან, რომლებმაც მორჩილება გამოუცხადეს არაბებს. დ.ს-ით განისაზღვრა არაბებისა და ქართლის (თბილისის) მოსახლეობის ურთიერთობა. სიგელის ძალით: 1. ქართველები აღიარებდნენ მორჩილებას

და იხდიდნენ ჯიზიას კომლის თავზე თითო დინარს. კომლის გაზრდის ან შემცირების უფლება ერთ-ერთ მხარეს არ ჰქონდა; 2. მოსახლეობა შეძლების ფარგლებში ვალდებული იყო დახმარებოდა რჩევითა და საქმით მუსლიმებს მათი მტრების წინააღმდეგ; 3. ისინი ვალდებულნი იყვნენ, ასევე შეძლების ფარგლებში, დახმარება აღმოეჩინათ ჩამორჩენილი მუსლიმებისათვის, მიეყვანათ უახლოეს რაზმამდე, მიეცათ ბინა ღამით და გამასპინძლებოდნენ მუსლიმთათვის დასაშვები საჭმელ-სასმელით; 4. ისლამის მიმღები ითვლებოდა არაბთა ძმად, ხდებოდა მათი მავალი (კლიენტი) და სარგებლობდა ყველა მუსლიმისათვის საერთო უფლებით; 5. სანაცვლოდ არაბები ქართველებს აძლევდნენ პირადი უსაფრთხოების, ქონების დაცვის გარანტიას, კისრულობდნენ დახმარებას მათ საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

729-30 ჰაბიბ იბნ მასლამას დ.ს. დაამტკიცა და განაახლა არაბმა სარდალმა ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰმა.

*ლიტ.:* ლორთქიფანიძე მ., ჰაბიბ იბნ „მასლამას დაცვის სიგელი" - „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", 1951, ნაკვ.29; სილაგაძე ბ., არაბთა ბატონობა საქართველოში, თბ., 1991; სიხარულიძე ე., არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. - „თსუ შრომები", 1959, ტ.73; ცქიტიშვილი ო., ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" აბუ უბაიდის თხზულებაში. - „მაცნე". ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1976, №1; მისიევ ა. ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი" ჰუმაიდ იბნ ზანჯუვაიჰის „ქონების წიგნში". - იქვე, 1991, №2; Колесников А.И., Завоевание Ирана арабами, М., 1982.

**დებრე** (Debré) მიშელ ჟან-პიერ (დ.1912), ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

1942-47 – წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე, შემდეგ პასუხსაგებ სამუშაოზეა. საფრანგეთის დროებით მთავრობაშია. 1947 მუშაობდა საფრანგეთის ეკონომიკურ მისიაში ზაარში, შემდეგ – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გერმანიისა და ავსტრიის საკითხების გენერალური მდივანი. 1948-58 – სენატორი, იყო დე *გოლის* მომხრე, მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი მთავარი ავტორი. 1958-59 – იუსტიციის მინისტრი; 1959-62 – პრემიერ-მინისტრი; 1966-67 – ფინანსთა მინისტრი; 1967-68 – ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრი; 1968-69 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1963-80 – ეროვნული კრების დეპუტატი.

**დე ბუას წერილი**, XIII ს. დამდეგს მცხოვრები ფრანგი რაინდის დე ბუას წერილი ლათინურ ენაზე ბეზანსონის არქიეპისკოპოსის ამედე დე ტრამლესადმი (1114-1220). წერილი, რომლის დედანი დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, გამოსცა რ.როორიხტმა, ფრანგულად თარგმნა რ.პარიმ, ქართულად – ზ. *ავალიშვილმა*. მასში მოთხრობილია ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობის შესახებ მეზობელ მუსლიმთა, მათ შორის „ბაბილონის სულთნის" ვაჟის სამფლობელოზე. აღნიშნულია, რომ ქართველთა 16 წლის ჭაბუკ მეფეს, გარდაცვლილი დედის „უძლიერესის თამარის" თხოვნის საფუძველზე, განზრახული ჰქონდა იერუსალიმში გადაესვენებინა დედის ძვლები. წერილი დაუთარიღებელია. მისი შედგენის დროის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული: 1202 (პ.პარი), 1207-08 (ზ.ავალიშვილი), 1208-09 (ბ.სილაგაძე), 1211 (თ.ნატროშვილი, გ.ჯაფარიძე), 1213 (რ.როორიხტი), 1220 (რ.ჰენიგი). წერილში მოტანილი რეალიების მიხედვით გამოთქმულია მოსაზრება (თ.ნატროშვილი, გ.ჯაფარიძე), რომ მასში აისახა 1210 ქართველთა სამხედრო კამპანია ხლათის წინააღმდეგ, რომელსაც განაგებდა აიუბიანთა („ბაბილონის") სულთნის, ალ-ადილის ვაჟი ალ-მალიქ ალ-აუჰადი.

*ლიტ.:* ნატროშვილი თ., ჯაფარიძე გ., ცდა ერთი თარიღის დადგენისა. - „მაცნე". ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №2, გვ. 168-189.

**დებულება სსრკ ტერიტორიაზე უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობის შესახებ**, დამტკიცებული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1966 წლის 23.V.

დებულება ითვალისწინებდა სსრკ-ში უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების აკრედიტაციას და საკონსულო დაწესებულებათა მეთაურების მიერ თანამდებობის დაკავებას, დიპლომატიურ და საკონსულო პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირში აძლევდნენ უცხოელ დიპლომატებს, წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს, მათ მეთაურებს, დიპლომატიურ პერსონალს და საკონსულო თანამდებობის პირებს, დიპლომატიურ კურიერებს, აგრეთვე სსრკ-ში მოლაპარაკებებზე, კონფერენციებზე ჩამოსულ პირებს, საპარლამენტო და სამთავრობო დელეგაციებს.

დებულებაში აღნიშნული იყო, რომ ყველა პირს, ვინც პრივილეგიებითა და იმუნიტეტით სარგებლობდა, პატივი უნდა ეცა სსრკ-ში მოქმედი კანონებისათვის, დადგენილებებისა და წესებისათვის.

*წყარო:* "Ведомости Верховного Совета СССР", 1966, №22.

**დედისიმედი**, XVI ს-ის II ნახევრის სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მოღვაწე, *ბაგრატ მუხრანბატონის* ასული, *ქაიხოსრო II-ის* მეუღლე, *ყვარყვარე IV-ისა* და *მანუჩარ II-ის* დედა, ენერგიული, მოხერხებული და ძალაუფლებისმოყვარე ქალი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1573 ქაიხოსრო II-ის გარდაცვალების შემდეგ მონაზვნად შედგა დებორას სახელით, მაგრამ უფროსი ვაჟის – ყვარყვარე IV-ის (1574-81) ათაბაგად გახდომისთანავე ისევ დაუბრუნდა პოლიტიკურ ასპარეზს და სამთავროს ფაქტობრივი გამგებელი გახდა. პოლიტიკური გავლენით დ-ს არ ჩამოუვარდებოდა ოთარ შალიკაშვილის ვაჟი – ვარაზა. იგი ვერ ურიგდებოდა ათაბაგების ხელისუფლებას. ვარაზას მხარს უჭერდა ირანის შაჰი *თამაზ I* (შაჰის ცოლი ვარაზა შალიკაშვილის და იყო). 1574 დ-მა ვარაზა შეიპყრო და მოაკვლევინა. ამ დროიდან კიდევ უფრო გამწვავდა შინაფეოდალური ბრძოლა ათაბაგის ხელისუფლებასა და შალიკაშვილებს შორის. შალიკაშვილების მხარეზე დიასამიძეები და სამცხე-საათაბაგოს სხვა განდგომილი ფეოდალები იყვნენ. თავადთა შეთქმულებამ თავი იჩინა 1576 წლის ივნისში და აშკარა აჯანყების ხასიათი მიიღო. აჯანყებული ფეოდალები დიდ ძალას წარმოადგენდნენ და მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები (თმოგვი, ზედა თმოგვი, ვანის ქვაბი, ოლთისი, აჯის ციხე და სხვ.) ეკავათ. შინაფეოდალური ომი სამცხე-საათაბაგოში თითქმის 20 თვე გაგრძელდა. საათაბაგოს ხელისუფალნი ცდილობდნენ დახმარების მიღებას ირანისაგან, მაგრამ იქ შინაარეულობა იყო და სეფიანთა სახელმწიფომ სამცხე-საათაბაგოსთვის ვერ მოიცალა. 1578 წლის იანვრისათვის აჯანყებული ფეოდალების მთავარი ციხესიმაგრეები უკვე დაპყრობილი იყო, მაგრამ შინაფეოდალური ომი ისევ გრძელდებოდა. ათაბაგის სახლის წევრებს შორისაც არ იყო სრული თანხმობა. ყვარყვარე IV-ს ხელისუფლებას მისი ძმა – მანუჩარი ეცილებოდა. ასეთი იყო შინაპოლიტიკური ვითარება სამცხე-საათაბაგოში, როცა ირან-ოსმალეთის 1578-90 ომი დაიწყო, ჩილდირის ბრძოლის შემდეგ (1578 წლის 9 აგვისტო), რომელიც ოს-

მალთა სრული გამარჯვებით დამთავრდა, მანუჩარი მათი სარდლის – ლალა მუსტაფა ფაშას ბანაკში ეახლა და მორჩილება გამოუცხადა. დ. და ყვარყვარე IV არ იზიარებდნენ მანუჩარის გადაწყვეტილებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ახალციხე დაიკავეს, დ-სა და ყვარყვარე IV-ს სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ და ლალა მუსტაფა ფაშას ეახლნენ (1578 წლის ნოემბერი). ოსმალეთს სამცხე-საათაბაგოში აკმაყოფილებდა არა მოხარკეობაზე დაფუძნებული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა, არამედ დაპყრობილი ქვეყნის სრული ინკორპორაცია. 1579 სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილ ტერიტორიაზე ჩილდირის (ახალციხის) საფაშო დაარსდა. 1581 გარდაიცვალა ყვარყვარე IV, ათაბაგი გახდა მანუჩარ II (1581-1614). 1582 მან და დ-მა (ქართლის მეფე *სიმონ I-თან* ერთად) ოსმალების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყვეს. მრავალწლიანი ბრძოლა ქართველების მარცხით დამთავრდა. 1587 მანუჩარი სამცხიდან გადაიხვეწა, დ. საკანაფის ციხეში გამაგრდა, მაგრამ ღალატის გამო ციხე მტერმა ჩაიგდო ხელში. დ. იძულებული გახდა თავისი სამფლობელოდან გადახვეწილიყო. იგი ცოცხალი ჩანს 1595.

წყარო: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება (I ტექსტი). – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1955; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIსს.), ქ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIIსს.), თბ., 1971; ტ ი ვ ა ძ ე გ., სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში. – „მნათობი", 1947, №10.

**დევისი** (Davies) ჯოზეფ ედუარდ (1876-1958), აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1918 – აშშ-ის პრეზიდენტ ვ.ვილსონის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში *პარიზის საზავო კონფერენციის* დროს. 1936-38 – აშშ-ის ელჩი სსრკ-ში; 1938-39 – აშშ-ის ელჩი ბელგიაში და ერთდროულად დესპანი ლუქსემბურგში; 1940-41 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის სპეციალური თანაშემწე; 1942-46 – ომის დროს მოკავშირეებისათვის აშშ-ის მხრიდან დახმარების აღმოჩენის საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარე. მოითხოვდა ევროპაში მეორე ფრონტის სასწრაფოდ გახსნას. ელჩის რანგში აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის უფლებით 1943 წლის მაის-ივნისში აწარმოებდა მოლაპარაკებას ი.ბ. *სტალინთან*, ხოლო 1945 წლის ივნისში – უ. *ჩერჩილთან*. *ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე* 1945 იყო აშშ-ის პრეზიდენტ ჰ. *ტრუმენის* ელჩი და სახელმწიფო მდივნის *ბირნსის* სპეციალური მრჩეველი.

**დეზავუირება** (ფრანგ. desavouer – უარის თქმა, უარყოფა), სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენლის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ თავისი დიპლომატიური წარმომადგენლის ან ოფიციალურად უფლებამოსილი პირის მოქმედების უარყოფა. დ-ის დროს კეთდება განცხადება, რომ დიპლომატიურმა წარმომადგენელმა თავისი მოქმედების დროს გადააჭარბა მინიჭებულ უფლებამოსილებებს, ან საერთოდ არ ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილებანი. დ-ის მიზანია, სახელმწიფომ მოიხსნას დეზავუირებული დიპლომატიური აგენტის საქმიანობის შედეგად წარმოშობილი საერთაშორისო-სამართლებრივი და პოლიტიკური ვალდებულებანი. დ-ს, როგორც წესი, თან მოსდევს დიპლომატიური აგენტის ან ოფიციალური რწმუნებულის გაწვევა. დ-ს დიპლომატიურ პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი.

**დეინა** (Dana) ფრენსის უ. (1743-1811), აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე. ჩრდილოეთ ამერიკაში ბრიტანული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის აქტიური მებრძოლი. 1776-80 – მასაჩუსეტსის შტატის აღმასრულებელი საბჭოს წევრი; 1776-78 – კონტინენტური კონგრესის დელეგატი; 1779-80 – ჯ.*ადამსის* მდივანი, რომელიც ევროპაში გაემგზავრა ინგლისთან ზავის მოლაპარაკებაზე. 1780 დაინიშნა აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლად რუსეთში, მაგრამ იმყოფებოდა რა პეტერბურგში 1781-83, *ეკატერინე II-მ* იგი არ აღიარა. 1784 აირჩიეს კონგრესში. 1785-91 – წევრი, 1791-1806 – მასაჩუსეტსის შტატის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**დეიტონის ხელშეკრულება 1995** (ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომის შეწყვეტის შესახებ), ხელი მოაწერეს 21.X ოჰაიოს შტატის ქ. დეიტონის მახლობლად მდებარე აშშ-ის სამხედრო ბაზაზე, რაიტ-პეტერსონზე ბალკანეთის სამი სახელმწიფოს პრეზიდენტებმა – ს. მილოშევიჩმა, ფ. ტუჯმანმა და ა. იზეტბეგოვიჩმა.

სამშვიდობო მოლაპარაკებები სერბიის, ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდენტებს შორის (იხ. *ბოსნია- ჰერცეგოვინის კრიზისი*) დაიწყო 1. XI აშშ-ის შუამავლობით (ამერიკულ მხარეს წარმოადგენდნენ სახელმწიფო მდივანი უ. *კრისტოფერი* და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რ. ჰოლბრუკი, რომელსაც მოლაპარაკებების „მთავარი არქიტექტორი" უწოდეს).

ხელშეკრულების თანახმად, ბოსნია-ჰერცეგოვინა დარჩა ერთიან სახელმწიფოდ არსებულ საზღვრებში, მის შემადგენლობაში შევიდა ბოსნიურ-ხორვატული ფედერაცია, რომელსაც მიეკუთვნა რესპუბლიკის ტერიტორიის 51 პროცენტი, და ბოსნიელ სერბთა რესპუბლიკა – ტერიტორიის 49 პროცენტი. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საერთო ცენტრალიზებული მთავრობის შექმნას და თავისუფალი არჩევნების საფუძველზე ეროვნული პარლამენტის ჩამოყალიბებას. ის პირები, რომელთაც ბრალად ედებოდათ სამხედრო დანაშაული, უნდა გადაეცათ სასამართლოსათვის. ყველა ლტოლვილს მიეცა საკუთარ სახლში დაბრუნების დაპირება. გარდა ამისა, შეიქმნა დამოუკიდებელი კომისია, რომელსაც დაევალა კონტროლი ადამიანის უფლებათა დაცვაზე.

დ.ხ-ის ოფიციალური ხელმოწერა მოხდა პარიზში 1995 წლის 1 დეკემბერს.

დ.ხ-ის პარალელურად გაეროს უშიშროების საბჭომ დაამტკიცა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებები: იუგოსლავიისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნა, ბალკანეთზე დაპირისპირებული მხარეებისთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს თანდათანობით მოხსნა (სამი თვის შემდეგ მსუბუქ იარაღზე, ექვსი თვის შემდეგ მძიმე ტექნიკაზე), აგრეთვე ბოსნია-ჰერცეგოვინაში ნატოს სამოცათასიანი სამშვიდობო კონტინგენტის გაგზავნა.

**დეკლარაცია** (ლათ. declaratio – გამოცხადება), ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი განცხადება, რომელშიც სახელმწიფოები, მთავრობები, ორგანიზაციები აცხადებენ და აყალიბებენ თავიანთი საქმიანობის მიმართულებებსა და პრინციპებს, გამოხატავენ თავიანთ პოზიციას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევებში დ-ს ხელს აწერენ, მაგრამ შეიძლება მისი მიღება ხელმოწერის გარეშეც.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირია რამდენიმე სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურთა,

საგარეო საქმეთა მინისტრთა და სხვა ოფიციალურ პირთა ერთობლივი დ-ებით გამოსვლა. ასევე ხშირია დ-ების მიღება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ (მაგ., გაეროს 1948 დეკლარაცია ადამიანთა საყოველთაო უფლებების შესახებ). პრაქტიკაში გვხვდება სახელმწიფოთა და მთავრობათა ცნობა დ-ის საფუძველზე. გარდა ამისა, ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება დ-ის ფორმით იყოს მიღებული (მაგ., საქართველოსა და ირანის თანამშრომლობის შესახებ).

**დეკლარაცია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების შესახებ**, მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ VI სპეციალურ სესიაზე 1974 წლის 1 მაისს. დეკლარაციის პროექტი შემუშავდა განვითარებადი ქვეყნების ე.წ. „77 თანაჯგუფის" მიერ. დეკლარაციაში ჩამოთვლილია ის გარემოებანი, რომლებმაც განაპირობეს ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების აუცილებლობა: კერძოდ ის, რომ არსებული ეკონომიკური წყობილების პირობებში მსოფლიო თანამეგობრობის სხვადასხვა წევრები არათანაბრად სარგებლობდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებით, არ იყო შექმნილი პირობები სახელმწიფოთა თანაბარი და ბალანსირებული განვითარებისათვის, სტაბილურად იზრდებოდა სხვაობა განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებს შორის („მდიდარი ჩრდილოეთისა" და „ღარიბი სამხრეთის" ქვეყნებს შორის არსებული წინააღმდეგობანი), მსოფლიო ეკონომიკური მოწყობა არ ეთანხმებოდა არსებულ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. დეკლარაციაში ასევე ხაზგასმულია, რომ მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის განვითარება დაკავშირებულია მისი ცალკეული შემადგენელი სახელმწიფოების განვითარებასთან. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების ძირითადი პრინციპები: სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სახელმწიფოთა ფართო ურთიერთთანამშრომლობა სამართლიანობის საფუძველზე, ყველა სახელმწიფოს სრული და განუყოფელი სუვერენიტეტი თავის ბუნებრივ რესურსებზე და ეკონომიკურ საქმიანობაზე (ნაციონალიზაციის უფლების ჩათვლით), განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა განვითარებული სახელმწიფოების მიერ ყოველგვარი პოლიტიკური ან სამხედრო მოთხოვნების წამოყენების გარეშე, განვითარებადი სახელმწიფოებისათვის მოწინავე ტექნოლოგიის გადაცემა და სხვ. ფაქტობრივად აღნიშნული დეკლარაცია აწესებს პრეფერენციულ რეჟიმს განვითარებადი სახელმწიფოებისათვის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ყველა სფეროში. იგი წარმოადგენს ყველა სახელმწიფოსა და ერისთვის უკეთესი ცხოვრების მოწყობის ერთ-ერთ მთავარ გარანტიას და სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და მოვალეობების ქარტიის შემადგენელ საფეხურს.

ლიტ.: Богуславский М.М., Международное экономическое право, М.,1986; Декларация об установлении нового международного экономического порядка. — Резолюции, принятые Генеральной Ассамблеей на шестой специальной сессии, 9 апреля — 2 мая 1974 года, Нью-Йорк, 1974.

**დეკლარაცია ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების შესახებ 1981**, მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ XXXVI სესიაზე 1981 წლის 9.XII. დეკლარაციას ხმა მისცა 82-მა სახელმწიფომ, 41-მა თავი შეიკავა, ხოლო 19 წინააღმდეგი იყო (მათ შორის აშშ).

დეკლარაციის მიზანია ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთა ბირთვული იარაღის წარმოების შეწყვეტისა და არსებული არსენალის განადგურების გზით. დეკლარაციამ ბირთვული იარაღის გამოყენება და ბირთვული ომის წარმოება კანონგარეშედ გამოაცხადა.

გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა დეკლარაციაში განაცხადეს, რომ სახელმწიფონი და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც პირველად მიმართავენ ბირთვული იარაღის გამოყენებას, ჩაიდენენ უმძიმეს დანაშაულს კაცობრიობის წინაშე, რომელიც მათ არასოდეს არ ეპატიებათ. ნებისმიერი დოქტრინა, რომელიც ამართლებს ბირთვული იარაღის პირველად გამოყენებას, შეუთავსებელია ადამიანური მორალისა და გაეროს მაღალ იდეალებთან. ბირთვული შეიარაღება შენელებულ უნდა იქნეს პატიოსანი, თანასწორი მოლაპარაკებების საფუძველზე ბირთვული იარაღის თანდათანობითი მოსპობის მიზნით. ბირთვული იარაღი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის.

გაეროს აღნიშნული დეკლარაცია მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ბირთვული შეიარაღების რეგულირების თვალსაზრისით.

**დეკლარაცია განიარაღების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ**, გაეროს გენერალური ასამბლეის 1979 წლის 11 ნოემბრის რეზოლუცია (მიღებულია ჩეხოსლოვაკიის ინიციატივით). წარმოადგენს განიარაღების შესახებ მოლაპარაკებების წარმოების ნორმების თავისებურ კოდექსს. დეკლარაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ეფექტური ზომები საყოველთაო და სრული განიარაღების პროცესზე ეფექტური საერთაშორისო კონტროლის მისაღწევად. მასში აღნიშნულია, რომ მოლაპარაკებები განიარაღების შესახებ წინ უნდა უსწრებდნენ შეიარაღების თვისებრივ ზრდას; საჭიროა სათანადო ზომების მიღება მასობრივი განადგურების იარაღის ახალი სახეობების შექმნის თავიდან ასაცილებლად; სამხედრო კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცებას; ნებისმიერი საერთაშორისო დავა გადაწყვეტილი უნდა იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით; უნდა დაიგმოს იმ კონცეფციების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებენ ძალის პოლიტიკის გატარებას.

ლიტ.: "Международная жизнь", 1980, №3, с.154—157.

**დეკლარაცია გერმანიის დამარცხების შესახებ**, საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის, აგრეთვე საფრანგეთის დროებითი მთავრობის მიერ გერმანიის მიმართ უმაღლესი ძალაუფლების ხელში აღების თაობაზე, ხელი მოაწერეს 1945 წლის 5.VI ბერლინში.

დეკლარაცია ადასტურებდა, რომ გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში განიცადეს სრული დამარცხება და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადეს.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობები აცხადებდნენ, რომ თავის თავზე იღებენ უმაღლეს ხელისუფლებას გერმანიაში, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავდნენ, რომ ეს არ ნიშნავს გერმანიის ანექსიას. ისინი ასევე აცხადებდნენ,

რომ დაადგენდნენ გერმანიის ან მისი ნებისმიერი ნაწილის საზღვრებს, აგრეთვე განსაზღვრავდნენ გერმანიის ან მისი ნებისმიერი რაიონის სტატუსს.

დეკლარაცია შეიცავდა 4 მოკავშირე სახელმწიფოს მოთხოვნებს გერმანიის მიმართ: გერმანიას დაუყოვნებლივ უნდა შეეწყვიტა საომარი ოპერაციები ომის ყველა ფრონტზე, განეიარაღებინა თავისი შეიარაღებული ძალები, ესესელების, მოიერიშეთა რაზმების, გესტაპოს და სხვათა ჩათვლით, რომელთა პირადი შემადგენლობაც ტყვედ უნდა ყოფილიყო აყვანილი; მოკავშირეებს უნდა გადასცემოდა მთელი შეიარაღება, სამხედრო მასალა, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ფლოტი, თვითმფრინავები, მოწყობილობები, სამხედრო ნაგებობანი, სამრეწველო საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებანი და დოკუმენტაციები, რომლებიც ომის წარმოებასთან იყო დაკავშირებული; გერმანიას უნდა გაეთავისუფლებინა და მოკავშირეებისათვის გადაეცა ყველა სამხედრო ტყვე, აგრეთვე დაკავებული და ინტერნირებული – გაერთიანებული ერების მოქალაქეები, გაენთავისუფლებინა ყველა დაპატიმრებული, ინტერნირებული ან ნაცისტების მიერ სხვაგვარად შეზღუდული მოქალაქეები; დაეპატიმრებინა ნაცისტი დამნაშავენი, აგრეთვე გაერთიანებული ერების მოქალაქეები, რომლებსაც დანაშაული მიუძღოდათ თავიანთი ეროვნული კანონების წინაშე. დეკლარაცია ითვალისწინებდა გერმანიის ტერიტორიაზე მოკავშირეთა ჯარებისა და სამოქალაქო ორგანოების განთავსებას.

ოთხი ქვეყნის მთავრობა აცხადებდა, რომ განახორციელებდნენ ისეთ ღონისძიებებს, გერმანიის სრული განიარაღებისა და დემილიტარიზაციის ჩათვლით, რომლებსაც საჭიროდ ჩათვლიდნენ მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად.

დეკლარაციასთან ერთად 6.VI გამოქვეყნდა ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების მოკლე შინაარსი გერმანიაში საკონტროლო მექანიზმისა და საოკუპაციო ზონების შესახებ. შეთანხმება საოკუპაციო ზონების შესახებ ითვალისწინებდა გერმანიის მხრიდან უსიტყვო კაპიტულაციის მოთხოვნების შესრულების პერიოდში მის 4 საოკუპაციო ზონად – სსრკ, აშშ, ინგლისის და საფრანგეთის ზონებად დაყოფას. ოთხი სახელმწიფოს ჯარების მიერ საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მდებარე დიდი ბერლინის ერთობლივ დაკავებას (ქალაქის 4 სექტორად დაყოფით) და ამ რაიონის ერთობლივი მმართველობისათვის სამოკავშირეო კომენდატურის შექმნას, რომელშიც შევიდოდა შესაბამისი მთავარსარდლების მიერ დანიშნული 4 კომენდანტი.

შეთანხმებით გერმანიაში საკონტროლო მექანიზმის შესახებ გათვალისწინებული იყო, რომ გერმანიის მიერ უსიტყვო კაპიტულაციის შესრულების პერიოდში უმაღლეს ძალაუფლებას განახორციელებდა 4 მთავარსარდალი, თითოეული თავთავიანთ ზონებში, შესაბამისი მთავრობებისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე, ხოლო ერთად იმოქმედებდნენ იმ საკითხებში, რომლებიც ეხებოდა გერმანიას მთლიანობაში. იქმნებოდა საკონტროლო საბჭო 4 მთავარსარდლის შემადგენლობით.

ის, თუ მოკავშირეთა რომელ ორგანოებს უნდა შეესრულებინათ კონტროლისა და მმართველობის ფუნქციები, უფრო მოგვიანებით უნდა გამხდარიყო 4 მთავრობას შორის ახალი, განსაკუთრებული შეთანხმების საგანი.

დეკლარაციის შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა 4 მთავრობის მიერ 1945 წლის 25.VII ხელმოწერილი დამატებითი მოთხოვნები გერმანიის მიმართ.

დეკლარაცია, შეთანხმებები საოკუპაციო ზონების შესახებ და დამატებითი მოთხოვნები ითვალისწინებდა გერმანიის მიერ უსიტყვო კაპიტულაციის თანმიმდევრულად შესრულებას და პირობების შექმნას ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფოდ ჩამოსაყალიბებლად. ამ პოლიტიკის ყველაზე კონცენტრირებული გამოხატულება იყო *ბერლინის (პოტსდამის) 1945 კონფერენციის* გადაწყვეტილებები.

წყარო: Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны. Документы и материалы, т.3, [М.], 1947, с.273–83; Сборник действующих договоров..., вып. 11, с.55–67, 91–104.

**დეკლარაცია და განცხადება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებისა 1980**, მიღებული იყო 5.V პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე ვარშავაში. 1. დეკლარაციაში შეჯამებული იყო ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის საქმიანობა 25 წლის მანძილზე, მოცემული იყო ევროპაში უშიშროებისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ამოცანები.

დოკუმენტში ხაზგასმული იყო ხალხების მისწრაფება – ბოლო მოეღოთ აგრესიული პოლიტიკისათვის, გამოთქმული იყო შეშფოთება საერთაშორისო ურთიერთობის გართულების გამო. დეკლარაცია შეიცავდა ევროპაში არსებული მდგომარეობის ანალიზს, განსაზღვრული იყო დაძაბულობის შენელების კონკრეტული ამოცანები – კერძოდ, წამოყენებული იყო წინადადება ევროპაში სამხედრო დაძაბულობის და განიარაღების საკითხებზე კონფერენციის მოწვევის შესახებ.

დეკლარაცია შეიცავდა მოწოდებას ყველა სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობების, პარლამენტების და საზოგადოებრივი ძალებისადმი, რათა ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ახალი ომის აღმოცენების შესაძლებლობა, მოცემული იყო საქმიანობის ის ძირითადი მიმართებები, რომელთა განხორციელებაც აღკვეთდა ახალი ომის წარმოქმნის საშიშროებას.

2. განცხადება შეიცავდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების წინადადებას – მოეწყოთ მსოფლიო ყველა რეგიონის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების შეხვედრა, რომლის ცენტრშიც იქნებოდა საერთაშორისო დაძაბულობის კერების აღმოფხვრისა და ომის თავიდან აცილების საკითხები.

წყარო: Организация Варшавского Договора. Документы и материалы. 1955–1980, М., 1980, с.81–91.

**დეკლარაცია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტისა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ევროპაში 1966**, მიიღეს 5.VII ბუქარესტში. დეკლარაცია შეიცავდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მიერ ევროპაში მიმდინარე პროცესების შეფასებას, იმ წინააღმდეგობების წარმოჩენას, რომლებიც ხელს უშლიდა საერთოევროპულ თანამშრომლობას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ პროგრამას ევროპაში უშიშროების დამყარებისათვის, სადაც უმთავრესი იყო ევროპის ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპები, ევროპის კონტინენტზე სამხედრო დაძაბულობის მოხსნის საკითხი, ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შედეგად რე-

ალურად არსებული საზღვრების ცნობა, ევროპაში სადავო საკითხების რეგულირების მშვიდობიანი გზები. დეკლარაციაში მითითებული იყო, რომ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შესუსტების რადიკალური გზაა სამხედრო კავშირების ერთდროული დაშლა. ამ მიმართულებით პირველ ნაბიჯად ნავარაუდევი იყო ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო ორგანიზაციების დაშლა. დეკლარაციაში წამოყენებული იყო წინადადება საერთოევროპული თათბირის მოწვევის შესახებ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის განვითარების თაობაზე.

*ლიტ.:* Организация Варшавского Договора. Документы и материалы. 1955–1980, М., 1980, с.149–156.

**დეკლარაცია ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტისა მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის ევროპაში 1972**, მიიღეს 26.I პრაღაში. დეკლარაცია შეიცავდა ევროპაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზს და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების წინადადებებს ევროპის გადასაქცევად მუდმივი და მტკიცე მშვიდობის ზონად. მასში ხაზგასმული იყო ევროპის უშიშროებისათვის ამ რეგიონის ქვეყნების კოლექტიური ქმედების აუცილებლობა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევა ყველა ევროპული ქვეყნის, აგრეთვე აშშ-ის და კანადის მონაწილეობით. დეკლარაციაში აგრეთვე ჩამოყალიბებული იყო ევროპაში უშიშროებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპები: საზღვრების ურღვევობა, ძალის გამოუყენებლობა, მშვიდობიანი თანაარსებობა, კეთილმეზობლური ურთიერთობა და თანამშრომლობა მშვიდობის ინტერესებში, ურთიერთხელსაყრელი კავშირები ქვეყნებს შორის, განიარაღება, გაეროსათვის მხარდაჭერა.

დეკლარაციაში ასევე აღნიშნული იყო ევროპული უშიშროების უზრუნველსაყოფად შეთანხმების მიღწევა ევროპაში შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

*ლიტ.:* Организация Варшавского Договора. Документы и материалы. 1955–1980, М., 1980, с.149–156.

**დეკლარაცია ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გამოცხადების შესახებ 1971**, მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის XXVI სესიაზე 16.XII. დეკლარაცია აცხადებდა აწ და მარადის, ინდოეთის ოკეანეს მშვიდობის ზონად იმ ფარგლებში, რომლებიც უნდა დადგენილიყო მის თავზე არსებული საჰაერო სივრცითა და მის ქვეშ არსებული ზღვის ფსკერით. დეკლარაციაში გამოთქმული იყო რწმენა, რომ ამ რაიონში მშვიდობის ზონის შექმნა ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. დეკლარაცია შეიცავდა მოწოდებას დიდი ქვეყნებისადმი, ჩაეტარებინათ კონსულტაციები ინდოეთის ოკეანის სანაპირო ქვეყნებთან, რათა შეჩერებულიყო სამხედრო საქმიანობის გაფართოება ინდოეთის ოკეანეში, ლიკვიდირებული ყოფილიყო იქ არსებული ყველა სამხედრო ბაზა, აკრძალულიყო ბირთვული იარაღისა და მასობრივი განადგურების სხვა საშუალებათა განლაგება, თავიდან ყოფილიყო აცილებული სამხედრო გემებისა და თვითმფრინავების გამოყენება ამ რაიონის ქვეყნებისათვის საშიშროების შექმნისას და უზრუნველყოფილიყო ინდოეთის ოკეანეში თავისუფალი ნაოსნობა.

გაეროს გენერალური ასამბლეა რეგულარულად აკონტროლებდა დეკლარაციის შესრულებას. 1972 გაეროს გენერალური ასამბლეის XXVII სესიაზე შეიქმნა გაეროს სპეციალური კომიტეტი ინდოეთის ოკეანისათვის იმ ღონისძიებათა მისაღებად, რაც ხელს შეუწყობდა დეკლარაციის განხორციელებას. 1981 გაეროს გენერალური ასამბლეის XXXVI სესიაზე გადაწყდა, რომ ჩაეტარებინათ ინდოეთის ოკეანისადმი მიძღვნილი კონფერენცია, მაგრამ ცივი ომის პირობებში ამ ღონისძიების მოწყობა ჩაიშალა.

*ლიტ.:* Генеральная Ассамблея. Резолюции и решения. Официальные отчеты. XXVI сессия, Нью-Йорк, 1971, с.41–42.

**დეკლარაცია იტალიის შესახებ**, იხ. *მოსკოვის კონფერენციები 1941 და 1943.*

**დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ**, გაეროს გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს კოლონიალიზმის დაუყოვნებლივ მოსპობას.

დეკლარაცია შეიცავს შემდეგ ძირითად დებულებებს: კოლონიალიზმი ადამიანის ძირითადი უფლებების უარყოფაა, ეწინააღმდეგება ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპებს, რომლებსაც აღიარებს გაეროს წესდება, და ძირს უთხრის საყოველთაო მშვიდობას; ყველა ხალხს აქვს თავისი სუვერენიტეტის განხორციელების, ანუ თვითგამორკვევის უფლება; ამა თუ იმ ხალხის არასაკმაო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული დონე არ შეიძლება გახდეს დამოუკიდებლობის მინიჭების დაყოვნების საბაბი; კოლონიურ ხალხთა განთავისუფლების პროცესის შეჩერება შეუძლებელია, უნდა შეწყდეს ყოველგვარი რეპრესიები და მთელი ხელისუფლება დაუყოვნებრივ უნდა გადაეცეს მათ რაიმე პირობა-დათქმის გარეშე ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით და სხვ.

დეკლარაცია ცხადყოფს, რომ კოლონიურ ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის საერთაშორისო კონფლიქტია, რომელშიც მოწინააღმდეგე მხარე აგრესორია (იხ. *აგრესია*).

დეკლარაცია ხელს უწყობს კოლონიალიზმის სრულ მოსპობას. 1961 შეიქმნა გაეროს სპეციალური კომიტეტი დეკლარაციის განხორციელების მიმდინარეობის საკითხზე.

*ლიტ.:* ქ ე ა ნ ი ა გ. კოლონიალიზმის მოსპობის კანონზომიერება საერთაშორისო სამართალში. - „ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები“, 1968, ტ.15.

**დეკლარაცია რასის და რასობრივი ცრურწმენების შესახებ**, მიიღეს პარიზში 1978 გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის XX სესიაზე. დეკლარაცია ამხელს, როგორც მეცნიერულად უსუსურს, რასისტულ თეორიებს, რომლებიც მიაწერენ უპირატესობას ან არასრულფასოვნებას ცალკეულ რასობრივ ან ეთნიკურ ჯგუფებს, რაც არ შეესაბამება მორალურ და ეთიკურ პრინციპებს. დეკლარაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებებით იბრძოლონ რასიზმის წინააღმდეგ და მიიღონ სათანადო ზომები, რათა ხელი შეეწყოს მასობრივი ცრურწმენების აღმოფხვრას.

დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ადამიანთა თანასწორობის პრინციპი, რასის, კანის ფერის ან წარმოშობის მიუხედავად, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს და,

შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერ ფორმაში გატარება წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარღვევას, რაც გამოიწვევს საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

წყარო: Акты Генеральной Конференции ЮНЕСКО. XX сессия. Париж, 1978, т.1, с.60–64.

**დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის ლიკვიდაციის შესახებ**, მიღებულია 1963 წლის 20.XI გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ რასის, კანის ფერის ან ეთნიკური წარმოშობის მიხედვით ადამიანთა დისკრიმინაცია აღქმული იქნება არა მხოლოდ როგორც პიროვნების ღირსების ხელყოფა, გაეროს წესდების ძირითადი პრინციპებისა და ადამიანთა საყოველთაო უფლებების დარღვევა, არამედ როგორც ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის როგორც მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ასევე სახელმწიფოთა ნორმალურ ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

*რასიზმი* განიხილება როგორც საშიში საერთაშორისო ხასიათის მქონე პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც უნდა მოხდეს სახელმწიფოთა (როგორც შიდა, ასევე გარე საქმიანობით) და საერთაშორისო ორგანიზაციათა ერთობლივი ძალისხმევის საფუძველზე.

დეკლარაციის მიღებას მოჰყვა მეორე უმნიშვნელოვანესი აქტი – *საერთაშორისო კონვენცია ყოველგვარი რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ*, რომელიც მიღებულ იქნა 1966. კონვენციის დებულებანი (დეკლარაციისაგან განსხვავებით) სახელმწიფოთათვის სავალდებულო ხასიათს ატარებდნენ.

ამ ორი უმნიშვნელოვანესი აქტის მიღებას 1972 მოჰყვა გაეროს მიერ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის I, ხოლო 1982 – II ათწლეულის გამოცხადება (იხ. *გაეროს ათწლეულები*).

**დეკლარაცია რუსეთის ხალხთა უფლებების შესახებ**, საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული აქტი, რომლის ძალითაც ამ ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას საფუძვლად უნდა დასდებოდა ხალხებს შორის თანასწორობისა და მათი თვითგამორკვევის პრინციპები. მიიღო 1917 წლის 2(15). XI სახალხო კომისართა საბჭომ. დეკლარაცია ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკას წარმოაჩენდა როგორც ხალხების ერთიმეორეზე გადამტერების სისტემას, ხოლო დროებითი მთავრობის ეროვნულ პოლიტიკას ახასიათებდა როგორც ეროვნული ჩაგვრის უფრო დახვეწილ ფორმას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ – აცხადებდა დეკლარაცია, – ეს პოლიტიკა „უნდა შეიცვალოს რუსეთის ხალხების ნებაყოფლობითი და პატიოსანი კავშირით", „ღია და პატიოსანი პოლიტიკით, რომელსაც ხალხებს შორის სრულ ნდობამდე მიეყვანეთ".

ეროვნული პოლიტიკის საკითხებში საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობას საფუძვლად უნდა დასდებოდა შემდეგი პრინციპები: „1. რუსეთის ხალხების თანასწორობა და სუვერენიტეტი. 2. რუსეთის ხალხთა უფლება თავისუფალ თვითგამორკვევაზე გამოყოფამდე და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნამდე. 3. ყველა და ყოველგვარი ეროვნული და ეროვნულ-რელიგიური პრივილეგიებისა და შეზღუდვების გაუქმება. 4. რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა და ეთნოგრაფიული ჯგუფების თავისუფალი განვითარება".

სამწუხაროდ, დეკლარაცია ვერ განხორციელდა. ზემოაღნიშნული პრინციპები მოგვიანებით დარღვეულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ.

წყარო: Документы внешней политики СССР, т.1, М., 1957, с. 14–15.

**დეკლარაცია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და განმტკიცების შესახებ 1977**, მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 19.XII სსრკ-ის ინიციატივით.

დეკლარაციაში აღნიშნულია მსოფლიოს ხალხების დაინტერესება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით და მისკენ მისწრაფება, ლაპარაკია იმ აუცილებელ და დამატებით ღონისძიებებზე, რომლებიც გააფართოვებდნენ დაძაბულობის შენელებას, „მოიცავდნენ მსოფლიოს ყველა რაიონს და ხელს შეუწყობდნენ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების დარეგულირებას მშვიდობიანი გზებით, მათში სახელმწიფოთა მონაწილეობითა და თანამშრომლობით". დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ ქვეყანათა შორის დაძაბულობის შენელებასა და თანამშრომლობის განვითარებას ხელს შეუწყობდა ნდობის განმტკიცების ღონისძიებები, პროგრესი შეიარაღების შემცირებისა და განიარაღების საქმეში, რასიზმისა და კოლონიალიზმის ყოველგვარი ფორმის ლიკვიდაცია და ა.შ. ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ დაძაბულობის შემდგომი შენელებისადმი მისწრაფება მთელ მსოფლიოში განპირობებულია მშვიდობის უმაღლესი ინტერესებითა და კაცობრიობის მომავალით და ამიტომაც გაგრძელდება ბრძოლა შეიარაღების შემცირებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი რეგულირებისათვის.

წყარო: Генеральная Ассамблея. Резолюции и решения. Официальные отчеты. XXXII сессия. Дополнение №45 (A/32/45), Нью-Йорк, 1978, с. 59–60.

**დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებს და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად 1970**, მიიღეს 1970 წლის 24.X გაეროს გენერალური ასამბლეის XXV სესიაზე. იგი დაფუძნებულია გაეროს წესდების ძირითად დებულებებზე და აღიარებს წესდების პირველად და ამოსავალ მნიშვნელობას სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების საქმეში. მასში აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპების კეთილსინდისიერი შესრულება, ასევე იმ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც სახელმწიფოებს დაკისრებული აქვთ გაეროს წესდების თანახმად, უზრუნველყოფს მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებასა და გაეროს სხვა მიზნების სრულად შესრულებას.

დეკლარაცია აყალიბებს შემდეგ პრინციპებს: 1. პრინციპს, რომლის თანახმადაც სახელმწიფოები თავიანთ ურთიერთობებში თავს იკავებენ ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარისაგან როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან მიმართებაში, ასევე ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც ეს არ შეესაბამება გაეროს მიზნებს.

2. პრინციპს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოები წყვეტენ თავიანთ საერთაშორისო დავებს მშვიდობიანი ხერხებით ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას.

3. პრინციპს, რომელიც ეხება გაეროს წესდების შესაბამისად აღებულ ვალდებულებებს ნებისმიერი სახელ-

მწიფოს საშინაო კომპეტენციაში შემავალ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ.

4. სახელმწიფოთა ვალდებულებას ითანამშრომლონ ერთმანეთთან გაეროს წესდების შესაბამისად.

5. ერთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის პრინციპს.

6. სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს.

7. სახელმწიფოთა მიერ წესდების საფუძველზე აღებულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპს.

დეკლარაციაში აგრესიული ომი გამოცხადებულია მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. ამასთან ერთად, თვითგამორკვევის პრინციპთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ აღნიშნული პრინციპი არ უნდა იქნეს მიმართული ისეთი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური ერთიანობის დანაწევრებისაკენ, რომელიც თავისი მოქმედებით არ არღვევს აღნიშნულ პრინციპს და ჰყავს ისეთი მთავრობა, რომელიც წარმოადგენს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს მიუხედავად რასისა, რელიგიისა ან ეთნიკური წარმოშობისა. დეკლარაციაში გამოკვეთილად არის აღნიშნული, რომ ყველა ზემოთ მოტანილი პრინციპი ურთიერთკავშირშია და გამოყენებული უნდა იყოს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში როგორც საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.

**დეკლარაცია საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების შესახებ,** გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 16 დეკემბრის რეზოლუცია (მიღებულია სსრ კავშირის ინიციატივით). დეკლარაციის თანახმად, ყოველი სახელმწიფო მოვალეა საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებდეს ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან; საერთაშორისო დავის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებმა უნდა მიმართონ მხოლოდ დავის გადაწყვეტის მშვიდობიან საშუალებებს. დეკლარაციამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უშიშროების საბჭომ უნდა გაააქტიუროს თავისი მუშაობა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის, ხოლო სახელმწიფოებმა – საყოველთაო კოლექტიური უშიშროების ეფექტური სისტემის შესაქმნელად.

დეკლარაცია მოუწოდებს ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოებს, მიიღონ სასწრაფო და შეთანხმებული ზომები ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის სხვა სახეობების ლიკვიდაციისათვის და დადონ ხელშეკრულება ეფექტური საერთაშორისო კონტროლის ქვეშ საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

პუბლ.: Генеральная Ассамблея. Резолюции и решения. Официальные отчеты. XXV сессия. Дополнение №28 (A/8028), Нью-Йорк, 1971, с. 27–29.

**დეკლარაცია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის თაობაზე 1965,** მიიღეს გაეროს გენერალური ასამბლეის XX სესიაზე 1965 წლის 21.XII. მასში განმტკიცებული და პროგრესულადაა განვითარებული როგორც სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ასევე თვითგამორკვევის პრინციპი: მებრძოლი ერებისა და ეროვნებათა საქმეებში ჩაურევლობის პირობები ახლად განთავისუფლებულ სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის.

დეკლარაცია კრძალავს: სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას ნებისმიერი მიზნით; ყველა ქმედობას, რომელიც მიმართულია სახელმწიფოთა სამართალსუბიექტობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; სახელმწიფოთა იძულებას; სახელმწიფოთა შინა ომებში ჩარევას; ტერორისტული ქმედობების ორგანიზებას ან წახალისებას სახელმწიფოთა საშინაო საქმეებზე ზეგავლენის მიზნით.

**დეკლარაცია სსრ კავშირის მთავრობისა სამოკავშირეო კონფერენციაზე ლონდონში 1941,** რომელშიც სსრკ გარდა მონაწილეობდნენ ბელგია, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, ნორვეგია, იუგოსლავია, ლუქსემბურგი და თავისუფალი საფრანგეთი. გამოცხადდა 24.IX.

აღნიშნულ დოკუმენტში საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ ფაშიზმის მიერ წამოწყებულ ომში „წყდება ევროპისა და მთელი კაცობრიობის ბედი", რომ სისხლიანი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე გადადის საბჭოთა ხალხის მხრებზე. დეკლარაციაში განსაზღვრული იყო ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ხალხისა და სახელმწიფოების ამოცანები, რათა რაც შეიძლება სწრაფად და საბოლოოდ გაენადგურებინათ აგრესორები, აგრეთვე განესაზღვრათ გზები და საშუალებები ომისშემდგომი მსოფლიოს მოსაწყობად და საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზებისათვის. იგი შეიცავდა საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას – მოეხდინათ თავისუფლებისმოყვარე ხალხების ეკონომიკური და სამხედრო ძალების კონცენტრირება, მოეწყოთ ეკონომიკური რესურსებისა და სამხედრო აღჭურვილობის სამართლიანი განაწილება ევროპის ხალხების სწრაფად და საბოლოოდ განთავისუფლებისათვის. დეკლარაციაში საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ იგი პატივს სცემდა ხალხების სუვერენულ უფლებებს, მათ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, მმართველობის ისეთი ფორმის არჩევას, რომელსაც ეს ხალხები მიიჩნევენ „მიზანშეწონილად და აუცილებლად". ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობა ამ პრინციპების განსახორციელებლად, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველსაყოფად მოითხოვდა „აგრესორების წინააღმდეგ კოლექტიური მოქმედების აუცილებლობას".

დეკლარაციაში საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ ეთანხმება აშშ-ის პრეზიდენტის ფ.დ. *რუზველტის* და ინგლისის პრემიერ-მინისტრის უ. *ჩერჩილის* „დეკლარაციის ძირითად პრინციპებს" (იხ. *ატლანტიკური ქარტია*).

დეკლარაციამ გარკვეული როლი ითამაშა ატლანტიკურ ქარტიასთან ერთად ანტიჰიტლერული კოალიციისა და მისი ამოცანების განსაზღვრის საქმეში.

პუბლ.: Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны. Документы и материалы, т.1, [М.], 1944, с.153–166.

**დეკლარაცია სსრ კავშირის მთავრობისა 1956** (სსრკ-ს და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ). მიიღეს 30.X სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობების შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცების მიზნით. დეკლარაციაში ლაპარაკია საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ურყეობაზე და წარმოჩენილია სსრკ-ის პოზიცია ამ ურთიერთობების სფეროში, აღნიშნუ-

ლია, რომ სოციალისტური ქვეყნების ხალხები გაერთიანებულნი არიან სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო იდეალებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მიზნებით, რომ ისინი ურთიერთობებს აგებენ სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე და ა.შ. ხაზი აქვს გასმული 1955 ვარშავის ხელშეკრულების, როგორც პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ინსტრუმენტის, დიდ მნიშვნელობას.

დეკლარაცია შეიცავს საბჭოთა მთავრობის განცხადებას უნგრეთის 1956 ამბებთან დაკავშირებით.

როგორც სსრკ-ის დაშლის შემდგომ გამოქვეყნებულმა დოკუმენტებმა აჩვენა, დეკლარაციაში ჩამოთვლილი პრინციპები ხშირად ირღვეოდა სსრკ-ის მიერ.

*წყრ.* "Правда", 1956, 31 октября.

**დეკლარაცია ხალხთა მშვიდობიანი სულისკვეთებით აღზრდის შესახებ**, გაეროს გენერალური ასამბლეის 1978 წლის 15 დეკემბრის რეზოლუცია (მიღებულია პოლონეთის ინიციატივით), რომელიც მოითხოვს მშვიდობის განმტკიცების აუცილებლობის საყოველთაო აღიარებას და ამ მიზნით შემდეგი პრინციპების დაცვას: ყველა ხალხს აქვს მშვიდობის პირობებში ცხოვრების უფლება; აგრესიული ომი, მისი მომზადება ან გაჩაღება წარმოადგენს დანაშაულს მშვიდობის წინააღმდეგ; სახელმწიფოები ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ აგრესიული ომის პროპაგანდისაგან; განავითარონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან; მიიღონ სათანადო ზომები მშვიდობის და თავისუფლების იდეალების განსამტკიცებლად; დაიცვან ყველა ხალხის უფლება თვითგამორკვევაზე, დამოუკიდებლობაზე, თანასწორობაზე, სუვერენიტეტზე და ტერიტორიულ მთლიანობაზე.

მშვიდობის შენარჩუნების ძირითად საშუალებად დეკლარაცია მიიჩნევს გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საყოველთაო და სრულ განიარაღებას.

დეკლარაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიიღონ ისეთი ზომები, რომ მათი პოლიტიკა, აღზრდის მეთოდები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა შეესაბამებოდეს მშვიდობის პირობებში ცხოვრებისათვის მომზადების ამოცანას და აღმოფხვრან ძალადობის და ომის პროპაგანდა.

*წყრ.:* Генеральная Ассамблея. Резолюции и решения. Официальные отчеты. XXXIII сессия, Нью-Йорк, 1978, с. 56–57.

**დეკრეტი ზავის შესახებ**, საბჭოთა მთავრობის პირველი დეკრეტი და პირველი დიპლომატიური დოკუმენტი, დაწერილი ვ. *ლენინის* მიერ. მიიღეს ერთხმად სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე 26. X(8.XI). 1917.

დეკრეტით საბჭოთა მთავრობა პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ყველა მეომარ ხალხსა და მათ მთავრობებს სთავაზობდა მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას „სამართლიანი დემოკრატიული ზავის“ დასადებად. ასეთ ზავად მას მიაჩნდა უანექსიო (ე.ი. სხვისი ტერიტორიების ხელთგდებისა და სხვა ხალხების ძალადობის გზით მიერთების გარეშე) და უკონტრიბუციო ზავი. ამასთან, წამოყენებული იყო წინადადება, რომ ამგვარი ზავი დადებულიყო დაუყოვნებლივ, დროის გაჭიანურების გარეშე.

აღნიშნავდა რა, რომ ომის გაგრძელება, ძლიერი და მდიდარი ხალხების მიერ, დაპყრობილი სუსტი ხალხების გასანაწილებლად, არის „კაცობრიობის წინაშე უდიდესი დანაშაული“ და საზეიმოდ ამბობდა რა, რომ დაუყოვნებლივ ხელს მოაწერდა ომის შეწყვეტის საზავო პირობებს, საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ სრულიადაც არ თვლიდა მის მიერ წამოყენებულ წინადადებებს ულტიმატუმად და მზადყოფნას გამოთქვამდა სხვა სამშვიდობო წინადადებების განსახილველად, რომლებიც ნათლად და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე იქნებოდა ჩამოყალიბებული.

განაცხადა რა საიდუმლო დიპლომატიის გაუქმებისა და ყოველგვარი მოლაპარაკების ღიად, აშკარად წარმოების შესახებ, საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა, რომ გამოაქვეყნებდა დროებითი მთავრობის მიერ დადებულ ყველა საიდუმლო ხელშეკრულებას. ამასთან ერთად დეკრეტში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მთავრობა მოლაპარაკებისათვის ნიშნავდა ნეიტრალურ ქვეყნებში თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს და ყველა მეომარ ხალხსა და ქვეყანას სთავაზობდა დაზავებას.

*წყრ.:* Собрание Узаконений и Распоряжений Рабочего и Крестьянского правительства, 1917, 1 декабря, №1, отд. первый, с. 2–3.

**დეკრეტი ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ**, ფინეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ, ფინეთის მთავრობის თხოვნის პასუხად, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ, თანახმად „ერთა თვითგამორკვევის პრინციპებისა“, 18(31).XII.1917 მიიღო შემდეგი დადგენილება: „შეტანილ იქნას წინადადება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში: ა) ცნობილ იქნას ფინეთის რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ბ) ფინეთის მთავრობასთან შეთანხმებით, ორგანიზებულ იქნას საგანგებო კომისია ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან იმ პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებისათვის, რომლებიც რუსეთისაგან ფინეთის გამოყოფიდან გამომდინარეობენ“.

იმავე დღეს ვ.ი. *ლენინმა* სმოლნში, სახკომსაბჭოს სხდომის დროს, დადგენილების ტექსტი გადასცა ფინეთის პრემიერ-მინისტრს პ.ე. სვინჰუვუდს, რომელიც ფინეთის დელეგაციას მეთაურობდა.

დეკრეტი 22.XII. 1917 (4.I.1918) მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის ცაკ-ის მიერ და დამტკიცდა 15(28) I. 1918 სრულიად რუსეთის საბჭოების III ყრილობაზე.

*წყრ.:* Собрание Узаконений и Распоряжений Рабочего и Крестьянского правительства, 1917, 29 декабря, №11, отд. первый, с. 163–66.

**დელბოსი** (Delbos) ივონ (1885-1956), საფრანგეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1924-40 – დეპუტატთა პალატის წევრი, 1932-40 – რადიკალ-სოციალისტების პარტიის ლიდერი, 1932-36 – პალატის ვიცე-პრეზიდენტი, 1925 და 1934-40 – განათლების მინისტრი, 1936 – იუსტიციის, 1936-38 – საგარეო საქმეთა. 1940-43 მონაწილეობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. 1943 დააპატიმრეს და იძულებით გერმანიაში გადაასახლეს. 1945 მოკავშირეთა ჯარებმა გაათავისუფლეს. 1945-46 – დამფუძნებელი კრების წევრი, 1947 – სახელმწიფო მინისტრი, 1948-50 – ეროვნული კრების დეპუტატი, რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების ფრაქციის თავმჯდომარე. 1955-დან – სენატორი.

**დელიმიტაცია საზღვრებისა** (ლათ. delimitatio – დადგენა), სახელმწიფოთაშორისო საზღვრის ხაზის საერთო მიმართულების დადგენა მოლაპარაკებათა გზით. დელიმიტაციის შესახებ დადგენილება, როგორც წესი, შედის სამშვიდობო ხელშეკრულებებში ან ისეთ სპეციალურ შეთანხმებებში, რომლებიც ეხება საზღვრების დადგენას ან შეცვლას.

დელიმიტაციის დროს, განსხვავებით დემარკაციისაგან, საზღვრების ხაზი დგინდება რუკების მიხედვით ადგილზე სამუშაოების ჩატარების გარეშე. რუკები, როგორც წესი, თან ერთვის ხელშეკრულებას ან შეთანხმებას. დ.ს-ისა ფაქტობრივად საფუძველი და პირველი ეტაპია საზღვრების დემარკაციის ჩასატარებლად.

სახელმწიფოთა საზღვრების დელიმიტაციის საკითხები სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წყდება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ეხება როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო საზღვრებს, თუმცა ამ უკანასკნელს გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს.

**დელის დეკლარაცია**, ბირთვული იარაღისგან თავისუფალი და არაძალადატანებითი მშვიდობის პრინციპების შესახებ, ხელი მოაწერეს 1986 წლის 27.XII ნიუ დელიში სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (სკკპ) გენერალურმა მდივანმა მ.ს. *გორბაჩოვმა* და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რ. განდიმ. დეკლარაციაში წარმოდგენილია ბირთვული იარაღისგან თავისუფალი და არაძალადატანებითი მშვიდობის შექმნის 10 პრინციპი: 1. მშვიდობიანი თანაარსებობა უნდა გახდეს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსალური ნორმა. 2. ადამიანის სიცოცხლე უმაღლეს ფასეულობად უნდა იქნას აღიარებული. 3. ძალადატანებაზე უარის თქმა უნდა გახდეს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების საფუძველი. 4. ურთიერთგაგებამ და ნდობამ უნდა შეცვალოს შიში და ეჭვიანობა. 5. აღიარებულ უნდა იქნას და პატივი ეცეს თითოეული სახელმწიფოს უფლებას პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. 6. რესურსები, რომლებიც იხარჯება შეიარაღებაზე, უნდა წარიმართოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის. 7. გარანტირებული უნდა იქნას პიროვნების ჰარმონიული განვითარება. 8. კაცობრიობის მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალი უნდა ემსახურებოდეს გლობალური პრობლემების გადაჭრას. 9. „შიშის თანასწორობის" ადგილი უნდა დაიკავოს ყოვლისმომცველმა საერთაშორისო უშიშროებამ. 10. ბირთვული იარაღიდან თავისუფალი და არაძალადატანებითი მშვიდობის შექმნა მოითხოვს კონკრეტულ და გადაუდებელ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია განიარაღებისაკენ. ასეთი მშვიდობის მიღწევა შესაძლებელია ხელშეკრულებების დადებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მიმდინარე საუკუნის ბოლომდე ბირთვული იარაღის არსენალის სრული განადგურება; დაუშვებლობა ნებისმიერი იარაღის გაშვებისა კოსმოსში, რომელიც კაცობრიობის საერთო საკუთრებაა; ბირთვული იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტა; მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეობების შექმნის, ქიმიური იარაღის აკრძალვა და მისი მარაგის განადგურება; ჩვეულებრივი შეიარაღებისა და სამხედრო ძალების რაოდენობის შემცირება. ბირთვული იარაღის ლიკვიდაციამდე სსრ კავშირმა და ინდოეთმა წამოაყენეს წინადადება, დადებულიყო საერთაშორისო კონვენცია, რომელიც აკრძალავს ბირთვული იარაღის გამოყენებას, ანდა მისი გამოყენების მუქარას.

**დელის კონფერენცია 1949**, ინდონეზიის საკითხის გამო, ჩატარდა 20-23.I. მასში მონაწილეობდნენ ავსტრალია, ავღანეთი, ბირმა, ეგვიპტე, ეთიოპია, ერაყი, იემენი, ინდოეთი, ირანი, ლიბანი, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სირია, ფილიპინები, ცეილონი, მეთვალყურეებად – ახალი ზელანდია, ნეპალი, ტაილანდი და ჩინეთი. მიზნად ისახავდა დახმარება აღმოეჩინა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ინდონეზიისათვის. დ.კ-მ დაგმო ჰოლანდიის აგრესია ინდონეზიის წინააღმდეგ, როგორც დარღვევა გაეროს წესდებისა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მშვიდობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და მოითხოვდა ინდონეზიის დამოუკიდებლობის ცნობას. დ.კ-მ გარკვეული გავლენა მოახდინა იმ დებატებზე, რომლებიც გაიმართა უშიშროების საბჭოში, და უშიშროების საბჭოს 1949 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილებაზე, რომელიც მოითხოვდა ჰოლანდიისაგან, 1949 წლის 15 მარტისთვის გაენთავისუფლებინა ინდონეზიაში დაკავებული ტერიტორიები, რასაც 1950 წლის 1 იანვარს მოჰყვა „ინდონეზიის შეერთებული შტატების" დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

**დელკასე** (Delcassé) თეოფილ (1852-1923), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1889-დან – პარლამენტის დეპუტატი; 1894-95 – კოლონიების მინისტრი; 1898-1905 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1911-13 – საზღვაო მინისტრი; 1913-14 – საფრანგეთის ელჩი რუსეთში; 1914 – სამხედრო მინისტრი; 1914-15 – საგარეო საქმეთა მინისტრი. 1916-დან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა.

**დემაგოგია** (ბერძნ. demagogia – წაქეზება), რეალური პირადი, ჯგუფური, სოციალური ან პოლიტიკური პრობლემებით, მოთხოვნილებით, იმედებით სპეკულაცია დაფარული მიზნებით, რაიმე მოვლენის, ან პოლიტიკური მოწინააღმდეგის შეხედულებათა გაყალბება. დ-ს ჩვეულებრივ ახლავს ფაქტების ფალსიფიკაცია. იგი გარეგნული ფორმებით ჰგავს სიმართლეს, სინამდვილეში კი წარმოადგენს დიდი ოსტატობით შეკოწიწებული არგუმენტებით შეთხზულ სიყალბეს. დემაგოგიური არგუმენტების მოჩვენებითი სიმართლე დემაგოგს აძლევს საშუალებას მიაღწიოს სასურველ შედეგებს ისე, რომ არ გამოამჟღავნოს თავისი ჭეშმარიტი ზრახვები.

ისტორიულად დ. და თვით ეს ცნება მომდინარეობს ანტიკური პერიოდის ბერძენი რიტორების ადვოკატური პრაქტიკიდან. გადავიდა რა სამოქალაქო ურთიერთობებიდან პოლიტიკაში, დ. დიდ ბოროტებად იქცა. იგი პოლიტიკაში მძლავრი და საშიში იარაღი გახდა მასობრივი და ინდივიდუალური შეგნების მანიპულირებისათვის. შემთხვევითი არაა, რომ დ-ის ოსტატებად ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან რეაქციონერი და მატყუარა პოლიტიკოსები, რომლებიც იძულებულნი არიან თავიანთი ნამდვილი ზრახვები შენიღბონ ისევე, როგორც საკუთარი პოლიტიკური სახე. დ-ის გარეგნული ნიშნებია ყალბი პათოსი, ფერადოვანი მეტყველება, აპელაცია მსმენელთა პრიმიტიული ინსტიქტებისადმი და ა.შ.

**დემარკაცია საზღვრებისა** (ლათ. demarcatio – გამიჯვნა), სახელმწიფოს საზღვრის ადგილზე გატარება და მისი სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით აღნიშვნა-დაფიქსირება. დემარკაცია ხორციელდება პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბებულ კომისიათა მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ დელიმიტაციის შედეგად ჩამოყალიბებული დოკუმენტებით (ხელშეკრულება, რუკა, საზღვრის აღწერა). დემარკაციის დროს ტარდება ადგილის დათვალიერება, ტოპოგრაფიული და აეროფოტოგადაღება, რის საფუძველზეც დგება მსხვილმასშტაბიანი რუკა და დგინდება სასაზღვრო ნიშნების კოორდინატები.

დემარკაციის ჩატარების შემდეგ ყოველ სასაზღვრო ნიშანზე დგება სპეციალური ოქმი სქემებითა და ფოტოებით და საზღვრის ხაზის აღმწერი რუკა. აღნიშნული დოკუმენტები ძალაში შედის მხარეთა მიერ დადგენილი წესის საფუძველზე.

**დემარში** (ფრანგ. **démarche**), დიპლომატიური აქცია, რომელსაც განსაკუთრებული ხასიათი აქვს და წარმოადგენს ერთი სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა ორგანოების მიმართვას მეორე სახელმწიფოსადმი. დ. შეიძლება გამოხატულ იქნეს სხვადასხვაგვარ დიპლომატიურ აქტებში – განცხადება, ნოტა, მემორანდუმი, დიპლომატიური წარმომადგენლის გაწვევა. დ. გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხის გადაწყვეტა ვერ ხერხდება ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის საფუძველზე.

დ., როგორც წესი, მოიცავს თხოვნას, პროტესტს, მოთხოვნას, წინადადებას ან სხვ. იგი შინაარსით უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს.

საერთაშორისო პრაქტიკაში დ-ის მიზეზს ყველაზე ხშირად წარმოადგენს დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების დარღვევა. ასეთ შემთხვევაში დ-ით დაზარალებული მხარე მოითხოვს დამრღვევი სახელმწიფოსაგან ზარალის ანაზღაურებას.

**დემეტრე I**, საქართველოს მეფე 1125-56, *დავით IV* აღმაშენებლის მემკვიდრე. მამის სიცოცხლეშივე აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში. დიდგორისა და შირვანის ბრძოლებში ქართველთა ლაშქრის გამარჯვების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ იძულებული გახდა ანისი ყმადნაფიცობის პირობით თურქებისათვის დაეთმო. 1139 დ.I-ის სარდლობით ქართველებმა განძა აიღეს და გამარჯვების ნიშნად ქალაქის კარი საქართველოში ჩამოიტანეს (დაცულია გელათში), მაგრამ დ.I-მა ვერ შეძლო განძის შენარჩუნება და ქალაქი დიდხანს დარჩა მაჰმადიანთა საყრდენ პუნქტად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში. 1130 დ.I-ის უფროსმა შვილმა *დავითმა* იმის შიშით, რომ მამას უმცროსი შვილი *გიორგი* არ გაემეფებინა, შეთქმულება მოაწყო მეფის წინააღმდეგ. მეფემ შეიპყრო შეთქმულების მოთავეები – დავით დიმიტრის ძე და ივანე აბულეთის ძე. შემდგომში (სომეხი მემატიანის ვარდანის ცნობით – 1132, *ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის* ცნობით – 1145) დ.I-მა ივანე აბულეთის ძე მოაკვლევინა, ხოლო მისი შვილი თირქაში (ქირქიში) საპყრობილეში დაამწყვდია. 1154(1155) დავითმა კვლავ მოაწყო შეთქმულება თავისი ერთგული და მეფის მოწინააღმდეგე დიდებულების შემწეობით. დ.I იძულებით ბერად შეაყენა და სამეფო ტახტი თვითონ დაიკავა. დავითის გარდაცვალების შემდეგ (იგი მხოლოდ 6 თვეს მეფობდა), დ.I-მა ბერის ჩოხა გაიხადა და ტახტი დაიბრუნა, თანაც შეამზადა პირობები თავისი უმცროსი ძის, გიორგის გასამეფებლად („აღამაღლა, თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა“). მწვავე შინაკლასობრივი ბრძოლების გამო დ.I-ის მეფობის დროს საქართველოს პოლიტიკური ზრდა ერთგვარად შეფერხდა.

წყარო ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, იქვე, ტ.1, თბ., 1955; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, [წგ.1], ტფ., 1892, გვ.150-51.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ზ., დავით აღმაშენებლისა და დემეტრე მეფის ლირიკა. – „მნათობი“, 1962, №4; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1, თბ., 1960; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XIIს.), თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**დემეტრე (დიმიტრი) II** თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ ი, საქართველოს მეფე 1270-89, *დავით VII* ულუსა და გვანცა დედოფლის ძე. გაიზარდა ტარსაიჭ ორბელის ოჯახში. 1268 ტახტის მემკვიდრე გახდა, ხოლო 1270, დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ, დ.II-ს ილხანთა ყაენის კარზე საქართველოს მეფობა დაუმტკიცდა. აბაღა ყაენმა, დ.II-ის მცირეწლოვანობის გამო, მას მეურვედ *სადუნ მანკაბერდელი* დაუნიშნა მონღოლთავე გადაწყვეტილებით დ.II მას ათაბაგადაც ნიშნავს. ფაქტობრივად დ.II-ის მეფობაში ქვეყანას სადუნი განაგებდა. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა დ.II თავდადებულის პოლიტიკა და მათ შორის მისი დიპლომატიის ძირითადი მიმართულებები. ამ ეპოქაში მამლუქთა ეგვიპტესა და ილხანთა ირანს შორის არსებული დაპირისპირების გამო მონღოლთა ვასალი-საქართველოს მეფე დ.II იძულებულია მუდმივად მიიღოს მონაწილეობა ყაენის მიერ ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. დ.II იმ დიპლომატიური ხაზის გამტარებელია, რომლითაც პრიორიტეტი ეძლევა არა აშკარა ბრძოლასა და დაუმორჩილებლობას, არამედ ერთგვარ მორჩილ, პასიურ პოლიტიკას და შექმნილ ვითარებაში შეძლებისდაგვარად ლავირებას. მონღოლთა პერიოდის ქართული დიპლომატიის ეს კურსი უპირისპირდება საქართველოს სამეფო კარის მეორე მიმართულებას – ეგვიპტის სასულთნოს, ოქროს ურდოსა და სხვ. გამოყენებას ილხანთა ბატონობის წინააღმდეგ (იხ. *დავით VIII*). დ.II თავდადებულმა ეგვიპტის მამლუქთა წინააღმდეგ მიმართულ მონღოლთა ყველა ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა – 1277, 1280 და 1281 აბაღა-ყაენის ლაშქრობებს ქართველთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა, თავად საქართველომ კი ამის შედეგად დიდი ეკონომიკური ზარალი განიცადა. 1280 და 1281 ლაშქრობებში ქართველთა ჯარს თავად დ.II ხელმძღვანელობდა. 1281 ჰიმსთან ბრძოლაში იგი სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს.

1276-77 ადგილი ჰქონდა საინტერესო ფაქტს დიპლომატიის თვალსაზრისით: 1276 ევროპაში ჩადიან აბაღა-ყაენის ელჩები – ქართველები, ძმები იოანე და იაკობი. ამ ელჩობის მიზანი იყო სამხედრო კავშირის შეკვრა მონღოლებსა და დასავლეთ ევროპას შორის, რათა მომხდარიყო ერთიანი ლაშქრობის ორგანიზება ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. ქართველმა ელჩებმა იოანემ და იაკობმა რომის პაპს აბაღა-ყაენის პასუხი ჩაუტანეს ამ და სხვა მსგავს საკითხებზე: აქ ლაპარაკია მონღოლეთში პაპის მისიონერების გაგზავნაზეც ქრისტიანობის პროპაგანდისათვის. 1277 აბაღა-ყაენის ქართველი ელჩები აუდიენციაზე იყვნენ საფრანგეთის მეფე ფილიპე III-სა და ინგლისის მეფე ედუარდ I-თან, მაგრამ მისიას რეალური შედეგები არ მოუტანია. ელჩებმა აბაღა-ყაენს პაპის წერილები ჩაუტანეს. საინტერესო ფაქტია, როცა კათოლიკურ დასავლეთ ევროპასა და მონღოლეთის იმპერიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების საკითხების მოგვარებას ქართველი ელჩები ხელმძღვანელობენ. სავარაუდოა, რომ ამ მისიის შესახებ სცოდნოდა დ.II თავდადებულსაც. 1281, სადუნ მანკაბერდელის გარდაცვალების შემდეგ, დ.II-მ ათაბაგობა თავის აღმზრდელს – ტარსაიჭ ორბელს გადასცა და არა სადუნის მემკვიდრეს ყუთლუ ბუღას, რამაც ტრაგიკული როლი

ითამაშა მეფის ბედზე. დ.II შეეცადა მძიმე შინაპოლიტიკური ვითარების გამოსწორებას – გაუკაცრიელებული ადგილების ხელახლა დასახლებას, ეკლესიისათვის უძრავი ქონების ჩამორთმევას, მის სათანადოდ გამოყენებას და სხვ., მაგრამ სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია. გრძელდებოდა ეკონომიკური დაქვეითება, მწარმოებელი მოსახლეობა მძიმე კრიზისს განიცდიდა, აოხრდა კახეთი და ჰერეთი, ყოველივეს თან დაერთო მძიმე მიწისძვრა და სხვ. ილხანთა მონღოლურ სახელმწიფოში გახშირდა დინასტიური უთანხმოებანი, შეთქმულებები და გადატრიალებანი, რაშიც დემეტრე მეფეც აღმოჩნდა ჩათრეული. მან შეძლო მეგობრული ურთიერთობების დამყარება ილხანთა პირველ ვეზირთან, ბუღასთან, რომელიც საქართველოს მეფეს მხარს უჭერდა ყაენის კარზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. 1288 არღუნის (1284-91) წინააღმდეგ გამჟღავნებული შეთქმულების ხელმძღვანელობა ბუღას დაბრალდა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს. დ.II ყაენის კარზე დაიბარეს. საყაენოში წასვლის წინ დარბაზობაზე დემეტრე მეფემ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც მონღოლებთან გამოცხადების აუცილებლობა დაასაბუთა და ბრძოლის, დაპირისპირების გზა უარყო. ეს არის საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს დ.II-ის მიერ აღებულ დიპლომატიურ კურსს. ყაენის კარზე საქართველოს მეფის ბედი სადუნის განაწყენებულმა შვილმა ხუტლუბუღამ გადაწყვიტა, ყაენის ბრძანებით დ.II-ს თავი მოჰკვეთეს – შთამომავლობამ მას „თავდადებული" უწოდა.

წყარო: ჟამთააღმწერელი. წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959

ლიტ.: ნატროშვილი თ., მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1991; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**დემეტრე II** (825-61), აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) მეფე. მან თავის სიცოცხლეში ვერ მოაწესრიგა ტახტის მემკვიდრეობის საკითხი და გარდაცვალების შემდეგ, მისი შვილის, ბაგრატის ნაცვლად დ.II-ის ძმა გიორგი I დაჯდა ტახტზე.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**დემეტრე III** (967-75), აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) მეფე. მან დაიკავა ჯავახეთი, ბაგრატიონთა სამფლობელოს ერთი ნაწილი.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**დემეტრე უფლისწული**, საქართველოს მეფის *გიორგი I-ისა* და *ალდე დედოფლის* ძე. იგი ტახტს ეცილებოდა თავის ნახევარძმას *ბაგრატ IV-ს*. მამის გარდაცვალების შემდეგ დ.უ. და დედამისი საუფლისწულო მამულებში – ანაკოფიაში ცხოვრობდნენ. მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიანმა აზნაურებმა დ.უ. ბაგრატ IV-ს დაუპირისპირეს და მისი გამეფება სცადეს, მაგრამ დამარცხდნენ. 1032 დ.უ.-მა და ალდემ სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვანი ანაკოფიის ციხე ბიზანტიას გადასცეს. დ.უ. კონსტანტინოპოლში გაიქცა და იქ პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. ქართველი უფლისწული დიდი შენაძენი იყო ბიზანტიის დიპლომატიისათვის, ამიტომ იმპერატორმა მას სასწრაფოდ უბოძა მაგისტროსის ტიტული. 1040-იანი წლების დასაწყისში ბიზანტიამ კონკრეტული ნაბიჯები გადადგა საქართველოში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისა და ურჩი ბაგრატ IV-ის ნაცვლად სამეფო ტახტზე მათთვის მისაღები კანდიდატის – დ.უ.-ის ასაყვანად. 1042, დ.უ.-ის გამეფების საბაბით, მეფის მოწინააღმდეგე *ლიპარიტ IV ბაღვაშმა* ბიზანტიელთა დამხმარე ჯარით ქართლს შეესია, მაგრამ ბაგრატ IV-მ მოკავშირეები დაამარცხა. 1046 ლიპარიტ ბაღვაშმა კვლავ სცადა დ.უ.-ის გამეფება. ამ მიზნით იგი ბიზანტიელთა და სხვათა დამხმარე ჯარით ქართლში შემოიჭრა. გადამწყვეტი ბრძოლის წინ დ.უ. გარდაიცვალა, მაგრამ ბრძოლა მაინც გაგრძელდა, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დ.უ. ბიზანტიის დიპლომატიისა და ადგილობრივ დიდებულთა ამბიციების მსხვერპლი იყო. როგორც ვარაუდობენ, დ.უ.-ის შთამომავალი უნდა იყოს *თამარ* მეფის მეუღლე *დავით სოსლანი*.

წყარო: მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წ.2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983). პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

**დემილიტარიზაცია**, საერთაშორისო-სამართლებრივი რეჟიმი გარკვეული ტერიტორიისა, რომლის საფუძველზეც იკრძალება აღნიშნული ტერიტორიის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება მ... დობიან დროს. დ., როგორც წესი, ხორციელდება დაინტერესებულ მხარეებს შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

განასხვავებენ ნაწილობრივ და სრულ დ-ს. სრული დ. გულისხმობს აღნიშნულ ტერიტორიაზე სამხედრო ნაგებობებისა და მოწყობილობების ლიკვიდაციას ან მათი მშენებლობის აკრძალვას, ასევე ნებისმიერი ტიპის შეიარაღების განლაგების, შეიარაღებული ძალების ყოფნის, მანევრების ჩატარების ან სხვა სამხედრო საქმიანობის სრულ აკრძალვას. დ-ის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება შეიცავდეს სამხედრო ნივთიერებებისა და ტექნიკის წარმოებისა და შეტანის, ასევე ტრანზიტის აკრძალვას.

ნაწილობრივი დ. ითვალისწინებს ახალი მშენებლობების აკრძალვას (ძველი შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს), შეიარაღებული ძალების შეზღუდულ კონტინგენტს, შეიარაღების სიმძლავრის ან იარაღის გარკვეული ტიპების დასაშვები კვოტის დაწესებას.

დ., როგორც წესი, ხორციელდება სასაზღვრო ზონებში, დროებითი სადემარკაციო ხაზების გასწვრივ, საერთაშორისო სრუტეებში, ზოგიერთ კუნძულებზე ან სხვა ტერიტორიებზე. ყველაზე გავრცელებულია ე.წ. დემილიტარიზებული ზონები, რომლებიც შექმნილია სასაზღვრო რაიონებში მოპირისპირე მტრულად განწყობილი მხარეების დასაშორებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება. მაგ.: 1949 წლის 23.II ეგვიპტე-ისრაელის შეთანხმება ითვალისწინებდა ეგვიპტესა და ისრაელს შორის დემილიტარიზებული ზონის შექმნას, მსგავსი შეთანხმება იყო დადებული 1949 წლის 3.IV იორდანიასა და ისრაელს შორის. 1953 წლის 27.VII კორეის საზავო შეთანხმებაც დემილიტარიზებული ზონის შექმნას ითვალისწინებდა.

დემილიტარიზებულ ზონებს წარმოადგენენ ისეთი ტერიტორიები, როგორებიცაა შპიცბერგენი, 1920 პარიზის ხელშეკრულების თანახმად, ანტარქტიკა, 1959 წლის 1.XII ხელშეკრულების თანახმად.

ნაწილობრივ დემილიტარიზებული ზონების ახალი სახეობაა ე.წ. უბირთვო ზონები, ვინაიდან მათ ფარგლებში აკრძალულია ბირთვული იარაღის (კონკრეტული ტიპის იარაღის) წარმოება, შეძენა ან განლაგება.

**დემირელი** (Demirel) სულეიმან (დ. 1924), თურქეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე.

1949 დაამთავრა სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. ორგზის, 1945 და 1952, იმყოფებოდა სტაჟირებაზე აშშ-ში. 1954-60 ხელმძღვანელობდა თურქეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოს, იყო მისი გენერალური დირექტორი. 1960-64 ასწავლიდა ანკარის შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1961-65 ხელმძღვანელობდა რამდენიმე საზღვარგარეთული კომპანიის წარმომადგენლობებს თურქეთში, მათ შორის „მორისონ ნადსენს“, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე ნატოს ობიექტებს აშენებდა. 1961 შევიდა სამართლიანობის პარტიაში, 1964 – ამ პარტიის გენერალური თავმჯდომარე. 1965-80 დ. ოთხჯერ იყო პრემიერ-მინისტრი; 1983 შექმნა სწორი გზის პარტია. 1987-დან – ამ პარტიის გენერალური თავმჯდომარე, 1991-93 – თურქეთის პრემიერ-მინისტრი; 1993 წლის 16.V მეჯლისმა აირჩია ქვეყნის პრეზიდენტად. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოფილი სსრკ-ის მუსლიმანურ რესპუბლიკებთან ურთიერთობას.

**„დემოკრატიისა და საჯარო დიპლომატიის პროგრამა“ აშშ-ში**, სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოცხადდა 1983 წლის 7.II. პროგრამის გამოცხადება დაკავშირებული იყო ცივი ომის გამძაფრებასთან, სსრკ-ის აგრესიული საგარეო პოლიტიკისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, მსოფლიოში რევოლუციური გამოსვლების თავიდან ასაცილებლად.

პროგრამა ითვალისწინებდა აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულებათა მჭიდრო კოორდინაციას მასობრივი ინფორმაციის კომერციულ საშუალებებთან, აშშ-ის სხვადასხვა ინსტიტუტებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც საგარეო-პოლიტიკურ პროპაგანდას ახორციელებდნენ. უცხოეთის ქვეყნებში დემოკრატიის იდეების გატარების, „სოციალიზმის იდეალებისათვის“ წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, პროგრამა მიზნად ისახავდა გაცვლის გაფართოებას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში, უცხოეთის ქვეყნებისათვის ხელმძღვანელი კადრების მომზადებას, აშშ-ის საგარეო პოლიტიკისათვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პროპაგანდისტული უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის მიხედვით რეორგანიზაცია გაუკეთდა 1983 წლის იანვარში შექმნილ საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის დაგეგმარების სპეციალურ ჯგუფს, რომელიც მოქმედებდა უშიშროების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის ხელმძღვანელობით. ამ ჯგუფის ჩარჩოებში შეიქმნა 4 უწყებათაშორისო კომიტეტი: საერთაშორისო ინფორმაციის, საერთაშორისო რადიოგადაცემების, საზოგადოებრიობასთან კავშირისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების.

საკდეს-ის 1983 წლის 18.II განცხადებაში „პროგრამა“ დახასიათებული იყო როგორც „გლობალური დივერსია, რომელიც საშიშროებას უქმნიდა საყოველთაო მშვიდობას“ და წარმოადგენდა განვითარებადი ქვეყნების საშინაო საქმეებში მასირებულ ჩარევას“.

წყარო: Department of State Bulletin, vol.83,N2072, March 1983, p.79–80.

**დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია** (World Federation of Democratic Youth – WFDY), საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 ლონდონში ახალგაზრდობის მსოფლიო კონფერენციაზე. ორგანიზაციის მიზანი იყო სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის გაერთიანება იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, ახალგაზრდობის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. აერთიანებდა 100 მლნ-მდე ახალგაზრდას მსოფლიოს 112 ქვეყნის 270 ახალგაზრდული ორგანიზაციიდან.

ორგანიზაციის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს მონაწილე წევრების გენერალური ასამბლეა. ორგანიზაციას გააჩნია მეთვალყურის სტატუსი იუნესკოსა და გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში. ფედერაციას გააჩნია რეგიონული კომისიები ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ლათინურ ამერიკაში. ფედერაციის ბიუროს შტაბ-ბინა იმყოფება ბუდაპეშტში. იყო სსრკ-ის გავლენის ქვეშ.

**დენკთაში** (Denktas) რაუფ (დ. 1924), კვიპროსის თურქული თემის ლიდერი.

განათლება მიიღო ინგლისში. მუშაობდა კვიპროსზე ინგლისის კოლონიურ ადმინისტრაციაში. 1956-59 – კვიპროსის გენერალური პროკურორის მოადგილე. 1963-68 ტერორისტული საქმიანობისათვის იმალებოდა თურქეთში. 1975-დან – „კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფოს“ პრეზიდენტი თურქების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე; 1983-დან – „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ პრეზიდენტი. ხელახლა აირჩიეს 1995 წლის 14.IV.

**დენონსაცია** (ფრანგ. dénonciation), საერთაშორისო (ორმხრივი ან მრავალმხრივი) გამოსვლა ან ასეთი ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საშუალება, სახელმწიფოს მიერ თავისსავე დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმა.

დ. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული და სამართლებრივი ფორმაა, რომელიც ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: დ-ის უფლება გათვალისწინებულ უნდა იქნას თვით ხელშეკრულებაში (მაგ.: მუხლი 56, ვენის 1986 კონვენციისა საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო ხელშეკრულების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს ხელშეკრულებების შესახებ). დ-ს ადგილი უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებაში გათვალისწინებული წესის დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება სადავოდ იქცეს. საერთო პირობას დ-ის კანონიერებად ცნობისას წარმოადგენს მხარეების მიერ წინასწარი შეტყობინების ერთმანეთისათვის გაგზავნა. ასეთი შეტყობინება იგზავნება ხელშეკრულების მონაწილის შიდაკანონმდებლობის საფუძველზე.

დ. ზოგიერთი ხელშეკრულებისა აკრძალულია, ზოგ ხელშეკრულებაში კი იგი საერთოდ არ არის მოხსენიებული. ამ შემთხვევაში, ვენის 1969 კონვენციის თანახმად (კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ), შეიძლება ივარაუდებოდეს ე.წ. ნაგულისხმევი დ. მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების დ-ს ძალა

აქვს მხოლოდ იმ სახელმწიფოთათვის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს დ-ის შესახებ.

**დენ-სიაო-პინი** (1904-97), ჩინეთის კომუნისტური პარტიის (ჩკპ) მოღვაწე. უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში. 1924 გახდა ჩკპ-ის წევრი. 1925-27 სწავლობდა სსრკ-ში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოღვაწეობდა სამხედრო სფეროში. 1945 აირჩიეს ჩკპ-ის ცენტრალური კომიტეტის წევრად. მას შემდეგ ეკავა მაღალი სახელმწიფო, პარტიული და სამხედრო თანამდებობანი. სიცოცხლის ბოლო წლებში ოფიციალურ თანამდებობაზე აღარ იმყოფებოდა.

**დეპოზიტარი** [საერთაშორისო სამართალში (ლათ. depositum – შესანახად მიბარებული ნივთი)], ნიშნავს ორ ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების (დათქმის, განცხადების, მიერთების, რატიფიკაციის, დენონსაციის და სხვ.) ორიგინალური ტექსტის შემნახავს. დ. შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის მთავარი ადმინისტრაციული პირი (ვენის 1969 კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, მუხლი 76). დ. მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმალურ ფუნქციონირებაში. თვით დ-ის ფუნქციები შემდეგში მდგომარეობს: ინახავს მისთვის გადაცემულ უფლებამოსილებათა დოკუმენტებს, ამზადებს ტექსტის დამოწმებულ ასლებს, იღებს დოკუმენტებს რატიფიკაციისა და მიერთების შესახებ და ატყობინებს დანარჩენ მხარეებს ხელშეკრულების ახალი მხარის შესახებ, აკეთებს განცხადებას ხელშეკრულების ძალაში შესვლის შესახებ, როცა დაგროვებული იქნება მიერთების ან რატიფიკაციის საჭირო რაოდენობა.

დ-ის ფუნქციები საერთაშორისო ხასიათს ატარებენ და მიუკერძოებლად უნდა იქნენ განხორციელებულნი. აღნიშნული ფუნქციების განხორციელებაზე არ უნდა ახდენდეს გავლენას დ-ის დამოკიდებულება მეორე მხარესთან (სახელმწიფოსთან ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან). დ-ისა და ზოგიერთ სახელმწიფოს შორის ურთიერთობების მოუწესრიგებლობამ 60-იან წლებში გამოიწვია რამდენიმე დ-ის ინსტიტუტის შექმნა. ასე მაგ.: 1963 ხელშეკრულებას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყლის ქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ჰყავს სამი თანასწორუფლებიანი დ.: აშშ, ინგლისი და ყოფილი სსრკ (დღეისათვის რუსეთი). მსგავსი სიტუაციაა 968 ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ხელშეკრულებებს, რომლებიც დეპონირებული იქნება საერთაშორისო ორგანიზაციებში, ისინი ითვალისწინებენ (ვენის 1986 საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოთა ხელშეკრულებების შესახებ კონვენციის 77-ე მუხლის თანახმად) ერთ დ-ს – მხოლოდ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას.

დ. უფლებამოსილია შეამოწმოს ხელმოწერათა, რატიფიკაციის და მიერთების სიგელთა და დათქმათა დოკუმენტების შესაბამისობა ვენის კონვენციებთან. შეუსაბამობის შემთხვევაში დ-ს არ გამოაქვს არავითარი გადაწყვეტილება. მისი ფუნქციები ხელშეკრულების მხარეთა ინფორმირებით ამოიწურება.

*ლიტ.* Курс международного права, т.4, М., 1990; Венская Конвенция 1969г. о праве международных договоров. Работа Комиссии Международного права. 3-е издание. Нью-Йорк, 1982; Венская Конвенция по праву договоров между государствами и международными организациями или между международными организациями, Вена, 1986; Т а л а л а е в А.Н., Право международных договоров, М., 1980; Ш и б а е в а, Право международных договоров (договоры с участием международных организаций), М., 1989.

**დეპონირება** (საერთაშორისო სამართალში) (ლათ. deponere – შესანახად გადაცემა), ნიშნავს დეპოზიტარისათვის საერთაშორისო ხელშეკრულების, სარატიფიკაციო სიგელის, ხელშეკრულებისადმი მიერთების ან სხვა მასთან დაკავშირებული დოკუმენტის ორიგინალის გადაცემას.

დოკუმენტის დ., როგორც წესი, ხდება დიპლომატიური ან სხვა უფლებამოსილი პირის (წარმომადგენლის) მიერ და ფორმდება სპეციალური ოქმით ან დეპოზიტარი საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოში.

*ლიტ.:* Т а л а л а е в А.Н., Право международных договоров, М., 1980.

**დეჟანი** (Dejean) მორის ერნესტ ნაპოლეონ (1899-1982), ფრანგი დიპლომატი.

1926-დან დიპლომატიურ სამსახურშია. მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, გერმანიაში საფრანგეთის საელჩოში (1929-39) 1939-40 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯერ კაბინეტის უფროსის მოადგილე, შემდეგ კაბინეტის უფროსი. საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ მიემხრო გენერალ დე გოლს. 1941 – მოძრაობა თავისუფალი საფრანგეთის პოლიტიკური საკითხების სამმართველოს უფროსი; 1941-42 – ლონდონში *საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის* დიპლომატიური მრჩეველი; 1943-44 – ამ კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სამოკავშირეო მთავრობებთან ლონდონში; 1944-45 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი. მონაწილეობდა *1945 სან-ფრანცისკოს კონფერენციის* მუშაობაში. 1945-49 – საფრანგეთის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში; 1949-50 – რურის საერთაშორისო ადმინისტრაციაში საფრანგეთის წარმომადგენელი; 1950-52 – შორეულ აღმოსავლეთში მოკავშირეთა უმაღლეს მთავარსარდალთან არსებული ფრანგული მისიის ხელმძღვანელი (ტოკიო); 1952-54 – საფრანგეთის ელჩი იაპონიაში; ერთდროულად 1953-54 – უმაღლესი კომისარი ინდოჩინეთში; 1954 – საფრანგეთის მთავრობის დიპლომატიური მრჩეველი; 1955 – ლიბიაში საფრანგეთის მისიის მეთაური; 1956-64 – საფრანგეთის ელჩი სსრკ-ში.

1965-73 შედიოდა მთელი რიგი კომპანიების ადმინისტრაციული საბჭოების შემადგენლობაში.

**დერბი** (Derby) ედუარდ ჰენრი სტენლი (1826-93), გრაფი, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1848-69 – თემთა პალატის წევრი; 1869-დან – ლორდთა პალატის; 1858 – კოლონიების მინისტრი, შემდეგ საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარე, ინდოეთის საქმეთა მინისტრი; 1866-68 და 1874-78 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1882-85 – კოლონიების მინისტრი; 1886-91 – ლიბერალ-იუნიონისტების ლიდერი ლორდთა პალატაში.

**დესპანი**, ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორეში, ელჩზე მცირე კლასისა და რანგისა.

*ვენის 1961 კონვენციით დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ*, რომლითაც დაწესებულია დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები (დიპლომატიურ წარმომადგენლო-

ბათა მეთაურების კლასიფიკაცია), დ. II კლასის დიპლომატიური წარმომადგენელია (დ-ის კლასის მიეკუთვნება ინტერნუნციუსი – ვატიკანის II კლასის დიპლომატიური წარმომადგენელი). დ. აკრედიტებულია სახელმწიფოს მეთაურთან (იგზავნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ უცხო სახელმწიფოს მეთაურთან).

დ-ის რანგი, ისევე როგორც სხვა დიპლომატიური რანგები (წოდებანი, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიურ მუშაკებს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და საზღვარგარეთულ ორგანოებში), განისაზღვრება შინასახელმწიფოებრივი სამართლით. დ-ის რანგის სრული სახელწოდებაა „საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი“. საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 29 აპრილის კანონით, „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ („საქართველოს პარლამენტის უწყებები“, 1993, №6, მუხ.99), დ-ს ეწოდება „საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი“ (შეიძლება იყოს პირველი კლასის საგანგებო და სრულუფლებიანი დ. და მეორე კლასის საგანგებო და სრულუფლებიანი დ.). დ. და საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი წარმოადგენენ უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურში (საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში). დ-ის რანგი ენიჭებათ საქართველოს მოქალაქეებს. მას ანიჭებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური (ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით).

მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამდე ტერმინი „დესპანი“ აღნიშნავდა სხვა ქვეყანაში სპეციალური მისიით, რაიმე გარკვეული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალების შესასრულებლად (დიპლომატიური მოლაპარაკების, ხელშეკრულების დადების მიზნით) წარგზავნილ საგანგებო პირს. ძველ ქართულში დ-ის მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინები „ელჩი“ და „მოციქული“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, დ. („დიასპანი“) „ელჩია თუ რაღაც გაგზავნილი კაცი“, „მსგავსი მოციქულისა“. იგი არის „მეფისაგან მეფესთან მიგზავნილი მოციქულად საქმესა რასმე ზედა“ („მეფის მოციქული სხვას მეფესთან“, „მოციქულნი მეფისანი წინაშე მეფეთასა“). ხანგრძლივად, დიდი ხნით წარგზავნილ დ-ს ომირა – „დიდი დესპანი“ ეწოდებოდა („ომირა არის დესპანი ხანგრძლივად მყოფი“). ომირა დროებითიდან მუდმივ საწყისებზე გარდამავალ დიპლომატიურ წარმომადგენლად ივარაუდება.

დ. სხვადასხვაგვარ წყაროებში იხსენიება, როგორიცაა ოშკის ბიბლია (გადაწერილია 978), ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (XI ს.), ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1783 ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტატი), დ. გურამიშვილის „დავითიანი“ (XVIII ს.) და სხვ. „შუშანიკის წამებაში“ (V ს.) ნახსენებია სადიასპანო ცხენი („წარმოჰმართა სადიასპანოითა ცხენითა ძონაი თვისი“). დ-ს დანიშნულებისამებრ „წასავენებელნი“ აზრი–„მოხსენებანი“ როგორც სიტყვიერად, ისე წერილობითაც მიეცემოდა. დავით ბატონიშვილის საკოდიფიკაციო პროექტით (შედგენილია XVIII-XIX სს. მიჯნაზე), მეფის დ-ის „ნებსით“ გამძარცველისა და მკვლელისათვის გათვალისწინებულია ჩამოხრჩობა („თვინიერ [illegible]ლისა შეწყალებისა მოეკიდოს ძელსა“). ასეთი სასჯელი დასაბუთებულია იმით, რომ დ. „სახე არს წარმომგზავნელისა თვისისა და ... ჯერ-არს მეზობელთა პატივის-ცემაი მეზობელთაგან“. დ-დ წარგზავნილი კაცი კი „მცბიერებით“ მოქცევისათვის „მსგავსად ორგულთა“ დაისჯებოდა.

წყარო: ა ბ უ ლ ა ძ ე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ. 1973; ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს-ს., თხზ., 4 ტომად, ტ.IV, ნაკვ.1-2, თბ., 1965-66; სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., თბ., 1964; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ქართული სამართლის ძეგლები ი. დოლიძის გამოც., ტ.2, თბ., 1965.

ლიტ.: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., ზოგიერთი ქართული დიპლომატიური ტერმინის შესახებ (მოციქული, დესპანი, ელჩი). - წგ.: „ქართული დიპლომატია“. წელიწდეული, II, თბ., 1995.

**დეტანტი**, იხ. *საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.*

**დეულინოს ზავი 1618**, დაიდო რუსეთსა და რეჩ-პოსპოლიტას შორის 1(11). XII სოფ. დეულინოში (ტროიცე-სერგის ლავრასთან ახლოს, ახლანდ. ქ.ზაგორსკი) 14 წლით. დაამთავრა თოთხმეტწლიანი პერიოდი პოლონეთის ინტერვენციისა რუსეთის ტერიტორიაზე. დ.ზ-ით, პოლონეთს გადაეცა ნოვგოროდ-სევერსკის, ჩერნიგოვისა და სმოლენსკის მიწები (ვიაზმამდე). დაზავების მძიმე პირობები შეცვალა *ანდრუსოვოს ხელშეკრულებამ* 1667 და დაზავებამ პოლონეთთან *„საუკუნო ზავის“* შესახებ 1686.

**დიაკები დუმისა**, რუსეთის სახელმწიფოს სამთავრობო ადმინისტრაციის XVI-XVII სს. უბრალო დიაკებისაგან განსხვავებით, დ.დ-ისა უფლება ეძლეოდათ მონაწილეობა მიეღოთ ბოიართა სათათბიროში სახელმწიფო საქმეების გარჩევის დროს. ინიშნებოდნენ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან პრიკაზებში, ხელს აწერდნენ დიპლომატიურ დოკუმენტებს.

**დიალო** (Dialo) ელ-ჰაჯ საიფულაი (1923-81), გვინეის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1958-63 – ეროვნული კრების თავმჯდომარე და იმავდროულად გვინეის დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი; 1963-69 – ფინანსებისა და დაგეგმარების სახელმწიფო მინისტრი; 1969-72 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1972-73 – პრეზიდენტის კანცელარიის განმგებლობაში შემავალი მინისტრი; 1973-79 – სოციალური საქმეების მინისტრი – კოორდინატორი; 1979-81 – ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი; 1981 – გვინეის მმართველი პარტიის პოლიტბიუროს მუდმივმოქმედ სამდივნოსთან კავშირის მინისტრი.

**დიალოგი პოლიტიკური**, ინტერსუბიექტური (სუბიექტთა შორის) კომუნიკაციური ურთიერთქმედების ფორმა, ორმხრივი ურთიერთობის ფორმა (მრავალმხრივი ურთიერთობის – პოლილოგიისაგან განსხვავებით), წარმოებული ენობრივი საშუალებებით, რომლებსაც პოლიტიკური აზრი გააჩნია და მიმართულია ურთიერთინტერესების გამოსავლენად, საერთო პოლიტიკური პოზიციების მოსაძებნად, პრობლემების დროულად გადასაჭრელად, განზრახულობათა მიზნებისა და მოქმედებების შესათანხმებლად და ა.შ. დ.პ. ესაა ხელისუფლების ორივე მხარის პოლიტიკური ნების მშვიდობიანი გზით განხორციელება, რაც რეალური სინამდვილითა და ორივე მხარის დაინტერესებითაა განპირობებული. ზოგადი თვალსაზრისით დ.პ. კონცეპტუალურად დაკავშირებულია საჯაროობასთან და გულისხმობს ურთიერთგაგებას. დ.პ-ის განსაკუთრებული თავისებურებაა მხარეთა ურთიერთქმედების მართვა გარკვეული პრობლემის გადაჭრის – კონფლიქტების რეგულირების, მოქმედებათა კოორდინაციის, თანამშრომლობის ორგანიზაციისა და განმტკიცებისათვის და ა.შ. დ.პ., როგორც ენო-

ბრივი ურთიერთქმედების პროცესი, იგება „კითხვა-პასუხის“ და „თანხმობა-უთანხმოების“ პრინციპებზე. ამიტომაც მას ხშირად თანხმობის ძიების ან შეთანხმების პროცესსაც უწოდებენ. ძველი ბერძნები თავიანთ დიპლომატიურ ურთიერთობებში იყენებდნენ სიტყვა "dialoge"-ს ე.ი. შერიგება, რაც უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე საბრძოლო მოქმედებათა უბრალო შეწყვეტა. დ.პ-ის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მისი კონსტრუქციულობა, ურთიერთსარგებლიანობა, ტერმინი „დიალოგი პოლიტიკაში“ ხშირად იხმარება როგორც მეტაფორა სამყაროს ნაწილებს შორის ურთიერთობის აღსანიშნავად (მაგ. დიალოგი „აღმოსავლეთი-დასავლეთი“, „ჩრდილოეთი-სამხრეთი“). ჩვენს შემთხვევაში დ.პ. ნიშნავს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების პოლიტიკური პროგრამების, კონცეფციების შეთანხმებას დიპლომატიის პრინციპების საფუძველზე.

**ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ „ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ – ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ“**, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარდასაქმნელად გაეროს ჩარჩოებში წარმოებული მოლაპარაკებები წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის.

წინადადება „განვითარებულ ჩრდილოეთსა“ და „ჩამორჩენილ სამხრეთს“ შორის კონსტრუქციული დიალოგის მოწყობის შესახებ პირველად წამოაყენა აშშ-მა გაეროს გენერალური ასამბლეის VII სპეციალურ სესიაზე 1975. ამ იდეას მხარი დაუჭირეს სხვა ინდუსტრიულმა ქვეყნებმაც და 1975 წლის აპრილიდან 1977 წლის ივნისამდე პარიზში, დროდადრო შესვენებით, ჩატარდა კონფერენცია ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ, რომელმაც მიიღო კონფერენცია „ჩრდილოეთი-სამხრეთის“ სახელწოდება და რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. ახალი კონფერენცია „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ ჩატარდა 1981 მექსიკის ქ.კანკუნში, რომლის დროსაც განვითარებადი ქვეყნები მოითხოვდნენ გაეროში „გლობალური მოლაპარაკების“ დაწყებას აქტუალურ ეკონომიკურ საკითხებზე, მაგრამ ეს კონფერენციაც უშედეგოდ დამთავრდა.

სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნები, მართალია, მონაწილეობდნენ დიალოგში, მაგრამ თავს არიდებდნენ გადაწყვეტილებების მიღებას იმ საბაბით, რომ მათ არ აწევთ პასუხისმგებლობა განვითარებადი ქვეყნების ჩამორჩენილობის გამო, რომლებსაც ინდუსტრიული ქვეყნების მონოპოლიები უწევდნენ ექსპლუატაციას. ამასთან ერთად, სოციალისტური ქვეყნები უარყოფდნენ და „ცრუ მეცნიერულ კონცეფციებად“ ნათლავდნენ მსოფლიოს დაყოფას „ჩრდილოეთად“ და „სამხრეთად“, „ღარიბ“ და „მდიდარ“ ქვეყნებად.

*ლიტ.:* Обминский Э.Е., "Группа 77", М., 1981; Орнатский И.А., Экономическая дипломатия, М., 1980.

**ᲓᲘᲐᲡ ᲓᲔ ᲚᲐ ᲙᲠᲣᲡᲘ (Diaz de la Cruz) ᲞᲝᲠᲤᲘᲠᲘᲝ (1830-1915)**, მექსიკის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე.

მექსიკის ბურჟუაზიული რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში 1854-60 აქტიურად იბრძოდა ლიბერალების მხარეზე. 1877-80 და 1884-1911 მექსიკის პრეზიდენტია. ქვეყანაში დაამყარა სასტიკი დიქტატურა. ცდილობდა ბალანსირებას დიდ სახელმწიფოთა შორის. ხელს უწყობდა მექსიკის დაკაბალებას ამერიკული და ინგლისური კაპიტალის მიერ. ცდილობდა უზრუნველეყო მექსიკის მონაწილეობა ამერიკის ქვეყნებს შორის აღმოცენებული კონფლიქტების რეგულირების საქმეში. მისი მმართველობის დროს, 1890 დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა მექსიკასა და რუსეთს შორის. 1911 წლის მაისში დაამხეს და საფრანგეთში გაიქცა.

**ᲓᲘᲓᲘ ᲔᲚᲩᲝᲑᲐ 1697-98**, *პეტრე I-ის* მიერ 9(19).III. 1697 გაგზავნილი რუსეთის დიპლომატიური მისია დასავლეთ ევროპაში. მიზანი იყო რუსეთის მიერ კავშირის გაფართოება და განმტკიცება ევროპის სახელმწიფოებთან თურქეთის წინააღმდეგ ომში, შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებისათვის ბრძოლაში. ელჩობა უნდა გაცნობოდა სამხედრო, საზღვაო და საინჟინრო საქმეს, მოეძებნა გამოცდილი მეზღვაურები და არტილერისტები, შეესყიდა მოწყობილობანი და მასალები გემთმშენებლობისათვის. დიდ ელჩებად დაინიშნენ: თ. ლეფორტი, თ. გოლოვინი და პ. ვოზნიცინი. მათ ამალაში 200 თავადი შედიოდა. ელჩობას თან ახლდა 35 ვოლონტიორი, რომელთაც უნდა შეესწავლათ ხელოსნობა და სამხედრო მეცნიერებანი. მათ შორის, პეტრე მიხაილოვის სახელით, იყო თვით პეტრე I. კურლანდიაში პეტრემ მოლაპარაკება აწარმოა ჰერცოგ ფრიდრიხ კაზიმირთან, შემდეგ ბრანდერბურგში დადო კავშირი კურფიურსტთან. 1697 ჰოლანდიაში ჩავიდა. აქედან მისი ნაწილი 3 თვით ინგლისში გადავიდა. აქ პეტრე I შეხვდა ვილჰელმ III-ს და გაეცნო გემთმშენებლობას. 1698 ელჩობა ვენაში მოლაპარაკებას აწარმოებდა ანტითურქული კოალიციის ყოფილ წევრთან, მაგრამ თურქეთ-ავსტრიის სეპარატული კავშირის ჩაშლა ვერ მოხერხდა. განზრახული იყო ვენეციაში გამგზავრება, მაგრამ სტრელცების აჯანყებამ აიძულა ელჩობა 25. VIII მოსკოვში დაბრუნებულიყო. გზაში პეტრე I შეხვდა პოლონეთის მეფე ავგუსტ II-ს და შვეციის წინააღმდეგ სამომავლო კავშირი დაამყარა მასთან. დ.ე-მ პირდაპირ მიზანს ვერ მიაღწია (რუსეთმა უარი თქვა თურქეთის წინააღმდეგ ომზე), მაგრამ მან მოამზადა ნიადაგი ბალტიისპირეთისათვის საბრძოლველად. ვენაში დატოვებულმა ვოზნიცინმა მონაწილეობა მიიღო *კარლოვაცის კონგრესში* 1698-99.

**ᲓᲘᲓᲘ ᲝᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ 542-562**, მიმდინარეობდა ეგრისში (ლაზიკაში) ბიზანტიასა და ირანს შორის. ეგრისის (ლაზიკის) სამეფო აქტიურად მონაწილეობდა ამ ომში, ხან ბიზანტიელების და ხან ირანელების მხარეზე. VI ს-ის 20-იანი წლებიდან ბიზანტიის ხელისუფლებამ ეგრისში (ლაზიკაში) შემოიყვანა თავისი ჯარის ნაწილები და ჩააყენა მის ციხესიმაგრეებში (სებასტოპოლ-ცხუმში, პიტიუნტში, სკანდასა და შორაპანში), აგრეთვე, გაამაგრა პეტრაციხისძირი და იქ დასვა თავისი სტრატეგოსი, რომელიც აშკარად ერეოდა ეგრისის საშინაო საქმეებში. ბიზანტიის ხელისუფლების ასეთი მოქმედება შედეგი იყო იმისა, რომ 523 ირანელებთან დამარცხებულ ქართლის მეფე *გურგენს* ეგრისში შემოჰყვა ირანელთა ჯარები, რომელთა განმეორებითი შემოჭრები საშიში გახდებოდა ბიზანტიის სახელმწიფო საზღვრების უშიშროებისათვის. ბიზანტიელების ასეთი გააქტიურებით უკმაყოფილო ეგრისის მეფე *გუბაზ II-მ* ელჩები გაგზავნა ირანის შაჰ ხოსრო-ანუშირვან I-თან და დახმარება სთხოვა ბიზანტიელების წინააღმდეგ. ხოსრო-ანუშირვანი კმაყოფილი დარჩა ლაზი ელჩების თხოვნით, თვითონ ჩაუდგა ირანელთა ჯარებს სათავეში და შემოვიდა ეგრისში (ლაზიკაში) 542-549. ეგრისელები (ლაზები) ირანელებთან ერთად იბრძოდნენ ბიზან-

ტიელების წინააღმდეგ და გაათავისუფლეს მათგან ეგრისის ტერიტორია. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა გუბაზ მეფისათვის, რომ ხოსრო-ანუშირევანს მისი მოკვლა და ლაზების ნაცვლად ირანელი ტომების შემოსახლება ჰქონდა გადაწყვეტილი, გაწყვიტა კავშირი მასთან და დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ს მიმართა. *იუსტინიანე I-მა* გუბაზის წინადადება სიამოვნებით მიიღო და ჯარები გამოგზავნა ეგრისში. ამის შემდეგ ბიზანტიელები და ეგრისელები ერთად იბრძოდნენ ირანელების წინააღმდეგ ეგრისის განთავისუფლებისათვის, 562 დარას ხელშეკრულებამდე, რომლითაც ეგრისის სამეფო, სვანეთის გარდა, განთავისუფლდა ირანელებისაგან.

წყ.: აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტექტორი — გეორგიკა, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.3, ტფ., 1936; პროკოპი კესარიელი, იქვე, ტ.2, თბ., 1965.

ლიტ.: გოზალიშვილი გ., ლაზიკის საგარეო ურთიერთობა მეექვსე საუკუნეში, თბ., 1973.

**დიდი სახელმწიფოები**, ამ ტერმინით აღინიშნება ის სახელმწიფოები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საერთაშორისო ურთიერთობებში და აკისრიათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების სფეროში. დ.ს-ის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დამკვიდრებულია საერთაშორისო პრაქტიკაში, თუმცა იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ უმნიშვნელოვანეს პრინციპს – სახელმწიფოთა სრული თანასწორუფლებიანობის შესახებ მათი სიდიდის, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერის მიუხედავად.

პირველად დ.ს-ის არსებობა დაფიქსირებულ იქნა ვენის 1814-15 კონგრესზე. ეს სახელმწიფოები იყო: რუსეთი, პრუსია, ავსტრია, ინგლისი და საფრანგეთი. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში გაძლიერდა სხვა სახელმწიფოთა როლი. ესენია: აშშ, XIX ს-ის ბოლოდან – იტალია, 1905 რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ – იაპონია. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრია-უნგრეთმა შეწყვიტა არსებობა როგორც დ.ს-მ, ხოლო 1871 გაერთიანების შედეგად გერმანიამ პრუსიის ადგილი დაიკავა.

1945 სან-ფრანცისკოს კონფერენციის შემდეგ დ.ს-ად ითვლებიან აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ყოფილი სსრკ (ახლა რუსეთი). აღნიშნული სახელმწიფოები, გაეროს წესდების თანახმად, არიან უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები. თავის დროზე მუდმივი წევრების არჩევის დროს გათვალისწინებულ იქნა აღნიშნულ სახელმწიფოთა როლი ფაშიზმზე გამარჯვებაში. გაეროს წესდების თანახმად, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებზე დაკისრებულია მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში.

თანამედროვე პირობებში დ.ს-ის ტიტულსა და უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრობაზე პრეტენზიას აცხადებენ გერმანია და იაპონია.

**„დიდი შვიდეულის“ თათბირები**, მსოფლიოს შვიდი, ყველაზე მეტად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის (აშშ, გფრ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, იტალია, კანადა) სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების ერთ-ერთი ფორმა. თათბირებზე განიხილება უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს. ტარდება ყოველწლიურად. პირველი ასეთი თათბირის ჩატარების ადგილის სახელწოდების მიხედვით, ხშირად მას „რამბუიეს კლუბსაც“ უწოდებენ (ეს თათბირი შედგა 1975 პარიზის მახლობლად რამბუიეს სასახლეში).

ამ შეხვედრების მიზანია იმ კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობდა ამ ქვეყნებს შორის აღმოცენებულ სავალუტო თუ სხვა ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გადალახვას და განამტკიცებდა მსოფლიოში დემოკრატიულ ქვეყანათა პოზიციებს. ბოლო წლებში ამ თათბირებზე გარკვეული ყურადღება ეთმობა საგარეო-პოლიტიკურ საკითხებსაც (დაძაბულობის შენელება, განიარაღება, ურთიერთობა რუსეთთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან და ა.შ.).

**„დიდი ხელკეტის“ პოლიტიკა** (ინგლ. “Big Stick” Policy), ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში აშშ-ის აშკარად ჩარევის აღმნიშვნელი ფართოდ გავრცელებული განსაზღვრება. გამოიხატებოდა როგორც ინტერვენციაში, ისე ამ ქვეყნების ტერიტორიების ოკუპაციაში, მათზე ეკონომიკური და პოლიტიკური კონტროლის დაწესებაში. „დ.ხ.“პ-ის პრინციპები პირველად ჩამოაყალიბა აშშ-ის პრეზიდენტმა თ.რუზველტმა 1904-05 გამოსვლებში, რითაც აშშ-მა ფაქტობრივად მიისაკუთრა ჟანდარმის როლი დასავლეთის სამყაროში.

„დ.ხ.“პ-ის პრაქტიკულად განხორციელებას წარმოადგენდა აშშ-ის ინტერვენცია კუბაზე 1906-09, ნიკარაგუაში – 1909, დომინიკანელთა რესპუბლიკაში – 1912 და ა.შ.

1933 აშშ-ის პრეზიდენტმა ფ.დ. *რუზველტმა* უარი განაცხადა „დ.ხ.“პ-ზე და იგი შეცვალა „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკით, რომლითაც ლათინური ამერიკის ქვეყნებში აშშ-ის ჩარევის უხეში და ღია ფორმები შეიცვალა უფრო მოქნილი და შენიღბული ფორმებით.

**დიეგო-გარსია** (Diego Garcia), ჩაგოსის არქიპელაგში შემავალი მარჯნის კუნძული, მდებარეობს ინდოეთის ოკეანის ცენტრალურ ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ კუნძული ეკუთვნის მავრიკის სახელმწიფოს, დიდმა ბრიტანეთმა, ვიდრე იგი მავრიკის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას მიანიჭებდა 1965, კუნძული თავის საკუთრებად გამოაცხადა. 1966 დიდმა ბრიტანეთმა კუნძული 50-წლიანი იჯარით გადასცა აშშ-ს, რომელმაც ის ინდოეთის ოკეანეში დიდ სამხედრო ბაზად გადააქცია. კუნძულზე მოთავსებულია აშშ-ის ფლოტთან „კავშირის ცენტრი“, აეროდრომი, საპორტო ნაგებობანი, სარემონტო ბაზა, სამხედრო საწყობები. 1975 აშშ-ის კონგრესმა მოიწონა კუნძულზე ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობის გეგმა, რომლის განხორციელების შემდეგაც ბაზას შეეძლო სტრატეგიული დანიშნულების ავიაციის მიღება. დ-გ. იმავე დროს არის აშშ-ის მე-5 ფლოტის დისლოკაციის ადგილი.

1982 წლის ივლისში მავრიკის სახელმწიფოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც დ-გ-ს კუნძული ქვეყნის განუყოფელ ნაწილად ცხადდებოდა.

**დიენდიოში** (Gyöngyösi) იანოშ (1893-1951), უნგრეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1944-47 – საგარეო საქმეთა მინისტრი. 1945 მოსკოვში ხელი მოაწერა დაზავებას. 1946 მეთაურობდა უნგრეთის დელეგაციას *პარიზის საზავო კონფერენციაზე*. უნგრეთის სახელით ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას 1947. 1947-51 – უნგრეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე.

**დიზრაელი** (Disraeli) ბენჯამინ, გრაფი ბიკონსფილდი (Beakonsfild) (1804-81), ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, კონსერვატორული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, მისი იდეოლოგი და ლიდერი. ბრიტანეთის კოლონიური დაპყრობების სულისჩამდგმელი. 1837-76 იყო თემთა პალატის წევრი, 1876-დან – ლორდთა პალატის წევრი. 1852, 1858-59 და 1866-68 – ფინანსთა მინისტრი, 1868 და 1874-80 – პრემიერ-მინისტრი. 1875 პარლამენტის დაუკითხავად ეგვიპტის ხედივისაგან შეიძინა სუეცის არხის კომპანიის აქციების პაკეტი, რასაც მოჰყვა დიდი ბრიტანეთის მიერ ეგვიპტის ხელში ჩაგდება. 1875-78 აღმოსავლეთის კრიზისის დროს მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთს და თურქეთს, იყო ინიციატორი *ბერლინის კონგრესის* მოწვევისა 1878, რომელმაც გადასინჯა *სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება*. 1878 დ-მა აიძულა ოსმალეთი ინგლისისთვის დაეთმო კ. კვიპროსი. 1878-80 ავღანეთის წინააღმდეგ კოლონიურ ომში დამარცხებამ, 1879 ინგლის-ზულუსების ომში წარუმატებლობამ და ბოლოს, 1880 ბურების აჯანყებამ ტრანსვაალში შეარყია მისი ავტორიტეტი. 1880 კონსერვატორული პარტიის დამარცხების შემდეგ გადადგა.

**დიკო** ნიკოლოზ სერგის ძე (დ. 1928), რუსი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, სახალხო დიპლომატი.

დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. გამოქვეყნებული აქვს შრომები წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებზე. არჩეულია (1977) კოლუმბიის სიმონ ბოლივარის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. არის საერთაშორისო ჰუმანიტარულ ინიციატივათა ფონდის პრეზიდენტი, სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტისა და საერთაშორისო კვლევითი ასოციაციის „გონების განვითარების გლობალური პრობლემები და საერთაშორისო ურთიერთობების ჰუმანიზაცია" – კოორდინატორი, „საქართველოს რესპუბლიკასთან მეგობრობის, კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საერთაშორისო ასოციაციის" ვიცე-პრეზიდენტი. აქტიურ მონაწილეობას იღებს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში. მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით შეიქმნა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო მისია.

**დიმიტრი ბატონიშვილი** (გ. 1452), სახელმწიფო მოღვაწე. *ალექსანდრე I* დიდის (1412-42) ძე. გარკვეულ პერიოდში ქართლის გაღმა მხარეში „მეფის" ტიტულით მოღვაწე ანუ ე.წ. „პროვინციის მეფე". აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის შინაპოლიტიკური საკითხების წარმოების საქმეში. ასრულებდა დიპლომატიურ დავალებებსაც: 1433 მეფე ალექსანდრე I-მა დ.ბ. „დიდი ძღვენით" წარგზავნა შემოსეული დამპყრობლის – „შარუხის" (შაჰრუხის) კარზე მშვიდობის – ზავის თხოვნით. დიდი პატივით იქნა მიღებული და მისია დ.ბ-ის ხელმძღვანელობით წარმატებით დასრულდა.

ლიტ.: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

**დიმიტრი ბატონიშვილი** (XV ს. ბოლო – XVI ს. I ნახ.), *ალექსანდრე I* კახთა მეფის (1476-1511) უმცროსი ძე, მამის პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერი. ალექსანდრე მეფის მიერ ელჩად იქნა წარგზავნილი შაჰ-*ისმაილთან*, სადაც იგი სათანადო პატივით მიიღეს. მოლაპარაკებების შედეგად დაბრუნდა „ზავითა მშვიდობისათა". უმცროსი ძმის – დიმიტრი ბატონიშვილის აქტიურობამ და ასეთმა წარმატებამ გაამწვავა ურთიერთობა უფროს ძმასთან – გიორგი ბატონიშვილთან (ავ-გიორგი), რომელსაც ისიც აშფოთებდა, რომ შაჰის კარზე მეფემ იგი კი არა, დიმიტრი წარავლინა. დ.ბ. ალექსანდრე I კახთა მეფესთან ერთად ქართლის სამეფოს მიმართ მშვიდობიანი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო. იგი ავ-გიორგის მიერ ქართლის წინააღმდეგ მიმართულ საომარ გეგმას წინ აღუდგა, რასაც აშკარა კონფლიქტი მოჰყვა: ავ-გიორგიმ ალექსანდრე I კახთა მეფე მოკლა, ხოლო დ.ბ-ს თვალები დათხარა. იგი იძულებული გახდა ქართლში გადმოსულიყო. დიმიტრის შვილის – დავითის შთამომავლებისაგან ბაგრატიონთა სამეფო სახლის ბაგრატიონ-დავითიშვილთა განშტოება ჩამოყალიბდა.

ლიტ.: ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი – წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ.2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, იქვე, ტ.4, თბ., 1973.

**დიმიტროვი** გიორგი მიხაილოვ (1882-1949), ბულგარეთისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მოღვაწე. 1903 შევიდა ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში (ე.წ. ტესნიაკები), რომელიც 1919 კომუნისტურ პარტიად გარდაიქმნა. 1913-23 – ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატი. 1921 მონაწილეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის მუშაობაში. 1923 სხვებთან ერთად ხელმძღვანელობდა ანტიფაშისტურ შეიარაღებულ აჯანყებას ბულგარეთში, რომლის ჩახშობის შემდეგ იმყოფებოდა ემიგრაციაში. 1933 დააპატიმრეს ბერლინში რაიხსტაგის დაწვის ბრალდებით. ჰიტლერელების მიერ ინსცენირებულ ლაიფციგის სასამართლო პროცესზე ნიღაბი ახადა ფაშიზმს, მის არსსა და მოქმედების მეთოდებს, რითაც დიდი მორალური დარტყმა მიაყენა მას. 1934-45 იმყოფებოდა სსრკ-ში. 1935-43 იყო კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის გენერალური მდივანი.

1942-დან ხელმძღვანელობდა ბულგარეთის სამამულო ფრონტს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბულგარეთში. 1945 დაბრუნდა სამშობლოში. 1946 წლის ნოემბრიდან მეთაურობდა ბულგარეთის მთავრობას, 1948 წლის დეკემბრიდან – ბულგარეთის კომუნისტურ პარტიას.

**დიოკლეტიანე** (Diocletianus), (კეისარი გაიუს ავრელიუს ვალერიუს დიოკლეტიანე ავგუსტუსი (245-316), რომის იმპერატორი 284-305. გააუქმა პრინციპატის გარეგნულად რესპუბლიკური სახე და ხელისუფლების ფორმას რეალური სახელი – დომინანტი (dominus – ბატონი) უწოდა. იყო ლიბერტინის შვილი. განვლო რომის იმპერიაში არსებული ყველა საფეხური ჯარისკაციდან იმპერატორობამდე. გაატარა მრავალი რეფორმა. აწარმოებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა სპარსეთთან ომში. 298-299 დაამარცხა სპარსეთი და დაიბრუნა სომხეთი და მესოპოტამია.

**დიონისე**, ბიზანტიელი ელჩი (V ს-ის მეორე ნახევარი), ჩამოვიდა ეგრისში (დაახლ. 464-65), იმპერატორის დავალებით, რათა მოლაპარაკებოდა ბიზანტიის ხელისუფლებისაგან გამდგარ ეგრისის მეფე *გუბაზ I*-ს. მან გუბაზს აუწყა იმ-

პერატორის გადაწყვეტილება – გამოცხადებულიყო კონსტანტინოპოლში. მეფემ დ-გან მიიღო გარანტია მისი უშიშროების დაცვისა ბიზანტიის დედაქალაქში და მასთან ერთად ჩავიდა იქ (465).

წყარო: პ რ ი ს კ ე  პ ა ნ ი ო ნ ე ლ ი. - წგ: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის და ალ.გამყრელიძის გამოც., ტ.I, თბ., 1961.

**დიონ კასიოსი (კოკეიანოსი)** (Dion Kassios, Dio Cocceianus) (დაახლ. 160-235), ბერძენი ისტორიკოსი და რომაელი სენატორი. დაიბადა ბითინიის ქ.ნიკეაში, იმპერიის დიდმოხელის ოჯახში. ეკუთენოდა პროვინციული არისტოკრატიის ზედა ფენას. ეჭირა მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი (ორჯერ იყო არჩეული კონსულად).

დ.კ-ის „რომის ისტორიაში" (80 წიგნად) გადმოცემულია ვრცელი პერიოდი რომის დაარსებიდან 229-მდე. თხზულებაში მრავალი საყურადღებო ცნობაა დაცული იბერიის დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ. ისტორიკოსის თანახმად, მითრიდატული ომების დასასრულს, საქართველოს საზღვრებთან მოსულ რომაელებს იბერიის მეფე არტოკემ (იხ. *არტაგი*) ელჩები გაუგზავნა და მეგობრობა შესთავაზა. სინამდვილეში არტოკეს მტრის ყურადღების მოდუნება ჰქონდა გამიზნული და ფარულად ლაშქრის შეგროვება დაიწყო. *პომპეუსმა* გაუგო განზრახვა, დაუსხა თავს და დაამარცხა. დ.კ. ვრცლად აღწერს პომპეუსისა და არტოკეს გაჭიანურებულ საზავო მოლაპარაკებას. რომაელი სარდალი ზავზე დათანხმდა მას შემდეგ, როდესაც არტოკემ შვილები გაუგზავნა მძევლებად.

იბერიის დიპლომატია უფრო გამოკვეთილად ჩანს ახ.წ. I ს-ის მოვლენებთან კავშირში. დ.კ-ის სიტყვებით, იბერიამ მოხერხებულად გამოიყენა პართიასა და რომს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი, დაიკავა რომის მხარე და აქტიურად გამოვიდა პართიის აგრესიის წინააღმდეგ. იბერია-რომის კავშირის შედეგად მოჰყვა სომხეთში იბერი უფლისწულის მითრიდატეს გამეფება. დ.კ-ის ფრაგმენტი ეთანხმება კორნელიუს ტაციტუსის ცნობას, რომლის მიხედვითაც, I ს-ის 30-50-იან წლებში სომხეთის სამეფო ტახტი იბერიის სამეფო გვარის ხელში იყო მოქცეული.

**დიპლომატი**, სახელმწიფოს თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას თავისი სახელმწიფოსა და უცხო სახელმწიფოს ოფიციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. როგორც წესი, ეს არის საგარეო ურთიერთობათა უწყებების (ცენტრალური ან საზღვარგარეთის) თანამშრომელი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ უწყების საგარეო ოფიციალური კონტაქტების განხორციელებაში დროებით ან მუდმივად.

**დიპლომატია**, სახელმწიფოს საგარეო საქმიანობის განხორციელების მშვიდობიანი ფორმა. იგი წარმოადგენს პრაქტიკული მეთოდებისა და ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება კონკრეტული პირობების ან გადასაწყვეტი ღონისძიებების ხასიათის შესაბამისად.

ვიწრო გაგებით „დიპლომატიაში" იგულისხმება მოლაპარაკებათა წარმოების ხელოვნება, რომელიც მიმართულია საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრისაკენ, სახელმწიფოთა ინტერესების ბალანსირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ.

დ. დაფუძნებულია და ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და მოთხოვნებზე. ამასთან, თავის მხრივ, იგი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის გარკვეული ნორმების შექმნისა და განხორციელების საშუალებას.

ყველაზე გავრცელებული ფორმა დ-ისა არის ოფიციალური ვიზიტები და მოლაპარაკებანი უმაღლეს დონეზე. დიპლომატიური კონგრესები და კონფერენციები, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მომზადება და დადება, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სახელმწიფოს წარმომადგენლობის საზღვარგარეთ მუშაობა, დიპლომატიური მიმოწერა და სხვ.

სახელმწიფოს დიპლომატიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს ზოგადად მთავრობა, ხოლო უშუალოდ ახორციელებს საგარეო საქმეთა უწყება.

**დიპლომატია მრავალმხრივი**, დიპლომატიური საქმიანობის განხორციელება რამდენიმე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც ეხება საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო კონფერენციების კონსულტაციების ან მოლაპარაკებების საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობას. დ.მ-ის მნიშვნელობა და როლი მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციების როლისა და რაოდენობის გაზრდის შედეგად. გარდა ამისა, გლობალური პრობლემების წარმოშობამ განაპირობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობა. გლობალური პრობლემები არ შეიძლება გადაჭრილ იქნეს ძველი მეთოდებითა და ხერხებით. ახალი მეთოდების როლს კი მიეკუთვნება დ.მ., რომელიც ზოგადსაკაცობრიო ინტერესების მიღწევის საუკეთესო გზაა. ასე მაგ.: ტრადიციული, ორმხრივი დიპლომატიისაგან განსხვავებით, დ.მ. ფართოდ იყენებს საჯარო განხილვების, აზრთა გაცვლა-გამოცვლის ხერხებს, იღებს რეზოლუციებს, დეკლარაციებს, კონვენციებსა და ოქმებს, რომლებშიც მუშაობისას მიღებული გადაწყვეტილებებია ასახული.

დ.მ-ის უნიკალური მაგალითი იყო გაეროს საზღვაო სამართლის III კონფერენცია, რომელიც 15 წლის განმავლობაში მუშაობდა და რომელშიც მსოფლიო სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა (150) მონაწილეობდა.

**დიპლომატიური აგენტი**, ვენის 1961 დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ კონვენციის თანახმად, არის დიპლომატი, ანუ დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის წევრი, ეს არის პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციების განხორციელებაში.

**დიპლომატიური ავადმყოფობა** (Diplomatic Illness), ხშირად პოლიტიკური მოღვაწის ან მოლაპარაკებაში მონაწილე დიპლომატისათვის არასასურველია რომელიმე ცერემონიალში ან მოლაპარაკებაზე დასწრება. მეორე მხარის წყენინების თავიდან აცილების მიზნით, იგი ავადმყოფობას იმიზეზებს. როცა ეს ავადმყოფობა მოგონილია, მას დ.ა-ს უწოდებენ.

ლიტ.: Н и к о л ь с о н Г., Дипломатия, пер. с англ., [М.], 1941, с.136.

**დიპლომატიური აკადემია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსი**, ყოფილი სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია – სპეციალური უმაღ-

ლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც ამზადებს ხელმძღვანელ დიპლომატიურ კადრებს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემისათვის. დაარსდა 1974 სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლომატიური სკოლის ბაზაზე, რომელიც, თავის მხრივ, დაარსდა 1939. აკადემიაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომელთაც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ.

სასწავლო პროცესთან ერთად აკადემიაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც წარმოებს – იკვლევენ რუსეთისა და სსრკ-ის საგარეო პოლიტიკას, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის, საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და სხვა საკითხებს. აკადემია უშვებს სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებს. 1982-დან გამოდის „დიპლომატიური წელიწდეული". ადგილსამყოფელია ქ.მოსკოვი.

**დიპლომატიური არქივი**, დოკუმენტური მასალების ერთობლიობა, რომელიც შეგროვებულ იქნა საგარეო საქმეთა უწყების ან მისი საზღვარგარეთ არსებული წარმომადგენლობის მუშაობის შედეგად.

საერთაშორისო პრაქტიკაში ტერმინი დ.ა. ძირითადად გამოიყენება დიპლომატიური და საკონსულო არქივების აღსანიშნავად. ვენის 1961 დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ კონვენციის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის არქივები და დოკუმენტები ნებისმიერ დროს და მათი ადგილმდებარეობისდა მიუხედავად ხელშეუხებელია.

**დიპლომატიური აქტი**, სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და ამ სახელმწიფოში მყოფ უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის, აგრეთვე სხვადასხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის მიმოწერის დოკუმენტთა საერთო სახელწოდება.

დ.ა-ებია დიპლომატიური ნოტა, სამახსოვრო ბარათი, მემორანდუმი და სხვ.

**დიპლომატიური ენა**, ტერმინი, რომელიც დიპლომატიურ პრაქტიკაში გამოიყენება იმ ენის აღსანიშნავად, რომელზეც წარმოებს ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა და დგება დიპლომატიური დოკუმენტები.

დ.ე-ში ასევე იგულისხმება ერთობლიობა ტერმინებისა, ფრაზებისა, რომლებიც შედის ოფიციალურ და საყოველთაოდ მიღებულ დიპლომატიურ ლექსიკონში: აგრემანი, რწმუნების სიგელი, მოდუს ვივენდი, სტატუს-კვო და სხვ.

საერთაშორისო კონფერენციების პროცედურული წესები ითვალისწინებენ, რომ ყველა დიპლომატიური დოკუმენტი, იქმი, დასკვნითი აქტი თარგმნილი და რედაქტირებულ უნდა იქნეს კონფერენციის ოფიციალურ ენებზე.

**დიპლომატიური თავშესაფარი**, დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის, ან სამხედრო გემის ტერიტორიაზე რომელიმე პირისათვის თავის შეფარების უფლების მიცემა პოლიტიკური მოტივებით დევნისაგან თავის აცილების მიზნით.

დ.თ-ის მიცემა გავრცელებული იყო ჯერ კიდევ XVI-XVIIსს. თანამედროვე საერთაშორისო სამართლით, დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის ხელშეუხებლობა, ასევე სამხედრო გემის ექსტერიტორიულობა არ იძლევა უფლებას, მიეცეს თავშესაფარი იმ პირებს, რომლებსაც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალნი დევნიან სამართალდარღვევისათვის. აღნიშნული დებულება აისახა ვენის 1961 კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ მიზნებისათვის, რომლებიც არ შეესატყვისება მის ოფიციალურ მიზნებსა და ამოცანებს. სახელმწიფოთა უმრავლესობა უარყოფითად ეკიდება და არ ცნობს დ.თ-ის უფლებას, გამონაკლისს წარმოადგენენ ლათინური ამერიკის სახელმწიფოები (თუმცა პრაქტიკა აქაც არაერთგვაროვანია და ლათინურამერიკელი იურისტები სხვადასხვა მოსაზრებებს გამოთქვამენ აღნიშნულ საკითხზე). ამ რეგიონის სახელმწიფოთა შორის არის დადებული რამდენიმე კონვენცია, რომელიც არეგულირებს დ.თ-ის მიცემის სამართლებრივ საკითხებს. ასე მაგ.: ჰავანის 1928, კარაკასის 1954 კონვენციები და სხვ.

ლიტ.: Галенская Л.Н., Право убежища, М., 1968, с.94–113.

**დიპლომატიური კლასები და რანგები**, დიპლომატიურ პრაქტიკაში ჩამოყალიბებული და საერთაშორისო სამართლით განმტკიცებული სახელწოდებანი დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურისა, რომლებიც შეესაბამება მათ მიერ წარმოდგენილ წარმომადგენლობების კლასსა და სახელწოდებას. ამა თუ იმ დიპლომატიური კლასისადმი მიკუთვნება განაპირობებს დიპლომატიური წარმომადგენლის მდგომარეობასა და ადგილს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში.

1961 ვენის დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად: „წარმომადგენლობათა მეთაურობა დაიყოფა სამ კლასად, კერძოდ:

ა) ელჩებისა და ნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურებთან.

ბ) დესპანებისა და ინტერნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურთან:

გ) საქმეთა რწმუნებულების კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საგარეო საქმეთა წარმომადგენლებთან. აღნიშნული კლასების დიპლომატიურ წარმომადგენელთა შორის არავითარი იერარქიული განსხვავება არ უნდა იქნეს გატარებული. განსხვავების დაშვება შეიძლება მხოლოდ დიპლომატიურ უფროს-უმცროსობისა და ეტიკეტის წესებისგან გამომდინარე. ამავე კონვენციის მე-15 მუხლის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის კლასი განისაზღვრება სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებით და განისაზღვრება, როგორც წესი, წარმომადგენლობის დონით. სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ დიპლომატიური წარმომადგენლობის ერთსა და იმავე დონეზე და ცვლიან ერთი და იმავე კლასის წარმომადგენლებს.

დიპლომატიური რანგები სამსახურებრივი წოდებებია, რომლებიც ენიჭება საგარეო საქმეთა უწყებებისა და საზღვარგარეთ არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალს. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში ხშირი იყო ელჩებს შორის წამოჭრილი კონფლიქტური სიტუაციები, დიპლომატიური რანგების ერთიანი საერთაშორისო კლასიფიკაციის არარსებობის გამო. აღნიშნული საკითხი პირველად გადაწყდა ვენის 1815 და აახენის 1818 კონგრესებზე მიღებული სპეციალური გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც ვენის 1961 დიპლომატიური ურთ-

იერთობების შესახებ კონვენციის მიღებამდე მოქმედებდნენ და საერთაშორისო დიპლომატიური პრაქტიკის საფუძველს წარმოადგენდნენ. დიპლომატიური რანგები ყველა ქვეყანაში წესდება სახელმწიფოთა საშინაო კანონმდებლობის მიხედვით, ამავე დროს, სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა ითვალისწინებს საერთაშორისო პრაქტიკაში: ატაშე, მესამე მდივანი, მეორე მდივანი, პირველი მდივანი, მრჩეველი, დესპანი, რწმუნებული, ელჩი. როგორც წესი, აღნიშნულ რანგებს შეესაბამება ის თანამდებობა, რომელიც დიპლომატს უკავია. თვით რანგებს შორის შეიძლება არსებობდეს გარკვეული ტრადიცია – პირველი კლასის მრჩეველი, მეორე კლასის მრჩეველი. ეს პირადი რანგები დიპლომატებს ენიჭებათ კვალიფიკაციისა და სამსახურის გაწევის წარმატებულობის მიხედვით.

ელჩისა და დესპანის რანგის მინიჭება შედის სახელმწიფოს მეთაურის პრეროგატივაში, სხვა რანგებს ანიჭებს საგარეო საქმეთა მინისტრი.

**დიპლომატიური კონტაქტები**, სახელმწიფოთა ხელმძღვანელი პირების ან სპეციალურად უფლებამოსილი პირების პირადი კონტაქტები. დ.კ. დამყარდება და ვითარდება სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა დონეზე, საგარეო საქმეთა მინისტრების, დიპლომატებისა და სხვა ოფიციალური წარმომადგენლების მეშვეობით (მიერ). დ.კ. ხორციელდება პერიოდული შეხვედრების, დიპლომატიური კონფერენციების, ვიზიტების, მოლაპარაკებების ან დიპლომატიური მიღებების დროს. დ.კ-ის უმნიშვნელოვანესი საფეხურია უმაღლესი დონის შეხვედრები, რომელთა შედეგებიც ხშირად (მით უფრო, როდესაც დიდი სახელმწიფოების ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს) სცილდებიან ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობებზე.

**დიპლომატიური კორპუსი**, იმ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლობების მეთაურთა ერთობლიობა, რომლებიც აკრედიტებულნი არიან მოცემულ სახელმწიფოში. ესენი არიან ელჩები, დროებით საქმეთა რწმუნებულები, მუდმივი საქმეთა რწმუნებულები, ნუნციები და ინტერნუნციები, რომლებიც წარმოადგენენ ვატიკანის წარმომადგენლობათა მეთაურებს.

ტერმინის ფართო განსაზღვრებაში შედის ყველა ის პირი, რომლებსაც წარმომადგენლებად თვლის მაკრედიტებელი სახელმწიფო: მრჩევლები, პირველი, მეორე, მესამე მდივნები, ატაშეები და სხვ. დ.კ-ს მიეკუთვნებიან აგრეთვე დიპლომატიურ მუშაკთა ოჯახის წევრები: მეუღლეები, გაუთხოვარი ქალიშვილები და არასრულწლოვანი ვაჟები. მაკრედიტებელი სახელმწიფო ადასტურებს წარგზავნილთა დიპლომატიურ ხარისხს დიპლომატიური ბარათისა და პასპორტის გაცემით. საგარეო საქმეთა უწყებანი სისტემატურად გამოსცემენ დ.კ-ის ცნობარს, რომელშიც მითითებულია დ.კ-ისა და მათი ოჯახის წევრების გვარები, მისამართები და ტელეფონები.

დ.კ. არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაფუძნებულ ინსტიტუტს. ეს არ არის პოლიტიკური გაერთიანება ან ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ფლობდეს იურიდიული პირის სტატუსს. როგორც წესი, დ.კ. არავითარ პოლიტიკურ გამოსვლებს არ ახორციელებს. საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმების შესაბამისად დასაშვებია დ.კ-ის გამოსვლა ცერემონიალურ საკითხებთან დაკავშირებით (საოქმო საკითხები): მილოცვა ან მისამძიმრება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსათვის. როგორც წესი, დ.კ-ის სახელით გამოდის მისი *დუაიენი*.

ზემოაღნიშნული ტრადიციის მიუხედავად დიპლომატიის ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა დიპკორპუსის, როგორც ერთიანი ინსტიტუტის, გამოსვლას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მთავრობის წინაშე. მაგ.: 1918 წლის 14.1 *ლენინს* პეტროგრადში დიპკორპუსი ეწვია და, დიპკორპუსის სახელით, აშშ-ის ელჩმა, დუაიენმა ფრენსისმა გადასცა მემორანდუმი რუმინეთის წარგზავნილის, დიამანდის განთავისუფლების მოთხოვნით, რომელიც რამდენიმე დღით ადრე დაკავებული იყო რუმინეთის მთავრობის მიერ ბესარაბიაში გატარებული ღონისძიებების საპასუხოდ (განიარაღებულ იქნა რუსეთის ჯარი).

ასევე ერთიანი საპროტესტო ნოტით გამოვიდა დიპკორპუსი იმავე 1918, როდესაც, 28 იანვრის დეკრეტით, გაუქმებულ (ანულირებული) იქნა უცხოეთის სესხები და სახელმწიფო ვალები, რომლებიც მეფის რუსეთის მიერ იყო აღებული. მსგავსი მაგალითები დიპლომატიის ისტორიაში კიდევ რამდენიმეა, თუმცა ეს მაინც გამონაკლისია წესიდან და არა თვით წესი დიპკორპუსის მოღვაწეობისა.

*ლიტ.* Венская Конвенция о дипломатических и консульских сношениях, М., 1961; Молочков Ф.Ф., Дипломатический протокол и дипломатическая практика, М., 1979.

**დიპლომატიური კურიერი**, თანამდებობის პირი, რომელსაც დიპლომატიური ფოსტა გადააქვს ერთი სახელმწიფოდან მეორეში.

საერთაშორისო სამართალში აღიარებულია დ.კ-ის ხელშეუხებლობა, არ შეიძლება მისი დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკა უცხო სახელმწიფოებში მგზავრობისას. პირიქით, ამ სახელმწიფოებს ევალებათ მფარველობა და დახმარება გაუწიონ დ.კ-ს. გამგზავნი სახელმწიფო დ.კ-ს აძლევს დიპლომატიურ პასპორტს, რომელშიც აღნიშნულია ყოველი უცხო სახელმწიფოს ვიზა, რომლის გავლაც მოუხდება მას, აგრეთვე კურიერის ფურცელს დიპლომატიური ფოსტის ყოველ ერთეულზე.

**დიპლომატიური მიმოწერა**, სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ახორციელებს საგარეო საქმეთა უწყება ქვეყანაში აკრედიტებულ საელჩოებთან და მისიებთან, დიპლომატიურ კორპუსთან, აგრეთვე საელჩოებსა და წარმომადგენლობებს შორის მიმდინარე მიმოწერა.

დ.მ-თან დაკავშირებით არსებობს საერთაშორისო პრაქტიკით დაკანონებული წესები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იხვეწებოდა და თანამედროვე დიპლომატიურ ურთიერთობებში საყოველთაოდ მიღებულად და სავალდებულოდ ითვლება. დ.მ-ის წესების დარღვევამ შეიძლება სახელმწიფოთა ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს.

ფორმალურად სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა უწყებებსა და საელჩოებს უფლება აქვთ დ.მ. აწარმოონ თავიანთი სახელმწიფო ენაზე, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული ართულებს და ანელებს განსახილველი საკითხების გადაწყვეტის პროცესს. ამიტომ დასაშვებია: ა) ურთიერთმოლაპარაკების შედეგად დიპლომატიური მიმოწერა წარიმართოს რომელიმე მესამე ენაზე; ბ) დიპლომატიური მიმოწერა წარმოებულ იქნეს სახელმწიფო ენაზე,

მაგრამ ყველა დოკუმენტს დაერთოს თან ოფიციალური თარგმანი.

დ.მ. ატარებს ოფიციალურ ხასიათს და მის ტექნიკურ გაფორმებას დიდი მნიშვნელობა აქვს. დაუშვებელია დოკუმენტში რაიმეს გადასწორება ან ამოშლა.

დ.მ-ის დოკუმენტებში ასახულია ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების მნიშვნელოვანი საკითხები, ამიტომ აღნიშნული დოკუმენტების მომზადება სახელმწიფოს დიპლომატიური საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია. დოკუმენტების მნიშვნელობას აძლიერებს ისიც, რომ, როგორც წესი, დ.მ. ხორციელდება სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის, დიპლომატიური უწყების, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და ცალკეული დიპლომატების სახელით. იმისდა მიხედვით, თუ ვინ ადგენს დოკუმენტს და რაოდენ მნიშვნელოვანი საკითხია მასში ასახული, ხდება დოკუმენტის სახეობის ამორჩევა. შეიძლება გაგზავნილ იქნეს *ნოტა, მემორანდუმი, სამახსოვრო ბარათი, პირადი ნოტა*, ყველა დოკუმენტი დ.მ-ისა შედგენილი უნდა იყოს თავაზიანი ფორმით მიმართვის დადგენილი წესების დაცვით.

*ლიტ.*: Молочков Ф.Ф., Дипломатический протокол и дипломатическая практика, М., 1979.

**დიპლომატიური მისია**, დიპლომატიური წარმომადგენლობა, რომელსაც ხელმძღვანელობს *დესპანი* ან მუდმივი საქმეთა რწმუნებული. გასულ საუკუნეში დიპლომატიურ პრაქტიკაში ტრადიციულად მისიები მოქმედებდნენ პატარა სახელმწიფოებში, ვინაიდან საელჩოების გაცვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ წმინდა კავშირის ჰეგემონ მონარქებს. აღნიშნული პრაქტიკა XX ს-ის დასაწყისიდან, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპის აღიარების დღიდან აღარ მოქმედებს. თანამედროვე *საერთაშორისო სამართალი*, კერძოდ *ვენის 1961 კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ* არ ანსხვავებს ერთმანეთისგან საელჩოსა და მისიის უფლებებს, პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს.

თანამედროვე დიპლომატიურ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები ამყარებენ *დიპლომატიურ ურთიერთობებს* მისიათა დონეზე, ხოლო შემდეგ გარდაქმნიან მათ საელჩოებად. ასეთი გარდაქმნა ხდება შესაბამისი სახელმწიფოების მთავრობათა ორმხრივი მოლაპარაკებისა და შეთანხმებების შედეგად. აღნიშნული შეთანხმება ფორმდება მისიასა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ნოტის გაცვლის შედეგად. მისიათა გარდაქმნა საელჩოებად ორივე სახელმწიფოში ერთდროულად ხდება.

**დიპლომატიური მიღებები**, ოფიციალური ღონისძიებანი, რომლებიც ტარდება: ა) რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად (მაგ.: სახელმწიფოს ეროვნული დღესასწაული, მისი საიუბილეო თარიღი, რომელიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი, დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების წლისთავი და სხვ.); ბ) ცალკეული პირებისთვის კეთილგანწყობის ან პატივისცემის გამოხატვის მიზნით (ადგილსამყოფელი ქვეყნის მთავრობის მეთაურის ან საგარეო საქმეთა მინისტრის, დიპლომატიური წარმომადგენლის, გამოჩენილი მოღვაწის ან საკუთარი ქვეყნიდან ჩამოსული პირის პატივსაცემად); გ) კონტაქტების დამყარებისა და გაღრმავების მიზნით.

დ.მ. ტარდება დიპლომატიური ცერემონიისა და ეტიკეტის წესების დაცვით. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აირჩევა დ.მ-ის შესაბამისი ფორმა:

1) „შამპანურზე მიწვევა" ხდება ეროვნული დღესასწაულის დროს, ელჩის სახელმწიფოდან საბოლოოდ წასვლის შემთხვევაში და სხვ. ეს ფორმა ნაკლებად პრესტიჟულია. იგი იწყება დღის 12სთ-ზე და მთავრდება 13სთ-ზე.

2) საუზმე ეწყობა 12სთ-სა და 15სთ-ს შორის. სტუმრების ადგილები წინასწარ არის განაწილებული მაგიდასთან. საუზმე მთავრდება მთავარი სტუმრის ინიციატივით – მისი წასვლის შემდეგ.

3) „მიპატიჟება ჩაიზე" ეწყობა მხოლოდ მანდილოსნებისთვის 16-დან 18სთ-მდე; თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, მაგ., თურქეთში, მიღების ეს ფორმა ეწყობა ხელმძღვანელი პირების სახელით მაღალი სტუმრების პატივსაცემად.

4) „ჟურ ფიქსი" არის მიღება, რომელსაც შემოდგომიდან ზაფხულამდე ყოველკვირეულად აწყობს საგარეო საქმეთა მინისტრის, მთავრობის წევრის ან დიპლომატის მეუღლე. აღნიშნულ მიღებებზე მოწვევა იგზავნება სეზონის დასაწყისში და მოქმედებს სეზონის ბოლომდე. ასეთი მიღებები, როგორც წესი, მუსიკალური ან ლიტერატურული საღამოების ხასიათს ატარებენ. „ჟურ ფიქსზე" შეიძლება მიწვეულ იყვნენ მამაკაცებიც.

5) „კოქტეილზე" ან „ა ლა ფურშეტზე" მიპატიჟება ნიშნავს მიღებებს, რომლებიც ტარდება ფეხზე დგომით, სუფრასთან დასხდომის გარეშე. როგორც წესი, ინიშნება 17-დან 18 სთ-მდე.

6) სადილზე მიპატიჟება ყველაზე საპატიო ფორმაა დიპლომატიური მიღებისა. იგი ინიშნება 20-დან 21სთ-მდე, სადილზე მამაკაცებს უნდა ეცვათ შავი კოსტიუმი, ფრაკი ან სმოკინგი, მანდილოსნებს – საღამოს კაბები (როგორც წესი, ყველა მოსაწვევ ბარათში აღნიშნულია ტანსაცმლის ფორმა) (იხ. *დიპლომატიური ფორმა*).

7) ყველაზე საპატიო სტუმრების მიღების დროს სადილის შემდეგ იმართება „კოქტეილის" ტიპის მიღება. სადილის შემდეგ სტუმრები გადაინაცვლებენ „კოქტეილზე", სადაც უკვე შეკრებილნი არიან ის პირები, რომლებიც მიღების მხოლოდ ამ ფორმაზე იყვნენ მიპატიჟებულნი. აღნიშნული ტიპის მიღებები მხოლოდ ყველაზე მაღალი რანგის სტუმრებისთვის არის განკუთვნილი.

8) სადილი-ბუფეტი – სტუმრები სხდებიან (4-5 კაცი) ცალ-ცალკე მაგიდებთან. იწყება 19 სთ-დან 21 სთ-მდე და გრძელდება 2-2,5 საათი. აღნიშნული ტიპის მიღება ნაკლებად ოფიციალურ ხასიათს ატარებს.

9) ვახშამი იწყება 2 სთ-ზე ან უფრო გვიან და სადილისგან მხოლოდ დაწყების დროით განსხვავდება. იგი გრძელდება მთავარი სტუმრის წასვლამდე.

დ.მ-ის ჩატარება ბევრ ორგანიზაციულ სირთულესთანაა დაკავშირებული და ამასთან საკმაოდ რთული პროცედურებით რეგულირდება (სტუმრებისათვის მოსაწვევების გაგზავნა და პასუხის მიღება, სუფრასთან სტუმრების განაწილება, მიღებაზე სტუმართა მოსვლისა და წასვლის თანმიმდევრობა და სხვ.).

**დიპლომატიური მოლაპარაკებები**, სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის გამართული ოფიციალური განხილვები პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებისა. მათი მიზანია შეთანხმებულ იქნეს სახელმწიფოთა პოლიტიკა, სტრატეგია და ტაქტიკა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ამასთან, მომზადდეს

აღნიშნულ პრობლემებზე სპეციალური შეთანხმება ან დაიდოს შესაბამისი ხელშეკრულება.

დ.მ. არის უმნიშვნელოვანესი ხერხი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და წარმოადგენს სადავო და კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი ხერხით გადაწყვეტის საფუძველსა და საშუალებას.

დ.მ. ტარდება მონაწილეთა პირადი შეხვედრების გზით, ასევე დიპლომატიური მიმოწერის საშუალებით. ზოგ შემთხვევაში შეიძლება ორივე ხერხი ერთდროულად (პარალელურად) იქნეს გამოყენებული. დ.მ-ს წინ უძღვის მოსამზადებელი სამუშაოები დელეგაციათა პოზიციების შესწავლის, შემუშავებისა და დაახლოების მიზნით.

დ.მ. შეიძლება სხვადასხვა დონისა იყოს, დაწყებული სახელმწიფოს მეთაურებით, მთავრობის მეთაურებით, საგარეო საქმეთა მინისტრებით და ა.შ. – იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოლაპარაკებათა საგანი ზემოთ ჩამოთვლილი პირნი დ.მ-ის დროს არ საჭიროებენ სპეციალურ უფლებამოსილებას (ისინი მას ფლობენ ipso facto), სხვა პირები მოლაპარაკებების და შემაჯამებელი დოკუმენტების ხელმოწერის დროს უნდა ფლობდნენ შესაბამისად გაფორმებულ უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს.

**დიპლომატიური ნოტა**, სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის, აგრეთვე სხვადასხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის მიმოწერის ერთ-ერთი ფორმა. დ.ნ-ით ერთ-ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს უცხადებს პრეტენზიას ან პროტესტს ამა თუ იმ უმართებულო მოქმედების გამო, აუწყებს მას თავის პოზიციას განსაზღვრულ ვითარებასთან დაკავშირებით, მის ყურადღებას მიაპყრობს რაიმე საკითხს და ა.შ.

დ.ნ. 2 სახისაა:

პირადი ნოტა იგზავნება უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, დაბეჭდილია სპეციალურ სანოტო გერბიან ქაღალდზე, შედგენილია პირველ პირში, ხელს აწერს გამგზავნი, ზედა მარჯვენა კუთხეში დაბეჭდილია გაგზავნის თარიღი და ადგილი, ქვედა მარცხენა კუთხეში – ადრესატის ინიციალები, გვარი, თანამდებობა და მისამართი.

ვერბალური ნოტა – ეხება მიმდინარე საკითხებს, დაბეჭდილია სანოტო ბლანკზე, შედგენილია მესამე პირში, ხელმოუწერელია, ბოლოში დასმულია გამგზავნი დაწესებულების ბეჭედი, ქვედა მარცხენა კუთხეში დაბეჭდილია ადრესატის მისამართი, ადრესატს ბარდება პირადად ან კურიერის შემვეობით.

ზოგჯერ დ.ნ-ს უშუალოდ მთავრობა უგზავნის უცხო სახელმწიფოს მთავრობას.

დ.ნ-ში ადრესატისადმი თავაზიან მიმართვასა და კომპლიმენტებს განსაზღვრავს დიპლომატიური ოქმი.

**დიპლომატიური ოქმი**, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც ეხება სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა უწყებების სტატუსსა და ფუნქციებს. ეს არის ის ტრადიციები და პირობითი ქცევის წესები, რომლებსაც იცავენ სახელმწიფოთა მთავრობები, საგარეო საქმეთა სამინისტროები, დიპლომატიური წარმომადგენლობები და სხვა ოფიციალური პირები.

დ.ო-ის წესები და მოთხოვნები დაფუძნებულია ე.წ. „საერთაშორისო თავაზიანობის" პრინციპებზე, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ გამოხატულ იქნეს პატივისცემა და მოკრძალება ყოველივე იმისადმი, რაც სახელმწიფოს გამოხატულებას წარმოადგენს.

დ.ო. არის საყოველთაოდ აღიარებული, ვინაიდან მისი ძირითადი დებულებანი ყველა სახელმწიფოში მეტად თუ ნაკლებად გამოიყენება. დ.ო-ის მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა. მისი დარღვევა შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც სახელმწიფოს ან მისი ოფიციალური წარმომადგენლის შეურაცხყოფა, რამაც შეიძლება გარკვეული გართულება გამოიწვიოს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში.,

დ.ო-ის ძირითადი დებულებანი განმტკიცებულია *ვენის 1961 კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ.*

**დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები**, ის უფლებანი და უპირატესობანი, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიურ წარმომადგენლებს, სპეციალურ მისიებს, სახელმწიფოთა წარმომადგენლობებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე აღნიშნულთა მეთაურებს და პერსონალს. დ.პ. ი. ენიჭებათ იმისათვის, რათა შესაბამისმა სუბიექტებმა ეფექტურად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთა კონტროლის გარეშე.

დ.პ. ი-ის მარეგულირებელი პირველი დოკუმენტი იყო ვენის 1815 რეგლამენტი *აახენის კონგრესზე* მიღებული დამატებითურთ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში კი მოქმედებს რიგი დოკუმენტები, რომლებიც დ.პ. ი-თან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ. მაგ.: *ვენის 1961 კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, ვენის 1963 კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, ვენის 1975 კონვენცია სახელმწიფოთა წარმომადგენლობების ურთიერთობების შესახებ უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან* და სხვ.

დ.პ. ი-ს ყოფენ რამდენიმე ჯგუფად: ა) პირადი დიპლომატიური პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებითაც სარგებლობენ დიპლომატები და მათი ოჯახის წევრები. იგი მოიცავს პიროვნების ხელშეუხებლობას; საცხოვრებლის ხელშეუხებლობას; ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციიდან ამოღებას; სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციიდან ამოღებას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს; აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობიდან ამოღებას; ფისკალურ (საგადასახადო) იმუნიტეტს. პრივილეგიებს განეკუთვნება ე.წ. საბაჟო პრივილეგიები (ბარგის ბაჟის გარეშე გადატანა, დათვალიერებისაგან განთავისუფლება და სხვ.).

ბ) დიპლომატიური წარმომადგენლობის პრივილეგიები და იმუნიტეტები მოიცავს შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის ხელშეუხებლობას, კორესპონდენციისა და არქივების ხელშეუხებლობას, საბაჟო პრივილეგიებს წარმომადგენლობის ბარგისათვის, ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან შეუფერხებელი კავშირის დამყარებას, საოქმო პრივილეგიებს (შენობაზე მაკრედიტებელი სახელმწიფოს გერბისა და ალმის მიმაგრებას).

გ) ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების პრივილეგიები და იმუნიტეტები ძირითადად ფუნქციონალური ხასიათისაა – მოქმედებს მხოლოდ მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეს-

რულების დროს (გამონაკლისია ბაჟისა და გადასახადისაგან განთავისუფლება).

დ) საერთაშორისო ორგანიზაციათა პრივილეგიები და იმუნიტეტები (იხ. *საერთაშორისო ორგანიზაციათა პრივილეგიები და იმუნიტეტები*).

ე) საერთაშორისო ორგანიზაციათა თანამშრომლების პრივილეგიები და იმუნიტეტები (იხ. *საერთაშორისო ორგანიზაციათა პრივილეგიები და იმუნიტეტები*).

ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოთა წარმომადგენლობების პრივილეგიები და იმუნიტეტები.

საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დ.პ. ი. სრული მოცულობით ენიჭებათ სახელმწიფოს მეთაურებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს. მესამე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან დიპლომატთა ხელშეუხებლობა და მიანიჭონ მათ პრივილეგიები თავიანთ ტერიტორიაზე.

ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედი იმუნიტეტები არ მოქმედებენ მაკრედიტებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ ათავისუფლებენ დიპლომატებს სახელმწიფოს იურისდიქციისგან.

**დიპლომატიური სააგენტო**, საგარეო საქმეთა უწყებათა სპეციალური წარმომადგენლობები საკუთარ ქვეყანაში, რომლებიც განთავსებულია საზღვარგარეთის საკონსულო წარმომადგენლობათა, ტრანზიტით გამვლელ უცხოელთა დიდი რაოდენობის თავმოყრის ადგილებში. ეს, როგორც წესი, არის მსხვილ საპორტო ან სხვა ქალაქებში.

ისტორიულად დ.ს. ეწოდებოდა XVIII-XIXსს. ყველა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს.

**დიპლომატიური სამართალი**, საერთაშორისო სამართლის დარგი, რომელიც წარმოადგენს იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა საგარეო ურთიერთობების ორგანოთა სტატუსს და ფუნქციებს, სახელმწიფოთაშორისო ოფიციალური ურთიერთობების დამყარებისა და განხორციელების წესებს.

დ.ს. საუკუნეების მანძილზე დამყარებული იყო ადათზე (ჩვეულებაზე). პირველი ცდა დ.ს-ის კოდიფიკაციისა განხორციელებული იყო რეგიონულ დონეზე ლათინურამერიკული სახელმწიფოების მიერ და დამთავრდა 1928 წლის 20.II ჰავანის კონვენციით დიპლომატიური (ЧИНОВНИКИ) კანონის მიღებით.

დღეისათვის დ.ს. თითქმის მთლიანად კოდიფიცირებულია. უმნიშვნელოვანეს აქტს აღნიშნულ სფეროში წარმოადგენს ვენის 1961 კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ და ვენის 1975 კონვენცია სახელმწიფოთა წარმომადგენლობების ურთიერთობების შესახებ უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დ.ს. არეგულირებს ურთიერთობებს, რომლებიც წამოიჭრება სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისთანავე, ასევე იმ ურთიერთობებს, რომლებიც შეეხება სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ორმხრივ თანამშრომლობას (მაგ.: საერთაშორისო ორგანიზაციის რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ფუნქციონირების საკითხი, საერთაშორისო ორგანიზაციათა თანამდებობების პირთა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების საკითხი, საერთაშორისო ორგანიზაციაში სახელმწიფოთა წარმომადგენლობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.).

ბოლო წლებში შეინიშნება ტენდენცია საკონსულო სამართლის დიპლომატიურ სამართალთან გაერთიანებისა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ საგარეო საქმეთა უწყებებში თითქმის ყველგან გაერთიანებულ იქნა სამსახური – დიპლომატიური და საკონსულო, საკონსულო სამართლის კოდიფიკაცია მოხდა ვენის 1963 კონვენციით საკონსულო ურთიერთობების შესახებ.

**დიპლომატიური ურთიერთობები**, სახელმწიფოთაშორისო ოფიციალური ურთიერთობების განხორციელების ფორმა *საერთაშორისო სამართლისა* და *საერთაშორისო ურთიერთობების* ნორმების შესაბამისად. დ.უ. ხელს უწყობენ სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის დამყარებას, გაღრმავებას, მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარებას.

*ვენის 1961 კონვენციის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ* თანახმად, დ.უ. სახელმწიფოთა შორის შეიძლება დამყარდეს მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთშეთანხმებების გზით. დ.უ-ის დამყარებას, როგორც წესი, წინ უძღვის ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოს ან მისი მთავრობის დე-ფაქტოდ ან დე-იურედ ცნობა (იხ. *საერთაშორისო სამართლებრივი ცნობა*).

დ.უ. მყარდება ორმხრივი მოლაპარაკებების ან მიმოწერის საშუალებით (შეიძლება მესამე საშუალებითაც). ხდება დეპეშების, ნოტების ან წერილების გაცვლა სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურთა, საგარეო საქმეთა მინისტრთა ან სხვა სპეციალურად უფლებამოსილ პირთა შორის. მხარეები უთანხმდებიან ერთმანეთს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თარიღის, დიპლომატიური წარმომადგენლობის დონის (*საელჩო* ან *დიპლომატიური მისია*) და შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების თაობაზე.

**დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა**, სახელმწიფოთა შორის ოფიციალური პოლიტიკური კონტაქტის შეწყვეტა. დ.უ.გ-ით წყდება ყოველგვარი კონტაქტები დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა და სხვა უწყებებთან. გამონაკლისს წარმოადგენს ის საკითხები, რომლებიც დიპლომატიური წარმომადგენლობის და მისი პერსონალის გამგზავრებას ეხება და რომლებითაც წარმომადგენლობა მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილებას. დ.უ.გ-ის დროს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს არ აცილებენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

დ.უ.გ. ხდება შემდეგ შემთხვევებში: დიპლომატიური ურთიერთობების ფაქტიური შეწყვეტისას ოფიციალური გაწყვეტის გარეშე (სახელმწიფოები ერთობლივად გაიწვევენ თავიანთ დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალს); სახელმწიფოთა შორის საომარი მდგომარეობის არსებობის დროს; ერთ-ერთი სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის, არენიდან წასვლისას (მაგ. სახელმწიფოთა გაერთიანების ან სახელმწიფოს გაყოფის შემთხვევაში).

**დიპლომატიური უფროს-უმცროსობა**, დიპლომატიური ოქმით (*ეტიკეტით*) განმტკიცებული ერთ-ერთი უმნიშვნე-

ლოეანესი წესი, რომელიც მკაცრად არის დაცული სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების განხორციელების დროს. აღნიშნული გამოიხატება რამდენიმე ფორმით: *დიპლომატიური კორპუსისათვის* კოლექტიური უპირატესობის (უფროსობის) მინიჭება საჯარო ღონისძიებების ჩატარების დროს; *დიპლომატიურ წარმომადგენლობათა* მეთაურების უფროს-უმცროსობა; უფროს-უმცროსობა დიპლომატიურ წარმომადგენელთა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს ხელისუფალთა შორის; დიპლომატიური წარმომადგენლობის *დიპლომატთა* შორის უფროს-უმცროსობა და სხვ. მაგ: დიპლომატიურ წარმომადგენლობას, მოწვეულს ოფიციალურ ღონისძიებაზე, ყოველთვის მიენიჭება საპატიო ადგილი სახელმწიფოს მეთაურის ან მთავრობის მეთაურის ახლოს. ამასთან (*დიპლომატიური კორპუსის* ერთიანობის დასაცავად), არ შეიძლება განცალკევებულ იქნენ *ელჩები, დესპანები* და საქმეთა რწმუნებულები.

დ.უ-უ. *წარმომადგენლობათა მეთაურებს* შორის განისაზღვრება დიპლომატიური წარმომადგენლის ქვეყანაში ჩასვლის ან *რწმუნების სიგელის* გადაცემის ვადით (1986 ვენის კონვენციის მე-13 და მე-16 მუხლების შესაბამისად); *დროებით საქმეთა რწმუნებულის* დ.უ-უ. განისაზღვრება იმ დიპლომატიური წარმომადგენლის კლასითა და მუშაობის ვადის ხანგრძლივობით, რომელსაც იგი ცვლის და წარმოადგენს კონკრეტულ შემთხვევაში.

*ვენის 1961 კონვენციის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ* მე-14 მუხლის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები არ უნდა იქნენ ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არანაირი კრიტერიუმებით, გარდა უფროს-უმცროსობისა და ეტიკეტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება განხილულ იქნება როგორც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მხრიდან მაკრედიტებელი სახელმწიფოს დისკრიმინაცია, რასაც შეიძლება მოჰყვეს სერიოზული გართულებანი სახელმწიფოთა დიპლომატიურ ურთიერთობებში.

ზოგიერთ სახელმწიფოში (განსაკუთრებით კათოლიკურ სახელმწიფოებში) ტრადიციულად უპირატესობა (უფროსობა) ენიჭება პაპის *ნუნციას* რწმუნების სიგელის ჩაბარების ვადის მიუხედავად. აქედან გამომდინარე, დიპლომატიური კორპუსის *დუაიენისაც* სწორედ *ნუნცია* გახლავთ.

*დიპლომატიური წარმომადგენლობის* ფარგლებში დ.უ-უ. დადგენილია მაკრედიტებელი სახელმწიფოს საშინაო კანონმდებლობის საფუძველზე, ამასთან იმ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დაცვით, რომელთაც სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა მისდევს: *ელჩი,* მრჩეველი, *ატაშე,* სპეციალური საკითხების დარგში სამხედრო ატაშე, მდივნები და ა.შ.

**დიპლომატიური ფორმა**, ის ტანსაცმელი, რომელიც უნდა ეცვათ დიპლომატებსა და მათ მეუღლეებს იმ მიღებებსა და ღონისძიებებზე, რომლებშიც ისინი იღებენ მონაწილეობას. როგორც წესი, ტანსაცმლის ფორმა მითითებულია ხოლმე იმ მოსაწვევ ბარათებში, რომლებიც ეგზავნებათ დიპლომატებს. საოქმო პრაქტიკა განსაზღვრავს, თუ რომელ ოფიციალურ ღონისძიებებზე რა ფორმის ტარებაა საჭირო – ფრაკის, სმოკინგის, საპარადო ფორმის თუ ჩვეულებრივი კოსტიუმის.

ფრაკი, სმოკინგი ან შავი კოსტიუმი სავალდებულოა *დიპლომატიური მიღების* ისეთი ფორმის დროს, როგორიცაა სადილი ან ვახშამი. „კოქტეილის" ან „ა ლა ფურშეტის" დროს მიღებულია ყოველდღიური კოსტიუმით ან სმოკინგით მისვლა (დანარჩენ მიღებებსა და ღონისძიებებზე მოსაწვევში მითითებული სახეობისდა მიხედვით).

ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში ორდენების ტარება (ზოგ შემთხვევაში მოსაწვევში მითითებულია ორდენების ტარების აუცილებლობა). ასეთი შემთხვევებია: რწმუნების სიგელების გადაცემა, ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო მიღება, სახელმწიფოს მეთაურის სტუმრობისადმი მიძღვნილი მიღება და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიპლომატიურ მიღებებზე მანდილოსნების ჩაცმულობასაც. როგორც წესი, მოსაწვევში მანდილოსნების ჩაცმულობის ფორმაცაა მითითებული. ზოგადი წესი კი შემდეგია: შამპანურზე, ჩაიზე, „ა ლა ფურშეტზე" იცმევენ ჩვეულებრივი სიგრძის კაბებს, კოსტიუმებს, ატარებენ ქუდებს, ქალები ქუდს არ იხდიან. მასპინძელი ქალი ქუდს არ იხურავს. „ა ლა ფურშეტზე", რომელიც ეროვნულ დღესასწაულს აღნიშნავს, სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის ჩამოსვლას ეძღვნება, ატარებენ გამოსასვლელ ჩვეულებრივი სიგრძის კაბებს ან კოსტიუმებს.

სადილზე, ვახშამზე, საღამოს მიღებებზე მიღებულია საღამოს ტუალეტების (როგორც წესი, გრძელი კაბები) ტარება.

დიპლომატიურ მიღებებზე აკრძალულია კაუჩუკისძირიანი ფეხსაცმლის ჩაცმა.

**დიპლომატიური ფოსტა**, სახელმწიფოსა (საგარეო საქმეთა სამინისტროს) და თავის დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობასთან ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული საშუალება. დ.ფ-ის საშუალებით იგზავნება ოფიციალური კორესპონდენცია, დოკუმენტები და საგნები, რომლებიც სამსახურებრივი სარგებლობისათვის არის განკუთვნილნი. დ.ფ-თვის დაწესებულია სპეციალური რეჟიმი: ფოსტა უნდა იყოს შესაბამისად გაფორმებული და შეფუთული. ფოსტა იფუთება დიპლომატიურ ვალიზაში (ფრანგ. valise – ჩემოდანი) – იხურება ან ილუქება ისე, რომ მას გააჩნდეს განსხვავებული ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ ფოსტის ხასიათზე. დ.ფ. შეიძლება გაიგზავნოს ან დიპლომატიური კურიერის მეშვეობით, ან კავშირის ჩვეულებრივი საშუალებებით. უკანასკნელ შემთხვევაში წესდება დ.ფ-ის წონისა და რაოდენობის გარკვეული შეზღუდვა.

დ.ფ. არ შეიძლება იქნეს შეჩერებული, გახსნილი ან დაბეგრილი.

ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დ.ფ-ის რეჟიმს ეხება, დეტალურადაა განხილული *1961 ვენის კონვენციაში დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ.*

**დიპლომატიური წარმომადგენლის გამოწვევა**, დ.წ.გ. ხდება ორ შემთხვევაში: 1. როდესაც დიპლომატიურ წარმომადგენლს გაიწვევს თავისი სახელმწიფოს მთავრობა ახალ თანამდებობაზე დანიშვნის, თადარიგში გასვლის, ავადმყოფობის ან სხვა ფაქტთან დაკავშირებით. 2. გაწვევა შეიძლება მოხდეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ინიციატივითა და მოთხოვნით, თუ დიპლომატი გამოცხადდა *პერსონა ნონ გრატად* ან როცა დიპლომატიური ურთიერ-

თობა ამ ორ სახელმწიფოს შორის შეწყვეტილი ან გაწყვეტილია.

როდესაც დ.წ.ბ. წარმგზავნი სახელმწიფოს ინიციატივით ხდება, ფორმდება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეთაურისათვის გამწვევის დამადასტურებელი სიგელის გადაცემით. ეს სიგელი ფორმდება იმავე წესით, როგორც რწმუნების სიგელები. მას ხელს აწერს წარმგზავნი სახელმწიფოს მეთაური. როგორც წესი, გამოწვევის სიგელი ეძლევა ახლად დანიშნულ დიპლომატს, რომელიც მას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეთაურს რწმუნების სიგელთან ერთად გადასცემს. გაწვეული დიპლომატის მიერ გამოწვევის სიგელის ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეთაურისათვის გადაცემა ძალზე იშვიათად ხდება.

**დიპლომატიური წარმომადგენლობა**, სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა საზღვარგარეთული სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს დიპლომატიური წარმომადგენელი. იმისდა მიხედვით, თუ ვინ მეთაურობს დ.წ-ს, განასხვავებენ წარმომადგენლობის დონესა და ტიპს: დ.წ-ს, რომელსაც ხელმძღვანელობს *ელჩი*, ჰქვია *საელჩო*. დ.წ-ს, რომელსაც ხელმძღვანელობს *დესპანი* ან მუდმივი საქმეთა რწმუნებული, ჰქვია *დიპლომატიური მისია*. ამ ორ სახეობას შეესაბამება პაპის წარმომადგენლობა, ნუნციატურა და ინტერნუნციატურა, რომელთაც შესაბამისად ხელმძღვანელობს *ნუნცია* ან *ინტერნუნცია*.

დ.წ-ის სამართლებრივი მდგომარეობა (სტატუსი) განსაზღვრულია *ვენის 1961 კონვენციით დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ* (ასევე სახელმწიფოთა შიდა კანონმდებლობის მიერ). კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „დ.წ-ის ფუნქციებში შედის: ა) წარმოადგინოს მაკრედიტებელი სახელმწიფო ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; ბ) საერთაშორისო სამართლის დაშვებულ ფარგლებში დაიცვას ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მაკრედიტებელი სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესები; გ) აწარმოოს მოლაპარაკებანი ადგილსამყოფელ სახელმწიფოს მთავრობასთან; დ) კანონიერი გზებით გამოიკვლიოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენები და აცნობოს მათ შესახებ მაკრედიტებელ სახელმწიფოს; ე) ხელი შეუწყოს მაკრედიტებელ სახელმწიფოსა და ადგილსამყოფელ სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებასა და ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობას." „დ.წ-ის შენობა ხელშეუხებელია. ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფალთ არ შეუძლიათ ამ ნაგებობებში შესვლა *წარმომადგენლობის მეთაურის* გარეშე" (მუხლი 22(1)). დიპლომატიური წარმომადგენლობები, როგორც წესი, განლაგებულია ადგილსამყოფელი სახელმწიფოს დედაქალაქში.

დ.წ-ის ნაირსახეობას წარმოადგენს წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა სამართლებრივ მდგომარეობასაც არეგულირებს *ვენის კონვენცია სახელმწიფოთა წარმომადგენლობების ურთიერთობების შესახებ უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან 1975* (იხ. *წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციასთან*).

ზოგიერთი სახელმწიფოს პრაქტიკაში გვხვდება ნახევრად მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობები, რომელთა ფუნქციებიც შემოსაზღვრულია დღის წესრიგის გარკვეული საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებათა წარმოებით (მაგ., განიარაღების კომიტეტში წარგზავნილი დიპლომატიური წარმომადგენლობა).

*ლიტ.:* Венская конвенция о дипломатических и консульских отношениях, М., 1961.

**დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური**, დიპლომატი, რომელიც ხელმძღვანელობს სახელმწიფოს *დიპლომატიური წარმომადგენლობის* მუშაობას მაკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილებების საფუძველზე. უფლებამოსილების გაცემამდე მაკრედიტებელი სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ ადგილსამყოფელი სახელმწიფო მისცემს *აგრემანს* თანხმობას იმ პირის დანიშვნაზე, რომლის დანიშვნაც გათვალისწინებულია დ.წ.მ-ის თანამდებობაზე.

*ვენის 1961 კონვენციის დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ* მე-14 მუხლის თანახმად, „დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები იყოფა სამ კლასად: ა) ელჩებისა და ინტერნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურებთან; ბ) დესპანთა და ინტერნუნციების კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურებთან; გ) საქმეთა რწმუნებულების კლასი, რომლებიც აკრედიტებულნი არიან საგარეო საქმეთა მინისტრებთან" (კონვენციაში ამოღებულია *ვენის 1815* და *აახენის 1818 კონგრესებზე* მიღებული კიდევ ერთი კლასი – მინისტრ-რეზიდენტის რანგი, რომელიც საკმაოდ იშვიათად გამოიყენებოდა დიპლომატიურ პრაქტიკაში და ისიც მხოლოდ ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა მიერ).

დ.წ.მ-ის სრული ოფიციალური სახელწოდებანია: *ელჩისა* – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი; *დესპანისა* – საგანგებო ან სრულუფლებიანი მინისტრი (შემოკლებით სრულუფლებიანი მინისტრი ან მინისტრი), მუდმივი საქმეთა რწმუნებულისა – საქმეთა რწმუნებული Chargé d'Affaires en pied ან Chargé d'Affaires avec lettres; საქმეთა დროებითი რწმუნებულისა – საქმეთა დროებითი რწმუნებული – Chargé d'Affaires ad interim.

*დიპლომატიურ წარმომადგენლობათა* კატეგორია განსხვავდება იმისდა მიხედვით, თუ რა რანგის დიპლომატი უდგას მას სათავეში: წარმომადგენლობას, რომელსაც მეთაურობს *ელჩი*, ჰქვია საელჩო, ხოლო წარმომადგენლობას, რომელსაც მეთაურობს *დესპანი* ან მუდმივი საქმეთა რწმუნებული – მისია. მუდმივი საქმეთა რწმუნებული ინიშნება ისეთ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც შეზღუდული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობანი აქვთ, ან ისეთ სახელმწიფოებში, რომელთანაც, პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე, არ სურთ უფრო მაღალი დონის ურთიერთობათა დამყარება.

ვენის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, მაკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია ერთი და იგივე დიპლომატი დანიშნოს დ.წ.მ-ად რამდენიმე სახელმწიფოში (ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მისი არყოფნის დროს ფუნქციებს შეასრულებს საქმეთა მუდმივი რწმუნებული). დ.წ.მ. უფლებამოსილია წარმოადგინოს მაკრედიტებელი სახელმწიფო ნებისმიერ *საერთაშორისო ორგანიზაციაში*. ამავე კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, დიპლომატიური წარმომადგენელი უფლებამოსილია ისარგებლოს დროშით თავის რეზიდენციაზე და გადაადგილების საშუალებებზე. დ.წ.მ-ის რეზიდენცია და პიროვნება ხელშეუხებელია. იგი სარგებლობს სრული მოცულობით *დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით*.

დიპლომატიურ პრაქტიკაში ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი ისეთ შემთხვევას, როდესაც *დიპლომატიურ წარმომადგენლობას* მეთაურობს (დიპლომატთა არყოფნის გამო) ე.წ. ადმინისტრატორი მომსახურე პერსონალთა რიგიდან (Chargé des Affaires). მას მხოლოდ ტექნიკური ფუნქციები აკისრია და არც აქვს უფლება ადგილსამყოფელ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის წარმოებისა: არ ფლობს დ.წ.მ-ის პრივილეგიებსა და უფლებებს.

**დირკსენი** (Dirksen) ჰერბერტ (1882-1955), გერმანელი დიპლომატი.

1923-25 იყო გერმანიის გენერალური კონსული დანციგში (გდანსკი), 1925-28 – გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების გამგე, 1928-33 – გერმანიის ელჩი სსრკ-ში, 1933-38 – გერმანიის ელჩი იაპონიაში. 1936 მონაწილეობდა „ანტიკომინტერნული პაქტის" მომზადებაში. 1938-39 – გერმანიის ელჩი დიდ ბრიტანეთში, 1939 აწარმოებდა ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებას.

**დისკრიმინაცია** (ლათ. discriminatio – გარჩევა, განსხვავება), რასობრივი ან ნაციონალური კუთვნილების, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებების, სქესის ან სხვა ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიისათვის უფლებების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. რასობრივი დ-ის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმაა სეგრეგაცია – ადამიანთა ერთი ნაწილის მეორეთაგან ძალით გამოყოფის პოლიტიკა, მათი უფლებების შეზღუდვა რასობრივი ან ეროვნული მოტივებით და ძალით გადასახლება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე (რეზერვაციები, გეტო). საზოგადოებაში რომელიღაც ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარებამ შეიძლება მიიღოს უკიდურესი ფორმები – გენოციდის სახე (ქმედებები, გატარებული რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფების სრულიად ან ნაწილობრივ მოსპობის მიზნით), რომელიც მიუხედავად იმისა, თუ როდის ტარდებოდა იგი – ომისა თუ მშვიდობიანობის დროს, წარმოადგენს დანაშაულს და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას (გაეროს 1948 კონვენცია გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილების შესახებ).

დ-ს შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მარტო ტოტალიტარული, არამედ ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმების დროსაც. ამიტომაც ყოველი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, მათი რასობრივი, ეროვნული, სოციალური თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, წარმოადგენს თანამედროვეობის *გლობალურ პრობლემას*. არ შეიძლება დ-ის გაიგივება ტოტალიტარიზმისა და დემოკრატიის დროს. პირველ შემთხვევაში იგი ძლიერდება, მაგრამ ამასთან ერთად იმალება, მეორე შემთხვევაში – გადაილახება სხვადასხვა პოლიტიკური მექანიზმების საშუალებით.

საერთაშორისო ურთიერთობებში ტერმინი „დისკრიმინაცია" აღნიშნავს ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლების, ორგანიზაციების ან მოქალაქეებისათვის ნაკლები უფლებების მინიჭებას სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებთან, ორგანიზაციებთან ან მოქალაქეებთან შედარებით.

**დისმისლი** (ინგლ. dismissal – დათხოვნა), დიპლომატის კერძო პირად გამოცხადების აღმნიშვნელი ტერმინი. დ. ნიშნავს პირზე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელებას იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც იგი გამოიყენება ჩვეულებრივი უცხოელი მოქალაქეების მიმართ. ეს არის პირისათვის დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტის ჩამორთმევა. პრაქტიკაში უფრო ხშირია დ-ის გამოყენების მუქარა, ვიდრე მისი გამოყენება. აღნიშნულს, როგორც წესი, ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც პირი, რომელიც ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულია პერსონა *ნონ გრატად*, საპატიო მიზეზის გარეშე აგრძელებს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ყოფნას.

**„დიურანდის ხაზი"**, თანამედროვე სასაზღვრო ხაზი ავღანეთსა და პაკისტანს, აგრეთვე ავღანეთსა და ინდოეთს შორის, შტატების – ჯამუსა და ქაშმირის ჩრდილოეთი საზღვრების გასწვრივ, რომელიც დადგინდა ავღანეთსა და ინდოეთში ინგლისის კოლონიურ სამფლობელოებს შორის 1893 წლის 12.XI ქაბულში მოლაპარაკების დროს. ეწოდა ინდოეთში ბრიტანეთის კოლონიური ადმინისტრაციის საგარეო საქმეთა მდივნის, მ.დიურანდის სახელი. „დ.ხ." თავს მოახვიეს ავღანელ ხალხს, რომელიც მრავალწლიან ბრძოლას აწარმოებდა ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

1893, 1894 და 1896 ხელშეკრულებების საფუძველზე მოეწყო საზღვრის დემარკაცია თითქმის მთელ მის ტერიტორიაზე ავღანეთ-ირანის საზღვრიდან ავღანეთ-ჩინეთის საზღვრამდე. მაღალმთიანი ადგილმდებარეობის გამო დემარკაციის გარეშე დარჩა საზღვრის ორი მონაკვეთი – ჰაიბერის უღელტეხილისა და ჰინდიკუშის მთების გასწვრივ.

1893 ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრის ხაზი დადასტურდა ავღანეთ-ინგლისის 1919 წლის 8.VII საზავო და ინგლის-ავღანეთის 1921 წლის 22.XII ხელშეკრულებებით (იხ. *ინგლის-ავღანეთის ხელშეკრულებები*).

ავღანეთის სახელმწიფო საზღვარს, რომელიც 1893 დადგინდა, „დ.ხ."-ის გასწვრივ ფაქტობრივად არავითარი ცვლილება არ განუცდია, თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ შესწორებებს, რომლებიც გაკეთდა ჰაიბერის უღელტეხილის რაიონში 1919 და 1921 წლებში და დასახლებულ პუნქტ არანდუს მიდამოებში (ჩიტრალას რაიონში) 1932-34 წლებში (იხ. *პუშტუნების საკითხი*).

*ლიტ.:* Барсегов Ю.Г., Что такое "линия Дюранда" – "Мировая экономика и международные отношения", 1960, №8, с.127–129.

**დიქტატურა**, შეუზღუდავი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ხელისუფლება, რომელსაც ახორციელებს ადამიანთა მკაცრად განსაზღვრული ჯგუფი ლიდერით სათავეში და რომლის სახელიც, ან მის მიერ გამოყენებული სოციალურ-პოლიტიკური იდეა განსაზღვრავს ამა თუ იმ დიქტატორული მმართველობის სახესხვაობას (ცეზარიზმი, აბსოლუტიზმი, არაკონსტიტუციური მონარქია, ბონაპარტიზმი, კლასის ან პარტიის დიქტატურა, ტოტალიტარიზმი, ჯგუფი, რომელიც რელიგიური იდეის პრიმატს იყენებს და ა.შ.).

დ-ის არსი მდგომარეობს მისი არსებობის პირველ ეტაპზე პოლიტიკური ძალაუფლების უზურპაციაში, მისი ბატონობის შემდგომი გავრცელებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. დ-ის ამა თუ იმ ფორმის დამყარება ხდება საზოგადოებრივი წინააღმდეგობის გამ-

წევრების, არსებული ხელისუფლების ეკონომიკური, სოციალური ბაზის შევიწროების, არსებული პოლიტიკური სტრუქტურების უუნარობის გამო – ეფექტურად მართოს საზოგადოება ხელისუფლების ტრადიციული ფორმების მიერ მოსახლეობაში ნდობის დაკარგვის გამო.

დ. ხასიათდება ხელისუფლების ტრადიციული დაყოფის (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) არარსებობით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ნებისმიერი ფორმის დათრგუნვით, ტერორის გზით, რომელიც წარმოადგენს დიქტატორული რეჟიმის დამყარებისა და დიქტატორთა ჯგუფის (დუუმვირატი, ტრიუმვირატი, პარტოკრატია, ოლიგარქია და ა.შ.) მიერ ძალაუფლების სრული კონცენტრაციით, პოლიტიკური თავისუფლების მოსპობით.

დ-ის დროს გადაწყვეტილებების მიღება უპირატესად ატარებს აგრესიულ და იმპულსურ ხასიათს. საშინაო და საგარეო პოლიტიკა გაჟღენთილია აქტივიზმის ნიშნებით და ხშირად მესიანიზმის იდეოლოგიას ემყარება, რომელიც საზოგადოების ტრანსფორმაციას სასტიკი დისციპლინის საფუძველზე ცდილობს. დ-ის დროს პოლიტიკური და სოციალური კონტროლის მეთოდები დაფუძნებულია უხეშ ძალადობაზე, რომელიც მოიცავს უაღრესად ფართო სპექტრს – დაშინებიდან ფიზიკურ განადგურებამდე. ამის გამო ნებისმიერი დ. თავისი ბატონობის სარეალიზაციოდ ეყრდნობა არმიას და სხვა ძალისმიერ სტრუქტურებს.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციით (საფრანგეთი, იტალია) გათვალისწინებულია ე.წ. კონსტიტუციური დ-ის შექმნა, როცა გარკვეული დროით და გარკვეულ ვითარებაში აღმასრულებელი ხელისუფლება აღიჭურვება დიქტატორული უფლებებით, რომელიც საგანგებო ვითარებაში ვალდებულია გაატაროს სასწრაფო ღონისძიებები ქვეყანაში კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად.

დ. ქვეყნებისა და ხალხების ისტორიაში სხვადასხვაგვარ როლს ასრულებდა. ზოგიერთ შემთხვევაში იგი დადებითი მოვლენაც კი იყო, როცა პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური კრიზისების პერიოდში, ძალადობრივი გზით ან კანონიერად ითვისებდა კანონიერებისა და წესრიგის დაცვის ფუნქციებს. ზოგჯერ დ. მყარდებოდა საგარეო აგრესიის მოგერიების ან სამოქალაქო ომის თავიდან აცილების მიზნით. იყო შემთხვევები, როცა დ-ს ამყარებდნენ მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ან ეპიდემიებთან, შიმშილობასთან ბრძოლის მიზნით და ა.შ.

**დობრინინი** ანატოლი თევდორეს ძე (დ.1919), რუსი საბჭოთა დიპლომატი, გააჩნია საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

1946-დან დიპლომატიურ სამსახურშია. 1946-52 მუშაობდა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში; 1952-55 – აშშ-ში სსრკ საელჩოს მრჩეველი, შემდეგ მრჩეველი-დესპანი; 1955-57 სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში პასუხსაგებ თანამდებობაზეა. 1957-59 – გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე; 1959-61 – ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე; სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი; 1961-85 – სსრკ-ის ელჩი აშშ-ში; 1985-91 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ამჟამად – პენსიონერი.

**დოვგალევსკი** ვალერიან საველის ძე (1885-1934), საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

1924-დან დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1924-27 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი შვეციაში, 1927 – იაპონიაში, 1927-34 – საფრანგეთში. 1929 წლის ოქტომბერში ხელი მოაწერა ოქმს ინგლისსა და სსრკ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებ, 29.XI.1932 – საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის თავდაუსხმელობის აქტს. 1933-დან მონაწილეობდა განიარაღების შესახებ საყოველთაო კონფერენციის მუშაობაში.

**„დოლარის დიპლომატია“** (ინგლ. “Dollar diplomacy”), ეკონომიკური ზემოქმედებით (ეკონომიკური სანქციები, კაბალური სესხები, ეკონომიკური „დახმარება“, ანუ თუ იმ ქვეყნების ფინანსებზე კონტროლის დაწესება და სხვ.) სხვა ქვეყნების დაკაბალებისაკენ მიმართული აშშ-ის ექსპანსიონისტური პოლიტიკის დასახასიათებელი ტერმინი. პირველად გამოყენებული იყო 1912 აშშ-ის პრეზიდენტის უ. ტაფტის მიერ. „დ.დ.“ განსაკუთრებული ფართო მასშტაბებით გამოიყენებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცივი ომის წლებში (იხ. *„ურთიერთუშიშროების უზრუნველყოფის“ პროგრამა, „ტრუმენის დოქტრინა“, „მარშალის გეგმა“, „პროგრესისათვის კავშირი“*).

*ლიტ.:* Андреев Г., Экспансия доллара, М., 1961; Громыко А.А., Внешняя экспансия капитала: история и современность, М., 1982.

**დოლგორუკოვი** (დოლგორუკი) ვასილი ლუკას ძე (1670-1739), თავადი, რუსი დიპლომატი.

1701-06 – პოლონეთის საელჩოს თანამშრომელი, 1706 – ელჩი, 1707-20 – ელჩი დანიაში. ამ პერიოდში ხელი მოაწერა *კოპენჰაგენის სამოკავშირეო ხელშეკრულებას 1709.* 1721-22 – რწმუნებული საფრანგეთში; 1725-27 – ელჩი შვეციაში. 1727 პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა. მხარს უჭერდა თვითმპყრობელური ძალაუფლების შეზღუდვის პოლიტიკას, რის გამოც 1730 შეირისხა და 1739 სიკვდილით დასაჯეს.

**დოლფუსი** (Dollfus) ენგელბერტ (1892-1934), ავსტრიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1931-32 – მიწათმოქმედებისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი; 1932 წლის მაისიდან – ფედერალური კანცლერი, საგარეო საქმეთა და მიწათმოქმედების მინისტრი, ხოლო 1933 წლის სექტემბრიდან – თავდაცვისა და საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრი. იყო ავსტრიის დელეგაციის მეთაური ლოზანის კონფერენციაზე 1932, რომელზეც გააგრძელეს ჟენევის ოქმების მოქმედება, რომლითაც აკრძალული იყო ანშლუსი. ხელი შეუწყო ქვეყნის ფაშიზაციას, მაგრამ დოლფუსის მთავრობა ე.წ. რომის ოქმების ხელმოწერით 1934 წინ აღუდგა ჰიტლერული გერმანიის ზრახვებს ავსტრიის ხელთგდების შესახებ. მოკლეს ანშლუსის მომხრეებმა.

**„დომინოს თეორია“**, აშშ-ის საგარეო-პოლიტიკური კონცეფცია, შექმნილი „ცივი ომის“ პერიოდში. ამ კონცეფციის მიხედვით, თუ დედამიწის რომელიმე რეგიონში დაემხობოდა პროდასავლური რეჟიმი, ეს გამოიწვევდა მსგავსი რეჟიმების დამხობას მეზობელ ქვეყნებშიც (როგორც ეცემიან ერთიმეორის მიყოლებით დომინოს ქვები, თუ მათ ცალ ფერდზე დააყენებთ). „დ.თ-ის“ შექმნა საჭირო გახდა აშშ-ის ჩარევის გასამართლებლად იმ რეგიონებში, სადაც მისთვის სასურველი სტატუს-კვო ირღვეოდა. „დ.თ-მ“ შექმნა თავისებური „თეორიული“ ბაზა აშშ-ის აგრესიისათვის ლაოსში, ვიეტნამში, კამბოჯაში, მის მიერ ბლოკების

პოლიტიკური გატარებისათვის. „დ.ო.“ ძირითადად მოქმედებდა 50-60-იან წლებში. 70-იანი წლებიდან აშშ-ის გავლენიან პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში „დ.ო.“ მოძველებულად ჩათვალეს და თანდათანობით ხელი აიღეს მის გამოყენებაზე.

ლიტ.: Мельников Ю.М., Внешнеполитические доктрины США, М., 1970.

**დომიციანე** (Domitianus) I, კეისარი დომიციანე ავგუსტუსი (51-96), რომის იმპერატორი (81-96). ატარებდა თვითმპყრობელურ პოლიტიკას, ასუსტებდა სენატის გავლენას. აღადგინა იმპერატორის კულტი, ბრძანება გასცა მისთვის ეწოდებინათ „ბატონი და ღმერთი“ ("dominus et deus"), გამოირჩეოდა დესპოტური ბუნებით. მოკლეს შეთქმულების შედეგად. დ.I-ის ეპოქაში დიდ წარმატებას მიაღწია რომის არმიამ. მის დროს გაეიდნენ რომაელები პირველად კასპიის ზღვაზე. ამ ფაქტის დამადასტურებელი არის ბაქოს მახლობლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა.

**დოქტრინები საგარეო-პოლიტიკური**, საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის მიზნების, ამოცანების, ხასიათის, აგრეთვე მათი რეალიზაციისა და უზრუნველყოფის შესახებ ამა თუ იმ სახელმწიფოში მოცემულ შეხედულებათა სისტემა. საგარეო-პოლიტიკურ დოქტრინებში გამოიყოფა ის უმთავრესი, რომელზედაც, მოცემულ მომენტში, საერთაშორისო ურთიერთობებში კეთდება აქცენტი შესაბამისი სახელმწიფოს მიერ.

დ.ს.-პ-ის შინაარსი განისაზღვრება სახელმწიფოთა ინტერესებით, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრინციპებით.

დ.ს.-პ-ს ყველაზე ხშირად იყენებდნენ დიდი სახელმწიფოები (იხ. *„მასირებული შურისძიების“ სტრატეგია*, *„მოქნილი რეაგირების“ სტრატეგია*, *„კარტერის დოქტრინა“*, *„ბრეჟნევის დოქტრინა“* და ა.შ.) ამ ქვეყნების მიერ საერთაშორისო საკითხებში თავისი მოქმედების პრინციპების განსაზღვრისათვის.

ლიტ.: Петровский В.Ф., Американская внешнеполитическая мысль. М., 1976

**დრაგო** (Drago) ლუის მარია (1859-1921), არგენტინელი დიპლომატი, იურისტი და პუბლიცისტი.

1902-03 – არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრი. გამოდიოდა შეიარაღებული ინტერვენციის, როგორც სახელმწიფოს ვალის უკან დაბრუნების საშუალების იდეის წინააღმდეგ (იხ. *„კალვოსა და დრაგოს დოქტრინები“*). 1907 წარმოადგენდა არგენტინას ჰააგის მე-2 სამშვიდობო კონფერენციაზე, ე.წ. *დრაგო-პორტერის 1907 კონვენციის* მიღების ერთ-ერთი ინიციატორი. 1920 დაინიშნა არგენტინის წარმომადგენლად ერთა ლიგაში. რიგი შრომების ავტორი საერთაშორისო სამართლის სფეროში.

**დრაგომანი**, აღმოსავლეთის ქვეყნებში დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობათა ოფიციალური თარჯიმანი. აღნიშნული სახელმწიფოების ადათ-წესებულებათა მიხედვით, დ. შედის დიპლომატიური კორპუსის შემადგენლობაში.

დღეისათვის ტერმინი დ. ფართოდ არ გამოიყენება და იშვიათად გვხვდება დიპლომატიურ პრაქტიკაში.

**დრაგო-პორტერის კონვენცია 1907** (კონვენცია ხელშეკრულებითი სავალო ვალდებულებების ძალად ამოღების შემთხვევების შეზღუდვის შესახებ, 1907 ჰააგის მე-2 კონვენცია), მიიღეს 1907 წლის 5(18).X ჰააგის მე-2 სამშვიდობო კონფერენციაზე დრაგოს მიერ წამოყენებული დოქტრინის (იხ. *„კალვოსა და დრაგოს დოქტრინები“*) საფუძველზე, აშშ-ის წარმომადგენლის ჰ.პორტერის მონაწილეობით.

**დრაგუმისი** (Dragumis) სტეფან (1842-1923), ბერძენი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1886-90 და 1892-93 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1910-12 – პრემიერ-მინისტრი; 1912 – კრეტის გენერალ-გუბერნატორი, 1913 – ეგეოსის მაკედონიის. რამდენჯერმე იყო საბერძნეთის წარმომადგენელი რუსეთში.

**დროებითი საქმეთა რწმუნებული** (ფრანგ. Chargé d'affaires ad interum), დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის დროებით არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის დროებითი შემსრულებელი.

როგორც წესი, დიპლომატიური წარმომადგენელი, ვიდრე ადგილსამყოფელი სახელმწიფოდან გაემგზავრებოდეს, შესაბამისი წერილით აუწყებს ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს დ.ს.რ-ის დანიშვნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დ.ს.რ. მიემგზავრება ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, ახალი დ.ს.რ-ის შესახებ ადგილსამყოფელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს წერილით (დეპეშით) აუწყებს მაკრედიტებელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

დ.ს.რ. სარგებლობს (მცირე გამონაკლისის გარდა) დიპლომატიური წარმომადგენლის უფლებებით და პრივილეგიებით.

**დროშის საერთაშორისო ეტიკეტი** შემდეგში მდგომარეობს: დროშის ზომა, ფერი და სხვა ელემენტები ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს იმ აღწერილობას, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოს კონსტიტუციაში ან საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტებშია მოცემული. დროშა არ უნდა იყოს გაცვეთილი. როგორც წესი, დროშა აღიმართება მზის ამოსვლისას და ეშვება მზის ჩასვლის დროს; დროშა ფლაგშტოკის ზედა ნაწილამდე უნდა იყოს აღმართული. დროშა აღიმართება სწრაფად და ეშვება ნელა. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოს დროშები აღიმართება, დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები: დროშების ზომები და აღმართვის დონე უნდა იყოს აბსოლუტურად ერთნაირი. არც ერთი დროშა არ უნდა მაღლდებოდეს რომელიმე დროშასთან შედარებით. ასეთ შემთხვევებში ყველაზე საპატიოა ან ცენტრალური ადგილი, ან უკიდურესი მარჯვენა მხარე. ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა, რამდენიმე დროშის აღმართვის დროს, დროშების განლაგება მათი სახელმწიფოთა დასახელების ალფაბეტის (ლათინური ან ადგილობრივი სახელმწიფო ენის ალფაბეტის) მიხედვით. ყოვლად დაუშვებელია რამდენიმე სახელმწიფოს დროშის ერთ ფლაგშტოკზე (ერთმანეთის ქვემოთ) განლაგება. გლოვის დროს დროშა აღიმართება ფლაგშტოკის ნახევრამდე (დროშა არ უნდა ეხებოდეს მიწას). დროშის აღმართვის ან გატარების დროს სამხედრო პირები პატივს მიაგებენ დროშას სამხედრო წესით, სამოქალაქო პირები კი იხდიან ქუდს.

**დუაიენი** (ფრანგ. doyen – მთავარი, უხუცესი) დიპლომატიური კორპუსის, დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომელიც უხუცესად ითვლება დიპლომატიური კორპუსის კოლეგებს შორის. დ. ყოველთვის უმაღლესი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელია. ზოგიერთ კათოლიკურ

ქვეყანაში ტრადიციულად Დ-ად ითვლება პაპის ნუნცია, იმისდა მიხედვით, თუ როდის ჩააბარა მან რწმუნების სიგელი.

დიპკორპუსის Დ., უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს კონსულტანტს თავისი კოლეგებისათვის, გარკვეულ დამაკავშირებელ რგოლს დიპკორპუსის წევრებსა და ადგილმდებარეობის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის. სწორედ Დ. ახორციელებს მუდმივ კავშირს ადგილმდებარეობის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებებთან, ოფიციალურ პირებთან, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლებთან. მას, სხვა დიპლომატიური წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ადგილი აქვს მიკუთვნებული ადგილსამყოფელ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ძირითადად Დ-ის ფუნქციები საოქმო საქმიანობით შემოიფარგლება: მილოცვისა და სამძიმრის გამოცხადების დროს დიპლომატიური კორპუსის სახელით გამოსვლა, ოფიციალურ ცერემონიალზე დიპკორპუსის ხელმძღვანელობა, სიტყვით გამოსვლა და ა.შ. ამ შემთხვევებში Დ-ის საქმიანობა საკმაოდ სერიოზული და დელიკატურია. სიტყვით გამოსვლის დროს მან უნდა გამოხატოს ყველა თავისი კოლეგის აზრი, ამავე დროს არ უნდა დაივიწყოს თავისი სახელმწიფოს ინტერესებიც. Დ., როგორც წესი, არ ათანხმებს თავისი გამოსვლის ტექსტს დიპკორპუსის წევრებთან. ტექსტი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ შემდგომში არ გამოიწვიოს დიპლომატიური კორპუსის წევრთა მხრიდან უარყოფითი გამოსვლები და დეზავუირება.

იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელთაც არა აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა დამყარებული Დ-ის მაკრედიტებელ სახელმწიფოსთან, Დ-ის კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით კონტაქტს ამყარებენ დიპლომატიური წარმომადგენლობის იმ მეთაურთან, რომელსაც Დ-ის შემდეგ წამყვანი ადგილი უჭირავს დიპლომატიურ კორპუსში (იმავე კრიტერიუმის მიხედვით, რა კრიტერიუმითაც ირჩევს Დ.).

*ლიტ.:* Словарь междунароодого права, 2 изд., М., 1986.

**ᲓᲣᲑᲔᲠᲡᲣᲠᲔᲜᲘ** მანგალინ (დ.1922), მონგოლეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

1951-52 მონგოლეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში – ჯერ განყოფილების გამგის მოადგილე, შემდეგ გამგე; 1953-56 – მონგოლეთის ახალგაზრდობის რევოლუციური კავშირის ცკ-ის მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილე; 1956-58 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1958-62 – მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ინდოეთში და შეთავსებით – ბირმასა და ნეპალში; 1962-63 – საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო 1963-68 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1968-72 – მონგოლეთის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში; 1972-76 – მონგოლეთის წარმომადგენელი ჟენევაში გაეროს განყოფილებასა და სხვა დაწესებულებებში; 1976-89 – საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ᲓᲣᲒᲚᲐᲡ-ᲰᲘᲣᲛᲘ**, დ ა გ ლ ა ს  ჰ ი უ მ ი (Douglas-Home) ალექსანდრ ფრედერიკ (დ.1903), ბარონი კოლდსტრიმი (Coldstream), ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1937-40 – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი პარლამენტში. მონაწილეობდა 1938 მიუნხენის შეთანხმების შემუშავებაში. 1945 – საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მოადგილე; 1951 – სახელმწიფო მინისტრი შოტლანდიის საკითხებში; 1955-60 – თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი, იმავე დროს, 1957-60 – საბჭოს ლორდ-თავმჯდომარე; 1960-63 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1963-64 – პრემიერ-მინისტრი; 1964-65 – ოპოზიციის ლიდერი; 1970-74 – საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი.

1931-45, 1950-51 – თემთა პალატის წევრი. 1951 მემკვიდრეობით მიიღო გრაფის (გრაფი ჰიუმი) (Home of the Hirsel) ტიტული. 1956-57 – ლორდთა პალატის ლიდერი. ამ თანამდებობაზე უარის თქმის შემდეგ 1963-74 კვლავ თემთა პალატის წევრია, 1974-დან ისევ ლორდთა პალატის წევრია.

**ᲓᲣᲙᲐ** (Dukas) (დაახლ.1400-70), ბერძენი ისტორიკოსი, დუკათა სამეფო ოჯახის ნათესავის, მიხეილ დუკას შვილიშვილი. დიპლომატიურ სამსახურში იყო კუნძ. ლესბოსის გენუელი მმართველების – გატელუზების კარზე. მიუხედავად გენუელთა კარზე მოღვაწეობისა და კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის მხარდამჭერისა, Დ. პრობიზანტიურ ორიენტაციას ინარჩუნებდა. მისი თხზულება – „ისტორია“ მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან 1462-მდე. 1204-1359 ამბების აღწერისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოსმალთა ბატონობის გავრცელებას. 1391-დან შექმნილი ეპოქის თხრობა დაწვრილებით აქვს გადმოცემული, მოგვითხრობს სამი უკანასკნელი ბიზანტიელი იმპერატორის – მანუილ II-ის (1391-1423), იოანე VIII-ის (1423-48) და კონსტანტინე XI-ის (1448-53) ისტორიას. Დ-ს „ისტორია“ საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს ისტორიის შესახებ.

*წყარო:* გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.3, თბ., 1970.

**ᲓᲣᲛᲑᲐᲠᲢᲝᲜ-ᲝᲙᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ 1944**, მიმდინარეობდა 21.VIII-7.X-მდე ვაშინგტონში (ერთ-ერთ ძველ მამულში – დუმბარტონ-ოქსში). კონფერენცია მოწვეული იყო სსრკ-ის წინადადებით, 1943 *მოსკოვის კონფერენციაზე* მიღებული დეკლარაციის იმ მუხლის შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებდა „უმოკლეს ვადაში საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდასაჭერად“. კონფერენციაზე ამ დეკლარაციის ხელის მომწერმა სახელმწიფოებმა (სსრკ, აშშ, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი) ჩაატარეს წინასწარი მოლაპარაკება ამ ორგანიზაციის წესდების შემუშავების მიზნით.

მოლაპარაკება გაიყო ორ ეტაპად: პირველი იყო სსრკ-ის, აშშ-ისა და ინგლისის წარმომადგენელთა (სსრკ-ის ელჩი აშშ-ში ა.ა. *გრომიკო*, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ე. *სტეტინიუსი* და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე ა. *კადოგანი*) მოლაპარაკება 21.VIII-დან 28.IX-მდე, მეორე ეტაპზე კი – 29.IX-დან 7.X-მდე, შედგა აშშ-ის და ინგლისის წარმომადგენელთა მოლაპარაკება ჩინეთის წარმომადგენელთან. ამ მოლაპარაკებების დროს შემუშავებული იყო წინადადებები, რომლებიც გამოქვეყნდა 9-10.X და საფუძვლად დაედო გაეროს წესდებას, მიღებულს 1945 წლის ივნისში *სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე*.

Დ-Ო.ԿᲖე ვერ შეთანხმდნენ უშიშროების საბჭოში კენჭისყრის თაობაზე, მომავალი საერთაშორისო ორგანიზაციის თავდაპირველ წევრთა შემადგენლობაზე, ე.ი. იმ ქვეყნების თაობაზე, რომელთაც ამ ორგანიზაციის წესდე-

ბაზე უნდა მოეწერათ ხელი (ეს საკითხი გადაწყდა 1945 ყირიმის (იალტის) კონფერენციაზე).

ლიტ. Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941–45. Конференция представителей СССР, США и Великобритании в Думбартон-Оксе. М., 1978.

**ᲓᲰᲐᲠᲘ** დურგა პრასად (1918-75), ინდოელი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მონაწილე. 1948-68 შედიოდა ჯამუსა და ქაშმირის შტატის მთავრობებში. 1968-71 და 1975 – ინდოეთის ელჩი სსრკ-ში; 1972-74 – დაგეგმარების მინისტრი, ინდოეთის მთავრობაში დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

# ე

**ებერდინი,** ა ბ ე რ დ ი ნ ი (Aberdeen) ჯორჯ ჰამილტონ გორდონ (1784-1860), გრაფი, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი,1801 – ლორდთა პალატის წევრი, 1813-14 – ელჩი ავსტრიაში, 1828-30 და 1841-46 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1834-35 – სამხედრო მინისტრი და კოლონიების მინისტრი. 1852-55 – ინგლისის პრემიერ-მინისტრი. 1844 დაიწყო მოლაპარაკება *ნიკოლოზ I-თან* ოსმალთა იმპერიის გაყოფის თაობაზე, რაც ნიშნავდა რუსეთის მიერ თურქეთის წინააღმდეგ ომის პროვოცირებას. ერთდროულად 1853 დადო შეთანხმება საფრანგეთთან აღმოსავლეთის საკითხში რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. 1854 სინოპთან თურქეთის ფლოტის დამარცხების შემდეგ ე-ის მთავრობამ რუსეთს ომი გამოუცხადა. 1855 იძულებული გახდა, ინგლისის ჯარის წარუმატებელი მოქმედების გამო, გადამდგარიყო.

**ებარსლან ბაკურციხელი,** XIII ს. ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, *რუსუდანისა* და მისი ძის დავითის (იხ. *დავით VI ნარინი*) აღმოსავლეთ საქართველოში გამოსვლისას იმ დიდებულთა ბანაკში იყო, რომელნიც ამ ფაქტს მიესალმნენ. ლაშა გიორგის ძის – დავითის (*დავით VII* ულუ) რუმიდან საქართველოში ჩამოყვანისას მან უფლისწულს მხარი არ დაუჭირა. იგი განსაკუთრებით განდიდდა უმეფობის, ანუ დუმნობის ხანაში: ე.ბ. პირველი დუმნის თავად, ე.ი. კახეთ-ჰერეთისა და „კამბეჩიანისა ტფილისითგან", ვიდრე „მთამდე შამახიისა" მეთაურად დაინიშნა. უმეფობისა და მისი მდგომარეობის გამორჩეულობის – „პირველობის" პირობებში ე.ბ-მა კიდევ უფრო განდიდება მოინდომა და გარკვეულად მიაღწია კიდეც; მისი ასეთი აღზევება ქართველ დიდებულთათვის მიუღებელი იყო; ამავე დროს, იგი უხეირო მეომარი და სამხედრო საქმის „არა ნიჭთა მქონებელი" იყო, რაც მის პოზიციებს მნიშვნელოვნად ასუსტებდა. საბოლოოდ, ქართველმა დიდებულებმა ავაგ მხარგრძელის მეთაურობით მისი ძალაუფლება დაამხეს. ცხოვრების ბოლო პერიოდში ე.ბ. „უპატიო იქმნა". მიუხედავად მონგოლთა მიერ ასეთი აღზევებისა ე.ბ-მა მაინც მიიღო მონაწილეობა დამპყრობელთა წინააღმდეგ მოწყობილ კოხტასთავის შეთქმულებაში.

წყარო: ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ.3, თბ., 1982).

**ეგვიპტე-ისრაელის საზავო ხელშეკრულება 1979,** ხელმოწერილ იქნა 16-თვიანი მოლაპარაკების შემდეგ ვაშინგტონში, 26.III ეგვიპტის პრეზიდენტის ა.სადათის, ისრაელის პრემიერ-მინისტრის მ.ბეგინისა და აშშ-ის პრეზიდენტის ჯ.კარტერის (როგორც „მოწმის") მიერ. ემყარებოდა 1978 წლის სექტემბერში კემპ-დევიდში (აშშ) იმავე სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ ხელმოწერილ შეთანხმებას, რომელსაც ეწოდებოდა „ჩარჩოები ეგვიპტესა და ისრაელს შორის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის" (*კემპ-დევიდის შეთანხმებები*). ძალაში შევიდა 25.IV. შედგება პრეამბულის, 9 სტატიისა და რიგი დამატებებისაგან. ყველა ოქმი, დამატება და რუკა, რომელიც მას ერთვის, განიხილება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად. ამ ხელშეკრულების თანახმად, ცხადდება ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენა სინაის ნ.კ-ზე, აქედან ისრაელის ჯარების გაყვანის შემდეგ, რისი ვადაც 3 წლით განისაზღვრა. ეგვიპტეს დაევალა ისრაელთან ნორმალური დიპლომატიური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარება, ეკონომიკური ბოიკოტის შეწყვეტა და ისრაელის მოქალაქეთა გადაადგილებისათვის ყველა შეზღუდვის მოხსნა ისრაელის ჯარების გაყვანის პირველი „დროებითი ეტაპის" დასრულების შემდეგ. ეგვიპტე, ისრაელი და აშშ შეთანხმდნენ, რომ განელაგებინათ სინაიზე გაეროს ძალები და მეთვალყურეები. მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ ფაქტობრივად უარი თქვა აქ გაეროს ძალების განლაგებაზე, ეგვიპტემ და ისრაელმა ჩამოაყალიბეს ე.წ. „მრავალეროვნული ძალები", რომელთა ბირთვსაც შეადგენდა აშშ-ის კონტინგენტი. აშშ-ის პრეზიდენტმა ა.სადათსა და მ.ბეგინს დაუგზავნა იდენტური წერილები, რომლებშიც აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულების ფაქტობრივი დარღვევის, ანდა მისი დარღვევის საშიშროების შემთხვევაში აშშ კონსულტაციებს გამართავდა მხარეებთან და მიიღებდა სხვა ისეთ ზომებს, რომლებსაც საჭიროდ და მიზანშეწონილად ჩათვლიდა ხელშეკრულების დაცვის გარანტიისათვის.

ე.-ი.ს.ხ-თან (1979) კავშირში უნდა იქნეს განხილული აგრეთვე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის *ს.ვენსისა* და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მ.დაიანის მიერ იმავდროულად ხელმოწერილი ორი მემორანდუმი – ისრაელის უსაფრთხოების შესახებ და ისრაელისთვის ნავთობის მიწოდების თაობაზე (*ამერიკა-ისრაელის შეთანხმებები*).

**ეგვიპტის კრიზისები,** I. 1831-33 კრიზისი დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ 1831 წლის ოქტომბერში ეგვიპტის გამგებელი მუჰამედ ალი-ფაშა გამოვიდა თავისი სიუზერენის, ოსმალეთის სულთნის მაჰმუდ II-ის წინააღმდეგ. ეგვიპტის ჯარებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ოსმალეთის არმია, დაიკავეს სირია-პალესტინა, შეიჭრნენ ანატოლიაში და საფრთხე შეუქმნეს სტამბულს. სულთანმა დახმარებისათვის მიმართა ევროპის ქვეყნებს. მის თხოვნას გამოეხმაურა რუსეთი, რომელსაც აშინებდა სტამბულისა და სრუტეების ზონის გადას-

ელა მუჰამედ ალის (და მის ზურგს უკან მდგომი საფრანგეთის) ხელისუფლების ქვეშ. 1833 წლის მარტში ბოსფორში შევიდა რუსეთის ესკადრა, ბოსფორის აზიურ ნაწილში გადასხდომა დაიწყო რუსეთის 2-ათასიანმა საექსპედიციო კორპუსმა, რომელმაც შტაბ-ბინა დაიდო უნკიარ-ისკელესში, სულთნის საზაფხულო რეზიდენციის მახლობლად. რუსეთის აქტიურობით შეშფოთებულმა საფრანგეთმა და ინგლისმა სულთანს შესთავაზეს შუამავლობა, რის შედეგადაც, 9 მაისს ქუთაჰიაში დაიდო შეთანხმება, რომელმაც დაამტკიცა მუჰამედ ალის უფლებები ეგვიპტეზე, არაბეთზე, სუდანსა და კრეტაზე. მას სამართავად გადაეცა სირია, პალესტინა და კილიკია, სამაგიეროდ მუჰამედ ალის უნდა დაეტოვებინა ანატოლია და ეცნო სულთნის სიუზერენიტეტი. 1833 *უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით*, რუსეთმა გაიყვანა თავისი ჯარები თურქეთიდან.

2. 1839-41 კრიზისი განაპირობა ქუთაჰიას ხელშეკრულების გამო ორივე მხარის უკმაყოფილებამ და თურქეთისა და ეგვიპტის ახალმა შეტაკებამ. 1839 წლის 21 აპრილს თურქეთის ჯარმა გადალახა ევფრატი და შეიჭრა მუჰამედ ალის სამფლობელოში, მაგრამ დამარცხდა პირველსავე გენერალურ ბრძოლაში ნისიბნთან 24 ივნისს. შემდეგ თურქეთის ფლოტი გადავიდა მუჰამედ ალის მხარეზე, ოსმალეთი მზად იყო მოლაპარაკებოდა მას, მაგრამ ინგლისმა, საფრანგეთმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ 1839 წლის 27 ივლისის კოლექტიური ნოტით მოსთხოვეს სულთანს, არ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება და თავის ხელში აიღეს კრიზისის რეგულირება. 1840 წლის გაზაფხულზე ლონდონში საფრანგეთის პოლიტიკური იზოლაციის პირობებში ინგლისმა, რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ დადეს ლონდონის კონვენცია კრიზისის მოგვარების პირობებისა და სულთნისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მუჰამედ ალი არ მიიღებდა ამ პირობებს. 1840 წლის 19 აგვისტოს მუჰამედ ალის წაუყენეს ულტიმატუმი, რომელიც მან არ მიიღო. 1840 წლის 10 სექტემბერს ინგლისის, ავსტრიისა და თურქეთის ფლოტებმა და სადესანტო ნაწილებმა დაიწყეს სამხედრო მოქმედებები ეგვიპტის წინააღმდეგ. იმავდროულად სირიაში დაიწყო ანტიეგვიპტური აჯანყება, საფრანგეთმა ვერ აღმოუჩინა დახმარება მუჰამედ ალის, რომელმაც რამდენიმე მარცხის შემდეგ კაპიტულაცია გამოაცხადა. ის დაემორჩილა ლონდონის კონვენციის პირობებს, გაიყვანა ჯარები სირიიდან, პალესტინიდან, არაბეთიდან, კრეტიდან. 1841 წლის 13 თებერვლისა და 1 ივნისის სულთნის ბრძანებულებებით განისაზღვრა ეგვიპტის ახალი სტატუსი. ეგვიპტე და აღმოსავლეთ სუდანი გამოცხადდა მუჰამედ ალის მემკვიდრეობით სამფლობელოებად, მან აღიარა სულთნის სიუზერენიტეტი. ეგვიპტის ტერიტორიაზე გავრცელდა სხვა ქვეყნებთან თურქეთის ყველა ხელშეკრულება (მათ შორის ინგლის-თურქეთის 1838 სავაჭრო კონვენცია). ეგვიპტემ იკისრა დიდი ხარკის შეტანა სულთნის ხაზინაში, მისი არმია 150 ათასიდან 18 ათასამდე შემცირდა.

3. 1881-82 კრიზისი დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისმა განიზრახა მოეხდინა ეგვიპტის ოკუპაცია და მთლიანად დაემორჩილებინა ის. ამ გეგმების განხორციელებას წინ უსწრებდა ინგლისის მიერ ეგვიპტის ფინანსური დაკაბალება. შეიარაღებული ინტერვენციის საბაბი გახდა ის, რომ 1881 წლის შემოდგომაზე ეგვიპტეში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეროვნული მთავრობა, რომელშიც სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა ეგვიპტელი ნაციონალისტების ლიდერმა არაბი-ფაშამ. 1881 წლის 23 ივნისს კონსტანტინოპოლში (სტამბულში) გაიხსნა კონფერენცია ეგვიპტის საკითხთან დაკავშირებით ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, ავსტრიის, გერმანიისა და იტალიის მონაწილეობით. მიიღეს „დაუინტერესებლობის" ოქმი, რომელიც აეალდებულებდა კონფერენციის მონაწილე ქვეყნებს, არ ეცადათ ეგვიპტეში რაიმე ტერიტორიების, განსაკუთრებული უფლებების, კონცესიებისა და სავაჭრო უპირატესობების მოპოვება, რომელთა მიღებასაც თანაბარი ზომით ვერ შეძლებდა კონფერენციის მონაწილე ნებისმიერი ქვეყანა. მიუხედავად ამისა, ინგლისმა გამოიწვია კონფლიქტი ეგვიპტესთან და 1882 წლის 11 ივლისს ინგლისის ფლოტმა დაბომბა ალექსანდრია. რუსეთმა პროტესტის ნიშნად დატოვა კონსტანტინოპოლის კონფერენცია, ხოლო გერმანიამ და ავსტრიამ ინგლისს მისცეს მოქმედების თავისუფლება იმ პირობით, რომ იმოქმედებდა საკუთარი პასუხისმგებლობით და არა სხვა ევროპული სახელმწიფოების მანდატით. 1882 წლის სექტემბერში ეგვიპტე ოკუპირებულ იქნა ინგლისის მიერ და ის ფაქტობრივად გადაიქცა მის კოლონიად, თუმცა კი ფორმალურად რჩებოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში.

**ეგზეკვატურა** (ლათ. exsequor – გამორკვევა, დადგენა), ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მიმღები ქვეყნის მთავრობის მიერ უცხოელი *კონსულის* ცნობას ამ რანგში.

ე-ის ფორმა დგინდება მიმღები სახელმწიფოს შინაგანი კანონმდებლობით. როგორც წესი, ე. მტკიცდება *სახელმწიფოს მეთაურის (მთავრობის მეთაურის* ან *საგარეო საქმეთა უწყების* ხელმძღვანელის) მიერ და დასტურდება ბეჭდით.

ე-ის გაცემამდე მიმღებ სახელმწიფოს, როცა ამას აუცილებლობა მოითხოვს, შეუძლია უცხოელი კონსულისათვის დროებითი ნებართვის მიცემა. ე-ის გაცემაზე უარის შემთხვევაში მიმღები სახელმწიფო არაა ვალდებული ახსნა-განმარტება მისცეს გამომგზავნ სახელმწიფოს.

ე. არ მოეთხოვება *დიპლომატიური წარმომადგენლობის* საკონსულო განყოფილების გამგეს, რამდენადაც ამ ფუნქციების შესრულება ევალება *საელჩოს* დიპლომატიური პერსონალის ან *დიპლომატიური მისიის* ერთ-ერთ წევრს.

**ეგნატაშვილი** (**იგნატიევი**) სიმონ იგორის ძე, XVIII ს. მეორე ნახევრის მწიგნობარი და პეტერბურგის ქართული კოლონიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ინფორმატორი, მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური მისიების საქმიანობაში როგორც თარჯიმანი.

*ლიტ.:* რ უ ხ ა ძ ე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVIII სს.), თბ., 1960.

**ევატი** (Evatt) ჰერბერტ ვირ (1894-1965), ავსტრალიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1930-40 – უმაღლესი სასამართლოს წევრი, 1941-49 – საგარეო საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი; ამასთან ერთად 1946-49 – ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე; 1949-60 – წარმომადგენელთა პალატის წევრი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი (1951-60); 1960-62 – ახალი სამხრეთ უელსის შტატის მთავარი მოსამართლე; ავსტრალიის დელეგაციის

მეთაური სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945 და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე (1946-48); პალესტინის საკითხებში გაეროს კომისიის თავმჯდომარე (1947), გაეროს ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე (1949-დან).

**ევდემონ I** (ჩ ხ ე ტ ი ძ ე) (გ.1578), დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1557-78. იმერეთის მეფეების *ბაგრატ III-სა* და *გიორგი II-ის* აქტიური მხარდამჭერი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლაში. ბაგრატ III-ის ინიციატივით აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან – მალაქიასთან ერთად მოიწვია საეკლესიო კრება, საეკლესიო კრების დადგენილებით, „ტყვის მსყიდველთათვის" დაწესდა სიკვდილით დასჯა. დადგენილებამ გარკვეული როლი შეასრულა „ტყვის სყიდვის" მასშტაბების შემცირებაში. ევ.-მა აფხაზეთის საკათალიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანა. ეს გამოწვეული იყო აფხაზეთში ოსმალთა აგრესიის გაძლიერებით.

*ლიტ.:* ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წეს-წყობილება. – მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.1, თბ., 1971.

**ევიანის შეთანხმებები 1962**, შეთანხმებები საფრანგეთის მთავრობასა და ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობას შორის, ხელმოწერილი 18.III ევიან-ლე-ბენში (საფრანგეთი). მათ განსაზღვრეს საფუძველი იმ პრობლემების მოგვარებისა, რომლებიც უკავშირდებოდა ალჟირის დამოუკიდებლობის მოპოვებას და საფრანგეთთან მისი ურთიერთობების განვითარებას. ე.შ-ს მიეკუთვნება შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე; შეთანხმებები საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტების ფორმით – დამოუკიდებლობის საკითხზე ალჟირში რეფერენდუმის ჩატარება და გარდამავალ პერიოდში ალჟირში სახელმწიფო ხელისუფლების დროებითი ორგანიზაციის შესახებ; აგრეთვე რამდენიმე დეკლარაცია სხვადასხვა სფეროში ორი მხარის თანამშრომლობის პრინციპებზე.

ე.შ-ის შესაბამისად, 1962 წლის 19 მარტიდან ალჟირის მთელ ტერიტორიაზე ორივე მხრიდან წყდებოდა სამხედრო მოქმედებები; იწყებოდა თვითგამორკვევის საკითხზე რეფერენდუმისათვის სამზადისი, ტარდებოდა პოლიტპატიმართა ამნისტია. საფრანგეთი ვალდებულებას იღებდა, დაუყოვნებლივ ეცნო ალჟირის დამოუკიდებლობა, თუკი რეფერენდუმის დროს ალჟირელთა უმრავლესობა მხარს დაუჭერდა დამოუკიდებლობას და საფრანგეთთან თანამშრომლობას. ამ შემთხვევაში საფრანგეთის სამხედრო ძალები უნდა შემცირებულიყო და შემდეგ კი გაყვანილი ალჟირის ტერიტორიიდან 3 წელიწადში, გარდა მარს ალ-ქაბირის სამხედრო-საზღვაო ბაზისა, აგრეთვე კოლომ-ბეშარისა და რეგანის სარაკეტო და ატომური პოლიგონებისა, რომელთაც საფრანგეთი ინარჩუნებდა შესაბამისად 15 და 5 წლით. საფრანგეთმა შეინარჩუნა უფლება, დაესვა თავისი თვითმფრინავები ალჟირის ზოგიერთ აეროდრომზე. საფრანგეთი ცნობდა ალჟირის სუვერენულ უფლებას საჰარაზე. ამასთან საფრანგეთის კომპანიებმა საჰარის წიაღისეულის დამუშავების უპირატესი უფლება მოიპოვეს. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ალჟირი რიგ არსებით შეღავათებს აძლევდა ფრანგულ კაპიტალს საფრანგეთის ტექნიკური, კულტურული და ფინანსური დახმარების სანაცვლოდ, ალჟირში მცხოვრებ ფრანგებს 3 წლის განმავლობაში შეეძლოთ ყოფილიყვნენ ალჟირის სრულუფლებიანი მოქალაქეები, რათა ამ ხნის მანძილზე აერჩიათ ალჟირის ან საფრანგეთის მოქალაქეობა.

**ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენცია**, გაიხსნა 17.I.1984 მადრიდის შეხვედრის გადაწყვეტილების საფუძველზე. მასში მონაწილეობდნენ ის ქვეყნები, რომლებმაც ხელი მოაწერეს *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის* ჰელსინკის დასკვნით აქტს (33 ევროპული ქვეყანა, აგრეთვე აშშ და კანადა).

კონფერენციას წინ უძღოდა მოსამზადებელი ეტაპი, რომელიც მიმდინარეობდა ჰელსინკში 25.X-11.XI.1983. კონფერენციის დღის წესრიგი მოიცავდა იმ საკითხებს, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ევროპაში ნდობის განმტკიცებასა და საერთო უშიშროებას. კონფერენციაზე მწვავე კამათი გაჩაღდა იმ საკითხზე, თუ სად უნდა განხორციელებულიყო *ნდობის განმტკიცების ღონისძიებანი*. სსრკ-მა გამოთქვა მზადყოფნა ნდობის განმტკიცების ღონისძიებანი გაევრცელებინა მისი ტერიტორიის ევროპულ ნაწილზე იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთის სახელმწიფოებიც შესაბამისად გააფართოებდნენ ნდობის ზონებს. მაგრამ ამ საკითხებზე ვერ მოხერხდა თანხმობის მიღწევა, რადგან კონფერენციის მუშაობა დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობებში ვითარების მკვეთრად გაუარესებას, როცა სსრკ-ის მიერ შეიარაღების სფეროში განხორციელებული ნაბიჯების პასუხად აშშ-მა დაიწყო ევროპის რიგ ქვეყნებში ახალი ტიპის რაკეტების განლაგება.

კონფერენციაზე აშშ და მისი მოკავშირეები გამოვიდნენ სამხედრო საქმიანობის „გამჭვირვალეობის" კონცეფციით, მაგრამ საბჭოთა კავშირი იმის შიშით, რომ ეს გამოიწვევდა მისი შეიარაღებული ძალების სტრუქტურისა და საქმიანობის საიდუმლოების გამჟღავნებას, წინ აღუდგა ნატოს ორგანიზაციის ამ წინადადებას. ამის ნაცვლად საბჭოთა კავშირმა კონფერენციაზე წამოაყენა ბირთვული იარაღის გამოუყენებლობის, ქიმიური იარაღისაგან ევროპის განთავისუფლების, სამხედრო მანევრების შეზღუდვის, ჯარების მსხვილი შენაერთების გადაადგილების შესახებ ერთმანეთის წინასწარი გაფრთხილებისა და სხვა წინადადებები.

1984-85 ჩატარდა სტოკჰოლმის კონფერენციის ოთხოთხი სესია, რომლებზედაც საქმიანი წინადადებები წამოაყენეს ნეიტრალურმა და მიუმხრობელმა ქვეყნებმა (9.III.1984 და 15.XI.1985) – რუმინეთმა, მალტამ, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ თანასწორობის და ერთდროულობის საფუძველზე პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ღონისძიებების განხილვა.

სტოკჰოლმის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ კონფერენციის მუშაობის შედეგების შეფასება უნდა მომხდარიყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ვენის თათბირზე, რომლის მუშაობის დაწყებაც განზრახული იყო 4.XI.1986.

**ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება** (ევრატომი) (European Atomic Energy Community – EUROATOM), დასავლეთ ევროპის 10 სახელმწიფოსაგან შემდგარი გაერთიანება, რომელიც შედის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში. შექმნილია ამ ქვეყნების ერთობლივი საქმიანობისათვის ატომური ენერგიის წარმოებისა და გამოყენების დარგში კოორდინაციისა და დაფინანსების მიზნით. ევრატომის დამფუძნებელი ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 25.III. 1957 რომში ბელგრადის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერ-

ლანდების, საფრანგეთისა და გფრ-ის მიერ, ხოლო ძალაში შევიდა 1.I.1958. 1.I.1973 ევრატომში გაერთიანდნენ დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია, 1.I.1981 კი – საბერძნეთი.

ევრატომის ძირითადი ფუნქციაა ყველა მონაწილე ქვეყნისათვის ხლეჩადი მასალების იმპორტის, მათი გადამუშავების, ატომური ელექტროსადგურების ექსპლუატაციის და ა.შ. ერთიანი წესების შემუშავება. ევრატომის დაფინანსება ხდება მასში მონაწილე ქვეყნებისათვის დაწესებული კვოტების მიხედვით. 1967-დან ევრატომის უმაღლესი ორგანოების ფუნქციები გადაეცა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ხელმძღვანელ ორგანოებს, ევრატომთან არსებობს გაერთიანებული კვლევითი ცენტრი.

**ევროპის გაერთიანებები** (European Communities), ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, *ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება* (ევრატომი), ხშირად გვხვდება ევროპის გაერთიანებების სახელწოდებით.

ე.გ-ს გააჩნიათ საერთო ხელმძღვანელი ორგანოები – *ევროპის საბჭო*, მინისტრთა საბჭო, *ევროპის გაერთიანებათა კომისია, ევროპის პარლამენტი* – და სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც დასავლეთევროპული ქვეყნების ერთიანი ინტეგრაციული კომპლექსი. ე.გ-ის ქვეყნები მიისწრაფვიან, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია პოლიტიკური კავშირითაც შეავსონ.

ე.გ-ის ხელმძღვანელი ორგანოების სხდომები და თათბირები ეწყობა ბრიუსელში, ლუქსემბურგსა და სტრასბურგში (საფრანგეთი).

**ევროპის გაერთიანებათა კომისია** (Commission of the European Communities – CEC), ევროპის გაერთიანების აღმასრულებელი ორგანო, შეიქმნა 8.IV.1965 ბრიუსელში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, მოქმედებს 1.VII.1967-დან.

კომისიის კომპეტენციაში შედის: *ევროპის საბჭოს* გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება; ევროპის საერთო ბაზრის, *ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების* და *ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების* შექმნის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების და საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულების მეთვალყურეობა; გადაწყვეტილებების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც ხელშეკრულებებითაა გათვალისწინებული, ან მისთვის საბჭოს მიერ გადაცემულ საკითხებზე. კომისიის წევრთაგან შექმნილია რიგი მუდმივი ჯგუფები (საგარეო ურთიერთობების, ეკონომიკისა და ფინანსების და ა.შ.), მისი დამხმარე ორგანოები, სამდივნოები, საერთო სამსახური და საინფორმაციო ბიურო.

კომისიის წევრები ინიშნებიან მონაწილე ქვეყნების მთავრობათა მიერ საერთო თანხმობის საფუძველზე და მათი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებული სასამართლოების (Cour de justice) მიერ, რომლებიც ევროპულ გაერთიანებათა ერთ-ერთი ორგანოა. კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება ხმების აბსოლუტური უმრავლესობით, კომისიაში აკრედიტებულია მონაწილე და სხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები.

კომისიის ადგილსამყოფელია ქ.ბრიუსელი.

**ევროპის ეკონომიკური გაერთიანება**, იხ. *ევროპის კავშირი.*

**ევროპის თავდაცვითი გაერთიანება** (European Defence Community - EDC), დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამხედრო ბლოკის პროექტი, წამოყენებული საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის რ.პლევენის მიერ 24.X.1950, რომელმაც მოითხოვა გფრ-ის მონაწილეობით „თავდაცვის მინისტრების ევროპული კომიტეტის" და „ევროპის არმიის" შექმნა. პლევენის გეგმა ოფიციალურად მოიწონეს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 1951 *ვაშინგტონის თათბირზე.*

27.V.1952 პარიზში საფრანგეთის, იტალიის, გფრ-ის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს *პარიზის ხელშეკრულებას* ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შექმნის შესახებ 50 წლის ვადით. ამ ხელშეკრულებით, აგრეთვე რიგი დამატებითი ოქმებითა და საიდუმლო შეთანხმებებით ევროპის თავდაცვითი გაერთიანება იგეგმებოდა როგორც „ზეეროვნული" სამხედრო ორგანიზაცია მმართველობის საერთო ორგანოებით, გაერთიანებული სამხედრო ძალებითა და საერთო ბიუჯეტით.

ე.თ.გ-ის შექმნა წარმოადგენდა გფრ-ის შეიარაღების, რემილიტარიზაციის ლეგალიზაციის ცდას და ეწინააღმდეგებოდა *ბერლინის (პოტსდამის) 1945 კონფერენციის* გადაწყვეტილებებს და სხვა შეთანხმებებს, რომელთა მიხედვითაც არ უნდა მომხდარიყო გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება გარდა ევროპის თავდაცვითი გაერთიანებისა, მასში შემავალმა ქვეყნებმა მოინდომეს ევროპის პოლიტიკური გაერთიანების შექმნაც, რომელიც დამტკიცდა თავდაცვითი გაერთიანების ასამბლეაზე 10.III. 1953. მაგრამ პოლიტიკური კავშირის შექმნა იმხანად დასავლეთ ევროპაში ვერ მოხერხდა, რადგან წააწყდა წინააღმდეგობას ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტში. 1954 წლის აგვისტოში, როცა საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო პარიზის ხელშეკრულება, ევროპის პოლიტიკური გაერთიანებაც ავტომატურად უარყოფილ იქნა.

**ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია** (European Free Trade Association), ევროპის რიგი ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური ორგანიზაცია, შეიქმნა დიდი ბრიტანეთის ინიციატივით. ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია ხელმოწერილ იქნა 4.I. 1960 სტოკჰოლმში ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, დანიის, ნორვეგიის, პორტუგალიის, შვეიცარიისა და შვედეთის მიერ. 27.III.1961 ასოციაციის ასოცირებულ წევრად მიიღეს ფინეთი, ხოლო 1.III.1970 მისი წევრი გახდა ისლანდია. ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ინგლისისა და დანიის გაწევრიანების შემდეგ, ისინი გამოეყვნენ ასოციაციიდან.

ასოციაცია შეიქმნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საწინააღმდეგოდ, სამრეწველო საქონლით ასოციაციის მონაწილე ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის უზრუნველსაყოფად, საბაჟო გადასახადებისა და რაოდენობრივი შეზღუდვების თანდათანობითი შემცირების გზით. ასოციაციის წევრ-ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნამ, რომლის ფორმირებაც 1967 დამთავრდა, ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის ზრდას, მაგრამ ძირითადი მიზანი – კონკურენციის გაწევა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისათვის – ვერ იქნა მიღწეული. 22.VII. 1972 ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ ასოციაციის წევრ-ქვეყნებთან და ფინეთთან ხელი

მოაწერა ხელშეკრულებას ვაჭრობის პრინციპების შესახებ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა სარეწველო საქონლით თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომელიც მოიცავდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და ასოციაციაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიებს, მაგრამ ვერც ამ ხელშეკრულებამ მოხსნა სავაჭრო-ეკონომიკური წინააღმდეგობანი ამ გაერთიანებებს შორის.

ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოა მინისტრთა საბჭო, რომელიც აკონტროლებს იმ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულებას, რომლებიც აუცილებელია მონაწილე ქვეყნებისათვის. ასოციაციის სამდივნო იმყოფება ჟენევაში.

**ევროპის თანამეგობრობები** (European Communities), აერთიანებს სამ რეგიონულ საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას – ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას, *ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას* და *ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას*. იგი წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის პრინციპულად ახალ ფორმას. მისი ძირითადი დამაარსებელი და ინსტიტუციური ხასიათის დოკუმენტებია: *რომის 1975 ხელშეკრულება ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობათა დაარსების შესახებ*, ლუქსემბურგის 1971 ხელშეკრულება, ერთიანი ევროპული აქტი 1968, *მაასტრიხტის 1992 ხელშეკრულება*.

ე.თ-ბათა მიზანია ევროპაში ინტეგრაციული პროცესების მაქსიმალურად გაფართოება და მყარი პოლიტიკური კავშირის შექმნა.

ე.თ-ს გააჩნიათ ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოები: ევროპის თანამეგობრობათა კომისია, *ევროპის პარლამენტი*, სასამართალი.

ე.თ-ბათა ორგანოები განლაგებულია ბრიუსელში, ლუქსემბურგში, სტრასბურგში.

**ევროპის კავშირი**, დასავლეთის 12 ქვეყნის ორგანიზაციამ ასეთი სახელწოდება მიიღო 1993, მას შემდეგ, რაც ევროპული თანამეგობრობების განვითარებისა და რეორგანიზაციის ხანგრძლივი გზა გაიარა.

ევროპული თანამეგობრობები აერთიანებდა სამ საერთაშორისო ორგანიზაციას: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებას (ЕОУС), ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას და ევროპის ატომური ენერგიის კომისიას (ევრატომი).

თავისი ფუნქციებითა და რეალური მნიშვნელობით განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას, რომლის ამოცანა იყო საერთო ბაზრის ფორმირება საბაჟო გადასახადების თანდათანობით გაუქმების, საქონლის შეტანა-გატანის რაოდენობრივი შეზღუდვის გაუქმების, სამუშაო ძალის, კაპიტალისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების, ეკონომიკური, სოციალური, სავალუტო და საინვესტიციო პოლიტიკის კოორდინირების გზით.

1965 ბრიუსელში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თანამეგობრობათა შერწყმის შესახებ და შეიქმნა ერთიანი ხელმძღვანელი და აღმასრულებელი ორგანოები.

თანამეგობრობათა წევრები თავდაპირველად იყვნენ საფრანგეთი, იტალია, გფრ, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, შემდგომ წლებში მათ შეუერთდნენ დანია, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრია, ფინეთი, შვეცია.

ევროპულ თანამეგობრობებს ხშირად მხოლობით რიცხვში უწოდებენ „ევროპის თანამეგობრობას".

თავდაპირველად ევროპული თანამეგობრობების ძირითადი კომპეტენცია ვრცელდებოდა ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის და კონკურენციის რეგულირებაზე. 1957 რომის ხელშეკრულების გადასინჯვა მოხდა 1986 ერთიანი ევროპული აქტის მიღებით, რომელმაც სტიმული მისცა ორ უმნიშვნელოვანეს პროცესს: ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებას და ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარებას, ასევე ევროპის თანამეგობრობის აქტების მიღებისას კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპის შემოღებას.

ევროპულ თანამეგობრობათა სრულყოფის ხანგრძლივი პროცესი დასრულდა 1992 წლის 7 თებერვალს მაასტრიხტში (ნიდერლანდები) ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერით. 1993 წლის ოქტომბრისათვის ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიცირება. 1993 წლის 1 ნოემბერს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. ევროპის კავშირმა იურიდიული სტატუსი შეიძინა.

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა დათმეს თავისი სუვერენული უფლებების ნაწილი. ერთიანი ეკონომიკური სივრცე ითვალისწინებს ეროვნულ კანონმდებლობათა უნიფიკაციას მნიშვნელოვან დარგებში – ეკოლოგიის, სოციალური უზრუნველყოფის, შრომის პირობების და ანაზღაურების, იმიგრაციის პრობლემების სფეროში, სავალუტო კავშირი დაემყარება ერთიან ფედერალურ საბანკო სისტემას და საბოლოო ჯამში ერთიან ვალუტას – ეკიუს. შეიქმნება ისეთი ზეეროვნული ორგანო, როგორიცაა საერთოევროპული სავალუტო ინსტიტუტი. ყველა წევრი სახელმწიფო მოვალეა, მოახდინოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება. 1997-დან 1999-მდე დაგეგმილია ცენტრალური ბანკის შექმნა და ევროპული ვალუტების ეკიუთი შეცვლა. პოლიტიკური კავშირი გულისხმობს საერთო საგარეო პოლიტიკის წარმოებას და უშიშროების ერთიანი სისტემის განხორციელებას, ევროპარლამენტის კომპეტენციის გაფართოებას, სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების რეორგანიზაციას, საერთო მოქალაქეობისა და პასპორტების შემოღებას, კავშირის შიგნით საზღვრების ლიკვიდაციას.

ევროპის კავშირის ორგანოებია: ევროპული საბჭო, მინისტრების საბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი, სასამართლო.

ევროპული საბჭო – კავშირის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პერიოდულ შეხვედრებს, რომელზეც ათანხმებენ კავშირის პოლიტიკის ზოგად პრინციპებს.

მინისტრების საბჭო – მინისტრების ყოველთვიური შეხვედრა შესაბამის საკითხებზე (საგარეო საქმეთა, ეკონომიკისა და ფინანსების, სოფლის მეურნეობის მინისტრები).

ევროპის კავშირის კომისია – კავშირის მთავარი აღმასრულებელი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც კოორდინირებას უწევს ევროკავშირის პოლიტიკის რეალიზაციას, საკანონმდებლო დირექტივების გაცემის უფლებით. კომისიის თავმჯდომარეს და მის წევრებს აქვთ 4-წლიანი უფლებამოსილება. აპარატში შედის 23 გენერალური დირექტორატი, რომლებიც თითქოს მცირე სამინისტროებს წარმოადგენს.

ევროპარლამენტი – შედგება 518 დეპუტატისაგან, რომელთაც პირდაპირი კენჭისყრით ირჩევს ევროპის კავშირის ქვეყნების მოსახლეობა 5 წლის ვადით. ადრე პარლამენტის როლი საკონსულტაციო ფუნქციებით შემოიფარგლებოდა, ამჟამად მას რეალური კანონშემოქმედებითი უფლებამოსილებანი აქვს.

სასამართლო შედგება 13 მოსამართლისა და 6 გენერალური ადვოკატისაგან, აქვს უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილება იურისდიქციის სფეროში. სასამართლო წყვეტს დავებს (კონკრეტულ საქმეებზე) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ასევე მათსა და ევროკავშირის ორგანოებს შორის. როგორც წესი, სასამართლოს გადაწყვეტილებებს სავალდებულო ხასიათი აქვს და სახელმწიფოებისა და ევროკავშირის ორგანოების მიერ შესრულებას ექვემდებარება.

**ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენცია 1976**, მიმდინარეობდა 29-30 ივნისს. მუშაობაში მონაწილეობდა ევროპის 29 კომუნისტური და მუშათა პარტიის დელეგაცია.

კონფერენციის საბოლოო დოკუმენტში – „ევროპაში მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესისათვის" – აღნიშნული იყო წარმატებები, რომლებიც მიღწეულ იქნა *საერთაშორისო დაძაბულობის შენელების* სფეროში, აღინიშნა *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის* დიდი ისტორიული მნიშვნელობა. მაგრამ ამასთან ერთად საბოლოო დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ დაძაბულობის შენელება ჯერ კიდევ არ იყო მყარი და რომ მის მიღწევას ჯერ კიდევ დიდი სიძნელეები ახლდა.

კონფერენციის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს დიალოგსა და თანამშრომლობას ყველა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალებთან და მოუწოდეს მათ ბრძოლისათვის დაძაბულობის შენელების გასაღრმავებლად, ფაშიზმის აღმოსაფხვრელად, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავად.

*წყრ.:* Конференция коммунистических и рабочих партий Европы. Берлин, 29-30 июня 1976 г., М., 1977.

**ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კარლოვივარის კონფერენცია 1967**, ჩატარდა კარლოვი ვარში (ჩსსრ) 24-26 აპრილს. ევროპის 24 კომუნისტური და მუშათა პარტიების მონაწილეობით.

კონფერენციაზე მიღებულ იქნა განცხადება, რომელშიც ლაპარაკი იყო ევროპის უშიშროების პრობლემებზე, აგრეთვე მიმართვა ვიეტნამელი ხალხისადმი მხარდაჭერისა და განცხადება საბერძნეთის ამბებთან დაკავშირებით. კარლოვი ვარის კონფერენცია წარმოადგენდა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 თათბირის მოსამზადებელ ეტაპს.

*წყრ.:* Конференция европейских коммунистических и рабочих партий по вопросам безопасности в Европе. Карловы Вары, 24-26 апреля 1967 г., М., 1957.

**ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების პარიზის შეხვედრა მშვიდობისა და განიარაღებისათვის 1980**, შედგა 28-29 აპრილს 22 პარტიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. მიღებულ იქნა „კომუნისტური მოწოდებები ევროპის ქვეყნების ხალხებისადმი მშვიდობისა და განიარაღებისათვის".

დოკუმენტში ჩამოყალიბებული იყო ევროპის ხალხების მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის უპირველესი ამოცანები – საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე ეფექტური მოლაპარაკებების წარმოება, სტრატეგიული შეიარაღების შემცირება, ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკებისათვის ხელის შეწყობა, ევროპის კონტინენტზე ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონების (იხ. *უბირთვო ზონები*) შექმნა, განიარაღების შესახებ საერთო-ევროპული კონფერენციის მოწვევა და ა.შ.

*წყრ.:* Встреча коммунистических и рабочих партий Европы за мир и разоружение. Париж, 28-29 апреля 1980г., М., 1980.

**ევროპის კოსმოსური სააგენტო** (European Space Agency - ESA), დასავლეთ ევროპის ქვეყნების სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია განახორციელოს თანამშრომლობა აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოთა შორის კოსმოსური გამოკვლევებისა და კოსმოსური ტექნოლოგიის შემუშავების სფეროში. ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის. ორგანიზაცია ფაქტობრივად შექმნილ იქნა იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო აშშ-საგან დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა ევროპის სახელმწიფოთათვის. იგი შეიქმნა ორი ორგანიზაციის – კოსმოსური კვლევის ევროპის ორგანიზაციის (European Space Research Organization - ESRO) და კოსმოსური მატარებლების შექმნის ორგანიზაციის (European Organization for the Development and Construction of Space Vehicle Launchers - ELDO) ბაზაზე. სააგენტო ოფიციალურად დაარსებულ იქნა 1975 ბრიუსელში, როდესაც კონვენციას ე.კ.ს-ს შექმნის შესახებ ხელი მოაწერეს 11-მა სახელმწიფომ. ესენია: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ჰოლანდია, საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია და შვეცია. ფინეთი შედის მასში როგორც ასოცირებული წევრი. ორგანიზაცია ღიაა მხოლოდ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთათვის. სხვა სახელმწიფოებს მასში გაწევრიანება შეუძლიათ მხოლოდ ყველა წევრი სახელმწიფოს თანხმობის შემდეგ.

სააგენტოს ხელმძღვანელობს საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელთაც თითო ხმა გააჩნიათ. უმაღლესი ხელმძღვანელი პირია ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

ე.კ.ს., კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, შეიმუშავებს საერთო ევროპულ კოსმოსურ პოლიტიკას, ამუშავებს და ახორციელებს საერთო ევროპულ პროგრამებს, კოორდინაციას უწევს ნაციონალურ (ეროვნულ) კოსმოსურ პოლიტიკას წევრ-სახელმწიფოთა შორის (ორგანიზაცია გარკვეულად ზენაციონალურ ხასიათს ატარებს (იხ. *საერთაშორისო ორგანიზაციათა ზენაციონალურობა*).

ორგანიზაციის შტაბ-ბინა პარიზში მდებარეობს.

*ლიტ.:* Space Activities of the United Nations and International Organizations, N.Y., 1992, p.135-164.

**ევროპის პარლამენტი** (European Parliament), *ევროპის თანამეგობრობათა* ერთ-ერთი ორგანო. მისი უფლებამოსილებანი განსაზღვრულია ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობათა შესახებ რომის ხელშეკრულების 137-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ წარმოადგენს რა თანამეგობრობის წევრ-სახელმწიფოთა ხალხების წარმომადგენელ ორგანოს, იგი მოწოდებულია ემსახუროს

თანამეგობრობას მთლიანად და შეიტანოს დემოკრატიული ინსტიტუტები მის საქმიანობაში, შეასრულოს საკონტროლო და საკონსულტაციო ფუნქციები, გამოიტანოს ზოგადპოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციები.

დღეისათვის ე.პ-ის შემადგენლობაში 500-ზე მეტი დეპუტატია. სპეციფიკურობით გამოირჩევა ე.პ-ის არჩევნებისას დაწესებული კვოტები, რომელთა თანახმადაც, წევრსახელმწიფოების წარმომადგენლობათა რიცხვი მაქსიმალურადაა დაახლოებული ერთმანეთთან (საფრანგეთი – 81 ხმა, ლუქსემბურგი – 6). 1952-72 წევრები აირჩეოდნენ სახელმწიფოთა ეროვნული პარლამენტების წევრთა რიგებიდან, მხოლოდ 1979-დან ტარდება პირდაპირი არჩევნები ე.პ-ში, ამასთან აღარ არის აუცილებელი მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფოების პარლამენტთა წევრების არჩევა.

ე.პ. თავისი უფლებამოსილებებით ვერ უტოლდება მინისტრთა საბჭოსა და ევროპის თანამეგობრობათა კომისიას. მისი ძირითადი ფუნქციები შემოიფარგლება ბიუჯეტის შედგენის, თანამდებობის პირთა დანიშვნისა და მათზე კონტროლის, საზოგადოებრივი ზრდის ფორმირებებისა და სხვა მსგავსი საკითხებით. რაც შეეხება მის შემოქმედებით საქმიანობას, იგი მხოლოდ კონსულტაციური სტატუსითაა შემოფარგლული. ე.პ-ს არა აქვს უფლება გამოსცეს იურიდიულად სავალდებულო ხასიათის ნორმები. იგი არ არის აღჭურვილი (ევროპული პარლამენტებისაგან განსხვავებით) ე.წ. საკანონმდებლო ინიციატივით. 1984 ევროკავშირის ხელშეკრულებაში მინიშნებული იყო ე.პ-ის გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივით აღჭურვის შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად ეს ორგანო ჯერჯერობით ძველი კომპეტენციის ფარგლებში რჩება. ე.პ-ის სესიებზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა პოლიტიკური თანამშრომლობის, სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციისა და საერთაშორისო პოლიტიკის სხვა საკითხებს.

ე.პ-ის მუშაობას ხელმძღვანელობს ე.პ-ის თავმჯდომარე და ბიურო. სამდივნო მდებარეობს ლუქსემბურგში.

*ლიტ.:* К у р и л о в а И.С., Европейский Парламент (правовой статус) – М., 1987, с 189; L a s o k D., B r i d g e J.W., Law and Institutions of the European Communities, London, 1991, p.246-266.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი**, საერთაშორისო ორგანიზაცია, ხელშეკრულებით არის დაკავშირებული ევროპის გაერთიანებასთან. თავისი სტრუქტურით და საქმიანობით ეს ბანკი წააგავს მსოფლიო ბანკს.

ე.რ.გ.ბ-ის ამოცანაა სესხებისა და გარანტიების გაცემა ევროგაერთიანების ჩამორჩენილი რაიონების განვითარების სტიმულირებისათვის, სხვადასხვა პროექტების განხორციელება ევროპის გაერთიანების ფარგლებში. იგი აფინანსებს გაერთიანების დახმარებას განვითარებადი ქვეყნებისათვის. უკანასკნელ ხანს ამ ქვეყნების რიცხვს მიემატა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის საქართველოც.

**ევროპის საბჭო** (Conseil de l`Europe, Council of Europe), ევროპის კონტინენტის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და წარმომადგენლობითი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია. იგი შეიქმნა 1949, როდესაც ლონდონში 5 მაისს ხელმოწერილ იქნა, ხოლო 3 აგვისტოს ძალაში შევიდა მისი დამფუძნებელი დოკუმენტი-წესდება. 1994 მის შემადგენლობაში შედიოდა 32 სახელმწიფო (მათ შორის რამდენიმე აღმოსავლეთ ევროპიდან).

ე.ს. პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციაა. მისი საქმიანობის სფეროდან ამოღებულია თავდაცვისა და სამხედრო მშენებლობის საკითხები. ე.ს-ს მიზნებს წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების მაქსიმალურად დაახლოება; დემოკრატიის გაფართოება და ადამიანთა უფლებების დაცვა; კულტურის, განათლების, ინფორმაციისა და გარემოს დაცვის სფეროში საქმიანობის განხორციელება, ევროპის სახელმწიფოთა შეკავშირება (აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემის გადაწყვეტა). ე.ს-ში მიიღებიან მხოლოდ ის სახელმწიფოები (ევროპის), რომლებიც იზიარებენ ორგანიზაციის მიზნებსა და პრინციპებს.

ე.ს. შედგება ორი ძირითადი ორგანოსაგან. ესენია: მინისტრთა კომიტეტი და საკონსულტაციო საპარლამენტო ასამბლეა. გარდა ამისა, ფუნქციონირებენ სამდივნო და მრავალი დამხმარე ორგანო. განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ისეთ ორგანოებს, როგორებიცაა ევროპის კომისია და ადამიანთა უფლებების სასამართლო. ეს ორი ორგანო გარკვეულ ავტონომიურ ხასიათს ატარებს და ფუნქციონირებს ცალკე დადებული მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

საკონსულტაციო საპარლამენტო ასამბლეა არის ე.ს-ში შემავალ სახელმწიფოთა საპარლამენტო თანამშრომლობის ორგანო. იგი შედგება ეროვნული პარლამენტების წარმომადგენელთაგან, რომლებსაც ირჩევენ ან ნიშნავენ ეროვნული პარლამენტები. საპარლამენტო ასამბლეა იკრიბება წელიწადში 3-ჯერ. მისი *ოფიციალური ენებია* ინგლისური, ფრანგული, ესპანური, იტალიური და გერმანული. *სამუშაო ენებია* – ინგლისური და ფრანგული. ასამბლეა გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ისინი არასავალდებულო ხასიათისაა, ხშირად წარმართავენ მინისტრთა კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ორგანიზაციის საქმიანობისა და მიმართულების ძირითად ხაზს. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან საგარეო საქმეთა მინისტრები და მოქმედებს პრინციპი ერთი სახელმწიფო – ერთი ხმა. მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებანი მიიღება *ერთხმივობის პრინციპის* საფუძველზე. საგარეო საქმეთა მინისტრები იკრიბებიან წელიწადში მხოლოდ 2-ჯერ, სხვა დროს კომიტეტში წარმოდგენილი არიან მათი მოადგილეები.

მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებანი ატარებენ ან რეკომენდაციის ხასიათს, ან კონვენციებისა და შეთანხმებების ხასიათს, რომლებიც საჭიროებენ რატიფიკაციას ან დამტკიცებას და სავალდებულონი არიან მხოლოდ იმ სახელმწიფოთათვის, რომლებმაც მისი რატიფიცირება მოახდინეს.

ე.ს-ს ეგიდით მიღებულია 140-ზე მეტი კონვენცია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა (რეგიონალიზმის მოთხოვნათა დაცვით) ღიაა. გამონაკლისს წარმოადგენს 10 კონვენცია, რომელთაც ე.ს-თვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ. მაგ.: ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის 1950 ევროპის კონვენცია.

ე.ს-ს შტაბ-ბინა სტრასბურგში მდებარეობს.

**ევროპის სავალუტო სისტემა** (European Monetary System – EMS), რეგიონული სავალუტო სისტემა, შექმნილი *ევროპის საბჭოს* გადაწყვეტილებით ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩარჩოებში. მოქმედება დაიწყო 13.III.1979. ევროპის სავალუტო სისტემაში მონაწილეობს 8 ქვეყანა 10-დან (დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის გარდა). ევროპის

სავალუტო სისტემა მემკვიდრეა დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნების იმ სავალუტო სისტემისა, რომელიც ცნობილი იყო „სავალუტო ფრანის" სახელწოდებით და ითვალისწინებდა სავალუტო კურსების კოორდინირებულ „ცურვას" აშშ-ის დოლართან შედარებით.

თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით ე.ს.ს. ორგანიზაციულად დაკავშირებულია ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან. ე.ს.ს-ის დაარსების შესახებ შეთანხმებაში გათვალისწინებული „ევროპის სავალუტო ერთეულის" შექმნა გახდა არა მარტო ამოსავალი წერტილი მონაწილე ქვეყნების ვალუტის კურსის მერყეობის დასაშვები ზღვარისა, არამედ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტების შედგენისა და შესრულების გაანგარიშების საფუძველიც.

ე.ს.ს-ის შექმნა დასავლეთ ევროპაში მოასწავებდა ახალი „სავალუტო ცენტრის" შექმნას, რომელსაც მეტოქეობა უნდა გაეწია აშშ-ის დოლარისათვის.

**ევროპის საკონსულტაციო კომისია**, *ანტიჰიტლერულ კოალიციაში* შემავალი მთავარი ქვეყნების მუდმივი ორგანო, რომელიც შეიქმნა 1943 წლის ოქტომბერში სსრკ-ის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების *მოსკოვის კონფერენციის* გადაწყვეტილებით და მოქმედებდა ლონდონში 1945 წლის სექტემბრამდე. მის ფუნქციებში შედიოდა „საომარი მოქმედებების დამთავრებასთან დაკავშირებული იმ ევროპული საკითხების განხილვა, რომელთა გადაცემასაც სამი ქვეყნის მთავრობა ჩათვლიდა საჭიროდ, და სამი ქვეყნის მთავრობებისათვის მათ შესახებ ერთობლივი რეკომენდაციების მიცემა".

ე.ს.კ-ის მოღვაწეობის პერიოდში მომზადდა და მთავრობებს წარედგინა დასამტკიცებლად შემდეგი შეთანხმებები: დოკუმენტი გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ (კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილია 25.VII.1944); ოქმი გერმანიის საოკუპაციო ზონებისა და „დიდი ბერლინის" მმართველობის შესახებ (12.IX.1944); შეთანხმება ბულგარეთთან დაზავების შესახებ (22.X.1944); შეთანხმება გერმანიის საოკუპაციო ზონების და „დიდი ბერლინის" მმართველობის შესახებ ოქმში ცვლილებების შეტანის თაობაზე (14.XI.1944); შეთანხმება გერმანიაში კაპიტულაციის შესახებ (14.XI.1944); შეთანხმება გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ დოკუმენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე (1.V.1945); დეკლარაცია გერმანიის დამარცხებისა და გერმანიაში უმაღლესი მმართველობის ხელში აღების შესახებ (12.V.1945); შეთანხმება ავსტრიის საოკუპაციო ზონებისა და ქალაქ ვენის მმართველობის შესახებ (4.VII.1945); შეთანხმება გერმანიისადმი ზოგიერთი დამატებითი მოთხოვნის შესახებ (25.VII.1945) და ა.შ.

ყველა შეთანხმება სხვადასხვა დროს დამტკიცებულ იქნა სსრკ-ის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მიერ. საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა შეთანხმებათა ნაწილი.

ე.ს.კ-ის ორგანიზაციული შეკრება შედგა 15.XII.1943, პირველი ოფიციალური სხდომა – 14.I.1944. საფრანგეთის წარმომადგენელი სამი მთავრობის გადაწყვეტილებით კომისიის წევრად მოიწვიეს 11.XI.1944 (ოფიციალურ სხდომაზე პირველად მონაწილეობდა 27.XI.1944), კომისიამ სულ ჩაატარა 2 ოფიციალური და 97 არაოფიციალური სხდომა. 6.IX.1945 ჩატარდა კომისიის ბოლო სხდომა, რომელმაც *ბერლინის (პოტსდამის) 1945 კონფერენციის* რეკომენდაციით თავი დაშლილად გამოაცხადა.

**ევროპის უშიშროება**, სახელმწიფოთა მიერ ნაკისრი ღონისძიებებისა და ვალდებულებების კომპლექსი, რომელთა მიზანია *მშვიდობიანი თანაარსებობის* პრინციპებზე ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, სამხედრო დაძაბულობის შენელება და *განიარაღება* ევროპაში.

ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თუმცა მანამდეც ყოფილა ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარების მცდელობა. ე.უ-ის საკითხები განიხილებოდა სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინისა და ჟენევის თათბირებზე 1954 და 1955, ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირზე ჟენევაში 1955, აგრეთვე ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და უშიშროების ევროპული ქვეყნების თათბირზე მოსკოვში 1954.

ევროპაში უშიშროებისა და მშვიდობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 70-იანი წლების დასაწყისში სოციალისტური ქვეყნების მიერ გფრ-თან დადებულ ხელშეკრულებებს (იხ. *სსრკ-გფრ-ის ხელშეკრულება და შეთანხმება, პოლონეთ-გფრ-ის 1970 ხელშეკრულება*, გდრ-გფრ-ის ხელშეკრულება 1972 ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ, *ჩეხოსლოვაკია-გფრ-ის ხელშეკრულება 1973*), აგრეთვე 1971 ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის თაობაზე, რომლებითაც დაფიქსირდა ევროპაში არსებული საზღვრების დაურღვევლობა.

მშვიდობისა და პროგრესის ძალთა უდიდესი შედეგი იყო 1975 წლის აგვისტოში ჰელსინკში ჩატარებული *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი*. თათბირმა საჭირო პოლიტიკური შემაჯამებელი შეფასება (იხ. *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, დასკვნითი აქტი*) მისცა მეორე მსოფლიო ომის შედეგებს, დაადასტურა ცივი ომისა და ძალის პოზიციიდან პოლიტიკის უნაყოფობა და მცდარობა, და შექმნა ახალი შესაძლებლობები მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა შორის თანამშრომლობისათვის ევროპაში.

ჰელსინკის თათბირის შემდეგ ევროპაში დაიწყო მოძრაობა ჰელსინკის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის სფეროებში, შედგა შეხვედრები ბელგრადში (იხ. *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა ბელგრადის შეხვედრა*), მადრიდში (იხ. *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრა*). ამ შეხვედრების შედეგად წინა პლანზე წამოიწია ამოცანამ, რომ პოლიტიკური დაძაბულობის შენელება შევსებულიყო სამხედრო დაძაბულობის შენელებითაც. ამ თვალსაზრისით კი საჭირო იყო ნდობის ღონისძიების შემუშავება და მათი გატარება ცხოვრებაში. სწორედ ნდობის ღონისძიების განმტკიცებას მიეძღვნა სტოკჰოლმის კონფერენცია (იხ. *ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენცია*). სტოკჰოლმში კონფერენციამ შექმნა ფართო შესაძლებლობები კეთილი ნების გამოსახატავად და ევროპაში მშვიდობის დასამყარებლად. ამის დადასტურებას წარმოადგენდა *1987 სსრკ-აშშ ხელ-*

*შეკრულება ევროპაში საშუალო და მცირე რადიუსის რაკეტების მოსპობის თაობაზე, შეთანხმებები სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ,* აგრეთვე სსრკ-ის დაშლის შემდეგ ღონისძიებები უკრაინისა და ბელორუსიის ბირთვული არსენალის მოსასპობად.

**ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი,** მიმდინარეობდა 3.VII.1973 – 1.VIII.1975 ჰელსინკსა და ჟენევაში ევროპის 33 ქვეყნის, აგრეთვე აშშ-ის და კანადის მონაწილეობით. თათბირი უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად იქცა და დიდი ნაბიჯი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცების, განიარაღებისა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარების გზაზე.

თათბირის მომზადების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებისა და წარმომადგენლების შეხვედრამ საბჭოთა კავშირის ლიდერებთან. საბჭოთა ხელმძღვანელების შეხვედრების დროს საფრანგეთის (1970-71), გფრ-ის (1971) და აშშ-ის (1972) ხელმძღვანელებთან მიღწეულ იქნა შეთანხმება საერთოევროპული თათბირის მომზადების შესახებ. ამ მომზადების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო სახელმწიფოთა შორის საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპის დამტკიცება, რაც დაფიქსირებულ იქნა რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში, რომლებსაც ხელი მოაწერა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, სსრკ-ის და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებმა, აგრეთვე სსრკ-ის, პოლონეთის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებებში გფრ-თან. თათბირის მომზადებაში პოზიტიური როლი შეასრულეს ნეიტრალურმა და მიუმხრობელმა ქვეყნებმა. მათმა ინიციატივამ შესაძლებელი გახადა თათბირის ჩატარების ადგილად ჰელსინკის ამორჩევა.

1973 წლის 3-7 აგვისტოს ჰელსინკში ჩატარდა თათბირის 1-ლი ეტაპი საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, რომლის დროსაც რიგმა სახელმწიფოებმა წამოაყენეს ევროპაში ეკონომიკური თანამშრომლობის, ვაჭრობის, გარემოს დაცვის, კულტურული თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლის და კონტაქტების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ თანამშრომლობის პროექტები.

თათბირის მე-2 ეტაპი ჩატარდა ჟენევაში და შესვენებებით მიმდინარეობდა 2 წლის განმავლობაში – 1973 წლის 18 სექტემბრიდან 1975 წლის 21 ივლისამდე. მონაწილეებმა შემოიტანეს დღის წესრიგის საკითხების შესახებ 200-მდე წინადადება. მათი განხილვის პერიოდში შეთანხმდნენ *დასკვნითი აქტის* ტექსტზე, რომელსაც მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა ხელი მოაწერეს თათბირის მე-3 ეტაპზე ჰელსინკში, რომელიც მიმდინარეობდა 1975 წლის 30 ივლისიდან 1 აგვისტომდე.

დასკვნით აქტში დაფიქსირებულია უმნიშვნელოვანესი შეთანხმებები, რომლებიც თათბირზე იქნა მიღწეული. აღნიშნული დოკუმენტი გახდა სახელმწიფოთა გრძელვადიანი მოქმედების პროგრამა ევროპის კონტინენტზე მტკიცე მშვიდობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის დასამყარებლად. მრავალმხრივმა თანამშრომლობის პროცესმა, რომელსაც დასაბამი ჰელსინკში მიეცა, თავისი გაგრძელება ჰპოვა თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა შემდგომ შეხვედრებში (იხ. *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა ბელგრადის, მადრიდის* და ვენის *შეხვედრები,* აგრეთვე *ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენცია*).

**ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა ბელგრადის შეხვედრა,** მიმდინარეობდა 1977 წლის 4 ოქტომბრიდან 1978 წლის მარტამდე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის *დასკვნითი აქტის* შესაბამისად.

შეხვედრაზე განიხილეს ევროპაში სამხედრო დაძაბულობის მოხსნის, ომისა და ძალის გამოყენების პროპაგანდის აკრძალვის, ფაშისტური და ნეოფაშისტური ორგანიზაციების საქმიანობის აღკვეთის, გარემოს დაცვის, ევროპაში ენერგეტიკისა და ტრანსპორტის განვითარების და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები; ცალკე იქნა განხილული ჰუმანიტარული თანამშრომლობისადმი მიძღვნილი საკითხები. შეხვედრაზე ზოგიერთი საკითხის განხილვა ბლოკირებულ იქნა ხან საბჭოთა კავშირის და ხან აშშ-ის მიერ, მაგრამ ბელგრადის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში ყველა მონაწილე ქვეყანამ გამოთქვა მზადყოფნა, გააგრძელებინათ ჰელსინკში დაწყებული პროცესი. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა და ექსპერტთა მორიგი შეხვედრა მოეწყოთ 1980 ქ.მადრიდში (იხ. *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრა*).

**ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრა,** 11.XI.1980 – 9.IX.1983. მოწვეული იყო *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის* ჰელსინკის დასკვნითი აქტის და *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა ბელგრადის შეხვედრის* გადაწყვეტილების საფუძველზე.

შეხვედრაზე განხილული იყო ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრი, შეხვედრა მიმდინარეობდა აშშ-სა და სსრკ-ს, აგრეთვე მათ მომხრეთა შორის მძაფრი ბრძოლების პირობებში, რაც ზოგჯერ ჩაშლას უქადდა მადრიდის შეხვედრას. 6.IX.1983 მიღებულ იქნა შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, რომელსაც საფუძვლად დაედო ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების პროექტი. დასკვნით დოკუმენტში შეხვედრის მონაწილე ქვეყნები გამოთქვამდნენ მზადყოფნას, რათა ეფექტური მეთოდებით მიეღწიათ დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის. დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ შეხვედრის მონაწილეები შეეცდებოდნენ პრობლემის დარეგულირებას მშვიდობიანი საშუალებებით, თანამიმდევრულად შეასრულებდნენ დასკვნითი აქტის დებულებებს და განამტკიცებდნენ ურთიერთნდობასა და უშიშროებას. შეხვედრის მონაწილეებმა შეათანხმეს რიგი კონკრეტული საკითხები, მიმართული თანამშრომლობის გასაფართოებლად ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, გარემოს დაცვის და სხვა სფეროებში. შეხვედრის დროს გადაწყდა, რომ ევროპაში ნდობის, უშიშროებისა და განიარაღებისადმი კონფერენცია მოწვეულიყო 17.I.1984 სტოკჰოლმში (იხ. *ევ-*

*როპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა სტოკჰოლმის კონფერენცია*), მიღწეულ იქნა ასევე შეთანხმება, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების მორიგი, მესამე შეხვედრა მოწვეულიყო 4.XI.1986 ვენაში.

**ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია** (ეუთო) (1995 წლის 1 იანვრამდე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი), 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკში ევროპის 33-მა სახელმწიფომ, აშშ-მა და კანადამ ხელი მოაწერეს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს, რომელიც ევროპაში თანამშრომლობის ქვაკუთხედ დოკუმენტად იქცა. ჰელსინკის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ „გაითვალისწინებენ და შეასრულებენ დასკვნითი აქტის დებულებებს და განაგრძობენ ევროპაში თანამშრომლობის მრავალმხრივ პროცესს რეგულარული შეხვედრების მეშვეობით". ასეთ შეხვედრებს განეკუთვნებოდა მადრიდის შეხვედრა 1980-83; სტოკჰოლმის კონფერენცია „ევროპაში ნდობის განმტკიცების, უშიშროებისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ" – 1984-86; ვენის შეხვედრა – 1986-89; უმაღლესი დონის შეხვედრები პარიზში 1990 წლის ნოემბერში, ჰელსინკში – 1992 წლის ივლისში (ე. წ. „ჰელსინკი–2"), ბუდაპეშტში – 1994 წლის დეკემბერში. ბუდაპეშტის შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 1995 წლის 1 იანვრიდან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ეწოდოს.

1992 ამ რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციას შეუერთდა საქართველო და სხვა დამოუკიდებელი რესპუბლიკები, ასევე ხორვატია და სლოვენია, შედეგად „ჰელსინკის პროცესის" სრულუფლებიან წევრთა რაოდენობა 52-მდე გაიზარდა.

1993 გაეროს გენერალურმა ასამბლეამ თავის 48-ე სესიაზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს გაეროში მეთვალყურის ოფიციალური სტატუსი მიანიჭა.

„პარიზის ახალი ევროპისათვის ქარტიისა" (1990 წლის 19 ნოემბერი) და „ჰელსინკი–2"-ის (1992 წლის 9-10 ივლისი) გადაწყვეტილებით ჩამოყალიბდა საკმაოდ მტკიცე სტრუქტურა იმ ორგანოებისა, რომელთა მიზანია, უზრუნველყონ ევროპულ პროცესებში მონაწილე ქვეყნების უშიშროება და ხელი შეუწყონ მათ თანამშრომლობას, პირველ რიგში, შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად ან მათი დროულად ლიკვიდაციის მიზნით, აგრეთვე უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვა, დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნა და განმტკიცება, სათანადო პროექტების შემუშავების თუ რეკომენდაციების საშუალებით, ეკონომიკური კავშირების განვითარება, გარემოს დაცვა და სხვ.

ეუთო-ის ორგანოთა სტრუქტურა ასე გამოიყურება: მინისტრთა საბჭო (წარსულში – საბჭო) – ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც გადაწყვეტილებათა მიღებაზეა პასუხისმგებელი. იკრიბება საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე, ამასთან ერთ-ერთი მათგანი წლის განმავლობაში თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს.

ხელმძღვანელი საბჭო – მან შეცვალა რამდენიმე წლის მანძილზე არსებული უფროსი თანამდებობის პირთა კომიტეტი, რომელიც შემდეგ მოვალეობებს ასრულებდა: საბჭოს სხდომების მომზადება, მის გადაწყვეტილებათა შესრულება, დამხმარე ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, მის კომპეტენციაში შედიოდა ასევე სხვადასხვა საკითხების განხილვა კრიტიკული სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში და მშვიდობიანი მოწესრიგების მექანიზმის გამოყენება. ხელმძღვანელი საბჭო ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს. როგორც ბუდაპეშტის შეხვედრის გადაწყვეტილებებშია ნათქვამი, ის „განიხილავს და აყალიბებს პოლიტიკური და საერთო საბიუჯეტო ხასიათის ძირითად პრინციპებს, ასევე მოიწვევს ეკონომიკური ფორუმის სახით". ხელმძღვანელი საბჭოს სხდომა ტარდება წელიწადში ორჯერ.

მუდმივი საბჭო (წარსულში – მუდმივი კომიტეტი) – ძირითადი ორგანო პოლიტიკური კონსულტაციების საწარმოებლად და მიმდინარე გადაწყვეტილებათა მისაღებად, ასევე საგანგებო სიტუაციათა განსახილველად. მის შემადგენლობაში შედიან მონაწილე სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლები. სხდომები ვენაში ტარდება.

სამდივნო – უზრუნველყოფს ძირითადი ორგანოების სხდომათა ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას; აწესრიგებს დოკუმენტაციას და არქივს, აქვეყნებს დოკუმენტებს. გენერალური მდივანი, რომლის თანამდებობა 1992 დაწესდა, მონაწილეობს სხვადასხვა ორგანოთა მოღვაწეობის კოორდინაციაში, დახმარებას უწევს მოქმედ თავმჯდომარეს.

ეუთო-ის ფარგლებში მოქმედებს ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა საკითხების ბიურო, ეროვნული უმცირესობების საკითხთა უმაღლესი კომისრის აპარატი, საპარლამენტო ასამბლეა.

**ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოთა კომიტეტი**, დაარსდა მოსკოვში 8.VI. 1971, საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ *საერთაშორისო დაძაბულობის შენელების* პროცესების გაძლიერების კოორდინაციისათვის, ევროპაში მშვიდობისა და უშიშროებისათვის, გამალებული შეიარაღების საწინააღმდეგოდ. მასში შედიოდნენ ცნობილი საბჭოთა საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი, პროფკავშირების, ქალთა, ახალგაზრდული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კომიტეტში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა ხუთი კომისია – ევროპაში უშიშროების; ეკონომიკური და სამეცნიერო თანამშრომლობისა და კავშირ-ურთიერთობის; კულტურის საკითხების; საინფორმაციო საკითხების; ევროპაში უშიშროების სოციალური ასპექტების.

კომიტეტი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის* საქმიანობაში, ჰქონდა კონტაქტები ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის სხვა ეროვნულ კომიტეტებთან, ორგანიზაციებთან, საზოგადო მოღვაწეებთან. მაგრამ ამასთან ერთად იყო ფრიად იდეოლოგიზებული ორგანიზაცია, ხელს უწყობდა ცხოვრებაში სკკპ პროგრამებისა და გადაწყვეტილებების გატარებას. დაიშალა სსრკ-ის დაშლის შემდეგ.

**ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტი** (International Committee for European Security and Cooparation), *საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია*, დაარსდა 1972 ბრიუსელში ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილ სა-

ზოგადოებრივ ძალთა I ასამბლეაზე. ევროპული ქვეყნების სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

კომიტეტი აწყობს ასამბლეებს, კონფერენციებს და სხვა ფორუმებს აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებულნი არიან *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის* დასკვნითი აქტის ცხოვრებაში გატარებასთან. კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა არაერთი ფორუმი და დიალოგი (1979 წლის ნოემბერში, 1980-82 წწ.-ის მარტში, 1984 წლის იანვარში და ა.შ.), რომელთა მიზანი იყო მადრიდის შეხვედრის, სტოკჰოლმის კონფერენციის, *მასობრივი მოსპობის იარაღის* აკრძალვის, *უბირთვო ზონების* და სხვა სამშვიდობო ღონისძიებისათვის ხელის შეწყობა.

კომიტეტს გააჩნია საკონსულტაციო სტატუსი იუნესკოსა და გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში. კომიტეტის სამდივნოს შტაბ-ბინა იმყოფება ბრიუსელში.

**ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება** (**European Coal and Steel Community - ECSC**), დასავლეთ ევროპის ათი ქვეყნის სახელმწიფო-მონოპოლისტური ორგანიზაცია, რომელიც შედის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში, და რომელიც აერთიანებს მათ მეტალურგიულ, სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობას. შეიქმნა პარიზში 18.IV.1951 დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც შევიდნენ ბელგია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გფრ 50 წლის ვადით, ძალაში შევიდა 25.VII.1952. 1973 წლის 1.I. გაერთიანებაში გაწევრიანდნენ დიდი ბრიტანეთი, დანია და ირლანდია, 1981 წლის 1.I – საბერძნეთი.

გაერთიანება შეიქმნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რ. შუმანის ინიციატივით (იხ. *„შუმანის გეგმა"*) ექვსი დასავლეთევროპული ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებისათვის, მათი პოზიციების განმტკიცებისათვის სხვა განვითარებულ ქვეყნებს შორის იყო ცდები გაერთიანების სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაქცევისაც. ქვანახშირისა და ფოლადის საერთო ბაზრის ფორმირება ხდებოდა თანდათანობით 1952-57. 1967-დან გაერთიანების უმაღლესი ორგანოების ფუნქციები გადაეცა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას.

*ლიტ.* Алексеев Д.М., Михайлов А.П., Европейское объединение угля и стали, М., 1960; Шебанов А.Н., Европейское объединение угля и стали, М.,1968

**ევროჯგუფი ნატოსი**, აერთიანებს ევროპის რიგი ქვეყნების – *ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო)* წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს. შეიქმნა დიდი ბრიტანეთის ინიციატივით, ნატოს ჩარჩოებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის აქტივიზაციის მიზნით. ფორმალურად არ შედის ნატოს ორგანოთა სისტემაში. შეთანხმებას ევროჯგუფის შექმნის შესახებ მიაღწიეს 1968 წლის ნოემბერში, ხოლო პირველი თათბირი ჩატარდა 1.X.1970. მის მუშაობაში მონაწილეობს ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, თურქეთი და გფრ – დაარსების დღიდან, პორტუგალია – 1976 წლის დეკემბრიდან. ევროჯგუფის თათბირი, როგორც წესი, ტარდება წელიწადში ორჯერ ნატოს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტის სესიის წინ. ევროჯგუფს გააჩნია მუშა ორგანოები გრძელვადიანი დაგეგმარების, შეიარაღებული ძალების სტრუქტურების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო მომზადების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, საბრძოლო მოქმედებების დროს კავშირგაბმულობის და სამედიცინო მომსახურების სფეროებში.

**ევფრატა** (ახ.წ.VI ს.), ბიზანტიის საიმპერიო კარზე პალატის ერთ-ერთი საჭურისი, ტომით აბაზგი. იგი ეგრისის სამეფოში, კერძოდ, აბაზგიაში (აფხაზეთში) VI ს-ის 30-იან წლებში გარკვეული მიზნით მიავლინა იუსტინიანე I-მა. ე-მ აბაზგიაში აკრძალა აბაზგი ბავშვების დასაჭურისება და მათი გაყიდვა. ხელი შეუწყო იუსტინიანე კეისრის მიერ აბაზგიაში გავრცელებული ქრისტიანობის განმტკიცებას; აბაზგიაში მისი მოღვაწეობისას აბაზგიის მთავრის ხელისუფლების ქვეშ გააერთიანეს სანიგთა სამთავრო მდ. აბასკოსიდან (მდ. მზიმთა ან ფსოუ) ვიდრე ჯიქებამდე.

პროკოპი კესარიელი. - წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1965.

**ეიზენჰაუერი** (**Eisenhower**) დუაიტ დევიდ (1890-1969), აშშ-ის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი ჩრდილოეთ აფრიკაში (1942-43), მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი დასავლეთ ევროპაში (1943-45). 1944 წლის ივნისში ხელმძღვანელობდა მოკავშირეთა ჯარების გადასხმას ჩრდილოეთ საფრანგეთში. 1944 წლის დეკემბრიდან – არმიის გენერალი. 1945-48 – აშშ-ის არმიის შტაბის უფროსი. 1950-52 – ნატოს ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი.

1953-61 – აშშ-ის პრეზიდენტი რესპუბლიკური პარტიიდან. პრეზიდენტობის ხანაში ეწეოდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას მსოფლიოში კომუნისტური ექსპანსიის შესაჩერებლად. ხელს უწყობდა ნატოს გაძლიერებას. ე. იყო კორეაში სამშვიდობო ხელშეკრულების დადების (1953 წლის ივლისი) მთავარი ინიციატორი. ამავდროულად მან დადო ხელშეკრულება სამხრეთ კორეასა და ტაივანთან ურთიერთდაცვის შესახებ. 1953, ე-ის ბრძანებით, აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ დაამხო მოსადეყის პროკომუნისტური მთავრობა ირანში. 1954 მსგავსი აქცია მოწყობილ იქნა გვატემალაშიც არბენცის მთავრობის წინააღმდეგ. 1954 წლის გაზაფხულზე თავი შეიკავა ვიეტნამში საფრანგეთის ჯარებსა და ადგილობრივ აჯანყებულებს შორის მიმდინარე კონფლიქტში სამხედრო ჩარევისაგან. ე. იყო 1954 „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კავშირის ორგანიზაციის" (CEATO) ჩამოყალიბების მთავარი ორგანიზატორი. 1955 წლის ივლისში მიიღო მონაწილეობა ოთხი სახელმწიფოს – აშშ-ის, სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების ჟენევის შეხვედრაში, რომელმაც რამდენადმე შეანელა დაძაბულობა. 1957 წლის იანვარში ე-მა კონგრესს წარუდგინა ჯ. ფ. *დალესის* მიერ შემუშავებული პროგრამა („ეიზენჰაუერ-დალესის დოქტრინა") ახლო და შუა აღმოსავლეთში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა მარტში. დოქტრინის მთავარი მიზანი იყო, არ დაეშვა კომუნიზმის შემდგომი გავრცელება ამ რეგიონში. 1958 ე-მა შეიყვანა აშშ-ის შეიარაღებული ძალების შეზღუდული კონტინგენტი ლიბანში, რითაც სცადა გარკვეული ზემოქმედება მოეხდინა ეგვიპტეზე. ლიბანში პოლიტიკური მდგომარეობის სრული სტაბილიზაციის შემდეგ, გამოიყვანა ჯარები (1958 წლის

ოქტომბერში). 1958-დან ცდილობდა სსრკ-თან ურთიერთობების გაუმჯობესებას, რაშიც გარკვეულ პროგრესსაც მიაღწია, მაგრამ სადაზვერვო თვითმფრინავ „უ-2"-ის ჩამოგდებამ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (2. V. 1960) ხაზი გადაუსვა ყველა მის წარმატებას ამ მიმართულებით.

ლიტ.: Амброз Стивен, Эйзенхауэр солдат и президент, пер. с англ. М., 1993.

**ეიზენჰაუერის დოქტრინა**, ე ი ზ ე ნ ჰ ა უ ე რ - დ ა ლ ე ს ი ს დ ო ქ ტ რ ი ნ ა, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში აშშ-ის პირდაპირი სამხედრო ჩარევის პროგრამა. მიზნად ისახავდა ამ რეგიონში ინგლისის და საფრანგეთის პოზიციების შესუსტების პირობებში კომუნისტური აგრესიის თავიდან აცილებას და აშშ-ის პოზიციების განმტკიცებას. ჩამოყალიბებული იყო კონგრესისადმი აშშ-ის პრეზიდენტის დ.ეიზენჰაუერის 1957 წლის 5 იანვრის მიმართვაში; 5 მარტს დაამტკიცა კონგრესმა, 9 მარტს გამოცხადდა ოფიციალურად, კონგრესის რეზოლუციაზე პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ. რეზოლუცია პრეზიდენტს უფლებას აძლევდა, საკუთარი შეხედულებისამებრ გამოეყენებინა აშშ-ის სამხედრო ძალები ამ რეგიონში და დახმარება აღმოეჩინა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის სსრ კავშირისა და „საერთაშორისო კომუნიზმის კონტროლს დაქვემდებარებული ნებისმიერი ქვეყნების აგრესიის" წინააღმდეგ. დოქტრინის დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯ. *დალესმა*. მის განსახორციელებლად ასიგნებულ იქნა 200 მილიონი დოლარი.

**ეიკენი** (Aiken) (1898-1989), ირლანდიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1913-დან მონაწილეობდა ბატონობისაგან ირლანდიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1923-25 – ირლანდიის რესპუბლიკური არმიის შტაბის უფროსი; 1932-39 – თავდაცვის მინისტრი; 1939-45 – თავდაცვითი კოორდინაციის ღონისძიებათა მინისტრი; 1945-48 – ფინანსთა, 1951-54 და 1957-69 – საგარეო საქმეთა მინისტრი; ერთდროულად 1965-69 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე. 1923-73 – წარმომადგენლობითი პალატის დეპუტატი.

**ეილვინ ასოკარი** (Ajlwin Azocar) პატრისიო (დ.26.XI.1918), ჩილეს პრეზიდენტი. 1943 დაამთავრა ჩილეს უნივერსიტეტი. 1951 – აირჩიეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ. 1964-73 – ჩილეს პარლამენტის ქვედა პალატის – ეროვნული კონგრესის დეპუტატი ქდპ-დან, 1971-72 – პარლამენტის ზედა პალატის – სენატის თავმჯდომარე. 1970 მხარს უჭერდა ს. ალიენდეს (1970-73) მთავრობას. შემდეგში, 70-იანი წლების ბოლოს ოპოზიციაში ჩაუდგა გენერალ ა. პინოჩეტის სამხედრო რეჟიმს. 1976-78 – ჩამოსცილდა პოლიტიკას, ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 1978-დან გამოდის სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ. 1988-დან სათავეში ჩაუდგა ოპოზიციური დემოკრატიისათვის პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებას, 1989 წლის 14 დეკემბერს, როგორც ამ გაერთიანების კანდიდატმა, გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. 1990 წლის მარტიდან – ჩილეს პრეზიდენტი.

**ეკატერინე II** (1729-96), რუსეთის იმპერატორი 1762-96. რუსეთის პოლიტიკის ცენტრალური ამოცანა ე.II-ის მეფობაში იყო რუსეთის პოზიციების განმტკიცება ბალტიისპირეთში, პოლონეთის ხელში მყოფი უკრაინისა და ბელორუსიის მიწების შემოერთება და რუსეთის გასვლა შავ ზღვაზე. ორჯერ ჩაება ომში თურქების წინააღმდეგ. 1768-74 ომის შედეგად ხელმოწერილ იქნა *ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება 1774*, რომელიც რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვება იყო, ამ ვითარებამ გამოიწვია ინგლისის მტრული პოზიცია რუსეთის მიმართ. 1780 ე.II გამოვიდა ინგლისის ჰეგემონიის წინააღმდეგ ზღვაზე, რომელიც გამოიხატა დეკლარაციაში *შეიარაღებული ნეიტრალიტეტის* შესახებ. მეორე ომიც თურქეთთან დამთავრდა რუსეთის გამარჯვებითა და *იასის საზავო ხელშეკრულებით 1791*. მისი პოლიტიკის შედეგი იყო პოლონეთის სამგზის დაყოფა: 1772, 1793 და 1795, და ბელორუსიის, დასავლეთ უკრაინისა და ლიტვის გარკვეული ნაწილის რუსეთთან შეერთება. ე.II იყო ერთ-ერთი ინიციატორი საფრანგეთის 1789 რევოლუციის წინააღმდეგ ანტიფრანგული კოალიციის შექმნისა. მის დროსვე მოხდა *გეორგიევსკის ტრაქტატის* (1783) დადება ქართლ-კახეთის სამეფოსთან, რომელმაც მოამზადა ნიადაგი შემდგომში საქართველოს რუსეთთან შეერთებისთვის. აქტიურად მონაწილეობდა მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებში.

**ეკატერინე დადიანი** (1816-82), სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი, პოეტ ა. ჭავჭავაძის ასული. მეუღლის – *დავით დადიანის* ადრე (1853) გარდაცვალების გამო მემკვიდრის, ნიკო *დადიანის* სრულწლოვნებამდე რუსეთის იმპერატორმა ე.დ. რეგენტად დაამტკიცა.

ყირიმის ომის (1853-56) დროს, როდესაც სამეგრელოს დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს, ომერ-ფაშამ სცადა სამეგრელოს დედოფალთან დიპლომატიური შეთანხმება სამეგრელოს რუსეთისაგან ჩამოშორების თაობაზე, მაგრამ ე.დ-მა აქტიური პრორუსული პოზიცია დაიჭირა, რაც კარგად ჩანს ომერ-ფაშასა და ეკატერინეს მიმოწერაში. ამავდროულად ე.დ. თვითონ ჩაუდგა სათავეში სახალხო ლაშქარს და პირადად მონაწილეობდა ოსმალეთის საწინააღმდეგო საბრძოლო ოპერაციებში, რაც კარგად აისახა იმდროინდელ პოლიტიკურ და დიპლომატიურ აქტებში. 1856 ე.დ. ოჯახით დიდი პატივით მიიწვიეს ალექსანდრე II-ის იმპერატორად კურთხევის ცერემონიალზე და მადლობისა და ერთგულების ნიშნად გადასცეს „სტატს დამის" წოდება და წმინდა გიორგის მედალი.

ლიტ.: დ უ მ ბ ა ძ ე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; Акты, собранные Кавказской археографической комиссией (АКАК), т.10, Тфл., 1885, с.406-408.

**ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია** (Organization for Economic Cooperation and Development - OECD), *საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია*, შეიქმნა აშშ-ის ინიციატივით 1961 ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ნაცვლად, რომელიც *„მარშალის გეგმას"* ახორციელებდა. მასში შედის 24 ქვეყანა: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ, თურქეთი, გფრ, ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, შვედეთი, იაპონია. იუგოსლავია შედიოდა ორგანიზაციაში როგორც ასოცირებული წევრი (1985-დან).

ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ეკონომიკური ზრდის, ფინანსური სტაბილიზაციის, მოსახლეობის დიდი დასაქმებისა და ერთმანეთში ვაჭრობის გაფართოებისაკენ

მიმართული პოლიტიკის შემუშავება. მის საქმიანობაში მონაწილეობენ *ევროპის გაერთიანებათა*, *ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის* წარმომადგენლები. იგი დაკავშირებულია რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებთან (*იუნესკო*, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია, *გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია* და ა.შ.).

ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელშიც შედიან მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები. საბჭო იკრიბება წელიწადში ერთხელ და განსაზღვრავს ორგანიზაციის ძირითად პოლიტიკას. შტაბ-ბინა იმყოფება ქ.პარიზში.

**ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ბანკი**, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კოლექტიური ბანკი. ხელშეკრულება ბანკის შექმნის შესახებ დაიდო 1.1. 1964. ბანკის წევრები იყვნენ ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, მონღოლეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ, ჩეხოსლოვაკია, კუბა (1974-დან). 1977 დაიდო ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ იუგოსლავიის სახალხო ბანკთან.

ე.თ.ს.ბ. შეიქმნა მას შემდეგ, რაც 60-იან წლებში სოციალისტურ ქვეყნებს შორის ანგარიშსწორებაში ორმხრივი კლირინგული შეთანხმებიდან გადავიდნენ მრავალმხრივ სისტემაზე, რომელსაც საფუძვლად ედო *ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში* შემავალი ქვეყნების კოლექტიური ვალუტა, გადასავანი რუბლი. ბანკის საწესდებო კაპიტალში თითოეული ქვეყნის წილი პროპორციული იყო მისი ექსპორტისა ურთიანეთთან ვაჭრობაში. ბანკი ოპერაციებს აწარმოებდა 300-ზე მეტ უცხოელ პარტნიორთან. ბანკის უმაღლესი ორგანო იყო საბჭო, ადგილსამყოფელი – ქ.მოსკოვი. ბანკი გაუქმდა სოციალისტური სისტემის დაშლასთან ერთად.

**ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო** (Council for Mutual Economic Assistance – COMECON/CMEA), საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია სოციალისტურ ქვეყნებს შორის მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის. შეიქმნა ქ.მოსკოვში 5-8.1.1949 ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრკ და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა ეკონომიკურ თათბირზე. 1950 ამ ორგანიზაციაში შევიდა გდრ, 1962 – მონღოლეთი, 1972 – კუბა, ხოლო 1978 – ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა 1949-60 ე.უ.ს-ში შედიოდა ალბანეთიც. საბჭო თანამშრომლობდა იუგოსლავიასთან, ერაყთან, მექსიკასა და ნიკარაგუასთან.

ე.უ.ს-ს წესდების მიხედვით (მიღებული იყო 1959), მისი მიზანი იყო სოციალისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარება და თანამშრომლობის გაფართოება, ეკონომიკური და ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საბჭოში შემავალი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრება.

ე.უ.ს-ს უმაღლესი ორგანო იყო საბჭოს სესია, რომელიც განსაზღვრავდა: საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და აღმასრულებელი კომიტეტის ძირითად მიმართულებებს, განიხილავდა აღმასრულებელი კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, ადგენდა საბჭოს ბიუჯეტში შენატანების რაოდენობას და ა.შ. საბჭოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო იყო უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შედიოდა ყველა ქვეყნის წარმომადგენელი, მთავრობის მეთაურის მოადგილის დონეზე. გააჩნდა ეკონომიკური და აღმასრულებელ-ადმინისტრაციული ორგანო – სამდივნო, რომლის შტაბ-ბინაც იმყოფებოდა ქ.მოსკოვში.

საბჭოს ურთიერთობა ჰქონდა გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან (1955-დან), ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან (იხ. *ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მოლაპარაკებები*) და ა.შ.

დაიშალა 1991 სოციალისტური ბანაკის დაშლასთან ერთად.

*ლიტ.:* Основные документы Совета Экономической Взаимопомощи, т.1-2, М.,1981-83.

*წყ.:* Совет Экономической Взаимопомощи. Цели, принципы, структура, деятельность, М.,1980.

**ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მოლაპარაკებები**, დაიწყო 1975 წლის თებერვლიდან. 1976 *ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭომ* მონაწილე ქვეყნების მთავრობათა სახელით შესთავაზა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას ხელშეკრულების დადება ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ, შეთანხმების საკუთარი პროექტი წამოაყენა ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამაც. 1977-80 მიმდინარეობდა პოზიციათა შეთანხმება და ურთიერთმისაღები პროექტის შემუშავება, ეწყობოდა დელეგაციების შეხვედრები, მაგრამ მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. ორგანიზაციებს შორის კონტაქტები შემდგომ პერიოდშიც გაგრძელდა, მაგრამ უშედეგოდ. 1991 კი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო დაიშალა.

**ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური თათბირი უმაღლეს დონეზე 1984**, მიმდინარეობდა 12-14 ივნისს მოსკოვში. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების – ბულგარეთის, უნგრეთის, ვიეტნამის, გდრ-ის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრკ-ის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები. ამ ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთავრობებისა და სახელმწიფოთა მეთაურების ხელმძღვანელობით.

თათბირმა მიიღო განცხადება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შემდგომი განვითარებისა და ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების შესახებ და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დეკლარაცია „მშვიდობის შენარჩუნება და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა".

*წყ.:* Экономическое совещание стран, членов СЭВ на высшем уровне. Москва, 12-14 июня, 1984г. Документы и материалы, М.,1984.

**ელაზნაურის ტრაქტატი**, 1804 წლის 25 აპრილის ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და იმერეთის სამეფოს შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს სოფ. ელაზნაურში (ახლანდელი ხარაგაულის რ-ნი). ტრაქტატს ხელი მოაწერეს რუსეთის მხრიდან მთავარმართებელმა გენერალმა პ. *ციციანოვმა* და იმერეთის მეფე *სოლომონ II-მ*.

ე.ტ. შედგება 17 მუხლისაგან. ეს იყო საქვეშევრდომო შეთანხმება, რომლითაც იმერეთი რუსეთის „მფარველობაში" შედიოდა. სოლომონს უნარჩუნდებოდა მეფობა, მაგრამ თუ მას ვაჟი არ მიეცემოდა, მის მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი (იმერთა მეფის დავით II-ის ძე) უნდა გამოცხადებულიყო. ტახტზე ასულ იმერეთის მეფეს რუსეთის

იმპერატორი ამტკიცებდა. იმერეთის მეფის „სათხოვარი პუნქტები" ისეთივე იყო როგორც *გრიგოლ დადიანისა* (1803). რუსეთს იმერეთის მიმართ მიეცა შეუზღუდველი უფლებები და აქტიურად ერეოდა სამეფოს საშინაო საქმეებშიც. მეფე სოლომონი ემორჩილებოდა არა რუსეთის იმპერატორს, არამედ კავკასიის მთავარმართებელს. ხელშეკრულება სოლომონს უმტკიცებდა უფლებებს გურიაზე, მაგრამ, სამაგიეროდ, უკრძალავდა მას რაიმე პრეტენზიებს დადიანის სამფლობელოზე. ხელშეკრულების თანახმად, იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში თავისუფალი მიმოსვლა იკრძალებოდა; სისხლის სამართლის საქმეების გარჩევისას იმერეთში მხოლოდ რუსულ კანონებს უნდა ემოქმედა. აქ მუდმივ სამყოფელად იგზავნებოდა რუსის ჯარი, რომლის დაბინავება და სურსათით მომარაგება ადგილობრივ მოსახლეობას ეკისრებოდა.

ლიტ.: ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე შ., იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან სოლომონ მეორის დროს (1784-1810 წწ.) - „მაცნე", 1967, №3; დ უ მ ბ ა ძ ე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; АКАК, т.2, Тф., 1868, с.369-70; Д у б р о в и н Н., Закавказье от 1803-06 года, СПб., 1866.

**ელენე**, საქართველოს დედოფალი XI ს-ში, *ბაგრატ IV*-ის პირველი ცოლი, ბიზანტიის იმპერატორ რომანოზ III-ის ძმისწული. ბიზანტიასთან ომში დასუსტებულ საქართველოს ბრძოლის გაგრძელება არ შეეძლო, თვით ბიზანტიაც აღმოსავლეთში მტრების მოწოლის გამო, საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესებას ესწრაფოდა. ასეთ პირობებში, *მარიამ დედოფლის* ინიციატივით, 1030-31 კონსტანტინოპოლში ზავი დაიდო. იმპერატორმა ბაგრატ IV-ს ცოლად მიათხოვა თავისი ძმის – ბასილის ასული ე. და მიანიჭა კურაპალატობის პატივი. ქართველი მეფის დამოყვრება ბიზანტიის იმპერატორთან ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის საფუძველი უნდა გამხდარიყო, მაგრამ დედოფალი ე. მალე გარდაიცვალა ქუთაისში, რითაც გაწყდა ის ძაფი, რომელიც საქართველოს ბიზანტიასთან აკავშირებდა. ამის შემდეგ, ბაგრატ IV-მ ცოლად შეირთო ოვსთა მეფის ასული *ბორენა*.

წყარო: მატიანე ქართლისა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955.

ლიტ.: პ ა პ ა ს ქ ი რ ი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990.

**ელენე დედოფალი**, *ერეკლე I*-ის დედა, ლევან დიასამიძის ასული, დიპლომატი. 1653 თან გაჰყვა რუსეთში წარგზავნილ *ერეკლე I*-ს. უფლისწულის მცირეწლოვანობის გამო დედოფალი მთავარ როლს ასრულებდა მოსკოვის სამეფო კართან გამართულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში. 1662 ე.დ. შვილთან ერთად თუშეთში ჩამოვიდა. ქართლის მეფე *ვახტანგ V-სთან* ერთ-ერთ ბრძოლაში დამარცხებული ერეკლე დედასთან ერთად თორლას ციხეში ჩაიკეტა. ვახტანგმა ციხეს ალყა შემოარტყა. ე.დ. ფარულად გამოვიდა ციხიდან, ეახლა ვახტანგს და დაითანხმა იგი ერეკლე უვნებლად გაეშვა. დედა-შვილი რუსეთში გაბრუნდნენ. 1674 ერეკლე კვლავ წამოვიდა საქართველოში. ე.დ. ერთხანს მოსკოვში დარჩა, შემდეგ ისიც ირანში შვილთან გაემგზავრა, სადაც არ წყვეტდა დიპლომატიურ მოღვაწეობას. შემონახულია მისი წერილები რუსეთის ხელმწიფის თევდორე ალექსის ძისადმი.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ფ., მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან, თბ., 1971; ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი ვ., ქართველები მოსკოვში, II გამოც., თბ., 1959.

**ელექტროკავშირების საერთაშორისო კავშირი** (International Telecommunication Union - ITU), 1947-დან გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია. იგი არის უფლებამონაცვლე და მემკვიდრე პარიზში, 1865 დაარსებული მსოფლიო სატელეგრაფო კავშირისა, რომელიც შემდეგ 1934 მადრიდის 1932 კონვენციის საფუძველზე ელექტროკავშირის საერთაშორისო კავშირის სახელით გახდა ცნობილი.

ორგანიზაციის მიზანია ელექტროკავშირის ყველა სახეობის რაციონალური გამოყენებისა და გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაფართოება, მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობა.

ამ მიზნით ელექტროკავშირების საერთაშორისო კავშირი ანაწილებს რადიოსიხშირეებს და რეგისტრაციას უკეთებს სიხშირეების მფლობელთ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხარვეზები კავშირის გავრცელების დროს, ახორციელებს გეგმური და თანამიმდევრული პოზიციების რეგისტრაციას, რომელთაც ადგენს ესა თუ ის სახელმწიფო გეოსტაციონარული თანამგზავრებისათვის. ელ.ს.კ. მნიშვნელოვან საქმიანობას აწარმოებს განვითარებად სახელმწიფოებში ელექტროკავშირის ქსელის შექმნისა და მოწყობილობათა განახლებისა და სრულყოფის საქმეში. აგროვებს და გამოსცემს ინფორმაციას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აწარმოებს გამოკვლევებს, შეიმუშავებს წესებს და გამოსცემს რეკომენდაციებს. კავშირის უმაღლესი ორგანოა უფლებამოსილი კონფერენცია (Plenipotentiary Conference), რომელსაც იწვევენ 6 წელიწადში ერთხელ. მის კომპეტენციაში შედის ორგანიზაციის ზოგადი პოლიტიკის დასახვა, შესაბამისი კონვენციების გადახედვა, სხვა ორგანიზაციებთან ხელშეკრულებათა დადება და აღმასრულებელი ორგანოს არჩევა. აღმასრულებელი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც 43 წევრისაგან შედგება, ყოველწლიურად იკრიბება და ორგანიზაციის ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებას მეთვალყურეობს. იგი კოორდინირებას უწევს ორგანიზაციის 5 მუდმივი ორგანოს მუშაობას: გენერალურ სამდივნოს, სიხშირეთა ორგანიზაციის საერთაშორისო კომიტეტს, საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტს რადიოსათვის, საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტს ტელეგრაფისა და ტელეფონისათვის, ტელემაუწყებლობის განვითარების ბიუროს. შტაბ-ბინა იმყოფება ჟენევაში.

**ელისაბედ II** (Her Majesty Queen Elizabeth II, Elizabeth Alexandra Mary), დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ.ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი უინძორის დინასტიიდან. დაიბადა 21.IV.1926. მეფე ჯორჯ VI-სა და დედოფალ ელისაბედის შვილი. ტახტზე ავიდა 6.II.1952, მამის გარდაცვალების შემდეგ. 1936-მდე ფლობდა იორკის პრინცესას ტიტულს. მიიღო საოჯახო განათლება, შეისწავლა კონსტიტუციური სამართალი. მეორე მსოფლიო ომის წლებში გაწვეულ იქნა ჯარში, სადაც დაამთავრა მექანიკური ტრანსპორტის სასწავლო ცენტრის კურსები, შეიძინა კვალიფიცირებული მძღოლის პროფესია. როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციებს. მეუღლე – პრინცი ფილიპი (დ.10.VI.1921), ედინბურგის ჰერცოგი (საბერძნეთისა და დანიის ყოფილი პრინცი ფილიპ მაუნტბეტენი). ჰყავთ სამი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი: მემკვიდრე პრინცი ჩარლზი, უელსის პრინცი (დ.1948), პრინცი ენდრიუ, იორკის ჰერცოგი (დ.1960), პრინცი ედუარდი (დ.1964) და პრინცესა ანა (დ.1950).

**ელისეს სასახლე** (Palais de l'Elysee) საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენცია. ამ სახელწოდებაში ხშირად იგულისხმება საფრანგეთის მთავრობა.

**ელჩების კონფერენცია**, ამა თუ იმ სახელმწიფოში აკრედიტებული რამდენიმე სახელმწიფოს ელჩების შეხვედრა გარკვეული საერთაშორისო ხასიათის მქონე საკითხების გადასაწყვეტად. სხვა კონფერენციები მოწვეულ იქნა მაგ.: პარიზსა და ვენაში ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ, ვენაში 1853-1956, ყირიმის ომის დროს, ბერლინში 1880 საბერძნეთ-თურქეთს შორის წამოჭრილ კონფლიქტში შუამდგომლობისთვის და სხვ.

ტერმინი „ე.კ." ასევე გამოიყენებოდა სპეციალური ორგანოსადმი, რომელიც 1919 ბოლოს იქნა შექმნილი *ანტანტის* უმაღლესი საბჭოს მიერ *ვერსალის საზავო ხელშეკრულებასთან* (1919) დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისა და განხორციელების მიზნით. ამ ორგანომ იმოქმედა 1920-31, რის შემდეგაც მან არსებობა შეწყვიტა.

**ელჩი**, თანამედროვე საერთაშორისო დიპლომატიური პრაქტიკის მიხედვით არის დიპლომატიური წარმომადგენლობის პირველი კლასის (იხ. *დიპლომატიური კლასები და რანგები*) მეთაური. იგი აკრედიტებულია სახელმწიფო მეთაურთან. ელჩის სრული ოფიციალური ტიტულია – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (ინგლ. Ambassador Extraordinary and Plenipotentiary).

ვენის 1815 რეგლამენტი ელჩს განსაკუთრებულ წარმომადგენლობით სტატუსს ანიჭებდა. აღნიშული გამომდინარეობდა იქიდან, რომ ელჩს ნიშნავდა ხელმწიფე (მონარქი). საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ელჩის დანიშვნის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ავსტრიას, დიდ ბრიტანეთს, პრუსიას, რუსეთს, საფრანგეთს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არ ანსხვავებენ ერთმანეთისაგან დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურებს, როცა ისინი სხვადასხვა რანგს მიეკუთვნებიან. ვენის 1961 კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ, გამომდინარეობს რა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპიდან, ადასტურებს აღნიშნულს და ითვალისწინებს სხვადასხვა რანგის მეთაურთა შორის მხოლოდ უფროსობისა და ეტიკეტის ელემენტარული ნორმების დაცვას.

**ელჩინისა და ზახარევის ელჩობა** სამეგრელოში, რუსეთის სამეფოს ელჩობა სამეგრელოს სამთავროში 1639-40. ელჩობას მეთაურობდა თეოდორ ელჩინი. ელჩობაში შედიოდნენ მღვდელი პაველ ზახარიევი და საგარეო საქმეთა მწერალი ბაჟენოვი.

ე.ზ.ე. იყო პასუხი *ლევან II დადიანის* მიერ მოსკოვში გაგზავნილ *გეგენავას ელჩობაზე*. ელჩინსა და ზახარევს დავალებული ჰქონდათ დაეფიცებინათ დადიანი რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. ამ დროისათვის ლევან II დარწმუნდა, რომ რუსეთი არ აპირებდა რაიმე დახმარება აღმოეჩინა მისი მეტოქეებისათვის – *თეიმურაზ I-ისა* და *ალექსანდრე III-ისათვის*. ამიტომ მას აღარ გამოუთქვამს სურვილი შესულიყო რუსეთის მფარველობაში, ე.ზ.ე. უშედეგოდ დამთავრდა.

*ლიტ.:* Белокуров С.А., Материалы для русской истории, СПб., 1888; Накашидзе Н.Т., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб.,1968.

**ელჩობა საგანგებო**, სახელმწიფოს დელეგაცია, რომელიც იგზავნება სხვა სახელმწიფოში სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით საზეიმო ცერემონიაში, სახელმწიფოს მეთაურის არჩევის ან მონარქის კურთხევასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ან სახელმწიფო მეთაურის, ან სხვა გამოჩენილი ოფიციალური პირის დაკრძალვაში მონაწილეობის მისაღებად.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში აღნიშნული მოვლენა უფრო ცნობილია სხვა ტერმინით. კერძოდ, ამ დელეგაციებს უწოდებენ სპეციალურ სამთავრობო დელეგაციებს (*სპეციალური მისია*). ზოგ შემთხვევაში საგანგებო ელჩობის ფუნქციებს ასრულებს დიპლომატიური წარმომადგენლობა, რომელიც მდებარეობს შესაბამის სახელმწიფოში.

**ელცინი** ბორის ნიკოლოზის ძე (დ.1931), რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი.1955 დაამთავრა ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა მუშად, ინჟინრად, სახლსაშენებელი კომბინატის დირექტორად. 1975-85 იყო სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი. 1985-87 მუშაობდა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1987 იგი პარტიულ ხელმძღვანელობაში მუშაობას ჩამოაცილეს და დანიშნეს სსრკ სახმშენის თავმჯდომარის მოადგილედ. 1989 აირჩიეს სსრკ სახალხო დეპუტატად, ხოლო 1990 ივნისში – რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ; 1991 წლის 12 ივნისს ე. რუსეთის პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. 1996 ხელმეორედ აირჩიეს ამავე თანამდებობაზე.

**ემბარგო** (ესპ. embargo – აკრძალვა), განსაზღვრული ჯგუფის საქონლის ან ვალუტის, სავეტორო უფლების ან სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის რომელიმე ქვეყანაში შეტანის ან იქიდან გამოტანის აკრძალვა. ეს არის საგარეო ურთიერთობების წარმოების მეტნაკლებად სრული აკრძალვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მშვიდობიან, ასევე ომის დროს. ემბარგო საერთაშორისო პრაქტიკაში გამოიყენება როგორც ეკონომიკური და ფინანსური ზეწოლის, იძულების ან *რეპრესალიის* ფორმა.

*გაეროს წესდების* 39-ე და 41-ე მუხლების თანახმად, *უშიშროების საბჭო* უფლებამოსილია გამოიყენოს ე. (ეკონომიკური ურთიერთობების სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტა) ისეთი სახელმწიფოს მიმართ, რომლის ქმედებაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა სახის საერთაშორისო დანაშაულის ჩადენას. ე. უშიშროების საბჭოს მიერ გამოყენებულ იქნა ისეთი სახელმწიფოების მიმართ, როგორებიც იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, როდეზია, ერაყი (ერაყ-ქუვეითის კონფლიქტის დროს), იუგოსლავია (გაეროს იძულებითი ღონისძიებანი). ე-ს ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მისი პორტიდან ან *ტერიტორიული ზღვიდან* მეორე სახელმწიფოს გემის გასვლის აკრძალვა. იგი, როგორც წესი, გამოიყენება ომის გამოცხადების შემთხვევაში ან როგორც *რეპრესალიის* ერთ-ერთი სახეობა (აღნიშნული ფორმა სათავეს იღებს გასული საუკუნეებიდან. XIX ს-მდე ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები აკავებდნენ მომავალი მოწინააღმდეგის სავაჭრო გემებს, რაც პირველი ნაბიჯი იყო

ომის გამოცხადების შემდეგ ასეთი გემების ხელში ჩასაგდებად).

**ემიგრანტები**, უცხო სახელმწიფოს მოქალაქენი ან მოქალაქეობის არმქონე პირნი, რომლებიც დროებით ან მუდმივად სახლდებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამუშაოს შოვნის მიზნით, პოლიტიკური ან რელიგიური ხასიათის მიზეზების შედეგად. უმეტეს სახელმწიფოებში ე-თა მიღება დაშვებულია წინასწარი ნებართვის გაცემის შემდეგ. ცალკეულ სახელმწიფოებში დაწესებულია ემიგრაციული კვოტები ანუ წლის განმავლობაში მისაღებ ე-თა მაქსიმალური რაოდენობა.

**ემინი** იოსებ (1726-1809), სომეხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე, პოლიტიკოსი და დიპლომატი. მან განათლება მიიღო ინგლისში და შემდეგ ცხოვრობდა ინდოეთში თავის თანამოძმეებთან ქ. მადრასის სომხური ბურჟუაზიის წრეში. მისი თეორიული და პოლიტიკური პროგრამის თანახმად უნდა შექმნილიყო ქართულ-სომხური კავკასიური ფედერაციული სახელმწიფო *ერეკლე II-ის* მეთაურობით. ამ გეგმას იგი უდგენდა რუსეთის საიმპერატორო კარსაც და დიპლომატიური ენით სთხოვდა მფარველობა-პროტექტორატის გარანტიას. ამგვარი პროგრამითა და გეგმით ე. ჩავიდა ჯერ პეტერბურგში, ხოლო 1763 – თბილისშიც. პირველ ხანებში ერეკლე დიდად თანაუგრძნობდა მის პროგრამას. ე-ს სურდა ერეკლე II-ს დაუყოვნებლივ მოეკიდა ხელი სომხური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის. ერეკლე დათანხმდა ამ იდეის პრაქტიკულ ხორცშესხმას. მას მხარი დაუჭირა მადრასის სომხურმა ბურჟუაზიამაც ცნობილი მოღვაწის შაჰამირ შაჰამირიანის მეთაურობით (განსაკუთრებით 1783 *გეორგიევსკის ტრაქტატის* შემდეგ). შაჰამირიანმა და ე-მა ქართლ-კახეთის მეფეს მდიდარ საჩუქრებთან ერთად მოძღვავლი ქართულ-სომხური სახელმწიფოს დერბიც გამოუგზავნეს.

ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის ემინისეული იდეა ვერ განხორციელდა საქართველოში რუსული პოლიტიკური ფაქტორის გაძლიერებისა და სხვა სიძნელეების გამო.

*ლიტ.:* Иоаннисян А.Р., Иосиф Эмин, Ереван, 1945.

**ემისარი** (ლათ. emissarius – გაგზავნილი), სახელმწიფოს ან კერძო ორგანიზაციის (ზოგჯერ – რომელიმე კერძო პირის) პირადი წარმომადგენელი, რომელიც ასრულებს სხვადასხვა (ძირითადად საიდუმლო) დავალებებს სხვა ქვეყანაში. როგორც წესი, ე-ის მისიები არ ატარებს ოფიციალურ ხასიათს.

**ემსის დეპეშა**, დეპეშა 13-VII. 1870, სადაც გადმოცემული იყო პრუსიის მეფე ვილჰელმ I-ისა და პრუსიაში საფრანგეთის წარგზავნილის ვ.ბენედეტის საუბრის შინაარსი. 1869 ესპანეთის მთავრობამ სამეფო ტახტზე მოიწვია ვილჰელმ I-ის ნათესავი ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნი. ამას მოჰყვა *ნაპოლეონ III-ის* პროტესტი. პრინცმა ტახტზე უარი განაცხადა. ორივე მთავრობა ეძებდა საომარი მოქმედებისათვის საბაბს. ამიტომ ნაპოლეონ III-მ მოსთხოვა ვილჰელმ I-ს, რომელიც გერმანიის საკურორტო ქალაქ ემსში იმყოფებოდა, აეღო ვალდებულება და მომავალშიც არ წამოეყენებინა ლეოპოლდის კანდიდატურა. აღნიშნული საუბრის შინაარსი ეცნობა ო. *ბისმარკს* ბერლინში. ბისმარკმა შეგნებულად შეცვალა ტექსტი, მისცა მას მკაცრი და საფრანგეთის მთავრობისათვის შეურაცხმყოფელი ფორმა და იგი პრესაში გამოაქვეყნა. ნაპოლეონ III-მ მეორე დღეს 19.VII. 1870 პრუსიას ომი გამოუცხადა, რომელიც საფრანგეთის დამარცხებით დამთავრდა (*ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულება 1871*).

**ენაკოლოფაშვილი** გურგენა (1748), *ერეკლე II-ის* საგანგებო ელჩი ოსმალეთში (კონსტანტინოპოლში) 1776-78. იგი სტამბულში 1776 წლის დეკემბერში ჩავიდა ახალციხის ფაშასა და *სოლომონ I-ის* წარმომადგენლებთან ერთად. ეს წარმომადგენლობა გულისხმობდა დიპლომატიური გზით, ოსმალეთის მფარველობის აღიარებით სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. თურქეთს ერეკლეს თხოვნა ხელს აძლევდა, რადგან მას სურდა, რომ რუსეთისაკენ მიმავალი პოლიტიკური გზები ჩაკეტილიყო. ამავე დროს ეს ალიანსი გულისხმობდა ერეკლეს ანტიირანულ კურსსაც, დროებით მაინც. 1776 შეთანხმების შედეგად ახალციხიდან დაუბრუნებიათ მოტაცებული ქართველი ტყვეები და ქართლ-კახეთის დასარბევად გამზადებული ლაშქარიც გაუყვანიათ. ამ შეთანხმებამ 1778 უკვე ოფიციალური ხასიათი მიიღო და მაშინ დაბრუნდა ოსმალეთიდან ელჩი ე. და სულთნის მიერ ერეკლესათვის გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრებიც ჩამოიტანა. მაგრამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძალთა თანაფარდობა მალე შეიცვალა და ეს განზრახვაც ჩაიშალა.

*წყარო:* [ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ო.], ოპან მღვდელს, მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა, - წგ.- ქართლის ცხოვრება, ნაწ.2, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ.,1854.

*ლიტ.:* Маркова О.П., Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, М.,1966.

**ენდერა გალიმანი** (Endera Galimani) გილერმო (დ.12.V. 1936), პანამის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

დაამთავრა პანამის უნივერსიტეტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, სპეციალობით ადვოკატი. წლების მანძილზე ასწავლიდა პანამის უნივერსიტეტში, 1961-დან „ჭეშმარიტად პანამისტური პარტიის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, 1963-67 ეწეოდა მეწარმეობას. 1967 – დაგეგმარებისა და ეკონომიკური პოლიტიკის მინისტრი. 1968-71 – ო. *ტორიხოსის* სამხედრო გადატრიალების შემდეგ იმალებოდა. 1971 – დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს. 70-იანი წლების ბოლოდან კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკას. 1984-დან – ჭეშმარიტად პანამისტური პარტიის გენერალური მდივანი. 1989 – წამოყენებული იყო პრეზიდენტობის კანდიდატად, მაგრამ მთავრობამ არჩევნების შედეგები გაყალბებულად გამოაცხადა. 1989 პანამაში აშშ ჯარების შეჭრის შემდეგ გამოაცხადეს ქვეყნის პრეზიდენტად პანამაში აშშ ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე. ამავე დროს 1990 წლის იანვრიდან – არნულფისტური პარტიის გენერალური მდივანი, რომელიც შეიქმნა ჭეშმარიტად პანამისტური პარტიის ბაზაზე.

**ენები ოფიციალური და სამუშაო**, იხ. *დიპლომატიური ენა*.

**EN CLAIRE** (კლერული – ღია დეპეშა), დეპეშები არის ან დაშიფრული ან ჩვეულებრივ ენაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მათ კლერულ დეპეშებს უწოდებენ. ზოგჯერ მათ აგზავნიან, როცა განგებ სურთ, რომ უცხოეთის ქვეყნის მთავრობამ წაიკითხოს ეს დეპეშა.

*ლიტ.:* Никольсон Г., Дипломатия, пер. с англ., М.,1941, с.136.

**ერაყ-თურქეთის ხელშეკრულება 1946** (მეგობრობის შესახებ), ხელმოწერილ იქნა 23 მარტს ანკარაში. მიზნად

ისახავდა *საადაბადის პაქტის* აღორძინებას, მასში შემავალი არაბული ქვეყნების მიზიდვას და ამრიგად, ფართო ახლოაღმოსავლური ბლოკის შექმნას. ამ ინიციატივამ ვერ ჰპოვა შემდგომი განვითარება.

**ერაყ-ირანის ხელშეკრულებები და შეთანხმებები**, 1. 1937 **ხელშეკრულება საზღვრების შესახებ**, ხელმოწერილ იქნა 4 ივლისს თეირანში. მან შეინარჩუნა ერაყ-ირანის საზღვარი ძირითადად მდ. შატ ალ-არაბის მარცხენა ნაპირის გასწვრივ. ითვალისწინებდა შატ ალ-არაბის წყლებში ყველა ხალხის სავაჭრო გემებისა და ორივე მხარის სამხედრო ხომალდების თავისუფალ ნაოსნობას. ერაყი და ირანი იღებდნენ უფლებას ნება მიეცათ მესამე სახელმწიფოს სამხედრო ხომალდებისათვის შესულიყვნენ შატ ალ-არაბში, თუკი ამის შესახებ წინასწარ აცნობებდნენ ერთმანეთს. ხელშეკრულების ხელმოწერამ მხარეებს საშუალება მისცა მონაწილეობა მიეღოთ 1937 *საადაბადის პაქტის* დადებაში და აგრეთვე დაედოთ ორი სხვა ხელშეკრულება: მეგობრობის შესახებ – 1937 წლის 18 ივლისს და უთანხმოებათა მოწესრიგების შესახებ – 1937 წლის 24 ივლისს, მაგრამ უთანხმოებები ორ სახელმწიფოს შორის სასაზღვრო საკითხებზე მაინც გაგრძელდა და 1969 წლის 28 აპრილს ირანმა ერაყ-ირანის 1937 ხელშეკრულება საზღვრების შესახებ გაუქმებულად გამოაცხადა.

2. 1975 **შეთანხმება** (ცნობილია აგრეთვე როგორც „ალჟირის შეთანხმება"), დაიდო 6 მარტს, ერთობლივი კომუნიკეს ფორმით იმ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, რომლებიც გაიმართა ნავთობის ექსპორტიორი (ოპეკი) ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენციის დროს ალჟირში ირანის შაჰსა და ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს შორის. მხარეებმა შეათანხმეს ღონისძიებები მათ შორის არსებული პრობლემების საბოლოოდ და მტკიცედ მოსაგვარებლად, რაც ითვალისწინებდა ირან-ერაყის სახმელეთო საზღვრების დემარკაციას 1913 კონსტანტინოპოლის ოქმის (*კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულებები*), 1911 საზღვრების დელიმიტაციისა და ტალვეგის ხაზზე სამდინარო საზღვრების დელიმიტაციის შესახებ კომისიის ოქმების საფუძველზე.

3. 1975 **ხელშეკრულება საზღვრებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ**, დაიდო 1975 შეთანხმების საფუძველზე. ხელმოწერილ იქნა 13 ივნისს ბაღდადში. ეხებოდა სახმელეთო საზღვრების დემარკაციას, სამდინარო საზღვრების დელიმიტაციისა და ერაყ-ირანის საზღვრებზე უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებს. 1975 წლის 26 დეკემბერს მხარეებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულების 4 დამატებით შეთანხმებას – მდ. შატ ალ-არაბზე ნაოსნობის, სასაზღვრო მდინარეებისა და საძოვრების, სასაზღვრო კომისრების უფლებებისა და უფლებამოსილებათა საკითხების შესახებ. ხელშეკრულების ხელმოწერისას ერაყ-ირანის შერეული კომისიის მიერ მოხდა დემარკაცია სახმელეთო და დელიმიტაცია სამდინარო საზღვრისა (ტალვეგის ხაზზე). მიუხედავად იმისა, რომ ახალი ხელშეკრულება ამ სახმელეთო და სამდინარო სასაზღვრო ხაზს განიხილავდა როგორც სამუდამოს, საბოლოოსა და ხელშეუხებელს, მან მაინც ვერ მოაწესრიგა სადავო საკითხები ირანსა და ერაყს შორის (იხ. *ირან-ერაყის კონფლიქტი*).

**ერაყის აგრესია ქუვეითის წინააღმდეგ**, 2.VIII.1990 – 28.II.1991 აგრესიის შედეგად ერაყმა, რომელსაც ადრეც ჰქონდა (1961, 1973) ტერიტორიული პრეტენზიები ქუვეითის მიმართ, მოახდინა მისი დროებითი ოკუპაცია. აგრესიას წინ უსწრებდა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების დაცემა, რამაც ერაყი 1990 პირველ ნახევარში 14 მილიარდი დოლარით დააზარალა. ქუვეითი დაინტერესებული იყო ხამ ნავთობზე შედარებით დაბალი ფასებით, რაც ხელს უწყობდა ნავთობზე მოთხოვნის ზრდასა და გასაღების ბაზრების გაფართოებას და სისტემატურად აჭარბებდა ოპეკის მიერ მისთვის განსაზღვრულ ნავთობის მოპოვების ინდივიდუალურ კვოტას. 17-18.VII ერაყმა დაადანაშაულა ქუვეითი იმაში, რომ განგებ ცემდა ნავთობის ფასს და, გარდა ამისა, 1980-90 წლებში რუმაილას ერაყის ნავთობის საბადოდან, რომელიც მხოლოდ 500 მ-ით იყო დაშორებული ქუვეითის კუთვნილ რიტგას საბადოს, მოიპარა 2,4 მილიარდი დოლარის ღირებულების ნავთობი. ბაღდადმა მოთხოვა ქუვეითს შეეწყვიტა ნავთობის მოპოვება ერაყის ტერიტორიაზე და იმავე დროს დაიწყო ჯარების კონცენტრაცია ქუვეითის საზღვარზე. იყო ცდა ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებისა ჯიდაში, მაგრამ ის შეწყდა 1.VIII. 2.VIII ერაყის პრეზიდენტმა *სადამ ჰუსეინმა* ჯარები შეიყვანა ქუვეითში, დაიკავა მისი დედაქალაქი ელ-ქუვეითი და ოფიციალურად გამოაცხადა ქუვეითის ანექსია. გაეროს უშიშროების საბჭომ 2.VIII №660 რეზოლუციით დაგმო ერაყის შეჭრა ქუვეითში და მოითხოვა მისი ჯარების უპირობო და დაუყოვნებლივი დაბრუნება საწყის პოზიციებზე. 6.VIII უშიშროების საბჭოს №661 რეზოლუციით ერაყს დაეკისრა მკაცრი ეკონომიკური სანქციები. 9.VIII №662 რეზოლუციით, ქუვეითის ანექსია ერაყის მიერ ერთხმად გამოცხადდა „იურიდიულად უკანონოდ და ბათილად". 10.11.VIII კაიროში ჩატარებულმა არაბული სახელმწიფოების ხელმძღვანელთა საგანგებო შეხვედრამ უმაღლეს დონეზე მოითხოვა ერაყის ჯარების დაუყოვნებლივი გაყვანა ქუვეითიდან და ქუვეითის კანონიერი ხელისუფლების აღდგენა. 12.VIII სჰუსეინმა წამოაყენა წინადადება, რომ ერთიან საფუძველზე მომხდარიყო ჯარების გაყვანა რეგიონის ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან. ის მოითხოვდა ისრაელის ჯარების უპირობო და დაუყოვნებლივ გაყვანას არაბული ტერიტორიებიდან: პალესტინიდან, სირიიდან და ლიბანიდან, სირიის ჯარების დაშორიშორებას ლიბანიდან და ჯარების დაცილებას ირანსა და ერაყს შორის, აგრეთვე „ქუვეითის პრობლემის მოწესრიგების ღონისძიებების მომზადებას". 14.VIII ვაშინგტონმა და თელ-ავივმა უარყვეს ბაღდადის ინიციატივა. 29.XI. 1990 გაეროს უშიშროების საბჭომ №678 რეზოლუციით ულტიმატუმი წაუყენა ერაყს 45 დღის ვადაში, 15 იანვრამდე დაეტოვებინა ქუვეითი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაუპირისპირდებოდა „ყველა აუცილებელ საშუალებათა არსენალი უშიშროების საბჭოს სახელმწიფოებისა, რომლებიც თანამშრომლობდნენ ქუვეითთან", მაგრამ ერაყმა არ შეასრულა ეს მოთხოვნა. 12.I. 1991 აშშ-ის კონგრესმა ნება დართო პრეზიდენტ ჯ. ბუშს დაეწყო ომი ერაყთან. 17.I ანტიერაყული კოალიციის მრავალეროვანმა სამხედრო ძალებმა აშშ-ის მეთაურობით დაიწყეს საომარი მოქმედებები (რომლის კოდური სახელწოდება იყო „ქარიშხალი უდაბნოში") ერაყის წინააღმდეგ, დაბომბეს ბაღდადი და ერაყის ობიექტები ქუვეითში. 23.II დაიწყო სახმელეთო ოპერაციებიც, რომელიც დასრულდა 5 დღეში ერაყის არმიის განადგურებით. 26.I სჰუსეინმა განაცხადა, რომ ქუვეითი აღარ შედის ერაყის შემადგენლობაში, 28.II კი მოუწოდა თავის არმიას შეეწყვიტა ომი. იმავე დღეს ჯ.ბუშმა მსოფლიოს აუწყა

ერაყზე მოკავშირეთა გამარჯვების შესახებ, ერაყის ჯარებმა ქუვეითი დატოვეს 26.II. უკან დახევისას მათ დაწვეს 600-ზე მეტი ნავთობის ჭაბურღილი, ააფეთქეს ქალაქის ყველა სასიცოცხლო კომუნიკაცია, ელექტროსადგურები, წყლის გამამტკნარებელი ქარხნები, დაანგრიეს ყველა ადმინისტრაციული შენობა, საამიროს პარლამენტი, სასტუმროები; ოკუპაციის მეორე დღესვე ერაყში იქნა გატანილი ქუვეითის ვალუტის მთელი მარაგი და სხვ. ქუვეითის საერთო ზარალმა აგრესიის პერიოდში დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი შეადგინა.

**ერაყ-საუდის არაბეთის ხელშეკრულება 1936** მეგობრობისა და არაბული ძმობის შესახებ, ხელმოწერილ იქნა 2 აპრილს ბაღდადში 10 წლით და შემდგომში იმავე ვადით ავტომატურად გაგრძელების შესაძლებლობით. შეესაბამებოდა ბრიტანეთის ინტერესებს, რომელიც მოახლოებული მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ცდილობდა შეექმნა მისი მხარდამჭერი მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სახელმწიფოების ბლოკი. ხელშეკრულებით მხარეებმა იკისრეს ორმხრივი სამოკავშირეო ვალდებულებები, რომ ექნებოდათ ურთიერთკონსულტაციები, ერთობლივად იმოქმედებდნენ ომის საშიშროების დროს და იბრძოლებდნენ აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობიანი გზით მოაწესრიგებდნენ კონფლიქტებს, არ დადებდნენ ხელშეკრულებებს, რომლებიც დაარღვევდა მოკავშირე მხარის ინტერესებს, გაუწევდნენ ერთმანეთს დახმარებას საშინაო მღელვარებების დროს. გარდა ამისა, ხელშეკრულებამ ხაზი გაუსვა „მუსლიმურ კავშირებსა“ და „ეროვნულ ერთობას“ ერაყსა და საუდის არაბეთს, მათსა და სხვა არაბულ ქვეყნებს შორის. აქედან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ დაემყარებინათ სამხედრო და კულტურული თანამშრომლობა, გაეცვალათ სამხედრო და კულტურული მისიები, ჰქონოდათ ერთობლივი დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები, თუკი ერთ-ერთ მხარეს არა ჰყავდა თავისი წარმომადგენლები. გადაწყდა, რომ ხელშეკრულება არ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობაში 1930 ინგლის-ერაყის ხელშეკრულებასთან (*ინგლის-ერაყის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*), ერთა ლიგის წესდებასთან და *ბრიან-კელოგის პაქტთან.* ხელშეკრულებამ ძალაში დატოვა ერაყ-ნეჯდის ხელშეკრულებები და შეთანხმებები. 1937 წლის 29 აპრილს მას შეუერთდა იემენი. 1936, 1938 და 1940 ხემოწერილ იქნა ერაყ-საუდის არაბეთის რამდენიმე შეთანხმება ნეიტრალური ზონის და სასაზღვრო მხარეების ტომთა რეჟიმის შესახებ, რომლებიც ავსებდნენ 1936 ხელშეკრულებას.

**ერებრუს საზავო ხელშეკრულება 1812** (რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის), ხელი მოაწერეს 6(18).VII შვედეთის ქ.ერებრუში შვედეთის შუამავლობით.

1812 რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობების გამწვავებისას, რუსეთმა გამოიყენა შვედების უკმაყოფილება *ნაპოლეონ I-ის* მიმართ, რომელმაც ამავე წლის იანვარში დაიკავა შვედეთის პომერანია და მარტში დადო შვედეთთან საიდუმლო შეთანხმება. ამ შეთანხმებამ ნიადაგი მოამზადა ხელშეკრულებისათვის, რომლის მიხედვით, რუსეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის უნდა აღმდგარიყო *დიპლომატიური ურთიერთობა* და რუსეთი წყვეტდა თავის მონაწილეობას *კონტინენტურ ბლოკადაში.* მხარეები ასევე შეთანხმდნენ ომის შემთხვევაში ურთიერთდახმარების შესახებ (საბოლოო პირობები კავშირისა განისაზღვრა 1813 წლის ივნისის კონვენციაში კავშირისა და სუბსიდიების შესახებ) (იხ. *რაიხენბახის კონვენციები*). დიდ ბრიტანეთთან ანალოგიური ხელშეკრულება დადო შვედეთმაც, რომელიც ასევე გამოვიდა კონტინენტური ბლოკადიდან. ეს ხელშეკრულებები საფუძვლად დაედო ახალი ანტიფრანგული კოალიციის შექმნას.

*პუბლ.:* Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций, заключенных Россиею с иностранными державами, т.2, с.162-65; Внешняя политика России XIX и начала XX века, т.6, с.491-93.

**ერეკლე I** (1644-1709), ქართლის მეფე 1688-1703, კახეთის მეფე 1703-09. 1653 პაპამ, *თეიმურაზ I-მა* რუსეთის სამეფო კარზე წარგზავნა აღსაზრდელად. ამით თეიმურაზ I ვარაუდობდა, რომ მოსკოვის მთავრობა მეტ დაინტერესებას გამოიჩენდა ქართლ-კახეთის მიმართ და რეალურ დახმარებას აღმოუჩენდა მას ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. თეიმურაზის ამ ნაბიჯს მისთვის სასურველი შედეგი არ მოჰყვა. 1662 ე.I თუშეთში ჩამოვიდა და საკუთარი ძალებით ცდილობდა კახეთის დაუფლებას. ირანის შაჰმა სცადა ე.I-ის გადაბირება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, იგი რუსეთის ორიენტაციის ერთგული რჩებოდა. 1664 შაჰმა კახეთის მეფედ *არჩილ* ვახტანგის ძე დაამტკიცა. ე.I დამარცხდა მამაშვილთან – *ვახტანგ V-თან* და არჩილთან ბრძოლაში და რუსეთში დაბრუნდა. 1674 რუსეთზე საბოლოოდ გულგატეხილი ე.I კვლავ ჩამოვიდა კახეთში და აქედან ირანს გაემგზავრა. ირანში ე.I გაამაჰმადიანეს და ნაზარალი-ხანი უწოდეს. 1688 შაჰმა ტახტიდან გადააყენა აჯანყებული *გიორგი XI* და ქართლის მეფედ დაამტკიცა ე.I. ქართლს იგი 1703-მდე მართავდა. გიორგი XI ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დამორჩილდა შაჰს და 1703 მას დაუბრუნეს ქართლის ტახტი, ხოლო ე.I დაამტკიცეს კახეთის მეფედ, თუმცა იგი სამშობლოში ველარ დაბრუნდა, შაჰმა იგი ირანში დატოვა, კახეთში კი მეფის მოადგილედ დავით ერეკლეს ძე გააგზავნეს. ე.I გარდაიცვალა ირანში.

*წყარო:* ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**ერეკლე II** (1720-98), კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98, *თეიმურაზ II-ის* ძე. 1744 *ნადირ-შაჰმა* ე.II დაამტკიცა კახეთის მეფედ, თეიმურაზ II კი ქართლის მეფედ. 1747 ნადირ-შაჰის სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთი ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. მამაშვილმა გამარჯვება მოიპოვეს ამიერკავკასიაში პირველობისთვის წარმოებულ ბრძოლაში და დაიკავეს ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოები. თეიმურაზმა და ერეკლემ მოაგვარეს ურთიერთობა იმერეთის სამეფოსთან. 1758 ქართლ-კახეთის მეფეებმა და *სოლომონ I-მა* გორში მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დასდეს. 1762 თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ე.II-მ გააერთიანა ქართლ-კახეთის სამეფოები. საგარეო პოლიტიკაში ე.II რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო. მონაწილეობა მიიღო რუსეთ-თურქეთის 1768-74 ომში. ქართლ-კახეთის მეფე იმედოვნებდა, რომ რუსეთის დახმარებით დაიბრუნებდა ოსმალთა მიერ მიტაცებულ ქართულ მიწებს. 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელი მოაწერეს მფარველობით ტრაქტატს, რომლის ძალითაც რუსეთს საქართველო უნდა დაეცვა მტრებისგან. ე.II-მ გადაჭარბებით შეაფასა ტრაქტატის მნიშვნელობა და რუსეთის მოიმედე ჯეროვნად ვერ

მოემზადა აღა-მაჰმად ხანთან საბრძოლველად, რასაც 1795 თბილისის აოხრება მოჰყვა.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**ერენთალი** (Aehrenthal) ალოიზ ფონ (1854-1912), გრაფი, ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურში 1877-დან. მუშაობდა ავსტრია-უნგრეთის საელჩოში საფრანგეთში (1877-78), ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (1883-88, 1894-95). 1878-83 და 1888-94 – რუსეთში ავსტრია-უნგრეთის საელჩოს მდივანი. 1895-99 – დესპანი რუმინეთში; 1899-1906 – ელჩი რუსეთში, 1906-12 – ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. აქტიური როლი შეასრულა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიაში (1908) (იხ. *ბოსნიის კრიზისები*).

**ერთა ლიგა**, სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი *საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია*, რომელიც მოქმედებდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. შეიქმნა 1919. თავდაპირველად როგორც *ვერსალის საზავო ხელშეკრულების* სისტემის ნაწილს ხელი მოაწერა 44 ქვეყანამ. აშშ -მა არ მოახდინა მისი წესდების რატიფიკაცია და ამით უარი თქვა მის წევრობაზე. ე.ლ-ის ძირითადი ორგანოები იყო ასამბლეა – ორგანიზაციის ყველა წევრის წარმომადგენელთა კრება და ე.ლ-ის საბჭო, რომლის მუდმივი წევრები იყვნენ: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია და ოთხი დროებითი წევრი. გაჩნდა მუდმივი სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. ე.ლ-ის ძირითადი ორგანოების ადგილსამყოფელი იყო ჟენევაში. ასამბლეის და საბჭოს გადაწყვეტილებები ყველა საკითხზე, პროცედურული საკითხების გარდა, მიიღებოდა მხოლოდ ერთხმად. ე.ლ. თავიდანვე დიდი სახელმწიფოების (ინგლისი, საფრანგეთი) პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცა. იგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული. გერმანიაში ნაცისტების გამარჯვების შემდეგ (1933), სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მოთხოვნით სსრკ მოწვეული იქნა ე.ლ-ში 1934. მას მიეკუთვნა მუდმივი ადგილი. სსრკ აკრიტიკებდა ფაშისტთა და დასავლეთ სახელმწიფოთა პოლიტიკას. 1939 საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთთან ომის დაწყების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოებმა სსრკ ე.ლ-დან გარიცხეს. ამ პერიოდიდან ე.ლ-მ მუშაობა თითქმის შეწყვიტა. ფორმალურად კი მისი ლიკვიდაცია მოხდა 1946.

*ლიტ.:* Афанасьева О., Краткий очерк истории Лиги наций, М., 1945; Илюхина Р. М., Лига наций, 1919-1934, М., 1982.

**ერთხმივობის პრინციპი**, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გადაწყვეტილებათა მიღების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა (გადაწყვეტილებათა მიღების წესი საერთაშორისო ორგანიზაციათა ფარგლებში), რომელიც ჯერ კიდევ XIX ს. ბოლოს გამოიყენებოდა მსოფლიო ადმინისტრაციული კავშირების მუშაობაში. იმ პერიოდისთვის გამოიყენებოდა ე.წ. აბსოლუტური ერთხმივობის პრინციპი, რაც შემდეგს გულისხმობდა: თუკი ორგანიზაციის თუნდაც ერთი წევრი სახელმწიფო არ ესწრებოდა კენჭისყრას, ან თავს იკავებდა მასში მონაწილეობისგან, გადაწყვეტილება მიღებულად არ ითვლებოდა, აღნიშნული პრინციპის განხორციელებაში სახელმწიფოთა უმრავლესობა ხედავდა თავისი სუვერენული უფლებების დაცვას, სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის გარანტიას, თუმცაღა პრაქტიკაში ე.პ-ის გამოყენება სულაც არ იძლეოდა სახელმწიფოთა რეალური თანასწორობის გარანტიას. საერთაშორისო ორგანიზაციათა ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად განვითარება ჰპოვა აღნიშნულმა პრინციპმაც, საერთაშორისო პრაქტიკაში შემოვიდა ე.წ. შეფარდებითი ერთხმივობის პრინციპი, რომელიც *ერთა ლიგაში* გამოიყენებოდა. აბსოლუტური ერთხმივობისგან შეფარდებითი ერთხმივობის პრინციპი განსხვავდებოდა იმით, რომ კენჭისყრის დროს მხედველობაში არ მიიღებოდა თავშეკავებულ სახელმწიფოთა ხმები. ამიტომ გადაწყვეტილება ზოგჯერ შეიძლება მიღებული ყოფილიყო ერთა ლიგის წევრთა უმცირესობითაც კი. თუმცა ერთა ლიგის ყველა წევრს ჰქონდა *ვეტოს* დადების უფლება. აღნიშნული მეტად ართულებდა ერთა ლიგის ნორმალურ მუშაობას და საბოლოო ჯამში მისი კრახის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც გახდა. ერთა ლიგის უარყოფითი გამოცდილება გათვალისწინებულ იქნა მის მომდევნო უნივერსალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში – გაეროში, სადაც აღნიშნულმა პრინციპმა სახეშეცვლილი და უფრო პროგრესული ფორმით ასახვა ჰპოვა *უშიშროების საბჭოს* 5 მუდმივი წევრის ერთხმივობის პრინციპში (დიდი სახელმწიფოების ერთხმივობის პრინციპი).

**ერისთავი** გიორგი იესეს ძე (1760-1853) *გიორგი XII-ის* ელჩი, შემდეგში კი სენატორი და გენერალი. მეტსახელად ეძახდნენ „დიდ კნიაზს". მისი მამა იესე ყულარაღასი ცნობილია „აღაბაბას" სახელით, ამიტომ გიორგი ერისთავი ზოგჯერ მოხსენიებულია აღაბაბაშვილად. 1799 მეფე გიორგი XII-ის მიერ ე. გაიგზავნა რუსეთში მივლინებული საელჩო დეპუტაციის შემადგენლობაში. მოსკოვში იგი დაესწრო პაველ I-ის მიერ 1801 წლის 20 იანვრის მანიფესტის გამოცხადებას. 1812 ე-ს გენერალ-მაიორის ჩინი უბოძეს, ხოლო 1814 დანიშნეს საქართველოში განლაგებული მე-19 დივიზიის მეთაურად. იგი აქტიური მონაწილე იყო 1826-28 წლების რუსეთ-ირანის ომისა, როგორც დიპლომატი და მებრძოლი გენერალი. მან განსაკუთრებული მონაწილეობა მიიღო თავრიზის დაცემაში. სპარსეთთან ომის დამთავრების შემდეგ მონაწილეობს ჩრდილო კავკასიის დამორჩილებაში, 1830 იგი დააჯილდოვეს ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენით, ხოლო ერთი წლის შემდეგ აირჩიეს სენატორად. 1846 ინფანტერიის გენერლობა ებოძა, ხოლო სამოქალაქო დარგში დამსახურებისათვის – ალექსანდრე ნეველის ორდენი.

*ლიტ.:* იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936; კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტფ., 1914; "Кавказский сборник", I, 1876.

**ერისთავი** დავით როსტომის ძე (1780-1830), 1812-დან ხელმძღვანელობდა პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობაში მცხოვრებ ოსებთან მოლაპარაკებას და მათ გაქრისტიანებას, რისთვისაც მიიღო საგარეო საქმეთა კოლეგიის „სეკრეტრის" ჩინი. მონაწილეობდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალციხესთან 1810, რუსეთ-ირანის ომში 1827. დააჯილდოვეს წმინდა ანას ორდენით. 1828 მისცეს კოლეგიის მრჩევლის ჩინი.

*ლიტ.:* ბერძნიშვილი მ., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისთვის, თბ., 1980; მეგრელიძე შ., ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979.

**ესპანეთ-მაროკოს დეკლარაცია მაროკოს დამოუკიდებლობის შესახებ 1958**, ხელმოწერილ იქნა 7 აპრილს მა-

დროში მაროკოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიბეკაის და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მ.არტახოს მიერ. დეკლარაციის თანახმად, მხარეებმა გაუქმებულად გამოაცხადეს ესპანეთ-საფრანგეთის 1912 წლის 27 ნოემბრის შეთანხმება (ესპანეთ-საფრანგეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები) მაროკოს დაყოფისა და პროტექტორატის დამყარების შესახებ. ესპანეთმა ცნო მაროკოს დამოუკიდებლობა. დეკლარაცია ითვალისწინებდა ორ ქვეყანას შორის შეთანხმებების დადებას ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. ამ შეთანხმებების ძალაში შესვლამდე ურთიერთობებს ესპანეთსა და მაროკოს შორის განსაზღვრავდა დამატებითი ოქმი, რომლის მიხედვითაც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გადაცემოდა მაროკოს ორგანოებს, უქმდებოდა ვიზები და სხვა ადმინისტრაციული ფორმალობები ორ ზონას შორის, გარდამავალ პერიოდში ძალაში რჩებოდა ესპანეთის არმიის სტატუსი.

**ესპანეთ-პორტუგალიის ხელშეკრულებები XV-XVIII სს.** (კოლონიური სამფლობელოების გაყოფის თაობაზე), პირინეის ნახევარკუნძულის ბრძოლის ისტორია, რომლის საწყისი ეტაპი XIV ს. მიეკუთვნება. XV ს. შუა წლებში რომის პაპის რიგმა ბულებმა დააკანონეს პორტუგალიის უფლებები აფრიკაზე და კანარის კუნძულებზე. მდგომარეობა შეიცვალა XV ს. 70-იან წლებში ესპანეთის სამეფოს წარმოქმნის გამო. ე.-პ.ხ-ით, რომლებიც დაიდო ალკასოვასში (1479) და ტოლედოში (1480), პორტუგალიამ უარი თქვა კანარის კუნძულებზე, ხოლო ესპანეთმა ცნო პორტუგალიის გვირგვინის სამფლობელოებად აზორის კუნძულები, მადეირის კუნძული, გვინეა და ყველა მიწა, რომლებიც აღმოჩენილი იქნებოდა აფრიკის ნაპირებთან.

1493 პაპმა *ალექსანდრე VI-მ* 4 მაისის და 23 სექტემბრის ბულებით გაყო ყველა არაევროპული ტერიტორიები ესპანეთსა და პორტუგალიას შორის დემარკაციული ხაზით, რომელიც გადიოდა მერიდიანზე მწვანე კონცხის და აზორის კუნძულების დასავლეთით 100 ლიგის (555 კილომეტრის) დაშორებით. თუმცა მითითებული არ იყო ამ არქიპელაგის რომელი კუნძულებიდან უნდა გასულიყო გამმიჯ̇ნელი ხაზი. ესპანეთს მიეცა უფლებები ყველა მიწაზე, რომლებიც ამ ხაზის დასავლეთით მდებარეობდა, პორტუგალიას კი – ამ ხაზის აღმოსავლეთით. პაპის გადაწყვეტილებამ გამოიწვია პორტუგალიის მეფის ჟუან II-ის უკმაყოფილება და 1494 წლის 7 ივნისს დაიდო ტორდესილიასის ხელშეკრულება, რომელიც ადგენდა ახალ დემარკაციულ ხაზს მწვანე კონცხის კუნძულების დასავლეთით 370 ლიგის (2 ათას კმ-ზე მეტი მანძილის) დაშორებით. ამგვარად, პორტუგალიური ზონა ფართოვდებოდა 1500 კილომეტრით და მოიცავდა ატლანტიკის დიდ ნაწილს და ბრაზილიის შვერილს. ზღვები, რომლებიც მდებარეობდნენ ესპანურ ზონაში, ცხადდებოდა დახურულად პორტუგალიური გემებისთვის. იკრძალებოდა ესპანური გემების ყოფნა პორტუგალიურ წყლებში, გარდა გემებისა, რომლებიც პირდაპირი კურსით მიემართებოდნენ დასავლეთისკენ.

ტორდესილიასის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა პირენეის ნახევარკუნძულის სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკას და ჩამოაყალიბა „დახურული ზღვის" დოქტრინის პრინციპები, ესპანეთის და პორტუგალიის განსაკუთრებული უფლებები მთელ არაევროპული მსოფლიოს სამფლობელოებზე. სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომებს ეკრძალებოდათ შეღწევა ზღვის გაღმა მიწებში. ხაზი, რომელიც ფიქსირებული იყო ხელშეკრულებით, კვეთდა ატლანტიკას, თუმცა არ იყო გათვალისწინებული მეორე ნახევარსფეროზე, რადგანაც ევროპელებისთვის შორეული აღმოსავლეთის და შორეული დასავლეთის მიწები და ზღვები ცნობილნი გახდნენ მხოლოდ 2 ათეული წლის შემდეგ.

ესპანური და პორტუგალიური ინტერესების შეჯახება წყნარ ოკეანეში დაიწყო მაგელანის ექსპედიციის პერიოდში (1519-22). გაამწვავებული დიპლომატიური და სამხედრო ბრძოლის შემდეგ, სარაგოსის 1529 წლის 22 მარტის ხელშეკრულებით, დადგენილ იქნა წყნარ ოკეანეში ესპანეთის სამფლობელოების დასავლეთი საზღვარი, რომელიც გადიოდა მე-17 გრადუსზე, მოლუკის კუნძულების აღმოსავლეთით. ესპანეთი 350 ათასი დუკატის საფასურად უთმობდა პორტუგალიას ყველა უფლებას მოლუკის კუნძულებზე.

1581 პორტუგალია ესპანეთის მეფეების ძალაუფლების ქვეშ მოექცა, 1640 მან კვლავ დაიბრუნა დამოუკიდებლობა.

1680 წარმოიშვა ესპანეთ-პორტუგალიის კონფლიქტი სამხრეთ ამერიკის მიწების გამო, რომლებიც მდებარეობდნენ ლა-პლატის ჩრდილოეთი სანაპიროს გაყოლებით. ესპანელებმა განდევნეს პორტუგალიელები საკრამენტოს კოლონიიდან. 1681 ლისაბონის ხელშეკრულებით დანიშნული იყო შერეული კომისია ახალ სამყაროში ესპანურ-პორტუგალიური სამფლობელოების დემარკაციისთვის, მაგრამ მან ვერ შეძლო დემარკაციული საზღვრების დადგენა. ლისაბონის მეორე, 1701 წლის 18 ივნისის ხელშეკრულებით, კოლონია საკრამენტო პორტუგალიას მიეკუთვნა. ესპანეთის მემკვიდრეობისთვის ომის დროს (1701-14) პორტუგალიელები განიდევნენ კოლონიიდან. 1713, უტრეხტის ზავით, ესპანეთმა დაუბრუნა პორტუგალიას საკრამენტო.

ორივე სახელმწიფოს სამფლობელოების ახალი საზღვრები სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე დგინდებოდა მადრიდის ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო 1750 წლის 13 იანვარს, მას შემდგომ, რაც ესპანეთი დაეუფლა ფილიპინების კუნძულებს, ხოლო პორტუგალიამ გააფართოვა თავისი სამფლობელოები სამხრეთ ამერიკაში დემარკაციული ხაზის ფარგლებს გარეთ. აღიარეს რა ამ ტერიტორიული შენაძენების ტოლფასიანობა, მხარეები უარს ამბობდნენ ამიერიდან ურთიერთპრეტენზიებზე, რომლებიც დაეფუძნებოდა ტორდესილიასის და სარაგოსის ხელშეკრულებების სიტყვასიტყვით განმარტებას. მხარეები, აგრეთვე, აღიარებდნენ ძალადაკარგულად უტრეხტის ტრაქტატის მუხლებს პორტუგალიის უფლებებზე საკრამენტოს კოლონიაზე.

მადრიდის ხელშეკრულება გაუქმებულ იქნა 1761, შვიდწლიან ომში პორტუგალიის ინგლისის მხარეზე ჩაბმის წინ. კოლონია საკრამენტო კვლავ იქნა დაპყრობილი პორტუგალიელების მიერ. ესპანეთმა დათმო იგი პრელიმინარული ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო ფონტენებლოში 1762 და 1763 პარიზში სამშვიდობო ხელშეკრულებით. თუმცა 1777, ხელმძღვანელობდა რა მითითებით მადრიდიდან, ლაპლატის ვიცე-მეფემ სევალიოსმა დაიპყრო კოლონია საკრამენტო. პორტუგალია იძულებული იყო 1777 წლის 1 ოქტომბერს ხელი მოეწერა სან-ილდეფონსის ხელშეკრულებისთვის, რომლის ძალითაც ესპანეთის ხელში გადადიოდა ყველა ტერიტორია, რომლებიც პორტუგალიის მიერ შვიდწლიანი ომის პერიოდში იყო შეძენილი, ხოლო ყველა მანამდე დადებული ხელშეკრულება, მათ შორის

ტორდესილიასის და სარაგოსის, უტრეხტის და პარიზის საზავო ტრაქტატები ანულირებული იქნა. ამგვარად, პორტუგალია უარს ამბობდა თავის უფლებებზე, ფილიპინების, მარიანის კუნძულებზე და კოლონია საკრამენტოზე. ხელშეკრულება ადგენდა ესპანური და პორტუგალიური კოლონიების ახალ საზღვრებს სამხრეთ ამერიკაში, რომლებიც ოდნავ განსხვავდებოდნენ მადრიდის ხელშეკრულებაში ფიქსირებული დემარკაციული საზღვრებისაგან.

კონფლიქტები ბრაზილიის და ესპანეთის კოლონიების საზღვრებზე გრძელდებოდა ამ კოლონიების დამოუკიდებლობისთვის ომამდე (XIX ს. დასაწყისში).

*ლიტ.*- Пирскорский В.К., История Испании и Португалии, СПб., 1902; Альтамира-и-Кревеа Р., История Испании, М.,1951.

**ესპანეთ-საფრანგეთის შეთანხმება და კონვენცია**, 1. 1808 შეთანხმება ბურბონთა დინასტიის ესპანეთის ტახტიდან გადადგომის შესახებ (ე.წ. ბაიონის შეთანხმება), ხელი მოაწერეს 5.V, ბაიონში. მოლაპარაკების მიმდინარეობის დროს *ნაპოლეონ I-მა* ისარგებლა ცნობით მადრიდში ანტიფრანგული აჯანყების შესახებ და აიძულა კარლოს IV-ის შვილი – ფერდინანდი უარი ეთქვა თავის უფლებებზე მამის სასარგებლოდ, ხოლო კარლოს IV – გადამდგარიყო ესპანეთის ტახტიდან. კარლოს IV ტახტზე ყველა უფლებას ნაპოლეონს უთმობდა, რომელიც ვალდებულებას იღებდა შეენარჩუნებინა ესპანეთის სამეფოს მთლიანობა და კათოლიკური რელიგიის გაუყოფელი ბატონობა. შეთანხმების ანულირება მოახდინა *პარიზის საზავო ხელშეკრულებამ 1814*, რომელმაც აღადგინა ესპანეთში ბურბონთა დინასტია.

*პუბლ.*: De Clercq M. et J., Recueil des traités de la France, t.2, p.246-50.

2. 1904 და 1912 კონვენცია მაროკოს შესახებ. მაროკოს საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობა, დადგენილი *1880 მადრიდის კონვენციით* არ აწყობდა არც საფრანგეთს და არც ესპანეთს. ამიტომაც 3.X ესპანეთმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას და საიდუმლო კონვენციას გავლენის სფეროებად მაროკოს გაყოფის თაობაზე. ესპანეთს ერგო: მაროკოს ჩრდილო ნაწილი, ქფესის, ტაზასა და სამხრეთ-დასავლეთ მაროკოს ნაწილის გამოკლებით, საფრანგეთმა ცნო ესპანეთის უფლებები კოლონია სანტა-კრუს-დე მარ-პეკენიაზე. ესპანეთმა მიიღო უფლება „გაეკონტროლებინა“ მაროკოს მთავრობა ადმინისტრაციულ და სხვა რეფორმების გატარებისას, ესპანეთს თავისი ზონიდან არ უნდა გადაეცა მიწები სხვა ქვეყნისათვის (იგულისხმებოდა გერმანია). ტანჟერი გამოყოფილი იყო ესპანეთის ზონიდან და ინარჩუნებდა განსაკუთრებულ რეჟიმს (*ტანჟერის კონვენციები 1923, 1956*).

1.IX.1905 კონვენცია შეავსეს საიდუმლო შეთანხმებით, რომელიც კრძალავდა იარაღის კონტრაბანდულ ვაჭრობას.

მიუხედავად ამისა საფრანგეთი ცდილობდა მაროკოდან ესპანეთის განდევნას (*ფესის ხელშეკრულება 1912*).

2.7.XI.1912 ხელი მოაწერეს კონვენციას მაროკოს გაყოფის შესახებ. სამხრეთ-დასავლეთ მაროკოს ნაწილი, რომელიც ესპანეთს ჰქონდა 1904 კონვენციით, საფრანგეთის ხელში გადადიოდა. ამის შედეგად ესპანეთ-მაროკოს ტერიტორია შეადგენდა 28 ათას კვ.კმ-ს, ხოლო საფრანგეთის ხელში იყო 572 ათასი კვ.კმ.

*პუბლ.*: BFSP, vol.102, p.432-35, vol.106, p.1025-42.

**ესპანური მემკვიდრეობა**, 1700 ესპანეთის უშვილო მეფე კარლოს II ჰაბსბურგელის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ბრძოლა ე.მ-ის, ე.ი. ესპანეთის ერცელი სამფლობელოებისათვის. საფრანგეთის მეფე *ლუი XIV-მ* ჯერ კიდევ კარლოს II სიცოცხლეშივე დაიწყო მოლაპარაკებები ამ საკითხზე ინგლისთან და ნიდერლანდებთან. 1698 მან ინგლისის მეფე ვილჰელმ III ორანელთან დადო შეთანხმება ე.მ-ის სამ პრეტენდენტს შორის გაყოფის თაობაზე: თავის შვილიშვილის ჰერცოგ ფილიპე ანჟუელის, იმპერატორ ლეოპოლდ ჰაბსბურგელის შვილის ერცჰერცოგ კარლსა და ბავარიის კურფიურსტის შვილის პრინც იოსებ ფერდინანდს შორის. კარლოს II-ს თავიდან რომ აეცილებინა ესპანეთის დაყოფა, თავისი ტახტი მხოლოდ ერთს – ფილიპე ანჟუელს უანდერძა. კარლოს II-ის სიკვდილის შემდეგ, ლუი XIV-მ ინგლისთან და ნიდერლანდებთან შეთანხმების საწინააღმდეგოდ, მიიღო მეფის ეს ანდერძი, ამასთან პირობა დადო, რომ ესპანეთი საფრანგეთთან არ იქნებოდა გაერთიანებული ერთი მეფის ხელისუფლების ქვეშ. ლუი XIV-ის წინააღმდეგ გაერთიანდნენ იმპერატორი ლეოპოლდი, ვილჰელმ III ორანელი და თითქმის ყველა გერმანული სამთავრო. დაიწყო ე.მ-ისათვის ომი (1701-14) და იგი დამთავრდა *უტრეხტის საზავო ხელშეკრულებით 1713* და *რაშტატის საზავო ხელშეკრულებით 1714*.

*ლიტ.*: Гуревич Я.Г., Происхождение войны за испанское наследство и коммерческие интересы Англии, СПб.,1884; История дипломатии, 2 изд., т.1, М.,1959.

**ესტოპელი** (ლათ. estoppel), საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, რომელიც ნიშნავს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უფლების დაკარგვას – მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც განაპირობებენ მისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას, შეჩერებას ან ბათილად ცნობას. სახელმწიფო, *1969 ვენის კონვენციის* (საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ) თანახმად, კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ გარემოებებზე იმ შემთხვევაში, როდესაც გაიგო რა არსებული გარემოებების არსებობის შესახებ, მაშინვე არ განაცხადა მისთვის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. „დუმილით თანხმობის“ ინსტიტუტი გარკვეულად ართულებს ე-ის გამოყენებას პრაქტიკაში, რის გამოც სახელმწიფოთა გარკვეულმა ჯგუფმა წამოაყენა ე-ის მხოლოდ მკაფიოდ გამოხატული თანხმობის შემთხვევაში გამოყენება. აღნიშნულმა პოზიციამ ასახვა ჰპოვა მხოლოდ ვენის 1986 წლის კონვენციაში, სადაც 45-ე მუხლში დაფიქსირდა, რომ ე-ს საერთაშორისო ორგანიზაციასთან მიმართებაში ადგილი აქვს მხოლოდ მისი კომპეტენტური ორგანოს მოქმედებით გამოხატული რეაქციის შედეგად.

**„ესტრადას დოქტრინა“**, პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეფცია ახალი მთავრობების ცნობის საკითხის შესახებ. წამოყენებული იყო მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. ესტრადას მიერ 27.IX.1930 კომუნიკეში ახალი მთავრობების ცნობის შესახებ. „ე.დ.“ უარყოფს რომელიმე ქვეყნის ახალი მთავრობის ცნობისათვის უცხოეთის ქვეყნის მიერ სპეციალური აქტის გამოცხადების აუცილებლობას (საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა). კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ ცნობის ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების შედეგად იქმნებოდა პრაქტიკა, როცა სახელმწიფოთა საშინაო საქმეები შეიძლებოდა გადაქცეულიყო სხვა მთავრობების მხრიდან შეფასების საგნად, რომლებიც თავის თავზე მიიღებდნენ კრიტიკოსის როლს, მისცემდნენ დადებით ან უარყოფით შეფასებას უცხოეთის სახელმწიფოში არსებული რეჟიმის კანონიერების შესახებ. ესტრადას მხედველობაში ჰქონდა იმპერიალისტური ქვეყნების მხრიდან ცნობის ინ-

სტიტუტის გამოყენება ლათინური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის ამ ქვეყნებში მთავრობების ხშირი ცვლის პირობებში სახელმწიფო გადატრიალებების შედეგად. „ე.დ." ცნობის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდა თავისი დიპლომატების აკრედიტაციას ხელისუფლების სათავეში მოსულ მთავრობებთან.

„ე.დ." მიმართული იყო აშშ და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, რომლებიც ხშირად ერეოდნენ ლათინურ-ამერიკული ქვეყნების საშინაო საქმეებში (*„ტობარას დოქტრინა"*). ამიტომაც იგი ლათინურ ამერიკაში მოწონებით სარგებლობდა.

წყ.: Международная политика в 1930 году: Договоры, декларации и дипломатическая переписка, М.,1932, с.398.

**ეტიკეტი** დიპლომატიური (ფრანგ. étiquette), 1. თავაზიანობის, ქცევის წესების ერთობლიობა, მიღებული გარკვეულ სოციალურ წრეებში (მეფის კარზე, დიპლომატიურ ურთიერთობებში და ა. შ.); 2. გადატანითი მნიშვნელობით – ქცევის, თავაზიანობის გარკვეული ფორმა, რომელიც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში.

**ეტლი** (Attlee) კლემენტ რიჩარდ (1883-1967), ვიკონტი პრესტვუდი (Prestwood), ინგლისელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1924 – სამხ. მინისტრის მოადგილე; 1930-31 – ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერი; 1933 – კავშირგაბმულობის მინისტრი; 1940-42 – ბეჭდის მცველი ლორდი; 1942-45 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე; 1942-43 – დომინიონების საქმეთა მინისტრი; 1943-45 – საიდუმლო საბჭოს ლორდი-თავმჯდომარე; 1945-51 – პრემიერ-მინისტრი, ერთდროულად 1945-46 – თავდაცვის მინისტრი; 1955-დან – ლორდთა პალატის წევრი; 1931-35 – ლეიბორისტთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერის მოადგილე; 1935-55 – ლეიბორისტთა პარტიის ლიდერი. მონაწილეობდა *სან-ფრანცისკოს კონფერენციაში 1945, ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაზე* 1945 – ჯერ როგორც წევრი, ხოლო შემდეგ ინგლისის დელეგაციის მეთაური, მეთაურობდა ინგლისის დელეგაციას გაეროს I სესიაზე და *პარიზის საზავო კონფერენციაზე 1946*.

**ექსპატრიაცია** (ლათ. ex -დან; patria – სამშობლო), მოქალაქეობის დაკარგვა, რაც შეიძლება გამოხატულ იქნეს სამი ფორმით: მოქალაქეობის ავტომატურად დაკარგვა, მოქალაქეობიდან გასვლა და მოქალაქეობის ჩამორთმევა. სახელმწიფოთა უმრავლესობის პრაქტიკაში მოქალაქეობის ავტომატურად დაკარგვა იშვიათად გვხვდება ან გვხვდება მხოლოდ იმ დროს, როდესაც ეს საერთაშორისო შემთხვევებში ან სპეციალურ საკანონმდებლო აქტებშია გათვალისწინებული, მაგრამ აშშ მოქალაქეობის ავტომატური დაკარგვა ტიპიური ფორმაა ე-ისა. ასე მაგ.: თუ აშშ ნებისმიერი მოქალაქე *ნატურალიზებულ* იქნა საზღვარგარეთ, იგი ავტომატურად კარგავს აშშ მოქალაქეობას, აღნიშნული ფაქტი დოქტრინაში ე-ის თავისუფლების სახელწოდებითაა ცნობილი, სახელმწიფოთა ნაწილი ამ დოქტრინას არ ცნობს. მაგ.: ინგლისმა იგი უარყო ჯერ კიდევ 1948 წელს.

მოქალაქეობიდან გასვლა გავრცელებული ფორმა იყო ყოფილ სსრკ-ში და გულისხმობს მოქალაქეობის დაკარგვას დაინტერესებული პირის თხოვნის საფუძველზე კომპეტენტური ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შემდეგ.

რაც შეეხება ე-ის მესამე ფორმას, მოქალაქეობის ჩამორთმევას, იგი ნაწილობრივ დასჯის ელემენტსაც შეიცავს. ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით იმ პირების მიმართ, რომლებიც ჩარეულნი არიან სახელმწიფოსადმი მტრული საქმიანობის განხორციელებაში.

ლიტ.: Международное право, М.,1994, с.97-98.

**„ექსპოცენტრი"**, საბჭოთა კავშირში საკავშირო გაერთიანება, რომელიც შედიოდა სსრკ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატის შემადგენლობაში. ძირითადი დანიშნულება იყო სსრკ-ში კომერციულ საწყისებზე საერთაშორისო და უცხოეთის გამოფენების მოწყობა, სიმპოზიუმების ჩატარება და ა.შ.

**ექსტერიტორიულობა** (ლათ. ex -დან, territorialis), ნიშნავს მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს კანონების დამორჩილებას და უცხო სახელმწიფოს იურისდიქციისაგან სრულ განთავისუფლებას.

ადრეულ პერიოდში ტერმინი ე. გამოიყენებოდა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობათა მიმართ. მაგრამ დროთა განმავლობაში აღნიშნულზე უარი თქვეს სახელმწიფოებმა, ვინაიდან ე-ის საბაბით *დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების* შეუზღუდავ გაფართოებას იწვევდა. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში აღნიშნულმა ტერმინმა (და მოვლენამ) თითქმის არ ჰპოვა ასახვა არც საერთაშორისო სამართლის პრინციპებში და არც უმნიშვნელოვანეს ნორმებში. გამონაკლისია ზოგიერთი შემთხვევა, რომელსაც ადგილი აქვს საზღვაო და საჰაერო სამართლით რეგულირებულ შემთხვევებში. ასე მაგ.: *საერთაშორისო საზღვაო სამართალში* ტერმინი ექსტერიტორიულობა მიესადაგება უცხო სახელმწიფოს პორტში მყოფ სამხედრო გემის სამართლებრივ სტატუსს. გემი განიხილება როგორც ალმის სახელმწიფოს მცურავი ტერიტორია.

ე-ით სარგებლობს ასევე სამხედრო საჰაერო ხომალდი, რომელიც უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ნებართვის თანახმად მდებარეობს და ითვლება იმ სახელმწიფოს მფრინავ ტერიტორიად, რომლის ამოსაცნობ ნიშნებსაც ატარებს.

**EXTRADITION** (დამნაშავეთა გადაცემა), მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში დამნაშავეთა გადაცემის მოქმედი ხელშეკრულებების თანახმად, დამნაშავე, რომელიც სხვა ქვეყანაში გაიქცა, უბრუნდება იმ ქვეყანას, სადაც მან სისხლის სამართლის ან სხვა დანაშაული ჩაიდინა. პოლიტიკური ლტოლვილები, რომლებმაც მოახერხეს გაქცევა, ღებულობენ პოლიტიკურ თავშესაფარს.

ლიტ.: Никольсон Г., Дипломатия, пер.с англ., М., 1941, с.136.

# ვ

**ვაიცმანი (Weizman)** ეზერ (დ. 1924), ისრაელის პრეზიდენტი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში, 18 წლის ასაკში, შევიდა ინგლისის არმიაში. დაამთავრა საფრენოსნო სასწავლებელი როდეზიაში. მსახურობდა ეგვიპტესა და ინდოეთში. დემობილიზაციის შემდეგ, 1946 სწავლობდა საავიაციო-საინჟინრო კურსებზე ინგლისში. გახდა ებრაელთა ფარული ორგანიზაციის „ირგუნ ცვაი ლეუმის" წევრი. 1948 დაბრუნდა პალესტინაში და სათავეში ჩაუდგა ისრაელის საჰაერო ძალების შექმნას. 1950 – ისრაელის სამხედრო საჰაერო ძალების შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსი. 1951 კვლავ სასწავლებლადაა ინგლისში, რის შემდეგაც იყო ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის საავიაციო განყოფილების უფროსი. 1958-66 – სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი. 1966-69 – გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, გენშტაბის დაზვერვის განყოფილების უფროსი, გენერალი. 1969 დემობილიზაციის შემდეგ – ტრანსპორტის მინისტრი გ.მეირის მთავრობაში. 1970-72 – პარტია „ხერუთის" ალმასკომის თავმჯდომარე. 1977-80 – ისრაელის თავდაცვის მინისტრი. 1980 გარიცხეს პარტია „ხერუთიდან". შევიდა შრომის პარტიაში. 1984-დან – პარტია „იაგადის" ლიდერი, რომელიც არაბებთან დაზავებას მოითხოვდა. 1986-88 – უპორტფელო მინისტრი, 1988-91 – მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი. 1993 წლის 24 მარტიდან – ისრაელის პრეზიდენტი.

**ვაკისი (Vakis)** ანტონიუს (დ.1935), კვიპროსის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

დიპლომატიურ სამსახურშია 1961-დან. 1964-67 – სსრკ-ში კვიპროსის საელჩოს მდივანი. 1967-68 – კვიპროსის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი პოლიტიკური განყოფილების თანამშრომელი. 1968-71 – ინგლისში კვიპროსის უმაღლესი კომისარიატის თანამშრომელი, კონსული. 1971-75 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთო ორგანიზაციების განყოფილების გამგე. 1975-78 – კვიპროსის საქმეთა დროებითი რწმუნებული იუგოსლავიაში. 1979-83 – ინგლისში კვიპროსის საქმეთა უმაღლესი კომისრის მოადგილე. 1983-89 – კვიპროსის საქმეთა უმაღლესი კომისარი ინდოეთში. შეთავსებით უმაღლეს კომისრად აკრედიტებული იყო ბანგლადეშში (1984), სინგაპურში (1985), შრი-ლანკაში (1985), ბირმაში (1986). 1989-92 – კვიპროსის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკისა და კულტურის განყოფილების უფროსი. 1992-დან – კვიპროსის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. 1993 წლის აპრილიდან (შეთავსებით) – საქართველოში.

**ვალდეს სუბერკასო (Valdés Subercaseaux)** გაბრიელ (დ. 1919), ჩილეს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1964-70 იყო ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრი. 1969 აქტიურად მონაწილეობდა *ვინია-დელ-მარის ქარტიის* შემუშავებაში. 1971-81 – *გაეროს განვითარების პროგრამის* ადმინისტრატორის მოადგილე. გაეროს განვითარების პროგრამის ლათინური ამერიკის რეგიონული ბიუროს დირექტორი. 1982-დან – ჩილეს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. ამასთან ერთად, 1983-დან ხელმძღვანელობდა ჩილეს დემოკრატიულ ალიანსს.

**ვალდჰაიმი (Waldheim)** კურტ (დ. 1918), ავსტრიელი დიპლომატი.

1945-დან დიპლომატიურ სამსახურშია. 1945-48 მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1948-51 – საფრანგეთში, ავსტრიის საელჩოში. მონაწილეობდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის სახელმწიფო ხელშეკრულების შემუშავებაში. 1951-55 – ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი. 1955-56 – ავსტრიისაგან მუდმივი მეთვალყურე გაეროში. 1956-58 – ჯერ დესპანი, ხოლო 1958-60 – ავსტრიის ელჩი კანადაში. 1960-64 – ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური სამმართველოს უფროსი. 1964-68 – ავსტრიის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში. 1965-68 – *კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხთა კომიტეტის* თავმჯდომარე. მონაწილეობდა *1967* ხელშეკრულების შემუშავებაში ციური სხეულების, მათ შორის მთვარის გამოკვლევისა და გამოყენების საქმეში სახელმწიფოთა მოქმედების პრინციპების შესახებ. 1968-70 – ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1971 – ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატი. 1972-81 – გაეროს გენერალური მდივანი. 1983-85 – საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობი საბჭოს თავმჯდომარე. 1986-91 – ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტი.

**ვალევსკი (Walewski)** ალექსანდრე ფლორიან კოლონნა (1810-68), გრაფი, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. *ნაპოლეონ I-ის* და პოლონელი გრაფინიას მარია ვალევსკაიას შვილი. 1830-31 – პოლონეთის აჯანყების მონაწილე. მისი დამარცხების შემდეგ დასახლდა პარიზში. *ნაპოლეონ III-ის* მმართველობის პერიოდში იყო საფრანგეთის წარგზავნილი ფლორენციაში, ნეაპოლში, მადრიდსა და ლონდონში. აქტიურად შეუწყო ხელი ინგლის-საფრანგეთის დაახლოებას, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. 1855-60 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. თავმჯდომარეობდა *პარიზის კონგრესს 1856*. 1860-63 – სახელმწიფო მდივანი. 1865-67 – საკანონმდებლო კორპუსის წარმომადგენელი.

**ვალენსა** (Walensa) ლეხ (დ.1943), პოლონეთის პრეზიდენტი 1992-96.

1961 დაამთავრა სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სკოლა, 1961-63 და 1965-67 – მანქანების ექსპლუატაციის სახელმწიფო ცენტრის ელექტრომექანიკოსი. 1963-65 მსახურობდა პოლონეთის არმიაში. 1967-76, 1980 და 1983 – გდანსკის გემთმშენებელი ქარხნის ელექტრიკოსი. 1976-78 მუშაობდა გაერთიანება „ელექტრომონტაჟში" – გდანსკში. 1970 – საგაფიცვო კომიტეტის ხელმძღვანელი. 1979-80 – გდანსკის გემთმშენებელი ქარხნის საგაფიცვო კომიტეტის წევრი. 1980 – გდანსკის საერთო-საქარხნო საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე. 1980-81 – პროფკავშირების საერთო-საქარხნო გაერთიანება „სოლიდარობის" ორგკომიტეტის ხელმძღვანელი. 1981-დან – პროფგაერთიანება „სოლიდარობის" გდანსკის კომიტეტის თავმჯდომარე, შემდეგ – პროფგაერთიანება „სოლიდარობის" საერთო-პოლონური კომისიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. 1981-82 ქვეყანაში გამოცხადებულ სამხედრო წესებთან დაკავშირებით იყო რეპრესირებული. 1987-დან ხელმძღვანელობდა პროფგაერთიანება „სოლიდარობას". ნობელის პრემიის ლაურეატი (1983) მშვიდობის დაცვის დარგში.

**ვალვერდე** (Valverde) ალფონსო ბარერა (დ.1929), ეკვადორელი დიპლომატი, იურისტი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1949-დან. ხელმძღვანელობდა ეკვადორის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა განყოფილებებს, ეკავა ეკონომიკის საკითხებში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა, იყო ეკვადორის ელჩი არგენტინაში, ესპანეთში. 1980-81 – ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1981-დან საპასუხისმგებლო სამუშაოზე იმყოფებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. ავტორია რიგი შრომებისა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე.

**ვალიესარის ხელშეკრულება** 1658 (დაზავების შესახებ), დაიდო 20(30). XII რუსეთსა და შვეციას შორის სოფ. ვალიესარში (ნარვასთან ახლოს) რუსეთ-შვეციის 1656-58 ომის დამთავრების შემდეგ. ცდილობდა რა მიეღო ბალტიისპირეთში გასასვლელი, რუსეთის ჯარმა დაიკავა ლიფლიანდიის აღმოსავლეთი ნაწილი, მაგრამ პოლონეთის საზღვართან არახელსაყრელმა პირობებმა რუსეთის მთავრობა აიძულა მოლაპარაკებაზე წასულიყო. რუსეთს დარჩა დაკავებული ტერიტორიები და ქ. იურიევი (ახლანდელი ტარტუ). 3 წლის შემდეგ რუსეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა *კარდისის საზავო ხელშეკრულებაზე* (1661), შვეციისათვის დაებრუნებინა ბალტიისპირეთის ქალაქები და დათანხმებოდა *სტოლბოვოს საზავო ხელშეკრულებით* (1617) დადგენილ საზღვრებს.

**ვამეყ III დადიანი**, ოდიშის მთავარი 1657-61. *ლევან II დადიანის* გარდაცვალების შემდეგ (1657) იმერეთის მეფის, *ალექსანდრე III-ის* დახმარებით დაეუფლა ოდიშის სამთავროს ტახტს და მიიღო დადიანის ტიტული. ტახტს ეცილებოდა *ლიპარიტ III დადიანი*. 1658 ბანძასთან ბრძოლაში ვამეყმა დაამარცხა ლიპარიტი და მდგომარეობა განიმტკიცა. 1661 ალექსანდრე III-ის ქვრივმა, *დარეჯან* დედოფალმა ტახტიდან ჩამოაგდო *ბაგრატ IV*, ქმრად მოიყვანა ბაგრატიონთა შორეული ნათესავი ვახტანგ ჭუჭუნაიშვილი და იგი მეფედ გამოაცხადა. იმერეთის უკმაყოფილო ფეოდალებმა იმერეთში მიიწვიეს *ვახტანგ V* და ვამეყ დადიანი. მათ იმერეთი გაინაწილეს. საზღვარი მდ. გუბისწყალზე გადიოდა. ვამეყმა აღუთქვა ვახტანგს, რომ თავის ქალიშვილს ვახტანგის ვაჟს – *არჩილს* მიათხოვებდა. ამის შემდეგ არჩილი იმერეთში უნდა გამეფებულიყო, მაგრამ მან პირობა დაარღვია. თვითონ მოინდომა მთელ იმერეთს დაპატრონებოდა, შეკრა კავშირი იმერეთის უძლიერეს ფეოდალთან ბეჟან ლოლობერიძესთან და ქალიშვილი მას მიათხოვა. ვახტანგი დიდი ლაშქრით გადავიდა იმერეთში. ვამეყი თავისი ჯარით საჩხერესთან იდგა. მან ვერ გაბედა მეფესთან შებრძოლება და სამეგრელოში გადავიდა. ვახტანგ V-მ აიღო ზუგდიდი. ვამეყი სვანეთში გაიქცა. იქ იგი მოაკვლევინა ვახტანგ V-ის მოკავშირემ, ლეჩხუმის მფლობელმა ხოსია ლასხიშვილმა.

ლიტ.: ბ ე რ ა ძ ე თ., ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", ტ.2, თბ., 1964.

**ვანბაოშანის ინციდენტი**, პროვოცირებულ იქნა იაპონიის მიერ 1931 წლის ზაფხულის დასაწყისში ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში შეჭრისა და მისი ხელთგდების მიზნით. იაპონიის დაზვერვის მიერ სოფ. ვანბაოშანში პროვოცირებულ იქნა შეტაკება ჩინელ და კორეელ გლეხებს შორის სარწყავი წყლის გამო. აღნიშნული შეტაკება იაპონელებმა გამოიყენეს მიზეზად და დაარბიეს ჩინელები, რომლებიც კორეაში ცხოვრობდნენ, მოეწყო შეტაკებები ტიანძინში. 1931 მანჯურიაში მოკლულ იქნა იქ მყოფი იაპონელი მზვერავი კაპიტანი ნაკამურა, რის გამოც იაპონიაში გაჩაღდა ფართო ანტიჩინური კამპანია. მთელ ამ პროვოკაციათა სერია დასრულდა 19.IX, როცა, თითქოსდა, უცნობმა ჩინელმა ჯარისკაცებმა შენიანის (ყოფ. მუკდენი) რაიონში ააფეთქეს სამხრეთ მანჯურიის რკინიგზა, იაპონელებმა დაიკავეს შენიანი და მოახდინეს სამხრეთ მანჯურიის ოკუპაცია.

ლიტ.: С л а д к о в с к и й М. И., Китай и Япония, М., 1971, с.143.

**ვანდენბერგი** (Vandenberg) არტურ ჰენდრიკ (1884-1951), აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე. 1928-დან – სენატორი. 1946-48 – სენატის საგარეო კომისიის თავმჯდომარე. მეორე მსოფლიო ომის დროს გამოდიოდა ევროპაში *მეორე ფრონტის* გახსნის წინააღმდეგ. არის ავტორი ე.წ. „ვანდენბერგის რეზოლუციისა" (1948), რომლითაც განსაზღვრული იყო აშშ-ის ომის შემდგომი საგარეო პოლიტიკის კურსი და რომელიც ითვალისწინებდა აშშ-ის ეგიდით სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნას სსრკ-ის წინააღმდეგ.

**ვანდერველდე** (Vandervelde) ემილ (1866-1939), ბელგიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. ბელგიის სოციალისტური პარტიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ლიდერი. 1894 – პარლამენტის დეპუტატი. 1914-დან – სახელმწიფო მინისტრი. 1916-17 – მომარაგების მინისტრი. 1918-19 – იუსტიციის. 1925-27 – საგარეო საქმეთა, 1935-36 – უპორტფელო მინისტრი. 1936-37 – ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი. 1917 წლის გაზაფხულზე, როგორც ბელგიელი სოციალისტების დელეგაციის ხელმძღვანელი, ჩამოვიდა რუსეთში და დროებით მთავრობას მოუწოდებდა გაეგრძელებინა ომი გერმანიის წინააღმდეგ. მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, გამოდიოდა სსრკ-ის ცნობის წინააღმდეგ. აქტიური მონაწილეობა მიიღო ვერსალისა და ლოკარნოს საზავო ხელშეკრულებების შემუშავებაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით II ინტერნაციონალის ბელადებთან ერთად იყო საქართველოში.

**ვანსიტარტი** (Vansittart) რობერტ ჯილბერტ (1881-1957), ბარონი დენჰემი (Denham), ინგლისელი დიპლომატი. 1902-დან დიპლომატიურ სამსახურშია. მუშაობდა ინგლისის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში საფრანგეთში, ირანში, ეგვიპტეში, შვეციაში, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მონაწილეობდა *პარიზის საზავო კონფერენციის* მუშაობაში 1919-20. 1920-24 – მდივანი, 1924-28 – საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი, 1928-30 – მინისტრის მოადგილის თანაშემწე და პრემიერ-მინისტრის პირადი სამდივნოს უფროსი, 1930-38 – საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე, 1938-41 – საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი დიპლომატი.

**ვან ძიასიანი** (1904-74), ჩინეთის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, დიპლომატი. 1934-დან იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ის აპარატში. 1945-50 – ჩინეთის კპ ცკ-ის პროპაგანდის განყოფილების გამგე, იმავდროულად 1949-59 – ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და 1949-51 – ჩინეთის ელჩი სსრკ-ში. „კულტურული რევოლუციის" დროს განიცდიდა დევნას.

**ვარაზ-ბაკურ ბამრეკელი**, ქართველი ერისთავი XI ს-ში. როცა საქართველოში შემოჭრილმა *ალფ-არსლანმა* დამოყვრება შესთავაზა *ბაგრატ IV-ს* და დისწული სთხოვა ცოლად, მეფემ იგი მოციქულად მიაგზავნა ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკესთან (ბაგრატის დისწული ამავე დროს კვირიკეს ძმისწული იყო). კვირიკემ უარი შეუთვალა ბაგრატს, რის შემდეგაც ბაგრატმა შეიპყრო ტაშირ-ძორაგეტის მეფე.

*წყარო:* მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1955.

**ვარკიზის შეთანხმება 1945** (საბერძნეთის მთავრობასა და საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტს შორის), ხელი მოაწერეს 12. II ვარკიზში (ათენთან ახლოს) ინგლისის მონაწილეობით, რომელმაც 1944 ჯარი გადასხა საბერძნეთში. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა ვალდებულება აიღო შეეწყვიტა საომარი მოქმედება, მოეხდინა ჯარის დემობილიზაცია, გაენთავისუფლებინა მძევლები. თავის მხრივ, საბერძნეთის მთავრობა იღებდა ვალდებულებას, რომ ქვეყანაში გაატარებდა დემოკრატიულ რეფორმებს და 1945 ბოლოსთვის ქვეყანაში მოაწყობდა პლებისციტს. ფაქტობრივად შეთანხმება შეუსრულებელი დარჩა.

**ვარშავის თათბირი 1955**, შედგა 11-14.V, რომელშიც მონაწილეობდნენ ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გდრ, პოლონეთი, რუმინეთი, სსრკ და ჩეხოსლოვაკია. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ესწრებოდა მეთვალყურის სტატუსით. თათბირი მოწვეული იყო *მოსკოვის 1954 თათბირის* გადაწყვეტილების შესაბამისად.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობებში. კერძოდ დასავლეთის ქვეყნების მიერ პარიზის 1954 შეთანხმებების რატიფიკაცია (იხ. *დასავლეთევროპული კავშირი*) და გადაწყვიტეს მიეღოთ ზომები „საკუთარი უშიშროების" დასაცავად. ამ მიზნით მათ ხელი მოაწერეს 14 V ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ (იხ. *ვარშავის ხელშეკრულება 1955*).

*ლიტ.:* Организация Варшавского Договора. Документы и материалы. 1955–1980, М., 1980, с.12–13.

**ვარშავის შეთანხმებები 1733**, ავსტრია-საქსონიის (ხელმოწერილ იქნა 7(18). VII) და რუსეთ-ავსტრია-საქსონიისა (ხელმოწერილ იქნა 8(19). VIII). როცა პოლონეთის მეფის, ავგუსტ II-ის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის კანდიდატმა ს. ლეშჩინსკიმ სცადა პოლონეთის ტახტზე დამკვიდრება, რუსეთმა და ავსტრიამ შეცვალეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება საქსონიის კურფიურსტის, ავგუსტ II-ის შვილის – ფრიდრიხ ავგუსტის მიმართ და მხარი დაუჭირეს მას პოლონეთის ტახტის დაკავებისათვის ბრძოლაში. თავის მხრივ, ფრიდრიხ ავგუსტმა ვ.შ-ით უარი განაცხადა *ავსტრიული მემკვიდრეობისათვის* პრეტენზიაზე და ცნო 1713 *პრაგმატული სანქცია*. გარდა ამისა, ამ შეთანხმებით მან ვალდებულება აიღო, კურლანდიის საკითხის გადაჭრის დროს გაეთვალისწინებინა რუსეთის მითითებები. ამით კურლანდია რუსეთის იმპერატორ ანა იოანეს ასულის ფავორიტს – ბირონს გადაეცა.

**ვარშავის ხელშეკრულება 1768**, დაიდო რუსეთსა და რეჩ-პოსპოლიტას შორის 24.II (6.III). ვ.ხ-ით რომაულ-კათოლიკური ეკლესია პოლონეთში რჩებოდა გაბატონებული, მაგრამ არაკათოლიკე ქრისტიანები სამოქალაქო უფლებებში სრულიად უთანაბრდებოდნენ კათოლიკეებს. მეფედ შეიძლება გამხდარიყო მხოლოდ კათოლიკე. კათოლიკეებსა და არაკათოლიკე ქრისტიანებს შორის დაშვებულ იქნა ქორწინება. ვ.ხ. აძლიერებდა რუსეთის პოლიტიკურ გავლენას პოლონეთში, რის გამოც კათოლიკური ხელმძღვანელობა ვ.ხ-ის წინააღმდეგ გამოვიდა და ქ. ბარში კონფედერაცია (შეიარაღებული კავშირი) ჩამოაყალიბა. 1768-72 რუსეთის ჯარმა ეს კავშირი გაანადგურა.

*ლიტ.:* ПСЗРИ Собрание первое, т 18, с.448-71

**ვარშავის ხელშეკრულება 1955** (მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ), ხელმოწერილ იქნა ვარშავის თათბირზე 1955 წლის 14. V ალბანეთს, ბულგარეთს, უნგრეთს, გდრ-ს, პოლონეთს, რუმინეთს, სსრკ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის ითვალისწინებდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნას სოციალისტური ქვეყნებისაგან. ვ.ხ. დაიდო 20 წლის ვადით, შემდგომში 10 წლით ავტომატური გაგრძელებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე არ გამოაცხადებდნენ მისი დენონსირების შესახებ. ძალაში შევიდა 5.VI.1955, მას შემდეგ, რაც *რწმუნებების სიგელები* შესანახად გადაეცა პოლონეთის მთავრობას. 1962-დან ალბანეთმა შეწყვიტა ვ.ხ-ის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობა, ხოლო 1968 გამოაცხადა მისი *დენონსაცია*.

ვ.ხ-ის ორგანიზაცია შეიქმნა 1949 ნატოს ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ. ამით კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ევროპაში ომის საშიშროება, თუმცა ამ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანათა მთავრობები აცხადებდნენ, რომ იგი თავდაცვითი ხასიათისაა და სურთ ევროპაში კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფა. ურთიერთკონსულტაციებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების გადასაჭრელად შეიქმნა *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი*. ამასთან ერთად, შეიქმნა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობა, რომლის დაქვემდებარებაშიც ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა გამოყვეს სათანადო ნაწილები. შეიარაღებულ ძალებს სარდლობდა უმაღლესი მთავარსარდალი (ჩვეულებრივ სსრკ-ის წარმო-

მადგენელი), რომლის შტაბ-ბინაც იმყოფებოდა მოსკოვში. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 17.III.1969 გადაწყვეტილების შესაბამისად შეიქმნა *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების კომიტეტი,* ხოლო 26.XI.1976 – *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტი* და გაერთიანებული სამდივნო. ვ.ხ-ის ორგანიზაციის შექმნამ კიდევ უფრო მეტად გაამწვავა საერთაშორისო დაძაბულობა და კონფრონტაცია ევროპაში. თუმცა ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ დაშლიდნენ მას ნატოს ორგანიზაციის დაშლის თანადროულად.

დაიშალა 1989 სოციალისტური სისტემის დაშლასთან ერთად.

პუბლ.: Организация Варшавского Договора: Документы и материалы. 1955-1980. М., 1980.

**ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების კომიტეტი,** წარმოადგენდა ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო ორგანოს. შეიქმნა *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის* ბუდაპეშტის 17.III.1969 თათბირის გადაწყვეტილებით. კომიტეტში შედიოდნენ ვარშავის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და შტაბის უფროსი. კომიტეტის პირველი თათბირი გაიმართა 1970 წლის იენისში. კომიტეტის თათბირები ტარდებოდა რეგულარულად იმ ქვეყნის თავდაცვის მინისტრის თავმჯდომარეობით, რომლის ტერიტორიაზეც ტარდებოდა კომიტეტის სხდომა. კომიტეტი წყვეტდა მოკავშირე ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საკითხებს.

კომიტეტის მუშა ორგანო იყო გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი, რომელიც ფუნქციონირებდა ქ. მოსკოვში. გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და შტაბის უფროსი ტრადიციულად საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები იყვნენ.

**ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მიმართვა ყველა ევროპული ქვეყნისადმი 1969,** მიღებულ იქნა 17.III ბუდაპეშტში ამ ორგანიზაციის პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე. მიმართვა შეიცავდა მოწოდებას, რაც შეიძლება მალე მოეწვიათ საერთოევროპული თათბირი, მიძღვნილი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი.

პუბლ.: Организация Варшавского Договора. Документы и материалы. 1955-1980, М., 1980, с.110-14.

**ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური დეკლარაცია 1983,** მიღებულ იქნა პრაღაში 5.I ამ ორგანიზაციის *პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის* თათბირზე. დეკლარაციაში ამ ორგანიზაციის პოზიციებიდან გაანალიზებული იყო საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ასპექტები, ხაზგასმით იყო აღნიშნული ბირთვული ომის თავიდან აცილების აუცილებლობა და შეიცავდა მოწოდებას, დაეცვათ *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის* დასკვნითი აქტის და იუნესკოს 1978 დეკლარაციის დებულებები.

პუბლ.: გაზ. "Правда", 1983, 7. I.

**ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტი,** *ვარშავის ხელშეკრულების (1955)* ორგანიზაციის უმაღლესი პოლიტიკური ორგანო. შეიქმნა ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების განსახილველად და საერთო ინტერესებში შემავალ საკითხებზე კონსულტაციებისათვის. კომიტეტი არ იყო მუდმივმოქმედი ორგანო და მისი თათბირები ტარდებოდა საჭიროებისამებრ (იხ. *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირები*). ვარშავის ხელშეკრულების დებულების მიხედვით, ორგანიზაციის თითოეული ქვეყანა კომიტეტში წარმოდგენილი იყო მთავრობის წევრით ან სხვა საგანგებოდ დანიშნული წარმომადგენლით. პირველ თათბირზე (27-28.I.1956) დელეგაციებს ხელმძღვანელობდნენ მთავრობათა მეთაურები და მათი მოადგილეები. შემდგომი თათბირები კი ჩატარდა უმაღლესი კომუნისტური და მუშათა პარტიების, სახელმწიფოთა მთავრობებისა და მეთაურების დონეზე. თათბირის მუშაობაში აგრეთვე მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და შტაბის უფროსი, კომიტეტის გენერალური მდივანი. სხდომებს რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენლები. კომიტეტის მუშაობა აგებული უნდა ყოფილიყო თანასწორუფლებიანობის, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე, მაგრამ ეს პრინციპი ფაქტობრივად დარღვეული იყო, რადგან, როგორც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში, ისე კომიტეტში დომინირებდა საბჭოთა კავშირი, რომელიც მოკავშირეებს თავს ახვევდა თავის ნება-სურვილს.

**ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირები,** I თათბირი ჩატარდა 1956 წლის აპრილში. განიხილეს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ერთიანი სარდლობის საკითხები, აგრეთვე ევროპის უშიშროების პრობლემები; II თათბირი ჩატარდა 24.V. 1958 მოსკოვში. მოეწყო აზრთა ურთიერთგაცვლა საერთაშორისო ურთიერთობის სხვადასხვა საკითხებზე; III თათბირი ჩატარდა 4.II. 1960 მოსკოვში. განიხილეს განიარაღების საკითხები; IV თათბირი ჩატარდა 28-29.III. 1961 მოსკოვში. განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობა; V თათბირი ჩატარდა 7.VI. 1962 მოსკოვში – მიეძღვნა სსრკ-აშშ მოლაპარაკებას გერმანიის საკითხის სამშვიდობო რეგულირებასთან დაკავშირებით; VI თათბირი ჩატარდა 26.VII. 1963 მოსკოვში. განიხილეს ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების გაძლიერების საკითხები; VII თათბირი ჩატარდა 19-20.I. 1965 ვარშავაში – მიეძღვნა ნატოს გეგმებს „მრავალმხრივი ბირთვული ძალების" შექმნის შესახებ; VIII თათბირი შედგა 4-6.VII. 1966 ბუქარესტში. თათბირმა განიხილა ევროპის უშიშროებისა და ვიეტნამში აშშ-ის აგრესიის საკითხები; IX თათბირი ჩატარდა 6-7.III. 1968 სოფიაში. განიხილეს აშშ-ის ვიეტნამში აგრესიის შედეგად შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემები; X თათბირი შედგა 17.III. 1969 ბუდაპეშტში. მასზე შეიქმნა საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტი და მიღებულ იქნა მიმართვა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მოწვევის შესახებ;

XI თათბირი შედგა 20.VIII. 1970 მოსკოვში; 1970 წლის 2.XII შედგა XII თათბირი, რომელზეც განიხილეს ევროპაში და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი მდგომარეობა; XIII თათბირი ჩატარდა 25-26.I 1972 პრაღაში და მიეძღვნა ევროპაში უშიშროების საკითხებს; XIV თათბირი შედგა 17-18.IV. 1974 ვარშავაში. განიხილეს ევროპის უშიშროების საკითხები; XV თათბირი ჩატარდა 25-26.XI. 1976 ბუქარესტში. მოეწყო აზრთა ურთიერთგაცვლა მშვიდობის დაცვის საკითხებზე; XVI თათბირი ჩატარდა 22-23.XI. 1978 მოსკოვში. განიხილეს ევროპაში შექმნილი მდგომარეობა; XVII თათბირი ჩატარდა 14-15.V. 1980 ვარშავაში. შეჯამდა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის 25-წლიანი მუშაობის შედეგები; XVIII თათბირი ჩატარდა 4-5.I. 1983 პრაღაში. განიხილეს ევროპაში შექმნილი მდგომარეობა. თათბირის შედეგები შეჯამებულია *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკურ დეკლარაციაში 1983.*

**ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კომიტეტი**, *ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის* ორგანო, შეიქმნა მისი გადაწყვეტილებით 1976 წლის 25-26.XI ბუქარესტის თათბირზე, ხელშეკრულების წევრი ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის მექანიზმის სრულყოფის მიზნით. იმუშავებდა რეკომენდაციებსა და წინადადებებს პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტისათვის, ამ უკანასკნელის დავალებით იხილავდა ცალკეულ საკითხებს. კომიტეტი თავის სხდომებს ატარებდა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, რიგრიგობით ხელშეკრულების წევრი ქვეყნების დედაქალაქებში.

*ლიტ.:* Организация Варшавского Договора. Документы и материалы. 1955—1980, М., 1980, с 212–15, 219–21, 246–52, 256–65; გაზ. "Правда", 1980, 21. XI, 1981, 3. XII; 1982, 23. X; 1983, 8.IV; 1984, 15.X; 1985, 21.IV; 1985, 5.XII.

**ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ხელმძღვანელ მუშაკთა მოსკოვის შეხვედრა 1980**, შედგა 5.XII. მონაწილეებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალურ საკითხებზე. თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ კვლავაც განამტკიცებენ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

**ვატანაბე** კოძიო (დ. 1934), იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1956 დაამთავრა ტოკიოს უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი. პარალელურად ჩააბარა დიპლომატიური სამსახურის გამოცდები. დიპლომატიურ სამსახურშია 1956-დან. 1971 – იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურ საქმეთა ბიუროს საერთაშორისო ვაჭრობის სამმართველოს დირექტორი. ამავე ბიუროს საერთაშორისო ორგანიზაციების მეორე სამმართველოს დირექტორი. 1973 – აშშ-ში იაპონიის საელჩოს პირველი მდივანი. 1974 – იაპონიის საელჩოს მრჩეველი ვიეტნამში. 1976 – საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ ამერიკის საქმეთა ბიუროს პირველი გენერალური დირექტორის მოადგილე. 1981 – იაპონიის საელჩოს მინისტრი ჩინეთში. 1984 – საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის, ანალიზის, კვლევისა და დაგეგმარების ბიუროს გენერალური დირექტორი; 1986 – ამავე სამინისტროს ეკონომიკურ საქმეთა ბიუროს გენერალური დირექტორი. 1988 – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საუდის არაბეთში. 1989 – იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1991 – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში. 1993-დან – იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. 1993 წლის დეკემბრიდან (შეთავსებით) – საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

**ვატიკანი**, ქალაქი-სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს ქ. რომის ტერიტორიაზე, მონტე-ვატიკანის ბორცვზე. იგი არის რომის კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციული ცენტრის ადგილსამყოფელი და XVI ს. ბოლოდან რომის პაპის რეზიდენციას წარმოადგენს.

ვ-ის ტერიტორია 0,44 კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა დაახლოებით 1000-მდეა. მისი ოფიციალური ენებია იტალიური და ლათინური.

ვ. დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნია და არსებული ტრადიციების თანახმად საერთაშორისო სამართლის სუბიექტისთვის დამახასიათებელი უფლებამოვალეობებით სარგებლობს (მაგ.: ვ. უფლებამოსილია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებანი როგორც სახელმწიფოებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მას დიპლომატიური ურთიერთობანი დამყარებული აქვს 120-მდე სახელმწიფოსთან და სხვ.). ვ. საერთაშორისო ურთიერთობებში *„წმინდა საყდრის“* სახელით მონაწილეობს. ზოგიერთ სახელმწიფოსთან დებს სპეციალურ შეთანხმებებს – *კონკორდატებს*, ხოლო მის დიპლომატიურ საქმიანობას განაგებენ *ნუნციები, პრონუნციები, ინტერნუნციუსები* და *ლეგატები.*

ვ-ის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. საბოლოოდ იგი დამთავრდა ე.წ. *ლატერანის 1929 შეთანხმებების* დადებით, რომლებმაც განსაზღვრეს ვ-ისა და იტალიის მთავრობის ურთიერთდამოკიდებულება და აღიარეს მისი, როგორც ქალაქ-სახელმწიფოს, აბსოლუტური დამოუკიდებლობა როგორც იტალიასთან, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრ-ქვეყნებთან მიმართებაში.

ვ. არის მსოფლიოში აქციებისა და კაპიტალდაბანდებათა ერთ-ერთი უმსხვილესი მფლობელი. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქტიური როლი შეასრულა რიგი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ფორუმების მომზადებისა და ჩატარების საქმეში. თანმიმდევრულად გამოდის მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების მომხრედ.

**ვაშინგტონი (Washington)** ჯორჯ (1732-99), ამერიკის სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. ამერიკაში ბრიტანეთის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე, 1775-83 – კონტინენტური კონგრესის დელეგატი, კოლონიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1789-97 – აშშ-ის პირველი პრეზიდენტი. *1778 ამერიკა-საფრანგეთის ხელშეკრულების* საპირისპიროდ 1793 გამოსცა დეკლარაცია აშშ-ის ნეიტრალიტეტის შესახებ ომში ევროპის სახელმწიფოებსა და რევოლუციურ საფრანგეთს შორის. ინგლისთან დაახლოების კურსისა და *ჯეის ხელშეკრულების* (1794) რატიფიკაციამ, რაც ვ-ის აქტიური მხარდაჭერით მოხდა, აშშ-ის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რის გამოც იგი 1797 საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა.

**ვაშინგტონის დეკლარაცია 1942** (ცნობილია როგორც 26 სახელმწიფოს დეკლარაცია ან გაერთიანებული ერების დეკლარაცია), ხელი მოაწერეს 1.I ვაშინგტონში. დეკლარაციის ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულებას იღებდნენ მთელი თავიანთი ეკონომიკური და სამხედრო რესურსები მიემართათ *სამთა პაქტის* და მის მომხრე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ეს სახელმწიფონი ვალდებულნი იყვნენ ეთანამშრომლათ ერთმანეთთან და არ დაედოთ სეპარატული ზავი საერთო მტერთან.

**ვაშინგტონის თათბირები 1951, 1953**, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის. 1. 1951 თათბირი შედგა 10-15.IX და უკავია მეტად მნიშვნელოვანი ადგილი იმ თათბირებს შორის, რომლებიც მიეძღვნა გფრ-ის შეიარაღებასა და მის ჩართვას ნატოს ორგანიზაციაში. თათბირზე გადაწყდა, შეეიარაღებინათ გერმანია ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ჩარჩოებში და მოწონებულ იქნა „შუმანის გეგმა", რომელიც ცხადდებოდა როგორც დიდი ნაბიჯი. დაედოთ ხელშეკრულება გერმანიასთან, რომელიც დაარეგულირებდა დასავლეთის ამ სამი ქვეყნის ურთიერთობას გფრ-თან; ჩამოაყალიბეს ამ ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები. თათბირზე აღინიშნა, რომ ეს ქვეყნები ინარჩუნებდნენ „სპეციალურ უფლებებს... იმ საკითხებში, რომლებიც ეხებოდა ბერლინსა და გერმანიას საერთოდ, გერმანიის საკითხის შემდგომი დარეგულირებისა და მისი მშვიდობიანი გაერთიანების მიზნით" (მოგვიანებით ამ დებულებებმა თავისი დამტკიცება პოვა 1952 ბონის ხელშეკრულებაში). გარდა ამისა, თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ჰყოლოდათ თავიანთი საოკუპაციო ჯარის ნაწილები გერმანიაში მანამ, ვიდრე არ მოხდებოდა გერმანიის საკითხის რეგულირება და მშვიდობიანი გაერთიანება. მოკავშირეთა უმაღლეს სამოკავშირეო კომისიას დასავლეთ გერმანიაში დაევალა მოლაპარაკების დამთავრება გფრ-ის მთავრობასთან თათბირზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით.

2. 1953 თათბირი შედგა 10-14.VII, რომელზეც იხილებოდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. თათბირზე აშშ-მა და ინგლისმა უარი განაცხადეს სსრკ-თან მოლაპარაკებაზე უმაღლეს დონეზე. ამის ნაცვლად მათ წამოაყენეს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინადადება იმ სამი საკითხის განსახილველად, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო დასავლეთის ქვეყნების 15.VII ნოტებში საბჭოთა მთავრობისადმი: კერძოდ, გერმანიის გაერთიანება თავისუფალი არჩევნების საფუძველზე, თავისუფალი საერთო-გერმანული მთავრობის შექმნის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ხელშეკრულების დადება ავსტრიასთან. დასავლეთის სახელმწიფოთა ამგვარი სამართლიანი პოზიცია არ აწყობდა საბჭოთა კავშირს, რადგან ის ამ შემთხვევაში გდრ-ს დაკარგავდა.

თათბირზე ასევე გადაწყდა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ხელშეკრულების რატიფიკაცია, შეთანხმებული პოლიტიკის გატარება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ, განიხილეს აგრეთვე კორეაში დაზავებისა და ინდოჩინეთში ომის შეწყვეტის საკითხები.

*ლიტ.:* Keesing's Contemporary Archives, 1950–52, Vol.8, p.11733; Keesing's... 1953–54, Vol.9, p.12899, 12911, 12944, 13004, 13031–32.

**ვაშინგტონის კონფერენცია 1889-90**, I ამერიკათაშორისი კონფერენცია გაიმართა 2.X.1889-19.IV.1890, მის მუშაობაში მონაწილეობდა აშშ და ყველა ლათინური ამერიკის ქვეყანა დომინიკანელთა რესპუბლიკის გარდა.

**ვაშინგტონის კონფერენცია 1921-22**, აშშ-ის, ინგლისის, ჩინეთის, იაპონიის, საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ბელგიისა და პორტუგალიის წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარეობდა 12.XI.1921-დან 1922 წლის 6.II-მდე. მიეძღვნა საზღვაო შეიარაღების შემცირებას, წყნარი ოკეანისა და შორეული აღმოსავლეთის საკითხებს. მას ესწრებოდნენ დელეგაციები, რომლებიც გამოდიოდნენ ინგლისის დომინიონების სახელით და ინდოეთიდან.

ვ.კ-ის ძირითადი დოკუმენტებია:

1. *ოთხი ქვეყნის შეთანხმება* (აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის) კუნძულისა და კუნძულოვანი ტერიტორიის უფლებათა ერთობლივი დაცვის შესახებ წყნარი ოკეანის რეგიონში, ხელი მოაწერეს 13.XII.1921.

2. *ცხრა ქვეყნის შეთანხმება* (აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, პორტუგალიისა და ჩინეთის). ხელი მოაწერეს 6.II 1922. ფორმალურად აცხადებდა ჩინეთის სუვერენიტეტის პატივისცემას, მის ტერიტორიულ და ადმინისტრაციულ ხელშეუხებლობას.

3. *ხუთი ქვეყნის შეთანხმება* (აშშ-ის, ინგლისის, იაპონიის, საფრანგეთისა და იტალიის) საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე. ხელი მოაწერეს 6.II.1922. შეთანხმებით დადგინდა ამ სახელმწიფოთა სახაზო ფლოტის ზღვრული ტონაჟის განსაკუთრებული შეფარდება (5:5:3:1,75:1,75), სახაზო გემებისა და ავიამზიდების საერთო ტონაჟი, გემების წყალწყვის მაქსიმალური ნორმები და არტილერიის კალიბრის ზღვარი. ვ.კ-ის შემდეგ მისი ხელმომწერი ქვეყნები ხშირად არღვევდნენ მათ მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

**ვაშინგტონის ომი**, იხ. *პარიზის საზავო ხელშეკრულებები XVIII-XIX სს.*

**ვაჩნაძის ელჩობა რ უ ს ე თ შ ი 1588-1589**, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. ელჩობას მეთაურობდა თავადი ყაფლან ვაჩნაძე. ელჩობაში მონაწილეობდნენ კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა. ვ.ე. იყო პასუხი 1587 კახეთში ჩამოსული რუსეთის სახელმწიფოს ელჩობისა როდიონ ბირკინისა და პეტრე პიკოვის მეთაურობით, როცა *ალექსანდრე II-მ* ხელი მოაწერა ფიცის წიგნს. მფარველობის დებულების მეორე დოკუმენტით გაფორმების მიზნით *ბირკინის ელჩობას* უკან გაჰყვა ვ.ე. ვაჩნაძემ ალექსანდრე II-ის სახელით რუსეთის ხელმწიფეს მოსთხოვა საშამხლოს დაპყრობა, თუმცორუმ აღუთქვა ქართველ ელჩს საშამხლოზე გალაშქრება.

**ვახვახიშვილი** დიმიტრი, გარსევან *ჭავჭავაძის* ბიძაშვილის შვილი, „კოლეჟსკი ასესორი". აღა მაჰმად ხანის ტყვეობიდან დახსნის შემდეგ გარსევან ჭავჭავაძემ თან წაიყვანა პეტერბურგში „საელჩო კომისიაში". 1801 წლის 18 იანვარს *გიორგი XII-ის* „სათხოვარი მუხლების" *პავლე I-თან* დასამტკიცებლად და ორმხრივი აქტის დასადებად პეტერბურგში იგზავნება საელჩო დეპუტაცია, რომლის ერთ-ერთი წევრია ვ. დეპუტაცია პავლეს გარდაცვალების შემდეგ ზედმეტი აღმოჩნდა და უკან გამობრუნდა. მისი ყველა მონაწილე ბრილიანტის ბეჭდით დააჯილდოვეს, მათ შო-

რის ვ-ც. სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით მას 1802 წლის 4 იანვარს მისცეს „კოლეჟსკი ასესორის" ჩინი.

წყარო: Архив Государственного Совета, т.3, СПб., 1878.

**ვახტანგ I**, ქართლის მეფე (V ს-ის მეორე ნახევარი), ირანელთა მიერ გორგასლად (მგელთავა) წოდებული.

ვახტანგ მეფის მიზანი იყო სამეფოს განთავისუფლება ირანელთა უღლისაგან და ხელისუფლების ცენტრალიზაცია. მაგრამ არსებულ ვითარებაში ქართლის მეფის ერთადერთი პოლიტიკურად გამართლებული კურსი ირანთან ლოიალური ურთიერთობის შენარჩუნება და სასანიანთა ვასალობის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება იყო. მეფე ვ.I-მა კარგად გამოიყენა V ს. 50-იანი წლების დასაწყისში ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეების მიერ ქართლის დარბევა-აოხრება, რაც სასანიანთა ირანის უფლებათა ხელყოფასაც ნიშნავდა. ირანელი მოხელისაგან სამხედრო დახმარების შედეგად დაიკავა დარიალის ხეობა, გაამაგრა ციხე, იქ თავისი მცველები ჩააყენა და იგი საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა. ვ.I-მა შაჰს ცოლად ასული სთხოვა და პოლიტიკური კავშირი დინასტიური ქორწინებით განამტკიცა. ამის შემდეგ (დაახლ. 455) მან კარგად გამოიყენა ირან-ბიზანტიის ერთ-ერთი ომი და დაიბრუნა ბიზანტიის მიერ მიტაცებული კლარჯეთი, სადაც შექმნა საერისთავო, დასვა თავისი ერისთავი და ააგო ციხე-ქალაქი არტანუჯი. როგორც ირანის ვასალი, იგი მოქმედებს დასავლეთ საქართველოშიც. ბიზანტიის ვასალი ეგრისის (ლაზიკის) მეფე *გუბაზ I* იმპერიის ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს თავისი ურჩი ქვეშევრდომის – სვანების წინააღმდეგ. სვანებს ირანელები, ფაქტობრივად სასანიანთა ქვეშევრდომი იბერები დაეხმარნენ. ვ.I-მა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და საკუთარი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე გაავრცელა.

ვ.I იხდიდა სამხედრო ბეგარას და დროდადრო მონაწილეობდა იმპერიის ურჩი ქვეშევრდომების წინააღმდეგ ბრძოლებში და სასანიანთა დაპყრობით ომებში (უმთავრესად შუა აზიასა და ირანის სხვა აღმოსავლურ პროვინციებში), რის გამოც მას დიდი ხნით უხდებოდა ირანის ლაშქართან ერთად სამშობლოდან შორს ყოფნა. ვ.I-მა მიიღო კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს თანხმობა ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებისა და ქართული ეკლესიის წინამძღოლის კათალიკოსად აღზევების შესახებ. მან კავშირი დაამყარა ბიზანტიასთან, იმპერატორი მას ასულს დაჰპირდა ცოლად (პირველი მეუღლე – შაჰის ასული გარდაცვლილი იყო). დაახლოებით 60-იან წლებში ირანელთა ლაშქარი ქართლისაკენ გამოემართა. ვ.I-მა მტრის წინააღმდეგ იმპერიას დახმარება სთხოვა. ბიზანტიის მოციქულის შუამდგომლობით საზავო მოლაპარაკების შემდეგ ორივე მხარე დათმობებზე წავიდა. ქართლის მეფემ თავი ისევ ირანის ვასალად ცნო და მიიღო შაჰისაგან გვირგვინი, ისევ დაევალა სამხედრო ბეგარა და ხარკი. შაჰმა მეფის და მოითხოვა ცოლად, მაგრამ ცეცხლმსახურნი და მათი ხელისუფალნი გაძევებულ იქნენ ქართლიდან. ვ.I თავისი ლაშქრით მონაწილეობდა სასანიანთა ომში ჰეფთალების წინააღმდეგ. ირანმა მარცხი განიცადა. სამშობლოში დაბრუნებული ვ.I აქტიურად ემზადებოდა ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის. 482 ვ.I-მა მოაკვლევინა ვარსქენ პიტიახში, რითაც აშკარად გამოვიდა ქრისტიანობის დამცველად. ქართველ-სომეხთა ერთობლივი აჯანყება (482-484) მარცხით დამთავრდა. ვ.I-ს არ მოუვიდა ჰუნებისაგან დახმარება, არც ბიზანტიამ გამოიღო ხელი, თავი იჩინა ღალატმა. ქართლის მეფემ ეგრისს შეაფარა თავი. მაგრამ ირანის შაჰი პეროზი 484 ჰეფთალებთან ბრძოლებში დაიღუპა. ვ.I ქართლში დაბრუნდა. ირანის ახალი შაჰი ვალარში (484-488) იძულებით დათმობებზე წავიდა ამიერკავკასიის ხალხთა მიმართ. ვ.I ისევ ირანელთა წინააღმდეგ ემზადება. V ს. ბოლოს თუ VI ს. დასაწყისში ირანსა და ბიზანტიას შორის ომი დაიწყო. შაჰმა ვ.I-ს სამხედრო დახმარება მოსთხოვა, რაზეც მან შეუთვალა „პირველად განემზადე ბრძოლად ჩვენდა და ეგრე შევედ საბერძნეთად". ირანელთა ლაშქარი ქართლში შემოვიდა. იორზე დიდი ბრძოლა მოხდა. მტერი უკუიქცა, მაგრამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი მეფე უჯარმის ციხეში გარდაიცვალა. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპული მეფე ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

წყარო: ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. - წგ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962.

ლიტ.: კ ა კ ა ბ ა ძ ე ს., ვახტანგ გორგასალი, 1959; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ქართლი V ს. მეორე ნახევარში, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 1, თბ., 1960 (თხზ., ტ.1, თბ., 1979); ჯ ა ნ ა შ ი ა ლ.-ნ., ქართლი V ს. მეორე ნახევარში: ვახტანგ გორგასალი. - წგ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**ვახტანგ II**, საქართველოს მეფე 1289-92, *დავით VI* ნარინის ვაჟი. გამეფდა *დემეტრე II* თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ, რეალურად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა. არღუნ-ხანმა მის კანდიდატურას ხუტლუ-ბუღას (სადუნ მანკაბერდელის შვილი) რჩევის შემდეგ დაუჭირა მხარი, რის სანაცვლოდაც ამ უკანასკნელმა ათაბაგობა მიიღო. მეფესა და ხუტლუ-ბუღას შორის ურთიერთობა ფუჭდება და გათამამებული ათაბაგი მის მაგივრად დემეტრე II-ის ვაჟის – დავითის (*დავით VIII*) გამეფებას ცდილობს. სამეფო კარმა და ქვეყნის დიდებულებმა ხუტლუ-ბუღას მხარი არ დაუჭირეს, რის შედეგადაც ვ.II-მ მეფობა შეინარჩუნა. მალე ხუტლუ-ბუღას მფარველი არღუნ-ხანი გარდაიცვალა, ხოლო ახალი ყაენი – ქეიხათუ (1291-95) ვ.II-ს უჭერს მხარს. 1292 ვ.II მოულოდნელად გარდაიცვალა.

**ვახტანგ III**, საქართველოს მეფე 1298-1308 (1304), თავისი პოლიტიკით მამის – *დემეტრე II* თავდადებულის დიპლომატიის ხაზი გააგრძელა: მონღოლებთან ნაკლები წინააღმდეგობა, აჯანყებების ფორმის უარყოფა, გამუდმებული მონაწილეობა ლაშქრობებში მონღოლთა დროშის ქვეშ. ქვეყნის გადარჩენის ასეთი ფორმა-მცდელობა უპირისპირდება ვახტანგ მეფის ძმის – *დავით VIII-ის* სამეფო კარის დიპლომატიას. პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში იგი დავით VIII-ის აქტიური მხარდამჭერი და 1297 დავით მეფის ინიციატივით მოწყობილი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელია. 1298 წლის I ნახევარში ადგილი ჰქონდა მეორე ელჩობასაც, რომელსაც მეფის მეორე ძმა – *ბაიდუ (ბაადურ) ბატონიშვილი* მეთაურობდა. ამ პერიოდიდან დავით მეფესა და ვახტანგ ბატონიშვილს შორის შუღლი ჩამოვარდა. ამ უკანასკნელმა ისარგებლა დავითის ილხანებთან კონფლიქტით და მათთან ურთიერთობა მოაგვარა, რასაც 1298 მისი პირველი გამეფება მოჰყვა. მეფობის დასაწყისიდანვე მუდმივად მონაწილეობს მონღოლთა ლაშქრობებში, *ყაზან-ყაენთან* ერთად იბრძვის ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ.

1299-1300 სირიაში მოწყობილი ლაშქრობების შედეგად სულთან ნასირ მუჰამედის ჯარი დაამარცხეს და აიღეს ალეპო, დამასკო, სირიის სხვა ქალაქები. 1300 იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ მცირე ხნით წმინდა ქალაქი ქართველთა ხელში გადავიდა. ყაზანის ლაშქრობები ეგვიპტის წინააღმდეგ წარუმატებლად დასრულდა, მარცხთან ერთად ვ.III-ის ლაშქარმა მნიშვნელოვანი რიცხობრივი დანაკლისი განიცადა. გამუდმებულ ლაშქრობებში მონაწილეობის გამო იგი სამეფო ტახტზე იშვიათად იმყოფება, რაც მის პოზიციებს ასუსტებს, ამიტომ, დავით VIII-ის დაუმორჩილებლობის პირობებში, 1302, ილხანთა დახმარებით საჭირო გახდა ვ.III-ის ხელმეორე გამეფება. მან მეფობის ბოლოს აქტიური პოლიტიკა ვეღარ აწარმოვა. ინიციატივა დავით VIII-ის მხარეს გადავიდა, რასაც მისი ძის – გიორგი VI მცირეს გამეფება მოჰყვა, ხოლო ვ.III-ის შთამომავლებმა, მამის პოზიციების სისუსტის გამო, მეფობა ვეღარ მოიპოვეს. ვ.III ურყევი ქრისტიანი იყო. მან შესანიშნავად შეძლო ქართველთა პოზიციების დაცვა, როცა ქრისტიანობის დათმობა მოთხოვეს.

*წყარო:* ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. - ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

*ლიტ.:* ნ ი ნ ი ძ ე დ., XIV ს. დამდეგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი. - „თსუ შრომები", 1989, ტ.283. ისტორია, არქეოლოგია.

**ვახტანგ IV** (გ. 1446), საქართველოს მეფე 1442-46, გამეფდა მამის – *ალექსანდრე I* დიდის ბერად აღკვეცის შემდეგ. ვ.IV-ის მეფობის ხანაში გრძელდებოდა თურქმანული ტომების შემოსევები. 1444 საქართველოში ილაშქრა ჯაჰან-შაჰმა, ბრძოლა სამცხეში მოხდა.

**ვახტანგ V**, ქართლის მეფე 1658-75, ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი, მაჰმადიანური სახელი შაჰნავაზი. ერთგულად ემსახურებოდა ქართლის მეფეს *როსტომს* (ხოსრო-მირზა), ამიტომ უშვილო როსტომმა იგი თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. 1654 ვ.V ირანში დაიბარეს, გაამაჰმადიანეს და ოფიციალურად დაამტკიცეს როსტომის მემკვიდრედ. ვ.V-ის მეფობის პერიოდში ირანი საკმაოდ იყო დასუსტებული. ვ.V კარგად სარგებლობდა ამით და ცდილობდა შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო დაძლილ-დაქუცმაცებული საქართველოს შეკავშირება-გაერთიანებისაკენ. ისარგებლა დასავლეთ საქართველოში გამეფებული ფეოდალური ანარქიით და 1661 ილაშქრა იმერეთსა და ოდიშში, მოაკვლევინა თავისი მოწინააღმდეგე *ვამეყ დადიანი* და სამეგრელოს ტახტზე სასურველი კაცი დასვა, იმერეთში კი საკუთარი ვაჟი *არჩილი* გაამეფა. ვ.V-ს მორჩილება გამოუცხადეს გურიისა და აფხაზეთის მთავრებმაც. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანაში აღდგა ქართლის სამეფოს ჰეგემონობა. ოსმალეთმა არჩილის იმერეთში გამეფება მის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩათვალა და ირანს პროტესტი განუცხადა. ირანის შაჰის მოთხოვნით ვ.V იძულებული გახდა არჩილი იმერეთიდან გამოეწვია. ვ.V-ის პოლიტიკის დიდი წარმატება იყო 1664 კახეთში არჩილის გამეფება. გაძლიერებული ვ.V ნაკლებად ემორჩილებოდა შაჰს. როგორც ჩანს, მას სურდა ირანის წინააღმდეგ კავშირი დაემყარებინა ოსმალეთთან. 1675 ვახტანგის ვაჟები ლუარსაბი და არჩილი ოსმალეთში „გაიქცნენ". ამის გამო შაჰმა ვ.V ირანში დაიბარა. იგი გზაში გარდაიცვალა. ერთი ცნობით, მან თავი მოიწამლა. დაკრძალეს ირანის ქუმში.

*წყარო:* ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**ვახტანგ VI** (1675-1737), ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-14, მეფე – 1716-24, *გიორგი XI-ის* ძმის, ლევანის ძე. 1703 ირანის შაჰმა მეფობა გიორგი XI-ს დაუბრუნა, მაგრამ იგი ირანში დატოვა, ქართლში კი მის მოადგილედ (ჯანიშინად) ვ.VI დანიშნა. ქართლის მეფის, ქაიხოსროს ავღანეთში დაღუპვის შემდეგ შაჰმა ქართლის სამეფოს ტახტზე დასამტკიცებლად ისპაანს დაიბარა. 1712 ვ.VI ირანში გაემგზავრა, ქართლის მმართველად თავისი ძმა სიმონი დატოვა. ირანში მას გამაჰმადიანება მოსთხოვეს, რაზეც უარი განაცხადა და იგი ქირმანში გადაასახლეს, ხოლო ქართლის მეფედ 1714 დანიშნეს მისი გამაჰმადიანებული ძმა იესე. ვ.VI-მ და მისმა მომხრეებმა სცადეს დახმარება მიეღოთ ევროპიდან. ამ მიზანს ემსახურებოდა *სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა* საფრანგეთსა და იტალიაში. 1716 სულხან-საბა ევროპიდან ხელმოცარული დაბრუნდა იმავე წელს ვ.VI-მ ფორმალურად მიიღო მაჰმადიანობა. შაჰმა იგი დაამტკიცა ქართლის მეფედ, თუმცა დროებით ირანში დატოვა, ქართლს კი 1716-დან განაგებდა მისი ვაჟი ბაქარი. ვ.VI 1719 დაბრუნდა ქართლში და ხელში აიღო ქვეყნის მართვა-გამგეობა. იგი საგარეო პოლიტიკაში რუსეთთან კავშირის კურსს მისდევდა. მან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი დაამყარა *პეტრე I-თან*, რომელიც კასპიის ზღვის სანაპიროზე გაბატონებას ცდილობდა. პეტრე I-მა 1722 წამოიწყო ლაშქრობა. შეთანხმების თანახმად, ვ.VI ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქრით მას განჯასთან ელოდა. მაგრამ პეტრე I-მა მოშალა ლაშქრობა და უკან გაბრუნდა. 1723 ქართლს ოსმალები დაეპატრონენ. 1724 ვ.VI 1200-კაციანი ამალით რუსეთს გაემგზავრა. მას იმედი ჰქონდა, რომ პეტრესგან რეალური დახმარების მიღებას შეძლებდა. ქვეყნის კრიტიკულ მომენტში მიტოვება ვ.VI-ის დიდი შეცდომა იყო. რუსეთის დახმარების მოიმედე ვ.VI 1737 გარდაიცვალა ასტრახანში. დაკრძალეს იქვე, მიძინების ტაძარში.

*ლიტ.:* პ ა ი ჭ ა ძ ე გ., ვახტანგ VI, თბ., 1981; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**ვახტანგ ბატონიშვილი**, XVI ს. II ნახ. ქართლის სამეფოს აქტიური პოლიტიკური მოღვაწე, *სიმონ I* დიდის ძმა. სიმონ მეფის ტყვეობის პერიოდში (1569-78) ძმასთან – ალექსანდრესთან ერთად ვ.ბ. სიმონის სამეფო კარის პოლიტიკის გაგრძელებას ცდილობს, უპირისპირდება დაუთ-ხანს და იბრძვის უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ჰქონდა მნიშვნელოვანი სამფლობელო მამული, რომელსაც შემდეგ „სავახტანგო" ეწოდა. ასრულებს სიმონ მეფის დიპლომატიურ დავალებებს: ქართლის აქტიური პოლიტიკის შედეგად ოსმალეთი საზავო მოლაპარაკებაზე მიდის. სიმონ I დიდი პირველად საზავო პირობებს ფერჰად ფაშასთან ათანხმებს, რის შემდეგაც რატიფიკაციის მიზნით ელჩებს სტამბულში გზავნის. სწორედ ამ დიპლომატიური მისიის მეთაური იყო სიმონ მეფის ძმა – ვ.ბ., რომელსაც ამ მნიშვნელოვანი დავალების შესრულებისას თან ახლდა გიორგი სააკაძის მამა – სიაუშ სააკაძე. 1588-89 სტამბულში ვ.ბ. და მისი ელჩობის წევრები დიდი პატივით მიუღიათ. ამ ელჩობამ წარმატებით დაასრულა თავისი მისია, რისი შედეგიც ოსმალეთთან ზავის დადება იყო. 1604-05 ტატიშჩევისა და ივანოვის ელჩობის დროს ქართლის სამეფო

კარის მხრიდან ვ.ბ. დიპლომატიური მოლაპარაკებების აქტიური მონაწილეა.

*წყარო:* გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ., საქართველოს ისტორია, ს.კაკაბაძის გამოც. - „საისტორიო მოამბე", II, ტფ., 1925.

*ლიტ.:* ნ ი ნ ი ძ ე დ., სავახტანგო. - „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის", ნაკვ.4, თბ., 1993.

**ვახტანგ ბატონიშვილი**, იმერეთის მეფის *ალექსანდრე II-ის* ძე. ტახტს ეცილებოდა ძმას, ბაგრატ III-ს. მოხისთან ბრძოლაში მეფემ დაამარცხა ვ.ბ. ძმები შეარიგა ქართლის მეფემ *დავით X-მ*. შემდეგში ერთგულად ემსახურებოდა *ბაგრატ III-ს*.

**ვახუშტი ბატონიშვილი** ბაგრატიონი, (1696-1757), ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი, *ვახტანგ VI-ის* უკანონო შვილი. დედა ყმა-გლეხის ქალი ყოფილა. ვ-ის აღზრდაში დიდი როლი შეასრულეს ფრანგმა მისიონერებმა. მიიღო იმ დროისათვის შესანიშნავი განათლება. ფლობდა ბერძნულ, სომხურ, რუსულ, ფრანგულ, თურქულ ენებს. ეხმარებოდა მამას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. მონაწილეობდა ქსნის ერისთავთა წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში. ვახტანგ VI-ის განჯაში ყოფნის დროს განაგებდა ქართლს. დიპლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა *პეტრე I-ის* ელჩთან იოან ტოლსტოითან. 1724 ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში. მოსკოვში 1745 დაასრულა თავისი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა". დიდი როლი შეასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში (1755). ამის აღსანიშნავად მისი ბიუსტი იდგა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

**ვებერ-კომურას მემორანდუმი 1896**, ხელი მოაწერეს 2(14).V სეულში რუსეთისა და იაპონიის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა კორეაში კ. ი. ვებერმა და დ.კომურამ მას შემდეგ, რაც იაპონელებმა 1895 წლის 8 მაისს მოკლეს კორეის დედოფალი, ხოლო კორეის მეფემ კი თავი რუსეთის მისიის შენობას შეაფარა. მემორანდუმით იაპონიის მხარე აცხადებდა, რომ მიიღებდა ეფექტურ ღონისძიებებს იაპონელთა დაქირავებული ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც მეფის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდნენ: რუსეთი და იაპონია კორეაში განალაგებდნენ თანაბარი რაოდენობის ჯარისკაცებს რუსეთის საკონსულოსა და მისიის დასაცავად, ხოლო იაპონელებს უნდა დაეცვათ სატელეგრაფო ხაზები პუსანსა და სეულს შორის, აგრეთვე იაპონელთა დასახლება სეულში. წესრიგის დამყარების შემდეგ ორივე ქვეყნის ჯარებს გაიყვანდნენ. 1818 რუსეთსა და იაპონიას შორის კორეის საკითხზე დაიდო ახალი შეთანხმება (იხ. *როზენ-ნისის ოქმი 1898*).

**ვებსტერ-აშბერტონის ხელშეკრულება 1842**, ხელი მოაწერეს ვაშინგტონში 9.VIII აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა დ. ვებსტერმა და ინგლისის მხრიდან – სპეციალურმა წარგზავნილმა ლორდმა აშბერტონმა. ხელშეკრულებამ ბოლო მოუღო აშშ-სა და ინგლისს შორის ძველ დავას აშშ-კანადის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან დაკავშირებით (იხ. *ვერსალის (ამერიკა-ინგლისის) საზავო ხელშეკრულება 1783* და *ჯეის ხელშეკრულება 1794*). ვ.-ა.ხ-მ საბოლოოდ განსაზღვრა სასაზღვრო ხაზი შტატ მენსა და ინგლისის სამფლობელოს შორის (კანადის ტერიტორიაზე). 12037 კვ.მილის სადავო ტერიტორიიდან აშშ-ს გადაეცა 7015 კვ.მილი. ხელშეკრულებამ ბოლო მოუღო კონფლიქტებს აშშ-კანადის საზღვარზე, რომლებმაც 1838-39 კინაღამ ომი გამოიწვეია აშშ-სა და ინგლისს შორის.

**ვედემაიერის მისია 1947**, აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფის მგზავრობა ჩინეთში 22.VII-24.VIII, რომელსაც მეთაურობდა ამერიკის ჯარების სარდალი ჩინეთში გენერალ-ლეიტენანტი ვედემაიერი. მისიის ამოცანა იყო მოლაპარაკებოდა გომინდანელებს დახმარების თაობაზე და შეესწავლა ვითარება, რომელიც შეიქმნა ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის შეტევების შედეგად. აშშ-ს დახმარების გეგმა ჩაუშალა ჩინეთის სახალხო არმიის შეტევამ.

**ვეზირი**, ვ ა ზ ი რ ი (არაბ.), მინისტრებისა და უმაღლეს მოხელეთა ტიტული მრავალ მუსლიმურ სახელმწიფოში. ტერმინი გაჩნდა VIII ს. ბაღდადის სახალიფოში. არაბულ-სპარსული სიტყვაა. არაბებს ეს სიტყვა შეთვისებული უნდა ჰქონდეთ სპარსელებისგან, აბასელების დროს, შეიძლება მომდინარეობდეს სასანიანთა ხანიდან. არაბულად თანაშემწეს, მეშველს და მინისტრს ნიშნავს. სახალიფოში ერთი ვ. იყო, რომელიც ყველაზე უფროს მოხელედ ითვლებოდა ხალიფას შემდეგ. ვ. თავდაპირველად განაგებდა კანცელარიას, შემდეგ კი სახელმწიფო საბჭოს (დივანს). ოსმალეთის იმპერიაში ვ-დ იწოდებოდნენ არა მარტო მინისტრები, არამედ უმაღლესი რანგის ფაშები. დიდი ვეზირი (ვეზირ აზამი, სადრ აზამი) ხელმძღვანელობდა მთავრობას, სულთნის სახელით გამოსცემდა ბრძანებებს (ფირმანებს), ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა მინისტრის (რეის-ეფენდი) საქმიანობას, ხელს აწერდა ხელშეკრულებებს, ხოლო ომის დროს ითვლებოდა უმაღლეს მთავარსარდლად. თურქეთში სულთანატის ლიკვიდაციასთან ერთად (1.XI.1922) გაუქმდა დიდი ვეზირის თანამდებობაც. საქართველოშიც „ვაზირი" თანაშემწეს, მეშველს ნიშნავდა, მაგრამ განსაკუთრებით მინისტრთა საზოგადო სახელად იქცა. პირველად (XII ს-ის დასაწყისში) საქართველოში ერთი ვ-ის – მწიგნობართუხუცესის სახელი ფიგურირებდა, რომელსაც XII ს-ის დასაწყისშივე დავით აღმაშენებელმა ჭყონდიდის ეპისკოპოსის სახელიც გაუერთიანა და ამის შემდეგ იწოდებოდა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესად. რადგან მწიგნობართუხუცესს ეპისკოპოსის სახელიც შეუერთდა, ამ თანამდებობაზე საერო პირი ვეღარ დაინიშნებოდა, ამ ვ-ს სამონაზვნო ცხოვრების გზა უნდა ჰქონოდა გავლილი. XII ს-ის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო კარზე უკვე არსებობდა 4 ვ-ის თანამდებობა: *მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის*, *ამირსპასალარის*, *მანდატურთუხუცესის*, მეჭურჭლეთუხუცესის, თამარის მეფობის ბოლო წლებში (1213) გავაზირდა ათაბაგის, ხოლო რუსუდანის დროს – მსახურთუხუცესის სახელო.

*ლიტ.:* ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ.6, თბ., 1982.

**ველაიეთი** ალი აქბარ (დ. 1945), ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი. აქვს ექიმ-პედიატრის განათლება. 1971 დაამთავრა თეირანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1976 სწავლა გააგრძელა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიის უნივერსიტეტში სპეციალობით – ინფექციური დაავადებანი. 1962-დან მონაწილეობდა დაჯგუფებებში, რომლებიც მიმართული იყო შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ.

1979, შაჰის რეჟიმის დამარცხების შემდეგ, იგი შევიდა ისლამურ რესპუბლიკურ პარტიაში, რეჟიმის მთავარ

პოლიტიკურ ორგანიზაციაში, რომელიც 1987 იქნა დათხოვილი ხომეინის სანქციით. იმავე წელს არჩეულ იქნა ირანის ისლამური მეჯლისის დეპუტატად თეირანიდან. 1981 წლის 16 დეკემბრიდან – ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი. საქართველოში 1993 წლის მაისში ოფიციალური ვიზიტის დროს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საპატიო დოქტორის წოდება (აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი შრომები მედიცინაში).

**ველაუ-ბიდგოშჩის ხელშეკრულება 1657** (ბრანდენბურგსა და პოლონეთს შორის), დაიდო ორი სხვადასხვა აქტის ფორმით: 19.IX (ველაუში) და 6.X (ბიდგოშჩში). პოლონეთი უარს ამბობდა თავის უფლებებზე აღმოსავლეთ პრუსიაში და ამით ათავისუფლებდა ბრანდენბურგის კურფიურსტს ვასალური დამოკიდებულებისაგან. კურფიურსტი ღებულობდა ბიტოფს და ლემბორკს (ლაუენბურგი) და პირად სარგებლობაში ელბლონგს (ელბინგს) პოლონთის მიერ მისი 400 ათას ტალერად გამოსყიდვის უფლებით. ხელშეკრულების ეს პირობები დაამტკიცა *ოლივის საზავო ხელშეკრულებამ 1660*. ამასთან ერთად, ბრანდენბურგს უარი უნდა ეთქვა შვეციასთან კავშირზე და მისთვის ომი უნდა გამოეცხადებინა.

**ველინგტონი (Wellington)** არტურ უელსლი, ვიკონტი, ჰერცოგი, ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი, დიპლომატი. 1790-97 – ირლანდიის თემთა პალატის წევრი. 1797-1805 კოლონიურ ჯართან ერთად ინდოეთში იმყოფებოდა, სადაც დივიზიას მეთაურობდა. 1806-09 – თემთა პალატის წევრი. 1807-09 – ირლანდიის საქმეთა მინისტრი. 1809-დან – ლორდთა პალატის წევრი. 1809-13 მეთაურობდა ინგლისის საექსპედიციო ჯარებს პორტუგალიასა და ესპანეთში, ხოლო 1813-14 – საფრანგეთში. 1813-დან – მარშალი. 1814-15 – ინგლისის ელჩი საფრანგეთში. *ვენის კონგრესის 1814-15* მონაწილე. მეთაურობდა მოკავშირეთა გაერთიანებულ ჯარებს ვატერლოოსთან (1815), 1815-18 მეთაურობდა მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარებს საფრანგეთში, წარმოადგენდა ინგლისს *აახენის კონგრესზე 1818*. 1821-27 – კაბინეტის წევრი. მონაწილეობდა *ვერონის კონგრესში 1822*. 1826-27 იყო სანქტ-პეტერბურგში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა *ნიკოლოზ I-თან* საბერძნეთის საკითხებზე. 1827 და 1842-52 – ინგლისის არმიის მთავარსარდალი. 1834-35 – საგარეო საქმეთა მინისტრი. 1841-46 – უპორტფელო მინისტრი. 1846-დან აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდა.

**ვენის არბიტრაჟები 1938 და 1940**, სახელწოდება ვენაში ხელმოწერილი გადაწყვეტილებებისა ფაშისტური გერმანიისა და იტალიის მთავრობათა მიერ ჰორტისტული უნგრეთისადმი ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილების გადაცემის შესახებ. ვ.ა-ის გადაწყვეტილებით 2.XI.1938 უნგრეთს გადაეცა სლოვაკიის სამხრეთი რაიონები და იმიერკარპატების უკრაინის ნაწილი – 11 927 კვ.კმ 1 მლნ-ზე მეტი მოსახლეობით. 30.VIII.1940 გადაწყვეტილებით უნგრეთს შეუერთდა ტრანსილვანიის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი – 43 492 კვ.კმ, მოსახლეობა 2,4 მლნ კაცი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უნგრეთთან 1947 საზავო ხელშეკრულებით, ვ.ა. არარსებულად გამოცხადდა.

**ვენის დეკლარაცია 1815**, *ჰელვეტიკური კავშირის საქმის* გამო ხელი მოაწერეს 8(20).III *ვენის კონგრესზე 1814-15*. გამოცხადდა შვეიცარიის მუდმივი ნეიტრალიტეტი, განისაზღვრა მისი ტერიტორიული შემადგენლობა. ვ.დ-მ მოაწესრიგა მთელი რიგი ადმინისტრაციული და ფინანსური ხასიათის საკითხები, აღიარა 19 კანტონის ჰელვეტიკური კავშირის მთლიანობა და ხელშეუხებლობა და მათ, როგორც სრულუფლებიანი კანტონები, შეუერთა ვალისი, ჟენევა და ნევშატელი. შვეიცარიის ნეიტრალიტეტის კოლექტიური გარანტია და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა თავის თავზე აიღეს რუსეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, ავსტრიამ, პრუსიამ, ესპანეთმა, პორტუგალიამ და შვეციამ. შვეიცარიის ნეიტრალიტეტი დაირღვა *ნაპოლეონ I-ის* კუნძულ ელბიდან დაბრუნების დროს. სამხედრო მოქმედებათა პერიოდში ნეიტრალიტეტი ისევ დაამტკიცა *პარიზის საზავო ხელშეკრულებამ 1815*.

*პუბლ.*: Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций.., т.3, с.460-70; BFSP, vol. 5, p.142-43.

**ვენის კონგრესი 1814-15**, მოიწვიეს მოკავშირეებმა *ნაპოლეონ I-ის* იმპერიის დამარცხების შემდეგ და გრძელდებოდა 1814 წლის სექტემბრიდან 1815 წლის ივნისამდე. ვენაში შეიკრიბა ყველა ევროპული სახელმწიფოს 216 წარმომადგენელი (თურქეთის გარდა) სახელმწიფოთა მეთაურების დონეზე. გამოიყენა რა მოკავშირე სახელმწიფოთა – ინგლისი, რუსეთი, ავსტრია და პრუსია, რომლებმაც ხელი მოაწერეს *შომონის ტრაქტატს 1814*, წინააღმდეგობანი, საფრანგეთის წარმომადგენელმა შ. *ტალეირანმა* მიაღწია იმის უფლებას, რომ მოლაპარაკებაზე მონაწილეობა მიეღო მოკავშირე მხარეთა თანასწორად. პრუსიის გაძლიერების შიშით ტალეირანმა მკაცრად გაილაშქრა საქსონიის მეფისათვის ტახტის ჩამორთმევის წინააღმდეგ. მან საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა ავსტრიასთან და ინგლისთან. 3.I.1815 ხელი მოაწერეს საიდუმლო ხელშეკრულებას საფრანგეთს, ინგლისსა და ავსტრიას შორის (იხ. *ვენის ხელშეკრულება 1815* (საიდუმლო), რომელიც მიმართული იყო რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. რუსეთი და პრუსია იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ პოლონეთისა და საქსონიის მიმართ. ვ.კ. მთავრდებოდა, როცა მოვიდა ცნობა ნაპოლეონის საფრანგეთში დაბრუნების თაობაზე. მისმა მონაწილეებმა შეწყვიტეს დავა ყველა საკითხზე და შეადგინეს ახალი, მეშვიდე კოალიცია. 9(21).VI.1815 რუსეთის, საფრანგეთის, პრუსიის, ავსტრიის, ინგლისის, ესპანეთის, შვეციისა და პორტუგალიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ვენის ხელშეკრულების დასკვნით, გენერალურ აქტს, რომელიც ითვალისწინებდა საფრანგეთისათვის ყველა დაპყრობილი ტერიტორიის ჩამორთმევას და მის საზღვართან სახელმწიფო ბარიერების შექმნას. ბელგია და ჰოლანდია ნიდერლანდების სამეფოში გაერთიანდნენ. საფრანგეთის წინააღმდეგ ძლიერი ბარიერები შექმნეს პრუსიის რაინის პროვინციებმა. გარანტირებული იყო შვეიცარიის მუდმივი ნეიტრალიტეტი. იტალიის ჩრდილო-დასავლეთით აღდგა და გაძლიერდა სარდინიის სამეფო; მას დაუბრუნდა სავოია და ნიცა. ინგლისმა დაიმსახურა კოლონიის ნაწილი, რომელიც წაართვა ჰოლანდიასა და საფრანგეთს. ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის იყო კუნძული მალტა, კაპის კოლონია, აფრიკის სამხრეთი და კუნძული ცეილონი. ავსტრია ისევ დაეუფლა ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიას (ლომბარდია, ვენეცია) და მცირე იტალიურ საჰერცოგოებს. გერმანული სახელმწიფოები და ავსტრიის სამფლობელოს ნაწილი შევიდა გერმანიის კავშირში ავსტრიის მეთაურობით. პრუ-

სიამ მიიღო ჩრდილოეთი საქსონია, პოზნანი და იძულებითი უარის გამო, სამხრეთ საქსონიისათვის კომპენსაციით მნიშვნელოვნად გაიფართოვა სამფლობელოები რაინზე. მიიღო რაინის პროვინცია და ვესტფალია, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ტერიტორიები გერმანიაში. მანვე მიიღო კუნძული რიუგენი და შვეციის პომერანია. ნორვეგია გამოეყო დანიას და გადაეცა შვეციას. კონგრესი კრძალავდა მონათა ვაჭრობას. კონგრესმა პირველად დაადგინა დიპლომატიური აგენტების ერთიანი დაყოფა კლასებად.

*წყარო:* Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций..., т.3, с.207-533.

**ვენის კონვენცია ბირთვული ზარალისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ 1963**, მიღებულ იქნა სპეციალურ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ვენაში 1963 წლის 29.IV-19.V. ამასთან ერთად, მიღებულ იქნა ფაკულტატური ოქმი დავების სავალდებულო გადაწყვეტის თაობაზე. აღნიშნული კონვენცია ძალაში შევიდა 1977 წლის 12.XI.

კონვენციაში განიხილეს ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხები. იგი ითვალისწინებს, რომ ბირთვული ზარალის მიყენებისთვის პასუხისმგებელია დანადგარის ოპერატორი, რომლის მინიმალური მატერიალური პასუხისმგებლობა 5 მლნ დოლარადაა შეფასებული. ოპერატორის აბსოლუტური პასუხისმგებლობა, კონვენციის თანახმად, ნიშნავს, რომ დაზარალებული მხარე არ არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ ზარალის გამომწვევი ოპერატორის შეცდომა ან უგულისყურობა იყო. საკმარისია დამტკიცებულ იქნეს კავშირი ზარალსა და ზარალის მიმყენებელ ფაქტს შორის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კონვენციაში მოცემულია მთელი რიგი განმარტებანი ისეთი ტერმინებისა, როგორიცაა: ბირთვული ნივთიერებანი, ბირთვული დანადგარი, ბირთვული ინციდენტი, ბირთვული ზარალი, დანადგარის ოპერატორი და ა.შ.

**ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ 1961**, მიღებულ იქნა *გაეროს* კონფერენციაზე დიპლომატიური ურთიერთობებისა და იმუნიტეტების შესახებ ვენაში 1961 წლის 2.III-14.IV. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ 81 სახელმწიფოს წარმომადგენლები. მათგან 75 სახელმწიფო იყო გაეროს წევრი, ხოლო 6 დაკავშირებული იყო გაეროსთან მისი *სპეციალიზებული ორგანიზაციების* ან *საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის* მეშვეობით. კონვენცია, რომელიც 53 მუხლისაგან შედგება, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში. იგი განსაზღვრავს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების წესებს, *დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის* აკრედიტების წესს, დიპლომატიური წარმომადგენლობების ფუნქციებს, მაკრედიტებელი და ადგილსამყოფელი სახელმწიფოების უფლება-მოვალეობებს, საგარეო საქმეთა სამინისტროების უფლებებსა და მოვალეობებს წარმომადგენლობათა თანამშრომლების დანიშვნასა და მიღებასთან დაკავშირებით, აწესებს *დიპლომატიურ კლასებსა და რანგებს*.

კონვენციაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს *დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების* საკითხებს. ამასთან, მითითებულია საკითხები, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა *საერთაშორისო ადათისა* და ჩვეულებითი ნორმების საფუძველზე.

კონვენციას თან ერთვის ორი ფაკულტატური ოქმი: მოქალაქეობის შეძენისა და დავების აუცილებელი გადაწყვეტის თაობაზე. პირველი ოქმი ეხება დიპლომატიური წარმომადგენლებისადმი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მოქალაქეობის შესახებ კანონების გამოუყენებლობას, ხოლო მეორე – კონვენციის გამოყენების ან განმარტების თაობაზე წამოჭრილ დავაზე გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის საკითხებს. ორივე ფაკულტატური ოქმი ძალაში შევიდა 1964 წლის 24 აპრილს, კონვენციის ძალაში შესვლისთანავე.

კონვენცია მიერთებისთვის ღიაა გაეროს ყველა წევრი და არაწევრი სახელმწიფოსთვის. 1994 ვენის 1961 კონვენციას დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ შეუერთდა საქართველოს რესპუბლიკაც.

**ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა უფლების შესახებ 1969**, მიღებულ იქნა გაეროს მიერ სპეციალურად მოწვეულ კონფერენციაზე ვენაში 1969 წლის 23 მაისს. იგი შედგება პრეამბულის, 85 მუხლისა და დანართისაგან. ძალაში შევიდა 1980 წლის 27 იანვარს.

კონვენციის დებულებების შესაბამისად, ტერმინი „ხელშეკრულება" ნიშნავს „საერთაშორისო შეთანხმებას, დადებულს სახელმწიფოთა შორის წერილობითი ფორმით და რეგულირებულს საერთაშორისო სამართლის ნორმებით, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახელწოდება აქვს აღნიშნულ შეთანხმებას". კონვენციის მიხედვით მისი დებულებანი ეხება აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების დამაარსებელ დოკუმენტებს (წესდებებს) და ნებისმიერ ხელშეკრულებებს, რომლებიც მიიღება ორგანიზაციების ჩარჩოებში. კონვენცია არ გამოიყენება არაწერილობითი ფორმით დადებული საერთაშორისო შეთანხმებების მიმართ, თუმცა მიუთითებს, რომ ეს სრულიადაც არ აკნინებს აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებების ძალასა და როლს.

კონვენცია მოიცავს შემდეგ საკითხებს: ხელშეკრულებების დადება და ძალაში შესვლა, ხელშეკრულებათა დაცვა, დათქმის უფლება, ხელშეკრულების ბათილობა, ხელშეკრულებათა მოქმედების შეჩერება, ხელშეკრულებათა მნიშვნელობა ან გავრცელება მესამე სახელმწიფოებზე, გარემოებათა ძირეული შეცვლის შედეგები და გავლენა ხელშეკრულებებზე, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დავების გადაწყვეტა, დეპოზიტორთა უფლებები და მოვალეობანი.

ხელშეკრულებათა უფლებების კონვენციის დასკვნითი დებულებანი მოიცავს კონვენციისადმი მიერთებასთან დაკავშირებულ საკითხებს; იგი ხელმოწერისათვის ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის.

კონვენციის დანართი ეხება შემთანხმებელ პროცედურას იმ სიტუაციაში, როდესაც საქმე გვაქვს ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან, მისი მოქმედების შეწყვეტასა და სხვა სადავო საკითხებთან.

ვენის აღნიშნული კონვენციის გარდა კონფერენციაზე მიღებულ იქნა ორი დეკლარაცია, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ კონვენციის დებულებების განხორციელებასთან. პირველი იყო დეკლარაცია საერთაშორისო ხელშეკრულების დადების დროს სამხედრო, პოლიტიკური ან ეკონომიკური იძულებითი ღონისძიებების გამოყენების

აკრძალვის შესახებ, ხოლო მეორე ეხებოდა ვენის აღნიშნულ კონვენციაში საყოველთაო მონაწილეობის საკითხებს.

ლიტ.: Работа Комиссии международного права, Нью-Йорк, 1982; Т а л а л а е в А.Н., Право международных договоров, М., 1980.

**ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ 1963**, მიღებულ იქნა ვენაში 1963 წლის 24 აპრილს გაეროს კონფერენციაზე საკონსულო ურთიერთობათა შესახებ. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 95 სახელმწიფო. კონვენციას თან ერთვის 2 ფაკულტატური ოქმი, რომლებიც ეხება საკონსულო დაწესებულებათა თანამშრომლობას, მოქალაქეობის საკითხებსა და კონვენციასთან დაკავშირებული დავების ირგვლივ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის საკითხებს. კონვენცია და ორივე ფაკულტატური ოქმი ძალაში შევიდა 1967 წლის 19 მარტს. იგი დღესაც ღიაა მიერთებისთვის როგორც გაეროს წევრი, ასევე არაწევრი სახელმწიფოებისათვის.

კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ შედგება 79 თავისაგან. მასში ჩამოყალიბებულია საკონსულო ურთიერთობებთან დაკავშირებული ტერმინების განმარტება, საკონსულო ფუნქციები, საკონსულო დაწესებულებათა გახსნის წესები, სახელმწიფოთა უფლებამოვალეობანი, საკონსულო დაწესებულებათა რანგები, მესამე სახელმწიფოში საკონსულო ფუნქციების განხორციელების წესები და სხვ. მთელი რიგი დებულებები აღნიშნული კონვენციისა უახლოვდება *ვენის* 1961 *კონვენციას დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ*. მთავარი განსხვავება ამ ორ კონვენციას შორის მდგომარეობს წარმომადგენლობებისათვის მინიჭებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მოცულობაში. საკონსულო კონვენციის თანახმად, კონსულებს მინიჭებული აქვთ მხოლოდ ე. წ. *ფუნქციონალური პრივილეგიები და იმუნიტეტები*, რომლებიც გაცილებით შეზღუდულია *დიპლომატიურ პრივილეგიებთან და იმუნიტეტებთან* შედარებით. თუმცა კონვენცია აწესებს გარანტირებულ მინიმუმს საკონსულოების თანამშრომლებისთვის და არ კრძალავს სახელმწიფოთა ორმხრივი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მათთვის უფრო მეტი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მინიჭებას, ვიდრე ეს კონვენციითაა გათვალისწინებული.

კონვენციაში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი იმ საკონსულო დაწესებულებათა რეჟიმს, რომლებსაც საპატიო საკონსულო თანამდებობის პირები ხელმძღვანელობენ. აღნიშნული თავით გათვალისწინებულია შესაბამისი საკონსულო დაწესებულებებისათვის ისეთი რეჟიმი, რომელიც მკვეთრად უახლოვდება დიპლომატიური წარმომადგენლობებისთვის დაწესებულ სამართლებრივ მდგომარეობას.

ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ უნივერსალური ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოები, როგორც წესი, დებენ ორმხრივ შეთანხმებებს საკონსულო ურთიერთობების შესახებ და იღებენ სპეციალურ შიდასახელმწიფოებრივ აქტებს – დებულებებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე საკონსულო წარმომადგენლობათა შესახებ.

**ვენის კონვენცია სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით 1978**, მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც მიღებულ იქნა ვენის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1978 წლის 23.VIII და შედგება პრეამბულის, 50 მუხლისა და დანართისაგან. იგი ექვემდებარება სახელმწიფოთა მიერ *რატიფიკაციას* და ღიაა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. კონვენციის *დეპოზიტარი* არის *გაეროს გენერალური მდივანი*.

ვენის 1978 კონვენცია არეგულირებს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ *სამართალმემკვიდრეობის* საკითხებს. ეს ეხება ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, რომლებიც წარმოიქმნენ როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვების, ასევე სახელმწიფოთა გაერთიანების ან გაყოფის შედეგად. კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, „ახლად განთავისუფლებული დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის ვალდებული ძალაში დატოვოს ან მხარედ დარჩეს რომელიმე *საერთაშორისო ხელშეკრულებისა* მხოლოდ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ სამართალმემკვიდრეობის დროს აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში იყო იმ ტერიტორიასთან მიმართებაში, რომელიც სამართალმემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენს".

სახელმწიფოთა გაერთიანების, გაყოფის ან ტერიტორიის გადაცემის შემთხვევაში კონვენცია ითვალისწინებს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების სავალდებულობას. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც: ა) ადგილი აქვს სპეციალურ შეთანხმებას სამართალმემკვიდრე სახელმწიფოსა და ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოთა შორის; ბ) თვით ხელშეკრულების მიზნები და ობიექტი ან მოქმედების პირობები იქნება დარღვეული სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მიერ ხელშეკრულების გამოყენების შემთხვევაში.

ვენის კონვენციის მიზანი იყო სახელმწიფოთა შორის სტაბილური სახელშეკრულებო ურთიერთობების განმტკიცება, განსაკუთრებით ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ტერიტორიისა და საზღვრების რეჟიმის საკითხები. კონვენციის მე-11 მუხლით დაფიქსირებულ იქნა, რომ „სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა არ ეხება: ა) ხელშეკრულებით დადგენილ საზღვრებს; ბ) საზღვრების რეჟიმის შესახებ დადებულ ხელშეკრულებით დადგენილ უფლებებსა და მოვალეობებს". აღნიშნული ნიშნავს, რომ საზღვრების შესახებ დადებული ხელშეკრულება ყველა შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს მიერ მანამ, ვიდრე ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად სხვა შეთანხმება არ იქნება მიღწეული. საზღვრების დამდგენი ხელშეკრულებების შეცვლას ან მისი მოქმედების შეწყვეტას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მოსაზღვრე სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი ურთიერთთანხმობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. აღნიშნული დებულებებით ვენის კონვენციამ კიდევ ერთხელ განამტკიცა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი არსებული საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

**ვენის კონვენცია სახელმწიფოთა უფლებამონაცვლეობის შესახებ სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალების თაობაზე 1983**, მიღებულ იქნა ვენის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1983 წლის 7.IV როგორც 1978 ვენის კონვენციის შემავსებელი დოკუმენტი. კონვენცია არეგულირებს სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო არქივებისა და სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებულ საკითხებს ახალი სახელმწიფოების აღმოცენების დროს ან ერთი სახელმწიფოს მიერ

ტერიტორიის მეორე სახელმწიფოსათვის გადაცემის შემთხვევაში.

კონვენციის 33-ე მუხლში მოცემულია სახელმწიფო ვალის განმარტება როგორც „წინამორბედი სახელმწიფოს ნებისმიერი ფინანსური ვალდებულება სხვა სახელმწიფოს, *საერთაშორისო ორგანიზაციის* ან *საერთაშორისო სამართლის* სხვა სუბიექტის მიმართ, რომელიც აღმოცენებულ იქნა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე". ამასთან, ზოგად წესად კონვენციის მიერ დადგენილია, რომ წინამორბედი სახელმწიფოს ვალი არ გადადის უფლებამონაცვლე სახელმწიფოზე, თუ არ იქნება დადებული სპეციალური შეთანხმება ნაწილი ვალების გადასვლასთან დაკავშირებით კონკრეტულ პირობებში.

ვენის კონვენციაში განმტკიცებულია ასევე, რომ სახელმწიფოთა უფლებამონაცვლეობა არ ეხება მესამე სახელმწიფოთა იმ ქონებას, რომელიც უფლებამონაცვლეობის პერიოდში იმყოფება უფლებამონაცვლე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ანალოგიური პრინციპია გათვალისწინებული მესამე სახელმწიფოს სხვა უფლებებთან და ინტერესებთან დაკავშირებით.

**ვენის კონვენცია სახელმწიფოთა წარმომადგენლობების ურთიერთობის შესახებ უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან 1975**, მიღებულ იქნა ვენის დიპლომატიურ კონფერენციაზე 1976 (4.II-14.III). კონვენციის მუშაობაში მონაწილეობდა 81 სახელმწიფო და ორი მეთვალყურის სტატუსის მქონე სახელმწიფო (ირანი და პორტუგალია). კონვენციას ხმა მისცა 57 სახელმწიფომ, თავი შეიკავა 1-მა, ხოლო 15 განვითარებული სახელმწიფო, რომელთა ტერიტორიაზეც მდებარეობს უნივერსალური ხასიათის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციათა შტაბბინების უმეტესობა, წინააღმდეგი წავიდა მისი მიღებისა.

კონვენციის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ან კონფერენციათა დელეგატებს იმდენად ფართო პრივილეგიები და იმუნიტეტები აქვთ მიკუთვნებული, რომ კონვენციის დებულებანი ძალიან არის მიახლოებული *ვენის 1961 კონვენციასთან დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ*. ასე მაგ.: კონვენცია ითვალისწინებს წარმომადგენლობათა და დელეგაციის წევრთა და მეთაურთა პირად ხელშეუხებლობას, მათი შენობებისა და ფოსტის ხელშეუხებლობას, მათი ადგილობრივი იურისდიქციიდან ამოღებას და სხვ. გარდა ამისა, კონვენციამ ჩამოაყალიბა უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის ცნება, ორგანიზაციასთან სახელმწიფოს მუდმივი წარმომადგენლობის ცნება და სხვ. ამასთან, პირველად საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ იქნა სამართლებრივი ნორმები საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კონფერენციათა მუშაობაში მონაწილე მეთვალყურეებთან დაკავშირებით. კონვენციის მუშაობის ბოლოს სპეციალური რეზოლუციაც კი იქნა მიღებული იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მიერ წარგზავნილ მეთვალყურეთა სტატუსის შესახებ, რომელთაც ცნობდნენ *აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია* და *არაბულ სახელმწიფოთა ლიგა*.

**ვენის კონფერენცია 1855**, რუსეთის, ავსტრიის, საფრანგეთის, ინგლისის და თურქეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც გაიმართა 1855 წლის გაზაფხულზე (ყირიმის ომის დროს) ზავის პირობების დაზუსტების მიზნით. როგორც ვარაუდობდნენ, რუსეთი მნიშვნელოვან დათმობებზე მიდიოდა, მაგრამ მოკავშირეებს ეს უკვე არ აკმაყოფილებდა. ისინი მოითხოვდნენ, რომ რუსეთს განეიარაღებინა სევასტოპოლი, მიეცა გარანტია თურქეთის მთლიანობის შენარჩუნებისათვის და ელიარებინა შავი ზღვის ფლოტის შეზღუდვა. მაგრამ რუსეთი ამ დათმობაზე არ წავიდა. მაშინ ავსტრიის წარმომადგენელმა ინგლისსა და საფრანგეთს წინადადება მისცა, მიეღოთ პრინციპი „საპირისპირო", რომლითაც სამ სახელმწიფოს შავ ზღვაში უნდა ჰყოლოდა განსაზღვრული რაოდენობის გემები. ინგლისი და საფრანგეთი დაინტერესებული იყვნენ ომის გაგრძელებით და ეს პრინციპი არ მიიღეს. ივნისის დასაწყისში ვ.კ-მ მუშაობა დაამთავრა.

წყრ.: BFSP, vol.45, p.54-124.

**ვენის მოლაპარაკებები შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების თაობაზე ცენტრალურ ევროპაში**, დაიწყო 30.X.1973 მოსამზადებელი კონსულტაციების შემდეგ, რომლებიც ასევე ვენაში ჩატარდა 31.I-28.VI.1973. მოლაპარაკებების მიზანი იყო ევროპის ცენტრში სამხედრო დაპირისპირების დონის შემცირება ამ რაიონში სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებული ძალების დიდი რაოდენობით კონცენტრაციის გამო. მოლაპარაკებებში მონაწილეობდა 19 ქვეყანა: ინგლისი, გფრ, სსრკ, აშშ, პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია, კანადა, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი – გადაწყვეტილების მიღების უფლებით (უშუალო მონაწილენი), ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, იტალია, ნორვეგია, დანია, საბერძნეთი, თურქეთი – სპეციალური სტატუსით (ე.წ. „ფლანგის ქვეყნები"). ჯარებისა და შეიარაღების შემცირების შეთანხმებული რაიონი მოიცავდა გფრ-ის, ბელგიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, გდრ-ის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიებს. ხანგრძლივი დროის მანძილზე სსრკ-სა და სოციალისტურ თანამეგობრობაში შემავალ სხვა ქვეყანათა წინააღმდეგობის გამო ვერ ხერხდებოდა შეთანხმების მიღწევა პარიტეტულ საწყისებზე ჯარებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ.

**ვენის საზავო ხელშეკრულებები**, 1. 1738 ხელშეკრულებამ დაამთავრა ომი *პოლონური მემკვიდრეობისათვის*. დაიდო 18. XI ავსტრიასა და საფრანგეთს შორის. ხელშეკრულებით, საფრანგეთი გარანტიას იძლეოდა 1713 *პრაგმატულ სანქციაზე* და ცნობდა საქსონიის კურფიურსტს ავგუსტ III-ს პოლონეთის მეფედ. ს. ლეშჩინსკის სიკვდილამდე უმტკიცდებოდა მეფობა, ტიტული და ეძლეოდა ლოთარინგია და ბარის საგრაფო, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ საფრანგეთზე გადადიოდა. ლოთარინგიის ჰერცოგ ფრანც სტეფანს კომპენსაციით ეძლეოდა პარმა, პიაჩენცა და ტოსკანა. ავსტრია უარს ამბობდა *1713 უტრეხტის საზავო ხელშეკრულებით* მიღებული ორივე სიცილიის სამეფოზე. სარდინიამ მიიღო ავსტრიის კუთვნილი მილანის საჰერცოგოს ნაწილი (ნავარა, ტორტონა).

წყრ.: Wenck F.A.W., Corpus juris gentium recentissimi, vol. 1, Leipzig, 1761.

2. 1809 ხელშეკრულება, *იხ. შონბრუნის საზავო ხელშეკრულება 1809*.

**ვენის სამოკავშირეო ხელშეკრულებები**, 1. 1697 ხელშეკრულება რუსეთს, ავსტრიასა და ვენეციას შორის, ხელი მოაწერეს 29.I (8.II) როგორც კავშირს თურქეთისა და ყირიმის წინააღმდეგ 3 წლის ვადით. ხელშეკრულების მონაწილეები იღებდნენ ვალდებულებას, ეწარმოებინათ

შეთანხმებული მოქმედება ხმელეთზე და ზღვაზე, ინფორმაცია მიეწოდებინათ ერთმანეთისათვის სამხედრო გეგმებზე და არ დაედოთ სეპარატული ზავი.

2. 1726 ხელშეკრულება რუსეთსა და ავსტრიას შორის, ხელმოწერილ იქნა 6(17).VIII. ხელშეკრულებით, ავსტრია შეუერთდა რუსეთისა და შვეციის კავშირს (იხ. *სტოკჰოლმის სამოკავშირეო ხელშეკრულება 1724*). რუსეთი უერთდებოდა ავსტრია-ესპანეთის კავშირს (1725) და გარანტიას აძლევდა *პრაგმატულ სანქციას 1713*, მხარეებს ერთმანეთისადმი სამხედრო დახმარება უნდა გაეწიათ.

3. 1854 ხელშეკრულება დაიდო 2.XII ავსტრიას, საფრანგეთსა და ინგლისს შორის რუსეთის წინააღმდეგ. ავსტრია ცდილობდა, ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შემდეგ მიეღო მოლდოვა და ვლახეთი. ხელშეკრულებით, სამი სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას, არ დაედოთ რუსეთთან სეპარატული ზავი. ერთმანეთთან დადეს თავდაცვითი და შეტევითი კავშირები. მალე მათ შეუერთდა პრუსია.

**ვენის ულტიმატუმი 1876** („ანდრაშის ნოტა") წარედგინა თურქეთის მთავრობას ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და გერმანიის მიერ, აგრეთვე მათთან მიმხრობილი ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის მიერ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში აჯანყების დაწყების გამო. 1875 აღნიშნულმა ქვეყნებმა სულთანს აჯანყებულებთან შუამავლობა შესთავაზეს. ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. *ანდრაშიმ*, რუსეთთან შეთანხმებით, შეადგინა ნოტა, რომელიც შეიცავდა ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში რეფორმის პროექტს. გადაწყდა, რომ ნოტა წარედგინა ავსტრია-უნგრეთს, სხვა სახელმწიფოები კი მხარს დაუჭერდნენ მას. 1876 ავსტრიის წარგზავნილმა ზიჩიმ ნოტა პორტას გადასცა. ამ დროს აჯანყებულებმა უფრო რადიკალური მოთხოვნები წამოაყენეს. თურქეთმა უარყო მოთხოვნები. სხვა სახელმწიფოებმა, რუსეთის გარდა, პროტესტი არ გამოთქვეს. ამდენად ვ.უ. უშედეგოდ დარჩა (იხ. *ბერლინის მემორანდუმი 1876*).

**ვენის ხელშეკრულება 1815** (საიდუმლო) საფრანგეთს, ავსტრიასა და ინგლისს შორის კავშირის შესახებ რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ, დაიდო 3.I *ვენის კონგრესის (1814-15)* დროს. უშუალო მიზეზი ვ.ხ-ისა იყო, ხელი შეეშალათ საქსონიის შეერთებისათვის პრუსიასთან და პოლონეთისა – რუსეთთან. ვ.ხ. იყო შ. *ტალეირანის* წარმატება, რომელმაც შეძლო ყოფილ მოკავშირეთა გათიშვა. მას შეუერთდნენ ბავარია, ჰანოვერი, ნიდერლანდები და ჰესენ-დარმშტადტი.

**ვენსი (Vance) საირუს რობერტს** (დ. 1917), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, იურისტი.

1961-62 – აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მთავარი იურიდიული მრჩეველი; 1962-63 – არმიის მინისტრი; 1964-67 – თავდაცვის მინისტრის მოადგილე; 1967 – აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური დესპანი კვიპროსის მოვლენებთან დაკავშირებით, 1968 კი – კორეაში, პრეზიდენტ *ჯონსონის* სპეციალური მრჩეველი; 1968-69 – აშშ-ის დელეგაციის მეთაურის მოადგილე ვიეტნამში ომის დარეგულირების შესახებ *პარიზის მოლაპარაკებაზე*, 1976 – პრეზიდენტ ჯ. კარტერის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში; 1977-80 – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. ხელს უწყობდა სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულების დადებას. 1947-61 და 1967-77 ეწეოდა, ხოლო 1980-დან კვლავ დაუბრუნდა სავდვოკატო პრაქტიკას. 1980-დან – წევრი *დამოუკიდებელი კომისიისა განიარაღებისა და უშიშროების საკითხებში („პალმეს კომისია")*, 1992-93 – გაეროს გენერალური მდივნის დავალებით მონაწილეობდა ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტის მოგვარების საქმეში (იხ. *ვენს-ოუენის სამშვიდობო გეგმა*).

**ვენს-ოუენის სამშვიდობო გეგმა** (ბოსნია-ჰერცეგოვინისათვის), წარდგენილ იქნა 28.X.1992 ჟენევის კონფერენციაზე (მიმდინარეობდა 3.IX.1992-30.I.1993), რომელიც იუგოსლავიაში მიმდინარე კონფლიქტის გამო იყო მოწვეული. კონფერენციაზე დაინტერესებულ მხარეებს – იუგოსლავიის რესპუბლიკას (სერბია-ჩერნოგორია), ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას – წარედგინა გაეროს მედიატორების – აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ს. *ვენსის* და ინგლისის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის დ. ოუენის მიერ შემუშავებული სამშვიდობო გეგმა, რომელიც 3 ნაწილისაგან შედგებოდა. პირველ ნაწილში შეთავაზებული იყო ბოსნია-ჰერცეგოვინის ტერიტორიის ახალი ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც ითვალისწინებდა ქვეყანაში 10 ფართო ავტონომიის მქონე ერთეულის შექმნას. თითოეული თემისათვის (ხორვატები. სერბები. ბოსნიელი მუსლიმანები) გათვალისწინებული იყო სამ-სამი ავტონომიური ერთეული. ქ. სარაევო ცხადდებოდა მრავალეროვნულ ავტონომიურ ერთეულად. სამშვიდობო გეგმის მეორე ნაწილი ითვალისწინებდა ბოსნია-ჰერცეგოვინის ფედერალურ მოწყობას, ხოლო მესამე ნაწილში გათვალისწინებული იყო დაზავების პირობები. სამშვიდობო გეგმა მხოლოდ ხორვატებმა მიიღეს. სერბებისა და მუსლიმანებისათვის იგი მიუღებელი აღმოჩნდა.

**ვერელის საზავო ხელშეკრულება 1790**, დაამთავრა რუსეთ-შვეციის 1768-90 ომი, დაიდო 3(14). III სოფ. ვერელში მდ. კიუმენთან (ფინეთი). შვეციამ სცადა გამოეყენებინა ამ პერიოდში მიმდინარე რუსეთ-თურქეთის 1787-91 ომი, დაებრუნებინა ბალტიისპირეთის პროვინციები და შეესუსტებინა რუსეთის გავლენა ბალტიის ზღვაზე. მოლაპარაკების დროს რუსეთმა ყველა მოთხოვნა უარყო. ხელშეკრულებამ დაადასტურა 1721 *ნიშტადტის საზავო ხელშეკრულების* დროიდან არსებული უფლება შვედებისა, შეესყიდათ ხორბალი ბალტიისპირეთის 3 რუსულ ქალაქში 50 ათასი მან. რაოდენობისა ყოველწლიურად, ბაჟის გადაუხდელად.

**ვერონის კონგრესი 1822**, მეოთხე ბოლო კონგრესი *საღვთო კავშირისა*, მიმდინარეობდა ვერონაში (იტალია) 20.X-14.XII. მონაწილეობდნენ ავსტრია, პრუსია, საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი. ვ.კ-ზე რუსეთი, ავსტრია და პრუსია რწმუნებას აძლევდნენ საფრანგეთს, გამოსულიყო საღვთო კავშირის სახელით ინტერვენციით ესპანეთის რევოლუციის და სამხრეთ ამერიკის ესპანური კოლონიების წინააღმდეგ. საფრანგეთის კონკურენციის შიშით ინგლისი ამ გეგმის წინააღმდეგი წავიდა. მან აშშ-ს მიმართა, კოორდინაცია გაეწია მოქმედებისათვის. ამის შედეგი გახდა აშშ-ის *„მონროს დოქტრინა"*. კონგრესი იძულებული გახდა უარი ეთქვა ინტერვენციაზე. იტალიის საკითხთან დაკავშირებით, საფრანგეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, კონგრესმა გადაწყვიტა გაგრძელებულიყო ავსტრიის ინტერვენცია ნეაპოლში და სარდინიაში. მისმა მონაწილეებმა უარი თქვეს, მიეღოთ აჯანყებული საბერ-

ძნეთის წარმომადგენლები, რომლებიც იქ დახმარების მიღების მიზნით ჩავიდნენ. ვ.კ-ის დამთავრების წინა დღეს რუსეთმა, ინგლისმა და პრუსიამ გამოაქვეყნეს ცირკულიარი, რომლითაც საღვთო კავშირს უფლება ჰქონდა ჩარეულიყო ყველა იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში, სადაც რევოლუციური მოძრაობა მონარქიულ წესწყობილებას საფრთხეს უქმნიდა. 1823 ესპანეთში რევოლუციური მოძრაობა ჩააქრეს, რაც საღვთო კავშირის უკანასკნელ „წარმატებულ" აქციას წარმოადგენდა.

*პუბლ.:* Мартенс Ф., Собрание трактатов и конвенций..., т.4, с.324-28.

**ვერჟენი (Vergennes)** შარლ გრავიე (1719-87), გრაფი, ფრანგი დიპლომატი. 1739-42 და 1746-49 მუშაობდა პორტუგალიაში საფრანგეთის საელჩოში, 1742-44 – გერმანიაში, 1750-52 წარგზავნილია კობლენცში, 1752 – ჰანოვერში, 1753 – მანჰაიმში, 1755-68 – საფრანგეთის ელჩი თურქეთში, 1771-74 – შვეციაში, 1774 – საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ვერსალის (ამერიკა-ინგლისის) საზავო ხელშეკრულება 1783**, განამტკიცა ამერიკის გამარჯვება ინგლისზე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში 1775-83. შემუშავებულ იქნა აშშ-ის მოკავშირეებისაგან საიდუმლოდ (საფრანგეთი, ესპანეთი, ნიდერლანდები) და ხელი მოეწერა ვერსალში 3.IX.1783 უკვე მოკავშირეთა მონაწილეობით. მან გააერთიანა ინგლისის მიერ 1782-83 აშშ-თან და მის მოკავშირეებთან დადებული პრელიმინარული ხელშეკრულებები. 1782 წლის 30.II დადებული პრელიმინარული საზავო ხელშეკრულებით, ინგლისი ცნობდა აშშ-ს როგორც სუვერენულ და დამოუკიდებელ ქვეყანას და უარს ამბობდა მის მიმართ ყოველგვარ პრეტენზიაზე მომავალში. ვალდებულებას კისრულობდა, გამოეყვანა თავისი ჯარები, გარნიზონები და გემები აშშ-დან. აშშ-ის საზღვრები დასავლეთით წესდებოდა მდ. მისისიპზე, ჩრდილოეთით – დიდ ტბებზე, მდ. წმ. ლავრენტიზე და პირობითი ხაზით ატლანტის ოკეანემდე; სამხრეთით საზღვარი გადიოდა ფლორიდის სამხრეთით. კანადა ინგლისის კოლონიად რჩებოდა, რომლის ზუსტი საზღვარი განსაზღვრული არ იყო. ეს შედეგები ამერიკა-ინგლისის დავის საგანი გახდა. ამერიკელებს უფლება მიეცათ თევზის ჭერისა ნიუფაუნდლენდის წყლებში და მდ. მისისიპზე თავისუფალი ნაოსნობისა. ვ.ს.ხ. ითვალისწინებდა ომამდელი ვალების მოწესრიგებას კერძო პირებს შორის. აშშ-ის კონგრესი ვალდებულებას იღებდა, რეკომენდაცია მიეცა შტატებისთვის, რათა გამოეცხადებინათ სრული ამნისტია როიალისტების (ინგლისის სამეფოს მომხრეები) მიმართ და დაებრუნებინათ მათთვის კონფისკაციით ჩამორთმეული საკუთრება. ინგლისი, საფრანგეთთან და ესპანეთთან დადებული პრელიმინარული საზავო ხელშეკრულებით (20.I.1783), საფრანგეთს უთმობდა კუნძულ ტობაგოს ვესტ-ინდოეთში და უბრუნებდა სენეგალს აფრიკაში; ესპანეთი უკან იბრუნებდა კუნძულ მენორკას ხმელთაშუა ზღვაში; ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს უბრუნებდნენ ყველა ტერიტორიას ინდოეთში. მეორე პრელიმინარული ხელშეკრულებით (2.IX.1783), ნიდერლანდებისაგან ინგლისი ღებულობდა ჰოლანდიის ფაქტორიას ინდოეთში – ნეგაპატამს (ახლანდ. ნაგაპატინამი, შტ. გადრასი).

*პუბლ.:* BFSP, vol.1, p.777-79.

**ვერსალის საზავო ხელშეკრულება 1919**, დაამთავრა *პირველი მსოფლიო ომი 1914-18*, ხელი მოაწერეს 28.VI. ერთი მხრივ, აშშ-მა, ინგლისმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, როგორც მთავარმა მოკავშირე სახელმწიფოებმა, აგრეთვე ბელგიამ, ბოლივიამ, ბრაზილიამ, კუბამ, ეკვადორმა, საბერძნეთმა, გვატემალამ, ჰაიტმა, ჰიჯაზმა, ჰონდურასმა, ლიბერიამ, ნიკარაგუამ, პანამამ, პერუმ, პოლონეთმა, პორტუგალიამ, რუმინეთმა, სერბიის, ხორვატიის და სლოვენთა სამეფომ, სიამმა, ჩეხოსლოვაკიამ, ურუგვაიმ, მეორე მხრივ – დამარცხებულმა გერმანიამ. მას წინ უძღოდა კომპიენის დაზავება (11.XI.1918). ჩინეთმა ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა. აშშ-ის სენატმა უარი თქვა მის რატიფიკაციაზე *ერთა ლიგაში* შესვლაზე უარის მიზეზით. ვ.ს.ხ. შეიცავდა ერთა ლიგის სტატუსს (წესდებას); გერმანიის საზღვრის აღწერას ბელგიასთან, ლუქსემბურგთან, საფრანგეთთან, შვეიცარიასთან, ავსტრიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან, პოლონეთთან და დანიასთან. რეგულირდებოდა ევროპის პოლიტიკური მოწყობის საკითხი. ხელშეკრულებით, გერმანია ვალდებულებას იღებდა, კერძოდ, ეცნო და დაეცვა ყველა ხელშეკრულება, რომლებიც შეიძლება მთავარ მოკავშირეებს მომავალში დაედოთ ბელგიასთან ან ნიდერლანდებთან 1839 ხელშეკრულების სანაცვლოდ, რომელიც ბელგიის ნეიტრალიტეტს ითვალისწინებდა. გერმანია ცნობდა ეიპენისა და მალმედიის გადაცემას ბელგიისათვის. ლუქსემბურგი 1.I.1919-დან დამოუკიდებელი ხდებოდა. გერმანია ვალდებული იყო მოეხდინა რაინის ზონის დემილიტარიზაცია. მას ეკრძალებოდა მდინარის მარჯვენა და მარცხენა მხარეს (50 კმ) ჰქონოდა რაიმე სამხედრო ნაგებობა და ჰყოლოდა ყოველგვარი სამხედრო ნაწილი. საფრანგეთს კომპენსაციის სახით ეძლეოდა ზაარის აუზის ქვანახშირის საბადოები, რომლებიც 15 წლის განმავლობაში ერთა ლიგის კომისიის მმართველობაში გადადიოდა, ხოლო შემდეგ მის მომავალს განსაზღვრავდა პლებისციტი. ელზასისა და ლორენის ოლქი საფრანგეთს უნდა გადასცემოდა. გერმანიას პატივი უნდა ეცა ავსტრიის დამოუკიდებლობისათვის. დადგინდა გერმანია-ჩეხოსლოვაკიის საზღვარი, რომელიც გადიოდა ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას შორის ძველ საზღვარზე გერმანია ვალდებულებას კისრულობდა, ეცნო პოლონეთის სრული დამოუკიდებლობა, უარი ეთქვა ზემო სილეზიის ნაწილზე. დანარჩენი ნაწილის ბედი, აგრეთვე აღმოსავლეთ პრუსიის ოლქებისა სახალხო კენჭისყრას უნდა გადაეწყვიტა, გერმანია უარს ამბობდა მემელზე. მისი გადაცემა ლიტვისათვის მოხდა 1923. გერმანიამ უარი თქვა დანციგზე (გდანსკი) თავისი ოლქით, იგი თავისუფალ ქალაქად გამოცხადდა ერთა ლიგის დაცვით. დადგინდა გერმანია-დანიის ახალი საზღვარი. 1864 პრუსიის მიერ ჩამორთმეული ტერიტორიის საკითხი პლებისციტით უნდა გადაწყვეტილიყო. გერმანია ცნობდა რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი ყველა ტერიტორიის დამოუკიდებლობას 1.VIII.1914-დან, *ბრესტ-ლიტოვსკის (ბრესტის) საზავო ხელშეკრულებას (1918)*, აგრეთვე საბჭოთა მთავრობასთან დადებულ ყველა ხელშეკრულებას. ვალდებულებას იღებდა ეცნო მოკავშირეთა მიერ დადებული ყველა ხელშეკრულება და შეთანხმება ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ქვეყნებთან. გერმანია უარს ამბობდა ყველა თავის ყოფილ კოლონიაზე. ხელშეკრულებით, გერმანიის მთლიანი განიარაღება უნდა ყოფილიყო წანამძღვარი ყველა ქვეყნის საყოველთაო შეიარაღების შეზღუდვისა. სხვა სახელმწიფოების მიერ ამ გადაწყვეტილების შეუსრულებლობამ გერმანიას შემ-

დგომში საბაბი მისცა, უარი ეთქვა ხელშეკრულების სამხედრო გადანაწილებათა შესრულებაზე. გერმანიის ჯარი არ უნდა ყოფილიყო 100 ათას კაცზე მეტი და უზრუნველეყო მხოლოდ შინაგანი წესრიგის დაცვა. ოფიცერთა რიცხვი უნდა ყოფილიყო 4 ათასი კაცი, გენშტაბი დაშლილიყო და მისი ხელახალი შექმნა იკრძალებოდა. მტკიცედ იყო განსაზღვრული ჯარის შეიარაღების რაოდენობა და სახეობა, საყოველთაო სამხედრო ბეგარა გაუქმდა და ჯარი ნებაყოფლობითი დაქირავებით უნდა დაკომპლექტებულიყო. ქვეყანაში ყოველნაირი მობილიზაცია აიკრძალა. გერმანიის საზღვრებთან უნდა აეღოთ ყოველგვარი გამაგრება, ციხესიმაგრეები და ა.შ. აკრძალული იყო არმიის შეიარაღება მძიმე არტილერიითა და ტანკებით. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ინგლისის პორტ სკაპა-ფლოუში (1919 წლის ზაფხულში სარდლობამ თვითონვე ჩაძირა გემები). მას არ უნდა ჰყოლოდა სამხედრო და საზღვაო ავიაცია. რეგულირდებოდა სამხედრო ტყვეების საკითხი. დადგინდა გერმანიისა და მისი მოკავშირეების დანაშაული ომის გაჩაღებაში – შეიქმნა საერთაშორისო სარეპარაციო კომისია. გადასახადის რაოდენობა არ იქნა განსაზღვრული. გერმანიას მომავალში უნდა მიეღო მოკავშირეების მიერ დადგენილი გადასახადის რაოდენობა. რეგულირდებოდა ეკონომიკური ხასიათის, ასევე ტრანსპორტისა და საჰაერო ხაზების საკითხები. ხელშეკრულების ნაწილი ეხებოდა შრომის საკითხის საერთაშორისო დარეგულირებას და შრომის საერთაშორისო ბიუროს შექმნას.

ვ.ს.ხ-მ და მის შემდგომ დადებულმა სენ-ჟერმენის (1919), *ნეის (1919)*, *ტრიანონის (1920)* და *სევრის (1920)* საზავო ხელშეკრულებებმა საერთაშორისო ურთიერთობაში შეადგინეს სისტემა, რომელიც ცნობილი არის ვერსალის სისტემის სახელწოდებით.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ხელშეკრულების ძირითად უმრავლესობათა დადგენილებები დარღვეული აღმოჩნდა.

*ლიტ.:* Версальский мирный договор, пер. с франц., М., 1925.

**ვერსალის სამოკავშირეო ხელშეკრულებები 1756 და 1758,** გაფორმდა ანტიპრუსიული კოალიცია ავსტრიის, საფრანგეთისა და რუსეთისა შვიდწლიან ომში – 1756-63. 1756 ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ვერსალში I.V. ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა, გაეწია ერთმანეთისათვის სამხედრო და ფულადი დახმარება. 11(22).I 1757 მათ რუსეთი შეუერთდა. საიდუმლო მუხლით, საფრანგეთი ფულით უნდა დახმარებოდა რუსეთს თურქეთის წინააღმდეგ ომში, ხოლო რუსეთი – საფრანგეთს ინგლისთან კონტინენტური ომის შემთხვევაში. საფრანგეთის მეფემ ეს კონვენცია არ დაამტკიცა. ერთდროულად რუსეთმა პეტერბურგში ავსტრიასთან დადო ხელშეკრულება, რომლითაც მოითხოვდა მისგან აღმოსავლეთ პრუსიაზე რუსეთის უფლებების ცნობას.

**ვესპასიანე (Vespasianus)** ტიტუს ფლავიუს ცეზარი ავგუსტუსი, 9-79), რომის იმპერატორი (69-79). უბრალო ოჯახიდან გამოსული ვ-ს კარიერა დაიწყო ჯარისკაცობით. ხელისუფლების სათავეში ათწლიანი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობის განმტკიცებაში. ვ. იყო ფართო მასშტაბის პოლიტიკოსი. მისი დიპლომატიური შორსმჭვრეტელობის დამადასტურებელია მცხეთაში აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ იმპერატორმა და მისმა შვილებმა რომაელი ხალხის მეგობარს, იბერიის მეფე *მითრიდატეს* ქალაქის კედლები გაუმაგრეს. იბერიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარება რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების უსაფრთხოებას იცავდა ჩრდილოკავკასიელი ტომების თავდასხმებისაგან.

**ვესტმინსტერის ხელშეკრულება 1756,** იხ. *უაიტჰოლის საზავო ხელშეკრულება 1756*.

**ვესტფალიის ზავი 1648,** დაამთავრა ოცდაათწლიანი ომი, დაიდო 24.X მიუნსტერში (ვესტფალია) ორი საზავო ხელშეკრულების ფორმით, რომელიც მომზადდა *ოსნაბრიუკის კონგრესზე 1645-48* „რომის საღვთო იმპერიის" იმპერატორსა და მის მოკავშირეებს შორის, ერთი მხრივ, და შვეციასა და მის მოკავშირეებს შორის, მეორე მხრივ; აგრეთვე – მიუნსტერის კონგრესზე 1645-48 „რომის საღვთო იმპერიის" იმპერატორსა და მის მოკავშირეებს შორის, ერთი მხრივ, და საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს შორის, მეორე მხრივ. შვეციის მოთხოვნები თითქმის მთლიანად იქნა დაკმაყოფილებული. მან მიიღო დასავლეთი მხარე და ნაწილი აღმოსავლეთ პომერანიისა ქალაქებით შტეტინი (შეცინი), დამი, პოლნაუ, კუნძულები რიუგენი და ვოლინი, ქ. ვისმარი ჰავანით, ბრემენისა და ვერდენის საეპისკოპოსოები. საფრანგეთმა საბოლოოდ შეიერთა ლორენის 3 საეპისკოპოსო (მეცის, ტულის, ვერდენის) და მიიღო მთელი ელზასი სტრასბურგის გარდა. დამოუკიდებლად გამოცხადდა და იმპერიის შემადგენლობიდან გავიდა შვეიცარია და შეერთებული პროვინციის რესპუბლიკა (ჰოლანდია). რელიგიის დარგში ვ.ზ-მა გაათანაბრა უფლებრივად კალვინისტები, კათოლიკეები და ლუთერანები გერმანიაში, დააკანონა საეკლესიო მიწების სეკულარიზაცია, რომელიც 1624-მდე მოხდა.

**ვეტო,** იხ. *ერთხმივობის პრინციპი*.

**ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია,** ინდოჩინეთის სამ სახელმწიფოს შორის რეგულარული კონსულტაციების ფორმა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საგარეო პოლიტიკის საკითხების განხილვა და საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებათა კოორდინაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდგომარეობის ნორმალიზაციისთვის. პირველი შეხვედრა მოეწყო 1980 პნომპენში. 1981-დან ასეთი კონფერენციები იმართებოდა, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ, რიგრიგობით სამივე სახელმწიფოს დედაქალაქებში. მას შემდეგ, რაც მოგვარდა კამბოჯის საკითხი და სამივე ქვეყნის ურთიერთობა ჩინეთთან, ამგვარი კონფერენციებიც იშვიათობად იქცა.

**ვიეტნამ-საფრანგეთის შეთანხმებები 1946,** 1945 ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, ფრანგმა კოლონიზატორებმა დაიწყეს მოლაპარაკება ვდრ-ის ხელმძღვანელებთან. წინასწარი შეთანხმებით, რომელიც ხელმოწერილ იქნა ჰანოიში 6.III. 1946, საფრანგეთის მთავრობამ ცნო ვდრ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ თავისი მთავრობით, პარლამენტით, არმიით, ფინანსებით, რომელიც შედიოდა ინდოჩინეთის ფედერაციასა და საფრანგეთის კავშირში (იხ. *ფრანგული თანამეგობრობა*).

ფრანგების მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ვიეტნამთან დაკავშირებით ფრანგი ხელისუფალნი კისრულობდნენ ვალდებულებას, დამორჩილებოდნენ რეფერენდუმის შედეგებს. თავის მხრივ, ვდრ-ის მთავრობა დროებით უშვებდა საფრანგეთის ჯარებს ჩრდილოეთ ვიეტნამში იქ მყოფი ჩან კაიშის ჯარების შესაცვლელად. შეიყვანა რა თავისი ჯარები ჩრდილოეთ ვიეტნამში, საფრანგეთმა დაიწყო ვდრ-ის საშინაო საქმეებში ჩარევა, მოინდომა მისი მოწყვეტა სამხრეთ ვიეტნამისაგან, სადაც აპირებდა ე.წ. „კოხინხინის ავტონომიური რესპუბლიკის" შექმნას. მხოლოდ ვდრ-ის მტკიცე საქმიანობის შედეგად 14.IX.1946 ხელმოწერილ იქნა პარიზში დროებითი კონვენცია, რომლის მიხედვითაც მხარეებს უნდა შეეწყვიტათ საომარი მოქმედებები. 1946 წლის დეკემბერში საფრანგეთმა ვერაგულად დაარღვია ხელშეკრულება და გააჩაღა ომი ვდრ-ის წინააღმდეგ, მაგრამ ვიეტნამელმა ხალხმა გადამწყვეტ გამარჯვებებს მიაღწია კოლონიზატორებთან ბრძოლაში. ფრანგებმა განსაკუთრებული მარცხი იწვნიეს დიენბიენფუსთან ბრძოლაში. ომი შეწყდა მხოლოდ 1954 *ჟენევის შეთანხმების* შესაბამისად.

**ვიზა** (ლათ. visus – გასინჯული), სახელმწიფოდან გასვლის, სახელმწიფოში შემოსვლის ან სახელმწიფოს ტერიტორიაზე გავლის უფლების აღნიშვნა პასპორტში ან მის შემცვლელ სხვა დოკუმენტში. ვ. გაიცემა გარკვეული ვადით. სახელმწიფოებში შესვლისა და სახელმწიფოთა დატოვების უვიზო წესი გათვალისწინებულია ცალკეულ სახელმწიფოთა ორმხრივი სპეციალური შეთანხმებების საფუძველზე.

**ვიზა დიპლომატიური**, საგარეო საქმეთა უწყების, დიპლომატიური ან საკონსულო დაწესებულების მიერ გაკეთებული განსაკუთრებული აღნიშვნა, რომელიც კეთდება პირის პასპორტში და ნიშნავს აღნიშნული პირის დიპლომატიური სტატუსის აღიარებას. ვ.დ. გაიცემა სახელმწიფოს მთავრობის წევრებსა და უმაღლესი თანამდებობის პირებზე, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეებსა და განსაკუთრებულ დიპლომატიურ მისიებში მონაწილეებზე, დიპლომატიურ კურიერებზე.

ვ.დ. გაიცემა იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირი, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული ვიზა, პირადი საქმეების გადასაწყვეტად მიემგზავრება. ასევე *საერთაშორისო ზრდილობის* ნორმებიდან გამომდინარე, ზოგჯერ ვ.დ. ეძლევა ისეთ პირს, რომელსაც არ გააჩნია დიპლომატიური პასპორტი.

**ვიზიტი დიპლომატიური**, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ოფიციალურ და საქმიან წრეებთან, ასევე დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი გზა.

ოფიციალურ და აუცილებელ ვ.დ-ს განეკუთვნება ვიზიტები, რომლებიც დაკავშირებულია *რწმუნების სიგელების* გადაცემასთან. საოქმო განყოფილების უფროსთან ვიზიტის შედეგად დიპლომატიური წარმომადგენელი არკვევს თავის *აკრედიტებასთან* დაკავშირებულ საკითხებსა და ადგილობრივ საოქმო წესებს.

საგარეო საქმეთა მინისტრთან ვიზიტის დროს დიპლომატიური წარმომადგენელი გადასცემს თავის რწმუნების სიგელს, თავისი წინამორბედის გაწვევის სიგელს და იმ სიტყვის ტექსტს, რომლის წარმოთქმასაც ის აპირებს. ამავდროულად იგი ითხოვს სახელმწიფოს მეთაურთან *აუდიენციას* რწმუნების სიგელის გადასაცემად. შესაძლოა ვიზიტი *დიპლომატიური კორპუსის დუაიენთან.*

რწმუნების სიგელების გადაცემისა და ამის შემდგომ დიპკორპუსისათვის *ნოტიფიკაციის* შემდეგ, დიპლომატიური წარმომადგენელი ოფიციალურად მოინახულებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურებს.

საქმეთა რწმუნებულები პირველები მიდიან ვ.დ-ით ელჩებთან, რომლებიც მათთან საპასუხო ვიზიტით მიდიან. დიპლომატიური წარმომადგენელი ვ.დ-ით მოინახულებს ასევე საზოგადოებრიობის, საქმიანი წრეების, პრესის, კულტურისა და სამეცნიერო წრეების გამოჩენილ წარმომადგენლებს.

თავისი მისიის დასასრულს დიპლომატიური წარმომადგენელი გამოსათხოვარი ვიზიტით მოინახულებს საოქმო ნაწილის უფროსს, ადგენს გამოთხოვების საოქმო წესებსა და მოინახულებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენლებს.

დიპლომატიური წარმომადგენელი შეიძლება კერძო ვიზიტებით ესტუმროს იმ პირებს, რომლებთანაც ურთიერთობის სურვილი აქვს. ვიზიტი დანიშნულ დროს იმართება. ვიზიტის დასასრულის დროს, ყოველთვის, გარდა სახელმწიფოს მეთაურთან ვიზიტისა, განსაზღვრავს სტუმარი. მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური აცნობებს პირველ სტუმარს ვიზიტის დასასრულის თაობაზე.

ვ.დ-ს ახორციელებენ აგრეთვე დიპლომატიური წარმომადგენლობის სხვა წევრები (თანამშრომლები) და მათი მეუღლეები.

**ვიზიტი სახელმწიფო**, სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა. იგი ხელს უწყობს სახელმწიფოს საერთაშორისო კავშირების გაფართოებას, მწვავე და რთული საერთაშორისო პრობლემების სწრაფ და ავტორიტეტულ გადაწყვეტას.

ვ.ს-ს მიეკუთვნება სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის ან უმაღლესი დონის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი მეორე სახელმწიფოში. დიპლომატიური ოქმის შესაბამისად განასხვავებენ სხვადასხვა კვალიფიკაციის ვ.ს-ს, მათი განხორციელებისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი ცერემონიალები.

**ვიკი** (Wieck) ჰანს გეორგ (დ. 1928), გფრ-ის დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1954-დან. 1959-65 – გაეროში გფრ-ის მუდმივი მეთვალყურის აპარატის მრჩეველი, შემდეგ – აშშ-ში გფრ-ის საელჩოს მრჩეველი. 1966-დან – გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამდივნოს გამგე, 1966-69 – თავდაცვის მინისტრი. 1970-74 – თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკური დაგეგმარების სამმართველოს უფროსი. 1974-77 – ელჩი ირანში. 1977-80 – სსრკ-ში. 1980-დან – გფრ-ის მუდმივი წარმომადგენელი ნატოს საბჭოში.

**ვილანდ ალსამორა** (Wieland Alzamora) უბერტ არტურ (დ. 1927), პერუელი დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1953-დან. იყო ელჩად რუმინეთში, გფრ-ში, პერუს მუდმივ წარმომადგენლად საერთაშორისო ორგანიზაციებში ჟენევაში, ეკავა რიგი მაღალი თანამდებობები საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1979-82 –

პერუს ელჩი სსრკ-ში. 1983-დან – პერუს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში.

**ვილნოს უნია 1401**, დაიდო 1811, პოლონეთის მეფესა და ლიტვის დიდ მთავარს, ვლადისლავ II-სა (იაგაილოს) და ლიტვის მმართველ ვიტოვტს შორის. ვ.უ. პოლონეთისა და ლიტვის განუყოფელ კავშირს აცხადებდა, ცნო ვიტოვტისათვის ლიტვის დიდი მთავრის ტიტული. მისი სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება ლიტვაში იაგაილოს ან მის მემკვიდრეებს უნდა დაბრუნებოდა. თუ იაგაილო გარდაიცვლებოდა უმემკვიდრეოდ, პოლონეთში მეფის არჩევა უნდა მომხდარიყო ვიტოვტისა და ლიტველ ბოიართა მონაწილეობით. ვ.უ-მ ხელი შეუწყო პოლონეთისა და ლიტვის ძალების გაერთიანებას ტევტონთა ორდენის წინააღმდეგ გრიუნვალდის (1410) ბრძოლაში. ტორუნის საზავო ხელშეკრულების შემდეგ 1411 პოლონეთ-ლიტვის უნია გადაისინჯა (იხ. *გოროდლოს უნია 1413*).

**ვილსონი (Wilson) (ტომას) ვუდრო** (1856-1924), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1911-13 – ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორი, 1913-21 – პრეზიდენტი. 1914-17 ატარებდა აშშ-ის ნეიტრალიტეტის პოლიტიკას პირველ მსოფლიო ომში. 1917 ომი გამოუცხადა გერმანიას. რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ წინ ელობებოდა რუსეთის ომიდან გამოსვლას (იხ. *რუსეთის მისია 1917*). იყო ანტისაბჭოთა იმპერიალისტური ინტერვენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი (1917-22). 1918 წამოაყენა ზავის პროგრამა (იხ. *ვილსონის „თოთხმეტი პუნქტი“*). *ერთა ლიგის* ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი წესდების ჩამოყალიბების კომისიის თავმჯდომარე. აქტიურად მონაწილეობდა *პარიზის საზავო კონფერენციის* 1919-20 მუშაობაში, რომელიც შემდეგში აშშ-ის სენატმა არ დაამტკიცა. 1920 საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩამოსცილდა.

**ვილსონი (Wilson) ჯეიმს ჰაროლდ** (1916-1993), ინგლისელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1945-დან – თემთა პალატის წევრი; 1945-47 – საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს პარლამენტის წევრი; 1944 – ვაჭრობისა და ზღვისიქითა ტერიტორიების მინისტრი; 1947-51 – ვაჭრობის მინისტრი; 1961-62 – ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე; 1963-76 – ლეიბორისტული პარტიის ლიდერი; 1964-70 – პრემიერ-მინისტრი.

**ვილსონის „თოთხმეტი პუნქტი“**, ზავის პირობები, ჩამოყალიბებული აშშ-ის პრეზიდენტის *ვ.ვილსონის* მიერ კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში 1918 წლის 8 იანვარს, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედო იმ საზავო ხელშეკრულებებს, რითაც ფორმალურად დასრულდა *პირველი მსოფლიო* ომი 1914-18. იგი წარმოადგენდა ლენინისეულ *„დეკრეტზე ზავის შესახებ“* თავისებურ გამოხმაურებას.

„თოთხმეტი პუნქტი“ ითვალისწინებდა: 1. ღია საზავო მოლაპარაკებებს; 2. ნაოსნობის აბსოლუტურ თავისუფლებას ზღვებზე; 3. ვაჭრობის თავისუფლებას – საბაჟო შეზღუდვების გაუქმებას; 4. გარანტიების დაწესებას, რომლებიც შეიარაღების შემცირებას უზრუნველყოფენ; 5. კოლონიური საკითხების მიუკერძოებლად მოგვარებას; 6. გერმანიის მიერ რუსეთის ყველა ოკუპირებული ტერიტორიის განთავისუფლებას; 7. ბელგიის განთავისუფლებას და აღდგენას; 8. გერმანიის მიერ საფრანგეთისათვის ყველა ოკუპირებული მიწის დაბრუნებას ელზას-ლორენის ჩათვლით; 9. იტალიის საზღვრების შესწორებას აშკარად გამოხატული ეროვნული ნიშნებით; 10. ავსტრია-უნგრეთის ხალხებისთვის ავტონომიის მინიჭებას; 11. გერმანიის მიერ რუმინეთის, სერბიისა და ჩერნოგორიის ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებას, სერბიისათვის ზღვაზე გასასვლელის მიცემას; 12. თურქეთისა და ოსმანთა იმპერიის ეროვნული ავტონომიების ცალ-ცალკე არსებობას; 13. დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფოს შექმნას; 14. „ერთა საყოველთაო კავშირის“ შექმნას (იხ. *ერთა ლიგა*).

არსებითად „თოთხმეტი პუნქტი“ ატარებდა დემაგოგიურ ხასიათს და ასახავდა აშშ-ის გაბატონებული წრეების მისწრაფებას, მოეპოვებინათ ჰეგემონობა საერთაშორისო პოლიტიკაში. ამ დოკუმენტის იმპერიალისტური ხასიათი განსაკუთრებით გამჟღავნდა იმ კომენტარებში, რომლებიც ვილსონის ნდობით აღჭურვილი პირის – პოლკოვნიკ ე. *ჰაუზის* დავალებით 1918 გააკეთეს უ.ლიპმანმა და ფ. კობბმა.

*ლიტ.:* Архив полковника Хауза, т.4, М., 1944.

**ვილჰელმ II (Wilhelm)**, ფრიდრიხ-ვილჰელმ ვიქტორ ალბერტ ჰ ო ჰ ე ნ ც ო ლ ე რ ნ ი (Hohenzollern) (1859-1941), გერმანიის იმპერატორი და პრუსიის მეფე 1866-1918. ტახტზე ასვლის შემდეგ დაითხოვა ო. ფ. *ბისმარკი* (1890). მის მიერ აღებულმა „ახალმა კურსმა“ *„გადაზღვევის ხელშეკრულების“* (1887) გაუქმება და ინგლისთან ერთგვარი დაახლოება გამოიწვია. 90-იანი წლების შუახანებში სცადა რუსეთთან დაახლოება. აქტიურ კოლონიურ პოლიტიკას ეწეოდა. 1918 რევოლუციის დაწყების შემდეგ ნიდერლანდებს შეაფარა თავი.

**ვილჰელმ III**, ორანის პრინცი (Wilhelm van Oranje) (1650-1702), 1672-89 – შეერთებული პროვინციების რესპუბლიკის (ჰოლანდიის რესპუბლიკის) შტატჰალტერი. გამოვიდა ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზატორად. თავის მხარეზე გადაიბირა „რომის საღვთო იმპერია“, დანია, ესპანეთი. დაამთავრა ომი საფრანგეთთან და ხელი მოაწერა *ნიმვეგენის საზავო ხელშეკრულებას* (1676-79). ინგლისის მეფის, ჯეიმს II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ინგლისის მეფე გახდა 1689-1702. 1689 შექმნა ახალი ანტიფრანგული კოალიცია – აუგსბურგის ლიგა – და დაიწყო ომი საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც *რისვიკის საზავო ხელშეკრულებით* (1697) დამთავრდა. გადადგა რამდენიმე დიპლომატიური ნაბიჯი *ესპანური მემკვიდრეობისათვის* ბრძოლის თავიდან ასაცილებლად.

**ვიმონი (Vimont) ჟაკ პიერ** (დ. 1911), ფრანგი დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1938-დან. მუშაობდა საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში იუგოსლავიაში (1938-39), თუნისში (1939-42), შვეიცარიაში (1949-50), ბრაზილიაში (1951-53). 1944-46 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი. 1946-49 იყო მაროკოს მთავრობის მრჩეველი და თუნისის მთავრობის გენერალური მდივანი (1950-51); 1954-57 – აშშ-ში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი-დესპანი. 1957-58 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე, ხოლო 1958-65 – ამავე სამინისტროს კადრების დეპარტამენტის უფროსი; 1965-69 – საფრანგეთის ელჩი მექსიკაში; 1969-73 – ჩეხოსლოვაკიაში; 1973-76 – სსრკ-ში; 1976-80 – კომპანია „ერ ფრანსის“ მმართველობის წევრი.

**ვინია-დელ-მარის ქარტია 1969** („ვინია-დელ-მარის ლათინურამერიკული თანხმობა"), მიღებულ იქნა 17.V ქ. ვინია-დელ-მარში (ჩილე) ლათინური ამერიკის 21 ქვეყნის საკოორდინაციო კომისიის სხდომაზე. წარმოადგენდა ლათინური ამერიკის 21 ქვეყნის პროგრამას ვაჭრობის, ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

ქარტიაში ამერიკათაშორისო თანამშრომლობის ძირითად პრინციპებად გამოცხადებულ იქნა სახელმწიფოთა სუვერენული უფლება საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების შესახებ, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა და გარედან სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა. ლათინური ამერიკის ქვეყნებმა გაილაშქრეს ე.წ. „დაკავშირებული სესხების" სისტემის წინააღმდეგ, როცა აშშ-ის სესხის გაცემა უკავშირდებოდა რაიმე მოთხოვნას ეკონომიკურ ან სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში; გამოდიოდნენ საგადასახადო პროცენტების შემცირების და აშშ-ში ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ექსპორტზე მაღალი ტარიფებისა და სხვა შეზღუდვების მოხსნის, სამართლიანი ფასების დაწესების, აშშ-ის მხრიდან ლათინური ამერიკის ბაზარზე დემპინგზე უარის თქმის და ა.შ. მოთხოვნებით. 1970 წლის თებერვალში ამერიკათაშორისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ, მიუხედავად აშშ-ის წინააღმდეგობისა, დაადგინა, რომ ამერიკის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემები მოგვარებულიყო ვ-დ-მ.ქ-ის საფუძველზე.

ქარტიამ ცხადყო წინააღმდეგობა ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და აშშ-ს შორის. იგი იქცა პირველ ლათინურამერიკულ კოლექტიურ პლატფორმად ამერიკათაშორისო ურთიერთობების საკითხებში. შემდგომში მისი დებულებები საფუძვლად დაედო *ბოგოტის დეკლარაციას 1973* და *ტლატელოლკოს დეკლარაციას 1974*.

ლიტ.: Keesing's Contemporary Archives. 1969-70. Vol.17, p.23715-16.

**ვინოგრადოვი** სერგეი ალექსანდრეს ძე (1907-70), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიური სამსახური დაიწყო 1940-დან. 1940 – თურქეთში საბჭოთა წარმომადგენლობის მრჩეველი; 1940-48 – სრულუფლებიანი წარმომადგენელი (1941-დან – ელჩი) თურქეთში; 1948-49 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეროს საქმეების განყოფილების გამგე; 1949-50 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს I ევროპული განყოფილების გამგე; 1950-53 – სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარე; 1953-65 – სსრკ-ის ელჩი საფრანგეთში, 1965-67 – სამინისტროს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი, სამინისტროს კოლეგიის წევრი; 1967-70 – სსრკ-ის ელჩი ეგვიპტეში. მონაწილეობდა რიგი საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში.

**ვინცერი** (Winzer) ოტო (1902-75), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1949-56 – გდრ-ის პრეზიდენტის სტატს-მდივანი და კანცელარიის უფროსი; 1956-დან – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1959-65 – საგარეო საქმეთა მინისტრის ჯერ სტატს-მდივანი, შემდეგ კი პირველი მოადგილე. მონაწილეობდა საგარეო საქმეთა მინისტრების *ჟენევის თათბირის* მუშაობაში. 1965-75 – გდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ვიროლაინენი** (Virolainen) იოჰანეს (დ. 1914), ფინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1950-დან სხვადასხვა სამინისტრო თანამდებობებზეა: იყო პრემიერ-მინისტრი (1964-66); პრემიერ-მინისტრის მოადგილე – 1958, 1962-63, 1968-70, 1977-79; საგარეო საქმეთა მინისტრი – 1954-56, 1957 და 1958; ფინანსთა მინისტრი – 1972-75; ეროვნული დაგეგმარების საბჭოს თამჯდომარე – 1956-66; განათლების მინისტრი – 1953-54, 1968-70; სოფლის მეურნეობის მინისტრი – 1961-63; სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი – 1976-79; პარლამენტის თამჯდომარე – 1966-69, 1979-83; პარტია „აგრარული კავშირის" (1965-დან „ცენტრის პარტია") ვიცე-თავმჯდომარე – 1946-64 და თავმჯდომარე – 1965-80; 1982-83 – *საპარლამენტთაშორისო კავშირის* საბჭოს თავმჯდომარე. იყო *„პაასიკივი-კეკონენის ხაზის"* მომხრე.

**ვირტი** (Wirth) კარლ იოზეფ (1879-1956), გერმანიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1914-33 – რაიხსტაგის დეპუტატი; 1918-20 – ბადენის მხარის ფინანსთა მინისტრი, ხოლო 1920-21 – ფინანსთა რაიხსმინისტრი; 1921-22 – გერმანიის რაიხსკანცლერი. გამოაცხადა *1919 ვერსალის საზავო ხელშეკრულების* ლოიალური შესრულების პრინციპი. ხელი მოაწერა *1922 რაპალოს ხელშეკრულებას*. 1929-30 – მოკავშირეების მიერ გერმანიაში ოკუპირებული ტერიტორიების საკითხების მინისტრი. 1930-31 – შინაგან საქმეთა მინისტრი. ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ იმყოფებოდა ემიგრაციაში ჯერ საფრანგეთში. შემდეგ – შვეიცარიაში – 1933-48. 1953 დააარსა გფრ-ში გერმანელთა კავშირის პარტია, რომელიც იბრძოდა ერთიანობის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. 1952-დან იყო *მშვიდობის მსოფლიო საბჭოს* წევრი.

**ვისკოვატი** ივანე მიხეილის ძე (გ. 1570), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1542-49 – საელჩო პრიკაზის პოდიაჩი, ხოლო 1549-დან ხელმძღვანელობდა პრიკაზს ა. ადაშევთან ერთად. 1553-დან – დუმის დიაკი. XVI ს. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საგარეო პოლიტიკაში. 1569-70, როცა თურქეთმა და ყირიმმა ომი დაიწყეს, ვ. ბოიართა შეთქმულებაში დაადანაშაულეს და 1570 სიკვდილით დასაჯეს.

**ვიტე** სერგეი იულის ძე (1849-1915), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1892 წლის თებერვალ-მარტში – საგზაო მინისტრი, 1892-1903 – ფინანსთა; 1896 იყო ერთ-ერთი ინიციატორი ჩინეთთან თავდაცვითი ხელშეკრულების დადებისა, ხელს უწყობდა ციმბირის რკინიგზის მანჯურიის ტერიტორიაზე გავლას. ცდილობდა, ხელი შეეშალა იაპონიის ექსპანსიისათვის შორეულ აღმოსავლეთში, მაგრამ ამასთან არ სურდა ამ ქვეყანასთან ურთიერთობის გამწვავება და გამოდიოდა მანჯურიის სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ. *ნიკოლოზ II*-თან უთანხმოების გამო 1903 გადადგა. 1905 მეთაურობდა დელეგაციას, რომელმაც დადო *პორტსმუთის საზავო ხელშეკრულება* იაპონიასთან. 1905-06 – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. არ სურდა *ბიორკის ხელშეკრულების* (1905) დადება გერმანიასთან. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი და ფინანსთა კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ეწეოდა.

**ვიტელიუსი** (Vitellius) ლუციუს, სირიის ლეგატი იმპერატორების – ტიბერიუსისა და კალიგულას დროს. რამდენ-

ჯერმე იყო არჩეული კონსულად. იმპერატორ ავლუს ვიტელიუსის მამა. 34 სომხეთის ტახტის განთავისუფლებით გამოწვეულ პართია-რომის კონფლიქტში ასრულებდა ტიბერიუსის ნებას და აქტიურად იდგა იბერიის მეფის მხარეზე. ვ-ის, როგორც დიპლომატის, დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სომხეთიდან პართების განდევნა და იქ იბერიის სამეფო ოჯახის წარმომადგენლის, მითრიდატეს გამეფება.

**ვიშეგრადის ჯგუფი**, იხ. *ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება.*

**ვიშინსკი** ანდრეი იანუარის ძე (1883-1954), საბჭოთა მეცნიერი და დიპლომატი. მინიჭებული ჰქონდა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი.

დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა 1940-დან. 1940–46 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე; 1946–49 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1949-53 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1953-54 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე და გაეროში სსრკ-ის მუდმივი წარმომადგენელი.

მონაწილეობდა *ყირიმის (იალტის) კონფერენციაში* 1945, *ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციაში* 1945, სსრკ-ის, აშშ-ის, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრების 1943 *მოსკოვის კონფერენციასა* და 1945 *მოსკოვის თათბირში,* ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიებში (1946, 1947, 1949), აგრეთვე მთელ რიგ სხვა საერთაშორისო კონფერენციებში მეორე მსოფლიო ომის წლებში და ომის შემდგომ როგორც სსრკ-ის დელეგაციის მეთაური ან დელეგაციის წევრი.

იყო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1939), სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და სკკპ ცკ-ს წევრი.

**„ვიშის მთავრობა"**, ჰიტლერელების საფრანგეთში შეჭრის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ ხმების უმრავლესობით კაპიტულაციას დაუჭირა მხარი. მთავრობის მეთაური პ. რეინო გადადგა. მის მაგიერად მარშალი ფ. *პეტენი* დაინიშნა, რომელმაც მაშინვე მიმართა *ჰიტლერს* დაზავების თაობაზე. *კომპიენის დაზავების* (1940) შემდეგ დეპუტატებისა და სენატორების ჯგუფმა, რომლებიც ვიშში (სამხრ. საფრანგეთი) შეიკრიბნენ, საფრანგეთის პარლამენტის ფუნქცია თვითონ აიღეს და მთელი ძალაუფლება პეტენს გადასცეს. „ვ.მ"-ის მმართველობა ვრცელდებოდა არაოკუპირებული საფრანგეთის ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირმა 1940 წლის 6. XI თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი გაგზავნა ვიშში. გერმანიის მიერ სსრკ-ზე თავდასხმის შემდეგ „ვ.მ"-მ სსრკ-თან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა.

**ვიჯეირანტე** (Wijeyerante) ნისანკა პარაკრამა (დ. 1924), შრი-ლანკას საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1948 დაამთავრა ცეილონის უნივერსიტეტი. 1948-77 სხვადასხვა დროს მუშაობდა ცეილონის სამოქალაქო სამსახურის სამმართველოს წევრად, იმიგრაციისა და ემიგრაციის ინსპექტორის მოადგილედ, სოფლის მეურნეობის ადმინისტრაციის დირექტორის მოადგილედ, ხანსინის დირექტორის მოადგილედ, კომუნალური მომსახურების კომისიის მდივნად, შინაგან საქმეთა სამინისტროში – მდივნის უფროს თანაშემწედ, რადიომაუწყებლობის გენერალურ დირექტორად, კულტურული ურთიერთობების დირექტორად. 1977-80 – საშუალო, უმაღლესი განათლებისა და იუნესკოს საქმეთა მინისტრი; 1980-88 – შრი-ლანკას იუსტიციისა და იუნესკოს საქმეთა მინისტრი; 1993 წლის ოქტომბრიდან – შრი-ლანკას ელჩი საქართველოში.

**ვლადისლავიჩის ელჩობა 1725-28**, ცინის ჩინეთში გაგზავნა რუსეთის მთავრობამ გადაუწყვეტელი საკითხების მოსაწესრიგებლად, რომლებიც ხელს უშლიდა ორივე ქვეყნის კეთილმეზობლურ ურთიერთობას. 1725 ელჩობა პეკინში გაემგზავრა სავა ლუკას ძე რაგუზინსკი-ვლადისლავიჩის მეთაურობით. 1726 წლის 21. X ელჩობა პეკინში ჩავიდა. მოლაპარაკების მთავარი თემა გახდა იმ საზღვრების საკითხი, რომლებიც არ იყო *ნერჩინსკის ხელშეკრულებით* (1689) განსაზღვრული. ჩინეთის მხარე ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებდა. მოლაპარაკება 1727 მდ. ბურეზე გაგრძელდა. 20. VIII ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც ორ ქვეყანას შორის საზღვარი გადიოდა მდ. არგუნიდან დასავლეთით, შაბინ-დაბაღამდე. 1727 წლის 21. X ხელი მოაწერეს მეორე *კიახტის ხელშეკრულებას*, რომელიც განსაზღვრავდა ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობას.

**ვოდაკი** (Wodak) ვალტერ (1908-74), ავსტრიელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1946-დან. 1953-59 – წარგზავნილი, შემდეგ ელჩი იუგოსლავიაში. 1959-64 საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხსაგებ სამუშაოზეა. 1964-70 – ელჩი სსრკ-ში. 1970-74 – საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი.

**ვოზნიცინი** პროკოფი ბოგდანის ძე, რუსი დიპლომატი XVII ს. 60-70-იან წლებში. დიპლომატიური მისიით მოგზაურობდა ავსტრიაში, პოლონეთსა და ვენეციაში. 1681 იყო კონსტანტინოპოლის ელჩობაში, ჯერ დიაკი, მერე ელჩი. 1697 *დიდ ელჩობაში* მონაწილეობდა მოლაპარაკებებში ბრანდენბურგსა და ჰოლანდიაში. წარმოადგენდა რუსეთს *კარლოვაცის კონგრესზე* 1698-99, სადაც ხელი მოაწერა დაზავებას თურქეთთან.

**ვოიკოვი** პეტრე ლაზარეს ძე (1888-1927), რევოლუციის აქტიური მონაწილე, საბჭოთა დიპლომატი. 1922 დაინიშნა საბჭოთა ოფიციალურ აგენტად კანადაში, მაგრამ ინგლისის მთავრობამ უარი უთხრა *აგრემანზე*. 1924-დან – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში, სადაც მოკლა თეთრემიგრანტმა.

**ვოლინსკი** არტემ პეტრეს ძე (1689-1740), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1717 – რუსეთის წარმომადგენელი ირანში, სადაც დადო სავაჭრო ხელშეკრულება. 1719-30 – ასტრახანისა და ყაზანის გუბერნატორი. 1737 მონაწილეობდა თურქეთთან მოლაპარაკებაში *ნემიროვის კონგრესზე*. 1738 – კაბინეტ-მინისტრი. 1740 ბირონის ინტრიგის გამო სიკვდილით დასაჯეს.

**ვოროვსკი** ვაცლავ ვაცლავის ძე (1871-1923), რუსეთში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, საბჭოთა დიპლომატი და პუბლიცისტი.

დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა 1917-დან. 1917-19 – საბჭოთა წარმომადგენელი სკანდინავიის

ქვეყნებში. დადო რამდენიმე სავაჭრო შეთანხმება შვეციასთან. ასრულებდა ვ. ი. *ლენინის* დავალებებს გერმანიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისას საზავო ხელშეკრულების დადების თაობაზე. 1918 წლის აგვისტოში მონაწილეობდა ფინეთთან მოლაპარაკებაში. 1920 დაინიშნა რუსეთის ეკონომიკური დელეგაციის მეთაურად იტალიაში. 26.XII.1921 ხელი მოაწერა იტალიასთან წინასწარ შეთანხმებას (იხ. *სსრკ-იტალიის ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ოქმები*), რომელიც ნიშნავდა იტალიის მიერ საბჭოთა ხელისუფლების ცნობას დე-ფაქტოდ. 1921-23 – რსფსრ-ს წარმომადგენელი იტალიაში. იმავდროულად იყო საბჭოთა დელეგაციის გენერალური მდივანი *გენუის კონფერენციაზე 1922*, საბჭოთა დელეგაციის წევრი *ლოზანის კონფერენციაზე 1922-23*. 1923 წლის 10.V ლოზანაში იგი თეთრგვარდიელებმა მოკლეს (იხ. *სსრკ-შვეიცარიის კონფლიქტი 1923-27*).

**ვორონცოვი** ალექსანდრე რომანის ძე (1741-1805), გრაფი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1761-62 – დროებითი წარმომადგენელი ავსტრიაში. 1762-64 – სრულუფლებიანი მინისტრი ინგლისში, 1764-68 – ჰოლანდიაში; 1773-94 – კომერც-კოლეგიის პრეზიდენტი. 1792-1802 გადამდგარი იყო. 1802-04 – სახელმწიფო კანცლერი.

**ვორონცოვი** იული მიხეილის ძე (დ. 1929), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1952-დან. 1952-54 და 1958-62 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელი; 1954-58 – გაეროში სსრკ-ის მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომელი; 1962-63 საპასუხისმგებლო სამუშაოზეა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში; 1963-65 – გაეროში სსრკ-ის მუდმივი წარმომადგენლობის მრჩეველი; 1965-66 საპასუხისმგებლო სამუშაოზეა საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატში; 1966-70 – აშშ-ში სსრკ-ის საელჩოს მრჩეველი, ხოლო 1970-77 – მრჩეველი-დესპანი; 1977-83 – სსრკ-ის ელჩი ინდოეთში; 1983-86 – სსრკ-ის ელჩი საფრანგეთში; 1986-90 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1990-94 – სსრკ-ისა და რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში; 1994-დან – რუსეთის ელჩი აშშ-ში.

**ვორონცოვი** მიხეილ ილარიონის ძე (1714-67), გრაფი, რუსი დიპლომატი. 1741 ხელი შეუწყო ელისაბედ პეტრეს ასულის გამეფებას. 1744-58 – ვიცე-კანცლერი. საფრანგეთთან დაახლოების მომხრე; 1758-63 – კანცლერი. მხარს უჭერდა ავსტრიასთან კავშირს თურქეთის წინააღმდეგ. *ეკატერინე II*-ის ტახტზე ასვლის შემდეგ გადადგა.

**ვორონცოვი** სიმონ რომანის ძე (1744-1832), გრაფი, რუსი დიპლომატი. 1783 – სრულუფლებიანი მინისტრი ვენეციაში; 1785-დან – წარგზავნილი, ხოლო 1798-დან – ელჩი ლონდონში. მხარს უჭერდა ინგლისთან დაახლოების პოლიტიკას. მთავარ მოწინააღმდეგედ რუსეთისათვის მიაჩნდა საფრანგეთი და პრუსია. *ალექსანდრე I-ის* გამეფების შემდეგ ისევ დაინიშნა ელჩად ლონდონში, მაგრამ მისი ინგლისთან უკიდურესად დაახლოების პოზიციის გამო, რომელსაც რუსეთის მთავრობა არ იზიარებდა, 1806 გადადგა და ინგლისში დარჩა როგორც კერძო პირი.

**ვრანიცკი** (Vranitzky) ფრანც (დ. 1937), ავსტრიის ფედერალური კანცლერი. სწავლობდა ვენის მსოფლიო ვაჭრობის უმაღლეს სკოლაში (ამჟამად ეკონომიკის უნივერსიტეტი). ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი. 1961 ფირმა სიმენს-შუკერტის თანამშრომელია. იმავე წელს სამუშაოს იცვლის და მუშაობას იწყებს ავსტრიის ეროვნულ ბანკში. 1970-76 მჭიდროდ თანამშრომლობდა მაშინდელ ფინანსთა მინისტრთან ჰანს ანდროშისთან. 1976-81 ავსტრიის ეროვნული ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილეა. 1981-დან – სახელმწიფო სამიწო ბანკის გენერალური დირექტორი; 1984 – ფრედ ზინოვაცის მინისტრთა კაბინეტის ფინანსთა მინისტრი; 1986 წლის 9 ივნისიდან 1987 წლის 4 იანვრამდე – ფედერალური კანცლერი.

**ვუორი** (Vuori) ეერო აარნე (1900-66), ფინელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1944-45 – გზათა მიმოსვლისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი ი.კ. *პაასიკივის* მთავრობაში; 1945-52 – ფინეთის დესპანი დიდ ბრიტანეთში; 1953-55 – ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი; 1955-63 – ფინეთის ელჩი სსრკ-ში; 1964-65 – ფინეთის საქმეთა რწმუნებული შვეციაში; 1966 – ფინეთის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი.

# ზ

**ზალკინდი** ივანე აბრამის ძე (1885-1928), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა 1917-დან. რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მონაწილეობდა მეფის რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებიდან საიდუმლო დოკუმენტების კრებულების პუბლიკაციაში. 1917 – რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის (სსსკ) თანამშრომელი. 1918 – რსფსრ სახკომსაბჭოს რწმუნებული შვეიცარიაში. 1918-22 ასრულებდა რსფსრ ცაკ-ის და სსრკ-ის დავალებებს ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში. 1922-23 – სსრკ-ის გენერალური კონსული კონსტანტინოპოლში (სტამბული). 1923-24 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა კომისარიატის ცენტრალური აპარატის თანამშრომელი. 1924 – სსრკ-ის კონსული ლიეპაიაში (ლატვია). 1924-25 – სსრკ-ის კონსული გენუაში (იტალია). 1925-27 – სსრკ-ის გენერალური კონსული მილანში (იტალია). 1927-28 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა კომისარიატის დიპლომატიური აგენტი ლენინგრადში.

**ზამი** (Sahm) ჰაინც-ულრიხ (დ. 1917), გერმანელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1951-დან. მუშაობდა გფრ-ის საელჩოში დიდ ბრიტანეთში (1954-62), ნატოს ორგანიზაციასთან (პარიზი) გფრ-ის წარმომადგენლობაში (1962-66). გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში (1966-69). 1969-72 მუშაობდა ფედერალური კანცლერის უწყებაში განყოფილების გამგედ. 1972-77 იყო გფრ-ის ელჩი სსრკ-ში. 1977-79 – ელჩი თურქეთში. 1979-დან – გფრ-ის მუდმივი წარმომადგენელი გაეროს ჟენევის განყოფილებასა და იქ მყოფ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

**ზანძან ზორაბაბელი**, თბილისელი დიდვაჭარი XII ს-ში. სახელმწიფო დარბაზის დავალებით ჩრდილოეთ კავკასიაში მოციქულად გაიგზავნა *თამარის* საქმროს – ვლადიმირ-სუზდალის დიდი მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის – *იურის* (გიორგის) ჩამოსაყვანად, რომელიც ყივჩაყთა ქალაქ სუნჯაში იყო თავშეფარებული. მან დიდი გულმოდგინება გამოიჩინა და ვადაზე ადრე ჩამოიყვანა საქმრო. თამარის მეორე ისტორიკოსი ზ.ზ-ს ამ საპატიო მისიის აღსრულებისათვის შეუფერებელ პირად მიიჩნევს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თბილისელი დიდვაჭრის წარგზავნა მოციქულად სამეფო კარის წინასწარ განზრახული და საგანგებოდ მოფიქრებული ნაბიჯი იყო. დიპლომატიური მისიის მარცხით დამთავრების შემთხვევაში ოფიციალური ხელისუფლება მოიხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

წყარო: ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იქვე.

ლიტ.: კიკნაძე რ., ფარსადან გორგიჯანიძე და ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბ., 1975; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ 2, თბ., 1965 (თხზ., ტ2, თბ., 1983); Метревели Р. В., Внешняя политика Грузии в средние века (XII век), Тб., 1995.

**ზარუბინი** გიორგი ნიკოლოზის ძე (1900-58), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამუშაოზეა 1940-დან. 1940-41 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საკონსულო განყოფილების გამგე. 1941-44 – საგარეო საქმეთა კომისარიატის ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე. 1944-46 – სსრკ-ის ელჩი კანადაში. 1946-52 – ელჩი დიდ ბრიტანეთში. 1952-58 – ელჩი აშშ-ში. 1958 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

**ზბოროვის ხელშეკრულება 1649** (1649 „დეკლარაცია"), დაიდო 8(18).VIII პოლონეთის მეფე იან კაზიმირსა და ზაპოროჟიეს ჰეტმან ბოგდან *ხმელნიცკის* შორის ზბოროვთან (ახლანდ. ქ. ტერნოპოლი). ზ.ხ-ით რეესტრში, ოფიციალურ სიებში შეტანილი კაზაკების რიცხვი განსაზღვრული იყო 40 ათას კაცამდე, დანარჩენი გლეხები, რომლებიც სიებში არ მოხვდნენ, ბატონყმურ მდგომარეობას უბრუნდებოდნენ. კაზაკები უნდა დაბინავებულიყვნენ კიევის, ჩერნიგოვისა და ბრაცლავის სავოევოდოებში, საიდანაც პოლონელთა ჯარი უნდა გაეყვანათ. ზაპოროჟიეს ჰეტმანს მიეცა ქ. ჩიგირინი ოლქითურთ. ყირიმის ხანმა პოლონეთ-უკრაინის მიმართ არბიტრის როლი იკისრა და მათ თავის ნებას კარნახობდა. ზ.ხ. არც ერთ მხარეს არ აკმაყოფილებდა და მალე ორივემ დაიწყო მზადება ბრძოლისათვის (იხ. *ბელოცერკოვის ხელშეკრულება 1651*).

**ზემსკი** ვლადიმერ ვასილის ძე (დ. 1939), რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.

1967 დაამთავრა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი. 1967-79 მუშაობდა კუბის რესპუბლიკასა და პორტუგალიაში, სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში. 1979-85 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული განყოფილების მრჩეველი. 1985-86 – სსრკ-ის საელჩოს მდივანი ესპანეთში. 1986-90 – სსრკ-ის საელჩოს მრჩეველი-წარგზავნილი პორტუგალიაში. 1990-91 – სსრკ-ის საელჩოს მდივანი-მრჩეველი ანგოლაში. 1991-92 – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე. 1992 წლის ნოემბრიდან 1996-მდე – ელჩი საქართველოში.

**ზემსკოვი** იგორ ნიკოლოზის ძე (1921-82), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამუშაოზე იყო 1946-დან. 1946-57 პასუხსაგებ სამუშაოზეა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში; 1957-67 – სამინისტროს ისტორიულ-დიპლომატიური სამმართველოს უფროსი; 1968-73 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი; 1973-დან – სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, იუნესკოს საკითხებში სსრკ-ის კომისიის თავმჯდომარე. 1956 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური დოკუმენტების საგამომცემლო კომისიის სწავლული მდივანი.

**ზვენიგოროდსკის ელჩობა** კახეთში 1589-90, რუსეთის ხელმწიფემ თევდორე ივანეს ძემ კახეთის მეფის, *ალექსანდრე II-ისაგან* ფიცის წიგნის მიღების შემდეგ კახეთში გაგზავნა ელჩობა დიპლომატის, თავად სიმონ ზვენიგოროდსკისა და დიაკ ტორხ ანტონოვის მეთაურობით. ელჩობას მიჰქონდა ხელმწიფის წყალობის სიგელი ოქრობეჭდით და საჩუქრებით. რუს ელჩებს გამოყვნენ მოსკოვში მყოფი ქართველი ელჩები თავად ყაფლან ვაჩნაძის მეთაურობით. 1589 წლის ოქტომბერში ზვენიგოროდსკი და ანტონოვი კახეთს ჩავიდნენ. მათ ალექსანდრე II-ს გადასცეს თევდორე ივანეს ძის წყალობის სიგელი. რუსეთის ხელმწიფე კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას ადასტურებდა და ალექსანდრე II-ს ყველა მტრისგან, პირველ რიგში კი, როგორც კახთა მეფე ითხოვდა, შამხალისაგან დაცვას აღუთქვამდა. სამაგიეროდ თევდორე ივანეს ძე კახეთის მეფისაგან ერთგულ სამსახურს მოითხოვდა. 1590 წლის მაისში ელჩები კახეთიდან გაემგზავრნენ. მათ თან გაჰყვნენ ალექსანდრე II-ის ელჩები სულეიმანი და ხურშიტა.

*ლიტ.:* ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967.

**ზინოვიევი** ივანე ალექსის ძე (1835-1917), რუსი დიპლომატი.

1872-76 – რუსეთის დესპანი რუმინეთში და ევროპის ქვეყნების დუნაის კომისიის წევრი. 1876-83 – რუსეთის დესპანი ირანში. 1889-91 ხელს უწყობდა მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას ირანის მთავრობასთან საზღვრის დადგენის შესახებ ირანსა და იმიერკასპიისპირეთის ოლქს შორის. 1883-91 – რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის უფროსი. 1891-97 – რუსეთის დესპანი შვეციაში. 1897-1909 – რუსეთის ელჩი თურქეთში. 1909-დან, დროის რაღაც მონაკვეთში, იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი.

**ზოგადი შეთანხმებები მახლობელ აღმოსავლეთში დროებითი ზავის შესახებ 1949**, 1948 წლის 15 მაისს შვიდმა არაბულმა სახელმწიფომ – ეგვიპტემ, სირიამ, იორდანიამ, ერაყმა, ლიბანმა, საუდის არაბეთმა და იემენმა ჯარები შეიყვანეს პალესტინაში და ომი დაიწყეს ისრაელის წინააღმდეგ, რომლის შექმნაც გამოცხადდა წინა დღით. მათი მიზანი იყო, არ დაეშვათ გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის №181 (II) რეზოლუციის განხორციელება პალესტინის დაყოფისა და იქ ორი დამოუკიდებელი – ებრაული (ისრაელი) და არაბული – სახელმწიფოს შექმნის თაობაზე. თავდაპირველად წარმატება არაბთა მხარეზე იყო, მაგრამ შემდეგ უპირატესობა ისრაელის მხარეზე გადავიდა. პალესტინის არაბული სახელმწიფო აღარ შეიქმნა. ისრაელმა ხელთ იგდო გაეროს მიერ მისთვის გამოყოფილი ტერიტორიის (11.1 ათასი კვ. კმ) ნახევარზე მეტი (6,7 ათასი კვ. კმ) და იერუსალიმის დასავლეთი ნაწილი. იორდანიამ დაიკავა პალესტინის არაბული სახელმწიფოს დანარჩენი ტერიტორია მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე (5,5 ათასი კვ. კმ) და აღმოსავლეთ იერუსალიმი, ხოლო ეგვიპტემ – ღაზის სექტორი (258 კვ. კმ). ჯერ კიდევ ომამდე და საომარი მოქმედებების დროს პალესტინა იძულებით დატოვა 960 ათასმა არაბმა (1350 ათასიდან). გაჩნდა პრობლემა პალესტინელი ლტოლვილებისა. 1949 წლის 7 იანვარს,გაეროს უშიშროების საბჭოს არაერთი მოწოდების შემდეგ, პალესტინაში ომი შეწყდა. 1948 წლის 4 და 16 ნოემბრის უშიშროების საბჭოს 61-ე და 62-ე რეზოლუციების საფუძველზე 1949 კუნძულ როდოსზე (საბერძნეთი) გაეროს შუამავლობით ისრაელსა და მეომარ არაბულ სახელმწიფოებს (გარდა საუდის არაბეთისა და იემენისა, რომლებიც უშუალოდ არ ესაზღვრებოდნენ პალესტინას) შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმებები დროებითი ზავის შესახებ: ეგვიპტესთან – 24.II, ლიბანთან – 23.III, იორდანიასთან – 3.IV, სირიასთან – 20.VII. დროებითი შეთანხმებების სისტემას უნდა ემოქმედა პალესტინაში მშვიდობის დასამყარებლად „საბოლოო პოლიტიკურ შეთანხმებამდე". შეთანხმებების მიხედვით განისაზღვრა სადემარკაციო ხაზი და რამდენიმე დემილიტარიზებული ზონა (სირია-ისრაელის საზღვრის გასწვრივ). კონტროლი დროებითი ზავის დაცვაზე დაეკისრა შერეულ არაბულ-ისრაელის კომისიას გაეროს მეთვალყურეთა შტაბის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. მაგრამ გადაუჭრელი დარჩა ტერიტორიული საკითხები, პალესტინელი ლტოლვილების პრობლემა, არ იქნა უზრუნველყოფილი იერუსალიმის საერთაშორისო სტატუსი. დაფიქსირდა მხოლოდ დროებითი ზავისა და ცეცხლის შეწყვეტის დროებითი ხაზები და არა სახელმწიფო საზღვრები.

**ზონა ეკონომიკური**, იხ. *განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა.*

**ზონა მშვიდობის**, ტერმინი, რომლითაც აღინიშნება მსოფლიოს ისეთი რეგიონი, სადაც ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებანი მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისა და სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით. როგორც წესი, ღონისძიებათა ამ კატეგორიას მიეკუთვნება ბირთვული იარაღის განლაგების აკრძალვა, უცხო სახელმწიფოთა *სამხედრო ბაზების* ლიკვიდაცია, უცხო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში *საერთაშორისო სამართლის* უმნიშვნელოვანესი პრინციპების (ძალით მუქარის ან ძალის გამოუყენებლობისა და დავების მშვიდობიანი გზით გადაჭრის) დამკვიდრება.

ზ.მ. გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინია, ვიდრე უბირთვო ზონები. ზ.მ-ად, სპეციალური დეკლარაციის თანახმად, გამოცხადებული იყო ინდოეთის ოკეანის ზონა (იხ. *დეკლარაცია ინდოეთის ოკეანის მშვიდობის ზონად გამოცხადების შესახებ 1971*).

**ზონა საერთაშორისო**, ტერიტორია, რომლის მიმართაც დაინტერესებულ მხარეებს დადგენილი აქვთ მართვის განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმი (იხ. *განსაკუთრებული ტერიტორიული რეჟიმები*). როგორც წესი, ეს არის დემილიტარიზებული ან ნეიტრალიზებული ზონა. საერთაშორისო ზონის მაგალითად მოჰყავთ ე. წ. ტანჟერის ზონა (იხ. *ტანჟერის კონვენციები 1923-1956*).

**ზონა უშიშროების** (საერთაშორისო საზღვაო სამართალში), განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის მქონე ზონა, რომელიც იქმნება *კონტინენტური შელფის* დაზვერვისა და დამუშავებისათვის აგებული ხელოვნური დანადგარებისა და ნაგებობების ირგვლივ.

ზ.უ-ის დაწესება პირველად დაფიქსირებულ იქნა *ჟენევის 1958 კონვენციაში* კონტინენტური შელფის შესახებ. რაც შეეხება *გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციას*, იგი ითვალისწინებს მსგავსი ზონების დაწესებას არა მარტო კონტინენტურ შელფზე, არამედ *განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაშიც*. ზ.უ-სა ვრცელდება ზემოთ აღნიშნული დანადგარებისა და ნაგებობების გარე კიდის ყოველი წერტილიდან 500 მ-ის მანძილზე. უცხო სახელმწიფოთა გემებს აკრძალული აქვთ აღნიშნულ ზონაში შესვლა. ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მსგავსი ზონები. დამრღვევი გემი შეიძლება დაკავებულ იქნეს შესაბამისი სამსახურების მიერ.

გაეროს 1982 კონვენციის დებულებათა შესაბამისად ზ.უ-ის (არა უმეტეს 500 მ-ის) შეიძლება დაწესებულ იქნეს სამეცნიერო-საკვლევი დანადგარების ირგვლივ მსოფლიო ოკეანის ნებისმიერ ადგილზე.

**ზონები ნდობის განმტკიცებისა**, იხ. *ნდობის განმტკიცების ღონისძიებები*.

**ზონები სპეციალური**, იხ. *სპეციალური საზღვაო ზონები*.

**ზღვის გარემოს დაცვა და შენარჩუნება**, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი *გლობალური პრობლემის* – მსოფლიო ოკეანის გამოყენებისა და დაცვის განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული პრობლემა არცთუ ისე დიდი ხანია დადგა კაცობრიობის წინაშე და, ამდენად, მისი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება დაიწყო XX ს-ის 50-იანი წლებიდან. ასე მაგ., პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღნიშნულ სფეროში იყო 1954 მიღებული კონვენცია ნავთობით ზღვის დაჭუჭყიანებისაგან დაცვის შესახებ (ცვლილებები 1962, 1969 და 1971), 1971 მიღებული კონვენცია ნავთობით დაჭუჭყიანებისაგან მიღებული ზარალის საკომპენსაციო ფონდის შექმნის შესახებ, 1973 საერთაშორისო კონვენცია გემებიდან დაჭუჭყიანების თავიდან აცილების შესახებ და სხვ. ზ.გ.დ.შ-ის სამართლებრივი საფუძველია უნივერსალური, რეგიონული, ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შესაბამისი ეროვნული (შიდასახელმწიფოებრივი) კანონები.

ზოგადი ნორმები ზ.გ.დ.შ-ის სფეროში ჩამოყალიბებულია *გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციის* XII ნაწილში. პირველ მუხლში განმარტებულია, თუ რა ითვლება ზღვის გარემოს დაჭუჭყიანებად (ზღვის გარემოში ადამიანის მიერ ისეთი ნივთიერებების შეტანა, რომლებიც ზიანს აყენებს ცოცხალ რესურსებს, ადამიანის ჯანმრთელობას და ხელს უშლის საზღვაო საქმიანობის ნორმალურ განხორციელებას), ხოლო 192-ე მუხლი ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, დაიცვან და შეინარჩუნონ ზღვის გარემო. სახელმწიფოებმა, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომლებიც საჭიროა აღმოსანდება ზღვის გარემოს შენარჩუნებისა და დაცვისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, 235-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოები აღნიშნულ სფეროში თავიანთი მოვალეობების შეუსრულებლობისას პასუხს აგებენ საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმების საფუძველზე.

*საერთაშორისო სამართალში* არსებობენ რამდენიმე სამართლებრივ მექანიზმს ზ.გ.დ.შ-ის სფეროში, ასეთებია: ხმელეთიდან და ატმოსფეროდან დაცვა; გემებიდან დაჭუჭყიანებისაგან დაცვა; ჩამარხვებისაგან დაჭუჭყიანების დაცვა; ზღვის ფსკერის საერთაშორისო რაიონში განხორციელებული საქმიანობის შედეგად დაჭუჭყიანებისაგან დაცვა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ თანამშრომლობას, რომელიც რეგიონული აქტების საფუძველზე ხორციელდება. ესენია: *ჰელსინკის 1974 კონვენცია* ბალტიის ზღვის დაჭუჭყიანებისაგან დაცვის შესახებ, ბარსელონის 1975 კონვენცია ხმელთაშუა ზღვის დაჭუჭყიანებისაგან დაცვის შესახებ. შავი ზღვის დასაცავად მიღებულ იქნა სპეციალური კონვენცია 1992 ბუქარესტში (ბუქარესტის კონვენცია 1992 შავი ზღვის გარემოს დაჭუჭყიანებისაგან დაცვისა და შენარჩუნების შესახებ).

**ზღვის ყურეები**, *გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციის* თანახმად, ზ.ყ-ში იგულისხმება წყლები, რომლებიც ისეა შემოსაზღვრული ხმელეთის კარგად გამოკვეთილი შეჭრილი სანაპიროთი, რომ ქმნის მეტ შეღრმავებას, ვიდრე ეს ჩვეულებრივი სანაპირო ზოლისთვისაა დამახასიათებელი. ამასთან, ყურედ არ ითვლება ისეთი წყლები, რომელთა ნახევარწრის ფართობის დიამეტრი ნაკლებია ყურეში შესასვლელი ხაზის სიგრძეზე. თუ ყურის შესასვლელში მდებარეობს კუნძულები და, აქედან გამომდინარე, ყურეს აქვს რამდენიმე შესასვლელი, მაშინ აღნიშნული ნახევარწრის დიამეტრის გამოსათვლელად აიღება ცალკეულ შესასვლელთა შემაერთებელი ხაზების სიგრძის ჯამი.

კონვენციის თანახმად, თუ ყურეს ირგვლივ ესაზღვრება ერთი სახელმწიფო და მასში შესასვლელის სიგანე არ აღემატება 24 საზღვაო მილს, მაშინ იგი სახელმწიფოს შიდა წყლების კატეგორიას მიეკუთვნება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყურეში შესასვლელის სიგანე 24 მილს აღემატება, პირდაპირი ამოსავალი ხაზები ყურის გარე საზღვრის დასადგენად გაივლება ისე, რომ მან შემოფარგლოს წყლის მაქსიმალურად დიდი ფართობი. კონვენციის აღნიშნული დებულებანი ამავე კონვენციის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად არ ვრცელდება ე. წ. „ისტორიულ ყურეებზე". ასეთი ყურეების ბუნებრივი შესასვლელის სიგანე ხშირად აღემატება 24 მუხლს, მაგრამ ისინი ტრადიციულად, დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდნენ სანაპირო სახელმწიფოების მიერ ისე, რომ ეს ხელს უშლიდა საერთაშორისო ნაოსნობას და როგორც სანაპირო სახელმწიფოების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულია სანაპირო სახელმწიფოს ისტორიულად კუთვნილ ტერიტორიად. ისტორიულ ყურეებს მიეკუთვნება პეტრე დიდის ყურე (რუსეთი), ბრისტოლის და მორიფერტის ყურეები (ინგლისი), ჰუდზონის ყურე (კანადა) და სხვ.

განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი აქვთ იმ ყურეებს, რომლებიც გარშემორტყმულია 2 ან მეტი სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიით. ასეთ შემთხვევაში *ტერიტორიული ზღვისა* და ნაციონალური იურისდიქციის საზღვრები დადგინდება *საზღვაო სივრცეების დელიმიტაციისათვის* დადგენილი ჩვეულებრივი წესების საფუძველზე.

**ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვა**, მოიცავს სახელმწიფოთა ინდივიდუალურად და ერთობლივად განხორციელებულ საქმიანობას, მიმართულს იმ პოპულაციათა შენარჩუნებისა ან აღდგენისაკენ, რომლებიც თევზის რეწვის ობიექტს წარმოადგენენ. აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და სახელმწიფოთა საშინაო კანონმდებლობის საფუძველზე.

ზოგადი ნორმები ზ.ც.რ.დ-თან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია *გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციის* V და VII თავებში. ზ.ც.რ.დ-ის საქმეში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება და შესაბამისი უფლებანი ენიჭება სანაპირო სახელმწიფოებს. ასე მაგ.: სწორედ სანაპირო სახელმწიფო აწესებს იმ ნორმას ცოცხალი რესურსების რეწვისა, რომელიც დასაშვებია ნაპირიდან 200-მილიან *განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში;* იღებს შესაბამის ზომებს, რათა თევზის რესურსებს არ შეექმნას საფრთხე ზედმეტი ექსპლუატაციისა ან სხვა პირობებისაგან (61-ე მუხლი). ამ მიზნით, კონვენციის 73-ე მუხლის თანახმად, სანაპირო სახელმწიფოს მინიჭებული აქვს ისეთი უფლებანი, როგორიცაა გემის დათვალიერება, ინსპექტირება, დაკავება და საქმის სასამართლოში აღძვრაც კი.

კონვენციის 117-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ზ.ც.რ.დ-ის მიზნით, მიიღონ შესაბამისი ზომები და განახორციელონ საჭიროების შემთხვევაში რეგიონული და სუბრეგიონული თანამშრომლობა.

რეგიონული თანამშრომლობის მცდელობა შავი ზღვის რეგიონში განხორციელებულ იქნა 1959 შავ ზღვაზე თევზჭერის რეგულირების შესახებ შეთანხმების დადებით. აღნიშნულმა შეთანხმებამ ფაქტობრივად ვერ უზრუნველყო მასში ჩამოყალიბებული დებულებების განხორციელება, რასაც რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ქონდა (თუნდაც ის, რომ თურქეთი არ იყო ამ შეთანხმებების მონაწილე). დღეისათვის პროექტი შავი ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის შესახებ რეგიონული ხელშეკრულებებისა თითქმის დასრულებულია და მასში ჩამოყალიბებული დებულებანი რეალური შედეგების მიღწევის გარანტიას წარმოადგენს.

ზ.ც.რ.დ-ის საკითხებს ემსახურება რიგი *უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები:* FAO, ატლანტიკური თინუსის შენარჩუნების საერთაშორისო კომისია, ხმელთაშუა ზღვაში თევზჭერის გენერალური საბჭო და სხვ.

# თ

**თავართქილაძე** ბეგლარ (დ. 1954), საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში. 1973 ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე. 1978 უნივერსიტეტის სრული კურსის დამთავრების შემდეგ – ლენინგრადის ციტოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი. ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. 1982-დან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად. 1986 დაამთავრა სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები რეფერენტის სპეციალობით. სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, იტალიის და აშშ-ის უნივერსიტეტებში. 1994 წლის 10 ოქტომბრიდან საქართველოს ელჩია იტალიაში.

**თავაძე** ილია ყაისარის ძე (1905-73), ქართველი მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, დიპლომატი. დაამთავრა მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტი (1934). 1938-დან – საქართველოს კპ ცკ-ის მდივანი აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში. 1943-45 – საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი.

1946 წლის თებერვლიდან იყო საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოს პირველი მდივანი; 1949 წლის იანვრიდან მუშაობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში პრესის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1951 დაინიშნა საბჭოთა კავშირის ელჩად სირიასა და ლიბანში. 1953-დან დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო პარტიული სკოლის დირექტორად, ხოლო 1955-73 იყო რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი. იყო საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კპ ცკ-ის წევრი (1938-47), ცკ-ის ბიუროს წევრი (1938-43).

**თავდაუსხმელობა**, საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც ჩამოყალიბდა ჩვენი საუკუნის 20-30-იან წლებში და წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოუყენებლობის პრინციპის განუყოფელ ნაწილს. პრინციპის ძირითადი მოთხოვნაა სახელმწიფოებმა პირველებმა არ გამოიყენონ შეიარაღებული ძალები მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ. თავდაუსხმელობის პრინციპით კანონგარეშედ იქნა ცნობილი აგრესიული ომი და ფაქტიურად უარყოფილ იქნა „ომის უფლება". პირველი მრავალმხრივი საერთაშორისო დოკუმენტი, სადაც აღიარებული იყო თავდაუსხმელობის პრინციპის განხორციელების აუცილებლობა, იყო 1928 მიღებული ე.წ. *ბრიან-კელოგის პაქტი*, რომელიც კრძალავდა ომის როგორც ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისა და გატარების საშუალებას. პაქტს მალე მოჰყვა არანაკლებ მნიშვნელოვანი დოკუმენტები: ამერიკათაშორისო ხელშეკრულება 1933 და საადის პაქტი 1937. აღნიშნული აქტების საფუძველზე აღიარებულ იქნა თავდაუსხმელობის პრინციპი. გაეროს შექმნის შემდეგ აღნიშნული პრინციპი შეტანილ იქნა გაეროს წესდებაში, სადაც მან ტრანსფორმაცია განიცადა და დღეს ფაქტიურად მოქმედებს როგორც ძალის ან ძალის მუქარის გამოყენების აკრძალვის პრინციპი.

**თავდაცვა**, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპასუხო მოქმედება თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის ან ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, იგი მიმართულია იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც არ განუხორციელებია შეიარაღებული თავდასხმა, მაგრამ დაარღვია ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობის პრინციპი.

თავდაცვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, აღნიშნული ქმედებანი არ შეიძლება გადატანილ იქნეს დამრღვევი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. თავდაცვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს შეიარაღებული ძალა წინასწარი სამშვიდობო პროცედურის გავლის გარეშე.

**თავისუფალი ვაჭრობის ლათინურამერიკული ასოციაცია** (Asociacion Latinoamericana de Libre Comercio – ALALC), რეგიონული სავაჭრო-ეკონომიკური ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1960 მონტევიდეოს ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა არგენტინამ, ბრაზილიამ, მექსიკამ, პარაგვაიმ, პერუმ, ურუგვაიმ და ჩილემ და ძალაში შევიდა 1961 წლის 2/VI. შემდგომში ხელშეკრულებას შეუერთდნენ კოლუმბია, ეკვადორი, ვენესუელა და ბოლივია.

ასოციაციის მიზანი იყო ლათინურ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა, ეკონომიკური ინტეგრაციის მაქსიმალური განვითარება, ვაჭრობის განვითარება საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლების გზით. ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული იყო ინდუსტრიალიზაციის კოორდინირება და მესამე სახელმწიფოებთან სავაჭრო რეჟიმების უნიფიკაცია.

თ.ვ.ლ.ა-ს მოღვაწეობის განმაელობაში მნიშვნელოვანი სირთულეები ჰქონდა, რამაც განაპირობა თავდაპირველად მის ფარგლებში რამდენიმე სუბრეგიონული ჯგუფის შექმნა (იხ. *ამაზონის პაქტი, ლა-პლატის ჯგუფი, ანდების ჯგუფი*), ხოლო მოგვიანებით, 1980-თვის – მისი გარდაქმნა *ინტეგრაციის ლათინურამერიკულ ასოციაციად.*

**თავისუფალი საფრანგეთი** (La France libre), საფრანგეთის ანტიჰიტლერული მოძრაობა, რომელიც აღმოცენდა *მეორე მსოფლიო ომის* მსვლელობაში საფრანგეთის გარეთ და რომელმაც თავის ამოცანად გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებისგან საფრანგეთის განთავისუფლება გამოაცხადა. მოძრაობას, რომლის შტაბ-ბინა ლონდონში იყო, მეთაურობდა გენერალი შ. დე *გოლი*. მის განკარგულებაში იყო რამდენიმე ფრანგული შენაერთი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიმართ წინააღმდეგობის მოძრაობის მხარდაჭერას, რომელიც თვით საფრანგეთში იმყოფებოდა, აქ მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საფრანგეთის კომპარტიას. თ.ს-ის მოქმედების დასაწყისად ითვლება 1940 წლის 18.VI, როცა დე გოლმა ლონდონის რადიოთი მოუწოდა ფრანგ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ინგლისის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, გაეშალათ ბრძოლა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. ორგანიზაციებად გაფორმდა 1941 წლის 24.IX, როცა შეიქმნა თ.ს-ის ეროვნული კომიტეტი. 1942 წლის ივნისში თ.ს-ს ეწოდა „მებრძოლი საფრანგეთი" (La France combattante). 1944 ამ ორგანიზაციამ მიიღო სახელწოდება – საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა. 1941 წლის 26.IX საბჭოთა მთავრობამ ცნო დე გოლი და ეროვნული კომიტეტი. 1942 წლის აპრილში დანიშნა თავისი ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენელი საფრანგეთის ეროვნულ კომიტეტში. 1942 წლის 25.XI შეიქმნა საფრანგეთის ავიაესკადრილია „ნორმანდია", რომელიც მოგვიანებით „ნორმანდია-ნემანის" პოლკად გადაკეთდა. 1944 წლის 10.XII დაიდო საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ (იხ. *საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ოქმები*).

*ლიტ.:* Советско-французские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945. Документы и материалы в 2-х тт., М., 1983.

**თავისუფალი ქალაქი**, ქალაქი (ზოგჯერ მიმდებარე ტერიტორიითურთ), გამოიყოფა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნი განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმით, როგორც წესი, დემილიტარიზებული და ნეიტრალიზებული. თ.ქ-ის სტატუსი გააჩნდათ კრაკოვს (1815-46) და გდანსკს (დანციგს – 1920-39).

*1919 ვერსალის საზავო ხელშეკრულებით* დანციგი ხდებოდა „თავისუფალი სახელმწიფო" საკუთარი კონსტიტუციით, მმართველობის ორგანოებით (ფოლკსტაგი, სენატი) და მოქალაქეობით. სამხედრო ხასიათის მოღვაწეობა დანციგში, როგორც თავისუფალ ქალაქში, ითვლებოდა მისი სტატუსის დარღვევად.

იტალიასთან 1947 საზავო ხელშეკრულებით (იხ. *საზავო ხელშეკრულებები 1947*) გათვალისწინებული იყო ქალაქ ტრიესტის და მიმდებარე ოლქის გამოყოფა „ტრიესტის თავისუფალ ტერიტორიად". ტერიტორიას უნდა ჰქონოდა საკუთარი კონსტიტუცია, მმართველობის, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები. მაგრამ „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორიის" რეჟიმი ძალაში არ შევიდა და 1954 თანხმობის მემორანდუმის შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილი იყო ლონდონში, „ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია" გაყოფილ იქნა იტალიასა და იუგოსლავიას შორის.

რეჟიმი, რომელიც ახლოს დგას თავისუფალი ქალაქის სტატუსთან, არსებობდა ტანჟერში (1923-40; 1945-56) (იხ. *ტანჟერის კონვენციები 1923, 1956*), საარში (1919-35; 1945-55). გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1947 წლის 26 ოქტომბრის რეზოლუციით ამ რეჟიმის დადგენა გათვალისწინებული იყო ქ. იერუსალიმისთვის (იხ. *იერუსალიმის სტატუსი*).

1971 წლის 3 ოქტომბრის ოთხმხრივი შეთანხმებით დადგენილი იყო დასავლეთ ბერლინის განსაკუთრებული სტატუსი (იხ. *ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის სტატუსის თაობაზე 1971*). გერმანიის გაერთიანების შედეგად 1990 წლის 3 ოქტომბერს აღნიშნულმა სტატუსმა შეწყვიტა არსებობა.

**თავშესაფრის უფლება**, სახელმწიფოს სუვერენული უფლება მისცეს (იმ შეზღუდვებით, რომლებიც გამომდინარეობენ თანამედროვე *საერთაშორისო სამართლის* საყოველთაოდ მიღებული ნორმებიდან) პოლიტიკური თავშესაფარი პირს, რომელმაც შესაბამისი თხოვნით მიმართა მოცემულ სახელმწიფოს. აძლევს რა თავშესაფარს პოლიტემიგრანტს, სახელმწიფომ იგი უნდა უზრუნველყოს იმ უფლებებით, რომლებიც შეუქმნის მას უშიშრად ცხოვრების ნორმალურ პირობებს თავის ტერიტორიაზე (პოლიტემიგრანტის არგაცემა მისი იმ ქვეყნისთვის არგადაცემა, რომელიც მან მიატოვა, ან სადაც იგი დევნის საშიშროების მსხვერპლი გახდება; პოლიტემიგრანტისათვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების მიცემა არანაკლები მოცულობით, ვიდრე სარგებლობენ მოცემულ ქვეყანაში *უცხოელები*).

*ლიტ.:* Галенская Л.Н., Право убежища, М., 1968.

**თამაზ I**, შაჰ თამაზი (თახმასპი) (1513-76), ირანის შაჰი (1524-76) სეფიანთა დინასტიიდან, *ისმაილ I-ის* ვაჟი. ტახტზე ავიდა 10 წლისა. ამ დროს სახელმწიფოს ფაქტობრივად განაგებდნენ ყიზილბაშური ტომების ბელადები. ყიზილბაშურ მომთაბარე და ადგილობრივ, ირანულ არისტოკრატიასთან ბრძოლაში თ.I-მა განიმტკიცა თავისი პოზიციები, ჩაახშო სეპარატისტული აჯანყებები, მან 1538 სეფიანთა სახელმწიფოს შეუერთა შარვანი, 1551 შაჰი ებრძოდა შუა აზიის უზბეკ ხანებს ხორასნისათვის. 1554 დახმარება აღმოუჩინა დიდ მონღოლთა ინდურ-მუსლიმური სახელმწიფოს თემურიან გამგებელს ჰუმაიუნს, დაებრუნებინა ტახტი, რისთვისაც მიიღო ყანდაჰარი (ავღანეთი). აწარმოებდა ომებს ოსმალეთთან დიდი სტრატეგიული და სამეურნეო მნიშვნელობის მქონე აღმ.ამიერკავკასიის, ქურთისტანისა და არაბეთის ერაყისათვის. ომების ასპარეზს თითქმის მუდმივად წარმოადგენდა აღმ. საქართველო. 1541-54 თ.I ოთხჯერ შემოესია საქართველოს და დიდი ზიანი მიაყენა მას. 1555 დადო ზავი ოსმალეთთან ამასიაში (იხ. *ამასიის ზავი*), რომლის ძალითაც ირანმა და ოსმალეთმა გაიყვეს ამიერკავკასია. ქართლ-კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს აღმ.ნაწილი ირანს ხვდა წილად. ქართლის მეფეებმა *ლუარსაბ I-მა* და *სიმონ I-მა* გააგრძელეს შეიარაღებული ბრძოლა ირანთან დამოუკიდებლობისათვის. სიმონ I-ის დატყვევების (1569) შემდეგ თამაზმა ქართლი უბოძა მის გამუსლიმებულ ძმას დაუდ-ხანს, მაგრამ მოსახლეობამ რენეგატს მხარი არ დაუჭირა.

თ.I-ის მმართველობის ბოლო წლებში საბოლოოდ გაუქმდა ვაჭრობაზე, ხელოსნობაზე დაწესებული გადასახადი – თამღა. რუსეთის მიერ ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზის ათვისებასთან ერთად თ.I შეეცადა, დამყარებულიყო ირანის სავაჭრო კავშირები ევროპის ქვეყნებთან, კერძოდ კი

ინგლისთან. 1571 შაჰ თამაზს ეწვია ვენეციის ელჩი დ'ალესანდრი იმ მიზნით, რომ შეკრულიყო სამხედრო კავშირი ვენეციასა და ირანს შორის თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს ეომებოდა ვენეციას და სხვა ევროპულ სახელმწიფოებს, მაგრამ მისი მისია წარუმატებლად დამთავრდა. შაჰი ირან-ოსმალეთის ზავს მტკიცედ მიიჩნევდა და უარი განაცხადა ვენეციასთან კავშირზე.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973; **История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л.,1958.**

**თამარ დედოფლის ელჩობა ნადირ-შაჰთან**, XVIII ს. 40-იანი წლების დასაწყისში *ნადირ-შაჰმა* დაღესტანში ილაშქრა. ლაშქრობის პერიოდში მან ქართველებიც შეავიწროვა სურსათის თხოვნით, რამაც ზოგიერთი მათგანის განდგომა გამოიწვია. ისინი ნადირ-შაჰის დასმულ მოხელეს – ტფილისის ხანს ებრძოდნენ. ამით განრისხებულმა შაჰმა გადაწყვიტა „აყრა მათი და მოწყვეტა ქართლ-კახეთისა ერისა". *თეიმურაზ II-მ* დაღესტანში სამშვიდობო მისიით წარავლინა მეუღლე – თამარ დედოფალი (*ვახტანგ VI-ის* ასული, *ერეკლე II-ის* დედა, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით). დედოფალმა ნადირ-შაჰს სთხოვა უარი ეთქვა თავის განზრახვაზე, აცნობა აგრეთვე, რომ მისი მეუღლე და ვაჟი ამ საქმეში უდანაშაულონი იყვნენ. მოციქულად მანდილოსნის წარგზავნა, რაც თავის მხრივ დიპლომატიური ნაბიჯი იყო, სასურველი შედეგით დამთავრდა – შაჰმა ხელი აიღო ქართლ-კახეთის აოხრებაზე. მან დიდი პატივით გამოისტუმრა დედოფალი, მაგრამ ამასთანავე ტფილისის ხანს მოსწერა ბრძანება განდგომილ ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი დასჯის შესახებ.

*წყარო:* ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ლელა მიქიაშვილის გამოც., თბ., 1989.

**თამარი** (დაახლ.1160-1213, სხვა ცნობებით, 1207, 1210), საქართველოს მეფე 1184-დან, *გიორგი III-ის* ასული, 1179 გიორგი III-მ თანამოსაყდრედ დანიშნა. 1184-დან გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ, ერთმმართველი გახდა. მისი გამეფებისთანავე ფეოდალურმა არისტოკრატიამ დაიწყო ბრძოლა დაკარგული პოლიტიკური პრივილეგიების აღსადგენად. მათ თ. ხელახლა აკურთხეს მეფედ, რითაც ხაზი გაუსვეს თავიანთ უფლებებს. თ. იძულებული გახდა ზოგი რამ დაეთმო: გადააყენა გიორგი III-ის მიერ აღზევებული ერთგული მოხელეები ამირსპასალარი ყუბასარი და მსახურთუხუცესი აფრიდონი. ამის შემდეგ მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით გამოვიდა მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის დასი. 1185 გავლენიან ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა თ-ს, მისი სურვილის წინააღმდეგ შერთო რუსი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილი გიორგი. ორიოდ-ორნახევარი წლის შემდეგ თ. განქორწინდა და იური საქართველოდან განდევნეს. 1188 იქორწინა ბაგრატიონთა ოსური შტოს წარმომადგენელზე *დავით სოსლანზე*.

მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო ფეოდალებმა 1191 აჯანყება მოაწყვეს და ბიზანტიაში მყოფი თ-ის ქმარყოფილი იური საქართველოში შემოიყვანეს. თ-მა ჯერ მოლაპარაკებით სცადა საქმის მოგვარება, შემდეგ კი მათ წინააღმდეგ ლაშქარი გაგზავნა და აჯანყებულები დაამარცხა.

თ-მა დაამარცხა მეფის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდებული ფეოდალები. ოპოზიცია იძულებული გახდა დამორჩილებულიყო. მეფემ სასტიკად ჩაახშო სახელმწიფო ვალდებულებათა წინააღმდეგ მიმართული მთიელთა (ფხოველთა, დიდოელთა) აჯანყება (1212).

XII ს. 90-იანი წლებიდან თ-მა ფართო ფრონტით შეუტია სელჩუკებს. მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანი მფლობელები გაერთიანდნენ საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად და დახმარება სთხოვეს მაჰმადიანთა უზენაეს ხელისუფალს – ბაღდადის ხალიფას. 1195 შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. 1203 დაამარცხეს რუმის სულთნის – რუქნადინის ლაშქარი. 1201-03 აიღეს სომხური ქალაქები ანისი და დვინი, რის შედეგადაც ჩრდილო და ცენტრალური სომხეთი საქართველოს შემოუერთდა; ქართული დიპლომატიის გამარჯვება იყო 1204 ტრაპიზონის იმპერიის შექმნა, რომელიც შემდეგ საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

თ-ის მეფობის დასასრულისათვის საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები იყვნენ აღმოსავლეთით შირვანი და რანი; ჩრდილოეთით – ქაშაგეთი, ოსეთი, დურძუკეთი, დიდოეთი, ღუნძეთი, ლეკეთი და დარუბანდი. მოხარკე ქვეყნები სამხრეთით – ხლათის სასულთნო, ერზინკის სასულთნო, კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, ნახჭევანის საამირო. XII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIII ს. დასაწყისში ფეოდალურმა საქართველომ თავისი პოლიტიკური სიძლიერის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. თ-ის მეფობაში საქართველოში ფართო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა (აშენდა გზები, ხიდები, ციხესიმაგრეები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები). თ. მფარველობდა და მატერიალურ დახმარებას უწევდა ქართული კულტურის ცენტრებს ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მფარველობას უწევდა მეცნიერებს, პოეტებს, ხელოვანთ.

*ლიტ.:* მეტრეველი რ., მეფე თამარი, თბ., 1991, ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965 (თხზ., ტ.2, თბ., 1983).

**თამარი** (გ. 1156), *დავით IV* აღმაშენებლის ასული, შირვანის დედოფალი. კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ შირვანი საქართველოს უშუალო მეზობელი გახდა. თურქსელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში შირვანშაჰთან კეთილი დამოკიდებულების დამყარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა დავით აღმაშენებლის ნაბიჯი, როცა 1105-06 თ. დააქორწინა აფრიდუნ შირვანშაჰის ძე მანუჩეჰრზე (მეორე ასული – *კატა* მეფემ ბიზანტიის იმპერატორის ვაჟს მიათხოვა). ქმრის გარდაცვალების შემდეგ თ. საქართველოში დაბრუნდა. 1150-52 ააშენა თიღვის მონასტერი და იქვე აღიკვეცა მონაზვნად.

*წყარო:* ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე. წგ.- ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი, იქვე.

*ლიტ.:* **Метревели Р. В., Внешняя политика Грузии в средние века (XII век), Тб., 1995.**

**თამარის („აბხაზის") „ფიცის წიგნი"** („სოუგანდ ნამე-იე აბხაზი"), ეგვიპტის აიუბიანთა სულთან სალაჰ ად-დინისადმი (1171-93). შეტანილი იყო სალაჰ ად-დინის მდივნისა და ისტორიკოსის იმად ად-დინ ალ-ისფაჰანის „ინშას" კრებულში, აღმოჩნდა თავრიზის საჯარო ბიბლიოთეკაში, ცნობილი ბიბლიოფილისა და მეცენატის ჰაჯ-ჰოსეინ ნახჩევანის კოლექციაში დაცულ კრებულში „თარასსოლ" („მიმოწერა"). მისი ფრაგმენტი გამოაქვეყნა ირანელმა მეც-

ნიერმა მ.ე.იუნესიმ (1970), სრული სახით – პროფ.მ.თოდუამ (1975, 1979). მოკლებულია კონკრეტულ რეალიებს. მასში თამარი პირობას აძლევს სულთანს, რომ ვიდრე ცოცხალია „მაგან მაგანის ძესთან კეთილი განზრახვით და კარგი სურვილით იქნება“, „მისი მოყვარის მოყვარე“ და „მტრის მტერი იქნება“ და „არასდროს მაგანი ქალაქისა და ვილაიეთის და მისი ციხეების აღებას“ არ განიზრახავს, თავს ნებას არ მისცემს დაიმორჩილოს „მისი ხალხი და ლაშქარი“. „ფიცის წიგნში“ მითითებულია მისი შედგენის მხოლოდ თვე, რიცხვი და დღე – ჯუმადა ალ-ულას თვის 16, ხუთშაბათი, რაც საშუალებას იძლევა, რომ ის დათარიღდეს 1185 წლის 15 აგვისტოთი, ანდა 1190 წლის 21 ივნისით. უპირატესობა ენიჭება 1185. გამოთქმულია მოსაზრება (თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე), რომ მისი შექმნა განაპირობა სალაჰ ად-დინის ცდამ, შაჰ-არმენ სუქმან II-ის სიკვდილის (10.VII.1185) შემდეგ 1185 წლის აგვისტოში დაუფლებოდა ქ.ხლათს – შაჰ-არმენთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქს ვანის ტბის სანაპიროზე, და ქართველთა ლაშქრობამ შაჰ-არმენთა სახელმწიფოს ჩრდილოეთ რაიონებისაკენ, როცა საქართველოს სამეფოსა და აიუბიანთა ინტერესები პირველად დაუპირისპირდა ერთმანეთს; საფიქრებელია, რომ თამარი ფიცით შეჰპირდა სალაჰ ად-დინს, რომ არ დაეხმარებოდა ხლათს, რომელიც უნდა შესულიყო აიუბიანთა გავლენის სფეროში.

*ლიტ.:* ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი  თ., ჯ ა ფ ა რ ი ძ ე  გ., თამარის „ფიცის წიგნის“ შესახებ. – გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1982, 22.I; ქართულ-სპარსული ეტიუდები, III. ტექსტი და თარგმანი, მ.თოდუას გამოც., თბ., 1979.

**თანაგრძნობა** (დიპლომატიურ პრაქტიკაში), დიპლომატიურ წარმომადგენლობის მიერ ქვეყანაში მომხდარი უბედურებისადმი გამოხატვის (რეაგირების) ფორმა. დიპლომატიური თანაგრძნობის გამოხატვის დროს, როგორც წესი, დიპლომატიური წარმომადგენლობა ხელმძღვანელობს არა მხოლოდ საოქმო მოთხოვნებით, არამედ პოლიტიკური მოსაზრებებითაც. რეაგირების ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ოფიციალური პირებისათვის შესაბამისი შინაარსის წესების ან სავიზიტო ბარათის გაგზავნა, სახელმწიფოს მეთაურისათვის პირადად მისამძიმრება ან მის რეზიდენციაში შესაბამის წიგნში ხელმოწერა, სამგლოვიარო ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.

სამგლოვიარო დღეებში შესაბამისი სახელმწიფოს დიპლომატიური, საელჩო ან საკონსულო წარმომადგენლობათა შენობებზე ეშვება სახელმწიფო დროშა, ხოლო წარმომადგენლობებში გახსნილია სპეციალური წიგნები, რომლებშიც თანაგრძნობის გამომხატველ ჩანაწერებს აკეთებენ ადგილსამყოფელ ქვეყანაში აკრედიტებული *დიპლომატები* და სახელმწიფოს ოფიციალური პირები.

გარდა ოფიციალური დიპლომატიური თანაგრძნობისა მნიშვნელოვანი როლი უკავია დიპლომატთა არაოფიციალურ რეაგირებას დიპლომატიური კორპუსის წევრთა ან ადგილსამყოფელ სახელმწიფოთა ოფიციალური და საქმიანი წესების ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე.

**თანათავმჯდომარეები**, საერთაშორისო კონფერენციების ან ორგანოების პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება პროცედურული დებულება, რომლის მიხედვითაც კონფერენციის ან ორგანოს სესიის თავმჯდომარის მოვალეობას ერთდროულად და პარიტეტულ საწყისებზე ასრულებენ ორი სახელმწიფოს წარმომადგენლები. ასე იყო, მაგალითად, 1954 ჟენევის თათბირზე ინდოჩინეთთან დაკავშირებით (*იხ. ჟენევის თათბირები 1954-59*), როცა თანათავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ სსრკ-ისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები.

თ-ის ინსტიტუტი უნდა განვასხვაოთ კონფერენციებზე (ან ორგანოთა სესიებზე) როტაციის წესით თავმჯდომარეების შეცვლაზე, როცა თავმჯდომარეების მოვალეობას რიგრიგობით, დადგენილი პერიოდის განმავლობაში ასრულებენ კონფერენციაში (ან ორგანოთა სესიებში) მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები (როგორც მაგალითად გაეროს უშიშროების საბჭოში).

**თანამეგობრობა** (ინგლ. Commonwealth – მმართველობის ფორმა, რომლის მიზანია საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა და რომლის დროსაც საზოგადოება აქტიურად მონაწილეობს მმართველობის განხორციელებაში), სახელმწიფოთაშორისო გაერთიანება, რომელშიც წარმოდგენილი არიან დიდი ბრიტანეთი, მისი ყოფილი დომინიონები და ის სახელმწიფოები, რომლებიც წარმოიშვნენ ბრიტანეთის იმპერიის დაშლის შედეგად. თ. სპეციფიკური სახის *საერთაშორისო ორგანიზაციაა*, რომელსაც გააჩნია: ა) თავისი მუდმივმოქმედი სამართლებრივი მექანიზმი (ორგანიზაციული სტრუქტურა), მასში შედის ასევე სასამართლო ორგანო (ე.წ. საიდუმლო საბჭოს სასამართლო კომიტეტი); ბ) რომელიც გამოსცემს წევრსახელმწიფოთა ურთიერთობების განმსაზღვრელ ნორმატიულ აქტებს.

თ-ის შემადგენლობაში შედის მსოფლიოს სახელმწიფოთა თითქმის 1/3, რომელიც დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 1/4-ს წარმოადგენს. ამ უძველესი საერთაშორისო დაჯგუფების 50-მდე წევრი სახელმწიფო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც განვითარების დონით (მაგ.: დიდი ბრიტანეთისა და ოკეანიის ქვეყნები), ასევე მოსახლეობის რაოდენობითაც (ინდოეთი – 800 მილიონიანი მოსახლეობით, და ნაური, სადაც 8 ათასი კაცი ცხოვრობს). მის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, რომელიც (მიუხედავად მისი როლის გარკვეული შესუსტებისა) სერიოზულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სამხედრო პოზიციებს არ კარგავს თ-ის სახელმწიფოთა შორის.

ბრიტანეთის თ-ის (თანამეგობრობის ძველი სახელწოდებაა) ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ე.წ. ვესტმინსტერის სტატუსს, რომელიც 1931 მიიღო ბრიტანეთის პარლამენტმა (იგი დღესაც მოქმედებს) და რომლის თანახმადაც ბრიტანეთის მონარქი გამოცხადებულ იქნა თანამეგობრობის მეთაურად. ავსტრალიაში, კანადასა და ახალ ზელანდიაში (ე.წ. „თეთრი დომინიონები“) ფორმალურად უმაღლესი ხელისუფლება ახლაც ბრიტანეთის მონარქს ეკუთვნის.

ორგანიზაციის მუშაობას ხელმძღვანელობს და მის ზოგად პოლიტიკას განსაზღვრავს უმაღლესი ორგანო – მთავრობათა მეთაურების კონფერენცია, რომელიც 2 წელიწადში ერთხელ მოიწვევა. (პირველად იგი შეიკრიბა 1887 ჯ. *ჩემბერლენის* ხელმძღვანელობით და ეწოდებოდა კოლონიური კონფერენციები, 1907-დან – იმპერიული კონფერენციები 1944-მდე). განსაკუთრებული მნიშვნელობა თ-თვის ჰქონდა 1971 სინგაპურის შეხვედრას, რომელზეც ერთხმად მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც ასახვა ჰპოვა ორგანიზაციის ბუნებამ, მისმა მიზნებმა, პრინციპებმა

და ამოცანებმა, წევრთა სტატუსის საკითხებმა. მასში მკაცრად იქნა დაგმობილი კოლონიური ბატონობის დამყარებისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი გამოვლინებანი (თავის დროზე 1961 სამხრეთ აფრიკა იძულებული გახდა გასულიყო ორგანიზაციის წევრობიდან). აღნიშნული კონფერენციები ინფორმაციული ხასიათისაა და განიხილება როგორც მთავრობათა მეთაურების დონეზე ჩატარებული კონსულტაციები. მათ წინ უძღვის ფინანსთა, ვაჭრობის, განათლებისა და სხვა მინისტრების შეხვედრები, რომლებზეც იხილება უმნიშვნელოვანესი საკითხები და მუშავდება ერთობლივი პლატფორმა მოქმედებისათვის.

თ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გენერალურ მდივანსა და სამდივნოს, რომელიც წარმოადგენს თ-ის გამაერთიანებელ ორგანოს. გენერალური მდივანი აირჩევა 5 წლის ვადით თ-ის სახელმწიფოთა მთავრობის მეთაურთა მიერ. სტატუსით გათანაბრებულია მთავრობის მეთაურებთან, ხელმძღვანელობს – თავმჯდომარეობს თ-ის შეხვედრებზე და წელიწადში 4-ჯერ ხედება დედოფალს ასოციაციის შესახებ სასაუბროდ.

თ-ის მუდმივი სამდივნო 1965-დან მდებარეობს ლონდონში. სხვა დედაქალაქებში თ-ს წარმოადგენენ უმაღლესი კომისიები. თ-ის ფარგლებში 250-მდე ოფიციალური და არაოფიციალური ორგანიზაცია მოქმედებს.

თ-ში გადაწყვეტილებათა მიღება ხდება *კონსენსუსით.*

ლიტ.: Крылова Н.С., Содружество Наций: политикоправовые проблемы, М.,1991, с.272. The Oxford Companion to Law, Oxf., 1960, p.255.

**თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპი,** იყო ძირითადი პრინციპი, რომელიც წამოყენებულ იქნა ყოფილი სსრკ-ის მიერ აშშ-სსრკ-ის მოლაპარაკებებზე ბირთვული იარაღის შეზღუდვისა და შემცირების შესახებ. იგი იურიდიულად არის განმტკიცებული სსრკ-აშშ-ის რიგ დოკუმენტებში. მისი მიზანი იყო ისეთი შედეგების მიღწევა, რომელიც გამორიცხავდა რომელიმე მხარისთვის ცალმხრივი უპირატესობის ფლობის შესაძლებლობას.

საბჭოთა დოქტრინის აზრით, აღნიშნული პრინციპის გამოყენებამ განაპირობა 1972 რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის შეზღუდვის ხელშეკრულებისა და ისეთი შეთანხმების დადება, როგორიც იყო სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის 1 და 2 ხელშეკრულებების ხელმოწერა.

აღნიშნულ პრინციპს საბჭოთა მხარე ფართოდ იყენებდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის, ევროპაში ბირთვული იარაღის შეზღუდვის, ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ ჩატარებული სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებებზე.

**თანხმობის საბჭო** (Conseil de L'Entent), დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა *საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.* შეიქმნა 1959. ორგანიზაციის წევრები არიან ბენინი, ბურკინა ფასო, ზემო ვოლტა, კოტ-დ'ივუარი, ნიგერი და ტოგო (1966-დან).

თ.ს-ს მთავარი მიზანია განახორციელოს ეკონომიკური თანამშრომლობა. მის ფარგლებში მოქმედებს საერთო საბაჟო კანონმდებლობა, ხდება განვითარების გეგმების კოორდინირება, შექმნილია ურთიერთდახმარების და სესხების გარანტიის ფონდი, რომელიც შედგება წევრ-სახელმწიფოების შენატანებისგან. ფონდის მოღვაწეობას მატერიალურ მხარდაჭერას უწევს საფრანგეთი. მისი ფინანსური საშუალებები ინახება პარიზის ბანკებში. ფონდის გამგეობის რეზიდენცია იმყოფება აბიდჟანში (კოტ-დ'ივუარი). ორგანოები: სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენცია, რომელიც მოიწვევა სესიებზე ერთხელ წელიწადში. ადმინისტრაციული სამდივნო მუდმივი ორგანოა შტაბბინით აბიდჟანში. 70-იან წლებში თანხმობის საბჭოს ფარგლებში ხორციელდებოდა პოლიტიკური თანამშრომლობაც. დღესდღეობით ის ტრანსფორმირებულია წმინდა ეკონომიკურ სუბრეგიონულ ორგანიზაციად.

**თაყაიშვილი** ექვთიმე სიმონის ძე (3.I.1863-21.II.1953), ქართველი მეცნიერი, საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1946), პროფესორი (1918-21, 1945). დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია (1883), შემდეგ – პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი (1887) მეცნ. კანდიდატის ხარისხით, 1887-94 თბილისის სათავადაზნაურო სკოლისა და კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი იყო. 1894-1904 – სათავადაზნაურო გიმნაზიის გამგე. თ-მა დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება (1907) და მისი პირველი თავმჯდომარე იყო. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში. იყო უნივერსიტეტის ერთ-ერთი პირველი პროფესორი, არქეოლოგიის კათედრის გამგე, 1921-45 საფრანგეთში ემიგრაციაში გაატარა, სადაც მეთვალყურეობდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილ სამუზეუმო განძეულობას. მისი ნებისყოფისა და თავდაუზოგავი მცდელობის შედეგი იყო ამ საგანძურის დაცვა მეტად ძნელ პირობებში. ეწეოდა მეტად რთულ მუშაობას რუსეთის საელჩოსთან (პირადად ელჩთან) ამ საგანძურის დაბრუნების მიზნით. სწორედ ორ სახელმწიფოს (საფრანგეთი, სსრკ) შორის დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად, იგი საქართველოში დაბრუნდა ამ განძთან ერთად. თ. იყო პარიზის ნუმიზმატთა საზოგადოების (1922) და პარიზის სააზიო საზოგადოების წევრი (1925). ემიგრაციის წლებში აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო ორგანოების საქმიანობაში („ბიზანტიონი", „გეორგიკა" და სხვ.), აქვეყნებდა გამოკვლევებს საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობაში.

თ. იკვლევდა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემებს. შეისწავლა ბარათაშვილისეული, დადიანისეული, თეიმურაზისეული, რუმიანცევისეული, ჯანაშვილისეული და მარიამისეული „ქართლის ცხოვრების" ტექსტები (უკანასკნელი გამოაქვეყნა 1906). თ-მა აღმოაჩინა და მეცნიერული კომენტარით გამოაქვეყნა ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი „ჴელმწიფის კარის გარიგება" (1920).

თ-ის ნაშრომი „მასალები კავკასიის არქეოლოგიისათვის" დაჯილდოვებულია რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დიდი ოქროს მედლით (1911 წლის 28 მარტი).

ლიტ.: მეტრეველი რ., ბადრიძე შ., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1962; სურგულაძე ა., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1978.

**„თბილისის დოკუმენტი"**, თბილისის დეკლარაცია, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ *ალიევის* ვიზიტის დროს, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს „კავკასიის რეგიონში მშვიდობის, უშიშროების

და თანამშრომლობის დეკლარაციას" (10 მუხლი პრეამბულით), რომელსაც ჰ. ალიევმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრობისას (სადაც მას საპატიო დოქტორობა მიანიჭეს) ხატოვნად „თბილისის დოკუმენტი" უწოდა.

მიიღეს შეთანხმების პაკეტი, რომელიც კასპიის შელფის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირებას შეეხება. ეს წარმოადგენს უცხოეთის ნავთობკომპანიათა საერთაშორისო კონსორციუმის (თავმჯდომარე ტერი ადამსი) გადაწყვეტილების შედეგს, უპირატესობა მიენიჭოს საქართველოს ტრასას რუსეთის ტრასასთან შედარებით.

ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის ურთიერთობის ამსახველ დოკუმენტთა პაკეტს სამართლის, ვაჭრობის (აზერბაიჯანული ბამბის იმპორტი), ინვესტიციების, ეკონომიკის, ნაოსნობის, სოფლის მეურნეობისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში.

**თევზაია** ვიქტორ ვასილის ძე (1883-1932), ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, დიპლომატი.

თ. 1918 ივნისში დაინიშნა უკრაინაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლად და ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1919 წ. ოქტომბრამდე. მისი უშუალო მონაწილეობით დაიდო *საქართველო-უკრაინის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*. 1921-დან – ემიგრანტი.

**თეთრი სახლი** (ინგლ. White House), აშშ პრეზიდენტის რეზიდენცია და კანცელარია ვაშინგტონის ცენტრში (1800-დან). თ.ს-ს ხშირად ამერიკის მთავრობას უწოდებენ, რადგან მას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

**თეიმურაზ I** (1589-1663), კახეთის მეფე 1606-48, ქართლ-კახეთის მეფე – 1625-32. 1612 ქართლთან კავშირის განმტკიცების მიზნით ცოლად შეირთო ქართლის მეფის *ლუარსაბ II-ის* და ხორეშანი. ჯეროვნად ვერ შეაფასა დიდი საფრთხე, რაც კახეთს ემუქრებოდა ირანის მხრიდან და შაჰ *აბას I-ის* 1614 ლაშქრობას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. შაჰ აბასის ქართლ-კახეთში შემოსევის შემდეგ იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო. შეეცადა დახმარება მიეღო ოსმალეთში. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ თეიმურაზი, რომელიც დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასასვლელად ემზადებოდა, ქართლ-კახეთში მიიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს ტახტზე დასვეს. ქართლ-კახეთის შეუპოვარმა ბრძოლამ შაჰი აბას I აიძულა დათმობაზე წასულიყო. მან თ.I ფაქტიურად სცნო ქართლ-კახეთის მეფედ. ირანთან დადებული ზავი 1632 თ.I-მა დაარღვია – დაარბია ბარდა და ყარაბაღი. შაჰ სეფიმ თ.I გადააყენა და ქართლი *როსტომს* ჩააბარა. 1634 თ.I-მა კახეთში გამეფება მოახერხა. როსტომიც და ირანის შაჰიც შეურიგდნენ ამ ფაქტს, მაგრამ თ.I-მა ეს არ იკმარა და მოინდომა ქართლში გაბატონება. მისი ბრძოლა მარცხით დამთავრდა, 1648 იგი საბოლოოდ გაეცალა ქართლ-კახეთს და იმერეთს შეაფარა თავი. ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში ცდილობდა დახმარება მიეღო ევროპაში. 1622 მან რომის პაპთან და ევროპის სახელმწიფოთა მეფეებთან გააგზავნა ელჩი ნიკიფორე ირბახი-*ჩოლოყაშვილი*. ჩოლოყაშვილის ელჩობა უშედეგოდ დასრულდა. საგარეო პოლიტიკაში თეიმურაზი პრიორიტეტს ანიჭებდა რუსეთზე ორიენტაციას. მან მრავალგზის გაგზავნა ელჩობა რუსეთში, 1639 მიიღო რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი, 1653 – შვილიშვილი *ერეკლე I* წარგზავნა რუსეთს, ხოლო 1658 თვითონ გაემგზავრა მოსკოვს. თ.I-ის ხანგრძლივ დიპლომატიურ ურთიერთობას რუსეთთან რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. რუსეთიდან დაბრუნებული თ.I მისივე თხოვნით *ვახტანგ V-მ* გაგზავნა ირანში. შაჰმა თ.I-ს გამაჰმადიანება მოსთხოვა. თ.I-მა უარი განაცხადა. იგი ასტრაბადის ციხეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა. მისი ნეშტი ქართველებმა სამშობლოში ჩამოასვენეს და დაკრძალეს ალავერდის მონასტერში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**თეიმურაზ II** (1700-1762), კახეთის მეფე 1709-15, გამგებელი – 1733-44, ქართლის მეფე – 1744-62. ატარებდა მეტად წინდახედულ და მოქნილ საგარეო პოლიტიკას. 1744 *ნადირ-შაჰმა* თ.II დაამტკიცა ქართლის მეფედ, ხოლო მისი ვაჟი *ერეკლე II* – კახეთის მეფედ. ნადირის ნებართვით, 1745 წლის 1 ოქტომბერს თ.II ქრისტიანული წესით ეკურთხა მეფედ სვეტიცხოვლის ტაძარში. ეს დიდი პოლიტიკური წარმატება ქართველი ხალხის შეუპოვარი ბრძოლის შედეგი იყო. მამა-შვილის გამეფებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართლ-კახეთის მომავალ გაერთიანებას. მოხერხებული პოლიტიკის გატარებითა და რიგ ბრძოლებში მოპოვებული გამარჯვებების შედეგად ქართლ-კახეთის სამეფოებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს ამიერკავკასიაში პირველობისთვის წარმოებულ ბრძოლაში. ერევნის, განჯისა და ნახჭევანის სახანოები საქართველოს მოხარკედ იქცნენ. თ.II რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო. 1760 იგი თვითონ გაემგზავრა რუსეთში და ფართო პოლიტიკური გეგმით წარსდგა სამეფო კარის წინაშე. თ.II თხოულობდა დახმარებას ჯარით ან ფულით. სამაგიეროდ პირდებოდა ირანში გალაშქრებას და იქ რუსეთისათვის სასურველი შაჰის გამეფებას. რუსეთი ამ დროს შვიდწლიანი ომით იყო დაკავებული და თ.II-ის გეგმა მისთვის მიუღებელი იყო. თ.II გარდაიცვალა პეტერბურგში. დაკრძალეს ასტრახანის მიძინების ტაძარში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973.

**თეირანის კონფერენცია 1943** (სსრკ-ის, აშშ-ის და ინგლისის ხელმძღვანელთა მონაწილეობით), გაიმართა 28.XI – 1.XII; *ანტიჰიტლერული კოალიციის* წამყვან სახელმწიფოთა ხელმძღვანელების პირველი შეხვედრა. მონაწილეობდნენ ი.ბ. *სტალინი*, თ.დ. *რუზველტი*, უ. *ჩერჩილი*, საგარეო საქმეთა მინისტრები და სამხ. შტაბების წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილეს: გერმანიისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ საომარი მოქმედების კოორდინაციის, ომისშემდგომი თანამშრომლობისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხები. 1.XII.1943 სახელმწიფოს მეთაურებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს „თეირანის კონფერენციის სამხედრო გადაწყვეტილებები" (რომლებიც მაშინ არ უნდა გამოქვეყნებულიყო). მასში ნათქვამი იყო, რომ ოპერაცია „ოვერლორდი" (ინგლის-ამერიკის დესანტის გადასხმა ჩრდ. საფრანგეთში) უნდა განხორციელებულიყო 1944 წლის მაისში. კონფერენციამ მიიღო ცნობად სტალინის განცხადება, რომ საბჭოთა ჯარები განავითარებდნენ შეტევას დაახლოებით ამავე პერიოდში, რათა გერმანიას არ გადაესროლა თავისი ჯარის ნაწილები აღმოსავლეთიდან დასავლეთის ფრონტზე. დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ სამხედრო თვალსაზრისით

„უაღრესად სასურველი" იყო. წლის ბოლომდე თურქეთი ჩაბმულიყო ომში ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე. იუგოსლაველი პარტიზანებისათვის გაეწიათ დახმარება სამხედრო აღჭურვილობით, რაც შეიძლება დიდი მასშტაბით. იმავე დღეს ხელი მოაწერეს სამი სახელმწიფოს დეკლარაციას, სადაც ხელმძღვანელები გამოთქვამდნენ რწმენას, რომ მათი ქვეყნები „ერთობლივად იმუშავებდნენ როგორც ომის დროს, ისე ომისშემდგომ მშვიდობიან პერიოდში". კონფერენციაზე შეთანხმდნენ გერმანიის შეიარაღებული ძალების განადგურების თაობაზე და „მივიდნენ სრულ შეთანხმებამდე ოპერაციების მასშტაბისა და დროის შესახებ, რომლებიც განხორციელდებოდა აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან". განიხილეს მომავლის პრობლემები, კერძოდ ომისა და უშიშროების შენარჩუნების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ. მხარეებმა გამოხატეს ყველა ერთად თანამშრომლობის მზადყოფნა მშვიდობის შესანარჩუნებლად. საბჭოთა მხარემ კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ იგი ჩაებმებოდა ომში იაპონიის წინააღმდეგ. განიხილეს გერმანიის მომავლის საკითხი. რუზველტმა წამოაყენა ომის შემდეგ გერმანიის 5 ავტონომიურ სახელმწიფოდ დაყოფის გეგმა. ჩერჩილი იცავდა დუნაისპირეთის კონფედერაციის შექმნის იდეას, სადაც შევიდოდნენ ავსტრია, უნგრეთი და გერმანიის რამდენიმე სამხ. პროვინცია, გამოეყოფოდა რა მათგან პრუსიას. ი.სტალინმა ამ გეგმებს მხარი არ დაუჭირა და აზრი გამოთქვა, რომ ავსტრია და უნგრეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებულიყვნენ. აზრთა გაცვლის შემდეგ ეს საკითხი უფრო დეტალური შესწავლისათვის *ევროპის საკონსულტაციო კომისიას* გადაეცა. პოლონეთის საკითხის განხილვის დროს სტალინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი გამოდის „პოლონეთის აღდგენისა და გაძლიერებისათვის", მისი საზღვარი უნდა განსაზღვრულიყო ევროპის უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით. რომ ეს საზღვრები კონფლიქტებისა და ომების წყაროდან, სიმტკიცისა და ევროპაში მტკიცე მშვიდობის ფაქტორად გადაქცეულიყო. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს რამდენიმე პრობლემა წინასწარი წესით, რითაც შექმნეს საფუძველი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეთანხმებების მიღწევისათვის სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა *ყირიმის (იალტის)* და *ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციებზე 1945*.

*ლიტ.:* Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945. Т.2: Тегеранская конференция руководителей трех союзных держав — СССР, США и Великобритании, М.,1984.

**თემურ-ლენგი** („კოჭლი თემური", ევრ. ტამერლანი) (1336, ხოჯა-ილყარი — 1405, ოტრარი). შუააზიელი მხედართმთავარი, სახელმწიფო მოღვაწე, ამირა. ვაჟი ბარლასის გათურქებული მონღოლური ტომის ბეგისა. 1362 ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და დაკოჭლდა, რის გამოც ეწოდა „ლენგი" (ტაჯიკურად „კოჭლი"). 1370-დან *ჩინგიზყაენის* შთამომავალთა სახელით ერთპიროვნულად განაგებდა შუა აზიას. ეყრდნობოდა მომთაბარე არისტოკრატიას, ბინადარ ფეოდალებსა და მუსლიმურ სამღვდელოებას. აწარმოებდა სისასტიკით გამორჩეულ დიდ დაპყრობით ომებს, რომელთა მთავარი მიზანი იყო კონტროლის დამყარება ევროპა-აზიის ვაჭრობის საქარავნო გზებზე. 1388 საბოლოოდ დაიპყრო ხვარაზმი და დაანგრია მისი დედაქალაქი ურგენჩი. 1389-94 ებრძოდა ოქროს ურდოს გამგებელს თოხთამიშს, სასტიკად დაამარცხა ის და გაძარცვა მისი დედაქალაქი სარაი-ბერქე. 1393-თვის დაიპყრო მთელი ირანი. 1398 დალაშქრა ინდოეთი და ხელთ იგდო დელი. 1400 შეიჭრა სირიაში, რომელიც შედიოდა მამლუქთა ეგვიპტის სასულთნოში, აიღო ქალაქები: ჰალაბი, ჰამა, ჰიმსი, ბაალბექი და 1401 — დამასკო. 1402 ანკარასთან დაამარცხა და დაატყვევა ოსმალეთის სულთანი ბაიაზეთ I. თ.-ლ-ის ლაშქრობა ჩინეთში 1404 შეწყდა მისი სიკვდილის გამო. ამ დროს თ.-ლ-ის სახელმწიფოში შედიოდა პენჯაბი, შუა აზია, ხვარაზმი, ირანი და ამიერკავკასია. დაპყრობილი ქვეყნების გაძარცვის ხარჯზე ის ცდილობდა განევითარებინა საწარმოო ძალები შუა აზიაში. მისი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო სამარყანდი. დიპლომატიური კონტაქტები ჰქონდა ინგლისის, საფრანგეთისა და კასტილიის მეფეებთან, ოსმალეთთან ომში თ.-ლ-ის ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერატორები.

1386-1403 თ.-ლ-მა რვაჯერ ილაშქრა საქართველოში და საშინლად მოაოხრა ის. ორჯერ, 1401 — შამქორში და 1403 მან ზავი დადო საქართველოს მეფესთან *გიორგი VII-თან* (იხ. თ.-ლ-ისა და გიორგი VII-ის საზავო მოლაპარაკებები). უკანასკნელი ზავით, თ.-ლ-მა ცნო საქართველო ქრისტიანულ ქვეყნად, რომელსაც დააკისრა ხარკი (ჯიზია, ხარაჯა).

*ლიტ.:* კ ა ც ი ტ ა ძ ე დ., საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975; ტ ა ბ ა ტ ა ძ ე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1966 (თხზ., ტ. 3, თბ., 1982); Н о в о с е л ь ц е в А.П., Об исторической оценке Тимура. — "Вопросы истории", 1973, №2.

**თემურ-ლენგისა და გიორგი VII-ის საზავო მოლაპარაკებები და ხელშეკრულებები 1400-03**, 1400 გაზაფხულზე, მეექვსე ლაშქრობის დროს, *თემურ-ლენგმა გიორგი VII-ს* (1393-1407) ყარაბაღიდან მოციქული გაუგზავნა, მორჩილებისკენ მოუწოდა და მოსთხოვა მასთან თავშეფარებული ჯალაირიანი უფლისწულის თაჰერის გაცემა. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ქვეყანას საშინელი აოხრებით ემუქრებოდა. გიორგი VII უარყო ეს მოთხოვნა, რასაც შედეგად მოჰყვა აღმ. და სამხრ. საქართველოს დიდი ნაწილის მოოხრება. დას. საქართველოში გამაგრებულმა გიორგიმ თაჰერი ოსმალეთში გაისტუმრა და თავად საზავო მოლაპარაკებები დაიწყო თემურ-ლენგთან, აღუთქვა მას მორჩილება, ხარკის გადახდა და რომ ზიანს არ მიაყენებდა მუსლიმებს. თემურ-ლენგმა მიიღო ეს პირობები. მაგრამ ალბათ იმიტომ, რომ მეფემ არ შეასრულა ისინი, გააგრძელა ქვეყნის დარბევა. 1401 წლის სექტემბერში თემურ-ლენგსა და გიორგი VII-ს შორის შამქორში დაიდო ზავი, რომლის პირობებითაც საქართველო კისრულობდა თემურ-ლენგისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდას, პირველი მოთხოვნისთანავე ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად დადგენილი რაოდენობის ჯარის გამოყვანას, ელჩებისა და სავაჭრო ქარავნების დაუბრკოლებლად მიმოსვლას; ქართველებს თავიანთ ქვეყანაში არ უნდა შეევიწროებინათ მუსლიმები და მუსლიმთა ქვეყნებში კი აშკარად არ შეესრულებინათ ქრისტიანული რიტუალები. ამ პირობებით თემურ-ლენგი ხელშეუხებლობასა და უსაფრთხოებას პირდებოდა საქართველოს. მიუხედავად ამისა, საზავო პირობების შეუსრულებლობის საბაბით თემურ-ლენგმა აიღო და დაარბია თორთუმის ციხე და მისი მიდამოები. 1403 წლის ზაფხულში, ოსმალებზე

გამარჯვების შემდეგ, გიორგი VII-ის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის საბაბით თემურ-ლენგი მეორედ შემოიჭრა საქართველოში. მან არ მიიღო ძღვენი ელჩებისგან და მოითხოვა მეფის გამოცხადება. გიორგი VII-ემ უარყო ეს მოთხოვნა. თემურ-ლენგმა აიღო ბირთვისის ციხე და შეიჭრა დას. საქართველოში, სადაც გამაგრდა გიორგი. შემოდგომაზე მათ შორის დაიდო ზავი, რომელიც იმეორებდა შამქორის ზავის პირობებს. .

*ლიტ. იხ. სტ-თან თემურ-ლენგი.*

**ᲗᲔᲛᲣᲠ-ᲚᲔᲜᲒᲘᲡ ᲘᲐᲠᲚᲘᲧᲘ ᲑᲐᲒᲠᲐᲢ V-ᲡᲐᲓᲛᲘ,** 1386 წ. 21 ნოემბერს თბილისის აღებისას თემურ-ლენგს „ურწმუნოების ფიცით და პირით" დანებდა მეფე *ბაგრატ V* (1360-1393) ოჯახითურთ. დატყვევებულმა მეფემ ყარაბაღში მიიღო ისლამი. სანაცვლოდ თემურ-ლენგმა სათანადო იარლიყით (სიგელით) მას დაუბრუნა სამეფო ტახტი, დაუმტკიცა სამფლობელო და დაადასტურა მისი სამშობლოში დაბრუნების უფლება.

**ᲗᲔᲝᲤᲐᲜᲔ ᲟᲐᲛᲗᲐᲐᲦᲛᲬᲔᲠᲔᲚᲘ** (დაიბადა დაახლ.760, გარდაიცვალა 818), ბიზანტიელი მემატიანე, ქრონოგრაფოსი. მისი „ქრონოგრაფია" შეიცავს ამბებს *დიოკლეტიანედან* მოყოლებული (284-დან), ვიდრე 813-მდე. თ.ჟ-ს საქართველოზე შემდეგი სახის ცნობები აქვს დაცული: იბერთა (ქართლის) მოქცევა, იოანე ოქროპირის გადასახლება ბიჭვინთაში, ლაზთა მეფე წათე I და მისი ურთიერთობა ირანთან და ბიზანტიასთან VI ს-ის დასაწყისში, იბერთა მეფე ზანამარზი, 562 საზავო ხელშეკრულება ბიზანტია-ირანს შორის, ირანელების ლაშქრობა სვანეთში (VI ს-ის მეორე ნახევარში), ირაკლი კეისრის ლაშქრობა საქართველოში 627-28, არაბები საქართველოში, აბაზგების ურთიერთობა ბიზანტიასთან (VIII ს-ის დასაწყისში).

*წყარო:* გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანით, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, ნაკვ. 1, თბ., 1941.

**ᲗᲔᲝᲤᲝᲑᲘ** (VI ს.), ლაზი (ეგრისელი) წარჩინებული, ეგრისში დიდომიანობის (542-562) პერიოდში, 550-551 საომარი ოპერაციების მიმდინარეობისას, უკმაყოფილო იყო ბიზანტიელი სარდლების ძალმომრეობით ეგრისში. ამით ისარგებლა ირანელთა სარდალმა მერმეროემ და მოახერხა მისი გადაბირება. თ-იმ უბრძოლველად დაუთმო ირანელებს მეტად სტრატეგიული ციხესიმაგრე უქიმერიონი (ქუთაისის მახლობლად), ამ ციხესიმაგრის დაკარგვით ეგრისელებს და ბიზანტიელებს ხელიდან გამოეცალათ ტერიტორია უქიმერიონიდან ვიდრე ლიხის მთამდე, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი, გარკვეული დროის განმავლობაში.

*წყარო:* პ რ ო კ ო პ ი  კ ე ს ა რ ი ე ლ ი. – წგ: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანით, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1965.

**ᲗᲛᲝᲒᲕᲔᲚᲘ** სარგის, XIII ს. შუა ხანების ქართველი დიდებული, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე; „კაცი ფილოსოფოსი და სწავლული და მრავალღონე". იგი ეკუთვნოდა ქართველ ფეოდალთა იმ ჯგუფს, რომელიც აქტიურად იბრძოდა ლაშა-გიორგის ძის – დავითის ჩამოსაყვანად და გასამეფებლად. მონგოლ ნოინებთან მოლაპარაკების შემდეგ რუმში სწორედ თმოგველი იგზავნება ვარამ გაგელთან ერთად. დავით გიორგის ძის რუმიდან თბილისში ჩამოყვანის შემდეგ თ. ზაქარია შანშეს ძე მხარგრძელთან და ალბუღა გაგელთან ერთად მეფობის დასამტკიცებლად ბათო-ყაენთან მიდიან; ბათოსთან ზაქარია და ალბუღა რჩება, ხოლო თ. დავით ბატონიშვილს ყარაყორუმში დიდ ყაენთან გაჰყვა, სადაც ენერგიულად უჭერდა მხარს მის კანდიდატურას საქართველოს სამეფო ტახტზე. თ. კოხტასთავის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა. XIII ს. 60-იან წლებში სხვა ქართველ დიდებულთა გვერდით იბრძვის მესხეთში შემოჭრილი მონგოლი მხედართმთავრის ალა-თემურის წინააღმდეგ. არსებობს აზრი, რომ იგი იყო პოემა „დილარგეთიანის" ავტორი და „ვისრამიანის" მთარგმნელი.

*წყარო:* ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

**ᲗᲝᲠᲔᲚᲘ** გამრეკელი, სახელმწიფო მოღვაწე, XIII ს. 30-40-იანი წწ., დიდი ფეოდალი, მეჭურჭლეთუხუცესი, ახალქალაქის ერისთავთერისთავი. მონგოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის დროს დარწმუნდა ბრძოლის უნაყოფობაში და დაუზავდა დამპყრობლებს. საქართველოს დუმნებად დაყოფის შემდეგ ერთ-ერთი დუმნის – ჯავახეთის თავად დაინიშნა. მხარში ედგა ქართველ დიდებულთა იმ დასს, რომლებმაც რუმიდან დავით გიორგის ძის ჩამოყვანა და გამეფება შესძლეს. მონაწილეობდა მონგოლთა ბატონობის წინააღმდეგ მოწყობილ კოხტასთავის შეთქმულებაში.

*წყარო:* ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

**ᲗᲝᲠᲔᲚᲘ** კახა გამრეკელის ძე, სახელმწიფო მოღვაწე, XIII ს. 50-60-იანი წწ. დიდი ფეოდალი, მეჭურჭლეთუხუცესი, ახალქალაქის ერისთავთერისთავი. თ-მა სხვა ქართველებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბაღდადზე მოწყობილ მონგოლთა ლაშქრობაში. 1258 მონგოლთა მიერ ბაღდადის აღების შემდეგ საქართველოს მეფე *დავით VII ულუმ* იგი ილხანებთან – ჰულაგუ ყაენთან მოციქულად დიპლომატიური მისიით გაგზავნა. 1260 მხარი არ დაუჭირა მონგოლთა წინააღმდეგ მოწყობილ *დავით VII ულუს* აჯანყებას.

*წყარო:* შეწირულების დაწერილი მეჭურჭლეთ-უხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი. – წგ: ქართული სამართლის ძეგლები, ი.დოლიძის გამოც., ტ.2, თბ., 1965.

**ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ** (გ.985), შუა საუკუნეების გამოჩენილი ქართველი სამხედრო-პოლიტიკური და სასულიერო მოღვაწე, დიპლომატი; ცნობილი ტაოელი დიდაზნაურის ჩორდვანელის ძე. ათონის ქართველთა მონასტერში ბერად აღკვეცის შემდეგ იწოდა იოანედ. ცნობილია თ.ე-ის დიპლომატიური მისია, რომელიც შედგა 979 ახლო ხანებში. ამ სიტუაციაში ბიზანტიის საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა ტაოს მმართველ *დავით III* კურაპალატისათვის. ბიზანტიის მთავრობამ ამ საკითხის წინასწარი ზონდირების მიზნით სპეციალური დესპანი მიავლინა ათონის ქართველთა მონასტერში, რომელიც რელიგიური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის გარდა დიპლომატიური წარმომადგენლობის (საელჩოს) ფუნქციებსაც ასრულებდა. ათონელ მამათა გადაწყვეტილებით, სწორედ იოანე-თორნიკეს, როგორც განსაკუთრებული დიპლომატიური უფლებებით აღჭურვილ პიროვნებას – ბიზანტიაში ქართული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს დავით კურაპალატის სრულუფლებიან წარმომადგენელს (დესპანს) დაევალა კონსტანტინოპოლში ჩასვლა და შესაბამისი მოლაპარაკებების გამართვა ბიზანტიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ქართველი ბერი-დიპლომატი მიღებულ იქნა უმაღლეს დონეზე. აუდიენციას ესწრებოდნენ მცირეწლოვანი იმ-

პერატორები: *ბასილი* და კონსტანტინე. მოლაპარაკებას ბიზანტიის ხელისუფლების მხრიდან უშუალოდ თეოფანა დედოფალი – ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი უძღვებოდა. მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, თ.ე. გაემართა ტაოში და დავით კურაპალატს მიართვა ბიზანტიის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი „წიგნები ვედრებისაი". დავით მეფე გაგებით შეხვდა კონსტანტინოპოლის თხოვნას და მიიღო „განზრახვაი", რაითა ლაშქარნი წარმოგზავნოს საბერძნეთს და სპასალარად თორნიკე განაჩინეს". თ.ე-ის დიპლომატიური მისია ამით არ ამოწურულა. მან „კურაპალატისა და თავისა წიგნები მეფეთა წინაშე წარსცა და ყოველი ნებაი კურაპალატისა აუწყა. და მაშინ მისცნეს მეფეთა ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი კურაპალატს, რაითა თავისა სიცოცხლესა პქონდინ". თ.ე-ის დიპლომატიური მისია წარმატებით დასრულდა. მაკედონელთა დინასტიამ ფაქტობრივად, ქართველთა ლაშქრის წყალობით, შეინარჩუნა ხელისუფლება, ხოლო ტაოს მმართველმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი გავლენა აღმოსავლეთში. თ.ე. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბიზანტიის პოლიტიკურსა და საეკლესიო წრეებში. საიმპერატორო კარმა მას (980 ახლო ხანებში) მიანიჭა სვინგელოზის (პატრიარქის თანაშემწე ბერის) წოდება.

წყარო: ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი. – წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ.2, თბ., 1967.

**თრაკიის ხელშეკრულება 1920** (ხელშეკრულება თრაკიის შესახებ), ინგლისს, საფრანგეთს, იტალიასა და იაპონიას, ერთი მხრივ, და საბერძნეთს შორის; ხელი მოაწერეს 10.VIII სევრში (საფრანგეთი). ხელშეკრულებით საბერძნეთს თრაკიის ტერიტორიაზე მიენიჭა ყველა უფლება, რომელზეც, *ნეის საზავო ხელშეკრულებით* (1919), ბულგარეთმა უარი განაცხადა მთავარ მოკავშირე სახელმწიფოთა სასარგებლოდ. ეგეოსის ზღვაში თავისუფალი გასვლის მიზნით, ბულგარეთს საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება ეძლეოდა საბერძნეთის ტერიტორიის გავლით. მაგრამ ხელშეკრულება უარყო ბულგარეთის მთავრობამ, რადგან იგი არ უზრუნველყოფდა ეგეოსის ზღვაზე თავისუფალი გასვლის უფლებას. მთავარმა მოკავშირე სახელმწიფოებმაც მას რატიფიკაცია არ გაუკეთეს. *ლოზანის კონფერენციის* ბოლო დღეს გამოვიდა სპეციალური ოქმი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ დას. თრაკია საბერძნეთს დარჩენოდა; თრაკიის შიდა ნაწილი – ბულგარეთს; აღმ. თრაკია ადრიანოპოლით (მდ. მარიცამდე) – თურქეთს.

**თულეს ინციდენტი 1968**, 21.I. აშშ B-52 ტიპის ბომბდამშენი, წყალბადის ოთხი ბომბით თულეში (გრენლანდიის დასავლეთ სანაპირო) აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე დაბრუნების დროს ჩამოვარდა და ჩაიძირა. თვითმფრინავში მოთავსებული ბომბები დაიშალა. თ.ი-ის მიდამოებში აღინიშნა მომატებული რადიოაქტიურობა. ბომბდამშენის ნაწილები გაიგზავნა აშშ-ში დასამარხად.

თ.ი-მა გამოიწვია საზოგადოებრიობის დიდი შეშფოთება და პროტესტი ზოგიერთი ქვეყნის (განსაკუთრებით დანიის) მთავრობების მხრიდან.

**თუმანიშვილი** გიორგი ეგნატეს ძე (1774-1837), 1790-დან იყო ჯერ ქართლ-კახეთის მეფეების *ერეკლე II-ის*, შემდეგ კი *გიორგი XII-ის* მდივან-მწიგნობარი. 1803-დან იგი რუსეთის სამსახურშია. 1820 მიიღო სტატსკი სოვეტნიკის ჩინი.

ლიტ.: [illegible]ძე გ., გიორგი თუმანიშვილი. – კრ.: ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, თბ., 1962.

**თუმანიშვილი** დიმიტრი იოსების ძე (დ.წ. უცნობია – 1821), ქართლ-კახეთის მეფეების *ერეკლე II-ის*, შემდეგ *გიორგი XII-ის* მდივანი. აქტიურად მონაწილეობდა, როგორც ელჩების თანაშემწე რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტაში. ერეკლემ იგი ორჯერ გაგზავნა რუსეთში – 1789, 1793. გიორგი XII-ის სამეფო სახლის ერთ-ერთი აქტიური დიპლომატიური პირია 1798-1801.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.2, თბ., 1970; АКАК, т.1, Тфл.,1866.

**თუმანიშვილი** სულხან გორჯასპის ძე (? – 1812), ქართლ-კახეთის მეფეების *ერეკლე II-ისა* და შემდეგში *გიორგი XII-ის* დროს მდივანი-ელჩი. 1789-90 ჩანს რუსეთში მიელინებულ სელჩო მისიის წევრად.

წყარო: საქართველოს სიძველენი, ტ.3, ტფ., 1905.

**თუნის-საფრანგეთის 1956 ოქმი** (თუნისის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ), ხელმოწერილ იქნა 20 III. ოქმის საფუძველზე, ძალა დაკარგა ბარდოს 1881 ხელშეკრულებამ. საფრანგეთმა აღიარა თუნისის უფლება, ეკისრა პასუხისმგებლობა საგარეო ურთიერთობების, უშიშროებისა და თავდაცვის სფეროებში, ვალდებულება იკისრა აღმოეჩინა მისთვის დახმარება ეროვნული არმიის შექმნაში. ოქმის განვითარებას წარმოადგენდა ორ ქვეყანას შორის 1956-58 დადებული ხელშეკრულებები, მათ შორის ხელშეკრულება თუნისიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანის შესახებ, ბიზერტის სამხედრო-საზღვაო ბაზის გარდა, რომელიც საფრანგეთმა დატოვა 1963.

**თურქეთ-იუგოსლავიის ხელშეკრულება 1933** (ურთიერთპრეტენზიების მოწესრიგების შესახებ), ხელმოწერილ იქნა 27 სექტემბერს ბელგრადში, ძალაში შევიდა 1935 წ. 7 ივნისს. იყო ანალოგიური *რუმინეთ-თურქეთის 1933 ხელშეკრულებისა*. მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი ერთგულება 1933 ლონდონის კონვენციისადმი აგრესიის განსაზღვრის შესახებ. იკისრეს ვალდებულება, არ მიემართათ ომისთვის, როგორც ეროვნული პოლიტიკის საშუალებისათვის, ჩაეტარებინათ ურთიერთკონსულტაციები იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანს თავს დაესხმებოდა მესამე სახელმწიფო. *1933 საბერძნეთ-თურქეთისა და რუმინეთ-თურქეთის ხელშეკრულებებთან* ერთად შევიდა სისტემაში იმ ხელშეკრულებებისა, რომლებმაც მოამზადეს ბალკანეთის ანტანტის შექმნა.

**თურქეთ-პაკისტანის შეთანხმება 1954**, ხელმოწერილ იქნა 2.IV ყარაჩიში 5 წლით, შემდგომში იმავე ვადით ავტომატურად გაგრძელების შესაძლებლობით. მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, რომ არ ჩაერეოდნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, არ მიიღებდნენ მონაწილეობას ისეთ კავშირში, რომელიც მიმართული იქნებოდა შეთანხმების ხელმომწერ მეორე მხარის წინააღმდეგ, ექნებოდათ კონსულტაციები ერთმანეთთან ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო საკითხებზე, განავითარებდნენ თანამშრომლობას ეკონომიკურ, ტექნიკურ და კულტურულ სფეროებში, არ აიღებდნენ მესამე მხარის მიმართ ისეთ ვალდებულებას, რომელიც მოცემული ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო იქნებოდა. გადაწყდა, რომ მხარეები გაცვლიდნენ ინფორმაციას სამხედრო ტექნიკის სფეროში, შეეცდებოდნენ უზრუნველეყოთ ერთმანეთის მოთხოვნილებები

იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებაში, შეუსწავლათ გზები და ხარისხები თანამშრომლობისა იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარეზე მოხდებოდა არაპროვოცირებული თავდასხმა. ნებისმიერ მესამე სახელმწიფოს, რომლის მონაწილეობასაც მხარეები სასარგებლოდ ჩათვლიდნენ, შეეძლო შეერთებოდა შეთანხმებას.

შეთანხმებამ გამოიწვია თურქეთისა და პაკისტანის დაახლოება, რაც წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს „ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაციის" სამხედრო ბლოკის (სენტო) შექმნის გზაზე.

**თურქეთ-საფრანგეთის შეთანხმება, ხელშეკრულება, კონვენცია და დეკლარაცია.** 1. 1921 შეთანხმება საფრანგეთის მთავრობასა და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შორის. ხელმოწერილ იქნა 20.X ანკარაში, ძალაში შევიდა 29.X. ცნობილია აგრეთვე როგორც ფრანკლინ-ბუიონის (საფრანგეთის მხარის წარმომადგენელი, რომელმაც ხელი მოაწერა შეთანხმებას) შეთანხმება, ან ანკარის ხელშეკრულება 1921. ითვალისწინებდა საფრანგეთსა და თურქეთს შორის სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას; მხარეების მიერ დაკავებული და დაპატიმრებული სამხედრო ტყვეების განთავისუფლებასა და გაცვლას; საფრანგეთის ჯარების გაყვანას კილიკიიდან. შეთანხმებით, ალექსანდრეტის სანჯაყი რჩებოდა სირიის ფარგლებში საფრანგეთის მანდატის (იხ. *სამანდატო სისტემა*) ქვეშ, რამაც შემდეგ გამოიწვია თურქეთ-საფრანგეთის 1936-39 კონფლიქტი; თურქეთი საფრანგეთის მოქალაქეებს აძლევდა კონცესიებს ბაღდადის რკინიგზის სასაზღვრო უბანზე და რკინიგზის შტოზე ადანის ვილაიეთში.

2. კონვენცია მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების, თურქეთ-სირიის საზღვრებისა და ბაღდადის რკინიგზის იმ მონაკვეთზე მოძრაობის რეგლამენტაციის შესახებ, რომელიც გადიოდა თურქეთის ტერიტორიაზე და იმართებოდა ფრანგული კომპანიის მიერ. ხელმოწერილ იქნა 1926 წ. 30 მაისს საფრანგეთსა და თურქეთს შორის *მოსულის კონფლიქტის* მოგვარების შემდეგ.

3. 1938 ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ. პარაფირებულ იქნა 4.VII ანკარაში. მხარეებმა ხელი არ მოაწერეს ხელშეკრულებას, მაგრამ ის საფუძვლად დაედო დეკლარაციას 1936-39 თურქეთ-საფრანგეთის კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ, რაც ხელმოწერილ იქნა 1939 წლის 23 ივნისს.

4. 1939 დეკლარაცია ურთიერთდახმარების შესახებ, ხელმოწერილ იქნა 23.VI პარიზში. 1939 ინგლის-თურქეთის დეკლარაციასთან ერთად საფუძვლად დაედო 1939 ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულებას. იმავდროულად ანკარაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას თურქეთისათვის ალექსანდრეტის სანჯაყის გადაცემის შესახებ.

**თურქეთ-საფრანგეთის კონფლიქტი 1936-39,** განაპირობა ალექსანდრეტის სანჯაყმა, რომელიც I მსოფლიო ომამდე (1914-18) იყო ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო ომის შემდეგ – სირიის შემადგენლობაში საფრანგეთის მანდატის ქვეშ (იხ. *სამანდატო სისტემა*). ალექსანდრეტის სანჯაყის საკითხი თურქეთმა დააყენა 1936 სირია-საფრანგეთის ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით. 1936 წ. 9 ოქტომბრის ნოტაში თურქეთის მთავრობამ მიუთითა, რომ საფრანგეთმა თავის დროზე იკისრა ვალდებულება, მიეცა სანჯაყისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. საფრანგეთ-თურქეთის ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და საკითხის ერთა ლიგაში განხილვის შემდეგ, 1937 წლის 26 იანვარს ერთა ლიგამ მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება: დაეტოვებინა ალექსანდრეტის სანჯაყი სირიის შემადგენლობაში, მიეცა მისთვის სრული დამოუკიდებლობა საშინაო საქმეებში, ხოლო საგარეო საქმეებში კი – უფლება, მიეღწია ისეთი ხელშეკრულებების უარყოფისა და დამტკიცებისათვის, რომლებიც ეხებოდა მის ინტერესებს. თურქეთი არ დაკმაყოფილდა ამ კომპრომისული გადაწყვეტილებით. 1938 წლის ივლისში სანჯაყის საკანონმდებლო ასამბლეაში ახალი არჩევნების წინ, სანჯაყში დაწყებული „არეულობების" საბაბით თურქეთმა მოთხოვა საფრანგეთს თანხმობა, რომ შეეყვანა იქ თავისი ჯარები. 1938 წლის 3 ივლისს ანტიოქიაში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა ალექსანდრეტის სანჯაყში თურქეთისა და საფრანგეთის თანაბარი რაოდენობის ჯარების შეყვანას.

თურქეთის ჯარების შეყვანამ სანჯაყში, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 40% იყო თურქი, განსაზღვრა არჩევნების შედეგები. მათ მიიღეს ადგილების უმრავლესობა ასამბლეაში. ასამბლეამ სანჯაყს გადაარქვა სახელი და უწოდა მას „ხატაის სახელმწიფო". გაავრცელა მასზე თურქეთის კანონმდებლობა და დააწესა თურქეთთან ერთობლივი საბაჟო და სავალუტო სისტემები.

ალექსანდრეტის სანჯაყის საბოლოო შეერთება თურქეთთან გაფორმდა 1939 წლის 23 ივნისს ანკარაში ხელმოწერილი შეთანხმებით. იმავე დღეს პარიზში საფრანგეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ურთიერთდახმარების შესახებ.

**თურქეთ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულება 1924** (მეგობრობის შესახებ), ხელმოწერილ იქნა 11 ოქტომბერს ანკარაში. ძალაში შევიდა 1925 წლის 20 ივლისს. მხარეები შეთანხმდნენ დაემყარებინათ დიპლომატიური ურთიერთობები და შეექმნათ დიპლომატიური წარმომადგენლობები. მისი ძალაში შესვლის შემდეგ განზრახული იყო ხელშეკრულებების დადება, რომლებიც მოახდენდა საკონსულო ურთიერთობების, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, ერთმანეთისადმი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის საკითხების რეგულირებას, აგრეთვე ერთი მხარის პერსონალის განლაგებასა და ყოფნას მეორე მხარის ტერიტორიაზე.

**თურქისტანიშვილი** ბადურ, XVIII ს-ის I ნახევრის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა *ვახტანგ VI-სა* და *პეტრე I-ს* შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში. 1723, როდესაც არზრუმის ფაშამ მოსთხოვა ვახტანგ VI-ს ეცნო სულთნის უფლება და ქართლის თავადების უმრავლესობამ ვახტანგს ურჩია მიეღო ეს წინადადება, Თ. წინააღმდეგი გამოვიდა, მას იმედი ჰქონდა, რომ მალე ჩამოვიდოდა რუსთა ჯარი. ოსმალთა ქართლში შემოჭრის შემდეგ ცხინვალში გახიზნულმა ვახტანგ VI-მ Თ. სასწრაფოდ გაგზავნა პეტრე I-თან დახმარების სათხოვნელად. Თ. ვახტანგ VI-თან ერთად დარჩა რუსეთში.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

ლიტ.: პ ა ი ჭ ა ძ ე გ., რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII ს. პირველი მეოთხედი), თბ., 1960.

**თურქისტანიშვილი** დავით, XVII ს-ის II ნახევრისა და XVIII ს-ის დასაწყისის ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. *გიორგი XI-მ* გაგზავნა მოსკოვს მყოფ *არჩილთან*. თ-ს არჩილი საქართველოში უნდა ჩამოეყვანა. გზაზე ქართველი ელჩი დაღესტანში დაატყვევეს. ტყვეობაში იგი შამხალმა დაიახლოვა და მალე გაათავისუფლა. საქართველოში ჩამოსულმა არჩილმა, რომელიც იმერეთში გამეფებას ცდილობდა, თ. დახმარების სათხოვნელად ყირიმის ხანთან გაგზავნა ელჩად. ყირიმის ხანმა მას სულთანთან უშუამდგომლა და თ. სტამბულს ჩავიდა. ელჩობა წარმატებით დამთავრდა. ოსმალთა დახმარებით 1690 არჩილი იმერეთში გამეფდა.

ლიტ.: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წგ: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.4, თბ., 1973.

**თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულება 1828** (რუსეთსა და ირანს შორის), ხელმოწერილ იქნა 10(22) თებერვალს სოფ.თურქმანჩაიში, თავრიზის (ირანი) მახლობლად. მან დაასრულა 1826-28 რუსეთ-ირანის ომი. ხელშეკრულების ძალით, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა ერევნისა და ნახჭევანის სახანოები (აღმ.სომხეთი), განისაზღვრა წესი ორივე მხარის ქვეშევრდომთა გადასახლებისა ერთი ტერიტორიიდან მეორეში. ირანს დაეკისრა კონტრიბუცია 20 მილიონი ვერცხლის მანეთის ოდენობით. რუსეთს დარჩა უპირატესი უფლება ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი კასპიის ზღვაზე, სადაც რუსი ვაჭრების გემებს ასევე ჰქონდათ თავისუფალი ნაოსნობის უფლება. საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის დაწესდა მდ. არეზზე.

თ.ს.ხ-ს ერთვოდა ტრაქტატი ვაჭრობის შესახებ, რომელიც რუს და ირანელ ვაჭრებს ნებას აძლევდა თავისუფლად ევაჭრათ ირანსა და რუსეთში. ირანში რუსეთის ქვეშევრდომებზე გავრცელდა ექსტერიტორიულობა, რუსეთს მიეცა საკონსულო იურისდიქციის უფლება ირანის ტერიტორიაზე.

თ.ს.ხ-მ განამტკიცა რუსეთის გავლენა შუა აღმოსავლეთში და შეასუსტა ინგლისის პოზიციები ირანში.

**თურქმენი (Turkmen)** ილტერ (დ.1927), თურქი დიპლომატი. დიპლომატიური სამსახური დაიწყო 1949. 1959-60 იყო თურქეთის წარმომადგენლობის მრჩეველი გაეროში, 1960-61 – თურქეთის საელჩოს მრჩეველი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, 1961-64 – აშშ-ში, 1967-68 – თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში, 1968-72 – თურქეთის ელჩი საბერძნეთში, 1972-75 – სსრ კავშირში, 1975-78 – თურქეთის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში, 1979-80 – გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, 1980 – თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი, 1980-83 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1983 – გაეროს ჟენევის განყოფილებაში თურქეთის მუდმივი წარმომადგენელი. მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა და თათბირში.

**თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩობა რუსეთში 1656-58.** 1656 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩავიდნენ თუშების, ფშაველებისა და ხევსურეთის წარმომადგენლები და ითხოვეს რუსეთის მფარველობაში მიღება. ქართველ მთიელთა წარმომადგენლებს მიაღებინეს რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი და უკან დაბრუნებულებს გამოაყოლეს მოსკოვის რწმუნებულები, რომელთაც რუსეთის ერთგულებაზე უნდა დაეფიცებინათ თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის მოსახლეობა. შ.მესხიასა და ი.ცინცაძეს მიაჩნდათ, რომ თ.-ფ.-ხ.ე-ის ინიციატორი თეიმურაზ I იყო. ნ.ნაკაშიძის მიხედვით, ქართველი მთიელები თვით იყვნენ ელჩობის ინიციატორები.

*ლიტ.:* Накашидзе Н.Т., Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб.,1968.

**თუჯმანი (Tudjman)** ფრანიო (დ.14.V.1922), ხორვატიის პრეზიდენტი.1941-45 მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში ი.ბ. *ტიტოს* მიერ ჩამოყალიბებული პარტიზანული არმიის შემადგენლობაში. იყო იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრი. ომის შემდეგ მსახურობდა იუგოსლავიის თავდაცვის სამინისტროში, სახალხო არმიის გენერალურ შტაბში. 1961 ტოვებს არმიას გენერალ-მაიორის ჩინით. 1961-67 ზაგრების უნივერსიტეტის პროფესორია. 1967-89 არაერთხელ იქნა რეპრესირებული ხორვატიის სახელმწიფოებრიობის აღდგენის მოთხოვნის გამო. 1989 ჩამოაყალიბა ხორვატიის დემოკრატიული კავშირი, რომელმაც 1990 საპარლამენტო არჩევნებში მოიპოვა ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა. 1990 წ. 30.V აირჩიეს პარლამენტის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. 1991 წ. მაისში რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ, 26.VI ხორვატია გამოიყვანა იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობიდან. 1992 წ. აგვისტოდან -ხორვატიის პრეზიდენტი, 1997 არჩეულ იქნა ახალი ვადით.

# ი

**იაგოვი** (Jagow) გოტლიბ ფონ (1863-1935), გერმანელი დიპლომატი. 1909-12 – გერმანიის ელჩი იტალიაში. 1913-16 – გერმანიის საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი. შეასრულა თვალსაჩინო როლი *პირველი მსოფლიო ომის* მომზადებასა და გაჩაღებაში. აქტიურად მონაწილეობდა *გერმანია-თურქეთის 1914 ხელშეკრულების* დადებაში მოკავშირეობის შესახებ, ხელს უწყობდა ბულგარეთის შეერთებას (1915) ავსტრია-გერმანიის ბლოკთან. ომის დროს ეძებდა რუსეთთან სეპარატული ზავის დადების გზებს. აწარმოებდა დიპლომატიურ ვაჭრობას ავსტრია-უნგრეთთან დაპყრობილი პოლონური მიწების გამო. 1916 თადარიგში იმყოფებოდა.

**იაზიკოვი** ნიკოლოზ დანიელის ძე (1740-78), რუსეთის არმიის გენერალი, ისტორიკოსი. იმ დროს, როცა გენერალი ტოტლებენი *ერეკლე II-ის* დასახმარებლად და პოლიტიკურ მოკავშირედ წარმოდგა თურქეთის წინააღმდეგ ომში, გენერალი ი-იც რუსეთის მთავრობამ საქართველოში წარმოგზავნა.. 1770 მან მონაწილეობა მიიღო იმ კონფლიქტისა და სადავო საკითხთა გარკვევაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეფე ერეკლესა და გენერალ ტოტლებენს შორის; აგრეთვე იგი მომრიგებელ პოლიტიკას ეწეოდა ერეკლე II-სა და *სოლომონ I-ს* შორის. ფაქტიურად ი. რუსეთის საიდუმლო აგენტი იყო საქართველოში. 1771-დან იგი რუსეთში დაბრუნდა. დაინიშნა ნოვოროსიისკის მხარის გუბერნატორად (1775).

*ლიტ.:* Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до Грузии, под ред. А. А.Цагарели, т.1, СПб., 1891.

**იაკობ მოციქული**, ქართველი დიპლომატი, მამა გიორგი მთაწმინდელისა. წარმოშობით სამცხიდან. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა X-XI სს. მიჯნაზე. საქართველოს მეფის *გიორგი I-ის* ბრძანებით იმყოფებოდა ელჩად სპარსეთში.

*წყარო:* გ ი ო რ გ ი  მ ც ი რ ე , ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1994.

**იაკოვლევი** ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (დ.1923), საბჭოთა პარტიული მუშაკი, მეცნიერი და დიპლომატი.

1946-53 – პარტიულ სამუშაოზეა იაროსლავლში, 1953-56 და 1960-73 – პასუხსაგებ სამუშაოზეა სკკპ ცკ-ის აპარატში; 1956-60 – სკკპ ცკ-თან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი; 1973-83 – სსრკ ელჩი კანადაში; 1983-85 – მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის დირექტორი; 1985-86 – სკკპ ცკ-ის პროპაგანდის განყოფილების გამგე; 1987-90 – სკკპ ცკ-ის ჯერ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, შემდეგ წევრი. გარდაქმნის პოლიტიკის („*პერესტროიკა*") ერთ-ერთი იდეოლოგი და გამტარებელი. 1991 – სსრკ-ის დაშლის შემდეგ იმყოფებოდა სამეცნიერო სამუშაოზე. 1994 – რუსეთის ტელეკომპანია „ოსტანკინოს" გენერალური დირექტორი.

იგი არის მრავალი წიგნის ავტორი, რომლებიც დაწერილია გარდაქმნის პოლიტიკის დაწყებამდე და გაჟღენთილია ცივი ომის სულისკვეთებით.

**იალტის კონფერენცია**, იხ. *ყირიმის (იალტის) კონფერენცია* 1945.

**იამ-ზაპოლიეს საზავო ხელშეკრულება 1582** (რუსეთსა და რეჩ-პოსპოლიტას შორის), ხელი მოაწერეს 15.I სოფელ კიევეროვა გორაში, ზაპოლიეს მახლობლად (ფსკოვის სამხრეთით), წარმოადგენდა ერთ-ერთ დიპლომატიურ აქტს, რომელმაც დაასრულა ლივონიის ომი 1558-83; დაიდო 10 წლის ვადით.

რუსეთი, რომელმაც ბალტიის გასასვლელისათვის ომი დაიწყო ლივონიის ორდენთან, ამ ორდენის დაშლის (1560) შემდეგ იძულებული გახდა, ერთდროული ომი ეწარმოებინა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფოსთან და შვეციასთან. *ივანე IV-მ*, რომელიც თავისი ჯარების გაგზავნას აპირებდა უმთავრესად შვეციის წინააღმდეგ საბრძოლველად, შესთავაზა პოლონეთის მეფეს სტეფან ბატორის, დაედოთ ზავი.

საზავო მოლაპარაკებები დაიწყო 1581 წლის დეკემბერში, პაპის წარმომადგენლის, იეზუიტ აპოსევინოს შუამავლობით.

მწვავე კამათი გამოიწვია ლივონიის საკითხმა. რუსეთს სურდა იურიევის (თანამედრ. ტარტუს) შენარჩუნება. პოსევინო, რომელიც დაინტერესებული იყო ლივონიაში კათოლიციზმის გავრცელებით, მხარს უჭერდა პოლონეთს.

ივანე IV, რომელიც ცდილობდა შვეციისათვის წაერთმია ნარვა და ბალტიისპირეთის სხვა ქალაქები, დათანხმდა დაეთმო რეჩ-პოსპოლიტასთვის რუსეთის მიერ დაპყრობილი ლივონიის ნაწილი. ბატორი ასევე დათმობებზე წავიდა და უარი თქვა მის მიერ დაპყრობილ რუსულ ქალაქებზე.

ხელშეკრულების თანახმად, რეჩ-პოსპოლიტამ იკისრა, დაებრუნებინა მის მიერ დაპყრობილი რუსული ქალაქები – ველიკიე ლუკი, ხოლმი, ზავოლოჩიე, იზბორსკი, ოპოჩკა, ნევლი, სებეჟი, ოსტროვი და სხვ. ქალაქ ველიჟას რაიონის გარდა, სადაც აღდგა 1514-მდე არსებული საზღვარი. ყველა ტერიტორია, რომელიც ადრე ლივონიის ორდენს ეკუთვნოდა, რუსეთმა გადასცა რეჩ-პოსპოლიტას.

ივანე IV ხელშეკრულებას განიხილავდა, როგორც დროებით შესვენებას მის მიერ ჩაფიქრებული რეფორმების გასატარებლად, ასევე შვეციასთან ომის გასაგრძელებლად. თუმცა ბალტიისპირეთისათვის ბრძოლა განახლდა მხოლოდ ივანე IV-ის სიკვდილის შემდეგ (იხ. *ტიავზინის საზავო ხელშეკრულება 1595*).

**იაპონია-სამხრეთ კორეის ხელშეკრულება 1965**, ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების საფუძვლების შესახებ ხელმოწერილ იქნა 22.VI ტოკიოში, ძალაში შევიდა 18.XII. ითვალისწინებდა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარებას. ხელშეკრულებასთან ერთად ხელმოწერილ იქნა რიგი ორმხრივი შეთანხმებები, რომლითაც იაპონია სამხრეთ კორეას აძლევდა სესხს 300 მლნ დოლარის ოდენობით და გრძელვადიან კრედიტს 200 მლნ დოლარის ოდენობით, შეღავათიანი პირობებით. ხელშეკრულება იწვევდა ჩრდ.კორეის ხელისუფალთა მკვეთრ გაღიზიანებას.

*წყარო:* Keesing's Contemporary Archives. 1965-66. Vol.15, p.20972.

*ლიტ.:* Петров Д. Япония и Южная Корея, сговор за спиной народов. – "Мировая экономика и международные отношения",1965, №6, с 95-101.

**იაპონიის „არაბირთვული პრინციპები“**, სამი პრინციპი იაპონიის პოლიტიკისა, რომლითაც ეს ქვეყანა კისრულობს ვალდებულებას არ აწარმოოს ბირთვული იარაღი, არ იქონიოს იგი და არ შემოიტანოს ქვეყანაში. არ აქვს კანონის ხასიათი.

1957 იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ნ.კისიმ განაცხადა, რომ მთავრობა, ითვალისწინებს რა ხალხის განწყობას, უარს აცხადებს ბირთვული იარაღის შემოტანასა და ამ იარაღით სამხედრო ძალების შეიარაღებაზე. 1967 პრემიერ-მინისტრმა ე.სატომ ჩამოაყალიბა ი.„ა.პ.“ იმ სახით, როგორადაც ისინი არსებობენ დღემდე. 1976 იაპონიამ მოახდინა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968 ხელშეკრულების რატიფიცირება, რითაც იურიდიული ვალდებულება იკისრა დაეცვა ზემოაღნიშნული პრინციპები.

**იარინგი** (Jarring) გუნარ ვალფრიდ (დ.1907), შვედი დიპლომატი, მეცნიერი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1940-დან. 1940-41 – შვედეთის საელჩოს ატაშე თურქეთში, 1941-45 – ირანში შვედეთის საელჩოს პირველი მდივანი, 1945 – შვედეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული ირანსა და ერაყში, 1946-48 – ეთიოპიაში, 1948-52 – ირანში, ერაყსა და პაკისტანში. 1953-56 – შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე, 1956-58 – შვედეთის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში, აგრეთვე 1957-58 – შვედეთის წარმომადგენელი *გაეროს უშიშროების საბჭოში.* 1957 გამოდიოდა გაეროს შუამავლის როლში ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტში. 1958-64 – შვედეთის ელჩი აშშ-ში, 1964-73 – შვედეთის ელჩი სსრკ-ში, იმავდროულად 1965-73 – ელჩი მონღოლეთში, 1967-73 გამოდიოდა როგორც *გაეროს გენერალური მდივნის* სპეციალური რწმუნებული ახლო აღმოსავლეთის კრიზისის დარეგულირებაში. 1973 – შვედეთის კონცერნ „იუნსონის“ მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში.

მრავალი ნაშრომის ავტორი თურქულენოვანი ხალხების ლიტერატურასა და ისტორიაში, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში.

**იასის საზავო ხელშეკრულება 1791**, ხელი მოაწერეს 29.XII. 1791 (9.I. 1792) იასიში (რუმინეთი), დაამთავრა რუსეთ-თურქეთის 1787-91 ომი. ხელშეკრულება ადასტურებდა ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებას (1774), 1783-ის აქტს ყირიმისა და ყუბანის რუსეთთან შეერთებას და ყველა სხვა რუსეთ-თურქეთის ადრე დადებულ შეთანხმებებს, რომლებიც ხშირად ირღვეოდნენ. ხელშეკრულებით რუსეთ-თურქეთის ახალი საზღვარი გახდა სამხრეთ-დასავლეთით მდ. დნესტრის გაყოლებით. თურქეთის მთავრობა უარს ამბობდა საქართველოს მიმართ პრეტენზიებზე და ვალდებულებას კისრულობდა არ განეხორციელებინა მტრული მოქმედება საქართველოსა და ყუბანის მიწების მიმართ.

*წყარო:* Договоры России с Востоком, политические и торговые. Сост. Т. П. Юзефович, СПб., 1869, с.41-49.

**იბნ ალ-მარისთანია** უბაიდ ალლაჰ იბნ ალი იბნ ნასრ (1145-46 ან 1146-47-1203), არაბი მეცნიერი, ჰანბალისტთა სკოლის სამართლისმცოდნე, მუჰადდისი (ისლამის ფუძემდებლის – მუჰამადის შესახებ გადმოცემების შემკრები და მცოდნე), ჰაფიზი (ყურანის ზეპირად მცოდნე), ისტორიკოსი, ასტროლოგი და ექიმი. მოღვაწეობდა აბასიანთა სახალიფოში. ბაღდადში ეკავა ალ-ადუდის ვაკფის (საქველმოქმედო მიზნით შეწირული ქონების) მეთვალყურის თანამდებობა. აქვე ააშენა „ცოდნის სახლი“ წიგნთსაცავითურთ 1202 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ხალიფა ან-ნასირის ბრძანებით ელჩად გაიგზავნა თბილისში, თამარის კარზე. მასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა ან-ნასირთან მყოფი ქართველთა ელჩიც. ი.ალ-მ-ს გამომგზავრება მოხდა ბაღდადიდან – ვაზირის სასახლიდან, მთელი ცერემონიალის დაცვით. მას უბოძეს შავი ხალათი და ტაილასანი (თავსაბური), შეკაზმული ცხენი და ხმალი. ი.ალ-მ-ს გაცილებას ესწრებოდნენ სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეები. ხალიფამ მას თამართან გაატანა ეპისტოლე, რომლის შინაარსი, ისევე როგორც მისი ელჩობის მიზნები უცნობია. თბილისში თავისი დავალების შესრულების შემდეგ ი.ალ-მ. გაემგზავრა აზერბაიჯანის ათაბაგ ელდიგუზიან აბუ ბაქრის კარზე. გარდაიცვალა გზაში, ნახჭევანის მახლობლად დაბა ჯურხაბანდთან, 1203 წლის 11 აგვისტოს.

*ლიტ.:* სიხარულიძე ე., იაკუთის ლექსიკონის ერთი ცნობის შესახებ. „სემიტოლოგიური ძიებანი“, III, თბ., 1987; Richter-Bernburg L., Ibn al-Maristaniya. the Career of a Hanbalite Intellectual in Sixth/Twelfth Century Baghdad. – "Journal of the American Oriental Society", 1982, vol. 102, N2.

**იბრაჰიმ ბეგი** ალ-ქაბირ ალ-მუჰამად (1735, მარტყოფი-1815, დონგოლა), წარმოშობით ქართველი (აბრამ შინჯიკაშვილი), ოსმალთა ხანის ეგვიპტის მამლუქთა ოლიგარქიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. საქართველოდან ბავშვობაში მოტაცებული გაყიდეს ეგვიპტეში, სადაც გახდა ალი ბეგ ალ-ქაბირის თანამებრძოლის მუჰამედ ბეგ აბუ ზაჰაბის მამლუქი. 1768 მიიღო ბეგობა, 1775-98 შუალედებით ეკავა შაიხ-ალ-ბალადის პოსტი, რომელიც იყო უმაღლესი მამლუქთა ორგანიზაციაში. 1785-87 ხელმძღვანელობდა ანტიოსმალურ აჯანყებას, 1798-1801 – ბრძოლებს საფრანგეთის ექსპედიციის წინააღმდეგ ეგვიპტეში, 1801-05 მონაწილეობდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელიც დასრულდა წარმოშობით ალბანელი მუჰამად ალის გამარჯვებით და 1811 წლის 1 მარტს მის მიერ მამლუქთა ძირითადი ნაწილის გაჟლეტით კაიროში. ი.ბ., რომელიც ამ დროს ზემო ეგვიპტეში იმყოფებოდა, რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად გაიქცა სუდანში, სადაც გარდაიცვალა დონგოლაში. 1817 გადმოასვენეს და დაკრძალეს კაიროში. ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა *ერეკლე II-სთან*, რასაც განსაზღვრავდა ოსმალეთთან ერთობლივი ბრძოლის ინტერესები. ათავისუფლებდა და სამშობლოში აბრუნებდა ეგვიპტეში გაყიდულ ქართველ ტყვეებს. მარტყოფში გაგ-

ზავნა ფული ეკლესიის ასაშენებლად. მისი ხარჯით მარტყოფში, შინჯიკაშვილების უბანში აშენდა სამსართულიანი კოშკი.

ლიტ.: სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; ჯაფარიძე გ. მამლუქთა წერილები ეგვიპტიდან. – „დროშა", 1971, №8; ჯანელიძე დ., სილაგაძე ბ., ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967; Мачарадзе В.Г., Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х годов XVIII века, Тб.,1967.

**იგლბერგერი (Eagleburger)** ლოურენს სიდნეი (დ.1930), აშშ-ის დიპლომატი.

დიპლომატიურ სამსახურშია 1957-დან. მუშაობდა აშშ-ის საელჩოებში – ჰონდურასში (1957-59), იუგოსლავიაში (1962-65) და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში (1959-62, 1965-66). 1966-67 – აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თანამშრომელი; 1967-69 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის სპეციალური თანაშემწე; 1969 – ეროვნული უშიშროების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის თანაშემწე; 1969-71 – პოლიტიკური მრჩეველი, შემდეგ ნატოს საბჭოში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლობის პოლიტიკური განყოფილების მეთაური; 1971-73 – აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილის მოადგილე; 1973 – ეროვნული უშიშროების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწის მოადგილე; 1973-77 – სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, იმავდროულად 1975-77 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოადგილე მმართველობის საკითხებში; 1977-81 – აშშ-ის ელჩი იუგოსლავიაში; 1981-82 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპის საკითხებში, 1982-84 – აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში; 1984-დან თადარიგშია.

**იგნატიევი** ნიკოლოზ პაველეს ძე (1832-1908), გრაფი, რუსი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე. 1856-58 – სამხედრო ატაშე ლონდონში. 1858 მეთაურობდა სამხედრო დიპლომატიურ მისიას ხივაში და ბუხარაში. 1859-60 – წარმომადგენელი ჩინეთში; 1861-64 – საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის დირექტორი; 1864-77 – წარმომადგენელი, შემდეგ ელჩი თურქეთში; 1877 გაიგზავნა ბერლინში, ლონდონში, პარიზში და ვენაში, რათა უზრუნველეყო ევროპის სახელმწიფოთა ნეიტრალიტეტი რუსეთ-თურქეთის ომში. იყო *სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების (1878)* შემდგენელი და რუსეთის მთავარი რწმუნებული მისი დადების დროს. 1881-82 – შინაგან საქმეთა მინისტრი.

**იდენი (Eden)** (რობერტ) ანტონი (1897-1977), გრაფი ე ი ვ ო ნ ი (Avon), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

თემთა პალატის წევრი 1923-57. 1926-29 – საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მდივანი. 1931-33 – საგარეო საქმეთა მინისტრის საპარლამენტო მოადგილე; 1934-35 – ბეჭდის მცველი-ლორდი; 1935 – *ერთა ლიგის* საკითხებში უპორტფელო მინისტრი; 1935-38 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1939-40 – დომინიონების საქმეთა მინისტრი; 1940 – სამხედრო მინისტრი; 1940-45 – საგარეო საქმეთა მინისტრი, იმავდროულად 1942-45 – თემთა პალატის ლიდერი; 1945-51 – ოპოზიციის ლიდერი პარლამენტში, 1951-55 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი; 1955-57 – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. მონაწილეობდა *მოსკოვის (1943), თეირანის (1943), ყირიმის (იალტის) (1945), სან-ფრანცისკოს (1945)* და *ბერლინის (პოტსდამის) (1945) კონფერენციებში.*

1952-54 – ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე. ეგვიპტის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის ჩაშლის შემდეგ იძულებული გახდა გადამდგარიყო. 1966 – ლორდთა პალატის წევრი.

**იდესის მისია 1692-95** (ძინის ჩინეთში), გააგზავნა *პეტრე I*-მა 1689 *ნერჩინსკის ხელშეკრულების* დადების შემდეგ აღმოცენებული საკითხების მოსაწესრიგებლად. მისიას მეთაურობდა რუსეთის სამსახურში მყოფი დანიელი იდესი. მას დავალებული ჰქონდა მოეთხოვა ჩინეთისგან რუსი სამხედრო ტყვეების დაბრუნება, რომლებიც მანჯურიელებმა ამურზე იგდეს ხელთ. მიეღწია იმისათვის, რომ ჩინეთს ხელი არ შეეშალა თავისი ვაჭრებისათვის ჩასულიყვნენ მოსკოვში სავაჭროდ, მიეღო უფლება პეკინში რუსული ეკლესიის მშენებლობისა. ჩინეთის მხარე ინტერესს არ იჩენდა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე მოლაპარაკების წარმოების რწმუნება იდესს არ გააჩნდა. რუსეთის ქარავანს უფლება მიეცა ჩასულიყო პეკინში და შეთანხმდნენ აგრეთვე სამხედრო ტყვეების განთავისუფლებაზე. სხვა სახის მოლაპარაკებაზე ჩინეთმა უარი თქვა.

**იემენ (იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა)-ლიბია-ეთიოპიის ხელშეკრულება 1981** (მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ), ხელმოწერილ იქნა ადენში 19 აგვისტოს სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელების ალი ნასირ მუჰამადის, მუამარ კადაფისა და მენგისტუ ჰაილე მარიამის შეხვედრის დროს. ი.-ლ.-ე. ხ. განსაზღვრავს სამი სახელმწიფოს თანამშრომლობის მიმართულებებსა და ფორმებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სფეროებში. ი.-ლ.-ე. ხ-ის თანახმად, აგრესია ხელშეკრულების ერთ-ერთი წევრი ქვეყნის წინააღმდეგ განიხილება როგორც აგრესია ხელშეკრულების ყველა მონაწილის წინააღმდეგ, რომლებიც ყველა შესაძლებელი საშუალებით ერთობლივად გამოვლენ აგრესიის მსხვერპლის დასაცავად და განახორციელებენ თავიანთ უფლებას ინდივიდუალურ და კოლექტიურ თავდაცვაზე.

**იერლაყი** („იერლაყი შეწყალებისაჲ"), უმაღლეს ხელისუფალთა მიერ წყალობის დამადასტურებელი დოკუმენტი; სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების, დიპლომატიური კონტაქტებისა და ელჩობის შედეგად მიღწეული გადაწყვეტილების გაფორმება ბრძანება-სიგელის სახით. ჟამთააღმწერლის სიტყვებით, „იერლაყი, რომელ არს ბრძანება"; სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, იერლაყი არის „მეფეთაგან შეწყალების უსტარი"; თეიმურაზ ბაგრატიონი იერლაყს ფირმანთან აიგივებს – „ფარმანი სხვათა ენაა, ქართულად დასტურის წიგნი." მონგოლი ყაენი წყალობას იერლაყით ადასტურებს, მაგ., სარგის ჯაყელს ჰულაგუ ყაენმა დამსახურებისათვის „კარნუ ქალაქი და მიმდგომი მისი ქვეყანა უბოძა იერლაყითა." ეგვიპტის სულთანთან *გიორგი V* ბრწყინვალის მიერ „კლიტენი იერუსალჱმისანი"-ს თაობაზე *პაპა ქვენიფნეველის* ხელმძღვანელობით ორგანიზებული წარმატებული ელჩობის შედეგად ქრისტეს საფლავის სალოცავი ქართველებს გადაეცათ. მისრეთიდან, ანუ ეგვიპტიდან ჟამ მო-

ბრუნებული ელჩი პიპა ქვენიფნეველი „მოვიდა წინაშე მეფისა (გიორგი V) და მოიღო იერლაყი შეწყალებისაჲ."

წყარო: ჟამთააღმწერელი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; ძველი ერისთავთა, შ.მესხიას გამოც. – „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის" (მსკი), 1954, ნაკვ.30; თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, გ.შარაძის გამოც., თბ., 1979.

**იერუსალიმის სტატუსი**, გაეროს გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია პალესტინის დაყოფის (*პალესტინის პრობლემა)* შესახებ. ითვალისწინებდა ქ. იერუსალიმის გამოყოფას ცალკე ერთეულად (corpus separatum), რომელსაც ექნებოდა განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმი (მეურვეობის საბჭოს მმართველობის ქვეშ).

1948-49 პალესტინის ომის შედეგად და ისრაელსა და იორდანიას შორის დროებით ზავზე ზოგადი შეთანხმების შესაბამისად (*ზოგადი შეთანხმებები 1949 მახლობელ აღმოსავლეთში დროებითი ზავის შესახებ)* იერუსალიმის დასავლეთი ნაწილი ისრაელის, ხოლო აღმოსავლეთი კი – იორდანიის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

1950 წლის აპრილში მეურვეობის საბჭომ შეიმუშავა იერუსალიმის სტატუსი. ის ითვალისწინებდა იერუსალიმში გუბერნატორის დანიშვნას, რომელსაც აქ ადმინისტრაციული ხელისუფლება უნდა განეხორციელებინა გაეროს სახელით. იორდანიამ არ გამოხატა თავისი პოზიცია ამ საკითხზე, ხოლო ისრაელმა კი უარყო იერუსალიმის სტატუსი, როგორც განუხორციელებელი და იერუსალიმი ცალმხრივად გამოაცხადა თავის დედაქალაქად.

1967 წლის ივნისში არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომის შედეგად ისრაელმა ხელთ იგდო მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი და იერუსალიმის აღმოსავლეთი (არაბული) ნაწილი. იმავე წლის ივლისში ისრაელის ქნესეთმა მიიღო კანონი, რომელიც აერთიანებდა იერუსალიმის ორივე ნაწილს და ქმნიდა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს. მისი საქალაქო საბჭო დაიშალა და ქალაქი საერთო ისრაელის მუნიციპალიტეტის მოქმედების სფეროში. 1980 წლის 30 ივლისს ისრაელის ქნესეთმა მიიღო კანონი, რომელიც გაერთიანებულ იერუსალიმს აცხადებდა ისრაელის სახელმწიფოს „მარადიულ და განუყოფელ" დედაქალაქად. გაეროს უშიშროების საბჭომ 1980 წლის 20 აგვისტოს №478 რეზოლუციით არ ცნო ეს კანონი, რომელიც მიმართული იყო იერუსალიმის სტატუსის შესაცვლელად, და მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, რომელსაც დიპლომატიური წარმომადგენლობა ჰქონდა ამ ქალაქში, გაეყვანა ის აქედან. ისრაელის გადაწყვეტილება დაგმო აგრეთვე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ (1980 წლის 15 დეკემბრის №35/169 რეზოლუცია).

**ივანე ბაღვაში** ლიპარიტის ძე, XI ს-ის საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, სპასალარი, კლდეკარის ერისთავი. გადახვეწილი იყო ბიზანტიაში მამასთან – *ლიპარიტ ბაღვაშთან* ერთად. ლიპარიტის თხოვნით, *ბაგრატ IV-მ* 1059 შეიწყნარა ი.ბ., დაუბრუნა მამაპაპეული მამული და სპასალარად დანიშნა. ერთხანს იგი ერთგულად ემსახურებოდა მეფეს. 1068 – *ალფ-არსლანის* მეორე შემოსევისას მეთაურობდა დასავლეთ საქართველოში გამოსულ ალფ-არსლანთან ბაგრატის სამოციქულო მისიას. საქართველოს მეფე სულთნისაგან მშვიდობას ითხოვდა. ალფ-არსლანმა ი.ბ. უკან, აფხაზეთში მყოფ ბაგრატთან გააგზავნა და მშვიდობის საფასურად ხარკის გადახდა მოსთხოვა. სუსხიანი ზამთრის გამო ალფ-არსლანი აღარ დაელოდა პასუხს და უკან გაბრუნდა. *გიორგი II-ის* დროს ი.ბ. მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებშია. 1074 მორჩილებით ეახლა საქართველოს ასაოხრებლად მოსულ *მალიქ-შაჰს*, მაგრამ, როგორც ჩანს, მალე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. 1080 მალიქ-შაჰი შემოესია საქართველოს და ი.ბ. ოჯახიანად ტყვედ ჩაიგდო. შემდეგ იგი წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე.

ლიტ.: კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; მეტრეველი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1983 (თხზ., ტ. 2).

**ივანე I (ყვარყვარე) ჯაყელი-ციხისჯვარელი**, XII ს-ის 90-იანი – XIII ს-ის 50-იანი წლების ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, სამცხის სპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი. XII ს-ის 90-იან წლებში მეფის მომხრეთა ბანაკშია და ებრძვის თამარის წინააღმდეგ შეთქმულ დიდებულებს, მონაწილეობს ჯალალ ედ-დინის საწინააღმდეგო ოპერაციებში. ქართველ დიდებულთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა, ყველაზე შეურიგებელი და არალოიალური ფეოდალია მონგოლთა მიმართ, სამცხეში მონგოლებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. როცა დარწმუნდა საკუთარი ძალებით მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობაში, რუსუდანისაგან ნებართვის შემდეგ, მონგოლ ნოინებს დაუზავდა. იგი მოციქულობს რუსუდანსა და მონგოლებს შორის ზავის საკითხებზე მოლაპარაკების დროს. აქტიური მონაწილეობა მიიღო რუსუდან მეფის ქუთაისიდან თბილისში გადმოყვანისა და რუსუდანის ძის – დავითის ურდოში მეფედ დასამტკიცებლად გაგზავნის საქმეში. უმეფობის ხანაში ერთ-ერთის – მესხეთის გარკვეული ნაწილის დუმნის თავია. ამ პერიოდში დაამარცხა მცირე აზიის თურქები, ბრძოლა ვანის ვაკეზე ქართველთა მნიშვნელოვანი გამარჯვებით დასრულდა; საბოლოოდ, მისი ძალისხმევა თურქების საქართველოს საზღვრებიდან განდევნით დამთავრდა. აქტიურად მონაწილეობს დავით გიორგის ძის მოძებნისა და მისი საქართველოში ჩამოყვანის საკითხში. იყო კოხტასთავის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური.

წყარო: ჟამთააღმწერელი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959.

ლიტ.: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.3, თბ., 1966 (თხზ., ტ. 3, თბ., 1982).

**ივანე II ჯაყელი**, სამცხის ათაბაგი 1391-1444, აღბუღა ათაბაგის ძე. თავდაპირველად მხარს უჭერდა *გიორგი VII-ის* პოლიტიკას და მასთან ერთად იბრძოდა თემურ-ლენგის წინააღმდეგ. ამის გამო *თემურ-ლენგმა* საქართველოში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს (1400) სამცხე-საათაბაგო დაარბია და ააოხრა. 1403 ი.II ჯ. ათაბაგი და უფლისწული კონსტანტინე (შემდგომში – საქართველოს მეფე *კონსტანტინე I* – 1407-12) გიორგი VII-ეს განუდგნენ, კოლას მთიანეთში მყოფ თემურ-ლენგს დიდძალი საჩუქრები მიართვეს და მორჩილება აღუთქვეს. საქართველოში ჩამოვარდნილმა შინაურმა შუღლმა თემურ-ლენგს 1403 წლის 12 აგვისტოს მანამდე აუღებელი ბირთვისის ციხის დაპყრობა გაუადვილა.

1403-14 (ან 1415) ი.II ჯ. ათაბაგი დამოუკიდებლად მართავდა სამცხე-საათაბაგოს და სრულებით არ ემორჩილებოდა ერთიანი საქართველოს მეფეს. პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პარალელურად მესხეთის

ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსოსაგან ჩამოშორებასა და საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებასაც ცდილობდა. ამ საქმეში მას მხარს უჭერდა მესხეთის სამღვდელოების გარკვეული ნაწილი (აწყურის, იშხნის, ანჩისა და სხვ. საეპისკოპოსოები).

*ალექსანდრე I* დიდმა ბოლო მოუღო ი.II ჯ. ათაბაგის სეპარატისტულ მისწრაფებებს. 1414 (ან 1415) კოხტასთავთან (ასპინძის ახლოს) გამართულ ბრძოლაში იგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ალექსანდრე I-მა დაიპყრო სამცხე-საათაბაგოს ციხეები, ურჩი ფეოდალები განდევნა და მათი სამფლობელოები თავის ერისთავებს უბოძა. ი.II ჯ. იძულებული გახდა მეფისთვის პატივება ეთხოვა. ალექსანდრე I-მა შეიწყნარა იგი, ერთგულების ფიცი დაადებინა და ათაბაგობა დაუბრუნა. ამავდროულად ალაგმულ იქნა მესხეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების ცდებიც.

1416 შავბატკნიან თურქმანთა (ყარა-ყოიუნლუ) სახელმწიფოს მბრძანებელმა ყარა-იუსუფმა ახალციხე დალაშქრა და ააოხრა. ყარა-იუსუფს ალექსანდრე I-ის მიერ სამცხე-საათაბაგოს დამორჩილება არ აწყობდა და სურდა იგი უშუალოდ თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. ყარა-იუსუფს თავისი ზრახვების განხორციელება არ დასცალდა. იგი 1420 გარდაიცვალა.

კოხტასთავის ბრძოლის შემდეგ ი.II ჯ. ათაბაგი ერთხანს ალექსანდრე I-ს მორჩილებდა. XV ს-ის 30-იანი წლებიდან კი კვლავ განაახლა ბრძოლა სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობისათვის. თანამედროვეებს სამცხე-საათაბაგო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად მიაჩნდათ. 1444 ახალციხე დალაშქრა ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფოს მბრძანებელმა ჯეჰან-შაჰმა.

ათაბაგი აქტიურ დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობას აწარმოებდა ეგვიპტესთან. მისი მცდელობით 1430 საქართველოს დაუბრუნდა გოლგოთის სამონასტრო კომპლექსი.

*წყარო:* ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ცხოვრება. – იქვე, ტ. 4, თბ., 1973; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ქ. შარაშიძის გამოც., თბ., 1961; სომხურ ხელნაწერთა (XIV-XV სს.) ანდერძების (ანდერძ-კოლოფონების) ცნობები საქართველოს შესახებ, ა. აბდალაძის გამოც., თბ., 1978.

*ლიტ.:* ა ბ დ ა ლ ა ძ ე ა., XV ს. I ნახევრის საქართველოს ისტორიიდან. – „მაცნე". ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1976, №3; ტ ა ბ ა ტ ა ძ ე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ., ტ. 3).

**ივანე III**, ვასილის ძე (1440-1505), მოსკოვის დიდი მთავარი 1462-დან. ი.III-ის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანა იყო რუსეთის მიწების პოლიტიკური გაერთიანების დამთავრება ერთ სახელმწიფოდ. 1463 მოსკოვის დიდ სამთავროს შეუერთდა იაროსლაველი, 1474 – როსტოვი, 1478 – ნოვგოროდი, 1485 – ტვერი, 1489 – ვიატკა, 1503 – დიდი რიაზანის მნიშვნელოვანი ნაწილი, 1500-03 – ჩერნიგოვი, პუტივლი, სტაროდუბი და 16 სხვა რუსული ქალაქი. 1480 ბოლო მოუღო ოქროს ურდოს ბატონობას რუსეთზე. მის დროს რუსეთს მუდმივი დიპლომატიური ურთიერთობანი ჰქონდა ევროპის სახელმწიფოებთან.

**ივანე IV მ რ ი ს ხ ა ნ ე** (1530-84), რუსეთის დიდი მთავარი (1533), რუსეთის პირველი მეფე (1547-დან). საგარეო პოლიტიკაში ცდილობდა ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრას – მოესპო აღმოსავლეთის სახანოებიდან მომდინარე საფრთხე და უზრუნველეყო რუსეთი ბალტიის ზღვაზე გასასვლელით. 1547 ი.IV-მ დაიწყო საომარი მოქმედება ყაზანის სახანოს წინააღმდეგ, რომელიც ხშირად ესხმოდა თავს რუსულ მიწებს. 1552 ყაზანი აღებულ იქნა. 1556 დაიპყრო ასტრახანის სახანო, რამაც რუსეთს ვოლგისპირეთში გაბატონების და ირანთან ვაჭრობის საშუალება მისცა. ი.IV-ის ვასალურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდა აგრეთვე ნოღაის დიდი ურდო და ციმბირის სახანო.

1558 ბალტიის ზღვის სანაპიროს ხელთგდების მიზნით ი.IV დაიწყო ომი ლივონიის ორდენის წინააღმდეგ. მართალია, რუსეთმა ორდენი გაანადგურა, მაგრამ მოუწია ომის დაწყება ერთდროულად ლიტვის, პოლონეთის, დანიის, შვედეთისა და თურქეთის წინააღმდეგ. ლივონიის ომი დამთავრდა რუსეთის დამარცხებით და, 1582-83 პოლონეთთან და შვედეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების თანახმად, ი.IV-მ უარი თქვა ყველა მანამდე დაპყრობილ მიწებზე ბალტიისპირეთში.

ი.IV-ის მეფობის დროს განმტკიცდა რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობები. მას ურთიერთობები ჰქონდა (ელჩობათა გაცვლის დონეზე) პოლანდიასთან, უნგრეთთან, მოლდავეთთან, საქართველოსთან, ირანთან. ხშირად უცხოელ ელჩებთან თვითონ აწარმოებდა მოლაპარაკებას და ადგენდა დიპლომატიურ წერილებს. 1555-57 დადებულ იქნა უბაჟო სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისთან.

**ივანოვი** ალმაზ (ეროფეი) ივანეს ძე (გ. 1669), რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1640-46 – სახაზინო სახლის დიაკი. 1646 გადაიყვანეს საელჩო საპრიკაზოში. 1649 იყო სტოკჰოლმში დელეგაციასთან ერთად. 1652-53 იყო პოლონეთის დელეგაციაში. 1653-67 – დუმის დიაკი და საელჩო პრიკაზის უფროსი.

**ივერიელთა ტრაქტატი**, 1790 წლის ივნისში განხორციელებული პოლიტიკური აქტი, ხელშეკრულება ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის. 1790 წლის ივნისში, მძიმე საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში, ერეკლე მეფის კანცლერ სოლომონ *ლიონიძის* ინიციატივით, გაფორმდა ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი საჩეფოსა ქალაქსა ტფილისს. ამ ტრაქტატით დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან ამყარებდნენ სამხედრო კავშირს და 1783 ტრაქტატს უერთდებოდნენ. ს. ლიონიძე საქართველოს გაერთიანების იდეის მარცხის შემდეგ კიდევ „მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთნათესაობა ქართველთა, ოთხასის წლითა დაშორებულთა"... მოკავშირეები ერეკლე მეორის უპირატესობასა და მის მფარველობას აღიარებდნენ და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობის დამყარებას. ქართველი პოლიტიკოსების აზრით, რუსეთი ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკების დროს შეძლებდა აღნიშნული გაერთიანებისათვის მხარის დაჭერას. მათი იმედები რუსეთმა არ გაამართლა.

აღნიშნული ტრაქტატი საინტერესო დოკუმენტია იმდროინდელ ქართველ მოწინავე მოღვაწეთა თვალსაზრისისა და პირველ რიგში ს. ლიონიძის მოღვაწეობის გასაცნობად. ტრაქტატი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია, რომელიც გვიდასტურებს ქართველ პოლიტიკოსთა მაღალ სახელმწიფოებრივ შეგნებას და მისწრაფებას ქვეყნის ერთიანობისაკენ.

ლიტ.: ყეშაპელი ვ., საქართველო და რუსეთი, თბ., 1918; იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, ტფ., 1936; კანდელაკი ნ., ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, თბ., 1961; АКАК, т. 1, Тфл., 1866; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия..., под ред. А. А. Цагарели, т. 2, вып. 2, СПб., 1902.

**იზაბელა** (Isabel) (1451-1504), კასტილიის დედოფალი 1474-დან, მეფე ხუან II-ის ქალიშვილი. ავიდა რა ტახტზე ფეოდალური შინაომების პერიოდში, მან რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა მეფის ხელისუფლების განმტკიცებისათვის. არაგონის პრინცთან ფერდინანდთან ქორწინებით (1469) დამყარდა დინასტიური უნია კასტილიასა და არაგონს შორის და 1479 დამთავრდა ესპანეთის გაერთიანებით. საშინაო პოლიტიკაში ემყარებოდა ქალაქებსა და წვრილ ფეოდალებს. მათი მეშვეობით გატეხა დიდგვაროვანთა წინააღმდეგობა და გაატარა რიგი რეფორმები, რომელთა შედეგადაც შექმნა ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა. ი-ს დროს ესპანეთმა შემოიერთა პირენეის ნახევარკუნძულზე არაბთა უკანასკნელი დასაყრდენი – გრანადა, მოეწყო კოლუმბის ექსპედიციები, დასაბამი მიეცა ამერიკის კოლონიზაციას. ი. გამოირჩეოდა რელიგიური ფანატიზმით (1480 დააწესა ინკვიზიცია, 1492 – ებრაელები განდევნა ესპანეთიდან, ძალით აქრისტიანებდა არაბებს).

ი. ხელმძღვანელობდა ინტენსიურ დიპლომატიურ ურთიერთობებს. მისი ხელმძღვანელობის დროს ადგილი ჰქონდა მსგავსი ხასიათის კონტაქტებს საქართველო-ესპანეთს შორის. საქართველოს ელჩის ნილო მღვდელმონაზონის (იხ. *ნილო (ნილოსი) მღვდელ-მონაზონი*) ეგვიპტიდან იერუსალიმში გამოვლისას ქართველი დიპლომატი ესპანეთის ელჩებს შეხვედრია, რომლებისგანაც ქართველებს დედოფალ იზაბელას მიერ არაბთა დამარცხების სასიხარულო ამბავი გაუგიათ. მოლაპარაკების შემდეგ ესპანელი ელჩები თბილისში *კონსტანტინე II-ის* წინაშე აუდიენციაზე წარსდგნენ. გადაწყდა ესპანეთში დიპლომატიური მისიის ორგანიზება – იგი კირ-ნილოსა და ზაქარია დესპანს დაევალათ, რომელთაც დედოფალ ი-სთან კონსტანტინე II-ის წერილიც მიაქვთ. ესპანეთის სამეფო კარზე ქართველი დიპლომატები 1495 წარსდგნენ. კონსტანტინე მეფის მიმართვას დედოფალ ი-სა და მეფე ფერდინანდისადმი და მის მიერ შეთავაზებულ ანტიოსმალურ გეგმას ნაკლებად ჰქონდა რეალურად ამოქმედების შანსი – ამ დროს ესპანეთის ხელისუფლებას მთელი ყურადღება იტალიაზე ჰქონდა გადატანილი, ხოლო მუსლიმებთან ბრძოლის საკითხი გაყინულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ი-სა და ფერდინანდის საპასუხო წერილი კონსტანტინე მეფისადმი (1495 წლის იელისი) და მასში ასახული დაპირებები აბსოლუტურად მოკლებულია კონკრეტულობას. დიპლომატიურ კონტაქტებს შედეგი არ მოჰყოლია.

ლიტ.: მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით), თბ., 1981; ხინთიბიძე ე., ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მიმოწერის შესახებ. – „ცისკარი", 1986, №3; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967; Луис Хил Фернандес, Дипломатические контакты между Грузией и Испанией в XV–XVII вв. – „მაცნე", ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1990, №1.

**იზეთბეგოვიჩი** (Izetbegović) ალია (დ. 1925), ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდენტი.

1939-45 აქტიურად მონაწილეობდა ბოსნიელ მუსლიმანთა მოძრაობაში, რის გამოც 1945-48 ციხეში იჯდა. 1954 დაამთავრა სარაევოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა იურისკონსულად. გატაცებული იყო ისლამის საკითხებით. 1976 გამოსცა წიგნი „ისლამი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის". მონაწილეობდა „ისლამური დეკლარაციის" შედგენაში, რის გამოც 1983 კომუნისტურმა რეჟიმმა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1989 გაანთავისუფლეს, რის შემდეგაც დააარსა ისლამური „დემოკრატიული მოქმედების პარტია". 1990 ამ პარტიამ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტის პირველსავე სხდომაზე ი. აირჩიეს ბოსნია-ჰერცეგოვინის პრეზიდენტად. 1991 ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ გამოაცხადა ბოსნია-ჰერცეგოვინის დამოუკიდებლობა, რის გამოც ქვეყანაში ატყდა სეპარატისტული ომი (იხ. *ვენს-ოუენის სამშვიდობო გეგმა, ოუენ-სტოლტენბერგის გეგმა, საკონტაქტო ჯგუფის გეგმა*).

**იზვოლსკი** ალექსანდრე პეტრეს ძე (1856-1919), რუსი დიპლომატი. 1894-97 – მინისტრი-რეზიდენტი ვატიკანში; 1897 – წარმომადგენელი ბელგრადში, 1897-99 – მიუნხენში, 1899-1903 – ტოკიოში, 1903-06 – კოპენჰაგენში; 1906-10 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1910-17 – ელჩი საფრანგეთში. 1917 გადადგა.

**იზმაილოვის მისია 1719-21**, ჩინეთში გააგზავნა *პეტრე I-მა*. მიზანი იყო საქარავნო ვაჭრობის განახლება, რომელიც ჩინელებმა 1718 შეწყვიტეს. ხანგრძლივი მოლაპარაკება ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე უშედეგოდ დამთავრდა. ჩინელებს აინტერესებდათ, იმხანად მონგოლეთის დაპყრობის შემდეგ, საზღვრების საკითხის მოსკოვთან შეთანხმება, რაზეც ი.მ-ს უფლებამოსილება არ გააჩნდა. მოლაპარაკება ჩიხში მოექცა და ფაქტობრივად უშედეგოდ დამთავრდა.

**იზოლაციონიზმი**, მიმართულება აშშ-ის საგარეო პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომელიც წარმოიშვა ამ სახელმწიფოს შექმნასთან ერთად და გულისხმობდა აშშ-ის მიერ ამერიკის კონტინენტის საზღვრებს გარეთ აქტიურ პოლიტიკაზე უარის თქმას.

დასავლეთ ნახევარსფეროს ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყნების საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი ჩადებული იყო ჯერ კიდევ აშშ-ის ძირითად საკონსტიტუციო აქტში – დამოუკიდებლობის დეკლარაციაში 1776. ევროპულ საქმეებში აშშ-ის ჩარევის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ჯ. *ვაშინგტონი* და თ. ჯეფერსონი. მოგვიანებით გაძლიერების მოსალოდნელად აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოებს შორის ბრძოლის გაძლიერების პერიოდში ი-ის იდეებმა გარკვეული ასახვა ჰპოვა *„მონროს დოქტრინაში"*.

ევროპულ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი არასდროს არ ხორციელდებოდა თანამიმდევრულად, თუმცა გავლენას ახდენდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე 1915-მდე. პირველ მსოფლიო ომში აშშ-ის ჩაბმის შემდეგ, ასევე ომისშემდგომ პერიოდში მოხდა არსებითი შემობრუნება ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, თუმცა ი-ის იდეები რიგ შემთხვევებში გარკვეულ გავლენას ახდენდა საგარეო პოლიტიკურ კურსზე. მაგალითად, ი-ის მომხრეებმა მიაღწიეს იმას, რომ ამერიკის სენატმა უარი თქვა პრეზიდენტ ვ. ვილსონის მიერ გერმანიასთან ხელმოწერილი *ვერსალის საზავო ხელშეკრულების* რატიფიკაციაზე. მეორე მსოფლიო ომის წინ იზოლაციონისტები გამოდიოდნენ ევროპის საქმეებში აშშ-ის აქტიური მონაწილეობის, ე. ი. ფაქტობრივად, ფაშისტურ აგრესიასთან ბრძოლის წი-

ნააღმდეგ. 1935-37 მათ მიაღწიეს ამერიკის კონგრესის კანონების მიღებას, რომლებიც კრძალავდა მეომარი სახელმწიფოებისათვის იარაღის მიყიდვას, მათთვის სესხებისა და კრედიტების მიცემას და სხვ.

მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის ჩაბმის შემდეგ იზოლაციონისტები ხელს უშლიდნენ მეორე ფრონტის გახსნას და საბოტაჟს უწყობდნენ ანტიჰიტლერული კოალიციის განმტკიცებას.

ომისშემდგომ პერიოდში მოხდა ი-ის გავლენის საბოლოო დაცემა. აშშ შევიდა გაეროში (1945) და ნატოში (1949) – პირველ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ევროპის სახელმწიფოებთან ერთად.

**ილიესკუ** (Iliescu) იონ (დ.1930), რუმინეთის პრეზიდენტი.

დაამთავრა ბუქარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სწავლობდა მოსკოვში. სპეციალობით ინჟინერ-ენერგეტიკოსია.

1946-60 ეკავა სხვადასხვა თანამდებობები რუმინეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცკ-ში. 1953-დან – რუმინეთის კომპარტიის წევრი. 1957-დან – რუმინეთის დიდი ეროვნული კრების დეპუტატი. 1967-71 – რ.ა.კ.კ. ცკ-ის პირველი მდივანი და ახალგაზრდული საქმეების მინისტრი. 1968-დან – რკპ ცკ-ის წევრი, 1969-74 – ცკ-ის პოლიტაღმასკომის წევრობის კანდიდატი. 1971-დან – ცკ-ის მდივანი. 1974-79 – რკპ იასის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შემდეგ ტამიშის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1979-84 – წყალთა მეურნეობის მინისტრი. 1979-80 – რუმინეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1984 ნ. ჩაუშესკუს პოლიტიკის წინააღმდეგ გამოსვლის გამო გაანთავისუფლეს ყველა დაკავებული თანამდებობიდან. მუშაობდა სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გამომცემლობის დირექტორად. ნ. ჩაუშესკუს რეჟიმის დამხობის შემდეგ, 26.XII. 1989 – ეროვნული ხსნის ფრონტის საბჭოს თავმჯდომარე. 13.II. 1990 – 20.V. 1990 – ეროვნული თანხმობის დროებითი საბჭოს (სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო) თავმჯდომარე. 1990 წლის მაისიდან 1996-მდე – რუმინეთის პრეზიდენტი.

**ილის ოქმი 1920** (რსფსრ და პროვინცია სინძიანს (ჩინეთი) შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ და ლტოლვილთა რეპატრიაციის შესახებ), ხელი მოაწერეს 27.V. ი.ო. ითვალისწინებდა საბჭოთა სააგენტოს შექმნას კულჯაში, ხოლო ჩინეთისას – ვერნში (შემდგომში ალმა-ათა). ჩინეთის ხელისუფლებას უნდა გაეკეთებინა ყველაფერი ლტოლვილთა დასაბრუნებლად (უპირატესად – ყაზახები და ყირგიზები, რომლებიც 1916 აჯანყებაში მონაწილეობდნენ) რუსეთში, ხოლო საბჭოთა ხელისუფლებას – მათ მისაღებად.

**იმერეთის სამეფოს ანექსია 1810**, რუსეთის მიერ განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური აქტი. 1801 ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოხელეებმა დაიწყეს ნიადაგის მომზადება იმერეთის სამეფოს ანექსიისათვის. ამისათვის 1803-04, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი აიყვანა პოლიტიკურ მფარველობაში და იგი იმერეთის მეფის წინააღმდეგ საგრძნობ ძალად აქცია. პოლიტიკის ასეთი კურსი დასავლეთ საქართველოში რუსეთის მფლობელობის გაფართოების მიზანს ემსახურებოდა. ასევე აიყვანა რუსეთმა მფარველობაში გურია-აფხაზეთიც. ამის შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლების ტონი იმერეთის მეფესთან ურთიერთობაში ქედმაღლური და კატეგორიული იყო. ასეთ ვითარებაში, ხელისუფლება რომ შეენარჩუნებინა, *სოლომონ II-მ* 1804 წლის 25 აპრილს *ელაზნაურის ტრაქტატით* რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. მანამდე კი მეფემ თავისი ვიცე-კანცლერი ს. *ლორთქიფანიძე* პეტერბურგში განსაკუთრებული რწმუნებით გაგზავნა. კერძოდ, მეფე თხოვდა რუსეთს, რომ უარეყოთ საქართველოს მთავარსარდლის მეშვეობა იმერეთ-რუსეთის ურთიერთობაში და იმერეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად შესულიყო იმპერიის მფარველობაში, რაზეც რუსეთი არ წავიდა. 1783 ტრაქტატის ისტორია და მისი ენით საუბარი რუსეთს ახლა უკვე აღარ აწყობდა. ურთიერთობა იმერეთის მეფესა და ცარიზმის ადგილობრივ მოხელეებს შორის თანდათან მწვავდებოდა. სოლომონი დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და მის შესანარჩუნებლად განაგრძობდა ბრძოლას. მაგრამ 1810 რუსეთის თვითმპყრობელობამ იარაღით მოახდინა იმერეთის დაპყრობა და იქ თავისი მმართველობა დაამყარა.

*ლიტ.:* დ უ მ ბ ა ძ ე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა., მეფე იმერეთისა სოლომონ II, ტფ., 1910; АКАК, т. 2, Тф., 1868; Д у б р о в и н Н., Закавказье от 1803-1806 года, СПб., 1866.

**იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა და მისი მსხვრევა**, კოლონიალიზმი, როგორც უცხოეთის ქვეყნების (მეტროპოლიების) მიერ ხალხების სამხედრო-პოლიტიკური დამონებისა და ეკონომიკური ექსპლუატაციის სისტემა ჩამოყალიბებას იწყებს ჯერ კიდევ კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პერიოდში, როცა ევროპაში მსხვილი ფეოდალური მონარქიები ყალიბდება. XVI-XVIII სს. პირველ კოლონიურ იმპერიებად იქცნენ ესპანეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები, რუსეთი. XVIII ს. კოლონიურ დაპყრობათა გზას დაადგა ინგლისი და საფრანგეთი. XIX ს. პირველ ნახევარში სწრაფვა კოლონიური დაპყრობებისადმი ერთგვარად მინელდა, მაგრამ 60-70-იანი წლებიდან, როცა ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში იწყება მეორე ინდუსტრიული რევოლუცია, რომელმაც მოითხოვა ნედლეულის ახალი წყაროები და საქონლის გატანისათვის ახალი ბაზრები, როცა ასპარეზზე გამოდიან მრეწველობის დარგში ახლად დაწინაურებული ქვეყნები – გერმანია, იაპონია, აშშ, იტალია – იწყება ბრძოლა მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის.

კოლონიალიზმის განვითარებასთან ერთად იწყება დამონებული ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, რომელიც აშკარად ანტიიმპერიალისტურ ხასიათს ატარებდა. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა საზოგადოების ყველა ფენა, რომელიც უკმაყოფილო იყო უცხოელთა ბატონობით. ამგვარი ანტიიმპერიალისტური გამოსვლები მოხდა ირანში (1905-11), თურქეთში (1908), ჩინეთში (1911-12), ინდოეთში (1905-08).

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მისწრაფება კოლონიებისა და გავლენის სფეროების გადანაწილებისაკენ წარმოადგენდა *პირველი მსოფლიო ომის (1914-18)* ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს. წააგო რა ომი, გერმანიამ დაკარგა თავისი კოლონიები (იხ. *ვერსალის საზავო ხელშეკრულება 1919)*. კოლონიურ სამფლობელოთა რუკა შეიცვალა.

კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ახალი ბიძგი მისცა ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთში 1917. ანტიკოლონი-

ური ბრძოლის გაქანებით შეშინებულმა მეტროპოლიებმა იწყეს გამოსავალის ძიება სამფლობელოების შესანარჩუნებლად. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გადანაწილებული კოლონიების შესანიღბავად მათ მიმართეს *ერთა ლიგის* სამანდატო სისტემას (იხ. *სამანდატო სისტემა*).

*1939-45 მეორე მსოფლიო ომში* ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების გამარჯვების შემდეგ იწყება კოლონიალიზმის სისტემის რღვევა. 1945 დამოუკიდებლობა მოიპოვეს ვიეტნამმა და ინდონეზიამ, 1947 – აზიის ერთ-ერთმა უდიდესმა ქვეყანამ – ინდოეთმა, 1949 სახალხო რევოლუციამ გაიმარჯვა ჩინეთში. 1940-50 დამოუკიდებლობა მოიპოვეს აზიისა და ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანამ. დეკოლონიზაცია მიმდინარეობდა მეტროპოლიების მხრიდან მრავალრიცხოვანი ინტერვენციების, სახელმწიფო გადატრიალებების, სამხედრო და ეკონომიკური ზემოქმედების პირობებში.

იმპერიალისტური ქვეყნების მხრიდან ამ აქციებს ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნები უპირისპირებდნენ ერთიანობას, თანამშრომლობას და ა.შ. ისინი იწვევდნენ კონფერენციებს, რომლებზედაც განიხილავდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერის, კოლონიალიზმის საბოლოოდ ლიკვიდაციის საკითხებს (იხ. *ბანდუნგის კონფერენცია 1955, კონაკრის კონფერენცია 1960* და ა.შ.).

კოლონიური სისტემის ლიკვიდაციამ განსაკუთრებული გაქანება მიიღო 60-იან წლებში. მარტო 1960 დამოუკიდებლობა მოიპოვა 17 ქვეყანამ. ამიტომაც ამ საკითხებმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა გაეროს საქმიანობაში. 1960 წლის დეკემბერში გაერომ მიიღო *დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ*, რომელშიც განცხადებული იყო, რომ კოლონიალიზმს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოღებოდა ბოლო. დეკლარაციის სრულყოფილად განხორციელებისათვის გაერომ 1970 მიიღო პროგრამა, ხოლო 1980 – მოქმედების გეგმა, რომელშიც იყო დასახული ამოცანები ამ მიმართულებით. ყოველივე ამის შედეგად 70-იანი წლები აღინიშნა კოლონიალიზმის უკანასკნელი მსხვილი ბასტიონების მსხვრევით. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გამარჯვებები მოიპოვეს ანგოლის, მოზამბიკის, ზიმბაბვეს, ნამიბიისა და სხვა ხალხებმა, თუმცა აქა-იქ კიდევ შემორჩა კოლონიური სამფლობელოები.

ᲘᲐ.ᲡᲛ-ის შედეგად უკანასკნელ ათწლეულში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში მოხდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ცვლილებები. ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო განთავისუფლებული ქვეყნების დიდი ჯგუფის შექმნა, რომლებიც ატარებენ რა ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს, გამოდიან მშვიდობისა და პროგრესის დაცვის პოზიციებიდან.

**იმპიჩმენტი** (ინგლ. impeachment), პროცედურა, რომელიც აშშ-ში გამოიყენება ნებისმიერი თანამდებობის პირის, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის, მათ შორის პრეზიდენტის ან ფედერალური მოსამართლის პასუხისგებაში მისაცემად „ღალატის, ქრთამის აღების ან სხვა მძიმე დანაშაულის" ბრალდებით.

Ი-ის პროცესის დაწყება შეუძლია აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ნებისმიერ წევრს. გადაწყვეტილება Ი-ის შესახებ გამოაქვს წარმომადგენელთა პალატას ხმების უბრალო უმრავლესობით. საქმის გარჩევას აწარმოებს სენატი, რომელსაც გამოაქვს საბოლოო ვერდიქტი ადგილზე მყოფი სენატორების ხმათა 2/3-ით.

აშშ-ის ისტორიაში ცნობილია Ი-ის 12 შემთხვევა. მხოლოდ 4 ბრალდებული (ფედერალური მოსამართლეები) ცნეს დამნაშავედ. Ი-ის მუქარამ აიძულა პრეზიდენტი ნიქსონი, გადამდგარიყო (იხ. *უოტერგეიტი*).

**ინგლის-ავღანეთის ხელშეკრულებები**, 1. 1855 ხელშეკრულება მშვიდობის დამყარებისა და მეორე მხარის ტერიტორიაზე თავდაუსხმელობის ურთიერთვალდებულების შესახებ. ხელი მოაწერეს 30 მაისს პეშავერში. მის პოლიტიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს მე-3 სტატია, რომლითაც ინგლისის მთავრობამ და ავღანეთის ამირამ იკისრეს ვალდებულება (ირანის და რუსეთის წინააღმდეგ) ყოფილიყვნენ ერთმანეთის მეგობრების მეგობარი და მტრების მტერი.

2. 1857 ხელშეკრულება, ხელი მოაწერეს 26 იანვარს პეშავერში, ჰერათისათვის ინგლის-ირანის ომის პირობებში. ინგლისი, რომელმაც განახორციელა ირანის წინააღმდეგ სამხედრო-საზღვაო ექსპედიცია სპარსეთის ყურეში, იმავდროულად ცდილობდა მოემზადებინა ავღანეთი ირანთან ომისათვის. ხელშეკრულებით ავღანეთის ამირას დოსტ-მუჰამედს ინგლის-ირანის ომის პერიოდში დაუწესდა ყოველთვიური სუბსიდია 100 ათასი რუპიის ოდენობით, სამაგიეროდ, მან იკისრა ვალდებულება, რომ ერჩინა განსაზღვრული რაოდენობის ჯარი და ინგლის-ირანის ომის დროს ავღანეთში დაეშვა ბრიტანელი ოფიცრები. იმის გამო, რომ ინგლის-ირანის ომი სწრაფად დასრულდა და ირანელებმა დატოვეს ჰერათი, Ი-Ა.Ხ-მ არ მოახდინა არსებითი გავლენა ამ ამბების განვითარებაზე, მაგრამ უზრუნველყო ამირა დოსტ-მუჰამედის მეგობრული ნეიტრალიტეტი ინგლისელთათვის, 1857 წლის მაისში ინდოეთში განმათავისუფლებელი აჯანყების დროს.

3. 1879 ხელშეკრულება (განდამაკის), ხელმოწერილ იქნა 26 მაისს ამირა იაკუბ-ხანისა და ინგლისის დიპლომატიური აგენტის ლუი კავანიარის მიერ. მან გააფორმა ინგლის-ავღანეთის მეორე ომის დროს ავღანეთში შეჭრილ ინგლისელთა წინაშე ავღანეთის მთავრობის კაპიტულაცია. ხელშეკრულების მე-3 მუხლი აწესებდა ინგლისის კონტროლს ავღანეთის საგარეო პოლიტიკაზე. ავღანეთმა იკისრა ვალდებულება, რომ დაეშვა თავის ტერიტორიაზე ინგლისის ჯარები უცხოელთა შემოსევების მოსაგერიებლად. მე-9 მუხლით ინგლისელთა მფლობელობაში გადადიოდა კურამის, პიშინის და სიბის ოლქები, რის შედეგადაც დაიკავეს უმნიშვნელოვანესი კლდეკარები. ინგლისელებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს სხვა კლდეკარებიც (ხაიბერი, მიჩნი) და დამატებით მიიღეს უფლება ჰქონოდათ დამოუკიდებელი ურთიერთობები მათ მახლობელ ტერიტორიებზე მცხოვრებ ტომებთან. ავღანეთის მთავრობამ იკისრა ვალდებულება ერთი წლის განმავლობაში ხელი მოეწერა ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულებისათვის. მძიმე და დამამცირებელმა Ი-Ა.Ხ-მ განაპირობა ავღანელთა აღშფოთება, განახლება მათი ბრძოლისა 1879, სახალხო აჯანყების დაწყება ქაბულში. 1880 ამირა აბდურ-რაჰმანთან დადებული ხელშეკრულებით ინგლისელები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ზოგიერთ პირობაზე, მაგრამ შეინარჩუნეს დაპყრობილი ტერიტორიები (კურამი, სიბი, პიშინი) და კონტროლი ავღანეთის საგარეო ურთიერთობებზე (1919-მდე).

4. 1893 **ხელშეკრულება**, ხელი მოაწერეს 12 ნოემბერს. ამ ხელშეკრულებით ამირა აბდურ-რაჰმანი იძულებული იყო, რომ ავღანეთსა და ინდოეთში ბრიტანეთის სამფლობელოებს შორის საზღვრად ეცნო *„დიურანდის ხაზი"*, რომელიც მას ეწოდა ინდოეთის კოლონიური ადმინისტრაციის საგარეო საქმეთა მდივნის მ. დიურანდის მიხედვით. ამ ხელშეკრულების საფუძველზე 1894 და 1896 ჩატარდა საზღვრის დემარკაცია თითქმის მის მთელ სიგრძეზე.

5. 1919 **ხელშეკრულება** (**რავალპინდის**), ხელმოწერილ იქნა 8 აგვისტოს ინდოეთის (ამჟამად პაკისტანის) ქალაქ რავალპინდში. მან დაასრულა ავღანეთის ომი დამოუკიდებლობისათვის. ამ ხელშეკრულებით, ინგლისი იძულებული იყო ეცნო ავღანეთის დამოუკიდებლობა.

6. 1921 **ხელშეკრულება კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების შესახებ**, ხელმოწერილ იქნა 22 ნოემბერს ქაბულში ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მაჰმუდ ტარაზისა და ბრიტანეთის ელჩის ჰენრი დობსის მიერ. ხელშეკრულება შეიცავს ინგლისისა და ავღანეთის ორმხრივ ვალდებულებებს, ეცნობებინათ ერთმანეთისათვის მსხვილი სამხედრო ოპერაციების შესახებ, რომელთაც განახორციელებდნენ თავიანთი სასაზღვრო ზოლის ტომთა წინააღმდეგ. ავღანეთის მთავრობამ იკისრა ვალდებულება, რომ არ დაეშვა ყანდაჰარსა და ღაზნიში საბჭოთა საკონსულოების გახსნა, რასაც ითვალისწინებდა საბჭოთა რუსეთ-ავღანეთის 1921 ხელშეკრულება. სანაცვლოდ მან მიიღო უფლება ინგლისისგან ინდოეთიდან ავღანეთში იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის ტრანზიტისა. ი-ა.ხ. 1921, განსხვავებით 1919 (რავალპინდის) ხელშეკრულებისაგან, შეიცავდა ავღანეთის სრულ და უპირობო აღიარებას, ამყარებდა ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობებს ინგლისსა და ავღანეთს შორის.

**ინგლის-ბაჰრეინის ხელშეკრულებები და შეთანხმებები**, ბაჰრეინისათვის თავსმოხვეული ვალდებულებები, რომლებიც განამტკიცებდა მის კოლონიურ დამოკიდებულებას ინგლისზე. XVII-XVIII სს-ში ბაჰრეინის კუნძულები ეკუთვნოდა ირანს. 1783 აქ შეიქმნა დამოუკიდებელი საამირო. XIX ს-ში ბაჰრეინის კუნძულების სუვერენიტეტზე პრეტენზიას აცხადებდა სპარსეთის ყურის მოსაზღვრე ყველა სახელმწიფო: ირანი, თურქეთი, ნეჯდი, ომანი, მაგრამ ინგლისმა, რომელმაც გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ყურეში, თავის კონტროლს დაუქვემდებარა ბაჰრეინიც. 1820 წლის 5 თებერვალს ბაჰრეინის შეიხი იძულებული გახდა შეერთებოდა არათანასწორუფლებიან „გენერალურ ხელშეკრულებას სპარსეთის ყურის არაბულ ტომებთან" (იხ. *ინგლის-მასკატის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*). 1847 წლის 8 მაისს ბაჰრეინის შეიხმა ხელი მოაწერა (ომანის შეიხებთან ერთად) „ვალდებულებას აფრიკელი მონებით ვაჭრობის მოსპობის" შესახებ. 1820 და 1847 ხელშეკრულებებმა ინგლისს მისცა უფლება მეკობრეობასთან და მონათვაჭრობასთან ბრძოლის საბაბით დაეკავებინა, გაეჩხრიკა და გაენადგურებინა ბაჰრეინის (და ყურის სხვა სამთავროების) ხომალდები.

**ინგლის-ბაჰრეინის ხელშეკრულება** 1861 (მეგობრობისა და მშვიდობის შესახებ), ხელმოწერილ იქნა 31 მაისს ბაჰრეინის გამგებლისა და სპარსეთის ყურეში ინგლისის რეზიდენტის ჯონსონის მიერ. მან კიდევ უფრო განამტკიცა ბაჰრეინის დამოკიდებულება ინგლისზე. ბაჰრეინმა იკისრა ვალდებულება, რომ ყველა თავისი კონფლიქტი სპარსეთის ყურის სხვა შეიხებთან გადაეცა ინგლისის არბიტრაჟისათვის და, აგრეთვე, მიეცა ინგლისის ქვეშევრდომთათვის კაპიტულაციური უფლებები. ინგლისი შეჰპირდა ბაჰრეინს აღმოეჩინა მისთვის დახმარება და დაეცვა მისი უსაფრთხოება სპარსეთის ყურის სხვა შეიხებისა და ტომების თავდასხმის შემთხვევაში.

1868 **შეთანხმება**, ბაჰრეინ-კატარის კონფლიქტებთან დაკავშირებით, ინგლისმა ხელთ იგდო ბაჰრეინის მთელი ფლოტი და დააკისრა ბაჰრეინს კონტრიბუცია 100 ათასი ტალერი. 1871 წლის მაისში, როცა თურქეთმა დაიპყრო ბაჰრეინის მეზობელი ოლქი ალ-ხასა, ინგლისმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 1861 შეთანხმების საფუძველზე ბაჰრეინი იმყოფებოდა მისი „პროტექტორატის" ქვეშ.

1880 **„პირველი განსაკუთრებული შეთანხმება"**, დაიდო 22 დეკემბერს. ამ შეთანხმებით ბაჰრეინის შეიხმა იკისრა ვალდებულება, რომ ინგლისის ნებართვის გარეშე არ დაედო ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან და არ მიეცა მათთვის უფლება გაეხსნათ ბაჰრეინის ტერიტორიაზე დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები.

1892 **წლის 13 მარტის ხელშეკრულებით**, რომელიც მიმართული იყო სპარსეთის ყურეში საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის შეღწევის წინააღმდეგ, ბაჰრეინის შეიხმა იკისრა ვალდებულება, რომ ბრიტანეთის მთავრობის გარდა არავისთვის დაეთმო, არ მიეყიდა, არ დაეგირავებინა და სხვა ხერხით არ გაესხვისებინა თავისი ტერიტორიის რამე ნაწილი. ამ შეთანხმების საფუძველზე 1900 ბაჰრეინი გადავიდა მანამაში (ბაჰრეინის მთავარი ქალაქი) ბრიტანეთის პოლიტიკური აგენტის ფაქტობრივი მმართველობის ქვეშ.

1914 წლის 14 მაისს ბაჰრეინის შეიხმა პირობა მისცა ინგლისს, რომ ბრიტანეთის მთავრობის თანხმობის გარეშე არავის მისცემდა ნავთობის კონცესიებს.

1970 წლის აპრილში ინგლისის თხოვნით, გაეროს გენერალურმა მდივანმა ბაჰრეინში გაგზავნა სპეციალური მისია იმ მიზნით, რომ გამოკითხვა მოეწყო მოსახლეობაში ამ ტერიტორიის მომავალი სტატუსის თაობაზე. მისიის მეთაურის მოხსენების საფუძველზე 1970 წლის 11 მაისს გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება ბაჰრეინის კუნძულებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

**ინგლის-ბელგიის ხელშეკრულება 1894** (კოლონიების შესახებ), ხელი მოაწერეს 12. V ბრიუსელში. ხელშეკრულების პირობით, ბელგიამ მფლობელობაში მიიღო დასავლეთ სუდანის პროვინცია ბახრ-ელ-გაზალი, მისმა მეფემ ლეოპოლდ II-მ სამუდამო არენდით – მდ. თეთრი ნილოსის მარცხენა სანაპირო ტბა ალბერტიდან ფაშოდის დასახლებამდე (აღმოსავლეთი სუდანი). კონგომ მიიღო ჩრდილოეთ როდეზიასთან მოსაზღვრე კატანგუს ოლქი. ინგლისმა კონგოსგან მიიღო გრძელი ზოლი მიწისა ტბა ტანგანიკიდან ტბა ალბერტამდე, აგრეთვე უფლება კონგოს ტერიტორიით ტრანსაფრიკის ტელეგრაფის ხაზის გაყვანისა.

მაგრამ საფრანგეთი და გერმანია ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოვიდნენ. დიპლომატიური ომის შემდეგ ხელშეკრულების პუნქტი არსებითად შეიცვალა (28. V. 1894).

**ინგლის-გერმანიის დეკლარაცია 1938**, ჩემბერლენ-ჰიტლერის ერთობლივი დეკლარაცია, სადაც ნათქვამი იყო, რომ ახლახან ხელმოწერილი მიუნხენის შეთანხმება (1938) და *ინგლის-გერმანიის შეთანხმება* (1935) წარმოადგენდა ორი

ხალხის სურვილის სიმბოლურ გამოხატულებას – „არასდროს აღარ ეომათ ერთიმეორის წინააღმდეგ" და გამოთქმული იყო სწრაფვა, გაეგრძელებინათ ძალისხმევა ინგლის-გერმანიის შესაძლო უთანხმოებათა წყაროების აღმოსაფხვრელად.

**ინგლის-გერმანიის შეთანხმება 1935** (საზღვაო), ადგენდა თანასწორობას ორივე სახელმწიფო ფლოტებს შორის. დაიდო 18.VI. შეთანხმებით გერმანიის ფლოტს არასდროს არ უნდა გადაეჭარბებინა ბრიტანეთის თანამეგობრობის სამხედრო-საზღვაო ფლოტზე 35%. პროპორცია 35:100 შეფარდებული იყო გემების ცალკეული კატეგორიისათვისაც. წყალქვეშა ნავებისათვის კი თანაფარდობა თანაბარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დროებით შეათანხმეს 45%. 1939 ჰიტლერმა შეთანხმების შეწყვეტა გამოაცხადა.

**ინგლის-გერმანიის ხელშეკრულებები**, 1. 1890 ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1. VII ბერლინში. განსაზღვრა ორივე სახელმწიფოს ინტერესების სფერო აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში. გერმანია უარს ამბობდა ინგლისის სასარგებლოდ თავისი სამფლობელოების გაფართოებაზე ვიტუდან ვიქტორიას ტბის იქით უგანდის მიმართულებით და ზდ. ნილოსის აუზზე, აგრეთვე თანახმა იყო ეცნო ინგლისის პროტექტორატი კუნძულებზე ზანზიბარსა და პემბაზე. სანაცვლოდ გერმანიამ კონგოში, კამერუნსა და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, მისთვის საზღვრების ხელსაყრელი ცვლილებების გარდა, საკუთრებაში მიიღო სანაპირო ზოლი აღმოსავლეთ აფრიკაში, კუნძული ჰელგოლანდი ჩრდილოეთ ზღვაში. ხელშეკრულებამ გერმანელ იმპერიალისტთა წრეში პროტესტი გამოიწვია, ვინაიდან იგი გერმანიისათვის არამომგებიანად მიაჩნდათ.

ეს პროცესი გახდა მიზეზი 1891 გერმანიაში *პანგერმანული კავშირის* შექმნისა.

*პუბლ.* BFSP, vol. 82, p. 35–47.

2. 1898 ხელშეკრულება პორტუგალიის კოლონიების გაყოფის შესახებ, ხელი მოაწერეს 30. VIII. ინგლისი, რომელიც ცდილობდა არ დაეშვა მის წინააღმდეგ მიმართული კონტინენტური ქვეყნების დაახლოება, დათანხმდა გერმანელთა წინადადებას პორტუგალიის კოლონიების გაყოფის თაობაზე იმ პირობით, რომ გერმანიის მთავრობა შეუწყვეტდა მხარდაჭერას ბურების რესპუბლიკას. ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ თუ პორტუგალიას დასჭირდებოდა ფინანსური დახმარება, ინგლისი და გერმანია ერთობლივად მისცემდნენ მას სესხს და გირაოდ აიღებდნენ მის კოლონიებს. ინგლისს უნდა მიეღო სამხრეთი მოზამბიკი და ცენტრალური ანგოლა, ხოლო გერმანიას – ჩრდილოეთი მოზამბიკი, ანგოლის სამხრეთი და ჩრდილოეთი ნაწილი და კუნძული ტიმორი ინდოეთის ოკეანეში (მალაის არქიპელაგი). აწერდა რა ხელს ხელშეკრულებას, გერმანია ითვალისწინებდა პორტუგალიის ფინანსურ გაკოტრებას. მაგრამ ინგლისი მაშინვე დაეხმარა პორტუგალიას ფინანსების გამტკიცებაში და დაადასტურა ადრე აღებული ვალდებულება დაეცვა პორტუგალიის კოლონიების ხელშეუხებლობა (იხ. *უინძორის შეთანხმება 1899*). ამდენად ხელშეკრულების რეალიზება არ მოხდა პირველი მსოფლიო ომის წინ. ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა ხელშეკრულების განახლება, რომლითაც ანგოლა მთლიანად გერმანიას უნდა გადასცემოდა. პირველმა მსოფლიო ომმა ეს გეგმა ჩაშალა.

**ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება 1936** (სამოკავშირეო), ხელმოწერილ იქნა 26 აგვისტოს ლონდონში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. *იდენისა* და ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის ნაჰას-ფაშას მიერ.

1922 წლის 28 თებერვალს ინგლისმა გამოაქვეყნა ცალმხრივი დეკლარაცია, რომლითაც გააუქმა ინგლისის პროტექტორატი ეგვიპტეზე და გამოაცხადა მისი დამოუკიდებლობა. ამასთან, დეკლარაცია შეიცავდა დამატებით შენიშვნებს, რომლებიც ეგვიპტის დამოუკიდებლობას ფორმალურ ხასიათს აძლევდა. მომდევნო (1927-28, 1929-30) წლებში ინგლისი ცდილობდა დაედო ეგვიპტესთან ისეთი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფდა მის განსაკუთრებულ უფლებებს ამ ქვეყანაში, მაგრამ ამაოდ. ეს მოხერხდა მხოლოდ 1936, როცა გაჩნდა მზარდი საფრთხე ფაშისტური გერმანიის ექსპანსიისა. 1936 ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება, რომელმაც შეცვალა 1922 ცალმხრივი დეკლარაცია, მოწოდებული იყო განემტკიცებინა ინგლისის ბატონობა ეგვიპტეში.

არსებითი მომენტი ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო 20 წლით, იყო ინგლისის ჯარების მიერ ეგვიპტის ოკუპაციის ფაქტობრივი შენარჩუნება. მართალია, ხელშეკრულება აცხადებდა ოკუპაციის შეწყვეტას (მუხლი 1), მაგრამ სამხედრო კავშირის საბაბით ინგლისმა არა მარტო შეინარჩუნა ჯარები ქვეყნის რიგ რაიონებში (კაირო, ალექსანდრია, სუეცის არხის ზონა), არამედ გააფართოვა კიდეც თავისი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები ეგვიპტეში. ომის უშუალო საფრთხის ან განსაკუთრებულ საერთაშორისო სიტუაციებში ეგვიპტე ვალდებული იყო გადაეცა ინგლისის განკარგულებაში თავისი ტერიტორია და ყველა რესურსი. ხელშეკრულება ავალდებულებდა ეგვიპტეს, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე მოთათბირებოდა ხოლმე ინგლისის მთავრობას, უკრძალავდა მას პოლიტიკურ კავშირებსა და შეთანხმებებს სხვა ქვეყნებთან.

ხელშეკრულებით ინგლისი მცირე დათმობებზე წავიდა. გაუქმდა ინგლისის უმაღლესი კომისრის პოსტი, სამაგიეროდ ინგლისის ელჩმა უფრო მეტი პრივილეგიები მიიღო, ვიდრე სხვა ქვეყნების დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა. ინგლისმა იკისრა ვალდებულება ხელი შეეწყო ეგვიპტისათვის შესულიყო ერთა ლიგაში (რაც მოხდა 1937 წლის მაისში), მხარი დაეჭირა მისთვის, რათა მოეწვია კონფერენცია ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით კაპიტულაციების რეჟიმის გასაუქმებლად. გაუქმდა საკონსულო სასამართლოები და მათი ფუნქციები დაეკისრა შერეულ სასამართლოებს. დაწესდა მოსამზადებელი პერიოდი (12 წლის ვადით), რომლის განმავლობაშიც იურისდიქცია უცხოელებზე უნდა გადაცემოდა ეგვიპტის სასამართლოებს. ხელშეკრულებით გაუქმდა „სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტის ევროპული ბიურო", მაგრამ ბრიტანეთის ოფიცრები ინარჩუნებდნენ ხელმძღვანელ პოსტებს ეგვიპტის პოლიციაში. ინგლისი დათანხმდა კონდომინიუმის აღდგენას სუდანში, მაგრამ ფაქტობრივი ძალაუფლება აქ დარჩა ინგლისის გენერალ-გუბერნატორის ხელში.

ხელშეკრულებამ გამოიწვია ეგვიპტელი ხალხის საპროტესტო მოძრაობა. 1951 წლის 15 ოქტომბერს ეგვიპტის მთავრობამ მოახდინა მისი დენონსირება. 1932, ეგვიპტის

რევოლუციის შემდეგ, ინგლისი იძულებული გახდა, რომ 1954 წლის ივლისში ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის ეგვიპტიდან ჯარების გაყვანის თაობაზე, რაც განახორციელა 1956. 1954 შეთანხმება დენონსირებულ იქნა 1957.

**ინგლის-ერაყის ხელშეკრულებები და შეთანხმებები,** 1. 1922 ხელშეკრულება, ხელი მოაწერეს 10 ოქტომბერს ბაღდადში.

ერაყზე მანდატის მიღების (იხ. *სან-რემოს კონფერენცია 1920*) და ერაყის სამეფოს შექმნის (1921) შემდეგ, ინგლისის მთავრობის წინაშე გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულებითი ურთიერთობები. ხელშეკრულების ტექსტი მოამზადა ინგლისის უმაღლესმა კომისარმა ფ. კოქსმა, ხელი მოაწერა ერაყის დროებითი ეროვნული მთავრობის პრემიერ-მინისტრმა აბდ არ-რაჰმან ალ-გაილანიმ. ხელშეკრულების ძალით, ინგლისი ამყარებდა არა მარტო სამხედრო კონტროლს ერაყზე, არამედ კონტროლსაც მის ფინანსებზე, სასამართლო სისტემასა და საგარეო პოლიტიკაზე. ერაყის მთავრობას უნდა ეხელმძღვანელა ინგლისის უმაღლესი კომისრის რჩევებით საერთაშორისო და ფინანსურ საკითხებში, მხოლოდ მისი ნებართვით დაენიშნა და მიეღო დიპლომატიური წარმომადგენლები. ინგლისი ინარჩუნებდა ჯარებს ერაყში. ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის შემთხვევაში ერაყს სამხედრო დახმარება უნდა მიეღო მხოლოდ ინგლისისაგან.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა აგრეთვე განსაკუთრებული შეთანხმებების დადებას, რომლებიც შეადგენდნენ მის ინტეგრალურ ნაწილს – სამხედრო, სასამართლო და საფინანსო საკითხებთან დაკავშირებით და ერაყში ბრიტანელი მოხელეების სამსახურის შესახებ. ეს შეთანხმებები ხელმოწერილ იქნა 1924 წლის 25 მარტს.

ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა ერაყის დამფუძნებელი კრების მიერ 1924 წლის ივნისს. დეპუტატებმა მოსთხოვეს მთავრობას შეემცირებინა მისი მოქმედების ხანგრძლივობა 4 წლამდე (ნაცვლად 20-ისა). ხელშეკრულება ავტომატურად კარგავდა ძალას, თუკი ერაყის შემადგენლობაში შევიდოდა მოსულის ვილაიეთი.

2. 1926 ხელშეკრულება, ხელმოწერილ იქნა 13 იანვარს ბაღდადში.

1925 წლის 16 დეკემბერს ერთა ლიგამ გამოიტანა დადგენილება მოსულის კონფლიქტის გარშემო. მოსულის ვილაიეთი გადაეცა ერაყს იმ პირობით, რომ სამანდატო რეჟიმი გაგრძელდებოდა 25 წლით. ამასთან დაკავშირებით ხელმოწერილ იქნა 1926 ხელშეკრულება, რომელმაც გააგრძელა 1922 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1950 წლის 16 დეკემბრამდე. ერთა ლიგაში ერაყის მიღების შემთხვევაში მისი მოქმედება უნდა შეეწყვიტათ.

3. 1927 ხელშეკრულება „მეგობრობისა და კავშირის" შესახებ, ხელმოწერილ იქნა 14 დეკემბერს ლონდონში. ითვალისწინებდა სამანდატო რეჟიმის ფორმალურ გაუქმებას. ხელშეკრულებით, ინგლისმა იკისრა ვალდებულება, ეცნო ერაყი დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ და დახმარებოდა მას ერთა ლიგის წევრად მიღებაში. ხელშეკრულება ძალაში ტოვებდა ინგლისის კონტროლს ერაყის შეიარაღებულ ძალებზე და მის ფინანსურ პოლიტიკაზე. ამის გამო ერაყმა არ მოახდინა მისი რატიფიკაცია.

4. 1930 ხელშეკრულება „მეგობრობისა და კავშირის შესახებ", ხელმოწერილ იქნა 30 ივნისს ლონდონში 25 წლის ვადით ერაყის ახალი პრემიერ-მინისტრის ნური საიდის მიერ. მართალია, ხელშეკრულება ითვალისწინებდა მანდატის გაუქმებას და ერაყის დამოუკიდებლობის აღიარებას, ის ფაქტობრივად ინარჩუნებდა ერაყის დამოკიდებულებას ინგლისზე. ერთა ლიგაში შესვლასთან ერთად ერაყი ცხადდებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელსაც მარადიული „მეგობრობა" და „კავშირი" უნდა ჰქონოდა ინგლისთან. ინგლისი ინარჩუნებდა უფლებას, ყოფილიყო ერაყის კონსულტანტი საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში. ორ სახელმწიფოს შორის იდებოდა სამხედრო კავშირი. ამასთან, ერაყი გადასცემდა ინგლისის ჯარებს უფლებას, ესარგებლა კომუნიკაციების ყველა სახეობით. აღიარებული იყო ინგლისის „განსაკუთრებული ინტერესები" ერაყის თავდაცვის საქმეში. ის ინარჩუნებდა აქ ორ სამხედრო ბაზას. ერაყი ვალდებული იყო სამხედრო მრჩევლები და სამხედრო მისიები მიეწვია მხოლოდ ინგლისიდან. ერაყი ერთა ლიგაში მიიღეს 1932 წლის 3 ოქტომბერს, 1930 ხელშეკრულება შევიდა ძალაში და მოქმედებდა 1955-მდე.

5. 1948 ხელშეკრულება (პორტსმუტის), ხელმოწერილ იქნა 15 იანვარს პორტსმუტში (ინგლისი). ის იმეორებდა 1930 ძირითად პოლიტიკურ და სამხედრო პირობებს. ამავე დროს ითვალისწინებდა „ინგლის-ერაყის თავდაცვის ერთობლივი ორგანოს" შექმნას და ერაყის სამხედრო-საჰაერო ბაზების ერთობლივ გამოყენებას. ხელშეკრულება არ იქნა რატიფიცირებული.

6. 1955 ხელშეკრულება, ხელმოწერილ იქნა 4 აპრილს ბაღდადში, მან შეცვალა 1930 ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ინგლისი, რომელიც შედიოდა ბაღდადის პაქტში (იხ. *ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია*), როგორც ერაყის მოკავშირე, ინარჩუნებდა კონტროლს მის არმიაზე, საჰაერო ბაზებზე და სტრატეგიულ გზებზე. 1958 ეროვნული რევოლუციის შემდეგ ერაყმა უარი განაცხადა იმპერიალისტურ პაქტებსა და კავშირებში მონაწილეობაზე და 1959 წლის 24 მარტს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გამოდიოდა ბაღდადის პაქტიდან. იმავდროულად, ერაყმა მოახდინა ამ ხელშეკრულების დენონსირება.

**ინგლის-ესპანეთის მოლაპარაკებები გიბრალტარის თაობაზე,** დავა გიბრალტარის თაობაზე ორ სახელმწიფოს შორის აღმოცენდა XVIII ს-ის დასაწყისში, როცა *ესპანური მემკვიდრეობისათვის* ბრძოლის დროს ის ხელში ჩაიგდო ინგლის-ჰოლანდიის ფლოტმა. *უტრეხტის საზავო ხელშეკრულებით, 1713* გიბრალტარი ინგლისს გადაეცა. ესპანეთის ცდები, ძალით დაებრუნებინა გიბრალტარი, უშედეგოდ მთავრდებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ესპანეთი შეეცადა გიბრალტარზე თავისი *სუვერენიტეტი* გაევრცელებინა. 1969 ესპანეთის მთავრობამ დაკეტა სახმელეთო საზღვარი მასთან, აკრძალა ესპანეთის ტერიტორიაზე ინგლისის თვითმფრინავების ფრენა, რომლებიც გიბრალტარის აეროდრომებს იყენებდნენ, დაკეტა ესპანეთის საკონსულო, გააფართოვა ესპანეთის ტერიტორიული წყლები 12 მილით, შეწყვიტა სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი და მოსახლეობას მოუწოდა მიეღოთ ესპანეთის მოქალაქეობა.

გიბრალტარის პრობლემა მრავალჯერ იხილებოდა გაეროში. 1965 რეზოლუცია ორივე ქვეყნის მთავრობებს მოუწოდებდა, მოეწყოთ მოლაპარაკებები, რათა მიეღოთ

გადაწყვეტილება კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციის თაობაზე. მოლაპარაკებები დროგამოშვებით 1966-მდე გაგრძელდა. შემდეგ განახლდა 1972. 1982 წლის იანვარში ესპანეთის მთავრობა დათანხმდა, მოეხსნა გიბრალტარის ბლოკადა, სანაცვლოდ ინგლისმა შეწყვიტა ესპანელი მუშების დისკრიმინაცია.

**ინგლის-ვენესუელის კონფლიქტი 1886-99**, აღმოცენდა ვენესუელასა და ბრიტანეთის გვიანას შორის საზღვრის დადგენის გამო. ინგლის-ჰოლანდიის 1814 ხელშეკრულების მიხედვით, გვიანაში სამი ჰოლანდიური კოლონია გადადიოდა ინგლისის ხელში, რომელმაც ისინი გააერთიანა ბრიტანეთის გვიანის სახელწოდებით 1831. ვენესუელა პრეტენზიას აცხადებდა ამ კოლონიის დიდ ნაწილზე (მდ. ესეკიბომდე). აშშ-ის პრეზიდენტმა გ. კლივლენდმა მოდავე მხარეებს შესთავაზა საკითხის გადაჭრა არბიტრაჟის მეშვეობით. იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობამ უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რ. ოლნიმ რამდენიმე მკვახე ნოტაც კი გაუგზავნა ბრიტანეთის მთავრობას, რომელთაგან ერთ ნოტაში (20. VII. 1895) პირდაპირ მიუთითა, რომ ინგლისის მიერ ვენესუელის ტერიტორიის ნაწილის ძალით მიერთება იქნებოდა *„მონროს დოქტრინის“* დარღვევა. თავის მხრივ, პრეზიდენტმა კლივლენდმა კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნა (1895 წლის დეკემბერი), რომ ინგლისის ყოველი ცდა – არბიტრაჟის გარეშე განახორციელოს ტერიტორიული პრეტენზიები ვენესუელის მიმართ – განიხილება როგორც *კაზუს ბელი*. 3.X სასამართლომ ერთხმად გამოიტანა განაჩენი, რომლის მიხედვითაც ინგლისმა მიიღო სადავო ტერიტორიის დიდი ნაწილი. ორივე მხარე დაემორჩილა საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

*წყრ.:* Tratados publicos y acuerdos internacionales de Venezuela: vol. 1-7, Caracas, 1924-45. Vol. I, p. 491-98.

**ინგლის-თურქეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები 1809-1913**, 1. ინგლის-თურქეთის ხელშეკრულება 1809, იგივე დარდანელის ზავი, ხელმოწერილ იქნა 5 იანვარს. მან დაასრულა ინგლისის ომი თურქეთთან, რომელიც დაიწყო 1807 იმ მიზეზით, რომ თურქეთი ჩაება ომში ინგლისის მოკავშირე რუსეთის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ინგლისის ესკადრამ ადმირალ დეკვორტის ხელმძღვანელობით მარცხი განიცადა მარმარილოს ზღვაში, ინგლისმა დაიწყო თურქეთთან შერიგების გზების ძიება. ხელშეკრულება შეიცავდა დადგენილებებს მტრული მოქმედებების შეწყვეტის, ერთმანეთისათვის ომის დროს ჩაგდებული ქონების დაბრუნების, ტარიფის, ელჩების, კონსულების და სხვ. შესახებ. თურქეთმა პირველად დაუშვა არაშავიზღვისპირა სახელმწიფოს ჩარევა სრუტეების რეჟიმის საკითხში.

2. ინგლის-თურქეთის ხელშეკრულება 1878, იხ. *კვიპროსის კონვენცია 1878.*

3. ინგლის-თურქეთის შეთანხმება 1913 სპარსეთის ყურის შესახებ. ხელმოწერილ იქნა 29 ივლისს. მან განსაზღვრა ქუვეითის, კატარის, ბაჰრეინის სტატუსი და ინგლისის განსაკუთრებული უფლებები სპარსეთის ყურეში. ქუვეითმა მიიღო თურქეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი. თურქეთმა ცნო ინგლის-ქუვეითის 1899 წლის 23 იანვრის, 1900 წლის 24 მაისის და 1904 წლის 28 აპრილის შეთანხმებები და იკისრა არ ჩარეულიყო ქუვეითის საშინაო საქმეებში, არ ჩაეყენებინა იქ თავისი გარნიზონები. ინგლისმა, თავის მხრივ, იკისრა ვალდებულება, ფორმალურად არ დაემყარებინა თავისი პროტექტორატი ქუვეითზე. მხარეები შეთანხმდნენ ეთანამშრომლათ ბასრა-ქუვეითის სავარაუდო რკინიგზის ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაში. თურქეთმა უარი თქვა თავის უფლებებზე ბაჰრეინზე და კატარზე, ცნო ინგლისის „განსაკუთრებული უფლებები“ დამოუკიდებელი საამიროების სანაპიროზე კატარის სამხრეთით, ინდოეთის ოკეანეზე, აგრეთვე ჰქონოდა უფლება, დაეწესებინა კონტროლი ნაოსნობაზე და საკარანტინო სამსახურზე სპარსეთის ყურეში. ინგლისმა ცნო თურქეთის უფლებები ალ-ხასას რაიონზე. ხელშეკრულება არ იქნა რატიფიცირებული პირველი მსოფლიო ომის დაწყებასთან დაკავშირებით. 1914 წლის ნოემბერში თურქეთი ჩაება ომში გერმანიის მხარეზე. ინგლისმა გამოაცხადა ქუვეითის დამოუკიდებლობა თავისი პროტექტორატის ქვეშ.

**ინგლის-იაპონიის კავშირი 1902-21**, პირველ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ლონდონში 30. I. 1902. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთ-ერთი მოკავშირის ნეიტრალიტეტს მეორე მხარის რომელიმე ქვეყანასთან ომის შემთხვევაში და სამხედრო დახმარებას მეორე მოკავშირისადმი, თუ მის მოწინააღმდეგეს შეუერთდებოდა ერთი ან რამდენიმე ქვეყანა. ის გარანტიას აძლევდა ინგლისის „სპეციალურ“ ინტერესებს ჩინეთში და იაპონიას – ჩინეთსა და კორეაში.

12. VIII. 1905 ლონდონში 10 წლით ხელი მოაწერეს მეორე სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომლითაც აღიარებული იყო იაპონიის პროტექტორატი კორეის მიმართ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერთ-ერთი მოკავშირისადმი მხარდაჭერას მეორე მხარისათვის მხოლოდ ერთ სახელმწიფოსთან ომის დროსაც. ხელშეკრულების პირობებში შევიდა ინგლისის ინდოეთის სამფლობელოებიც.

13. VII. 1911 ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ლონდონში 10 წლით. ხელშეკრულების პირობით, მოკავშირე არ უნდა დახმარებოდა მეორე მხარეს იმ სახელმწიფოსთან წინააღმდეგ ომში, რომელთანაც მას ჰქონდა გენერალური საარბიტრაჟოების ხელშეკრულება (ინგლისი ამ პერიოდში აშშ-თან აწარმოებდა ასეთი ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკებას).

*ვაშინგტონის კონფერენციაზე 1921-22* კავშირმა ძალა დაკარგა 23. XII. 1921 და ფორმალურად შეიცვალა ოთხი სახელმწიფოს კავშირი (ინგლისი, აშშ, საფრანგეთი და იაპონია).

*წყრ.:* BFSP, vol. 95, p. 83-84; vol. 98, p. 136-38, vol. 104, p. 173-74.
*ლიტ.:* Гальперин А. Л., Англо-японский союз. 1902-1921, М., 1947.

**ინგლის-იაპონიის შეთანხმება 1938** (ჩინეთის საზღვაო საბაჟოს შესახებ), გაფორმდა კომუნიკეს სახით, რომელიც გამოქვეყნდა 3. V ლონდონსა და ტოკიოში, იმ მოლაპარაკებათა შედეგად, რომლებიც მოხდა იაპონიის მიერ ჩინეთის თავისუფალი ნავსადგურების ოკუპაციის შემდეგ. შეთანხმებით, საბაჟო გადასახადი ყველა ოკუპირებულ პორტში „იოკოჰამა სპეშლ ბენკ“-ის ხელში გადადიოდა. ფაქტობრივად ინგლისი ეთანხმებოდა თვით საბაჟოს სამმართველოს იაპონიის ანდა ოკუპირებული ჩინეთის მარიონეტული მთავრობის ხელში გადასვლას. ის ინარჩუნებდა მხოლოდ პროცენტების შემოსავალს იაპონიისაგან, რომელიც მას ჩინეთისათვის ჰქონდა მიცემული. 1938 იაპონიის ბანკმა პროცენტების გაცემა შეწყვიტა. იაპონიამ იქ ახალი საბაჟო ტარიფები დააწესა, რითაც ზიანი მიაყენა ინგლისისა და სხვა ქვეყნის ვაჭრობას ჩინეთში.

**ინგლის-იაპონიის ხელშეკრულება 1894** (ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ), ხელი მოაწერეს ლონდონში 16. VII. გააუქმა ექსტერიტორიულობისა და საკონსულო იურისდიქციის სისტემა, რომელიც დამტკიცებული იყო არათანასწორუფლებიანი *ანსეის ხელშეკრულებით*. ხელშეკრულება დაიდო 12 წლით. ძალაში შევიდა 1899.

1899-დან უცხოური დასახლებები (სეტლმენტები) იაპონიის პორტებში საერთო იაპონურ კანონმდებლობასა და მმართველობას ემორჩილებიან. ხელშეკრულებით, აიკრძალა ინგლისის საკონსულო სასამართლოები და ისინი იაპონიის სასამართლო ხელისუფლებას გადაეცა. ორივე ქვეყნის მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ იაპონიასა და ინგლისში ურთიერთსაფუძველზე ეცხოვრათ და ხელი მოეკიდათ მრეწველობისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ უფლება არ ჰქონდათ მიწის საკუთრებისა.

**ინგლის-იემენის კონფლიქტი XIX-XX სს.** XIX ს-ში ინგლისმა გააფართოვა თავისი სამფლობელოები არაბეთის ნახევარკუნძულზე. 1839 მან ხელთ იგდო სამხრეთ იემენის პორტი ადენი, რომელიც სუეცის არხის გახსნისა (1869) და ევროპიდან აზიისაკენ მიმავალი მთავარი საზღვაო გზის არაბეთის ნაპირებთან გადანაცვლების შემდეგ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული და სატრანზიტო ვაჭრობის მსხვილი ცენტრი გახდა. ადენიდან ინგლისელებმა დაიმორჩილეს მიმდებარე ტერიტორიები და პირველი მსოფლიო ომის წინ დადეს არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები 23 მეზობელ არაბულ საამიროსა და საშეიხოსთან და ადენთან ერთად შექმნეს იმავე სახელწოდების პროტექტორატი. ოსმალეთის იმპერიის დაშლის (1918) შემდეგ ჩრდილოეთ იემენმა, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, არ ცნო ინგლისის კოლონიური დაპყრობები და 1919 თავისი ჯარები შეიყვანა ადენის მოსაზღვრე 9 საამიროს ტერიტორიაზე. ინგლისმა, თავის მხრივ, არ ცნო იემენის პრეტენზიები და 1928 დაიწყო სამხედრო მოქმედებები მის წინააღმდეგ. იემენის იმამი იძულებული გახდა უკან დაეხია. 1934 სანაში დაიდო ინგლის-იემენის ხელშეკრულება „მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ", რომელმაც დააფიქსირა სადემარკაციო ხაზი იემენსა და ადენში ინგლისის სამფლობელოებს შორის. მან ფაქტობრივად დააკანონა ინგლისელთა ყოფნა არაბეთის სამხრეთ ნაწილში.

ინგლის-იემენის კონფლიქტი კვლავ გამწვავდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. 1949 შაბვის რაიონში მათ შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება. 1951 წლის 10 მარტს ორ ქვეყანას შორის ლონდონში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა დიპლომატიური წარმომადგენლობების გაცვლას, ეკონომიკურ და კულტურულ თანამშრომლობას და რომელიც აუცილებლად მიიჩნევდა, რომ მხარეთა შორის სასაზღვრო დავა გადაწყვეტილიყო მოლაპარაკებების გზით.

1954 ინგლისმა წამოაყენა პროექტი სამხრეთ არაბეთის საამიროების ფედერაციის შექმნისა ინგლისის კონტროლის ქვეშ. იემენმა ინგლისის ეს ნაბიჯი ჩათვალა 1951 ხელშეკრულებით დადგენილი სტატუს-კვოს დარღვევად, მაგრამ ინგლისმა არ მიიღო იემენის პროტესტი და დაიწყო თავისი გეგმის აქტიური განხორციელება. 1959 წლის 11 თებერვალს გამოცხადდა სამხრეთ არაბეთის ფედერაციის შექმნა, მაგრამ მძლავრმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩაშალა ინგლისის გეგმა. 1967 წლის 30 ნოემბერს გამოცხადდა სამხრეთ იემენის (1970-დან იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

**ინგლის-ინდოეთ-ტაილანდის შეთანხმება 1946** (ინგლისისა და ინდოეთის ტაილანდთან საომარი მდგომარეობის შეწყვეტის შესახებ), ხელი მოეწერა 1. I სინგაპურში. 1942 წლის 25 იანვარს ტაილანდის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ინგლისთან და აშშ-თან ომის გამოცხადების შესახებ.

შეთანხმებით, ინგლისს დაუბრუნდებოდა ომის დროს მიტაცებული პროვინციები ბირმასა და მალაიაში. ინგლისელ მფლობელებს დაუბრუნდებოდათ მათი ყოფილი საკუთრება და ზარალი აუნაზღაურდებოდათ. აგრეთვე ინგლისსა და ინდოეთს უფასოდ გადაეცემოდა 1,5 მლნ ტონა ბრინჯი. არ უნდა გაეყვანა არხი კრაზე (მალაკის ნახევარკუნძულის ყელი), რაც გარკვეულწილად დასცემდა სინგაპურის მნიშვნელობას. ამას მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება აშშ-თან და ინგლისთან.

1954 წლის 14 იანვარს ტაილანდსა და ინგლისს შორის მოლაპარაკების შედეგად მოხდა შეთანხმების დენონსირება, მაგრამ ტაილანდმა ამასთან დადო „ჯენტლმენური" ვალდებულება დაეცვა მისი ძირითადი მუხლები.

**ინგლის-იორდანიის (ტრანსიორდანიის) ხელშეკრულებები და შეთანხმებები.** 1922 წლის სექტემბერში ერთა ლიგამ დაამტკიცა ინგლისის მანდატი ტრანსიორდანიაზე, რომელიც ადრე შედიოდა ინგლისის სამანდატო პალესტინის შემადგენლობაში. ტრანსიორდანიის ინგლისზე კოლონიური დამოკიდებულების ხელშეკრულებითი გაფორმება მოხდა 1928 შეთანხმებით. ტრანსიორდანიამ მიიღო ვალდებულება, ეხელმძღვანელა ამანში ბრიტანეთის რეზიდენტისა და იერუსალიმში ინგლისის უმაღლესი კომისრის რჩევებით. ინგლისმა მიიღო უფლება განელაგებინა თავისი ჯარები ტრანსიორდანიაში. 1941 წლის 19 ივნისს 1928 შეთანხმებას დაემატა ახალი მუხლი, რომელიც ნებას აძლევდა ინგლისს ჰყოლოდა ტრანსიორდანიაში ისეთი რაოდენობის ჯარები, რომლებიც, ბრიტანეთის მთავრობის აზრით, აუცილებელი იქნებოდა ქვეყნის თავდაცვისათვის.

1946 წლის 22 მარტს 1928 შეთანხმება შეიცვალა ახალი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებით, რომლითაც ინგლისმა ფორმალურად გააუქმა მანდატი ტრანსიორდანიაზე და აღიარა ის დამოუკიდებელ სამეფოდ, მაგრამ შეინარჩუნა უფლება ჰყოლოდა იქ განუსაზღვრელი რაოდენობის ჯარები და აეშენებინა სამხედრო ბაზები. ტრანსიორდანიის ამირა აბდალაჰს, რომელმაც მიიღო მეფის ტიტული, ეძლეოდა ინგლისის სუბსიდიები. 1946 წლის მაისში ტრანსიორდანიას ოფიციალურად ეწოდა იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო. 1948 წლის 15 მარტს ამანში ხელმოწერილ იქნა ინგლის-იორდანიის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლითაც ინგლისი ინარჩუნებდა სამხედრო ბაზებსა და სამხედრო ნაწილებს და უფლებას, კონტროლი გაეწია იორდანიის არმიისათვის.

1957 წლის 13 მარტს იორდანიამ გააუქმა ინგლის-იორდანიის 1948 ხელშეკრულება და შეუთანხმდა ინგლისს, რომ ის 6 თვის ვადაში გაიყვანდა თავის ჯარებს იორდანიიდან და მოახდენდა იქ თავისი სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას.

1958 წლის 14 თებერვალს გამოქვეყნდა დეკლარაცია ერაყ-იორდანიის არაბული ფედერაციის შექმნის შესახებ. იმავე წლის 14 ივლისს ერაყში მოხდა რევოლუცია, რის გამოც ფედერაცია დაიშალა. არაბული ფედერაციის „კანონიერი მთავრობის აღდგენის" საბაბით, 16 ივლისს ინგლისმა დაიწყო თავისი ჯარების გადასროლა იორდანიაში. 1958 წლის 21 აგვისტოს გაეროს გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიამ მოითხოვა იორდანიიდან უცხოეთის ჯარების გაყვანა. 2 ნოემბერს უკანასკნელმა ინგლისელმა ჯარისკაცმა დატოვა იორდანია.

**ინგლის-ირანის კონფლიქტი**, ბაჰრეინის კუნძულების გამო. ბაჰრეინის კუნძულები, რომლებიც უმეტესად არაბებითაა დასახლებული, XVII-XVIII სს-ში ირანის სამფლობელო იყო, მაგრამ შემდეგ მათზე დამყარდა ინგლისის პროტექტორატი (იხ. *ინგლის-ბაჰრეინის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*). ირანმა არ ცნო პროტექტორატი და განიხილავდა ბაჰრეინს, როგორც საკუთარ ტერიტორიას. 1948 ირანის მთავრობამ კვლავ დაადასტურა, რომ ბაჰრეინის კუნძულებს ირანის ტერიტორიის ნაწილად თვლიდა. ინგლისის მთავრობამ ამაზე უპასუხა, რომ ბაჰრეინის კუნძულები იყო „დამოუკიდებელი სამფლობელოები არაბი შეიხისა, რომელსაც განსაკუთრებული ურთიერთობები ჰქონდა ინგლისთან". 1957 წლის ნოემბერში ირანის მეჯლისმა მიიღო კანონი, რომელიც ბაჰრეინის კუნძულებს ირანის პროვინციად აცხადებდა. 1957 წლის 27 ნოემბერს ინგლისმა განაცხადა, რომ ირანის პრეტენზიებს ბაჰრეინის კუნძულებზე თვლიდა უსაფუძვლოდ და რომ ის უწინდებურად შეასრულებდა თავის მოვალეობებს დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად. 1970, ინგლისისა და ირანის თხოვნით, გაეროს გენერალურმა მდივანმა ბაჰრეინის კუნძულებზე გაგზავნა მისია იმ მიზნით, რომ გატარებულიყო გამოკითხვა მოსახლეობის მომავალი სტატუსის შესახებ. ბაჰრეინის კუნძულების მოსახლეობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს შექმნას. 1970 წლის 11 მაისს, მისიის მეთაურის მოხსენების საფუძველზე, გაეროს უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, დამოუკიდებლობა მიენიჭებინა ბაჰრეინის კუნძულებისათვის. ეს გადაწყვეტილება ინგლისმა და ირანმა აღიარეს.

**ინგლის-ირანის ნავთობის კონფლიქტი 1951-53.** 1951 წლის 11 იანვარს ირანის მთავრობამ უარყო 1949 წლის 17 დეკემბრის „დამატებითი შეთანხმება" (იხ. *ინგლის-ირანის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*) ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიასთან (იინკ), რომელიც აკონტროლებდა ირანის ნავთობმომპოვებელ და ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობას. 1951 წლის 15 მარტს ირანის მეჯლისმა მიიღო კანონი იინკ-ის ნავთობსარეწების ნაციონალიზაციისა და მთელი მისი ქონების ირანის საკუთრებად გამოცხადების შესახებ. 1951 წლის აპრილში შექმნილმა მოსადეყის მთავრობამ თავის ხელში აიღო ირანის ნავთობსარეწებისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მართვა და შექმნა ირანის ეროვნული ნავთობის კომპანია (იენკ). მოსადეყის მთავრობის დაყოლიების მიზნით, ინგლისმა დაიწყო უხეში ზემოქმედება ირანზე: გაგზავნა სამხედრო ხომალდები აბადანში, უჩივლა ირანს ჰააგის სასამართლოში, წააქეზა სამხრეთირანული ტომები აჯანყებულიყვნენ, წამოაყენა სპარსეთის ყურესა და ხუზისტანში დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოს შექმნის იდეა. იინკ-ის ლიკვიდაციით ირანის ნავთობის მრეწველობაში შექმნილი ვაკუუმის შევსება ერთხანს სცადა აშშ-მა, მაგრამ შემდეგ აშშ-ის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ინგლისს. აშშ-ისა და ინგლისის უმსხვილესი ნავთობის კორპორაციებმა, რომლებიც აკონტროლებდნენ ნავთობის გასაღების თითქმის მთელ ბაზარს კაპიტალისტურ სამყაროში და სატანკერო ფლოტის დიდ ნაწილს, მოახერხეს ირანის ნავთობის ექსპორტის ბლოკირება. ირანის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. 1952 წლის 16 ოქტომბერს ირანმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები ინგლისთან. 1953 წლის აგვისტოში ირანში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, ახალმა ხელისუფლებამ დეკემბერში აღადგინა ინგლისთან დიპლომატიური ურთიერთობები.

ირანის ნავთობის მოპოვების, დამუშავებისა და ექსპორტის მიზნით, ირანის ნავთობის კომპანიებმა შექმნეს ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმი (ნსკ). 1954 წლის 19 სექტემბერს, ირანის მთავრობასთან შეთანხმებით, მან მიიღო უფლება 25 წლით, რომ მოეპოვებინა და გადაემუშავებინა სამხრეთ ირანის ნავთობი, რომელსაც ადრე ექსპლუატაციას უწევდა იინკი. შეთანხმება შეიძლებოდა გაგრძელებულიყო სამჯერ 5 წლით. ნსკ-ის აქციების 40% ერგო „ბრიტიშ პეტროლეუმ კომპანის" (ყოფილ იინკ-ს), 14% – ინგლის-ჰოლანდიის „როიალ დატჩ-შელლს", 35% – ამერიკულ „დიდ ხუთეულს" და სხვ. ნსკ-ის მოგების 50% უნდა გადაცემოდა ირანს. ირანმა აიღო ვალდებულება იინკ-თვის გადაეხადა 25 მლნ გირვანქა სტერლინგი იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც მან განიცადა 1951 ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის შედეგად. იინკ-ს დაეკისრა კონსორციუმისათვის დამხმარე სამუშაოების (დასახლებების, მაღაზიების, სასადილოების მშენებლობა-შენახვა, სატრანსპორტო სამსახური, სამედიცინო მომსახურება, მუშა-მოსამსახურეთა ტექნიკური მომზადება) შესრულება.

**ინგლის-ირანის ხელშეკრულებები და შეთანხმებები.** 1. 1763 ხელშეკრულება ირანში ინგლისელი ვაჭრებისათვის შეღავათებისა და პრივილეგიების მინიჭების შესახებ, გაფორმდა ირანის გამგებლის ქერიმ-ხან ზენდის ფირმანით 2 აგვისტოს, რომელიც გაიცა შირაზში ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის სახელზე. ფირმანით ინგლისმა მიიღო უფლება მფლობელობაში ჰქონოდა მიწა ბენდერ-ბუშირში გამაგრებული სავაჭრო ფაქტორიის ასაშენებლად, თავისუფალი და უბაჟო ვაჭრობის უფლება, ირანში შალის ნაწარმის შეტანის მონოპოლიური უფლება და სხვა შეღავათები. ამ ხელშეკრულებამ ინგლისის ვაჭრობას შეუქმნა პრივილეგირებული მდგომარეობა ირანში.

2. 1801 პოლიტიკური და სავაჭრო ხელშეკრულება, ხელმოწერილ იქნა 4 იანვარს თეირანში ირანის პირველი ვეზირის ჰაჯი იბრაჰიმისა და ინგლისელი კაპიტნის ჯონ მალკოლმის მიერ. პოლიტიკური ხელშეკრულებით, შაჰმა აიღო ვალდებულება, რომ გაეგზავნა ირანის ჯარები ავღანეთში, იმ შემთხვევაში, თუ ავღანეთი თავს დაესხმებოდა ინგლისის სამფლობელოებს ინდოეთში, განედევნა ფრანგები ირანიდან და აღარ დაეშვა ისინი ირანში. ინგლისმა იკისრა ირანის მომარაგება იარაღით, თუ მას თავს დაესხმებოდა საფრანგეთი ან ავღანეთი. სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისელ და ინდოელ ვაჭრებს უფლებას აძლევდა თავისუფლად,

გადასახადების გარეშე დასახლებულიყვნენ ირანის მთელ ტერიტორიაზე, უბაჟოდ შეეტანათ ირანში მაუდი, ტყვია, რკინისა და ფოლადის ნაკეთობები. ხელშეკრულება მიმართული იყო საფრანგეთის და რუსეთის წინააღმდეგ. 1804-13 ირან-რუსეთის ომის დროს ინგლისმა არ აღმოუჩინა ირანს სამხედრო დახმარება და 1807 ირანმა საფრანგეთთან დადო ხელშეკრულება, რომელიც მიმართული იყო ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ.

3. 1809 ხელშეკრულება „კავშირისა და მეგობრობის" შესახებ, ხელმოწერილ იქნა 12 მარტს თეირანში ირანის პირველი ვეზირის მირზა მოჰამედ შაფისა და ინგლისის დესპანის ჰარფორდ ჯონსის მიერ. ამ ხელშეკრულებით, ირანის შაჰმა იკისრა ვალდებულება, გაეწყვიტა ურთიერთობები საფრანგეთთან და ინგლისის მტერ სახელმწიფოებთან, დაეშვა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ექსპედიცია სპარსეთის ყურეში. ინგლისმა აიღო ვალდებულება, რომ რუსეთთან ომის დასრულებამდე გადაეხადა ირანისათვის ყოველწლიური სუბსიდია 160 ათასი თუმანი, გაეგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები და იარაღი ირანის არმიისათვის. ხელშეკრულება უშუალოდ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

4. 1814 ხელშეკრულება, ხელმოწერილ იქნა 1809 წლის 25 ნოემბერს *ინგლის-ირანის 1809 ხელშეკრულების* საფუძველზე. მიმართული იყო რუსეთისა და ავღანეთის წინააღმდეგ. ირანის შაჰმა აიღო ვალდებულება, გაეუქმებინა ხელშეკრულებები და შეთანხმებები ინგლისის მტერ ყველა ევროპულ სახელმწიფოსთან, არ გაეტარებინა ინდოეთისაკენ თავის ტერიტორიაზე ევროპული სახელმწიფოების ჯარები, აეძულებინა ხორეზმის, ბუხარისა და სამარყანდის გამგებლები არ გაეტარებინათ ინდოეთისკენ თავიანთ ტერიტორიაზე ევროპის სახელმწიფოს ჯარები, გაეგზავნა ირანის ჯარები ინგლისელთა დასახმარებლად იმ შემთხვევაში, თუ დაიწყებოდა ომი ავღანეთსა და ბრიტანეთის ინდოეთს შორის, მოეწვია სამხედრო ინსტრუქტორები ირანის არმიისათვის მხოლოდ ინგლისიდან ან მისი მეგობარი ქვეყნიდან. თავის მხრივ, ინგლისმა იკისრა, რომ რომელიმე ევროპული სახელმწიფოს მიერ ირანზე თავდასხმის შემთხვევაში დახმარება გაეწია მისთვის ჯარით ინდოეთიდან ანდა მიეცა სუბსიდია 200 ათასი თუმანი, მიეღწია იმისათვის, რომ გადასინჯულიყო რუსეთ-ირანის საზღვარი, რომელიც დადგინდა *გულისტანის საზავო ხელშეკრულებით 1813*, არ ჩარეულიყო ირან-ავღანეთის ომში, თუ ის დაიწყებოდა. ხელშეკრულებით, ირანის საგარეო პოლიტიკა დაექვემდებარა ინგლისის კონტროლს.

5. 1857 ხელშეკრულება, ხელმოწერილ იქნა 4 მარტს პარიზში საფრანგეთში ინგლისის ელჩის კოულისა და საფრანგეთში ირანის ელჩის ფაროხ-შაჰის მიერ. დაასრულა 1856-57 ინგლის-ირანის ომი, რომელიც დაიწყო ჰერათის კონფლიქტის გამო. ირანმა იკისრა ვალდებულება, რომ გაეყვანა თავისი ჯარები ჰერათიდან და ავღანეთის მიმდებარე პუნქტებიდან და შემდგომ არ ჰქონოდა პრეტენზიები ამ ტერიტორიაზე, ეცნო ჰერათისა და ავღანეთის დამოუკიდებლობა და არ ჩარეულიყო მათ საშინაო საქმეებში, მიემართა ინგლისის შუამდგომლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვებოდა უთანხმოება, ერთი მხრივ, ირანსა და, მეორე მხრივ – ჰერათსა და ავღანეთს შორის. ინგლისმა იკისრა საომარი მოქმედებების შეწყვეტა და ირანიდან თავისი ჯარების გაყვანა.

6. 1882 შეთანხმება სპარსეთის ყურეში მონათვაჭრობის აღკვეთის შესახებ, ხელმოწერილ იქნა 2 მარტს თეირანში ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მირზა საიდისა და ინგლისის დესპან რონალდ მ. ტომსონის მიერ. შეთანხმება ინგლისის ხომალდებს აძლევდა უფლებას, შეემოწმებინათ ირანის სავაჭრო გემები სპარსეთის ყურეში და დაეკავებინათ ის გემები, რომელთაც გადაჰყავდათ მონები გასაყიდად.

7. 1903 საბაჟო შეთანხმება, ხელმოწერილ იქნა 9 თებერვალს თეირანში ირანის პრემიერ-მინისტრის ათაბეგ აზამ ალი-ასღარ ხანისა (ამინ ეს-სულთანისა), საბაჟოებისა და ფოსტის გენერალური დირექტორის ნაუსისა და ინგლისის მოციქულის არტურ ჰარდინგის მიერ. ამყარებდა დაახლოებით იმავე პირობებს, როგორიც საფუძვლად დაედო *რუსეთ-ირანის 1901 საბაჟო შეთანხმებას*, სახელდობრ: ითვალისწინებდა ადგილობრივი ბაჟების (5% საქონლის ფასიდან) გაუქმებას და სპეციფიკური საბაჟო ტარიფის შემოღებას, ამასთან მრავალ საქონელზე ბაჟები მთლიანად უქმდებოდა; საგზაო გადასახადების გაუქმებას და საიჯარო სისტემის შეცვლას ბაჟების აკრეფის ევროპული მეთოდებით. ამ შეთანხმებამ ხელი შეუწყო ინგლისის სავაჭრო ექსპანსიას ირანში.

8. 1919 შეთანხმება „სპარსეთის პროგრესისა და კეთილდღეობის ხელშესაწყობად ბრიტანეთის დახმარების შესახებ", ხელმოწერილ იქნა 9 აგვისტოს თეირანში პრემიერ-მინისტრ ვოსუღ ად-დოულესა და ინგლისის დესპან პერსი კოქსის მიერ. შეთანხმება, რომელიც ფაქტობრივად ამყარებდა ინგლისის პროტექტორატს ირანზე, არ იქნა დამტკიცებული ირანის მეჯლისის მიერ.

9. 1933 შეთანხმება, ხელმოწერილ იქნა 29 აპრილს თეირანში ირანის ფინანსთა მინისტრ ტაგი-ზადესა და ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის გამგეობის თავმჯდომარის დ. კედმანის მიერ. მან მოაწესრიგა ინგლის-ირანის 1931-33 ნავთობის კონფლიქტი. 1931 ინგლის-ირანის ნავთობის კონცესიამ (იინკ) მკვეთრად შეუმცირა ირანს ანარიცხები მოგებიდან. 1932 წლის 26 ნოემბერს ირანის მთავრობამ გააუქმა კონცესია. ინგლისის დაწოლის შემდეგ ირანის მთავრობამ უკან დაიხია და ანარიცხების მცირე გაზრდისა და სხვა უმნიშვნელო კომპენსაციის საფასურად უარი თქვა კონცესიის გაუქმებაზე და მისი მოქმედების ვადა, რომელიც სრულდებოდა 1961, გააგრძელა 1993 ბოლომდე.

10. 1949 („დამატებითი") შეთანხმება, ხელმოწერილ იქნა 17 დეკემბერს. მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ ირანში გაიზარდა ანტიიმპერიალისტური მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო ინგლისის ნავთობის კონცესიის კაბალური პირობებისაგან განთავისუფლება. იინკ-მა ირანის მთავრობას შესთავაზა გაეზარდა მისთვის ანარიცხები მოგებიდან, თუკი ის დაამტკიცებდა მის კონცესიურ უფლებებს. ამ პირობებით დაიდო ინგლის-ირანის „დამატებითი" შეთანხმება, მაგრამ ირანის მეჯლისმა ხალხის მასების პროტესტის ზეგავლენით 1951 წლის 11 იანვარს არ მოახდინა მისი რატიფიკაცია.

**ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულება და შეთანხმებები.**
1. 1921 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 6.XII. ხელშეკრულებით, ირლანდია ღებულობდა კონსტიტუციური დომინიონის სტატუსს და სახელწოდებას – ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო. უმაღლესი ხელისუფლება ბრიტანეთის მონარქს რჩებოდა, რომელსაც გენერალური გუბერნატორი

წარმოადგენდა. საზღვაო ნაპირის დაცვას ახორციელებდა ინგლისის ფლოტი.

ხელშეკრულებით, გააფორმეს ირლანდიის დაყოფა, ჩრდილოეთი ირლანდიის საგრაფო (ოლსტერი) არ შეეიდა ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს შემადგენლობაში და როგორც ხელოვნური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი შეიყვანეს დიდი ბრიტანეთის შეერთებულ სამეფოში და ჩრდილოეთ ირლანდიაში.

2. 1938 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 25. IV, მას შემდეგ, რაც ირლანდიამ, როგორც დომინიონმა არსებობა შეწყვიტა და 1937 წლის 29. XII თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ (1949-დან ირლანდიის რესპუბლიკა) გამოაცხადა. შეთანხმება შეეხებოდა ორივე ქვეყნის საბაჟო საქმის მოწესრიგებას. ორივე მხარე აწესებდა ერთმანეთის მიმართ შეღავათიან საბაჟო ტარიფებს.

**ინგლის-იტალიის შეთანხმებები**, 1. 1891 შეთანხმება აღმოსავლეთ აფრიკაში გავლენის სფეროების შესახებ, გაფორმდა ორი ოქმის სახით 24. III და 15. IV. პირველი ოქმით დადგინდა იტალიის გავლენის სფერო სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო მეორეთი – ჩრდილო- დასავლეთი საზღვარი. შეთანხმებით, ერცელი ტერიტორია – ბენადირის სანაპიროს სამხრეთი, რომელსაც იტალია 1888 დაეუფლა, და წითელი ზღვის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო (მთელი ეთიოპია, სომალის მნიშვნელოვანი ნაწილი, ერიტრეა, ეგვიპტის სუდანის ნაწილი) იტალიის გავლენის სფეროდ გამოცხადდა, თეთრი ნილოსის ოლქი – ინგლისის.

2. 1894 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 5. V რომში, შეავსო 1891 შეთანხმება. განსაზღვრა ინგლისისა და იტალიის გავლენის სფეროები 8° სიგანით დასავლეთიდან აღმოსავლეთით, 48° გადაკვეთამდე მერიდიანის გაყოლებით ჩრდილოეთით ადენის ყურემდე.

1894-96 იტალიამ სცადა ეთიოპიის ხელში ჩაგდება, მაგრამ დამარცხდა და ცნო მისი დამოუკიდებლობა (ადის-აბების ხელშეკრულება 1896).

3. 1937 შეთანხმება, დაიდო რომში 2. I, ცნობილია როგორც პირველი *„ჯენტლმენური შეთანხმება"*. ორივე მხარე ცნობდა ხმელთაშუა ზღვაში თავისუფალ შესვლას და გამოსვლას, აგრეთვე ტრანზიტის თავისუფლებას.

1937 წლის თებერვალში მუსოლინიმ იტალიის ახალი საზღვაო პროგრამა გამოაცხადა, რომელიც ითვალისწინებდა იტალიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაზრდას. ინგლისის მთავრობამ ეს აქტი შეთანხმების დარღვევად მიიჩნია. 1938 წლის თებერვალში დაიწყეს ახალი მოლაპარაკება იტალიასთან, რომელიც ინგლის-იტალიის შეთანხმებით დასრულდა.

4. 1938 შეთანხმება (ხანდახან უწოდებენ „მეორე ჯენტლმენურ შეთანხმებას"), დაიდო 16. IV რომში.

შეთანხმებით, იტალია ვალდებული იყო გამოეყვანა თავისი „ვოლონტიორები" ესპანეთიდან, მაგრამ მხოლოდ „სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ", იგი უნდა შეერთებოდა *ლონდონის საზღვაო კონფერენციის 1935-36* პირობებს და შეემცირებინა თავისი გარნიზონის რიცხვი ლიბიაში. ინგლისი აღიარებდა იტალიასთან თანასწორ უფლებას საუდის არაბეთსა და იემენში, აგრეთვე სუეცის არხში თავისუფალი გასვლის უფლებას.

**ინგლის-ლიბიის ხელშეკრულება 1953**, ხელი მოაწერეს 23 ივლისს ქ. ბენღაზიში (ლიბია) ინგლისის ელჩმა ლიბიაში ა. კირკბრაიდმა და ლიბიის პრემიერ-მინისტრმა მაჰმუდ მუნთასირმა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა სამხედრო კავშირს ერთ-ერთი მხარის ომში ჩაბმის შემთხვევაში. მან ოფიციალურად გააფორმა ინგლისის ჯარების ყოფნა ლიბიის ტერიტორიაზე (რაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომიდან). მასთან ერთად ხელი მოაწერეს ორ შეთანხმებას: ფინანსურ და სამხედრო საკითხებზე 20 წლით. შეთანხმება სამხედრო საკითხებზე ინგლისს აძლევდა უფლებას გამოეყენებინა ლიბიაში მიწის ნაკვეთები და შენობები თავისი სამხედრო მოსამსახურეებისათვის, განეხორციელებინა თავისი ჯარების შეუფერხებელი გადაადგილება ქვეყანაში, ჰქონოდა აქ თავისი ბაზები და ჩაეტარებინა სამხედრო მანევრები. 1969, ლიბიაში მონარქიის ლიკვიდაციის შემდეგ, ლიბიის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, 1970 წლის მარტში ინგლისმა გააუქმა სამხედრო ბაზები ლიბიაში და გაიყვანა იქიდან თავისი ჯარები.

**ინგლის-მალაიზიის ხელშეკრულება 1957** (თავდაცვისა და ურთიერთდახმარების შესახებ), ხელი მოაწერეს 12. X კუალა-ლუმპურში. ხელშეკრულებით, ინგლისმა განუსაზღვრელი ვადით მიიღო უფლება ჰყოლოდა მალაიზიაში სამხედრო-საზღვაო, სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალები და გამოეყენებინა იქ თავისი სამხედრო ბაზები, უნდა დახმარებოდა მალაიზიას შეიარაღებული ძალების მმართველობასა და გაწვრთნაში. ხელშეკრულება ავალდებულებდა მალაიზიას მიემართა ინგლისისათვის სამხედრო თანამშრომლობისათვის. 1963 ეს ხელშეკრულება მთელ მალაიზიის ფედერაციაზე გავრცელდა. სინგაპურის მალაიზიის ფედერაციიდან გასვლის შემდეგ მისი ბაზების სარგებლობის საკითხი გადაწყდა სინგაპურსა და ინგლისს შორის ნოტების გაცვლის შემდეგ

1968 ინგლისის მთავრობამ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება ინგლისის ჯარების გამოყვანისა „სუეციდან აღმოსავლეთით", განაცხადა ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. მას შემდეგ, რაც დაიდო *ხუთმხრივი შეთანხმება თავდაცვის შესახებ*, 1971 წლის 31. X ხელშეკრულებამ არსებობა შეწყვიტა.

**ინგლის-მალტის შეთანხმებები**, 1. 1964 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 21. IX ლა-ვალეტაში. შეთანხმებით, თავდაცვის შესახებ მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, გაეწიათ ერთმანეთისათვის სამხედრო დახმარება და კონსულტაცია სამხედრო საკითხებში. მალტა უფლებას აძლევდა ინგლისს, 10 წლით (მშვიდობიან და ომის დროს) განელაგებინა კუნძულზე სამხედრო ძალები. ნატოს ქვეყნების გარდა, სხვა მესამე სახელმწიფოს, ამის უფლება არ ეძლეოდა. ინგლისი მალტას 10 წლის განმავლობაში აძლევდა 50 მლნ გირვანქა სტერლინგს.

2. 1972 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 26. III ლონდონში. ინგლისი ინარჩუნებდა 7 წლით სამხედრო ბაზებს. 1964 წელთან შედარებით მალტას საარენდო ყოველწლიური გადასახადი გაუდიდდა და 14 მლნ ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ 3. III. 1979 ინგლისის ჯარები მალტიდან მთლიანად გაიყვანეს. მალტამ თავი დამოუკიდებელ და მიუმხრობელ ქვეყანად გამოაცხადა.

**ინგლის-მასკატის ხელშეკრულებები და შეთანხმებები,** მასკატის სულთნების არათანასწორუფლებიანი და უმეტესად ცალმხრივი ვალდებულებები ინგლისის წინაშე, რომელთა ძალითაც ინგლისს შეეძლო მასკატის საშინაო საქმეებში ჩარევა. 1798 წლის 12 ოქტომბრის შეთანხმებით – ინგლის-საფრანგეთის ომთან დაკავშირებით, მასკატის სულთანმა აიღო ვალდებულება, ყოფილიყო ინგლისის სამხედრო მოკავშირე. 1800 წლის 18 იანვრის შეთანხმებით მასკატის სულთანი დათანხმდა, დაეშვა ინგლისის მუდმივი აგენტი მასკატში. 1822 წლის 4 სექტემბრის ხელშეკრულებამ დაავალდებულა მასკატის სულთანი, აეკრძალა მონათვაჭრობა. ინგლისის ფლოტმა მიიღო უფლება, გაეჩერებინა მასკატის ყველა სავაჭრო გემი და მოეხდინა მისი კონფისკაცია. 1891 წლის 19 მარტის ხელშეკრულება მეგობრობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ უნარჩუნებდა ინგლისს და მის ქვეშევრდომთ პრივილეგიებს მასკატში. იმავდროულად, 1891 წლის 19 მარტს ხელი მოაწერეს „განსაკუთრებულ შეთანხმებას", რომლითაც მასკატის სულთანმა იკისრა ვალდებულება, ინგლისის გარდა არავისზე არ გაეყიდა, არ დაეგირავებინა და არ განესხვისებინა თავისი სამფლობელოები. 1939 წლის 4 თებერვლის ხელშეკრულებამ მეგობრობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ შეცვალა 1891 ხელშეკრულება და დაამტკიცა ინგლისის ყველა ადრეული პრივილეგია. მასკატის სულთანმა ინგლისს მისცა საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზები მასკატსა და გვადარაში, სანაცვლოდ კი მიიღო უფლება საბაჟო გადასახადების გაზრდისა. 1951 წლის 20 დეკემბრის ახალმა ხელშეკრულებამ მეგობრობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ შეინარჩუნა 1939 ხელშეკრულების ყველა სტატია და ფორმალურად ხაზი გაუსვა მასკატის დამოუკიდებლობას.

1958 წლის 25 ივლისის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ინგლისისათვის 99 წლით სამხედრო ბაზის სახით კ. მასირის და აგრეთვე ქ. სალალაში (დოფარის პროვინცია) სამხედრო-საჰაერო ბაზის გადაცემას. სამწუხაროდ, ინგლისმა ვალდებულება აიღო დახმარება გაეწია მასკატისათვის და მიეწოდებინა მისთვის შეიარაღება.

1970 წლის 9 აგვისტოს მასკატის ახალმა სულთანმა კაბუს ბენ საიდმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან სახელმწიფოს ოფიციალურად ეწოდებოდა ომანის სასულთნო. 1974 წლის 7 ოქტომბერს ომანის სასულთნო მიიღეს გაეროში. 1971 წლის 28 იანვრის შეთანხმებით დიდი ბრიტანეთის გენერალური საკონსულო ომანში გადაკეთდა საელჩოდ.

**ინგლის-ნაჯდის ხელშეკრულება 1915,** ხელი მოაწერეს 26 დეკემბერს ნაჯდის ამირა იბნ საუდმა და სპარსეთის ყურეში ინგლისის რეზიდენტმა პ. კოკსმა ქ. უკაირში (სპარსეთის ყურის ნაპირზე). ხელშეკრულებით, ინგლისმა აღუთქვა გარანტია იბნ საუდს, რომ საგარეო აგრესიის შემთხვევაში დაიცავდა მის სამფლობელოს და იკისრა გადაეხადა მისთვის 60 ათასი გირვანქა სტერლინგი წლიურად. იბნ საუდმა აიღო ვალდებულება, ჰყოლოდა იგივე მტრები და მეგობრები, რომლებიც ჰყავდა ინგლისს; შეეთანხმებინა მისთვის თავისი საგარეო პოლიტიკა, არ დაეთმო თავისი სამფლობელოს ტერიტორიის რაიმე ნაწილი მესამე სახელმწიფოსათვის და არ ჩარეულიყო სპარსეთის ყურეში ინგლისის პროტექტორატების – ბაჰრეინის, ომანისა და ქუვეითის საშინაო საქმეებში. ხელშეკრულება ძალაში იყო 1924-მდე.

**ინგლის-საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულება 1942** (კავშირის შესახებ), ხელი მოაწერეს 29.I თეირანში; ფაშისტურ გერმანიასთან ომის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირმა ირანის ტერიტორიაზე თავისი ჯარი შეიყვანა, ერთდროულად ინგლისიც ასე მოიქცა.

ხელშეკრულებით, საბჭოთა კავშირმა და ინგლისმა ერთობლივად აიღეს ვალდებულება პატივი ეცათ ირანის ტერიტორიის მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, დაეცვათ იგი ყოველგვარი აგრესიისაგან.

ირანი ვალდებულებას იღებდა ეთანამშრომლა მოკავშირე სახელმწიფოებთან.

ამასთან, მოკავშირეები არ თხოვდნენ მას ჯარების გამოყვანას რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ ომში. ომის დამთავრების შემდეგ ჯარები ირანიდან გაყვანილ იქნენ.

**ინგლის-საფრანგეთ-თურქეთის ხელშეკრულება 1939** (ურთიერთდახმარების შესახებ), ხელმოწერილ იქნა 19 ოქტომბერს ანკარაში 15 წლის ვადით. მან გააფორმა სამხედრო კავშირი ამ სამ ქვეყანას შორის. ითვალისწინებდა კონსულტაციებსა და ურთიერთ სამხედრო დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ მათ ომს გამოუცხადებდა ევროპის რომელიმე სახელმწიფო, ანდა იმ შემთხვევაში, თუ ხმელთაშუა ზღვის ზონაში ამ სახელმწიფოს აგრესიის შემთხვევაში ისინი ომში ჩართულნი აღმოჩნდებოდნენ. ხელშეკრულებას ერთოდა №2 დამატება, რომლის მიხედვითაც აღებული ვალდებულებები არ აიძულებდა თურქეთს ისეთი მოქმედებებისკენ, რაც განაპირობებდა მის სამხედრო კონფლიქტს სსრ კავშირთან.

მიუხედავად იმისა, რომ 1940 საომარი მოქმედებები გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, 1941 კი – ბალკანეთზე, თურქეთი ომში არ ჩაება. 1941 წლის 18 ივნისს მან დადო გერმანიასთან ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ და ამავე დროს შეინარჩუნა სამოკავშირეო ურთიერთობები ინგლისთან და საფრანგეთთან. თურქეთმა გერმანიას და იაპონიას ომი გამოუცხადა მხოლოდ 1945 წლის 23 თებერვალს და ამ აქტით მიიღო უფლება სან-რემოს 1945 კონფერენციასა და გაეროში მონაწილეობისა.

**ინგლის-საფრანგეთის ინტერვენცია ჩინეთში 1862-64,** მოხდა ძინის (მანჯურიის) მმართველებისადმი დახმარების გაწევის მიზნით 1850 ჩინეთში დაწყებული გლეხთა აჯანყების ჩასახშობად. 1862-დან ინგლისის მეთაურობით დასავლეთის ქვეყნებმა დაიწყეს აშკარა სამხედრო მოქმედება ტაიპინების წინააღმდეგ. უცხოეთის ინტერვენციამ ძალთა თანაფარდობა სამოქალაქო ომის მსვლელობაში ძინის მთავრობის სასარგებლოდ შეცვალა, რომელმაც 1864 შეძლო ნანკინის – აჯანყებულთა ციტადელის ხელში ჩაგდება.

**ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებები და დეკლარაციები სირიისა და ლიბანის შესახებ,** 1. 1916 შეთანხმება, იხ. *საიქს-პიკოს შეთანხმება 1916*.

2. 1918 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 30.IX. ლონდონში. რეჟიმი, რომელიც შეთანხმებით დადგინდა, დროებით ხასიათს ატარებდა. სირიის, ლიბანისა და პალესტინის საკითხი საზავო კონფერენციას უნდა გადაეწყვიტა.

3. 1918 **დეკლარაცია** გამოქვეყნდა 7.XI. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა სახელით სირიის, პალესტინის და ერაყის მოსახლეობისადმი მიმართვის ფორმით. მიზანი იყო არაბი ხალხის უკმაყოფილების შენელება კოლონიური რეჟიმის დამყარებასთან დაკავშირებით. დეკლარაცია არ განხორციელებულა.

4. 1919 **შეთანხმება**, დაიდო 15.IX პარიზში; ინგლისის საოკუპაციო ჯარი პალესტინაში და ერაყში უნდა დარჩენილიყო, ხოლო სირიიდან და ლიბანიდან უნდა გამოსულიყვნენ. ამასთან, დასავლეთ სირიაში, ლიბიაში და კილიკიაში მათ საფრანგეთის საოკუპაციო ჯარი შეცვლიდა, აღმოსავლეთ სირიაში – არაბული ძალები.

5. 1920 **შეთანხმება სირიისა და ლიბანის საფრანგეთის მანდატისათვის გადაცემის შესახებ**, ხოლო პალესტინისა და ერაყისა – ინგლისისათვის. დაიდო 25.IV (*სან-რემოს კონფერენცია 1920*).

6. 1920 **შეთანხმება ინგლისისა და საფრანგეთის სამანდატო ქვეყნების საზღვრების შესახებ**, დაიდო 23.XII (*ლეიგ-პარდინგის შეთანხმება 1920*).

7. 1941 **დეკლარაცია** გამოქვეყნდა 8.VI. ინგლისისა და *თავისუფალი საფრანგეთის* ჯარების სირიისა და ლიბანის ტერიტორიაზე შესვლის დღეს. შეიცავდა პირობას სირიისა და ლიბანის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სამანდატო სისტემის დამთავრების შესახებ. პირობა არ შესრულდა. სირიამ და ლიბანმა გააგრძელეს ბრძოლა დამოუკიდებლობის მიღწევამდე. (*სირიისა და ლიბანის კონფლიქტი საფრანგეთთან და ინგლისთან 1943-46*).

8. 1941 **შეთანხმება დაზავების შესახებ**, დაიდო 14.VII. აკაში (ლიბანი), ვიშის მთავრობის ჯარების დამარცხების შედეგად სირიასა და ლიბანში, ინგლისისა და თავისუფალი საფრანგეთის ჯარების მიერ. ფაქტობრივად ამყარებდა ინგლისის განსაკუთრებულ ძალაუფლებას სირიაში და ლიბანში, რომელმაც დე *გოლის* ენერგიული პროტესტი გამოიწვია.

24.VII.1941 დაიდო ე.წ. „განმარტებითი შეთანხმება" დაზავებაზე, რომლითაც ინგლისი იღებდა დე გოლის რამდენიმე მოთხოვნას, ცნობდა „თავისუფალი საფრანგეთის უპირატეს ინტერესებს ყველა საკითხში, რომელიც ეხებოდა ვიშის ჯარებს", მტრისგან ჩამორთმეული სამხედრო მასალა საფრანგეთის საკუთრებად ცხადდებოდა. 25.VII.1941 ინგლისმა და საფრანგეთმა კიდევ ორი შეთანხმება დადეს – ძირითადი და დამატებითი, ახლო აღმოსავლეთში თანამშრომლობის შესახებ, ისაზღვრებოდა სირიაში და ლიბანში ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობის ფართო პერსპექტივა.

15.VIII.1941 ნოტების გაცვლის თანახმად, ინგლისმა გამოაცხადა, რომ არ ჰქონდა არავითარი სხვა ინტერესი ომის გამარჯვებამდე მიყვანის გარდა, საფრანგეთთან ერთად სირიას და ლიბანს დამოუკიდებლობის გარანტიას აძლევდა. დე გოლმა ეს გარანტიები მიიღო და გამოაცხადა მზადყოფნა ინგლისთან ერთად ეწარმოებინა ბრძოლა საბოლოო გამარჯვებამდე.

9. 1945 **შეთანხმება**, ხელი მოაწერეს 13.XII. ითვალისწინებდა სირიიდან და ლიბანიდან ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების თანდათანობით გაყვანას, ლიბანში ისინი დარჩებოდნენ კიდევ მცირე ხნით.

სირიისა და ლიბანის მთავრობებმა პროტესტი გამოაცხადეს და გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართეს შეთანხმების შეცვლის თაობაზე.

10. 1946 **შეთანხმება**, დაიდო 9.III პარიზში, სირიისა და ლიბანის საკითხის გაეროს უშიშროების საბჭოში განხილვის შემდეგ. დადგინდა ევაკუაციის თარიღი: ინგლისისა და საფრანგეთის ჯარი სირიიდან უნდა გასულიყო 30.IV 1946, ინგლისელთა ჯარი ლიბანიდან – 30.V.1946, საფრანგეთისა ლიბანიდან – 1.IV.1947.

**ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები**, 1. 1890 **ხელშეკრულება**, ხელი მოაწერეს 5.VIII ლონდონში, დაზუსტდა ინგლისისა და საფრანგეთის *გავლენის სფეროები* აფრიკაში. ხელშეკრულებით საფრანგეთის სფერო იყო ალჟირის სამხრეთ საზღვრიდან საჰარაზე გავლით მდ.ნიგერის ზემო დინებამდე და ჩადის ტბის ჩრდილო ნაწილი ბარუამდე. საფრანგეთი ცნობდა ინგლისის სფეროდ მდ.ნიგერის ქვემო დინების ტერიტორიას და ჩადის ტბის სამხრეთით მდებარე ბორნუს და სოკოტოს. ინგლისი ცნობდა საფრანგეთის პროტექტორატს მადაგასკარზე, საფრანგეთი – ინგლისისას ზანზიბარზე.

*ქუბლ.:* BFSP, vol.82, p.89-91.

2. 1896 **შეთანხმება**, ხელი მოაწერეს 15.I ლონდონში. ორივე მხარე სიამის (ახლანდელი ტაილანდი) დამოუკიდებლობის გარანტიას იძლეოდა მდ.მენამის აუზში, საფრანგეთმა მიითვისა მდ. მეკონგის აღმოსავლეთი ტერიტორია. ინგლისმა გაინაღდა თავისი ინტერესები ბირმაში და მალაიზიაში.

3. 1898 **შეთანხმება**, ხელი მოაწერეს 14.VI პარიზში. განსაზღვრავდა ინგლისისა და საფრანგეთის სამფლობელოთა საზღვარს ნიგერიისა და ჩადის ტბის რაიონში. ახალი საზღვარი უზრუნველყოფდა დაპყრობილი დაგომეის (ახლანდელი ნიგერია) საფრანგეთის სუდანისათვის მიერთებას. საფრანგეთი იმტკიცებდა მოსის, გურმას, და გურუნზისა და ბორნუს ტერიტორიის ნაწილს. ინგლისს რჩებოდა მდ.ნიგერის სანაოსნო ნაწილი და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ოლქი მისგან აღმოსავლეთით, ჩადის ტბამდე.

*ქუბლ.:* BFSP, vol 91, p.38-55.

4. 1899 **შეთანხმება**, ხელი მოაწერეს 21.III ლონდონში. განსაზღვრავდა ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროებს აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში. საფრანგეთს გადაეცემოდა დასავლეთ სუდანი დიდი ოლქებით: კანემი, ვადანი, ბაგირმი, ბორნუ და ტიბესტი ჩადის ტბის რაიონში. ამის გარდა, საფრანგეთს ეძლეოდა შესაძლებლობა ეწარმოებინა ვაჭრობა მდ.ნილოსის აუზში.

*ქუბლ.:* BFSP, vol.91, p.55-57.

5. 1904 **შეთანხმება** (ცნობილია როგორც „გულითადი შეთანხმება"), დაიდო 8.IV ლონდონში. არეგულირებდა ორივე ქვეყნის კოლონიურ მფლობელობათა საკითხს.

კონვენციით საფრანგეთი უარს ამბობდა ნიუფაუნდლენდის სანაპიროში თევზჭერის მონოპოლიის უფლებაზე. ამის საფასურად მან მოიპოვა გამბიაზე თავისუფალი ცურვის უფლება მისთვის მნიშვნელოვან მონაკვეთზე და მიიღო კუნძული ლოსი, აგრეთვე მოიპოვა თავის სასარგებლოდ საზღვრების გასწორების უფლება აღმოსავლეთ ნიგერიაში, რომელიც უხსნიდა მას ხელსაყრელ გზას მდ.ნიგერიდან ჩადის ტბამდე. დეკლარაცია სიამის შესახებ შუაზე ჰყოფდა მას მდ.მენამის მიხედვით. დასავლეთის ნაწილს ინგლისელები, ხოლო აღმოსავლეთს ფრანგები

დაეუფლნენ, ისინი პირობას დებდნენ, არ მოეხდინათ მათი ანექსირება.

დეკლარაციაში ეგვიპტისა და მაროკოს შესახებ ინგლისმა განაცხადა, რომ არ ჰქონდა განზრახვა შეეცვალა ეგვიპტის პოლიტიკური სტატუსი. საფრანგეთიც ასევე აცხადებდა, რომ არ შეცვლიდა მაროკოს პოლიტიკურ სტატუსს.

დეკლარაციის საიდუმლო ნაწილში, რომელიც პირველად 1911 გამოქვეყნდა, გათვალისწინებული იყო, რომ თუ ინგლისი გადაწყვეტდა ცვლილების შეტანას კაპიტულაციის სისტემაში (*კაპიტულაციის რეჟიმი*), საფრანგეთი ამის თანხმობას მისცემდა. და პირიქით, საფრანგეთს შეეძლო ანალოგიურად მოქცეულიყო მაროკოში ინგლისის თანხმობით. აღნიშნულ შეთანხმებას და შემდეგში *რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას 1907* მოჰყვა სამი სახელმწიფოს კავშირის ჩამოყალიბება (*ანტანტა*), რომელიც უპირისპირდებოდა გერმანიას და მისი მეთაურობით ჩამოყალიბებულ *სამთა კავშირს*.

*პუბლ.:* BFSP, vol.97, p.31-56.

6. 1936 ხელშეკრულება, იხ. *ლონდონის საზღვაო კონფერენცია 1935-36*.

7. 1947 ხელშეკრულება კავშირის შესახებ, ხელი მოაწერეს დიუნკერკში (საფრანგეთი) 4.III, 50 წლის ვადით დენონსაციის უფლებით. ეხებოდა ორივე ქვეყნის დამოკიდებულებას გერმანიასთან.

*პუბლ.:* BFSP, vol.147, p.844-47.

**ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის შეთანხმება 1915** (საიდუმლო) სრუტეების შესახებ, დაიდო სამახსოვრო წერილების გაცვლის ფორმით და ითვალისწინებდა კონსტანტინოპოლის (სტამბულის) და შავი ზღვის გასასვლელების რუსეთის ხელში გადასვლას. ეს უნდა მომხდარიყო გერმანიის დამარცხებისა და რუსეთის მასში ბოლომდე მონაწილეობის შემდეგ. ამ შეთანხმების განვითარება იყო ინგლის-საფრანგეთის, შემდეგ კი ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის მოლაპარაკებები 1916, თურქეთის აზიური ნაწილის გადანაწილების შესახებ, რომელიც დამთავრდა *საიქს-პიკოს შეთანხმებით 1916*. შემდეგ ორივე შეთანხმებას შეუერთდა იტალია.

**ინგლის-სიამის (ტაილანდის) ხელშეკრულებები**, 1. 1826 ხელშეკრულება, ხელმოწერილ იქნა 20.VI ბანგკოკში და არეგულირებდა ვაჭრობისა და საზღვრის საკითხს სიამსა და ბრიტანეთის კოლონიებს შორის მალაიასა და ბირმაში. ხელი შეუწყო ინგლისის მიერ სიამის ვასალური სამთავროების ხელში ჩაგდებას მალაიაში.

2. 1855 ხელშეკრულება, დაიდო 18.IV ბანგკოკში. ანიჭებდა ინგლისის მოქალაქეებს სიამში ექსტერიტორიულობის უფლებას, ხოლო ინგლისიდან შემოტანილ საქონელზე აწესებდა ბაჟს ღირებულების 3%-ის ოდენობით. ინგლისელ მოქალაქეებს ეძლეოდათ ბანგკოკის მიდამოებში მიწის იჯარით აღებისა და ყიდვის უფლება.

3. 1909 ხელშეკრულება, დაიდო 10.III ბანგკოკში. სიამმა უარი თქვა თავის სუვერენიტეტზე ქედაჰის, პერლისის, ტრენგანუს და კელანტანის სამთავროების მიმართ და მიანიჭა ინგლისს უპირატესი ხელშეწყობის მქონე ერის სტატუსი. ხელშეკრულებამ კიდევ უფრო გააძლიერა ინგლისის გავლენა სიამში.

4. 1940 ხელშეკრულება, თავდასხმის შემდეგ 8.XII.1941 იაპონიამ მიიღო ტაილანდზე თავისუფალი გავლის საშუალება, ხოლო 21.XII. დადო მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულება საიდუმლო ოქმით, რომლის მიხედვითაც ტაილანდს ხელი უნდა შეეწყო იაპონიის აგრესიისათვის 1909 ხელშეკრულებით დაკარგული მალაიური სამთავროების დაბრუნების სანაცვლოდ. 25.I.1942 ტაილანდმა ომი გამოუცხადა ინგლისს. საომარი მდგომარეობა მათ შორის გაგრძელდა იაპონიის კაპიტულაციამდე (იხ. *ინგლის-ინდოეთ-ტაილანდის შეთანხმება 1946*).

*პუბლ.:* BFSP, L., vol.23, p.1153-59, vol.102, p.126-33; vol.144, p.172-79; vol.146, p.455-61; vol.161, p.365-71.

*ლიტ.:* Б е р з и н Э.О., История Таиланда (Краткий очерк), М., 1973.

**ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები 1842-1979**, 1. 1842 ხელშეკრულება, იხ. *ნანკინის ხელშეკრულება 1842*.

2. 1842 ხელშეკრულება (დამატებითი ნანკინთან), იხ. *ნანკინის ხელშეკრულება 1842*.

3. 1858 ხელშეკრულება, იხ. *ტიანძინის ხელშეკრულება 1858-85*.

4. 1860 ხელშეკრულება, იხ. *პეკინის ხელშეკრულება 1860*.

5. 1876 ხელშეკრულება, იხ. *ჩიფუს კონვენცია 1876*.

6. 1886 ხელშეკრულება, იხ. *პეკინის კონვენცია 1886*.

7. 1890 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 17.III კალკუტაში. აფორმებდა ინგლისის პროტექტორატს სიკიმზე. 1893 დაემატა შეთანხმება, რომელიც ინგლისს აძლევდა მთელ რიგ სავაჭრო პრივილეგიებს ტიბეტში. ამან მკაცრი პროტესტები გამოიწვია: ინგლისის ვაჭრობას ბოიკოტი გამოუცხადეს.

1898 ინგლისი შეეცადა ტიბეტთან უშუალო კავშირი გაება, მაგრამ მარცხი განიცადა. მაშინ შეუდგა ახალი ომისათვის მზადებას (*ლჰასის ხელშეკრულება 1904*).

8. 1898 შეთანხმება (ჰონკონგის ტერიტორიის გაფართოების შესახებ), ხელი მოაწერეს 9.VI პეკინში. ინგლისი არენდით 99 წლით ღებულობდა დამატებით კოულუნის (ძიულუნის) ტერიტორიას.

9. 1943 ხელშეკრულება (ინგლისის მიერ ჩინეთში ექსტერიტორიულობის უფლების მოხსნის შესახებ), ხელი მოაწერეს 11.I ჩუნ ცინში. ამასთან ინგლისი დათანხმდა ჩინეთისათვის გადაეცა კონცესიების მმართველობა გუანჯოუში (კანტონი) და ტიანძინში და გაეუქმებინა თავისი სასამართლო ორგანოები ჩინეთში.

10. შეთანხმება ინგლისსა და ჩსრ შორის. ინგლისმა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის პირველმა ცნო ჩინეთი (6.I.1950). 1978 წლის ნოემბერში ორ ქვეყანას შორის დაიდო შეთანხმება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ (გაგრძელდა 1981 წლის დეკემბრამდე), 1979 წლის მარტში – შეთანხმება ეკონომიკური თანამშრომლობისა და ჩინეთისათვის ინგლისის მთავრობის სესხის შესახებ (1985-მდე), 1979 წლის ოქტომბერ-ნოემბერში – შეთანხმებები საჰაერო მიმოსვლის შესახებ ლონდონსა და პეკინს შორის, აგრეთვე ჰონკონგთან და შანხაისთან (გაგრძელდა 1982-მდე) თანამშრომლობის შესახებ კულტურისა და განათლების დარგში, თანამშრომლობის განვითარების შესახებ სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნოლოგიისა და სხვა დარგებში.

**ინგლის-ჰოლანდიის შეთანხმება ინდონეზიის შესახებ**, ინგლის-ჰოლანდიის ბრძოლა ინდონეზიაში პირველობისათვის დაიწყო ჯერ კიდევ იქ ოსტ-ინდოეთის კომპანიის

გამოჩენისთანავე. XVIII ს. ჰოლანდიელთა მონოპოლია დაირღვა. ინგლის-ჰოლანდიის მეოთხე ომის (1780-89) შემდეგ ინგლისის გემებმა ინდონეზიის წყლებში ნაოსნობის უფლება მიიღეს. შემდგომში ინგლისი თანდათანობით დაეუფლა ინდონეზიას და სხვა ტერიტორიებს.

ლონდონის ხელშეკრულება (1842.17.III), აზუსტებდა ინგლისისა და ჰოლანდიის მფლობელობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჰოლანდიის ყველა სამფლობელო ინდოეთში და მალაკში ინგლისის ხელში გადავიდა. ჰოლანდიამ ცნო ინგლისის უფლება სინგაპურზე, რომლის საფასურად მიიღო კუნძული ბილიტონი. მანვე მიიღო მარბორო და ინგლისის კოლონია სუმატრაზე. შემდეგში ინდონეზიაში ინგლისის მფლობელობას საფრთხე შეექმნა ევროპის სხვა სახელმწიფოებისა და აშშ-ის მხრიდან. ინგლისმა გადაწყვიტა არქიპელაგი უფრო სუსტის, ჰოლანდიის ხელში დარჩენილიყო. 1871.2.XI *სუმატრის ხელშეკრულებით* შეიქმნა წანამძღვრები, რათა მთელი სუმატრა ჰოლანდიის ხელში გადასულიყო.

1945 ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად ინდონეზიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

*პუბლ.:* BFSP, vol.3, p.370-86; vol.11, p.194-204; vol.61, p.19-20.

**ინდოეთ-ბანგლადეშის ხელშეკრულება 1972** (მეგობრობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის შესახებ), ხელი მოაწერეს 19.III დაკაში. მხარეები შეთანხმდნენ, თავი შეეკავებინათ იმ სახელმწიფოს დახმარებისაგან, რომელიც რომელიმე სახელმწიფოსთან ომს აწარმოებდა; თუ რომელიმე სახელმწიფოს შეექმნება სხვა, მესამე სახელმწიფოსაგან საფრთხე, ინდოეთი და ბანგლადეში მაშინვე შეუდგებიან კონსულტაციებს და განახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს.

**ინდოეთ-იაპონიის სამშვიდობო ხელშეკრულება 1952**, ხელი მოაწერეს 9.VI ტოკიოში. ხელშეკრულებით ორივე სახელმწიფოს შორის შეწყდა საომარი მდგომარეობა. ინდოეთმა უარი თქვა სარეპარაციო პრეტენზიაზე იაპონიის მიმართ. მხარეები ერთმანეთს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ანიჭებდნენ საგარეო მიმოსვლის დარგში, საბაჟო პროცედურაში და ტარიფებში, კისრულობდნენ ქონების დაბრუნებას და სხვ.

**ინდოეთ-ნეპალის ხელშეკრულება 1950** (მშვიდობისა და მეგობრობის შესახებ), ხელი მოაწერეს 31.VII კატმანდუში. მხარეები შეთანხმდნენ პატივი ეცათ და ეცნოთ ერთმანეთის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა. ნეპალს უფლება ეძლეოდა ინდოეთის ტერიტორიაზე გავლით, დაუბრკოლებლივ შეეტანა თავდაცვისათვის შეიარაღება და მასალები. ორივე მხარე დათანხმდა მიენიჭებინათ მეორე ქვეყნის მოქალაქეებისათვის ნაციონალური რეჟიმი. ყველა ძველი ხელშეკრულება, რომლებიც დადებული იყო ინგლისსა და ნეპალს შორის ინდოეთის სახელით, ანულირდებოდა.

**ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი 1971**, მარტის ბოლოს პაკისტანის სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მასობრივი ტერორიზმის გამო აღმოსავლეთ პაკისტანიდან (აღმოსავლეთ ბენგალია) ინდოეთს 10 მლნ-მდე კაცმა შეაფარა თავი. ამან ინდოეთს გარკვეული სიძნელეები შეუქმნა. აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა „მუქთი ბახინის" (განთავისუფლების ძალების) რაზმები. ინდოეთი ლტოლვილებისათვის პირობების შექმნას და მათ დაბრუნებას მოითხოვდა. პაკისტანი ბრალს დებდა ინდოეთს განმანთავისუფლებელი რაზმების შექმნაში. 3.XII პაკისტანის თვითმფრინავებმა დაბომბეს ინდოეთის აეროდრომები და დასავლეთ საზღვარზე ჯარები ინდოეთის ტერიტორიაზე გადავიდნენ. 4.XII რავალპინდში ინდოეთთან საომარი მოქმედება გამოცხადდა. საპასუხოდ ინდოეთის საჰაერო ძალებმა დაბომბეს აღმოსავლეთ და დასავლეთ პაკისტანის ობიექტები. ინდოეთის ჯარი აღმოსავლეთ პაკისტანში შევიდა. 6.XII ინდოეთმა ცნო ამ ტერიტორიაზე შექმნილი სახელმწიფო – ბანგლადეში. საკითხი განიხილეს გაეროს უშიშროების საბჭოში. 10.XII ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი აღმოსავლეთ პაკისტანში დატოვეს პაკისტანის ჯარებმა. 16.XII ხელი მოაწერეს კაპიტულაციას. გაეროს უშიშროების საბჭო მოუწოდებდა ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებას ინდოსტანის ნახევარკუნძულზე.

**ინდოეთ-საფრანგეთის ხელშეკრულება და შეთანხმება**, 1. 1954 შეთანხმება ინდოეთისათვის დე-ფაქტო საფრანგეთის ყოფილი სამფლობელოების გადაცემის შესახებ, ხელი მოაწერეს 21.X დელიში. ხელშეკრულებით ინდოეთს დე-ფაქტოდ გადაეცა 4 ტერიტორია – პონდიშერი, კარიკალი, მაე და იანაონი. ინდოეთმა აიღო ფინანსური ვალდებულება ყოფილი კოლონიების მოსახლეობისადმი ხელფასისა და პენსიის გაცემის თაობაზე, რომელიც დადგენილი იყო საფრანგეთის მთავრობის მიერ. ხელშეკრულებით დარჩა ძველი სისტემა მუნიციპალური ადმინისტრაციისა, ფრანგული სასწავლებლებისა და რელიგიური და სხვ. ინსტიტუტებისა.

2. 1956 ხელშეკრულება ინდოეთისათვის საფრანგეთის ყოფილი სამფლობელოების დე-იურე გადაცემის შესახებ, ხელი მოაწერეს 28.V დელიში. საფრანგეთის სუვერენიტეტი საფრანგეთის ყოფილი ტერიტორიების მიმართ ინდოეთში ანულირებულ იქნა და ისინი ინდოეთის რესპუბლიკას შეუერთდნენ.

**ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტი**, შეიარაღებული კონფლიქტი ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე 1959 და 1962. 1959 ვითარების დაძაბვის შემდეგ 25-26.VIII მოხდა შეიარაღებული შეტაკება აღმოსავლეთ, ხოლო 20-21.X დასავლეთ საზღვრის მონაკვეთზე. 1960 გაიმართა მთავრობათა მოლაპარაკებები, მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

1962 მდგომარეობა ისევ გართულდა. ჩინეთმა ფართო ხასიათის ოპერაციები წამოიწყო აღმოსავლეთის და დასავლეთის მიმართულებით. მისი ჯარები 80-100 კმ შეიჭრნენ ინდოეთის ტერიტორიაზე. 21.XI ჩინეთმა ცეცხლი შეწყვიტა და ჯარი „მაკ-მაგონის" სამხრეთით უკან დახია. სხვა სახელმწიფოთა ინიციატივით შემუშავდა კონფლიქტის მოწესრიგების გეგმა, მაგრამ მხარეები მაინც ვერ შეთანხმდნენ.

1981-83 ინდოეთ-ჩინეთის მოლაპარაკებამ დაადასტურა, რომ მხარეები ძველ პოზიციებზე რჩებიან.

**ინდოეთ-ჩინეთის შეთანხმება 1954** (სავაჭრო კავშირის შესახებ ინდოეთსა და ჩინეთის ტიბეტის რაიონს შორის), ხელი მოაწერეს 29.IV პეკინში. მხარეები აფუძნებდნენ სავაჭრო სააგენტოებს ინდოეთსა და ტიბეტში, ადგენდნენ პუნქტებს, სადაც ორივე ქვეყანას შეეძლო ეწარმოებინა ვაჭრობა. შემდეგში ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტის გამო, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, 1962-დან იგი აღარ განახლებულა.

**ინენიუ** (İnönü) ისმეთ (1884-1973), თურქეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ათათურქის უახლოესი თანამებრძოლი. გვარი ინენიუ მიიღო 1934 იმ ორი გამარჯვების აღსანიშნავად, რომლებიც მისი ხელმძღვანელობით თურქეთის არმიამ 1921 მოიპოვა ბერძნებზე სოფ. ინენიუსთან. 1922-25 იყო თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1923 წლის ოქტომბრიდან 1937 წლის ნოემბრამდე და 1961 წლის ოქტომბრიდან 1965 წლის თებერვლამდე – პრემიერ-მინისტრი; 1938-72 – თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე; 1938 წლის 11 ნოემბრიდან 1950-მდე – თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

**ინკორპორაცია**, საერთაშორისო სამართლის ნორმების სისტემატიზაციის ერთ-ერთი სახეობა, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გაერთიანება და განლაგება ცალკეულ კრებულებში ქრონოლოგიური, ანბანური, თემატური ანდა სხვა რომელიმე წესის მიხედვით. ი-ის მაგალითს წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა კრებულები, რომლებსაც აქვეყნებს გაერო, ასევე ხელშეკრულებათა კრებულები საერთაშორისო სამართლის ცალკეული დარგების სფეროში.

**ინოკენტი III**, ერისკაცობაში ჯოვანი ლ ო ტ ა რ ი ო დ ი ს ე ნ ი (Lotario di Segni), რომის პაპი 1198-1216. მის დროს პაპობამ დიდ სიძლიერეს მიაღწია, თავის ხელისუფლებას დროებით დაუმორჩილა სიცილიის სამეფო, მის ვასალებად თავი ცნეს ინგლისის, არაგონის, პორტუგალიისა და ბულგარეთის მეფეებმა. მოსპო ქ. რომის ავტონომია და პაპის სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე პაპის ხელისუფლება აღადგინა. იყო IV ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორი. 1202 დაამტკიცა მახვილოსანთა ორდენის დაარსება. შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მწვალებელთა წინააღმდეგ. მის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, ფრანცისკელთა ორდენი პაპობის პოლიტიკის მძლავრ იარაღად იქცა. აღმოსავლეთში ჯვაროსანთა მძიმე მდგომარეობის გამო ყველაფერს აკეთებს ახალი ერთიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად, რაზეც დასავლეთის ხელისუფალთა მხრიდან შესაბამისი გამოხმაურება ვერ პოვა. პაპი ი.III ყურადღებას აპყრობს მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყანას – საქართველოს, რომლის მეფესაც (ლაშა-გიორგი) წერილს უგზავნის სათაურით: „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს – მოწოდება წმიდა მიწის დასაცავად“ (1211 წლის 7 იენისი). იგი წარმოადგენს პასუხს რომის პაპისადმი გაგზავნილ საქართველოს მეფის წერილზე. თავისი წერილით იგი სთავაზობს ქართველთა მეფეს, შეთანხმდნენ ერთიანი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობაზე მუსლიმთაგან „წმინდა ადგილების“ განთავისუფლების მიზნით.

ლიტ.: ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი თ., ჯ ა ვ ა რ ი ძ ე ვ., ცდა ერთი თარიღის დადგენისა. – „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №2.

**ინოკენტი VI**, ერისკაცობაში ეტიენ ო ბ ე რ ი (Aubert), ავინიონის პაპი 1352-62. იურისტი, სამოქალაქო სამართლის პროფესორი და მთავარი მოსამართლე ტულუზაში; კარდინალი 1342-დან, ხოლო პაპი – 1352-დან. 1355 რომში მეფედ აკურთხა შარლ VI. ი.VI-ის შუამდგომლობით 1360 დაიდო ზავი საფრანგეთსა და ინგლისს შორის. მისმა ლეგატმა კარდინალმა ალბორნოცმა დაქირავებული ჯარით გაათავისუფლა პაპის ოლქის ნაწილი და აღადგინა პაპის ხელისუფლება. 1356 ი.VI-მ თბილისელ კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა ბერტრამო (Bertramo) და წერილით სთხოვა თბილისის კაპიტულს, სამღვდელოებასა და ერს, ასევე სულთანიეს ეპისკოპოსს, რომელსაც თბილისის ეპისკოპოსი ექვემდებარებოდა, პატივით მიეღოთ ბერტრამო.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის., ტფ., 1902.

**ინტეგრაცია** (ლათ. integratio – აღდგენა), ზოგადად ნიშნავს „სხვადასხვა ელემენტებისაგან ერთი მთელის შედგენას.“

პოლიტიკასა და ეკონომიკაში ცნება ი. ახასიათებს საზოგადოების, სახელმწიფოს შიდა მდგომარეობას, ანდა ნიშნავს უფრო ფართო ეროვნებათაშორის გაერთიანებაში ინტეგრირებულ სახელმწიფოს. ინტეგრაციულ პროცესებს აქვს ობიექტური საფუძველი, განპირობებული საწარმოო ძალების განვითარებით, თანამედროვე საზოგადოების სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციით და ასახავს შრომის საერთაშორისო დანაწილების, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების ტენდენციას.

დასავლეთის განვითარებულმა სახელმწიფოებმა ახალ საფეხურზე აიყვანეს ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარებად ქვეყნებთან ეკონომიკური ი-ის პოლიტიკა რეგიონული ეკონომიკური ბლოკებისა და დაჯგუფებების შექმნის გზით (მაგ.: ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და სხვ.).

განვითარებადმა ქვეყნებმა ასევე შექმნეს ინტეგრაციული ტიპის დაჯგუფებები, მაგალითად, ლათინურ ამერიკაში მოქმედებს ცენტრალურამერიკული საერთო ბაზარი, ლათინურამერიკული ი-ის ასოციაცია. მთელი რიგი სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები შექმნილია აფრიკაშიც.

**ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია – ისმო** (World Intelectual Property Organization - WIPO), *საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.* დაარსებულ იქნა პარიზის 1883 სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ კონვენციისა და ბერნის 1886 ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის კონვენციების საფუძველზე შექმნილი ბიუროების (კავშირების) ბაზაზე. აღნიშნული კონვენციები გადასინჯულ იქნა შესაბამისად 1967 და 1971. თვით ისმო-ს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ კონვენცია ხელმოწერილ იქნა სტოკჰოლმში 1967 (ძალაში შევიდა 1970), ხოლო 1974 წლის 17 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 3346(XXIX) რეზოლუციის თანახმად, ისმო გახდა გაეროს მე-14 სპეციალიზებული ორგანიზაცია.

ისმო-ს მიზნებია: უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვისადმი პატივისცემა მთელს მსოფლიოში, ხელი შეუწყოს ტექნოლოგიის გადაცემასა და ხელოვნებისა და ლიტერატურული ნაწარმოებების გავრცელებას. ინტელექტუალურ საკუთრებაში იგულისხმება ე.წ. სამრეწველო საკუთრება (გამოგონებანი, მოდელები, სამრეწველო ნიმუშები და ა.შ.) და საავტორო უფლებანი ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკისა და სხვა სფეროებში.

ისმო კოორდინაციას უწევს აღნიშნულ სფეროში მოღვაწე 18 სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის საქმიანობას.

ისმო-ს სტრუქტურაში შედის გენერალური ასამბლეა, კონფერენცია, საკოორდინაციო კომიტეტი და საერთაშორისო ბიურო. კონფერენციის შემადგენლობაში შედის ისმო-ს წევრი ყველა სახელმწიფო. რაც შეეხება გენერალურ ასამბლეას, მის შემადგენლობაში შედიან ასევე ის სახელმწიფოებიც, რომლებიც არიან პარიზის (117), ბერნის (95), ან ერთდროულად ორივე კავშირის წევრები.

საკოორდინაციო კომიტეტი შედგება ისმო-ს, პარიზისა და ბერნის კავშირების მიერ არჩეული აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისგან. ისინი (52 სახელმწიფო) ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს და აირჩევიან 2 წლის ვადით.

საერთაშორისო ბიურო არის ისმო-ს ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ტექნიკური მომსახურებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების შემდგენის ფუნქციებს ასრულებს. 1994 წლის 1 აპრილისათვის მის პერსონალს შეადგენდა 437 მოსამსახურე. ბიუროს ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი – 1973 წლის 1 დეკემბრიდან დღემდე არპად ბოგში (აშშ).

ისმო და პარიზისა და ბერნის კავშირები აერთიანებენ 148 სახელმწიფოს. სამუშაო ენებია ინგლისური, არაბული, ესპანური, რუსული და ფრანგული. შტაბ-ბინა ჟენევაშია (შვეიცარია).

ლიტ.: United Nations Handbook. 1994. N.Y., 1994, p.240.

**ინტელსატი** (INTELSAT), იხ. *სათანამგზავრო ელექტროკავშირის საერთაშორისო ორგანიზაცია.*

**ინტერვენცია** (ლათ. interventio – ჩარევა), ძალის გამოყენების ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გამოიხატება ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩარევაში, როგორც შეიარაღებული ძალის გამოყენებით (სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა შეიარაღებული აგრესიის მიზნით), ისე ნებისმიერი სხვა ფორმით.

განასხვავებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ ი-ს. განხორციელების ფორმის მიხედვით ი. შეიძლება იყოს შეიარაღებული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ. შეიარაღებული ი., რომელიც აგრესიული ომის სინონიმს წარმოადგენს, საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულია უმძიმეს დანაშაულად, ძალის გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ფორმად.

სახელმწიფოს საქმეებში ჩაურეველობის პრინციპი და ი-ის აკრძალვა განმტკიცებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, მათ შორის – გაეროს წესდებით, 1965 დეკლარაციით სახელმწიფოს საქმეებში ჩაურეველობისა და სუვერენიტეტის დაცვის შესახებ, აგრესიის განმარტებით 1974, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტით, ასევე 1981 დეკლარაციით, ი-ისა და სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ.

**ინტერნაციონალიზმი სოციალისტური**, წარმოადგენდა ყოფილი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ურთიერთობის ერთ-ერთ პრინციპს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპის განვითარებას, რომელიც ითვალისწინებდა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს შორის სოლიდარობას, ურთიერთდახმარებას, მუშათა კლასის მოქმედების ერთიანობას და სხვ.

ი.ს.-ის პრინციპი განმტკიცებული იყო ვარშავის ხელშეკრულების, ასევე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წესდებაში.

**ინტერნირება** (ლათ. internus* – საშინაო), თავისუფლების შეზღუდვის (იძულებითი დაკავების) განხორციელების სპეციალური რეჟიმი, რომელსაც ადგენს მეომარი მხარე მეორე მხარის სამოქალაქო პირების მიმართ, ან ნეიტრალური სახელმწიფო ადგენს მის ტერიტორიაზე მყოფი მეომარი მხარეების სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ.

ჰააგის 1907 კონვენციის მე-5 და მე-13 მუხლების თანახმად, ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებულია მიახდინოს ი. მეომარი მხარის იმ ნებისმიერი შეიარაღებული ძალებისა, მათ შორის სამხედრო გემების ეკიპაჟისა და სამხედრო თვითმფრინავისა, რომლებიც მის ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან კონფლიქტის განმავლობაში.

ჟენევის 1949 კონვენციის თანახმად (იხ. *ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ ჟენევის კონვენცია 1949*), მეომარმა მხარემ ი. შეიძლება გამოიყენოს უცხოელთა მიმართ (იძულებითი დასახლება გარკვეულ ადგილებზე), თუ იგი თვლის, რომ აღნიშნული პირები საფრთხეს უქმნიან ქვეყნის უშიშროებას. ი-ის რეჟიმს ხშირად იყენებენ სახელმწიფოები *ოკუპაციის* დროს იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოქმედებდნენ ოკუპაციური რეჟიმის ან სახელმწიფოს წინააღმდეგ. კონვენციის მიხედვით, დადგენილია ი-ის სპეციალური წესები, რომლებიც განსაზღვრავს ინტერნირებული პირებისადმი მოპყრობას.

ინტერნირებული პირები განთავისუფლებულნი უნდა იქნენ სახელმწიფოს მიერ მაშინვე, როდესაც გაქრება ი-ის განმაპირობებელი მიზეზები. სამხედრო მოქმედებების ან ოკუპაციის დამთავრების შემდეგ მათ დახმარება უნდა გაეწიოთ თავიანთ პირვანდელ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნებასა ან *რეპატრიაციაში.*

**ინტერნუნციუსი**, *ვატიკანის* დიპლომატიური წარმომადგენელი, აკრედიტებული სახელმწიფოს მეთაურთან. დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის 1961 კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ი. შეესაბამება დიპლომატიური წარმომადგენლის მეორე რანგს, ანუ წარმომადგენლებს. კლასით იგი მისდევს ნუნციუსს.

**იოაკიმე მღვდლის ელჩობა რუსეთში 1586-87**, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. 1585 კახეთში ჩამოვიდა რუსეთის ელჩობა რუსინ დანილოვის მეთაურობით. რუსეთის ხელმწიფე თევდორე ივანეს ძე კახეთის მეფეს მფარველობასა და კავშირს სთავაზობდა. უკან გაბრუნებულ დანილოვს *ალექსანდრე II-მ* გააყოლა თავისი ელჩები – იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა. 1586 წლის 9 ოქტომბერს კახეთის ელჩები თევდორე ივანეს ძეს წარუდგნენ და კახეთის მეფის თხოვნა მოახსენეს. ალექსანდრე II მფარველობას ითხოვდა – რუსეთს კახეთი ყველა მტრისაგან უნდა დაეცვა, პირველ რიგში კი ციხე აეგო თერგზე და თერგიდან კახეთამდე მიმავალი გზა, რომელიც საშამხლოზე გადიოდა, თვითონ უნდა დაეკავებინა. კახეთის მეფის თხოვნა მოსკოვში მისაღებად ჩათვალეს. რუსეთ-კახეთის ურთიერთობის გაფორმებისათვის ქართველ ელჩებს გამოაყოლეს რუსი ელჩები ბირკინი და პიევი.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.4, თბ., 1967.

**იოანე XXII**, ერისკაცობაში ჟ ა კ  დ უ ე ზ (Jaque Duéze), რომის (ავინიონის) ერთ-ერთი ენერგიული პაპი 1316-34. წარმოშობით ფრანგი. მის სახელს უკავშირდება პაპის ტახტის დამკვიდრება ავინიონში. შემოიღო მძიმე საგადასახადო სისტემა სამღვდელოებისათვის. ი.XXII-ის დროს დამტკიცებულ იქნა საეკლესიო სამართლის კოდექსი. 1322 გამოსცა ბულა "Docta sanctorum" – პაპის პირველი დოკუმენტი, რომელიც საეკლესიო მუსიკას ეხება. 1323 პაპმა თომა აქვინელის კანონიზაცია მოახდინა, ხოლო 1334 წმინდა სამების დღესასწაული იქნა დაწესებული. ი.XXII-სა და გიორგი ბრწყინვალეს შორის ადგილი ჰქონდა ინტენსიურ დიპლომატიურ ურთიერთობებს. მათ შორის არსებულ ხშირ მიმოწერას პრაქტიკულად ფრანცისკელი და დომინიკელი ბერები ახორციელებდნენ. ასეთ კონტაქტებზე მეტყველებს ჩვენამდე მოღწეული პაპის არაერთი წერილი. ერთ-ერთ მათგანში ი.XXII-ის მიერ თბილისი მოხსენიებულია როგორც „ქართველთა სამეფოს შუაგული ადგილი, საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერით სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქი". სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო ქალაქად ქცევა. 1329 სმირნიდან საეპისკოპოსო კათედრის გადმოტანის შემდეგ თბილისში კათოლიკეთა ეპისკოპოსად დომინიკელი იოანე ფლორენციელი ინიშნება.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი  მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., თბ., 1902; კ ი კ ნ ა ძ ე  ვ., საქართველო XIV საუკუნეში, თბ., 1989.

**იოანე ბატონიშვილი** (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1768-1830), მეფე *გიორგი XII-ის* და მარიამ დედოფლის შვილი, ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელი-ენციკლოპედისტი და მეცნიერი. 1799 მან შეადგინა „სჯულდება" (კანონპროექტი ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივი გარდაქმნის შესახებ) და წარუდგინა როგორც პრაქტიკული სახელმძღვანელო მეფე გიორგი XII-ს. პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოშორებული, იგი რუსეთში გადასახლების შემდეგ 1814-29 ქმნიდა ენციკლოპედიური ხასიათის თხზულებას „კალმასობა" ანუ „ხუმარსწავლა", რომელშიც ასახულია ქართული პოლიტიკური წყობილების კრიზისი XVIII-XIX სს-ის მიჯნაზე და მოცემულია იმდროინდელი ცოდნის სხვადასხვა დარგები.

ი.ბ. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში (სანქტ-პეტერბურგი).

**იოანე ბედიელი**, ქართველი დიპლომატი, ბედიის მთავარეპისკოპოსი XI ს. II ნახევარში. ატარებდა სვინგელოზის საეკლესიო წოდებას. 1065 *ბაგრატ IV*-ის ასული *მარიამ (მართა)* ცოლად მისთხოვდა ბიზანტიის იმპერატორ *კონსტანტინე X* დუკას ვაჟს მიხეილს (შემდეგში იმპერატორი მიხეილ VII). კონსტანტინოპოლში ჩასულ ქართველ უფლისწულს თან ახლდა სამეფო დელეგაცია – *პეტრე პატრიკი*, ი.ბ. და „სხუაი ერი ფრიადი".

წყარო: გ ი ო რ გ ი  მ ც ი რ ე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1994.

ლიტ.: კ უ დ ა ვ ა  ბ., იოანე ჭყონდიდელი (XI ს. ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის). – ჟურნ. „არტანუჯი", 1994, №2-3.

**იოანე ეპისკოპოსი**, XV ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი (ისტ. წყაროები მიტროპოლიტადაც მოიხსენიებს). მსოფლიო დიპლომატიის თვალსაზრისით, 1437-39 მნიშვნელოვანი საეკლესიო კრების (ფერარა-ფლორენციის კრება) მონაწილე, გრიგოლ ეპისკოპოსსა და ერთ ქართველ დიდებულთან (სახელი უცნობია) ერთად საქართველოს დელეგაციის აქტიური წევრი და ხელმძღვანელი. რომის პაპის ჩანაფიქრით, უნდა მომხდარიყო კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანება, რაც ფაქტობრივად ვატიკანის პოლიტიკური ბატონობის აღიარებას ნიშნავდა. ქართული დელეგაცია დარწმუნდა, რომ პაპისაგან საქართველო რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა, ამიტომ მათ გაერთიანების აქტს ხელი არ მოაწერეს. საეკლესიო კრებაზე დელეგაციის წევრებზე ფიზიკური ზემოქმედებისა და ძალდატანების საშიშროება შეიქმნა, ამიტომ, თუ გრიგოლ ეპისკოპოსმა შეკრება მიატოვა და საქართველოში დაბრუნდა, ი.ე-მა ღარიბის ტანსაცმელი გადაიცვა და იტალიაში იმოგზაურა პაპის პოლიტიკის მხილების მიზნით.

ლიტ.: ჭ უ ჭ უ ნ ა ძ ე  ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. – კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.

**იოანე ზონარა** (Iōannēs Zōnaras) (XI ს-ის დასასრული და XII ს-ის I ნახ.), ბიზანტიელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. ი.ზ-ს ისტორია მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან ვიდრე 1118-მდე, იოანე III კომნენოსის (1118-43) ტახტზე ასვლის დრომდე. მისი ისტორია ეყრდნობა მის წინადროინდელ არაერთი წყაროს მონაცემს. ი.ზ. ქართველი ხალხის შესახებ თავის ისტორიაში ცნობებს გვაწვდის მათი წარმომავლობიდან დაწყებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ცნობები VI ს-ის ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს ურთიერთობაზე ბიზანტიასთან, როცა ეგრისის (ლაზიკის) საპირისპიროდ *იუსტინიანე I* კეისარმა უმეშვეო მმართველობა დაამყარა აბაზგიის (აფხაზეთის) საერისთავოში, აგრეთვე XI ს-ის საქართველოს (*გიორგი I-სა* და *ბაგრატ IV-ის*) ურთიერთობაზე ბიზანტიის იმპერიასთან და სხვ.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ), ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 6, თბ., 1966.

**იოანე მალალა** (Iōannēs Malălas) (დაახლ.491-578), ბიზანტიელი ისტორიკოსი. მისი საისტორიო თხზულება „ქრონოგრაფი" მოიცავს მსოფლიო ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან 573-მდე. საინტერესო ცნობებს იძლევა დასავლეთ საქართველოს (ეგრისის სამეფოს) ურთიერთობაზე ირანისა და ბიზანტიის სახელმწიფოებთან.

წყარო: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ), ს.ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, ტფ., 1936.

**იოანე პავლე II** (Ioannes Paulus II), ერისკაცობაში კარელ ვ ო ი ტ ი ლ ა (დ. 1920), რომის პაპი და ვატიკანის სახელმწიფოს მეთაური, ეროვნებით პოლონელი.

კრაკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1946 ეკურთხა მღვდლად. 1948 ისმენდა ლექციების კურსს შვეიცარიისა და ბელგიის კათოლიკურ უნივერსიტეტებში. პოლონეთში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა საეკლესიო სამსახურს კრაკოვის არქიეპარქიაში, კითხულობდა ლექციებს. კრაკოვის არქიეპისკოპოსი. 1962-65 მონაწილეობდა მსოფლიო საეკლესიო კრებებში; 1967 – კარდინალი. 16.X.1978 – რომის პაპი, მიიღო სახელი იოანე პავლე II. მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი.

**იოანე ჭყონდიდელი**, ქართველი დიპლომატი, ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი XI ს-ის II ნახევარში (დაახლ. 1054-57-1085), ძმა *პეტრე პატრიკისა*. 1085 იხსენიება სვინგელოზის

(პატრიარქის თანაშემწე ბერი) საეკლესიო ტიტულით. XI ს. 50-იან წლებში თავის ძმასთან ერთად თან ახლდა *ბაგრატ IV*-ს და *მარიამ დედოფალს* კონსტანტინოპოლში, *კონსტანტინე IX* მონომახის კარზე. საქართველოს მეფე ბიზანტიის იმპერატორს *ლიპარიტ ბაღვაშთან* შერიგების შუამდგომლობას სთხოვდა. 1054-57 გიორგი მთაწმინდელის რეკომენდაციით ი.ჭ. აკურთხეს ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსად. 1065 კონსტანტინოპოლში ჩაიდა *მარიამ* (მართა) უფლისწული (ბაგრატ IV-ის ასული), რათა ცოლად გაჰყოლოდა იმპერატორ *კონსტანტინე X* დუკას ძეს, მიხეილს. მას თან ახლდა სამეფო დელეგაცია, რომლის წევრი თავის ძმასთან ერთად ალბათ ი.ჭ.-ც იყო.

წყარო: ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპებით, [ტფ.] 1901; გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ი. ლოლაშვილის გამოც., თბ., 1994.

ლიტ.: კუდავა ბ., იოანე ჭყონდიდელი (XI ს. ჭყონდიდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიისათვის), ჟურნ. „არტანუჯი", 1994, №2-3.

**იონსონი** (Jonsson) ემილ (დ. 1902), ისლანდიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1944-47 – ტრანსპორტის მინისტრი; 1947-49 – ვაჭრობისა და ტრანსპორტის მინისტრი; 1958-59 – პრემიერ-მინისტრი; 1959-65 – სოციალურ საქმეთა და თევზის მრეწველობის მინისტრი; 1965-71 – ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი; ალტინგის (პარლამენტის) სპიკერი (1956-68); ისლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი (1957-68).

**იორამისა და კირილეს ელჩობა რუსეთში 1592-93**, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში. 1592 კახეთიდან რუსეთს გაბრუნდა ელჩობა პლეშჩეევისა და კუდრინის მეთაურობით. *ალექსანდრე II* კახთა მეფემ მათ თან გააყოლა თავისი ელჩები – თავადი იორამი და კირილე არქიმანდრიტი. ალექსანდრე ატყობინებდა რუსეთის ხელმწიფეს, რომ შამხალი კვლავ მტრობდა კახეთს და, მფარველობის პირობის თანახმად, მოითხოვდა ტარკის აღებასა და კახეთ-ასტრახანის გზის გახსნას. ქართველი ელჩები აგრეთვე თხოულობდნენ კახეთში ზარბაზნის ჩამოსხმის ოსტატებისა და არტილერისტების გამოგზავნას. ელჩობის შედეგად გადაწყდა შამხალის წინააღმდეგ ლაშქრის გაგზავნა. სარდალ ხვოროსტინინს დაევალა ტარკის აღება, კუმუხების დალაშქვრა და კახეთ-თერგის გზის გაწმენდა.

ლიტ.: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967.

**იოსები** (გ. 13.V.1776), დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1769-76, გელათის მიტროპოლიტი 1745-76, *სოლომონ I-ის* უფროსი ძმა. კათალიკოსად დანიშნა სოლომონ I-მა. მხარს უჭერდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. იბრძოდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ერთიანობის შენარჩუნებისათვის. სოლომონ I-ის დავალებით, 1771-73 მოლაპარაკებას აწარმოებდა კაცია II დადიანთან ზავის შესახებ.

ლიტ.: ლომინაძე ბ., მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ქრონოლოგიისათვის. „მსკა", 1954, ნაკვ. 31.

**იოსებ ფლავიუსი** (იოსებ ბენ მატაფია, 37-100), ძვ. ებრაელი ისტორიკოსი. ეკუთვნოდა იუდეის წარჩინებულ სასულიერო წრეს. ახალგაზრდობაში ღრმად დაეუფლა ებრაულ რელიგიურ ლიტერატურას. მოღვაწეობა აქტიური პოლიტიკური საქმიანობით დაიწყო. შედიოდა რომში წარგზავნილი იერუსალიმის ელჩობის შემადგენლობაში (63). იუდეის ომის (66-70) დასაწყისში იბრძოდა რომაელების წინააღმდეგ, მეთაურობდა გალილეის დაცვას. დამარცხების შემდეგ გადავიდა დამპყრობელთა მხარეზე. დაუახლოვდა მომავალი იმპერატორის, ვესპასიანეს ოჯახს. ვესპასიანეს ტახტზე ასვლის შემდეგ, იმპერატორის სამეგვლად მიიღო მისი გვარი ფლავიუსი. რომაელთა ბანაკში დამკვიდრებული ი.ფ. ხშირად ღებულობდა მონაწილეობას იუდეის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში. რამდენჯერმე ეწვია იგი სამშობლოს დიპლომატიური მისიითაც. თანატომელებს მოუწოდებდა შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და დამორჩილებოდნენ მსოფლიოს მპყრობელებს. ი.ფ.-ის აშკარად გამოკვეთილი პრორომაული პოზიცია იუდეველთა მკვეთრ რეაქციას იწვევდა. მტერთან თანამშრომლობამ მას სამშობლოს მოღალატის სახელი დაუმკვიდრა.

ი.ფ. ნაყოფიერი მწერალი იყო. მისი თხზულებების („იუდეის ომი", „იუდეის სიძველენი", „აპიონის წინააღმდეგ", „ავტობიოგრაფია") მთავარ მიზანს შეადგენდა ებრაელთა ისტორიის ღირსშესანიშნავი მოვლენების გაცნობა კულტურული მსოფლიოსათვის. წერდა ბერძნულ ენაზე. გამოყენებული აქვს ბევრი ისეთი წყარო, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ი.ფ. არ იფარგლებოდა მარტოოდენ რომისა და იუდეის ურთიერთობების გადმოცემით. მას სერიოზული ცნობები აქვს დაცული რომის აღმოსავლეთი პროვინციების შესახებაც.

**იოსებ ქართველი** (1687 – გარდაცვალების წელი უცნობია), ქართველი დიპლომატი მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში XVII ს-ის პირველ მეოთხედში. ეკუთვნოდა თბილისის მოქალაქეთა – აბესალმაშვილთა გავლენიან გვარს. მამამისი გასპარ ქართველი იყო თბილისის ნაცვალი 1691-მდე. დაწყებითი განათლება მიიღო თბილისის კათოლიკე მისიონერთა სასწავლებელში, 1698 დატოვა თბილისი მამასთან ერთად, რომელიც კათოლიკობის გამო გააძევეს ქალაქიდან. 1702 სწავლობდა რომში მონტეფიასკონის სასწავლებელში, ხოლო 1703-დან – ურბანოს კოლეჯში, სადაც კათოლიკური რწმენის გასავრცელებლად ამზადებდნენ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდებს. აქ მან მიიღო ფართო განათლება, შეისწავლა ფილოსოფია, თეოლოგია. იცოდა რამდენიმე აღმოსავლური და ევროპული ენა. 1709 დატოვა კოლეჯი, რადგანაც არ იზიდავდა კათოლიკე-მისიონერის კარიერა. გადავიდა ვენეციაში, ხოლო შემდეგ გაემგზავრა კონსტანტინოპოლს, სადაც დაიწყო მუშაობა ოსმალეთის მთავრობის მთავარ თარჯიმანთან და განიმტკიცა თურქული ენის ცოდნა. დაუახლოვდა საფრანგეთის საელჩოს და 1716 ჩაირიცხა საფრანგეთის ელჩობაში, რომელიც ირანს მიემგზავრებოდა. 1717-23 იყო ისფაჰანში საფრანგეთის კონსულის ანჟე დე გარდანის თარჯიმანი. მონაწილეობდა საფრანგეთ-ირანის მნიშვნელოვან მოლაპარაკებებში. თავისი დიპლომატიური მოღვაწეობით უშუალოდ იყო დაკავშირებული საფრანგეთის დიპლომატიისთვის საინტერესო „საქართველოს საკითხის" გამორკვევასთან. მჭიდრო კავშირი ჰქონდა ირანსა და ოსმალეთში მყოფ ქართველებთან და მათ წრეში აგროვებდა ფრანგი დიპლომატებისთვის საყურადღებო ცნობებს. მოწმე იყო 1722 ირანში ავღანელთა ლაშქრობისა, რაც დასრულდა მათ მიერ ისფაჰანის აღებითა და სეფიანთა დინასტიის დამხობით. ი.ქ.-მა, დე გარდანის დავალებით, შეძლო მიეღო შეღავათები ავღანთა წინამძღოლისგან, მირმაჰმუდისგან ირანში საფრანგეთის ქვეშევრდომებისათვის.

დაგვიტოვა რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც ითვლება ამ პერიოდის ირანის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ და აგრეთვე შეიცავს ძვირფას ცნობებს ქართველ მეფე-ბატონიშვილთა მოღვაწეობის შესახებ სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე. ი.ქ. 1723 გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, სადაც ერთხანს მუშაობდა საფრანგეთის ელჩის, მარკიზ დ'ანდრეზელის თარჯიმნად.

ლიტ.: გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ე., იოსებ ქართველი, XVIII ს. დიპლომატი და ისტორიკოსი. - „მსკი", 1955, ნაკ.32; მ ი ს ი ვ ე, იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის „თსუ შრომები", 1965, ტ. 166, გვ. 329-57; ნ ა ტ რო შ ვ ი ლ ი თ., მასალები იოსებ ქართველის ბიოგრაფიისათვის. - „მაცნე", 1965, №5, გვ. 47-66; მ ი ს ი ვ ე, ქართული ფეოდალური საზოგადოება და იოსებ ქართველი. - იქვე, 1970, №5, გვ.107-118, მ ი ს ი ვ ე, მაშრიყით მაღრიბამდე, თბ., 1991; ტ ა ბ ა ღ უ ა ი., მასალები XVIII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1982; П а й ч а д з е Г., Один архивный документ об Иосифе Грузине. - „მაცნე", ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1976, №3, გვ. 140-148.

**იოფე** ადოლფ აბრამის ძე (1883-1927), საბჭოთა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

დიპლომატიურ სამუშაოზეა 1918-დან. 1918 – საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე, შემდეგ – წევრი ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან მოლაპარაკებისას, რსფსრ სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში; 1919-20 – უკრაინის თავდაცვის საბჭოს წევრი და სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი; 1920 – საბჭოთა დელეგაციების თავმჯდომარე ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან და პოლონეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს; 1921 – სრულიად რუსეთის ცაკ-ის თურქკომისიის და რკპ(ბ) ცკ-ის თურქბიუროს თავმჯდომარის მოადგილე; 1922 – საბჭოთა დელეგაციის წევრი *გენუის კონფერენციაზე*, შემდეგ – საბჭოთა მთავრობის რწმუნებული იაპონიასთან მოლაპარაკებისას, რსფსრ დელეგაციის და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური *ჩანჩუნის კონფერენციაზე 1922*. 1922-24 – სსრკ-ის წარმომადგენელი ჩინეთში; 1924-25 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავსტრიაში.

**იოჰანესონი** (Iohannesson) ოლავერ (1913-84), ისლანდიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.

1960-68 – პროგრესული პარტიის თავმჯდომარის მოადგილე; 1968-79 – პარტიის თავმჯდომარე; 1964-71 – მისი საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე; 1964-69 – *ჩრდილოეთის საბჭოს* პრეზიდიუმის წევრი; 1971-74 – პრემიერ-მინისტრი, იუსტიციის მინისტრი; 1978-79 – პრემიერ-მინისტრი; 1980-83 – ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1983-84 – ალტინგის (პარლამენტის) საგარეო-პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

**ირან-ამერიკის შეერთებული შტატების კონფლიქტი**, იყო შედეგი აშშ-ის ჩარევისა ირანის საშინაო საქმეებში და აშშ-ის მმართველი წრეების მისწრაფებისა, აღედგინათ თავიანთი პოზიციები ირანში, რომელიც დაკარგეს 1979 ანტიმონარქისტული რევოლუციის შედეგად. 1979 წლის 4 ნოემბერს თეირანში დემონსტრაციის მონაწილე სტუდენტებმა ხელთ იგდეს აშშ-ის საელჩო, სადაც დააკავეს 60-მდე თანამშრომელი. ქალებსა და ზანგებს ნება მიეცათ დაეტოვებინათ შენობა, მაგრამ დანარჩენი 52 თანამშრომელი მძევლად იქნა აყვანილი. მათი განთავისუფლების საფასურად ირანის მთავრობამ აშშ-ს მოსთხოვა გაეცათ ქვეყნიდან გაქცეული შაჰი გასასამართლებლად, დაებრუნებინათ ირანისთვის შაჰის და მისი ოჯახის მიერ გატანილი სიმდიდრე და კაპიტალი, შეეწყვიტათ მხარდაჭერა ირანელი კონტრრევოლუციონერებისათვის და ყველა სახის ჩარევა ირანის საშინაო საქმეებში. აშშ-ის მთავრობამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნები და განახორციელა რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები ირანის წინააღმდეგ: გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები მასთან, დააპატიმრა აშშ-ის ბანკების და ამ ბანკების უცხოეთის ფილიალებში ირანის სახელმწიფო აქტივები 12 მილიარდი დოლარის ოდენობით, გამოაცხადა ირანის ეკონომიკური ბლოკადა, გაასახლა ქვეყნიდან ირანელი ლტოლვილები და სხვ.

1979-80 აშშ-მა ირანის ნაპირებთან თავი მოუყარა მრავალ სამხედრო ხომალდს. 1980 წლის 25 აპრილს წარუმატებლად დასრულდა მძევალთა დასახსნელად ირანის ტერიტორიაზე ამერიკელთა დესანტის გადასხმის ცდა. კონფლიქტი გაჭიანურდა. მხოლოდ 1980 მიწურულს, ალჟირის შუამდგომლობით, დაიწყო მოლაპარაკებები მხარეთა წარმომადგენლებს შორის, რაც დასრულდა 1981 წლის 19 იანვარს ალჟირსა და თეირანში აშშ-ირანის შეთანხმების ხელმოწერით ურთიერთპრეტენზიების მოწესრიგებისა და მძევლების განთავისუფლების თაობაზე. 20 იანვარს ირანმა გაანთავისუფლა აშშ-ის საელჩოს ყველა თანამშრომელი. აშშ-ის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ირანის მიმართ მომავალშიც განახორციელებდა ჩაურევლობის პოლიტიკას, იკისრა ვალდებულება, დაებრუნებინა ირანისთვის მისი აქტივები, შეეწყვიტა სასამართლო საქმეები, რომლებიც დაკავშირებული იყო აშშ-ის მოქალაქეთა და დაწესებულებათა ფინანსურ პრეტენზიებთან ირანისადმი, გაეუქმებინა ამერიკის სასამართლოების მიერ ამასთან დაკავშირებული ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, აგრეთვე სავაჭრო სანქციები ირანის მიმართ, რომლებიც შემოიღეს 1979 წლის 4 ნოემბრის შემდეგ, და გადაეცა ირანის შაჰისა და მისი ოჯახისათვის ის აქტივები, რომლებიც იყო აშშ-ის ბანკებში. ამერიკელთაგან დაბრუნებული თანხით ირანმა ვალდებულება იკისრა დაეფარა სახელმწიფო ვალი და აგრეთვე დაეკმაყოფილებინა ამერიკული კომპანიებისა და ცალკეულ პირთა შესაძლებელი სარჩელები.

**ირან-ბიზანტიის ზავი 591**, ამ ზავით ირანის ხელისუფლება ბიზანტიას უთმობდა ქართლის მიწა-წყალს ციცრე თბილისამდე, აგრეთვე საბოლოოდ უარს ამბობდა სვანეთზე.

ლიტ.: ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი გ., სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში 562-590 წწ., თბ., 1959; ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს აღდგენა. - წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, თბ., 1973.

**ირან-ერაყის კონფლიქტი**, დაიწყო ირანსა და ერაყს შორის ხანგრძლივი პოლიტიკური, რელიგიური და ეროვნული ხასიათის უთანხმოებების შედეგად. მისი უშუალო მიზეზი გახდა საზღვრის პრობლემა, კერძოდ კი დავა იმის თაობაზე, თუ სად უნდა გავლებულიყო საზღვარი მდ.შატ ალ-არაბზე, რომელიც ორივე ქვეყანას სპარსეთის ყურეში გასვლის საშუალებას აძლევდა. 1980 წლის შემოდგომაზე ხშირი ინციდენტები ერაყ-ირანის საზღვარზე საომარ მოქმედებაში გადაიზარდა. 1980 წლის 17 სექტემბერს ერაყმა გამოაცხადა 1975 ალჟირის შეთანხმების (ერაყ-ირანის ხელშეკრულებები და შეთანხმებები) დენონსირება და ბრალი დასდო ირანს იმაში, რომ დაარღვია ადრე მიღწეული შეთანხმებები, მათ შორის ტერიტორიულ საკითხებზე. 22 სექტემბერს ერაყის ჯარები შეეიდნენ ირანის

ტერიტორიაზე და დაიკავეს სადაო მონაკვეთები. კონფლიქტმა მიიღო გაჭიანურებული, დამანგრეველი ომის ხასიათი, რომელშიც მხარეები აქტიურად იყენებდნენ ტანკებს, ავიაციას, არტილერიას, სარაკეტო იარაღს. ირანმა და ერაყმა ომის დროს განიცადეს დიდძალი მატერიალური ზარალი, დანაკლისი ცოცხალ ძალასა და ტექნიკაში. კონფლიქტმა სერიოზულად გაართულა ვითარება მახლობელსა და შუა აღმოსავლეთში. მის მშვიდობიან მოწესრიგებას ცდილობდნენ ისლამური სახელმწიფოების და მიუმხრობელი ქვეყნების საშუამავლო მისიები, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი. გაეროს უშიშროების საბჭომ თავის რეზოლუციებში არაერთხელ მოუწოდა ერაყსა და ირანს თავი შეეკავებინათ ძალის გამოყენებაზე და მშვიდობიანი საშუალებებით გადაეჭრათ დავა. 1988 წლის სექტემბერში გაეროს შუამავლობით მიღწეულ იქნა შეთანხმება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. მიუხედავად ამისა, ერაყის ჯარები რჩებოდა ირანის ტერიტორიაზე. მხოლოდ ერაყ-ქუვეითის კონფლიქტის დროს, 1990 წლის 15 აგვისტოს ერაყმა გამოაცხადა, რომ ცნობდა ალჟირის 1975 შეთანხმებას საზღვრების შესახებ და 17 აგვისტოს დაიწყო ჯარების გამოყვანა ირანის ტერიტორიიდან და ირანელი სამხედრო ტყვეების რეპატრიაცია.

**ირან-თურქეთის ხელშეკრულება 1926** (მეგობრობისა და უშიშროების შესახებ), ხელმოწერილ იქნა 22 აპრილს თეირანში. ითვალისწინებდა ურთიერთვალდებულებებს, თავი შეეკავებინათ ერთმანეთის წინააღმდეგ აგრესიის ყოველგვარი აქტისგან; არ დაედოთ ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური შეთანხმებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა მეორე ხელისმომწერი მხარის წინააღმდეგ; მეორე მხარეზე სამხედრო თავდასხმის დროს შეენარჩუნებინათ ნეიტრალიტეტი, თვით შეიარაღებული ნეიტრალიტეტიც კი იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა ცდა, რომ გამოეყენებინათ ერთ-ერთი ხელისმომწერი მხარის ტერიტორია მეორე მხარის წინააღმდეგ მტრული მოქმედებებისათვის; არ დაეშვათ თავიანთ ტერიტორიებზე მოღვაწეობა ისეთი ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მეორე მხარის წინააღმდეგ მტრულ მიზნებს, და მიეღოთ ზომები სასაზღვრო ტომების ასეთივე მოქმედების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ირან-თურქეთის ურთიერთობები შემდგომში არაერთხელ გამწვავდა. სადავო სასაზღვრო საკითხების მოწესრიგება მათ შორის მოხდა 1932, როცა ახალი ვადით განახლდა ი-თ.ხ. ყოველივე ამან გააადვილა 1937 საადაბადის პაქტის დადება.

**ირან-საფრანგეთის 1807-1929 ხელშეკრულებები**, 1. ირან-საფრანგეთის 1807 ხელშეკრულება თავდაცვითი და შეტევითი კავშირის შესახებ, ხელმოწერილ იქნა 4 მაისს ნაპოლეონის ბანაკში ფინკენშტაინში. ხელშეკრულება ავალდებულებდა ირანის შაჰს ფათჰ-ალი ხანს, გაეწყვიტა პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან, გამოეცხადებინა მისთვის ომი, დაეყოლიებინა საომრად ავღანელები, გაეგზავნა თავისი არმია ინგლისის სამფლობელოების წინააღმდეგ ინდოეთში, აგრეთვე გაეტარებინა საფრანგეთის ჯარები ირანის გავლით ინდოეთისაკენ და მოემარაგებინა ისინი სურსათით. თავის მხრივ, ნაპოლეონი იძლეოდა ირანის ტერიტორიის ხელშეუხებლობის გარანტიას და პპირდებოდა, რომ აიძულებდა რუსეთს, დაეთმო ირანისთვის საქართველო. საფრანგეთი იღებდა ვალდებულებას, გაეგზავნა ირანის არმიისათვის შეიარაღება და ინსტრუქტორები. ხელშეკრულების შესასრულებლად ირანში ჩავიდა ფრანგული სამხედრო მისია გენერალ გარდანის მეთაურობით, მაგრამ რუსეთთან ტილზიტის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ ნაპოლეონმა უარი უთხრა ირანს დახმარებოდა რუსეთის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ფათჰ ალი-ხანმა დაიწყო დაახლოება ინგლისთან.

2. ირან-საფრანგეთის 1855 ხელშეკრულება მეგობრობისა და ვაჭრობის შესახებ, ხელმოწერილ იქნა 12 ივლისს თეირანში. საფრანგეთმა, რომელმაც ისარგებლა ყირიმის ომში რუსეთის დასუსტებით, ამ ხელშეკრულების ძალით, ირანისგან მიიღო ისეთივე შეღავათები და პრივილეგიები, როგორიც რუსეთმა თურქმანჩაის 1828 საზავო ხელშეკრულებით, მათ შორის კაპიტულაციის რეჟიმიც. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საფრანგეთის საკონსულოების შექმნას თეირანში, ბენდერ-აბასსა და თავრიზში, აგრეთვე ირანის საკონსულოებისა – პარიზში, მარსელსა და ბურბონის კუნძულზე.

3. ირან-საფრანგეთის 1929 ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, ხელმოწერილ იქნა 10 მაისს თეირანში. საფრანგეთმა აღიარა ირანში საკაპიტულაციო რეჟიმის გაუქმება და საბაჟო ავტონომიის შექმნა. ხელშეკრულება შეიცავდა სტატიებს მეგობრობის, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობებისთვის უპირატესი ხელშეწყობის და აგრეთვე არბიტრაჟის შესახებ, რომლებიც იყო ანალოგიური გერმანია-ირანის 1929 ხელშეკრულებისა მეგობრობის შესახებ; ითვალისწინებდა სავაჭრო და საბაჟო ურთიერთობების, აგრეთვე ზღვაოსნობის, ერთი ქვეყნის მოქალაქეთა მეორის ტერიტორიაზე ჩასვლის, დასახლების მოწესრიგებას ნაცვალგებისა და თანასწორობის საფუძველზე.

**ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია (იკო)**, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია. მუსლიმური ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პირველი კონფერენცია ჩატარდა 1969 არაბეთში. იკო დაარსდა 1972 მუსლიმური სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების მე-3 კონფერენციაზე ჯიდაში. იქვე მიიღეს ორგანიზაციის წესდება. იკო რელიგიური ნიშნით აერთიანებს 53 მუსლიმურ სახელმწიფოს, მათ შორის ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებს: აზერბაიჯანს, უზბეკისტანს, ყირგიზისტანს, თურქმენისტანს და ტაჯიკისტანს.

წესდების თანახმად, იკო მიზნად ისახავს წევრ-სახელმწიფოებს შორის მუსლიმური სოლიდარობის განმტკიცებას, მათ შორის თანამშრომლობას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო და სხვა სფეროებში; რასობრივი სეგრეგაციის, დისკრიმინაციის ლიკვიდაციას და კოლონიალიზმის აღმოფხვრას, ზომების მიღებას მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, პალესტინელ არაბთა მხარდაჭერას მათი უფლებების აღდგენისა და მათი მიწების გათავისუფლებისათვის.

ხელმძღვანელი ორგანოებია – სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა კონფერენცია (1981-დან იწვევენ 3 წელიწადში ერთხელ), საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია (იწვევენ ყოველწლიურად ან აუცილებლობის შემთხვევაში), სამდივნო გენერალური მდივნის

მეთაურობით. „იერუსალიმის გათავისუფლებამდე – აღნიშნულია წესდებაში, – გენერალური სამდივნოს შტაბ-ბინა განლაგებულია ჯიდაში“.

იკო-სთან მოქმედებს განვითარების ისლამური ბანკი, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში თანამშრომლობის მუდმივმოქმედი კომიტეტი, სხვა დაწესებულებები.

1975 ორგანიზაციას გაეროში მეთვალყურის სტატუსი მიენიჭა.

**ისმაილ I** (1487-1524), სეფევიეს ორდენის შეიხის, ჰეიდარის ვაჟი, სეფიანთა დინასტიისა და სახელმწიფოს ფუძემდებელი, ირანის შაჰი (1501-24), პოეტი (წერდა ხათაის ფსევდონიმით), 1500-01 ყიზილბაში ტომების მხარდაჭერით დაიკავა თავრიზი, დაიმორჩილა აზერბაიჯანი და თავი შაჰად გამოაცხადა. მომდევნო ათ წელიწადში დაიპყრო მთელი ირანი, სომხეთი, შირვანი, არაბული ერაყი ბაღდადითურთ, ქურთისტანი, დიარ ბაქრი. 1512 შუა აზიისათვის ბრძოლაში დამარცხდა შაიბანიან უზბეგთან და მას 8 წლით დაუზავდა. ამიერკავკასიაში ბატონობისათვის დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას. 1514 ჩალდირანთან ბრძოლაში დამარცხდა ოსმალებთან და დაკარგა ქურთისტანი და დასავლეთ სომხეთი. თანამიმდევრულად ატარებდა ქართული სამეფო-სამთავროების დამორჩილების პოლიტიკას. 1500-22 არაერთხელ დალაშქრა საქართველოს სხვადასხვა მხარე. სამცხე-საათაბაგოსა და ქართლ-კახეთის მეფეები მისი ვასალები გახდნენ. დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და ცდილობდა მათთან ერთად შეეკრა ანტიოსმალური კავშირი.

*ლიტ.:* საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973; История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958.

**ისრაელ-იორდანიის საზავო ხელშეკრულება 1994**, დაიდო 26 ოქტომბერს აგვისტოში გახსნილ სასაზღვრო გადასასვლელზე აკაბას და ეილათის ნავსადგურებთან (აკაბას ყურე). ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ი. *რაბინმა* და იორდანიის პრემიერ-მინისტრმა აბდულ-სალამ-ალ-მაიალამ. ცერემონიას ესწრებოდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ბ. *კლინტონი* და იორდანიის მეფე ჰუსეინი. ხელმოწერის წინა დღეს ისრაელის ქნესეთმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით მოიწონა ხელშეკრულების ტექსტი. იორდანიის პარლამენტმა კი მისი რატიფიკაცია 1994 წლის 11 დეკემბერს მოახდინა. ხელშეკრულებამ, რომელიც ხელმოწერის დღიდანვე შევიდა ძალაში, ბოლო მოუღო ორ ქვეყანას შორის 1948 წლიდან არსებულ საომარ მდგომარეობას. სასაზღვრო საკითხის მოწესრიგებას მკვდარი ზღვიდან აკაბას ყურემდე საფუძვლად დაედო 1922 აღდგენილი საზღვარი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიისათვის პალესტინაში. მხედველობაში არ იქნა მიღებული 1967 ისრაელის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები. ხელშეკრულების შესაბამისად, ისრაელმა იორდანიას დაუბრუნა 380 $კმ^2$ ტერიტორია არავას ველზე, ებრაელ მოსახლეობას შეუნარჩუნდა ტერიტორიის გამოყენების უფლება გარკვეული საიჯარო გადასახადის ფასად. ისრაელმა იორდანიას ყოველწლიურად 50 მლნ $მ^3$ წყალი უნდა მიაწოდოს მდ. იორდანიიდან. ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ აგრეთვე მდ. იორდანიის შენაკადის მდ. იარმუკის წყლების გამოყენების თაობაზე. ისრაელმა ცნო იორდანიის „ისტორიული როლი“ იერუსალიმში ისლამის წმინდა ადგილებზე. ამ ცნობას „უაღრესად დიდი პრიორიტეტი“ მიენიჭა იერუსალიმის სტატუსის საბოლოო განსაზღვრისას. იორდანიამ, ზავის თანახმად, აიღო ვალდებულება, არ განალაგოს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის საჯარისო შენაერთები. 1994 წლის 1 ნოემბრიდან გაიხსნა საერთო საზღვარი ორივე სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის. იორდანია მეორე სახელმწიფოა ეგვიპტის შემდეგ, რომელმაც ისრაელთან საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 27 ნოემბერს იორდანიასა და ისრაელს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა.

**ისრაელის არაბული ბოიკოტის ბიურო**, არაბულ სახელმწიფოთა ლიგის (ასლ) გადაწყვეტილებით 1946 შეიქმნა არაბული ბოიკოტის მუდმივი კომიტეტი შტაბ-ბინით კაიროში, რომელიც 1948 ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ გარდაიქმნა ბიუროდ. მისი შტაბ-ბინა დაარსდა დამასკოში, ხოლო ფილიალები – ასლ-ის წევრ ყველა ქვეყანაში. ბიურო, რომელსაც მეთაურობდა უმაღლესი კომისარი, პასუხისმგებელი იყო უშუალოდ ასლ-ის გენერალური მდივნის წინაშე, ხოლო 1952-დან გადავიდა ლიგის პალესტინური დეპარტამენტის გამგებლობაში. ბოიკოტს ექვემდებარებოდა ისრაელში წარმოებული ყველა სახის პროდუქცია და საქონელი, ასევე ყველანაირი მომსახურება. 70-იან წლებში ბოიკოტი გავრცელდა ყველა იმ უცხოურ კომპანიასა და კერძო პირზე, რომლებიც ისრაელთან თანამშრომლობდნენ (1976 მათ რიცხვში შედიოდა 1500-ზე მეტი ამერიკული კომპანია და კერძო პირი).

ბიუროს უშუალო ხელმძღვანელობა დაევალა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის გენერალური მდივნის თანაშემწეს ეკონომიკურ საკითხებში.

**„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“**, საქართველოს მეფის თამარის ე.წ. პირველი ისტორიკოსის თხზულება (XIII ს.), რომელშიც აღწერილია თამარისა და მისი მამის *გიორგი III-ის* ისტორია; შესულია *„ქართლის ცხოვრების“* კრებულში. ძეგლის ავტორი უცნობია. იგი განათლებული პიროვნებაა. იცნობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ისტორიას, ლიტერატურას და ფილოსოფიას. თხზულება დაწერილია მაღალფარდოვანი ენით. „ი.ა.შ.“ პირველხარისხოვანი ქართული ისტორიული ძეგლია. საყურადღებო ცნობებს შეიცავს XII-XIII სს. საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიისათვის. მნიშვნელოვანი წყაროა გიორგი III-ისა და განსაკუთრებით თამარის დროინდელი საქართველოს დიპლომატიისა და საგარეო პოლიტიკის შესასწავლად.

*გამოც.:* ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1906; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), კ. კეკელიძის რედ. და გამოკვლევით, თბ., 1941; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.2, თბ., 1959; История и восхваление венценосцев, пер. с груз., предисл. и примеч. К. С. Кекелидзе, Тб., 1954 (მეორე გამოცემა წიგნში: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.12, თბ., 1973).

**ისტურის-ი-მონტერო** (Isturiz-y-Montero) ფრანსისკო ხავიერ დე (1790-1871), ესპანეთის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. ესპანეთში 1820-23 რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მისი დამარცხების შემდეგ იყო ემიგრაციაში, ლონდონში. ესპანეთში დაბრუნდა 1834. 1836 მაის-აგვისტოსა და 1846-47 სათავეში ედგა ქვეყნის მთავრობას. 1847-48, 1851-54 და 1858-62 – ესპანეთის ელჩი დიდ ბრიტანეთში, 1856-58 – რუსეთში, 1863-64 – საფრანგეთში, 1862 სათავეში ედგა სახელმწიფო საბჭოს.

**იტალია-ეთიოპიის ხელშეკრულება 1928**, ხელი მოაწერეს 2.VIII ადის-აბებაში. აცხადებდა „სამუდამო მშვიდობას და მარადიულ მეგობრობას" ორ სახელმწიფოს შორის. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, დაეცვათ ერთმანეთის ინტერესები, ხელი შეეწყოთ ვაჭრობის განვითარებისათვის, სადავო საკითხები შერიგების პროცედურით ანდა არბიტრაჟით გადაეწყვიტათ.

*წყარ.*: BFSP, vol.129, p.1-5.

**იტალია-იუგოსლავიის ხელშეკრულება 1937** (ნეიტრალიტეტის შესახებ), ხელი მოაწერეს 25.III ბელგრადში.

ითვალისწინებდა ურთიერთსაზღვრების პატივისცემას და ნეიტრალიტეტის დაცვას მესამე სახელმწიფოსთან კონფლიქტის შემთხვევაში. მხარეები უარს ამბობდნენ ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის წარმოებაზე.

1941 იტალიამ დაარღვია ხელშეკრულება და თავს დაესხა იუგოსლავიას გერმანიასთან ერთად.

*წყარ.*: BFSP, vol.141, p.1119-21.

**იტალია-მალტის შეთანხმება 1980** (მალტის ნეიტრალიტეტის გარანტიის შესახებ), ხელი მოაწერეს 15.IX ერთდროულად რომში და ვალეტაში. 1979 ინგლის-მალტის შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ მალტის მთავრობამ გააქტიურა მოლაპარაკებები იტალიასთან, საფრანგეთთან, ლიბიასთან და ალჟირთან, ცდილობდა, რომ ისინი ერთად გამოსულიყვნენ კუნძულის ნეიტრალური სტატუსის გარანტად. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. შემდეგ, 1980 ლიბიასთან უთანხმოების გამო, მალტამ გადაწყვიტა იტალიასთან ორმხრივი კავშირის დამყარება. დეკლარაციით, იგი არის ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც მხარს უჭერს მიუმხრობლობის პოლიტიკას და უარს ამბობს ყოველგვარ სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე, ვალდებულებას იღებდა, არ დაეშვა კუნძულზე საზღვარგარეთის სამხედრო ბაზები, აგრეთვე თავის ქვეყანაში სხვა ქვეყნის სამხედრო სპეციალისტები.

იტალია თავისი დეკლარაციით აცხადებდა: დაეცვა მალტის სუვერენიტეტი, ნეიტრალიტეტი და ერთიანობა. არ შეეწყო ხელი მისი სამხედრო კავშირებში შესვლისა და სხვისგან სამხედრო დახმარების მიღებისათვის. რაიმე საფრთხის შემთხვევაში ჩაეტარებინა კონსულტაციები, თუ ამას მალტა მოითხოვდა. იტალიას 5 წლის განმავლობაში, 1979-დან ყოველწლიურად მისთვის უნდა მიეცა 12 მლნ დოლარის სუბსიდიები, აგრეთვე ხელსაყრელი კრედიტები 12 მლნ დოლარის რაოდენობით ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული განვითარებისათვის.

**იტალია-რუმინეთის ხელშეკრულება 1926** (მეგობრობის, „გულითადი თანამშრომლობის" შესახებ), ხელი მოაწერეს 16.IX რომში. ხელშეკრულებით, მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, გაეწიათ ერთმანეთისათვის დახმარება საერთაშორისო მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად.

**იტალია-საბერძნეთის შეთანხმება და ხელშეკრულებები**, 1. 1919 შეთანხმება, ხელი მოაწერეს 29.VII პარიზში. იტალია იღებდა ვალდებულებას მხარი დაეჭირა საბერძნეთის მოთხოვნისათვის სამხრეთ ალბანეთის (ჩრდილოეთი ეპირი), აღმოსავლეთ და დასავლეთ თრაკიის მიმართ, ხოლო საბერძნეთი – იტალიის მოთხოვნისათვის მისთვის ალბანეთის მანდატის მიღების თაობაზე და იტალიის სუვერენიტეტის ქვეშ ნავსადგურ ვლიორის (ვილონა) და მისი მიმდებარე ტერიტორიის გადაცემის შესახებ.

საბერძნეთისათვის იზმირისა და სარანდის გადაცემის შემდეგ იტალიას უნდა მიეღო იქ მიწის არენდის უფლება. შეთანხმების რეალიზება არ მოხდა.

2. 1920 ხელშეკრულება (დოდეკანესის შესახებ), დაიდო 10. VIII სევრში. ხელშეკრულებით, იტალიას საბერძნეთისათვის უნდა გადაეცა დოდეკანესის კუნძულები, ხოლო კუნძული როდოსი იტალიას რჩებოდა. მაგრამ საბერძნეთის დამარცხების შემდეგ თურქეთთან ომში (1919-22) იტალიამ უარი თქვა ხელშეკრულების შესრულებაზე.

3. 1928 ხელშეკრულება მეგობრობისა და არბიტრაჟის შესახებ, ხელი მოაწერეს 23.IX რომში. ხელშეკრულებით საბერძნეთი ფაქტობრივად უარს ამბობდა ბერძნებით დასახლებულ დოდეკანესის კუნძულზე. 1947 წლის 10 თებერვლის ხელშეკრულებით აღნიშნული კუნძული საბერძნეთს დაუბრუნდა.

**იტალია-საფრანგეთის შეთანხმება 1912** (გავლენის სფეროების შესახებ ჩრდილოეთ აფრიკაში), დაიდო 28.X პარიზში. შეთანხმება ამტკიცებდა ორივე მხარის განზრახვას ხელი არ შეეშალათ ერთმანეთისათვის, ღონისძიებათა გატარების შემთხვევაში, როცა ამას საჭიროდ ჩათვლიდნენ საფრანგეთი მაროკოში და იტალია – ლიბიაში.

**იტალიის აგრესია ეთიოპიის წინააღმდეგ 1935-36**, იტალიის შეიარაღებული ძალები 3.X. 1935 ეთიოპიაში შეიჭრნენ. ერთა ლიგამ 7.X იტალია აგრესორად გამოაცხადა, ხოლო შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება მის წინააღმდეგ ეკონომიკური და ფინანსური სანქციის გამოყენებისა, მაგრამ ისინი სანახევრო ხასიათს ატარებდნენ. ეთიოპელთა გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად ფაშისტური იტალიის ჯარები 5. X 1936 ადის-აბებაში შეიჭრნენ. ეთიოპია მსხვერპლად შეეწირა იტალიის ფაშიზმს.

**„იტალიის კაპიტულაციის პირობები" 1943**, მეორე მსოფლიო ომის ძირეული გარდატეხის შემდეგ, 1943 წლის გაზაფხულზე აშშ-მა და ინგლისმა მოამზადეს „ი.კ.პ.", რომელიც შეიცავდა „მოკლე" და „ამომწურავ" („ვრცელ") პირობებს.

„მოკლე პირობებს" (12 სტატია) ხელი მოაწერეს გენერალმა ჯ. კასელინომ (იტალია) და გენერალმა ბ. სმიტმა (გაერთიანებული ერები) 3.IX. 1943 კასიბილში (კუნძ. სიცილია), სამხრეთ იტალიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის დღეს. ისინი ითვალისწინებდნენ იტალიის ჯარების მიერ საომარი მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, მისი ფლოტისა და ავიაციის გაყვანას იმ ადგილებში, რომლებიც მოკავშირეებს ჰქონდათ მითითებული, მოკავშირეებისათვის კორსიკისა და მთელი იტალიის ტერიტორიის ჩაბარებას, სამხედრო ტყვეებისა და ინტერნირებული მოქალაქეების გადაცემას. იტალია უნდა დათანხმებოდა აგრეთვე სხვა პოლიტიკურ და ფინანსურ პირობებს, რომლებიც მას მოგვიანებით წარედგინებოდა.

„ვრცელი ვარიანტი" (44 სტატია), რომელსაც ხელი მოაწერეს გემ „ნელსონზე" მალტასთან ახლოს 29.IX. 1943 მარშალმა პ. ბადოლიომ (იტალია) და გენერალმა დ. ეიზენჰაუერმა (გაერთიანებული ერები), ითვალისწინებდა იტალიის სამხედრო ძალების უსიტყვო კაპიტულაციას, მათ დემობილიზაციას, გარკვეული ნაწილების გარდა, რომლებიც მოკავშირეთა განკარგულებაში გადადიოდა. ტრანს-

პორტი, ფინანსები, ვაჭრობა მოკავშირეთა ხელში გადადიოდა. მოკავშირეთა ყველა ხარჯი იტალიას უნდა გაეღო და დაეთხოვა ყველა ფაშისტური ორგანიზაცია.

13. X. 1943 ბადოლიოს მთავრობამ ფაშისტურ გერმანიას ომი გამოუცხადა. იტალიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება მოხდა მასთან საზავო ხელშეკრულების დადების შედეგად.

**იტო** ხირობუმი (1841-1909) თავადი, იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი.

1871 იაპონიის დიპლომატიური მისიის შემადგენლობაში იმყოფებოდა ევროპაში, 1872 – აშშ-ში. აქტიურად მონაწილეობდა 1876 *კორეა-იაპონიის ხელშეკრულების* დადებაში. 1878-85 – იაპონიის შინაგან საქმეთა მინისტრი. 1882 იმყოფებოდა ევროპაში, სადაც სათავეში ჩაუდგა კონსტიტუციის შემმუშავებელ კომიტეტს. 1885-88, 1892-96, 1898 და 1900-01 – იაპონიის პრემიერ-მინისტრი. ცდილობდა იაპონიის მიერ აშშ-თან და ევროპის ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებების გადასინჯვას, აქტიურად მონაწილეობდა კორეის თაობაზე ჩინეთთან *1885 ტიანძინის ხელშეკრულების* დადებაში. ქმედითი მონაწილეობა მიიღო 1894-95 იაპონია-ჩინეთის ომის მომზადებასა და წარმოებაში და *1895 სიმონოსეკის ზავის* დადებაში. 1901 იყო პეტერბურგში, სადაც აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთისა და იაპონიის პოლიტიკის შესახებ შორეულ აღმოსავლეთში. 1905 მეთაურობდა მისიას სეულში, რომელიც აქ ჩამოვიდა კორეაზე პროტექტორატის დასამყარებლად. 1906-09 – იაპონიის გენერალური რეზიდენტი კორეაში, მოამზადა იაპონიის მიერ 1910 ამ ქვეყნის ანექსიისათვის ნიადაგი. 1909 – იაპონიის საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარე: მოკლეს ხარბინში კორეელმა ნაციონალისტებმა.

**იუგოსლავიის კომიტეტი**, პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1915 წლის 30 აპრილს ლონდონში ემიგრაციაში მყოფი პოლიტიკური მოღვაწეების მიერ ხორვატიიდან, დალმაციიდან, სლოვენიის ქვეყნიდან, ისტრიიდან, ბოსნიიდან და ჰერცეგოვინიდან. ი.კ. თავის გეგმებს ანტანტის გამარჯვებებს უკავშირებდა. ის ეწეოდა ბეჭდურ პროპაგანდას, გამოდიოდა მემორანდუმით და განცხადებებით, მუდმივ კონფლიქტში იმყოფებოდა ანტანტის დიპლომატებთან და სერბიის მთავრობასთან. აყალიბებდა მოხალისეებს „ადრიატიკული ლეგიისათვის", ი.კ.-ის ხელმძღვანელებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია (იხ. *კორფუს დეკლარაცია 1917*) დამოუკიდებელი სერბიის, ხორვატების და სლოვენების სახელმწიფოს შექმნის შესახებ, რომელიც უნდა გამხდარიყო კონსტიტუციური მონარქია სერბიის დინასტიის – ყარაგეორგიევიჩების მეთაურობით.

1918 წლის 1 დეკემბერს გამოცხადდა მრავალეროვანი იუგოსლავიის სახელმწიფოს შექმნა. ი.კ-ის წარმომადგენელი გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი. ამის შემდეგ ი.კ-მა არსებობა შეწყვიტა.

**იულონ ბატონიშვილი** (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1760-1816) *ერეკლე II-ისა* და დარეჯან დედოფლის მეორე შვილი. ერეკლე II-ის ანდერძის თანახმად მეფობა უნდა გადასულიყო მის მრავალრიცხოვან შვილებში ძმიდან ძმაზე და ამის შესაბამისად ი.ბ. გამოდიოდა როგორც ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტი. იგი რუსეთისაგან მოითხოვდა, *გეორგიევსკის ტრაქტატის* (1783) თანახმად აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას. ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ ი.ბ. გაიქცა სოლომონ იმერთა მეფესთან და ახალციხის ფაშას მეოხებით მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან დახმარების თაობაზე რუსეთის წინააღმდეგ. 1805 გადაასახლეს რუსეთში. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში სხვა ქართველ ბატონიშვილთა გვერდით.

*ლიტ.:* საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები. მეფის-ძე დავით და ბატონიშვილი იულონ. – „მოამბე", 1900, №4.

**„იუნგის გეგმა"**, მეორე სარეპარაციო გეგმა გერმანიისათვის, წამოყენებული 1929.

გერმანიის ეკონომიკის განვითარების და, ამასთან დაკავშირებით, მისი საერთაშორისო გავლენის ზრდის კვალდაკვალ, ამ ქვეყნის მმართველი წრეები სულ უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვდნენ *„დაუესის გეგმის"* გადასინჯვას. გერმანიის მოთხოვნებს მხარი დაუჭირა აშშ-მა. *ერთა ლიგის* მიერ შექმნილმა კომისიამ სარეპარაციო საკითხების განხილვა გადასცა ექსპერტთა სპეციალურ კომიტეტს, რომელიც მუშაობას შეუდგა 1929 წლის თებერვალში პარიზში. კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა მორგანის ელექტროტექნიკური ტრესტის პრეზიდენტი ო. იუნგი, „დაუესის გეგმის" ერთ-ერთი ავტორი.

ხანგრძლივი კამათისა და უთანხმოების პირობებში, ექსპერტები ბოლოსდაბოლოს შეთანხმდნენ იუნგის მიერ შემოთავაზებულ გეგმაზე, რომელიც „დაუესის გეგმასთან" შედარებით ითვალისწინებდა გერმანიის საერთო სარეპარაციო ვალდებულებათა შემცირებას.

1929 წლის 6 აგვისტოს ჰააგაში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია *რეპარაციებთან* დაკავშირებით, რომელზეც წარმოდგენილი იყო 12 სახელმწიფო: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია, იტალია, იაპონია, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი და პორტუგალია. კონფერენციაზე შექმნილ კომისიებში – საფინანსო კომისიაში, რომელიც სარეპარაციო საკითხს იხილავდა, და პოლიტიკურ კომისიაში, სადაც იხილებოდა რაინის ოლქის ვადამდე ევაკუაციის საკითხი, – მწვავე კამათი გაიმართა. აგვისტოს ბოლოს მაოკუპირებელი ქვეყნების (ინგლისი, საფრანგეთი და ბელგია) და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიაღწიეს შეთანხმებას რაინის ოლქის ევაკუაციის წესების, ვადებისა და მეთოდების შესახებ. 1929 წლის 31 აგვისტოს ჰააგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც პრინციპში იწონებდა „ი.გ"-ს. საჭირო იყო ავსტრიის, უნგრეთისა და ბულგარეთის სარეპარაციო ვალდებულებათა დარეგულირებაც, ამიტომ კონფერენციის დასკვნით სესიაზე, რომელმაც მუშაობა 1930 წლის იანვარში განაახლა, ეს ქვეყნებიც იქნა მიწვეული. 20.I. 1930 გერმანული და არაგერმანული რეპარაციების საკითხები მოგვარებულ იქნა და შედგა მიღწეული შეთანხმებების ხელმოწერა.

„დაუესის გეგმისაგან" განსხვავებით, „ი.გ." ადგენდა გერმანიის მიერ გადასახდელ რეპარაციათა საერთო რაოდენობას – 113,9 მლრდ მარკას. უახლოესი 37 წლის განმავლობაში გერმანიის ყოველწლიური გადასახადი (დაწყებული 1.IX. 1929) განისაზღვრა 2 მლრდ მარკის ოდენობით. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადასახადის ოდენობა შეიძლება გადასინჯულიყო, ანუ დარჩენილიყო ძველ დონეზე. ამით გამარჯვებულ ქვეყნებს სურდათ შეენარჩუ-

ნებინათ გერმანიაზე ზემოქმედების ბერკეტი. სერიოზული ცვლილებები განიცადა სარეპარაციო თანხების აკრეფის წესებმა. თუ ადრე მათი გადახდა ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტისა და რკინიგზიდან აღებული მოგების ხარჯზე, ახლა მრეწველობიდან მიღებული მოგებიდან თანხების ამოღება გაუქმდა. ასევე უქმდებოდა გერმანიის ეკონომიკასა და ფინანსებზე კონტროლი.

რეპარაციების მისაღებად და გასანაწილებლად, აგრეთვე მოკავშირეთა შორის სავალო ანგარიშსწორებისათვის შეიქმნა *საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი*, რომლის უმთავრესი ფუნქცია იყო გერმანიის მძიმე მრეწველობისა და სამხედრო წარმოების დაფინანსება. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი ხელს უწყობდა აშშ-ის კაპიტალის პოზიციების განმტკიცებას ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს გერმანიამ უარი განაცხადა რეპარაციების გათვალისწინებულ გადასახადზე, შეათანხმა რა ეს გადაწყვეტილება აშშ-თან. აშშ-ის პრეზიდენტმა ჰ. ჰუვერმა წამოაყენა წინადადება, ერთი წლით გადაევადებინათ გადასახადები, გათვალისწინებული საერთაშორისო სამთავრობო ვალებით, რეპარაციებით და სესხებით. ჰუვერის მიერ წამოყენებული *მორატორიუმი* ძალაში შევიდა 15.VII. 1931 და „ი.გ-მ" ფუნქციონირება შეწყვიტა.

ლიტ.: План Юнга (Полный текст плана Юнга и статьи), М., 1930; План Юнга и Гаагская конференция 1929-1931 гг. Документы и материалы. М.-Л., 1931.

**იუნესკო**, იხ. *გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საერთაშორისო ორგანიზაცია*.

**იური ანდრიას ძე**, გ ი ო რ გ ი  რ უ ს ი, საქართველოს მეფის *თამარის* პირველი ქმარი, ნოვგოროდის მთავარი 1172-75, სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი. ბოიართაგან ანდრია ბოგოლიუბსკის მოკვლის (1174) შემდეგ ი.ა. ნოვგოროდიდან გააძევეს (1175). ნოვგოროდის მატიანე 1175 მერე მას აღარ იხსენიებს. იპატის ნუსხის მიხედვით კი იგი ამის შემდეგ ქ. ვლადიმირშია, სადაც მონაწილეობს სამთავროს ტახტის დაუფლებისათვის ატეხილ დავაში. 1176-77 ანდრია ბოგოლიუბსკის ძმამ ვსევოლოდმა (ქართული წყაროებით სავალათი) მთლიანად დაიპყრო ანდრიას სამფლობელო და ძმისშვილიც გააძევა იქიდან. ამის შემდეგ უფლისწული ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოჩნდა და შემდგომში მისი ბედი რუსი ისტორიკოსებისათვის ქართული წყაროებიდან გახდა ცნობილი. 1185 ი.ა., აბულასანის წინადადების საფუძველზე, საქართველოს სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით, საქართველოში მოიწვიეს თამარის თანამეცხედრედ. ი.ა. საქართველოში ჩამოსვლის უმალ შინაპოლიტიკური ბრძოლების ქარცეცხლში მოექცა. ჩანს, იგი აბულასანის დასს უჭერდა მხარს. მისი, როგორც მეფე-ქმრის, ფუნქცია მკვეთრად იყო განსაზღვრული და ძირითადად ლაშქრის მეთაურობით ამოიწურებოდა. თამარის ისტორიკოსების მიხედვით, რუსი უფლისწული გააძევეს (1187-88). მან თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. როგორც ჩანს, მასთან კავშირი არ შეუწყვეტიათ თამარის მოწინააღმდეგე დიდგვაროვან ფეოდალებს, რომელთა შემწეობითაც გალაშქრა აჯანყება სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. თავისი უფლებების აღსადგენად მებრძოლი უფლისწული დაამარცხა თამარის ლაშქარმა. საქართველოს მეფის ბრძანებით იგი სრულიად უვნებელი გაუშვიათ. უფლისწული, როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, კვლავ ბიზანტიაში უნდა წასულიყო. მან მეორედაც სცადა ბედი და არანის მხრიდან შემოვიდა საქართველოში, დაარბია კამბეჩოვანის მხარე და ტყვე და ნადავლიც „აიღო". მას მცირე ლაშქრით დაედევნა ხორნაბუჯის პატრონი სადირ მახატლის ძე, შეებრძოლა და დაამარცხა კიდეც. ი.ა. გადარჩენილ მებრძოლებთან ერთად გაიქცა და „გარდაიხუეწა".

**იურიდიულ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაცია** (International Association of Legal Sciences), *საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია*. შეიქმნა 1955 პარიზში და გააჩნია კონსულტაციური სტატუსი *იუნესკოსთან*. ორგანიზაციის წევრები შეიძლება გახდნენ იურიდიულ მეცნიერებათა ეროვნული კომიტეტები, ასოცირებულ წევრთა რიგებში ერთიანდებიან საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციები.

ი.მ.ს.ა-ის მიზნებია: ხელი შეუწყოს მსოფლიოში იურიდიულ მეცნიერებათა განვითარებას, უზრუნველყოს იურიდიული დოკუმენტების ხელმისაწვდომობა, იურისტთა ფართო კონტაქტების დამყარება, დაეხმაროს ინსტიტუტებს, რომლებიც საზღვარგარეთის სახელმწიფოთა სამართალს სწავლობენ.

ორგანიზაციის ორგანოებია: ეროვნული კომიტეტების წარმომადგენელთა საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი (შედარებითი სამართალმცოდნეობის საერთაშორისო კომიტეტი), რომელიც ირჩევს პრეზიდენტს და ორ ვიცე-პრეზიდენტს 2 წლის ვადით.

ორგანიზაცია ატარებს კონფერენციებსა და კოლოქვიუმებს, გამოსცემს შედარებითი სამართლის ბიულეტენსა და მსოფლიოს იურიდიულ დოკუმენტთა წყაროების კატალოგს.

**იურისდიქცია** ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ი (ლათ. jurisdictio – სასამართლოს წარმოება, საქმის წარმოება), სახელმწიფოს ორგანოთა უფლებამოსილება განიხილონ, მისცენ სამართლებრივი შეფასება, გადაწყვიტონ საკითხი გარკვეული ფაქტის შესახებ, დანიშნონ სანქციები და სხვ. თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

საერთაშორისო სამართალში აღნიშნულ ტერმინს აქვს ორი გამოხატულება: განასხვავებენ ტერიტორიულ (რომელიც გაცილებით ვიწროა, ვიდრე ტერიტორიული უზენაესობა (იხ. *სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობა*) და პირად (ეროვნულ) ი-ს.

ტერიტორიული ი. შემოსაზღვრულია სახელმწიფოს ტერიტორიით, რომელზეც სახელმწიფო ახორციელებს სრულ ი-ს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რაიმე სხვა არის გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებით. ზოგიერთ შემთხვევებში სახელმწიფოს ი. ვრცელდება მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც, მაგ.: სახელმწიფო ახორციელებს გამონაკლის (განსაკუთრებულ) ი-ს თავის სამხედრო გემებზე ღია ზღვაში, საჰაერო ხომალდებზე და ა.შ. გარდა ამისა სანაპირო სახელმწიფოთა ი. ვრცელდება (შეზღუდული ფორმით) განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე.

პირადი (ნაციონალური) ი. ხორციელდება სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეების მიმართ, რომლებიც მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან.

საერთაშორისო პრაქტიკაში ზოგჯერ დგება საკითხი, თუ რომელი სახელმწიფოს ი. უნდა იქნეს გამოყენებული

კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემა, როგორც წესი, წყდება საერთაშორისო ხელშეკრულებების ან საერთაშორისო სამართლებრივი ადათის საფუძველზე.

**იუსტინიანე I** დიდი (482-565), ბიზანტიის იმპერატორი 527-565. 518-დან თანამოსაყდრედ ჰყავდა აყვანილი იმპერატორის კარზე მის ბიძას, იუსტინე I-ს. წარმოშობით ილირიელი გლეხი. მრავალი რეფორმის გამტარებელი ბიზანტიის საკეისროში. ხმელთაშუა ზღვის აუზი დაუმორჩილა ბიზანტიის ხელისუფლებას. თითქმის მთელი მისი იმპერატორობის მანძილზე იბრძოდა ირანის წინააღმდეგ. მან გამეფების პირველი წლებიდანვე განამტკიცა თავისი პოლიტიკა ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში. სასანიდური ირანის შემოჭრის შიშით, დაიწყო ეგრისის გამაგრება და მის ციხე-სიმაგრეებში (სკანდაში, შორაპანში, ცხუმ-სებასტოპოლისში და პიტიუნტში) ჩააყენა ბიზანტიური გარნიზონები. პეტრა-ციხისძირში დასვა თავისი სტრატეგოსი გარნიზონითა და აღჭურვა სათანადო უფლებებით. პეტრა-ციხისძირის სიმაგრე აქცია ქალაქად და უწოდა თავისი სახელი. პირველად ბიზანტიის იმპერიას მან დაუმორჩილა ჭანეთი. აბაზგიაში (აფხაზეთში) გაავრცელა ქრისტიანობა, აუშენა მათ ეკლესია და დაუწესა მღვდელმსახურებაც, ეგრისის ხელისუფლების საპირისპიროდ უმუშევო მმართველობა დაამყარა აბაზგიაში (აფხაზეთში). საფორტიფიკაციო მშენებლობას ეწეოდა ეგრისში და სხვ.

ლიტ.: იუსტინიანე, პროკოპი კესარიელი. - წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ.II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ და კომენტარებით ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1965; აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, იოანე მალალა, ევაგრიოს სქოლასტიკოსი. - იქვე, ტ.III, თბ., 1936; პროკოპი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ჟურემიძემ, თბ., 1989.

**იუსუფ I ჯაყელი**, ახალციხის ფაშა 1635-47, საფარ-ფაშას ძე. XVII ს-ის 20-30-იან წლებში, როცა მესხეთი სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ხელიდან ხელში გადადიოდა, საფარ-ფაშა თურქეთის ზონაში რჩებოდა ფაშად, ხოლო ი. I ჯ. – ირანის ზონაში. ეს მათი დიპლომატიური სვლა იყო, ასე ინარჩუნებდნენ ისინი თავიანთ სამემკვიდრეო უფლებებს სამცხე-ჯავახეთში

ლიტ.: ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი (XVIII ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე), თბ., 1975.

**იუსუფ II ჯაყელი**, ახალციხის ფაშა 1677-80. ოსმალეთის სულთნისგან მას დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მეურვეობა ჰქონდა მინდობილი. იბრძოდა საფაშოში მაჰმადიანური წეს-ჩვეულებების გავრცელებისათვის.

ლიტ.: იხ. სტ-თან იუსუფ I ჯაყელი.

**იუსუფ III ჯაყელი**, ახალციხის ფაშა 1737-44, ისაყ I-ის ძე. საფაშო ტახტზე მამის სიცოცხლეშივე ავიდა. საქართველოს სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღესტნელი ფეოდალების ჩაბმას ცდილობდა. 1744 *ერეკლე II-მ* სასტიკად დაამარცხა მდ. არაგვთან ბრძოლაში. უკუქცეული ი. III ჯ. გზად აწყურში გარდაიცვალა.

**იფრანის ხელშეკრულება 1969** (ალჟირსა და მაროკოს შორის ძმობის, კეთილდღეობისა და თანამშრომლობის შესახებ), ხელი მოაწერეს 15. 1. იფრანში (მაროკო) 20 წლით, შემდგომ ავტომატურად გაგრძელების შესაძლებლობით. მხარეებმა იკისრეს ვალდებულებები, რომ ავგოთ ურთიერთობები მეგობრული თანამშრომლობის, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და თანასწორობის საფუძველზე, შეეკავებინათ თავი ძალის გამოყენებაზე კონფლიქტებისა და უთანხმოებების წარმოქმნის დროს, რათა მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ ისინი. გადაწყდა, რომ ყველა შექმნილი პრობლემა განხილულიყო და დასრულებულიყო ორმხრივი კომისიების ფარგლებში. ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო რატიფიკაციის შემდეგ. მისი რატიფიკაცია მოახდინა მხოლოდ ალჟირმა 1969 წლის 22 იანვარს.

**იშიკი** (Işik) ჰასან ესათი (დ. 1916), თურქი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1940-დან. მუშაობდა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში; პარიზში, თურქეთის გენერალურ საკონსულოში (1945-49), ვაჭრობისა და ეკონომიკის სამინისტროში; შემდეგ – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროში (1949-52); ჟენევაში, გაეროს ევროპის განყოფილებაში, თურქეთის მუდმივ წარმომადგენლობაში (1952-54); 1954-57 – თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო და სავაჭრო ხელშეკრულებათა სამმართველოს გენერალური დირექტორი; 1957-62 – საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში; 1962-64 – თურქეთის ელჩი ბელგიაში; 1964-65 და 1966-68 – ელჩი სსრკ-ში; 1965 წლის თებერვალ-ოქტომბერში – თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1965-66 – საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი მრჩეველი, 1968-73 – თურქეთის ელჩი საფრანგეთში. 1974 წლის იანვარ-ნოემბერში, 1977 წლის ივნის-ივლისსა და 1978-79 – თურქეთის თავდაცვის მინისტრი. 1979-დან თადარიგშია.

**იჯარა** (საერთაშორისო სამართლებრივი), ხელშეკრულების საფუძველზე ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოსათვის თავისი ტერიტორიის ნაწილის დათმობა გარკვეული დროით სარგებლობისათვის, გარკვეული მიზნებით და გარკვეული პირობების საფუძველზე (იხ. *განსაკუთრებული ტერიტორიული რეჟიმები*). არენდის მიმცემი სახელმწიფო ინარჩუნებს არენდით გაცემულ ტერიტორიაზე სუვერენიტეტს, მაგრამ, მკაცრად განსაზღვრული ხელშეკრულებით, ზღუდავს ზოგიერთ თავის უფლებას არენდის ამღები სახელმწიფოს სასარგებლოდ.

არენდის შესახებ ხელშეკრულებები გავრცელდა სატრანსპორტო გზების (არხები, მილგაყვანილობები) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პრაქტიკაში, სამეცნიერო სადგურების განლაგებაში, ნავსადგურებში თავისუფალი ზონების დაწესებაში და ა.შ. არენდის სხვა ფორმას განეკუთვნება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ უცხოური ქვეყნის ტერიტორიის რაღაც ნაწილებით სარგებლობა, რაც ხორციელდება ამ ორგანიზაციასა და არენდის გამცემ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე უცხოური წარმომადგენლობების მიერ არენდით მიწის ნაკვეთების, შენობების, ნაგებობების, სათავსოებისა და ა.შ. ალებით.

# კ

**ᲙᲐᲓᲐᲤᲘ** (Qaddafi) მუამარ (დ. 1942), ლიბიის რევოლუციის ხელმძღვანელი, სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბული ჯამაჰირიის (სსლჯ) შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, პოლკოვნიკი. დაამთავრა ლიბიის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და სამხედრო კოლეჯი. 1966 გაიარა სამხედრო გადამზადება ინგლისში. 1964 შექმნა და ხელმძღვანელობდა თავისუფალ ოფიცერ-იუნიონისტთა ორგანიზაციას. აქტიურად მონაწილეობდა 1969 წლის 1 სექტემბრის რევოლუციაში, რომელმაც დაამხო მონარქია. 1969-79 ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს – რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარეა, 1969 წლის სექტემბრიდან – შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, 1970-72 – პრემიერ-მინისტრი და თავდაცვის მინისტრი, 1977-79 – საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საყოველთაო სახალხო კონგრესის (სსკ) გენერალური მდივანი. 1977 მისი ინიციატივით სსკ-მ მიიღო დეკლარაცია ლიბიაში სახალხო ხელისუფლების დამყარების შესახებ, რითაც ფაქტობრივად გაუქმდა სახელმწიფო ხელისუფლების საყოველთაოდ მიღებული ორგანოები. 1979 წლის მარტიდან არის სსლჯ-ს რევოლუციური ხელმძღვანელობისა და ლიბიის რევოლუციის მეთაური. მომხრეა არაბული ერთობისა – არაბული ფედერაციის ფარგლებში.

**ᲙᲐᲓᲝᲒᲐᲜᲘ** (Cadogan) ალექსანდრ ჯორჯ მონტეგიუ (1884-1968), ბრიტანელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში 1908-დან. მუშაობდა დიდი ბრიტანეთის საელჩოებში თურქეთსა (1909-12) და ავსტრია-უნგრეთში (1913-14), დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (1912-13 და 1914-33). 1933-35 – დესპანი, ხოლო 1935-36 – დიდი ბრიტანეთის ელჩი ჩინეთში; 1936-37 – ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის მოადგილე, 1938-46 – საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე, მონაწილეობდა *თეირანის (1943), ყირიმის (იალტის) (1945), სან-ფრანცისკოს (1945)* და *ბერლინის (პოტსდამის) (1945) კონფერენციებში.* მეთაურობდა დიდი ბრიტანეთის დელეგაციას *დუმბარტონ-ოქსის კონფერენციაზე (1944).* 1946-50 – დიდი ბრიტანეთის მუდმივი წარმომადგენელი *გაეროს უშიშროების საბჭოში,* 1951-56 – სუეცის საზღვაო არხის საყოველთაო კომპანიის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე; 1952-58 – ბრიტანეთის რადიო-კორპორაციის (ბი-ბი-სის) მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე.

**ᲙᲐᲕᲣᲠᲘ** (Cavour) კამილო ბენსო (1810-61), გრაფი, იტალიის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. იტალიაში 1848-49 რევოლუციის აქტიური მონაწილე. 1850-52 – მიწათმოქმედების, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი, იმავდროულად 1851-52 – ფინანსთა მინისტრი. 1852-61 (1859 გამოტოვებით) – სარდინიის სამეფოს პრემიერ-მინისტრი. 1861 – იტალიის გაერთიანებული სამეფოს პირველი პრემიერ-მინისტრი. აქტიური როლი შეასრულა იტალიის გაერთიანების პროცესში *(იხ. ტურინის ხელშეკრულება, 1860).*

**ᲙᲐᲖᲣᲡ ᲑᲔᲚᲘ** (ლათ. casus belli), უშუალო ფორმალური საბაბი სახელმწიფოთა შორის საომარი მდგომარეობის წარმოშობისათვის. კ.ბ. წარსულში წარმოადგენდა საომარი მოქმედებების დაწყების კანონიერ საფუძველს. იგი, როგორც წესი, არ გამოხატავდა ომის დაწყების რეალურ მიზეზებს. ასე მაგალითად: პირველი მსოფლიო ომის დაწყების კ.ბ. იყო სარაევოში ავსტრიის ერცჰერცოგ ფერდინანდის მკვლელობა. ომის უფლების ლიკვიდაციის შემდეგ საერთაშორისო სამართალში კ.ბ-ის მოქმედების სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს და იგი აღარ მოქმედებს.

**ᲙᲐᲖᲣᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲘᲡᲘ** (ლათ. casus foederis), გარემოებანი, პირობები ან იურიდიული ფაქტი, რომელთა დადგომაც ავალდებულებს საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე, განახორციელოს გარკვეული ქმედებანი. ასე მაგალითად: ჩაერთოს მეორე სახელმწიფოს მიერ წარმოებულ ომში, დაიწყოს ომი მოკავშირის დასაცავად და ასე შემდეგ. ხშირ შემთხვევაში *საერთაშორისო კონვენციებში* საომარი მოქმედებების წარმოების წესების შესახებ კ.ფ. ნიშნავს ისეთი მომენტის დადგომას, როდესაც მხარეები ვალდებულნი არიან, გამოიყენონ და დაიცვან მათ მიერ დადგენილი ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. ორმხრივ ხელშეკრულებებში კ.ფ. ნიშნავს პირობას, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების მონაწილე მხარეებზე თავდასხმის შემთხვევაში მეორე მხარე ვალდებულებას იღებს, ყოველმხრივ (სამხედრო ძალის ჩათვლით) დაეხმაროს მას.

კ.ფ-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ხოლმე ხელშეკრულებებში სამხედრო კავშირების შესახებ.

**ᲙᲐᲘᲠᲝᲡ (ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲣᲠ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲐ) ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ 1921**, ჩატარდა 12-24.III. მოიწვიეს 1920-21 ერაყში, პალესტინასა და ტრანსიორდანიაში ანტიბრიტანული აჯანყებების შემდეგ არაბული ქვეყნების მიმართ დიდი ბრიტანეთის პოლიტიკის განსასაზღვრავად. კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებდა: ბრიტანეთის მანდატის (იხ. *სამანდატო სისტემა*) ქვეშ ერაყში არსებული სახელმწიფოს წარმოქმნას, რომლის სათავეშიც იქნებოდა მეფე; ტრანსიორდანიაში

არაბული სამთავროს შექმნას ასევე ბრიტანეთის მანდატით; ერაყზე, ტრანსიორდანიაზე და პალესტინაზე კონტროლის განსახორციელებლად სამხედრო-საჰაერო ძალების როლის გაძლიერებას; დიდი ბრიტანეთის კოლონიათა საქმეების სამინისტროში იქმნებოდა სპეციალური დეპარტამენტი არაბულ ქვეყნებში პოლიტიკის კოორდინაციისათვის.

**კაიროს (ინგლის-ამერიკა-თურქეთის) კონფერენცია 1943,** ჩატარდა 2-7.XII. აშშ-ის პრეზიდენტის ფ.დ. *რუზველტის*, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ. *ჩერჩილის*, თურქეთის პრეზიდენტის ი. *ინენიუსა* და, აგრეთვე, ამავე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. კონფერენციაზე დადასტურებულ იქნა, რომ ლა-მანშის გადალახვა და მოკავშირეთა ჯარების გადასხმა სამხრეთ საფრანგეთში იქნებოდა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მთავარი ოპერაციები 1944, დამტკიცდა იტალიასა და შემდეგ სამხრეთ საფრანგეთში მომავალ სამხედრო ოპერაციებში ფრანგული შეიარაღებული ძალების გამოყენების საერთო პრინციპი, გაუქმდა ჯარების გადასხმა ბირმაში და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მთავარი ძალისხმევა იაპონიის წინააღმდეგ უნდა განხორციელებულიყო წყნარ ოკეანეში. კასაბლანკის (1943) და თეირანის (1943) კონფერენციების გადაწყვეტილებათა შესაბამისად კ.კ-ზე განიხილეს ანტიჰიტლერული კოალიციის მხარეზე თურქეთის ომში ჩაბმის საკითხი, მაგრამ თურქეთის პრეზიდენტმა თავიდან აიცილა რაიმე ვალდებულების აღება.

**კაიროს (ინგლის-ამერიკა-ჩინეთის) კონფერენცია 1943,** ჩატარდა 22-26. XI აშშ -ის პრეზიდენტის ფ.დ. *რუზველტის*, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ. *ჩერჩილისა* და ჩინეთის გომინდანური მთავრობის მეთაურის *ჩან კაიშის* მონაწილეობით. კონფერენციის კომუნიკე, რომელიც გამოქვეყნდა კაიროში 1.XII, შეიცავდა ვალდებულებებს 1944 წლის გაზაფხულზე იაპონიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებისა და შორეულ აღმოსავლეთში ომისშემდგომი სამშვიდობო რეგულირების შესახებ. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ სამი სახელმწიფოს პოლიტიკის მიზანს შორეულ აღმოსავლეთში წარმოადგენს იაპონიის აგრესიის შეჩერება და დასჯა, პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან მოყოლებული, წყნარ ოკეანეში დაპყრობილი და ოკუპირებული ყველა კუნძულის ჩამორთმევა, აგრეთვე ჩინეთის რესპუბლიკისათვის იაპონიის მიერ ჩამოჭრილი ყველა ტერიტორიის, მათ შორის მანჯურიის (ჩინეთის ჩრდილო აღმოსავლეთი რაიონები), კუნძულ ფორმოზის (ტაივანი) და პესკადორის კუნძულების დაბრუნება. კაიროს დეკლარაციაში მითითებული იყო, რომ კორეა „საჭირო დროს გახდებოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი."

**კალაჰანი (Callaghan) (ლეონარდ) ჯეიმს** (დ. 1912), დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, თემთა პალატის წევრი 1945-დან. 1947-50 – ტრანსპორტის სამინისტროს საპარლამენტო მდივანი, ხოლო 1950-51 – სამხედრო-საზღვაო სამინისტროსი. 1951-64 და 1970-74 – ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელი, *„ჩრდილოვანი კაბინეტის"* წევრი 1961-64 და 1970-74, 1964-67 – ფინანსთა მინისტრი, 1967-70 – შინაგან საქმეთა მინისტრი. 1974-76 – საგარეო საქმეთა და *თანამეგობრობის* საქმეთა მინისტრი, იმავდროულად, 1975-76 – ზღვის გადაღმა ტერიტორიების განვითარების საკითხების მინისტრი. 1976-80 – ლეიბორისტული პარტიის ლიდერი. 1976-79 – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 1979-80 - ოპოზიციის ლიდერი.

**„კალვოსა და დრაგოს დოქტრინები",** სახელმწიფოთა მიერ სხვა სახელმწიფოს საქმეებში დიპლომატიური ან სამხედრო ჩარევის დაუშვებლობა მათგან ვალების ამოღების მიზნით.

არგენტინელი იურისტისა და დიპლომატის კ. კალვოს მიერ 1868 ჩამოყალიბებული დოქტრინის მიხედვით, „ქვეყნის მეთაურობას არ შეუძლია, პასუხი აგოს იმ ზარალისა და დანაკლისისათვის, რომელიც უცხოელებს მიაყენა შინაგანმა არეულობებმა და სამოქალაქო ომმა" (იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ისინი უშუალოდ მთავრობის საქმიანობის შედეგს წარმოადგენენ); ყველა სახელმწიფოს იურიდიული თანასწორუფლებიანობის პრინციპი დაუშვებელს ხდის როგორც დიპლომატიურ ჩარევას, ისე სამხედრო ინტერვენციას რომელიმე სახელმწიფოში, თავდამსხმელი სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის ზარალის ანაზღაურების, ან ვალების გადახდევინების მიზნით.

არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. მ. დრაგოს მიერ 29.XII. 1902 აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისათვის გაგზავნილ ნოტაში ჩამოყალიბებული დოქტრინა ითვალისწინებდა მხოლოდ იმ ვალების ამოღებას, რომელიც იქმნებოდა სახელმწიფო სესხების გამოშვების დროს და უარყოფდა შეიარაღებულ ინტერვენციას, მაგრამ არა დიპლომატიურ ჩარევას. რამდენადაც დრაგოს დოქტრინა მიმართული იყო ლათინური ამერიკის საქმეებში აშშ-ის ჩარევის წინააღმდეგ, ფ. *რუზველტის* მთავრობამ არ მოიწონა იგი. ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე 1907 აშშ-მა მიაღწია ამ ქვეყნის წარმომადგენლის ხ. პორტერის მონაწილეობით შემუშავებული ეგრეთ წოდებული *დრაგო-პორტერის კონვენციის* მიღებას, რომელიც დრაგოს დოქტრინისაგან განსხვავებით დასაშვებად მიიჩნევდა შეიარაღებული ძალის გამოყენებას.

ლიტ.: S h e a D. R., The Calvo Clause: a Problem of Inter-American and International Law and Diplomacy, Minneapolis, 1955.

**კალიგულა,** რომის იმპერატორის (37-41), გაიუს იულიუს ცეზარის მეტსახელი (კალიგულა ნიშნავს ჩექმას). კ-ს მმართველობა რომის იმპერიის უმძიმესი ხანა იყო. უსასტიკესი ტირანი ხელისუფლების განმტკიცებას ტერორისტული რეჟიმით ცდილობდა. აწყობდა მდიდრულ სანახაობებს, რის შედეგადაც სახელმწიფო ხაზინა ერთ წელიწადში დაცარიელდა. გაზარდა გადასახადები. ძონებისაგან მოითხოვდა საკუთარი ბატონების დასმენას. ძველბერძენი ავტორები სერიოზულად მსჯელობენ კალიგულას არანორმალურობის შესახებ. მოკლეს პრეტორიანელებმა.

კ-მ რომში გაიწვია და საპყრობილეში მოათავსა ტიბერიუსის მიერ არმენიის მეფედ დასმული, იბერიის მეფის ძე *მითრიდატე*. მითრიდატეს შეპყრობის მიზეზი ცნობილი არ არის. კ-ს სიკვდილამდე არმენიის მეფე ბორკილდადებული ჰყავდათ. გაათავისუფლა მომდევნო იმპერატორმა *კლავდიუს I-მა*.

**კალიშის სამოკავშირეო ტრაქტატი 1813,** გაფორმდა რუსეთსა და პრუსიას შორის კავშირი *ნაპოლეონ I-ის* წინააღმდეგ ომში. ხელმოწერილ იქნა ფელდმარშალ

მ.ი. კუტუზოვისა და პრუსიის კანცლერ კ.ა. ჰარდენბერგის მიერ 15(27).II ბრესლაუში (თანამედროვე ვროცლავი) და 16(28).II კალიშში ნაპოლეონის არმიის ნარჩენების რუსეთიდან განდევნის შემდეგ. ტრაქტატის პირობების თანახმად, პრუსია აღდგენილი უნდა ყოფილიყო 1806-ის საზღვრებში. გერმანულ სახელმწიფოებს უბრუნდებოდათ დამოუკიდებლობა; რუსეთმა და პრუსიამ აიღეს ვალდებულება, ეწარმოებინათ ერთობლივი საომარი მოქმედებანი და არ დაედოთ სეპარატული ხელშეკრულებები ნაპოლეონთან. ტრაქტატი წარმოადგენდა მნიშვნელოვან რგოლს ევროპის ქვეყნების მეექვსე ანტიფრანგული კოალიციის შექმნაში.

**ᲙᲐᲚᲛᲐᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲐ 1397-1523**, დანიის, ნორვეგიისა (ისლანდიასთან ერთად) და შვეციის (ფინეთთან ერთად) გაერთიანება დანიის მეფეთა ხელისუფლების ქვეშ; მომზადდა დანია – ნორვეგიისა (1380) და დანია – შვეციის (1389) უნიებით. კ.უ-ის შექმნის ინიციატორი იყო დედოფალი მარგარიტა დანიელი, რომელმაც მიაღწია იმას, რომ 1397 წლის 17.IV კალმარში (შვეცია) 3 სახელმწიფოს მეფედ გამოცხადებულ იქნა მისი ძმისწულის შვილი ჰერცოგი ერიკ პომერიანელი.

კ.უ-ის თანახმად, დანიას, შვეციას, ნორვეგიას შემდეგშიც საერთო მეფე უნდა აერჩიათ ერიკ პომერიანელის შთამომავლობიდან და უნდა ეწარმოებინათ საერთო საგარეო პოლიტიკა, საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობის შენარჩუნებით. დანიის მეფეთა ცდას, დაემყარებინათ სრული ბატონობა შვეციაზე, მოჰყვა სახალხო აჯანყება შვეციაში 1448 და კ.უ-ის ფაქტობრივი ლიკვიდაცია. შემდეგში დანია-შვეციის ხანგრძლივი ომების მსვლელობაში XV-XVI საუკუნის დასაწყისში კ.უ. ხანმოკლე დროით სამჯერ იქნა აღდგენილი (1457-67; 1497-1501; 1520-21). საბოლოოდ კ.უ-მ არსებობა შეწყვიტა 1523, როდესაც შვეციის მეფე გახდა გუსტავ I ვაზა. ნორვეგია კი დანიის ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა 1814-მდე (*იხ. მოსის კონვენცია 1814*).

**ᲙᲐᲚᲜᲝᲙᲘ (Kalnoky)** გუსტავ ზიგმუნდ (1832-98), გრაფი, ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, 1854 დიპლომატიურ სამსახურშია. მუშაობდა ავსტრიის (1867 – ავსტრია-უნგრეთის) საელჩოში დიდ ბრიტანეთში (1860-70). 1871-74 – ავსტრია-უნგრეთის დესპანი *ვატიკანში*, 1874-80 – დანიაში, 1880-81 – ავსტრია-უნგრეთის ელჩი რუსეთში. 1881-95 – ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრია; იყო გერმანიასთან კავშირის მომხრე, ატარებდა ექსპანსიონისტურ პოლიტიკას ბალკანეთზე. ხელი შეუწყო *სამთა კავშირის* დადებას, დადო *1881 ავსტრია-სერბიის* და *1883 ავსტრია-რუმინეთის ხელშეკრულებები*. აქტიური როლი ითამაშა *სამი იმპერატორის კავშირის* გახანგრძლივებაში და შეეცადა ბულგარეთი შეეკავებინა რუსეთთან კავშირის დადებასა და *ხმელთაშუა ზღვის ანტანტის* ორგანიზებაში. 1894 დადო ე.წ. რუსეთ-ავსტრიის „ნეგატიური" ხელშეკრულება.

**ᲙᲐᲛᲑᲝᲜᲘ (Cambon)** პიერ პოლ (1843-1924), ფრანგი დიპლომატი. 1882-86 – საფრანგეთის გენერალური რეზიდენტი თუნისში. 1886-90 – საფრანგეთის ელჩი ესპანეთში, 1891-98 – თურქეთში, 1898-1920 – დიდ ბრიტანეთში. აქტიურად მონაწილეობდა *1904 ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების* და *1912 გრეი-კამბონის შეთანხმების* მომზადებაში, რომლებმაც *ანტანტას* ჩაუყარა საფუძველი. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა *1916 საიქს-პიკოსა* და *1919 ვერსალის საზავო ხელშეკრულების* შემუშავების საქმეში.

**ᲙᲐᲛᲑᲝᲜᲘ (Cambon)** ჟიულ მარტენ (1845-1935), ფრანგი დიპლომატი. 1891-97 – ალჟირის გენერალ-გუბერნატორი. 1897-1901 – საფრანგეთის ელჩი აშშ-ში, მონაწილეობდა ესპანეთ-აშშ-ის 1898 წლის პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების შემუშავებაში. 1902-07 – საფრანგეთის ელჩი ესპანეთში, 1907-14 – გერმანიაში, ხელს უწყობდა *1908-09 კასაბლანკის ინციდენტის* მოგვარებას. 1915-19 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი. საფრანგეთის დელეგაციის წევრი *პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე 1919-20*, აქტიურად მონაწილეობდა *ვერსალის საზავო ხელშეკრულების 1919* შემუშავებაში. 1920-31 – *ელჩების კონფერენციის* თავმჯდომარე.

**ᲙᲐᲛᲞᲝᲤᲝᲠᲛᲘᲝᲡ ᲡᲐᲖᲐᲕᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ 1797** (საფრანგეთსა და ავსტრიას შორის), ხელმოწერილ იქნა 17.X პასსერიანოში, სოფელ კამპოფორმიოს მახლობლად (იტალია), საფრანგეთის მხრიდან – გენერალ ბონაპარტეს *(იხ. ნაპოლეონ I)*, ავსტრიის მხრიდან – გრაფ ლ. ფონ კობენცლის მიერ; დაასრულა საფრანგეთის რესპუბლიკისათვის წარმატებული ომი ავსტრიის წინააღმდეგ და გააფორმა ავსტრიის გამოსვლა პირველი ანტიფრანგული კოალიციიდან.

ხელშეკრულების თანახმად ავსტრია საფრანგეთს უთმობდა ბელგიას და აღიარებდა ცისალპიურ რესპუბლიკას მის შემადგენლობაში შემავალ ლომბარდიასთან ერთად; ხელშეკრულების საიდუმლო მუხლის თანახმად, ავსტრია იღებდა ვალდებულებას, რაშტადტის კონგრესზე (1797-99) ხელი შეეწყო საფრანგეთისთვის რაინის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიების გადაცემის საქმეში. ამისთვის და აგრეთვე მოდენის ჰერცოგისათვის ბრეისგაუს ოლქის გადაცემაზე თანხმობისათვის ავსტრია იღებდა ზალცბურგს და ბავარიის ტერიტორიის ნაწილს მდინარე ინამდე. ვენეციის რესპუბლიკა წყვეტდა არსებობას. ავსტრიას გადაეცა ქ. ვენეცია, ტერიტორია მდინარე ადიჯეს მარცხენა ნაპირზე, აგრეთვე ვენეციის რესპუბლიკის სამფლობელოები ისტრიასა და დალმაციაში. იონიური კუნძულები და ალბანეთის დიდი ნაწილი გადადიოდა საფრანგეთის ხელში.

ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო საფრანგეთის ჰეგემონიის დამყარებას იტალიაში და უზრუნველყო ფრანგული პლაცდარმების შექმნა ალბანეთსა და იონიის კუნძულებზე.

**ᲙᲐᲜᲘᲜᲒᲘ (Canning)** ჯორჯ (1770-1827), ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. თემთა პალატის წევრი 1793-დან. 1796-99 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1799-1801, 1804-06 და 1816-20 ეკავა სხვადასხვა სახელმწიფო თანამდებობა. 1807-09 – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1809-14 – ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი; 1814-16 – დიდი ბრიტანეთის ელჩი პორტუგალიაში; 1821 – დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი *ლაიბახის კონგრესზე*. 1822-27 – საგარეო საქმეთა მინისტრი და თემთა პალატის ლიდერი, ხოლო 1827 – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. იბრძოდა ევროპაში დიდი ბრიტანეთის ჰეგემონობის დამკვიდრებისათვის და გამოდიოდა *საღვთო კავშირის* წინააღმდეგ. აქტიურად მონაწილეობდა *პეტერბურგის ოქმის 1826* დადებაში.

**ᲙᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ 1922**, *ანტანტის* უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელიც მიმდინარეობდა 6-13.I კანში (საფრანგეთი) გერმანიის წარმომადგენლისა და აშშ-დან მეთვა-

ლიურის მონაწილეობით. აღიარეს რა, რომ ევროპის ომისშემდგომი აღდგენა მოითხოვდა მრავალი სახელმწიფოს ძალისხმევის გაერთიანებას, სხდომის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, გენუაში (იტალია) მოეწვიათ ეკონომიკურ-ფინანსური კონფერენცია ევროპის ყველა სახელმწიფოს მონაწილეობით, რომელზეც აშშ-ც იქნებოდა მოწვეული. კონფერენციამ წამოაყენა მთელი რიგი პირობები, რომელთა მიღების შემთხვევაშიც ანტანტის ქვეყნები ოფიციალურად ცნობდნენ საბჭოთა რუსეთს. ამასთან ერთად ანტანტის უმაღლესმა საბჭომ საბჭოთა რუსეთს მოწვევა გაუგზავნა მომავალ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. კ.-ის გადაწყვეტილებები წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს *გენუის კონფერენციის 1922* მოსამზადებლად.

*ლიტ.*: Документы внешней политики СССР, т. 5, М., 1961, с. 57-59; Материалы Генуэзской конференции, М., 1922, с. 3-10.

**კანონი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ,** იხ. *საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონი.*

**„კანოსაში წასვლა"**, დიპლომატიური ტერმინი, რომელიც გამოხატავს პოლიტიკურ ნაბიჯს, გათვლილს რაიმეს მისაღწევად მხოლოდ დიდი დათმობის ან დამამცირებელი კაპიტულაციის ფასად. როგორც ფრთიანი ფრაზა, გამოიყენება 1872 მაისის შემდგომ, როდესაც გერმანიის რაიხსტაგში გამოსვლისას *ბისმარკმა* რეპლიკა ისროლა: „ჩვენ კანოსაში არ წავალთ". თვით ტერმინის წინა ისტორია 1077 იანვრიდან იწყება, როდესაც გერმანიის იმპერატორ ჰაინრიხ IV-ს და რომის პაპ გრიგოლ VII-ს (ჰილდებრანდი) შორის ინვესტიტურისთვის ბრძოლამ ზენიტს მიაღწია, პაპმა იმპერატორი ეკლესიიდან განკვეთა და ვასალები აუჯანყა. ჰაინრიხ IV იძულებული გახდა, თავი დაემცირებინა და ჩრდილოეთ იტალიის ციხე კანოსაში, მარკგრაფის ქვრივის მატილდა ტოსკანელის საბრძანებელში სტუმრად მყოფ რომის პაპს ხლებოდა. ამასთან იმპერატორი 3 დღე-ღამის მანძილზე თავმოხდილი და ფეხშიშველი ელოდა პაპის აუდიენციას იანვრის სუსხში. ბოლოს პაპმა იგი მიიღო და პატიების შესახებ მისი თხოვნაც შეიწყნარა.

**კანტემირი** ანტიოქ დიმიტრის ძე (1708-44), რუსი დიპლომატი, პოეტი 1732-დან – რეზიდენტი, შემდეგ კი სრულუფლებიანი მინისტრი დიდ ბრიტანეთში, მონაწილეობდა 1734 რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმებაში, ბრიტანეთის მთავრობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას კავშირის თაობაზე, 1738 გადაყვანილ იქნა საფრანგეთში, თავდაპირველად სრულუფლებიან მინისტრად, ხოლო 1739-დან – დესპანად. ხელს უწყობდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას, რომელიც შეწყდა პოლონეთის მემკვიდრეობისათვის გაჩაღებული ომის შედეგად.

**კანტემირი** დიმიტრი კონსტანტინეს ძე (1673-1723), მოლდავეთისა და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი, პოეტი. 1695-1700 – მოლდავეთის სამთავროს ელჩი ოტომანთა პორტაში. როდესაც გახდა მოლდავეთის მმართველი, 1711 *პეტრე I-თან* დადო ხელშეკრულება ანტითურქული კავშირისა და მოლდავეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე. წარუმატებელი პრუტის ლაშქრობის (1711) შემდეგ გადავიდა რუსულ სამსახურში, მიიღო უგანათლებულესი თავადის ტიტული, მამულები და ფულადი პენსია. 1721-დან სენატის წევრი; 1722, როგორც პეტრე I-ის უახლოესი მრჩეველი, ახლდა მას სპარსეთზე ლაშქრობის დროს და სათავეში ედგა სალაშქრო კანცელარიას. არის რამდენიმე ისტორიული თხზულების ავტორი, 1714 არჩეულ იქნა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

**„კან-ტოკუ-ენი"** (შემოკლებული იაპონურიდან „კანტოგუნ ტოკუბეცუ ენსიუ" – „კვანტუნის არმიის სპეციალური მანევრები"), სსრკ-ის წინააღმდეგ ომის პირობითი სახელწოდება, დამუშავებული იაპონიის გენშტაბისა და კვანტუნის არმიის შტაბის მიერ 1941 წლის ივლისისათვის. გეგმა ითვალისწინებდა უეცარ საჰაერო თავდასხმას საბჭოთა საჰაერო ბაზებზე შორეულ აღმოსავლეთში, დარტყმას ზღვისპირეთის რაიონში, ვლადივოსტოკის ზურგში მოქცევას და ფლოტთან ურთიერთქმედების შედეგად იქ სამხედრო ბაზის ხელთ გდებას, ხაბაროვსკის, ბლაგოვეშჩენსკისა და შორეულ აღმოსავლეთში სხვა საბჭოთა რაიონების დაკავებას. არმიისა და ფლოტის სპეციალურ ჯგუფებს უნდა დაეკავებინათ ჩრდ. სახალინი და კამჩატკა. სსრკ-ზე თავდასხმა გათვალისწინებული იყო 29.VIII. 1941, ხოლო ომის დამთავრებას ვარაუდობდნენ ოქტომბერში. „კტე"-ის თანახმად 1941 წლის ზაფხულში ჩატარდა ფარული მობილიზაცია, რის შედეგადაც კვანტუნის არმია 700 ათას კაცამდე გაიზარდა.

ჰიტლერული „ბლიცკრიგის" კრახმა შეაკავა იაპონია სსრკ-ზე თავდასხმისაგან. მაგრამ მანჯურიაში იაპონელთა მსხვილი სამხედრო შენაერთების ყოფნის გამო, საბჭოთა კავშირი იძულებული იყო, 1941-45 შორეულ აღმოსავლეთში 40 დივიზია ჰყოლოდა.

**კაპიტოლიუმი** (ინგლ. Capitol), შენობა აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში, სადაც განლაგებულია და თავის საქმიანობას ახორციელებს ამერიკის კონგრესის ორივე პალატა (სენატი და წარმომადგენელთა პალატა); გადატანითი მნიშვნელობით იგულისხმება აშშ-ის კონგრესი. კ-ს ზოგჯერ უწოდებენ იმ შენობებს, რომლებშიც მოთავსებულია ცალკეული შტატების საკანონმდებლო ორგანოები.

**კაპიტულაცია** (ლათ. capitulare – მოლაპარაკებანი გარკვეულ პუნქტთა შესახებ), საომარი მოქმედებების შეწყვეტის ფორმა, რომელიც გულისხმობს შეიარაღებული ძალების (ან მისი ნაწილის) მიერ წინააღმდეგობის გაწევის შეწყვეტას. კაპიტულაციის კონკრეტული პირობები შეიძლება შეთანხმებულ იქნეს მეომარ მხარეთა მოლაპარაკების შედეგად. თუმცა, როგორც წესი, კ-ის დროს მთელი შეიარაღება და სამხედრო ქონება გადადის გამარჯვებული მხარის ხელში, ხოლო ჯარების პირად შემადგენლობას *სამხედრო ტყვეების* სტატუსი ენიჭებათ. კ-ის ნაირსახეობას წარმოადგენს ე.წ. უპირობო კ., რომელიც მიიღება გამარჯვებული მხარის მიერ წამოყენებული პირობების შესაბამისად მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის დამარცხების შემთხვევაში. ასეთ დროს აქტს კ-ის შესახებ ხელს აწერენ დამარცხებული სახელმწიფოს წარმომადგენლები ყოველგვარი დათქმისა და პირობის გარეშე. მაგ.: უპირობო კ-ის აქტს გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს 1945 წლის 8 მაისს, ხოლო იაპონიის წარმომადგენლებმა 1945 წლის 2 სექტემბერს. ორივე აქტი მოითხოვდა დამარცხებული მხარეების მიერ ყველგან და საბოლოოდ საომარი მოქმედებების შეწყვეტას, განიარაღე-

ბასა და მოკავშირეთა ძალებისათვის ტყვედ ჩაბარებას. კ., ისევე როგორც დაზავება, იურიდიულად არ წყვეტს საომარ მდგომარეობას სახელმწიფოთა შორის. სახელმწიფოთა შორის ომის მდგომარეობის შეწყვეტა ხდება მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური *საზავო ხელშეკრულების* დადების შემდეგ. კ. განსხვავდება დაზავებისაგან (იხ. *საომარი მოქმედებების შეწყვეტა*) იმით, რომ კ-ის დროს კაპიტულირებული მხარე ფორმალურადაც კი უფლებააყრილია და არ უთანასწორდება გამარჯვებულ მხარეს.

**კაპიტულაციის რეჟიმი**, განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელსაც აწესებს სახელმწიფო საკუთარ ტერიტორიაზე და რომლის თანახმადაც მეორე სახელმწიფოს მოქალაქეებს ენიჭებათ გარკვეული პრივილეგიები ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით. კ.რ. ითვალისწინებდა უცხოელთა ამოღებას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციიდან და მათ მხოლოდ თავიანთი სახელმწიფოს მიერ დანიშნული კონსულისადმი დაქვემდებარებას (იხ. *საკონსულო იურისდიქცია*), მათ ბეგარისაგან განთავისუფლებას, განსაკუთრებულ უბნებში დასახლების უფლებას. კ.რ., როგორც წესი, ატარებდა ცალმხრივ ხასიათს. შუა საუკუნეების ბოლოს იგი დაფიქსირდა (ხელშეკრულებითი გაფორმება) ქრისტიანულ და არაქრისტიანულ სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში. პირველი ასეთი ხელშეკრულება იყო 1535 ფრანცისკ I-სა და სოლიმან II-ს შორის დადებული შეთანხმება. მსგავსი ხელშეკრულებები XVIII-XIX სს. დადებულ იქნა გერმანიასა და თურქეთს, საბერძნეთსა და თურქეთს შორის, მაროკოსა და საფრანგეთს შორის და სხვა. კ.რ. დღეისთვის აღარ მოქმედებს, თუმცა გარკვეულ ანალოგიას წარმოადგენს უცხო სახელმწიფოთა სამხედრო ბაზების მოსამსახურეთა ადგილსამყოფელ ქვეყანაში (უმეტესად აშშ-ის შემთხვევაში).

**კაპოდისტრიასი** (Kapodistrias) იოანე (იოანის) ანტონის ძე (1776-1831), გრაფი, ბერძენი და რუსი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1803-07 – შვიდი გაერთიანებული კუნძულის რესპუბლიკის (იონიის) საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი. 1809-27 რუსეთის დიპლომატიურ სამსახურში. 1813-15 იყო დესპანი შვეიცარიაში, მონაწილეობდა *ვენის კონგრესის* მუშაობაში. 1815 წელს მიიღო საგარეო საქმეთა სტატს-მდივნის თანამდებობა და 1816-დან (კ.ვ. *ნესელროდესთან* ერთად) მართავდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. განაგებდა რუსეთის ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად მიაჩნდა საფრანგეთთან დაახლოება, აგრეთვე ოსმალთა უღლისაგან თურქეთის ევროპულ სამფლობელოთა განთავისუფლება და ბალკანეთზე რუსეთის მფარველობის ქვეშ ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნა. იგი მონაწილეობდა *1820 ტროპაუს კონგრესში* და გამოდიოდა ნეაპოლის რევოლუციის ჩახშობის წინააღმდეგ. 1822 გაეიდა თადარიგში და დასახლდა ჟენევაში. საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის (1821-29) დროს 1827 აირჩიეს საბერძნეთის პრეზიდენტად. 1831 შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

**კაპრივი** (Caprivi) ლეო (1831-99), გრაფი, გერმანიის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. 1849-90 სამხედრო სამსახურში. 1860-83 – გენერალური შტაბის წევრი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საფრანგეთ-პრუსიის ომში 1870; 1883-88 – სამხედრო-საზღვაო მინისტრი; 1890-94 – გერმანიის რაიხსკანცლერი და იმავდროულად 1890-92 – პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტი. 1890 უარი თქვა *„ურთიერთგადაზღვევის ხელშეკრულების" 1887* განახლებაზე, *1890* დადო *ინგლის-გერმანიის ხელშეკრულება;* 1890 განაახლა *„სამთა კავშირი" 1882.*

**კაპუსტინი** მიხეილ ნიკოლოზის ძე (1828-99) რუსი იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. 1852-70 მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი; 1883-დან ტარტუს, ხოლო 1891 პეტერბურგის სასწავლო მაზრის მეურვე. 1898 იყო გვიანას შესახებ საფრანგეთსა და ნიდერლანდებს შორის წამოჭრილი დავის განმხილველი არბიტრაჟის წევრი. აქვს ნაშრომები საერთაშორისო სამართლის საკითხებზე: „რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობანი დასავლეთ ევროპასთან XVI საუკუნის მეორე ნახევარში" (1852); „საერთაშორისო სამართლის საკითხების მიმოხილვა" (1856).

**კარაკასის კონფერენცია 1954** (ამერიკის ქვეყნების X კონფერენცია), გაიმართა 1-28.III კარაკასში (ვენესუელა). კ.კ-ის მუშაობაში მონაწილეობდა აშშ და ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა კოსტა-რიკის გარდა. აშშ-მა, ვინაიდან ემზადებოდა დემოკრატიული ხელისუფლების დამხობისათვის გვატემალაში და სურდა *ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის (ასო)* მეშვეობით იქ დაგეგმილი ინტერვენციის ლეგალიზება, კ.კ-ას თავს მოახვია რეზოლუცია, რომელიც აკანონებდა ასო-ის ჩარევას ნებისმიერი ამერიკული ქვეყნის საშინაო საქმეებში „კოლექტიური ინტერვენციის" საშუალებით, იმ საბაბით, რომ ეს ქვეყანა „საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის კონტროლქვეშ" არ აღმოჩენილიყო. ამგვარი სიტუაცია ცხადდებოდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის საშიშ მოვლენად და ექცეოდა *რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულების 1947* მოქმედების ქვეშ. გვატემალამ, მექსიკამ და არგენტინამ უარი განაცხადეს ამ რეზოლუციის მხარდაჭერაზე (*იხ. აშშ-ის ინტერვენცია გვატემალაში 1954)*

კონფერენციის სხვა გადაწყვეტილებები შეეხო აშშ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს.

*ლიტ.:* Tenth Inter-American Conference – "Annals of the Organization of American States", 1954, vol.6, Spezial Number.

**კარახანი** (ნამდვ. გვარი ყარახანიანი) ლევ მიხეილის ძე (1889-1937), რუსეთში რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში 1917. 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მარტამდე საბჭოთა დელეგაციის წევრი და მდივანი ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან მოლაპარაკების დროს. 1918-21 – რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, 1923-27 – სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში, იმავდროულად 1925-27 – სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1927-34 – სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე. 1934-37 – სსრკ სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში. ხელმძღვანელობდა სსრკ სამთავრობო დელეგაციებს მონღოლეთში, ირანში, თურქეთში. ხელი მოაწერა მრავალ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებას. კ-მა *ლენინის* და *ჩიჩერინის* რჩევებით ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას.

**ᲙᲐᲠᲐᲯᲘᲩᲘ** (Karadzićc) რადოვან (დ. 1945), ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბიული რესპუბლიკის პრეზიდენტი. ჩერნოგორიელი. კ. 1960 ჩაირიცხა სარაევოს სამედიცინო ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ფსიქიატრად. 1990 დააარსა სერბიის დემოკრატიული პარტია და ჩაუდგა მას სათავეში. 1991 წლის 24 ოქტომბერს ბოსნიელმა სერბებმა ბანია-ლუკაში (აღმ. ბოსნია) საკუთარი პარლამენტი აირჩიეს, ხოლო კ. სერბების პრეზიდენტად. 1992 წლის 27 მარტს მან ბოსნია-ჰერცეგოვინის სერბიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1995 წლის 27 ივლისს გაეროს იუგოსლავიის ტრიბუნალმა ჰააგაში კ. სამხედრო დამნაშავედ ცნო.

**ᲙᲐᲠᲓᲔᲚᲘ** (Kardelj) ედვარდ (1910-79), იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1941-მდე ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას. სახალხო-განმათავისუფლებელი ომის დროს იყო იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისა და პარტიზანული რაზმების უმაღლესი შტაბის წევრი; 1943-დან – იუგოსლავიის განთავისუფლების ეროვნული კომიტეტის წევრი. 1945-დან – საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, ამასთან ერთად, 1948-დან – იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი. ხელმძღვანელობდა იუგოსლავიის დელეგაციებს *სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე 1946,* და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომებზე მოსკოვში (1947). 1953-63 – იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1963-67 – იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრი. 1974-79 – ისფრ-ის პრეზიდიუმის წევრი. 1975-78 – საერთაშორისო ურთიერთობების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე. საერთაშორისო პრობლემებზე მრავალი ნაშრომის ავტორი.

**ᲙᲐᲠᲓᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲕᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ 1661** რუსეთსა და შვეციას შორის, დადებულ იქნა 21. VI (1.VII) კარდისში (თანამედრ. კიარდე, ესტონეთი); დაასრულა „სამუდამო ზავით" რუსეთ-შვეციის 1656-58 ომი. ხელშეკრულება აღადგენდა საზღვარს რუსეთსა და შვეციას შორის, რომელიც დადგენილ იქნა 1617 სტოლბოვოს საზავო ხელშეკრულებით.

**ᲙᲐᲠᲘᲐᲚᲐᲘᲜᲔᲜᲘ** (Karjalainen) ახტი (დ. 1923), ფინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1947-50 – აგრარული კავშირის (ამჟამად ცენტრის პარტია) მდივანი ინფორმაციის საკითხებში. 1950-56 – პრემიერ-მინისტრის მდივანი, 1957-58 – ფინანსთა მინისტრი, 1959-61 – ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, 1961-62, 1964-70 და 1972-75 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1962-63 და 1970-71 – ფინეთის პრემიერ-მინისტრი, 1976-77 – პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი და უპორტფელო მინისტრი. პარლამენტის დეპუტატი 1966-69. 1958-დან – ფინეთის სახელმწიფო ბანკის მმართველთა საბჭოს წევრი, ხოლო 1979-83 – ჯერ მოვალეობის შემსრულებელი, შემდეგ კი ბანკის დირექტორი. 1983 პენსიონერია.

**ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ** (Caribbean Community – CARICOM) – რეგიონული საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებსა და ტერიტორიებს. კ.თ-ის ჩარჩოებში შექმნილია მთელი რიგი სუბრეგიონული ორგანიზაციები, კარიბის ქვეყნების ინტეგრაციის გზაზე პირველი ნაბიჯი იყო 1965-68 შექმნილი თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია (თვა), რომლის წევრებიც გახდნენ გაიანა, ანტიგუა, ბარბადოსი, ტრინიდადი და ტობაგო, გრენადა, დომინიკა, მონტსერატი, სენტ-ვინსენტი, სენტ-კრისტოფერი-ნევისი-ანტილია, სენტ-ლუსია, იამაიკა, ხოლო 1970-დან ბელიზი. ხელშეკრულება ამ ასოციაციის შექმნის შესახებ ითვალისწინებდა რეგიონის შიგნით საბაჟო გადასახადების გაუქმებას მრავალ საქონელზე. რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროგრამების დაფინანსების მიზნით 18.X. 1969 დაარსდა კარიბის განვითარების ბანკი, რომლის ადგილსამყოფელი იყო ბრიჯტაუნში (ბარბადოსი). ბანკში გაერთიანდნენ: ასოციაციის ყველა ქვეყანა, აგრეთვე ბაჰამის კ-ბი – ტერკსი და კაიკოსი, დიდი ბრიტანეთი და კანადა, ხოლო 1972-დან – კოლუმბია და ვენესუელა. 1968 წლის ივნისში რეგიონის მთელმა რიგმა ქვეყნებმა დააარსეს ე.წ. აღმოსავლეთ კარიბის საერთო ბაზარი, რომელიც ითვალისწინებდა უფრო ფართო და დინამიკურ ინტეგრაციას, ვიდრე თვა. ამ ბაზრის შექმნამ გაამწვავა ასოციაციის შიგნით არსებული წინააღმდეგობანი, რომელთა დაძლევის მიზნით სახელმწიფოთა მეთაურების თათბირზე (1972, 9-14.X.) გადაწყდა კარიბის თანამეგობრობის შექმნა. 4.VII. 1973 ჩაგუარამასში (ტრინიდადი და ტობაგო) ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება კ.თ-ის შექმნის შესახებ და შეთანხმება კარიბის საერთო ბაზრის შექმნის შესახებ. 1973 ხელშეკრულების თანახმად, თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნები იღებდნენ ვალდებულებას საერთო ბაზრის შესაქმნელად, თანამშრომლობის გასაფართოვებლად მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ტურიზმის და სხვა სფეროებში. თანამეგობრობის უმაღლესი ორგანოა მთავრობათა მეთაურების თათბირი, აღმასრულებელი ორგანო – მუდმივმოქმედი კომიტეტი. შტაბ-ბინა არის ჯორჯტაუნში (გაიანა). შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის შესახებ ითვალისწინებს საბაჟო გადასახადების გაუქმებას, ეკონომიკური და სოციალური პროექტების ერთობლივ განხორციელებას, საერთო სავაჭრო პოლიტიკის გამომუშავებას მესამე ქვეყნების მიმართ და ა. შ. საერთო ბაზრის ხელმძღვანელი ორგანოა წარმომადგენელთა საბჭო. თავისუფალი ვაჭრობის კარიბის ასოციაციამ თავისი არსებობა შეწყვიტა 1974.

1973-დან არსებობს საერთო ბაზარში შემავალი ქვეყნების ე.წ. კარიბის საინვესტიციო კორპორაცია, რომელიც შექმნილია აღმოსავლეთ კარიბის ქვეყნების სამრეწველო განვითარებისათვის. 70-იანი წლებიდან კარიბის აუზის საინტეგრაციო პროცესებში კუბაც ჩაერთო. 5.XI. 1975 კუბისა და ტრინიდად-ტობაგოს ინიციატივით დაარსდა კარიბის აუზის ქვეყნების განვითარებისა და თანამშრომლობის კომიტეტი, რომელიც მოქმედებს ლათინური ამერიკისათვის შექმნილი გაეროს ეკონომიკური კომისიის ეგიდით. კარიბის ქვეყნებისათვის მეტად ხელსაყრელი იყო 2.XII. 1975 კარიბის სანაოსნო კომპანიის დაარსება. 1981 კარიბის თანამეგობრობის 7-მა ქვეყანამ (ანტიგუა, გრენადა, დომინიკა, მონტსერატი, სენტ-ვინსენტი, სენტ-ლუსია, სენტ-კრისტოფერი-ნევისი-ანტილია) დააარსეს კიდევ ერთი სუბრეგიონული დაჯგუფება – აღმოსავლეთ კარიბის

ქვეყნების ორგანიზაცია თანამეგობრობის ფარგლებში თანამშრომლობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებისათვის.

**კარიბის კრიზისი 1962**, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთ-ერთი უმწვავესი კრიზისი, გამოწვეული სსრკ-ისა და აშშ-ის მეტოქეობით კუბაში. კუბელ რევოლუციონერთა მიერ ამერიკელი დაქირავებული რაზმების განადგურებამ პლაია-ხირონზე კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ურთიერთობა ფ. *კასტროს* რევოლუციურ რეჟიმსა და აშშ-ს შორის. ამის გამო, 1962 ზაფხულში, თითქოსდა რევოლუციური კუბის დაცვის საბაბით, საბჭოთა მთავრობამ სხვა იარაღთან ერთად კუბაში რაკეტებიც შეიტანა. ამან კიდევ უფრო მეტად დაძაბა ურთიერთობა როგორც კუბა – აშშ-ს, ისე სსრკ – აშშ-ს შორის. 26.IX აშშ-ის კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ დაეშვათ კუბის ზეგავლენის ზრდა დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნებზე. 22.X აშშ-ის მთავრობამ გამოაცხადა 24. X-დან კუბის ირგვლივ მკაცრი კარანტინის დაწესება. ამას მოჰყვა საბჭოთა კავშირის მხრიდან საწინააღმდეგო აქციები (კუბის მიმართულებით სამხედრო ფლოტის გაგზავნა და ა.შ.), რამაც წარმოშვა ოქტომბერში მძაფრი საერთაშორისო კრიზისი. დაძაბულ სიტუაციაში ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბერში ინტენსიური დიპლომატიური კონტაქტების შემდეგ, აგრეთვე სსრკ-ისა და აშშ-ის ხელმძღვანელებს შორის უმაღლეს დონეზე წერილების გაცვლის შემდეგ, მიღწეულ იქნა სსრკ – აშშ-ის შესაბამისი შეთანხმება კუბის თაობაზე. 20.VI აშშ-ის მთავრობამ გააუქმა კარანტინი კუბის ირგვლივ და ხელი აიღო კუბაში ფ. კასტროს რეჟიმის დამხობის ცდებზე, სანაცვლოდ საბჭოთა კავშირმა თავისი რაკეტები გამოიტანა კუბის ტერიტორიიდან.

**კარიბის საერთო ბაზარი**, იხ. *კარიბის თანამეგობრობა.*

**კარილიო ფლორესი** (Carilo Flores) ანტონიო (დ.1909), მექსიკის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1952-58 – მექსიკის ფინანსთა მინისტრი, 1959-64 – მექსიკის ელჩი აშშ-ში; 1964-70 – მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1972-74 – მოსახლეობის პრობლემებზე გაეროს კონფერენციის გენერალური მდივანი; 1977-დან – მექსიკის მთავრობის მრჩეველი ფინანსებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. 1979-82 – ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის წევრი, იყო საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. 1980-81 – მექსიკის ელჩი სსრკ-ში. 1982-დან – მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი.

**კარლოვაცის (კარლოვიცის) კონგრესი 1698-99** მოწვეულ იქნა 1698 ოქტომბერში კარლოვაცში (სლავონია) ზავის დასადებად, ერთი მხრივ, ოსმალეთის იმპერიასა და, მეორე მხრივ, „საღვთო ლიგას" – რუსეთის, ავსტრიის, ვენეციასა და რეჩ-პოსპოლიტას – შორის. კონგრესზე ოფიციალური შუამავლების როლში გამოდიოდნენ ინგლისისა და ნიდერლანდების წარმომადგენლები. კონგრესის მსვლელობის დროს ავსტრიამ, ვენეციამ და პოლონეთმა ხელი მოაწერეს ცალკეულ საზავო ხელშეკრულებებს თურქეთთან, ხოლო რუსეთმა ხელი მოაწერა მასთან შეთანხმებებს დაზავების შესახებ. ეს აქტები ცნობილია, როგორც კარლოვაცის საზავო ხელშეკრულებები 1699. პოლონეთმა, რომელმაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 16.I, შეიძინა თურქეთის ხელში დარჩენილი უკრაინის ალმოს. სანაპიროს ნაწილი და პოდოლი, კამენეც-პოდოლსკის ციხესიმაგრით, მაგრამ ამავე დროს თურქეთს დაუბრუნა მოლდავეთის 6 ქალაქი, რომელიც პოლონეთის ჯარებს ეკავათ; ავსტრიამ, საზავო ხელშეკრულებით, რასაც ხელი მოაწერა 26.I, მიიღო ცენტრალური უნგრეთი, სემიგრადიე, ბაჩკო და თითქმის მთელი სლავონია; მხოლოდ ტემეშვარის პროვინცია ციხესიმაგრეებითურთ უბრუნდებოდა სულთანს; ვენეციამ, 26.I-ის ხელშეკრულებით, – გორეია (პელეპონესი) და შეინარჩუნა 6 ციხესიმაგრე დალმაციაში და არქიპელაგის კუნძულები, რასაც ომამდე ფლობდა. 14(24).I. 1699 რუსეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს 2 წლით დაზავებას uti possidetis პრინციპის საფუძველზე, ამასთან აზოვი რუსეთს რჩებოდა. კონგრესის მთავარი მნიშვნელობა ის იყო, რომ იგი აფიქსირებდა ევროპიდან თურქეთის უკან დახევას, რომელიც დაიწყო 1683. ვენასთან მისი ჯარების განადგურებით. თურქეთი იძულებული გახდა, ევროპის სახელმწიფოებისთვის დაეთმო ადრე მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები.

**კარლოვი-ვარის კონფერენცია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების 1967**, იხ. *ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების კონფერენცია კარლოვი- ვარში 1967.*

**კარლოს V** (1500-58) იმპერატორი 1519-1656, ესპანეთის მეფე, ჰაბსბურგთა საგვარეულოს წარმომადგენელი. 1506 მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან – ფილიპე ლამაზისაგან ბურგუნდია და ნიდერლანდები, 1516 თავის პაპის – ფილიპე არაგონელისაგან მემკვიდრეობით გადაეცა ესპანეთის ტახტი, 1519 გერმანიის იმპერატორის მაქსიმილიანე I-ის გარდაცვალების შემდეგ გერმანელმა კურფიურსტებმა იგი აირჩიეს „რომის საღმრთო იმპერიის" იმპერატორად კარლოს V-ის სახელწოდებით. კ.V-მ მემკვიდრეობით მიიღო ჰაბსბურგთა საგვარეულოს სამფლობელოები ევროპაში (ავსტრიის მიწები, ესპანეთი, ნიდერლანდები, სიცილია) და ესპანეთის სამეფოს მიწები „ახალ სამყაროში". კ.V „მსოფლიო იმპერიის" გამგებელი შეიქნა, მიისწრაფოდა, ცხოვრებაში გაეტარებინა იდეა „მსოფლიო ქრისტიანული იმპერიის" შექმნისა. ამ მიზნით იგი ცდილობდა თავისი პოზიციების გამაგრებას ესპანეთსა და ნიდერლანდებში. კ.V-ის დროს საგრძნობლად გაიზარდა ჰაბსბურგთა სამეფოს სამფლობელოები „ახალ სამყაროში" 1519-21 მექსიკის, ხოლო 1532-33 პერუს დაპყრობის შემდეგ. კ.V-ის საგარეო პოლიტიკური კურსი მიმართული იყო ევროპის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებისაკენ. იმპერატორის ამ გეგმას ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა საფრანგეთი და თურქეთი. საფრანგეთთან ჰაბსბურგთა იმპერია თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე აწარმოებდა ომებს (1521-25; 1527-28; 1536-38; 1542-44) იტალიისა და ბურგუნდიის გამო. 1532-33 ომით კ.V-მ მოახერხა თურქთა ევროპაში წინსვლის შეჩერება. 1535 ოსმალთა ვასალს ჰაბსბურგებმა წაართვეს თუნისი, მაგრამ 1541 თავად დამარცხდნენ ალჟირში. კ.V-მ, რომელიც „მსოფლიო კათოლიკური მონარქიის" შექმნაზე ოცნებობდა, თავის იდეოლოგიად მებრძოლი კათოლიციზმი აქცია. იგი ყველა ხერხით უპირისპირდებოდა რეფორმაციას გერმანიაში. იმპერატორმა 1521 გამოსცა ვორმსის ედიქტი, რომლის შემდეგ ლუთერი იძულებული შეიქნა, საქსონიის კურფიურსტის კოშკში ეძია თავშესაფარი. მაგრამ ბრძოლა რეფორმაციის წინააღმდეგ ამით არ დამთავრებულა. 1530 აუგსბურგის რაიხსტაგზე იმპერატორს ლუთერის მომხრე მთავრებმა წარუდგინეს ლუთერანობის საფუძვლები. მაგრამ იმპერატორმა უარყო ახალი სარწმუნოება, რის შემდეგ ლუთერის მომხრე მთავრებმა საიმპერიო ქალაქებთან ერთად

შეკრეს კავშირი ქალაქ შმალკალდენში იმპერატორის წინააღმდეგ. პროტესტანტ მთავართა წინააღმდეგ ომი კ.V-მ 1546 წამოიწყო (ე.წ.შმალკალდენის ომი). პირველ ეტაპზე წარმატება იმპერატორის მხარეზე იყო, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება პროტესტანტ მთავრებს დარჩათ. შმალკალდენის ომში დამარცხების შემდეგ კ.V იძულებული შეიქნა, 1555 ხელი მოეწერა აუგსბურგის რელიგიურ ზავზე, რის შემდეგ იგი ნებაყოფლობით გადადგა ტახტიდან თავისი ძმის ფერდინანდის სასარგებლოდ. ამავე დროს, კ.V-მ ესპანეთი ნიდერლანდებითურთ თავის შვილს *ფილიპე II-ს* გადასცა. ცხოვრების ბოლო პერიოდი კ.V-მ ესპანეთში გაატარა წმ. იუსტინეს მონასტერში.

**კარლოს XII** (1682-1718), მეფე 1697 წლიდან, კარლოს XI-ის ვაჟი. შვეციის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეზე დაყრდნობით აგრძელებდა მის დამპყრობლურ პოლიტიკას. მის განკარგულებაში იყო ევროპაში საუკეთესო არმია და ფლოტი. მისი ძირითადი მოღვაწეობა დაკავშირებულია ჩრდილოეთის ომში (1700-21) შვედების სამხედრო მოქმედებების ხელმძღვანელობასთან.

ომის დასაწყისში შვეციის არმიამ კ.XII-ის ხელმძღვანელობით დაამარცხა დანია და აიძულა იგი გამოსულიყო ჩრდილოეთის კავშირიდან (მასში შედიოდა რუსეთი, საქსონია, პოლონეთი, დანია). შემდეგ კ.XII-მ ჯარები ბალტიისპირეთში გადაისროლა და 1700 წლის 19(30) ნოემბერს ნარვასთან გაანადგურა რუსეთის ჯარი. 1701 მან სამხედრო მოქმედებები დაიწყო პოლონეთისა და საქსონიის წინააღმდეგ. გაჭიანურებულ ომში 1701-06 გამარჯვება მოიპოვა და აიძულა პოლონეთის მეფე ავგუსტ II ხელი მოეწერა ალტრანშტედტის 1706 სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის, უარი ეთქვა პოლონეთის გვირგვინზე და გამოსულიყო ჩრდილოეთის კავშირიდან. 1708 წლის ზაფხულში კ.XII-ის ჯარები შეიჭრნენ რუსეთში, მაგრამ მისი მცდელობები სმოლენსკისა და ბრიანსკის მიმართულებით, გზა გაეკვლია მოსკოვისაკენ, მოგერიებულ იქნა რუსეთის ჯარების მიერ. კ.XII-მ გადაწყვიტა, დროებით უარი ეთქვა რუსეთის შიგა რაიონებში შეჭრაზე და 1708 წლის ოქტომბერში კოსტენჩისა და სტაროდუბის რაიონებიდან უკრაინისაკენ გაემართა. აქ იგი უკრაინელი ჰეტმანის ი. მაზეპას დახმარებას ელოდა. 1709 პოლტავას ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, კ.XII თურქეთში გაიქცა. აქ იგი უშედეგოდ ცდილობდა ორგანიზაცია გაეწია რუსეთზე თურქეთისა და შვეციის ერთობლივი თავდასხმისათვის. 1711 თურქეთი მართლაც თავს დაესხა რუსეთს, მაგრამ ეს ომი სწრაფად შეწყდა, რადგან კ.XII-მ ვერ შეძლო დახმარება გაეწია თურქეთისათვის. 1715 ახალი არმიის შექმნის მიზნით, იგი შვეციაში დაბრუნდა. მან გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო ძალების მობილიზაციისაკენ ახალი ომის დასაწყებად. კ.XII მოკლულ იქნა ნორვეგიაში – ციხესიმაგრე ფრედერიკსჰალის შტურმის დროს. კ.XII-ის რუსეთში დამარცხების შედეგად შვეცია მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცა.

**კარლსტადის შეთანხმებანი 1905**, ხელმოწერილ იქნა 23.IX კარლსტადში (შვეცია) ნორვეგიისა და შვეციის მიერ შვეცია-ნორვეგიის უნიის დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც ამუხრუჭებდა ნორვეგიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას.

კარლსტადის შეთანხმებები განსაზღვრავდნენ შვეციისა და ნორვეგიის სასაზღვრო რაიონებში ნეიტრალური, დემილიტარიზებული ზონების შექმნას, შეიცავდნენ შვეციისათვის განკუთვნილი საქონლის უბაჟო ტრანსპორტირების პირობებს ნორვეგიის ტერიტორიაზე, სასაზღვრო საზღვაო სივრცის გამოყენების პირობებს და სხვა. კ.შ. რატიფიცირებულ იქნა ნორვეგიის სტორტინგის მიერ, 13.X შვეციის რიკსდაგის მიერ, რომელმაც თავის საგანგებო სესიაზე შვეცია-ნორვეგიის უნიის შესახებ აქტი გამოაცხადა ძალადაკარგულად და შვეციის მეფეს მიმართა თხოვნით, ეცნო ნორვეგია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 2 (15).XI. 1907 რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია ნორვეგიის ტერიტორიის მთლიანობის გარანტიას იძლეოდნენ.

**კარპინი** (Carpini) პლანო, ფრანცისკელი ბერი, რომელიც რომის პაპის ინოკენტი IV-ის მიერ ორგანიზებული ლიონის კონგრესის გადაწყვეტილებით 1246 მონღოლეთში საგანგებო ელჩად გაიგზავნა. იგი ოქროს ურდოში პოლონელ მღვდელ ბენედიქტესთან ერთად გაემგზავრა. მონღოლ ხელისუფლებთან მათი საუბრისას ძირითადად პოლიტიკური კავშირის, ზავისა და რელიგიის საკითხები ირჩეოდა; მეორე მიზანს მონღოლთა სამხედრო ძალისა და სხვა მსგავსი პრობლემების შესწავლა – ინფორმაციის შეგროვება წარმოადგენდა. სარაიში *ბათო-ყაენთან* შეხვედრის შემდეგ ხანმა პაპის ელჩი მონღოლთა სატახტო ყარაყორუმში გაგზავნა, თუმცა მან მხოლოდ შუა მონღოლეთამდე მიაღწია, სადაც მათ ყურულთაის კრებას დაესწრო. კ-მა მონღოლებთან მოლაპარაკებების შედეგად გარკვეული და კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო, თუმცა ევროპაში დაბრუნებულმა ვრცელი მოხსენებები წარადგინა მოისართა ტომის შესახებ; მათი მეშვეობით დასავლეთი პირველად გაეცნო ასეთ ინფორმაციას მონღოლთა შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამდენად, კ-ის დიპლომატიური მისია მაინც წარმატებულად ჩაითვალა და პაპის მიერ, მოგზაურობის აღწერის მოწონების გამო, ფრანცისკელთა ორდენის გენერლად დაინიშნა. კ-ის მოხსენებებში დაცულია უძვირფასესი ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ, მაგ., ყურულთაიზე *დავით VII* ულუსა და *დავით VI* ნარინის ნახვა და სხვა.

*თხზ.:* ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, თარგმნა გ. ქიქოძემ. - „მსკო", 1942, ნაკვ. 2.

**კარპოვი** ვიქტორ პავლეს ძე (დ. 1928), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1955-დან. 1955-62 – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკი; 1962-64 – აშშ-ში სსრკ საელჩოს პირველი მდივანი, ხოლო 1965-66 – საელჩოს მრჩეველი. 1966-79 – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატშია, იმავდროულად 1969-დან ჯერ როგორც საბჭოთა დელეგაციის მრჩეველი, ხოლო შემდეგ როგორც დელეგაციის წევრი, მონაწილეობდა სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებებში სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ; 1978-79 იყო სსრკ დელეგაციის მეთაური სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკებების მეორე ეტაპზე; 1979-დან იყო სსრკ საგანგებო დანიშნულებათა ელჩი, იმავდროულად, 1980-დან იყო საბჭოთა დელეგაციის მეთაური სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებების პირველ რაუნდზე ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ; 1982-83 – ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას *სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებებზე სტრატეგიული შეიარაღების*

*შემცირებისა და შეზღუდვის შესახებ.* 1985-დან ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას *სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებებზე ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების თაობაზე,* ამასთან ერთად იყო საბჭოთა მხარის წარმომადგენელი ამ მოლაპარაკებებზე სტრატეგიული შეიარაღების საკითხებში. არის საერთაშორისო ურთიერთობათა და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ნაშრომების ავტორი.

**კარტახენის შეთანხმება 1969,** იხ. *ანდების ჯგუფი.*

**კარტახენის შეთანხმებები,** შემუშავებულ იქნა 8-13.IV. 1907 ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის წარმომადგენელთა შეხვედრაზე კარტახენაში (ესპანეთი), ხოლო საბოლოო სახე მიეცა 16.V იდენტური დეკლარაციების გაცვლის შედეგად. შეთანხმებები ითვალისწინებდა ტერიტორიული *სტატუს-კვოს* შენარჩუნებას ატლანტის ოკეანის იმ ნაწილში, რომელიც ესაზღვრებოდა ევროპისა და აფრიკის სანაპიროებს, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაში. ესპანეთი, რომელიც დაადგა დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან დაახლოების გზას, შეთანხმებებს განიხილავდა, როგორც ხმელთაშუა ზღვაში, ისე ჩრდილოეთ აფრიკაში, თავისი პოზიციების განმტკიცების საშუალებას. ინგლისისათვის შეთანხმებები წარმოადგენდა გიბრალტარზე მისი უფლებების დადასტურებას ესპანეთის მხრიდან, ხოლო საფრანგეთი ამ შეთანხმებებით ვარაუდობდა ზურგის განმტკიცებას ევროპაში ომის შემთხვევაში. კ.შ-ის ბუნდოვანი ფორმულირებანი ურთიერთგარანტიების შესახებ განპირობებული იყო ესპანეთის მისწრაფებებით, არ გაეფუჭებინა ურთიერთობა გერმანიასთან.

1913 იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიას სურდა მაროკოს განაწილებაში მონაწილეობა, რადგან ესპანეთის გვინეისა და კუნძულ ფერნანდო-პოს მიმართ ინტერესები გაუჩნდა, ესპანეთმა წამოაყენა წინადადება, კ.შ-ის მონაწილე ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო კავშირი დამყარებულიყო. მაგრამ 7-10.X. 1913 კარტახენაში მიმდინარე საფრანგეთ-ესპანეთის მოლაპარაკებების დროს, საფრანგეთმა გერმანიის მხრიდან ესპანეთის გვინეისა და ფერნანდო-პოს მიმართ აქციების შემთხვევაში ხელფეხშეკრული რომ არ ყოფილიყო, უარი განაცხადა კავშირის პროექტზე. თავის მხრივ ესპანეთმა უარი უთხრა საფრანგეთს ჩრდ. აფრიკაში ჯარების გადაყვანაზე ესპანეთის ტერიტორიის გავლით. ამის შედეგად ორივე მხარემ მიიღო ე.წ. „კარტახენის მეორე დეკლარაცია", რომელშიც მოწონებული იყო თანამშრომლობის ის საფუძვლები, რაც წინა ხელშეკრულებებით გაფორმდა და ითვალისწინებდა სტატუს-კვოს შენარჩუნებას ატლანტიკაში, ხმელთაშუა ზღვასა და მაროკოში. ვალდებულებათა დაუკონკრეტებელმა ხასიათმა, რომლებიც კარტახენაში იქნა მიღებული, შესაძლებლობა მისცა ესპანეთს, *პირველი მსოფლიო ომის* დაწყებისას გამოეცხადებინა თავისი *ნეიტრალიტეტის* შესახებ (1.VIII. 1914), მოგვიანებით პროგერმანულმა პოზიციამ, რომელიც მეფე ალფონსო XIII-მ დაიკავა, გამოიწვია კ.შ-ის გაუქმება.

**კარტ-ბლანში** (ფრანგ. carte blanche), სუფთა ბლანკი, ხელმოწერილი პირის მიერ, რომელიც სხვა პირს უფლებას აძლევს ბლანკის საკუთარი შეხედულებისამებრ შევსებისა. გადატანითი მნიშვნელობით – განუსაზღვრელი უფლებები, მოქმედების სრული თავისუფლება.

**კარტერის დირექტივა N 59,** იხ. *„შეზღუდული ბირთვული ომის"* დოქტრინა.

**კარტერის დოქტრინა,** წამოყენებულ იქნა აშშ-ის პრეზიდენტის ჯ. კარტერის მიერ 23.I. 1980 კონგრესისადმი გაგზავნილ წერილში „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ". კ.დ-ის მიხედვით, „რომელიმე გარეშე ძალის მცდელობა სპარსეთის ყურის რაიონზე კონტროლის დასამყარებლად" უნდა ჩათვლილიყო როგორც „აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფა." ამიტომაც, ნათქვამი იყო წერილში, აშშ-ს თავისი ინტერესების დასაცავად უნდა გამოეყენებინა ნებისმიერი საშუალებები „სამხედრო ძალების ჩათვლით". კ.დ-ის მიხედვით, სპარსეთის ყურის რაიონში უნდა შექმნილიყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების სამხედრო ბაზები, იარაღის საწყობები, უნდა გამოეყენებინათ ადგილობრივი ნავსადგურები და აეროპორტები. გარდა ამისა, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები კ. დიეგო-გარსიაზე სამხედრო ბაზის შესაქმნელად და *„სწრაფი რეაგირების ძალების"* ფორმირებისათვის. 1981-დან, ხელისუფლების სათავეში რ. *რეიგანის* ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, აშშ-ის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, სპარსეთის ყურის რეგიონში, კიდევ უფრო მეტად გააქტიურდა.

**კასაბლანკის ინციდენტი 1908-09,** გამოიწვია საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობებმა. მისი უშუალო საბაბი გახდა კასაბლანკაში გერმანიის საკონსულოს თანამშრომელთა მორიგი ცდა, დახმარებოდნენ 6 ჯარისკაცს, მათ შორის 3 გერმანელს, რათა ისინი გაქცეულიყვნენ საფრანგეთის უცხოური ლეგიონიდან. საფრანგეთის პოლიციამ დეზერტირები დააკავა გერმანიის ხომალდზე და ამასთან შეურაცხყოფა მიაყენა გერმანიის საკონსულოს წარმომადგენლებს. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საფრანგეთის მთავრობას შეურაცხყოფისათვის ბოდიშის მოხდა და 3 გერმანელი ლეგიონერის განთავისუფლება მოსთხოვა. ინგლისისა და რუსეთის მთავრობებმა მხარი დაუჭირეს საფრანგეთს და მარტოდმარტო დარჩენილი გერმანია იძულებული გახდა, დათანხმებოდა სადავო საკითხის ჰააგის საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოში გადაცემას. სასამართლომ ძირითადად გაამართლა საფრანგეთის მოქმედება. ორი სახელმწიფო შეთანხმდა მაროკოს ხარჯზე, რაც აისახა მათ 9.II. 1909 შეთანხმებაში. საფრანგეთმა პირობა დადო, „არ შეეშალა ხელი გერმანიის სავაჭრო და სამრეწველო ინტერესებისათვის". გერმანიამ აღიარა საფრანგეთის „განსაკუთრებული პოლიტიკური ინტერესები, რომლებიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაროკოში წესრიგისა და საშინაო მშვიდობის უზრუნველსაყოფად".

**კასაბლანკის კონფერენცია 1943,** აშშ-ის პრეზიდენტის ფ.დ. *რუზველტის,* ინგლისის პრემიერ-მინისტრის უ. *ჩერჩილის* თათბირი ორივე სახელმწიფოს უმაღლესი რანგის სამხედრო პირების მონაწილეობით, რომელიც გაიმართა 14-24.I ანფაში, კასაბლანკის გარეუბანში (ყოფ. საფრანგეთის მაროკო) *მეორე მსოფლიო ომში* ერთობლივი სტრატეგიის შემუშავების მიზნით. კონფერენციის მუშაობაში მოწვეული იყო ი.ბ. *სტალინიც,* მაგრამ მან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელობის გამო, ვერ შეძლო კასაბლანკაში ჩასვლა.

კონფერენციაზე განიხილეს სამხედრო ოპერაციათა პერსპექტივები 1943-ისათვის „ღერძის“ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გაერთიანებული ერების უპირველესი ამოცანაა ჰიტლერული გერმანიის განადგურება, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებების გამო, კონფერენციის მონაწილეებმა, მეორე ფრონტის შესახებ სსრკ-სთან ადრე მიღწეული შეთანხმების დარღვევით, გადაწყვიტეს არა ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა, არამედ ცალკეული მანევრების ჩატარება, რაც ომის გაჭიანურებას გამოიწვევდა. საკითხი ლა-მანშის სრუტის გადალახვის შესახებ 1943 წელს არ იქნა გადაწყვეტილი. მითუმეტეს, რომ კონფერენციის მონაწილეების მიერ მიღებული გეგმა სიცილიაზე შეჭრის შესახებ ჩრდ. აფრიკაში საბრძოლო ოპერაციების დამთავრების შემდგომ, საერთოდ გამორიცხავდა ლა-მანშის სრუტეზე მოკავშირეთა გადასვლას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 1943 ომის მთელი სიმძიმე კვლავ საბჭოთა კავშირს უნდა დასწოლოდა მხრებზე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ატლანტიკაში გერმანელ ფაშისტთა წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ოპერაციების, გერმანიის დაბომბვის გაძლიერების და ატომური ბომბის შესაქმნელად მუშაობის თაობაზე ინფორმაციების გაცვლის შესახებ. შემუშავდა გეგმები 1943 წყნარ ოკეანეში ომის წარმოების შესახებ. ჩერჩილი დაჰპირდა რუზველტს, რომ გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ დიდი ბრიტანეთი აქტიურად ჩაებმებოდა ომში იაპონიის წინაღმდეგ. აშშ-ისა და ინგლისის ლიდერებმა გამოთქვეს სურვილი, იაპონიის წინააღმდეგ ომში სსრკ-ც ჩაბმულიყო.

განიხილეს მრავალი პოლიტიკური საკითხიც. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საფრანგეთის პრობლემას, რომელთან დაკავშირებულ მხარეებს შორის უთანხმოება წარმოიშვა. კონფერენციის მსვლელობისას რუზველტი და ჩერჩილი შეხვდნენ გენერალ შ. დე *გოლს*, რომელსაც ამერიკელები არ მიიჩნევდნენ საფრანგეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ლიდერად. გადაწყდა, რომ ჩერჩილს ეწარმოებინა მოლაპარაკება თურქეთთან, რათა ეს უკანასკნელი ჩაბმულიყო ომში ფაშისტური ქვეყნების წინააღმდეგ (*იხ. ადანის კონფერენცია 1943*). მწვავე უთანხმოება ჩამოვარდა კონფერენციის მონაწილეებს შორის კოლონიურ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან ჩერჩილს სურდა ბრიტანეთის კოლონიური იმპერიის შენარჩუნება. კონფერენციის დამთავრების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე 24.I ორივე ლიდერმა გამოაცხადა მოკავშირეთა განზრახვა, ეწარმოებინათ ომი მოწინააღმდეგის „უსიტყვო კაპიტულაციამდე“, რაც ნიშნავდა საბჭოთა კავშირის მიერ ომის დასაწყისში წამოყენებული იდეისადმი თანხმობას აგრესორის სრული განადგურებისა და ფაშიზმის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ.

**კასაბლანკის ჯგუფი**, ექვსი აფრიკული ქვეყნის (ალჟირი, განა, გვინეა, მალი, ეგვიპტე, მაროკო) პოლიტიკური გაერთიანება; შეიქმნა კასაბლანკის კონფერენციაზე ამ ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ 3-7.I. 1961. კონფერენციაზე მიღებულ ქარტიას საფუძვლად დაედო ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური პრინციპები. კ.ჯ.-მა დიდი როლი შეასრულა აფრიკული ქვეყნების გაერთიანების საქმეში. 1963 ადის-აბებაში (ეთიოპია) მოწვეულ საერთო აფრიკულ კონფერენციაზე კ.ჯ. შეუერთდა ე.წ. აფრო-მალაგასიის კავშირს, რის შედეგადაც დაარსდა *აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია*.

**კასიანენკო** ანატოლი ივანეს ძე (დ. 1942), უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში. 1960-61 – ელექტროხელსაწყოთა ქარხნის ხარატი, ქ.ხერსონის ბიოქარხნის ზეინკალი; 1961-63 მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში ქ. ოდესაში. 1963-66 – ბიოქარხნის ელექტრიკოსი „უკრტორგსტროის“ მემონტაჟე, კრივის მწერთნელი, ქ. ხერსონის ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი; 1966-69. ქ. ოდესის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი; 1969-74 – ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე ქ. ხერსონის კომკავშირის საოლქო კომიტეტში; 1974-84 – უკრაინის კომპარტიის ქ. ხერსონის დნეპროპეტროვსკის რაიკომის მეორე, შემდგომ პირველი .მდივანი. 1984-86 – უკრაინის კომპარტიის ქ. ხერსონის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე; 1987-91 – უკრაინის კომპარტიის ქ. ხერსონის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი; 1991-93 – უკრაინის უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი; 1993 წლის 24 აგვისტოდან – უკრაინის ელჩი საქართველოში.

**კასლრი**, კ ე ს ტ ლ ე რ ი (Castlereagh) რობერტ სტიუარტ, ლორდ ლონდონდერი (Londonderry) (1769-1822), ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1798-1801 – ირლანდიის ლორდ-ლეიტენანტის მთავარი მდივანი; 1802-06 – ინდოეთის საკითხებში საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარე; 1805-06 და 1807-09 – სამხედრო მინისტრი, მონაწილეობდა რუსეთთან მოლაპარაკებებში *ნაპოლეონ I*-ის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ; 1812-22 – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; დადო *ერებრუს საზავო ხელშეკრულება 1812* და *შომონის ტრაქტატი 1814*, შემდეგ *პარიზის საზავო ხელშეკრულება 1814*. წარმოადგენდა დიდ ბრიტანეთს *ვენის კონგრესზე 1814-15*, დადო *ვენის ხელშეკრულება 1815*, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. მხარს უჭერდა *საღვთო კავშირის (1815-33)* პოლიტიკას.

**კასპერიუსი** (Casperius), რომაელი ცენტურიონი. სომხეთის ციხესიმაგრე გორნეას (გარნის) პრეფექტის მოადგილე. ტაციტუსის „ანალებში“ დახასიათებულია სამართლიან პიროვნებად. როდესაც გარნიში ჩაკეტილ *მითრიდატეს რადამისტმა* ალყა შემოარტყა 51 წელს და შეუდგა პრეფექტ პოლიონის მოსყიდვას, კ. წინ აღუდგა უკანონო გარიგებას, მაგრამ პრეფექტის სიხარბე ვერ დაძლია. შემდეგ გაემგზავრა იბერიაში, გამოცხადდა *ფარსმანთან* და მოსთხოვა საომარი მოქმედების შეწყვეტა. ფარსმანმა კ. კარგად მიიღო. იგი თვალთმაქცურად არწმუნებდა ცენტურიონს, რომ მის პროტესტს უყურადღებოდ არ დატოვებდა. სინამდვილეში იბერიის მეფე ფარულად აქეზებდა რადამისტს, დაეჩქარებინა მითრიდატეს შეპყრობა. პოლიონის დახმარებით რადამისტმა ფარსმანის მითითება შეასრულა. კ-ის მისია იბერიაში მარცხით დამთავრდა. მოგვიანებით 61 წელს რომის სარდალმა *კორბულონმა* კ-ს დაავალა მოლაპარაკების გამართვა პართიის მეფე ვოლოგეზთან. ამ ელჩობის შედეგად პართებმა სომხეთი დატოვეს.

**კასტანიედა-ი-ალვარეს დე ლა როსა (Castañeda y Alvares de la Rosa)** ხორხე (დ. 1921), მექსიკის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1950; 1955-58 – მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული მრჩეველი; 1959-60 – საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების გამგე, 1961-62 – გაეროში მექსიკის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 1962-65 – მექსიკის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში; 1965-70 – სამმართველოს უფროსი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი; 1970-76 – მექსიკის წარმომადგენელი ჟენევაში გაეროს განყოფილებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, განიარაღების კომიტეტში; 1967 – წევრი, ხოლო 1973 – *საერთაშორისო სამართლის კომისიის* თავმჯდომარე; 1976-77 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1977-79 – მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დანიშნულებათა ელჩი. 1972-82 – მექსიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1983-დან მექსიკის ელჩი საფრანგეთში. საერთაშორისო სამართლის საკითხებზე მრავალი ნაშრომის ავტორი.

**კასტრო რუსი (Castro Ruz)** ფიდელ (დ. 1927), კუბის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. 1949 დაამთავრა ჰავანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, მიიღო სამართლის დოქტორის ხარისხი. 50-იანი წლების დასაწყისში შევიდა კუბელთა პარტიაში („ორთოდოქსები"), რომლის დაშლის შემდეგ გააერთიანა პარტიის ყოფილი წევრების მცირე ჯგუფი და 1953 მოაწყო თავდასხმა ქ. სანტიაგო-დე-კუბაში მდებარე მონკადის ყაზარმაზე. ოპერაცია მარცხით დამთავრდა. მას მიუსაჯეს 15 წლით პატიმრობა, მაგრამ 1955 ამნისტიით გაათავისუფლეს და მექსიკაში წავიდა. 1956 წლის დეკემბერში იახტით გადავიდა ორიენტეს პროვინციაში და შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო ბატისტას ხელისუფლების წინააღმდეგ. სამხედრო გადატრიალების შემდეგ (1959 წლის 1 იანვარი) კ.რ. გახდა კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი. 1965-დან არის კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. 1976-დან – კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**კასუმიგასეკი**, ტოკიოში კვარტლის სახელწოდება, სადაც მდებარეობს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ეს ტერმინი ხშირად იხმარება იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღსანიშნავად.

**კატა**, *დავით IV* აღმაშენებლის ასული. ამიერკავკასიიდან თურქ-სელჩუკთა განდევნისათვის ბრძოლის პირობებში, ბიზანტიის იმპერიასთან კეთილი დამოკიდებულების დამყარების მიზნით, 1116 მეფემ თავისი ასული კ. მიათხოვა იმპერატორ ალექსი კომნენოსის (1081-1118) უმცროს ძეს – ისაკს (მანამდე დავითმა თავისი ქალიშვილი თამარი შირვანშაჰის შვილზე დააქორწინა). ბიზანტიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა არ შეცვლილა დავით აღმაშენებლის მეფობის ბოლო წლებამდე (დავითი არ ჩარეულა თავის სიძეს – ისაკსა და ალექსი კომნენოსის უფროს ვაჟს – იოანეს შორის ატეხილ უთანხმოებაში), რითაც საქართველოს სამეფომ უზრუნველყო სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უსაფრთხოება.

*წყარო*: ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, იქვე.
*ლიტ.*: მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990; მისივე, Внешняя политика Грузии в средние века (XII век), Тб., 1995.

**კატო** ტაკააკი (1860-1926), ვიკონტი, იაპონიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1888-90 – საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მდივანი; 1891-94 – იაპონიის ფინანსთა სამინისტროს ბანკების ბიუროსა და გადასახადების ბიუროს დირექტორი; 1894-99 – დესპანი, ხოლო 1908-13 – იაპონიის ელჩი დიდ ბრიტანეთში, მონაწილეობდა (1911) ინგლის-იაპონიის მესამე სამოკავშირეო ხელშეკრულების (იხ. *ინგლის-იაპონიის კავშირი 1902-21*) დადებაში. 1900-01, 1906, 1913 და 1914-15 – იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ხელმძღვანელობდა (1914-15) იაპონიის ჩინეთისადმი *„ოცდაერთი მოთხოვნის"* შედგენას. 1924-26 იყო იაპონიის პრემიერ-მინისტრი, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, დადო იაპონია-სსრკ კონვენცია 1925 ურთიერთობების ძირითადი პრინციპების შესახებ.

**კატრუ (Catroux)** ჟორჟ ალბერ (1877-1969), ფრანგი სახელმწიფო, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. სამხედრო სამსახურს იწყებს 1899-დან. მსახურობდა საფრანგეთის კოლონიურ ჯარებში და ეკავა ადმინისტრაციული თანამდებობანი ინდოჩინეთში (1902-05), ალჟირში, მაროკოსა და ლიბანში (1900-02, 1906-10, 1931-39), იყო სამხედრო ატაშე საფრანგეთსა და თურქეთში (1923-25), ინდოჩინეთის გენერალ-გუბერნატორი (1939-40); 1940 – თავისუფალი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი და გენერალ შარლ დე გოლის წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში; 1941-43 – თავისუფალი საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიასა და ლიბანში; 1943-44 – ალჟირის გენერალ-გუბერნატორი და საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის დელეგატი ჩრდ. აფრიკის საქმეებში. დროებითი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ – ალჟირის გენერალ-გუბერნატორი, სახელმწიფო მინისტრი; 1945-48 – საფრანგეთის ელჩი სსრკ-ში; 1949 – საფრანგეთის მთავრობის სამხედრო მრჩეველი.

**კაული (Kaul)** ტრილოკი ნატხ (დ.1913), ინდოელი დიპლომატი. მუშაობდა ინდოეთის საელჩოებში სსრკ-ში (1947-49), აშშ-ში (1949-50), ჩინეთში (1950-52). 1952-53 – ჩინეთში ინდოეთის საელჩოს მრჩეველი-დესპანი; 1953-57 – პასუხსაგებ თანამდებობაზეა ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში; 1957-58 – ვიეტნამში სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის მეთაური; 1958-60 – ინდოეთის ელჩი ირანში; ხოლო შემდეგ დიდ ბრიტანეთში ინდოეთის უმაღლესი კომისრის მოვალეობის შემსრულებელი; 1962-66 – ინდოეთის ელჩი სსრკ-ში და შეთავსებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. 1966-68 – ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მთავრობასთან კავშირის მდივანი; 1968-72 – ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო საქმეთა მდივანი; 1973-76 – ინდოეთის ელჩი აშშ-ში და შეთავსებით ბაჰამის კ-ბზე; 1977 – კულტურული კავშირების ინდოეთის საბჭოს წევრი. აქტიურად მონაწილეობდა *ინდოეთ-ჩინეთის შეთანხმების* შემუშავებაში *1954, ტაშკენტის კონფერენციაში 1966* და *სიმლის მოლაპარაკებებში 1972*.

**კაჩენოვსკი** დიმიტრი ივანეს ძე (1827-72), XIX საუკუნის გამოჩენილი რუსი იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, 1859-დან ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. სადოქტორო დისერტაციაში „ვაჭრობის და საპრისო წარ-

მოების შესახებ" (1855) საერთაშორისო სამართლის პრინციპების ისტორიული განვითარების ღრმა შესწავლის ფონზე კ-მ იწინასწარმეტყველა პარიზის 1856 წლის დეკლარაციის შინაარსი. მისი წიგნი „საპრიზო სამართალი" და მოხსენებები ლონდონის იურიდიულ საზოგადოებაში საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციის და საერთაშორისო სამართლის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ წარმოადგენენ მის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომებს. კ-ს სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია „საერთაშორისო სამართლის კურსი" (1863-66), „პოლიტიკურ მეცნიერებათა მდგომარეობა თანამედროვე ეტაპზე დასავლეთ ევროპასა და რუსეთში (1862), „ახალი ევროპა და ახალი რუსეთი" (1862). ფერწერის და სკულპტურის მცოდნე, კანონოვსკი კულტურის ისტორიაზეც მუშაობდა. გარდაიცვალა იმ წელს, როდესაც პრაქტიკულად განხორციელდა მისი იდეა საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და კოდიფიკაციის საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციის შექმნის თაობაზე და დაარსდა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი.

**კაცია I დადიანი** (გ. 1710), ოდიშის მთავარი 1704-10 წლებში, *გიორგი II ლიპარტიანის* ძე. 1704 მამამ დადიანის ტიტული კაცია I-ს მიანიჭა, თუმცა სამთავროს მაინც თვითონ განაგებდა. დაახლოებით 1709 იმერეთის მეფის გიორგის დახმარებით გააძევა მამა და თვითონ შეუდგა ქვეყნის მართვას.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; დ ა დ ი ა ნ ი ნ., ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962.

**კაცია II დადიანი**, ოდიშის მთავარი 1758-88, ოტია დადიანის ძე. 1752 *სოლომონ I-ის* წინააღმდეგ ეხმარებოდა იმერეთის ტახტისათვის მებრძოლ სოლომონის ბიძას მამუკას. რათა დადიანი თავის მხარეზე გადაეყვანა, სოლომონ I გასცილდა ცოლს, შარვაშიძის ასულს და ცოლად შეირთო კაციას და მარიამი. ამის შედეგად იმერეთსა და სამეგრელოს შორის დროებითი კავშირი შეიკრა. 1757 ხრესილის ბრძოლაში კაცია სოლომონის მხარეზე იბრძოდა. 1765 ე.II დ-მა ცოლად შეირთო *ერეკლე II-ის* და ელისაბედი, მოიპოვა ერეკლეს მხარდაჭერა და განუდგა სოლომონს. შეიფარა და სამეგრელოს კათალიკოსად გამოაცხადა სოლომონის მიერ შერისხული ბესარიონ კათალიკოსი. როდესაც სოლომონის წინააღმდეგ გამოვიდა მისი ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე, კაცია თეიმურაზის მხარეზე იბრძოდა. რუსეთ-თურქეთის 1768-74 ომის დროს დადიანმა ტოტლებენს დამხმარე ჯარი გაუგზავნა. საქართველოდან რუსთა ჯარის გასვლის შემდეგ დადიანმა გააძლიერა მეფისადმი მტრობა. დაიკავა იმერეთის რამდენიმე ციხე და სოფელი, დაარბია რაჭა, 1773 დადიანმა უარი თქვა შეერთებოდა ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის სამეგობრო ხელშეკრულებას. 1776 კ.II დ. და სოლომონი შერიგდნენ. სოლომონის მოთხოვნით დადიანმა აკრძალა ტყვის სყიდვა. 1779 სამეგრელოს შეესივნენ აფხაზები. დადიანმა დახმარებისათვის სოლომონს მიმართა. მეფემ გაილაშქრა დადიანის დასახმარებლად. რუხის ბრძოლაში აფხაზები სასტიკად დამარცხდნენ. ამის შემდეგ დადიანი აქტიურად ერეოდა აფხაზეთის საშინაო საქმეებში. სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ კაცია დაეხმარა დავით გიორგის ძეს იმერეთის ტახტის დაუფლებაში.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

**კაცურა-ტაფტის შეთანხმება 1905** (საიდუმლო), იაპონიის პრემიერის ტ. კაცურას აშშ-ის პრეზიდენტ თ. *რუზველტის* პირად წარმომადგენელთან, სამხედრო მინისტრ უ. ტაფტთან საუბრის პროტოკოლები 27.VII. შეთანხმება წარმოადგენდა იაპონიის აგრესიის წახალისების ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთ აქტს, რუსეთ-იაპონიის 1904-05 ომის დროს. საუბარი მიმდინარეობდა 1905 პორტსმუტის საზავო ხელშეკრულების დადების თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებების წინ და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათ მიმდინარეობაზე, აგრეთვე ამ დროს დასასრულს მიახლოებულ მოლაპარაკებებზე ინგლის-იაპონიის კავშირის აღდგენის თაობაზე.

საუბრის მიმდინარეობისას იაპონიის მხარემ გამოთქვა სურვილი, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შესანარჩუნებლად დადებულიყო, ოფიციალური თუ არა, ფაქტობრივი კავშირი მაინც იაპონიას, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს შორის. აშშ-ის წარმომადგენლობამ შეუძლებლად მიიჩნია ოფიციალური კავშირის დადება, თუმცა ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი მთავრობა მზადაა, შეუთანხმოს თავისი მოქმედებები შორეული აღმოსავლეთის საკითხებში დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის მთავრობებს. შეხვედრის მონაწილეებმა აღიარეს იაპონიის პროტექტორატი კორეაზე, რომლის მიხედვითაც კორეას არ შეეძლო სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების დადება იაპონიის ნებართვის გარეშე. იაპონიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონია დაინტერესებულია ფილიპინებზე ამერიკული მმართველობის შენარჩუნებით.

მიუხედავად ამ შეთანხმებისა, რომელსაც სრულებით დაეთანხმა პრეზიდენტი თ. რუზველტი, იაპონია-ამერიკის ურთიერთობები საკმაოდ დაიძაბა რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ.

**კაჯკაჯიშვილი** მანუჩარ (მაქსიმ კ ა ჯ კ ა ჯ ო ვ ი), არტილერიის პორუჩიკი. 1785 წლის 21 მაისს *ერეკლე II-ის* ნებართვით ეგვიპტის მამლუქი ბეგებისადმი სარეკომენდაციო ბარათებით გაემგზავრა ეგვიპტეს, სადაც იმყოფებოდა 1786 წლის იანვრიდან წლის ბოლომდე. დაუახლოვდა მამლუქთა ოლიგარქიას (შეიხ ალ-ბალადი იბრაჰიმ-ბეგი, მურად ბეგი), რომელსაც სურდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის მხარდაჭერის მიღება და ამ მიზნით შეეცადა მის დაკავშირებას ალექსანდრიაში რუსეთის კონსულთან ბარონ ტონუსთან, მაგრამ ყირიმის შეერთებისა და გეორგიევსკის ტრაქტატის დადების (1783) შემდეგ რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მზად ოსმალეთის იმპერიასთან მორიგი ომისათვის. კ-მა შეადგინა ნუსხა 1786 თურქეთის წინააღმდეგ აჯანყებული მამლუქი ბეგებისა – მათი ეთნიკური წარმომავლობის მითითებით; რუსეთში დაბრუნებისას, 1787 წლის 10 მაისს რუსეთის სამხედრო კოლეგიის პრეზიდენტს თავად გ. *პოტიომკინს* წარუდგინა ორი მოხსენებითი ბარათი, რომლებშიც აცნობა მამლუქი ბეგების სურვილი, შესულიყვნენ რუსეთის მფარველობაში; უჩვენა ის სარგებლობა, რომელიც რუსეთს შეეძლო მიეღო ოსმალეთა ბატონობისგან ეგვიპტის განთავისუფლების შემთხვევაში და თურქეთის ხელისუფალთა განზრახვა, გაენადგურებინა მამლუქები, ვიდრე ისინი რუსებთან გაერთიანდებოდნენ; შეაფასა აფრიკის ვაჭრობა და წარმოადგინა საყურადღებო ცნობები ეთიოპიის შესახებ. ეს დოკუმენტები ძვირფასი წყაროა საქართველო-რუსეთ-ეგვიპტე-ეთიოპიის ურთიერთობების შესასწავლად XVIII ს. 80-იან წლებში.

ლიტ.: Мачарадзе В. Г., Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-ых годов XVIII века, 1967.

**კახაბერ II გურიელი** (გ. 1483), გურიის მთავარი XVI-ის II ნახევარში. დაეხმარა საქართველოს მეფე *გიორგი VIII-ის* წინააღმდეგ ბრძოლაში აჯანყებულ სამცხის ათაბაგს – *ყვარყვარე II-ს*, რომლისგანაც სანაცვლოდ აჭარა და ჭანეთი მიიღო. იბრძოდა გურიის სამთავროს დამოუკიდებლობისთვის. კ.II გ-ის მმართველობის დროიდან გურიის სამთავრო ფაქტობრივად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული გახდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, სყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

**კე დ' ორსე** (Quai d' Orsay), საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზიდენცია. პარიზში მდ. სენის სანაპიროს სახელწოდება, სადაც მდებარეობს საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს შენობა. კე დ'ორსე – ასე ხშირად უწოდებენ საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა (1981-მდე – საგარეო საქმეთა სამინისტრო) სამინისტროს.

**„კეთილი მეზობლის" პოლიტიკა**, აშშ-ის პოლიტიკა ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ, რომელიც გამოაცხადა პრეზიდენტმა ფ. დ. *რუზველტმა* 4.III. 1933, ითვალისწინებდა აშშ-ის მიერ ლათინურ ამერიკაში ექსპანსიის უფრო მოქნილ მეთოდებზე გადასვლას, პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების განსამტკიცებლად ამ რეგიონში. „კეთილი მეზობლის" პოლიტიკის მეშვეობით აშშ-მა შექმნა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების სისტემა, შეამცირა ამერიკული სამხედრო კონტინგენტი ამ რაიონში. 30-40-იან წლებში აშშ-მა შეძლო გაეძლიერებინა თავისი გავლენა ლათინურ ამერიკაში.

**კეთილი სამსახური**, საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთი საშუალება. კ.ს. ითვალისწინებს რომელიმე სახელმწიფოს მიერ ხელის შეწყობას, პირდაპირი მოლაპარაკების დაწყებას, ანდა განახლებას მოდავე სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის კეთილსასურველი პირობების შესაქმნელად; შუამავლობისგან განსხვავებით, როცა მესამე სახელმწიფო თვითონ ერევა მოლაპარაკებებში მოდავე სახელმწიფოებს შორის და გარკვეულწილად წარმართავს ამ მოლაპარაკებებს, კ.ს-ის გამწევი სახელმწიფო არ ახდენს გავლენას მოლაპარაკების მსვლელობასა და შედეგებზე. კ.ს-ის ყველაზე კარგად შემუშავებული რეგლამენტაცია მოცემულია ჰააგის კონვენციაში 1907 საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ (იხ. *ჰააგის სამშვიდობო კონფერენციები 1899, 1907*), თუმცა იგი არ ასხვავებს კ.ს-ს შუამავლობისგან. ეს კონვენცია, კერძოდ, ითვალისწინებს, რომ კ.ს-ს ისევე როგორც შუამავლობას, აქვს „რჩევის განსაკუთრებული მნიშვნელობა და არ ითვლება სავალდებულოდ". 1962 საბჭოთა მთავრობა დათანხმდა უ ტანის (რომელიც იმ დროს გაეროს გენერალური მდივანი იყო) კ.ს-სა და შუამავლობაზე კარიბის კრიზისთან დაკავშირებით.

სახელშეკრულებო პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა კ.ს-ის ფუნქცია ეკისრება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ორგანოს.

**კეისი** (Casey) რიჩარდ გარდინერ (1890-1976), ავსტრალიელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი.1924-30 – პოლიტიკური წარმომადგენელი ლონდონში ავსტრალიისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა შორის კავშირის საკითხებში; 1933-35 – მინისტრის თანაშემწე, ხოლო 1935-39 – ფინანსთა მინისტრი, ერთდროულად 1937-39 – მინისტრი ავსტრალიის განვითარების საკითხებში; 1939-40 – ავსტრალიის მომარაგებისა და განვითარების მინისტრი; 1940-42 – ავსტრალიის დესპანი აშშ-ში. 1942-43 – ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრის რეზიდენტი ახლო აღმოსავლეთში, დიდი ბრიტანეთის სამხედრო კაბინეტის წევრი; 1944-46 – ბენგალიის (ინდოეთი) გუბერნატორი, 1950-51 – ავსტრალიის ეროვნული განვითარების მინისტრი, 1950-60 – თანამეგობრობის ქვეყნების სამეცნიერო და სამრეწველო გამოკვლევათა საქმეების მინისტრი და 1951-60 – ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1965-69 – ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორი. წარმომადგენელთა პალატის წევრი 1931-40 და 1949-60; ავსტრალიის ლიბერალური პარტიის თავმჯდომარე – 1947-49.

**კეკავმენე** (Kekaumenos), XI ს. თვალსაჩინო ბიზანტიელი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, ავტორი „სტრატეგიკონისა" (პირობითი სახელწოდება თხზულებებისა: „რჩევები იმპერატორს", „რჩევები ტოპარქოსს") და სხვა ნაწარმოებებისა. მამის მხრიდან ტაოელი ქართველი (სხვა მოსაზრებით სომეხი), დედით ბულგარელი ეოეეოდას შთამომავალი. მისი თხზულებები შეიცავს მნიშვნელოვან მასალას ბიზანტიის პოლიტიკური ისტორიის, მათ შორის ბიზანტიური დიპლომატიის შესახებ.

თხზ.: Советы и рассказы Кекавмена. Сочинение византийского полководца XI в. Пер. и изд. текста Г.Г. Литаврина, М., 1972.

**კეკონენი** (Kekkonen) ურხო კალევა (1900-86), ფინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1936-37 და 1944-46 – იუსტიციის მინისტრი, 1937-39 – შინაგან საქმეთა მინისტრი; 1940-43 – გადასახლებულთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე. 1936-56 – დეპუტატი, 1946-47 – თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო 1948-50 – ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარე. 1950-56 – (დროგამოშვებით) პრემიერ-მინისტრი, იმავდროულად 1950-51 – შინაგან საქმეთა მინისტრი; 1952-53 და 1954 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1956-82 – ფინეთის პრეზიდენტი; 1982-დან იმყოფებოდა პენსიაზე.

**კელოგი** (Kelogg) ფრენკ ბილინგს (1856-1937), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1917-23 – სენატორი; 1923-25 – აშშ-ის ელჩი დიდ ბრიტანეთში; 1925-29 – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, გამოდიოდა საბჭოთა კავშირის აღიარების წინააღმდეგ, ბრიან-კელოგის 1928-ის პაქტის ერთ-ერთი ინიციატორი; აქტიურად მონაწილეობდა აშშ-ის მიერ ნიკარაგუაში 1927-33 ინტერვენციის ორგანიზაციაში, ჩინეთის მიმართ აწარმოებდა „ღია კარების" პოლიტიკას; 1930-35 – საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის წევრი.

**კემპ-დევიდი** (Camp David), აშშ-ის პრეზიდენტების ოფიციალური საზაფხულო რეზიდენცია (რომელსაც ეწოდა პრეზიდენტ დ. *ეიზენჰაუერის* შვილიშვილის დევიდის სახელი). მდებარეობს აშშ-ის დედაქალაქის ვაშინგტონის მახლობლად (მერილენდის შტატში). ხშირად ტარდება მოლაპარაკებები და შეხვედრები უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან. კემპ-დევიდთან არის დაკავშირებული 1978 წლის სექტემბერში აშშ-ის შუამავლობით და მონაწილეო-

ბით ეგვიპტესა და ისრაელს შორის ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ხელმოწერილი ხელშეკრულების სახელწოდება. კემპ-დევიდის შეთანხმებებს უწოდებენ ასევე *ამერიკა-ისრაელის შეთანხმებებს 1975, 1979 და 1981* და *ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულებას 1979.*

**კემპ-დევიდის შეთანხმება ახლო აღმოსავლეთის თაობაზე**, იხ. *ახლო აღმოსავლეთის რეგულირება.*

**კენანი (Kennan)** ჯორჯ ფროსტ (1904) აშშ-ის დიპლომატი, მეცნიერი. დიპლომატიურ სამსახურში იყო 1926-დან. მუშაობდა სახელმწიფო დეპარტამენტში, აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში გერმანიაში (1923-31, 1939-41), სსრკ-ში (1934-35 და1935-38), ავსტრიაში (1985), ჩეხოსლოვაკიაში (1938-39), პორტუგალიაში (1942-44), *ევროპის საკონსულტაციო კომისიაში* (1943-45). 1945-46 – სსრკ-ში აშშ-ის საელჩოს მრჩეველი-დესპანი; 1946-47 – აშშ-ის ეროვნული სამხედრო კოლეგიის უფროსის მოადგილე; 1947-49 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის ბიუროს ხელმძღვანელი; 1949-50 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი, სახელმწიფო მდივნის მთავარი მრჩეველი გრძელვადიანი დაგეგმარების საკითხში; 1952 წლის მარტიდან სექტემბრამდე აშშ-ის ელჩი სსრკ-ში, გაწვეულ იქნა საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით; 1962-63 – აშშ-ის ელჩი იუგოსლავიაში. *„პოლიტიკური რეალიზმის“* ერთ-ერთი თეორეტიკოსი, *„შეკავების დოქტრინის“* ავტორი. 1950-დან ეწეოდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. 1956-74 – პროფესორი, ხოლო 1974-დან პრინსტონის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

**კენედი (Kennedy)** ჯონ ფიტცჯერალდ (1917-63), აშშ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1947-53 – წარმომადგენელთა პალატის წევრი; 1953-60 – სენატორი; 1961-63- აშშ-ის პრეზიდენტი. საგარეო პოლიტიკაში წამოაყენა *„მოქნილი რეაგირების“* სტრატეგია, ცდილობდა აშშ-ის სამხედრო ძლიერების გაზრდას, დასავლეთის სამხედრო ბლოკების განმტკიცებას. 1961 მისცა სანქცია დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მიერ კუბაში კონტრრევოლუციონერთა შეჭრას (იხ. *აშშ-ის ინტერვენცია კუბაში 1961*) – კარიბის კრიზისთან დაკავშირებით დაუპირისპირდა საბჭოთა კავშირს. კრიზისის შემდგომ უფრო რეალისტურ პოლიტიკას დაადგა საბჭოთა კავშირის მიმართ. 1963 – მხარი დაუჭირა *ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ.* მოკლეს ტეხასის შტატის ქ. დალასში.

**კენიგსბერგის ხელშეკრულება 1697** [რუსეთსა და ბრანდენბურგს (1701-დან – პრუსია) შორის], დაიდო 12(22).VI კენიგსბერგში (თანამედროვე კალინინგრადი) მაშინ, როდესაც იქ იმყოფებოდა „დიდი ელჩობა“. კ.ხ-ის ხელმოწერას წინ უსწრებდა *პეტრე I-სა* და კურფიურსტ ფრიდრიხ III-ს შორის სიტყვიერი შეთანხმება კავშირის შესახებ 31.V(10.VI). მინისტრებისა და ელჩების თანდასწრებით მეფემ და კურფიურსტმა საზეიმოდ დადეს ფიცი, დაეცვათ ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ შვეციის წინააღმდეგ. კ.ხ. შეიცავდა მუხლებს რუსეთისა და ბრანდენბურგის ურთიერთმეგობრობის, ვაჭრობისა და საქონლის თავისუფალი ტრანზიტის შესახებ. გათვალისწინებული იყო აგრეთვე პოლიტიკურ დამნაშავეთა ურთიერთგადაცემა. კ.ხ-მ საფუძველი ჩაუყარა რუსეთისა და ბრანდენბურგის სამოკავშირეო ურთიერთობებს. თუმცა ჩრდილოეთის ომის (1700-21) დაწყების შემდეგ კურფიურსტს ისე ეჭირა თავი, თითქოს რუსეთსა და პრუსიას შორის არავითარი ხელშეკრულება არ არსებულა.

**კერზონი (Curzon)** ჯორჯ ნათანიელ (1859-1925), მარკიზი, ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1891-92 – ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1895-98 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1898-1905 – ინდოეთის ვიცე-მეფე; 1911-დან – ლორდთა პალატის წევრი; 1915-16 და 1924-25 – სახელმწიფო ბეჭდის ლორდ-შემნახველი; 1916 – ავიაციის მინისტრი; 1916-24 – ლორდთა პალატის ლიდერი; მისი ძალისხმევით დადებულ იქნა 1919 ინგლის-ირანის ხელშეკრულება; აქტიურად მონაწილეობდა 1922-23 ლოზანის კონფერენციის მუშაობაში. უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა საბჭოთა რუსეთისადმი; 1917-22 იყო ანტისაბჭოთა ინტერვენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი; ანტანტის უმაღლესი საბჭოს სახელით 1920 წამოაყენა რუსეთ-პოლონეთის საზღვრად ხაზი, რომელმაც მიიღო *„კერზონის ხაზის“* სახელწოდება. 1923 წლის მაისში კ-მა მკაცრი მემორანდუმით (იხ. *კერზონის ულტიმატუმი*) მიმართა საბჭოთა მთავრობას

**კერზონის ულტიმატუმი**, ბრიტანეთის მთავრობის ნოტა, შედგენილი ლორდ კერზონის მიერ, რომელიც გადაეცა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს 8.V. 1923. კ.უ-ით წამოყენებული იყო ბრალდება აღმოსავლეთის ქვეყნებში სსრკ-ის დიპლომატიური წარმომადგენლების მისამართით. იგი შეიცავდა აგრეთვე მტკიცებებს დიდი ბრიტანეთისა და მის ქვეშევრდომთა თევზსაჭერი გემების მიმართ საბჭოთა ხელისუფლების არაკანონიერი მოქმედების შესახებ. კერზონის ნოტა შეიცავდა პირდაპირ მუქარას სავაჭრო ურთიერთობათა გაწყვეტის თაობაზე, რომელიც ხორციელდებოდა რუსეთ-ინგლისის 1921 შეთანხმების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ბრიტანეთის მთავრობის მოთხოვნები (ირანიდან და ავღანეთიდან საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენელთა გაწვევა, 1920 დაპატიმრებულ და დახვრეტილ ინგლისელთა გამო კომპენსაციის გადახდა და ა. შ.) არ იქნებოდა შესრულებული 10-დღიანი ვადის განმავლობაში. 1923 წლის 11. V-ის ნოტით საბჭოთა მთავრობამ გადაჭრით უარყო ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობის ბრალდებები. 1923 წლის ივნისში ორმხრივი კომპრომისების შედეგად ორივე მხარემ განაცხადა, რომ კონფლიქტს ამოწურულად თვლიან.

**„კერზონის ხაზი“**, ვერსალის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ 1919 ანტანტის სახელმწიფოთა მიერ დამტკიცებულ იქნა პოლონეთის აღმოსავლეთის სასაზღვრო ხაზი, რომელიც დაადგინა ტერიტორიულ საკითხთა კომისიამ პარიზის საზავო კონფერენციის მუშაობის დროს. 1919 წლის 8.XII ანტანტის უმაღლესმა საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია პოლონეთის დროებითი აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ. ამ საზღვრის ხაზი დამტკიცებულ იქნა 1920 კონფერენციაზე.

1920 წლის 11. VII დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა *კერზონმა* რსფსრ-ის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომლითაც იგი რუსეთს სთავაზობდა

პოლონეთთან დაზავებას და საომარ მოქმედებათა შეწყვეტას. მეომარ მხარეთა ჯარები უნდა დაეშორებინათ ერთმანეთისგან ორივე მხრივ ხაზისგან, რომლითაც, როგორც ნოტაში იყო მითითებული, მიახლოებით შემდეგნაირად გადიოდა: გროდნო-იალოვკა-ნემიროვი-ბრესტ-ლიტოვსკი-დოროგუსკი-უსტილუგი, გრუბეშოვის აღმოსავლეთით კრილოვზე, შემდეგ რავა-რუსკოეს დასავლეთით, პერემიშლის აღმოსავლეთით კარპატებამდე. ამ ხაზმა მიიღო სახელწოდება „კ.ხ.".

1921 რიგის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთ-პოლონეთის საზღვარი დადგენილ იქნა „კ.ხ"-ის აღმოსავლეთით. პოლონეთს გადაეცა უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ნაწილები, რომლებიც 1921 წლის შემოდგომაზე ხელში ჩაიგდეს პოლონეთის ჯარებმა. 1939 წლის სექტემბერში წითელმა ჯარმა დაიკავა უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქები, რომლებიც შეუერთდნენ შესაბამისად უკრაინის სსრ-სა და ბელორუსიის სსრ-ს და შეეიდნენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში.

*1945 ყირიმის* (იალტის) *კონფერენციაზე* გადაწყვეტილ იქნა, რომ პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვარს უნდა გაევლო „კ.ხ"-ის გაყოლებით, მხოლოდ ზოგიერთ რაიონში 5-8 კმ-ის გადახვევით პოლონეთის სასარგებლოდ. საბოლოოდ აღმოსავლეთის საზღვრის საკითხი მოგვარებულ იქნა 1945 ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვრის შესახებ (იხ. *საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები*).

**კერი** (Kerr) არჩიბალდ ჯონ კლარკ (1887-1951), ბარონი ინვერჩეპელი, ბრიტანელი დიპლომატი. დიპლომატიური სამსახური დაიწყო 1906-დან. მუშაობდა დიდი ბრიტანეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში: გერმანიაში, არგენტინაში, აშშ-ში, იტალიაში, ირანში, ტანჟერში (1919-22), ეგვიპტეში (1922-25). 1925-28 – დიდი ბრიტანეთის დესპანი ცენტრალური ამერიკის რესპუბლიკებში; 1928-30 – ჩილეში; 1931-35 – შვეციაში; 1935-38 – დიდი ბრიტანეთის ელჩი ერაყში; 1938-42 – ჩინეთში; 1942-46 – საბჭოთა კავშირში; 1946-48 – აშშ-ში; მონაწილეობდა თეირანის (1934), ყირიმის (იალტის) (1945) და ბერლინის (პოტსდამის) (1945) კონფერენციების მუშაობაში. 1946-დან – ლორდთა პალატის წევრი.

**კვებეკის კონფერენციები**: 1. კონფერენცია 1943, აშშ-ის პრეზიდენტის ფ. დ. *რუზველტის* და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ. *ჩერჩილის* შეხვედრა ორივე ქვეყნის მაღალი რანგის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების მონაწილეობით, ჩატარდა 14-24. VIII კვებეკში (კანადა). პირობითი სახელწოდება – „კვადრანტი". კონფერენციაზე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს მათ მიერ ვაშინგტონის კონფერენციაზე (1943 წლის მაისი) მიღებული გადაწყვეტილება მეორე ფრონტის გახსნის შესახებ 1944 წლის 1. V; ლა-მანშის სრუტით ევროპის კონტინენტზე ინგლისურ-ამერიკული ჯარების შეჭრის (ოპერაცია „ოვერლორდი") შემდეგ გადაწყდა, რომ გადაესხათ მოკავშირეთა ჯარები საფრანგეთის სამხრეთში, ტულონი-მარსელის რაიონში (ოპერაცია „ენვილი", 27.VII. 1944-დან – „დრაგუნი"). რუზველტი და მისი მრჩევლები არ დაეთანხმნენ ჩერჩილის წინადადებას იმის თაობაზე, რომ მოკავშირეთა მთელი ძალისხმევა მიემართათ ბალკანეთის მიმართულებით, რადგან აშშ-ის პრეზიდენტის აზრით, საბჭოთა ჯარების მიერ გადამწყვეტი გამარჯვებების მოპოვების პირობებში მოკავშირეთა ჯარების საფრანგეთში გადასხმის ოპერაციის შეყოვნება შეასუსტებდა ამერიკელთა პოზიციებს ევროპაში. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო მოქმედებების გეგმა 1943 წლის მეორე ნახევრისათვის ითვალისწინებდა იტალიაში შეჭრას სიცილიის სრუტით და ნეაპოლის რაიონში ბრიტანეთის ჯარების მიერ აზორის კუნძულების ოკუპაციას, ასევე გერმანიის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის გაძლიერებას. დამტკიცდა აზიაში იაპონიის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების გეგმა, მარშალის, კაროლინის და მარიანის კუნძულების დაკავების ოპერაციები, ასევე ბირმაზე შეტევის მომზადება. დასავლელი მოკავშირეები მიეიდნენ იმ დასკვნამდე, რომ იაპონიის განადგურება შესაძლებელი იყო გერმანიის დამარცხებიდან 12 თვის განმავლობაში. კონფერენციის მსვლელობისას მხარეებმა დადეს საიდუმლო შეთანხმება ატომური ბომბის შექმნაში თანამშრომლობის შესახებ (იხ. *კვებეკის შეთანხმება 1943*). კონფერენციაზე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებმა სსრ კავშირისა და ჩინეთის მთავრობებისათვის წარსადგენად შეიმუშავეს ოთხი სახელმწიფოს – დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის, სსრ კავშირისა და აშშ-ის დეკლარაციის პროექტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის და ომის დამთავრების შემდეგ ოთხი დიდი სახელმწიფოს მიერ მშვიდობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობის შესახებ, განიხილეს აგრეთვე საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის დიპლომატიური აღიარების საკითხი. აშშ-ის მთავრობა უარს ამბობდა, განეხილა ეს კომიტეტი, როგორც საფრანგეთის დროებითი მთავრობა, ხოლო დიდი ბრიტანეთის მთავრობა დათანხმდა მის ცნობაზე მთელი რიგი შესწორებებით. რუზველტი და ჩერჩილი შეთანხმდნენ იტალიის კაპიტულაციის პირობების, ფაშისტური კოალიციიდან მისი გამოსვლის და მოკავშირეებთან შეერთების შესახებ. განიხილეს ასევე ჰიტლერული ოკუპაციისგან განთავისუფლებული ქვეყნების მმართველობის, ემიგრანტული მთავრობების მხარდაჭერის, გერმანიის შესაძლო დაყოფის საკითხები. კონფერენციის დროს აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა ძირითადად შეათანხმეს საბჭოთა კავშირთან უახლოეს მომავალში მოსკოვში 3 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრების ორგანიზაციის საკითხი (იხ. *მოსკოვის კონფერენციები 1941, 1943*). აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკურმა ხელმძღვანელებმა აღიარეს, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა გადამწყვეტ ფაქტორს ჰიტლერულ გერმანიასთან ომში და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფაში, ასევე უმნიშვნელოვანეს მოკავშირეს იაპონიაზე გამარჯვებისათვის. კონფერენციის დასასრულს აშშ-ის პრეზიდენტმა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა აცნობეს საბჭოთა მთავრობას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, მაგრამ არაფერი უთქვამთ ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის ოპერაციის კონკრეტული ვადების თაობაზე;

2. კონფერენცია 1944, აშშ-ის პრეზიდენტ ფ. დ. რუზველტისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის უ. ჩერჩილის შეხვედრა აშშ-ის ფინანსთა მინისტრის ჰ. მორგენტაუს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. *იდენის* და შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის წევრთა მონაწილეობით, ჩატარდა 11-16. IX კვებეკში (კანადა) ანტიჰიტლერული კოალიციის შთამბეჭდავი წარმატებების და ფაშისტური ბლოკის დაშლის პირობებში. კონფერენციაზე რუზველტმა და ჩერჩილმა შეათანხმეს

გერმანიის ოკუპაციის-ამერიკულ და ბრიტანულ ზონებად დაყოფის ხაზი, მოიწონეს მორგენტაუს მიერ შეთავაზებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის დანაწევრებას რამდენიმე წვრილ სახელმწიფოდ, მისგან რურისა და საარის ჩამოცილებას, გერმანიის მრეწველობის ძირითადი ფონდების დემონტაჟს და გერმანიის გადაქცევას აგრარულ ოლქად. კონფერენციის დასრულების შემდეგ აშშ-მა და ბრიტანეთმა უარი თქვეს ამ გეგმაზე. კონფერენციაზე განიხილეს ასევე ბრიტანეთისათვის 6,5 მლრდ ამერიკული დოლარი სესხის გაცემის საკითხი. დასავლეთის მოკავშირე სახელმწიფოებმა დაამტკიცეს შემდგომი სამხედრო მოქმედებების გეგმები. გადაწყდა, რომ ფაშისტური ჯარებისაგან იტალიის ჩრდილოეთის გაწმენდის შემდეგ ინგლისურ-ამერიკული ნაწილები შეტევას განახორციელებდნენ ტრიესტისა და ვენის მიმართულებით, რათა დაესწროთ საბჭოთა კავშირისათვის ავსტრიისა და ბალკანეთის ნაწილის განთავისუფლება. გარდა ამისა, ბრიტანეთის ჯარების 2 ბრიგადა უნდა გადაესხათ ათენში და ხელი შეეშალათ პარტიზანების მიერ ქალაქის განთავისუფლებისათვის. აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელებმა დააწესეს წელიწადნახევრის ვადა, ფაშისტური გერმანიის დამარცხების დღიდან, იაპონიაზე გამარჯვებისათვის. იაპონიის შეიარაღებული ჯარების წინააღმდეგ საჰაერო და საზღვაო ოპერაციების გაძლიერებასთან ერთად გადაწყდა, განეგრძოთ სახმელეთო საბრძოლო მოქმედებები ბირმაში და გადაესხათ დესანტი რანგუნის დასაპყრობად. მიიღეს ასევე ფილიპინების განთავისუფლების გეგმა. აშშ დათანხმდა ჩერჩილის წინადადებაზე, გადაესროლათ ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალების მნიშვნელოვანი შენაერთები იაპონიის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში, რასაც ხელი უნდა შეეწყო ამ რაიონში ბრიტანეთის პოზიციების აღდგენისათვის.

**კვებეკის შეთანხმება 1943**, ამერიკა-ინგლისის საიდუმლო შეთანხმება ატომური ბომბის შექმნაში თანამშრომლობის შესახებ; ხელი მოაწერეს აშშ-ის პრეზიდენტმა ფ. დ. *რუზველტმა* და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უ. *ჩერჩილმა* 19. VIII კვებეკში (კანადა) კვებეკის კონფერენციაზე 1943. შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნდა 1954. 1941 აშშ-მა შესთავაზა ბრიტანეთის მთავრობას, ერთიანი ძალისხმევით შეექმნათ ატომური იარაღი. 1942 წლის ზაფხულში რუზველტსა და ჩერჩილს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ყველა სამუშაოს კონცენტრაცია ამ მიმართულებით მომხდარიყო აშშ-ში, ომის პირობების გათვალისწინებით. ამის შედეგად აშშ-მა ფაქტობრივად მოახდინა ბირთვული იარაღის წარმოებაზე მთელი სამეცნიერო სამუშაოების მონოპოლიზაცია, რითაც დიდმა ბრიტანეთმა დაკარგა შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. ბრიტანეთის მთავრობის მისწრაფებას, თავის სასარგებლოდ შეეცვალა შექმნილი ვითარება, საბოლოო ჯამში მოჰყვა შეთანხმების ხელმოწერა, რომლის ძირითადი პირობები ასეთი იყო: თითოეული მხარე კისრულობდა, არასოდეს არ გამოეყენებინა ატომური იარაღი მეორე მხარის წინააღმდეგ; მისი გამოყენება მესამე მხარის წინააღმდეგ, ანდა მესამე მხარისათვის ატომური ბომბის შესახებ ინფორმაციის გადაცემა დამოკიდებული იყო შეთანხმების ორივე მონაწილის თანხმობაზე. გათვალისწინებული იყო სპეციალური ორგანოს – ე. წ. „საერთო ხელმძღვანელობის კომიტეტის" შექმნა (3 წარმომადგენელი აშშ-დან, 2 – დიდი ბრიტანეთიდან და 1 – კანადიდან) ატომური ბომბის შექმნაში „სრული და ეფექტური თანამშრომლობის" მიზნით. შეთანხმება დიდ ბრიტანეთს აძლევდა გარკვეულ გარანტიებს სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. ამავე დროს ხაზგასმული იყო, რომ ინფორმაციისა და იდეების ორმხრივი გაცვლა ატომური სამრეწველო საწარმოების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის თაობაზე მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვდა პროექტის ინტერესები, და ასევე „საერთო ხელმძღვანელობის კომიტეტის" თანხმობით. ამ შეთანხმებით აშშ-მა შეინარჩუნა გაბატონებული პოზიციები ბირთვული იარაღის წარმოებისა და სამეცნიერო გამოკვლევათა სფეროში.

**კვინიხიძის ელჩობა რუსეთში**, იმერეთის სამეფო კარის მიერ მოწყობილი ელჩობა რუსეთში 1763, 1774 და 1784 წლებში დიპლომატ თავად დავით კვინიხიძის მეთაურობით. პირველი ელჩობისას დ. კვინიხიძე რუსეთის მთავრობას აცნობებდა იმერეთის მზადყოფნას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში და სთხოვდა დამხმარე ჯარს. მართლაც, ამ ელჩობის შედეგად რუსეთის ჯარის რაოდენობა გაიზარდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 ომში. 1774 წლის ნოემბერში *სოლომონ I-მა* პეტერბურგს საგანგებო ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტა. იმ სიგელსა და წერილებში, რომლებიც სოლომონმა დ. კვინიხიძეს გაატანა, მან ოფიციალური თხოვნით მიმართა *ეკატერინე II-ის* მთავრობას, რომ იმერეთის სამეფო თავის მფარველობაში მიეღო. იმერეთის ელჩს თან გააყოლეს თავად-აზნაურთა შვილები: და-ძმა იაშვილები, ლოლობერიძეები, ბაქრაძე და სხვები, რომლებიც უნდა მოენათლათ და აღეზარდათ რუსეთის სამეფო კარზე. კვინიხიძის ამ ელჩობას წარმატება არ მოჰყოლია. ქუჩუკ-კაინარჯის ზავი უკვე ხელმოწერილი იყო და რუსეთის მთავრობას აღარ სურდა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავება. მესამე ელჩობაში 1784 დ. კვინიხიძესთან ერთად შედიოდნენ მაქსიმე კათალიკოსი და ზურაბ წერეთელი. ელჩობა იმერეთის მოსახლეობის სახელით დავით გიორგის ძის მეფედ ცნობას, იმერეთის მფარველობაში მიღებას და თურქების წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა.

ლიტ.: მაჭარაძე ვ., ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.

**კვიპროსის კონვენცია 1878** (საიდუმლო), რუსეთის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის „თავდაცვითი კავშირის" შესახებ, ხელი მოაწერეს 4. VI კონსტანტინოპოლში (სტამბული) ბერლინის კონგრესის 1878 გახსნის წინ. დიდ ბრიტანეთს მიანიჭა კვიპროსის ოკუპაციის და თურქეთის მთავრობის მიერ მცირე აზიაში რეფორმების გატარებაზე კონტროლის უფლება. კონვენციის მიხედვით, დიდი ბრიტანეთი კისრულობდა თურქეთის დახმარებას „იარაღის ძალით" იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შეინარჩუნებდა ბათუმს, არდაგანს და ყარსს (რომელიც მას გადაეცა რუსეთ-თურქეთის 1877-78 ომის შედეგად) და შეეცდებოდა ახალი ტერიტორიების მოპოვებას მცირე აზიაში. თუმცა ზემოაღნიშნული ვალდებულება წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგანაც ინგლის-რუსეთის საიდუმლო შეთანხმების თანახმად, რომელიც დაიდო 30.V. 1878, დიდმა ბრიტანეთმა ცნო რუსეთის უფლებები ბათუმზე, არდაგანზე და ყარსზე, ხოლო რუსეთმა უარი თქვა ახალ ტერიტორიულ პრეტენზიებზე მცირე აზიაში. მას

შემდეგ, რაც თურქეთი ჩაება პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე, დიდმა ბრიტანეთმა სამეფო ბრძანებულებით (5.XI. 1914) განაცხადა კვიპროსის ანექსიისა და კონვენციის ანულირების შესახებ.

**კვიპროსის საკითხი**, მისი წარმოქმნა უკავშირდება კ. კვიპროსზე დიდი ბრიტანეთის კოლონიურ ბატონობას (იხ. *კვიპროსის კონვენცია 1878*). 1957-58 ნატოს საბჭოს მიერ გამომუშავებული გადაწყვეტილებით დიდი ბრიტანეთი დათანხმდა, მიეცა კვიპროსისთვის დამოუკიდებლობა. საბერძნეთმა უარი თქვა კუნძულის მიმართ თავის პრეტენზიაზე, თურქეთმა კი მისი გაყოფის მოთხოვნაზე. ეს შეთანხმება საფუძვლად დაედო *ციურიხ-ლონდონის 1959 ხელშეკრულებებს* დიდ ბრიტანეთს, საბერძნეთსა და თურქეთს შორის, რომლებსაც ხელი მოაწერეს კვიპროსის ბერძნული და თურქული თემების ლიდერებმაც. კვიპროსის დამოუკიდებლობის (გამოცხადდა 1960 აგვისტოში) გარანტები გახდნენ დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი. 1963 წლის დეკემბერში ექსტრემისტულმა ელემენტებმა გამოიწვიეს შეიარაღებული შეტაკებები კვიპროსის ბერძნულ და თურქულ მოსახლეობას შორის. ნატო შეეცადა, შეეყვანა თავისი შეიარაღებული ძალები და კუნძულზე შეექმნა საერთაშორისო ორგანო ქვეყნის ფაქტობრივად სამართავად. კვიპროსის მთავრობამ თხოვნით მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს, მიეღო ქმედითი ზომები ქვეყნის სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად. 1964 წლის 4 მარტის 186-ე რეზოლუციის შესაბამისად, კვიპროსზე მშვიდობის დასაცავად, თავდაპირველად 3 თვით, შევიდნენ გაეროს შეიარაღებული ძალები. მათი უფლებამოსილების ვადა კვიპროსის მთავრობის მოთხოვნით პერიოდულად გრძელდებოდა. 1974 წლის 15 ივლისს საბერძნეთის სამხედრო ხუნტის მიერ კვიპროსზე ინსპირირებულ იქნა სახელმწიფო გადატრიალება. 20 ივლისს, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის მიზნით, თურქეთის ჯარები გადასხდნენ კუნძულზე, დაიკავეს მისი ტერიტორიის დაახლოებით 40% და ფაქტობრივად მოახდინეს ქვეყნის გაყოფა. 1983 წლის 15 ნოემბერს კვიპროსის თურქული თემის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის" დამოუკიდებლობა. გაეროს უშიშროების საბჭოს 1983 წლის 18 ნოემბრის 541-ე რეზოლუციამ გამოაცხადა, რომ კვიპროსის თურქული თემის ამ გადაწყვეტილებას იურიდიული ძალა არ ჰქონდა. უშიშროების საბჭომ მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, პატივი ეცათ კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და მიუმხრობლობის პოლიტიკისათვის, არ ეცნოთ რომელიმე სახელმწიფო კვიპროსზე, გარდა კვიპროსის რესპუბლიკისა. 1984 წლის 11 მაისს, 550-ე რეზოლუციით, უშიშროების საბჭომ დაგმო შემდგომი სეპარატისტული მოქმედებები კვიპროსზე და გამოაცხადა ისინი უკანონოდ და ძალადაკარგულად. მაგრამ, საბჭოს გადაწყვეტილებების მიუხედავად, 1985 წლის მაისში კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში ჩატარდა ე. წ. „კონსტიტუციური რეფერენდუმი", ივნისში კი საპრეზიდენტო არჩევნები.

**კვირიკე I**, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 892-918. ცნობილია მისი დიპლომატიური აქტიურობა საქართველოში აბუ ლ-კასიმის ლაშქრობის დროს (914). კ.I-მა თავისი მოქნილი დიპლომატიით იხსნა კახეთი აბუ ლ-კასიმის ლაშქრის თარეშისაგან. მისი ინიციატივით მოეწყო კახ-„აფხაზთა" ერთობლივი ლაშქრობა ჰერეთის დასაკავებლად. ჰერეთის მთავარი *ადარნასე პატრიკი* იძულებული გახდა დაზავებოდა *კონსტანტინე III* „აფხაზთა" მეფესა და კ.I-ს. „აფხაზთა" მეფემ მიიღო არიში და გავასნი, ხოლო კ.I-მა – ორჭობი.

*წყარო:* მატიანე ქართლისა, – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973

*ლიტ.:* პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი თ., რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.

**კვირიკე II**, კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 929-976. კახეთის საქორეპისკოპოსოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ლიდერი. აქტიურად იბრძოდა გიორგი II „აფხაზთა" მეფის წინააღმდეგ კახეთის სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად. გიორგი II-მ კ.II-ის ძმის შურტას მეშვეობით შეძლო კახეთის დიდი ნაწილის დაკავება, რის შედეგადაც კ.II-მ დაკარგა კონტროლი ქვეყანაზე „და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა". მოგვიანებით კ.II-მ ქართლის აზნაურთა მხარდაჭერით მოახერხა კახეთის დაბრუნება. გიორგი II-მ, კ.II-ის დასჯის მიზნით, 957 ახლო ხანებში მოაწყო ახალი ექსპედიცია კახეთში ტახტის მემკვიდრის ლეონის (იხ. *ლეონ III „აფხაზთა" მეფე*) ხელმძღვანელობით, მაგრამ ამჯერად ომი თავიდან იქნა აცილებული. ბაზალეთის ტბის პირას დაიდო ზავი (იხ. *ბაზალეთის ზავი*), რომლის მიხედვითაც კ.II-მ ფაქტობრივად ცნო „აფხაზთა" მეფის უზენაესობა. ზავი განმტკიცებულ იქნა დინასტიური ქორწინებით. კ.II-ის ავტორიტეტი საერთო-ქართულ პოლიტიკურ არენაზე განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა X ს. 70-იან წლებში, როდესაც ის აქტიურად ჩაერია გიორგი II-ის ვაჟების – დემეტრესა და თეოდოსის შორის ქუთაისის ტახტისათვის ატეხილ დავაში. კ.II გამოვიდა დიპლომატიური ინიციატივით და მოინდომა დემეტრე-თეოდოსის შერიგება, მაგრამ უშედეგოდ. 975 ახლო ხანებში კ.II-მ გადადგა ნაბიჯები „აფხაზთა" სამეფოსაგან ქართლის (შიდა ქართლის) მოწყვეტისა და მისი კახეთის კონტროლქვეშ მოქცევის მიზნით. კ.II-ის ამ მცდელობას წინ აღუდგა ქართლის ერისთავი იოანე მარუშის ძე, რომელმაც ქართლი იმიერტაოს ლიდერს *დავით III* კურაპალატს მისი შვილობილის ბაგრატ ბაგრატიონისათვის შესთავაზა. კ.II შეეცადა არ დაეშვა ქართლის ბაგრატის ხელში გადასვლა. მან დაატყვევა კიდეც ბაგრატ უფლისწული დედ-მამითურთ და უფლისციხე დაიკავა, მაგრამ საქმეში კვლავ ჩაერია დავით კურაპალატი, რომელმაც აიძულა კ.II წასულიყო დათმობაზე, გაენთავისუფლებინა დატყვევებულნი და დაებრუნებინა ქართლი უფლისციხითურთ, თუმცა კახეთის ქორეპისკოპოსმა მაინც მიაღწია გარკვეულ წარმატებას. მას წირქვალის ციხე და გრუი გადაეცა.

*წყარო და ლიტ.:* იხ. *სტ-თან კვირიკე I.*

**კვირიკე III**, კახეთის ქორეპისკოპოსი, კახეთ-ჰერეთის მეფე 1010-1037. კ.III-მ თავისი პოლიტიკური კარიერა მარცხით დაიწყო. ის ვერ გაუმკლავდა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის *ბაგრატ III-ის* შემოტევას და იძულებული შეიქმნა ტახტი დაეთმო. მოგვიანებით, ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ, კ.III-მ არა თუ დაიბრუნა კახეთი, არამედ ჰერეთიც შემოიმტკიცა და საფუძველი ჩაუყარა ერთიან „რანთა და კახთა" სამეფოს. მანვე პირველმა მიიღო მეფის ტიტული. კ.III-ის სახელთან არის

დაკავშირებული კახეთ-ჰერეთის საერისთავოებად დაყოფა. კ.III საერთაშორისო მასშტაბის მოღვაწე იყო. მისი ინიციატივით 1030 შეიქმნა კოალიცია განძის ამირა *ფადლონის* წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობდნენ ლიპარიტ ბაღვაში, ივანე აბაზას ძე, ტაშირ-ძორაკეთის მეფე დავითი, თბილისის ამირა ჯაფარი. ფაქტობრივად, კ.III იყო ამ კოალიციური ლაშქრობის ხელმძღვანელი (*ბაგრატ IV* ამ დროს მცირეწლოვანი იყო). ლაშქრობა წარმატებით დაგვირგვინდა. ქართველთა და სომეხთა გაერთიანებულმა ძალებმა ფადლონი სასტიკად დაამარცხეს. არანაკლებ აქტიურობდა კ.III ჩრდილოეთის მიმართულებითაც, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ყოველნაირად ცდილობდა შეეზღუდა ოვსეთის ძლიერი სამეფოს მზარდი გავლენა. კ.III სწორედ ოვსეთ-კახეთის დაპირისპირებას შეეწირა. ის მოკლულ იქნა ნადირობის დროს ოვსი მაინის მიერ, იმის გამო, რომ თავის დროზე მისი მითითებით მოკლეს ოვსთა მეფე ურდურე.

*წყარო და ლიტ.: იხ. სტ-ში კვირიკე I.*

**კვიტაშვილი** ლეონიდ (ბონდო) მიხეილის ძე (1900-43). ახალგაზრდობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დავალებით 1918-დან იბრძოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იყო ქუთაისის განსაკუთრებული დანიშნულების (ჩონ) პოლკის, შემდეგ – თბილისის ბატალიონის მეთაური; 1923-დან სწავლობდა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო განყოფილებაზე; 1925-26 იყო სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სტაჟიორი საფრანგეთში; 1927-დან – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მდივანი თეირანში; 1929-დან – სსრკ-ის საგარეო საქმეთა რწმუნებულის მოადგილე ამიერკავკასიაში. 1929-35 იყო ამიერკავკასიის სამხედრო კომიტეტის განკარგულებაში. 1935-დან მუშაობდა ლენტეხის სამომხმარებლო კავშირის თავმჯდომარედ. რეპრესირებულ იქნა 1937. რეაბილიტირებულია 1956.

**კვიცინსკი** იური ალექსანდრეს ძე (დ. 1936), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1959-დან. 1959-65 – გდრ-ში სსრკ-ის საელჩოს თანამშრომელი; 1969-78 – საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელი; 1969-78 – საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატში საპასუხისმგებლო სამსახურში; 1970-71 მონაწილეობდა ოთხმხრივ მოლაპარაკებაში *დასავლეთ ბერლინთან* დაკავშირებით, ხოლო 1973-74 – *ვენის მოლაპარაკებაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ ცენტრალურ ევროპაში;* 1978-81 – გფრ-ში სსრკ-ის საელჩოს მრჩეველი-დესპანი. 1981-83 ხელმძღვანელობდა საბჭოთა დელეგაციას *საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ;* 1985 – საბჭოთა მხარის წარმომადგენელი კოსმოსური შეიარაღების ჯგუფში *საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ.* იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი; არის მრავალი ნაშრომის ავტორი საერთაშორისო ურთიერთობათა და სსრკ-ის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

**კიახტის შეთანხმება 1915** (რუსეთ-ჩინეთ-მონგოლეთის ე.წ. „სამთა შეთანხმება"), ხელი მოაწერეს 25.V(7.VI). კიახტაში. მოაწესრიგა პოლიტიკური და ტერიტორიული საკითხები, დაკავშირებული გარემონგოლეთის ავტონომიის ცნობასთან, რომელიც ჩინეთის ფორმალური სიუზერენიტეტის ქვეშ რჩებოდა. შეთანხმების თანახმად, ჩინეთი კისრულობდა, არ შეეყვანა ჯარები მონგოლეთში, უარი ეთქვა მისი მიწების კოლონიზაციაზე და არ ჩარეულიყო საშინაო მმართველობაში. გარემონგოლეთს მიეცა უფლება, დაედო საერთაშორისო ხელშეკრულებები სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებზე.

**კიახტის ხელშეკრულება 1727** (რუსეთსა და ჩინეთს შორის საზღვრის დაწესებისა და ვაჭრობის შესახებ), ხელი მოაწერეს 21.X(1.XI.) რუსეთის ელჩმა ს. ლ. *რაგუზინსკი-ვლადისლავიჩმა,* ცინების მთავრობის რწმუნებულმა ჩაბინმა, ტეგუტმა და ტულიშენმა. ცინების იმპერატორ კანსის სიკვდილის შემდეგ შექმნილმა ვითარებამ საშუალება მისცა რუსეთსა და ჩინეთს, დაემყარებინათ ურთიერთსასარგებლო ნორმალური ურთიერთობა. ახალმა იმპერატორმა იუნჩჟენმა გამოთქვა ცინების იმპერიის სურვილი, შეენარჩუნებინა სამუდამო მშვიდობა რუსეთთან და დაეწყო მოლაპარაკებები ჩინეთის მიერ დაპყრობილი აღმოსავლეთ მონგოლეთის ჩრდილოეთით ჩინეთ-რუსეთის საზღვრის დაწესების შესახებ. 1725 წლის ივნისში ჩინეთში გაიგზავნა რუსეთის ელჩობა რაგუზინსკი-ვლადისლავიჩის მეთაურობით. ორწლიანი მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც პეკინში დაიწყო და საზღვარზე გაგრძელდა, 20 (31).VIII. 1727 მდ. ბურზე (მდ. არღუნის შესართავი) ხელი მოაწერეს ბურის ხელშეკრულებას (ტრაქტატს), რომელმაც ზოგადად მოხაზა რუსეთ-ჩინეთის საზღვარი მდ. არღუნიდან (აღმოსავლეთით) შაბინ-და-ბაგას უღელტეხილამდე (დასავლეთით). ბურის ხელშეკრულების პირობების თანახმად, შეიქმნა 2 შერეული რუსულ-ჩინური საზღვრის დამდგენი კომისია, რომელმაც კიახტის ხელშეკრულების დადებამდე პერიოდში ადგილზე მოხაზა საზღვარი და შეადგინა შესაბამისი დოკუმენტები: „გაცვლითი წერილები", სასაზღვრო ნიშნების აღწერა და სასაზღვრო რუკები. ბურის ხელშეკრულება შევიდა კიახტის ხელშეკრულებაში ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. კ.ხ-ის დადებისას მხარეები ხელმძღვანელობდნენ პრინციპით: „თითოეული ფლობს იმას, რასაც ფლობს ამჟამად". კეთილმეზობლური ურთიერთობის განსამტკიცებლად ორივე მხარე დათანხმდა, დაევიწყებინა 1727-მდე დაგროვილი ყველა საქმე მტრის მხარეზე გადასულთა შესახებ, ამავე დროს, ორივე მხარემ იკისრა მათი დაუყოვნებლივ გაცემა. რუსეთის ვაჭრობა პეკინში შემოიფარგლებოდა 3 წელიწადში ერთხელ არა უმეტეს 200-კაციანი ქარავნის გაგზავნის უფლებით. თუმცა უბაჟო სასაზღვრო ვაჭრობის გახსნის მეშვეობით სავაჭრო ოპერაციათა საერთო მოცულობა წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. კ.ხ-მ იურიდიულად გააფორმა პეკინში რუსეთის სასულიერო მისიის ყოფნა, რომლის 10 წევრიდან 6 სწავლობდა ჩინურ და მანჯურიულ ენებს. ადგილობრივი სასაზღვრო დავების მოწესრიგება ევალებოდა ორივე მხარის სასაზღვრო ადმინისტრატორებს. ხელშეკრულების უკანასკნელი მუხლები განსაზღვრავდა საელჩოთა მიღების წესებს და იურისდიქციას საზღვრის დამრღვევთა მიმართ. კ.ხ-მ შექმნა რუსეთისა და ცინების ჩინეთის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძველი XIX საუკუნის შუა ხანებამდე; შემდგომში მისი დებულებები ორივე მხარის თანხმობით იცვლებოდა შესაბამისი შე-

თანხმებებით, კერძოდ, აიგუნის ხელშეკრულებით (858) და პეკინის (ტიანძინის დამატებითი) ხელშეკრულებით (1860). საზღვრის მონაკვეთი მდ. არგუნიდან დასავლეთით ტარბაგან-დაჰუმდე აღდგა და დაზუსტდა ციციკარის ოქმით (1911).

**კიბლი** (Keeble) (ჰერბერტ ბენ) კერტის (დ. 1922), ბრიტანელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1947-დან. მუშაობდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლობაში ინდონეზიაში (1947-49), *დასავლეთ ბერლინში* დიდი ბრიტანეთის სამხედრო ადმინისტრაციის პოლიტიკური მრჩევლის აპარატში (1951-54), დიდი ბრიტანეთის საელჩოში აშშ-ში (1954-58), დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (1949-51 და 1958-63); 1963-65 დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის ეკონომიკურ ორგანიზაციათა განყოფილების გამგეა, 1965-68 – შვეიცარიაში დიდი ბრიტანეთის საელჩოს სავაჭრო მრჩეველი; 1968-71 – ავსტრალიაში დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მრჩეველი-დესპანი; 1971-73 – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის თანაშემწე; 1974-76 – დიდი ბრიტანეთის ელჩი გდრ-ში; 1976-78 – დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილის მოადგილე; 1978-82 – დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრკ-ში. 1982 თადარიგშია.

**კიდერლენ-ვეხტერი** (Kiderlen-Wächter) ალფრედ (1852-1912), გერმანელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა 1879-დან. 1900-08 – გერმანიის დესპანი რუმინეთში, მოლაპარაკებებს აწარმოებდა თურქეთთან ბაღდადის რკინიგზის შესახებ; 1908-10 – გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოსნიის კრიზისში 1908-09; 1910-12 – საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი, აქტიურად მონაწილეობდა გერმანია-საფრანგეთის შეთანხმების 1911 შემუშავებაში (იხ. *„მაროკოს კრიზისები"*), ცდილობდა გამოეყენებინა *ნიკოლოზ II-ისა* და *ვილჰელმ II-ის* პოტსდამის შეხვედრა (1910) ანტანტის შესუსტებისათვის.

**კიევის რუსეთის ხელშეკრულებები ბიზანტიასთან**, ძველი რუსული სახელმწიფოს (კიევის რუსეთის) პირველი დიპლომატიური აქტები. სულ შემორჩენილია ბიზანტიასთან დადებული სამი ხელშეკრულების ტექსტი: კიევის დიდი მთავრის ოლეგის – 911; დიდი მთავრის იგორის – 944; დიდი მთავრის სვიატოსლავის – 972. უკანასკნელი გამოკვლევებით თითქოს დასტურდება მეოთხე ხელშეკრულების (907 – დიდ მთავარ ოლეგსა და ბიზანტიის ხელისუფლებას შორის) ტექსტის არსებობაც.ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ანალოგიური ხასიათის რუსულ-ბიზანტიური დიპლომატიური აქტები დგებოდა უფრო ადრეც (860-დან მაინც). ხელშეკრულებათა ტექსტების ბერძნული ორიგინალები შემორჩენილი არ არის, ძველმა რუსულმა მატიანემ მხოლოდ მათი სლავური თარგმანები შემოგვინახა. ხელშეკრულებებს ბიზანტიასთან ოფიციალურად კიევის დიდი მთავარი დებდა, თუმცა დოკუმენტის სუბიექტად მისი ქვეშევრდომი სხვა რუსი მთავრებიც ითვლებოდნენ, რომელთა ელჩები დიდი მთავრის ელჩთან ერთად მონაწილეობდნენ დოკუმენტის ხელმოწერაში. ხელშეკრულებები მოიცავდა მხარეთა სამხედრო-პოლიტიკური ვალდებულებების ფართო სპექტრს. კერძოდ, ისტორიოგრაფიაში არსებობს სავსებით საფუძვლიანი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სწორედ აღნიშნული ხელშეკრულებებით იყო განპირობებული ძველ რუსთა სამხედრო გააქტიურება ამიერკავკასიასა და სამხრეთ კასპიისპირეთში IX-X ს. I ნახევარში. ხელშეკრულებები, სამხედრო-პოლიტიკურთან ერთად, მთელ რიგ სხვა სადავო საკითხებსაც არეგულირებდა. მათში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რუს ვაჭართა უფლებებს კონსტანტინოპოლში.

ლიტ.: Папаскири З.В., У истоков грузино-русских политических взаимоотношений, Тб., 1982; Пашуто В.Т., Внешняя политика Древней Руси, М., 1968.

**კიკნაძე** შალვა დავითის ძე (დ. 1913), ქართველი სახელმწიფო მოღვაწე. 1938, საინჟინრო განათლების მიღების შემდეგ, მუშაობა დაიწყო მოსკოვში ა. იაკოვლევის საკონსტრუქტორო ბიუროში ავიაგამანადგურებელ „იაკების" წარმოების ტექნოლოგად; 1956-65 მუშაობდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორად; 1965-69 – საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ; 1969-78 – საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად.

**კილის საზავო ხელშეკრულებები 1814** (ერთი მხრივ, საფრანგეთის მოკავშირე დანიასა და, მეორე მხრივ, ბრიტანეთსა და შვეციას შორის), ხელი მოაწერეს კილში (შლეზვიგ-ჰოლშტაინი) 14 იანვარს.

1. დანიის ხელშეკრულებამ დიდ ბრიტანეთთან დაასრულა ინგლის-დანიის ომი 1807-14, რომელიც ინგლისმა წამოიწყო, რათა ხელი შეეშალა *კონტინენტურ ბლოკადასთან* დანიის მიერთებისათვის და განემტკიცებინა თავისი უპირატესობა ზღვაზე.

ხელშეკრულების თანახმად, ბრიტანეთმა დანიას დაუბრუნა ინგლისელთა მიერ დაპყრობილი ყველა დანიური სამფლობელო, კუნძულ ჰელგოლანდის გარდა, მაგრამ მიიღო განსაკუთრებული უფლებები შტრალზუნდში, რომელიც 20 წლის განმავლობაში უნდა ქცეულიყო ინგლისური საქონლის ბაზად და ხელი შეეწყო ინგლისისა და შვეციის ვაჭრობისათვის ყოველგვარი შესლის გარეშე. დანია კისრულობდა, მონაწილეობა მიეღო ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ ომში და გამოეყვანა 10 ათასი ჯარისკაცი, რომელთა შესანახად დიდ ბრიტანეთს უნდა გადაეხადა ყოველწლიური სუბსიდია 400 ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობით. ორივე მხარე შეთანხმდა, არ დაედო სეპარატული ზავი საფრანგეთთან და აღედგინა ომამდელი სავაჭრო ურთიერთობები.

2. დანიის ხელშეკრულებამ შვეციასთან დაასრულა დანია-შვეციის ომი 1813-14, რომელიც დაიწყო შვეციის დანიაზე თავდასხმის შედეგად რუსეთში ნაპოლეონის არმიის განადგურების შემდეგ. ხელშეკრულების თანახმად, დანიამ იკისრა საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციაში მონაწილეობა. დანიის მეფემ თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით უარი თქვა ნორვეგიის სამეფოზე. კომპენსაციის სახით შვეციამ დანიას გადასცა კუნძული რიუგენი და შვედური პომერანია, პორტ შტრალზუნდის გარდა. გათვალისწინებული იყო სამხედრო მოქმედებების შეწყვეტა დანიასა და შვეციის მოკავშირეებს – რუსეთსა და პრუსიას შორის. ორივე ხელშეკრულების რატიფიკაცია დანიის, შვეციისა და დიდი ბრიტანეთის მიერ მოხდა 1814 წლის თებერვალში და დამტკიცდა 1815 ვენის კონგრესზე, შვედური პომერანიისა და კუნძულ რიუგენის შესახებ პუნქტის გარდა, რომლებიც 1816 გადაეცა პრუსიას. კომპენსაციის სახით დანიამ მიიღო ლაუენბურგის საჰერცოგო.

**ᲙᲘᲛ ᲘᲝᲜ ᲜᲐᲛᲘ** (დ. 1928), კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, დიპლომატი. 1963-67 – კსდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; 1967-72 კორეის შრომის პარტიის ცკ-ის აპარატში პასუხსაგებ თანამდებობაზეა, 1972-83 -კშპ ცკ-ის მდივანი; 1983-დან – კსდრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი, კსდრ-ის ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერის მოადგილე.

**ᲙᲘᲜᲙᲔᲚᲘ** (Kinkel) კლაუს (დ. 1936), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1956-60 სწავლობდა ტიუბინგენის უნივერსიტეტში სამართლის სპეციალობით; 1964 – სამართლის დოქტორი; 1965-70 – გფრ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი; 1970-74 – გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრის პირადი თანაშემწე და აპარატის უფროსი; 1974-77 – გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი; 1977-78 – ამავე სამინისტროს დაგეგმვის სამმართველოს უფროსი; 1978-82 – გფრ-ის ფედერალური სასაზღვრო სამმართველოს უფროსი; 1982-91 – იუსტიციის ფედერალური მინისტრის მოადგილე; 1991-92 – იუსტიციის ფედერალური მინისტრი; 1992 – გფრ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1993-დან იმავდროულად არის ფედერალური ვიცე-კანცლერი.

**ᲙᲘᲜᲢᲐᲜᲘᲚᲘᲐ** (Kintanilla) ლუის (1900-80), მექსიკელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1922-დან. მუშაობდა მექსიკის საელჩოებში აშშ-ში, გვატემალაში, ბრაზილიაში, საფრანგეთსა და შვეიცარიაში. 1943-45 – მექსიკის ელჩი სსრკ-ში და ამავე ქვეყანაში კოსტა-რიკის დროებითი დესპანი. მონაწილეობდა *1945 სან-ფრანცისკოს კონფერენციაში*, იყო მექსიკის წარმომადგენელი *ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში*.

**ᲙᲘᲞᲠᲘᲐᲜᲣ** (Kyprianou) სპიროს (დ. 1932), კვიპროსის რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1952 მუშაობდა ლონდონში კვიპროსის ბერძნულ თემთა წარმომადგენლობაში; 1956-57 – კვიპროსის ბერძნულ თემთა წარმომადგენელი ნიუ-იორკში, ხოლო 1957-59 – ლონდონში; 1960-72 – კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1976-77 – წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე; 1977-დან – კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი. კვიპროსის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1976) და მისი უცვლელი თავმჯდომარე.

**ᲙᲘᲠᲝᲕᲘ** (პარტ. ფსევდ.; ნამდ. გვარი კ ო ს ტ რ ი კ ო ვ ი) სერგეი მირონის ძე (1886-1934), რუსი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე. კომპარტიის წევრი 1904-დან. მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1920 წლის 29 მაისს დაინიშნა რსფსრ-ის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც დაჰყო 1920 წლის სექტემბრის ბოლომდე. 1920 წლის 1-12 ოქტომბერს მეთაურობდა საბჭოთა რუსეთის დელეგაციას, რომელსაც პოლონეთთან ხელშეკრულება უნდა დაედო ქ. რიგაში. 1934 წლის 1 დეკემბერს მოკლეს.

**ᲙᲘᲠᲝᲡ II** დ ი დ ი , სპარსეთის მეფე ძვ. წ. 558-30. აქემენიდური დინასტიის ფუძემდებელი. შექმნა ძველი სამყაროს უძლიერესი სახელმწიფო. დაიპყრო მიდია, ლიდია, შუა აზია, ბაბილონი. დაიღუპა მასაგეტებთან ბრძოლის დროს შუა აზიაში. ბიბლიასა და ანტიკურ ავტორებს კII დახასიათებული ჰყავთ იდეალურ მპყრობელად. მათი გადმოცემით, იგი იყო კეთილი და შემწყნარებელი დამორჩილებული ხალხების მიმართ. მის წარმატებათა სათავე მოწინააღმდეგის ძალების რეალურ შეფასებაში მდგომარეობდა. კარგად იყენებდა მეზობელ ხალხთა შორის არსებულ უთანხმოებას. გაათავისუფლა იუდეველები ბაბილონის ტყვეობიდან და აღადგინა იერუსალიმი. კII-მ მოხერხებულად გამოიყენა ბაბილონის, მცირე აზიისა და ფინიკიის სავაჭრო წრეების ინტერესები: ქალაქებსა და ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი გზები დაცული ყოფილიყო სახელმწიფოს მიერ. დააკმაყოფილა ძველი სამყაროს ეკონომიკური ცხოვრების აუცილებლობით გამოწვეული მოთხოვნები.

**ᲙᲘᲠᲮᲨᲚᲔᲒᲔᲠᲘ** (Kirchschläger) რუდოლფ (დ. 1915), ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1954-დან დიპლომატიურ სამსახურშია. მონაწილეობდა 1955 დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების დადებაში. 1956-62 – ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამართლის განყოფილების გამგე; 1962-67 – სამინისტროს გენერალური მდივნის მოადგილე; 1963-66 – საგარეო საქმეთა მინისტრის სამდივნოს უფროსი; 1967-70 – ავსტრიის დესპანი ჩეხოსლოვაკიაში; 1970-74 – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1974 – ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტი.

**ᲙᲘᲡᲔᲚᲘᲝᲕᲘ** ევგენი დიმიტრის ძე (1908-63), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1938-დან. 1938-39 – კლაიპედაში სსრკ-ის საკონსულოს თანამშრომელი; 1939-40 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის თანამშრომელი; 1940-41 – ჯერ სსრკ-ის კონსული, ხოლო შემდეგ გენერალური კონსული კენიგსბერგში. 1941-42 საბჭოთა არმიის რიგებშია, 1942-43 სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ აპარატში პასუხსაგებ თანამდებობაზეა; 1943-45 – სსრკ-ის გენერალური კონსული ნიუ-იორკში; 1945-48 – ავსტრიის საკითხებში სამოკავშირეო კომისიაში სსრკ-ის უმაღლესი კომისრის პოლიტიკური მრჩეველი, იმავდროულად 1946-48 – სსრკ-ის პოლიტიკური წარმომადგენელი ავსტრიის მთავრობასთან; 1948-49 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგე; 1949-54 – სსრკ-ის ელჩი უნგრეთში; 1954-55 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე; 1955-58 – სსრკ-ის ელჩი ეგვიპტეში; 1958-59 – სსრკ-ის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში; 1956-59 – სსრკ-ის დესპანი იემენში შეთავსებით; 1959-62 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე; 1962-63 – გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე; მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა და თათბირის მუშაობაში.

**ᲙᲘᲡᲔᲚᲘᲝᲕᲘ** კუზმა ბენედიქტეს ძე (1903-77), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა 1944-დან. 1944-46 – ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი (1946-დან მინისტრი), იმავდროულად, 1944-59 – სახალხო კომისართა საბჭოს (1946 – მინისტრთა საბჭოს) თავმჯდომარის მოადგილე. 1966-დან თადარიგშია. მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა და თათბირში, მათ შორის *1946 პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში*, მეთაურობდა ბსსრ-ის დელეგაციებს *1945 სან-ფრანცისკოს კონფერენციასა* და გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე.

**კისელიოვი** ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1800-69), გრაფი, რუსი დიპლომატი. 1829-37 – საფრანგეთში რუსეთის საელჩოს მდივანი, 1837-დან – მრჩეველი; ბრიტანეთში რუსეთის საქმეთა რწმუნებული. 1840 კვლავ გადაიყვანეს პარიზში. ყირიმის ომის დიპლომატიური მომზადების პერიოდში კ. იზიარებდა *ნიკოლოზ I-ის* აზრს საფრანგეთის მიმართ რუსეთის კეთილსასურველი დამოკიდებულების და საფრანგეთ-ინგლისის კავშირის შეუძლებლობის შესახებ. 1850-დან – დესპანი რომისა და ტოსკანიის სამეფო კარზე; 1864-დან – დესპანი იტალიის ერთიან სამეფოში.

**კისელიოვი** პაველ დიმიტრის ძე (1788-1872), გრაფი, რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1829 დაავალეს მოლდოვასა და ვალახეთის მმართველობა. 1835-მდე პერიოდში ამ სათავადოებში გაატარა მთელი რიგი პროგრესული რეფორმები. 1835-დან – გლეხთა საკითხის ყველა საიდუმლო კომიტეტის მუდმივი წევრი. დიპლომატიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა მხოლოდ 22 წლის შემდეგ (1856). დაინიშნა რუსეთის ელჩად საფრანგეთში. იგი მიიჩნევდა, რომ პარიზის ზავის 1856 მძიმე პირობების (იხ. *პარიზის კონგრესი 1856*) შერბილება შეიძლებოდა რუსეთის საფრანგეთთან დაახლოების შემთხვევაში. წამოაყენა იდეა დიდი ბრიტანეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ რუსეთის, საფრანგეთისა და პრუსიის თავდაცვითი კავშირის შექმნის შესახებ. 1862 თანამდებობიდან გადადგა.

**კისინჯერი** (Kissinger) ჰენრი ალფრედ (დ. 1923), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1951-69 ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. არის „პოლიტიკური რეალიზმის" ერთ-ერთი თეორეტიკოსი. მუშაობდა კონსულტანტად შტაბების მეთაურთა გაერთიანებულ კომიტეტში (1956-60); აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭოში (1961-62); აშშ-ის შეიარაღებასა და განიარაღებაზე კონტროლის სააგენტოში (1961-68); აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში (1965-69); 1969-74 – აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში; 1973-77 – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი. მონაწილეობდა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებებში; მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის 1973 ამერიკა-ვიეტნამის მოლაპარაკებებში, ასევე 1973-74 ახლო აღმოსავლეთში ცეცხლის შეწყვეტაში. 1973 მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. 1977-დან არის სტრატეგიული სამეცნიერო ცენტრის თავმჯდომარე; 1984-90 – პრეზიდენტის საგარეო სადაზვერვო სამსახურის მრჩეველი. 1977-დან მუშაობს მთელი რიგი კერძო კომპანიების კონსულტანტად, ამავე დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში (ვაშინგტონი). გამოქვეყნებული აქვს მრავალრიცხოვანი შრომები საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორიის შესახებ.

**კიულმანი** (Kühlmann) რიჰარდ (1873-1948), გერმანელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა 1890-დან. მუშაობდა გერმანიის წარმომადგენლობაში: რუსეთში (1900-01), ირანში (1901-04), ტანჟერში (1904-06), აშშ-ში (1906-07), ნიდერლანდებში (1907-08). 1908-14 – დიდ ბრიტანეთში გერმანიის საელჩოს მრჩეველი. მონაწილეობდა ინგლის-გერმანიის მოლაპარაკებებში ბაღდადის რკინიგზისა და პორტუგალიის კოლონიების საკითხებზე. 1915-16 – გერმანიის დესპანი ნიდერლანდებში; 1916-17 – გერმანიის ელჩი თურქეთში; 1917-18 – საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი, მეთაურობდა გერმანიის დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკის (ბრესტის) საზავო ხელშეკრულების 1918 და ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების 1918 დადებისას.

**კლავდიუს I**, ტიბერიუს კლავდიუს ცეზარ ავგუსტუს ნერო გერმანიკუსი (Tiberius Claudius Caesar Augustus Nero Germanicus), რომის იმპერატორი 41-54, იმპერატორ ტიბერიუსის ძმის დრუზუს უფროსი შვილი. მახლობლები თვლიდნენ უუნარო და შეზღუდულ პიროვნებად. იმპერატორი გახდა შემთხვევით. გაატარა ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი. კ.I-მა გაათავისუფლა *კალიგულას* მიერ გაურკვეველი ბრალდებით შეპყრობილი არმენიის მეფე *მითრიდატე* (იბერთა მეფის მითრიდატეს ძე). მისი საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა იბერიის სამეფო ოჯახის სომხეთში დამკვიდრებას, მაგრამ იბერთა შეუთანხმებელი მოქმედებით ამ პოლიტიკამ მარცხი განიცადა. 54 იბერებმა არმენია დაკარგეს და იგი პართიის ხელში გადავიდა.

**კლაუზულა** (ლათ. clausula – დასკვნა), *საერთაშორისო ხელშეკრულების* ან შეთანხმების განსაკუთრებული ხასიათის მქონე დებულება. იგი გამოიყენება განსაკუთრებული დებულების ან პირობების აღსანიშნავად. მაგ.: კ. *უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმზე ვაჭრობაში;* ხელშეკრულებაში საყოველთაო მონაწილეობის შესახებ; გარემოებათა საფუძვლიანი ცვლილებების შესახებ ვაჭრობაში; საერთაშორისო სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის შესახებ და ა.შ.

**კლეიტონ-ბულვერის ხელშეკრულება 1850**, ხელი მოაწერეს 19. IV ვაშინგტონში აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯ.მ. კლეიტონმა და აშშ-ში ბრიტანეთის დესპანმა უ.გ. ბულვერ-ლიტონმა (ცნობილია ასევე, როგორც ამერიკა-ინგლისის ხელშეკრულება 1850). წარმოადგენდა პირველ კომპრომისულ შეთანხმებას აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის წყნარი და ატლანტის ოკეანეების დამაკავშირებელი მომავალი არხის, ასევე ცენტრალური ამერიკის მიწების გავლით სხვა საოკეანეთაშორისო გზების საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ, ხელი შეეწყოთ ორი ოკეანის დამაკავშირებელი გზების (არხებისა და რკინიგზების) გამოყენებისათვის აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მიერ თანაბარი უფლებებით, უზრუნველეყოთ მომავალი არხის ნეიტრალიზაცია და ხელმისაწვდომი გაეხადათ იგი ყველა მეგობრული სახელმწიფოსთვის. ხელშეკრულების მონაწილეებმა იკისრეს ასევე, არ მოეხდინათ ნიკარაგუის, კოსტა-რიკის, მოსკიტის სანაპიროს, ანდა ცენტრალური ამერიკის სხვა რომელიმე ნაწილის ოკუპაცია. აშშ-ს სურდა რუსეთის მიერთება ხელშეკრულებასთან, მაგრამ რუსეთის მთავრობა ამაზე არ დათანხმდა. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში ხელშეკრულებას კრიტიკულად შეხვდნენ. საბოლოო ჯამში საოკეანეთაშორისო არხის ერთობლივი მშენებლობა ვერ განხორციელდა. ხელშეკრულება შეიცვალა ჰეი-პაუნსფოტის ხელშეკრულებით 1901, რომელმაც ფაქტობრივად აშშ-ს მისცა არხის დამოუკიდებლად მშენებლობის უფლება.

**კლემანსო** (Clemenceau) ჟორჟ ბენჟამენ (1841-1929), ფრანგი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლო-

მატი. 1871-93 – ეროვნული კრების დეპუტატი; 1902-დან – სენატორი (შესვენებებით); 1906 წლის მარტ-ოქტომბერში – შინაგან საქმეთა მინისტრი; 1906-09 – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ანტანტის ჩამოყალიბებაში. 1917-20 – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და სამხედრო მინისტრი. იგი იყო 1917-22 ანტისაბჭოთა ინტერვენციისა და 1919 უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკის დამხობის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1919-20 – პარიზის საზავო კონფერენციის თავმჯდომარე. ცდილობდა საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარებას ევროპაში, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვერსალის საზავო ხელშეკრულების შემუშავებაში 1919.

**კლესტილი** (Klestil) თომას (დ. 1932), ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი. დაამთავრა ვენის ეკონომიკის უნივერსიტეტი. 60-იან წლებში ფედერალური კანცლერის, ავსტრიის სახალხო პარტიის თავმჯდომარის იოზეფ კლაუსის მდივანი. შემდგომში გენერალური კონსული ლოს-ანჯელესში (აშშ). 1978-82 – ავსტრიის წარმომადგენელი გაეროში. ამავდროულად 1978-87 – ავსტრიის ელჩი აშშ-ში და ავსტრიის წარმომადგენელი *ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციაში*. 1987-92 – ავსტრიის საგარეო უწყების ცენტრალური მდივანი. 1992 წლის აპრილში აირჩიეს პრეზიდენტად.

**კლინტონი** (Clinton) უილიამ ჯეფერსონ, ბილ (დ. 1946), აშშ-ის ორმოცდამეორე პრეზიდენტი, დემოკრატი. 1968 ჯორჯთაუნის (აშშ) უნივერსიტეტში მიიღო ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში. 1968-70 ასპირანტურის კურსი გაიარა ოქსფორდის (ინგლისი) უნივერსიტეტში; 1973 იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო იელის (აშშ) უნივერსიტეტში. 1973-76 იყო არკანზასის უნივერსიტეტის პროფესორი ქ. ფაიეტვილში (აშშ). 1977-79 – არკანზასის შტატის გენერალური პროკურორი. 32 წლის ასაკში გახდა ყველაზე ახალგაზრდა გუბერნატორი აშშ-ის ისტორიაში. 1986-87 იგი გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარეა. 1992 წლის 3 ნოემბერს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა და გახდა აშშ-ის ორმოცდამეორე პრეზიდენტი. კ-მა საარჩევნო კომპანიის დროს აქცენტი გააკეთა ლოზუნგზე „ხალხი უპირველეს ყოვლისა“. 1996 იგი ხელმეორედ აირჩიეს აშშ-ის პრეზიდენტად.

**კლირინგული შეთანხმება**, სავაჭრო და საგადასახადო ხელშეკრულებათა ერთ-ერთი სახეობა, რომელიც აწესრიგებს მხარეების მიერ ერთმანეთისათვის საქონლის მიწოდებასა და სხვადასხვა მომსახურებას მათი თანაბარი ღირებულების საფუძველზე. ამ მიზნით კ.შ. ითვალისწინებს ფულადი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ორმხრივ უნაღდო აგარიშსწორებას, აგრეთვე ამ ანგარიშების ცენტრალიზაციას სპეციალურ (კლირინგულ) ანგარიშზე მხარეების მიერ რწმუნებულ ბანკებში.

**კლუბი რამბუიე**, იხ. *„დიდი შვიდეულის“ თათბირი*.

**კნერედის ზავი 1613**, საზავო ხელშეკრულება დანიასა და შვეციას შორის, ხელი მოაწერეს 20. I კნერედში (მაშინდელი დანიის, დღევანდელი შვეციის ტერიტორია), დაასრულა დანია-შვეციის კალმარის ომი 1611-13. კ.ზ-ის თანახმად, დანია შვეციის მიერ 1 მლნ ტალერის ოდენობის გამოსასყიდის გადახდამდე ინარჩუნებდა უფლებებს უმნიშვნელოვანეს შვედურ პორტსა და ციხე-სიმაგრე ელფსბორგზე (რომელიც 1612 წლის მაისში დაიპყრო) და შვეციის 7 მაზრაზე. შვეცია უარს ამბობდა ბარენცის ზღვის სკანდინავიური სანაპიროს მიმართ პრეტენზიაზე. კ.ზ-მა დაუშვა დანიელების უბაჟო ვაჭრობა შვეციაში და შვედებისა – დანიაში.

**კნორინგის დიპლომატიური მისია**, მას შემდეგ, როცა ქართველი ელჩების გ. *ჭავჭავაძის*, ე. *ფალავანდიშვილის* და გ. *ავალიშვილის* მოხსენებანი უშედეგოდ დარჩა და პავლე I-მა ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა, ახალმა იმპერატორმა *ალექსანდრე I-მა* სახელმწიფო საბჭოს რჩევით კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ კნორინგს დაავალა საქართველოში გამოეკვლია: 1. შეუძლია თუ არა საქართველოს არსებობა, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და 2. რუსეთთან შეერთების სურვილი საერთო სახალხოა თუ არა. კნორინგის „დასკვნას“ უნდა დამყარებოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ბედი. იგი 1801 წლის მაისში ესტუმრა საქართველოს. კნორინგის აზრით, საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლო და მისი რუსეთთან შეერთება არა მხოლოდ მაღალი ფენების, არამედ მთელი ხალხის სურვილი იყო. ამასთან, იგი ვერ მალავდა, რომ ქართველი თავადაზნაურობის დიდ ნაწილს სურდა, რათა საქართველოს შერჩენოდა ავტონომიური მმართველობა საკუთარი მეფით, მაგრამ ასევე აღნიშნავდა, რომ ქართველი თავადაზნაურობის „უფრო საფუძვლიანად მოაზროვნე“ ნაწილი მზადაა, დათმოს საკუთარი პრივილეგიები და რუსეთის მმართველობა მიიღოს. კნორინგის ამ დიპლომატიურ მისიას სამართლიანობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და გამიზნული იყო ქართული სახელმწიფოს ანექსიისათვის.

**კოალიცია** (ლათ. coalescere – შეერთება, გაერთიანება), ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს, ერის, პოლიტიკური პარტიის ან სხვა ორგანიზაციის კავშირი, რომელიც შექმნილია ერთობლივი მოქმედებების განხორციელების მიზნით. როგორც წესი, კ-ის მიზანია პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის ერთობლივი მოქმედებების განხორციელება. საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორმა კ-ისა იყო *ანტიჰიტლერული კოალიცია*.

**კობენცლი** (Cobenzl) ლუდვიგ (1753-1809), გრაფი, ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1774-79 – ავსტრიის დესპანი პრუსიაში; 1779-84 – ავსტრიის დესპანი; ხოლო 1784-1800 – ელჩი რუსეთში. აქტიური როლი შეასრულა რუსეთ-ავსტრიის სამოკავშირეო ხელშეკრულების (1781), *კამპოფორმიოს სამშვიდობო ხელშეკრულების 1797* ხელმოწერაში. იყო ავსტრიის წარმომადგენელი *რაშტატის კონგრესზე 1797-99*. 1800-01 – ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი და სახელმწიფო ვიცე-კანცლერი. ხელი მოაწერა *ლუნევილის საზავო ხელშეკრულებას 1801*. 1801-05 აღადგინა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან, 1804 ხელი მოაწერა რუსეთ-ავსტრიის საიდუმლო შეთანხმებას თავდაცვითი კავშირის შესახებ, ხოლო 1805 წლის აგვისტოში ფარულად შეუერთდა ინგლის-რუსეთის სამხედრო კავშირს. აუსტერლიცთან მოკავშირეთა არმიის დამარცხე-

ბისა და პრესბურგის საზავო ხელშეკრულების 1805 დადების შემდეგ თანამდებობიდან გადააყენეს.

**კოდიფიკაცია საერთაშორისო სამართლის**, იხ. *საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია*.

**კოვალევსკი** ეგორ პეტრეს ძე (1809 ან 1811-68), რუსი დიპლომატი, მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, მწერალი. 1837 ჩერნოგორიის მმართველის პეტრე ნეგოშის მოწვევით კ. ჩავიდა ამ ქვეყანაში, სადაც პირველად გამოვიდა, როგორც დიპლომატი. მან ხელი შეუწყო ავსტრია-ჩერნოგორიის ერთ-ერთი სასაზღვრო კონფლიქტის მოწესრიგებას. 1849 თან ახლდა რუსეთის სასულიერო მისიას პეკინში. 1851 მისი მონაწილეობით დაიდო *კულჯის ხელშეკრულება*. 1853 თურქეთ-ჩერნოგორიის ომის დროს კ-მ, როგორც ჩერნოგორიაში რუსეთის კომისარმა, ხელი შეუწყო საომარი მოქმედების შეწყვეტას და სამშვიდობო მოლაპარაკებათა დაწყებას. 1856 დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის დირექტორად. მისი ხელმძღვანელობით შემუშავდა რუსეთ-ჩინეთის აიგუნის ხელშეკრულების 1858 ტექსტი. 1861-დან — საგარეო საქმეთა სამინისტროს საბჭოს წევრი.

**კოვალენსკი** პეტრე ივანეს ძე (გ. 1817), რუსეთის ელჩი და მინისტრი ქართლ-კახეთის სამეფოში *გიორგი XII-ის* დროს 1799-1800 ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1801 დაინიშნა „საქართველოს მმართველად", ამავე დროს I განყოფილების აღმასრულებელი ექსპედიციის უფროსად. კ. ერთდროულად დანიშნული იყო აგრეთვე სპარსეთის საქმეების რწმუნებულად; მას ევალებოდა, თვალყური ედევნებინა, რათა შაჰის ხელისუფლება არ გაძლიერებულიყო ირანში; რაც შეეხება თვითონ ბაბა ხანს, საჭირო იყო მისი მკაცრად გაფრთხილება, რათა არც კი გაეფიქრებინა, მსგავსად აღა-მაჰმად ხანისა, საქართველოზე გალაშქრება. 1803 წლის 20 ოქტომბრიდან კ. თავის ჩინოვნიკებთან ერთად გაძევებულ იქნა საქართველოდან მექრთამეობისა და კარიერიზმის გამო.

**კოვალიოვი** ანატოლი გაბრიელის ძე (დ. 1923), საბჭოთა დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1948-დან. 1948-49 — სსრკ-ის საქმეთა სამინისტროს აპარატის თანამშრომელი; 1949-53 — გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის მრჩეველი; 1953-55 გერმანიაში სსრკ-ის უმაღლესი კომისრის აპარატში და გდრ-ში სსრკ-ის საელჩოში პასუხსაგებ სამუშაოზე. 1955-65 სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატშია; 1965-71 — სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს I ევროპული განყოფილების გამგე; 1971-დან — საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; იმავდროულად 1971-85 — სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკურ ღონისძიებათა დაგეგმარების სამმართველოს უფროსი; სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი 1966-დან.

მონაწილეობდა მრავალ კონფერენციასა და თათბირის მუშაობაში. იყო საბჭოთა დელეგაციების მეთაური *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის* II და III ეტაპებზე, მეთაურობდა საბჭოთა დელეგაციას *ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა მადრიდის შეხვედრაზე*.

**კოზირევი** ანდრეი ვლადიმერის ძე (დ. 1951), რუსეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1974 დაამთავრა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტი. დიპლომატიური რანგი — საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი (12.XII. 1990); ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. 1974-76 — სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილების რეფერენტი; 1976-79 — ამავე განყოფილების უფროსი რეფერენტი; 1979-80 — განყოფილების ატაშე; 1984-86 — საერთაშორისო ორგანიზაციათა განყოფილების პირველი მდივანი; 1986 — განყოფილების მრჩეველი; 1986-88 — სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციათა სამმართველოში განყოფილების უფროსი; 1988-89 — სამმართველოს უფროსის მოადგილე; 1989-90 — სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციათა სამმართველოს უფროსი; 1990-96 — რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1995-დან — რუსეთის ფედერალური სათათბიროს სახელმწიფო დუმის დეპუტატი.

**კოიმპერიუმი**, იხ. *კონდომინიუმი*.

**კოლენკური** (Caulaincourt) არმან ოგიუსტენ ლუი (1773-1827), მარკიზი, ჰერცოგი, საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1796-97 მოღვაწეობდა საფრანგეთის საელჩოში თურქეთში, ხოლო 1801-02 — რუსეთში. *ალექსანდრე I-ს* გადასცა *ნაპოლეონ I-ის* მილოცვა ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით. 1807-11 — საფრანგეთის ელჩი რუსეთში, მხარს უჭერდა საფრანგეთ-რუსეთის სამოკავშირეო ურთიერთობათა განვითარებას ნაპოლეონ I-ის გეგმების საწინააღმდეგოდ. თან ახლდა ნაპოლეონს ერფურტის შეხვედრაზე და რუსეთში ლაშქრობის დროს 1812. 1813 წლის ნოემბერსა და 1814 წლის აპრილში და ნაპოლეონის „ასი დღის" პერიოდში (1815) — საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**კოლერი** (Kohler) ფოი დევიდ (დ. 1908), ამერიკელი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში იყო 1931-დან. მუშაობდა უინძორში (კანადა) აშშ-ის საკონსულოში (1932), აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში რუმინეთში (1933-36), იუგოსლავიაში (1935), საბერძნეთში (1936-41), ეგვიპტეში (1941), დიდ ბრიტანეთსა და გაეროს დახმარებისა და აღდგენის ადმინისტრაციის საბჭოში (1944); 1941-45 (ხანმოკლე შესვენებით 1944-ში) — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში; მონაწილეობდა *სან-ფრანცისკოს კონფერენციაში 1945*; 1945-46 — საბერძნეთის არჩევნებზე მეთვალყურე, გაეროს მისიის მეთაური; 1947-48 — სსრკ-ში აშშ-ის საელჩოს პირველი მდივანი და მრჩეველი, ხოლო 1948-49 — მრჩეველი დესპანი. 1949 — უცხოეთის ქვეყნებზე რადიომაუწყებლობის სამმართველოს უფროსი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში; 1949-52 — რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" დირექტორი; 1952 — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკის დაგეგმვის ჯგუფის წევრი; 1953-56 — თურქეთში აშშ-ის საელჩოს მრჩეველი; 1958-59 — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე; 1959-62 — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ევროპის საკითხებში; 1962-66 — აშშ-ის ელჩი სსრკ-ში; 1966-67 — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოადგილე; 1968 წლიდან — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კონსულტანტი; 1974-78 — წევრი, ხოლო 1978-დან — კონსულტანტი; 1974-78 — აშშ-ის საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭოს წევრი,

ხოლო 1978-დან – კონსულტანტი, იმავდროულად 1968 წლიდან ეწევა სამეცნიერო მუშაობას.

**კოლექტიური უშიშროება**, იხ. *საერთაშორისო უშიშროება*.

**კოლი** (**Kohl**) ჰელმუტ (დ. 1930), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი. სწავლობდა მაინის ფრანკფურტისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში. 1958 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, არის ფილოსოფიის დოქტორი. პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო 1946-დან, როცა შევიდა ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირში (ქდკ) წევრად. 1954-დან ქდკ-ის რაინლანდ-პფალცის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილეა; 1955-დან – ამავე მიწის ქდკ-ის ორგანიზაციის გამგეობის წევრი. 1966-73 რაინლანდ-პფალცის ქდკ-ის ორგანიზაციის თავმჯდომარეა. 1966-დან – ქდკ-ის ფედერალური მმართველობის წევრი; 1969-დან – ქდკ-ის ფედერალური თავმჯდომარის მოადგილე, 1973-დან – თავმჯდომარე; 1960-დან რაინლანდ-პფალცის ლანდტაგის წევრია, 1963-69 – რაინლანდ-პფალცის მხარის პრემიერ-მინისტრი. 1976-დან ბუნდესტაგის დეპუტატია, 1976-82 – ბუნდესტაგში ქდკ-ქსკ-ის ფრაქციის თავმჯდომარე; 1982 წლის 1 ოქტომბრიდან – გფრ-ის კანცლერი (ხელახლა იქნა არჩეული 1983, 1987, 1991 და 1994).

**კოლიზიური ნორმა** (ლათ. collisio – შეჯახება), *საერთაშორისო კერძო სამართლის* ნორმა, რომელიც მიუთითებს, თუ რომელი სახელმწიფოს სამართალი (კანონი) უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ხასიათის მქონე სამოქალაქო, საოჯახო, შრომითი ან სხვა ურთიერთობის რეგულირების დროს. აღნიშნული პრობლემა დგება მაშინ, როდესაც სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე არის უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირი და როდესაც სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს წინაშე დგება საკითხი, კონკრეტული შემთხვევის გადასაწყვეტად გამოყენებულ იქნეს საკუთარი თუ უცხო ქვეყნის კანონმდებლობა. კ.ნ., როგორც წესი, ჩამოყალიბებულია აბსტრაქტულად და მიუთითებს არა რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს სამართალს (სამართლის ნორმები), არამედ პრინციპს, ან ნიშანს, რომელიც განსაზღვრავს ამ ნორმის გამოყენების შესაძლებლობას (მაგ: კანონი პირის მოქალაქეობის შესახებ, კანონი ხელშეკრულების დადების ადგილის შესახებ და ა. შ.).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არის კ.ნ-ები, რომლებიც ეხება უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მოქალაქეობრივ ქმედითუნარიანობას, უცხოეთის იურიდიულ პირთა ქმედითუნარიანობას, საკუთრების უფლებას, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებიდან გამომდინარე ურთიერთობებს, მემკვიდრეობიდან გამომდინარე ურთიერთობებს და სხვ.

**კოლომბო** (**Colombo**) ემილიო (დ. 1920), იტალიის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. 1946 აირჩიეს დამფუძნებელი კრების დეპუტატად; 1948-დან – პარლამენტის დეპუტატთა პალატის წევრი; 1955-58 – სოფლის მეურნეობის მინისტრი; 1958-59 – საგარეო ვაჭრობის მინისტრი; 1959-63 – მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი; 1963-70, 1972 და 1974-76 – ხაზინის მინისტრი; 1970-72 – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; 1972-73 – გაეროსთან ურთიერთობის სახელმწიფო მინისტრი; 1973-74 – ფინანსთა მინისტრი; 1976-80 – *ევროპის პარლამენტის* დეპუტატი, ხოლო 1977-78 – მისი თავმჯდომარე; 1979-80 – ევროპარლამენტის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარე; 1980-83 – იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**„კოლომბოს გეგმა“**, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის განვითარებადი ქვეყნებისათვის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გაწევის გეგმა, მიღებული 1950 წლის იანვარში ქ. კოლომბოში (ცეილონი, 1972-დან შრი-ლანკა) *თანამეგობრობის* შვიდი ქვეყნის – ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ინდოეთის, ახალი ზელანდიის, პაკისტანისა და ცეილონის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე. კ.გ-ის ფარგლებში შექმნილმა საკონსულტაციო კომიტეტმა ურჩია მონაწილე ქვეყნებს, შეემუშავებინათ განვითარების ექვსწლიანი გეგმები, დაწყებული 1951-დან. 1950 წლის სექტემბერში ლონდონის სესიაზე მონაწილე ქვეყნებმა მიიღეს შესაბამისი პროგრამების ტექსტები „კოლომბოს გეგმის“ სახელწოდებით „სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ერთობლივი ეკონომიკური განვითარებისათვის“. შემდეგში ასეთი პროგრამები ყოველ 6 წელიწადში ხელახლა შემუშავდებოდა. კ.გ-ში მონაწილეობს 26 სახელმწიფო, მათ შორის აზიის 20 ქვეყანა – ვინც დახმარებას იღებს და 6 დონორი სახელმწიფო (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ახალი ზელანდია, აშშ, იაპონია). კ.გ-ის ფარგლებში დახმარების პროგრამა ორმხრივ ხასიათს ატარებს და იდება ერთ, ცალკე აღებულ *განვითარებად ქვეყანასა* და ქვეყანა-დონორს შორის. საკონსულტაციო კომიტეტი იკრიბება მინისტრების დონეზე. მის მუშაობაში მეთვალყურეთა სახით მონაწილეობენ აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისიის, *რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის*, *აზიის განვითარების ბანკის* წარმომადგენლები.

**კოლომბოს თათბირი 1962** [ბირმის, განის, ინდონეზიის, კამბოჯის, ეგვიპტისა და ცეილონის (1972-დან შრი-ლანკა) წარმომადგენელთა მონაწილეობით] ჩატარდა 10-12. XII კოლომბოში (ცეილონი) ცეილონის პრემიერ-მინისტრის ს. ბანდარანაიკეს ინიციატივით; მიზნად ისახავდა ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ხელშეწყობას. კოლომბოს თათბირის მონაწილეებმა გამოხატეს შეშფოთება ჩინეთისა და ინდოეთის სასაზღვრო დავის შედეგად მომხდარი მოვლენების გამო, განსაკუთრებით კონფლიქტის იმ ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებით, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა მშვიდობას არა მხოლოდ აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ინდოეთსა და ჩინეთს შორის მოლაპარაკების საფუძვლად კოლომბოს თათბირმა წამოაყენა შემდეგი წინადადებები: 1. ინდოეთ-ჩინეთის საზღვრის დასავლეთ სექტორში მოეხდინათ ჩინეთის საგუშაგოთა 20 კმ-ით უკან დაწევა ფაქტობრივი კონტროლის ხაზიდან, რომელიც კონფლიქტის დაწყებამდე არსებობდა; ინდოეთის ჯარების დატოვება მათ მიერ დაკავებულ პოზიციებზე და დემილიტარიზებული ზონის შექმნა; 2. აღმოსავლეთ სექტორში – ჯარების ორმხრივი უკანდახევა ე. წ. „მაკ-მაგონის ხაზიდან“; 3. ცენტრალურ სექტორში სტატუს-კვოს შენარჩუნება.

**კოლონტაი** (ქალიშვილობის გვარი დომონტოვიჩი) ალექსანდრა მიხეილის ასული (1872-1952), საბჭოთა დიპლომატი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგით. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1922-დან. 1922-23 – სსრკ-ის წარმომადგენლობის მრჩეველი; 1923-24 – დროებითი რწმუნებული სსრკ-ის საქმეებში; 1924-26 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი და სავაჭრო წარმომადგენელი ნორვეგიაში; 1926-27 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მექსიკაში; 1927-30 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ნორვეგიაში; 1930-41 -სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ხოლო 1941-45 – სსრკ-ის დესპანი შვეციაში; 1945-52 მუშაობდა სსრკ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში; მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო თათბირსა და მოლაპარაკებაში; მთელი რიგი წიგნებისა და ბროშურების ავტორი, ძირითადად ქალთა რევოლუციური მოძრაობის საკითხებზე.

**კომანი** (Khoman) ტანატ (დ. 1914), ტაილანდის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურშია 1941-დან. მუშაობდა იაპონიაში ტაილანდის საელჩოში (1942-43); 1946-47 – აშშ-ში ტაილანდის საქმეთა რწმუნებული, 1947-49 – ინდოეთში; 1950-52 – გაეროს ეკონომიკური საკითხების განყოფილების გამგე, იმავდროულად 1950-51 – ტაილანდის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაეროს საქმეების განყოფილების გამგე; 1952-57 – გაეროში ტაილანდის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე; 1957-59 – ტაილანდის ელჩი აშშ-ში; 1959-71 – ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1972 – ტაილანდის წარმომადგენელი ასეანში. 1971-დან არაერთხელ დაინიშნა სენატორად. იყო პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, ელჩად კუბასა და გვატემალაში. 1980-82 – ტაილანდის პრემიერ-მინისტრის მოადგილე; 1982-დან ჩამოსცილდა პოლიტიკურ საქმიანობას.

**კომახიძე** ნოდარ ელადიმერის ძე (1931-1997), საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში. 1948 ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, თურქეთის ისტორიის განხრით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იყო პროფკავშირულ, კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე. 1961-დან – თბილისის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შემდეგ, 1969-მდე ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანია. 1969-დან პარტიულ სამუშაოზეა, შემდეგ ... შეთავსებით მუშაობდა ჯერ ინსტიტუტის ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1990-დან ამავე განყოფილების გამგედ. 1980-85 – საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარე, 1985-92 – საქართველოს მინისტრთა საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების გამგე; 1992 წლის ივლისიდან – საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი; ამავე დროს დანიშნული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის პროფესორად. 1991 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 5 მონოგრაფია და მრავალი სამეცნიერო შრომა, მათ შორის თურქეთშიც. 1994 წლის 5 თებერვლიდან გარდაცვალებამდე – საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში.

**კომბატანტები** (ფრანგ. combattant – მეომარი, მებრძოლი), პირები, რომლებიც შედიან მეომარი მხარის შეიარაღებული ძალების რიგებში და აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში. ჰააგის 1899 და 1907 კონვენციების, *ომის მსხვერპლთა დაცვის ჟენევის 1949 კონვენციისა* და 1977 დამატებითი ოქმის თანახმად, კ-ს მიეკუთვნებიან: 1. სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა; 2. პარტიზანები და მოხალისეები, რომლებიც ატარებენ იარაღს, იცავენ საომარი მოქმედებების წარმოების წესებს და ჰყავთ ხელმძღვანელი; 3. მოსახლეობა, რომელიც იარაღით ხელში ებრძვის მომხვდურს; 4. გასამხედროებული სავაჭრო გემებისა და სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟის წევრები. ჰააგისა და ჟენევის კონვენციასა და ოქმში განვითარებულია საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები და მოცემულია არა მხოლოდ კ-თა კატეგორიები, არამედ ჩამოყალიბებულია მათი ვალდებულებანიც. ისინი მოვალენი არიან, საომარი მოქმედებების მომზადების ან ჩატარების დროს განსხვავდებოდნენ სამოქალაქო პირებისგან (ღიად ატარონ იარაღი, ეცვათ ფორმა), ამ უკანასკნელთა დაცვის მიზნით, რადგანაც სამოქალაქო პირთა მიმართ (განსხვავებით კ-საგან), ომის წესების მიხედვით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძალადობის ყველა ფორმა, განადგურების ჩათვლით. კ-ები ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში სარგებლობენ სამხედრო ტყვის სტატუსით. კ-ების განხილვისას ასხვავებენ აგრეთვე კ-ებს, რომლებიც მართლა უშუალოდ აწარმოებენ საომარ მოქმედებებს, მაგრამ არ მონაწილეობენ მათში – ექიმები, სასულიერო პირნი. ტყვედ ჩავარდნისას ისინი არ უნდა იქნენ განხილულნი როგორც სამხედრო ტყვეები. კ-თა სტატუსი არ ვრცელდება ჯაშუშებზე და დაქირავებულებზე. I დამატებითი ოქმის 46-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ჯაშუში „არ სარგებლობს სამხედრო ტყვის სტატუსით და მათ შეიძლება მოეპყრონ ისე, როგორც ჯაშუშს", ასევე 47-ე მუხლში მითითებულია, რომ „დაქირავებულს არ აქვს კომბატანტის ან სამხედრო ტყვის სტატუსი".

**კომიტეტი განიარაღების**, იხ. *კონფერენცია განიარაღების შესახებ.*

**კომიტეტი ზღვაზე უშიშროების შესახებ**, იხ. *საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია.*

**კომიტეტი რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის**, იხ. *რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომისია.*

**კომპიენის დაზავება 1918**, დადებულ იქნა 11.XI კომპიენის ტყეში სადგურ რეტონდის (საფრანგეთი) მახლობლად, ერთი მხრივ, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, ანტანტის სხვა სახელმწიფოებს, აგრეთვე აშშ-ს, და, მეორე მხრივ, გერმანიას შორის, რომელიც პირველ მსოფლიო ომში 1914-18 დამარცხდა. კომპიენის დაზავება, რომელიც 36 დღით იქნა დადებული, რამდენჯერმე გაგრძელდა და მოქმედებდა *ვერსალის საზავო ხელშეკრულების 1919* დადებამდე. კ.დ-ის პირობები საომარ მოქმედებათა შეწყვეტასთან ერთად ით-

ვალისწინებდა გერმანელთა ჯარების გამოყვანას მათ მიერ დასავლეთში დაკავებული ტერიტორიებიდან, ანტანტისა და აშშ-ის ჯარების მიერ რაინის მარცხენა ნაპირთან მიმდებარე ადგილების ოკუპაციას, გერმანელთა ჯარების კაპიტულაციას აღმოსავლეთ აფრიკაში, გერმანელთა შეიარაღების მნიშვნელოვანი ნაწილის ანტანტისათვის გადაცემას, ანტანტის სახელმწიფოთა სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას, აგრეთვე გერმანიის მხრიდან 1918 ბუქარესტის საზავო ხელშეკრულების, 1918 ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების და მათგან გამომდინარე დამატებითი ხელშეკრულებების უარყოფას.

კ.დ-ის ანტისაბჭოთა ხასიათი გამოიკვეთა მასში შემავალი რიგი სტატიების შინაარსში, რომლებიც ითვალისწინებდნენ გერმანელთა ჯარების მიერ საბჭოთა ტერიტორიების ოკუპაციის გაგრძელებას, გერმანელთაგან დატოვებულ ტერიტორიებზე ანტანტის ჯარების თავისუფალ შესვლას, აგრეთვე ანტანტის სამხედრო და სავაჭრო გემების თავისუფალ შესვლასა და გამოსვლას ბალტიკიდან.

**კომპიენის დაზავება 1940** (ჰიტლერულ გერმანიასა და საფრანგეთის პეტენის კაპიტულანტურ მთავრობას შორის), ხელმოწერილ იქნა 22.VI კომპიენის ტყეში რეტონდის (საფრანგეთი) სადგურთან იმავე სარკინიგზო ვაგონში, რომელშიც ხელი მოეწერა 1918 კომპიენის დაზავებას. ძალაში შევიდა საფრანგეთსა და იტალიას შორის დადებული დაზავების შედეგად (24.VI. 1940).

კ.დ-ის პირობების თანახმად, პეტენის მთავრობა დაუყოვნებლად წყვეტდა სამხედრო მოქმედებებს გერმანიის წინააღმდეგ საფრანგეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე კოლონიებში, პროტექტორატებში, მისი მანდატის ქვეშ მყოფ ტერიტორიებსა და ზღვებზე. საფრანგეთის ჯარები ექვემდებარებოდნენ განიარაღებასა და დემობილიზაციას; შეიარაღება და სამხედრო ქონება გადაეცემოდა გერმანიის მთავარსარდლობას. ფაშისტურმა გერმანიამ მოახდინა საფრანგეთის ტერიტორიის თითქმის 2/3-ის ოკუპაცია, პარიზის ჩათვლით. საფრანგეთმა იკისრა ვალდებულება ფაშისტური გერმანიის საოკუპაციო ჯარების შენახვასთან დაკავშირებული ხარჯების თაობაზე. ფრანგი სამხედრო ტყვეები (დაახლ. 1,5 მლნ ადამიანი) საზავო ხელშეკრულების დადებამდე რჩებოდნენ გერმანიაში. არაოკუპირებულ ტერიტორიაზე პეტენის მთავრობამ „საშინაო წესრიგის უზრუნველსაყოფად" უფლება მიიღო ჰყოლოდა თავისი არმია; მისი რაოდენობა (100 ათასი) განსაზღვრულ იქნა გერმანიისა და იტალიის მიერ, კომპიენის დაზავების ხელმოწერის შემდეგ. 1942 წლის ნოემბერში ინგლის-ამერიკის ჯარების ჩრდილოეთ აფრიკაში გადმოსხმის შემდეგ ფაშისტურმა გერმანიამ დაარღვია კ.დ. და მოახდინა მთელი საფრანგეთის ოკუპაცია.

**კომუნიკე** (ფრანგ. communiqué), ოფიციალური შეტყობინება საერთაშორისო მოლაპარაკებათა მსვლელობის ან საერთაშორისო შეთანხმების დადების შესახებ. კ. ასევე შეიძლება ატარებდეს ინფორმაციულ ხასიათს. ამა თუ იმ საერთაშორისო მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის მხარესაც წარმოადგენს მისი გამომქვეყნებელი სახელმწიფო ან *საერთაშორისო სამართლის* სხვა სუბიექტი. მაგ.: კ. საომარი მოქმედებების მიმდინარეობის შესახებ, *საერთაშორისო ორგანიზაციების* სესიების დაწყების, მიმდინარეობის ან დამთავრების შესახებ და სხვ.

ორმხრივ კ-ს, როგორც წესი, ეძახიან „ერთობლივ კომუნიკეს." იგი აუცილებლად ორივე სახელმწიფოში ერთდროულად უნდა გამოქვეყნდეს. ასეთი კ. ოფიციალური შეტყობინებისა და ინფორმაციის გარდა შეიცავს, როგორც წესი, მხარეთა პოზიციის განმარტებას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ამა თუ იმ მოვლენის შეფასებას და სხვა. ზოგიერთ შემთხვევაში კ. ასახავს მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებას კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, აფიქსირებს ვალდებულებებს ერთობლივი მოქმედებების ქცევის წესების შესახებ. ასეთ შემთხვევაში კ. ატარებს საერთაშორისო-სამართლებრივ ხასიათს და აქვს სამართლებრივი მნიშვნელობა. სხვა შემთხვევებში კ. არ იწვევს სამართლებრივ შედეგებს და არ ატარებს სახელმწიფოთათვის სავალდებულო ძალის მქონე ნორმის ხასიათს. კ. ზოგ შემთხვევაში ეწოდება საერთაშორისო ორგანიზაციის ან მისი ორგანოს მიერ მიღებულ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტს.

**კომურა ძიუტარო** (1855-1911) გრაფი, მარკიზი, იაპონელი დიპლომატი. 1893-94 – ჩინეთში იაპონიის საქმეთა რწმუნებული; 1895-96 – იაპონიის დესპანი კორეაში; 1896-98 – იაპონიის საგარეო საქმეთა ვიცე-მინისტრი, ხელი მოაწერა ვებერ-კომურას მემორანდუმს 1896; 1898-1900 – იაპონიის დესპანი აშშ-ში, 1900-01 – რუსეთში; 1901 ჩინეთში მონაწილეობდა დასკვნითი ოქმის შემუშავებაში; 1901-06 – იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი, აქტიურად მონაწილეობდა პორტსმუტის სამშვიდობო ხელშეკრულების 1905, ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების 1905 და ინგლის-იაპონიის მეორე სამოკავშირეო ხელშეკრულების (იხ. *ინგლის-იაპონიის კავშირი 1902-21*) დადებაში. 1906-08 – იაპონიის ელჩი დიდ ბრიტანეთში; 1908-11 – იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**კონაკრის კონფერენცია 1960** (აზიისა და აფრიკის ხალხების მე-2 კონფერენცია), ჩატარდა 11-15.IV კონაკრიში (გვინეა). მონაწილეობდნენ 55 ქვეყნის 70 საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები. კონფერენციის გადაწყვეტილებები გულისხმობდა მონაწილეობას დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისათვის დახმარების გაწევაში, ასევე კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებისათვის უმოკლეს ვადაში დამოუკიდებლობის მინიჭებაში. კონფერენციის მონაწილეები მიესალმნენ ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების გაფართოებას, განთავისუფლებულ ქვეყნებს შორის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას.

**კონგრესი საერთაშორისო**, XVII-XIX საუკუნეებში კონგრესს უწოდებდნენ სახელმწიფოს მეთაურთა, საგარეო საქმეთა მინისტრების, დიპლომატების ყრილობებს, რომლებსაც იწვევდნენ მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად, უპირველეს ყოვლისა, ზავის დასადებად და ტერიტორიული პრობლემების გადასაწყვეტად (ვენის კონგრესი, 1814-15, პარიზის კონგრესი, 1856, ბერლინის კონგრესი, 1878). XX საუკუნეში ეს ტერმინი გამოიყენება ძირითადად არასამთავრობო ხასიათის კონფერენციების, კერძოდ, სამეცნიერო ყრილობების (არქიტექტორთა კონგრესი, ექიმთა კონგრესი), მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ფორუმების (მაგ., მშვიდობისმოყვარე

ძალების მსოფლიო კონგრესი, 1973), საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების და ა.შ. მიმართ.

**კონდომინიუმი** (ლათ. con – ერთად, dominium – ფლობა), უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივი განხორციელება ორი თუ მეტი სახელმწიფოს მიერ გარკვეულ ტერიტორიაზე. იგი ემყარება საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს ამ რეგიონზე პრეტენზიების მქონე სახელმწიფოთაშორის კომპრომისს.

კ-ის ჩამოყალიბება, როგორც წესი, კომპრომისული გადაწყვეტილების შედეგს წარმოადგენდა სახელმწიფოთაშორის ტერიტორიული დავის მოგვარების შემთხვევაში. კ. შეიძლება გავრცელდეს საზღვაო სივრცეებზეც (მაგ., სალვადორისა და გონდურასის კ. ფონსეკას ყურეზე).

კ. არ უნდა ავურიოთ ე. წ. კოიმპერიუმში, რომელიც ორი ან მეტი ქვეყნის ერთობლივი ხელისუფლების განხორციელებაა ტერიტორიაზე, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს მესამე სახელმწიფოს.

**კონელი** (Connally) ტომას ტერი (1877-1963) აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1916-28 – აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი; 1928-53 – სენატორი, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე; 1941-47 და 1949-53 – აშშ-ის დელეგაციის მეთაურის მოადგილე *სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 1945, სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 1951.* მონაწილეობდა *საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს* პარიზის სესიის (1946) და *პარიზის სამშვიდობო კონფერენციის (1946)* მუშაობაში. ხელს უწყობდა *„მარშალის გეგმის"* რეალიზაციას და ნატო-ს შექმნას.

**კონვენცია**, მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების გავრცელებული სახელწოდებაა. კ-ები ფორმით, შინაარსითა და ბუნებით არაფრით არ განსხვავდებიან სხვა სახელწოდების მქონე საერთაშორისო ხელშეკრულებათაგან. მათი უმეტესობა იდება სპეციალურ საკითხებთან დაკავშირებით ეკონომიკის, პოლიტიკისა და ჰუმანიტარული ხასიათის პრობლემათა გადასაჭრელად. ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციათა დამფუძნებელ დოკუმენტებს – წესდებებს კ. ეწოდება.

**კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნის, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და მათი განადგურების შესახებ 1972**, შემუშავდა განიარაღების კომიტეტის თათბირის ფარგლებში ჟენევაში (იხ. *კონფერენცია განიარაღების შესახებ*); მოიწონა გაეროს გენერალური ასამბლეის XXVI სესიამ 16.XII. 1971; ხელმოსაწერად გაიხსნა 10.IV. 1972; ძალაში შევიდა 26.III. 1975; კონვენციის მონაწილეა 100-ზე მეტი სახელმწიფო. კონვენციის წევრებმა ვალდებულება იკისრეს, არ აწარმოონ, არ შექმნან და არ დააგროვონ მიკრობიოლოგიური აგენტები ან ტოქსინები ისეთი სახით და რაოდენობით, რაც არ გამოიყენება პროფილაქტიკის თუ სხვა მშვიდობიანი მიზნით; კონვენციის ძალაში შესვლიდან 9 თვის ვადაში გაანადგურონ ყველა აგენტი, ტოქსინი, იარაღი და დანადგარი, რომლებიც მათ იურისდიქციას ან კონტროლს ექვემდებარება; არ დაეხმარონ ან არ წააქეზონ სხვა სახელმწიფოები აკრძალული აგენტების, ტოქსინების, იარაღისა და დანადგარების შეძენაში. კონვენცია ითვალისწინებს კონსულტაციების ჩატარებას და წევრ-სახელმწიფოთა თანამშრომლობას ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში როგორც კონვენციის მიზნების, ისე მისი დებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, გაეროს ფარგლებში შესაბამისი საერთაშორისო პროცედურების გამოყენების ჩათვლით. კონვენციის წევრებმა იკისრეს ვალდებულება, ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის, დანადგარების, მასალების გაცვლას ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) საშუალებების და ტოქსინების მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების შესახებ. 9-21.III. 1980 ჟენევაში ჩატარდა წევრი ქვეყნების კონფერენცია, რომელიც კონვენციის მოქმედების განხილვას მიეძღვნა. კონფერენციამ ხაზი გაუსვა კონვენციის უდიდეს მნიშვნელობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით და მის როლს ინფორმაციის ფართომასშტაბიანი გაცვლის უზრუნველყოფაში ბაქტერიოლოგიური აგენტების მშვიდობიანი მიზნებით გამოყენების საქმეში.

**კონვენცია ბირთვული მასალის ფიზიკური დაცვის შესახებ 1980**, შემუშავდა 53 სახელმწიფოს წარმომადგენელთა და ატომური ენერგიის შესახებ ევროპის თანამეგობრობის თათბირებზე ვენაში 1977, 1979; ხელმოსაწერად გაიხსნა 3.III. 1980; კონვენციის დეპოზიტორია ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო.

კონვენციის მიზანია, არ დაუშვას მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოსაყენებელი ბირთვული მასალის დატაცება ბირთვული ან რადიოლოგიური იარაღის შესაქმნელად, პოლიტიკურ შანტაჟში, ტერორისტულ აქტებში ან ფინანსურ გამოძალველობაში გამოყენების მიზნით. კონვენცია ადგენს იურიდიულ ნორმებს და განსაზღვრავს ბირთვული იარაღის დაცვის ტექნიკურ საშუალებებს მისი საერთაშორისო ტრანსპორტირების დროს; მონაწილეებს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვან შეთანხმებული ზომები გადაცემული მასალების დაბრუნების, დამნაშავეთა გადაცემის და დასჯის შესახებ; არეგულირებს სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხებს ამ სფეროში.

**კონვენცია ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული ზემოქმედების საშუალების გამოყენების აკრძალვის შესახებ 1977**, ხელმოსაწერად გაიხსნა 18.V. 1977, ძალაში შევიდა 5.X. 1978, კონვენციის მოქმედების ვადა შეზღუდული არ არის. კონვენციის მიღების აუცილებლობა გამოიწვია ბუნებრივ გარემოზე სამხედრო მიზნებით აქტიური ზემოქმედების შესაძლებლობამ. კონვენცია მის მონაწილეებს აკისრებს ვალდებულებას, არ გამოიყენონ, სამხედრო ან სხვა მტრული მოსაზრებით, ნებისმიერი საშუალებები დედამიწის სტრუქტურისა და შემადგენლობის (ლითოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს ჩათვლით) ან კოსმოსური სივრცის შეცვლის მიზნით. კონვენცია არ აბრკოლებს ბუნებრივ გარემოზე მშვიდობიანი მიზნებით ზემოქმედების საშუალებების გამოყენებას. კონვენციის მონაწილეებმა იკისრეს ვალდებულება, ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლას, წვლილი შეიტანონ საერთაშორისო თანამშრომლობაში გარემოს შენარჩუნების, გაუმჯობესების და მშვიდობიანი გამოყენების საქმეში. კონვენცია ითვალისწინებს წევრი ქვეყნების მიერ კონვენციის დაცვის ეფექტურ ღონისძიებებს. ნებისმიერ წევრს შეუძლია, თხოვნით მიმართოს კონვენციის დეპოზიტორს – გაეროს გენერალურ მდივანს ექსპერტთა საკონსულტაციო კომიტეტის მოწვევის

შესახებ, რომელიც იკრიბება მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში საეჭვო ბუნებრივი მოვლენების ფაქტობრივი ვითარების გამოსავლენად. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ფლობს ინფორმაციას კონვენციის დარღვევის ფაქტებზე სხვა მონაწილეთა მხრიდან, შეუძლია საჩივარი შეიტანოს უშუალოდ გაეროს უშიშროების საბჭოში.

**კონვენცია გაეროსი საზღვაო სამართლის შესახებ 1982,** იხ. *გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია 1982, ჟენევის საზღვაო სამართლის კონვენციები 1958.*

**კონვენცია გათხოვილი ქალის მოქალაქეობის შესახებ 1957,** მიღებულ იქნა *გაეროს გენერალური ასამბლეის* XI სესიაზე 1957 და ძალაში შევიდა 1958 წლის 11.VIII. კონვენციის მიზანი იყო, თავიდან აეცილებინა პრაქტიკაში და სამართალში არსებული კოლიზია იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ქალთა მოქალაქეობას მათი გათხოვების, გაყრის ან მეუღლის მიერ მოქალაქეობის შეცვლის შემთხვევაში. კონვენცია ხაზს უსვამს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობას, ამასთან ითვალისწინებს, რომ წევრ-სახელმწიფოების და უცხოეთის მოქალაქეებს შორის ქორწინება ან განქორწინება, ან მეუღლის (ქმრის) მიერ მოქალაქეობის შეცვლა ქალის მოქალაქეობაზე ავტომატურად არ ვრცელდება.

**კონვენცია გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი ჩადენისათვის სასჯელის შესახებ 1948,** მოწონებულ და ხელმოსაწერად გახსნილ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 9. XI. ძალაში შევიდა 1951 12. I 20 სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის შემდეგ. კონვენციის თანახმად, გენოციდი კვალიფიცირებულია როგორც საერთაშორისო დანაშაული, კონვენციის მიღებას წინ უსწრებდა სერიოზული მოსამზადებელი სამუშაო. 1946 გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ორი რეზოლუცია: დაადასტურა ნიურნბერგის ტრიბუნალის ძირითადი პრინციპები და განიხილა გენოციდის პრობლემა. რეზოლუციაში მითითებული იყო, რომ გენოციდის ჩამდენი, ვინც არ უნდა იყოს და რა მოტივითაც არ უნდა ხელმძღვანელობდეს იგი, დასჯილ უნდა იქნეს, ამასთან, გაერომ მოუწოდა წევრ-სახელმწიფოებს, მიეღოთ შესაბამისი შიდა კანონმდებლობა და ეზრუნათ ამ სახის დანაშაულთან ბრძოლის საგანგებო საერთაშორისო იურიდიული ორგანოს შესაქმნელად. კონვენციის მომზადებაზე მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ. კონვენცია შედგება 19 მუხლისგან. კონვენციის თანახმად, გენოციდი (განურჩევლად იმისა, ომის თუ მშვიდობიან დროს იქნება ჩადენილი) გულისხმობს ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობის მიზნით ჩადენილ: ა) მკვლელობას; ბ) ასეთი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ფიზიკური ან გონებრივი ზიანის მიყენებას; გ) ამ ჯგუფთა წარმომადგენლებისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნას, რომელიც მათ განადგურებამდე მიიყვანს, დ) ბავშვთა ერთი ჯგუფიდან მეორეში იძულებით გადაცემას. კონვენციის მიხედვით, აგრეთვე დასჯადია ისეთი ქმედებებიც, როგორიცაა: გენოციდის მიზნით, შეთქმულების მოწყობა, პირდაპირი და საჯარო მოწოდებანი გენოციდისაკენ, გენოციდის მოწყობის მცდელობა ან მასში მონაწილეობა. კონვენციის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფონი ვალდებულნი არიან: მოიყვანონ შესაბამისობაში შიდა კანონმდებლობა; იკისრონ ვალდებულება, რომ გენოციდის მომწყობნი იქნებიან გასამართლებული კომპეტენტური სასამართლოს მიერ; არ განიხილონ გენოციდი როგორც პოლიტიკური დანაშაული; განახორციელონ ექსტრადიცია კანონმდებლობასა და საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ამასთან, სახელმწიფონი უფლებამოსილნი არიან მიმართონ გაეროს თხოვნით, რათა მან განახორციელოს გენოციდის ან მასთან დაკავშირებული სხვა ქმედების აღკვეთის ან შეჩერებისათვის წესდებიდან გამომდინარე ყველა ზომა.

კონვენციას მიერთებულია 120-ზე მეტი სახელმწიფო, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც არ არიან *გაეროს* წევრი სახელმწიფოები.

გენოციდი შესულია როგორც უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კოდექსის პროექტში, რომელსაც იხილავს გაეროს გენერალური ასამბლეა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და ორგანიზატორთა და მონაწილეთა დასჯაში გახდება სისხლის სამართლის *საერთაშორისო სამსახურის* დაარსება, რომლის შექმნის მოსამზადებელი სამართლებრივი საქმიანობა საკმაოდ ინტენსიურად ხორციელდება.

**კონვენცია დიდ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ 1979,** მიღებულ იქნა გარემოს დაცვის შესახებ საერთოევროპული თათბირის ფარგლებში. კონვენცია შეიცავს მხარეთა ვალდებულებას, შეიმუშაონ ბუნების დამცველი საუკეთესო სტრატეგია, გაცვალონ ინფორმაცია დაბინძურებული ნივთიერებების ნაკადის, დანერგილი ტექნოლოგიური პროცესების შესახებ და ა. შ.

**კონვენცია დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ 1948,** შემუშავებულ იქნა დუნაის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მოიწვიეს *პარიზის 1946 სამშვიდობო კონფერენციის* ინიციატივით და ხელმოწერილ იქნა 18. VIII ბელგრადში ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, უნგრეთის, ყოფილი იუგოსლავიისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ. იგი ძალაში შევიდა 1949. 11. V, ხოლო 1960 შეუერთდა ავსტრია. კონვენციის მიხედვით, დადგენილია, რომ დუნაიზე ნაოსნობა უნდა იყოს თავისუფალი და ღია ყველა ქვეყნის მოქალაქეების, სავაჭრო გემებისა და ტვირთისათვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. დადგენილი რეჟიმი ვრცელდება დუნაის მთელ სანაოსნო ნაწილზე ულმიდან (გფრ) შავ ზღვამდე – სულინის არხამდე (რუმინეთი). სამხედრო გემების ცურვა დუნაიზე შეზღუდულია. დუნაისპირა სახელმწიფოს ალმით მცურავი გემის ალმის სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გასვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაინტერესებულ დუნაისპირა სახელმწიფოთა მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე. კონვენციის საფუძველზე შეიქმნა სპეციალური ორგანო – დუნაის კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შევიდნენ ყველა დუნაისპირა სახელმწიფოს წარმომადგენლები (თითო ქვეყნიდან თითო). დუნაის კომისიის კომპეტენციაში შედის კონვენციის დებულებათა დაცვაზე კონტროლი, ასევე დუნაიზე ნაოსნობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. კომისიაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ამასთან, აუცილებელია იმ სახელმწიფოს თანხმობა, რომლის უშუალო ინტერესებს ან ტერიტორიას ეხება აღნიშნული

საკითხი. კონვენციის თანახმად, შექმნილია სპეციალური სამდინარო ადმინისტრაცია, რომელიც ახორციელებს დუნაის ქვემოწელში ნაოსნობის რეგულირებასა და ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს.

**კონვენცია იმ პირთა წინააღმდეგ თავდასხმების აღკვეთისა, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ, და დამნაშავეთა დასჯის შესახებ** (მათ შორის დიპლომატიური აგენტებისა), მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის XXVIII სესიაზე 1973 და ძალაში შევიდა 1977. 20.II. კონვენციის თანახმად, პირებს, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ, მიეკუთვნებიან: სახელმწიფოთა მეთაურები, კოლეგიალური ორგანოს წევრები, რომლებიც კონსტიტუციით სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს ასრულებენ, მთავრობის მეთაურები, საგარეო საქმეთა მინისტრები, ასევე მათი თანამშრომლები, ოჯახის წევრები; სახელმწიფოთა წარმომადგენლები ან თანამდებობის პირები, ან აგენტები და მათთან მცხოვრები ოჯახის წევრები. კონვენციის მონაწილე სახელმწიფონი ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულთა აღსაკვეთად და ერთმანეთისათვის სისხლის სამართლებრივი პროცესუალური დახმარების გასაწევად. კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება დანაშაულში ეჭვმიტანილი, თუ სხვა სახელმწიფოს არ გადასცემს დამნაშავეს, ვალდებულია, თვითონ მიიღოს ზომები მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

**კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ**, იხ. *ჩიკაგოს კონვენცია 1944*.

**კონვენცია უცხო საჰაერო ლაინერის მიერ მიყენებულ დანაკარგზე**, იხ. *რომის კონვენცია 1952*.

**კონვენცია ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ**, მიღებულ იქნა 1979 *გაეროს გენერალური ასამბლეის* XXXIV სესიაზე. კონვენცია ძალაში შევიდა 1981 წლის 3.IX. კონვენციის დებულებათა თანახმად, დისკრიმინაცია წარმოადგენს სქესის მიხედვით ნებისმიერი განსხვავების, გამონაკლისის ან შეზღუდვის დაწესებას, რომელიც ხელს უშლის ქალთა მიერ ადამიანთა უფლებების რეალიზაციას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობას. კონვენციის თანახმად, სახელმწიფონი გმობენ ქალთა დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას და ვალდებულებას კისრულობენ, გაატარონ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მისი ლიკვიდაციის მიზნით. კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ საკანონმდებლო, სოციალ-ეკონომიკური და სხვა სახის ღონისძიებანი კონვენციის მიზნების მისაღწევად. სახელმწიფონი ვალდებულნი არიან, შეიტანონ ეროვნულ კონსტიტუციებში დებულებანი ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის შესახებ და ამასთანავე უზრუნველყონ აღნიშნულ დებულებათა პრაქტიკული რეალიზაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში დააწესონ შესაბამისი იურიდიული სამსახურები და სანქციები ქალთა უფლებების დასაცავად.

**კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ 1953**, მიღებულ იქნა *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ 1952 და ძალაში შევიდა 1954 წლის 7.VIII. კონვენცია შემუშავდა *ქალთა მდგომარეობის შესახებ კომისიის* ინიციატივით. იგი წარმოადგენს გაეროს მიერ მიღებულ პირველ დოკუმენტს, რომელიც ავალდებულებს მონაწილე მხარეებს (სახელმწიფოებს), ცნონ ქალთა და მამაკაცთა თანაბარი პოლიტიკური უფლებანი, მაგ., უფლება, აირჩიონ ან არჩეულ იქნენ ნებისმიერ ორგანოში, რომელიც საჯარო არჩევნებით ტარდება, დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობანი სახელმწიფო სამსახურში და სხვ.

**კონვენცია ჩვეულებრივი შეიარაღების კონკრეტული სახეობების გამოყენების აკრძალვისა ან შეზღუდვის შესახებ და მისი სამი ოქმი 1981** (იარაღისა, რომელიც ჩაითვლება დიდი ნგრევის საშუალებად და არ გააჩნია არჩევითი ქმედება), შეიმუშავეს ჟენევაში გაეროს კონფერენციაზე 1979-80. კონვენცია და მისი სამი ოქმი მოიწონა გაეროს გენერალური ასამბლეის XXXV სესიამ 12.XII. 1980; ხელმოსაწერად გაიხსნა 10.IV. 1981 ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში; ძალაში შევიდა 2.XII. 1983;

მოქმედების ვადა შეზღუდული არ არის.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოები სარატიფიკაციო სიგელების დეპოზიტორისათვის – გაეროს გენერალური მდივნისათვის ჩაბარებისას სავალდებულოდ მიიჩნევენ სამივე ან, როგორც მინიმუმი, ორი ოქმიდან გამომდინარე დებულებებს. კონვენცია წარმოადგენს თანდართული ოქმების გამოყენების სამართლებრივ ბაზას და არეგულირებს მისი გამოყენების პირობებს სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან მიმართებაში, მოსალოდნელი ცვლილებების შეტანის საკითხებს, კონვენციის და მისი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. I ოქმი საერთოდ კრძალავს ნებისმიერი იარაღის გამოყენებას, რომელთა აღმოჩენა შეუძლებელია რენტგენული სხივებით. II ოქმი ზღუდავს ნაღმების გამოყენებას და საერთოდ კრძალავს დანაღმული მახეების გამოყენებას, რაც ასოცირდება სამედიცინო ნივთებთან, კვების პროდუქტებთან, ისტორიულ ძეგლებთან და ა. შ. III ოქმი მთლიანად კრძალავს ცეცხლგამჩენი იარაღის გამოყენებას მოსახლეობის, სამოქალაქო ობიექტების, ბუნებრივი საფარის, ასევე სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ. კონვენცია ითვალისწინებს კონფერენციის ჩატარების შესაძლებლობას ჩვეულებრივი იარაღის აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ ოქმებში შესაძლო ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიზნით, ასევე კონვენციის და მისი სამი ოქმის გამოყენების და მოქმედების განხილვის საკითხებს.

**კონვენცია ხანდაზმულობის ვადის მიუყენებლობის შესახებ სამხედრო დანაშაულობებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის 1968**, იხ. *სამხედრო დამნაშავენი*.

**„კონვერგენციის" თეორია** (ლათ. convergere – შეთვისება, დაახლოება), ბურჟუაზიული თეორია, რომლის მიხედვით, ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური განსხვავებები სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის თითქოსდა თანდათანობით იშლება, რაც საბოლოო ჯამში იწვევს ორი სისტემის „სინთეზს". თეორია ორი სისტემის მსგავსების შესახებ 50-იან წლებში წამოაყენა ამერიკელმა სოციოლოგმა პ. სოროკინმა, რომელიც მიიჩნევდა, რომ „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის დადებითი ღირებულების"

შედეგად იქმნება საზოგადოების ინტეგრალური ტიპი, რომელიც თავისუფალი იქნება თითოეული სისტემის ნაკლოვანებებისაგან. „კ“. თ-ის შემდგომ დამუშავებას ცდილობდნენ ცნობილი იდეოლოგები, მათ შორის რ. არონი, ა. ბერგსონი, ჯ. გელბრეიტი, მ. დიუვერჟე და სხვ. თეორიის თანახმად, კაპიტალიზმი და სოციალიზმი ვითარდება „თანმხვედრი მიმართულებით“, სოციალიზმში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ელემენტების შეღწევის, ასევე კაპიტალიზმის მიერ სოციალისტური სისტემის ზოგიერთი ნიშან-თვისების აღების ხარჯზე. ამ პროცესის შედეგად უნდა შეიქმნას „ერთიანი სამყარო“, რომელიც, „კონვერგენციის“ თეორეტიკოსთა აზრით, წარმოადგენს მსოფლიო თერმობირთვული ომის ერთადერთ საიმედო ალტერნატივას.

**კონკორდატი** (ლათ. concordatum – შეთანხმება), სპეციალური ხელშეკრულება, შეთანხმება რომის პაპს, როგორც კათოლიკური ეკლესიის მეთაურსა და ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობას შორის, რომელიც არეგულირებს მოცემულ ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობასა და პრივილეგიებს. პირველად კ., რომლის მიხედვითაც მოხდა საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ფუნქციების განცალკევება ეპისკოპოსების დანიშვნისას (იხ. *ვატიკანი*), დაიდო 1122 (ე. წ. ვორმსის კონკორდატი) რომის პაპ კალიქსტ II-სა და გერმანიის იმპერატორ ჰენრიხ V-ს შორის.

**კონსენსუსი** (ლათ. consensus – თანხმობა, ერთსულოვნება), გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების პროცედურის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გამოიყენება *საერთაშორისო კონფერენციებსა* და *საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციათა* ფარგლებში. კ-თვის დამახასიათებელია სახელმწიფოთა პოზიციების შეთანხმება კენჭისყრისა და გადაწყვეტილების მიღებისას ოფიციალურად გამოხატული წინალმდეგობის გარეშე. კ. ეფექტურად იყო გამოყენებული *ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე* ჰელსინკში 1975. იგი ხშირად გამოიყენება განვითარებადი სახელმწიფოების კონფერენციებსა და *გაეროს* ზოგიერთი ორგანოს მუშაობაში. ყველაზე აქტიურად გადაწყვეტილებათა მიღების აღნიშნული ფორმა გამოყენებულ იქნა გაეროს საზღვაო სამართლის III კონფერენციაზე, ხოლო პირველად *საერთაშორისო სამართლის* ისტორიაში კონვენციურად განმტკიცებულ იქნა *გაეროს 1982 საზღვაო სამართლის კონვენციაში*. კონსენსუსი გადაწყვეტილებათა მიღების ყველაზე პროგრესული ფორმაა, რომელიც მაქსიმალურად ეფექტურია გლობალური პრობლემების გადასაწყვეტად.

*ლიტ.*: Касьян Н. Ф., Консенсус в современных международных отношениях, М., 1983.

**კონსტანტინე** (Constantinus) **I დიდი** (ფლავიუს ვალერიუს კონსტანტინუს მაგნუს), რომის იმპერატორი (306-37). ავგუსტუსად გამოაცხადეს ბრიტანეთის ლეგიონებმა. კI აგრძელებდა დიოკლეტიანეს პოლიტიკას. მის დროს საბოლოოდ გაფორმდა იმპერიის სამხედრო-ბიუროკრატიული აპარატი. ხელისუფლებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში გზიდან ჩამოიშორა დანარჩენი იმპერატორები და 324-დან გახდა ერთპიროვნული მპყრობელი. დიდ წარმატებებს მიაღწია ბარბაროსებთან ბრძოლაში. 326 ბიზანტიონის ადგილას დააარსა ქალაქი, რომელიც 330 დედაქალაქად გამოაცხადა და კონსტანტინოპოლი უწოდა. კI გამოირჩეოდა რჯულშემწყნარებლობით. აგებდა როგორც წარმართულ, ისე ქრისტიანულ ტაძრებს. ატარებდა რომაული რელიგიის უმაღლესი ქურუმის ტიტულს. 313 მილანში ხელმოწერილი ედიქტით, ქრისტიანობა გაუთანაბრა წარმართობას. 325 ხელმძღვანელობდა ნიკეის საეკლესიო კრებას, რომელმაც დაამტკიცა ქრისტიანობის ძირითადი დოგმები (ქრისტიანული რწმენის სიმბოლო): 321-დან ოფიციალურად აღიარა აღდგომის დღესასწაული. ქრისტიანობა მიიღო სიკვდილის წინ. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაზე არსებითი გავლენა მოახდინა კI-ის რელიგიურმა პოლიტიკამ.

**კონსტანტინე I** (გ. 1327), იმერეთის მეფე 1293-1327, *დავით VI* ნარინის ძე. მეფობას ეცილებოდა უმცროსი ძმა მიქელი, რომელმაც რაჭა-ლეჩხუმი და არგვეთი დაიპყრო. ძმებს შორის ბრძოლა და შინაარეულობა კI-ის გარდაცვალებამდე გაგრძელდა. ამით ისარგებლეს დასავლეთ საქართველოს დიდმა ფეოდალებმა (დადიანმა, შარვაშიძემ, გურიელმა, სვანეთის ერისთავმა) და ოდიში, აფხაზეთი, გურია და სვანეთი ცენტრალური ხელისუფლებისაგან თითქმის დამოუკიდებელ სამთავროებად აქციეს. კ.I-ის ინიციატივითა და სახსრებით სამხატვრო-სააღმშენებლო სამუშაოები ჩატარდა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერში.

*ლიტ.*: მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ., ტ. 3).

**კონსტანტინე I**, საქართველოს მეფე 1407-12, *ბაგრატ V* დიდის ძე. ბატონიშვილობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იყო საქართველოს მეფის *გიორგი VII-ის* ელჩი *თემურ-ლენგთან*, რომელთან მოლაპარაკების შედეგადაც 1401 დაიდო ე. წ. შამქორის ზავი. თემურ-ლენგსა და საქართველოს შორის არსებული შეთანხმება მალე დაირღვა. შამქორის ზავის სულის ჩამდგმელი კონსტანტინე ბატონიშვილი არ იზიარებდა გიორგი VII-ის პოლიტიკას და ივანე ათაბაგთან ერთად თემურთან ზავის დადების მომხრე იყო. ისინი განუდგნენ მეფეს და ბირთვისის ბრძოლის წინ კოდას მოსულ თემურთან გამოცხადდნენ. თემურ-ლენგისგან კონსტანტინე ბატონიშვილმა და ივანე ათაბაგმა ხალათი, გვირგვინი და ხმლები მიიღეს. კI-მა სამცხეში ივანე ათაბაგს შეაფარა თავი. 1403 საქართველო-თემურიანთა ზავის წინ თემურ-ლენგის მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ „მალვით“ კI-მა თავის ძმას – მეფე გიორგის წერილობით აცნობა; ამას უნდა განეპირობებინა ბატონიშვილის სამცხიდან სამეფო კარზე დაბრუნება და გიორგი მეფის მიერ მისი შეწყალება. 1407 გამეფების შემდეგ კI ენერგიულად იბრძვის შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად, მაგრამ საგარეო ვითარება კვლავ რთულდება – XV ს-ის დასაწყისში ირანის აზერბაიჯანს შავბატკნიანთა თურქმანული ტომის მეთაური ყარა იუსუფი იპყრობს; 1411 იგი შირვანში შეიჭრა. ქართველთა ლაშქრით შირვანელთა დასახმარებლად მისული კI 1412 ჩალაღანის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა. ყარა იუსუფმა საქართველოს მეფეს თავისი ხელით მოჰკვეთა თავი.

*წყარო*: ეგნატაშვილი ბ., ახალი ქართლის ცხოვრება – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4, თბ., 1973.

*ლიტ.*: კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1975; ტაბატაძე ქ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV სს. მიჯნაზე, თბ., 1974; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 3, თბ., 1982 (თხზ., ტ. 3).

**კონსტანტინე II** (გ. 1505), ქართლის მეფე 1478-1505 წლებში, დემეტრეს ძე, *ალექსანდრე I* დიდის შვილიშვილი. ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ ქართლის სამეფოს პირველი მეფე. დიდხანს ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის ერთიანობის აღდგენისათვის, მაგრამ უშედეგოდ. 1490 ქართლის სამეფო დარბაზის გადაწყვეტილებით ცნო ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოებად საქართველოს დაშლის ფაქტი. კ.II იბრძოდა ირან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ. დახმარების მიღების მიზნით, მან ელჩი ხუცესი ნილოსი გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან, რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან. ელჩობას არავითარი შედეგი არ მოჰყვა.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.4, თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

**კონსტანტინე II** (გ. 1732), *ერეკლე I-ის* ძე, კახეთის მეფე 1722-32 წლებში. კ.II-მ გამეფებისთანავე დაიწყო ბრძოლა ქართლის დაუფლებისათვის. მან 1723 ლეკთა დახმარებით აიღო და ააოხრა თბილისი. იმავე წელს ქართლში ოსმალები შემოვიდნენ. კ.II-მ თბილისი უბრძოლველად დატოვა. მალე ოსმალებმა იგი შეიპყრეს, მაგრამ მოახერხა გაქცევა და კახეთში გადავიდა. 1724 კ.II-მ კავშირი დაამყარა ჯერ კიდევ ქართლში მყოფ ბაქართან, რომელიც ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა. კ.II შეეცადა, დახმარება მიეღო რუსეთისგან. ამ მიზნით ელჩობა გაგზავნა *პეტრე I-თან*. ელჩობას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, რადგანაც 1724 ოსმალეთთან დადებული ზავით რუსეთი შეურიგდა ოსმალთა მიერ საქართველოს დაპყრობას ვახტანგ VI-ისა და ბაქარის რუსეთში წასვლის შემდეგ ქართლ-კახეთის ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა კ.II. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ იგი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ოსმალებს და ხარკის გადახდა ეკისრა. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში *ნადირის* წარმატებებს გამათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა მოჰყვა. ასეთ ვითარებაში კ.II, რომელსაც ადრეც უნდობლობით უყურებდნენ ოსმალები, სრულიად მიუღებელი იყო მათთვის. კახეთში მოსულმა ახალციხის ფაშა ისუფმა კ.II მოსალაპარაკებლად მიიწვია ბევანბაღს, სადაც იგი ვერაგულად მოკლეს.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან. – მის წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ.2, თბ., 1965.

**კონსტანტინე III**, „აფხაზთა" (დასავლეთ საქართველოს) მეფე (დაახლ. 893-922). იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი. აქტიურად იბრძოდა ჰეგემონობისათვის და აღწევდა გარკვეულ წარმატებებს ამ მიმართულებით. იყო მოქნილი დიპლომატი, რაც განსაკუთრებით გამომჟღავნდა 904 შიდა ქართლისათვის ატეხილი კონფლიქტის დროს. „აფხაზთა" მეფის სწრაფვას შიდა ქართლში გაბატონებისათვის ამ დროს წინ აღუდგნენ ანისის მეფე სმბატ I და „ქართველთა" მეფე *ადარნასე II* ბაგრატიონი. კრიტიკულ სიტუაციაში მეომარი მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წავიდნენ. კ.III-მ გააგზავნა ელჩობა სომეხთა მეფესთან, რის პასუხადაც სმბატმა სომეხ წარჩინებულთა დელეგაცია გამოგზავნა. მოლაპარაკების მსვლელობისას ადარნასეს უშუალო მონაწილეობით „აფხაზთა" მეფე შეიპყრეს და სომხეთს წარგზავნეს. დატყვევებულმა კ.III-მ შეძლო, თავის მხარეზე გადმოებირებინა სომეხთა მეფე და დაედო მასთან უაღრესად ხელსაყრელი სამშვიდობო ხელშეკრულება. სომეხ-"აფხაზთა" აღნიშნული გარიგების შედეგად კ.III-მ დაიბრუნა უფლისციხე და ქართლი. სომეხ-"აფხაზთა" ეს ალიანსი, რომელიც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა „ქართველთა" მეფის – ადარნასეს ინტერესებს, დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. კ.III-ის პოზიციები საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში კიდევ უფრო გაძლიერდა 914 სმბატ სომეხთა მეფის დაღუპვის შემდეგ. დაახლოებით 915-20 მან კავშირი შეკრა კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკესთან და წარმატებით ილაშქრა ჰერეთს, რომლის მთავარი *ადარნასე პატრიკი* იძულებული გახდა, დაეთმო „აფხაზთა" მეფისათვის „არიში და გავაზნი", ხოლო კვირიკესათვის – ორჭობი.

წყარო: მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, სომხეთის ისტორია 786-925 წწ. თარგმ. და გამოკვ. ელ. ცაგარეიშვილისა, თბ., 1965.

ლიტ.: ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; А н ч а б а д з е З.В., Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.), Сухуми, 1959.

**კონსტანტინე VII** პ ო რ ფ ი რ ო გ ე ნ ე ტ ო ს ი (905-59), ბიზანტიის იმპერატორი 913-59 მაკედონელთა დინასტიიდან; იმპერატორ ლეო VI-სა და ზოია კარბონოფსინას ძეი. 914-20 ქვეყანას ფაქტობრივად მისი დედა ზოია მართავდა, 920 კი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ძალაუფლება ხელთ იგდო რომანოზ ლაკაპინმა, რომელმაც თავისი თავი კ.VII-ის თანამმართველად გამოაცხადა. 945 ფოკათა საგვარეულოზე დაყრდნობით კ.VII-მ შეძლო რომანოზ ლაკაპინის ვაჟების სტეფანესა და კონსტანტინეს დამხობა და ქვეყნის სრულუფლებიანი მმართველი გახდა, თუმცა ამის შემდეგაც სახელმწიფო საქმეებს ნაკლებ დროს ანდომებდა და ძირითადად მეცნიერებითა და ხელოვნებით იყო დაკავებული. კ.VII-ის მოღვაწეობის პერიოდში ბიზანტიის იმპერიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია საგარეო პოლიტიკაში, განსაკუთრებით არაბების წინააღმდეგ. 958 ბიზანტიის ჯარებმა შეძლეს არაბების შევიწროება და ევფრატამდე წაიწიეს. კ.VII არის ბიზანტიური დიპლომატიური ხელოვნების პრინციპების ერთ-ერთი შემმუშავებელი. თავის ტრაქტატებში – „იმპერიის მმართველობის შესახებ" და „თემების შესახებ" – ის იძლევა საყურადღებო ცნობებს მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების (მათ შორის ქართული პოლიტიკური ერთეულების) შესახებ; აღწერს უცხოელ ელჩთა, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების ლიდერთა (მაგ. კიევის მთავრის ქერივის-ოლგას) დახვედრა-გაცილებისა და საიმპერატორო კარზე მათი ოფიციალური მიღების ცერემონიალს. კ.VII-ის თხზულებებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ცნობები ბიზანტია-ტაო-კლარჯეთის დიპლომატიურ ურთიერთობებზე X ს. I ნახევარში, კერძოდ, მასალა ტაოში *კონსტანტინე პატრიკიოსის მისიის* შესახებ და სხვ.

წყარო: გ ე ო რ გ ი კ ა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 2, თბ., 1952.

**კონსტანტინე VIII**, ბიზანტიის იმპერატორი 1025-28, ძმა *ბასილი II* ბულგართმმუსვრელისა. ბიზანტიის სახელმწიფოს განმტკიცების მიზნით კ.VIII ამაოდ ცდილობდა, შეეზღუდა გაძლიერებულ მსხვილ ფეოდალთა თვითნებობა. 1026 კ.VIII-ს აუჯანყდა ვასპურაკანის გამგებელი ნიკიფორე კომნენოსი, რომელთანაც, სომხური წყაროების მინიშნებით, დაკავშირებული ყოფილა საქართველოს მეფე *გიორგი I*. აჯანყება დამარცხდა, ნიკიფორე იმავე წლის იე-

ნისში შეიპყრეს. საგარეო-პოლიტიკური ვითარება კ.VIII-ის დროს საგრძნობლად გაუარესდა. ალეპოს ემირმა დაარღვია ზავი იმპერიასთან და რამდენჯერმე დალაშქრა ანტიოქიის მიდამოები. ამ დროს ბიზანტია ცდილობს პაჭანიკების შემოტევის შეჩერებას და მათ ბულგარეთიდან განდევნას. კ.VIII-ის დროს ბიზანტიის იმპერია აშკარა აგრესიაზე გადავიდა ქართული სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ. 1027 მცირეწლოვანი *ბაგრატ IV-ის* გამეფებისას ტაოელმა აზნაურებმა თავიანთი მამულები იმპერატორს გადასცეს. ამ ტერიტორიის შესანარჩუნებლად კ.VIII-მ საქართველოში ჯერ ნიკოლოზ პარაკიმანოზი გამოგზავნა დიდი ლაშქრით, მხოლოდ მოგვიანებით – სიმონ საჭურისი. ბიზანტიელთა არმიამ მთელი სამხრეთ საქართველოს მიწაწყალი ააოხრა. ლაშქრობა მხოლოდ კ.VIII-ს მოულოდნელმა სიკვდილმა შეაჩერა.

*წყარო:* მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

*ლიტ.:* კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; პ ა პ ა ს ქ ი რ ი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990; ს ა მ უ შ ი ა ჯ., საქართველო-ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან. – ჟურნ. „არტანუჯი“, 1994, №1.

**კონსტანტინე IX** მ ო ნ ო მ ა ხ ი, ბიზანტიის იმპერატორი 1042-55. კ.IX-ის დროს საგრძნობლად შემცირდა იმპერიის სამფლობელოები სამხრეთ იტალიასა და წინა აზიაში. 1049-51 ბიზანტიამ სერიოზული დამარცხება იწვნია პაჭანიკებისგან ბალკანეთში. მსოფლიო საეკლესიო ცხოვრებაში 1054 მოხდა ქრისტიანული ეკლესიის კათოლიკურ და მართლმადიდებლურ მიმდინარეობებად გამიჯვნა. ერთადერთ სერიოზულ საგარეო პოლიტიკურ წარმატებას ბიზანტიამ ამ დროს ამიერკავკასიაში მიაღწია. 1045 იმპერიამ ანისის სამეფოს ოკუპაცია მოახდინა. ამავე დროს თავისი აგენტის, *ლიპარიტ ბაღვაშის* მეშვეობით ბიზანტია აქტიურად ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში. XI ს. 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს საგრძნობ ნაწილს პრობიზანტიური ძალები აკონტროლებდნენ. ამან აიძულა საქართველოს მეფე *ბაგრატ IV*, ხლებოდა კ.IX-ს ბიზანტიაში და იქ ეწარმოებინა მოლაპარაკება საქართველო-ბიზანტიის მომავალი ურთიერთობების შესახებ.

*ლიტ.:* იხ. სტ-თან *კონსტანტინე VIII.*

**კონსტანტინე X** დ უ კ ა, ბიზანტიის იმპერატორი 1059-67. კ.X-ის დროს საგრძნობლად გაუარესდა ბიზანტიის საგარეო-პოლიტიკური ვითარება. 1064 მომთაბარეებმა გადმოლახეს დუნაი და რამდენიმე ხნის მანძილზე არბევდნენ ბიზანტიის თემებს. ამავე პერიოდში უნგრელებმა დაიკავეს ბელგრადი. აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკები უფრო და უფრო იკრებდნენ ძალებს. 1064-65 თურქებმა სომხეთი დაიპყრეს, რითაც მახლობელ აღმოსავლეთში ბიზანტიელთა ბატონობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა.

**კონსტანტინე XI** პ ა ლ ე ო ლ ო გ ი (1405-53), ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი 1449-53. მისი მმართველობის დროს ქვეყანა განიცდიდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაქვეითებას. ამას დაემატა თურქ-ოსმალთა აგრესია. დახმარებისათვის რამდენიმეჯერ მიმართა რომის პაპს და დასავლეთის სახელმწიფოებს, მაგრამ უშედეგოდ. 1451 დანიშნა საქართველოს მეფის *გიორგი VIII-ის* ასული, მაგრამ ქორწინება არ შედგა, რადგანაც კ.XI დაიღუპა ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღების დროს.

*ლიტ.:* ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

**კონსტანტინე პატრიკიოსის მისია ტაო-კლარჯეთში,** ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ ლაკაპინის (920-44) მიერ ტაო-კლარჯეთში გამოგზავნილი სპეციალური ელჩობა, რომელსაც გახმაურებული დიპლომატიური „სკანდალი“ მოჰყვა. 923 წლის ახლო ხანებში, *ადარნასე* „ქართუელთა“ მეფისა და კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აშოტ პატრიკიოსმა, მეტსახელად „კისკასმა“, თავის სიძე გურგენთან მტრობის ნიადაგზე, არტანუჯის ციხის ბიზანტიის იმპერატორისათვის გადაცემა გადაწყვიტა. იმპერატორმა მოიწონა აშოტ კისკასის ეს გადაწყვეტილება და მისი ასრულების მიზნით სათანადო განკარგულებაც გადასცა თავის დიპლომატიურ წარმომადგენელს – კონსტანტინე პატრიკიოსსა და ნაოსნობის დრუნგარს, რომელიც ამ დროს საგანგებო მისიით – გურგენის იბერიის მაგისტროსად აღზევების ცერემონიალთან დაკავშირებით – ტაო-კლარჯეთში იმყოფებოდა. კონსტანტინე პროტოსპათარმა ზუსტად შეასრულა იმპერატორის განკარგულება და არტანუჯის ციხეზე დროშა ააფრიალა. ამ აქტმა ბაგრატიონთა სახლის სხვა წარმომადგენლების – გურგენ მაგისტროსისა და დავით მაგისტროსის მძაფრი პროტესტი გამოიწვია. მათ იმპერატორისგან არტანუჯის დაუყოვნებლივი დათმობა მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტანტინოპოლისგან სრული განდგომითა და სარკინოზების მხარეზე გადასვლით იმუქრებოდნენ. ქართველ მთავართა ამ დემარშმა გაჭრა. იმპერატორმა იმის შიშით, რომ ისინი მართლა „არ მიეკედლებოდნენ სარკინოზებს“, უკან წაიღო თავისი განკარგულება და ყოველივე თავისი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის „უჭკუობას“ გადააბრალა. მან ქართველ ბაგრატიონთა დასამშვიდებლად კონსტანტინე პროტოსპათარს „ლანძღვა-გინებისა და მუქარის შემცველი“ ბრძანებაც კი გაუგზავნა და დაუყოვნებლივ გაიწვია ის საქართველოდან. კონსტანტინე პატრიკიოსის მისიის კრახი ისტორიოგრაფიაში სავსებით საფუძვლიანადაა მიჩნეული ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გარკვეული სუვერენიტეტის მკაფიო გამოვლინებად.

*ლიტ.:* ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954; კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ., ტ. 2).

**კონსტანტინოპოლის კონვენცია 1800,** რუსეთ-თურქეთის კონვენცია შვიდი გაერთიანებული კუნძულის (იონიის) სახელმწიფოს შექმნის შესახებ, ხელი მოაწერეს 21. III (2. IV) კონსტანტინოპოლში (სტამბული). კონვენციამ განსაზღვრა იონიის კუნძულების და ე. წ. ექსვენეციური ალბანეთის სტატუსი (ალბანურ-ბერძნული სანაპიროს ნაწილი, რომელიც იონიის კუნძულებთან ერთად 1797-მდე ვენეციას ეკუთვნოდა). ეს ტერიტორიები, რომლებიც საფრანგეთმა დაიპყრო II ანტიფრანგული კოალიციის სახელმწიფოებთან (დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, რუსეთი და თურქეთი) ომის დროს, გაათავისუფლა რუსეთის ესკადრამ ვიცე-ადმირალ ფ. ფ. უშაკოვის მეთაურობით 1798-99. კონვენციის თანახმად, იონიის არქიპელაგის ტერიტორიაზე შექმნილი რესპუბლიკის (რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში იყო თურქეთთან და რუსეთის მფარველობით სარგებლობდა) სახელმწიფო წყობას განსაზღვრავდა კონსტიტუცია, რომელიც უნდა დაემტკიცებინა ხელშეკ-

რულების მონაწილე მხარეებს. კონვენცია რესპუბლიკას აკისრებდა 3 წელიწადში ერთხელ ხარკის გადახდას *პორტასთვის* 75 ათასი პიასტრის ოდენობით. რუსეთმა და თურქეთმა მიიღეს უფლება, საფრანგეთთან ომის პერიოდში თავისი ჯარები შეეყვანათ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. პორტამ იკისრა ვაჭრობისა და ზღვაოსნობის თავისუფლების უზრუნველყოფა რესპუბლიკის ტერიტორიულ ნაწილებში. ექსვენეციური ალბანეთი გადავიდა თურქეთის მფლობელობაში. კონვენცია ითვალისწინებდა ზოგიერთ გარანტიას ამ ტერიტორიის ქრისტიანული მოსახლეობისათვის: რწმენის თავისუფლებას, თურქეთის ვალდებულებას, არ გაეზარდა გადასახადები, რომლებიც ვენეციელთა ბატონობის დროს არსებობდა. რუსეთმა კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 15 (27).VIII. 1800. კონვენცია მოქმედებდა ტილზიტის ხელშეკრულების 1807 დადებამდე, რომლის საიდუმლო მუხლები ითვალისწინებდა რესპუბლიკის გაუქმებას და მისი ტერიტორიის საფრანგეთისათვის გადაცემას.

**კონსტანტინოპოლის კონვენცია სუეცის არხის შესახებ 1888**, ხელი მოაწერეს ავსტრიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, თურქეთის, იტალიის, რუსეთის, საფრანგეთის, უნგრეთის და ჰოლანდიის წარმომადგენლებმა 1888 წლის 29 ოქტომბერს. იგი არეგულირებს სუეცის არხის საერთაშორისო სამართლებრივ რეჟიმს. მოგვიანებით კონვენციას შეუერთდნენ დანია, იაპონია, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, ჩინეთი და შვეცია. კონვენციამ განამტკიცა ნაოსნობის თავისუფლების პრინციპი და დაადგინა, რომ არხში მოქმედებს ნაოსნობის თავისუფლების პრინციპი, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე ომიანობის დროს, ნებისმიერი სახელმწიფოს ალმის ქვეშ მცურავი, როგორც სავაჭრო, ასევე სამხედრო გემებისათვის. კონვენციის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ არ შეუშლიდნენ ხელს არხით თავისუფალ სარგებლობას და არავითარ შემთხვევაში არ მოახდენდნენ მის ბლოკირებას. კონვენცია ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა მეომარი მხარე იქნება ეგვიპტე, არხის ზონაში მისი შესვლიდან 3 მილის ზონაში არ დაიშვება არც საომარი მოქმედება, არც სამხედრო სწავლებანი. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის დებულებანი არაერთხელ იქნა დარღვეული (1920, 1951 იხ. *სუეცის არხი*), იგი უმნიშვნელო ცვლილებებით დღემდე მოქმედებს და რჩება სუეცის არხის სამართლებრივი რეგულირების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად.

**კონსტანტინოპოლის კონფერენცია 1876-77** (რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და საფრანგეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით), მიმდინარეობდა კონსტანტინოპოლში (სტამბული) 11 (23).XII. 1876-8 (20).I. 1877; მოიწვიეს რუსეთის ინიციატივით იმ პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით, რომლებიც წარმოიშვა ჰერცეგოვინაში, შემდეგ კი ბოსნიაში მომხდარი ამბების (1875-78), სერბიისა და ჩერნოგორიის თურქეთთან ომის და ბულგარეთში შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც გამოწვეული იყო თურქეთის ჯარების მიერ 1876 წლის აპრილის აჯანყების ჩახშობით. წინასწარი მოლაპარაკებების დროს, რომელიც დაიწყო 1876 წლის ნოემბრის ბოლოს, რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში ნ.პ. იგნატიევმა მიაღწია გადაწყვეტილებას თურქეთისათვის ბოსნიის, ჰერცეგოვინისა და ბულგარეთისათვის ავტონომიური პროვინციების სტატუსის მინიჭების, ასევე ჩერნოგორიის ტერიტორიის რამდენადმე გაფართოების მოთხოვნის წაყენების შესახებ. თუმცა კონფერენციის ოფიციალური გახსნის დღეს, 11(23).XII თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საფეტ-ფაშამ განაცხადა, რომ თურქეთში გამოცხადდა კონსტიტუცია ყველა აუცილებელი უფლებისა და რეფორმის გათვალისწინებით. ამით მოხდა კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა მოთხოვნების იგნორირება. სახელმწიფოთა ყოველ შემდგომ მცდელობას, ზეგავლენა მოეხდინათ თურქეთზე, შედეგი არ მოჰყოლია. კ.კ-ის ერთადერთი რეალური შედეგი იყო თურქეთის მთავრობის ფორმალური მიმართვა სერბიისა და ჩერნოგორიის მთავრობებისადმი, დაეწყოთ საზავო მოლაპარაკებები. თურქეთის მიერ დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით ლონდონის ოქმის 1877 უარყოფამ გამოიწვია რუსეთ-თურქეთის ომის 1877-78 დაწყება.

**კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულება 1030-31**, დაიდო საქართველოსა და ბიზანტიას შორის, კონსტანტინოპოლში *გიორგი I-ის* ქვრივის – ქვეყნის ფაქტობრივი მმართველის – *მარიამ დედოფლის* ვიზიტის დროს. აღნიშნული საზავო ხელშეკრულებით წერტილი დაესვა თითქმის სამწლიან ომს ორ ქვეყანას შორის, რომელიც დაიწყო გიორგი I-ის სიკვდილის (1027) შემდეგ. საქართველოს მხარემ ცნო ბიზანტიის სიუზერენიტეტი, რაც *ბაგრატ IV-ისთვის* კურაპალატის ტიტულის მინიჭებით გამოიხატა. ამით მოხერხდა იმპერიასთან გამწვავებული ურთიერთობის დროებითი ნორმალიზება და ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, სამოკავშირეო ურთიერთობის დამყარება, რომელიც დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა: ბაგრატ IV დაქორწინდა საიმპერატორო სახლის წარმომადგენელ *ელენე დედოფალზე*. ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი მარიამ დედოფლის კონსტანტინოპოლში ვიზიტისა და იქ მიღწეული შეთანხმების შეფასების საკითხზე. ერთი მოსაზრებით (ვ. გაბაშვილი): ეს იყო ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვანი წარმატება; სხვა შეხედულებით, 1030-1031 სამშვიდობო ხელშეკრულება უფრო საქართველოს სამეფო კარზე ბიზანტიური ორიენტაციის გამარჯვების დაფიქსირება იყო, ვიდრე საერთოდ ქართული დიპლომატიის წარმატებისა. კ.ს.ხ. ხანმოკლე გამოდგა. ელენე დედოფლის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ერთბაშად დაიძაბა ურთიერთობა ბიზანტიასთან, რაც ხანგრძლივ კონფრონტაციაში გადაიზარდა.

*წყარო:* მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ.1, თბ., 1955; სუმბატ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, იქვე.

*ლიტ.:* კოპალიანი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; პაპასქირი ზ., ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.2, თბ., 1983 (თხზ., ტ. 2).

**კონსტანტინოპოლის საზავო ხელშეკრულებები:** 1. ხელშეკრულება 1700 რუსეთსა და თურქეთს შორის, ხელი მოაწერეს 3(13).VIII. მან განავითარა დაზავების შეთანხმება, რომელიც დაიდო *კარლოვაცის კონგრესზე 1698-99*. მოლაპარაკებები დაიწყო 1699 წლის ნოემბერში. რუსეთის რწმუნებულები მოითხოვდნენ სამუდამო ზავს, რაც უარყვეს *პორტას* წარმომადგენლებმა. თურქეთის მხარე, რომელიც სარგებლობდა ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს ელჩების მხარდაჭერით, აჭიანურებდა მოლაპარაკებებს. თურ-

ქეთთან ზავი რუსეთისათვის აუცილებელი იყო, რადგან მისმა მოკავშირეებმა – საქსონიამ და დანიამ დაიწყეს ომი შვეციის წინააღმდეგ. ამ ომში ჩაბმა რუსეთმა იკისრა თურქეთთან ზავის დადების შემდეგ. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს დარჩა აზოვი მიმდებარე მიწებითურთ, ამასთან, განთავისუფლდა ყირიმის ხანისათვის ყოველწლიური ხარკის გადახდისგან. რუსეთმა მიიღო ასევე კონსტანტინოპოლში (სტამბულში) თავისი ელჩის ყოლის უფლება. ზავი დაიდო როგორც „დაზავება" 30 წლის ვადით. ხელშეკრულება პრაქტიკულად მოქმედებდა *პეტრე I-ის* პრუტის ლაშქრობამდე (იხ. *პრუტის საზავო ხელშეკრულება 1711*).

2. **ხელშეკრულება 1879 რუსეთსა და თურქეთს შორის**, ხელი მოაწერეს 27.I (8.II). რუსეთსა და თურქეთს შორის გამოცხადდა „მშვიდობა და მეგობრობა". განამტკიცა სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულების 1878 იმ მუხლების შეცვლა ბერლინის ტრაქტატის პირობებით, რომლებიც გაუქმდა ბერლინის კონგრესზე 1878. ხელშეკრულებამ დაადგინა იმ თანხის მოცულობა, რომელიც თურქეთს უნდა გადაეხადა რუსეთისათვის (802,5 მლნ ფრანკი), ასევე იმ კომპენსაციის თანხა და გადახდის წესები, რომელიც თურქეთს უნდა გადაეხადა რუსეთის ქვეშევრდომებისათვის თურქეთში ომის დროს მიყენებული ზარალის სანაცვლოდ. აღდგა უწინდელი ვალდებულებები ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის, იურისდიქციისა და თურქეთში რუსეთის ქვეშევრდომთა მდგომარეობის შესახებ.

3. **ხელშეკრულება 1913 ბულგარეთსა და თურქეთს შორის**, ხელი მოაწერეს 29.IX ბალკანეთის მე-2 ომის დამთავრებასთან დაკავშირებით. თურქეთმა დაარღვია ლონდონის საზავო ხელშეკრულება 1913 და 21.VII, ბალკანეთის მეორე ომის (ერთი მხრივ, ბულგარეთს და, მეორე მხრივ, სერბიას, ჩერნოგორიას, საბერძნეთსა და რუმინეთს შორის) დამთავრების შემდეგ თავს დაესხა ბულგარეთს და დაიპყრო აღმოსავლეთ თრაკია. ბულგარეთის მთავრობამ დიდ სახელმწიფოებს მიმართა თხოვნით, ზეგავლენა მოეხდინათ თურქეთზე, რათა მას დაეცვა ლონდონის ხელშეკრულების პირობები ბულგარეთ-თურქეთის საზღვრის შესახებ. ბულგარეთს მხარი დაუჭირა მხოლოდ რუსეთმა, რომელმაც შესთავაზა მას „სამხედრო-საზღვაო დემონსტრაციის ჩატარება თურქეთის წინააღმდეგ". შედეგად ბულგარეთი იძულებული გახდა, თურქეთის მიმართ ტერიტორიულ დათმობაზე წასულიყო. ხელშეკრულების თანახმად, ლონდონის ხელშეკრულების მიერ დადგენილი თრაკიის საზღვარი ენოს-მიდიის ხაზის გასწვრივ ლიკვიდირებულ იქნა. ბულგარეთს ჩამოერთვა აღმოსავლეთ თრაკია ლოზენგრადთან (კირკ-კილისე), ლიულე-ბურგასთან და ადრიანოპოლთან (ედირნე) ერთად; მას დარჩა მხოლოდ დასავლეთ თრაკიის ნაწილი დედეაგაჩის და პორტო-ლაგოსის დასახლებებით ეგეოსის ზღვის სანაპიროზე. მართალია, ბულგარეთმა შეინარჩუნა ეგეოსის ზღვაზე გასასვლელი, მაგრამ მას არ დარჩა არც ერთი მნიშვნელოვანი პორტი. მხარეები შეთანხმდნენ დიპლომატიურ ურთიერთობათა შედეგებზე. ხელშეკრულებას ჰქონდა დამატებები: ოქმი სასაზღვრო საკითხთა თაობაზე; შეთანხმება არბიტრაჟზე, რომელსაც სადავო საკითხები უნდა გადაეწყვიტა, შეთანხმება მდინარე მარიცაზე ნაოსნობისა და სვილინგრადი-ადრიანოპოლი-დედეაგაჩის რკინიგზაზე მიმოსვლის შესახებ; დეკლარაცია ბულგარეთის მიერ თურქეთისათვის დათმობილ ტერიტორიაზე კერძო პირთა უფლებების შესახებ. ძალაში დარჩა ლონდონის ხელშეკრულების ის დებულებები, რომლებიც აღნიშნული ხელშეკრულებით არ შეცვლილა. ხელშეკრულება დაზუსტდა და შეივსო ბულგარეთ-თურქეთის ხელშეკრულებით ორ ქვეყანას შორის საზღვრის გასწორების შესახებ 6.IX. 1915. ბულგარეთ-თურქეთის 1925 ხელშეკრულებით ძალა დაკარგა 1913 ხელშეკრულების ყველა დებულებამ იმ პუნქტის გარდა, რომელიც მათ შორის საზღვარს ადგენდა.

**კონსტანტინოპოლის სამოკავშირეო ხელშეკრულება 1854**, დაიდო 12. III კონსტანტინოპოლში (სტამბული) დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს და თურქეთს შორის რუსეთის წინააღმდეგ. ხელშეკრულების მიხედვით, დასავლეთის სახელმწიფოები შეთანხმდნენ, გაეწიათ დახმარება თურქეთის სულთნისათვის ყირიმის ომში (1853-56); აღიარეს, რომ აუცილებელია მისი ტახტის „დამოუკიდებლობის" და თურქეთის უწინდელი საზღვრების შენარჩუნება. ამ მიზნით მათ იკისრეს, თურქეთის დასახმარებლად გაეგზავნათ სახმელეთო ჯარები და ფლოტი, ხოლო საზავო ხელშეკრულების დადებიდან 40 დღის განმავლობაში უკან გამოეწვიათ ისინი. სულთანმა იკისრა ვალდებულება, არ დაედო სეპარატული ზავი რუსეთთან. ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა მარტის ბოლოს ომი გამოუცხადეს რუსეთს, ხოლო შემდეგ ურთიერთვალდებულებები შეავსეს ლონდონის ხელშეკრულებით 1854. 16.III. 1855 ხელშეკრულებას შეუერთდა სარდინია.

**კონსული**, 1. უმაღლესი თანამდებობა რომის რესპუბლიკაში. ტრადიციით მაგისტრატურა შემოღებულ იქნა ძვ. წ. VI ს. ბოლოს, მეშვიდე მეფის ტარკვინიუს ამაყის გაძევების შემდეგ (510-509), როგორც მმართველობის რესპუბლიკური ფორმების დაცვის გარანტია (სამეცნიერო ლიტერატურაში კ-ის დაწესების თარიღად მიჩნეულია ძვ. წ. 450). კ-ის თანამდებობა იყო კოლეგიალური, ირჩევდნენ ორს, ერთი წლის ვადით, ცენტურიატულ კომიციაზე (სახალხო კრება) ორივე ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა. თავდაპირველად კ-ის არჩევნებში მხოლოდ პატრიციები მონაწილეობდნენ. ძვ. წ. 367 ლიცინიუს-სექსტიუსის კანონით, პლებეებსაც მიეცათ უფლება, ერთი კ. თავიანთი რიგებიდან აერჩიათ. კ-ები აღჭურვილნი იყვნენ უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებით. იწვევდნენ სახალხო კრებას, სენატს, ადგენდნენ ლეგიონებს და ომის შემთხვევაში სარდლობდნენ არმიას. განსაკუთრებულ შემთხვევაში კ-ს სენატი აძლევდა განუსაზღვრელ უფლებამოსილებას. თითოეულ კ-ს თან ახლდა 12 ლიქტორი. კ-ის განმასხვავებელი ნიშანი იყო ფართო, წითელ არშიაშემოვლებული ტოგა. ძვ. წ. 180 მიღებული კანონით, კ-ის თანამდებობაზე არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდა მოქალაქეს, რომელსაც 43 წელი არ ჰქონდა შესრულებული. კ-ების თანაშემწეებს ქვესტორები ეწოდებოდათ. ერთი წლის შემდეგ კ-ს პროკონსულის სახელით ეძლეოდა რომელიმე პროვინციის გამგებლობა. იმპერიის ხანაში კ-მა დაკარგა რეალური ხელისუფლება, იგი გადაიქცა საპატიო ტიტულად.

2. თანამდებობის პირი, რომელიც ინიშნება უცხო სახელმწიფოს ნებართვით მის რომელიმე რაიონში (ოლქში) თავისი სახელმწიფოს, მისი იურიდიული და ფიზიკური პირების ინტერესების დასაცავად, ადგილსამყოფელ და წარმდგენ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ,

ეკონომიკურ, სამეცნიერო, კულტურულ და სხვა ურთიერთობების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, აგრეთვე ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე ინფორმაციის მოსაგროვებლად. ზოგიერთი სახელმწიფო კ-ს ანიჭებს ფუნქციებს სავაჭრო ურთიერთობათა სფეროშიც კი. როგორც წესი, კ-ები *აკრედიტებულნი* არიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროებთან, თუმცა ყოველდღიური კონტაქტები აქვთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. კ-ის საქმიანობას, როგორც წესი, აკონტროლებს საელჩო ან გენერალური კონსული, თუ ასეთი არის დანიშნული ადგილსამყოფელ ქვეყანაში. კ. არის თანამდებობის პირი, თუკი იგი ხელმძღვანელობს ცალკე საკონსულოს. თუ იგი შედის გენერალური საკონსულოს პერსონალთა რიგში, ამ შემთხვევაში კ. არის რანგი (იხ. *საკონსულო რანგები*), შეიძლება მათი რიცხვი ასზე მეტიც იყოს. ასეთ დროს *კონსულის ფუნქციებს*, მათი მუშაობის მოცულობასა და ხასიათს განსაზღვრავს საკონსულო სამსახურის მეთაური. კ. შეიძლება იყოს შტატში ან შტატგარეშე. შტატიანი კ. არის წარმდგენი სახელმწიფოს სახელმწიფო სამსახურში და, როგორც წესი, ამ სახელმწიფოს მოქალაქეა. იგი იღებს ხელფასს და ყოველგვარი საშემოსავლო საქმიანობა, გარდა მისი პირდაპირი ფუნქციის შესრულებისა, აკრძალული აქვს. იგი და მისი ოჯახის წევრები სარგებლობენ საკონსულო პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით. შტატგარეშე კ. (საპატიო) არ არის წარმომდგენი სახელმწიფოს მოხელე. იგი მხოლოდ ასრულებს ამ სახელმწიფოს მიერ დაკისრებულ მოვალეობას ადგილსამყოფელი სახელმწიფოს ნებართვით. მას შეუძლია აწარმოოს ნებისმიერი სახის საქმიანობა და თავისი შრომის ანაზღაურებლად გამოიყენოს საკონსულო მოსაკრებებიც კი. მოქალაქეობისადმი, როგორც წესი, განსაკუთრებული მოთხოვნები არ არსებობს. ვენის 1963 კონვენცია საკონსულო ურთიერთობების შესახებ შტატგარეშე კ-ებს იმავე უფლებებს ანიჭებს, როგორც შტატში მყოფთ, თუმც პრაქტიკაში, როგორც წესი, შტატგარეშე კ-ების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს ადგილსამყოფელი სახელმწიფოები ზღუდავენ მხოლოდ ე. წ. ფუნქციური იმუნიტეტით; ანუ უკავშირებენ მათ მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესს.

**კონსულის იურისდიქცია**, იხ. *საკონსულო*.

**კონსულის ფუნქციები**, საერთაშორისო სამართალში განისაზღვრება და რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებებისა და საერთაშორისო კონვენციების საფუძველზე (ვენის 1963 კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ; ევროპული კონვენცია 1967 კ.ფ-ის შესახებ). ზოგი სახელმწიფო იღებს ე. წ. საკონსულო წესდებას, რომელიც არეგულირებს კ.ფ-ის სპექტრს და მათი განხორციელების წესს. კონსულის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება წარმდგენი სახელმწიფოსა და მისი ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესების დაცვა ადგილსამყოფელ სახელმწიფოში. ამასთან, იგი ვალდებულია, ხელი შეუწყოს ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ-სამეცნიერო, კულტურულ და სხვა სახის ურთიერთობათა განვითარებას. ხშირად სახელმწიფოები კონსულებს აკისრებენ მნიშვნელოვან ფუნქციებს ვაჭრობის განვითარების სფეროში და სავაჭრო ხელშეკრულებათა დადების უფლებამოსილებითაც კი აღჭურავენ ხოლმე. კ.ფ. განისაზღვრება, როგორც წესი, მათი რანგების მიხედვით. ასე მაგ., გენერალურ კონსულს ზოგ შემთხვევაში შეიძლება პოლიტიკური ფუნქციებიც ჰქონდეს. კ.ფ-ში შედის: თვალყური ადევნოს იმას, რომ მისი წარმდგენი სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირები ადგილსამყოფელ სახელმწიფოში სრულად სარგებლობდნენ უფლებებითა და პრივილეგიებით, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობის ან საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად; მიიღოს ზომები ამ უფლებათა დარღვევის შემთხვევაში მათ აღსადგენად; აღრიცხოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მცხოვრები თანამემამულენი; გასცეს ან ვადა გაუგრძელოს მოქალაქეთა პასპორტებს; შეასრულოს ნოტარიალური და მმაჩის ფუნქციები თანამემამულეთა მიმართ; განახორციელოს საკონსულო ლეგალიზაცია რიგი დოკუმენტებისა და აქტებისა; დაიცვას კანონი სასამართლო ან საგამოძიებო ორგანოთა თხოვნით; ადგილსამყოფელ სახელმწიფოში დაპატიმრებულ თანამემამულეთა უფლებები და სხვ. საკონსულო ურთიერთობებს საქართველო სხვა სახელმწიფოებთან ახორციელებს ვენის კონვენციის 1963 საკონსულო ურთიერთობათა შესახებ და ორმხრივ ხელშეკრულებათა საფუძველზე. ასე მაგ., რუსეთთან საქართველოს აქვს სპეციალური ორმხრივი შეთანხმება საკონსულო ურთიერთობათა შესახებ (იხ. *საქართველო-რუსეთის საკონსულო შეთანხმება*).

**კონტადორის ჯგუფი**, აერთიანებს ლათინური ამერიკის ქვეყნებს – მექსიკას, კოლუმბიას, ვენესუელას და პანამას; იგი შეიქმნა ამ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს პანამის კუთვნილ კუნძულ კონტადორაზე (8-9.I. 1983) 80-იანი წლების დასაწყისში ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი სიტუაციის დასარეგულირებლად საკუთრივ ლათინურამერიკული ქვეყნების ძალებით. ჯგუფის შექმნის მიზანი იყო აშშ-სა და ნიკარაგუას შორის ურთიერთობის შემდგომი გამწვავების აღკვეთა. კ.ჯ-მა მოაწყო რამდენიმე შეხვედრა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების (ნიკარაგუა, ჰონდურასი, სალვადორი, გვატემალა და კოსტა-რიკა) მონაწილეობით. ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა ჰპოვა კ.ჯ-ის მიერ შემუშავებულმა დოკუმენტებმა: „კანკუნის დეკლარაციამ" (1983 წლის ივლისი), „დოკუმენტმა მიზნების შესახებ" (1983 წლის სექტემბერი), „დოკუმენტმა ნორმების შესახებ" (1984 წლის იანვარი). 1984 წლის სექტემბერში შემუშავებულ იქნა „ცენტრალურ ამერიკაში მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ კონტადორის აქტის" პროექტი, რომელიც წარმოადგენდა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ურთიერთვალდებულებათა ნუსხას სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში. კ.ჯ-მა მოუწოდა ყველა ქვეყანას, რომ მხარი დაეჭირათ მათი სამშვიდობო ღონისძიებებისა და მიზნებისათვის. კ.ჯ-ის საქმიანობა სარგებლობდა მხარდაჭერით გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

**კონტინენტური ბლოკადა 1806-14**, *ნაპოლეონ I-ის* მიერ დიდ ბრიტანეთთან ომის დროს გამოყენებული ეკონომიკური და პოლიტიკურ ღონისძიებათა სისტემა. კ.ბ-ის საფუძვლად იქცა ნაპოლეონის დეკრეტი „ბრიტანეთის კუნძულების ბლოკადის" შესახებ 21.XI. 1806, რომლის თანახმად აიკრძალა სავაჭრო და სხვა სახის კავშირები დიდ ბრიტანეთთან. ნებისმიერი ინგლისელი, რომელსაც აღმოაჩენდნენ

საფრანგეთის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, სამხედრო ტყვედ ცხადდებოდა, ხოლო ის საქონელი, რომელიც ბრიტანეთის ქვეშევრდომებს ეკუთვნოდა, ექვემდებარებოდა კონფისკაციას. დიდი ბრიტანეთიდან და მისი კოლონიებიდან მიმავალ არცერთ ხომალდს არ ჰქონდა საფრანგეთის პორტებში შესვლის უფლება, იქ მათ კონფისკაცია ემუქრებოდა. 1807 წლის განმავლობაში კ.ბ-ს საფრანგეთის, იტალიის, ნიდერლანდების, ესპანეთისა და დანიის გარდა, *ტილზიტის შეთანხმების 1807* თანახმად, შეუერთდნენ რუსეთი და პრუსია, ხოლო 1809 – ავსტრია. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ბლოკადას უპასუხა ე. წ. „სამეფო ბრძანებებით“ 7. I და 11.XI. 1807, რომლებიც ნეიტრალურ სახელმწიფოებს უკრძალავდა მტრულად განწყობილ ქვეყნებთან ურთიერთობას და ნეიტრალურ ხომალდებს აკისრებდა ბრიტანეთის პორტებში შესვლას საბაჟო გადასახადების გადახდისათვის და ტვირთის დანიშნულების ადგილის შესამოწმებლად. 17.XII და 23.XII ნაპოლეონმა ხელი მოაწერა კონტინენტური ბლოკადის განმტკიცებისათვის გამიზნულ ე. წ. „მილანის დეკრეტებს“, რომელთა თანახმად, თითოეული გემი, რომელიც დიდი ბრიტანეთის განკარგულებებს დაემორჩილებოდა, მტრულ ხომალდად ითვლებოდა და ექვემდებარებოდა კონფისკაციას. ნაპოლეონის მთელი რიგი საკანონმდებლო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა კონტინენტური ბლოკადის მოწყობას, დასრულდა 18.X. 1810 გამოცემული დეკრეტით – ხმელეთზე აღმოჩენილი ნებისმიერი ბრიტანული საქონლის განადგურების თაობაზე. კონტინენტური ბლოკადა, რომელიც მძიმედ აისახა ევროპულ სახელმწიფოთა ეკონომიკაზე, განუწყვეტლივ ირღვეოდა. ნაპოლეონის მისწრაფება, ევროპის ყველა სახელმწიფოსგან მიეღწია ბლოკადის მკაცრად დაცვისათვის, იქცა მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად. ეს ასევე გახდა პირენეის ნახევარკუნძულზე ომისა და საფრანგეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გამწვავების მიზეზი, რასაც მოჰყვა 1812 ომი. ნაპოლეონის რუსეთში შეჭრის შემდეგ რუსეთმა და ბრიტანეთმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას 6(18).VII. 1812, ხოლო 12(24).IX. 1812 გამოქვეყნდა *ალექსანდრე I-ის* მანიფესტი ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობათა განახლების შესახებ. ამას მოჰყვა ბრძანებები ბრიტანულ ხომალდებზე ემბარგოს მოხსნის შესახებ. 1813 მე-6 ანტიფრანგულ კოალიციასთან ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ევროპულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს კონტინენტური ბლოკადის დაცვაზე. 1814 საფრანგეთში ბურბონთა დინასტიის რესტავრაციასთან ერთად კონტინენტური ბლოკადა საბოლოოდ გაუქმდა.

**კონტინენტური შელფი**, *გაეროს საზღვაო სამართლის 1982 კონვენციის* 76-ე მუხლის თანახმად მოიცავს ზღვის ფსკერისა და წიაღის იმ წყალქვეშა რაიონს, რომელიც ვრცელდება სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ მისი სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების მთელ მანძილზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე, ან ვრცელდება 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე. აღნიშნული განმარტება და კონვენციის მიერ დადგენილი მაქსიმალური გარე საზღვრები გამომუშავებულ იქნა გაეროს საზღვაო სამართლის მე-3 კონფერენციაზე და აისახა მითითებულ კონვენციაში.

კ.შ-ის გამოყენების საკითხის მომწესრიგებელ პირველ დოკუმენტს წარმოადგენდა ჟენევის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ (იხ. *ჟენევის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ 1958*), რომელიც ადგენდა კ.შ-ის ექსპლოატაციის პრინციპს, ე. ი. კ.შ-ის საზღვრების გატარებას იქ, სადაც ხმელეთის დამფარავი საწყლო სივრცის სიღრმე იძლევა ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავების შესაძლებლობას. აღნიშნული კრიტერიუმი შეუძლებელს ხდიდა კ.შ-ის მუდმივი საზღვრის დადგენას (მეცნიერების და ტექნიკის დღევანდელი მიღწევები შესაძლებელს ხდიან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას 4-6 კმ-ის სიღრმიდან, ე. ი. პრაქტიკულად მსოფლიო ოკეანის მთელი ფსკერიდან, რაც აბსოლუტურად მიუღებელი იყო მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოთა მცირე ჯგუფისათვის, რომელთაც ჰქონდათ მაღალი ტექნოლოგიები აღნიშნული სახის სამუშაოთა შესასრულებლად). გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის 1982 შესაბამისად სანაპირო სახელმწიფოს გააჩნია კ.შ-ზე განსაკუთრებული და სუვერენული უფლებები მისი ბუნებრივი რესურსების დაზვერვისა და დამუშავების მიზნით. ეს უფლებები მისთვის გამონაკლისია იმდენად, რამდენადაც, მიუხედავად იმისა, რომ ახორციელებს თუ არა სანაპირო სახელმწიფო თავისი კ.შ-ის დაზვერვას ან მისი ბუნებრივი რესურსების დამუშავებას, არავის არ შეუძლია აღნიშნული უფლებების განხორციელება ან მათ განხორციელებაზე პრეტენზიის განცხადება სანაპირო სახელმწიფოს ერთმნიშვნელოვნად გამოხატული თანხმობის გარეშე. კ.შ-ის ბუნებრივი რესურსები მოიცავს მინერალურ და საზღვაო ფსკერის წიაღის სხვა არაცოცხალ რესურსებს, ასევე ფსკერზე „მჯდომარე სახეობას“ მიკუთვნებულ ცოცხალ ორგანიზმებს. სანაპირო სახელმწიფოს გააჩნია განსაკუთრებული უფლება, კ.შ-ზე აწარმოოს ბურღვითი სამუშაოები, ეკონომიკური მიზნებისთვის მოაწყოს ხელოვნური დანადგარები, ასევე გასცეს ნებართვა აღნიშნული საქმიანობის მოწესრიგებაზე, მაგრამ ეს უფლებები არ ეხება კ.შ-ის დამფარავი წყლების და მის ზევით განლაგებულ საჰაერო სივრცის სამართლებრივ სტატუსს. 1982 კონვენციის თანახმად, სანაპირო სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება ხელოვნური კუნძულების შექმნაზე, ექსპლოატაციასა და გამოყენებაზე, მოწყობილობა-დანადგარების დამონტაჟებაზე და კ.შ-ის საზღვაო-სამეცნიერო კვლევაზე. ამავე დროს, აღნიშნული უფლების რეალიზაცია სანაპირო სახელმწიფოს მიერ არ უნდა ზღუდავდეს ან აბრკოლებდეს სხვა სახელმწიფოთა უფლებებს და თავისუფლებებს, საზღვაო ნაოსნობის თავისუფალ განხორციელებას და ა. შ., რაც გათვალისწინებულია 1982 საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციით. ყველა სახელმწიფოს ენიჭება კ.შ-ზე კაბელების და მილსადენების ჩაწყობის უფლება. კონვენციის დებულების შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები წარსდგება შესაბამის სანაპირო სახელმწიფოსთან მოლაპარაკების გზით. საზღვაო სამეცნიერო კვლევები კ.შ-ზე ხორციელდება ასევე მიმდებარე სახელმწიფოს ნებართვით. ამავე დროს გაეროს საზღვაო სამართლის მე-3 კონფერენციამ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, როცა სანაპირო სახელმწიფო აწარმოებს მინერალური რესურსების დამუშავებას 200 მილის ფარგლებს გარეთ (მაგრამ არა უშორეს ნაპირიდან 350 მილისა,

ან იმ ადგილიდან, სადაც ზღვის ფსკერის და წყლის ზედაპირის შემაერთებელი იზობატი 2500-ის ტოლია), იგი ვალდებულია აწარმოოს გადარიცხვები ან შენატანები ნატურით მსოფლიო თანამეგობრობის სასარგებლოდ. ამ დანარიცხთა ოდენობა მოპოვების მე-6 წლიდან მოყოლებული ყოველ მომდევნო წელს უნდა იზრდებოდეს 1%-ით დანარიცხის მაქსიმალური ოდენობის 7%-ის მიღწევამდე. აღნიშნული დანარიცხები განაწილდება გაეროს საზღვაო სამართლის შესახებ კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს შორის – ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანოს მიერ – სამართლიანობის კრიტერიუმის მოთხოვნათა დაცვით. დანარიცხებისა და შენატანებისგან თავისუფლდებიან ის განვითარებადი სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ კ.შ-ზე არსებული სასარგებლო წიაღისეულის ნეტო-იმპორტიორებს. კ.შ-ის მიმდებარე სახელმწიფოს უფლებები არ ეხება არც ღია ზღვის ან მისი იმ ნაწილის სამართლებრივ სტატუსს, რომელიც შეადგენს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონას და არა მათ ზევით განლაგებულ საჰაერო სივრცეს. კ.შ-ის გამიჯვნა (*დელიმიტაცია*) მოსაზღვრე ან მოპირისპირე სანაპიროს მქონე სახელმწიფოთა შორის ხორციელდება შეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო სასამართლოს შესახებ სტატუსის 38-ე მუხლით. ასეთი შეთანხმების მიღწევამდე დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა ურთიერთგაგების და თანამშრომლობის საფუძველზე უნდა განახორციელონ ყველა შესაძლებელი ძალისხმევა პრაქტიკული ხასიათის მქონე დროებითი შეთანხმების მიღწევისათვის, რომელმაც ამავე დროს არ უნდა მიაყენოს ზიანი საბოლოო დელიმიტაციას. აღნიშნული გარდამავალი პერიოდის განმავლობაში მხარეები არ უნდა უქმნიდნენ საფრთხეს და ხელს არ უნდა უშლიდნენ საბოლოო შეთანხმების მიღწევას. თუ დაინტერესებულ სახელმწიფოებს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ შეთანხმებას გონივრული დროის განმავლობაში, მათ შეუძლიათ მიმართონ საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენციით გათვალისწინებულ დავათა მოწესრიგების პროცედურას.

კ.შ-ის ექსპლოატაციის სამართლებრივ რეჟიმს სახელმწიფოები, როგორც წესი, აწესრიგებენ კონვენციის შესაბამისად შიდა საკანონმდებლო აქტებით. საქართველოში მზადდება კანონი საქართველოს კ.შ-ის შესახებ.

**კონტრაბანდა** (იტალ. contrabando; contra – წინააღმდეგ, bando – მთავრობის განკარგულება), *სახელმწიფო საზღვარზე* იმ საგანთა, ნივთიერებათა, ფასეულობათა ფარული და უკანონო გადაადგილება, რომელთა შემოტანა სახელმწიფო ტერიტორიაზე ან გატანა სახელმწიფოს ტერიტორიიდან აკრძალულია. კ-ის აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავე პირთა მიმართ, კ-ის ხასიათიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნება ადმინისტრაციული სასჯელი ან აღძრული იქნება სისხლის სამართლის საქმე. კ-ის განსაკუთრებით მომგებიან და ყველაზე საშიშ ფორმებს წარმოადგენს ნარკოტიკების, იარაღისა და ბირთვული მასალების კ.

**კონტრაბანდა სამხედრო** (საზღვაო ომის დროს), საგნები და ნივთები, რომლებიც მიეწოდება მოწინააღმდეგეს ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ, ნეიტრალური დროშით მცურავი ხომალდების მეშვეობით. ლონდონის 1909 დეკლარაციით საზღვაო ომის სამართლის შესახებ, რომელმაც პრაქტიკულად განაზოგადა ომის წარმოების ჩვეულებრივი ნორმები, კ.ს. იყოფა ორ ჯგუფად: ა) პირდაპირი, როდესაც კონტრაბანდის საგანს წარმოადგენს სამხედრო მიზნებისათვის უშუალოდ განკუთვნილი საგნები: შეიარაღება, ტყვია-წამალი, სამხედრო ტრანსპორტის აღჭურვილობა და ა. შ., ბ) ირიბი – ისეთი საგნები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სამხედრო, ასევე მშვიდობიანი მიზნებისათვის. პირველი სახის კონტრაბანდის დაკავება და ხელში ჩაგდება დასაშვებია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სიტუაციაში, მაშინ, როდესაც მეორე სახისა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი იქნება, რომ იგი განკუთვნილია მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების ან სამხედრო მმართველობისთვის. ყოველივე ზემოაღნიშნული არ გამორიცხავს ნეიტრალური სახელმწიფოების მიერ მეომარ მხარეებთან საზღვაო სავაჭრო ურთიერთობების განხორციელების შესაძლებლობას (როგორც საკუთარი, ასევე მეომარი მხარეების ტვირთის გადატანით). ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს 2 უმნიშვნელოვანესი პრინციპი: „ნეიტრალური დროშა იფარავს მოწინააღმდეგის ნებისმიერ ტვირთს, გარდა სამხედრო კონტრაბანდისა" და „მოწინააღმდეგის გემზე არსებული ნეიტრალური ტვირთი, გარდა სამხედრო კონტრაბანდისა, ხელშეუხებელია". აღნიშნული პრინციპების დარღვევის ან დარღვევის მცდელობის შემთხვევაში ნეიტრალური ტვირთი და ნეიტრალური გემი წარმოადგენს მეომარი მხარის კანონიერ პრიზს და შეიძლება იქნეს როგორც ხელში ჩაგდებული, ასევე ჩაძირული. საკითხი ასეთი ქმედების კანონიერებისა, ხოლო დარღვევის შემთხვევაში გემის ან ტვირთის მფლობელის ზიანის ანაზღაურებისა უნდა გადაწყდეს *საპრიზო სასამართლოს* მიერ.

**კონტრიბუცია**, იხ. *რეპარაცია*.

**კონფედერაცია** (ლათ. confederatio – კავშირი, გაერთიანება), სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, რომელიც წარმოადგენს 2, ანდა რამდენიმე სუვერენული სახელმწიფოს კავშირს გარკვეული მიზნების, მაგალითად, საერთო დაცვის, საერთო საგარეო პოლიტიკის, განსახორციელებლად. კ., ჩვეულებრივ, იქმნება დაინტერესებულ მხარეებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე. კ-ის ცენტრალურ ორგანოებში შედიან წევრ-სახელმწიფოთა წარმომადგენლები. გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად ან კვალიფიციური უმრავლესობით და ძალაში შედის წევრი ქვეყნების მიერ რატიფიკაციის შემდეგ. კ-ის ფინანსური სახსრები იქმნება მასში შემავალ სახელმწიფოთა შენატანებით. საერთო საგადასახადო, ასევე სამართლებრივი სისტემა კ-ს, როგორც წესი, არ გააჩნია. ისტორიაში ცნობილია შემდეგი კ-ები: რაინის კონფედერაცია (1254-1350), შვეიცარიის კონფედერაცია (1291-1798, 1815-48), კონფედერაცია ნიდერლანდებში (გაერთიანებულ პროვინციათა რესპუბლიკა, 1579-1795), კონფედერაცია ამერიკის შეერთებული შტატები (1781-87), გერმანიის კავშირი(1815-66), ამერიკის კონფედერაციული შტატები (1861-65), რომლებიც აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს შეიქმნა. შვეიცარია, თუმცა ოფიციალურად ინარჩუნებს კ-ის სახელწოდებას, ფაქტობრივად ფედერაციას წარმოადგენს. კ-ს უწოდებენ ასევე პროფკავშირულ ანდა სხვა რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანებას.

**კონფერენცია განიარაღების შესახებ,** მრავალმხრივი ორგანო, რომელიც შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ სპეციალურ სესიაზე (1978) მიღწეული შეთანხმების შესაბამისად – განიარაღებისა და გამალებული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ კონკრეტულ მოლაპარაკებათა წარმოების, ასევე ამ საკითხზე შეთანხმებისა და ხელშეკრულებების შემუშავების მიზნით (1984-მდე მას ეწოდებოდა განიარაღების კომიტეტი). მუშაობს ჟენევაში 1979 წლის იანვრიდან. კონფერენციის შექმნამდე არსებობდა: 10 სახელმწიფოს განიარაღების საკითხთა კომიტეტი (1959-61); 18 სახელმწიფოს განიარაღების საკითხთა კომიტეტი (1961-69); განიარაღების კომიტეტის თათბირი (1969-78). კონფერენციის შემადგენლობაში შედის 40 ქვეყანა: მათ შორის 5 ბირთვული და სამხედრო თვალსაზრისით ყველა მეტნაკლებად ძლიერი სახელმწიფო; კონფერენციაში წარმოდგენილი არიან თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოთა ძირითადი პოლიტიკური ჯგუფები, მათ შორის მიუმხრობელი ქვეყნები. კონფერენციას აქვს დამოუკიდებელი სტატუსი და პროცედურის საკუთარი წესები; გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე; კონფერენცია მუშაობს გაეროს გენერალური ასამბლეის რეკომენდაციათა გათვალისწინებით, ღია და დახურული პლენარული სხდომების, არაოფიციალური კონსულტაციების, სპეციალური კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფთა სხდომების ფორმით. კონფერენციის გენერალური მდივანი არის გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი; კონფერენციის მუშაობის შესახებ ყოველწლიურ მოხსენებებს წარუდგენენ გაეროს გენერალურ ასამბლეას. კონვენციის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებებია: ბირთვული იარაღი ყველა ასპექტში, ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვა, ქიმიური იარაღის და მასობრივი განადგურების იარაღის ყველა სხვა სახეობის აკრძალვა; ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის, შემცირების პრობლემა; სამხედრო ბიუჯეტების შემცირება, განიარაღება და განვითარება, განიარაღება და საერთაშორისო უშიშროება და სხვა; კონფერენციის არსებობის პერიოდში შემუშავდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებები, მაგ: ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968; ხელშეკრულება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ბირთვული იარაღის და სხვა მასობრივი განადგურების იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ 1971; კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და მათი განადგურების შესახებ 1972; კონვენცია ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ზემოქმედების აკრძალვის შესახებ 1977 და სხვ.

**კონფერენცია საერთაშორისო,** იხ. *საერთაშორისო კონფერენცია.*

**კონფერენციები გაეროსი მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების თაობაზე,** იხ. *გაეროს კონფერენციები მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების შესახებ.*

**კონფერენციები გაეროსი საზღვაო სამართლის შესახებ,** იხ. *გაეროს კონფერენციები საზღვაო სამართლის შესახებ.*

**კონფრონტაცია** (ლათ. con – წინააღმდეგ, front – ფრონტი), სახელმწიფოებს შორის დაძაბული, ფეთქებადსაშიში დაპირისპირება, რომელიც მათ სამხედრო კონფლიქტის დაწყებას უქადის. ისტორიაში კ. არაერთხელ გადაზრდილა ომში. ამავე დროს ცნობილია მაგალითები, როცა მოლაპარაკების მეშვეობით მომხდარა კ-ის შესუსტება და ომის თავიდან აცილება.

**კონცესია საერთაშორისო** (ლათ. concessio – ნებართვა, დათმობა), სახელმწიფოს მიერ უცხოეთის ფირმისათვის უფლების მიცემა, აწარმოოს მის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაცია, სამრეწველო-ეკონომიკური ხასიათის საქმიანობა და სხვ. იგი ფორმდება სპეციალური დოკუმენტით, რომელსაც საკონცესიო ხელშეკრულება ეწოდება. ხელშეკრულების პირობები და ნორმები რეგულირდება იმ სახელმწიფოს საშინაო კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს შესაბამისი საქმიანობა. საკონცესიო ხელშეკრულება ხშირად გულისხმობს უცხოეთის ფირმებისათვის გამონაკლისი უფლების მინიჭებას ამა თუ იმ სფეროში. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა განვითარებულ ქვეყნებსა და განვითარებად სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში. ასე მაგ.: 1933 ინგლისსა და ირანს შორის დადებული იყო მსგავსი ხელშეკრულება ნავთობთან დაკავშირებით. კონცესიური ხელშეკრულებების იურიდიული ბუნება გარკვეულ დავას იწვევდა, მაგრამ სწორედ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე წამოჭრილი დავის განხილვისას 1952 გაეროს საერთაშორისო სასამართლომ გარკვევით მიუთითა, რომ საკონცესიო ხელშეკრულებები არ უტოლდება სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებს და ისინი კერძო სამართლებრივ კონტრაქტებს წარმოადგენს.

**კოპენჰაგენის ზავი 1660** (შვეციასა და დანიას შორის), ხელი მოაწერეს 27. V შვეციისათვის წარუმატებელი 1658-60 ომისა და მის მიერ დანიის მოკავშირეებთან ოლივის სამშვიდობო ხელშეკრულების 1660 ხელმოწერის შემდეგ. ზავის თანახმად, შვეციამ შეინარჩუნა სკანდინავიაში მოპოვებული მიწები, რომლებიც განმტკიცდა დანია-შვეციის სამშვიდობო ხელშეკრულებით 1658 (იხ. *როსკილის ზავი 1658*). პოლანდიის (დანიის მოკავშირის) დაჟინებული მოთხოვნით გაუქმდა აკრძალვა ბალტიის ზღვაში არაბალტიკურ სახელმწიფოთა ფლოტების მიმოსვლაზე.

**კოპენჰაგენის სამოკავშირეო ხელშეკრულება 1709,** ხელი მოაწერეს 11 (22). X რუსეთმა და დანიამ ჩრდილოეთის ომის (1700-21) დროს. განაახლა რუსეთ-დანიის კავშირი შვეციის წინააღმდეგ. ხელშეკრულება წარმოადგენდა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლის შედეგს, რაც გამოწვეული იყო პოლტავასთან მისი გამარჯვებით 27.VI(8.VII). 1709. თუ მანამდე რუსეთმა ვერ მოახერხა დანიის გადაბირება ჯარებით დახმარების დაპირებითაც კი, პოლტავის ბრძოლის შემდეგ ხელშეკრულების დადების ინიციატივა უკვე დანიას ეკუთვნოდა. ხელშეკრულების თანახმად, დანიამ იკისრა შეტევითი ომის წარმოება შვეციის წინააღმდეგ სუბსიდიების გარეშე, პოლონეთის მეფის ავგუსტ II-ის ტახტზე დაბრუნებაში მონაწილეობა, ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარისათვის, ვაჭრობისა და თავისუფალი ზღვაოსნობის განახლება, პრუსიის მიმხრობა

მოკავშირეთა მხარეზე, შეთანხმებული მოქმედება საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

**კოპენჰაგენის ტრაქტატი 1758**, ხელი მოაწერეს 4. V საფრანგეთმა და დანიამ, გააფორმა დანიის გადასვლა ანტიპრუსიული კოალიციის მხარეზე შვიდწლიან ომში (1756-63). მოგვიანებით კოპენჰაგენის ტრაქტატს გარანტიების სახით შეუერთდა ავსტრია და რუსეთი. ტრაქტატის თანახმად, დანიას, რომელიც ნეიტრალური რჩებოდა, ჰოლშტეინში თავი უნდა მოეყარა 24-ათასიანი არმიისათვის და გაეგზავნა იგი პრუსიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ამ უკანასკნელის მიერ ჰოლშტეინზე, ლიუბეკზე და ჰამბურგზე თავდასხმის შემთხვევაში. პრუსიასა და დიდ ბრიტანეთს აეკრძალა დანიის სამფლობელოებში ხალხის დაქირავება, ასევე სხვადასხვა საქონლისა და ცხენების შეძენა. პრუსიის დანიაზე თავდასხმის შემთხვევაში საფრანგეთმა იკისრა ამ უკანასკნელის დახმარება, კერძო პირებისგან 6 მლნ ლივრი სესხის შეგროვება და გარიგების გაფორმება რუსეთის ტახტის მემკვიდრესთან, ჰოლშტეინის ჰერცოგ პეტრესთან ოლდენბურგისა და დელმენჰორსტის საგრაფოების (ჩრდილოეთი გერმანია) ჰოლშტეინზე გაცვლის შესახებ. ეს საგრაფოები დანიას ეკუთვნოდა, მაგრამ გარშემორტყმული იყო პრუსიული სამფლობელოებით. რუსეთი, რომელიც ცდილობდა განემტკიცებინა დანიის შეერთება ანტიპრუსიულ კავშირთან, დათანხმდა, ხელი შეეწყო მოლაპარაკებებისათვის გაცვლითი გარიგების თაობაზე და ამავე დროს განაცხადა, რომ ამას არ უნდა შეელახა პეტრეს უფლებები და პრეტენზიები.

**კოპენჰაგენის შეთანხმებები 1919-20**, მოიცავს შეთანხმებებს რსფსრ-სა და დანიის მთავრობებს შორის მათ ქვეშევრდომთა ორმხრივი ევაკუაციის შესახებ (18.XII. 1919); რსფსრ-სა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს შორის ტყვეთა გაცვლის შესახებ (12.II. 1920); რსფსრ-სა და უკრაინის სსრ-ს, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, საფრანგეთის მთავრობებს შორის იმ სამხედრო პირთა გაცვლის შესახებ, რომლებიც მეორე ქვეყნის ტერიტრიაზე იმყოფებოდნენ (20.IV. 1920); რსფსრ-სა და უკრაინის სსრ-ს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ბელგიას შორის – რუსთა და ბელგიელთა გაცვლის შესახებ, რომლებიც შესაბამისად ბელგიისა და საბჭოთა რუსეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ (20.IV. 1920); რსფსრ-სა და იტალიას შორის ტყვეთა, ინტერნირებულ სამოქალაქო პირთა გაცვლის შესახებ (27.IV. 1920); რსფსრ-სა და უსსრ-ს შორის, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, უნგრეთს შორის – სამხედრო ტყვეთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ (21.V. 1920); ხელშეკრულება რსფსრ-სა და უსსრ-ს და მეორე მხრივ, ავსტრიას შორის – მათ ტერიტორიაზე მყოფ სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ. კოპენჰაგენის შეთანხმებებში რეგლამენტირებული იყო მხარეთა ვალდებულებები, დაკავშირებული სამხედრო პირების, სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირთა სამშობლოში დაბრუნებასთან. ზოგიერთი შეთანხმება შეიცავდა ასევე პოლიტიკური ხასიათის დებულებებს. მაგ: საფრანგეთის მთავრობამ გააკეთა ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ „არ ჩაერევა რუსეთის საშინაო პოლიტიკაში და ხელს არ შეუწყობს არავითარ აგრესიულ ღონისძიებებს რუსეთისა და უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ". ანალოგიური განცხადება გააკეთა ბელგიის მთავრობამ. უნგრეთის მთავრობამ განაცხადა, რომ „არ განახორციელებს არავითარ სამხედრო ოპერაციებს რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან ომის გამო და რუსეთში სამოქალაქო ომთან დაკავშირებით, ასევე არავითარ სამხედრო დახმარებას არ გაუწევს საბჭოთა რუსეთისა და საბჭოთა უკრაინის მოწინააღმდეგეებს", ავსტრიის მთავრობამ იკისრა ნეიტრალიტეტის შენარჩუნება.

**კორბულონი** გნეუს დომიციუს (Corbulo Gneus Domicius), იმპერატორების – *კლავდიუს I-ისა* და *ნერონის* ეპოქის რომაელი სარდალი და დიპლომატი. სახელი მოიხვეჭა ქვემო გერმანიაში, სადაც განლაგებული იყო რომის მრავალრიცხოვანი ლაშქარი. 54 დაეკისრა პართიასთან ომის წარმოება. არმიაში სარგებლობდა დიდი გავლენით. მისი ავტორიტეტი ნერონმა საკუთარი ხელისუფლების საზიანოდ მიიჩნია და 67 სიკვდილით დასაჯა. კ-ის დიპლომატიური და სამხედრო მონაცემები მთელი სისრულით პართიასთან ომის დროს გამოვლინდა. საოცარი მოქნილობით ახორციელებდა რომაული აღმოსავლური პოლიტიკის ძირითად ამოცანებს. კ-მა იცოდა, რომ არმენიის დაკარგვა *ფარსმანის* სიხარბით იყო გამოწვეული, მაგრამ კონფლიქტს მოერიდა და ადრინდელი ურთიერთობის გაგრძელება ამჯობინა. რომაელი სარდალი თითქოს დააკმაყოფილა ფარსმანის ჟესტმა, რომელმაც გაუთვალისწინებელი მოქმედების პასუხისმგებლობა *რადამისტს* დააკისრა და ერთგულების ნიშნად იგი მოაკვლევინა. პართიასთან ომის სამზადისში ფარსმანის მხარდაჭერის შენარჩუნება კ-ის შორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს, რადგან იბერიის მეფე რომაელთა კეთილგანწყობილების აღსადგენად და ერთგულების დასამტკიცებლად, ენერგიას არ დაიშურებდა. ანტიკურ ავტორებთან ეს ფაქტი ხაზგასმითაა აღნიშნული.

**კორდოვის ხელშეკრულება 1821** (ესპანეთსა და მექსიკას შორის), ხელი მოაწერეს 24. VII კორდოვაში (მექსიკა); დაასრულა მექსიკელი ხალხის ომი დამოუკიდებლობისათვის.

მექსიკის ფეოდალურ-კლასიკურმა ძალებმა ესპანეთის არმიის ყოფილ პოლკოვნიკს ა. იტურბიდეს მეთაურობით დახმარება გაუწიეს ესპანელებს მექსიკელთა აჯანყების ჩახშობაში და 1820 სათავეში ჩაუდგნენ დამოუკიდებლობისათვის ომს. 24. II 1821 იტურბიდემ წამოაყენა ე. წ. „იგუალას გეგმა," რომელიც საფუძვლად დაედო კორდოვის ხელშეკრულებას. ხელშეკრულება ითვალისწინებდა დამოუკიდებელი, კონსტიტუციური „მექსიკის იმპერიის" შექმნას ესპანეთის მეფის ფერდინანდ VII-ის, ანდა ბურბონთა დინასტიის ესპანური შტოს სხვა წარმომადგენლის, ხოლო მათი უარის შემთხვევაში, იმპერიის კორტესების მიერ დანიშნული პირის მეთაურობით; კორტესების მოწვევამდე და საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კონსტიტუციის მიღებამდე დაინიშნა დროებითი მთავრობა მექსიკელთა ზედაფენისა და ესპანეთის კოლონიური ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან; რესპუბლიკელების მიერ 1823 წლის მარტში დაწყებული აჯანყებების შედეგად იტურბიდე, რომელმაც 1821 თავი იმპერატორად გამოაცხადა, დაამხეს; ეროვნულმა კონგრესმა ძალადაკარგულად გამოაცხადა „იგუალას გეგმა" და კორდოვის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც მმართველობის ფორმას და გვირგვინის ბურბონებისათვის გადაცემას ეხებოდა; 1824 მექსიკაში რესპუბლიკა გამოცხადდა.

**კორეა-იაპონიის ხელშეკრულებები, ოქმები და კონვენციები:** 1. 1876 (**კანხვას**) **ხელშეკრულება**, ხელმოწერილ იქნა 26 თებერვალს სეულის მახლობლად ქ. კანხვაზე. წარმოადგენდა პირველ არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებას, რომელიც იაპონიამ თავს მოახვია კორეას, დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, მაგრამ იაპონიის მიერ კორეის დამოუკიდებლობის ცნობა ატარებდა წმინდა დეკლარციულ ხასიათს. ხელშეკრულების ძალით იაპონიის ქვეშევრდომებმა კორეაში მიიღეს ექსტერიტორიულობის უფლება და საკონსულო იურისდიქცია. კორეა იაპონიასთან სავაჭროდ ხსნიდა სამ პორტს. მოგვიანებით ხელი მოაწერეს დამატებით მუხლებს, რომლებიც იაპონელ ვაჭართა საქონელს ათავისუფლებდა საბაჟო გადასახადებისგან, და აგრეთვე ხელშეკრულებას ღია პორტებში იაპონური სეტლმენტების (განსაკუთრებული დასახლებების) თაობაზე და სხვ.

2. 1882 (**ინჩხონის**) **ხელშეკრულება**, ხელმოწერილ იქნა 30 აგვისტოს ინჩხონში (ჩემულპო), იაპონიასთან კონფლიქტის (რაც გამოიწვია სეულის აჯანყებული მოსახლეობის მიერ 1882 წლის ზაფხულში იაპონიის მისიის დარბევამ) მოგვარების მიზნით. მან მნიშვნელოვნად გააფართოვა იაპონიის სეტლმენტების ტერიტორია ღია პორტებში, იაპონელ დიპლომატებს და მოხელეებს უფლება მისცა, კორეის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისა და ნება დართო იაპონიას ჰყოლოდა ჯარის ნაწილი სეულში თავისი მისიის დასაცავად. ანალოგიური ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის დაიდო აგრეთვე 1885 წლის 9 იანვარს.

3. 1894 **ხელშეკრულება ჩინეთის წინააღმდეგ ომის შესახებ**, ხელმოწერილ იქნა 26 აგვისტოს სეულში, იაპონიის ჯარების მიერ კორეის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ. ხელშეკრულების თანახმად, ჩინეთის წინააღმდეგ ყველა საომარ ოპერაციას ახორციელებდა იაპონია, კორეას კი უნდა უზრუნველეყო პირობები კორეის არმიის გადაადგილებისა და მომარაგებისათვის.

4. 1904 **ოქმი**, ხელმოწერილ იქნა 23 თებერვალს, რუსეთ-იაპონიის 1898 ხელშეკრულების (*როზენ-ნისის 1898 ოქმი*) დარღვევით. რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებამდე 2 დღით ადრე იაპონიის ჯარებმა დაიკავეს სეული და აიძულეს კორეის მთავრობა, ხელი მოეწერათ ოქმისთვის, რომელიც იაპონიას აძლევდა უფლებას, დაეცვა კორეა და მისი საიმპერატორო სახლი მესამე სახელმწიფოს მიერ აგრესიის ანდა შიდა არეულობის შემთხვევებში. ამ მიზნით იაპონიის ჯარებს შეეძლოთ დაუბრკოლებლად დაეკავებინათ კორეის ნებისმიერი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონები. იაპონიას უნდა უზრუნველეყო კორეის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული ხელშეუხებლობა. მხარეებმა აიღეს ვალდებულება, ურთიერთკონსულტაციების გარეშე არ დაედოთ ხელშეკრულებები რომელიმე მესამე სახელმწიფოსთან.

5. 1905 **კონვენცია იაპონიის მიერ კორეის საგარეო ურთიერთობათა კონტროლის შესახებ**, ხელმოწერილ იქნა 17 ნოემბერს, სეულში. მან გააფორმა იაპონიის პროტექტორატი კორეაზე, რომელიც დამყარდა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 ომის შემდეგ.

6. 1907 **კონვენცია კორეის ადმინისტრაციული მართვის შესახებ**, ხელმოწერილ იქნა 24-25 ივლისს, სეულში. ითვალისწინებდა კორეის მთელი ადმინისტრაციული აპარატის დაქვემდებარებას იაპონიის გენერალური რეზიდენტისადმი. კონვენცია შეივსო 1909 წლის 12 ივლისისა და 1910 წლის 24 ივნისის ხელშეკრულებებით, რომლებითაც დაიშალა იაპონიის არმია, სამხედრო და იუსტიციის სამინისტროები გაუქმდა და ქვეყნის მთელი სასამართლო სისტემა, ციხეები და პოლიცია გადავიდა იაპონიის მართვის ქვეშ.

7. 1910 **ხელშეკრულება კორეის ანექსიის შესახებ**, ხელმოწერილ იქნა 22 აგვისტოს სეულში. ითვალისწინებდა კორეის საიმპერატორო სახლის მიერ იაპონიის იმპერატორისთვის კორეაზე სუვერენიტეტის ყველა უფლების გადაცემას. ხელშეკრულებაზე დართული დეკლარაცია აუქმებდა კორეის მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებულ ყველა ხელშეკრულებას და ავრცელებდა ქვეყანაზე იაპონიის მიერ სხვა ქვეყნებთან დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას. ხელშეკრულებამ კორეა ოფიციალურად გამოაცხადა იაპონიის ჩოსონის საგუბერნატოროდ. კორეის გენერალური რეზიდენტი გახდა ჩოსონის გენერალ-გუბერნატორი. ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა 35 წელი, ვიდრე 1945 წლის აგვისტოში კორეა არ გაათავისუფლეს საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც იაპონიასთან ომში ჩაებნენ.

**კორეა-საფრანგეთის ხელშეკრულება 1886** (მეგობრობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ), ხელი მოაწერეს 4 VI სეულში. ხელშეკრულების თანახმად, კორეასა და საფრანგეთს შორის დამყარდა დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობები, საფრანგეთის ვაჭრობისათვის გაიხსნა პორტები ინჩხონი (ჩემულპო), ვონსანი და პუსანი, ასევე ქალაქები სეული და იანხვაჯინი. საფრანგეთის მოქალაქეებს კორეაში მიენიჭა ექსტერიტორიულობის უფლება და სხვა პრივილეგიები, რომლებითაც, ანალოგიური ხელშეკრულებების თანახმად, კორეაში სარგებლობდნენ სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომები.

**კორეის ომი 1950-53**, იხ. *სამამულო ომი კორეელი ხალხისა 1950-53.*

**კორეის საკითხი**, საბჭოთა კავშირის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის 1945 გადაწყვეტილებები ითვალისწინებდა კორეის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას და დროებითი საერთოკორეული მთავრობის შექმნას. ამ მთავრობის შექმნისათვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა საბჭოთა-ამერიკული ერთობლივი კომისია ქ.ს-ზე. თუმცა აშშ-მა ქ.ს. შეიტანა გაეროს გენერალური ასამბლეის II სესიის დღის წესრიგში (1947), ასამბლეა ყოველწლიურად განიხილავდა ქ.ს-ზე გაეროს კომისიის (1948-50), ასევე კორეის გაერთიანებისა და აღდგენის საკითხზე გაეროს კომისიის (1950-73) მოხსენებებს. 1950 კორეაში ომის დაწყებასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია კორეაში „გაეროს გაერთიანებული სარდლობის" შექმნისა და ამ ჯარებისთვის გაეროს დროშით სარგებლობის უფლების შესახებ. გაეროს გენერალური ასამბლეის XXVIII სესია (1973) მიესალმა ქვეყნის გაერთიანების პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო კორეის ჩრდილოეთისა და სამხრეთის ერთობლივ განცხადებაში 1972, მიიღო რეზოლუცია კორეის გაერთიანებისა და აღდგენის საკითხზე გაეროს კომისიის დაშლის შესახებ; მხარი დაუჭირა სამხრეთ კორეიდან ამერიკული ჯარების გამოყვანას, რომლებიც იქ გაეროს დროშის ქვეშ იმყოფებოდნენ. კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას მიეცა გაეროში თავისი მუდმივი მეთვალყურის ყოლის უფლება. გაეროს გენერალური ასამბლეის XXX სესიამ

(1975) მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა „გაეროს ჯარების სარდლობის" გაუქმებას, სამხრეთ კორეიდან უცხო ქვეყნების ჯარების გაყვანას, რომლებიც იქ გაეროს დროშის ქვეშ იმყოფებოდნენ, კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების 1953 შეცვლას საზავო ხელშეკრულებით. თუმცა იმავდროულად დასავლეთის ქვეყნების წინადადებით მიიღეს რეზოლუცია, რომელიც არ ითვალისწინებდა სამხრეთ კორეიდან აშშ-ის ჯარების გაყვანას.

**კორინთოს კავშირი**, შეიქმნა ძვ. წ. 337 კორინთოში მოწვეულ კონგრესზე. მისი ინიციატორი იყო *ფილიპე II* მაკედონელი. კონგრესზე მოხდა მაკედონიის ჰეგემონობით კონტინენტური საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოთა გაერთიანება (სპარტის გამოკლებით). კავშირმა მიიღო ბერძნულ პოლისებს შორის ზავისა და სპარსეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით ლაშქრობის გეგმა. სამოკავშირეო არმიის მთავარსარდლად აირჩიეს ფილიპე II. კავშირი გარეგნულად თანასწორობის პრინციპზე შექმნილ გაერთიანებას წარმოადგენდა, სინამდვილეში მაკედონიის მეფის ნებას ასრულებდა. კავშირმა 337-36 ომი გამოუცხადა სპარსეთს. დაწყებული ომი გააგრძელა *ალექსანდრე მაკედონელმა*, რომლის შედეგადაც სპარსეთის იმპერია დაეცა. კავშირმა იარსება ლამიის ომამდე (ძვ. წ. 323-22). ძვ. წ. 303 აღადგინა დემეტრიოს პოლიორკეტმა, მაგრამ ახალ კავშირს მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია.

**კორპუსი მშვიდობის**, იხ. *მშვიდობის კორპუსი.*

**კორფუს დეკლარაცია 1917** (პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სერბთა, ხორვატთა და სლოვენთა გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის პრინციპების შესახებ), ხელი მოაწერეს 20. VII სერბთა მთავრობამ და იუგოსლავიურმა კომიტეტმა კუნძულ კორფუზე (ბერძნული კუნძულის კერკირას იტალიური სახელწოდება). მიზნად ისახავდა წინააღმდეგობის დაძლევას სერბიის მმართველი წრეების ცენტრალისტურ პოლიტიკასა და იუგოსლავიური კომიტეტის ფედერალისტურ პოლიტიკას შორის. ხელშეკრულებაში დაფიქსირდა „სერბთა, ხორვატთა, სლოვენთა სახელმწიფოს" ეროვნული ერთიანობის აღიარება. სახელმწიფო ჩაფიქრებული იყო როგორც კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქია ყარაგიორგიევიჩთა სერბიული დინასტიის მეთაურობით. სამეფოში შემავალი ხალხების, მათი რელიგიების, ენების, კულტურისა და ტრადიციების თანასწორობის, ასევე ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის გამოცხადება, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, წმინდა დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა. 11. VIII ხელშეკრულებას შეუერთდა ჩერნოგორიის ეროვნული კომიტეტი, რომელიც შეიქმნა პარიზში 1917 წლის მარტში.

**კორფუს ინციდენტები**: 1. 1923 ინციდენტი აღმოცენდა ფაშისტური იტალიის მიერ კუნძულ კორფუს (ბერძნული კუნძულის კერკირას იტალიური სახელწოდება), იონიის ზღვაში მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დაპყრობის მცდელობის შედეგად.

იტალიის მთავრობამ ისარგებლა 27. VIII საბერძნეთის ტერიტორიაზე იტალიელთა იანინის რაიონში საბერძნეთ-ალბანეთის საზღვრის დემარკაციის საერთაშორისო კომისიის წევრთა მკვლელობის ფაქტით და 29. VIII ულტიმატუმი გაუგზავნა საბერძნეთს. იმის გამო, რომ ინციდენტი მოხდა საბერძნეთის ტერიტორიაზე, საბერძნეთის მთავრობამ აღიარა თავისი პასუხისმგებლობა და დათანხმდა ბოდიშის მოხდაზე, ასევე დაღუპულთა ოჯახებისათვის კომპენსაციის გადახდაზე, თუმცა უკმაყოფილება გამოთქვა ულტიმატუმის ტონისა და ზოგიერთი პუნქტის გამო.

იტალიის მთავრობამ საბერძნეთის მთავრობის პასუხი თავის „სამართლიან მოთხოვნებზე" უარის თქმად შეაფასა და „რეპრესიული ღონისძიების" სახით 31. VIII მოახდინა კუნძულ კორფუს ოკუპაცია. საბერძნეთის მთავრობის საჩივარს ერთა ლიგაში მხარი დაუჭირა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, რომელიც ცდილობდა, არ დაეშვა იტალიის განმტკიცება ადრიატიკაზე. ერთა ლიგის საბჭომ საკითხი განსახილველად გადასცა ელჩების კონფერენციას, რომელმაც კონფლიქტის მოწესრიგების პირობები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: საბერძნეთს ბოდიში უნდა მოეხადა ელჩთა კონფერენციის წევრი სახელმწიფოების – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიისა და ბელგიისათვის და აენაზღაურებინა იტალიისათვის მიყენებული ზარალი. მხარეებმა მიიღეს ეს პირობები და 27. IX იტალიამ მოახდინა თავისი ჯარების ევაკუაცია კუნძულ კორფუდან.

2. 1946 ინციდენტი მოხდა მას შემდეგ, რაც 22. X ბრიტანეთის ხომალდები შევიდნენ ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში კორფუს (კერკირას) სრუტის რაიონში და 2 ნაღმოსანი აფეთქდა მეორე მსოფლიო ომის დროიდან დარჩენილ ნაღმზე. იმავე ღამეს ბრიტანეთის ყველა სამხედრო ხომალდმა დატოვა საბერძნეთის წყლები.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ალბანეთის თანხმობის გარეშე გადაწყვიტა კორფუს სრუტის გაწმენდა ნაღმებისაგან. 12-13. XI ბრიტანეთის სამხედრო ხომალდები შევიდნენ ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში სარანდას რაიონში.

დიდმა ბრიტანეთმა სცადა, ალბანეთისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ამ ინციდენტისათვის, რომელსაც ადამიანთა სიცოცხლე ემსხვერპლა, მაგრამ ეს ცდა წარუმატებლად დასრულდა. ამიტომ ბრიტანეთის მთავრობამ გაეროში უჩივლა ალბანეთს. გაეროს უშიშროების საბჭომ 9.VI. 1947 მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მხარეებს ურჩია, მიემართათ საერთაშორისო სასამართლოსთვის.

სასამართლომ აღნიშნა ალბანეთის სუვერენიტეტის დარღვევის ფაქტი, ამავე დროს მას დააკისრა პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ხომალდები ნაღმზე აფეთქდნენ ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში. ალბანეთს დაეკისრა მნიშვნელოვანი ფულადი კომპენსაციის გადახდა.

**კოსმოსური სამართალი** (საერთაშორისო), იმ იურიდიული პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა საქმიანობასა და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების კვლევისა და გამოყენების სფეროში. ამასთან, კ.ს. აწესებს აღნიშნული სივრცისა და ციური სხეულების სამართლებრივ რეჟიმს. კ.ს. ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და კონვენციას. მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ხელშეკრულება კოსმოსური სივრცის, მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ 1967 (ძალაში შევიდა 1967 წლის 10.X, მონაწილეობს 90-ზე მეტი სახელმწიფო); შეთანხმება კოსმონავტების გადარჩენისა და დაბრუნებისა, ასევე კოსმოსურ სივრცეში გაშვებული ობიექტების რეგისტრაციის შესახებ 1975 (ძალაში შევიდა 1976 წლის 15.IX. 40-მდე მონაწილე) და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა კ.ს-ის განვითარებისათვის ჰქონდა 1967 ხელშეკრულებას, რომელმაც ჩამოაყალიბა კოსმოსური საქმიანობის ძირითადი და ზოგადი საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპები. კ.ს. მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნებით გამოირჩევა. ასე მაგ.: მხოლოდ კოსმოსური სივრცე აძლევს ადამიანს შესაძლებლობას, გაეიდეს დედამიწის საზღვრებს გარეთ; კოსმოსურ სივრცეში არსებობს ციური სხეულები, რომელთა ტერიტორია დღეს არავის არ ეკუთვნის, მაგრამ პერსპექტივაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს; კოსმოსი ფაქტობრივად უსასრულოა; განსხვავებით სახმელეთო ტერიტორიისაგან, მსოფლიო ოკეანისა და საჰაერო სივრცისაგან, კოსმოსური სივრცე მისი გამოყენებისას არ ექვემდებარება არანაირ გაყოფასა და დანაწილებას რაიმე ზონებად; კოსმოსის სამხედრო მიზნებისათვის გამოყენება კაცობრიობისათვის კატასტროფულ საშიშროებას წარმოადგენს; კოსმოსური სივრცის ათვისებით დაინტერესებულია მსოფლიოს ყველა სახელმწიფო, ხოლო ამის რეალური განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ ერთეულებს გააჩნიათ (იხ. *გლობალური პრობლემები*). ზემოთ ჩამოთვლილი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულ იქნა სწორედ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დღეს კ.ს-ის საფუძველს წარმოადგენენ: კოსმოსური სივრცისა და ნებისმიერი ციური სხეულის გამოკვლევა და გამოყენება ნებადართულია აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოსთვის ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე; აკრძალულია კოსმოსური სივრცისა და ციური სხეულების ნებისმიერი ხერხით მითვისების მცდელობა; სახელმწიფოთა ნებისმიერი საქმიანობა კოსმოსურ სივრცესა და ციურ სხეულებთან მიმართებაში უნდა ხორციელდებოდეს საერთაშორისო სამართლისა და გაეროს წესდების დებულებათა შესაბამისად; კატეგორიულად არის აკრძალული დედამიწის ორბიტაზე და კოსმოსურ სივრცეში ბირთვული ან სხვა სახის მასობრივი განადგურების იარაღის განლაგება; მთვარე და სხვა ციური სხეულები გამოყენებული უნდა იქნენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით; სახელმწიფოები პასუხისმგებელნი არიან კოსმოსურ სივრცეში განხორციელებული საქმიანობის ნებისმიერ შედეგებზე. მიუხედავად იმისა, რომ კ.ს. დღეს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი სრულუფლებიანი დარგია, ღიად არის დატოვებული ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა კოსმოსური სივრცის საჰაერო სივრცესთან გამიჯვნის (ე.ი. საზღვრის) საკითხი. გაეროს კოსმოსის კომიტეტის წევრთა უმრავლესობა თვლის, რომ ასეთ საზღვრად უნდა დადგინდეს ზღვის დონიდან 110 კმ. დღესდღეობით კი მოქმედებს ჩვეულებათა ნორმა, რომლის თანახმადაც საჰაერო სივრცე მთავრდება თანამგზავრთა მინიმალური სიმაღლის ორბიტასთან და ამ ზღვარიდან იწყება კოსმოსური სივრცე. კ.ს. ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებთან, მაგ., საერთაშორისო ორგანიზაციათა სამართალთან, ვინაიდან დღეისათვის საერთაშორისო არენაზე მოქმედებენ რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ კავშირშია კოსმოსურ სივრცესთან. დღეისთვის გაეროს ფარგლებში მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა საერთაშორისო კოსმოსური ორგანიზაციის შექმნის მიზნით.

*ლიტ.:* Международное космическое право. отв. ред. А. С. Пирадов, М., 1985; Международное право, М., 1994; Space Activities. United Nations and International Organizations, N. Y., 1992.

**კოსმოსური სივრცის კვლევის კომიტეტი** (Committee on Space Research-Cospar), არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1958 სამეცნიერო კავშირთა საერთაშორისო საბჭოს ინიციატივით. კ.ს.კ.კ-ის ძირითადი მიზანია, საერთაშორისო მასშტაბით ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევათა ყველა იმ სახის განვითარებას, რომელიც ხორციელდება რაკეტის, კოსმოსური აპარატის ან აეროსტატების მეშვეობით (კომიტეტის წესდების I-ლი მუხლი). მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები. მისი საქმიანობა გამორიცხავს კოსმოსური სივრცის ათვისებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხთა გადაწყვეტის შესაძლებლობასაც კი. აერთიანებს 40 ეროვნულ სამეცნიერო დაწესებულებასა და 13 საერთაშორისო სამეცნიერო კავშირს. კ.ს.კ.კ-ის უმაღლესი ორგანოა ყველა წევრის საერთო კრება. კრებებს შორის პერიოდში ორგანიზაციას ხელმძღვანელობს აღმასრულებელი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პრეზიდენტი, 2 ვიცე-პრეზიდენტი და 6 წევრი, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით, ბიურო, აგრეთვე კომიტეტში წარმოდგენილი საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს წევრები. აღმასრულებელი ორგანო შეიმუშავებს ზოგად პოლიტიკას და გეგმებს, ხოლო ბიურო ხელმძღვანელობს მართვას და კომიტეტის საქმეთა წარმოებას. კ.ს.კ.კ-ში მოქმედებს სპეციფიკური (მხოლოდ ამ ორგანიზაციისთვის დამახასიათებელი) მექანიზმი თანამდებობის პირთა არჩევისა. ასე მაგ.: ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი აირჩევა აუცილებლად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელთაგან, ხოლო მეორე – აშშ-ისა, ბიუროს 2 წევრი აირჩევა ერთი-ერთი ვიცე-პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კანდიდატთაგან. პრეზიდენტი აირჩევა აღმასრულებელი კომიტეტის ან საერთო კრების მიერ წარმოდგენილ კანდიდატთაგან.

კომიტეტი 2 წელიწადში ერთხელ ატარებს სამეცნიერო სესიებს და გამოსცემს სესიის მასალებს. ორგანიზაციას აქვს საკონსულტაციო სტატუსი გაეროს კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების კომიტეტთან. შტაბბინა მდებარეობს პარიზში.

**კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხთა კომიტეტი**, გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო, რომელიც შეიქმნა 1959 წლის 12. XII გენერალური ასამბლეის რეზოლუციით (ოქმი № 1472) (XIX). კომიტეტი დაკავებულია კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი მიზნებით გამოყენებისა და გამოკვლევის სამეცნიერო-ტექნიკური და სამართლებრივი საკითხებით, ასევე ასრულებს ცენტრალური მაკოორდინებელი ორგანოს როლს კოსმოსის ათვისებაში საერთაშორისო თანამშრომლობისას. კომიტეტის შემადგენლობაში შედის 53 სახელმწიფო, რომლებიც მსოფლიოს ყველა რეგიონს წარმოადგენს. 1962 კომიტეტში შეიქმნა 2 ქვეკომიტეტი – იურიდიული და სამეცნიერო-ტექნიკური. აუცილებლობის შემთხვევაში კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფებს ამა თუ იმ პრობლემის შესწავლისათვის. კომიტეტისა და ქვეკომიტეტების გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. კომიტეტი ატარებს ყოველწლიურ სესიებს და თავისი მუშაობის შესახებ მოხსენებებს წარუდგენს გაეროს გენერალურ ასამბლეას.

**კრაგი** (Krag) ენს ოტო (1914-78), დანიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. პარლამენტის დეპუტატი 1947-74; დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე (1962-72); 1947-50 – ვაჭრობის, მრეწველობისა და ნაოსნობის მინისტრი; 1950-52 – აშშ-ში დანიის საელჩოს მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში; 1953-57 – შრომისა და ეკონომიკის მინისტრი; 1958-62 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1962-68 – დანიის პრემიერ-მინისტრი, იმავდროულად 1966-67 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1971-72 – დანიის პრემიერ-მინისტრი; 1974-75 – აშშ-ში ევროპის თანამეგობრობის კომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი.

**კრავაი ჯაყელი**, XII ს. II ნახევრის პოლიტიკური მოღვაწე, სახალხო დიპლომატიის წარმომადგენელი, დიდგვაროვან ფეოდალთა – სამძივართა დედა. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის გამოსვლის დროს *თამარი* მოერიდა სისხლისღვრას და საკითხის მოგვარება დიპლომატიური გზით არჩია: გაითვალისწინა, რომ ქალის შუამავლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აჯანყებულებს ორი საპატიო „დიდფალი" – კ.ჯ. და *ხუაშაქ ცოქალი* მიუგზავნა მოციქულად. მანდილოსნებმა დავალება ღირსეულად შეასრულეს, დიპლომატიური მისია წარმატებით დამთავრდა. გაფიცულებმა მეფეს მისცეს „პირი ერთგულებისა", თამარმა კი მათ უვნებლობის პირობა დაუდო.

წყარო: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959.

ლიტ.: ბ ა დ რ ი ძ ე შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის მეფობაში. – წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, თბ., 1979; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., მეფე თამარი, თბ., 1991; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1983 (თხზ., ტ. 2).

**კრაისკი** (Kreisky) ბრუნო (დ. 1911), ავსტრიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1946-დან. მუშაობდა შვეციაში ავსტრიის მისიაში (1946-51); 1951-53 – ავსტრიის პრეზიდენტის კანცელარიის ვიცე-დირექტორი; 1953-59 – საგარეო საქმეთა სტატს-მდივანი; 1955 მონაწილეობდა დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების დადებაში; 1959-66 – ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1967-83 – ავსტრიის ფედერალური კანცლერი; 1976 – სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარის მოადგილე.

**კრასინი** ლეონიდ ბორისის ძე (1870-1926), საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1918-დან. 1918 მონაწილეობდა ბერლინსა და ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან მოლაპარაკებებში; 1919 – საბჭოთა დელეგაციის მეთაური ესტონეთთან მოლაპარაკებებზე; 1920 გაიგზავნა ლონდონში მოლაპარაკებათა საწარმოებლად და 1921 ხელი მოაწერა სავაჭრო შეთანხმებას დიდ ბრიტანეთთან; 1921-23 – საბჭოთა წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში, იმავდროულად საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი; 1922 მონაწილეობდა გენუის და ჰააგის კონფერენციებში; 1924-25 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში; 1925-26 – სსრკ-ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში; ეკონომიკურ საკითხებზე სამეცნიერო შრომების ავტორი.

**კრასუსი** პუბლიუს კანიდიუს (Crassus Publius Canidius), რომის აღმოსავლეთი პროვინციების გამგებლის, მარკუს ანტონიუსის სტრატეგოსი. აღმოსავლურ ლაშქრობათა აქტიური მონაწილე. ძვ. წ. 36 რომის ლეგიონები კ-ის სარდლობით არმენიაში იდგნენ. ანტონიუსის დაგეგმილი ომი პართიასთან ზურგის გამაგრების მიზნით ითვალისწინებდა იბერიასა და ალბანეთში ლაშქრობას. კ. შემოიჭრა იბერიაში, დაამარცხა იბერიის მეფე ფარნავაზი, შეიერთა მისი ძალები და თავს დაესხა ალბანეთს. ალბანეთის მეფე იძულებული გახდა, იარაღი დაეყარა. კ-ის ლაშქრობათა შედეგად, კონტროლიდან თითქმის გასულმა ამიერკავკასიის ქვეყნებმა კვლავ აღიარეს რომის უზენაესობა.

**კრევოს უნია (აქტი)** 1385, შეთანხმება დინასტიური უნიის შესახებ პოლონეთსა და ლიტვას შორის, ტევტონთა ორდენის მიერ დაპყრობილი მიწების დაბრუნების მიზნით. ხელი მოაწერეს 14. VIII კრევოს ციხესიმაგრეში ვილნოს (თანამედრ. ვილნიუსი) მახლობლად. უნიის თანახმად, ლიტვის დიდი მთავარი იაგაილო, რომელიც პოლონეთის დედოფალ იადვიგაზე დაქორწინდა, გახდა პოლონეთის მეფე, ხოლო ლიტვის დიდი სამთავრო შეუერთდა პოლონეთს. იაგაილომ იკისრა, თავის ქვეშევრდომებთან ერთად მიეღო კათოლიკობა, გადაეხადა კომპენსაცია (200 ათასი დუკატი) იადვიგას ყოფილი საქმროს, ავსტრიის ერცჰერცოგ ვილჰელმისათვის და დაეწყო ბრძოლა პოლონეთისა და ლიტვისათვის ჩამოცილებული მიწების დასაბრუნებლად. 1386 წლის თებერვალში კრაკოვში მან მიიღო კათოლიკობა, ჯვარი დაიწერა იადვიგაზე და გახდა პოლონეთის მეფე ვლადისლავ II-ის სახელწოდებით. კ.უ-მ გამოიწვია ლიტველ ფეოდალთა უკმაყოფილება, რაც ბრძოლაში გადაიზარდა, რომელსაც მეფის ბიძაშვილი – ვიტოვტი მეთაურობდა. მათ შორის დაწყებული ბრძოლა დასრულდა 1392 ოსტროვეცის შეთანხმების ხელმოწერით, რომლის თანახმად, ვიტოვტი ლიტვის მმართველი გახდა.

**კრემლი**, მოსკოვის ისტორიული ცენტრი, ამავე დროს ეს ცნება ხშირად გამოიყენება როგორც რუსული პოლიტიკის სიმბოლო. ამჟამად კრემლი წარმოადგენს რუსეთის პრეზიდენტის რეზიდენციას, სადაც ტარდება მოლაპარაკებები და უმაღლესი დონის შეხვედრები რუსეთისა და უცხოეთის სახელმწიფოების ლიდერებს შორის. საბჭოთა პერიოდში კრემლი წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობისა და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რეზიდენციას.

**კრესტინსკი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1883-1938) რუსეთის რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1921-დან. 1921-22 – რსფსრ-ის წარმომადგენელი, ხოლო 1922-30 – (1923 წლიდან სსრკ-ის) სრულუფლებიანი წარმომადგენელი გერმანიაში. 1930-37 – სსრკ-ის საგარეო საქმეთა სახკომის მოადგილე. მონაწილეობდა ჰააგის კონფერენციის 1922 მუშაობაში.

**კრეს ფონ კრესენშტაინი** (Kreß von Kressenstein) ფრიდრიხ ფრაიჰერ (1870-1948), გერმანელი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე წარგზავნილი იყო სპეციალური სამხედრო მისიით ოსმალეთში. მე-8 თურქული არმიის სარდალი ობერსლეიტენანტი. კ.ფ.კ. ხელმძღვანელობდა თავდაცვით ბრძოლას ინგლისელების წინააღმდეგ ღაზასთან (პალესტინაში). 1918 წლის მაისში მას გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა. 1918 (იენისი) – 1919 (თებერვალი) სათავეში ედგა გერმანიის იმპერიის დიპლომატიურ და სამხედრო

მისიას კავკასიაში (რეზიდენციით თბილისში). მან დიდი როლი შეასრულა კავკასიაში გერმანული გავლენის გავრცელების საქმეში და ამით ხელი შეუწყო გერმანიის იმპერიის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაახლოებას. ომის დამთავრების შემდეგ ქ.შ.ქ. მსახურობდა რაიხსვერში, სადაც მალე მას კავალერიის გენერლის სამხედრო წოდება მიენიჭა. 1929 თადარიგში გავიდა.

**ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘ** სერგეი ბორისის ძე (1888-1958), საბჭოთა დიპლომატი და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, იყო II კლასის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1918-დან დაიწყო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, ხოლო 1942-დან დიპლომატიური საქმიანობა. 1944 მონაწილეობდა *დუმბარტონ-ოქსის*, ხოლო 1945 – *სან-ფრანცისკოს კონფერენციების* მუშაობაში. 1946-52 პირადი ღირსებების საფუძველზე არჩეულ იქნა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს, ხოლო 1953-58 – გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის წევრად. იგი არის მრავალი ნაშრომის ავტორი საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის პრობლემების შესახებ.

**ᲙᲠᲘᲞᲡᲘ** (Cripps) (რიჩარდ) სტაფორდ (1889-1952), ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1931-50 – თემთა პალატის წევრი. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მხარს უჭერდა კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას სსრკ-ის მონაწილეობით. 1940-42 – დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრკ-ში. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ინგლისის შეთანხმების 1941 ხელმოწერაში გერმანიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მოქმედების შესახებ. 1942 – ლორდ-კანცლერი და თემთა პალატის ლიდერი; 1942-45 – საავიაციო მრეწველობის, 1945-47 – ვაჭრობის, 1947 – ეკონომიკის, ხოლო 1947-50 – ფინანსთა მინისტრი.

**ᲙᲠᲘᲡᲞᲘ** (Crispi) ფრანჩესკო (1819-1901), იტალიის სახელმწიფო მოღვაწე. 1848-49 იტალიის რევოლუციის აქტიური მონაწილე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იტალიის გაერთიანებაში (1850-60); 1877-78 და 1887 – შინაგან საქმეთა მინისტრი, 1887-91 და 1893-97 – იტალიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. აქტიურად მონაწილეობდა *სამთა კავშირის 1882* მომზადებაში. ეთიოპიას თავს მოახვია უჩიალის ხელშეკრულება 1889. ადის-აბების ხელშეკრულების 1896 ხელმოწერის შემდეგ გადადგა.

**ᲙᲠᲘᲡᲢᲝᲤᲔᲠᲘ** (Christopher) უორენ (დ. 1925), აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი. 1943-46 მსახურობდა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში და მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში წყნარ ოკეანეზე. 1946-49 სწავლობდა სტენფორდის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ვაშინგტონში უზენაესი სასამართლოს თანამშრომლად. პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო 1959, როდესაც შტატ კალიფორნიის გუბერნატორის ედმუნდ ბრაუნის საგანგებო მრჩეველი გახდა. ლინდონ ჯონსონის პრეზიდენტობის დროს (1963-69) იუსტიციის მინისტრის მოადგილეა. ჯიმი კარტერის პრეზიდენტობისას (1977-81) სახელმწიფო მდივნის მოადგილეა, კოორდინატორი – ადამიანის უფლებების საკითხებში. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა *კემპ-დევიდის* შეთანხმების მომზადებაში, რომელიც ისრაელს და ეგვიპტეს შორის 1979 დაიდო. მეთაურობდა მოლაპარაკებას ირანის ხელმძღვანელობასთან ამერიკელი მძევლების განთავისუფლების თაობაზე. საპრეზიდენტო არჩევნებში ბილ *კლინტონის* გამარჯვების შემდეგ (1992 წლის 3 ნოემბერს) 1993 წლის 20 იანვრიდან 1996-მდე – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი.

**ᲙᲠᲝᲚᲘ** (Kroll) ჰანს ანტონ (1898-1967), გერმანელი დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1920. მუშაობდა გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში პორტუგალიაში (1921), ესპანეთში (1922-23), სსრკ-ში (1923-25), აშშ-ში (1925-29); 1929-36 – გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელი; 1936-43 – თურქეთში გერმანიის საელჩოს მრჩეველ-დესპანი; 1943-45 – ბარსელონაში (ესპანეთში) გერმანიის გენერალური კონსული; 1950-53 – გფრ-ის ეკონომიკის სამინისტროს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის განყოფილების გამგე; 1953-55 – გფრ-ის ელჩი იუგოსლავიაში, 1955-58 – იაპონიაში, 1958-62 – სსრკ-ში.

**ᲙᲠᲝᲛᲕᲔᲚᲘ** (Cromwell) ოლივერ (1599-1658), ინგლისის რევოლუციის (XVII ს.) ერთ-ერთი ლიდერი. 1628-29 და 1640-49 – პარლამენტის დეპუტატი. მეთაურობდა პარლამენტის ჯარებს მეფე ჯეიმს I-ის წინააღმდეგ სამოქალაქო ომში (1642-49); 1649-52 – პარლამენტის ჯარების მთავარსარდალი, იმავდროულად ირლანდიის ლორდ-პროტექტორი; ცდილობდა საფრანგეთთან დაახლოებას ესპანეთთან დაპირისპირების მიზნით; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთთან ურთიერთობას. 1654 გაგზავნა დესპანი მოსკოვში დიპლომატიურ ურთიერთობათა აღსადგენად და მოსკოვის კომპანიის უფლებებისა და პრივილეგიების განახლებისათვის; ცდილობდა ჩრდილოეთის ქვეყნებისა და რუსეთის კოალიციის შექმნას ჰაბსბურგებისა და პოლონეთის წინააღმდეგ.

**ᲙᲠᲝᲞᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲔᲑᲘ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ 1762-63**, 1768 გაიგზავნა რუსეთის მთავრობის მიერ ცინების იმპერიასთან სასაზღვრო დავის მოწესრიგებისა და რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობის განახლების მიზნით. ცინების ჩინეთის მიერ ჯუნგარიის დამორჩილების შემდეგ გახშირდა რუსეთის ტერიტორიაზე ჯუნგარიის მოსახლეობის გადასვლის შემთხვევები. რუსეთის მთავრობის უარმა, ჩინეთისათვის გადაეცა ეს ხალხი, მკვეთრად გააუარესა რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა. ამის შემდეგ XVIII ს-ის 60-იან წლებში შეწყდა რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ორივე ქვეყნის ცხოვრებაში. 1762 რუსეთის მთავრობამ გაგზავნა ლეიბ-გვარდიის პორუჩიკი ი.ი. კროპოტოვი ცინების იმპერატორთან სიგელით, რომლითაც აცნობა მას *ეკატერინე II-ის* ტახტზე ასვლა და რუსეთის მთავრობის სურვილი, „მუდმივად და განუხრელად დაიცვათ ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულებები". მისიას დაევალა ასევე, გაერკვია საელჩოთა გაცვლის შესაძლებლობა. 1763 წლის მაის-აგვისტოში მიმდინარე მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა. ცინების ხელისუფლება, რომელიც მტკიცედ იცავდა ჩინეთის იზოლაციის პოლიტიკას, არ გამოთქვამდა ვაჭრობის განახლების არავითარ სურვილს. თუმცა 1765, როცა ცინების აგრესიულ მისწრაფებათა ობიექტად იქცნენ ჩინეთის სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთის მეზობლები, ცინების მთავრობამ რუსეთის სენატს გაუგზავნა წერილი უთანხმოებათა მოგვარების წინადადებით. მოლაპარაკე-

ბათა წარმოება კვლავ დაევალა კროპოტოვს, რომელიც იმ დროისათვის უკვე პოლკოვნიკი გახდა. კროპოტოვისა და ჩინეთის წარმომადგენელთა შეხვედრა ჩატარდა 1768 წლის შემოდგომაზე კიახტაში. 18. X ხელი მოაწერეს *კიახტის ხელშეკრულების 1727* ე. წ. „დამატებით მუხლს" (ცნობილია, აგრეთვე, როგორც რუსეთ-ჩინეთის კონვენცია 1768), რომელმაც შეცვალა უწინდელი მე-10 მუხლი. მან დაადასტურა კიახტის ხელშეკრულება (1727) და დააფიქსირა შეთანხმება კიახტასა და ცურუხაიტუში საბაჟო გადასახადების გაუქმების შესახებ; აღნიშნულ მუხლში დაფიქსირდა ასევე, რომ „ორივე მხარეს შორის მანამდე არსებული ყველა დავა დავიწყებას მიეცა, ხოლო მეორე მხარის ტერიტორიაზე გაქცეულ პირთა დაბრუნებას ამის შემდეგ აღარ მოითხოვდნენ." მოლაპარაკებათა წარმატებით დასრულებამ და დამატებითი მუხლის ხელმოწერამ ხელი შეუწყო რუსეთსა და ცინების იმპერიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, მათ შორის ვაჭრობის განვითარებას.

**კუბა-ანგოლის ერთობლივი დეკლარაცია 1984**, ხელი მოაწერეს 19.III ჰავანაში. დეკლარაციაში მხარეებმა დაადასტურეს 1982 ანგოლა-კუბის ერთობლივი განცხადების მხარდაჭერა და ხაზი გაუსვეს, რომ განაახლებენ ანგოლიდან კუბის სამხედრო კონტინგენტის გამოყვანას, მას შემდეგ, რაც შესრულდებოდა შემდეგი პირობები:

1. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარების გაყვანა ანგოლის ტერიტორიიდან; 2. გაეროს უშიშროების საბჭოს 435 რეზოლუციის შესრულება, რომელიც რეალურ დამოუკიდებლობას ანიჭებდა ნამიბიას, და სამხრეთაფრიკული ჯარების სრული გაყვანა ნამიბიიდან; 3. ანგოლის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, აშშ-ის და მათ მოკავშირეთა მხრიდან პირდაპირი აგრესიის აქტების შეწყვეტა.

მხარეებმა აუცილებელ პირობად დაასახელეს აგრეთვე ორგანიზაცია „უნიტა"-სთვის ყოველგვარი მხარდაჭერის შეწყვეტა.

**კუვ დე მიურვილი** (Couve de Murville) მორის ჟაკ (დ 1907), საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1943-44 – საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის წევრი; 1944-45 – საფრანგეთის წარმომადგენელი იტალიის საკითხებზე საკონსულტაციო საბჭოში; 1945 – საფრანგეთის ელჩი იტალიაში; 1945-50 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის გენერალური დირექტორი; 1950-54 – საფრანგეთის ელჩი ეგვიპტეში; 1954 – საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში; 1955-56 – საფრანგეთის ელჩი აშშ-ში, 1956-58 – გფრ-ში; 1958-68 – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1968 – ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი; 1968-69 – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი; 1973 – დეპუტატი, 1973 და 1978-81 – საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

**კულონდრი** (Coulondre) რობერ (1885-1959), ფრანგი დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1909. 1919 – საფრანგეთის კონსული მოსკოვში. მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მოლაპარაკებებში 1926; 1927-33 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სავაჭრო კავშირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე; მონაწილეობდა „იუნგის გეგმის" შემუშავებაში, ლონდონის ეკონომიკური კონფერენციის 1931-33 მუშაობაში, ლოზანის კონფერენციაში 1932-33 რეპარაციების საკითხზე და სხვ; 1936-38 – საფრანგეთის ელჩი სსრკ-ში, 1938-39 – გერმანიაში. 1939-40 – საგარეო საქმეთა მინისტრის კაბინეტის უფროსი; 1940 - საფრანგეთის ელჩი შვეიცარიაში; საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ფრანგულ დელეგაციას მოკავშირეთა კომისიაში რეპარაციების საკითხზე. 1949 გადადგა

**კულტურული თანამშრომლობა სახელმწიფოებს შორის**, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ითვალისწინებს გაცვლებს საშემსრულებლო და სახვითი ხელოვნების, კინოს, ტელევიზიისა და რადიოს, ლიტერატურის, სპორტის, ტურიზმის სფეროში, თანამშრომლობას მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში; კონტაქტებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, დაძმობილებულ ქალაქებს შორის და სხვ. კულტურული თანამშრომლობის განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტში დაფიქსირებულ შეთანხმებებს, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიის (იუნესკო) კულტურულ და სამეცნიერო პროგრამებს.

**კულტურული ფასეულობები**, იხ. *ჰააგის კონფერენცია კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში 1954.*

**კულჯის ხელშეკრულება 1851** [რუსეთ-ჩინეთის ვაჭრობის გახსნის შესახებ კულჯაში (ილი, თანამედროვე ინინი) და ჩუგუჩაკში (ტარბაგატაი, თანამედროვე ტაჩენი)], ხელი მოაწერეს 25. VII (6. VIII) კულჯაში რუსეთის მხრიდან ე.პ. კოვალევსკიმ და ცინების იმპერიის მხრიდან – ი შანშა და ბუ იანტაიმ. ყაზახეთის ნებაყოფლობით მიერთებას რუსეთის სახელმწიფოსთან, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ XVIII ს-ის 30-იან წლებში, და ცინების მიერ ჯუნგარიის და აღმოსავლეთ თურქმენეთის დაპყრობას იმავე საუკუნის შუა ხანებში მოჰყვა ორი სახელმწიფოს სამფლობელოთა საზღვრების დაახლოება ცენტრალურ აზიაში. მანჯურიის ჯარების მცდელობა, გაერღვიათ ახლად ჩამოყალიბებული საზღვრები, წარუმატებლად დასრულდა და ისინი იძულებული გახდნენ, დაბრუნებულიყვნენ ჯუნგარიასა და აღმოსავლეთ თურქმენეთში. რუსეთის მთავრობამ არაერთხელ სცადა სავაჭრო კავშირების დამყარება ჯუნგარიასა და აღმოსავლეთ თურქმენეთთან, მათი მეშვეობით კი უშუალოდ ჩინეთთან, ხოლო ჩინელი ვაჭრები დაინტერესებული იყვნენ ჩინეთ-რუსეთის ვაჭრობის განვითარებით, ამიტომ ცინების იმპერატორმა დაოგუანმა 1850 წლის მაისში დაავალა თავის ნაცვალს სინძიანში – ი შანს, დაეწყო მოლაპარაკებები რუსეთის წარმომადგენელ კოვალევსკისთან. კოვალევსკი ჯერ პეკინში ჩავიდა, შემდეგ კი სინძიანში. მოლაპარაკებები დასრულდა კულჯის ხელშეკრულების ხელმოწერით. ხელშეკრულების მიხედვით, რუსმა ვაჭრებმა მიიღეს კულჯასა და ჩუგუჩაკში ვაჭრობის ნებართვა, სადაც ცინების ხელისუფლებამ საგანგებოდ გამოყო ტერიტორია რუსული სავაჭრო ფაქტორიებისათვის. რუსეთის ქვეშევრდომთა საქმეებზე მეთვალყურეობა დაევალა რუსეთის კონსულს, ხოლო ჩინეთის ქვეშევრდომობაზე – ცინების მთავრობის ჩინოვნიკს.

კ.ხ-მ სათავე დაუდო რეგულარულ ვაჭრობას რუსეთსა და ჩინეთს შორის მათ საზღვარზე ცენტრალურ აზიაში.

**კუნძულების რეჟიმი**, გაეროს 1982 საზღვაო სამართლის კონვენციის საფუძველზე კუნძული არის წყლით გარემოცული ხმელეთის ბუნებრივი წარმონაქმნი, რომელიც ზღვის მოქცევის დროს წყლის ზედაპირზე რჩება. კ.რ-ს კონვენციაში დათმობილი აქვს 121-ე მუხლი, რომლის თანახმადაც *ტერიტორიული ზღვის*, *განსაკუთრებული ეკონომიკური ზონისა* და *კონტინენტური შელფის* საზღვრები კუნძულებისათვის აითვლება იმავე წესების საფუძველზე, როგორც ნებისმიერი სხვა სახმელეთო ტერიტორიისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი სახის კუნძულები, რომლებიც გამოუსადეგარია ადამიანის ცხოვრების ან სამეურნეო საქმიანობის წარმოებისათვის. აღნიშნულ დებულებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო საზღვაო სამართალში, ვინაიდან იგი გამორიცხავს ზოგიერთი სახელმწიფოს მხრიდან მსოფლიო აკვატორიის უზარმაზარი ნაწილის მითვისების შესაძლებლობებს დაუსახლებელი რიფებისა და კლდეების გამოყენების მეშვეობით.

ხელოვნურ კუნძულებს არ გააჩნიათ თავიანთი ტერიტორიული ზღვა და მათი არსებობა არ ახდენს არავითარ ზეგავლენას საზღვაო სივრცეების დელიმიტაციაზე.

**კურაკინი** ბორის ივანეს ძე (1676-1727), თავადი, რუსი დიპლომატი, *პეტრე I-ის* ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრე. 1707 გაიგზავნა რომში, რათა თავიდან აეცილებინა პაპის ტახტის მიერ სტანისლავ ლეშჩინსკის აღიარება პოლონეთის მეფედ. 1710 დადო სამოკავშირეო კონვენცია ჰანოვერის კურფიურსტთან, ინგლისის მომავალ მეფესთან, ხოლო 1712-14 – რუსეთის ელჩია ჰოლანდიაში. თან ახლდა პეტრე I-ს პარიზის მოლაპარაკებებზე საფრანგეთთან კავშირის შესახებ, მონაწილეობდა საფრანგეთთან და პრუსიასთან ამსტერდამის ხელშეკრულების 1717 დადებაში, აწარმოებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს შვეციასთან, რასაც მოჰყვა ალანდის კონგრესის 1718-19 მოწვევა; 1722 პეტრე I-ის სპარსული ლაშქრობის დროს მეთაურობდა რუსეთის ყველა წარმომადგენელს უცხოეთში. 1724-27 – ელჩი საფრანგეთში; 1727 დაინიშნა სრულუფლებიან ელჩად სუასონის კონგრესზე (1728-29), მაგრამ მალე გარდაიცვალა.

**„კურანტი“** („მოგვიანებით „ვესტი“, „ვესტოვიე პისმა“) (ფრანგ. სიტყვიდან courant – მიმდინარე), პირველი რუსული ხელნაწერი გაზეთები 1600-1701, რომლებსაც ადგენდნენ საელჩო პრიკაზში შეზღუდული რაოდენობით, უცხოეთის ამბების შესახებ მეფისა და ბოიართა დუმის ინფორმირების მიზნით. გაზეთის ყველაზე ადრინდელი ეგზემპლარები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, თარიღდება 1621. „კ.“ შეიცავდა ძირითადად სამხედრო და პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციას „ევროპაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებისა და სამშვიდობო დადგენილებების შესახებ“, ჩანაწერებს საელჩო ურთიერთობების, მნიშვნელოვანი ამბების, ასევე ბუნების იშვიათი მოვლენების შესახებ. „კ“-ში გვხვდება სამშვიდობო ხელშეკრულებათა ასლები, მეფეთა გამოსვლები, საელჩო მიღებების აღწერა, დიპლომატიური ხასიათის ცნობები. მასში აღწერილი იყო ასევე რუსეთის სახელმწიფოში მომხდარი მოვლენები. გაზეთისათვის ცნობები მოდიოდა საზღვარგარეთ მყოფი რუსი და უცხოელი აგენტებისგან. 1631-დან საელჩო პრიკაზი რეგულარულად ღებულობდა უცხოურ გაზეთებს. „კ.“ იყო *პეტრე I-ის* ბეჭდვითი გაზეთის „ვედომოსტი“-ის წინამორბედი.

**კურიერი დიპლომატიური**, იხ. *დიპლომატიური კურიერი*.

**კურიერის ფურცელი**, სპეციალური დოკუმენტი, რომელიც ოფიციალურ ხასიათს ატარებს, განსაზღვრავს *დიპლომატიური კურიერის* სტატუსს და იძლევა უფლებას *დიპლომატიური ფოსტის* გადატანისა, ამასთან აღნიშნავს, რამდენი ადგილისაგან შედგება დიპლომატიური ფოსტა. კ.ფ. ეძლევა დიპლომატიურ კურიერს, სპეციალურ წარმომადგენელს, რომელსაც დავალებული აქვს დიპლომატიური ფოსტის გადატანა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კ.ფ-ში მითითებულია მხოლოდ ადგილთა რაოდენობა და არ არის განსაზღვრული ხომალდის მეთაურის დიპლომატიური სტატუსი. კ.ფ-ს გასცემს საგარეო საქმეთა უწყება ან დიპლომატიური (ან საკონსულო) წარმომადგენლობა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც ეკუთვნის ფოსტა, იგი ვიზირებულ უნდა იქნეს ადგილსამყოფელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებაში ან იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ (ან საკონსულო) წარმომადგენლობაში, რომელშიც იგზავნება ფოსტა. ზოგჯერ სახელმწიფოები, პროცედურის გასამარტივებლად, იღებენ შეთანხმებას ვიზირებაზე უარის თქმის შესახებ.

**კურუკოვოს შეთანხმება 1625**, 26. X (5. XI) პოლონეთის ჰეტმან სტანისლავ კონეცპოლსკისა და უკრაინის კაზაკთა ზედაფენას შორის ჰეტმან მ. დოროშენკოს მეთაურობით ტბა კურუკოვოს მახლობლად (კრემენჩუგთან ახლოს) მას შემდეგ, რაც წარუმატებლად დასრულდა უკრაინელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილე კაზაკთა განადგურების მცდელობა. შეთანხმების მიხედვით, კაზაკების რეესტრი (კაზაკთა განსაკუთრებული სია, რომელიც პოლონეთის მთავრობამ სამხედრო სამსახურში მიიღო) გაიზარდა 3-დან 6 ათას კაცამდე. რეესტრში შესულები სარგებლობდნენ კაზაკთა უფლებებით, მაგრამ შეეძლოთ მხოლოდ სამეფო მიწებზე ცხოვრება, კაზაკობა ირჩევდა თავის ჰეტმანს. მეფე ინარჩუნებდა კაზაკობის კანდიდატთა დამტკიცების უფლებას.

„რეჩ-პოსპოლიტას“ მთავრობას რეესტრის კაზაკთათვის უნდა გადაეხადა ყოველწლიური ხელფასი 60 ათასი ზლოტის ოდენობით. კაზაკებს აეკრძალათ პოლონეთის მთავრობის ნებართვის გარეშე ლაშქრობის მოწყობა „თურქულ სამფლობელოებში“ და ურთიერთობა უცხო სახელმწიფოებთან. ის კაზაკები, რომლებიც რეესტრში ვერ მოხვდნენ, დაუბრუნდნენ თავიანთ მფლობელებს.

კ.შ-ის პირობები ფაქტობრივად მიმართული იყო გაღარიბებულ კაზაკთა წინააღმდეგ. რეესტრის მიღმა დარჩენილმა კაზაკობამ დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა შეთანხმების წინააღმდეგ.

**კურუსუს მისია 1941**, გაიგზავნა იაპონიის მთავრობის მიერ აშშ-ში, რათა მისი ყურადღება მოეცილებინა იაპონიის მიერ წყნარ ოკეანეში ამერიკულ სამფლობელოებზე თავდასხმის მომზადებისაგან. იაპონელი დიპლომატი ს. კურუსუ ვაშინგტონში ჩავიდა 16.XI., როცა იაპონურმა ჯარებმა მოახდინეს ინდოჩინეთის ოკუპაცია, ხოლო აშშ-ის მთავრობამ იაპონიის მოქმედებას უპასუხა ეკონომიკური სანქციებით.

აშშ-ში იაპონიის ელჩთან, კ. ნომურასთან ერთად კურუსუმ განაგრძო მოლაპარაკებები სახელმწიფო დეპარტამენტთან იაპონია-ამერიკის ურთიერთობათა მოწესრიგების მიზნით, მოლაპარაკებები მალე ჩიხში მოექცა. იაპონიის წარმომადგენლებმა უარყვეს აშშ-ის მოთხოვნა – ჩინეთიდან და ინდოჩინეთიდან იაპონიის შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ. თავის მხრივ, ამერიკელებმა უარყვეს წინადადება იმის თაობაზე, რომ აშშ-ს აღედგინა სავაჭრო ურთიერთობა იაპონიასთან, მოემარაგებინა იგი ნავთობით, ელიარებინა იაპონიის მიერ ჰოლანდიის ინდოეთში (თანამედროვე ინდონეზია) ეკონომიკური მოღვაწეობის უფლება და დათანხმებულიყო ინდოჩინეთის ოკუპაციაზე. 20.XI. 1941 აშშ-ის მთავრობას გადაეცა იაპონიის მთავრობის უკანასკნელი წინადადებები. 26. XI სახელმწიფო დეპარტამენტმა კვლავ წამოაყენა კონტრწინადადებები ჩინეთიდან და ინდოჩინეთიდან იაპონიის მთელი სამხედრო კონტინგენტის გამოყვანის შესახებ. მოლაპარაკებები ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა იაპონიის შეიარაღებული ძალები 7.XII. 1941 თავს დაესხნენ პერლ-ჰარბორს.

**ᲙᲣᲨᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲐ 1844**, პირველი ოფიციალური ელჩობა, რომელიც აშშ-მა ჩინეთში გაგზავნა. ჩინეთი, რომელიც დამარცხდა პირველ „ოპიუმის ომში" 1839-42, იძულებული გახდა, ხელი მოეწერა ნანკინის არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებისათვის 1842, რომელიც უდიდეს პრივილეგიებს ანიჭებდა ინგლისელებს. ანალოგიურ პრივილეგიათა მისაღებად ამერიკის მთავრობამ ცინების ჩინეთში გაგზავნა მისია აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრის, დესპან კ. კუშინგის მეთაურობით, რომელსაც დაევალა, მიეღწია ჩინეთთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისათვის. მისია ჩინეთში ჩავიდა 2 სამხედრო ხომალდის თანხლებით. კუშინგი არ შეუშვეს პეკინში, ამიტომ ის ჩინეთის მთავრობის რწმუნებულთან მოლაპარაკებას აწარმოებდა სოფელ ვანსიაში აომინის (მაკაოს) მახლობლად. მისიის ჩინეთში ყოფნის დროს მოხდა შეტაკება ამერიკელ მეზღვაურთა ჯგუფსა და გუანჯოუს (კანტონის) მცხოვრებლებს შორის, შედეგად მოკლეს ჩინეთის ქვეშევრდომი. კუშინგმა არა მხოლოდ უარყო მკვლელის ჩინეთისათვის გადაცემის მოთხოვნა, არამედ დააყენა საკითხი, რომ ამერიკა-ჩინეთის ხელშეკრულებაში შეეტანათ მუხლები ჩინეთში მყოფ ამერიკელ მოქალაქეთა (ოპიუმით მოვაჭრეთა გარდა) ჩინეთის იურისდიქციიდან გამოყვანის თაობაზე. კუშინგის მოთხოვნები და მუქარა გაძლიერდა ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტის სამხედრო ხომალდების თავმოყრით.

ცინების მთავრობა, რომელსაც არ ჰქონდა შესაძლებლობა, წინ აღდგომოდა მუქარას და გარდა ამისა, იმედოვნებდა, რომ ბრიტანელ და ამერიკელ კოლონიზატორთა ინტერესები დაუპირისპირდებოდა ერთმანეთს, დათანხმდა აშშ-თან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულების დადებაზე. ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს 3.VII. 1844, აშშ-ს ანიჭებდა ყველაზე კეთილსასურველი ერის უფლებებს და ამით მასზე ავრცელებდა ყველა პრივილეგიას, რომლებიც უკვე მინიჭებული ჰქონდათ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს (იხ. *ამერიკა-ჩინეთის ხელშეკრულებები და შეთანხმებები 1844-1948*).

**ᲙᲣᲩᲛᲐ** ლეონიდ დანიელის ძე (დ. 1938), უკრაინის პრეზიდენტი. 1960-75 – დნეპროპეტროვსკის საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი, წამყვანი კონსტრუქტორი, „ბაიკანურის" ტექნიკური ხელმძღვანელი; 1972-80 – საკონსტრუქტორო ბიურო „იუჟნოე"-ს პარტიული ორგანიზაციის მდივანი; 1982-86 – ამავე ბიუროს გენერალური კონსტრუქტორის პირველი მოადგილე; 1986-92 – სარაკეტო კონცერნ „იუჟნი"-ს გენერალური დირექტორი; 1992-93 – უკრაინის პრემიერ-მინისტრი; 1994-დან – უკრაინის პრეზიდენტი. ძ. უკრაინის სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატია, დნეპროპეტროვსკის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.

**ᲙᲣᲭᲐᲕᲐ** მიტროფანე იონას ძე (დ. 1906), საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. მუშაობდა სხვადასხვა პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. 1951-66 იყო სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ამავე საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი. 1953 მონაწილეობდა ლ. ბერიას სასამართლო პროცესში სასამართლოს წევრის სტატუსით; 1954-62 მუშაობდა საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად; 1955-63 იყო ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის წევრი; 1955 როგორც სსრკ-ის საპარლამენტო დელეგაციის წევრი, ვიზიტით იმყოფებოდა ირანში, 1957 – ინდოეთში; 1960 საბჭოთა კავშირის დელეგატის რანგში ესწრებოდა გაეროს გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიას.

# ლ

**ლავალი (Laval)** პიერ (1883-1945), საფრანგეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1914-26 – პარლამენტის დეპუტატი; 1927-40 – სენატორი; 1925 – საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი; 1926 – იუსტიციის მინისტრი; 1930 და 1932 – შრომის მინისტრი; 1931-32 და 1935-36 – საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი; 1932, 1934-35 და 1935-36 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1934 – კოლონიების მინისტრი. აქტიურად მონაწილეობდა რომის პაქტის (1935) და ჰორ-ლავალის შეთანხმების (1935) დადებაში. 1940 წლის ივნის-ივლისში – სახელმწიფო მინისტრი, 1940 წლის ივლის-დეკემბერში – „ვიშის მთავრობის" პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ხოლო იმავე წლის ოქტომბერ-დეკემბერში – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1942-44 – „ვიშის მთავრობის" პრემიერ-მინისტრი. 15.X. 1945 საფრანგეთის უმაღლესი სასამართლოს განაჩენით სიკვდილით დასაჯეს როგორც მოღალატე.

**ლაზარ ფარპეცი** (დაახლ. 442–VI ს. დასაწყისი), სომეხი მემატიანე. დაახლოებული იყო მამიკონიანთა სანახარარო სახლთან. 428 სომხეთში მეფობა გააუქმეს სპარსელებმა. ასეთ ვითარებაში მამიკონიანები უაღრესად დიდ როლს ასრულებდნენ სომხეთის ცხოვრებაში. სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებული მამიკონიანების ერთმა ნაწილმა საქართველოს, ცურტავს შეაფარა თავი. მათ თან ახლდათ ლ.ფ. 486 სომხეთის მარზპანი გახდა ვაჰან მამიკონიანი. მან დაავალა ლ.ფ-ს დაეწერა „სომხეთის ისტორია". მასში თხრობა იწყება 387-დან და გრძელდება V ს. 80-იან წლებამდე. ლ.ფ-ის „სომხეთის ისტორია" მეტად მნიშვნელოვანი წყაროა არა მარტო სომხეთის, არამედ საქართველოსა და ალბანეთის ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესასწავლადაც.

ლ.ფ-ის ღრმა რწმენით, ამიერკავკასიის ხალხები საერთო ძალისხმევით უნდა დაპირისპირებოდნენ დამპყრობელს, სასანიდთა სპარსეთს. ამასთან დაკავშირებით ლ.ფ. არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებდა იბერიის სამეფო და მისი მეფე ვახტანგ გორგასალი. ამასთანავე, ლ.ფ-ის „სომხეთის ისტორიაში" ასახულია დაპირისპირებაც მამიკონიანებსა და ვახტანგ გორგასალს შორის. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველოსა და სომხეთის მეფეები საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთის მეტოქეები იყვნენ ამიერკავკასიაში პირველობის მოპოვებისათვის. მათი შეხედულებით, მთელი ამიერკავკასია რომელიმე ქვეყნის (საქართველოს ან სომხეთის) მეთაურობით უნდა გაერთიანებულიყო. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ამ მხრივ საქართველოს მეტი შანსები გააჩნდა. იგი მთელი კავკასიის ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენდა. სომხეთის სამეფოს არარსებობის ვითარებაში, ვახტანგ გორგასლის მეფობის ჟამს, დაისახა გეგმა იმის შესახებ, რომ იბერიის სამეფოს მეთაურობით მომხდარიყო მთელი კავკასიის პოლიტიკური გაერთიანება. როგორც ჩანს, ამ გეგმის განხორციელებას წინ აღუდგნენ მამიკონიანები.

**ლაზთა (ეგრისელთა) ელჩობა ირანში,** შედგა შაჰ ხოსრო ანუშირვან I-ის (531-579) კარზე 541-542. ირანში (ლაზი) ეგრისელი მოციქულები მიავლინა ეგრისის (ლაზიკის) მეფე *გუბაზ II-მ*, რომელიც უკმაყოფილო იყო ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების მიერ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში გატარებული დიდმპყრობელური პოლიტიკით. ელჩობის მიზანს ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ ირანელთა სამხედრო დახმარების მოპოვება წარმოადგენდა. ლაზმა ელჩებმა ხოსრო ანუშირვან I-თან მოლაპარაკებისას გამოავლინეს დიპლომატიური ნიჭი და უნარი, მაშინდელი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესანიშნავი ცოდნა. მათ უპირველესად შეახსენეს ხოსროს, რომ ირანი (სპარსეთი) და ეგრისი (ლაზიკა) წინათ ერთმანეთის მოკავშირეები იყვნენ და ამ ურთიერთობით ორივე მხარემ სარგებელი ნახა, რომ ამის დამადასტურებელი მრავალი საბუთი მოიძებნება ეგრისისა და ირანის სამეფო საგანძურებში. ელჩებმა კვლავ მოკავშირეობა და ერთგულება შესთავაზეს შაჰს და საუბრისას დიპლომატიური ტაქტით ჩაურთეს: „თუ ჩვენ რომაელებისაგან (ბიზანტიელებისაგან) არავითარი უბედურება არ განგვიცდია, არამედ ცეცხლით შეპყრობილნი გადმოვედით თქვენკენ, უმალვე უკუაგდეთ ჩვენი თხოვნა თქვენ, რომელნიც იფიქრებთ, რომ კოლხები არც თქვენი ერთგული იქნებიან ოდესმე". ლაზებმა ხოსროს ბიზანტიელების (რომაელების) მოძალადეებისაგან დაცვა და საერთაშორისო სამართლიანობის აღდგენა შესთხოვეს: „შეიზიზღეთ მწარე მოძალადეობა, თქვენ მეზობლად რომ აღმართულა ჩვენზე, და თქვენ იქმთ სამართლიანობის ღირსეულ საქმეს, რომელზე ზრუნვაც მუდამ მამაპაპეული წესი იყო სპარსელებში. უსამართლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაითვლება სამართლიან ადამიანად, თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს მის ხელთ არის". შემდეგ გუბაზის მოციქულებმა დაწვრილებით აღუწერეს ხოსრო ანუშირვანს, თუ რა დამღუპველი შედეგები მოუტანა ეგრისელებს (ლაზებს) იუსტინიანეს (ბიზანტიის კეისრის) მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ლაზიკაში. იუსტინიანეს მიერ დანიშნულმა სტრატეგოსმა ლაზების მთელი საგარეო ვაჭრობა ჩაიგდო ხელთ და მასზე მონოპოლია დაამყარა, რითაც ძალზე დაზარალდნენ ლაზები. „საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშო-

ბილ სახეს" – ჩიოდნენ ლაზები და უფრო ამუქებდნენ შექმნილ ვითარებას. „ჩვენს მეფეს ხომ მეფობის გარეგნული ნიშნები დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება საქმეებში თვითონ მიითვისეს. უამრავი ჯარიც ჩაგვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დაიცვან ეს ჩვენი ქვეყანა შემწუხებელთაგან (მოსაზღვრეებიდან)– არამედ იმიტომ, რომ... ჩვენს ქონებას დაპატრონებოდნენ". მართალია ლაზი ელჩები დახმარების სათხოვნელად ეახლნენ ხოსრო ანუშირევანს და ამდენად მათი მისია ერთგვარად დამამცირებელი და მძიმე უნდა ყოფილიყო მათთვის, მაგრამ რადგან მათ კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს როლი და მნიშვნელობა ორივე დაპირისპირებული მხარისათვის (ირანისა და ბიზანტიისათვის), ამაყად ეჭირათ თავი ხოსრო შაჰის წინაშე და ღირსეულად წარმართეს მოლაპარაკება. ლაზთა წარგზავნილებმა ერთგვარი პირდაპირობითა და მოხერხებულობით, სათხოვნელი და ირანისათვის სამაგიერო პერსპექტიული შესაძლებლობანი ერთად მოახსენეს ირანის შაჰს: თუ ჩვენს „თხოვნას შეიწყნარებთ, – მიმართავდნენ ელჩები შაჰს, – ახლავე მოგახსენებთ, სპარსელთა ძალას თქვენ შემატებთ უახლეს სამეფოს და მისი საშუალებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით: აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატას მიაღწიო... უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ ალბათ იცით, რომ ლაზთა ქვეყანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა". ლაზმა ელჩებმა ოდნავ პათეტიკურად, მაგრამ დიპლომატიური თვალსაზრისით მომგებიანად დაამთავრეს სათქმელი. „მაშ, როდესაც სამართლიანობა გიკარნახებს, ხოლო სარგებლობა თვალსაჩინოა, ეფიქრობთ, მოკლებული იქნება ყოველგვარ გონიერებას, თუ ეს სიტყვები არ იქნება მიღებული".

ხოსრო ანუშირევან I-მა ლაზთა ელჩობის თხოვნა დააკმაყოფილა, ირანელთა ჯარებს თვითონ ჩაუდგა სათავეში და ლაზი ელჩების მეგზურობით 542 ლაზიკაში შევიდა.

წყარო: პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი. - წგ: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნ. ტექსტი ქართ. თარგმანითურთ), ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1965.

**ლათინურამერიკული ასოციაცია ინტეგრაციისა** (Asociacion Latinoamericana de Integration – ALADI), რეგიონული ეკონომიკური ორგანიზაცია, შექმნილი *თავისუფალი ვაჭრობის ლათინურამერიკული ასოციაციის* ბაზაზე, დაარსდა 1980 მონტევიდეოს ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილ იქნა 12.VIII. არგენტინის, ბოლივიის, ბრაზილიის, ვენესუელის, კოლუმბიის, მექსიკის, პარაგვაის, პერუს, ურუგვაის, ჩილესა და ეკვადორის მიერ. ძალაში შევიდა 18.III. 1981.

ხელშეკრულებით ლ.ა.ი. წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობის ლათინურამერიკული ასოციაციის მემკვიდრეს, რომლის მიზანია ლათინური ამერიკის საერთო ბაზრის თანდათანობით შექმნა ურთიერთვაჭრობის რეგულირებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების გზით. 1980 ხელშეკრულება განსაზღვრავს იმ რეგიონული შეთანხმებების ხასიათს, რომელიც შეიძლება დაიდოს მონაწილე ქვეყნებს შორის, ითვალისწინებს ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის დეტალურ სისტემას, აგრეთვე ასოციაციის მონაწილე ქვეყნების თანამშრომლობის პრინციპებს სხვა ქვეყნებთან და ეკონომიკური ინტეგრაციის სხვა ზონებთან როგორც ლათინურ ამერიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ლ.ა.ი.-ის ხელმძღვანელი ორგანოა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო. შტაბ-ბინა იმყოფება მონტევიდეოში (ურუგვაი).

**ლათინურამერიკული ეკონომიკური სისტემა** (ლაეს), რეგიონული ეკონომიკური საკონსულტაციო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მექსიკის, ვენესუელისა და კუბის ინიციატივით, ე. წ. „პანამის შეთანხმების" 17.X. 1975 შესაბამისად სპეციალური ლათინურამერიკული საკოორდინაციო კომისიის ბაზაზე. აერთიანებს ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის 26 სახელმწიფოს. ლაეს-ი ხელმძღვანელობს სახელმწიფოთა თანასწორობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემათა განსხვავებულობის პატივისცემის პრინციპებით. ლაეს-ის მთავარი ამოცანებია – რეგიონული თანამშრომლობისათვის ხელშეწყობა, მისი წევრების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით, კონსულტაციის მუდმივმოქმედი მექანიზმის შექმნა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთა საერთო კურსის შემუშავებისათვის.

ლაეს-ის უმაღლესი ორგანოა ლათინურამერიკული საბჭო, აღმასრულებელი ორგანო – მუდმივი სამდივნო. ლაეს-ის ხელმძღვანელ ორგანოთა ადგილსამყოფელია კარაკასი (ვენესუელა).

**ლაიბახის კონგრესი 1821**, „საღვთო კავშირის" (1815-33) ერთ-ერთი კონგრესი, ჩატარდა ლაიბახში (თანამედროვე ლიუბლიანა) იანვარ-მარტში, წარმოადგენდა ტროპაუს კონგრესის (1820) გაგრძელებას. რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორებმა, პრუსიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, იტალიურ სახელმწიფოთა და რომის პაპის წარმომადგენლებმა განიხილეს ნეაპოლის სამეფოში, ესპანეთსა და საბერძნეთში რევოლუციურ გამოსვლათა ჩახშობის ღონისძიებები. ნეაპოლის მეფის ფერდინანდ I-ის თხოვნით კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს ავსტრიის ჯარები, რომლებმაც 1821 წლის მარტ-აპრილში აღადგინეს იქ აბსოლუტური რეჟიმები. 30.IV(12.V) რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელმაც დაამტკიცა „საღვთო კავშირის" პრინციპები.

**ლამზდორფი** ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (1844-1907), გრაფი, რუსი დიპლომატი. 1866-დან მსახურობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1882-96 – ამ სამინისტროს კანცელარიის დირექტორი. 1900-06 – საგარეო საქმეთა მინისტრი. გამოირჩეოდა პროგერმანული ორიენტაციით, მაგრამ 1890 გერმანიის მთავრობის მიერ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულების (1887) განახლებაზე უარის თქმის შემდეგ გახდა საფრანგეთ-რუსეთის კავშირის აქტიური მომხრე. მხარს უჭერდა „ზომიერ კურსს" შორეული აღმოსავლეთის პოლიტიკაში, რაც ეწინააღმდეგებოდა მეფის შეხედულებებს. რუსეთ-იაპონიის ომის (1904-05) წინ ჩამოაცილეს შორეული აღმოსავლეთის საქმეებს.

ლ. იყო ირანსა და თურქეთში რუსეთის გავლენის ზრდის და თურქეთში გერმანიის გავლენის შესუსტების მომხრე. 1905 წლის ოქტომბერში შევიდა ს. ი. ვიტეს კაბი-

ნეტში. 1906 წლის მაისში გადადგა და დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად.

**ლანგე** (Lange) ჰალვარდ მენტი (1902-70), ნორვეგიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1933-39 და 1945-47 – ნორვეგიის მუშათა პარტიის გამგეობის წევრი, 1946-65 – ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრი, 1965-დან – ნორვეგიის ორგანიზაციის – „ევროპული მოძრაობის" თავმჯდომარე.

**ლანსინგი** (Lansing) რობერტ (1864-1928), აშშ-ის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი, იურისტი. 1892-1914 მუშაობდა იურისკონსულტად სხვადასხვა საერთაშორისო საარბიტრაჟო კომისიებში. 1914-15 – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი. 1915-20 – აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, მხარს უჭერდა აშშ-ის ჩაბმას გერმანიის წინააღმდეგ ომში. აქტიურად მონაწილეობდა *ლანსინგ-ისიის შეთანხმებაში 1917*, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის (1919-20) მომზადებასა და მუშაობაში.

**ლანსინგ-ისიის შეთანხმება 1917**, ამერიკა-იაპონიის შეთანხმება აშშ-ის მიერ ჩინეთში იაპონიის „განსაკუთრებულ" ინტერესთა აღიარების შესახებ. დაიდო 2. XI ჩინეთის თანხმობის გარეშე, ნოტათა გაცვლის ფორმით აშშ-ის სახელმწიფო მდივან რ. ლანსინგსა და ვაშინგტონში იაპონიის სპეციალური მისიის მეთაურ კ. ისიას შორის.

ამერიკულ ნოტაში 2. XI აღიარებული იყო იაპონიის „განსაკუთრებული" ინტერესები ჩინეთში და გამოთქმული იყო იმედი, რომ იაპონია დაიცავდა „ღია კარის" პრინციპს, ამასთანავე პატივს სცემდა ჩინეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. საპასუხო ნოტაში მითითებული იყო, რომ იაპონია გამოდიოდა რომელიმე მთავრობის მიერ ჩინეთში განსაკუთრებული უფლებებისა და პრივილეგიების მიღების წინააღმდეგ, თუკი ეს პრივილეგიები აისახებოდა ჩინეთის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. ნოტაში საუბარი იყო 2 ქვეყნის თანაბარ უფლებებზე ჩინეთის ვაჭრობასა და მრეწველობაში. შეთანხმების გამოქვეყნება გათვალისწინებული იყო 7.XI. 1917, თუმცა 4. XI იაპონიამ აშშ-ის ნებართვის გარეშე შეთანხმების ტექსტი გადასცა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. ჩინეთის მთავრობამ განაცხადა, რომ არ ცნობს სხვა ქვეყნების მიერ ჩინეთის თაობაზე დადებულ არავითარ შეთანხმებას. ლ-ი. შ-მ მხოლოდ მცირე ხნით, დაახლოებით 1918 წლის შუახანებამდე გაანელა იაპონია-ამერიკის დაძაბული ურთიერთობები. 14.IV. 1923, ვაშინგტონის კონფერენციის (1921-22) შემდეგ, მხარეებმა შეთანხმება ძალადაკარგულად გამოაცხადეს.

**ლაოსის საკითხის რეგულირების შესახებ ჟენევის 1961-62 თათბირი**, ჩატარდა 16.V. 1961 – 23.VII. 1962 სსრ კავშირის ინიციატივით, ლაოსისა და სხვა ქვეყნების მხარდაჭერით, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ლაოსის საკითხის სასწრაფო რეგულირებით. მასში მონაწილეობდა 14 სახელმწიფო: აშშ-ის, ბირმის, დიდი ბრიტანეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდოეთის, კამბოჯის, კანადის, ლაოსის, სსრ კავშირის, საფრანგეთის, სამხრეთ ვიეტნამის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ტაილანდისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობების მონაწილეობით. თათბირმა მიიღო დეკლარაცია ლაოსის ნეიტრალიტეტის შესახებ, რის თაობაზეც ლაოსმა განცხადება გააკეთა 9.VII. 1962.

**ლაოს-საფრანგეთის ხელშეკრულებები და კონვენციები**, 1. 1946 ხელშეკრულება (*მოდუს ვივენდი*), ხელი მოაწერეს 27.VIII ვიენტიანში ლაოსის ტახტის მემკვიდრემ სავანგ ვატხანამ და საფრანგეთის რესპუბლიკის კომისარმა ლაოსში ჟ. დე რეიმონმა. მან განსაზღვრა ურთიერთობები ორ მხარეს შორის ახალი ხელშეკრულების დადებამდე. ლ-ს. ხ-მ აღიარა ლაოსის სამეფოს შეერთება ფრანგულ კავშირთან, ლაოსის მიერ გარკვეული დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური ავტონომიის შენარჩუნებით; მისი ძალით, საფრანგეთის რესპუბლიკის კომისარი გახდა ლაოსის სამეფოს მრჩეველი და ფაქტობრივად ხელში აიღო მთელი ძალაუფლება.

2. 1949 გენერალური კონვენცია (ფრანგული კავშირის ფარგლებში ლაოსის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ), ხელი მოაწერეს 19. VIII პარიზში ლაოსის მეფემ სისავანგ ვონგმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ორიოლმა. საფრანგეთმა იკისრა ლაოსისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევა და მისი თავდაცვის უზრუნველყოფა. ლაოსი ამ კონვენციით თავის ტერიტორიას უთმობდა საფრანგეთს შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის. სპეციალური მუხლი იცავდა საფრანგეთის საკუთრების უფლებას ლაოსში. კონვენციაში იყო პუნქტები ინდოჩინეთის ერთიან საბაჟო და სავალუტო კავშირში ლაოსის შესვლის შესახებ.

3. 1953 ხელშეკრულება (მეგობრობისა და ასოციაციის შესახებ), ხელი მოაწერეს 22. X პარიზში ლაოსის მეფემ სისავანგ ვონგმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ორიოლმა. მან დაამტკიცა ლაოსის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა იმ შენიშვნით, რომ ლაოსი „თავისუფლად" ადასტურებდა თავის კუთვნილებას ფრანგული კავშირისადმი და ვალდებულებას იღებდა უზრუნველეყო მისი თავდაცვა.

1953-54 ლაოსი იქცა ომის ასპარეზად ლაოსის განმათავისუფლებელ არმიასა და საფრანგეთის ჯარებს შორის. საფრანგეთი იძულებული გახდა წასულიყო მოლაპარაკებებზე. 1954 ჟენევის შეთანხმება ინდოჩინეთის შესახებ ითვალისწინებდა ომის შეწყვეტასა და ლაოსში მშვიდობის აღდგენას, აგრეთვე საშინაო-პოლიტიკურ რეგულირებას. მხოლოდ 1961-62 ჟენევის თათბირზე ლაოსის საკითხის დასარეგულირებლად მიღებულ იქნა დეკლარაცია ლაოსის ნეიტრალიტეტის შესახებ.

**ლა-პლატის ჯგუფი**, სუბრეგიონული ეკონომიკური დაჯგუფება სამხრეთ ამერიკაში, შეიქმნა ე. წ. „ბრაზილიის ხელშეკრულების" (23.IV. 1969) შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობის ლათინურამერიკული ასოციაციის ფარგლებში. აერთიანებს მდ. ლა-პლატის აუზის 5 ქვეყანას – არგენტინას, ბოლივიას, ბრაზილიას, პარაგვაის და ურუგვაის.

ლ-პ.ჯ-ის წევრები მიზნად ისახავენ ნაოსნობის, რკინიგზის, საჰაერო მიმოსვლისა და კავშირგაბმულობის განვითარებისათვის ხელშეწყობას, მდ. ლა-პლატის აუზის ბუნებრივი რესურსების დაცვას და განვითარებას, წყლის რესურსების ერთობლივ გამოყენებას, სასაზღვრო ოლქების განვითარებას და ა. შ. ლ-პ.ჯ-ის ხელმძღვანელი ორგანოებია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო და სამთავრობათაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი. ჯგუფის შტაბ-ბინა ბუენოს-აირესშია.

**ლატერანის შეთანხმებები 1929** (ვატიკანსა და იტალიას შორის), ხელი მოაწერეს 11. II რომში, ლატერანის სასახლეში, კარდინალმა პ. გასპარიმ და ბ. მუსოლინიმ. წარმოადგენდა შეთანხმებას პაპის ხელისუფლებასა და იტალიას შორის, კონკორდატს პაპის ტახტსა და იტალიას შორის, ასევე ფინანსურ კონვენციას. შეთანხმება ითვალისწინებდა პაპის სუვერენული სახელმწიფოს – ქალაქ ვატიკანის, როგორც „ნეიტრალური და ხელშეუხებელი" ტერიტორიის შექმნას; განსაზღვრავდა მის ურთიერთობას იტალიის სახელმწიფოსთან; რომის კათოლიკურ რელიგიას აცხადებდა ერთადერთ სახელმწიფო რელიგიად იტალიაში; აღიარებდა ვატიკანის სუვერენიტეტს საერთაშორისო საქმეებში; იტალიასა და ვატიკანს შორის ამყარებდა ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობებს. კონკორდატმა განსაზღვრა კათოლიკური ეკლესიის უფლებები და პრივილეგიები იტალიაში; ეპისკოპოსებმა მიიღეს თავის ოფიციალურ გამოცემათა გამოქვეყნების შეუზღუდავი უფლება; ის შენობები, სადაც საეკლესიო დაწესებულებები იყო განლაგებული, განთავისუფლდა გადასახადებისაგან. ოჯახისა და ქორწინების საკითხები გადავიდა ეკლესიის გამგებლობაში. ყველა დაწყებით და საშუალო სკოლაში შემოიღეს კათოლიკური რელიგიის სწავლება. ფინანსური კონვენცია ითვალისწინებდა ვატიკანისათვის იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც დაკავშირებული იყო XIX საუკუნეში „პაპის ოლქის" ლიკვიდაციასთან. 18.II. 1984 ხელმოწერილი კონკორდატის ახალმა ტექსტმა და დამატებითმა ოქმმა დაადასტურა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პრინციპი, რომელსაც ითვალისწინებდა იტალიის კონსტიტუცია (1947), დააფიქსირა კათოლიციზმის რელიგიის სწავლების აუცილებლობის უარყოფა. შეიცვალა ზოგიერთი დებულება, რომელიც დაკავშირებული იყო საეკლესიო ქონებასა და ეკლესიის მსახურთა სტატუსთან. 15.II. 1984 იტალიამ და ვატიკანმა ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც აწესრიგებდა ფინანსურ საკითხებს.

**ლაქსმანის მისია 1792-93**, პირველი რუსული ელჩობა იაპონიაში, რომელიც გაგზავნა *ეკატერინე II-მ* 1792 რუსეთსა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისა და იმ იაპონელთა სამშობლოში დაბრუნების საკითხის მოსაგვარებლად, რომლებიც გემის დაღუპვის შემდეგ 10 წლის განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდნენ. მოლაპარაკებების შედეგად მისიის მეთაურმა რუსმა ოფიცერმა ა.კ. ლაქსმანმა სიოგუნისაგან (ფეოდალური იაპონიის მმართველის ტიტული) მიიღო წელიწადში ერთხელ ნაგასაკიში თითო სავაჭრო ხომალდის გაგზავნის უფლება. შემდგომში ეს ნებართვა გახდა იაპონიაში ნ. პ. რეზანოვის (1803-06) და ე. ვ. პუტიატინის (1852-55) ელჩობების გაგზავნის იურიდიული საფუძველი. ლ.მ-მ ხელი შეუწყო რუსეთსა და იაპონიას შორის კავშირების დამყარებას.

**ლაშა გიორგის დროინდელი მატიანე**, „ქართლის ცხოვრებაში" შესული უცნობი ქართველი მემატიანის ისტორიული ნაშრომი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია პირობითი სახელწოდებით – „ლაშა გიორგისდროინდელი მატიანე". იგი იწყება დავით IV აღმაშენებლის გარდაცვალებით და დემეტრე I-ის გამეფებით (1125) და ძთავრდება ლაშა-გიორგის გარდაცვალებითა და რუსუდანის გამეფებით (1223). მატიანე შედგება რამდენიმე ნაწილისაგან: „ცხოვრება დემეტრე მეფისა", „ცხოვრება გიორგი მეფისა", „ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი" და „ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა". მან შემოგვინახა საინტერესო ისტორიული ცნობები საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პერიოდის შესახებ, მათ შორის საერთაშორისო თუ დიპლომატიურ ურთიერთობათა თვალსაზრისით.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

**ლეგატი**, 1. ძველ რომში სენატის მიერ საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხების მოსაგვარებლად დანიშნული ელჩი, რწმუნებული. სტატუსით ენიშნებოდა თანაშემწეები; გვიანი რესპუბლიკის ხანაში – მთავარსარდლებისა და პროვინციის გამგებლების თანაშემწენი; ცეზარის დროს – ლეგიონის მეთაური. 2. სენატის მიერ მთავარსარდლის მოადგილედ ან პროვინციის გამგებლის კანცელარიის უფროსად დანიშნული პირი (მის ფუნქციაში შედიოდა სასამართლო საქმეების წარმოება). 3. იმპერიის ხანაში – იმპერატორთა პროვინციის გამგებელი და საგანგებო რწმუნებული. 4. ახალ პერიოდში – რომის პაპის უმაღლესი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი. ხშირად ტერმინი იხმარება ნებისმიერი ელჩის ან დიპლომატიური აგენტის აღმნიშვნელად.

**ლევან ბატონიშვილი** (1756-81), *ერეკლე II-ის* შვილი, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე. XVIII ს-ის 70-იან წლებში ქართლ-კახეთში შექმნილი „მორიგე ჯარის" შექმნის ორგანიზატორი და მოთავეა. ამ ჯარის მეშვეობით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა და საფუძველი ჩაეყარა რეგულარულ ლაშქარს; აილაგმა დაღესტნელ ფეოდალთა თარეში; დაითრგუნა ფეოდალური ოპოზიცია. 1772 ლ.ბ. ანტონ კათალიკოსთან ერთად გაიგზავნა რუსეთში პოლიტიკური დიალოგისათვის, რომლის მიზანი იყო ქართლ-კახეთის რუსეთის მფარველობაში აყვანა. ელჩობამ საფუძველი ჩაუყარა ზოგადად 1783 ტრაქტატს, თუმცა იმჯერად უშედეგოდ დამთავრდა, რადგან რუსეთს არ აწყობდა ირანთან პოლიტიკური ურთიერთობის გამწვავება.

**ლევან I დადიანი** (გ. 1572), სამეგრელოს მთავარი 1533-72, მამია III დადიანის ძე. იბრძოდა სამეგრელოს სამთავროს იმერეთის სამეფოსაგან საბოლოოდ გათავისუფლებისათვის. ლ.I დ. სამეგრელოს უკანასკნელი ერისთავთ-ერისთავი და პირველი მთავარი იყო. თავდაპირველად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის პოლიტიკას უჭერდა მხარს. 1533 ლ.I დ. როსტომ გურიელთან ერთად ჯარით დაეხმარა ბაგრატ III-ს ყვარყვარე III ათაბაგის წინააღმდეგ მურჯახეთის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში როსტომ გურიელის რაზმმა შეიპყრო ყვარყვარე III. მადლიერმა ბაგრატ III-მ გურიელს აჭარა და ჭანეთი გადასცა. ამით განაწყენებული ლ.I დ. ბაგრატ III-ს აღარ დაეხმარა ოსმალების წინააღმდეგ 1543 ქარაღაქისა და 1545 სოხოისტას ბრძოლებში. ეს იყო იმ ერთადერთ მოვალეობაზე („ლაშქრობასა" და „ქვეგანაწესებზე") უარის თქმა, რომელიც დადიანს სხვა ერისთავებივით იმერეთის მეფის ვასალად სტოვებდა. ამიერიდან იგი მეფის ყოველგვარი ვალდებულებისაგან გათავისუფლდა და სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა. ბაგრატ III-მ ურჩი ვასალის დასჯა გადაწყვიტა, რისთვისაც 1548 ლ.I დ. ხონის ჭალაში

სადარბაზოდ მიიწვია და დააპატიმრა, ამის შემდეგ ბაგრატ III-მ როსტომ გურიელის შეპყრობა და მთელი დასავლეთ საქართველოს თავისი მბრძანებლობის ქვეშ გაერთიანება დაისახა მიზნად, მაგრამ გურიის მთავარი მიუხვდა ჩანაფიქრს და არ ეახლა. იგი ბაგრატ III-ის წინააღმდეგ საბრძოლველად ქაიხოსრო II ათაბაგს შეუთანხმდა. მათ 1550 გელათის სამრეკლოში დამწყვდეული ლ. I დ. გამოაპარეს და კვლავ სამეგრელოში გაამთავრეს. ამასიის 1555 ზავის მიხედვით, სამეგრელოს სამთავრო ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცა. 50-იანი წლების მიწურულში ლ. I დ.-სა და როსტომ გურიელს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რისი მიზეზიც დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის ბრძოლა იყო. ლ. I დ.-მა დახმარებისათვის სულთან სულეიმან I კანუნის მიმართა და 1557 სტამბულს ეახლა. სულეიმან I კანუნი ჯარით დაეხმარა მას. ამით გათამამებულმა ლ. I დ.-მა მძიმე პირობები წაუყენა გურიელს, რომელიც ატხრების შიშით იძულებული შეიქნა, მიეღო და შეესრულებინა ისინი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

**ლევან II დადიანი**, სამეგრელოს მთავარი 1611-57, მანუჩარ I დადიანის ძე. ლევანის მცირეწლოვანების დროს სამთავროს 1611-14 მისი ბიძა – რეგენტი გიორგი I ლიპარტიანი განაგებდა. 1615-დან ლ. II დ. დამოუკიდებელ მართვა-გამგეობას შეუდგა. ამ პერიოდში სამეგრელოსა და გურიის სამთავროებს ურთიერთობა გაურთულდათ ოსმალეთის იმპერიასთან – ხარკის მიცემა შეუწყვიტეს. ოსმალეთმა ურჩი ვასალების ქედის მოხადრეკად ეკონომიკური სანქციები გამოიყენა – შეწყვიტა მარილისა და რკინის შეზიდვა ამ სამთავროებში. სამეგრელოსა და გურიის მესვეურები იძულებულნი შეიქნენ არსებული ვითარება გაეთვალისწინებინათ. 1615 წლის თებერვალში საფრანგეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის ლუი გრანჟეს შუამდგომლობით ლ. II დ.-მა მერკულაში საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ლ. II დ.-ის მმართველობის პირველ წლებში დასავლეთ საქართველოში სიმშვიდე და ერთსულოვნება სუფევდა. ის მამია II გურიელსა და იმერეთის მეფე გიორგი III-თან შეთანხმებით მოქმედებდა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ. თავის ბიძაშვილს, კახეთის მეფე თეიმურაზ I-ს აქტიურად ეხმარებოდა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1618 თეიმურაზ I-ის ინიციატივით დასავლეთ საქართველოში შეკრებილმა საქართველოს მესვეურების ერთიანმა ბლოკმა დახმარებისათვის რუსეთს მიმართა და ელჩები გააგზავნა. ლ. II დ. ამ ბლოკის აქტიური და გავლენიანი წევრი იყო. სამეგრელოს სამთავროს ასეთი პოლიტიკური გეზი 1622-მდე გაგრძელდა. ამ დროს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის განხეთქილება მოხდა და ლ. II დ. მკვეთრად დაუპირისპირდა თავის მეზობლებს, განსაკუთრებით იმერეთის მეფეს. ამ პერიოდიდან იწყებს განვითარებას მისი იდეა დასავლეთ საქართველოში სრული გაბატონებისა. იმერეთის მეფის წინააღმდეგ ლ. II დ.-მა კავშირი შეკრა გურიისა და აფხაზეთის სამთავროებთან. 1622 გოჩოურასთან (ქუთაისის ახლოს) მოხდა ბრძოლა ლ. II დ.-სა და გიორგი III-ს შორის, რომელშიც სამეგრელოს მთავარმა გაიმარჯვა. მალე მას ურთიერთობა გაუმწვავდა აფხაზეთის, შემდეგ კი გურიის სამთავროებთანაც. თავის მმართველობის პერიოდში იგი ხშირად ესხმოდა თავს აფხაზეთს. 1625 ლ. II დ.-მა ტახტიდან ჩამოაგდო გურიის მთავარი სიმონი და მის ნაცვლად კათალიკოსი მალაქია გურიელი გაამთავრა. ამის შემდეგ, სიკვდილამდე, გურია, ფაქტობრივად, ლ. II დ.-ს ემორჩილებოდა. გურიის სამთავრო სამეგრელოს პოლიტიკურ დანამატად იქცა. XVII ს-ის 20-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ძირითად ფაქტორად სამეგრელო-იმერეთის ბრძოლა გადაიქცა. გიორგი III-მ პოლიტიკური ალიანსი შეკრა გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან (გიორგი III-ის ვაჟმა ალექსანდრემ ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის ასული ნესტან-დარეჯანი). ამ ალიანსის წინააღმდეგ ლ. II დ.-მა გიორგი სააკაძესთან დაკავშირება სცადა. მისი სიკვდილის შემდეგ (1629), ერთხანს, ის პოლიტიკურ იზოლაციაში მოექცა. ამიტომ ამ პერიოდში შეურიგდა გიორგი III-ს და თეიმურაზ I-თანაც ახლო ურთიერთობა აღადგინა. 1632 მონაწილეობა მიიღო თეიმურაზის მიერ ირანის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ექსპედიციაში (ყარაბახის ლაშქრობაში). ირანის შაჰმა – სეფი I-მა იმავე წელს დიდი ლაშქრობა მოაწყო თეიმურაზის წინააღმდეგ როსტომ ბატონიშვილის (ხოსრო-მირზას) მეთაურობით. თეიმურაზ I-ს ჩამოერთვა სამფლობელო და იძულებული შეიქნა, იმერეთში შეეფარებინა თავი. ქართლის მეფე („ვალი") როსტომი გახდა. ლ. II დ.-მა გიორგი III-სა და თეიმურაზ I-თან მშვიდობიანი ურთიერთობის გაგრძელება ზედმეტად ჩათვალა და პოლიტიკური ალიანსი შეკრა როსტომთან (მან ლევანის და – მარიამი შეირთო ცოლად), რომელიც იმერეთ-კახეთის პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული. ლ. II დ. ამ პოლიტიკური აქტით დასავლეთ საქართველოში საბოლოოდ გაბატონებას აპირებდა, ხოლო როსტომი საშიში მოწინააღმდეგის – თეიმურაზ I-ის განეიტრალებას. ლ. II დ.-ის თავდასხმები იმერეთზე, როსტომთან შეთანხმებით, შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდა. 20-იან წლებში ლ. II დ.-მა დაიწყო დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება ოსმალეთის იმპერიის მიმართ და რიგ შემთხვევებში ანტიოსმალურ აქციებში მიიღო მონაწილეობა. მან კარგად გამოიყენა ოსმალეთში შექმნილი მძიმე საშინაო და საგარეო ვითარება და სამეგრელოს დამოკიდებულება იმპერიაზე სიმბოლურ მნიშვნელობამდე დაიყვანა. ოსმალეთს ძალა აღარ ჰქონდა, დაესაჯა ურჩი ვასალი. ასეთ პირობებში ლ. II დ. უფრო შორს წავიდა და ოსმალეთის მთავარ მეტოქეს – ირანს დაუკავშირდა. როსტომისა და ლევანის პოლიტიკური დაახლოება, ირანისა და სამეგრელოს დაახლოებასაც მოასწავებდა. შაჰ-სეფი I-მა ყოველწლიური ჯამაგირიც კი დაუნიშნა მას. სამეგრელოს მთავარმა ირანის სახით მოკავშირედ შეიძინა ოსმალეთის დაუძინებელი მტერი, დიდი სახელმწიფო, რომელთა შორის ლავირებითაც ცდილობდა იგი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი პოლიტიკური კურსით გამოსვლას.

ლ. II დ.-მა ოსმალეთის წინააღმდეგ კაზაკები გამოიყენა, რომლებიც ოსმალეთის სანაპირო ქალაქებისა და ხომალდების დარბევის შემდეგ თავშესაფარს სამეგრელოში პოვებდნენ. კაზაკები, თავის მხრივ, ზღვაზე მფარველობას უწევდნენ დადიანის ხომალდებს.

1635 წლის თებერვალში ირან-ოსმალეთის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 1639-მდე გაგრძელდა. სულთანმა მურად

IV-მ ლ.II დ-ს ლაშქრად ხლება უბრძანა, მაგრამ მან უარი შეუთვალა. ომის დასაწყისში ოსმალეთის არმიამ მთელ რიგ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამან ძალზე შეაშფოთა ლ.II დ., რომელიც ოსმალეთის აგრესიის შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი ძალების იმედზე უნდა დარჩენილიყო. ამ პერიოდში თეიმურაზ I-მაც დაიბრუნა კახეთის სამეფო ტახტი. შაჰ-სეფის უჭირდა, მაგრამ კახეთში ვითარების გამწვავებას მოერიდა და თეიმურაზ I მეფედ ცნო. ლ.II დ. მტრულ გარემოცვაში მოექცა. მან იზოლაციიდან გამოსვლა რუსეთის მეშვეობით სცადა. 1636 მოსკოვში თავისი ელჩი, კარის მღვდელი გაბრიელ გეგენავა მიავლინა, მფარველობაში მიღება და საპასუხო ელჩობის გამოგზავნა ითხოვა. 1639 რუსეთის მთავრობამ სამეგრელოში ელჩინ-ზახარიევის საპასუხო ელჩობა გამოგზავნა, რომელიც სამთავროში 1639 წლის 13 ნოემბერს ჩავიდა. ელჩინისა და ზახარიევს ლ.II დ-საგან ერთგულების ფიცის მიღება ჰქონდა დავალებული. მაგრამ ამ მომენტისათვის (1639) სამეგრელოს სამთავროს მდგომარეობა შედარებით სტაბილური ჩანდა და ამიტომ რუსეთსა და სამეგრელოს შორის არავითარი შეთანხმება არ დადებულა; მოლაპარაკება ფორმალური ხასიათისა იყო, რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი ორი ქვეყნის ურთიერთობის შესახებ არც განუხილავთ. პოლიტიკური რეალიზმი მთავარს კარნახობდა, რომ რუსეთისაგან დახმარების მიღება მოსალოდნელი არ იყო, ურთიერთობას კი მრავალი უსიამოვნების მოტანა შეეძლო. ლ.II დ. პირველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე იყო, რომელმაც არა მარტო შეიმუშავა, არამედ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქართველო-ევროპის ვაჭრობის პროექტის ხორცშესხმას. მაგრამ მან ეს პროექტი სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ განახორციელა. მისი მმართველობის პერიოდში სამეგრელოს სამთავროში ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ რომის პაპის მიერ გამოგზავნილი კათოლიკე მისიონერები (არქანჯელო ლამბერტი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი და სხვ.), რომლებსაც მთავარი ყოველმხრივ დახმარებას უწევდა. 40-იანი წლებიდან ლ.II დ-მა კიდევ უფრო გააძლიერა თავდასხმები იმერეთის სამეფოზე. მან ტყვედ ჩაიგდო იმერეთის მეფის ალექსანდრე III-ის ძმა – მამუკა და ვაჟი – ბაგრატი. რამდენჯერმე ილაშქრა იმერეთში, მაგრამ მისი საბოლოოდ დამორჩილება ვერ მოახერხა. რუსეთის ელჩების – ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის იმერეთში ყოფნის დროს (1651) მათი შუამდგომლობით გაიმართა სამშვიდობო მოლაპარაკება ალექსანდრე III-სა და ლ.II დ-ს შორის, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო. მას იმერეთზე თავდასხმები სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა. თარგმ. იტალიურიდან ა. ჭყონიასი, თბ., 1938.

ლიტ.: ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990.

**ლევან III დადიანი**, სამეგრელოს მთავარი 1661-80, *ლევან II დადიანის* ძმის – იოსების (იესეს) ძე. თავდაპირველად შამადავლე ერქვა. ტახტზე ქართლის მეფე *ვახტანგ V-ის* (შაჰნავაზის) დახმარებით ავიდა და ბიძის საპატივცემულოდ ლევანი დაირქვა. ვახტანგ V-მ მას თავისი ძმისწული თამარი მიათხოვა. 1663 ლ.III დ. თავს დაესხა იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ს, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ბაგრატ IV-მ მას წაართვა მეუღლე და თვითონ შეირთო. ეს ფაქტი მათ შორის შეურიგებელი ბრძოლის მიზეზი გახდა. 1672 სამეგრელოს შეესივნენ ოსმალები, რომლებიც ლ.III დ-ის ტახტიდან ჩამოგდებასა და მის ნაცვლად მთავრად თავიანთი კაცის დასმას ისახავდნენ მიზნად. ლ.III დ. რუხის ციხეში ჩაიკეტა და ოსმალებმა მისი აღება ვერ მოახერხეს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

**ლევან IV დადიანი** (გ. 1694), სამეგრელოს მთავარი 1684-91, *ლევან III დადიანის* უკანონო შვილი. ტახტზე სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივმა გამგებელმა გიორგი II ლიპარტიანმა აიყვანა, მაგრამ ქვეყანას ძველებურად მაინც თვითონ განაგებდა. გიორგი II ლიპარტიანისგან შევიწროებულმა ლ.IV დ-მა 1691 მიატოვა სამეგრელო და თავი ოსმალეთს შეაფარა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ლ.IV დ. იყო დადიანთა საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი სამეგრელოს სამთავრო ტახტზე. მის შემდეგ დადიანობა ჩიქვანთა (ჩიქოვანთა) საგვარეულოს ხელში გადავიდა.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; ჯამბურია გ., ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (XVII ს-ის 60-90-იანი წლები). – წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

**ლევანი** (გ. 1574), კახეთის მეფე 1518-74, *გიორგი II-ის* (ავგიორგის) ძე. 1513, როცა ქართლის მეფე დავით X-მ კახეთი თავის ხელისუფლებას დაუმორჩილა, მცირეწლოვანი ლ. მისმა მომხრე კახელმა თავადებმა გახიზნეს. 1518 მათ ისარგებლეს ქართლში ყიზილბაშთა ლაშქრობით და ლ. კახეთის მეფედ გამოაცხადეს. დავით X-მ ირანის შაჰ-ისმაილ I-თან ურთიერთობის მოწესრიგების შემდეგ კახეთში გაილაშქრა და წარმატებასაც მიაღწევდა, რომ ქართლისა და კახეთის ხელახალი გაერთიანებისათვის დანარჩენ მეფე-მთავრებს: ბაგრატ III-ს, ყვარყვარე III-სა და მამია I გურიელს წინააღმდეგობა არ გაეწიათ. 1520 მათი აქტიური ჩარევითა და შუამდგომლობით დავით X-მ კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა აღიარა – მხარეებმა დადეს ხელშეკრულება კეთილმეზობლობისა და საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. 1520 შემდეგ, ერთხანს, ქართლის, კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მესვეურები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ირანის გავლენისაგან თავის განთავისუფლება სცადეს. 1521 მოეწყო სამხედრო ექსპედიცია შაჰის ვასალის – შაქის წინააღმდეგ. შაჰ-ისმაილ I-მა საქართველოს საქმეების მოსაწესრიგებლად თავისი სარდალი დივ-სულთან რუმლუ გამოგზავნა. მან მეფე-მთავრები შაჰს მიჰგვარა. დავით X-მ, ლევან კახთა მეფემ და ყვარყვარე III-მ „ბაჯი ხარაჯ" იკისრეს. 20-იანი წლების ბოლოს „რომის საღვთო იმპერიის" იმპერატორმა კარლოს V-მ და მისმა ძმამ – ავსტრიის ერცჰერცოგმა ფერდინანდ I-მა ოსმალეთის წინააღმდეგ ირანთან ურთიერთობის დამყარება სცადეს. 1529 მათ ელჩები გაგზავნეს ირანში. ელჩები – პეტრო დე ნეგრო და სიმონ დე ლილი ირანის ვასალს – ლ. მეფესაც ეწვივნენ. მეფემ ისინი დიდი პატივით მიიღო და ოსმალეთის წინააღმდეგ მთელი საქართველოს ფეხზე დაყენება აღუთქვა. მისი დანაპირები დანაპირებად დარჩა. 1521 შემდეგ ლ. მეფის მცდელობა მხოლოდ იქითკენ იყო მიმართული, რომ ირანის ბატონობა რაც შეიძლება ადვილად ასატანი ყოფილიყო. იგი ნაკლებად იყო დაინტერესებული საქართველოს სხვა ნაწილების ბედით და თავის ვიწრო კუთხურ ინტერესებს ემსახურებოდა. ლ-ის დიპლომატიის მთავარი მიზანი იყო, კახეთი-

სათვის აეშორებინა ის ნგრევა-აოხრება, რომელიც ირან-ოსმალეთის ომებს სდევდა თან. ირანის მესვეურებს ლ-ის ერთგულებისა მაინცდამაინც არ სჯეროდათ. მათ კარგად ესმოდათ, რომ მისი ვასალობა წარმოადგენდა არა ნებაყოფლობით აქტს, არამედ ვითარებით ნაკარნახევ დიპლომატიურ ნაბიჯს, და თუკი თავს არ ესხმოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაეშვათ ქართლისა და კახეთის ძალების გაერთიანება. 1551 მეფე დაეხმარა შაჰ-თამაზ I-ს აზერბაიჯანის უკანასკნელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – შაქის დაპყრობაში. ირან-ოსმალეთის 1555 ამასიის ზავით, კახეთის სამეფო ირანის გავლენის სფეროში მოექცა. ზავის დადების შემდეგ შაჰ-თამაზ I-ს აღარ აკმაყოფილებდა კახეთის შედარებით მსუბუქი ვასალური ვალდებულებები. ამით უკმაყოფილო ლ. რუსეთიდან დახმარების მიღებას შეეცადა. 1563 მან ელჩები გაგზავნა მოსკოვში ივანე IV მრისხანესთან იაკობის მეთაურობით. ქართველ ელჩებს რუსეთის მთავრობა დახმარებას შეჰპირდა და, მართლაც, მალე გამოგზავნეს რაზმი, რომელიც ლ-მა კახეთის ციხესიმაგრეებში ჩააყენა, მაგრამ ოსმალეთისა და ირანის პროტესტმა აიძულა ლ., მალე დაეთხოვა რუსთა რაზმი.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. II ნახევარსა და XVI ს-ში, თბ., 1981; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1990; ტ ა რ დ ი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს-ში, თბ., 1980; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი., ქართველი ერის ისტორია, წგ. 4, თბ., 1967.

**ლეიგ-ჰარდინგის შეთანხმება 1920** (ახლო აღმოსავლეთში საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიათა გამიჯვნის შესახებ), ხელი მოაწერეს 23. XII საფრანგეთის პრემიერმა ჟ. ლეიგმა და დიდი ბრიტანეთის ელჩმა პარიზში ლორდმა ჩ. ჰარდინგმა. შეთანხმებამ დაადგინა საზღვრები საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიებს (სირია და ლიბანი) და დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიებს (პალესტინა, ტრანსიორდანია, ერაყი) შორის, ასევე სასაზღვრო რეჟიმი. მხარეებს შორის მწვავე უთანხმოებათა გამო გამიჯვნა მოხდა კომპრომისის საფუძველზე, ამასთან უდაბნოზე გამავალ საზღვრებს მიეცა სწორხაზოვანი ფორმა.

**ლენდ-ლიზი** (ინგლ. lend-lease; lend – გასესხება, lease – იჯარით გაცემა), მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (1939-45) აშშ-ის მიერ ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე ქვეყნებისათვის იარაღის, საბრძოლო მასალის, სტრატეგიული ნედლეულის, სურსათის და სხვ. სესხად ან იჯარით გაცემის სისტემა. კანონი ლ-ლ-ის შესახებ ამერიკის კონგრესმა მიიღო 1941 წლის 11 მარტს. აშშ-ის გასავალმა ლ-ლ-ის მიხედვით, 46 მლრდ დოლარი შეადგინა. მათ შორის დიდი ბრიტანეთისათვის 30 269 მლნ დოლარი, სსრ კავშირისათვის – 9800 მლნ დოლარი, საფრანგეთისათვის – 1406 მლნ დოლარი, ჩინეთისათვის – 631 მლნ დოლარი, ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის – 421 მლნ დოლარი და სხვა ქვეყნებისათვის – 424 მლნ დოლარი. თავის მხრივ, ომის წლებში აშშ-მა საკომპენსაციოდ მიიღო 7,3 მლრდ დოლარის ღირებულების სხვადასხვა საქონელი. ლ-ლ-ის შეთანხმების მიხედვით, ომის პერიოდში გამოყენებული, დაკარგული ან განადგურებული მასალები გადახდას არ ექვემდებარებოდა; ის ქონება, რომელიც დარჩა ომის შემდეგ და რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა სამოქალაქო მიზნებისათვის, უნდა გადახდილიყო მთლიანად ან ნაწილობრივ, გრძელვადიანი კრედიტის დაფარვის წესით. დარჩენილ საომარ მასალებს იტოვებდა შესაბამისი ქვეყანა, მაგრამ ამერიკის მთავრობას ჰქონდა მათი მოთხოვნის უფლება (თუმცა იგულისხმებოდა, რომ იგი ამ უფლებას არ გამოიყენებდა). ლ-ლ. ხელს უწყობდა ომის წლებში აშშ-ის წარმოების გაფართოებასა და მონოპოლიების გამდიდრებას მთავრობის დაკვეთების ხარჯზე. 1947 და 1960 მიმდინარეობდა სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკება ლ-ლ-ის მიხედვით ანგარიშსწორების შესახებ. საბჭოთა კავშირმა დაუბრუნა აშშ-ს მიღებული ქონების ნაწილი (მაგ. საზღვაო გემები) და დათანხმდა დარჩენილი ნაწილის ანაზღაურებაზე, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ კომპენსაციის თანხის მოცულობაზე. 1960 აშშ-ის ინიციატივით მოლაპარაკება შეწყდა. 1972 აშშ დათანხმდა გადასახდელი თანხის არსებითად შემცირებაზე. 18 ოქტომბერს ვაშინგტონში ხელი მოაწერეს სსრკ-აშშ-ის შეთანხმებას ლ-ლ-ის მიხედვით ანგარიშსწორების მოგვარების, ვაჭრობის განვითარებისა და კრედიტით ურთიერთმომსახურების შესახებ.

**ლენინი** (უ ლ ი ა ნ ო ვ ი) ვლადიმერ ილიას ძე (1870-1924), საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი. მისი უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით შემუშავდა საბჭოთა კავშირის საგარეო-პოლიტიკური კურსი, რომელიც მთელი შემდგომი პერიოდის მანძილზე „წითელ ხაზად" გასდევდა მის ისტორიას. მისი პირადი ინიციატივით გამოქვეყნდა პირველი საბჭოთა დიპლომატიური აქტი – დეკრეტი ზავის შესახებ. მისი უშუალო მეთვალყურეობით შეიქმნა საბჭოთა დიპლომატიური კორპუსი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი. დაიდო სსრკ-თვის უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულებები: ბრესტლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება 1918, 1922 – რაპალოს ხელშეკრულება გერმანიასთან. მისი ინიციატივით მომზადდა საბჭოთა წინადადებათა პაკეტი 1922 გენუის კონფერენციაზე. სსრკ-მა თავისი ინტერესების ორბიტაში მოაქცია მონღოლეთი (1921), ირანი (1921), ავღანეთი (1921). ლ-ის უშუალო ჩარევით, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ბრესტის ზავით, ჩამოშორდა და თურქეთის რესპუბლიკას გადაეცა საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (ბათუმი, ართვინისა და ყარსის ოლქები), 1921 კი მოხდა საქართველოს ოკუპაცია.

**ლეო X** (ჯოვანი მ ე დ ი ჩ ი, 1475-1521), რომის პაპი 1513-21. იბრძოდა მედიჩების სამფლობელოების გაფართოებისათვის, მონაწილეობდა იტალიურ ომებში. ყიდდა საეპისკოპოსო და საკარდინალო თანამდებობებს. მის დროს არნახულ მასშტაბებს მიაღწია ინდულგენციებით ვაჭრობამ. რეფორმაციის დაუძინებელი მტერი. ეკლესიიდან განკვეთა ლუთერი და რეფორმაციის ყველა მომხრე.

**ლეონ I**, ბიზანტიის იმპერატორი (457-74), როცა ლ.I იმპერატორი გახდა, ბიზანტიისაგან გამდგარი იყო ეგრისის (ლაზიკის) მეფე *გუბაზ I*. ბიზანტიის ხელისუფლებისაგან დაუკითხავად მას სამეფო ტახტზე თანამოსაყდრედ თავისი პირმშო ჰყავდა აყვანილი. იმპერატორი ლ.I გუბაზისაგან მოითხოვდა, რომ ეგრისის სამეფო ტახტზე ერთ-ერთი დარჩენილიყო. გუბაზმა თვითნებურად გაიძრო სამეფო ტანსაცმელი და თავის შვილს ჩააცვა. ასეთი მოქმედებით უგულებელყო ბიზანტიის იმპერიის პრეროგატივა ეგრისის

(ლაზიკის) მეფის ხელდასხმაში, რითაც უარყო ის ფორმალური დამოკიდებულება, რომელიც ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს გააჩნდა ბიზანტიის იმპერატორთან. ლ.I-მა გუბაზი კონსტანტინოპოლში გაიწვია. გუბაზი კონსტანტინოპოლს ეწვია (465). ლ.I-სა და გუბაზს შორის გამართული მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა: ეგრისის (ლაზიკის) სამხრეთმა საზღვარმა ტრაპეზუნტიდან ხოფას სიმაგრემდე გადაინაცვლა. ეგრისის სამეფომ ტრაპეზუნტსა და ხოფას შორის მხოლოდ კონფესიონალური გავლენა შეინარჩუნა, სხვა მხრივ ამ ორ პუნქტს შორის მცხოვრები ხალხი თავისუფალნი გახდნენ. როგორც ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსაგან, ასევე ბიზანტიის ხელისუფლებისაგან. იმპერატორმა ლ.I-მა ხელი აიღო ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

წყარო: პრისკე პანიონელი. – წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ალ. გამყრელიძის და ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1961; Кекелидзе К. С., Историко-агиографические отрывки (Житие преп. Даниила Столпника). – "Христианский Восток", т. 2, вып. 2, СПб., 1913 (ეტიუდები..., ტ. 7, თბ., 1961).

ლიტ.: ლეთოდიანი დ., ეგრისის სამეფოს ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან V საუკუნის მეორე ნახევარში. – „ქართული დიპლომატია". წელიწდეული, I, თბ., 1994.

**ლეონ I**, აფხაზეთის ერისთავი, აფხაზეთის მთავარი (VIII ს.). ოფიციალურად ითვლებოდა ბიზანტიის იმპერიის ვასალად („ერისთავი კეისრისა"). დასავლეთ საქართველოში მურვან-ყრუს ლაშქრობის (735-37) დროს მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ქართლიდან გამოდევნილ ერისთავებთან: მირთან და არჩილთან. ანაკოფიის ბრძოლის დროს საგანგებო დავალებით გაგზავნილი იყო სობლისს („რომელ არს გარდასავალსა ოფსეთისასა") და ამდენად საომარ მოქმედებებში უშუალოდ მონაწილეობა არ მიუღია. არაბთა შემოტევის მოგერიებას ანაკოფიასთან მირი და არჩილი ხელმძღვანელობდნენ. ანაკოფიის ბრძოლის შემდეგ პარტნიორობა-თანამშრომლობა ლ.I-სა და ქართლის ერისმთავრებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდა. მათ მოაწყვეს ერთობლივი ელჩობა კონსტანტინოპოლში და აუწყეს იმპერატორს ანაკოფიასთან არაბთა ძლევის შესახებ. ამ ელჩობის შედეგად ბიზანტიის იმპერატორმა ლ.I აფხაზეთის მემკვიდრეობით მფლობელად ცნო და მოუწოდა მას ეთანამშრომლა ქართლ-ეგრისის მმართველებთან. ლ.I-მა შეირთო გარდაცვლილი მირის ერთ-ერთი ასული – გურანდუხტი და თავი ქართლის საერისმთავრო სახლის ვასალად გამოაცხადა. „აფხაზეთის ერისთავის" ეს ნაბიჯი შორს გამიზნული დიპლომატიურ-პოლიტიკური აქცია იყო. აღნიშნული ქორწინებით ლ.I-მა მოიპოვა გარკვეული დინასტიურ-ლეგიტიმისტური უფლებები (მას ოფიციალურად გადაეცა ბიზანტიიდან მირისათვის გამოგზავნილი სამეფო გვირგვინი) საერთო-ქართულ პოლიტიკურ სამყაროში, რომელიც, სავარაუდოა, გამოიყენა კიდეც მოგვიანებით, როდესაც მან თავისი ხელისუფლების ქვეშ მთელი დასავლეთ საქართველო მოაქცია.

წყარო: ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; Анчабадзе З.В., Из истории средневековой Абхазии (VI – XVII вв.), Сухуми, 1959.

**ლეონ II**, „აფხაზთა" მეფე, „აფხაზთა" (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს დამაარსებელი და მისი პირველი მეფე (დაახლ. VIII ს. II ნახევარი – IX ს. დამდეგი), *ლეონ I-ის* ძმისწული, დედის მხრიდან ხაზართა ხაკანის შვილიშვილი. მან მარჯვედ გამოიყენა ბიზანტია-ხაზარეთის დაპირისპირება, უარყო ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობა და თავი დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) დამოუკიდებელ ხელმწიფედ („აფხაზთა" მეფედ) გამოაცხადა. ეს აქტი განხორციელდა ხაზართა ხაკანის დიპლომატიური და სამხედრო მხარდაჭერით. ლ.II-ის სახელს ქართული საისტორიო ტრადიცია (ვახუშტი ბაგრატიონი) უკავშირებს ქვეყნის საერისთაოებად დაყოფას და სამეფო რეზიდენციის ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოტანას.

წყარო: მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. I, თბ., 1955.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965; Анчабадзе З. В., Из истории средневековой Абхазии (VI – XVII вв.), Сухуми, 1959; Джанашия С. Н., О времени и условиях возникновения Абхазского царства. – შრომები, II, თბ., 1952.

**ლეონ III**, „აფხაზთა" (დასავლეთ საქართველოს) მეფე (დაახლ. 957-67). გიორგი II „აფხაზთა" მეფის ძე, გამეფებამდე ქართლის ერისთავი. აქტიურად იბრძოდა „აფხაზთა" სამეფოს პოზიციების განმტკიცებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში, რისთვისაც ძალისმიერ მეთოდებთან ერთად წარმატებით იყენებდა დიპლომატიასაც. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მის მიერ (ჯერ კიდევ უფლისწულობის ჟამს) კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე II-თან დადებული *ბაზალეთის ზავი*, რომლის მიხედვითაც კვირიკე II-მ ცნო „აფხაზთა" მეფის უზენაესობა. ლ.III-ის სახელს უკავშირდება მოქვისა და კუმურდოს ტაძრების აშენება.

ლიტ.: იხ. სტ-თან *ლევან II*.

**ლეონ III ისავრიელი** (675-741), ბიზანტიის იმპერატორი 717-დან. დაწინაურდა იმპერატორ იუსტინიანე II-ის დროს. იმპერატორმა იუსტინიანე II-მ მას სპათარობა უბოძა. მაგრამ მისმა მოშურნეებმა იუსტინიანე II-თან დააბეზღეს, იმპერატორობისაკენ ისწრაფვისო. იუსტინიანე II-მ ლ.III ი., ჩამოშორების მიზნით, ალანეთში მიავლინა დიდძალი ფულით და დაავალა ალანები (ოსები) წაექეზებინა აბაზგების (აფხაზების) წინააღმდეგ, რომელნიც ამ დროს არაბებს ეპყრათ. ლ.III ი-მა ფული ეგრისში (ლაზიკეთში), ქ. ფაზისში (ფოთში) დატოვა და თვითონ ალანეთში (ოსეთში) გადავიდა. რადგან იუსტინიანე II-ს ლ.III ი-ის მოსპობა სურდა, ქ. ფაზისში (ფოთში) შენახული ფული კონსტანტინოპოლში ჩაატანინა თავის მოხელეებს. მაგრამ ლ.III ი-ს ალან-ოსებმა უფულოდაც აღმოუჩინეს დახმარება და აბაზგები (აფხაზები) ორჯერ დალაშქრეს. ყოველივე ამის გამო იუსტინიანე II-მ ლ.III ი-ზე გული მოიბრუნა და აფხაზებს მისი უვნებლად გამოტარება მოსთხოვა, სამაგიეროდ ყოველივეს მიტევება აღუთქვა. 717 ლ.III ი. ბიზანტიაში ბრუნდება და იმპერატორი ხდება.

წყარო: თეოფანე ჟამთააღმწერელი. – წგ.: გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1941.

**ლეონტი მროველი**, XI ს-ის ქართველი მემატიანე, რუისის ეპისკოპოსი. მას მიეწერება „ქართლის ცხოვრებაში" შეტანილი თხზულებები: „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა"; „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა" და „არჩილის წამება". XI ს-ის მოღვაწე სინამდვილეში ვერ იქნებოდა „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის" ავტორი (ეს თხზულება გაცილებით ადრეა დაწერილი), ის შეიძლება მხოლოდ მისი რედაქტორი იყოს. საქართველოს უძველესი ისტორიის შესასწავლად ფრიად მნიშვნელოვანი თხზულების – „ცხოვრება ქართველთა მე-

ფეთა...“ დათარიღებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული. მაგრამ იმ სახით, რომლითაც ამ თხზულებამ ჩვენამდე მოაღწია, იგი XI ს-ში ჩანს დაწერილი უძველესი წყაროების საფუძველზე. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა...“ მრავალი ღირსებით შემკული ძველი ქართული მწერლობის ღირსშესანიშნავი ძეგლია. მასში თავმოყრილია უძველესი ქართული გადმოცემები, ეპიკური თქმულებები. მათი გამოყენება საქართველოს ძველი ისტორიის საშენ მასალად მხოლოდ კრიტიკული ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი. ყურადღებას იპყრობს ლეონტი მროველის თვალსაზრისი კავკასიის ძირძველი ხალხების – ქართველების, სომხების, ალბანელების, ჩრდილო კავკასიის ტომების საერთო წარმოშობის, მათი ნათესაობის შესახებ. ამგვარი თვალსაზრისის შექმნა პოლიტიკური მიზანდასახულობითაა გამოწვეული. ამასთანავე, თხზულებაში – „ცხოვრება ქართველთა მეფეთა...“ აშკარად შეიმჩნევა არმენოფილური ტენდენცია, რისი არსებობაც საქართველოს სამეფო კარის თვალყურის მიდევნებით შედგენილ „ქართლის ცხოვრებაში“ დიდ გაოცებას იწვევს. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება. უფრო მისაღები ჩანს შემდეგი შეხედულება: ძველი სომხური საისტორიო მწერლობა გამოირჩევა უხვმოსავლიანობით. ძველ სომხურ მწერლობაში საისტორიო მწერლობა წამყვან ჟანრად იქცა. თუ საქართველოში ეროვნულ სახარებად „ვეფხისტყაოსანი“ გადაიქცა, სომხეთში ეს ადგილი ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მამად მიჩნეული მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიამ“ დაიკავა. სომხური თქმულებები, ლეგენდები, რომლებშიც საქართველო-სომხეთის ურთიერთობა ტენდენციურადაა ასახული, გავრცელებული იყო საქართველოში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში. ისინი ლ.მ-საც გამოუყენებია. XI საუკუნისათვის მეტისმეტად გამწვავებული იყო პოლიტიკურ საფუძვლებზე დამყარებული ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა, რაც ფრიად უარყოფით გავლენას ახდენდა საერთოდ საქართველო-სომხეთის ურთიერთობებზე (ქართველები და სომხები ერთმანეთს მწვალებლებს ეძახდნენ). საქართველოს ინტერესებისათვის დაუშვებელი იყო დაქუცმაცებულ, დასუსტებულ სომხეთში დამპყრობლის (ბიზანტიის იმპერიის თუ სხვათა) გაბატონება. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა სომხეთის საქართველოსთან შემოერთება, შემომტკიცება, რისთვისაც საჭირო იყო ქართველი და სომეხი ხალხების ერთობლივი ძალისხმევა. საქართველოში არსებული ანტიმონოფიზიტური (ანტიგრიგორიანული) განწყობილება კი ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას ხელს უშლიდა. ლ.მ-ის არმენოფილური თვალსაზრისი, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს ჩააგონოს თავის თანამედროვე ქართველებს, რომ სომეხ ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იყო საქართველოსთან სომხეთის შემოერთების საშური საქმის განხორციელება.

**ᲚᲔᲡ ᲓᲔ ᲡᲘᲝᲜᲘ** (Leusse de Syon) ბრუნო დე (დ. 1916), ბარონი, ფრანგი დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1945-დან. მუშაობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში (1945-48, 1956-59), იყო კონსული ფლორენციაში (1948-51), მუშაობდა გერმანიაში, საფრანგეთის უმაღლესი კომისრის აპარატში (1951-55), დასავლეთ გერმანიაში საფრანგეთის საელჩოში (1955-56); 1959-61 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი; 1961-62 – სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელი, მონაწილეობდა ევიანის შეთანხმებების (1962) შემუშავებაში. 1963-66 – აშშ-ში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი-დესპანი; 1966-68 – საგარეო საქმეთა სამინისტროს კაბინეტის უფროსი, ხოლო 1968-69 – პრემიერ-მინისტრის კაბინეტის უფროსი; 1970-71 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკისა და მადაგასკარის განყოფილების უფროსი; 1972-76 – საფრანგეთის ელჩი ეგვიპტეში; 1976-79 – საბჭოთა კავშირში; 1979-81 – საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი. 1981 – გადადგა.

**ᲚᲔᲡᲙᲘᲜᲔᲜᲘ** (Leskinen) ვიაინე (1917-72), ფინეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1946-57 – ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და მდივანი; პარლამენტის დეპუტატი 1945-48 და 1954-70; 1952-53 და 1958-59 – სოციალურ საკითხთა მინისტრი; 1954-56 – შინაგან საქმეთა, ხოლო 1968-70 – მრეწველობის მინისტრი; 1970-72 – ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

**ᲚᲔᲢᲔᲚᲘᲔᲠᲘ** (Letelier) ორლანდო (1932-76), ჩილეს სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1955-59 – სამთამადნო მრეწველობის სამინისტროს მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში. 1959-70 ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის – განვითარების ამერიკულ ბანკში. 1971-73 – ჩილეს ელჩი აშშ-ში; 1973 წლის მაის-აგვისტოში – საგარეო საქმეთა მინისტრი; 1973 წლის აგვისტოში – შინაგან საქმეთა, ხოლო 1973 წლის აგვისტო-სექტემბერში – ეროვნული თავდაცვის მინისტრი. აქტიურად მონაწილეობდა ჩილეს სოციალისტური პარტიის მოღვაწეობაში. სახელმწიფო გადატრიალების (1973 წლის სექტემბერი) შემდეგ დააპატიმრეს. საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეგავლენის შედეგად 1974 გაათავისუფლეს და ქვეყნიდან გააძევეს. მუშაობდა ვაშინგტონის (აშშ) პოლიტიკური კვლევის ინსტიტუტში. 1976 წლის სექტემბერში მოკლეს ჩილეს სპეცსამსახურის აგენტებმა.

**ᲚᲔᲤᲝᲠᲢᲘ** ფრანც იაკობის ძე (1655/6-99), რუსეთის სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი, წარმოშობით შვეიცარიელი. 1674 მსახურობდა ჰოლანდიის არმიაში და მონაწილეობდა საფრანგეთსა და ნიდერლანდებს შორის ომში. 1675 ჩავიდა რუსეთში და 1678 მიიღეს რუსეთის სამსახურში. მონაწილეობდა რუსეთის ჯარების ყირიმისა და აზოვის ლაშქრობებში XVII ს-ის 80-90-იან წლებში. *პეტრე I-ის* ერთ-ერთი უახლოესი თანამოაზრე. მეფის დავალებით ლ. აწარმოებდა დიპლომატიურ მიმოწერას, ღებულობდა უცხოელ ელჩებს. 1697 სათავეში ჩაუდგა დიდ ელჩობას (1697-98).

**ᲚᲕᲝᲕᲘ** ივანე ლავრენტის ძე, კაპიტან-პორუჩიკი. 1775-დან რუსეთის ელჩი *ერეკლე II-ის* კარზე.

**ᲚᲘ** (Lie) ტრიუგვე ჰალვდან (1896-1968), ნორვეგიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1926-46 – ნორვეგიის მუშათა პარტიის ხელმძღვანელობის წევრი; 1935-40 და 1945-46 – პარლამენტის წევრი; 1935-39 – იუსტი-

ციის მინისტრი; 1939 – ვაჭრობის, მრეწველობის, ნაოსნობისა და თევზჭერის, ხოლო 1939-40 – მომარაგების მინისტრი; 1940 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი; 1941-45 – ლონდონში ნორვეგიის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, ნორვეგიის დელეგაციის მეთაური *სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე* (1945).

1945-46 – ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1946-53 – გაეროს გენერალური მდივანი, გამოირჩეოდა პროდასავლური ორიენტაციით. 1955-63 – ოსლო-აკერსჰიუსის გუბერნატორი, იმავდროულად 1959-63 – უცხოური მრეწველობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე და 1959-60 – საგანგებო დავალებათა ელჩი; 1963-64 – მრეწველობის, ხოლო 1964-65 – ვაჭრობის მინისტრი.

**ლი** ხუნჯან (1823-1901), ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. 1861-64 აქტიურად მონაწილეობდა ტაიპინელთა აჯანყების ჩახშობაში. წლების განმავლობაში ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკას. საფრანგეთ-ჩინეთის ომის (1884-85) დროს მიაღწია ჩინეთის მიერ კუნძულების – ტაივანის და პენხულედაოს შენარჩუნებას. იაპონიასთან ომში (1894-95) ცინების იმპერიის დამარცხების შემდეგ დაინიშნა ჩინეთის წარმომადგენლად სამშვიდო მოლაპარაკებებზე და ხელი მოაწერა *სიმონოსეკის საზავო ხელშეკრულებას 1895*. 1896 დადო საიდუმლო ხელშეკრულება რუსეთთან იაპონიის წინააღმდეგ თავდაცვითი სამხედრო კავშირისა და რუსეთისათვის რკინიგზის მშენებლობაზე კონცესიის გადაცემის შესახებ. 1901 ხელი მოაწერა დასკვნით ოქმს.

**ლიბანის კრიზისი 1975-76**, გამოიწვიეს მემარჯვენე ქრისტიანულმა ძალებმა, რომელთა სათავეში იდგა პარტია „ქატაიბ" („ფალანგები"). ისინი გამოდიოდნენ ლიბანში პალესტინელთა წინააღმდეგ, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ ლიბანის მთავრობისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას (პგო) შორის 1969 დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მემარჯვენე ქრისტიანებმა კავშირი დაამყარეს ისრაელთან, რომელმაც 1976 დაიწყო მათთვის იარაღის მიწოდება და იმავდროულად – სამხრეთ ლიბანის პორტების – სურისა (ტიროსის) და საიდოს ბლოკადა. ლიბანში ცეცხლის შეწყვეტისა და მეომარ მხარეთა დაშორიშორების მიზნით, 1976 წლის 9 ივნისს კაიროში მოწვეული არაბული სახელმწიფოების ლიგის (ასლ) სხდომაზე გამოიტანეს დადგენილება ლიბანში უშიშროების არაბთაშორისო ძალების (უაძ) გაგზავნის თაობაზე. ამ ძალების შემადგენლობაში იყვნენ საუდის არაბეთის, სირიის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, სუდანის, ლიბიისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო კონტინგენტები. მომდევნო წლებში უმეტესობამ დატოვა ლიბანი და 1979-თვის აქ მხოლოდ სირიის კონტინგენტი იმყოფებოდა. ლიბანის კრიზისის განსახილველად 1976 წლის 16 ოქტომბერს ერ-რიადში მოეწყო თათბირი სირიის, საუდის არაბეთის, ეგვიპტის, ლიბანისა და პგო-ს ხელმძღვანელთა მონაწილეობით. მხარეები შეთანხმდნენ, 21 ოქტომბრისათვის შეეწყვიტათ ცეცხლი ლიბანში, გაეზარდათ უაძ-ის შემადგენლობა 30 ათასამდე, მიენიჭებინათ მათთვის ფუნქცია „შეკავებისა" (ამიერიდან მათ მიიღეს „შეკავების არაბთაშორისო ძალების" სახელწოდება) და გადაეცათ ისინი ლიბანის პრეზიდენტის განკარგულებაში. თათბირის რეზოლუციები განსახილველად და დასამტკიცებლად გაიტანეს არაბული სახელმწიფოების მეთაურთა საგანგებო კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 25-26.X. 1976 სირიაში. გადაწყდა, რომ სირიის 20-ათასიანი სამხედრო კონტინგენტი, რომელიც უკვე იმყოფებოდა ლიბანში, ოფიციალურად შევიდოდა „შეკავების არაბთაშორისო ძალებში". ეს ნიშნავდა ასლ-ის მიერ ლიბანის საქმეებში სირიის საკვანძო როლის აღიარებას. იმავდროულად დადასტურდა, რომ ლიბან-პალესტინის ურთიერთობები მოწესრიგებულიყო კაიროს შეთანხმებით. 21 ოქტომბერს „შეკავების არაბთაშორისო ძალებმა" დაამყარეს კონტროლი ბეირუთისა და ლიბანის სხვა რაიონების ცხელ წერტილებზე. პალესტინელთა შეიარაღებული ძალები გაყვანილ იქნა ბეირუთის სამხრეთისაკენ და ლტოლვილთა ბანაკისაკენ. მიუხედავად სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა ლიბანში, მაინც არ მოხერხდა შიდაპოლიტიკური რეგულირება. მემარჯვენე ქრისტიანთა მოთხოვნები, რომ ლიბანი დაეტოვებინათ სირიის ჯარებს და აქ მომხდარიყო პალესტინელთა ლიკვიდაცია, განაპირობებდა მუდმივ დაძაბულობას ქვეყანაში.

**ლივადიის ხელშეკრულება 1879**, ხელი მოაწერეს 20.IX(2.X) ლივადიაში (ყირიმი) რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის დეპარტამენტის უფროსმა ნ. კ. გირსმა, პეკინში – რუსეთის დესპანმა ე. კ. ბრიუცოვმა და ცინების მთავრობის რწმუნებულმა, დესპანმა ჩენ ხოუმ. მას შემდეგ, რაც 1864 იუღურებით, ყაზახებით, დუნგანებითა და ყირგიზებით დასახლებულ სინძიანში დაიწყო დუნგანების ანტიცინური აჯანყება, რუსეთისა და ჩინეთის მთავრობებმა ვეღარ შეძლეს ადრე მიღწეულ შეთანხმებათა (კულჯის ხელშეკრულება 1851 და ჩუგუჩაკის ოქმი 1864) რეალიზება. აჯანყებულებმა სინძიანში გააუქმეს მანჯურიის ადმინისტრაციის ხელისუფლება და შექმნეს ცინების იმპერიისაგან დამოუკიდებელი ფეოდალურ-თეოკრატიული სახელმწიფო წარმონაქმნი. ერთ-ერთი მათგანის, იეტიშარის მმართველმა იაკუბ-ბეგმა კონტაქტი დაამყარა დიდ ბრიტანეთთან, რომელიც ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას ამ რაიონსა და მეზობელ კოკანდის სახანოზე. იაკუბ-ბეგი დაუკავშირდა ასევე თურქეთს, გააფართოვა თავისი სახელმწიფოს ტერიტორია. კოკანდის სახანოს ნაწილის ხარჯზე და დაემუქრა რუსეთის შუააზიურ რაიონებს. 1871 წლის მაის-ივნისში რუსეთის მთავრობამ ჯარები შეიყვანა ილის ოლქში და აცნობა ცინების მთავრობას, რომ ამ რაიონს უკან დააბრუნებდა, როგორც კი ეს უკანასკნელი შეძლებდა იქ თავისი ხელისუფლების აღდგენას. სინძიანში სამხედრო ექსპედიციის მომზადების პერიოდში ცინების მთავრობამ მოითხოვა ილის ოლქის დაბრუნება. ამ საკითხზე მოლაპარაკება დაიწყო სერგიოპოლში, გაგრძელდა პეკინში, ხოლო ცინების მიერ დუნგანებისა და უიღურების აჯანყების სასტიკად ჩახშობის (1877-78) შემდეგ განახლდა პეტერბურგში, სადაც ჩავიდა ცინების მთავრობის რწმუნებული ჩუნ ხოუ. მოლაპარაკება დასრულდა ყირიმში 1879 წლის გაზაფხულზე ხელშეკრულების ხელმოწერით. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთს უნდა გამოეყვანა ჯარები ილის ოლქიდან, რომლის მოსახლეობას ცინების მთავრობა ამნისტიას დაჰპირდა. რუსეთს დარჩა მდ. ილის ველის დასავლეთი ნაწილი და მდ. თეკესის ველი, ასევე მუზართის უღელტეხილის რაიონი ტიან-შანის გასწვრივ. ცინების მთავრობამ იკისრა რუსეთისათვის 5 მლნ რუბლის გადახდა ჯარების შენახვასა და ოლქის

მმართველობასთან დაკავშირებული ხარჯების საკომპენსაციოდ. ხელშეკრულების პირობებმა ცინების ჩინეთის მმართველი წრეების უკმაყოფილება გამოიწვია. მანჯურია-ჩინეთის ხელისუფლებამ უარი თქვა მის რატიფიცირებაზე. ბრიტანეთის დახმარების იმედით ჩინეთის მმართველები აშკარად ემზადებოდნენ რუსეთთან ომისათვის. საპასუხო სამხედრო ღონისძიებებს ახორციელებდა რუსეთიც. თუმცა ვერც ცინების და ვერც რუსეთის მთავრობებმა ვერ გაბედეს, საქმე განხეთქილებამდე მიეყვანათ. 1880 წლის ზაფხულში დაიწყო ახალი მოლაპარაკება, რომელიც დასრულდა პეტერბურგის ხელშეკრულების (1881) დადებით.

**ლიევენი** ქრისტეფორე ანდრიას ძე (1774-1839), რუსი დიპლომატი. 1808-დან მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში; 1809-12 – საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბერლინში; 1812-34 – დიდ ბრიტანეთში; 1822 – რუსეთის ერთ-ერთი რწმუნებული ვერონის კონგრესზე; 1825 წლის გაზაფხულიდან ბრიტანეთის მთავრობასთან აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებებს, რომელიც დასრულდა 1826 პეტერბურგის ოქმის ხელმოწერით. მონაწილეობდა დიდ ბრიტანეთთან მოლაპარაკებებში საბერძნეთის საკითხზე. 1834-დან – ტახტის მემკვიდრის, მომავალი იმპერატორის ალექსანდრე III-ის მზრდელი.

**ლივიუსი** ტიტუს (Livius Titus) (ძვ. წ. 59 – ახ. წ. 17), პრინციპატის ეპოქის რომაელი ისტორიკოსი. დაახლოებული იყო ავგუსტუსთან. პოლიტიკურ და სამხედრო საქმიანობაში მონაწილეობას არ ღებულობდა. მისი უზარმაზარი ნაშრომი „რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან" (Ab urbe condita) 142 წიგნად მოიცავს პერიოდს ძვ. წ. 753-დან 9-მდე [(მოღწეულია 1-10 და 21-45 წიგნები, დანარჩენი წიგნები ცნობილია პერიოხების (ანოტაციების)], IV საუკუნეში შედგენილი ძირითადი ფაქტების მოკლე შინაარსის სახით. ლ. აიდეალებდა რომის გმირულ წარსულს, ცდილობდა თანამედროვეეთათვის ეჩვენებინა წინაპართა მაღალი მორალური სახე, რათა ამ გზით დაეძლია ზნეობრივი დაცემის ნიშნები, რომლებიც უკვე შეინიშნებოდა იმპერიის დაცემის დასაწყისში. ლ-ის თხზულება რომის ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ისტორიკოსი დიდ ადგილს უთმობს რომის ურთიერთობას გარე სამყაროსთან. „რომის ისტორიის" საფუძველზე შესაძლებელი ხდება რომაული დიპლომატიის სრული სურათის აღდგენა. ლ. პოპულარული მწერალი იყო, რასაც მისი ნაშრომის მაღალი ლიტერატურული ღირსებებით ხსნიან.

ძველ საქართველოსთან დაკავშირებული მოვლენები ლ-ს მოთხრობილი ჰქონია 101-ე წიგნში, მაგრამ პერიოხების ფრაგმენტები ვრცელი საუბრის საშუალებას არ იძლევა.

**ლიმის დეკლარაცია 1938** („ამერიკული სოლიდარობის პრინციპთა დეკლარაცია"), მიიღეს 24. XII ლიმაში (პერუ). დეკლარაციის მიღების ინიციატორი იყო აშშ, რომელიც ცდილობდა დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნების რეგიონული ბლოკის შექმნას. დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნებმა ბუენოს-აირესის კონფერენციის (1936) გადაწყვეტილებათა საფუძველზე მიღებულ დეკლარაციაში გამოაცხადეს მოქმედებათა კოორდინაციის პრინციპი, იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე შეექმნებოდა მშვიდობას და უშიშროებას, ანდა რომელიმე ამ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას; დეკლარაცია ითვალისწინებდა ნებისმიერი ლათინურამერიკული სახელმწიფოს ინიციატივით საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევას პოლიტიკურ საკითხთა განსახილველად. შემდგომში ასეთი თათბირები ფაქტობრივად იქცა ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის ერთ-ერთ ორგანოდ.

**ლინგაჯათის შეთანხმება 1947** (ნიდერლანდების მიერ ინდონეზიის რესპუბლიკის „დე-ფაქტოდ" ცნობისა და მათ შორის შემდგომ ურთიერთობათა ფორმების შესახებ). ხელი მოაწერეს 25. III ჯაკარტაში, შეთანხმებამ სახელწოდება მიიღო მოლაპარაკებთა ერთ-ერთი ტურის ჩატარების ადგილის (სოფელი ლინგაჯათი, კუნძულ იავაზე) მიხედვით. შეთანხმების მიხედვით ნიდერლანდების მთავრობამ „დე-ფაქტოდ" ცნო ინდონეზიის მმართველობა კუნძულებზე იავა, სუმატრა და მადურა. გათვალისწინებული იყო „ინდონეზიის შეერთებული შტატების" შექმნა ფედერალურ საფუძველზე, რომელიც გააერთიანებდა ინდონეზიის არქიპელაგის მთელ ტერიტორიას. დადგენილი იყო, რომ ეს სახელმწიფოებრივი გაერთიანება შევიდოდა ნიდერლანდურ-ინდონეზიური კავშირის შემადგენლობაში, რომლის სათავეში იდგა ნიდერლანდების დედოფალი. შეთანხმება ითვალისწინებდა ასევე ორივე მხარის შეიარაღებული ძალების შემცირებას და მათ შორის კონფლიქტების გადაჭრას კონსულტაციების ან არბიტრაჟის მეშვეობით. მთლიანობაში შეთანხმებამ შექმნა კეთილსასურველი პირობები ინდონეზიის სრული დამოუკიდებლობისათვის.

**ლიონიძე** სოლომონ ანდრიას ძე (1750/54-1811), ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მჭევრმეტყველი. იყო თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძის შვილი. იზრდებოდა თელავში, სადაც დაეუფლა სომხურ, სპარსულ, თურქულ და რუსულ ენებს. იყო *ერეკლე II-ის* კარზე მდივანბეგი, მსაჯული, მდივანი. აღმოსავლეთ საქართველოში სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ლ. იმერეთის სამეფოში მოღვაწეობდა (1801-10) მსაჯულის, მდივანბეგისა და მოურავის თანამდებობებზე. სოლომონ II-ის ერთ საბუთში იგი იხსენიება როგორც „ვიცე-კანცლერი". ლ-ის უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 ტრაქტატი – ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. 1790 ლ-ის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირება-შეერთების შესახებ („ივერიელთა ტრაქტატი") და დაიდო უზენაეს ხელისუფალთა სამოკავშირეო ხელშეკრულება.

XVIII ს-ის უკანასკნელ ათწლეულში ლ-ის ხელმძღვანელობით შესრულდა ბევრი ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო მისია – დიპლომატიური მოლაპარაკება, სადარბაზო პოლიტიკური თათბირი, ბჭობა-კამათი და ა. შ. 1803 იმერეთის მეფე სოლომონ II ლ-ს აძლევს ელჩის რწმუნებას და დიპლომატიური მისიით მიავლენს რუსეთში. ლ. ითხოვდა იმპერატორისაგან, რომ ქართლ-კახეთისაგან დამოუკიდებლად რუსეთს „ყველა სახელმწიფოში" გამოეცხადებინა იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების აქტი. ლ-ის ელჩობას რუსეთში კიდევ უფრო მეტად უნდა დაერწმუნებინა იმერეთის სამეფო კარი, რომ XIX ს-ის დამდეგისათვის დასრულდა 1783 რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის ისტორია და მისი აღდგენა რუსეთის იმპერიას უკვე აღარ აწყობდა. ლ-ის დიპლომატიური ტალანტი ემყარებოდა მოწინააღმდეგის საიდუმლო განზრახვათა გამოცნობის მეტად ორიგინალურ ხერხებს და საგარეო-

პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ცოდნას. მან ჯერ კიდევ 1802 იცოდა, რომ რუსეთ-ოსმალეთის დროებითი კავშირი მალე უნდა დარღვეულიყო; პირველმა გამოიტანა უტყუარი პოლიტიკური დასკვნა 1801 აქტის შემდეგ, რომ რუსეთი ვერ შეურიგდებოდა იმერეთის მეფის ხელისუფლების არსებობას და ე. წ. „პატარა სამეფოებს" ზედიზედ იერთებდა. 1810 რუსეთის მიერ იმერეთის ანექსიის შემდეგ ლ. ახალციხის საფაშოში გადაიხვეწა და მარტოობაში და უცხოობაში დაასრულა თავისი სიცოცხლე. დაკრძალულია იქვე.

ლიტ.: ი ო ს ე ლ ი ა ნ ი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936; ჟ ო რ დ ა ნ ი ა თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 3, თბ., 1967; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973; ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ზ., საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, თბ., 1980; ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ზ., სოლომონ ლეონიძე, ტფ., 1910; АКАК, т. 2–4, Тфл., 1868–70; Д у б р о в и н Н., Закавказье от 1803–1806 года, СПб., 1866.

**ლიპარიტ ბაღვაში**, ლ ი პ ა რ ი ტ IV, კლდეკარის ერისთავი XI ს-ის 30-60-იან წლებში. *ბაგრატ IV-ის* მცირეწლოვანების პერიოდში საქართველოს ფაქტიური გამგებელი იყო ქართლის ერისთავ ივანე აბაზასძესთან ერთად. 1028 ლ.ბ-მა დაამარცხა საქართველოს ასაოხრებლად გამოგზავნილი ბიზანტიის ლაშქარი, შემდეგ კი ივანე აბაზასძესთან ერთად მეთაურობდა საქართველოს ლაშქარს, რომელმაც სძლია საქართველოს მეფის ყმობისაგან თავდახსნილ განძის ამირას – ფადლონს. 1032 ლ.ბ-მა დაატყვევა თბილისის ამირა და ერთი ციხე წაართვა, მაგრამ მისი მოწინააღმდეგე დიდაზნაურების რჩევით მეფემ ტყვე გაათავისუფლა და ამირადვე დატოვა. 1037-38 ლ.ბ-ის ჩაგონებით ბაგრატ IV-ის ლაშქარი თბილისს შემოადგა. 2 წლის ალყის შემდეგ ბაგრატ IV ლ.ბ-ის უკითხავად ამირას დაუზავდა. ამით განაწყენებული ლ.ბ. საბოლოოდ გაუორგულდა მეფეს, დაუკავშირდა ბიზანტიას, რომელმაც მალე იგი დამხმარე ლაშქრით, დიდძალი ფულითა და საქართველოს სამეფო ტახტის მაძიებელი *დემეტრე უფლისწულის* თანხლებით ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ გამოგზავნა. ლ.ბ-მა ალყა შემოარტყა სამეფო ციხე ატენს, მაგრამ შემდეგ საქმე გართულდა და იგი ბაგრატს დაუზავდა. მეფემ ლ.ბ-ს ქართლის ერისთავობა უბოძა, მაგრამ ლ.ბ. ბიზანტიის აგენტი იყო და ბიზანტიისათვის არასასურველი მეფის – ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ იბრძოდა. მალე ლ.ბ. ბიზანტიის მხარდაჭერით თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონდა. ბაგრატ IV-მ თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი დასავლეთ საქართველოს მეფედ დატოვა, თვითონ კი კონსტანტინოპოლში წავიდა (1054) და იმპერატორს ლ.ბ-თან შერიგების შუამდგომლობა სთხოვა. ლ.ბ-ის მცდელობით იმპერატორმა ბაგრატი 3 წელიწადს გააჩერა თავისთან. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ფაქტიური გამგებელი ლ.ბ. იყო. მან გიორგი ბაგრატის ძე იმერეთიდან ქართლში გადაიყვანა, რუისში მეფედ აკურთხა და თავი მის აღმზრდელად გამოაცხადა (ამით მან ხაზი გაუსვა თავის უფლებებს). ბოლოს იმპერატორის შუამდგომლობით ბაგრატ IV და ლ.ბ. დაზავდნენ. 1057 ბაგრატი სამშობლოში დაბრუნდა, ლ.ბ. იძულებით ბერად შეაყენა, ბიზანტიაში გააძევა და მის სამფლობელოს დაეუფლა. ლ.ბ. გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში, საიდანაც საქართველოში ჩამოუსვენებიათ და ქართლში დაუკრძალავთ.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; მატიანე ქართლისა, იქვე, ტ. 1, თბ., 1955.

ლიტ.: კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ., 1969; მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი დ., ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965 (თხზ., ტ. 2, თბ., 1983).

**ლიპარიტ I დადიანი** (ბ ე დ ი ა ნ ი), ოდიშის ერისთავი 1412-1470, მამია II დადიანის ძე. ერისთავობა ალექსანდრე იმერთა მეფისაგან მიიღო. 1463 ჩიხორის ბრძოლაში *გიორგი VIII-ის* წინააღმდეგ *ბაგრატ VI-ს* დაუჭირა მხარი. ლუდოვიკო ბოლონიელის ელჩობის დროს თანხმობა განაცხადა ანტიოსმალური კოალიციის შექმნასა და მასში მონაწილეობაზე (1459-61). ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება როგორც „ბედიანი, სამეგრელოს ბატონი", „ბენდია, სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე", „ბენდიანი, სამეგრელოს მეფე". „ბედიანი" – ლ.I დ. საქართველოს ერთ-ერთი გავლენიანი ფეოდალი იყო.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973

ლიტ.: პ ა ი ჭ ა ძ ე დ., ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში, თბ., 1989.

**ლიპარიტ II დადიანი**, შამადავლე დადიანის ვაჟი, ოდიშის ერისთავი 1482-1512. მხარს უჭერდა საქართველოს მეფე კონსტანტინე II-ს ალექსანდრე იმერთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბოლოოდ, ლ.II დ. იმერეთის მეფე ალექსანდრეს დაემორჩილა.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

**ლიპარიტ III დადიანი**, ოდიშის მთავარი 1657-1658, ლევან II დადიანის ძმის – იესეს ვაჟი. იგი მთავარი ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ გახდა. ლ.III დ. იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ ტახტიდან იქნა გადაყენებული; მან ქართლის მეფის როსტომისა და ახალციხის ფაშის დახმარებით, ტახტის დაბრუნება სცადა, მაგრამ მარცხი განიცადა და ოსმალეთში გადავიდა.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

**ლიპარიტიანი** გიორგი, ოდიშის სამთავროს რეგენტი 1611-16. 1611 ოდიშის სამთავროს ტახტი დაიკავა *ლევან II დადიანმა*. მისი ახალგაზრდობის გამო სამთავროს განაგებდა მისი ბიძა გიორგი ლიპარიტიანი, „კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეში კარგად გამოცდილი". ლ-ის მმართველობის დროს ოდიშში მშვიდობიანობა არ დარღვეულა. სამთავრო მოშენდა და მოსახლეობა მომრავლდა. მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის სამეფოსთან და გურიის სამთავროსთან. ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც მმართველობის სადავეები ხელში აიღო ლევან II დადიანმა. მან მთელ დასავლეთ საქართველოში მოინდომა გაბატონება და ახალი ძალით გააჩაღა შინაფეოდალური ომები. 1623 წლის ახლო ხანებში ლევან II დადიანი გასცილდა ცოლს, შარვაშიძის ასულს და საკუთარ ბიძას წაართვა ცოლი. საქმე ბიძა-ძმისშვილს შორის ომამდე მივიდა, მაგრამ ლ. უეცრად გარდაიცვალა.

ლიტ.: ბ ე რ ა ძ ე თ., ერთი საკითხი სამეგრელოს ისტორიული გეოგრაფიიდან. – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", ტ.2, თბ., 1964.

**ლისაბონის საზავო ხელშეკრულება 1668** (ესპანეთსა და პორტუგალიას შორის), ხელი მოაწერეს 13 თებერვალს ლისაბონში ინგლისის მეფის შუამდგომლობით. დაასრულა ომი ესპანელთა ბატონობისაგან პორტუგალიის დამოუკიდებლობისათვის (1640-68). ხელშეკრულების მიხედვით, ესპანეთი და პორტუგალია კისრულობდნენ საომარ მო-

ქმედებათა შეწყვეტას, ომის დროს ერთმანეთისათვის წართმეული სამფლობელოების დაბრუნებას (ციხესიმაგრე სეუტას გარდა, რომელიც რჩებოდა ესპანეთის მეფის მფლობელობაში), სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენას ორივე მხარის ქვეშევრდომთა შორის და მათთვის ისეთივე პრივილეგიების მინიჭებას, როგორიც ინგლისის ქვეშევრდომებს ჰქონდათ. ორივე მხარე იღებდა ვალდებულებას, უზრუნველეყო საზღვაო და სახმელეთო ნაოსნობის თავისუფლება და უსაფრთხოება, დახმარებოდა ერთმანეთს მეკობრეობასთან ბრძოლაში. პორტუგალიამ მიიღო ინგლისსა და ესპანეთს, ასევე მათსა და მათ მოკავშირეებს შორის დადებულ ყველა სამხედრო შეთანხმებასთან მიერთების უფლება. ხელმომწერ მხარეთა რატიფიკაციის გარდა ხელშეკრულება ექვემდებარებოდა ასევე ინგლისის მეფის მიერ მის რატიფიკაციას.

**ლისაბონის ხელშეკრულება 1703** (დიდ ბრიტანეთსა და პორტუგალიას შორის პოლიტიკური და სამხედრო კავშირის შესახებ), მიმართული იყო ესპანეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ ესპანური მემკვიდრეობისათვის ომში. ხელი მოაწერეს ლისაბონში 16 მაისს. ხელშეკრულება აცხადებდა „სამუდამო კავშირს" პორტუგალიასა და ბრიტანეთს შორის (მუხლი 14). დიდი ბრიტანეთი თავისთავზე იღებდა პორტუგალიის დახმარებას ჯარებითა და ფლოტით, რაც საკმარისი იქნებოდა პორტუგალიის სანაპიროებისა და მისი არაევროპული სამფლობელოების დასაცავად (მუხლი 1-10). პორტუგალია დათანხმდა ინგლისის სამხედრო ხომალდების განსაზღვრული რაოდენობის განლაგებაზე ქვეყნის ყველა პორტში, როგორც საომარ, ისე მშვიდობიან პერიოდში, რაც მას გარკვეულწილად დიდი ბრიტანეთის კონტროლქვეშ აყენებდა. ინგლისის მთავრობამ ისარგებლა პორტუგალიასთან კავშირით, რათა მიეღწია მისგან სავაჭრო პრივილეგიებისათვის. ამ პრივილეგიებმა პორტუგალიის ვაჭრობა მთლიანად ბრიტანეთის ხელში მოაქცია. ლისაბონის ხელშეკრულებამ სათავე დაუდო ინგლის-პორტუგალიის პოლიტიკურ კავშირს.

**ლისიმაქე** (Lysimachos) (ძვ. წ. 361-281), ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მცველი და მთავარსარდალი. მეფის გარდაცვალების შემდეგ აქტიურად გამოდიოდა იმპერიის ერთიანობის წინააღმდეგ. ალექსანდრეს მემკვიდრეობის მეორე დანაწილებისას მიიღო თრაკია და ჰელესპონტი. ძვ. წ. 305 თავი გამოაცხადა მეფედ. ებრძოდა ანტიგონესა და დემეტრიოსს. 301 იპსოს ველზე მოპოვებული გამარჯვებით (ანტიგონე ბრძოლაში დაიღუპა), ლ-ს ხელში გადავიდა მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი. 286 გაანადგურა დემეტრიოსი და დაიკავა მაკედონია. 281 თავის ადრინდელ მოკავშირესთან, სელევკოსთან ბრძოლაში, კურუპედიონის ველზე (ფრიგია), დამარცხდა და დაიღუპა. ანტიკური ავტორების გადმოცემით, ლ-ს იურისდიქცია ვრცელდებოდა კაპადოკიაზე. დასაშვებია, ძველ ქართულ წყაროებში დაცული ტრადიცია ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ უკავშირდებოდეს ლ-ს აღმოსავლურ პოლიტიკას.

**ლიტვინოვი** მაქსიმ მაქსიმის ძე (1876-1951) (ნამდვ. სახელი და გვარი მაქს ვ ა ლ ა ხ ი. პარტიული ფსევდ.: „პაპაშა", მაქსიმოვიჩი, ფელიქსი და სხვ.), საბჭოთა პერიოდის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, დიპლომატი. კომპარტიის წევრი – 1898-დან. 1900 – რსდმპ-ის კიევის კომიტეტის წევრი. 1901 დააპატიმრეს. 1902 გაიქცა კიევის ციხიდან 11 „ისკრელთან" ერთად და გაემგზავრა ემიგრაციაში (შვეიცარია). ლ. იყო რუსეთის რევოლუციაში სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთული ლიგის ადმინისტრაციის წევრი. მონაწილეობდა პირველი ბოლშევიკური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის" დაარსებაში. 1907 II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესზე იყო რსდმპ დელეგაციის მდივანი, 1908-დან – ბოლშევიკების ლონდონის ჯგუფის მდივანი, ბოლშევიკების წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. 1915 წლის თებერვალში, რსდმპ ცკ-ის დავალებით, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა კონფერენციაზე ლონდონში გამოვიდა განცხადებით (პროექტი შეადგინა ვ. ი. *ლენინმა*) და დაგმო I იმპერიალისტური ომი. 1918 დანიშნეს რსფსრ დიპლომატიურ წარმომადგენლად დიდ ბრიტანეთში, მაგრამ ბრიტანეთის მთავრობამ არ ცნო მისი რწმუნებანი და დააკავა, როგორც მძევალი. ლ. გაცვალეს რუსეთში დაკავებულ ინგლისელ მზვერავ ლოკარტზე. 1918-21 იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი. 1918 წლის ბოლოს საბჭოთა მთავრობის სახელით სტოკჰოლმში გამოვიდა ანტანტის სახელმწიფოებთან სამშვიდობო წინადადებით (ე. წ. ლიტვინოვის დეკლარაცია). 1920 სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო ესტონეთში, 1921-დან – საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, ერთდროულად – მუშგლეხინის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და მთავარი საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; 1922 წლის აპრილ-მაისში – *გენუის კონფერენციაზე* საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის, *ჩიჩერინის* მოადგილე. *ჰააგის კონფერენციაზე* (ივნის-ივლისი) – საბჭოთა დელეგაციის მეთაური, დეკემბერში განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის თავმჯდომარე მოსკოვში; 1930-39 – სსრკ საგარეო საქმეთა სახკომი. ის ხელს უწყობდა აშშ-თან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, სსრკ-ის მიღებას *ერთა ლიგაში*. 1941-43 მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ, ერთდროულად იყო სსრკ ელჩი აშშ-ში და 1942-43 – სსრკ წარგზავნილი კუბაში; სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციის მონაწილე (1943). პარტიის XVII-XVIII ყრილობებზე აირჩიეს საკავშირო კპ(ბ) ცკ-ის წევრად, იყო სსრკ-ის ცაკ-ის წევრი. აქვს შრომები სსრკ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

**ლიტონის კომისია.** 21.IX. 1931 *ერთა ლიგის* საბჭომ დაიწყო ჩინეთის მთავრობის საჩივრის განხილვა იაპონიის მიერ 18.IX ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში შეჭრასთან დაკავშირებით. სამთვიანი უნაყოფო დისკუსიის შემდეგ იაპონიის წარმომადგენლის წინადადებით შეიქმნა კომისია ბრიტანელი ლორდის, ვ. რ. ლიტონის მეთაურობით. ლ.კ-ს, რომელშიც შევიდნენ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიისა და აშშ-ის წარმომადგენლები, დაევალა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში შექმნილი სიტუაციის გაცნობა და რეკომენდაციების შემუშავება. ლ.კ. მუშაობას შეუდგა 1932 წლის გაზაფხულზე. იაპონელებმა გადაწყვიტეს, კომისიის წევრები ფაქტის წინაშე დაეყენებინათ და დააჩქარეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში მანჯოუ-გოს „დამოუკიდებელი" სახელმწიფოს შექმნა. ვითარების შესწავლა და ჩინეთში მდგომარეობის შესახებ მოხსენების

მომზადება გაჭიანურდა. 2.X. 1932 ლ.კ-მ გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიც ცნო იაპონიის მხრიდან აგრესიის აქტი და ერთა ლიგას შესთავაზა, ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი დაეტოვებინა ჩინეთის სუვერენიტეტის ქვეშ. 24.II. 1933 ერთა ლიგის ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია ითვალისწინებდა საკითხის გადაჭრას ერთა ლიგის წესდების, *ბრიან-კელოგის პაქტის* (1928) და ცხრა სახელმწიფოს ვაშინგტონის ხელშეკრულების (იხ. *ვაშინგტონის კონფერენცია 1921-22*) საფუძველზე. რეზოლუცია მოითხოვდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთიდან იაპონიის ჯარების გამოყვანას, ამასთანავე აღიარებდა იაპონიის „განსაკუთრებულ" ინტერესებს ამ რეგიონში. ამ რეზოლუციას იაპონიამ უპასუხა ერთა ლიგიდან გასვლით და აგრესიის გაფართოებით.

**ლიუბეკის ზავი 1629**, საზავო ხელშეკრულება დანიასა და „რომის საღვთო იმპერიას" შორის, დაიდო 12.V ლიუბეკში (გერმანია), დაასრულა ოცდაათწლიანი ომის (1618-48) ე. წ. „დანიური" პერიოდი (1625-29). დანიის მეფემ კრისტიან IV-მ, რომელსაც ეშინოდა ჩრდილოეთ გერმანიაში იმპერატორ ფერდინანდ II-ის ხელისუფლების გაძლიერების და ამასთანავე ინგლისისა და ნიდერლანდების მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, 1625 წლის გაზაფხულზე დაიწყო სამხედრო მოქმედებები ფერდინანდის წინააღმდეგ. შუა გერმანიაში შეჭრის მცდელობის დროს დანიელები სასტიკად დაამარცხეს, მოგვიანებით ისინი იუტლანდიისაკენ განდევნეს; ომში შვეციის ჩარევის საფრთხემ იმპერატორი აიძულა, დანიასთან დაედო საზავო ხელშეკრულება. ლ.ზ-ის თანახმად, დანიას დაუბრუნდა თავისი სამფლობელოები, რომლებიც ოკუპირებული იყო იმპერიის ჯარების მიერ. დანიამ იკისრა, არ ჩარეულიყო გერმანიის საქმეებში.

**ლიუბლინის უნია 1569**, შეთანხმება პოლონეთისა და ლიტვის დიდი სამთავროს ერთ სახელმწიფოდ – რეჩ-პოსპოლიტად (სიტყვასიტყვით – „რესპუბლიკა") გაერთიანების შესახებ. უნიის საკითხის განხილვა დაიწყო 1569 წლის იანვარში ლიუბლინში პოლონელი და ლიტველი ფეოდალების საერთო სეიმზე. უნიას ხელი მოაწერეს 28 ივნისს (1 ივლისს ის ცალ-ცალკე დაამტკიცა პოლონეთისა და ლიტვის სეიმებმა). ამით დასრულდა 1385 კრევოს უნიით დაწყებული ორი სახელმწიფოს გაერთიანების პროცესი. ლ.უ. ითვალისწინებდა პოლონეთსა და ლიტვაში ერთნაირი სახელმწიფო წყობილების დამყარებას, ერთიანი ფულადი სისტემისა და საერთო სეიმის შექმნას. რეჩ-პოსპოლიტას სათავეში იდგა პოლონელი და ლიტველი ფეოდალების მიერ ერთობლივად არჩეული მეფე. ლ.უ-მ დაადასტურა პოლონეთის გვირგვინისათვის ლიტვის დიდი სამთავროს ტერიტორიის ნაწილის მიერთება, ლივონია საერთო სამფლობელოდ გამოაცხადა და გააუქმა ორმხრივი გადასახადები. საერთაშორისო არენაზე რეჩ-პოსპოლიტა გამოდიოდა როგორც ერთიანი სახელმწიფო, თუმცა ლ.უ-ს მთლიანად არ გაუუქმებია ლიტვის განსაკუთრებული კანონმდებლობა და სასამართლოები, ცალკეული უმაღლესი ადმინისტრაციული პოსტები, ხაზინა, ჯარები. ოფიციალურ ენად დარჩა რუსული. XVII-XVIII სს. განმავლობაში სახელმწიფოებრიობის ეს ელემენტები თანდათან გაქრა. 1791 წლის 3 მაისის კონსტიტუციამ ფაქტიურად გააუქმა ლიტვის სახელმწიფოებრიობის ნაშთები.

**ლი-ფურნიეს კონვენცია 1884** (ვიეტნამის შესახებ), ხელი მოაწერეს 11. V ტიანძინში (ჩინეთი) ჩინეთის დედაქალაქის პროვინციის ნაცვალმა *ლი* ხუნჯანმა და საფრანგეთის წარმომადგენელმა ლ. ფურნიემ. 1883 საფრანგეთის ჯარების მიერ ვიეტნამის დედაქალაქის ჰუეს დაპყრობის შემდეგ საფრანგეთმა ვიეტნამს თავს მოახვია კაბალური ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ვიეტნამმა აღიარა საფრანგეთის პროტექტორატი. კონვენციას ხელი მოაწერეს იმ მომენტში, როცა საფრანგეთის მთავრობა ცდილობდა, რომ ცინების ჩინეთს უარი ეთქვა ვიეტნამზე სიუზერენიტეტისათვის. კონვენციის თანახმად, ჩინეთმა იკისრა, პატივი ეცა საფრანგეთ-ვიეტნამის ხელშეკრულებებისათვის, გამოეყვანა თავისი ჯარები ჩრდილოეთ ვიეტნამიდან და გაეხსნა ჩინეთ-ვიეტნამის საზღვარი ვიეტნამსა და ჩინურ პროვინცია იუნანს შორის თავისუფალი ვაჭრობისათვის, რამაც ხელი შეუწყო საფრანგეთის ექსპანსიას ჩინეთში. საფრანგეთი იძლეოდა ჩინეთ-ვიეტნამის საზღვრის ხელშეუხებლობის გარანტიას და უარს ამბობდა კონტრიბუციაზე. ჩინეთის მთავრობა აჭიანურებდა კონვენციის რატიფიკაციას და ჯარების გამოყვანას ვიეტნამიდან. ჩრდილოეთ ვიეტნამში შესულ საფრანგეთის ჯარებსა და ჩინეთისა და ვიეტნამის გაერთიანებულ ძალებს შორის მოხდა შეტაკებები, რამაც ჩინეთის მთავრობა აიძულა განეახლებინა მოლაპარაკებები საფრანგეთთან და მოეხდინა კონვენციის რატიფიცირება 1885 წლის აპრილში. კონვენციის შემდგომ გაგრძელებას წარმოადგენდა საფრანგეთ-ჩინეთის ტიანძინის შეთანხმება (1885).

**ლიცენზია** (licentia – ნების დართვა, უფლება), ნებართვა, რომელიც გაიცემა გამოგონების ან სხვა სახის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევის გამოსაყენებლად. საერთაშორისო პრაქტიკაში ლ., როგორც წესი, გაიცემა სალიცენზიო ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმადაც, ერთი მხარე (მყიდველი) უფლებამოსილი ხდება გარკვეული ანაზღაურების ხარჯზე აწარმოოს და გამოუშვას ის მექანიზმები, მოწყობილობები, დანადგარები, გამოიყენოს ტექნოლოგიური პროცესები, რომელთა საფუძველიცაა მეორე მხარის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების შედეგები (ლიცენზიარი). ასეთი ხელშეკრულებანი, როგორც წესი, ითვალისწინებენ ტექნიკური დოკუმენტაციის (ნახაზები, რეცეპტები) გადაცემას, სპეციალისტთა მიწოდებას, ნიმუშების გადაცემას და ა. შ. ლ. შეიძლება გადაცემულ იქნეს როგორც ჩვეულებრივ, ასევე განსაკუთრებული პირობების საფუძველზე. განსაკუთრებული ლ-ის გადაცემა გულისხმობს შესაბამისი უფლებების მხოლოდ ამ მხარისათვის მინიჭების შესაძლებლობას და გამორიცხავს შემდგომ შესაძლებლობებს, სხვა მხარეს მიანიჭონ ანალოგიური შესაძლებლობა. არსებობს ე.წ. საპატენტო ლ., რომელიც გულისხმობს პატენტის მფლობელის მიერ გამოგონების უფლების გაცემას. ლიცენზირების წესს ადგენს ცალკეული სახელმწიფო თავისი კანონმდებლობის საფუძველზე.

**ლობანოვ-იამაგატას უნია 1896** (კორეის საკითხზე), ხელი მოაწერეს მოსკოვში 28 მაისს (9 ივნისს) რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა.ბ. ლობანოვ-როსტოვსკიმ და იაპონიის წარმომადგენელმა ა. იამაგატამ. უნიამ შეაჯამა რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკებათა შედეგები იაპონიის აგენტების მიერ 1895 წლის ოქტომბერში კორეის დედოფლის მკვლელობისა და კორეის მეფის რუსეთის მისიის შენობაში

გაქცევის შემდეგ. დოკუმენტი ითვალისწინებდა აუცილებლობის შემთხვევაში რუსეთ-იაპონიის ერთობლივ მოქმედებას კორეაში, ასევე – კონსულტაციებს რუსეთსა და იაპონიას შორის ყველა იმ პრობლემის შესახებ, რომელიც მომავალში წარმოიქმნებოდა კორეაში. არსებითად ეს შეთანხმება ასახავდა მეფის რუსეთის მისწრაფებას, შეეზღუდა იაპონიის გავლენა კორეაში, განსაკუთრებით იაპონია-ჩინეთის ომის (1894-95) დროს, თუმცა 1898 შეთანხმებას დაემატა ახალი ოქმი, რომლის თანახმად, რუსეთი იღებდა ვალდებულებას, ხელი არ შეეშალა იაპონია-კორეის სავაჭრო და სამრეწველო კავშირებისათვის.

**ლობანოვ-როსტოვსკი** ალექსი ბორისის ძე (1824-96), თავადი, რუსი დიპლომატი. დიპლომატიურ სამსახურში მოღვაწეობდა 1844-დან. იყო რუსეთის ელჩი თურქეთში (1859-63), დიდ ბრიტანეთში (1879-82), ავსტრია-უნგრეთში (1882-95), გერმანიაში (1895), საგარეო საქმეთა მინისტრი (1895-96). ს. ი. ვიტესთან ერთად იყო ინიციატორი რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის დიპლომატიური გამოსვლისა, რომელმაც აიძულა იაპონია, შეერბილებინა სიმონოსეკის ხელშეკრულების (1895) პირობები (ამ ხელშეკრულებით დასრულდა იაპონიის ომის ჩინეთთან). ლ.-რ. მონაწილეობდა რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულების შემუშავებაში ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის მშენებლობის შესახებ და იაპონიასთან შეთანხმების ხელმოწერაში (იხ. *ლობანოვ-იამაგატას ოქმი 1896*). მუშაობდა XVIII-XIX საუკუნეების რუსული საარქივო ისტორიული მასალების შეგროვებასა და გამოცემაზე, ასევე რუსი თავადების საგვარეულო გენეალოგიაზე.

**ლობი**, **ლობისტები** (ინგლ. lobby – დერეფანი, კულუარები), აშშ-ში, კანადასა და მთელ რიგ სახელმწიფოებში ეწოდება იმ გაერთიანებებს ან კერძო პირებს, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო (განსაკუთრებით საკანონმდებლო) ორგანოების საქმიანობაზე. როგორც წესი, განსაკუთრებით გავლენიანი ლ. წარმოადგენს მსხვილი მონოპოლიების, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და სხვა მნიშვნელოვანი გაერთიანებების ინტერესებს; თავის საქმიანობაში გამოიყენებს სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს, რომლებიც ხშირად სცილდება კანონიერების მოთხოვნებს.

**ლოზანის კონფერენცია 1922-23**, საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოიწვიეს ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოსაწესრიგებლად თურქეთში ქემალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო თურქეთთან სამშვიდობო შეთანხმების მომზადება და შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის განსაზღვრა. მიმდინარეობდა 1922 წლის 20 ნოემბრიდან 1923 წლის 24 ივლისამდე ლოზანაში (შვეიცარია). მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, იაპონია, აშშ (მეთვალყურედ), თურქეთი. საბჭოთა და ბულგარეთის დელეგაციები მონაწილეობდნენ მხოლოდ შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის საკითხის განხილვაში. კერძო საკითხების განხილვაზე დაუშვეს ზოგიერთი სხვა ქვეყანაც. საბჭოთა დელეგაციის პროექტი, რომლის ძირითადი დებულებები *ლენინმა* შეიმუშავა, ითვალისწინებდა სამხედრო ხომალდებისათვის სრუტეების ჩაკეტვას ომისა და მშვიდობიანობის დროს, ხოლო სავაჭრო გემებისათვის – ნაოსნობის სრულ თავისუფლებას. ინგლისი მოითხოვდა (ასახავდა ანტანტის სხვა ქვეყნების პოზიციასაც) სრუტეებში ყველა ქვეყნის არა მარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო გემების თავისუფალ მიმოსვლას, შავი ზღვის სრუტეების დემილიტარიზაციას და მათზე საერთაშორისო კონტროლის (შავი ზღვისპირა და ანტანტის სახელმწიფოების მონაწილეობით) დაწესებას. თურქეთი იმ იმედით, რომ ინგლისი დაეხმარებოდა მას ეკონომიკურად და ტერიტორიული საკითხების მოგვარებაში, დაეთანხმა დიდი ბრიტანეთის პროექტს. მაგრამ ინგლისმა საზავო ხელშეკრულების (თურქეთისათვის) არახელსაყრელი პირობები წამოაყენა (კერძოდ, მოსულის საკითხში, კაპიტულაციის რეჟიმის, ფინანსური პირობების შესახებ და ა. შ.). თურქეთის დელეგაცია არ დათანხმდა და 1923 წლის 4 თებერვალს მოლაპარაკება შეწყდა. განახლდა 1923 წლის 23 აპრილს. ლ.კ-ის მე-2 ეტაპზე ძირითადად განიხილებოდა თურქეთთან საზავო ხელშეკრულების საკითხი. ურთიერთდათმობათა შედეგად ხელი მოაწერეს 17 დოკუმენტს. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო *ლოზანის საზავო ხელშეკრულება 1912* და სრუტეების რეჟიმის კონვენცია. კონვენციას ხელი მოაწერეს დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა, იუგოსლავიამ, თურქეთმა – 1923 წლის 24 ივლისს, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა 1923 წლის 1 აგვისტოს. კონვენცია ითვალისწინებდა სრუტეების ზონის დემილიტარიზაციას, ამასთანავე დასაშვებად თვლიდა ყველა ქვეყნის სავაჭრო და სამხედრო გემების თავისუფალ ნაოსნობას (მცირე შეზღუდვით). საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ამ კონვენციის რატიფიცირებაზე. 1936 ეს კონვენცია შეიცვალა მონტრეს კონფერენციაზე შემუშავებული კონვენციით.

ლ.კ-ზე ხელმოწერილი დანარჩენი 15 დოკუმენტი ეხებოდა კერძო საკითხებს: ტყვეთა დაბრუნებას, ბერძნული და თურქული მოსახლეობის ურთიერთგაცვლას და ა. შ.

**ლოზანის საზავო ხელშეკრულება 1912**, ხელი მოაწერეს 18 ოქტომბერს ლოზანაში (შვეიცარია), დაასრულა ე. წ. ტრიპოლიტანიის ომი (1911-12) იტალიასა და ოსმალეთის იმპერიას შორის. მიაღწია რა დიდი სახელმწიფოებისაგან თავისი პრეტენზიების აღიარებას ორ აფრიკულ პროვინციაზე – ტრიპოლიზე და კირენაიკაზე, რომლებიც თურქეთს ეკუთვნოდა, 28.IX. 1911 იტალიამ თურქეთს წაუყენა ულტიმატუმი – 24 საათში მიეცა თანხმობა იტალიური ჯარების მიერ ტრიპოლისა და კირენაიკას ოკუპაციაზე. თურქეთის მთავრობამ შემრიგებლური ნოტით უპასუხა, რითაც გამოხატა საკითხის დიპლომატიური გზით გადაწყვეტის სურვილი. თუმცა 29 სექტემბერს იტალიამ ომი გამოუცხადა თურქეთს, ხოლო 5 ნოემბერს იტალიის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი ტრიპოლისა და კირენაიკას ანექსიის შესახებ. 1912 წლის ივლისში დაწყებული სამშვიდობო მოლაპარაკების შედეგად 15 ოქტომბერს ხელი მოაწერეს საიდუმლო პრელიმინარულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, სულთანმა გამოაქვეყნა განსაკუთრებული ფირმანი (ბრძანება) ტრიპოლისა და კირენაიკას მოსახლეობისათვის სრული ავტონომიის მინიჭების შესახებ. ამის საფუძველზე, 3 დღის შემდეგ ლოზანაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელმაც შეწყვიტა საომარი მოქმედებები მხარეებს შორის და თურქეთს დააკისრა თავისი სამხედრო ძალების გამოყვანა ტრიპოლიდან და კირენაი-

კადან. დიდ სახელმწიფოთა ზეწოლის შედეგად იტალიამ იკისრა მის მიერ 1912 ოკუპირებული დოდეკანესის კუნძულების ევაკუაცია, მაგრამ შემდგომში ეს პირობა არ შეასრულა და შეინარჩუნა კუნძულები მეორე მსოფლიო ომამდე. იტალიამ ასევე იკისრა თურქეთის მხარდაჭერა კაპიტულაციის რეჟიმის გაუქმების საკითხში (იხ. *იტალია-საბერძნეთის შეთანხმება და ხელშეკრულებები*). ხელშეკრულებამ ტრიპოლი და კირენაიკა ფაქტიურად იტალიის კოლონიად გადააქცია, რომელსაც იტალიელებმა ლიბია უწოდეს. იურიდიულად თურქეთმა უარი თქვა ლიბიაში ყველა უფლებასა და პრივილეგიაზე *ლოზანის საზავო ხელშეკრულებით* (1923).

**ლოზანის საზავო ხელშეკრულება 1923**, ხელი მოაწერეს 1923 წლის 24 ივლისს ლოზანის კონფერენციაზე (1922-23) ერთი მხრივ, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, იტალიამ, იაპონიამ, საბერძნეთმა, რუმინეთმა, იუგოსლავიამ და მეორე მხრივ – თურქეთმა. ლ.ს.ხ-ის ტერიტორიულმა მუხლებმა (2-22) დააწესა თურქეთის ახალი საზღვრები; ამით იურიდიულად გააფორმა ოსმანთა იმპერიის დაშლა და დააფიქსირა თურქეთის ტერიტორია მის დღევანდელ საზღვრებში. თურქეთისა და ერაყის საზღვრის საკითხი (დავა მოსულის შესახებ) უნდა გადაეწყვიტა თურქეთსა და ბრიტანეთს, ხოლო მათ შორის „შეუთანხმებლობის" შემთხვევაში – *ერთა ლიგას*. ლ.ს.ხ-მ გააუქმა კაპიტულაციის რეჟიმი თურქეთში (მუხლი 28), უცხოელთა ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიები, საერთაშორისო ფინანსური კონტროლი თურქეთზე. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი დათანხმდა ოტომანთა ვალის (ოსმალთა იმპერიის საგარეო ვალის) ნაწილის გადახდაზე (მუხლი 46 და სხვ.). მიუხედავად თურქეთისათვის არასასურველი ზოგიერთი პირობისა, ლ.ს.ხ. წარმოადგენდა თურქეთის დიდ გამარჯვებას, ქემალისტური რევოლუციის შედეგად შექმნილი თურქეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებას.

**ლოიდ ჯორჯი** (Lloyd George) დევიდ (1863-1945), გრაფი დუაიფორი (Dwyfor), ბრიტანეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1890-1945 – თემთა პალატის წევრი; 1905-08 – ვაჭრობის მინისტრი; 1908-15 – ფინანსთა; 1915-16 – სამხედრო მომარაგების; 1916 – სამხედრო მინისტრი; 1916-22 – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 1926 – ლიბერალური პარტიის ლიდერი; 1945-დან – თემთა პალატის წევრი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა *პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე* (1919-20) და *ვერსალის საზავო ხელშეკრულების* (1919) შემუშავებაში. *1922 გენუის კონფერენციაზე* მეთაურობდა დიდი ბრიტანეთის დელეგაციას. 1922 გადადგა. გერმანიაში ჰიტლერის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მიიჩნევდა, რომ გერმანული ნაციზმი ვერაფერს დააკლებდა დიდი ბრიტანეთის პოზიციებს. როდესაც დარწმუნდა, რომ ეს ასე არ იყო, აქტიურად დაუჭირა მხარი ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას.

**ლოკარნოს ხელშეკრულებები 1925**, მომზადდა 5-16. X ლოკარნოში (შვეიცარია) მიმდინარე ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, პოლონეთის და ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე. ხელი მოაწერეს 1. XII ლონდონში. კონფერენციის მოწვევის უშუალო საბაბი გახდა გერმანიის მთავრობის მემორანდუმი დიდი ბრიტანეთის მთავრობისადმი (20. I) დასავლეთევროპული საგარანტიო პაქტის დადების წინადადებით.

კონფერენციაზე პარაფირებულ იქნა 9 დოკუმენტი: პაქტი გერმანიას, ბელგიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და იტალიას შორის (რაინის საგარანტიო პაქტი 1925); საარბიტრაჟო შეთანხმებები გერმანიასა და საფრანგეთს, გერმანიასა და ბელგიას შორის; საარბიტრაჟო ხელშეკრულებები გერმანიასა და პოლონეთს, გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის; საგარანტიო ხელშეკრულებები საფრანგეთსა და პოლონეთს, საფრანგეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის; დასკვნითი ოქმი და ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლთან დაკავშირებით გერმანიის კოლექტიური წერილის პროექტი.

პაქტის მიხედვით, მისმა მონაწილეებმა იკისრეს ტერიტორიული სტატუს-კვოს შენარჩუნება, კერძოდ, გერმანია-ბელგიის და გერმანია-საფრანგეთის საზღვრების ხელშეუხებლობა, რომელიც განისაზღვრა ვერსალის საზავო ხელშეკრულებით (1919); ასევე ამ ხელშეკრულების დებულების დაცვა, რომელიც რაინის ოლქის დემილიტარიზაციას შეეხებოდა. მხარეებმა იკისრეს თავდაუსხმელობის ვალდებულება და უარი თქვეს საომარ მოქმედებაზე. სადავო საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ მოხერხდებოდა დიპლომატიური გზით, უნდა მოწესრიგებულიყო საარბიტრაჟო შეთანხმებების შესაბამისად.

საფრანგეთ-პოლონეთის და საფრანგეთ-ჩეხოსლოვაკიის ხელშეკრულებების თანახმად, საფრანგეთმა იკისრა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დახმარება გერმანიის მხრიდან მათზე თავდასხმის შემთხვევაში, თუმცა საფრანგეთის აქტიური მოქმედებები დამოკიდებული იყო ერთა ლიგის გადაწყვეტილებებზე, ანუ ფაქტობრივად დიდი ბრიტანეთის პოზიციაზე, რომელიც არავითარი ვალდებულებით არ იყო დაკავშირებული პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან.

ასე რომ, გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრები, დასავლეთისაგან განსხვავებით, არ იყო გარანტირებული პაქტზე ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ.

7.III. 1936 ლ.ხ. ცალმხრივად დაარღვია ჰიტლერულმა გერმანიამ. იმავე დღეს რაინის დემილიტარიზებულ ზონაში შეიყვანეს გერმანიის ჯარები.

**ლოკარტ ბრიუსი** (Bruce Lockhart) რობერტ (ჰამილტონ) (1887-1970), ბრიტანელი დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1912. 1912-15 – მოსკოვში დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსული, 1915-17 – გენერალური კონსული. 1918 წლის იანვარ-სექტემბერში სათავეში ჩაუდგა ბრიტანულ მისიას საბჭოთა რუსეთში. 1918 წლის აგვისტოში დააპატიმრეს და ოქტომბერში გააძევეს რუსეთიდან. 1918-22 მუშაობდა ჩეხოსლოვაკიაში დიდი ბრიტანეთის მისიაში. 1939-40 – ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის განყოფილების თანამშრომელი; 1940-41 – დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიის დროებით მთავრობასთან ლონდონში; 1941-45 – საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

**ლომეს კონვენციები**, ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზების განვითარებად სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ, ხელი მოაწერეს

ლომეში (ტოგო); დაიდო 5 წლით: პირველი კონვენცია – 28.II. 1975, მეორე – 31.X. 1979 (ძალაში შევიდა 1.I. 1981), მესამე – 10.XII. 1984 (ძალაში შევიდა 1985 წლის მარტში).

ლ.ა-ის მონაწილეები არიან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნები და 66 განვითარებადი სახელმწიფო.

პირველი კონვენცია ითვალისწინებდა ევროგაერთიანების ქვეყნების მიერ საბაჟო გადასახადისა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზების ქვეყნებიდან შეტანილ საქონელზე შეზღუდვის გაუქმებას. სამაგიეროდ ამ ქვეყნებმა იკისრეს ევროგაერთიანების წევრი ქვეყნებისათვის უპირატესი ხელშემწყობის სტატუსის მინიჭება.

მეორე კონვენცია ითვალისწინებდა ამ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას სოფლის მეურნეობის სფეროში, ასევე – ევროგაერთიანების ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების გაზრდას.

ლ.ა-ის რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა ხდება ევროგაერთიანებისა და აფრიკის, კარიბის ზღვის და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს, საკონსულტაციო ასამბლეის და ელჩების კომიტეტის მიერ.

**ლონდონის დეკლარაცია 1909** (საზღვაო ომის სამართლის შესახებ), ხელი მოაწერეს 26.II. 1909 ლონდონის 1908-09 საზღვაო კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებმა. დეკლარაცია შედგება 70 მუხლისაგან, რომლებშიც პირველად იქნა სისტემატიზებული საზღვაო ომის წესები და ჩვეულებანი. დეკლარაციის მიერ მარეგულირებელ საკითხთა სპექტრზე მიუთითებს მისი ცალკეული ნაწილების სახელწოდებანი: ბლოკადა ომის დროს, სამხედრო კონტრაბანდა, ნეიტრალიტეტის საწინააღმდეგო ქმედებანი, ნეიტრალური დროშით გადასვლა, ბადრაგი და სხვ. დეკლარაციაში ასახული ნორმები სრულიად არ ემთხვეოდა ხელმომწერ სახელმწიფოთა ინტერესებს, მაგრამ არც ეწინააღმდეგებოდა მათ პრინციპულ მოსაზრებებს. ამიტომ კომპრომისის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი მიღება. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში დეკლარაცია არ იქნა რატიფიცირებული სახელმწიფოთა მიერ (1916 ბრიტანეთის და საფრანგეთის მთავრობებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი მემორანდუმი ლონდონის დეკლარაციაზე უარის თქმის თაობაზე), იგი დღესაც ინარჩუნებს საკმაოდ დიდ მნიშვნელობას როგორც საზღვაო ომის წარმოების ჩვეულებითი ნორმების კრებული.

ლიტ. Коломбос Д. Международное морское право, М., 1975, с. 423–25.

**ლონდონის დეკლარაცია 1914** (რუსეთის, საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთისა, პირველ მსოფლიო ომში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატული ზავის დაუდებლობის შესახებ), ხელი მოაწერეს 23. VIII (5. IX). დეკლარაციის თანახმად, მხარეებმა იკისრეს, არ დაედოთ სეპარატული ზავი ომის განმავლობაში და არ წაეყენებინათ საზავო პირობები დანარჩენ მოკავშირეებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. 19. X დეკლარაციას შეუერთდა იაპონია, 21. XI – იტალია.

**ლონდონის თათბირები 1948-49** (აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის წარმომადგენლებს შორის გერმანიის საკითხზე).

1. თათბირი 1948 ჩატარდა 23.II-1.VI ლონდონში; მოიწვიეს აშშ-ის ინიციატივით.

6. III კომუნიკემ დააფიქსირა თათბირის მონაწილეთა გადაწყვეტილება, გერმანიის ოკუპაციის 3 დასავლური ზონა შეეტანათ *„მარშალის გეგმაში"* და ზოგადად ჩამოაყალიბა დასავლეთგერმანული სახელმწიფოს შექმნის გეგმა.

საბჭოთა მთავრობამ 13. II და 6. III ნოტაში პროტესტი გამოთქვა ლონდონის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ, რაც, მისი აზრით, *ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის* (1945) დადგენილებათა დარღვევას წარმოადგენდა.

ლონდონის თათბირის მეორე ეტაპზე (დაიწყო 20. IV) შემუშავებული რეკომენდაციები ითვალისწინებდა ოკუპაციის დასავლურ ზონებში „დამფუძნებელი კრების" მოწვევას დასავლეთ გერმანიის კონსტიტუციის შემუშავებისათვის. თათბირის მონაწილეები შეთანხმდნენ რურის ოლქზე „საერთაშორისო კონტროლის" დაწესებაზე.

თათბირის დასრულების შემდეგ სწრაფი ტემპით დაიწყო დასავლეთგერმანული სახელმწიფოს შექმნა.

2. თათბირი 1949 ჩატარდა იანვარ-მარტში ლონდონში და მას საიდუმლო ხასიათი ჰქონდა.

თათბირის მონაწილეებმა შეიმუშავეს ე. წ. საოკუპაციო სტატუტი დასავლეთ გერმანიისათვის, განიხილეს რეპარაციის თანხის შემცირების, ასევე რურზე „საერთაშორისო კონტროლის" განხორციელების საკითხები.

სტატუტის თანახმად, ოკუპაციის პერიოდში, რომლის ვადა არ იყო დაფიქსირებული, სამი სახელმწიფო ინარჩუნებდა უზენაეს ხელისუფლებას დასავლეთ გერმანიაში.

საოკუპაციო სტატუტი დამტკიცდა 8.IV. 1949 აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ვაშინგტონის კონფერენციაზე და ძალაში შევიდა 21.IX. 1949, ანუ გფრ-ის პირველი მთავრობის ჩამოყალიბების მეორე დღეს. სტატუტი გაუქმდა 5.V. 1955 პარიზის შეთანხმებების (1954) ძალაში შესვლის შემდეგ (იხ. *დასავლეთევროპული კავშირი*).

**ლონდონის კლუბი („ბირთვული კლუბი")**, სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც აწარმოებს რა ბირთვულ მასალებს, მოწყობილობებსა და ტექნოლოგიას, სპეციალური შეთანხმების საფუძველზე ვალდებულებას კისრულობს, განახორციელოს მათი ექსპორტირება სპეციალური წესების შესაბამისად, რათა შენარჩუნებულ იქნეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმი. აღნიშნული შეთანხმება მიღწეულ იქნა 1975 ლონდონში, როდესაც მოლაპარაკებათა შედეგად ყოფილმა სსრკ-მა, აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, გფრ-მ, იაპონიამ და კანადამ მიიღეს „ბირთვული ექსპორტისათვის სახელმძღვანელო პრინციპები" და მისი 2 დანართი – „ამოსავალი (ძირითადი) სია" და „ფიზიკური დაცვის დონის კრიტერიუმები". „სახელმძღვანელო პრინციპების" შესაბამისად, ბირთვული მასალები და ტექნოლოგია, რომლებიც ჩამოთვლილია „ამოსავალ სიაში", შეიძლება ექსპორტირებულ იქნეს იმ ქვეყნებში, რომლებიც არ ფლობენ ბირთვულ იარაღს, მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ იქნება შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობის ოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ ბირთვულ ენერგიას არ გამოიყენებენ არასამშვიდობო მიზნით. ასევე ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები რეექსპორტის დროს შესაბამისი პროცედურის დასაცავად. 1976-77 ლ.კ-ში შევიდნენ რიგი სახელმწიფოები (გდრ, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იტალია, ნიდერლანდები, ბელ-

გია, შვეცია, შვეიცარია). 1978 კლუბის მონაწილეებმა გააფორმეს აღნიშნული შეთანხმება მაგატესთან, რომელსაც 1978 და 1980 მიუერთდნენ ავსტრალია და ფინეთი.

ლიტ.: Митирин В. Н. Мирное использование атомной энергии: правовые вопросы. М., 1986, с. 160.

**ლონდონის კონვენცია 1841**, იხ. *ლონდონის კონვენციები სრუტეების შესახებ 1841-71.*

**ლონდონის კონვენცია 1861** (მექსიკაში ერთობლივი ინტერვენციის შესახებ), ხელმოწერილი იყო დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ესპანეთის მიერ 31.X. ინტერვენციის მიზანი იყო სამოქალაქო ომში გამარჯვებული ბენიტო პაბლო ხუარესის პროგრესული მთავრობის დამხობა, რესპუბლიკის ლიკვიდაცია და ევროპული გავლენის გაძლიერება; ამასთან, აღნიშნული სახელმწიფოები ცდილობდნენ ჩარეულიყვნენ აშშ-ის სამოქალაქო ომში მონათმფლობელთა სასარგებლოდ. ლონდონის კონვენციის მონაწილეები ვალდებულებას კისრულობდნენ „გაეგზავნათ სანაპიროსთან სახმელეთო და საზღვაო ძალები" გამაგრებათა დასაკავებლად, ამასთან თანხმდებოდნენ „არ მოეხდინათ არავითარი ისეთი ზემოქმედება მექსიკის საშინაო საქმეებზე, რომელსაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა ჰქონოდა მექსიკის მოსახლეობის არჩევანზე მმართველობის ფორმის შესახებ". კონვენცია აშკარად ორაზროვან ხასიათს ატარებდა, რითაც ისარგებლა ნაპოლეონ III-მ და 1862 წლის გაზაფხულზე დაიწყო ომი მექსიკის წინააღმდეგ, რათა გაევრცელებინა მასზე „იმპერიის" ძალაუფლება და დაესვა იქ ავსტრიის ერცჰერცოგი მაქსიმილიანი. 1862 წლის აპრილში ესპანეთმა, ხოლო შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა, მოერიდნენ რა საფრანგეთთან ურთიერთობის გამწვავებას, უარი განაცხადეს ინტერვენციაზე. 1867 ნაპოლეონ III-ის ექსპედიციის კრახმა ლონდონის კონვენციის მონაწილეთა გეგმების სრული ჩაშლა გამოიწვია.

**ლონდონის კონვენციები 1827, 1840**, 1. კონვენცია (1827) საბერძნეთის ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის შესახებ, ხელი მოაწერეს 24. VI (6. VII) რუსეთის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა წარმომადგენლებმა. კონვენციას საფუძვლად დაედო პეტერბურგის ოქმი (1826).

მხარეებმა იკისრეს, პორტასათვის შეეთავაზებინათ შუამავლობა ბერძნებთან შერიგების მიზნით შემდეგი პირობებით: ბერძნები იქნებოდნენ სულთანზე დამოკიდებულნი და გადაუხდიდნენ ყოველწლიურ ხარკს; მის დანიშვნაში გარკვეულ მონაწილეობას მიიღებდა პორტა; კონვენციის საიდუმლო მუხლი ითვალისწინებდა (თურქეთის მიერ შუამავლობაზე უარის თქმის შემთხვევაში) კონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოების დაახლოებას ბერძნებთან, საბერძნეთში კონსულების გაგზავნას და ელჩების გამოწვევას კონსტანტინოპოლიდან (სტამბული). თუ ასეთი ზომებიც არ იმოქმედებდა, კონვენციის მონაწილეები კისრულობდნენ, ერთობლივად მიემართათ ყველანაირი საშუალებისათვის, რათა მომხდარიყო დაზავება, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა საბერძნეთის საკითხზე მოლაპარაკების დასაწყებად.

თურქეთის მთავრობამ უარყო კონვენციის პირობები. მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო-საზღვაო ესკადრები გაიგზავნა ბერძნების დასახმარებლად მორეის (პელოპონესის) ნაპირებთან. 20.X. 1827 მოკავშირეთა გაერთიანებულმა ძალებმა საზღვაო ბრძოლაში გაანადგურეს თურქულ-ეგვიპტური ფლოტი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბერძნეთის განთავისუფლებას სულთნის თურქეთისაგან.

კონვენციის და ლონდონის ოქმის (1829) პირობები საფუძვლად დაედო *ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების* (1829) იმ ნაწილს, რომელიც საბერძნეთს შეეხებოდა.

2. კონვენცია 1840 თურქეთის სულთნისათვის დახმარების თაობაზე ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალის წინააღმდეგ, დაიდო 3 (15). VII დიდ ბრიტანეთს, რუსეთს, ავსტრიასა და პრუსიას და, მეორე მხრივ, თურქეთს შორის.

სახელმწიფოები შეთანხმდნენ, მოეხდინათ დიპლომატიური და, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ზეწოლა ეგვიპტის ფაშაზე. სულთანს გარანტირებული ჰქონდა დაცვა მუჰამედ ალის თავდასხმის შემთხვევაში, ამასთან ხაზგასმული იყო, რომ ამ მიზნით სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების დროებითი შეყვანა სრუტეებში არ გააუქმებდა უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდებისათვის შავი ზღვის სრუტეების დახურვის პრინციპს. ეს დათქმა არსებითად აუქმებდა უნქიარ-ისკელესის ხელშეკრულების (1833) დებულებებს.

კონვენციას ხელი მოაწერეს საფრანგეთის გარეშე. იგი ითვალისწინებდა სახელმწიფოთა კოლექტიურ გამოსვლას, რაც გამორიცხავდა რუსეთის სეპარატულ მოქმედებებს.

19. VIII კონვენციის მონაწილე ქვეყნებმა მუჰამედ ალისაგან მოითხოვეს, სულთნისათვის დაებრუნებინა ყველა მისი სამფლობელო ეგვიპტისა და პალესტინის გარდა. მუჰამედ ალიმ ეს მოთხოვნა უარყო. 10.IX. 1840 დიდმა ბრიტანეთმა და ავსტრიამ თურქეთთან ერთად დაიწყეს სამხედრო მოქმედებები ეგვიპტის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა მუჰამედ ალის კაპიტულაცია.

სრუტეების რეჟიმი შემდგომში შეიცვალა ლონდონის კონვენციით სრუტეების შესახებ (1814).

**ლონდონის კონვენციები აგრესიის განსაზღვრის შესახებ 1933**, დაიდო 3-5. VIII ლონდონის ეკონომიკურ კონფერენციაზე ყოფილი სსრკ-ის ინიციატივით. წინ უძღოდა მნიშვნელოვანი მუშაობა ჟენევის 1933 კონფერენციაზე განიარაღების საკითხებზე. კონვენციის პრეამბულაში სპეციალურად იყო ხაზგასმული, რომ „ბრიან-კელოგის აქტი კრძალავდა ყოველგვარ აგრესიას; განსაკუთრებით იყო გამოკვეთილი, რომ აგრესიის განსაზღვრების მიღების უმთავრესი მიზანი იყო შემდეგი: უგულებელყოფილ იქნეს ყოველგვარი მცდელობა აგრესიის აქტის გამართლებისა". კონვენციის მიხედვით თავდამსხმელად ჩაითვლება სახელმწიფო, რომელიც ჩაიდენს ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას: ა) გამოუცხადებს ომს მეორე სახელმწიფოს; ბ) შეიჭრება თავისი შეიარაღებული ძალებით მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუნდაც ომის გამოცხადების გარეშე; გ) თუნდაც ომის გამოცხადების გარეშე თავისი სამხედრო-საზღვაო, საჰაერო ან სახმელეთო ძალებით დაესხმება თავს მეორე სახელმწიფოს ტერიტორიას, საზღვაო ან საჰაერო ხომალდებს; დ) განახორციელებს სხვა სახელმწიფოს სანაპიროს ან პორტების საზღვაო ბლოკადას; ე) ხელს შეუწყობს შეიარაღებულ ბანდებს, რომლებიც შეიჭრებიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კონვენციის მე-3 მუხლში ნათქვამია, რომ არანაირი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური ან სხვა მოსაზრებანი არ შეიძლება ჩაით-

ვალოს აგრესიის გამართლებად. კონვენციათა უპირველესი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ ეს იყო პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებანი:

1. კონვენციის მონაწილენი იყვნენ ავღანეთი, ლატვია, ირანი, პოლონეთი, რუმინეთი, ესტონეთი, ყოფილი სსრკ. დაიდო 3.VIII. 1934 შეუერთდა ფინეთი;

2. კონვენცია სსრკ-სა და ლიტვას შორის – 5. VIII, რომლებმაც დააფიქსირეს აგრესიის ობიექტური განმარტება. აღნიშნული კონვენციები წარმოადგენდნენ საფუძველს აგრესიის განმარტების შემდგომი ეტაპების, კერძოდ, გაეროს 1974 14. XII მიღებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციისა.

ლიტ.: Баскин Ю. Я., Фельдман Д. И., История международного права, М., 1990, с. 155–162.

**ლონდონის კონვენციები სრუტეების შესახებ 1841-71**, I. **1841 კონვენცია** იყო პირველი მრავალმხრივი კონვენცია, რომელიც შავი ზღვის სრუტეების საერთაშორისო-სამართლებრივ რეჟიმს ეძღვნებოდა. ხელმოწერილ იქნა 1841 წლის 13 ივლისს ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, პრუსიის, რუსეთისა და თურქეთის მიერ. კონვენციის უმნიშვნელოვანეს დებულებას წარმოადგენდა ის, რომ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები ცხადდებოდა დახურულად ყველა სახელმწიფო სამხედრო გემისათვის მშვიდობიან პერიოდში. კონვენცია ავალდებულებდა თურქეთს, არ დაეშვა სრუტეებში არც ერთი სამხედრო გემის ყოფნა მშვიდობიან პერიოდში. კონვენცია არაფერს არ ამბობდა სრუტეების სამართლებრივ რეჟიმზე საომარ პერიოდში. კონვენციის დადებით მეტად არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა რუსეთი, რომელმაც საბოლოოდ დაკარგა ის პრივილეგირებული მდგომარეობა, რომელიც მას ეკავა აღნიშნულ სრუტეებში 1833 უნქიარ-ისკელესის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული ხელშეკრულებით, ლონდონის კონვენციის ხელმოწერამდე, შავი ზღვა ითვლებოდა თურქეთისა და რუსეთის დახურულ ზღვად, ხოლო სრუტეებში მოძრაობა შესაბამისად რეგულირდებოდა რუსეთ-თურქეთის ორმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე. 1841 კონვენციამ შექმნა პრეცედენტი და საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული სრუტეების საერთაშორისო რეგულირებისათვის, რაც განხორციელებულ იქნა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრისა და ნაოსნობის რეგულირებისას (იხ. *მონტრეს კონფერენცია 1936*).

2. **1871 კონვენცია** (ოფიციალური სახელწოდება „ხელშეკრულება პარიზის 1856 ხელშეკრულების ზოგიერთი დებულების შეცვლის თაობაზე", იხ. *პარიზის კონგრესი 1856*), დაიდო ავსტრია-უნგრეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, რუსეთის, თურქეთისა და საფრანგეთის მიერ. გადასინჯულ იქნა ის დებულებები, რომლებიც ხელყოფდნენ რუსეთის, როგორც შავი ზღვისპირა სახელმწიფოს ინტერესებს. კონვენციამ გააუქმა 1856 ხელშეკრულების ის დებულებანი, რომლებიც ზღუდავდნენ რუსეთის სუვერენულ უფლებებს შავ ზღვაზე, და აგრეთვე ხელშეკრულების თანმხლები რუსეთ-თურქეთის კონვენცია. ყოველივე ზემოაღნიშნული მოასწავებდა შავი ზღვის „ნეიტრალიზაციის" მცდელობის გაუქმებას, ვინაიდან რუსეთსა და თურქეთს ნება ეძლეოდათ ჰყოლოდათ შავ ზღვაში შეუზღუდავი რაოდენობის სამხედრო ხომალდები, ამასთან, შენარჩუნებული იყო უცხო სახელმწიფოთა სამხედრო ხომალდების დაუშვებლობის პრინციპი სრუტეებში. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რუსეთის ინტერესები შავ ზღვაში მკვეთრად იქნა შეზღუდული და შელახული, ვინაიდან 1871 კონვენცია აძლევდა სულთანს ნებას „მშვიდობიან დროს თავისი შეხედულებისამებრ გაეხსნა სრუტეები მეგობარი სახელმწიფოების სამხედრო ხომალდებისათვის", რაც პრაქტიკულად რუსეთის ინტერესების სრულიად საპირისპირო რეჟიმს აწესებდა შავ ზღვაზე.

**ლონდონის კონფერენცია 1830-31** (რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენელთა მონაწილეობით), მიმდინარეობდა 1830 წლის ოქტომბრიდან 1831 წლის ნოემბრამდე (შესვენებებით). მიზნად ისახავდა დიდ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა მოწესრიგებას 1830 წლის აგვისტოს რევოლუციის შედეგად ნიდერლანდების სამეფოსაგან ბელგიის გამოყოფისა და მის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო (ეს უკანასკნელი ნიდერლანდების სამეფოს შემადგენლობაში შევიდა *ვენის კონგრესის 1814-15* გადაწყვეტილებით).

3(15).XI. 1831 კონფერენციის მონაწილეებმა ბელგიის რწმუნებულთან ერთად ხელი მოაწერეს ლონდონის ხელშეკრულებას ბელგიის სამეფოს შექმნის შესახებ. მხარეებმა ცნეს ბელგიის დამოუკიდებლობა და იკისრეს, მიეღოთ ნიდერლანდების თანხმობა ხელშეკრულების პირობებზე. ხელშეკრულების თანახმად, ბელგიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა შემდეგი პროვინციები: სამხრეთ ბრაბანტი, ლიეჟი, ნამიური, ჰენეგაუ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ფლანდრია, ანტვერპენი და ლიმბურგის ნაწილი, ასევე ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს ნაწილი. თითოეული მხარე (ბელგიაც და ნიდერლანდებიც) უარს აცხადებდა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ხელშეკრულების მიხედვით მეორე მხარის მფლობელობაში გადავიდა. ხაზგასმული იყო, რომ ბელგია აღნიშნულ საზღვრებში იქნებოდა მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფო. მას მიეცა უფლება, ესარგებლა ყველა იმ საწყალოსნო გზით, რომელიც კვეთდა ბელგიას და ნიდერლანდებს. ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო ამ ორი სახელმწიფოს ორმხრივი ფინანსური ვალდებულებები, კერძოდ, ნიდერლანდების სამეფოს ვალის გადანაწილების შესახებ.

2(14). XII დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, ავსტრიის, პრუსიისა და ბელგიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ლონდონის მე-2 ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ვენის კონგრესის შემდეგ ნიდერლანდების მიერ ბელგია-საფრანგეთის საზღვარზე აგებული ციხესიმაგრეები უნდა დანგრეულიყო (ცალკე დადებული საიდუმლო მუხლის თანახმად, ის ციხესიმაგრეები, რომლებიც განადგურებას არ ექვემდებარებოდა, ბელგიას გადაეცა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით). ნიდერლანდების მთავრობა ანტვერპენის ძალისმიერი გზით შენარჩუნების რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ იძულებული გახდა, ეცნო ბელგიის დამოუკიდებლობა და 21.V. 1833 ხელი მოაწერა მასთან შეთანხმებას ლონდონის ხელშეკრულების (3.(15).XI. 1831) პირობების საფუძველზე.

**ლონდონის კონფერენცია 1921**, ჩატარდა 21. II-14. III, ერთი მხრივ, ანტანტის რიგი სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ბელგიის, საბერძნეთის) და მეორე მხრივ, დამარცხებული ქვეყნების – გერმანიისა და თურქეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. კონფერენციაზე განიხილეს ახლო აღმოსავლეთისა და რეპარაციის

საკითხები, საფრანგეთმა და იტალიამ წამოაყენეს წინადადება, განეხილათ საბერძნეთ-თურქეთის ომის შეწყვეტის საკითხი და გადაესინჯათ *სევრის საზავო ხელშეკრულების (1920)* ის მუხლები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებდა დიდ ბრიტანეთს. თურქეთის დიდი ეროვნული კრების ანკარის მთავრობის დელეგაციამ, რომელიც კონფერენციის გახსნის შემდეგ სტამბულის სულთნის მთავრობასაც წარმოადგენდა, მოითხოვა თურქეთის აღდგენა 1913 საზღვრებში (არაბული ქვეყნების ტერიტორიების გარეშე); სრუტეების რეჟიმის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის უშიშროებასა და სუვერენიტეტს, თურქეთის სამხედრო-საზღვაო ძალების არსებობის უფლებას იმ რაოდენობით, რაც საკმარისი იქნებოდა თავდაცვითი მიზნებისათვის; ასევე კაპიტულაციის რეჟიმის გაუქმება. ანტანტის სახელმწიფოთა წინადადებები, რომლებიც არ შეეხებოდა სევრის ხელშეკრულების ძირითად მუხლებს და მხოლოდ უმნიშვნელოდ ითვალისწინებდა თურქეთისა და საბერძნეთის მოთხოვნებს, უარყვეს როგორც თურქეთის, ისე საბერძნეთის დელეგატებმა. ამის შედეგად კონფერენცია უშედეგო აღმოჩნდა. მისი დახურვისთანავე საბერძნეთის არმიამ განაახლა ანატოლიაზე შეტევა. შემდგომში ახლო აღმოსავლეთის საკითხი *ლოზანის კონფერენციის (1922-23)* განხილვის საგანი გახდა.

ანტანტის სარეპარაციო გეგმა ითვალისწინებდა გერმანიის მიერ 226 მლრდ ოქროს მარკის გადახდას. გერმანია შეედავა ამ თანხას, ასევე გეგმის სხვა პუნქტებს და დათანხმდა მხოლოდ 30 მლრდ ოქროს მარკის გადახდაზე. ანტანტის ქვეყნებმა უარი თქვეს კონტრპრეტენზიების განხილვაზე და გერმანიას გადასცეს მემორანდუმი, რომელშიაც მითითებული იყო, რომ თუ 7.III. 1921-მდე გერმანია არ მიიღებდა რეპარაციის გეგმას, ისინი მოახდენდნენ დუისბურგის, რურორტის და დიუსელდორფის ოკუპაციას, თავის სასარგებლოდ გამოიყენებდნენ გერმანული საბაჟოების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიათა საზღვრებზე აკრეფილ გადასახადებს და დააწესებდნენ საბაჟოთა ხაზს მდ. რაინზე. რადგან აღნიშნულ დროს გერმანიის მთავრობამ არ უპასუხა, 9.III ანტანტის ჯარებმა მოახდინეს ზემოაღნიშნული ქალაქების ოკუპაცია და დაიწყეს ეკონომიკური სანქციების განხორციელება. სარეპარაციო გეგმა გერმანიისათვის მიიღეს ლონდონის კონფერენციაზე (1924) (იხ. *„დაუესის გეგმა"*).

**ლონდონის კონფერენცია 1924**, იხ. *„დაუესის გეგმა"*.

**ლონდონის კონფერენცია 1930** (საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ), მიმდინარეობდა 21. I-22.IV. მოიწვიეს ხუთი სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, საფრანგეთი, იტალია) შორის შეთანხმების მისაღწევად იმ კატეგორიების სამხედრო ხომალდების მშენებლობის შეზღუდვის შესახებ, რომელთაც არ ითვალისწინებდა ამ სახელმწიფოთა ხელშეკრულება (1922), (იხ. *ვაშინგტონის კონფერენცია 1921-22*).

კონფერენციაზე მწვავე კამათი გაიმართა საფრანგეთსა და იტალიას შორის, რომელიც მოითხოვდა თავისი ფლოტის სრულ გათანაბრებას ფრანგულ ფლოტთან ხომალდების ყველა კატეგორიის მიხედვით. რადგან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ორივე ქვეყანამ უარი თქვა, ეკისრა ახალი ვალდებულებები სამხედრო-საზღვაო მშენებლობის შეზღუდვის შესახებ.

ლონდონის კონფერენციას ჩაშლის საფრთხე დაემუქრა იაპონიის დელეგაციის პოზიციის გამო, რომელიც ცდილობდა მიეღო იაპონიისათვის მძიმეწონიანი კრეისერებისა და დამხმარე ხომალდების ყოლის უფლება, რომლის საერთო ტონაჟი შეადგენდა აშშ-ის ასეთივე ტიპის ხომალდების ტონაჟის 70%-ს. საბოლოოდ მხარეებმა მიაღწიეს კომპრომისს. იაპონია დათანხმდა იმაზე, რომ მის სამხედრო-საზღვაო ფლოტს (ამერიკულთან მიმართებაში) უნდა შეედგინა საერთო ტონაჟის მიხედვით: მძიმეწონიან კრეისერებს – 60%, მსუბუქ კრეისერებს და საესკადრო ნაღმოსნებს – 70%, წყალქვეშა ნავებს – 100%.

რადგანაც აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიას შორის სადავო საკითხები მოწესრიგდა, ხოლო საფრანგეთ-იტალიის მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა, გადაწყდა, რომ კონფერენციის მონაწილეები ხელს მოაწერდნენ ხელშეკრულებას მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებზეც მიაღწიეს საერთო შეთანხმებას. საერთო ხელშეკრულებაში დამატებითი პუნქტის სახით შეეყვანდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და იაპონიის შეთანხმება საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვის შესახებ.

22. IV. ხელმოწერილი ხელშეკრულება (ძალაში შევიდა 1.I. 1931) საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვისა და შემცირების შესახებ ითვალისწინებდა, მხარეების ვალდებულებას (არ ვრცელდებოდა საფრანგეთსა და იტალიაზე), 1931-36 განმავლობაში არ ჩაეშვათ ზღვაში ახალი სახაზო გემები. აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა და იაპონიამ იკისრეს ზოგიერთი სახაზო გემის ჩაბარება და ხელახლა მოწყობა, რათა ხელშეკრულების რატიფიკაციიდან 14 თვის შემდეგ პირველ ორ ქვეყანას დარჩენოდა 15-15 სახაზო გემი, ხოლო იაპონიას – 9.

ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელსაც ხელი მოაწერა მხოლოდ სამმა სახელმწიფომ, აწესებდა ზღვრულ ტონაჟს კრეისერების, საესკადრო ნაღმოსნების და წყალქვეშა ნავების კატეგორიებში. ამ კატეგორიების ხომალდთა საერთო ტონაჟი, რომლის გადაჭარბება არ შეიძლებოდა 31.XII. 1936-მდე, უნდა ყოფილიყო: ბრიტანეთის იმპერიისათვის – 541,7 ათასი ტონა, აშშ-თვის – 526,2 ათასი ტონა, იაპონიისათვის – 367,05 ათასი ტონა, მძიმეწონიანი კრეისერების ზღვრული რიცხვი იყო შესაბამისად 15, 18 და 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 31.XII. 1936-მდე. შეზღუდული იყო ხელშეკრულების მხოლოდ იმ ნაწილის მოქმედების ვადა, რომელიც შეეხებოდა წყალქვეშა ნავების გამოყენებას ომის დროს; სავაჭრო ხომალდებთან მიმართებაში მათ უნდა დაეცვათ წყალზედა ხომალდებისათვის დადგენილი საერთაშორისო სამართლის ნორმები. კონფერენციის გადაწყვეტილებებით ყველაზე მეტად ისარგებლა იაპონიამ. აშშ დაკმაყოფილდა იმით, რომ ფორმალურად დაკანონდა ამერიკული და ბრიტანული ფლოტების თანასწორობა. დიდმა ბრიტანეთმა მიაღწია იმ კატეგორიის ხომალდების შეზღუდვას, რომელთა მშენებლობაც განსაკუთრებით გააქტიურდა აშშ-ში, თუმცა მას მოუხდა დათანხმებოდა იაპონიის ფლოტის გაძლიერებას. კონფერენციამ ვერ გადაწყვიტა მის მონაწილეთა სამხედრო-საზღვაო მეტოქეობის საკითხი.

**ლონდონის კონფერენცია სუეცის არხის საკითხზე 1956**, იხ. *არხები საერთაშორისო*.

**ლონდონის კონფერენციები 1827-32** (საბერძნეთის საკითხებზე), *ლონდონის კონვენციის 1827* ხელმოწერის შემდეგ დიდი ბრიტანეთის, რუსეთის და საფრანგეთის რწმუ-

ნებულები შეიკრიბნენ ლონდონში კონვენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და განვითარების ერთობლივ ღონისძიებათა შემუშავებისათვის. 1827 წლის დეკემბერში რუსეთის ინიციატივით ხელი მოაწერეს „ოქმს უანგარობის შესახებ", რომლის თანახმად, თურქეთთან ომის შემთხვევაში სახელმწიფოები კისრულობდნენ ზავის დადებისას ლონდონის კონვენციის (1827) დადგენილებათა დაცვას. 1828 წლის აპრილში რუსეთ-თურქეთის ომმა გააძლიერა რუსეთის მოკავშირეთა შეშფოთება. საბერძნეთში რუსეთის გავლენის საპირისპიროდ (რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1827 საბერძნეთის პრეზიდენტად გრაფ ი. ა. *კაპოდისტრიასის* არჩევის შემდეგ) საფრანგეთის მთავრობამ მიაღწია მოკავშირეთა თანხმობას მორეაში (პელოპონესში) საოკუპაციო კორპუსის გაგზავნაზე. 7(19). VII, 1828 ოქმში კონფერენციის მონაწილეები მიუთითებდნენ, რომ თურქეთის მიერ მორეას დაკავება და მისი მტკიცე უარი ზავის დადებაზე მოითხოვდა სამი სახელმწიფოს უფრო ენერგიულ მოქმედებებს. ამასთან დაკავშირებით ლონდონში მიიღეს გადაწყვეტილება, გაეგზავნათ მორეაში ფრანგული ჯარების კორპუსი, რომელიც სახელმწიფოთა სახელით მოახდენდა თურქეთის ჯარების ბლოკირებას და გააძლიერებდა დიდი ბრიტანეთის ფლოტს ხმელთაშუა ზღვაში – ჯარების გადაყვანაში ხელშეწყობის მიზნით. საფრანგეთის კორპუსის მორეაში ჩასვლის დროისათვის (1828 წლის სექტემბერ-ოქტომბერი) საბერძნეთის მეამბოხეთა არმიამ რუსეთის არმიის დახმარებით (რომელმაც გაიმარჯვა თურქეთზე ბალკანეთში) დაიცვა ნახევარკუნძულის ძირითადი ნაწილი. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მოკავშირე სახელმწიფოებმა 10(22).XIII. 1829 მიიღეს ოქმი, რომლის თანახმად საბერძნეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა მორეა, კიკლადის კუნძულები და კონტინენტური საბერძნეთის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა ვოლოსისა და არტის ყურეების დამაკავშირებელი ხაზის სამხრეთით. პორტას (ოსმალეთის იმპერიის მთავრობის) მიმართ ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ საბერძნეთს მიენიჭა საშინაო ავტონომია მმართველობის კონსტიტუციურ-მონარქიული ფორმით. პირველი მონარქი ინიშნებოდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ, თურქეთის თანხმობით. საბერძნეთმა იკისრა ყოველწლიური ხარკის გადახდა სულთნისათვის 1,5 მლნ პიასტრის ოდენობით. იმ პირებს, რომელთაც სურდათ შეენარჩუნებინათ თურქეთის ქვეშევრდომობა, ეძლეოდათ ერთწლიანი ვადა ქონების გაყიდვისა და ქვეყნიდან თავისუფალი გასვლისათვის. გათვალისწინებული იყო ასევე სრული ამნისტიის გამოცხადება ომში მონაწილე ყველა პირისათვის. დიდი ბრიტანეთის მოთხოვნით ოქმში შეიტანეს შესწორება, რომლის თანახმად, საბერძნეთის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ბერძნებს უნდა შეეწყვიტათ ყველა სამხედრო მოქმედება და გამოეყვანათ ჯარები იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც ოქმში არ იყო აღნიშნული. საბერძნეთის მთავრობამ, რომელიც რიგი დამატებითი შენიშვნებით დაეთანხმა კონფერენციის გადაწყვეტილებას, უარი თქვა ამ უკანასკნელი პირობის შესრულებაზე და უბრძანა თავის ჯარებს წინ წაწევა ჩრდილოეთისაკენ – საბერძნეთის მომავალი სახელმწიფოს გაფართოების მიზნით. თურქეთმა საბერძნეთის დამოუკიდებლობა აღიარა მხოლოდ რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ. 10(22).II. 1829 ოქმის პირობები საფუძვლად დაედო *ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების 1829* მე-10 მუხლს, რომელიც საბერძნეთს ეხებოდა. ბერძნები, რომელთაც არ სურდათ პორტას მიმართ თუნდაც ფორმალური ვასალური დამოკიდებულება, ცდილობდნენ მიეღწიათ სამი სახელმწიფოსაგან სრული დამოუკიდებლობის აღიარებისთვის. 3(15).II. 1830 კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს ლონდონის ოქმს, რომელმაც არსებითად დაასრულა საბერძნეთის საკითხის მოწესრიგება. საბერძნეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, თუმცა მისი ტერიტორია რამდენადმე შემცირდა 10(22).III. 1829 ოქმის პირობებთან შედარებით. საბერძნეთის შემადგენლობაში შევიდა მორეა, კიკლადის კუნძულები და კონტინენტური საბერძნეთის სამხრეთი ნაწილი მდინარეების – სპერხიასა და ასპროპოტამოსის შესართავებს შორის. სამმა სახელმწიფომ საბერძნეთის ტახტზე წამოაყენა დიდი ბრიტანეთის მიერ შეთავაზებული პრინცის, ლეოპოლდ საქსენ-კობურგელის კანდიდატურა. ლეოპოლდი დათანხმდა შემდეგი პირობებით: სამი სახელმწიფოს მიერ საბერძნეთის დამოუკიდებლობის გარანტია, ახალი სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოება არქიპელაგის რიგი კუნძულებისა და ჩრდილოეთი ოლქების მიერთების ხარჯზე; ფინანსური დახმარება სახელმწიფოთა მხრიდან და მათი სამხედრო დახმარების დროებით შენარჩუნება. 8(20).II. 1830 ოქმით კონფერენციის მონაწილეები დათანხმდნენ ამ პირობებზე, ტერიტორიული მოთხოვნების გარდა. თურქეთი რუსეთის ზეწოლის შედეგად დათანხმდა ყველა პირობაზე. საბერძნეთის სენატმა თავის მხრივ მთელი რიგი პირობები წამოაყენა, რითაც აიძულა ლეოპოლდი, უარი ეთქვა მისთვის შეთავაზებულ საბერძნეთის ტახტზე. კაპოდისტრიას სიკვდილის შემდეგ ლონდონში მიიღეს ოქმი (25.IV (7.V). 1832), რომელმაც საბერძნეთის ტახტი მიანდო ოტო ბავარიელს. მას შეჰპირდნენ იგივე გარანტიებს, რაც ადრე ლეოპოლდს შესთავაზეს. ოქმი ითვალისწინებდა ასევე საბერძნეთის საზღვრების გაფართოებას მომავალში ჩრდილოეთით, არტის ყურემდე. 16.IX. 1832 პორტა დთანხმდა ამ ტერიტორიის დათმობაზე 12 მლნ პიასტრად.

**ლონდონის კონფერენციები 1939, 1946-47.** 1. „**მრგვალი მაგიდის" 1939 კონფერენცია** მიმდინარეობდა 7. II-16.III. მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, ეგვიპტის, ერაყის, საუდის არაბეთის, იემენის, ტრანსიორდანიის, პალესტინის არაბთა პოლიტიკური პარტიების, ასევე ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენლები. არაბმა დელეგატებმა უარი თქვეს, ეცნოთ ებრაელთა სააგენტოს უფლებამოსილება, ამიტომ ბრიტანეთის წარმომადგენლები ცალ-ცალკე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ არაბულ და ებრაულ მხარეებთან. ბრიტანეთის მთავრობამ კონფერენციის მონაწილეებს შესთავაზა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ბრიტანეთის მანდატის შენარჩუნებას პალესტინაზე (იხ. *სამანდატო სისტემა*) ათწლიან „გარდამავალ" პერიოდში, რის შემდეგაც პალესტინაში შეიქმნებოდა „დამოუკიდებელი" სახელმწიფო ბრიტანეთის სამხედრო კონტროლქვეშ. არაბულმა მხარემ უარყო ეს გეგმა, მოითხოვა მანდატის დაუყოვნებლივ გაუქმება და პალესტინის დამოუკიდებლობის გამოცხადება. გეგმა ასევე უარყვეს ებრაელთა სააგენტოს წარმომადგენლებმა, რადგან მათ არ აწყობდათ არაბულ-ებრაული სახელმწიფოს შექმნა პროპორციული წარმომადგენლობით.

2. **1946-47 კონფერენცია** მოიწვიეს 1946 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთის ინიციატივით, რომელიც ცდი-

ლობდა ე. წ. „მორისონის გეგმის" განხორციელებას. გეგმა ითვალისწინებდა პალესტინის დაყოფას 4 ავტონომიურ კანტონად (ებრაული, არაბული და 2 კანტონი ბრიტანეთის პირდაპირი მმართველობით), რომლებიც გაერთიანდებოდა „ფედერაციაში" ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის მეთაურობით. კონფერენციაში მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთის, ეგვიპტის, სირიის, ლიბანის, ტრანსიორდანიის, ერაყის, საუდის არაბეთის, იემენის, ასევე არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წარმომადგენლები. პალესტინის არაბთა ორგანიზაციებმა უარი თქვეს კონფერენციაში მონაწილეობაზე. ებრაული სააგენტო დათანხმდა, იმ პირობით, რომ განიხილავდნენ პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნის გეგმას. რადგან ეს პირობა უარყვეს, ებრაული სააგენტო ფორმალურად არ მონაწილეობდა კონფერენციაში, თუმცა მისი წარმომადგენლები იმ დროს ლონდონში იმყოფებოდნენ და მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ დიდი ბრიტანეთის მთავრობასთან. ბრიტანეთმა ვერ შეძლო არაბებისა და ებრაელების დათანხმება „მორისონის გეგმაზე", იძულებული გახდა უარი ეთქვა მანდატზე და პალესტინის საკითხი განსახილველად გადაეცა გაეროსათვის.

**ლონდონის ოქმი 1877**, ხელმოწერილ იქნა 19 (31). III რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიისა და იტალიის მიერ. ბალკანეთის საკითხის მოგვარებისადმი მიძღვნილი კონსტანტინოპოლის კონფერენციის (1876-77) უშედეგოდ დამთავრების შემდეგ , რუსეთ-თურქეთის ურთიერთობანი მკვეთრად გაუარესდა. 1877 წლის თებერვალში რუსეთის მხარემ სპეციალური მისია გააგზავნა ევროპაში, რათა დაერწმუნებინა ევროპის სახელმწიფოები, ხელი მოეწერათ ოქმისათვის, რომელიც დაადასტურებდა იმ შეთანხმებებს, რომლებიც იქნა მიღწეული კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე. მოლაპარაკებათა შედეგად ოქმი ხელმოწერილ იქნა და მას თან დაერთო 2 დეკლარაცია: პირველი მოიცავდა რუსეთის ვალდებულებას, დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებანი იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი გადაიყვანდა თავის ჯარებს სამშვიდობო მდგომარეობაზე და დაიწყებდა რეფორმებს; მეორეში მხარეები აცხადებდნენ, რომ თუ ურთიერთგანიარაღების შეთანხმება არ შესრულდება, ოქმი გამოცხადდებოდა ძალადაკარგულად. თურქეთმა ოქმის მიღებაზე (დიდი ბრიტანეთის ხელშეწყობით) უარი განაცხადა. 24. X დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი.

**ლონდონის საზავო ხელშეკრულება 1913**, ხელი მოაწერეს 30. V ბულგარეთმა, სერბიამ, ჩერნოგორიამ და საბერძნეთმა ერთი მხრივ, და თურქეთმა, მეორე მხრივ. განსაზღვრა ბალკანეთის ტერიტორიულ-პოლიტიკური მოწყობა ბალკანეთის პირველი ომის შემდეგ. ხელშეკრულების თანახმად, თურქეთმა ბალკანეთის სახელმწიფოებს დაუთმო ტერიტორია მიდია-ენოსის ხაზის დასავლეთით (ალბანეთის გარდა, რომლის საზღვრები და საშინაო-პოლიტიკური მოწყობა უნდა განესაზღვრა დიდ სახელმწიფოებს. ალბანეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 28.XI. 1912), ასევე კუნძული კრეტა. ეგეოსის ზღვის სხვა თურქული კუნძულების საკითხი უნდა გადაეწყვიტა დიდ სახელმწიფოებს.

ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი თვის შემდეგ, ბალკანეთის ქვეყნებს შორის ბრძოლამ თურქეთის ბატონობისაგან გათავისუფლებული ტერიტორიების გასაყოფად გამოიწვია ბალკანეთის მე-2 ომი, რომლის დაწყებით (29.VI. 1913) ხელშეკრულება ანულირებულ იქნა.

**ლონდონის საზღვაო კონფერენცია 1935-36**, მიმდინარეობდა 9.XII. 1935 – 25.III. 1936. მასში მონაწილეობდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და იაპონია. კონფერენციის ინიციატორები იყვნენ აშშ და დიდი ბრიტანეთი, ხოლო მიზანი – საზღვაო შეიარაღებათა შემდგომი რეგლამენტაცია. კონფერენციის ინიციატორნი ცდილობდნენ, საზღვაო შეიარაღებათა რეგლამენტაცია იმ მიმართულებით წარემართათ, რომ პრიორიტეტი ზღვაზე აშშ-ისა და ბრიტანეთის ფლოტებს ჰქონოდათ, შესაბამისად ისინი სხვა მხარეებისაგან ფლოტის შეზღუდვასა და შემცირებას ითხოვდნენ. იაპონია თავისი ფლოტის შემცირების წინააღმდეგი წავიდა და მოითხოვა პარიტეტული მდგომარეობა იაპონიის ფლოტისა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ფლოტებთან. უარის მიღების შემდეგ იაპონიის წარმომადგენელმა დატოვა კონფერენცია. იტალიამ, მონაწილეობისდა მიუხედავად, იმის საბაბით, რომ არ ეთანხმებოდა მის წინააღმდეგ ერთა ლიგის მიერ გამოყენებულ სანქციებს (1935-36 იტალიის მხრიდან ეთიოპიის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო), უარი განაცხადა ნებისმიერი სახის შეთანხმებაში მონაწილეობაზე. კონფერენციაზე გარკვეული შეთანხმების მიღწევა მაინც მოხერხდა და 1936 25. III აშშ-მა, დიდმა ბრიტანეთმა (დომინიონებთან ერთად) და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ღია იყო სხვა სახელმწიფოებისათვის და რომელიც გარკვეული სპეციფიკით გამოირჩეოდა, იმდენად რამდენადაც, განსხვავებით წინა ხელშეკრულებებისაგან, ითვალისწინებდა არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ შემცირებას საზღვაო შეიარაღებისა. კერძოდ, ისაზღვრებოდა ხომალდების ტონაჟი, იარაღის კალიბრი: სახაზო გემების წყალწყვა (35 ათასი ტონა), მათი იარაღის კალიბრი (მაქსიმუმი 14 დიუმი), ავიამზიდების წყალწყვა (23 ათასი ტონა), კრეისერების (8 ათასი), წყალქვეშა ნავების – 2 ათასი ტონა. აღნიშნული ხელშეკრულების სტანდარტების შესაბამისი რამდენიმე ხელშეკრულება იქნა დადებული შემდგომში, მათ შორის 1936 დადებული ინგლის-სსრკ-ის ხელშეკრულება, რომლის დებულებანიც მთელ რიგ პუნქტებში ემთხვეოდა წინამდებარე ხელშეკრულებას.

**ლონდონის შეთანხმება 1906** (დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და იტალიას შორის ეთიოპიაში „თანამშრომლობის" შესახებ), ხელი მოაწერეს 13.XII. შეთანხმება ფაქტიურად ნიშნავდა ეთიოპიის დაყოფას გავლენის სფეროებად. მხარეები კისრულობდნენ ეთიოპიაში პოლიტიკური და ტერიტორიული *სტატუს-კვოს*, ასევე ეთიოპიის მიმდებარე კოლონიურ სამფლობელოთა გამიჯვნის შესახებ მათ შორის დადებული შეთანხმების დაცვას. ბრიტანეთის ინტერესთა სფერო მოიცავდა ეთიოპიის ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ ნაწილებს, რომელშიც შედიოდა ნილოსის აუზის მდინარეები; იტალიის ინტერესთა სფერო – ჩრდილოეთ ეთიოპიას და ადის-აბების დასავლეთით მდებარე ტერიტორიას, რომელიც ერითრეას აკავშირებდა იტალიურ სომალისთან; საფრანგეთის ინტერესების სფერო – ფრანგულ სომალისთან მიმდებარე ოლქებს და ჯიბუტი-ადის-აბების რკინიგზის მშენებლობისათვის აუცილებელ ზონას. მხარეებმა იკისრეს ეთიოპიის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, კონცესიების, სავაჭრო და სამრეწველო პრივილეგიების მიღება მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმების გზით, ერთმანეთის ინტერესების დაცვა ეთიოპიაში.

რკინიგზის შემდგომი მშენებლობა ეთიოპიაში არ უნდა დაწყებულიყო ამ სახელმწიფოების ერთმანეთთან შეთანხმების გარეშე. ამასთან, დიდ ბრიტანეთს მიეცა რკინიგზის მშენებლობის უფლება მისი ინტერესების სფეროში, ხოლო იტალიას რკინიგზით უნდა დაეკავშირებინა იტალიური სომალი ერითრეასთან ადის-აბების დასავლეთით. შეთანხმებასთან ერთად ხელი მოაწერეს დამატებით კონვენციას სომალის სანაპიროდან ეთიოპიაში იარაღის შეტანაზე ზედამხედველობის დაწესების შესახებ. მისი მონაწილეობის გარეშე ხელმოწერილი შეთანხმება ეთიოპიამ არ ცნო. მიუხედავად ამისა, ეს იყო ძირითადი დოკუმენტი, რომელმაც მოაწესრიგა დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობა ეთიოპიაში იტალიის მიერ მის დაპყრობამდე 1936. შეთანხმება არაერთხელ იქნა გამოყენებული დიდი სახელმწიფოების მიერ ეთიოპიაზე კოლექტიური დიპლომატიური ზეწოლისათვის.

**ლონდონის ხელშეკრულება 1854** (დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და თურქეთის შეთანხმება რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის შესახებ), ხელი მოაწერეს 10 აპრილს, ყირიმის ომის (1853-56) პერიოდში, მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს რუსეთს (1854 წლის 15-16 მარტს). ლონდონის ხელშეკრულებამ შეავსო 1854 წლის 12 მარტს ხელმოწერილი კონსტანტინოპოლის სამოკავშირეო ხელშეკრულება დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და თურქეთს შორის. ლონდონის ხელშეკრულების მიხედვით, ბრიტანეთი და საფრანგეთი კისრულობდნენ თურქეთის დახმარებას და თავისი ჯარების საკმარისი რაოდენობით გაგზავნას ევროპასა და აზიაში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობისათვის. თავის მხრივ, თურქეთი იღებდა ვალდებულებას, არ დაეწყო მოლაპარაკებები რუსეთთან თავისი მოკავშირეების თანხმობის გარეშე.

**ლონდონის ხელშეკრულება 1867** (ლუქსემბურგის სტატუსის შესახებ), ხელი მოაწერეს 29. IV (11. V) რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, პრუსიისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა – ლუქსემბურგის გამო საფრანგეთ-პრუსიის დავასთან დაკავშირებით ლონდონში მოწვეული საერთაშორისო კონფერენციის დამთავრების შემდეგ. ავსტრია-პრუსიის ომში (1866) პრუსიის გამარჯვების შემდეგ საფრანგეთმა გადაწყვიტა, განემტკიცებინა თავისი პოზიციები პრუსიის მხრიდან მუქარის შემთხვევაში. ამ მიზნით ნაპოლეონ III-მ მიმართა ნიდერლანდების მეფეს და ლუქსემბურგის დიდ ჰერცოგს ვილჰელმ III-ს წინადადებით, შეესყიდა საჰერცოგო, რომელსაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ეკავა. ვილჰელმ III დათანხმდა, თუმცა პრუსიის კანცლერი ო. *ბისმარკი* ამ გარიგების წინააღმდეგ გამოვიდა. პრუსიის პრესაში დაიწყო ინტენსიური ანტიფრანგული კამპანია. აღმოცენდა ომის რეალური საფრთხე. ასეთ პირობებში რუსეთის კანცლერმა ა.მ. გორჩაკოვმა წამოაყენა ლუქსემბურგის საკითხზე კონფერენციის მოწვევის იდეა. 1867 წლის აპრილში რუსეთის ელჩმა ლონდონში ფ.ი. ბრუნოვმა გორჩაკოვის დავალებით სთხოვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ლორდ დერბის ოფიციალურად გამოსულიყო საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის წინადადებით. იმავდროულად ელჩმა ბრიტანეთის პრემიერს გადასცა ლუქსემბურგის სტატუსის შესახებ ხელშეკრულების რუსული პროექტი, რომელიც კერძოდ, ითვალისწინებდა მოლაპარაკების მხარეების მიერ საჰერცოგოს ნეიტრალიტეტის გარანტიას. ბრიტანეთის მთავრობამ თავდაპირველად უარყო ეს პუნქტი, მაგრამ ბრუნოვმა ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე [22.IV(4. V)] შეძლო ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და პრუსიის გადაბირება. შედეგად კონფერენციაზე განიხილეს რუსული პროექტი.

ხელშეკრულების თანახმად, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს გვირგვინი აღიარეს ნასაუს სამეფო სახლის სამემკვიდრეო სამფლობელოდ. ლონდონის შეთანხმებით (1839) დადგენილ საზღვრებში საჰერცოგო გამოცხადდა „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ სახელმწიფოდ. ამასთან, ნეიტრალიტეტის გარანტებად, როგორც რუსული პროექტი ითვალისწინებდა, გამოდიოდა ყველა ხელმომწერი სახელმწიფო ბელგიის გარდა, რომელიც თავად წარმოადგენდა ნეიტრალურ ქვეყანას. ლუქსემბურგი ღია ქალაქად გამოცხადდა. პრუსიამ იკისრა თავისი ჯარების გაყვანა საჰერცოგოს ტერიტორიიდან. ხელშეკრულებამ განამტკიცა ლუქსემბურგის დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი, თავიდან აიცილა მისი შთანთქმა მეზობელ სახელმწიფოთა მიერ.

**ლონდონის ხელშეკრულება 1915** (საიდუმლო), დაიდო ერთი მხრივ, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს, საფრანგეთსა და მეორე მხრივ, იტალიას შორის. ხელი მოაწერეს ლონდონში 26 აპრილს. ხელშეკრულებამ განსაზღვრა *ანტანტის* მხარეზე იტალიის I მსოფლიო ომში (1914-18) ჩაბმის პირობები. იტალიამ იკისრა, არაუგვიანეს ერთი თვისა, გამოეცხადებინა ომი ავსტრია-უნგრეთისათვის და ასევე გამოსულიყო (თარიღი არ იყო დაზუსტებული) ანტანტის „ყველა მტრის“ წინააღმდეგ. სამაგიეროდ იტალიას შეჰპირდნენ ტერიტორიებს ადრიატიკაში (მ. შ. ტრენტინო, სამხრეთ ტიროლი), ეგეოსის ზღვაზე, მცირე აზიაში, აფრიკაში და სხვ.

**ლოპეს მიქელსენი** (López Michelsen) ალფონსო (1913-90), კოლუმბიის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი.

ეროვნული კონგრესის დეპუტატთა პალატის წევრი 1960-66, 1966-70 – სენატორი; 1958-67 – რევოლუციურ-ლიბერალური მოძრაობის, ხოლო 1967 – ლიბერალური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი; 1968-70 – კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრი; 1974-78 – კოლუმბიის პრეზიდენტი.

**ლოსოვი** (Lossow) ოტო ფონ (1868-1938), გერმანელი სამხედრო მოღვაწე და დიპლომატი. 1886 ჩაირიცხა ბავარიის ლაიბ-ბატალიონში. 1888 სწავლა განაგრძო სამხედრო აკადემიაში. 1900-01 ლეიტენანტი ლ. მონაწილეობდა ჩინეთში გაგზავნილ ექსპედიციაში. 1908 ორი წლის ვადით გაიგზავნა პრუსიის დიდ გენშტაბში. 1911, როგორც სამხედრო ინსტრუქტორი, გაიგზავნა ოსმალეთში. ბალკანეთის ომში (1912-13) მეთაურობდა ერთ-ერთ დივიზიას. მას ეკუთვნის მოხსენებითი ბარათი „აზრები რეფორმების თაობაზე თურქეთში“. პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ობერსტი ლ. დასავლეთის ფრონტზე ბავარიის I სარეზერვო კორპუსის შტაბის უფროსია, 1915-16 – კონსტანტინოპოლში გერმანიის სამხედრო ატაშე. 1916 წლის აპრილში გენერალ-მაიორი ლ. გერმანიის გენშტაბის სამხედრო რწმუნებულად ინიშნება პორტას გენშტაბში.

მონაწილეობას იღებდა ბათუმის საზავო კონფერენციაში (1918 წლის აპრილ-ივნისი). დელეგაციის ქართულ ნაწილს პირადი ინიციატივით შესთავაზა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და გერმანიის იმპერიის მფარველობის მოთხოვნა. 1918 წლის 28 მაისს ქ. ფოთში საქართველოსთან შეთანხმებას მოაწერა ხელი (იხ. *საქართველო-გერმანიის შეთანხმებები 1918*). 1919 წლის ოქტომბრიდან მიუნხენის სამხედრო სასწავლებლის დირექტორია.

მიუნხენში ჰიტლერის მიერ მოწყობილი პუტჩის დროს (8-9 ნოემბერი, 1923) ლ-მა პირველ დღეს ლოიალური პოზიცია დაიკავა, მეორე დღეს კი აქტიური როლი შეასრულა მის ლიკვიდაციაში. მიუხედავად ამისა, პუტჩის პირველ დღეს უმოქმედობის გამო 1924 წლის თებერვალში გერმანიის პრეზიდენტის მიერ გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. ამის შემდეგ იგი ჩამოსცილდა სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას.

**ლოჯი** (Lodge) ჰენრი კებოტ უმცროსი (1902-85), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1936-44 და 1946-53 – სენატორი, 1950-იან წლებში – რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი; აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი (1960); 1953-60 – აშშ-ის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში და აშშ-ის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში – კაბინეტის წევრის რანგში; 1961-62 – საერთაშორისო ურთიერთობათა ატლანტიკური ინსტიტუტის (პარიზი) გენერალური დირექტორი; 1963-64 – 1965-67 – აშშ-ის ელჩი სამხრეთ ვიეტნამში; 1967-68 – საგანგებო დავალებათა ელჩი; 1968-69 – აშშ-ის ელჩი გფრ-ში; 1969 – აშშ-ის დელეგაციის მეთაური პარიზის მოლაპარაკებებზე ვიეტნამის საკითხის მოწესრიგების შესახებ; 1968-73, 1970-77 – აშშ-ის სპეციალური დესპანი ვატიკანში.

**ლტოლვილები**, პირები, რომლებიც სამხედრო მოქმედებათა, განსაკუთრებულ გარემოებათა ან დევნის შედეგად იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა, რომელშიც ისინი მუდმივად ცხოვრობდნენ. საერთაშორისო სამართალში ტერმინი „ლტოლვილები" გაჩნდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ლ-თა პრობლემებმა ასახვა პოვა მთელ რიგ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და კონვენციებში, მაგ.: 1951 კონვენცია ლ-თა სტატუსის შესახებ, 1967 ოქმი აღნიშნული კონვენციისათვის და სხვ. გაეროში ფუნქციონირებს ლ-თა საქმეების უმაღლესი კომისარიატი. ლ-თა განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენენ ე. წ. პოლიტიკური ლ., რომლებიც თავიანთ სახელმწიფოში განიცდიდნენ დევნას პოლიტიკური შეხედულებების გამო. ამ პირებს ხშირად de facto მოქალაქეობის არმქონე პირებს ეძახიან, ვინაიდან მათი სტატუსი პრაქტიკულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდება ხოლმე. პოლიტიკური ლ-ის სტატუსი ხშირად არის საფუძველი პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნისა, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამის სახელმწიფოთა საშინაო კანონმდებლობასა და პოლიტიკურ სიტუაციაზეა დამოკიდებული. დღევანდელ მსოფლიოში ლ-თა სტატუსის მქონეთ ასევე უტოლდებიან ე. წ. იძულებით გადანაცვლებული პირები: განსხვავება არის მხოლოდ იმაში, რომ იძულებით გადანაცვლებული პირები არ ტოვებენ თავიანთი ქვეყნის ფარგლებს. ისინი იძულებით ტოვებენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს. იძულებით გადაადგილებულ პირებს საქართველოში წარმოადგენს აფხაზეთიდან და ე. წ. სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობა, ხოლო იმავე რეგიონებიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ (რუსეთში, უკრაინაში) გასული მოსახლეობა ლ-ად მოიხსენიება. საერთაშორისო სამართალში ჯერ-ჯერობით არ არის მკვეთრი გამიჯვნა მოცემული ამ ორი ტერმინისა, ამდენად, როგორც ლ-თა, ასევე იძულებით გადაადგილებულ (გადანაცვლებულ) პირთა პრობლემები ერთი და იმავე დოკუმენტების საფუძველზე რეგულირდება. 1996 მონაცემებით მსოფლიოში 20 მლნ ლ. და 30 მლნ იძულებით გადაადგილებული პირია.

**ლუარსაბ I**, ქართლის მეფე 1527-56, დავით X-ის ძე, საქართველოს გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ირან-ოსმალეთის აგრესიის შეუპოვარი მოწინააღმდეგე. 1526 ლ.I-მა პოლიტიკური კავშირი შეკრა იმერეთის მეფე ბაგრატ III-თან და მისი დახმარებით ქართლის სამეფო ტახტს დაეუფლა. ამიერიდან იმერეთ-ქართლის პოლიტიკური კავშირი იქცა იმ ძალად, რომლის გარშემოც იკრიბებოდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი ძალები. 1535 ლ.I-ის დახმარებით ბაგრატ III-მ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III დაამარცხა და სამთავრო უშუალოდ იმერეთის სამეფოს შეუერთა. XVI ს-ის 30-40-იანი წლების მიჯნაზე ირანის შაჰმა თამაზ I-მა ისარგებლა ოსმალეთის სულთნის სულეიმან I-ის ევროპაში ლაშქრობით და ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ აქტიურ შეტევაზე გადმოვიდა. შირვანის დაპყრობის შემდეგ (1538) შაჰ თამაზ I-მა თავისი საგარეო პოლიტიკის უპირველეს ამოცანად ქართლის სამეფოს ინკორპორაცია დაისახა. ლ.I, ფიზიკურ ბრძოლასთან ერთად, ირან-ოსმალეთის მეტოქეობის გამოყენებასაც შეეცადა. მან 1540 სულეიმან I-ს ელჩი გაუგზავნა და შაჰ თამაზ I-ის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა. სულთანს მაშინ ირანთან ახალი ომის დაწყება არ აწყობდა და ამიტომ ქართლის მეფეს შემწეობის აღმოჩენაზე უარი უთხრა. შაჰ თამაზ I-მა 4-ჯერ (1541, 1547, 1551 და 1554) ილაშქრა ქართლის სამეფოს წინააღმდეგ, მაგრამ მთავარი მიზანი – ლ.I-ის შეპყრობა ან მოკვლა – განუხორციელებელი დარჩა. ლ.I შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა ირანის შაჰის აგრესიას. მის უდიდეს ვაჟკაცობასა და გმირობას მტერიც კი აღიარებდა. ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ბლოკადის გარღვევა ლ.I-მა რომის პაპის მეშვეობით სცადა. 1545 წლის 17 ივნისს პაპმა პავლე III-მ ლ.I-ს გამოუგზავნა წერილი, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ ქართლის მეფესა და მის მეზობელ ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა გამგებლებს სურვილი გასჩენიათ, კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოექციათ თავიანთი ქვეყნები. ამ დიპლომატიური ნაბიჯის გადადგმით ქართველ მეფე-მთავრებს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დაინტერესება და მათგან ქმედითი დახმარების მიღება სურდათ, მაგრამ რომის პაპსა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მესვეურებს მაშინ საქართველოს დახმარების არც სურვილი და არც შესაძლებლობა არ გააჩნდათ. 1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც აგრესორებმა ამიერკავკასია შუაზე გაიყვეს. ამ ფაქტს ყველა ადგილობრივი მმართველი შეურიგდა ლ.I-ის გარდა. ქართლის მეფე კვლავ განაგრძობდა მედგარ ბრძოლას ირანელი და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. ლ.I მოკლეს 1556 ყიზილბაშების წინააღმდეგ ერთ-ერთი ბრძოლის დროს.

წყარო: ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. - წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973; იქვე, ტ.2, თბ., 1959.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902; ტ ა რ დ ი ლ., უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს-ში, თბ., 1980; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ.4, თბ., 1967.

**ლუარსაბ II** (1592-1622), ქართლის მეფე 1606-15. 1606 მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი X. შაჰ აბას I-მა ქართლის მეფედ დაამტკიცა გიორგის 14 წლის ვაჟი ლუარსაბი. 1610 ლ.II შაჰს ეახლა ირანში. ამ ვიზიტის შედეგად შაჰ აბასმა მას დაუბრუნა თბილისის ციხე, რომელშიც მანამდე ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა. 1611 ლ.II-მ ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და, რითაც დიდ თავადთა აღშფოთება გამოიწვია და იძულებული გახდა ცოლს გაჰყროდა. 1612 ლ.II-მ თავისი და ხორეშანი ცოლად გაატანა კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ს. ამ ქორწინებით ქართლსა და კახეთს შორის შეიკრა ირანის წინააღმდეგ მიმართული კავშირი. 1614, შაჰ აბასის შემოსევის წინ მან სრული უდარდელობა გამოიჩინა, ყიზილბაშებს მოუმზადებელი დახვდა და იძულებული გახდა თავი იმერეთისათვის შეეფარებინა. იმავე წლის ოქტომბერში ქართლში დაბრუნდა და შაჰს ეახლა, რითაც ქართლი გადაარჩინა აოხრებას. შაჰ აბასმა ის ირანში წაიყვანა და გამაჰმადიანება მოსთხოვა. ლ.II-მ მტკიცე უარი განაცხადა და იგი ციხეში ჩააგდეს. მოგვიანებით, 1622 ციხეში შაჰის ბრძანებით მშვილდის საბლით დაახრჩვეს. ქართულმა ეკლესიამ ლ.II წმინდანად შერაცხა.

ლიტ.: ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964.

**ლუდოვიკო ბოლონიელი** (Ludovico Bolognese), მარონიტი, იტალიელი მისიონერი და ნუნციუსი აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომლის დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიპლომატიურ სარბიელზე, განსაკუთრებით, XV ს-ის II ნახევრის ანტიოსმალური კოალიციის შეკვრის მცდელობისას. დაწინაურდა პაპის კალიქსტ III-ის დროს. აღმოსავლეთში გაგზავნილ ლ.ბ-ს ნიადაგის მოსინჯვა დაევალა ქრისტიან და არაქრისტიან ხელისუფალთა ანტიოსმალურ კოალიციაში გაერთიანების საკითხში. 1456 იგი უკვე საქართველოში ჩანს, საიდანაც მას რომის პაპისათვის საქართველოს მეფისა და სამცხის ათაბაგის წერილები მიაქვს. ახალი პაპი – პიუს II-ც, ანტიოსმალურ კოალიციასთან დაკავშირებით, საქართველოში კვლავ ლ.ბ-ს გზავნის. მას რომში ქართველი ელჩები უნდა წაეყვანა. დიპლომატიურ მოლაპარაკებთა შედეგად უკან დაბრუნებულ ლ.ბ-ს ევროპაში თან გაჰყვნენ ანტიოსმალურ კოალიციაში შესაძლო მონაწილე აღმოსავლეთის ხელისუფალთა ელჩები, რომლებიც მან პაპს 1460 წარუდგინა. ლ.ბ. აქტიურ როლს ასრულებს ევროპის ხელისუფალთა და აღმოსავლეთიდან ჩასულ ელჩთა შეხვედრის ორგანიზების საქმეში. 1461 ლ.ბ. და აღმოსავლეთის მოკავშირეთა ელჩები პაპმა პიუს II-მ უკვე ცივად მიიღო. ლ.ბ-სადმი ასეთი დამოკიდებულება მისი პიროვნების გარშემო ავანტიურისტობის შესახებ ხმებითა და ავიოტაჟით იყო გამოწვეული. XVI ს. 70-იან წლებშიც რომის პაპი საქართველოსა და აყ-ყოინლუს სახელმწიფოს მიმართ კვლავ დიდ ინტერესს იჩენს და მათ ანტიოსმალურ კოალიციაში ჩაბმას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. პაპს მათ ხელისუფალთათვის თავისი ელჩი – ფრანცისკელი ბერი წარუგზავნია, რომელიც, როგორც ჩანს, კვლავ ლ.ბ. ყოფილა.

ლიტ.: მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. II ნახევარსა და XVI ს-ში, თბ., 1981; პ ა ი ჭ ა ძ ე დ., ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV საუკუნის 60-იან წლებში, თბ., 1989.

**ლუი IX** (1214-70), საფრანგეთის მეფე 1226-დან, 1236-მდე მისი რეგენტი იყო დედამისი – ბლანკა კასტილიელი. ლ.IX-მ გაატარა რეფორმები სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის მიზნით. მის დროს შეიქმნა პარიზში განსაკუთრებული სასამართლო პალატა (მოგვიანებით პარლამენტად წოდებული), რომელიც გახდა სახელმწიფოში უმაღლესი სააპელაციო ინსტანცია. მას გადაეცა აგრეთვე მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული უფლებები. გაატარა სამონეტო რეფორმაც, რამაც ხელი შეუწყო ერთიანი სამონეტო სისტემის ჩამოყალიბებას სახელმწიფოში. ლ.IX-ის საგარეო პოლიტიკა წარუმატებლობით ხასიათდებოდა. 1248 სათავეში ჩაუდგა მეშვიდე ჯვაროსნულ ლაშქრობას; 1250 იგი დაატყვევა ეგვიპტის სულთანმა (გათავისუფლებულ იქნა უზრმაზარი გამოსასყიდის გადახდის შემდეგ), 1259 პარიზის ზავის შედეგად ინგლისელებს დაუთმო გიენი. გარდაიცვალა შავი ჭირისაგან თუნისში, მერვე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. მისი კანონიზაცია მოხდა 1297.

**ლუი XI** (1423-83), საფრანგეთის მეფე 1461-დან, ვალუას დინასტიის წარმომადგენელი. როდესაც დოფინი იყო, მონაწილეობას იღებდა ამბოხებებში თავისი მამის, შარლ VII-ის წინააღმდეგ. ტახტზე ასვლის შემდეგ კი თვითონ ახშობდა ფეოდალურ ამბოხებებს და ატარებდა თანმიმდევრულ პოლიტიკას მეფის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, საფრანგეთის ცენტრალიზაციისა და ტერიტორიული გაერთიანების მისაღწევად. 1462 შეიერთა რუსილიონი და სერდანი ბურგუნდიის ომების შედეგად, რომელიც შარლ გულადის (ბურგუნდიის ჰერცოგი) სიკვდილით დამთავრდა, მან შეიერთა აგრეთვე ბურგუნდიის საჰერცოგო და პიკარდია. 1481 სამეფო დომენისთვის ანჟუს, მენის და პროვანსის შემოერთებით ძირითადად დასრულდა საფრანგეთის ტერიტორიების გაერთიანება. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის გზაზე იგი ფართოდ იყენებდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და შედეგიანადაც. მის დროს განვითარდა წარმოება, შიდა და გარე ვაჭრობა. ლ.XI-ის მეფობის დროს შეიქმნა წინაპირობა საფრანგეთში აბსოლუტიზმის განვითარებისათვის.

**ლუი XIII** (1601-43), საფრანგეთის მეფე 1610-დან, ბურბონების დინასტიიდან. შვილი ანრი IV-ისა და მარიამ მედიჩისა, რომელიც იყო მისი რეგენტი 1614-მდე. მისი მმართველობის დასაწყისი აღინიშნებოდა უთანხმოებით ფეოდალების მხრიდან, რომლებიც სარგებლობდნენ მეფის მცირეწლოვანებით. 1624-დან 1642-მდე საფრანგეთის ფაქტიური მმართველი იყო კარდინალი *რიშელიე*, რომლის დროსაც მიმდინარეობდა საფრანგეთის აბსოლუტიზმის შემდგომი განმტკიცება.

**ლუი XIV** (1638-1715), საფრანგეთის მეფე 1643-დან, ბურბონების დინასტიიდან. ლუი XIII-ის შვილი. 1651-მდე მისი რეგენტი იყო დედამისი, ანა ავსტრიელი, ფაქტიური მმართველი 1661-მდე იყო კარდინალი მაზარინი. მის დროს ჩაახშეს ფრონდა, აგრეთვე დადებულ იქნა საფრანგეთისათვის მომგებიანი ვესტფალიის ზავი (1648) და პირენეის

ზავი (1659), რამაც შექმნა პირობები აბსოლუტიზმის გაძლიერებისათვის. მისი უშუალო მმართველობის პერიოდში (დაწყებული 1661-დან) საფრანგეთის აბსოლუტიზმის განვითარებამ აპოთეოზს მიაღწია. მლიქვნელი კარისკაცები მას „მეფე-მზეს" უწოდებდნენ. მასვე მიაწერს ლეგენდა გამოთქმას: „სახელმწიფო – ეს მე ვარ!" ლ.XIV ცდილობდა, საკუთარი განდიდების მიზნით გამოეყენებინა სახელმწიფოში იმ დროს განვითარებული მეცნიერება, ხელოვნება და ლიტერატურა. ეკონომიკურ საკითხებში მისი მმართველობისას ჟ.ბ. კოლბერის მიერ ტარდებოდა მერკანტილიზმის პოლიტიკა. ლ.XIV აწარმოებდა მრავალრიცხოვან ომებს (წინარევოლუციური ომები 1667-68, ომები ჰოლანდიის მეთაურობით შექმნილი კოალიციის წინააღმდეგ 1672-78, საფრანგეთის წარუმატებელი ომი ესპანური მემკვიდრეობისათვის 1701-14 და სხვ.). 1679-80 დააარსა ე.წ. მიერთების პალატები ამა თუ იმ ტერიტორიაზე საფრანგეთის ტახტის უფლებათა მოსაძიებლად. 1681 შემოერთებულ იქნა სტრასბურგი. ლ.XIV ჩაება ბრძოლაში რომის პაპთან ინოკენტი XI-თან ეკლესიის დაქვემდებარების საკითხზე; 1682 დააარსა ფრანგული გალიკანური ეკლესია, რომელმაც გამოსცა „გალიკანური ეკლესიის დეკლარაცია". ქვეყნის შიგნით იგი დევნიდა იანსენისტებსა და კალვინისტებს (1598 ნანტის ედიქტის გაუქმება 1685). განუწყვეტელი ომები, მეფის კარის აურაცხელი ხარჯები, უჩვეულოდ დიდი გადასახადები და რელიგიური დაუთმენლობა მისი მეფობის დროს განსაკუთრებით ძნელად ასატანი ხდებოდა. ხშირი იყო აჯანყებები; განსაკუთრებით მისი მმართველობის ბოლო ათწლეულებში. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1702 კამიზარების აჯანყება.

**ლუი XV** (1710-74), საფრანგეთის მეფე 1715-დან. ბურბონების დინასტიიდან. 1723-მდე მისი რეგენტი იყო ჰერცოგი ფილიპე ორლეანელი. მისი სრულწლოვანების შემდეგ საფრანგეთის ფაქტიური მმართველობა ჰერცოგ ბურბონისა (1723-26) და მეფის ყოფილი აღმზრდელის, კარდინალ ფლერის (1726-43) ხელში იყო. 1725 ლ.XV დაქორწინდა მარია ლეშჩინსკაიაზე (სტანისლავ ლეშჩინსკის ქალიშვილზე). შემდგომში მნიშვნელოვან როლს სახელმწიფო საქმეებში ასრულებდნენ მეფის ფავორიტი ქალები (მარკიზა პომპადური, გრაფინია დიუბარი). მეფის მფლანგველობამ ხაზინა მოშლამდე მიიყვანა. 1757 მასზე თავდასხმა მოაწყვეს. ლ.XV-ის მმართველობა ხასიათდებოდა ფრანგული აბსოლუტიზმის კრიზისით.

**ლუკულუსი** ლუციუს ლიცინიუს (Lucullus Lucius Licinius) (ძვ. წ. 117-56), რომაელი მხედართმთავარი, ცნობილი გვარის, ლიცინიუსების წარმომადგენელი. განვლო რომის მაგისტრატურების ყველა საფეხური. 87 იყო კვესტორი, 79 – ედილი, 78 – პრეტორი, 74 – კონსული. აზიაში მისი პროკონსულობა დაემთხვა III მითრიდატულ ომს (ძვ. წ. 74-64). ლ-ის მთავარსარდლობით რომის არმიამ რამდენჯერმე დაამარცხა მითრიდატე VI ევპატორი. 69 გაანადგურა სომხეთის მეფე ტიგრან II. დიდ წარმატებათა მიუხედავად, რომის ლეგიონები ლ-ის საქმიანობით უკმაყოფილონი იყვნენ. რესპუბლიკის ხელისუფლებამ იგი გადააყენა და მთავარსარდლად გნეუს პომპეუსი დანიშნა. ლ. დიდ მხედართმთავრულ მონაცემებთან ერთად ფლობდა მაღალი დონის დიპლომატის თვისებებსაც. მისი ინიციატივით დაიდო რამდენიმე სერიოზული ხელშეკრულება აღმოსავლეთის მეფეებთან. რომში დაბრუნებულმა ლ-მა სახელი გაითქვა ნადიმებით. ითვლებოდა თავისი დროის უმდიდრეს ადამიანად. ფლობდა ბერძნული ლიტერატურის შესანიშნავ ბიბლიოთეკას, ხელოვნების ნაწარმოებთა მდიდრულ კოლექციას.

**ლუნაჩარსკი** ანატოლი ვასილის ძე (1875-1933), საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. კომუნისტური პარტიის წევრი 1895-დან. 1917-20 – რსფსრ განათლების სახალხო კომისარი; სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი – 1930-დან. 1927-დან ასრულებდა საბჭოთა მთავრობის მთელ რიგ დიპლომატიურ დავალებებს საზღვარგარეთ, კერძოდ, ერთა ლიგაში და განიარაღების საყოველთაო კონფერენციაზე 1932-34, სადაც იყო საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოადგილე, შემდეგ – მეთაური. 1933 დაინიშნა სსრკ სრულუფლებიან წარმომადგენლად ესპანეთში, მაგრამ დანიშნულების ადგილზე ვერ ჩავიდა, გარდაიცვალა საფრანგეთში, სადაც სამკურნალოდ იმყოფებოდა.

**ლუნევილის საზავო ხელშეკრულება 1801** (საფრანგეთსა და ავსტრიას შორის), ხელი მოაწერეს 9 თებერვალს ლუნევილში (საფრანგეთი), ნაპოლეონის არმიის მიერ ავსტრიის ჯარების განადგურების შემდეგ მარენგოსა (14.VI. 1800) და ჰოჰენლინდენის (3.XII. 1800) ბრძოლებში. ხელშეკრულებამ ზოგიერთი (ავსტრიისათვის არასასურველი) ცვლილებით დაადასტურა *კამპოფორმიოს საზავო ხელშეკრულება 1797*. მდ. რაინის მარცხენა სანაპიროს ტერიტორია, ავსტრიის ნიდერლანდური სამფლობელოები (ბელგია) და ლუქსემბურგი საფრანგეთის ხელში გადავიდა. ავსტრიამ აღიარა ჰელვეციის (შვეიცარია), ბატავიის (მოგვიანებით – ნიდერლანდები), ლიგურიის (გენუის რაიონი) და ციზალპური (ლომბარდია) რესპუბლიკების ვასალური დამოკიდებულება საფრანგეთზე. პიემონტი რჩებოდა საფრანგეთის მიერ ოკუპირებული. ადრიატიკის ზღვის რაიონში ავსტრია ინარჩუნებდა ისტრიას, დალმაციას და ვენეციას. ტოსკანას დიდი საჰერცოგო გარდაიქმნა ეტრურიის სამეფოდ.

ხელშეკრულების დადება ნიშნავდა მე-2 ანტიფრანგული კოალიციის დასასრულს. იგი წინ უსწრებდა საზავო ხელშეკრულებათა მთელ სერიას საფრანგეთსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის, რომელიც დასრულდა ამიენის ზავით (1802).

**ლუნსი** (Luns) იოზეფ მარი ანტუან ჰუბერტ (1911-89), ნიდერლანდების სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო 1938-დან. მუშაობდა ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროში (1938-40, 1943-44), ნიდერლანდების დიპლომატიურ წარმომადგენლობებში შვეიცარიაში (1940-41), პორტუგალიაში (1941-43), დიდ ბრიტანეთში (1944-49); 1949-52 – ნიდერლანდების მუდმივი წარმომადგენელი გაეროში; 1956-71 – ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრი; 1971-84 – ნატოს გენერალური მდივანი. 1984 გადადგა.

**ლჰასის ხელშეკრულება 1904**, ხელმოწერილ იქნა 7.IX ლჰასაში (ჩინეთი) დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებისა და ტიბეტელი დიდებულების მიერ. ეს მოხდა 1903

წლის ზაფხულში ტიბეტში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ინტერვენციისა და 1904 წლის აგვისტოს ლჰასის დაკავების შემდეგ. ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის სარდალმა ძალით მოახვია თავს ხელშეკრულება ტიბეტელ დიდებულთა ჯგუფს, რომელთაც საამისო უფლებამოსილება არ გააჩნდათ. ხელშეკრულებით დიდმა ბრიტანეთმა მიიღო პრაქტიკულად საბაჟო ვაჭრობის უფლება რიგ ქალაქებში (იატუნგი, გარტოკი, გიანცზი). ბრიტანეთის მთავრობის ნებართვის გარეშე ტიბეტის ხელისუფალთ არ უნდა დაეშვათ ტიბეტის ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები. ტიბეტს დაეკისრა კონტრიბუცია 500 ათასი გირვანქა სტერლინგი, რომლის გადახდამდეც ჩუმბის დაბლობი ექვემდებარებოდა ბრიტანეთის ოკუპაციას. 1904 წლის 6 ნოემბერს დაიდო ახალი შეთანხმება, რომლის ძალითაც დიდ ბრიტანეთს შეეძლო გაეგზავნა ტიბეტში თავისი მუდმივი პოლიტიკური და სავაჭრო აგენტები.

გამომცემლობის რედაქტორები: მზია ჩხაიძე
მარგო ინასარიძე
მხატვარი შოთა ნიორაძე
ტექნიკური რედაქტორი ბექან ასათიანი
კორექტორები: ეთერ წერეთელი
ლუიზა თორდუა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.12.1997
საბეჭდი ქაღალდი $84X108^{1}/_{16}$. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 40,42.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 50,83
ტირაჟი 500
შეკეეთის № 52

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14

აიწყო და დაკაბადონდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნიეერსიტეტის სარედაქციო-სადუბლიკაციო
კომპიუტერულ სამსახურში
380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1

გამომცემლობა „მერიდიანი“, „კაბადონი“,
თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ., 74.